

780
1988/2

ISSN 0134-9848


1988/1

საქართველო

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

25
1-2)





მ. მონტეგონტევილი მენავე

საშუალო

1988/1
იანვარი
თმზარვალი

(82)



შინაარსი

პროზა და პოეზია

რინდო მარია რილა. მალტა ლაურედს ბრიგანს ჩანაწერები. დახასრული. გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა	3
ფიქროს ტიუტჩივი. ლექსები. თარგმნა თედო ბეჭიშვილმა	73
ივან დრასი. იური შჩეპოვაკი. ლუდმილა ტარან. ლექსები. უკრაინულიდან თარგმნა სოსო ჩოჩიაშვილმა	78
ვასილ ბალოვი. ვოლოგდური ლათინები. მოთხრობა. თარგმნა ვივი კაკაბაძემ	82
სტანა კენიშვილი. ლექსები. თარგმნა მედეა კახიძემ	122
აბაი ქუნანბაევი. ლექსები. თარგმნა შალვა მჭედლიშვილმა	128
არიმო კანსანი. ლექსები. თარგმნა ვივი ძნელაძემ	133
დევიდ ვერბერტ ლორენსი. კრუსნიელი ოფიცერი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა დედა დუმბაძემ	136
დევიდ ვერბერტ ლორენსი. კრუსნიელის სურნელი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა მანანა ფორჩხიძემ	155
გვიდო გოცანო. კორალო გოვონი. დინო კამპანა. უმბერტო სება. პიერ პაოლო პაოლინი. ლექსები. იტალიურიდან თარგმნა თამაზ ბაძაღვამ	171
ვენერიკ იბსენი. კეისარი და ბალილევილი. დახაწყისი. თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ	176
რომანოვ ვოლოდოვი. ლექსები. ძველბერძნულიდან თარგმნა ნინო ბარბიძემ	237

წერილები

ფილიპ ტომინი. „ულისა“. ინგლისურიდან თარგმნა მაკა შაიხურაძემ	242
ალექსანდრ გლოკი. წერილები. თარგმნა ნანა ახოზაძემ	257
ჩინგი ათხათოვი. როგორ გამოიხმაურებიან ჩვენს სიტუაციას. თარგმნა ივლიდა ქარხელაძემ	269
მატი პინტი. ორენოვნი პრობლემა ვარდისფერი სათვალის ბაკეში. ებტონურიდან თარგმნა აპირან კალაძემ	283
ვიკატ კალანდაძე. ბაირონი და ნაკოლეონი.	293
ზუკაბ ჯარუშიძე. მარტინ პიდგეპერი: „კომუნა არის სიმღერა“	302
მანანა ჯაოშვილი. რიპარდ ვაგნერი და ფრანგული მწერლობა	309
მადლენ ურსი. კორე. ფრანგულიდან თარგმნა ელიზაბედ ვეფილაშვილმა	313

მშენებლური მარგვანისა და მშენებლურ ურთიერთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეჯია



მთავარი რედაქტორი:

მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეჯია:

ულზა ახვლედიანი

ჯეგალ აჯიაშვილი

გიორგი გაქანიძე

მზია გაქრაძე

განანა ბრეგვაძე

გურამ გოგიაშვილი

ნანა ღარჩია (პ. მგ. მდივანი).

მაგალი თოდუა

ნოდარ ქაქაბაძე

ზურაბ კიქნაძე

ვასუში კობახიშვილი

რომან მიმინოშვილი

გიორგი ნიშნიანიძე

ოთარ ნოდია

დალი ფანჯიკია

რუსუდან ქეზულაძე

იორაბ ქვერტალიძე

ნიკო ყიასაშვილი

გივი შანაზარი

გივი ქნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)

დავით წერეთელი

ნუგზარ წერეთელი

თამაზ წივნივაძე

რაჭო ჭიჭიანი

გარეკანზე: კორმ. ქალი მარგალიტით.

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექნიკური რ. იმნაიშვილი
გამომშვები ნანა ბართია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დავითაძის ქ. № 2

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.

განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გად. წარმ. 3.12.87 წ., ხელმოწ., დასაბუქდოდ 19.2.88 წ., ქაღალდის ზომა 70x1081/16

სააღრ. თ. 26,66 სსსტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,7 ტონ. 10 000, შვკვ. №2843

ფასი 1 მან. 60 კპ.

ბაქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის

ორდენოსანი ხტამბა, თბილისი. ღენინი 14

რანერ მარია რილაე

მალტე ლაურიდს ბრიგმის ჩანაწერები



გერმანულიდან

თარგმნა ნაირა გელაშვილმა

II ნაწილი

798
8
1
და აი, აღარც Dame á la Licorne¹-ის ხალიჩებია ბუსაკების ძველ ციხე-კოშკში. დამდგარა უამი, როს სახლებიდან ყველაფერი მიიკარგება, მათ აღარაფრის შენარჩუნება არ შეუძლიათ. საფრთხე უფრო მყარი გამხდარა, ვიდრე სიმყარე უხიფათობის. დელე ვისტების² გვარტომიდან დღეს აღარაფრის მოგვეყვება გვერდით, მასპინძელივით ვინც გაჩვენებდა ამ გობელენებს; სისხლში არ ჰქონიათ დღევანდელიობა. გარდასულან, მიმოზნეულან. აღარც შენს სახელს წარმოთქვამს ვინმე ამ მნახველთაგან, პიერ დ'ობიუსონ,³ დიდო დიდოსტატო ძველისძველ გვარის, ვისი ნებასურვილითაც მოიქსოვა ალბათ ეს სურათები, ყველაფერს რომ განადიდებენ და საიდუმლოს არკი ამხელენ (ო, რატომ იყო, რომ პოეტები მუდამ სხვაგვარად წერდნენ ქალებზე: სიტყვამრავლად და სიტყვაკაზმულად, და არა ისე, როგორც ფიქრობდნენ. ალბათ ეს უნდა გვეცოდნოდა მხოლოდ, სხვა არაფერი). და აი, ახლა შემთხვევით ხვდები ხალიჩების წინ, მრავალ შემთხვევით მოხვედრილს შორის, და თითქმის გაკრთობს, რომ არავის მოუწვევიხარ, უნებართვოდ შემოსულივით დაიარები. მაგრამ აქ ხომ სხვებიც არიან, თუმცა ძალიან ბევრი — არასდროს, და ნელა მიმოდიან ნათელ დარბაზში. ახალგაზრდებს გული არ უდგებათ, ძლივს ჩერდებიან: ეტყობა, მათი დარგი მოითხოვს, ამ საგნებს ერთხელ მაინც შეავლონ თვალი, მათი ესა თუ ის ნიშანი დაიმახსოვრონ.

აქ გოგონებსაც შეხვდებით ზოგჯერ. რადგანაც სწორედ მუზეუმებში ტრი-ალეებენ ის გოგონები, ოდესღაც რომ დაეკარგნენ ოჯახებს, სახლებს, სახლებს, რომლებიც ველარაფერს ვერ აკავებენ. ხალიჩების წინ ისინი თავიანთ თავს პოულობენ და ივიწყებენ კიდევ მცირე ხნით. მათ ხომ ყოველთვის უგრძნობდათ გული, რომ ეს იყო, ეს არსებობდა — აი, ასეთი ჩუმი ცხოვრება, აღბეჭდილი ნარნარი, თითქმის იდუმალი ეესტებიოთა და ნელი მიმოხვრით. და ახლა ბუნდოვნად ახსენდებათ, რომ ერთ დროს ეგონათ, მათაც ასეთი ცხოვრება ხვდებოდათ წილად. მაგრამ გაიფიქრებენ ამას თუ არა, მაშინვე რვეულებს იღებენ ჩანთიდან და იწყებენ ხატვას. სულ ერთია, რას გადახატავენ, რომე-

* I ნაწილი იხ. „საუნჯე“ № 1, 1987.

საქ. სსრ კ. მარტო
სახ. სახ. რესპუბლიკა

ლიმეს იმ ყვავილთაგან თუ პატარა, კმაყოფილ, ნაამებ ცხოველს. რას დახატავთ, სულ ერთია, არა აქვს მნიშვნელობაო, წინასწარ თუ უთხრეს, და აბა, მართლაც რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ ხატავენ. რადგან, განა ამისთვის არ დასტოვეს ერთ დღეს სახლები, მათ დასატოვებლად გვარდინმა გაბრძოლებამ რომ მოუწიათ? ისინი კარგი ოჯახებიდან არიან, მაგრამ, ახლა ხატვისას მკლავს მალდა რომ სწევენ, ზურგზე კაბა ეხსნებათ ხოლმე, რაფა ნაღწრსმსმე არა აქვთ შეკრული. რამდენიმე ღილს, ეტყობა, ვერ სწვდებიან. რადგან როდესაც ეს კაბები იკერებოდა, აზრადაც არავის მოსვლია, რომ ქალიშვილები ერთ მშვენიერ დღეს სახლებიდან გაიკრიფებოდნენ. ოჯახში კი მუდამ არის ვინმე ისეთი, ქალს ღილების შეკვრაში რომ მიეხმარება. მაგრამ აქ, ღმერთო დიდებულო, ასეთ უზარმაზარ ქალაქში ღილებისთვის ვილას სცალია! მეგობარი გოგონებიც ამ დღეში არიან, ყველანი დაჰკარგვიან სახლსა და კერას და აგრე ხდება, რომ ისინი ერთმანეთს უკრავენ კაბებს და ეს მართლაც სასაცილოა, რადგან ამ დროს ისევ ოჯახი აგონდებათ, ოჯახი, რომლის მოგონებაც არ უხარიათ.

და აი, დგანან და ხატავენ, და უნებურად აეშლებათ ხოლმე ფიქრები: ეგებ შინ დავრჩენილიყავით, ნუთუ არ შეიძლებოდაო. ალბათ შეიძლებოდა, თუკი სათნონი იქნებოდნენ, დანარჩენებთან ნაბიჯაწყობილ, გულითად ღვთისმოსაობას თუ შეინარჩუნებდნენ. მაგრამ რა უაზრო, რა გამორიცხული ეჩვენებოდათ, სხვებთან ერთად, ერთობლივად ეცადათ ღვთისმოსაობა. გზა ღმერთისაკენ დავიწროვდა: ამ ვიწრო გზაზე ოჯახები ველარ ეტევიან. მაშასადამე, დანარჩენი, საერთო ქონება უნდა გაეყოთ გაჭირვებაში. მაგრამ თუკი პატიოსნად იყოფდნენ, თვითთულს ისე მცირე რამ ხვდებოდა წილად, რომ ლაპარაკადაც არ ღირდა. ამის გამო იწყებდნენ ტყუილს, ჩხუბს, კინკლაობას. არა, მართლაცდა ბევრად უკეთესია, იდგე და ხატავდე, სულ ერთია რას. დროთა განმავლობაში მსგავსებასაც მიაღწევ. და ხელოვნება, რომელსაც ასე ნელ-ნელა, აუჩქარებლად ეუფლები, მართლაც რომ შესაშური ბედნიერებაა.

და ეს გოგონები ველარ ახერხებენ, ჩაუკვირდნენ იმ უკიდურესად დაძაბულ საქმიანობას, რაც წამოუწყიათ; მათ არც კი უნდათ დაიჯერონ, რომ ხატვისას თავიანთვისვე შეუმჩნეველად მხოლოდ ერთ რასმე სჩადიან: საკუთარ თავში ახშობენ იგივე ცხოვრებას, რაც მათ წინაშე ამ ხალიჩების ნაქარგ სურათებზე მთელი თავისი გამოუთქმელობით გადაშლილა და გაბრწყინებულა. გოგონებსაც სურთ შეიცვალონ, ახლა, როცა ამდენი რამ იცვლება ქვეყნად. ისინი უკვე მზად არიან, ფარ-ხმალი დაყარონ და ისე იფიქრონ თავიანთ თავზე, როგორც კაცები ლაპარაკობენ მათზე მათ ზურგსუკან. გოგონებს ეს წინსვლად მიაჩნიათ. თითქმის დარწმუნებულნი არიან უკვე, რომ ადამიანი სიამოვნების საძიებლადაა გაჩენილი და ეძებს და ეძებს ერთ სიამეს, მერე მეორეს, უფრო მძაფრს, კიდევ უფრო მძაფრს და ასე შემდეგ; რომ სწორედ სიამოვნების მიღებაა ცხოვრების აზრი, და სხვაგვარად უღიმღამოდ ჩავლილად უნდა ჩაითვალოს კაცის სიცოცხლე. გოგონებმა უკვე დაიწყეს ირგვლივ მიმოხედვა და ძებნა, გოგონებმა რომელთა ძალაც მუდამ ის იყო, რომ მათ ეძებდნენ და პოულობდნენ.

ჩემის აზრით, იმიტომ მოხდა ეს ყველაფერი, რომ ქალები დაიღალნენ. საუკუნეთა მანძილზე მთელი სიყვარული თავიანთი მხრებით ატარეს, ისინი მუდამ მთელ დიალოგს ახორციელებდნენ, დიალოგის ორივე ნაწილს, მამაკაცი მხოლოდ მათ სიტყვებს იმეორებდა და ისიც უხეიროდ, და უძნელებდა

ქალს სიბრძნის შეძენასა და თვითჩაღრმავებას თავისი გაფანტულობით, თავისი დაუდევრობით, თავისი ეჭვიანობით, რაც დაუდევრობის სახეობაა და სხვა არაფერი. მიუხედავად ამისა, ქალებმა გასძლეს, ყოველ წუთს, დღედაღამ უძლებდნენ სიძნელეს და აღივსნენ სიყვარულით და ტანჯვით. და უზომო ტანჯვა-სატკივრის ძალით წარმოდგნენ მათგან ძლევამოსილი მეტროპოლიტომელიც, მამაკაცს რომ უხმობდნენ, ამ ხმობაში დასძლიეს იგი და დასძნეს და ამაღლდნენ მასზე. ისინი აღზევდნენ და გასცდნენ მამაკაცს, როდესაც იგი მათ ძახილზე აღარ მივიდა. — გასპარა სტამბა⁴ იქნება ეს თუ პორტუგალიელი ქალი⁵, — ისინი არ დაეხსნენ თავიანთ სიყვარულს. ვიდრე მათი ტანჯვა მკაცრ. ყინულოვან ბრწყინვალეობაში არ გადაიზარდა, რომლის გაძლებაც უკვე შეუძლებელი იყო. ჩვენ ვიცით ეს ქალები, რადგან წერილები დარჩათ, სასწაულებრივად გადარჩენილი, ანდა წიგნები წაგვიკითხავს. მგოდებელი თუ დამადანაშაულებელი ლექსებით სავსე, ან მათი სურათები გვინახავს რომელიმე გალერეაში. ტირილის პირბადიდან გამომზიარალი მათი სახეები, ტირილისა, რომელიც მხატვარს იმიტომ თუ გამოუვიდა, რომ არ იცოდა, რა იყო ეს. მაგრამ ასეთი ქალების რიცხვი ხომ განუზომლად მეტი იქნებოდა. ვინ მოსთვლის, რამდენმა მისცა ცეცხლს სასიყვარულო წერილები, ანდა რამდენი ისე დაშრიტა ტრფობის სახმილმა, რომ წერილების წერის ძალაც წაართვა; იყვნენ გამკაცრებულ-გახევებული მოხუცი ქალები, უძვირფასეს თესლს რომ მალავდნენ სულის წიაღში; ფორმადაკარგული, გაუხეშებულ-გამძლავრებული ქალები, ქანცგაწყვეტამ რომ გააძლიერა და თავიანთ ქმრებს ნებით რომ დაემსგავსნენ, თუმცა შიგნით, სულის სიღრმეში სულ სხვანაირები რჩებოდნენ მაინც, რადგან იქ, სიბნელეში მათი სიყვარული იღვწოდა მუდამ; მშობიარენი, რომელთაც შობა არასდროს სურდათ, და როდესაც ბოლოს და ბოლოს მერვე მშობიარობას ეწირებოდნენ, გოგონების ყესტები და მოძრაობანი ჰქონდათ სულთაბრძოლისას, გოგონებისა სასიყვარულო სარეცელი რომ უხარიათ; და ის ქალები, დამთხვეულებისა და ლოთების გვერდით რომ რჩებოდნენ მთელი ცხოვრება, რადგან მიაგნეს საშუალებას, ისე შორს წასულიყვნენ მათგან საკუთარ თავში, რასაც სხვაგან ვერ მოახერხებდნენ. და როდესაც ხალხში გამოდიოდნენ, ვერ იკავებდნენ შინაგან ციმციმს და ანათებდნენ, თითქოს თავიანთი დღე და მოსწრება ნეტარ წმინდანებთან ჰქონოდათ საქმე. ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი ქალი ცხოვრობდა ქვეყნად, ან ვინ და როგორნი იყვნენ ისინი. თითქოსდა ქალებმა წინასწარ გააცამტვერეს ყველა ის სიტყვა, რითაც კი მათი წვდომა და გამოთქმა იქნებოდა შესაძლებელი.



მაგრამ ახლა, როცა ამდენი რამ იცვლება ქვეყნად, აღარ დადგა დრო, რომ ჩვენც, კაცებიც, შევიცვალოთ და გარდავიქმნათ? ნუთუ ვერ შევძლებთ ძალთა მოკრებას, რათა მცირეოდენ ჩვენც განვეითარდეთ და სიყვარულში ჩვენი წილი სამუშაო თანდათან, ნელ-ნელა ვიკისროთ? ჩვენ მუდამ გვარიდებდნენ სიყვარულის სიმძიმეს, გვზოგავდნენ, და აგრე გავვისხლტა იგი ხელიდან ჩვენს განუწყვეტელ გაფანტულობასა და დაუდევრობაში: ბავშვის სათამაშოებით ავსებულ ყუთში ასე აღმოჩნდება ხოლმე ზოგჯერ ნამდვილი მაქმანის ნაჭერი, რომელიც ბავშვს ვერ უხარია, მერე კი აღარ, დაბოლოს ყველაზე მეტად შელახული და დასვრილი გდია იმ დაშლილ-დალეწილ სათამაშოებში. ყვე-

ლა დილეტანტის მსგავსად ჩვენ გაგვრყვნა და წაგვახდინა იოლმა სიამემ და ოსტატების სახელი კი გვაქვს გავარდნილი. ო, რა იქნებოდა, უარგვეყო ჩვენი მოჩვენებითი, ყალბი წინსვლანი. სულ, სულ თავიდან დაგვეწყო, და გვესწავლა სიყვარულის სამუშაოს აღსრულება, რომელსაც ჩვენს მაგივრად მუდამ / სხვა ასრულებდა. რა იქნება, წავიდეთ მივიდეთ ქალებთან და ახალბედები და დამწყებნი გავხდეთ ახლა, როცა ყველაფერი ასე იცვლება? *წიგლისი*

და ახლა უკვე ვიცი, რა როგორ ხდებოდა, დედა მაქმანებს რომ გაშლიდა ხოლმე. მან ინგებორგის სეკრეტერის ერთადერთი უჯრა დაიტოვა თავისთვის.

„მოდი, ვნახოთ, მალტე“, — მიძახდა და ისე უხაროდა, თითქოს ყველაფერი ერთბაშად უნდა მიეღო საჩუქრად, რასაც კი პატარა, ყვითლად გასარკული უჯრა მალავდა. მერე კი დიდი მოლოდინით დაძაბული, ვეღარ ახერხებდა სიფრიფანა ქალაქის შემოხსნას და მუდამ მე უნდა მივხმარებოდი. მაგრამ მეც საშინელი მღელვარება მიპყრობდა ყოველთვის, როცა კი მაქმანებს მოვკრავდი თვალს. ისინი პატარა ხის კოჭებზე იყო გადახვეული, რომლებსაც მთლიანად ფარავდნენ. და ჩვენ ნელ-ნელა ვშლიდით ხვეულს და მონუსხულები დავცქეროდით მაქმანის სახეს, თუ რაგვარ სანახაობას გადაგვიშლიდა. ბოლოს კი ყოველთვის შევკრთებოდით ხოლმე, ისე მალე შიშვლდებოდნენ ხის კოჭები.

ჯერ იტალიურ ზონრებს ვათვალთვლებდით, ძაფებამოწვერილ, მაგარ მაქმანებს, რომელთა გვირისტებშიც ყველაფერი, მთელი ცხოვრება მკაფიოდ და განუწყვეტლივ მეორდებოდა, ისევე როგორც გლეხის ბაღჩაში. მერე კი უცბად ჩვენს მზერას ვენეციური ნემსის წვერები ეღობებოდა, თითქოს სატუსალოები ვყოფილიყავით ან მონასტრები. მაგრამ მაშინვე ქრებოდა ისევ, და თავისუფლად შეგვეძლო შორს გაგვეხედა მსუბუქ ბაღებში: ყვავილ-ფოთლება სულ უფრო და უფრო ხელოვნური ხდებოდა და ბოლოს მჭიდროდ და თბილად აგვეკვრებოდა ხოლმე თვალებზე, თითქოს სათბურში შევსულიყავით. აი, უცნობი, მბრწყინავი ყვავილები ნარნარით შლიდნენ ვეება ფურცლებს, მათი ლერწები ირწეოდნენ და ერთმანეთს ეჭდობოდნენ, თითქოს თავბრუ ესხმითო. ხოლო ალანსონური მაქმანების დიდრონი, გულგადახსნილი ყვავილები თავიანთი ფერადი მტვრით ყოველივეს ნისლავდნენ ირგვლივ. შემდეგ კი მთლად დაქანცულნი და რეტდასხმულნი უეცრად ვალანსენის გრძელ გზაზე გავდიოდით, და ზამთარი იდგა, დილასისხამი, და თრთვილი ეფინა იქაურობას. და მივარღვევდით ბინშის⁷ გაუვალ, დათოვლილ ბარდნარს, და უცბად ისეთ ადგილას ამოვეყოფდით ხოლმე თავს, სადაც ჩვენამდე არვის გაევილო. აქ კი იმგვარად ჩამოშვებულებიყვნენ მძიმე ტოტები, მათ ქვეშ საფლავი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამ ვარაუდს მე და დედა ერთმანეთს ვუმალავდით. სიცივე სულ უფრო გვატანდა სახსრებში, და როცა ბოლოს პატარა, უაღრესად ნაზი ყაისნალით ნაქსოვი მაქმანების ჯერი დგებოდა, დედა ამბობდა: ო, ახლა ყინულის ყვავილები დაგვეფინება თვალებზეო, და მართლაც ასე ხდებოდა, რადგან ჩვენს არსებაში ძალიან, ძალიან დიდი სითბო დაგროვილიყო.

როდესაც მაქმანებს ხელახლა ვახვევდით, ორივენი ჩუმად ვობრავდით,

რადგან ეს საქმე ჩვეულებრივ დიდხანს გრძელდებოდა, ჩვენ კი მაინც არ გვსურდა სხვისთვის მიგვენდო.

„წარმოიდგინე, ჩვენი მოსაქსოვი რომ ყოფილიყო ეს საქმანები — ამბობდა დედა და მართლა შეშინებული იყურებოდა. არა, ამის წარმოდგენაც კი არ შემეძლო. და მე აღმოვაჩინე, რომ ერთი ციდა ცხოველებზე ვფიქრობდი ამ დროს, რომლებიც განუწყვეტლივ ქსოვენ და წნავენ ლურჯ-წითელ-წაფის ხელს არავინ უშლის. არადა, ცხოველები რა შუაშია, რა თქმა უნდა, ეს ქალების ხელობა იყო.“

„ის ქალები ნამდვილად ზეცაში წავიდნენ“, — ვამბობდი მონუსხული. მაგონდება: მაშინ უეცრად გამახსენდა, რომ ზეცის შესახებ კარგა ხანი იყო აღარაფერი მეკითხა. დედამ ამოისუნთქა, საქმანები უკვე გადახვეული იყო და ერთად ელაგა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა ზეცა ისევ დამავიწყდა, დედამ ძალიან ნელა და ჩუმად თქვა: „ზეცაში? მე მგონი, ისინი მთლიანად აქ არიან, შიგნით, ამ საქმანებში, როცა მათ ასე დაჰყურებ, განა ვერა გრძნობ, რომ ესეც შეიძლება მარადიული სასუფეველი იყოს? ჩვენ ხომ ასე ცოტა რამ ვიცით ზეცის შესახებ“.



ხშირად, როდესაც სტუმრები გვყავდა, სულ იმას ამბობდნენ, შუღინები რა ვიწროდ არიანო. მათი დიდი, ძველი სასახლე რამდენიმე წლის წინ დაიწვა, და ახლა ისინი ორთავე ვიწრო, გვერდითა ფლიგელში ცხოვრობდნენ და მაშასადამე, მართლაც ვიწროდ იყვნენ. მაგრამ სტუმრიანობა სისხლში ჰქონდათ და ამაზე უარის თქმა ნამდვილად არ შეეძლოთ. თუკი ვინმე მოულოდნელად შემოგვივილიდა, შუღინებისგან მოდიოდა უთუოდ, და თუკი ვინმე უცბად საათს შეხედავდა და დაფეთებული წასვლას დააპირებდა, იმასაც, უეჭველად, შუღინების სახლში ელოდნენ.

თუმცა დედა იმ დროს სახლიდან თითქმის აღარ გადიოდა, მაგრამ ამას შუღინები ვერ გაიგებდნენ და ჩვენც იძულებულნი ვიყავით, ზოგჯერ მაინც გავდგომოდით მათი სახლის გზას. ეს იყო დეკემბერში, მას შემდეგ, რაც ერთი-ორჯერ უკვე ჩამოთოვა ადრიანად. მარხილი სამი საათისთვის იყო ნაბრძანები, მეც მივდიოდი. ეს კი იყო, რომ ჩვენი დროზე გამგზავრება არასდროს ხერხდებოდა. დედას არ უყვარდა, როცა უცდიდნენ ხოლმე. და ამიტომ, ყოველთვის ყველაზე ადრე ჩადიოდა ქვემოთ. და რაკი იქ ვერავის პოულობდა, და თან უცბად რაღაც აუცილებლად მოსაგვარებელი საქმეც ახსენდებოდა. უკანვე ბრუნდებოდა და იწყებდა ვიღაცის ან რაღაცის ძებნას, და თავად ხდებოდა ძნელი საპოვნელი. დანარჩენები კი ქვემოთ იდგნენ და ელოდნენ. ბოლოს და ბოლოს, როცა დედა უკვე მარხილში იჯდა და ქურქში ეხვეოდა, აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ ისევ რაღაც დავიწყებოდა. მაშინ სივერსენის ძებნას იწყებდნენ, რაკი მან ერთადერთმა იცოდა მუდამ, სად შეიძლებოდა ყოფილიყო ის რაღაც დავიწყებული, მაგრამ მერე მარხილი რატომღაც მოულოდნელად წყდებოდა ადგილს, სივერსენის დაბრუნებამდე.

ისეთი ჩამობურთული დღე იდგა, ვერც იტყოდი, დღეაო. ხეებიც იმგვარად იდგნენ, თითქოს ნისლში გზა აბნეოდათ და ახლა აღარ იცოდნენ საით წასულიყვნენ. მართლაც მედიდური თავდაჯერებულობა გახლდათ იმ ბურუსში

მგზავრობა. ამასობაში ისევ წამოთოვა, ნელა და მძიმედ. ყველაფერი წაიშალა, გადასწორდა, და თითქოს თეთრ ფურცელზე მივსრიალებდით. აღარაფერი არსებობდა ზარების წკრიალის გარდა და იმასაც ვერ იტყოდით, სად გასმოდა. მერე ისეთნაირად შეწყდა, თითქოს უკანასკნელი ბგერა გამოსცაო, ქაგრამ მალევე მოიკრიბა ძალა, დაგროვდა, შეიკრა და არემარეს, მთელფეხ-ძალით გადმოეფრქვა რეკვა-წკრიალი. სადღაც მარცხნივ ეკლესიის ზეგნულად აღმართებოდა გეგულისხმა. მაგრამ უეცრად პარკის კონტური გამოჩნდა, მალა, თითქმის ჩვენს ზემოთ, და გრძელ ხეივანში ამოვყავით კიდევ თავი. ზარების რეკვა ხან ძლიერდებოდა, ხან სუსტდებოდა, მაგრამ შეწყვეტით აღარ შეწყვეტილა. თითქოს ხეებს მტევნებად ეკიდებოდა მარჯვნივ თუ მარცხნივ. შემდეგ მარხილმა უეცრად შეუხვია, რალაცას შემოუარა, რალაცას წინ ჩაუარა და სადღაც შუაში გაჩერდა.

გეორგს სრულიად დაეიწყებოდა, რომ სასახლე კარგა ხანი იყო, რაც დაიწვა და აღარ იდგა. და ჩვენთვისაც სასახლე ისევ იქ იდგა, თავის ძველ ადგილას. აი, ავუყვებით საპარადო კიბეს, ძველ ტერასას რომ უერთდებოდა, და მხოლოდ გაუვალი სიბნელე გვიკვირდა. უეცრად ქვემოთ, ჩვენს ზურგს უკან რალაც კარი გაიღო, დაბურული სინათლე გამოიჭრა და ვილაცამ დაიძახა: „აქეთ! აქეთ!“ „ჩვენ აქ აჩრდილებივით ავდი-ჩავდივართ“, — ჩაიციხა მამაჩემმა და კიბეზე ჩასვლაში მოგვეხმარა.

„კი მაგრამ, ამ წუთას ხომ აქ სახლი იდგა!“ — ჩაილაპარაკა დედამ და დაბნეულმა ისე სწრაფად ვერ იგუა მომცინარი ვერა შულინი, გულთბილად რომ გამოგვეგება. მერე შინ შევედით და სასახლეზე ფიქრი უკვე შეუძლებელი გახდა. ვიწრო წინკარში გავიხადეთ თუ არა, მაშინვე შიგნით, ოთახში შევედით და სინათლესა და ბუხრის სითბოში აღმოვჩნდით.

ეს შულინები დიდად დამოუკიდებელი ქალების ძლევამოსილი საგვარეულო გახლდათ. არ ვიცი, ამ ოჯახს საერთოდ ჰყავდა ვაჟები თუ არა. მე მხოლოდ სამი და მაგონდება: უფროსი და ნეაპოლში ვილაც მარკიზზე იყო გათხოვილი და ურიცხვი პროცესების საშუალებით ნელ-ნელა და ხანგრძლივად ეყრებოდა ქმარს; შემდეგ, ზოია, რომელზედაც ამბობდნენ, ქვეყნად არაფერია ისეთი, რაც ამან არ იცოდესო. ყველაზე კარგად კი ვერა მახსოვს. ის თბილი ვერა. ღმერთმა უწყის, რა აღამიანი დადვა ბოლოს და რა ბედი ეწია. გრაფინია, ნარიშკინების გვარიდან, კაცმა რომ თქვას, მეოთხე დად შეიძლებოდა ჩაგეთვალათ და გარკვეული თვალსაზრისით, ყველაზე უმცროსადაც. ამქვეყნად არაფერი იცოდა და არაფერი გაეგებოდა, და მუდამ რომელიმე ქალიშვილად ასწავლიდა ხოლმე, ხან რას და ხან რას. კეთილი გრაფი შულინი კი ამ ოჯახში თავს ისე გრძნობდა, თითქოს ოთხივე ქალზე ყოფილიყო დაქორწინებული, აქეთ-იქით დადიოდა და რომელიც მოხვდებოდა, იმას კოცნიდა.

ახლა ის ხმამალლა იცინოდა და დიდის ამბით გვესალმებოდა. ქალებმა ჩემი თავი ერთმანეთს გადასცეს, მეფერებოდნენ, რალაცას შეკითხებოდნენ, მაგრამ მე მტკიცედ გადავწყვიტე, როგორცა კი ეს ყველაფერი ჩათავდებოდა, მასპინძლებს ხელიდან გავსხლტომოდი, გარეთ გავპარულიყავი და სასახლე შენახა, მთელი არსებით მჯეროდა, რომ იმ დღეს ის სახლი ნამდვილად იქ იდგა. გარეთ გაპარვა არ გამჭირვებია. დავიკუზე და იმდენ შრიალა. ფუშფუშა კაბებს შორის ძალღვივით გავძვერი. ბედად წინკარის კარიც ჩაკეტილი კი არა, მიხურული აღმოჩნდა მხოლოდ, მაგრამ სადარბაზოს კარმა გამაწვალა ძალიან, არაფრით არ დამყვა: კარს ათასნაირი საკეტი, ჯაჭვი თუ ანჯამა ჰქონდა ასხ-

მული და მეც იმ სიჩქარეში უაზროდ ვაფათურებდი ხელებს, მერე, უცბად, გაღებით კი გაიღო, მაგრამ საშინლად დიიტრიალა და ვიდრე გარეთ ვივარდებოდი, ვილაცამ ხელი მტაცა კიდეც და უკანვე შემიყვანა.

„მოიცა! აქედან ვერ გახვალ!“ — თქვა ვერა შუღინმა დამცინავად და/თან ჩემკენ გადმოიხარა. იმწამსვე გადავწყვიტე, ამ თბილი არსებისა და ჩემი გულგრილი არ გამემხილა, მან კი ჩემი დუმილი ყოველგვარი ტოტმაჩის გარეშე გაიგო, თითქოს მოულოდნელ სხეულებრივ შეჭირვებას მივეგდე იმ კართან. ხელი ჩამჭიდა, ორიოდ ნაბიჯი გადადგა კიდეც, თან გულმოწყალებდ, თან ქედმალღურად სადღაც წათრევა დამიპირა. ამ ინტიმურმა გაუგებრობამ ენით აღუწერელი შეურაცხყოფა მომაყენა. ხელი გამოვგლიჯე, გააფთრებულმა შევხედე და ამაყად ვუთხარი: „მე მინდოდა სახლი მენახა“. მან ვერ გაიგო. „დიდი სასახლე, გარეთა კიბესთან“.

„კი მაგრამ, — გაოგნებული მომშტერებოდა, — იქ ხომ არავითარი სახლი აღარ დგას“.

ვერ გადამარწმუნა.

„კარგი, ერთად მივიდეთ ერთხელ, დღისით და ვნახოთ“, — შემომთავაზა შეცვლილი, დამთმობი ხმით. „ახლა იქ ფორთხიალი არ შეიძლება. ორმოცობია, ხვრელებია, სულ ქვემოთ კი მამაჩემის თევზების გუბურებია, რომლებსაც ვუფრთხილდებით, რომ არ გაიყინონ. აი, იქ ჩავარდები და თევზად გადაიქცევი“.

ამ სიტყვებით ოდნავ მიბიძგა და ისევ შიდა, გაჩახახებულ ოთახში აღმოვჩნდი. ყველანი ისხდნენ და მასლაათობდნენ. მათ რიგრიგობით შევაჩერდი სახეში. „რა თქმა უნდა, ესენი მაშინ მიდიან იქ, როცა იქ სახლი მართლაც არა დგას. მე და დედას რომ აქ გვეცხოვრა, სახლი ყოველთვის აქ იქნებოდა“. დედა დაბნეული ჩანდა, ასე ყველა ერთდროულად რომ ლაპარაკობდა. მე კი ვიცი, ის ნამდვილად სახლზე ფიქრობდა ისევ.

ზოგა გვერდით მომიჯდა და რაღაც შეკითხვების მოცემა დამიწყო: დაწყობილ-დალაგებული სახე ჰქონდა და იერი დროდადრო ისე უახლდებოდა, თითქოს შიგნით, სულის სიღრმეში განუწყვეტლივ რაღაც ახალ რასმე იმეცნებო. მამაჩემი ოდნავ მარჯვნივ გადახრილიყო და ყურადღებით უსმენდა ერთთავად მოცინარ მარკიზას, ხოლო გრაფი შუღინი დედაჩემსა და თავის მეუღლეს შორის ჩამდგარიყო და რაღაცას ჰყვებოდა. მაგრამ უეცრად გრაფინიამ წინადადება შუაზე გააწყვეტინა.

„არა, ჩემო პატარავ, გეჩვენება“, — დაუყვავა გრაფმა, მაგრამ იმწამსვე მასაც თავის მეუღლესავით შეშფოთებული სახე გაუხდა და ეს სახე ორივე ქალბატონის თავზემთ წინ აიშვირა. და გრაფინიასაც, ეტყობოდა, თავისი ეგრეთ წოდებული მოჩვენებებისაგან ადვილად ვერავინ დაიხსნიდა: ისევ ისეთი გაფაციცებული და გაქვავებული იჯდა, იმ ადამიანივით, რომელსაც ოდნავ ხელის შეშლაც კი გადარევს; ძლივს შესამჩნევად ატოკებდა ბეჭდებსა სხმულ თითებს და ამ დროს ვილაცამ დაიჩურჩულა:

ჩჩუო, — და წამსვე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ადამიანთა ზურგს უკან ძველი სასახლის ძველებური, დიდი ნივთები წამოიწივნენ, ძალზე ახლოს მოვიდნენ თითქოს. საგვარეულო ვერცხლეულობა ბრწყინავდა და იზვირთებოდა, თითქოს გამადიდებელ შუშაში მოჩანდა. მამაჩემმა შეცბუნებულმა მიმოიხედა.

„დედა ყნოსავს, — წარმოთქვა სადღაც მის ზურგს უკან ვერა შუღინ-“

მა. — ამიტომ ყველანი უნდა გავჩუმდეთ, რადგან ის ყურებით ყნოსავს“. თან თვითონაც წამოდგა წარბეზებულს და ერთიანად ცხვირად გვეუღო. აი, ასეთი უცნაურობანი დასჩემდათ შუღინებს იმ ხანძრის შემდეგ. რაკი ვხვდით, გადახურებულ ოთახებში წარამარა რალაც სუნი დგებოდა, ისინი მაშინვე იწყებდნენ შემოწმებას და ამ საკითხზე თავიანთი აზრის გამოთქმას, ახლაც, ზოიან ლუმელს მისდგომოდა და ერთობ საქმიანად ირჯებოდა. გრაფი კი უფრო მეტი მოდიოდა, მცირე ხნით ყოველ კუთხეში ჩერდებოდა და, აქ არ არისო, ამბობდა ბოლოს. გრაფინია წამომდგარიყო და არ იცოდა, საიდან დაეწყო ძებნა. მამაჩემი ისე შებრუნდა სკამზე, თითქოს ის სუნი მის ზურგს უკან იმალებოდა. მარკიზას, რომელმაც ალბათ ჩათვალა, რომ რალაც მყრალ სუნზე იყო ლაპარაკი, ცხვირზე ცხვირსახოცი მიეჭირა და ხან ერთს შესცქეროდა, ხან მეორეს, გაიარა თუ არაო. „აქ, აქ“. — ისე იძახდა ვერა, თითქოს ხელში სჭეროდეს ის, რასაც ყველანი ეძებდნენ. და ყოველი სიტყვის შემდეგ კვლავ უცნაური სიჩუმე მეფდებოდა. რაც შემეხება მე, დიდის გულმოდგინებით შევუდექი მათთან ერთად ყნოსვას, მაგრამ უეცრად (არ ვიცი იმის გამო, რომ ოთახებში ძალზე ცხელოდა, თუ მეტიმეტად ბევრი სინათლე რომ ენთო და თან ძალიან ახლოს), ცხოვრებაში პირველად დამეფულა მოჩვენებების წინაშე შიში. ჩემთვის ცხადი გახდა: ეს უფროსი, ჩამოყალიბებული ადამიანები, წელან რომ ჩვეულებრივ საუბრობდნენ და იცინოდნენ, ახლა კი წელში წახრილი დაეძებდნენ რალაც უჩინარს, თავიანთი საქციელით იმ უხილავის არსებობას აღიარებდნენ. და საშინელება გახლდათ, რომ ის უხილავი მათზე ბევრად ძლიერი ჩანდა.

შიში თანდათან მიძლიერდებოდა. მეგონა, რომ ის, რასაც ისინი დაეძებდნენ, შეიძლებოდა უცებ ჩემგან ამოფრქვეულიყო და სხეულზე გამონაყარით მომდებოდა. და მაშინ ყველანი დაინახავდნენ და ჩემკენ გამოიშვერდნენ ხელს. სასოწარკვეთილმა დედაა გავხედე. უცნაურად წელში გამართული ისევ თავის ადგილას იჯდა, და მომეჩვენა, რომ მე მელოდებოდა. მოვეხვიე და მაშინვე ვიგრძენი, როგორ ერთიანად ცახცახებდა შინაგანად და იმავე წამს იმასაც მივხვდი, რომ მისთვის სასახლე მთელი ეს ხანი სულ იდგა და აი, ახლა დაინგრა ისევ.

„მალტე, მშიშარა!“ — სიცილი გაისმა სადღაც. ვერა იყო. მაგრამ მე და დედაჩემი ერთმანეთს აღარ მოვშორებოვართ, ერთად ავიტანეთ ის გაცილება. და ჩვენ ასე დავრჩით, ჩახვეულები, მე და დედა, ვიდრე სასახლე მთლიანად, ბოლომდე არ დაიფერფლა.



* ჩემი ბავშვობის თითქმის შეუცნობელი გამოცდილებებიდან ყველაზე მდიდარი მაინც დაბადების დღეები გახლდათ. თუმცა კი უკვე მაშინ ვიცოდი, რომ ცხოვრება თავს დიდად არ იწუხებს, რაღაც დღეები ერთმანეთისაგან განასხვავოს, მაგრამ ამ დღეს მაინც განსაკუთრებული უფლების განცდით ვიღვიძებდი. სიხარულის უფლება მქონდა და ეჭვიც არ მეპარებოდა მის სამართლიანობაში. როგორც ჩანს, უფლების ამგვარი განცდა ადამიანში აღრევე ყალიბდება, ალბათ მაშინ, როცა ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი ყველაფერს ეწვდება, ითხოვა და იღებს. და საგნებს, რომლებიც მტკიცედ უპყრია ხელთ თავისი

შეუბოვარი წარმოსახვით ძირეულ ფერთა იმ ინტენსიობას ანიჭებს, რაც მის იმწამიერ მოთხოვნილებებს გააჩნია.

შემდეგ კი მოდიან ის ყოვლად უცნაური დაბადების დღეები როდესაც შენ საკუთარი უფლების მტკიცე შეგნება გმსჭვალავს, ~~წარშემოძყოფთ~~ / კი რატომღაც განსაკუთრებული დაბნეულობა და მერყეობა ეუფლებათ. ვინღა ისევე ჩაგაცვან და მოგკაზმონ, როგორც წინა წელს, და სხვა ~~სხვა~~ ~~სხვა~~ თავისი წესითა და რიგით მოგერთვას; მაგრამ თვალს გაახელ თუ არა, მაშინვე ვილაცის ყვირილი შემოგესმება: ტორტი ჯერ მზად არ არისო, ან რალაცის გატეხვის ხმა მოაღწევს შენამდე, იმ ოთახიდან, სადაც საჩუქრების მაგიდას გიმზადებენ. ანდა ვილაც შემოდის შენს საძინებელში და კარს ღიას ტოვებს და შენ მთელ საჩუქრებს ერთბაშად დაინახავ, ყველაფერს, რაც ახლა კი არა, თავის დროზე უნდა დაგენახა, როცა დაგიძახებდნენ. და ეს ისეთი წუთია, თითქოს ოპერაცია გაგიკეთესო. წამიერად, მაგრამ ჭკუისშემშლელად მტკივნეულად ჩაგიჭრეს სული. მაგრამ ხელი, ოპერაციას რომ აკეთებს, გავარჯიშებული და მტკიცეა. ამიტომ ტკივილი მაშინვე გაგივლის და გაუძლებ თუ არა იმ ტანჯვას, მერე აღარც კი ფიქრობ საკუთარ თავზე. ახლა მთავარია, როგორმე დაბადების დღე გადაარჩინო. ირგვლივ მყოფთ დააკვირდე, წამსვე შეეგებო მათ შეცდომებს და დაარწმუნო, რომ ყველაფერი ჩინებულად გამოსდით. ეს კი არც ისე ადვილია, რადგან მალევე აშკარავდება, რომ არნახულად უნიათო, თითქმის ჩლუნგ ხალხთანა გაქვს საქმე. იმასაც ვერ ხვდებიან, შენს ოთახში სხვებისთვის განკუთვნილი რალაც ფუთებით ხელში არ შემოვიდნენ. და შენ, საჩუქრებს რომ ელოდები და ამიტომ მაშინვე მათკენ გარბიხარ, იძულებული ხდები, თავი ისე დაიჭირო, თითქოს, ისე, შენთვის დარბოდი ოთახში, რადგან კუნტრუში გეხალისებოდა. მერე, ვილაც შენს მოულოდნელ გახარებას მოინდომებს და ზერელედ გამოგონილი მოლოდინით გამოსწევს სათამაშოების ყუთის სულ ქვედა უჯრას. იქ კი სხვა არაფერი აღმოჩნდება ბამბის გარდა და ამ დროს კიდევ იქით უნდა შეუმსუბუქო შეცბუნება. ან თუ რალაც მექანიკურ სათამაშოს მოგიტანენ, მომართვისას ისე უხეშად გადაატრიალებენ საქოქს, რომ მერე კარგს იზამ, იმ ზამბარაგაწყვეტილ თავგესა თუ კატას ცოტა ფეხით თუ უბიძგებ იატაკზე: აგრე ზოგჯერ ხერხდება უფროსების მოტყუება, და თან ეხმარები უხერხულობა დასძლიონ. ეს ყველაფერი ჩვეულებრივ ნშვენივრად გამომდიოდა, დიდი ნიჭიერება არ იყო საჭირო. ნიჭი და ტალანტი მაშინ ხდებოდა აუცილებელი, როდესაც ვილაც მართლა გულით მოინდომებდა შენს გახარებას და დიდის ამბით კეთილად მოჰქონდა შენთვის სიხარული. შენ კი შორიდანვე ხედავდი, რომ ეს სიხარული შენი არ იყო. ეს იყო სიხარული ვილაც სულ სხვისთვის, ვერც კი იტყოდი, რომელ ადამიანს მიესადაგებოდა იგი. ისე უცხო იყო ის სიხარული.

ადამიანი რომ ჰყვებოდა, ნამდვილი თბრობა რომ შეეძლო, ეს ჩემამდე დიდი ხნით ადრე უნდა ყოფილიყო. მე პირადად არ მომისმენია, ვინმეს რაიმე მოეყოლოს. როცა აბელონე დედაჩემის ყმაწვილქალობაზე მიამბობდა, ცხადად ვხედავდი: მან მოყოლა არ იცოდა. მაგრამ ამბობდა, მოხუცი გრაფი ბრაე იყო უკანასკნელი, ვისაც თბრობა კიდევ შეეძლოო. მსურს ჩავიწერო ყველაფერი, რაც კი აბელონემ ამის თაობაზე იცოდა.

თურმე აბელონე, სრულიად ნორჩი გოგონა რომ იყო, ერთი ხანობა რა-
ღაც უცნაურ, შინაგან მოუსვენრობას, ასე ვთქვათ — სულის აზვირებებს გან-
იცდიდა. მაშინ ბრაეთა ოჯახი ქალაქში, ბრედგადზე⁹ ცხოვრობდა და დიდი
სტუმრიანობით გამოირჩეოდა. როცა საღამოობით აბელონე თავის ოთახში
აღიოდა, თავი სხვებივით დაღლილი ეგონა და ძილს აპირებდა. მაგრამ, მერე
ერთბაშად შეიგრძნობდა ხოლმე ფანჯარას და, თუ სწორად ვთქვათ, მუქი
საათობით მდგარიყო ღამის წინაშე და ეფიქრა: „მე მეხება“. „ტყვესავით ვი-
დექი. — ამბობდა აბელონე, — და ვარსვლავები მიმაჩნდა თავისუფლებად“.
და მაშინ თურმე, აბელონეს ისე წაიღებდა ხოლმე ძილი, რომ არავითარ მოშ-
ვება-მოთენთვას არ გრძნობდა ძილის წინ. გამოთქმა „ძილში ჩაიძირა“ აბე-
ლონეს ცხოვრების იმ წელიწადზე არ ვრცელდებოდა. ძილში კი არ იძირებო-
და, პირიქით. ძილი მძინარესთან ერთად სულ უფრო და უფრო მაღლა იწევ-
და, და როცა გოგონა შიგადაშიგ თვალებს ახელდა, ისეთი გრძნობა ეუფლე-
ბოდა, თითქოს წყლის სულ ახალ-ახალ ზედაპირზე იწვა და ასე მაღლა-მაღ-
ლა აზიდული ბოლოს უეცრად, უკვე ზეზეულად, განთიადის პირისპირ რჩე-
ბოდა. ასე ხდებოდა ზამთარშიც, როცა სხვები, სახენამძინარევენი დაგვიან-
ებით იკრიბებოდნენ საუზმეზე. საღამოობით, როცა ბნელდებოდა, სანთლებს
უნთებდნენ ყველას, საერთო სანთლებს. მაგრამ ის ორი სანთელი, დილაადრი-
ან, რიყრაყის ხასხასა ბინდში რომ იწვოდა, მხოლოდ აბელონესთვის იყო გან-
კუთვნილი. ეს სანთლები აბელონეს დაბალ, ორტოტიან შანდალში იდგა და
წყნარად ანათებდა პატარა, ვარდებმოხატული აბაყურიდან, დროდადრო გვერ-
დზე რომ უნდა გადაეწია. ამით სულაც არ ეშლებოდა ხელი, რადგან ჯერ ერ-
თი, არსად ეჩქარებოდა, და მერე, ხანდახან ხომ ისედაც უნდა ეღო თავი,
აეხედა და ჩაფიქრებულყო, როცა სიტყვებს ამწკრივებდა წერილსა თუ დღი-
ურში, რომლის წერაც ოდესღაც, სრულიად განსხვავებული ხელით, შიშ-
ნეულად, მონდომებულად და ლამაზად დაეწყო.

გრაფი ბრაე თავისი ქალიშვილებისაგან სრულიად გამიჯნულად ცხოვ-
რობდა. იგი ახირებდა და სისულელედ მიიჩნევდა მოსაზრებას, ადამიანებმა
ერთმანეთის ცხოვრება უნდა გაიზიარონ („დიახ, გაიზიარონ როგორ არა“, —
ჩაილაპარაკებდა ხოლმე). მაგრამ მას თურმე სიამოვნებდა, როდესაც მის ქა-
ლიშვილებზე უწყებდნენ ლაპარაკს. ისეთი ყურადღებით უსმენდა თურმე, თი-
თქოს მისი შვილები სხვა ქალაქში ცხოვრობდნენ.

ამიტომაც, რაღაც განსაკუთრებული ამბავი მოხდა, როდესაც მან ერთ-
ხელ, საუზმის შემდეგ, აბელონეს ხელი დაუქნია, მოდი აქო. „როგორც ვხე-
დავ, ჩვენ ერთნაირი ჩვეულება გვქონია, მეც დილაადრიან მიყვარს წერა. შენ
შეგიძლია მომეხმარო“. აბელონეს დღევანდელივით ახსოვდა ის სიტყვები.

მეორე დღითვე აბელონე მამამისის კაბინეტში შეიყვანეს, სადაც ყვე-
ლას ეკრძალებოდა შესვლა. მაგრამ აბელონეს ეს აღარ გახსენებია, ველარ მო-
ასწრო, რაკი მაშინვე საწერ მაგიდას მიუსვენს გრაფის პირისპირ. ეს უზარმა-
ზარი მაგიდა აბელონეს დაბლობს აგონებდა, იქ დახვავებული წიგნებისა და
ნაწერი ფურცლების დასტა-გროვები კი ქედებს, გორაკებსა თუ სოფელ-ქა-
ლაქებს.

გრაფი კარნახობდა. ვინც ამტკიცებდა, გრაფი ბრაე მემუარებს¹⁰ წერსო,
არცთუ შორს იყო სიმართლისაგან. მაგრამ ერთი კია, რომ არავითარ პოლი-
ტიკას თუ სამხედრო მოგონებებს არ ეხებოდა საქმე. ასეთ ამბებს მაშინვე
ვივიწყებო, მოკლედ მოსჭრიდა ხოლმე მოხუცი თავადი, თუკი ვინმე ამ საკი-

თხზე ჩამოუგდებდა სიტყვას. მაგრამ რისი დავიწყებაც მას არა და არ სურდა, გახლდათ ბავშვობა. ბავშვობას ჩასჭიდებოდა ხნიერი გრაფი და მისი აზრით, ძალზე ბუნებრივი იყო, რომ ის, აგრე შორეული და გარდასული ხანა მთელს დანარჩენ ცხოვრებაზე მძლავრობდა მის არსებაში, და რომ ბავშვობა — როცა მოხუცი საკუთარი სულის სიღრმეში იხედებოდა — ხელუხლებლად ესვენა იქ: ჩაუთვლემავი და გაზრდილ-ალვისილი, ისე ესვენა მის დრეზა-წიქვან კოგორც ნორვეგიული ზაფხულის მჭირვალე ღამეში.

დროდადრო გრაფი ბრავე წამოხტებოდა და სანთლებისაკენ ისროდა სიტყვებს, და ალიც თრთოლას და ცახცახს იწყებდა. ან უცებ მთელი წინადადების წაშლას ბრძანებდა, და ამ დროს ფიცხად მიდი-მოდიოდა ოთახში, აბრეშუმის მუქ-მწვანე საღამურის ფრიალ-ფრიალით. მათ გარდა იქ კიდევ ერთი პიროვნება იმყოფებოდა: სტენი, გრაფის ძველი, იუტლანდიელი კამერდინერი, რომლის მოვალეობაც ის გახლდათ, რომ, როცა გრაფი წამოხტებოდა, მაგიდაზე მოფანტულ, შენიშვნებით აჭრელებულ ფურცლებზე ხელი რაც შეიძლება სწრაფად დაეფარებინა. მისი მოწყალების აზრით, დღევანდელი ქალაქი არაფრად ვარგოდა, მეტისმეტად სიფრიფანა იყო, და სულის ოდნავ შებერვაზეც კი მაგიდიდან მიფრინავდა. და სტენიც, ჩვეულებრივ სხეულის ზედა ნაწილით რომ მოჩანდა, იზიარებდა ამ განაჩენს. იგი ისე იჯდა, თითქოს საკუთარ ხელებს აზისო, ღამის ფრინველივით სერიოზული და სინათლით დაბრმავებული.

ეს სტენი კვირბაღს, როგორც წესი, სვედენბორგის¹¹ კითხვაში ატარებდა. მსახურებიდან არავის ჰქონდა მის ოთახში შესვლის უფლება, რაკი ცნობილი გახლდათ, რომ მას ხმამაღლა კითხვა სჩვეოდა. სტენის მთელ ოჯახს კარგა ხანი იყო ახლო ურთიერთობა ჰქონდა სულელებთან. სტენი კი ყველაზე მეტად ყოფილიყო დაჯილდოებული ამდაგვარი კავშირის ნიჭით. თურმე დედამისს რაღაც მოეჩვენა იმ ღამით, როცა სტენი დაიბადა. ამ კაცს დიდი, მრგვალი თვალები ჰქონდა და მისი მზერა თითქოს იმ ადამიანის ზურგს უკან გაწვებოდა ხოლმე, ვისაც უცქერდა. აბელონეს შამა ხშირად ეკითხებოდა მას სულების შესახებ, ზუსტად ისე, ნათესავ-ახლობლებს რომ მოიკითხავს ადამიანი: „მოდინ ხოლმე, სტენ? კარგია თუკი მოდინ“, — ამბობდა კეთილგანწყობილად.

რამდენიმე დღე კარნახის საქმე კარგად მიდიოდა. მაგრამ ერთხელაც აბელონემ ვერ შესძლო დაეწერა სიტყვა: „ეკერნფიორდე“.¹² თურმე საკუთარი სახელი იყო და აბელონეს არასოდეს გაეგონა. გრაფი, რომელიც უკვე ეძებდა საბაბს, თავისი სწრაფი მოგონებებისათვის შეუფერებლად ნელა წერა შეეწყვიტა. უკმაყოფილოდ შეჩერდა.

„ამას ამ სიტყვის დაწერაც კი არ შეუძლია, — თქვა მკვახედ, — და სხვები ალბათ წაკითხვითაც ვერ წაიკითხავენ. და საერთოდ, დაინახავს კი ვინმე, რასაც მე ვამბობ? — განაგრძობდა გაბრაზებული და აბელონეს თვალს არ აშორებდა. — დაინახავენ ისინი იმ სენ-ჟერმენს? — დაუყვირა მან გოგონას, — სენ-ჟერმენი ვთქვით? წაშალე, დაწერე: მარკოზ ფონ ბელმარი“.¹³

აბელონემ წაშალა და რაც უთხრეს, დაწერა. მაგრამ გრაფმა ისე სწრაფად განაგრძო ლაპარაკი, რომ აბელონე ველარ მიჰყვა.

„ბავშვებს ვერ იტანდა ეს დიდებული ბელმარი, მე კი რატომღაც ხშირად მისვამდა მუხლებზე; ისეთი პატარა ვიყავი მაშინ, და ერთხელ აზრად მომივიდა მისი ალმასის ღილებისათვის კბილი ჩამესო, რამაც ის დიდად აღაფრ-

თოვანა, გაიცინა, თავი ამიწია და ერთმანეთს თვალებში ჩავხედეთ: „შენ ჩინებული კბილები გაქვსო, — ასე მითხრა, — კბილები, რაღაცას რომ მოიმოქმედებენ აუცილებლად“. მე კი მისი თვალები დამამახსოვრდა. მას შემდეგ სად აღარ ვყოფილვარ, რანაირი თვალები აღარ მინახავს, მაგრამ, დამეჩერე, ასეთი არსად აღარაფერი შემხვედრია. ამ თვალებს გარეთ არაფერი უნდა აქვს არ სჭირდებოდათ. ყველაფერი საკუთარ წიაღში ჰქონდათ. ვენეციის კანკანის ნია? კარგი. გეუბნები, ის თვალები ვენეციას აქ, ამ ოთახში დაინახავდნენ, თითქოს აი, ამ მაგიდასავით აქ ყოფილიყოს. ერთხელ, ოთახის კუთხეში ვიჯექი და ყურს ვუგდებდი, მამაჩემს როგორ უყვებოდა სპარსეთის შესახებ. ზოგჯერ ახლაც მგონია, რომ ჩემი ხელები მისი ნაამბობის სურნელს აფრქვევენ. მამაჩემი დიდად აფასებდა მარკიზ ფონ ბელმარს, მისი აღმატებულება ლანდგრაფი მის მოწაფედაც კი თვლიდა თავს. მაგრამ, ცხადია, ბევრს აბრაზებდა, რომ ამ კაცს მხოლოდ ის წარსული სწამდა, რომელიც საკუთარი წიაღით დაჰქონდა. აბა, როგორ გაიგებს ხალხი, რომ ფასი მხოლოდ იმასა აქვს, რაც შენთან ერთად იბადება“.

„წიგნები ცარიელია! — ხელების გააფთრებული ქნევით შეჰყვიროდა გრაფი ოთახის კედლებს. — სისხლი, სისხლია მთავარი, სისხლი უნდა იკითხოს ადამიანმა! და ამ ბელმარს განსაცვიფრებელი ამბები და სურათხატები დაჰქონდა სისხლით, და შეეძლო თავისი სისხლი წიგნივით ნებისმიერ ადგილას გადაეშალა. ყველგან რაღაც იყო აღწერილი, მისი სისხლის არც ერთი გვერდი არ იყო გამოტოვებული და როდესაც ის დროდადრო თავისთვის ჩაიკეტებოდა და მარტოდმარტო ფურცლავდა საკუთარ სისხლს, რას აღარ პოულობდა. აქ ოქროს დამზადებას მიადგებოდა, იქ — პატროსან თვლებს, სხვაგან კიდევ — ფერთა სამყაროს. ან კი რატომ არ უნდა ბუდობდეს ეს ყველაფერი სადღაც ჩვენს სისხლში? ნამდვილად ჩვენშია ეს ყოველივე, სადღაც, სიღრმეში“.

„ის ძალიანაც კარგად იცხოვრებდა ერთი რომელიმე ჭეშმარიტებით, მარტო რომ ყოფილიყო. მაგრამ ამისთანა სისხლისმიერი ჭეშმარიტების პატრონისათვის მარტო ცხოვრება ადვილი როდი გახლდათ. და არც ისეთი უგემოვნო იყო, ხალხი მიეწვია თავისი ჭეშმარიტების გასაზიარებლად: მისი ჭეშმარიტება ლაპარაკსა და მიეთმოეთს ვერ იგუებდა. ამისათვის ეს კაცი მეტი-მეტად აღმოსავლელი იყო. „Adieu, Madame,¹⁴ სხვა დროს შევხვდებით, შეიძლება ათასი წლის შემდეგ უფრო მოვლონიერდეთ და განვმტკიცდეთ. თქვენი სილამაზე ხომ ჯერ მხოლოდ ქმნალობის პროცესშია“. — ასე უთხრა ერთხელ თავის ქალბატონს — თავის ჭეშმარიტებას, და ეს მხოლოდ თავაზიანობა არა ყოფილა. ამ სიტყვებით ის წავიდა და გარეთ თავისი სამხეცე გააშენა ხალხისთვის, რაღაც Jardin d' Acclimatation-ის¹⁵ მსგავსი, დიდრონ-დიდრონი ტყუილებსათვის, როგორც ჩვენთან ჯერ არ უნახავთ, და ააგო პალმების სახლი გაზვიადებებისაგან და ყალბ საიდუმლოთა პატარა, კარგად მოვლილ-მოწყობილი სათბური. და ყოველი მხრიდან მოაწყდა ხალხი და თავად აქეთ-იქით დადიოდა, აღმასის ბალთიან ფეხსაცმელებში გამოწყობილი და სტუმრებს ზედ ეგებოდა“.

„ზედაპირული ცხოვრება, არა? მაგრამ თუკი სიღრმეში ჩავიხედავთ, ეს ხომ ნამდვილი რაინდობა იყო თავისი ქალბატონის მიმართ. და ამ გზით საკმაოდ შეინახა და შეინარჩუნა თავი“.

ბოლოს უკვე მოხუცი აბელონეს აღარც მიმართავდა, ის სრულიად დავიწყებოდა, შეშლილივით დაქროდა აქეთ-იქით და სტენისკენ ისროდა მბრძა-

ნებლურ მზერას, თითქოს სტენი ერთ დათქმულ წუთს იმ არსებად უნდა გადაქცეულიყო, ვინცდაც გრაფი ფიქრობდა. მაგრამ სტენი ჯერ არ აპირებდა ფერისცვალებას.

„საკუთარი თვალით უნდა გენახათ ის კაცი! — შმაგად განაგრძობდა თავადი. — ერთი ხანობა ყველას თვალსაწიერზე ცხოვრობდა, უწყობდა, თუმცა ზოგ-ზოგ ქალაქში წერილები, ის რომ იღებდა, უსახურად მხოლოდ მისამართი ეწერა და სხვა არაფერი. მაგრამ მე ის მაინც ენახე“.

„ეს კაცი ლამაზი არა ყოფილა“, — გრაფმა უცნაურად, რაღაც ნაჩქარევად ჩაიციხა, — არც ისეთი იყო, ხალხი დარბაისელსა და კეთილშობილს რომ უწოდებს. მის ირგვლივ გაცილებით უფრო სასიამოვნო და კეთილშობილი ხალხი ტრიალებდა. ის მდიდარი იყო, მაგრამ სიმდიდრე შემთხვევითობად მიაჩნდა, მას ვერ დაეყრდნობოდა. კარგად აღზრდილი გახლდათ, თუმცა სხვებს უკეთესად ეჭირათ თავი. ერთი სიტყვით, მაშინ არ შეშფოლო განსჯა, მდიდარი სულის პატრონი იყო თუ არა იყო, რა ჰქონდა ისეთი, რასაც ფასი აქვს ხალხის თვალში, მაგრამ ის იყო“.

აცახცახებული გრაფი წამოდგა და ხელი ისე მიიმედა დაუშვა, თითქოს რაღაც დადგა ოთახში, რაღაც, რაც მყარად იდგა და ასე დარჩებოდა კიდევ სამუდამოდ.

იმ წუთას აბელონეც მოხვდა თვალში.

„ხედავ იმ კაცს?“ — დაუყვირა, ხელი დასტაცა ვერცხლის შანდალს და სანთლის ალი დამაბრმავებლად შეანათა თვალებში.

აბელონე იგონებდა, მართლა დავინახეო.

შემდეგ დღეებში აბელონეს ისევე იბარებდნენ. ამ შემთხვევის შემდეგ წერა-კარნახი გაცილებით უფრო მშვიდად გაუგრძელებიათ.

გრაფს თურმე სურდა ერთად შეეგროვებინა ათასგვარ ჩანაწერებში გაბნეული თავისი ბავშვობის მოგონებანი ბერნსტორფულ წრეზე¹⁶ სადაც მამამისი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. აბელონე ისე შესჩვეოდა თავის ახალ უჩვეულო საქმიანობას, რომ ვინც მამა-შვილს ერთად დაინახავდა, ამ უაღრესად დაძაბულ და მიზანდასახულ შრომას უმაღლესად განდობილთა აბლობლურ თრთიერთობად ჩასთვლიდა.

ერთხელაც, როცა აბელონე უკვე ოთახიდან გამოსვლას აპირებდა, გრაფი მიუახლოვდა და ხელები ისე წაიღო ზურგს უკან, თითქოს რაღაც სიურპრიზს უმზადებდესო: „ხვალ იული რევენტლოვზე¹⁷ უნდა ჩავწეროთ, თქვა და თავადვე შეაფასა საკუთარი სიტყვები: „ის წმინდანი იყო“.

ალბათ აბელონემ იტყვნეულად შეხედა.

„დიახ, დიახ, ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არსებობს, ძვირფასო აბელ“.

აბელონეს ხელებს დასწვდა და წიგნივით გადაშალა.

„მას სტიგმები ჰქონდა¹⁸ — თქვა მან, — აქ და აქ“ — და ცივი თითით მაგრად ჩაუკაკუნა ხელისგულებში.

რას ნიშნავდა სიტყვა „სტიგმა“ მაშინ აბელონეს არა სცოდნია. წერის დროს გამოჩნდებოდა, უფიქრია, და მოუთმენლად ელოდა თურმე წმინდანი ქალის ამბის გაგებას. მაგრამ გრაფს ის აღარ დაუბარებია, არც მეორე დღეს, და არც აღარასოდეს.

„გრაფინია რევენტლოვზე შემდეგ ხშირად ლაპარაკობდნენ თქვენს საბლში“, — უცბად მოჭრა აბელონემ და გაჩუმდა. როცა ვთხოვე, კიდევ ეამბნა რაიმე, დაღლილმა შემომხედა და მტკიცება დაიწყო, ბევრი რამ უკვე დამა-

ვიწყდა, აღარ მახსოვსო. „მაგრამ იმ ადგილებს ზოგჯერ ახლაც ვგახსნობ“, — გაიღიმა და ღიმილი ვედარ მოიშორა და თითქმის ცნობისწადილი დააჩერდა თავის ცარიელ ხელისგულებს.

ქართული
ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ მამაჩემის სიკვდილამდე შეიცვალა ჩვენთან ყველაფერი. ულს-გორი ჩვენ აღარ გვეკუთვნოდა. მამაჩემი ქალაქში გარდაიცვალა, ჩემთვის ასე მტრულ და უცხო სართულებიან სახლში. მაშინ მე უკვე საზღვარგარეთ ვიყავი და გვიან ჩავედი.

ის მაღალ საცხედრებზე ესვენა ორ რიგად გამწკრივებულ წერწეტა კელაპტრებს შორის. ოთახში ნაირ-ნაირ ყვავილთა გაურკვეველი სურნელი იდგა, ისეთივე გაურკვეველი, როგორც ნაზავი მრავალგვარ ხმათა, ერთდროულად რომ ისმოდა ირგვლივ. თვალებდახუჭულ, ლამაზ სახეზე ისეთი გამომეტყველება ეხატა, თითქოს დინჯად და მოწიწებით მისცემია მოგონებებსო. მონადირეთუხუცესის ფორმაში გამოეწყობა, მაგრამ არ ვიცი რა მიზეზით, ლურჯი ზონრის მაგივრად თეთრი მიემაგრებიანათ. ხელები გულზე კი არ ჰქონდა დაკრებილი, არამედ რაღაცნაირად აღმაცერად. დაჰყოფდა ერთმანეთზე: ეს ხელები ყოვლად უაზროდ გამოიყურებოდნენ. მეტიმეტად ეტყობოდათ, სხვის ხელებს რომ დაეწყობა იქ. ნაჩქარევად მიამბეს, ბევრი იტანჯაო, მაგრამ მიცვალებულს ტანჯვისა არა ეტყობოდა რა. ისეთი დაწყობილ-დალაგებული ნაკვთები ჰქონდა, როგორც ავეჯია უცხო ოთახში, საიდანაც ვილაც გაემგზავრა შორეულ მხარეს. ძალზედ ნაცნობი მეჩვენებოდა ახლანდელი მისი იერი, თითქოს მამა ადრეც ხშირად მენახა მკვდარი.

ჩემთვის უცხო, ახალი და უსიამოვნო მთელი ეს გარემო გახლდათ. ახალი იყო ეს დამთრგუნველი ოთახი, რომლის ფანჯრებიც ალბათ სხვათა ფანჯრებს ემიჯნებოდა, ისიც ახალი იყო, სივერსენი დროდადრო რომ შემოდისო და არაფერს აკეთებდა. ის დაბერებულიყო. შემდეგ რამდენჯერმე შემომთავაზეს საუზმე. მაგრამ იმ დღეს ლუკმა ყელში არ გადამდისო. ვერ ვამჩნევდი, რომ ჩემი გასვლა უნდოდათ ოთახიდან. ბოლოს, ფეხი რომ აღარ მოვიცვალე, სივერსენმა რაღაცნაირად ამოთქვა, ეჭიმები მოვიდნენო. ვერ მივხვდი, ეჭიმებს რაღა ესაქმებოდათ. კიდევ რაღაცაა მოსაგვარებელიო, სივერსენმა, და ჩაწითლებული თვალებით დაბნეულად შემომაჩერდა. შემდეგ, რაღაც თითქოს სულმოუთქმელად შემოვიდა ორი ბატონი. ეჭიმები. წინამ ისე დაიქნია თითქოს რქები ჰქონდა და რქენას გვიპირებდა. სათვალის ზემოდან გადმოგვხედა: ჯერ სივერსენს, მერე მე.

შემდეგ სტუდენტური ფორმლობით მოიხარა წელში: „ბატონ მონადირეთუხუცესს კიდევ ერთი სურვილი ჰქონდა“, ისეთნაირად თქვა, როგორც შემოვიდა: სულმოუთქმელად. რაღაცნაირად ვაიძულე, სათვალის ზემოდან კი არა, სათვალიდან გამოეხედა. შევნიშნე, რომ მისი ქერა, ტანმსხვილი და ნაზკანიანი კოლეგა ადვილად წითლდებოდა. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. უცნაური მეჩვენებოდა, რომ მონადირეთუხუცესს კიდევ რაღაც სურვილები ჰქონდა.

უნებურად ისევ მივაჩერდი ლამაზ, აუმღვრეველ სახეს და ერთბაშად მივხვდი: ამ ადამიანს სიმშვიდე სურდა. გულის სიღრმეში მუდამ სიმშვიდესა და

სიმყარეს ეძებდა, გარკვეულობას, და აი, ახლა, ბოლოს და ბოლოს ეწადა, მიეღო იგი. X

„თქვენ გულის ჩასაჩვრეტად მობრძანდით, არა? ვთხოვთ“, — თავი დავეუ-
კარი და უკან დავიხიე. ექიმები ერთდროულად მოიხარნენ წელში და დაშინ-
ვე თავიანთ საქმეზე დაიწყეს თათბირი. ვილაცამ საცხედრეს კენჭს აკრებდნენ — მი-
აშორა. მაგრამ ხნიერმა ექიმმა რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა და ჩემსკენ წაბრუნდა,
რომ მომიახლოვდა, წინ წამოიწია, რათა დარჩენილი მანძილი აღარ გამოეე-
ლო და გაბრაზებულმა შემომხედა:

„არ არის საჭირო... ესე იგი, ჩემის აზრით, ალბათ უკეთესია... თუკა
თქვენ...“

ეს ნაჩქარევი და თან ძუნწი ქცევების პატრონი არად ჩაგდებულ, ჩამო-
წერილ ადამიანად აღვიქვი. მეორედ დავუკარი თავი და მეც არ ვიცი, რატომ,
კიდევ რამდენიმეჯერ გავიმეორე ეს მოძრაობა.

„მადლობთ, — მოვჭერი მოკლედ, — ხელს არ შეგიშლით“.

ვიცოდი, შემეძლო იმის ატანა, რაც მზადდებოდა და არავითარ აუცილებ-
ლობას არ წარმოადგენდა, იქაურობას მოვშორებოდი. რაც ხდებოდა, უნდა
მომხდარიყო. ალბათ ეს იყო ყველაფრის აზრი. თანაც არასდროს მენახა, რო-
გორ უჩვრეტდნენ გულს მიცვალებულს. რატომ არ უნდა შემეძინა ეს უცნა-
ური გამოცდილებაც, მით უმეტეს თუ სრულიად ბუნებრივად და ძალდაუტა-
ნებლად ჩნდებოდა ამგვარი შესაძლებლობა. სასოწარკვეთის მაშინ უკვე აღარ
მჭეროდა. ასე რომ, საშიში არაფერი იყო.

არა, არა, ამქვეყნად უმცირეს რაიმესაც კი ვერ წარმოიდგენ. ყველა-
ფერი იმდენი განუმეორებელი წვრილმანისაგან შედგება, მათი წინასწარ გან-
ჭვრეტა შეუძლებელია. ჩვენი წარმოსახვა კი ძალზედ სწრაფია, ამგვარი წვრი-
ლმანები გვერდზე რჩება, და ვერც კი ვამჩნევთ, როგორ აკლია ისინი წარმო-
სახულს, ხოლო სინამდვილის ყველა მოვლენა აუჩქარებლად და ენით აუწერ-
ლად დაწვრილებით მიედინება.

აბა, ვინ წარმოიდგენდა იმ წინააღმდეგობას, რომელმაც მაშინ იჩინა თა-
ვი, როგორც კი მიცვალებულს ფართო და მაღალი მკერდი გაუშიშვლეს, სულ-
წასულმა, პატარა კაცმა წამსვე მონიშნა საჭირო ადგილი, მაგრამ იქ ელვის
სისწრაფით ჩარტობილმა ხელსაწყომ სიღრმეში ველარ ჩააღწია. იმგვარმა გან-
ცდამ შემიბყრო, თითქოს მთელი დრო-ჟამი გაქრა, გაიხვეტა ოთახიდან. ისე
გავქვეავდით ყველანი, თითქოს სურათში ვიდექით. მაგრამ შემდეგ მსხლტო-
მი, მისხალი რაღაც შარიშურით ისევ შემოიჭრა დრო, და იმაზე ბევრად მე-
ტი დრო დაგუბდა, ვიდრე იქ წამოწყებულ საქმეს ჭირდებოდა. უცბად სად-
ღაც რაღაც კაკუნი გაისმა. ასეთი ხმა ჩემს ცხოვრებაში არ გამეგონა. თბილი,
დახშული, ორმაგი კაკუნი. ჩემმა სმენამ ის ჩქამი მაშინვე დასთმო, თვალებს
გადააბარა და იმავე წამს დავინახე კიდევ, რომ ექიმს გულამდე ჩაეღწია. ერ-
თი-ორი წუთი გავიდა, ვიდრე ორივე ეს შთაბეჭდილება ჩემში შეერთდებოდა:
„ეგრე, ეგრე, — გავიფიქრე, — მაშასადამე, ჩააღწიეს“. კაკუნი კი ისეთი გახ-
და, — სიჩქარის მიხედვით თუ განესჯიდით, — თითქოს ხელსაწყო ვნების მი-
ტანის სიხარულმა შეიბყროო. შევხედე ექიმს, რომელსაც აი, უკვე აგრე და-
დი ხანი იყო, რაც ვიცნობდი შებყრობილივით ირჯებოდა. სწრაფად და საქ-
მიანად მოფუსფუსე ბატონი. სიამოვნების ან კმაყოფილების ნასახიც კი არ
ეტყობოდა სახეზე. ეგ იყო მხოლოდ, რომ ალბათ ძველი რაღაც ინსტიქტით,
მარცხენა საფეთქელზე ერთი-ორი ღერი თმა ყალყზე დასდგომოდა. მან ფრთ-

18867

ხილად ამოაძრო მკვრდიდან ხელსაწყო და ის აღვილი დაღვიულ პირს დაემსგავსა, საიდანაც სისხლის ორი ტალღა ამოვარდა, თითქოს რაღაც თქვა იმ პირმა, ორმარცვლიანი და, ახალგაზრდა, ქერა ექიმმა ხელს დაუგანტურა მოძრაობით ბამბაში გამოამწყვდია მისი ნათქვამი. ახლა ქრილობა დაწყნარდა, დამშვიდდა — დახუჭული თვალივით, მგონი, ერთხელ კიდევ უნდა თა-ვი ამჯერად მართლა გაუაზრებლად, ყოველ შემთხვევაში, განვცვიფრდი, როცა მივხვდი, რომ უკვე მარტო ვიყავი ოთახში. უნიფორმა ისევ შეეკრათ და თეთრი ზონარიც წელანდელივით ზედ მიემაგრებინათ. მაგრამ ახლა მონადირე-თუხუცესი მართლა მკვდარი იყო და არა მარტო ის. გულიც გაბურღეს, ჩვენი გული, ჩვენი გრძელი გვარტომის გული. მაშასადამე ახლა ეს გვარიც წარსულს ჩაბარდა. ეს იყო ჩაჩქანის ჩამსხვრევა. „დღეს ისევ ბრიგე და მერე უკვე აღა-რასოდეს“, წარმოთქვა რაღაცამ ჩემში. X

საკუთარ გულზე მაშინ არ ვფიქრობდი, ხოლო მოგვიანებით როცა გამახსენდა, მაშინლა მივხვდი: საქმე მას სულაც არ ეხებოდა. ეს ერთი გამიჭნუ-ლი, ეული გული იყო, და უკვე აპირებდა, თავიდან დაეწყო ყველაფერი.

ვიცი, მაშინ თავი დავიწმუნე, არ შემიძლია ახლავე გავემგზავრო-მეთქი. ჯერ ყველაფერი უნდა მოგვარდეს, — ვუმეორებდი ჩემს თავს, რა უნდა მოგვარებულიყო, არ მესმოდა. გასაკეთებელი არაფერი ჩანდა. ქალაქში ვიხეტია-ლე და დავადგინე, რომ შეცვლილიყო. მსიამოვნებდა იმ სასტუმროდან გამო-სვლა, სადაც ვცხოვრობდი და დანახვა, რომ ეს აღარ იყო ჩემი ბავშვობის ქა-ლაქი, ეს იყო ქალაქი დიდებუთათვის, რომელიც ჩემ წინაშე ისე იქცეოდა, როგორც უცხოს წინაშე. ოდნავ დაპატარავებულიყო ყველაფერი და მე ნე-ლა ავუყვავი ლანგელინის ქუჩას, შუქურამდე მივედი და უკანვე დავბრუნ-დი. შემდეგ ამალიეგადის¹⁹ ქუჩაზე ამოვყავი თავი, და რა თქმა უნდა, სწო-რედ აქ უნდა მოხდარიყო ის, რომ უეცრად საიდანღაც რაღაც დაიძრა, რაღაც, რასაც წლების მანძილზე ვიცნობდი და ვალიარებდი, და რასაც ერთხელ კი-დეც სურდა თავისი ძალაუფლება ეჩვენებინა: ირგვლივ კუთხის ფანჯრები იყო, ქიშკრის თაღები თუ ლამპიონები, რომელთაც ძალზედ ბევრი რამ იცოდნენ ჩემ შესახებ და მემუქრებოდნენ. მათ პირდაპირ სახეში შევაცქერდი, მინდოდა მეგრძნობინებინა, სასტუმრო „ფენიქსში“ ვცხოვრობ და როცა მოვისურვებ, მა-შინ გავემგზავრები-მეთქი. მაგრამ თან სინდისი მქენჯნიდა. ჩემში აღსდგა და ძლიერდებოდა ეჭვი, რომ ბავშვობის შთაბეჭდილებათა და საგანთა აუხსნელი კავშირებიდან ჯერ არც ერთი არ მქონდა დაძლეული. ავდექი და ერთ მშვე-ნიერ დღეს უბრალოდ დავტოვე ეს საუფლო, უჩუმრად გავერიდე, დავტოვე ისეთი, როგორიც იყო: მოუმწიფებელი. მაშასადამე, მთელი ბავშვობა მეტ-ნაკ-კლებად ჯერ ისევ ასათვისებელი მქონდა, ყველაფერი უნდა გამეცნობიერე-ბინა, თუკი არ მსურდა მისი სამუდამოდ დაქარგვა. და როცა ვიგრძენი, როგორ მეცლებოდა იგი ხელიდან, იმასაც მივხვდი: ბავშვობის გარდა არასოდეს არა-ფერი არ მექნებოდა, რაზედაც დაყრდნობას, რის დამოწმებასაც შევი-ლებდი. X

ყოველდღიურად რამდენიმე საათს ვატარებდი Dronningens Gværgade-ზე იმ ვიწრო ოთახებში, რომლებიც განაწყენებული ჩანდნენ, როგორც ყვე-ლა დაქირავებული ოთახი, სადაც ვინმე მომკვდარა. მიმოვდიოდი საწერ მაგი-

დასა და დიდ, თეთრ მეტლახის ღუმელს შორის და მონადირეთუხუცესის ნაწერებს ვწვავდი. წერილებით დავიწყე. თასმაშემოჭერილ პატარ-პატარა შეკვრებს ერთმანეთის მიყოლებით ვისროდი ცეცხლში, მაგრამ რაკი მაგრად იყო შეკრული, მხოლოდ კიდევები უნახშირდებოდათ. მიჭირდა ზონართა მოჭამვალება.

ამ შეკვრათა უმეტესობა მძაფრ, მბრძანებლურ სურნელს ^{ქაქუცუნული} ~~ქაქუცუნული~~ სურნელს, რომელიც დაინებით ცდილობდა, ჩემში მოგონებანი წამოეშალა. მოგონებანი მე არ გამაჩნდა. შემდეგ კი ფოტოსურათები გადმოცურდა, ქალაღლის ფურცლებზე მძიმე რომ იყო და წარმოუდგენლად ნელა იწვოდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ უცბად გავიფიქრე, ეგებ ინგებორგის სურათიც აქ იყოს-მეთქი და ერთი-ორს დავხედე. არა, სულ მოწიფული, დიდებული, მკვეთრი სილამაზის ქალები მოჩანდნენ, სულ სხვაგვარ ფიქრებს რომ აღმიძრავდნენ. და აი, მაშინ, უცბად გამოირკვა: არც მთლად მოგონებათა გარეშე ვიყავი დარჩენილი. სწორედ ასეთ თვალებს ვხედავდი, ადრე, უკვე წამოზრდილი ბიჭი მამაჩემთან ერთად ქუჩას რომ ვკვეთდი ხოლმე. ისინი საიდანლაც ეტლის სიღრმიდან გამოკრთოდნენ და თავიანთ მზერაში მაქცევდნენ, ისე რომ, იქიდან თავის დაღწევა შეუძლებელი იყო. ახლა მივხვდი, მაშინ ისინი მამაჩემს და მე ერთმანეთს გვადარებდნენ. ეს შედარება კი ჩემთვის სასარგებლო ვერასდროს იქნებოდა. არა, მონადირეთუხუცესს შედარებების ნამდვილად არ ეშინოდა. მაგრამ, შეიძლება ახლა ვიცოდე, რა იყო ის, რაც მას მუდამ შიშის ზარს სცემდა. გეტყვით, როგორ მივედი ამ აღმოჩენასთან. ერთი ფურცელი ვიპოვე მაშინ მისი წერილების უჯრის სიღრმეში. ძველი ფურცელი იყო, სულ გაცრეცილი, დიდი ხნის წინ ოთხად გაკეცილი და ნაკეცებში თითქმის გახეული. წავიკითხე, ვიდრე ცეცხლს მივცემდი. მამაჩემის ხელი იყო, მისი ყველაზე ლამაზი, თანაბარი და მშვიდი ნაწერი, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ საიდანლაც გადმოწერილ ნაწყვეტს ვკითხულობდი.

„სიკვდილამდე სამი საათით ადრე...“²⁰ — აგრე იწყებოდა და ქრისტიან მეოთხეზე იყო მოთხრობილი. შინაარსს, ცხადია, სიტყვასიტყვით ვერ გავიმეორებ. სიკვდილამდე სამი საათით ადრე მას წამოდგომა უნებებია. ექიმსა და კამერდინერ ვორმიუსს მისთვის ფეხები გადმოუწევიათ საწოლიდან. მართალია, არცთუ მყარად, მაგრამ მაინც დამდგარა ფეხზე და იმათაც ღამის სამოსი გადააცვეს თურმე. შემდეგ მეფე წინ დაჩოქილ მლოცველს მიაჩერდა და რაღაც თქვა. ვერ გაარჩიეს. ექიმს მისი მარცხენა ხელი ეჭირა, რომ მეფე ისევ საწოლზე არ დაცემულიყო. მერე ისხდნენ და მეფე დროდადრო რაღაცას ლულულულებდა, ძლივძლივობით, მაგრამ ვერავინ ვერაფერს უგებდა. ბოლოს ექიმიც გამოელაპარაკა. ეგებ ნელ-ნელა გამოვიცნო, რისი თქმა სურსო. ერთი წუთის შემდეგ მეფემ სიტყვა გააწყვეტინა და უცბად სრულიად მკაფიოდ წარმოსთქვა, „ო, ექიმო, ექიმო, რა ჰქვია მას?“²¹ ექიმს გონზე მოსვლა გაუჭირდა.

„შპერლინგი, ყოვლად მოწყალეო მეუფეო!“

მაგრამ მეფე ექიმს ნამდვილად არ გულისხმობდა. როგორც კი ჩაესმა, რომ მას გაუგეს, მარჯვენა თვალი დააქყიტა და მთელი სახით წარმოსთქვა ერთადერთი სიტყვა: სიტყვა, რომელსაც მისი ენა მთელი ის ხანი ფორმას აძლევდა, ერთადერთი სიტყვა, რომელიც მისთვის კიდევ არსებობდა ამ ქვეყანაზე: „Döden“, — თქვა მან, — „Döden“.

ფურცელზე სხვა აღარაფერი ეწერა. რამდენჯერმე წავიკითხე, ვიდრე დავ-

წვავდი, და გამახსენდა, რომ მამაჩემს სიკვდილის წინ ბევრი ეწვია, აგრე მიაბბეს.



მას შემდეგ ხშირად მიფიქრია სიკვდილის შიშზე და საკუთარს განცდი-
ლებასაც არ ვივიწყებდი. მგონი, შემიძლია ვთქვა, რომ ეს შიში წამდვილად
განმიცდია. ის თავს დამატყდებოდა ხოლმე სადმე ხალხმრავალ ქალაქში, პირ-
დაპირ ხალხში, და ხშირად სრულიად უმიზეზოდ, ან პირიქით — უამრავ მიზეზ-
თა წყალობით. როცა, მაგალითად, ვილაც სადმე ქუჩაში მერხზე კვდებოდა,
გარს ხალხი ეხვია და შესცქეროდა, და ის კი უკვე შორს იყო შიშის განცდი-
სგან: მაშინ მე გადმომეცემოდა ხოლმე მისი თავზარი, ან მაშინ, ნეაპოლში,
ერთი ახალგაზრდა პერსონა ჩემს პირდაპირ იჭდა ტრამვაიში. უცბად აღვა და
მოკვდა. ჯერ სხვებივით ვიფიქრე, გული წაუვიდა-მეთქი, და ტრამვაი ერთხანს
კიდევ მიჰქროდა. მაგრამ მერე კი უეჭველი გახდა მისი სიკვდილი და ჩვენც
გაეჩერდით. ჩვენს უკან მანქანები და ეტლები დაგროვდა, თითქოს იმ მიმარ-
თულებით მგზავრობა ერთხელ და სამუდამოდ შემწყდარიყო. ფერმკრთალი,
სქელი გოგონა თავის მეზობელს მიყრდნობოდა და მშვიდად მომკვდარიყო.
მაგრამ დედამისს არ სურდა ამ ფაქტის აღიარება და ათასნაირად აწუხებდა
თავის შვილს. ტანსაცმელს უჩეჩდა, რაღაც სითხეს ასხამდა პირში, იმ პირს
კი აღარაფრის მიღება და შეკავება აღარ შეეძლო. შუბლს უხელდა რაღაცა
წამლით, ვილაც მგზავრმა რომ მიაჩენა, და როცა გოგომ ქუთუთოები ოდნავ
შეარხია, დედამ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჯანჯლარი დაუწყო, ეგებ თვალი
აახილოს და გამოიხედოსო. იგი შვილს თვალეებში ჩაჰყვიროდა, თვალებს არ
ესმოდათ, ანჯღრევდა, არხევდა, არწევდა, გულში იხუტებდა თოჯინასავით,
და ვერაფერი რომ ვერ გააწყო, ბოლოს გაასწორა და სახეში მთელი ძალით
გააწნა სილა: არ მოკვდეო.

აი, მაშინ შემიპყრო შიშმა.

მაგრამ უფრო ადრეც განმიცდია ამგვარი ძრწოლა. მაგალითად, ძალი
რომ მომიკვდა. მომიკვდა და სამუდამოდ დამადანაშაულა. ძალიან ავად იყო.
მთელი ის დღე მუხლის ჩოქზე ვედექი გვერდით. და უცბად შეჰყეფა,
მკვეთრად და მოკლე-მოკლედ, როგორც იცოდა უცხოთს შემოსვლისას. უცხოთს
გამოჩენაზე ასეთი ყეფა ჩვენთვის, ორივესთვის გასაგები ნიშანი იყო და ამი-
ტომ მაშინვე კარისკენ გავიხედე. მაგრამ ის, ვინც მოვიდა: უკვე მასში იყო.
შეშფოთებული ვეძებდი მომაკვდავი ნადირის მხერას და ისიც ეძებდა ჩემსას.
მაგრამ არა იმისათვის, რომ დამშვიდობებოდა. მან მკაცრად და გაუცხოებუ-
ლად შემომხედა. მზერით დამტუქსა, რად შემოუშვიო. მუდამ დარწმუნებული
იყო, რომ შემეძლო არშემოშვება. ახლა კი აღმოჩნდა: თურმე მთელი ცხოვრე-
ბა გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონოდა ჩემზე. და დროც აღარ რჩებოდა,
რაიმე ამეხსნა. ბოლომდე ასე მიყურა: როგორც უცხოთ და სრულიად მარტო-
სულმა, ვიდრე არ გათავდა.

და მაშინაც მეშინოდა, შემოდგომის მიწურულს, პირველი ყინვიანი და-
მეების შემდეგ ბუზები რომ შემოფრინდებოდნენ ხოლმე ოთახებში და სით-
ბოში კიდევ ერთხელ ითქვამდნენ სულს. ისინი უცნაურად გამომშრალიყვნენ
და საკუთარი ზუზუნიც კი აფრთხოებდათ. ეტყობოდათ, წესიერად რომ არც
იცოდნენ, რას აკეთებდნენ, საათობით ისხდნენ უძრავად ან დაცოცავდნენ, ვი-

დრე არ გაახსენდებოდათ, რომ ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. მაშინ კი ბრძაღ მიაწყდებოდნენ ხოლმე აქეთ-იქით და არ იცოდნენ, იქ რა უნდოდათ, და ისმოდა, წამდაუწუმ ძირს რომ ცვიოდნენ; ძირს დაცოცავდნენ და მთელს ოთახში მიმოკვებოდნენ. მაგრამ ზოგჯერ მაშინაც მეშინოდა, სულ მართლ რომ ვიყავი ხოლმე. რატომ არ უნდა ვალიარო ის ღამეები, როცა სიკვდილის შიშით გათანგული უეცრად საწოლში წამოვჯდებოდი და იმ უჩვეულოდ ვეჭებოდი, რომ: ჯდომა მაინც სიცოცხლისაა, მკვდრებს ხომ ჯდომა არ შეუძლიათ. ეს ყოველთვის იმ ოთახებში მეშარებოდა, სადაც შემთხვევით ვიყავი მოხვედრილი, და რომლებიც მაშინვე მართლ მტოვებდნენ გაჭირვებაში, თითქოს ეშინოდათ, ამ ბედუქუდმართის საქმეებში არ გავიხლართოთ და არავინ დაგვკითხოსო. მეც აგრე ვიჯექი, და ეტყობა. ისეთი საშინელი სახე მქონდა, ირგვლივ ვერც ერთი საგანი ვერ ბედავდა შემოხმიანებას. სინათლესაც კი, რომელსაც წამის წინ მოვემსახურე და ავანთე, არაფერი სურდა სცოდნოდა ჩემი. თავისთვის ენთო, თითქოს ცარიელ ოთახში ანთიაო. უკანასკნელ იმედს ყოველთვის ფანჯარაზე ვამყარებდი. თავს ვირწმუნებდი, ალბათ იქ, გარეთ მაინც არსებობს-მეთქი რაღაც ისეთი, რაც მე მეკუთვნის, ჩემეულია, ახლაც კი, თვით ამ წუთებშიც, უეცრად შემოჭრილ ამ სიკვდილისმიერ სილატაკეში. მაგრამ გავიხედავდი თუ არა გარეთ, იმწუთასვე ფანჯრის ამოშენებას ვნატრობდი, რადგან მაშინვე ცხადი ხდებოდა, რომ გარეთაც გულგრილად მიედინებოდა ცხოვრება და მე არ მგულისხმობდა, გარეთაც არაფერი იყო ჩემი მართობის გარდა, მართობისა, რომელიც მევე გადავუწყვიტე ჩემს თავს და რომლის სიდიდესაც ჩემი გული ვეღარ აუდიოდა. და ადამიანები მახსენდებოდა, ოდესღაც რომ დავტოვე და ახლა აღარ მესმოდა, როგორ შეიძლებოდა ადამიანების მიტოვება.

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, თუ კიდევ მიწერია ასეთი ღამეები, რაიმე აზრი მაინც მიწყალობე მე, არასმქონეს, ფიქრი რაიმე, რომ ის ვიფიქრო. არც ისეთი უაზროა, რასაც მე ვითხოვ, რადგანაც, ვიცი, ჩემი შიშია ჩემივე აზრების უმრეტე წყარო, და სწორედ იმიტომ, რომ ეს შიში მართლა დიდია. ბავშვობაში, რადგან ჯერ კიდევ არ ვიცოდი ნამდვილი შიში, ეს ფიქრები სახეში მეხლებოდნენ და მეუბნებოდნენ, მშიშარა ხარო. მაგრამ მას შემდეგ ვისწავლე სწორი და ნამდვილი შიში, შიში, რომელიც მით უფრო მატულობს, რაც უფრო იზრდება მისი წარმომშობი ძალა. ჩვენ ამ ძალაზე არავითარი წარმოდგენა არ გავვაჩნია, მას მხოლოდ ჩვენს შიშში ვიცნობთ, რადგან იმდენად მიუწვდომელია იგი, იმდენად ჩვენ წინააღმდეგ მომართული, რომ ტვინი გვეზარება, როდესაც მის გასააზრებლად ვძაბავთ. და მაინც ერთი ხანობაა, ვფიქრობ: ის სწორედ ჩვენი ძალაა, ჩვენი ძალების ერთიანობა, რომელიც ჯერ კიდევ მეტისმეტად აღგვემატება. მართალია, მას ჯერ არ ვიცნობთ, მაგრამ განა სწორედ ჩვენი უშინაგანესი, უსაკუთრესი რამ არაა ის ყველაფერი, რაც ჩვენ ყველაზე ნაკლებად ვიცით? ზოგჯერ ვცდილობ, წარმოვიდგინო, როგორ უნდა შექმნილიყო ეს უცნობი საუფლოები: ცა და სიკვდილი.

ალბათ მხოლოდ იმიტომ შეიქმნა, რომ ჩვენი ყველაზე ძვირფასი განძი თავიდან მოვიშორეთ, გავიმანძილეთ, რადგან ვიდრე მისთვის მოვიცლიდით, ათასი სხვა რამ საქმე გამოვიგდეთ. და მან ჩვენთან, მოუცლელებთან, თავი საიმედოდ ვერ დაიგულა. ამასობაში ურიცხვმა წყალმა ჩაიარა და ჩვენ, პატარა და უმნიშვნელო ცხოვრებას შეჩვეულებმა, დავკარგეთ სიდიდის ატანის უნა-

რი, ჩვენივე საკუთრება ველარ გვიცნია და თავზარს გვცემს მისი უზომო სი-
დიდე, არ შეიძლება, აგრე იყოს?

სხვათა შორის, ახლა უკვე კარგად მესმის, რას უნდა ნიშნავდეს, კაცი
იმ უჯრის ფსკერზე, სადაც წერილები აქვს შეგროვილი, ვინმეს სიკვდილის აღ-
წერას რომ ინახავს მთელი ცხოვრება. სულაც არ არის აუცილებელი, ანგანგე-
ბოდ მოიძიო რაც შეიძლება გამორჩეული სიკვდილი. ~~ნებისმიერ შემთხვევაში~~
განუმეორებელია. ხომ შეიძლება, წარმოვიდგინოთ ვინმე ისეთი, რომელიც
დაჯდება და გადაიწერს, როგორ მიიცვალა ფელიქს არვერი.²² ჰოსპიტალში მო-
მხდარა ეს ამბავი. ძალზედ მშვიდად და აუმღვრევლად კვდებოდა თურმე, და
მონაზონს იმაზე შორს წასული ჰგონებია ამ ქვეყნიდან, ვიდრე სინამდვილეში
იყო. მან თურმე ხმამაღლა გასძახა ოთახიდან ვილაცას, ესა და ეს ნივთი ამა
და ამ ადგილზეაო. ფრიად გაუნათლებელი მონაზონი ყოფილა, სიტყვა „კორი-
დორი“ ალბათ დაწერილი არასდროს ენახა და „კოლიდორიო“ უთქვამს. თქვა
თუ არა, არვერმა მაშინვე შეწყვიტა კვდომა, წუთით გადასდო თავისი სიკვ-
დილი, რადგან აუცილებლად მიიჩნია, ჯერ იმ ქალისთვის განემარტა მისი
შეცდომა. სრულიად გაუნათდა გონება, მონაზონს აუხსნა, რომ „კორიდორი“
უნდა წარმოეთქვა და არა „კოლიდორი“, — შემდეგ კი მოკვდა. ის პოეტი იყო
და სიძულდა უზუსტობა. ან ეგებ მხოლოდ სიმართლე აღეღებდა სიკვდილის
წინ, ან ეგებ გული ეთანადრებოდა, რომ ბოლო შეთბეჭდილებად ეს მიჰქონდა:
თუ რა უბირად და დაუდევრად აგრძელებდა ქვეყანა ტრიალს. ვილა გაარკ-
ვევს. ერთი კია, პედანტობად არ უნდა ჩაეთვალოს ის დაზუსტება, თორემ
ამგვარი საყვედური წმინდა ჟან დე დიუსაც“ არ ასცდებოდა, ვინც სულთაბრ-
ძოლისას უეცრად წამოხტა და სხვას მართლაც რომ სულზე მიუსწრო. ბალ-
ში ჩაირბინა და სახრჩობელაზე იმ წუთს დაკიდებულ ადამიანს თოკი გადაუჭ-
რა. რაღაც აუხსნელად შეეღწია ამ ცნობას მისი აგონიის შეუვალ დაძაბულო-
ბაში. ამ კაცსაც სიმართლე აწუხებდა სიკვდილის წინ.

არსებობს ერთი რამ სულიერი, რომელსაც, როცა უყურებ, სრულიად უწყინარი და უვნებელია, ვერც კი ამჩნევ და მაშინვე ივიწყებ, მაგრამ როგორც
კი უხილავად, ამა თუ იმ გზით შენი სმენის წიაღში მოხვდება, მაშინვე თით-
ქოს პარკიდან გამოიჭურათ, ზრდა-განვითარებას იწყებს და ისეთი შემთხვევებ-
ბიცაა ცნობილი, როცა ტვინამდე აულწევია, იქ გამრავლებულა და ამ მგრძ-
ნობიარე ორგანოს ჭიანჭველებივით მოსდებია. ძალღის პნევმოკოკების დარად,
ცხვირიდან რომ იჭრება ორგანიზმში.

ამ სულიერს ჰქვია მეზობელი.

მე, ვინც ამდენს დავეხეტები ამ ქვეყანაზე, რაღა თქმა უნდა, ათასი ჯუ-
რის მეზობელი მეყოლებოდა: ზემოთები და ქვემოთები, მარჯვნივები და მარ-
ცხნივები, ზოგჯერ კი ოთხივე სახეობა ერთად. მე რომ ზოგი ჩემი მეზობლის
ისტორია დამეწერა, ამ საქმეს მთელი ცხოვრება დასჭირდებოდა და თან
იმ სწეულებათა ისტორია გამოვიდოდა, რაც მათ დამმართეს. მაგრამ, რას იზამ,
ეს თვისება თურმე მრავალ სხვა არსებასაც ჰქონია: რომ მათი არსებობა მხო-
ლოდ იმ ზიანით მტკიცდება, რასაც ისინი სხვადასხვა უჯრედებსა და ქსოვი-
ლებს აყენებენ.

ძალზედ არაკანონზომიერი ხასიათის მეზობლებიც მეოლია და ძალზეც

თანმიმდევრული ბუნებისაც. ერთხელ დავჯექი და შევეცადე პირველი ჯგუფის მეზობელთა კანონზომიერება დამედგინა, რაკალა ცხადი იყო, რომ ასეთი რამ მათაც გააჩნდათ. და როდესაც ჩემი პუნქტუალური მეზობლები ერთ საღამოს საერთოდ აღარ გამოჩნდნენ, მაშინვე დავისურათხატე. რა შეიძლებოდა შემთხვევოდან, ჩემს ოთახში შუქი ანთებული დავტოვე და ყველაფერი ვიღვივით ამიტანა შიშმა. მყოლია ისეთი მეზობლები, სიძულვილით ანთებულნი და ისეთებიც, სიყვარულით რომ იყვნენ შეპყრობილნი; იმასაც შევსწრებივარ, მათ სიძულვილს მათ სიყვარულში რომ უსკუბია შუალამისას, და და მაშინ, ცხადია, ძილზე ფიქრიც კი სასაცილო იყო. საერთოდ, დავაკვირდი, ძილი არც ისე ხშირი მოვლენაა, როგორც ჰგონიათ. ჩემი პეტერბურგელი მეზობლები, მაგალითად, ძილს სულ არაფრად აგდებდნენ: ერთი იდგა და მთელი ღამე ვიოლინოს უკრავდა და დარწმუნებული ვარ, ამ დროს ზეფნიზელ, გაჩახჩახებულ სახლებს გადასცქეროდა, რომლებიც არც აპირებდნენ ჩაბნელებას აგვისტოს იმ სასწაულებრივ ღამეებში. მარჯვენა მეზობელს რაც შეეხება, ნამდვილად ვიცოდი, რომ იწვა. ჩემსობას საერთოდ აღარ დგებოდა საწოლიდან. თვალებსაც კი აღარ ახელდა. მაგრამ მაინც ვერ იტყოდი, სძინავსო. იწვა და პუშკინისა და ნეკრასოვის გრძელ-გრძელ ლექსებს ამბობდა ზეპირად, ისეთი ხმით, ბავშვები რომ ამბობენ ლექსებს უფროსების თხოვნით. ჩემი მარცხენა მეზობლის მუსიკა მარჯვენა მეზობლის პოეზიას ვერ ახშობდა, ეს ლექსები ჩემს ტვინში იჭუბრებოდნენ და ღმერთმა იცის, იქიდან რა გამოიჩეკებოდა, რომ ერთხელ სტუდენტს, მის ხშირ სტუმარს. კარი არ შეშლოდა და ჩემთან არ შემოსულიყო შემთხვევით. მან თავისი მწოლიარე ნაცნობის ამბავი მიაშობ, რომელიც მადლობა ღმერთს, არც ისეთი გულისგამხეთქი აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ეს ერთი მარტივი, თანმიმდევრული ამბავი გახლდათ, და ჩემი ვარაუდების მრავალი ჭია ერთბაშად მოსპო.

მაშასადამე ჩემს გვერდით მცხოვრებ, აწ ლექსებად ქცეულ პატარა ჩინოვნიკს ერთ მშვენიერ დღეს ყოვლად უცნაური ამოცანის ამოხსნა მოსვლოდა აზრად. თურმე დაუშვა, რომ კიდევ დიდხანს, ასე, ორმოცდაათი წელი მაინც ვიცოცხლებო. ამ დიდსულოვნებას, რაც საკუთარი თავის მიმართ გამოიჩინა, ბრწყინვალე გუნებაზე დაეყენებინა, მაგრამ სურდა თავისივე თავისთვის გადაეჭარბებინა, და გადაწყვიტა, მთელი დარჩენილი წლები დღეებზე, საათებზე, წუთებზე და თუ გაუძლებდა, წამებზეც გადაემრავლებინა. ნამრავლად ისეთი რიცხვი მიიღო, ცხოვრებაში რომ არსად ენახა. რეტი დაესხა თურმე და სურდა, წამით სული მოეთქვა. დრო ძვირად ფასობსო, ხომ ყოველთვის ესმოდა, და ახლა განცვიფრებული იყო, ამ თავზესაყრელი დროის ანუ თანხის პატრონს, რატომ დაცვას არ უნიშნავდნენ. რა ადვილად შეიძლებოდა მისი მოპარვა და გატაცება! შემდეგ მალევე დაბრუნებოდა შესანიშნავი, თითქმის კვიმატი გუნებ-განწყობა, ქურჭი ჩაეცვა, უფრო წარმოსადეგი და დიდმნიშვნელოვანი რომ ყოფილიყო და მთელი ის საარაკო კაპიტალი ოდნავ მედიდური სიტყვებით, უშურველად ეწყალობებინა საკუთარი თავისათვის:

„ნიკოლაი კუზმიჩ, — კეთილგანწყობილად მიმართა თურმე მეორე ნიკოლაი კუზმიჩს — უქურქოს, კაფანდარასა და ღარიბ-ღატაკს, რომელიც ცხენის ძუისაგან დაწულ სავარძელში მოკუნტულიყო, — ნუ გაგაყოყოჩებთ ეს სიმდიდრე. ყოველთვის გახსოვდეთ, სიმდიდრე არ არის მთავარი. რამდენი უქონელი, მაგრამ კეთილშობილი ადამიანია ამქვეყნად. აკი გაღატაკებული დიდ-

გვაროვანიც არსებობენ და დიდ-დიდ კაპიტანთა ქალიშვილებიც, ახლა რომ ქუჩა-ქუჩა დაყილობენ და რალაც-რალაცების გაყიდვით ირჩენენ თავს“. და ქველმოქმედმა მდიდარმა კიდევ მრავალი, მთელს ქალაქში ცნობილი მაგალითი გაიხსენა.

ისევ სავარძელში მჯდომ, დასაჩუქრებულ ნიკოლაი კუზმიჩს, ჯერჯერობით სულაც არაფერი ეტყობოდა მედიდურობისა, და მთელი ხმით ხმედს იძლეოდა, რომ მომავალშიც გონივრულად მოიქცეოდა. და მართლაც, მას ხომ არაფრით შეუცვლია თავისი მოკრძალებული, ჩვეულებრივი ცხოვრების წესი: კვირა დღეებს ისევ თვლასა და ანგარიშში ატარებდა. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ უეცრად დაასკვნა, ძალიან ვანიავებ ჩემს სიმდიდრეს, აგრე არ გამოვა, ხელმოჭერილად უნდა ვიცხოვრო. მეორე დღიდან მოკიდებული უფრო ადრე დგებოდა, უფრო ნაჩქარევად იბანდა ხელ-პირს, ზეზეურად სვამდა ჩაის, ბიუროში გარბოდა და უფრო ადრე ბრუნდებოდა შინ. ცოტა-ცოტა დროს ყველგან ზოგავდა. მაგრამ, კვირა დღეს მაინც არაფერი აღმოაჩნდა დაზოგილი. და მიხვდა, რომ მოატყუეს. არ უნდა გადამეხურდავებინაო, — გაიფიქრა, — რა გრძელია წელიწადი თავისთავად, და რა შეუმჩნევლად იხარჯება ეს დაწყვეტილი წვრილი ფულიო. და მერე ის ყოველად საზიზღარი ნაშუადღევიც დადგა, როცა სავარძლის კუთხეში მიიკუნტა და ქურქიან ბატონს დაუწყობ ლოდინი, რათა თავისი დრო უკანვე მოეთხოვა. გადაწყვეტილი ჰქონდა, კარი ჩაერაზა და იქამდე არ გაეშვა, ვიდრე ყველაფერს არ გამოართმევდა. „ქალაქის ფულით ვიანგარიშოთ, — ასე აპირებდა ლაპარაკს, — „ერთი ბანკნოტი ათ... წელს უდრიდეს. მაშასადამე, ოთხი — ორმოც წელს, ერთიც ხუთ წლად ჩავთვალოთ და დანარჩენი ხურდად დაიტოვეთ, ეშმაკმაც დალაზროს“. დიახ, გართულებათა თავიდან ასაცილებლად, მზად იყო, ხურდაც კი ეჩუქებინა. ნერვებაშლილი იჯდა ცხენის ძუისგან დაწულ სავარძელში და უცდიდა... მაგრამ ბატონი არ მობრძანებულა და მას, ნიკოლაი კუზმიჩს, რამდენიმე კვირის წინათ ასე ადვილად რომ შეეძლო სავარძელში მოკალათებული საკუთარი პიროვნების დანახვა, ახლა, როცა მართლა იჯდა იმ სავარძელში, ვეღარ ახერხებდა წარმოედგინა ქურქიანი, დიდსულოვანი და ხელგაშლილი ნიკოლაი კუზმიჩი. ღმერთმა იცის, რა დაემართა, შეიძლება, ყველგან ამხილეს მისი თაღლითობანი და ახლა სადღაც იყო ჩამწყვდეული. რა თქმა უნდა, მის გარდა სხვასაც გააუბედურებდა, ეგეთი არამზადები ფართო ქსელს აბამენ მუდამ.

მერე იფიქრა: წესით, სადღაც ნამდვილად უნდა არსებობდეს სახელწიფო დაწესებულება, რალაც „დროის ბანკის“ მაგვარი რამ, სადაც ჩემს უბადრუკ წამებს ისევ წლებზე გადავცვლიო. ბოლოს და ბოლოს ის წამები ხომ ნაღდი იყო. მართალია, ასეთი ბანკის შესახებ არაფერი სმენოდა, მაგრამ სამისამართო ცნობარში ნამდვილად იპოვიდა ასო „დ“-ზე, თუკი „დროს“ მიხედვით მოქებნიდა, ან „ბ“ უნდა ჩაეკითხა, ეგებ „ბანკთან“ ეპოვა რაიმე და არც „ს“ უნდა დავიწყებოდა, ეგებ ეს „საიმპერატორო ბანკი“ იყო, ასეთი დიდმნიშვნელოვანი რამ, დიახაც, შეიძლებოდა უმაღლესი ინსტანცია ყოფილიყო.

შემდეგ კი ნიკოლაი კუზმიჩი თურმე იფიცებოდა, იმ საღამოს ნამდვილად არაფერი დამილევია, თუმცა სულით მთლიანად დაცემული ვიყავიო. მაშასადამე, სავსებით საღ გონებაზე იყო, როცა ის ამბავი მოხდა, თუკი საერთოდ შესაძლებელია თქმა, რა მოხდა. მაგრამ იმ თავის სავარძელში ალბათ ჩათვ-

ლიმა. ხანმოკლე ძილმა თავიდან მართლა შვება მოპგვარა. რას ავიკვირებ ეს რიცხვებიო, — უთქვამს თავისთვის გამოღვიძებულს, — მართალია, რიცხვების არაფერი გამეგება, მაგრამ ერთი კი ცხადია, მათ დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიაწიოს კაცმა. აბა ვის უნახავს ქალაქის გარდა სადმე რიცხვები! ხომ ნამდვილად გამორიცხულია, რომ რომელიმე საზოგადოებაში უცხად „შეიდიანს“ გადააწყდე ანდა „ოცდახუთს“. ისინი იქ საერთოდ არ არიან. მხოლოდ დაბნეულობის გამო დამეძარტა, ფული და დრო ერთმანეთში რომ ამერია, თითქოსდა არ შეიძლებოდეს მათი ცალ-ცალკე წარმოდგენა! და კიდევ კარგი, ბოლოს და ბოლოს თავი დაიძვრინა ამ ვითარებიდან, და რაც მთავარია, დროზე გაარკვია ეს უაზრობა. ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა. თუ ეს დრო, დრო! დიდი უკუღმართი რამაა, მაგრამ განა მხოლოდ მისი გასაჭირია? სხვისთვისაც ხომ სწორედ ასე მიეძინება — წამებში, როგორც თვითონ დაადგინა. მერე რა, თუ იმ სხვებმა ეს არ იციან!

და ნიკოლაი კუზმიჩს თითქმის ბოროტად გაეხარდა, როცა სხვებიც თავის დღეში წარმოიდგინა. მაგრამ სწორედ იმ წუთს... მოხდა ის განსაცვიფრებელი უცნაურობა: უცებ რალაცამ მსუბუქად ჩაუქროლა სახესთან, მერე ყურებთანაც ჩაუსრიალა და ხელებითაც შეიგრძნო წამსვე რალაცნაირი, ოდნავი ქროლვა. თვალები დააქყიტა. ფანჯარა რიგიანად იყო ჩაკეტილი. და ასე თვალებადქცეული იმ ჩაბნელებულ ოთახში რომ იჯდა, ნელ-ნელა მიხვდა: რასაც იმწუთას შეიგრძნობდა, დრო იყო, ნამდვილი დრო, რომელიც მიდიოდა, მიეძინებოდა. მაშინვე სწორედ რომ იცნო ის წამები, ერთნაირად გულგრილი, მაგრამ სწრაფი, სწრაფი წამები. ღმერთმა უწყის ახლა კიდევ რას უპირებდნენ! და რალა მაინცდამაინც მას უნდა დამართნოდა ეს უბედურება, მას, ვინც ყველანაირ ქარს პირად შეურაცხყოფად იღებდა! ახლა რალა უნდა ექნა! აგრე მჯდარიყო და მთელი ცხოვრება ეს დენა და ქროლვა აეტანა? წინასწარ წარმოიდგინა ნევრალგიის ყველა სახეობა, რაც აუცილებლად შეეყრებოდა და მრისხანებით გონდაკარგული სავარძლიდან წამოხტა. მაგრამ სიურპრიზები თურმე არ ამოწურულიყო. ფეხქვეშაც რალაც მოძრაობა შეიგრძნო, ერთმანეთში უცნაურად გარდამავალი, უწყვეტი რხევები, და თავზარდაცემული გახევდა. ნუთუ დედამიწაა? რა თქმა უნდა, დედამიწა იყო. სკოლაში ხომ ასწავლეს ერთხელ, დედამიწა ბრუნავსო, თუმცა სახელდახელოდ გაიარეს ეს საკითხი და მერე სიამოვნებით მიაფუჩეჩეს. ამაზე ლაპარაკი რატომღაც უადგილოდ ითვლებოდა ყველგან და ყოველთვის. ახლა კი საგრძნობი გახდა და ისიც გრძნობდა! ნეტავ სხვებიც თუ ამჩნევდნენ ამ ტრიალს? ალბათ. მაგრამ, ისინი არ იმჩნევდნენ. არც მეზღვაურები იქნებოდნენ კარგ დღეში. ნიკოლაი კუზმიჩი კი, ამ თვალსაზრისით, ფრიად დელიკატური გახლდათ. ტრამვაისაც კი ერიდებოდა! და, აი ახლა, თითქოს გემბანზეაო, ისე დაბარბაცებდა საკუთარ ოთახში და თავს ძლივს იმაგრებდა. საუბედუროდ, კიდევ რალაც გაახსენდა დედამიწის ღერძის ირიბ მდგომარეობაზე. არა, არა, ამდენ რყევასა და რხევას ვერასდიდებით ვერ გაუძლებდა! განადგურებული იყო. წოლა და მშვიდად ყოფნაა საჭირო, სადღაც წაეკითხა ერთხელ და მას შემდეგ იწვა თურმე ნიკოლაი კუზმიჩი.

იწვა და თვალსაც კი აღარ ახელდა. ხანდახან შედარებით მშვიდი, ნაკლებად რხევადი დღეებიც უდგებოდა, და მაშინ ასე თუ ისე ასატანი იყო ხოლმე არსებობა. ბოლოს ლექსები გაახსენდა. სხვა არც კი დაიჯერებდა, როგორ შეელოდნენ ისინი. როცა ნელა ამბობდა ლექსს და კიდურა რითმებს ერთნა-

რად გამოკვეთილად წარმოსქვამდა, რაღაც სიმყარე ჩნდებოდა მაშინ და მას შეეძლო ამ სიმყარისთვის თვალის კი შეეველო, შინაგანად, რაღა თქმა უნდა. მადლობა ღმერთს, იმდენი ლექსი იცოდა ზეპირად! ეს კი იმდენი, რომ ყოველთვის განსაკუთრებით იზიდავდა ლიტერატურა. თავის მდგომარეობას მაინცდამაინც არ უჩივისო, დამარწმუნა სტუდენტმა, რომელიც უცხოელი ნაცნობი ყოფილიყო. ეს იყო მხოლოდ, რომ რაც დრო გავდიოდა უცხოელი კუზმიჩს სულ უფრო აოცებდა თურმე ყველა ადამიანი, მათ შორის სტუდენტიც, რომლებიც ისე მიდი-მოდოდნენ, ვითომც არაფერი, და დედამიწის ტრიალს იტანდნენ.

ამ ამბავს აგრე დაწვრილებით მისთვის ვიხსენებ, რომ მაშინ არაჩვეულებრივად დამამშვიდა. შემძლია დაბეჭითებით ვთქვა: ასეთი სასიამოვნო მეზობელი მერე აღარასოდეს მყოლია, მეზობელი, რომელიც, წესით, ჩემითაც უნდა ყოფილიყო განცვიფრებული.



ამ გამოცდილების შემდეგ გადავწყვიტე, მსგავს შემთხვევებში მაშინვე სინამდვილე დამედგინა, რადგან შევამჩნიე, რა დამამშვიდებლად მოქმედებდა ფაქტები ვარაუდებთან შედარებით. თითქოს უკვე მაშინ არა მცოდნოდა, რომ ყველა ჩვენი შეხედულება ფაქტების შემდეგ ყალიბდება. დასკვნებია და სხვა არაფერი. მათ კვალდაკვალ კი მაშინვე ცხოვრების ახალი ფურცელი გადაიშლება ხოლმე, რაღაც სულ სხვა რამ იწყება, ყოველგვარი გადასვლის გარეშე. აბა, რას მარგია ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში ის თითო-ორი ფაქტი, თამაშ-თამაშით რომ დაილექნენ ჩემს შეგნებაში. ამ ფაქტებმა უფრო დაამძიმეს ჩემი მაშინდელი (უნდა ვაღიარო) ისედაც მძიმე სულიერი მდგომარეობა.

ჩემს სწახელოდ მიინდა აღვნიშნო: იმ დღეებში ძალზედ ბევრს ვწერდი. ლამის კრუნჩხვაშეყრილი ვწერდი და ვწერდი. ისე რომ, გარეთ ნეტილისას შინ დაბრუნებაზე ფიქრი აღარ მსიამოვნებდა. ხან სად შევუხვევდი და ხან სად, რათა გზა გამეგრძელებინა და ნახევარი საათი მაინც დამეკარგა, რომელსაც თუკი შინ ვიქნებოდი. ისევ წერას მოვანდომებდი. ჩემს ოთახში კი საყვედური არ მეთქმოდა. იქ წუთს არ ვკარგავდი. ვწერდი. მე ჩემი ცხოვრება მქონდა, გვერდით კი სულ სხვა ცხოვრება მიედინებოდა და მე ოდნავაც არ შეხებოდა. ვიღაც სტუდენტის ცხოვრება, რომელიც მედიცინას სწავლობდა და ახლა გამოცდებისათვის ემზადებოდა. მე გამოცდისმაგვარი არაფერი მელოდა. აი, ეს იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის განსხვავება ჩვენს შორის. და ისედაც, სრულიად განსხვავებულ პირობებში მიედინებოდა ჩვენი ცხოვრება. ეს ჩემთვის აშკარა იყო. იქამდე, ვიდრე არ გავიფიქრე, ახლა აღება და ჩემთან შემოვა-მეთქი. აი, მაშინ კი დამავიწყდა, რომ ჩვენ საერთო არაფერი გვქონდა. ისე სულგანაბული ვუყურადებდი, ჩემი გულის ძგერაც კი ისმოდა და მართლაც შემოვიდა. არასდროს შევმცდარვარ.

თითქმის ყველა იცნობს ამ ხმას, რომელსაც გამოსცემს თუნუქის რაიმე მრგვალი საგანი, დავუშვათ, თუნუქის ქილის ხუფი, როცა ის ხელიდან უვარდებათ. ჩვეულებრივ არცთუ მჭახედ ვარდება იატაკზე, წამიერ რაღაც ხმას გამოსცემს და მერე გაგორდება ხოლმე. მხოლოდ მაშინ ხდება უსიამოვნო, როცა გორვას შეწყვეტს და რაღაცნაირად აბარბაცდება. ვიდრე სა-

ბოლოდ დაეცემოდეს და გაჩერდებოდეს. მაშასადამე, სულ ეს არის. ჰოდა, აი, სწორედ თუნუქის ასეთი რაღაც საგანი ვარდებოდა ხოლმე მეზობელ ოთახში. დავარდებოდა, გაგორდებოდა, გაჩერდებოდა და რაღაც გარკვეული ინტერვალებით ატყაპუნდებოდა. როგორც ყველა განმეორებადი ხმაური, ესეც შინაგანად ორგანიზებული იყო. სულ იცვლებოდა, ზუსტად უარყოფითად იცვლებოდა, და სწორედ ეს მეტყველებდა მის შინაგან კანონზომიერებაზე. ხან მძაფრ ხმას გამოსცემდა, ხან რბილ ჩქამს, ან მელანქოლიურს, ხან თითქოს სულმოუთქმელად გარბოდა, ხან კი უსასრულოდ ნელა და ხანგრძლივად მისრიალებდა ვიდრე საბოლოო სიმშვიდე არ დაუდგებოდა. ბოლო შებარბაცება მუდამ განსაცვიფრებელი იყო. ამის საპირისპიროდ იმ ტყაპუნს თითქოს რაღაც მექანიკური ძალა იწვევდა, რომლის მიზანიც თითქოს ის იყო, რომ ხმა სულ სხვადასხვანაირად გაენაწილებინა. დღეს გაცილებით უკეთ ვაცნობიერებ ამ წვრილმანებს, რადგან ოთახი ჩემს გვერდით უკვე ცარიელია, სტუდენტის შინ გაემგზავრა, რომელიღაც პროვინციაში. დასვენება უნდოდა. მე სულ ზედა სართულზე ვცხოვრობ. მარჯვნივ სხვა სახლი დგას, ჩემ ქვემოთ არავინ შემოსახლებულა, მაშასადამე, უმეზობლოდ ვარ.

ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში უკვე მიკვირს, რად განვიცადე ის ამბავი ესოდენ მძაფრად. მით უმეტეს, რომ გუმანი ყოველთვის წინასწარ მათრახილებდა. უნდა მესარგებლა ამ გაფრთხილებით. ნუ შეშინდები, — უნდა მეთქვა ჩემი თავისთვის, — ახლა დაიწყება. ხომ ვიცოდი, რომ არასდროს ვცდებოდი. მაგრამ ყველაფერი ფაქტების ბრალია ალბათ, იმ ფაქტებისა, რომელთა დადგენის შემდეგ, კიდევ უფრო დავშინდი. მოჩვენებასავით მზარავდა იმის ცოდნა, რომ ამ ხმაურის გამომწვევი ჩემი მეზობლის მარჯვენა ქუთუთო გახლდათ. ეს ქუთუთო მძიმედ ჩამოვარდებოდა ხოლმე და თვალს ეხურებოდა, როცა სტუდენტი წიგნს კითხულობდა, და ისიც, გააფთრებული სტაცებდა ხოლმე ხელს თუნუქის რაღაც საგანს და იატაკზე ახეთქებდა. აი, ეს წვრილმანი გახლდათ მისი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა. მან რამდენიმეჯერ გადასდო გამოცდა, შინაურები კი ალბათ ყოველ წერილში აჩქარებდნენ. რაღა დარჩენოდა, ძალა უნდა მოეკრიბა და მომზადებულიყო. მაგრამ გადაწყვეტილებამდე რამდენიმე თვით ადრე თავი იჩინა ამ სისუსტემ, ამ აუტანელმა დაღლილობამ, რაც კაცმა რომ თქვას, ისევე სასაცილო იყო, როგორც ფანჯრის ფარდას თავის ადგილზე გაჩერება რომ არ მოენდომებინა. დარწმუნებული ვარ, მთელი კვირების განმავლობაში შთაიგონებდა, ამ სისუსტეს უნდა ვძლიოო. სხვაგვარად არ გამიჩნდებოდა აზრი, მისთვის ჩემი ნებისყოფა შემეთავაზებინა. ერთ დღეს მივხვდი, მისი ნებისყოფა ამოწურულიყო. მას შემდეგ, როგორც კი ვიგრძნობდი, ახლა დაეწყება-მეთქი, ჩვენ საერთო კედელთან ვდგებოდი და მეზობელს გულში ვეხვეწებოდი, ჩემი ნებისყოფით ესარგებლა. თანდათან ცხადი გახდა ჩემთვის, რომ სარგებლობდა კიდევ. მაგრამ ეგებ არ ღირდა, არ უნდა მიეღო ეს დახმარება, მით უმეტეს, თუ ჩაუკვირდები, არაფერს შველოდა. დაუშვათ, საქმე ცოტა ხნით გავაუმჯობესეთ, მაინც ხომ საკითხავი იყო, შესძლებდა კი იგი ასე ერთობლივად მოგებული წუთები რაიმეში გამოეყენებინა. ჩემს შეწირულობას რაც შეეხება, ის ჩემთვის თანდათან საგრძნობი გახდა. ვიცი, სწორედ იმ ნაშუადღევს, როცა ვიღაც ჩვენს სართულზე ამოვიდა, შევეკითხე ჩემს თავს, როდემდე შეიძლება აგრე გაგრძელდეს-მეთქი. ამ პატარა სასტუმროში, ვინმეს ასვლა-ჩასვლა ვიწრო დერეფნების გამო უხმაუროდ ვერასდროს ჩაივლიდა. ერთი წუ-

თის შემდეგ მომეჩვენა, რომ სტუდენტის ოთახში ვიღაც შევიდა. ჩვენი, ორ-
თავეს კარები, ჩემიცა და მისიც, დერეფნის ბოლოში იყო. მისი ლამის ზედ
ეკვროდა ჩემსას. ვიცოდი, ზოგჯერ მეგობრებიც მოსდიოდნენ, და მე, რო-
გორც იტყვიან, სულ არ მაინტერესებდა მისი ურთიერთობანი. მისი კარი
დღეში მგონი რამდენჯერმე იღებოდა და იხურებოდა, მაგრამ მე რა შესაქ-
მებოდა! ამაზე პასუხს ნამდვილად არ ვაგებდი.

აი, იმ საღამოს კი ყველანაირად გართულდა საქმე. არ იყო გვიან, მაგ-
რამ რადგან ძალზე დაღლილი ვიყავი, საწოლს მივაშურე. ისე კი ვეჭვობდი,
რომ ძილი მელირსებოდა. და მართლაც, მაშინვე წამოვხტი. თითქოს ვიღაც
ხელით შემეხო. წამოვხტი და დაიწყო კიდეც: რაღაც დაენარცხა, ახტა და
გაგორდა; გაქანდა, დაბარბაცდა და შემზარვად ატყაპუნდა. შუა ტყაპუნში
ქვემო სართულიდან ამოაკაკუნეს: აშკარად ჭერზე გაბრაზებულებმა. ახალი
მაცხოვრებელიც შეწუხდა ალბათ. ახლა: მისი კარი უნდა ყოფილიყო. ისე
გამოვფხიზლდი, მეგონა, ქვედა მეზობლის მოძრაობაც კი შესმოდა, თუმ-
ცა კარს განსაცვიფრებლად ფრთხილად შეეხო. მომეჩვენა, რომ ახლოვდე-
ბოდა. ცხადია, მოინდომა გაეგო, რომელი ოთახიდან გამოისმოდა ხმაური.
მაგრამ რამაც თავგზა ამიბნია, ეს გახლდათ მისი გადაჭარბებული სიფრთხი-
ლე. კი მაგრამ, რით ველარ შეამჩნია, ამ სახლში სიჩუმეს რომ არავინ დაგი-
დევდა. მაინც რატომ ახშობდა თავის ნაბიჯს, აგრე ჩუმად რად მოიწევდა? ერთ
წამს თითქოს ჩემს კართან შეჩერდა, მაგრამ შემდეგ გავიგონე, ეჭვის შეტანა
შეუძლებელი იყო, რომ სტუდენტის ოთახში შეაბიჯა. ადგა და ყოველგვა-
რი კაკუნის გარეშე პირდაპირ შევიდა.

და აი, (როგორ უნდა აღვწერო?), სიჩუმე ჩამოვარდა. ისეთი სიჩუმე, თი-
თქოს რაღაც ტკივილი მიყუჩდა, საოცრად საგრძნობი, მოჭიმული დუმილი,
თითქოს ჭრილობა იკრავდა პირს. და უკვე შემეძლო დამეძინა, შემეძლო შეე-
ბით ამომესუნთქა და დამეძინა. განცვიფრებალა მაფხიზლებდა. ვიღაც ლაპა-
რაკობდა გვერდითა ოთახში, მაგრამ ის ლაპარაკიც სიჩუმისა იყო; თავად უნ-
და განიცადო ის გარინდება, მისი აღწერა შეუძლებელია. გარეთაც კი თით-
ქოს ყველაფერი გამოსწორდა და გაინაბა. წამოვჯექი, ყურს ვუგდებდი, სო-
ფელში მეგონა თავი, და გავიფიქრე, ღმერთო დიდებულო, დედა ჩამოუვი-
და! იგი ლამპის გვერდით იჯდა, შვილს უყვავებდა, მასაც ალბათ დედის მხარ-
ზე ჩამოეყრდნო თავი და დედაც, ალბათ, სადაც იყო ლოგინში ჩააწვენდა.
ახლალა მივხვდი, წელან დერეფანში აგრე წყნარად ვინ მოდიოდა. ღმერთო
ჩემო, ეს რომ არსებობს ამქვეყნად! — ასეთი არსება, ვის წინაშეც სულ
სხვაგვარად იღება ყოველი კარი, ვიდრე ჩვენს წინაშე. ჰო, ჰო, ახლა შეგვეძ-
ლო დაგვეძინა.

ჩემი მეზობელი თითქმის უკვე გადამავიწყდა. ახლა ვხედავ: რასაც მის მი-
მართვ განვიცდიდი, მაინც არ იყო ნამდვილი თანაგრძნობა. ისე კი, ქვემოთ,
გასასვლელში ზოგჯერ ვკითხულობ, რაიმე ამბავი ხომ არ ისმის მისგან. და
მიზარია, სასიკეთოს თუ ვიგებ რასმე. მაგრამ არც ესაა ნამდვილი. გადაჭარ-
ბებაა ჩემი საქციელი. კაცმა რომ თქვას, მე-ხომ სულაც არ მჭირდება მისი
ამბის ცოდნა! ზოგჯერ საშინლად რომ გამიწევს გული და მის ოთახში შესვ-
ლა მინდება, თვითონ ჩემი მეზობელი არაფერ შუაშია. უბრალოდ, ჩემი კა-

რიდან მის კარამდე ერთი ნაბიჯია, თანაც ვიცი, კარი ღიაა, და მაინტერესებს, ოთახი როგორ არის მოწყობილი სინამდვილეში. კაცი ნებისმიერ ოთახს ადვილად წარმოიდგენ, და ასე თუ ისე დაემთხვევა სინამდვილეს, მაგრამ გვერდითა ოთახი, რატომღაც ყოველთვის სხვანაირი აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე გეგონა.

ერეკუნული

კი ვთქვი, რაც მეწევა იმ ოთახისკენ, მაგრამ, კარგად ვიცი, რომ ვერცხვამ დაგვითმუშავებდა ეს ის თუნუქის რაღაც საგანია, იქ რომ მელოდებოდა. მე ხომ დავუშვი, ქილის ხუფი იქნება-მეთქი, მაგრამ, რა თქმა უნდა, შეიძლება ვცდებოდე კიდევ. ეს არ მაწუხებს. სწორედაც რომ ჩემი ბუნებაა, ყველაფერი თუნუქის სახურავს დავაბრალო. არა მგონია, სტუდენტს ის ხუფი თან წაეღო. ალბათ ოთახი დაალაგეს და ის ხუფიც, როგორც წესი და რიგია, თავის ქილას დაახურეს. და ახლა ხუფიც და ქილაც ერთ ცნებად — ქილად იქცა, მრგვალ ქილად, უფრო ზუსტად, ერთ ძალიან უბრალო, ნაცნობ ცნებად შეერთდა. თითქოს მახსენდება, რომ ორივე ბუნებრივ ძევს, ის ორი — რაც ქმნის ქილის ერთიანობას. უფრო მეტიც — სარკის წინაა და მაშასადამე, კიდევ ერთი ქილა ჩნდება, ნამდვილისაგან ძნელად განსასხვავებელი, ასახულ-არეკლილი ქილა, რომელსაც ჩვენ არაფრად ვაგდებთ. მაიმუნი კი შეიძლება წაეტანოს. ნამდვილად. ის კი არადა ორი მაიმუნი ერთად ეცემა, რადგან მაიმუნიც მაშინვე გაორმაგდება, როგორც კი მიადგება ბუნარს. მაშასადამე, ქილის ხუფია, რამაც მე მიზანში ამომიღო. მოდიოთ, შევთანხმდეთ: ქილის ხუფს, უვნებელი ქილის სახურავს, ქილისა, რომლის პირიც ზუსტად ისეა მომრგვალებული როგორც კიდე მისი ხუფისა, წესით ხომ სხვა არც არაფერი უნდა უნდოდეს, გარდა იმისა, რომ თავის ქილაზე იყოს დამზობილი. ეს უნდა იყოს უმაღლესი რამ, რისი წარმოდგენაც კი ამ ხუფს შეუძლია, მისი ბედნიერების მწვერვალი, ყველა ნატვრა-სურვილის აღსრულება. განა სწორედაც იდეალური არ არის, თვინიერად და ნეტარად იყოს მორგებულ-მოჭერილი ქილის პირზე, რომელიც ზუსტად ისევეა მომრგვალებული და წამახული, როგორც თავად ხუფის კიდეა? მაგრამ, ეპ, რა ცოტაა, ისეთი ხუფი, ამისი ფასი და ყადრი რომ იცის. აი, სწორედ აქ ვლინდება, თუ რა თავგზისამბნევი ზემოქმედება მოახდინა საგნებზე ადამიანებთან ურთიერთობამ. განა ადამიანებიც, თუნდაც ყოველად ზერელედ რომ შევადაროთ ისინი სარქველებს ასევე უხალისოდ და უხეიროდ არ არიან მორგებულნი თავიანთ საქმიანობას? ნაწილობრივ იმ მიზეზით, რომ სიჩქარეში არასწორ ადგილას მოხვდნენ, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ისინი მრისხანედ და მრუდედ დაახურეს მიჩენილ საქმეს, ზოგჯერ კი მიზეზი ის გახლავთ, რომ ერთმანეთისთვის განკუთვნილი თავსართყელები გაღუნულია. ვიყოთ გულწრფელნი. ადამიანებს ძირითადად ხომ სულ ეს უტრიალებთ თავში: გადაბტნენ, ჩაბტნენ, გაგორდნენ და ირაბრაბონ, — თუკი მოახერხებენ. აბა, მაშ საიდან მოდის მთელი ეს ეგრეთ წოდებული დაბნეულობა და ხმაური, რასაც ეს დაბნეულები აღძრავენ?

საუკუნეებია, რაც საგნები ადამიანთა საქციელს შესცქერიან. და რა გასაკვირია, რომ მათი ზნეც წახდა, რომ აღარ ესმით თავიანთი ბუნებრივი, მოკრძალებული მიზნის ფასი, და ისევე უდგებიან თავინთ ყოფიერებას, როგორც ადამიანები სჩადიან ამას. საგნები ცდილობენ თავი აარიდონ საკუთარ დანიშნულებას, უხალისონი და გულგრილნი გახდნენ და ადამიანებსაც არ უკვირთ, როცა მათ ფუქსავატობაზე წაასწრებენ ხოლმე. ეს ხომ ასეთი მშობლიური და ნაცნობია მათთვის. და თუ ბრაზობენ, მხროლოდ იმიტომ, რომ

საგნებზე ძლიერნი არიან და აღიზიანებთ, როცა სუსტები მათ ბაძავენ. აგრე ჰგონიათ, თითქოს მხოლოდ მათ ჰქონდეთ გადაგვარების უფლება. მაგრამ, არსებითად, მათ საგნები თავიანთ ნებაზე მიუშვეს, ისევე როგორც საკუთარი თავი ჰყავთ მიშვეებული. და თუკი სადმე აღმოჩნდება ვინმე ისეთი, ვინც თავს ხელში აიყვანს, ვინმე მარტოსული ადამიანი, ~~ქრტიანული~~ სწადია მთლიანად მოერგოს საკუთარ არსს და მასში სუფევდეს. ~~ქრტიანული~~ თავის წინააღმდეგ აიძხედრებს გადაგვარებულ საგან-ნივთების მთელ ურიცხვ მოდგმას, მათ გესლსა და სიძულვილს დაიტეხს თავზე, რადგანაც ისინი, სინდისის ქენჯნით გაავებულნი, ვეღარ იტანენ სხვის ძალისხმევასა და აზრისა სწრაფვას; ისინი ერთიანდებიან მარტოსულის წინააღმდეგ, რათა ხელი შეუშალონ, თავგზა აუბნიონ, თავზარი დასცენ და კარგად იციან, რომ ეს შეუძლიათ. ისინი თვალს უკრავენ ერთმანეთს და იწყებენ მის ცდუნებას. ვიღას არ ითრევენ ამ საქმეში! — ყველა სულიერს, მთელ სამყაროს, უფალ ღმერთსაც კი, იმ ერთის, ერთადერთის წინააღმდეგ, რომელმაც, ვინ იცის, ეგებ გაუძლოს კიდევ და გაზდეს: წმინდანი. X

ო, როგორ მესმის ახლა ის გამოგნებელი ნახატები, სადაც ვიწრო, ყოველდღიური დანიშნულების საგნებს თავი აუშვიათ, ცნობისმოყვარედ აცდუნებენ და თვალს უკრავენ ერთი-მეორეს, ატაცებულნი ზნედაცემული აღრეულობით: ქვაბები, ხარშვისას აქეთ-იქით რომ დაეხეტებიან, კოლბები, რაღაც ფიქრი რომ გასჩენიათ, თუ ძაბრები, დასაამებლად ხვრელებში რომ იჭედებიან. და აი, უკვე ისინიც აქ არიან, ამათ შორის ტრიალებენ — ეჭვიანი არარას მიერ გადმოსროლილი: სხეულის ნაკვთები და ასოები, სახეებიც კი, ზედ რომ ანთხევენ იმ ყველაფერს თბილ, მძიმე ნარწყევს, და მქშენი უკანალები, სიამოვნებას რომ ანიჭებენ იმ აცეტებულ საგანთა მოდგმას.

და წმინდანი მოკრუნჩხულა, მთლად შეკუმშულა. მაგრამ მაინც შეიცავდნენ მისი თვალები ერთ ისეთ მზერას, რომელმაც აიტანა ის ყველაფერი: შეხედა. და დაწმენდილი განცდა-ფიქრები წამსვე ჩამოსწყდნენ მისი სულის ხსნის ნათელ სიმაღლეს. წმინდანის ლოცვა ფურცელ-ფურცელ ჩამოიშალა და შეძარცვილი თაიგულივით შერჩა მის ბაგეს, და წაპირქვავდა მისი გული, გადაყირავდა და სიმღვრივეში გადაიღვარა. და თვითგვემის გრძელი მათრახი ისევე დასთრევს, ვით დუნე კუდი, ბუზებს რომ აფრთხობს. მისი სქესიც ისევე თავს იყრის იმავე ადგილას და, როცა ქალი აღემართება ამ ამორომტრიალში, მოშიშვლებული ძუძუ-მკერდის რხევა-თამთამით, — საჩვენებელი თითივით მისკენ მიიმართება.

ერთ დროს ამ სურათებს მოაველებულად ვთვლიდი. იმიტომ კი არა, რომ მათ სიმართლეში ეჭვი მეპარებოდა. არა. უბრალოდ, ვფიქრობდი, ეს მხოლოდ წმინდანებს ემართებოდათ-მეთქი, — სულსწრაფ არსებებს, რომელთაც სურდათ, რაღაც არ უნდა დასჯდომოდათ, საქმე პირდაპირ ღმერთით დაეწყათ. ჩვენ კი ამდენს აღარ ვიღებთ საკუთარ თავზე, იმას ვგრძნობთ მხოლოდ, რომ ღმერთი ძალზედ ძნელია ჩვენთვის, და ის სულ მუდამ უნდა გადავდოთ, რათა ნელა აღვასრულოთ ხანგრძლივი სამუშაო, რაც მას გვაშორებს. ახლა კი ვიცი: ეს ჯაფაც წმინდანობასავით სათუთი გამზდარა. და იმ კაცის გარშემო, ვინც ამ სამუშაოს აღსასრულებლად განმარტოვდება, ისე-

აივე უკუღმართობა დატრიალდება, ღვთის მარტოსულებს რომ ეხვია ირგვლივ, ოდესღაც უდაბნოსა თუ ქვაბ-მღვიმეებში.



ქართულში

როცა მარტოსულ ადამიანზე ლაპარაკობენ, ძალზედ ბეჭდის "მღვიმეებსა" კუთარ თავზე: ტყუილად ჰგონიათ, თითქოს იცოდნენ, ვის და რანაირს ეხება საქმე. არა, არ იციან. ხალხს მარტოსული არასოდეს დაუნახავს, ის მხოლოდ სძულდა. სძულდა, ისე, რომ არასოდეს უნებებია მისი გაცნობა. ისინი იყვნენ მარტოკაცის მეზობლები, მას რომ აცდენდნენ, და ხმები გვერდითა ოთახებში, — რომ აცდუნებდნენ. ისინი საგნებს აქეზებდნენ მის წინააღმდეგ, რათა ეხმაურათ და ის ჩაეხშოთ. ბავშვები ერთიანდებოდნენ მარტოსულის წინააღმდეგ, რადგანაც ის სათუთი იყო და თავადაც ბავშვი, და თავისი ზრდის ყოველი წამით იზრდებოდა მოზრდილთა წინააღმდეგ. ისინი კვალში მისდევდნენ მუდამ: როგორც ნადირს მოსანადირებელს, თავს ესხმოდნენ თავის საფარში, და მისი ხანგრძლივი სიბავშვე და აბალგაზრდობა ოდნავადაც არ დაუზოგავთ. და თუ მან სული არ გააქელინა, არ დაიშრიტა და ასე დააღწია თავი მათ მტრობას, მაშინ ხალხი მის ქმნილებას ითვალწუნებდა, საზიზღრობაა, სიმახინჯეო, გაიძახოდა, და თუ ის ყურს არ ათხოვებდა ამ ღრიანცელს და თავის საქმეს განაგრძობდა აუმღვრეველი, მაშინ ისინი დაუფარავ მტრობას უწევდნენ: საქმელს უნთქავდნენ, თავიანთ ჰაერს ასუნთქებდნენ პირისახეში და უფურთხებდნენ სილატაკეში, რომ საკუთარი სილატაკე შეჰზიზღებოდა. სახელს უტეხდნენ, ხმებს უვრცელებდნენ, ქვებს ესროდნენ როგორც კეთროვანს, რათა სასწრაფოდ გარიდებოდა იქაურობას. და არც ლალატობდათ თავიანთი ძველი ინსტინქტი. რადგან ის მართლაც მტერი იყო მათი ოღითგან.

მაგრამ შემდეგ, თუკი იგი მათ ღრიანცელს არად აგდებდა, გონს მოდიოდნენ. გრძნობდნენ, რომ ამ სიძულვილ-მტრობით ის განამტკიცეს თავისსავე მარტოობაში და დაეხმარნენ, მათ სამუდამოდ განშორებოდა. მაშინ ისინი უკანასკნელ ხერხს მიმართავდნენ, უკიდურეს საშუალებას, სხვა დაბრკოლებას აღუმართავდნენ: დიდებას. ამ ხმაურზე კი თითქმის ყველა მარტოსული თავს იღებდა თავის საქმიდან, და ბრბოსაკენ იხედებოდა. იბნეოდა და იფანტებოდა. ✕

ამ ღამით ისევ თვალში მომხვდა პატარა, მწვანე წიგნი, რომელსაც ხშირად ვკითხულობდი ჩემს ბიჭობაში. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მეგონა, მათილდე ბრაეს ეკუთვნოდა. როცა პირველად ჩამივარდა ხელში, არ დამაინტერესა და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ წავიკითხე. მეგონი მაშინ, ულსგორში რომ ვიყავი არდადეგებზე. პირველივე წუთიდან მიმიჯაჭვა. მთელი წიგნი, თვით გარეკანიც კი რაღაც ფარულ, შინაგან ერთიანობას ასხივებდა. ყდის სიმწვანე რაღაც მნიშვნელოვანს გპირდებოდა, და რომ გადაშლიდი, მართლა იპოვიდა დანაპირებს. თითქოს საგანგებოდ, რაღაცა მიზნით, თავფურცელი გლუვად იყო, წყალში განხავებული თეთრით ნაფერი, და მას სათაურიანი გვერდი მოსდევდა — რაღაც საიდუმლოებით მოცული ფურცელი, რომელიც ისე გან-

გაწყობდა, რომ შემდეგ უკვე ნახატებს ელოდი. მაგრამ წიგნს ნახატები არ ახლდა, და ვინდოდა თუ არა, უნდა გეღიარებინა: სწორედ ასევე საქიროო. და მერე, როცა გადავშალე და ერთგან სანიშნე ზონარი აღმოვაჩინე, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს დამაჯილდოვეს. ღმერთმა უწყის, რა დროიდან იღო ერთსა და იმავე ორ გვერდს შორის ეს გაცრეცილი, ოდნავ ^{დაზარალებული} მღებარე ზონარი, გულისამაჩუყებლად რომ მიმხელდა თავის ^{სამღებარე} ^{მღებარე} ^{მღებარე} ვარდისფერი ვიყავიო. ვინ იცის, ეს სანიშნი სულ მთლად უხმარი იყო და ამკინძავმა ჩადო წიგნში სწრაფად და ბეჭითად, ისე რომ არც დაუხედავს. ან ეგებ არც იღო შემთხვევით. შეიძლება, ვილაცამ სწორედ იმ ადგილას შეწყვიტა კითხვა და ვეღარასდროს ვერ გააგრძელა, რადგან სწორედ იმ წუთს მიუკაკუნა კარზე ბედისწერამ, რათა სხვა საქმეზე გადაერთო, და შორს გაიტაცა წიგნებიდან, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, ცხოვრება ხომ მაინც არ არის. ვერ მიხვდებოდრი, წიგნი ბოლომდე იყო წაკითხული თუ არა. ისიც შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ყოველთვის სწორედ ეს ფურცელი უნდა გადაშლილიყო და სწორედ მას შლიდნენ კიდევ ყოველთვის, მერე რა თუ ზოგჯერ გვიან ღამით ყოველ შემთხვევაში, ეს გადაშლილი ორი გვერდი ისე მაკრთობდა, როგორც სარკე, რომლის წინაც ვილაც დამდგარა. ეს გვერდები არ წამიკითხავს. ისიც არ ვიცი. მთელი წიგნი კი წავიკითხე თუ არა. წიგნი არ იყო მაინცდამაინც დიდი ღირსების, მაგრამ მთელ რიგ ამბებს გთავაზობდა, განსაკუთრებთ ნაშუადღევს: ამ დროს ყოველთვის აღმოჩნდებოდა ხოლმე რაღაც ისეთი, რაც ჯერ კიდევ არ წამეკითხა.

მხოლოდ ორი ამბავი მახსენდება. ახლავე ვიტყვი, რომლებიც: გრიშა ოტრებიევი²⁵ სიკვდილი და კარლოს მამაცი²⁶ აღსასრული.

ღმერთმა უწყის, შთაბეჭდილება მოახდინა თუ არა მაშინ, მაგრამ ახლა, ამდენი წლის შემდეგ, დაწვრილებით მახსენდება, ცრუ მეფის გვამი ქვემოთ ბრბოში როგორ ისროლეს; და როგორ ეგდო იქ მთელი სამი დღე სახეზე ნილაბათარებული, დაჯიჯგნილი და მთლად დაფლეთილი. ცხადია, მხოლოდ ამ ამბის გამო არ მივბრუნებოვარ ამ პატარა, მწვანეყდიან წიგნს. მაგრამ ხსენებული ადგილი მართლაც განსაკუთრებული იყო. მინდოდა ხელახლა ჩამეკითხა, როგორ ჩაივლიდა დედასთან შეხვედრა. ნამდვილად გრძნობდა გრიშა ოტრებიევი, სხვის დედას მოსკოვში რომ ჩააყვანიებდა. უეჭველია, იმ დროს ისე იყო დარწმუნებული საკუთარ თავში, რომ ის ქალი მართლა საკუთარი დედა ეგონა. მართლაც და იმ მარია ნაგაიამ²⁷ თავისი მწიერი მონასტრიდან ეგზომ საჩქაროდ რომ გაემგზავრა, ხომ ყველაფერი მოიპოვა, როცა დაუდასტურა? მაგრამ განა არ გაიბზარა მისი სიმტკიცე იმით, რომ დედამ ის აღიარა? ჩემთვის არ არის უცხო, ვიფიქრო: ამ ადამიანის გარდასახვის ძალა მაშინ აღწევდა მწვერვალს, როცა ის ამქვეყნად არავისი ვაჟი აღარ იყო.

¹(საბოლოოდ ეს არის ძალა, ყველა იმ ახალგაზრდისა, ვინც თავის კერას სტოვებს და მიდის). ✕

ხალხმა, რომელსაც იგი სურდა, ისე რომ წარმოდგენაც არ ჰქონდა მასზე, კიდევ უფრო დიდი, უსაზღვრო შესაძლებლობანი და თავისუფლება მიანიჭა. მაგრამ დედის განცხადებას, თუნდაც როგორც შეგნებულ ტყუილს, აღმოაჩნდა ძალა მისი შებოჭვისა. მან გამორიყა ოტრებიევი მისი გამოგონების სისავსიდან, ღონემიხდილ მიმბაძველად გადააქცია, აქცია იგი ცრუდ და თვა-

¹ მარია კიდევ მიწერილი.

ლთმაქცად: რადგან რაღაც ერთსა და ცალკეულზე ჩამოაქვეითა მისი ზოგადობა. და აი, მოვიდა ის მარია მნიშევი,²⁸ რომელმაც უფრო რბილად და ჩუმიად გააღლო მისი გამოწვანის სიმტკიცე: თავის მხრივ უარყო იგი, როგორც შემდეგ გამოიჩინა, ოტრეპიევის კი არა სჯეროდა, არამედ ვეღასი. არ მახსოვს, იყო თუ არა ეს ამბავი იმ წიგნში სათანადო სიღრმეში წარმოდგენილი. მგონი, ღირს მოყოლა.

სიბრალოე

როგორც არ უნდა იყოს წარმოდგენილი, ერთი ცხადია: მოძველებული სულაც არ არის. მაგრამ ისეთი მთხრობელი უნდა არსებობდეს, ვინც დიდის სიფაქიზით მოეკიდებოდა ცრუმეფის სიციცხლის სულ ბოლო წუთებს. და მართალიც იქნებოდა, რა აღარ ხდება იმ ბოლო წუთებში: როგორ ისკუპა მან თავისი უშინაგანესი ძილიდან ფანჯარასთან, ფანჯრიდან კი ეზოში — მცველთა შორის, ისკუპა, მაგრამ აი, ვეღარ წამოდგა. მცველები ეხმარებიან. ალბათ ფეხი მოიტეხა. ორნი მხრებში შეუდგნენ და გრძნობს: სჯერათ მისი, ირგვლივ იხედება, სხვებსაც სჯერათ, თითქმის ებრალებათ: ამ გოლიათ „სტრელეცებს“. შორიდან მოდის ეს სიბრალოე. ივან გროზნის იცნობდნენ ისინი, და ახლა სჯერათ მისი, ცრუმეფის სურს განუმარტოს, გააგებინოს, მაგრამ ახლა პირის გაღება დაყვირებას ნიშნავს: ჭკუიდან შემშლელად სტკივა ფეხი, და იმ წუთს ისე ნაკლებად ფიქრობს თავის თავზე, რომ აღარაფერი ახსოვს ტკივილის გარდა. და თან დროც აღარ იცდის. აი, ისინი მიაწყდნენ კიდევ, შუისკის²⁹ ხედავს და მის ზურგს უკან ყველა დანარჩენს. მალე ყველაფერი დამთავრდება. მაგრამ აქ, უცებ: შეიმართნენ მისი მცველები. ისინი მას არ გასწირავენ. და სასწაული ხდება. ძველ მეომართა რწმენა სხვებსაც გადაედო. აღარავინ ცდილობს დაეწიოს და შუისკი — სასოწარკვეთილი იძახის ფანჯრისკენ. იგი თავსაც კი არ აბრუნებს. კარგად იცის, ვის უძახიან, ვინ დგას შიგნით, იმ ფანჯარასთან, გრძნობს: სიჩუმე ჩამოვარდა. ყოველგვარი გადასვლის გარეშე უცებ დადუმდა ყველაფერი. ახლა გაისმება ხმა, რომელსაც მეფობის დროიდან იცნობს, მაღალი, ყალბი ხმა, მუდამ ზედმეტად რომ იძახება. და აი, მოესმა კიდევ ძახილი დედა-დედოფლისა, ხმა, რომელმაც იგი უარყო.

აქამდე საქმე თავისით მიდიოდა, მაგრამ ახლა, მთხრობელი, მთხრობელი, თუ შეიძლება! რადგან იმ ბოლო სტრიქონებიდან, რომლებიც დაგვრჩა, ის ძალა უნდა ამოიძარტოს, ყოველგვარ შეუსაბამობას რომ დააცხრობს და გადასცდება. არა აქვს მნიშვნელობა, მიღებულია თუ არა ამის აღნიშვნა, მაგრამ მთხრობელმა უნდა დაიფიცოს და შეგვაგონოს, რომ დედოფლის ძახილსა და პისტოლეტის გასროლას შორის მასში ჯერ კიდევ ბორგავდა უკიდურესად დაწნეხილ-შეკუმშული ძალა და ნება: ყოფილიყო ყველაფერი. სხვაგვარად გაუგებარი იქნება ეს ბრწყინვალე თანმიმდევრობა, რომ წამში დაცხრილული ღამის სამოსი ისე ჩაუჩურთეს ჯერაც თბილ ხორცში, თითქოს პიროვნების სიმაგრე უნდა დაეფშვნათ და დაეკუწათ მის მკვდარ სხეულში. და რომ სიკვდილშიც ნიღაბს ატარებდა, მთელი სამი დღე, ნიღაბს. რომელიც თითქმის უარყო.

ამ ამბავზე ფიქრისას უცნაური შეჩვენება, რომ იმ კაცის აღსასრულიც ამავე წიგნში იყო მოთხრობილი. რადგან ის კაცი ხომ მთელი ცხოვრება ერთი იყო, ერთი და იგივე, ტინივით მაგარი და ნირუცვლელი, სულ უფრო

მძიმე ტვირთად რომ აწვებოდა იმ ადამიანთ, ვინც მას უძლებდნენ. მისი ერთი სურათია გამოფენილი დიუონში.³⁰ მაგრამ უსურათოდაც ცნობილია, რომ ეს კაცი ტანდაბალი იყო, ანჩხლი, თავნება და სასოწარკვეთილი. ხოლო მის ხელებს რაც შეეხება, მათზე კი შეიძლება დღემდე არვინ დაფიქრებულა. ეს გახლავთ ავად მხურვალე ხელები, სულ რომ გაგრილებას ნაჭრით უნებურად ცივ საგნებს ეტანებიან, თითებგაფარჩხული: რათა ზრთავს მათი კურმა გაუაროთ. ამ ხელებს ისე მიაწყდებოდა ხოლმე სისხლი, როგორც თავში უვარდებათ სხევებს. და ისინიც ადამიანთა თავებივით მომუშტულიყვნენ, იმ თავებივით, რადაც გიყური გაელვებანი რომ აბობოქრებთ.

წარმოუდგენელი სიფრთხილე სჭირდებოდა ცხოვრებაში ამ სისხლის პატრონს. და ჰერცოგიც თავის სისხლთან ერთად საკუთარ წილში ჩაკეტილიყო და დროდადრო ძრწოდა, როდესაც გრძნობდა, როგორ უვლიდა სისხლი მთელ ტანში — იქ ჩამწყვდეული და ჩაწყვდიადებული. შემზარავად უცხო ეჩვენებოდა ეს სწრაფი, მოუხელთებელი, ნახევრად პორტუგალიური სისხლი, თავადაც რომ არ იცნობდა ხეირიანად. ზოგჯერ ეშინოდა, ძილში არ მეცეს და არ გამფატროსო. თავი ისე ეჭირა, თითქოს მოთოკილი ჰყავდა, მაგრამ სწორედ სისხლი გახლდათ მისი შიშის უწყვეტი წყარო. ქალის შეყვარებაც ვერ გაებედა, რომ სისხლს არ ეეჭვიანა, და არც ღვინოს აკარებდა პირს. სისხლს, ღვინის ნაცვლად, ვარდის მუსით აშოშმინებდა, თუმცა ერთხელ მაინც დალია: ლოზანასთან გაშლილ ბანაკში,³¹ როდესაც გრანსონი³² დაიკარგა. ავად იყო მაშინ, ლოგინად ჩავარდნილი, და ბევრი ღვინო დალია, წითელი ღვინო. მაგრამ მაშინ ეძინა მის სისხლს. თავის უაზრო, ბოლო წლებში ზოგჯერ ჰერცოგს მძიმე, ცხოველური ძილი შთანთქამდა ხოლმე. და მაშინ ცხადად ჩანდა, სისხლი როგორ მთლიანად ბატონობდა თავის პატრონზე. რადგან თუ სისხლს ეძინა, ისიც ყოველგვარ ძალას ჰკარგავდა. არავინ უნდა გაპკარებოდა სიახლოვეს; არ ესმოდა, რას ეუბნებოდნენ. უცხო ელჩებთანაც ვერა ჩნდებოდა: ისეთი დაშრეტილ-დაცლილი იყო. ისიც იჯდა და იცდიდა: როდის გაიღვიძებდა სისხლი, რომელიც ერთი ნახტომით წამოვარდებოდა ხოლმე უეცრად, გულიდან ინთხოდა და ღრიალებდა.

ამ სისხლის გულისთვის იყო, თან ათასნაირ საგნებს რომ დაათრევდა, საგნებს, რომლებიც სინამდვილეში არაფრად უღირდა. სამ ვეება ბრილიანტსა და სხვა იშვიათ თვლებს; დახვავებულ ფლანდრიულ მაჭმანებსა და არასულ ხალიჩებს; თან დაჰქონდა ოქროსთასებიანი აბრეშუმის კარავი თავისთვის და ოთხასი კარავი ამაღლისათვის; ხეზე მოხატული სურათები და სუფთა ვერცხლში ჩამოსხმული თორმეტი მოციქული. მუდამ თან ახლდნენ ტარენტის პრინცი და ჰერცოგი ფონ კლევე, ფილიპ ფონ ბადენი და chateau cuyon-ის დიდი მთავარი. რადგან მას სურდა შეეგონებინა თავისი სისხლისთვის: მეფე ვარ და ჩემზე ვერავინ იბატონებსო. რათა სისხლს მისი შინებოდა. მაგრამ სისხლი ყურს არ უგდებდა, ამ საბუთების მიუხედავად არ უჯერებდა: უნდო სისხლი იყო. შეიძლება ერთი წუთით კი შეჭოჭმანდა, მაგრამ მალევე გამოერკვა: ურის ბუკებმა³³ გასცეს ჰერცოგი და მას შემდეგ მყარად იცოდა ჰერცოგის სისხლმა, რომ ის დამარცხებული ადამიანის ტანში სახლობდა. იცოდა და გარეთ იწევდა.

ახლა ამგვარად მეხატება კარლოს სამაცი. მაშინ კი, ამ წიგნს როცა კვითხულობდი, ყველაზე მეტად ის ამბავი მადელვებდა, მას რომ დაეძებდნენ სამი მოგვის დღეს.

არნახული შმაგი ბრძოლის შემდეგ ახალგაზრდა ლოტარინგიელი თავადი დილაადრიან ნანსში³⁴ შემოჯირითდა და მთელი ქალაქი წამოშალა. ჰერცოგს ეძებდა. შიკრიკს შიკრიკზე გზავნიდნენ და თავადი თვითონაც ხშირ-ხშირად ჩნდებოდა ფანჯარასთან, შეწუხებულ-შეშფოთებულად; ყოველთვის ვერ სცნობდა, ვინ მოჰყავდათ ეტლებითა თუ საკაცეებით, მაგრამ ჰერცოგი რომ არ იყო, ამას ხედავდა. ვერც დაჭრილებში იპოვეს და ვერც დაჭრილებში, რომელთა რიცხვიც სულ მატულობდა, არცინ აღმოჩნდა მისი მნახველი. ხოლო ლტოლვილებს ოთხივე მხარეს მიჰქონდათ მისი გაუჩინარების ამბავი და თან შიშისგან აცახცახებდათ, ვაითუ სადმე გადავაწყდეთო. უკვე შებინდდა, ჰერცოგის ასავალ-დასავალი კი ჯერ ვერ გაეგოთ. მისი დეკარგვის ცნობას ზამთრის იმ გრძელ საღამოს საკმაოდ დრო ჰქონდა, იქაურობას მოსდებოდა, და სადაც კი აღწევდა, ყველგან გადაჭარბებულ, შმაგ რწმენას აღძრავდა, რწმენას: რომ ის კაცი ცოცხალი იყო. ალბათ ჰერცოგი არასოდეს ყოფილა აგრე ნამდვილი ადამიანთა წარმოდგენაში, როგორც იმ ღამეს. არ დარჩა სახლი, სადაც არ ფხიზლობდნენ, არ ელოდნენ და წამდაუწუმ მისი კაკუნი არ ელანდებოდათ. და სჯეროდათ: თუ არ მივიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ დაუჟაკუნებლად ჩაიარა გზად.

ყინავდა იმ ღამით და თითქოს გაიყინა რწმენაც — რომ ჰერცოგი ცოცხალი იყო. ისე გამყარდა ეს აზრი, მრავალ, მრავალ წყალს უნდა ჩაეველო. ეიდრე გალღვებოდა. თუმცა არაფერი იცოდნენ მისი, ყველამ დაიყინა, ცოცხალიაო. ბედი, რაც ჰერცოგმა თავს დაატეხათ, მხოლოდ მისი პიროვნების წყალობით გამხდარიყო ასატანი. მათ ისე ძნელად შეითვისეს მისი ყოფნა და არსებობა, რომ ახლა უცებ აღმოაჩინეს: კარგად დამახსოვრებოდათ და ველარაფრით დაივიწყებდნენ.

მაგრამ მეორე დღეს, 7 იანვარს, სამშაბათს, ძებნა განახლდა. ამჯერად წინამძღოლი გამოჩენილიყო — ჰერცოგის პაეი. ამბობდნენ, თითქოს პაეს შორიდან დაენახა, როგორ დაეცა მისი ბატონო და ახლა აღვილი უნდა ეჩვენებინა. თვითონ პაეი ხმას არ იღებდა. გრაფ ფონ კამპო-ბასოს³⁵ მოეყვანა და მის მაგივრადც თვითონ ლაპარაკობდა. პაეი წინ წავიდა და დანარჩენებიც ახლოს მიჰყვნიენ. ვინც მას ასეთს — მოსასხამში გახვეულსა და უცნაურად დაბნეულს ხედავდა, ძნელად ირწმუნებდა, რომ ის მართლაც გოგონასავით ლამაზი და ვიწროკიდურებიანი ჯანბატისტა კოლონა იყო. სიცივისაგან კანკალებდა. ღამის ყინვას ჰაერი გაეხეხეშებინა. მათ ფერხთა ქვეშ თოვლი კბილთა ღრჭიალივით ხმას გამოსცემდა. ყველანი ითოშებოდნენ. მხოლოდ ჰერცოგის მასახარა — მეტსახელად ლუდოვიკ XI³⁶ დაწრიალებდა. იგი ძალს განასახიერებდა. წინ გარბოდა, უკანვე ბრუნდებოდა, მერე ბიჭის გვერდით ოთხზე იწყებდა ხტუნვას, მაგრამ წინ სადმე ვილაციის ცხედარს თვალს რომ მოჰკრავდა, გახტებოდა, სკუპ-სკუპით მიიჩვენდა და წელწახრილი ყურში ჩასჩურჩულებდა: „თავს ცოტა ძალა დააჩანე და გახდი ის კაცი, ვისაც ჩვენ ვეძებთო“. დაფიქრების დროს აძლევდა და მერე ისევ ცოცხლებთან ბრუნდებოდა გაბრაზებული: იმუქრებოდა, იწყევლებოდა და ქოქოლას აყრიდა მკვდრების სიჯიუტესა და წელმოწყვეტილობას. და აი ასე, უსასრულოდ და გაუთავებლად. ქალაქი თითქმის აღარ მოსჩანდა, რადგან სიცივის მიუხედავად მოიქუფრა და ნისლი ჩამოწვა, თვალთან თითსაც კი ვერ მიიტანდი. მიდამო ბრტყლად და გულგრილად განფენილიყო და პატარა, შემჭიდროებულ ჯგუფს სულ უფრო ებნეოდა თავგზა, რაც უფრო წინ მიიწევდა. არავინ იღებ-

და ხმას. მხოლოდ ერთი ადევნებული დედაბერი რაღაცას ლულულულებდა გაუთავებლად და თავს აქნევდა. ალბათ ლოცულობდა.

უცბად მეწინავე შეჩერდა და მიმოიხედა. შემდეგ ოდნავ შებრუნდა ლუპისაკენ, პერცოვის პორტუგალიელი ექიმისაკენ და წინ გაიშვირა ხელი რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ყინული მოჩანდა, გაყინული გუბურა თუ ტბორი, და იქ ათიოდე დამტვრეულ-დასახიჩრებული, შიშველი და ჩინებული გვამი ეგდო. წელში მოხრილი და ყურადღებად ქცეული ლუპი ხახ ერთთან მიდიოდა, ხან მეორესთან. და სხვებმაც, ახლა ცალ-ცალკე რომ მიმოდიოდნენ, სათითაოდ ამოიცნეს ოლივიე დე ლა მარში³⁷ და კარის მღვდელი. დედაბერმა კი ჩაიჩოქა და წრიბინ-წრიბინით დაიხარა თოვლიდან ამოჩრილი ერთი დიდი, გაფარჩხული ხელისმტევნისკენ, რომლის გახევებული თითებიც უჯიათად ამოსცქეროდნენ. ყველა იქით გაემართა. ლუპიმ და კიდევ რამდენიმემ პირქვედამხობილი გვამის გადაბრუნება სცადეს, მაგრამ დამზრალი სახე ყინულს დაჰკვროდა და რომ ააგლიჯეს, ცალი ლოყა თხლად ჩამოეფცქვნა, ხოლო მეორე სულ აღარ ჰქონდა — ძაღლებსა თუ მგლებს გამოეჭამათ. სხეულიც შუაზე გადაპობოდა: ყურიდან იწყებოდა ვეება ქრილობა. ისე რომ, სახეზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

ყველამ ირგვლივ მიმოიხედა, რომაელები ხომ არ გვიდგანან ზურს უკანო.³⁸ მაგრამ მხოლოდ მასხარა დაინახეს, გაანჩხლებულმა და გასისხლიანებულმა რომ მოირბინა. რაღაც მოსასხამი ეჭირა განზე გაწვდილი და ისე ბერტყავდა, თითქოს იქიდან რაღაც უნდა ჩამოვარდნილიყო. მაგრამ მოსასხამი ცარიელი აღმოჩნდა. ადგნენ და სხვა ნიშნების ძებნა დაიწყეს, და მართლაც წააწყდნენ რაღაც წვრილმანებს, რითაც პერცოვის ამოცნობა შეიძლებოდა. ცეცხლი დაანთეს და ცხედარი თბილი წყლითა და ღვინით განბანეს. აი, ნაიარევი გამოჩნდა ყელზე და ორი დიდი აბსცესის ნაკვალევი. ექიმს ეჭვი აღარ ეპარებოდა, მაგრამ მაინც განაგრძეს ძიება. ლუდოვიკ XI-მ რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით უზარმაზარი, შავი ცხენის — მოროს გახევებული ლეში იპოვა. ამ ცხენზე ამხედრებული გამოვიდა პერცოვი იმ დღეს ნანსიდან. ახლა კი მასხარა გადაჯდა და მოკლე ფეხები ააქანავა. სისხლი ისევ სწვეთდა ცხვირიდან და პირში ჩასდიოდა, და შეამჩნიეს, რომ გემოს უსინჯავდა საკუთარ სისხლს. ვილაცას მსახურებიდან გაახსენდა, პერცოვს მარცხენა ტერფზე ფრჩხილები ჰქონდა ხორცში ჩაზრდილიო, და ყველანი ფრჩხილის ძებნას შეუდგნენ. მასხარა კი ისე ათახთახდა, თითქოს ულიტინებენო და დაიყვირა: „ე, მონსინიორ! მიუტევე ამ ბრიყვეს, რომ ისინი შენს უხეშ შეცდომებს ამზეურებენ და ვერა გცნობენ ჩემს გრძელ სახეზე, სადაც შენი სათნოებანი შეკრებილან“.

³⁷(პირველად სწორედ პერცოვის მასხარამ იხილა გაპატიოსნებულ-დასვენებული ცხედარი ვინმე გეორგ მარკიზის სასახლეში. არავინ იცოდა, როგორ მოახერხა. სუდარა ჯერ არ გადაეფარებინათ. ასე რომ, მან სრული შთაბეჭდილება მიიღო. კამზოლის სითეთრე და მოსასხამის მეწამულობა ბასრად და მტრულად ემიჯნებოდნენ ერთმანეთს ბალდახინისა და სარეცლის ორგვარ სიშავეში. წინ ოქროსდებებიანი, ხასხასა წითელი ჩექმები გაქვავებულიყვნენ. ხოლო ზემოთ: რაკი გვირგვინი მოსჩანდა, მაშასადამე გარდაცვლილის თავი ესვენა. ეს დიდი, მძიმე საპერცოვო გვირგვინი გახლდათ, მოოჭვილი ათასგ-

¹ ხელნაწერში კიდევია მიწერილი.

ვარი ძვირფასი თვლებით. ლუდოვიკ XI დინჯად მიდი-მოდოდა და ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა. ატლასიც კი გასინჯა, მიუხედავად იმისა, რომ ქსოვილებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა. კარგი ატლასი უნდა ყოფილიყო, თუმცა, ბურგუნდელთა გვარისათვის თითქოს უბრალო. უკან დაინახა, რათა მთელი სანახაობისათვის უკეთესად მოეგლო თვალი. ამ ყველაფერს მკვეთრ სინათლეში ფერები საოცრად არ ეხამებოდნენ ერთმანეთს. სხარას თითოეული ამ ფერთაგანი მჭახედ და განცალკევებულად ებეჭდებოდა მხერაში.

„კარგადაა გამოწყობილი, — აღიარა ბოლოს, — მაგრამ ზედმეტად ეტყობა მონდომების კვალი“. სიკვდილი მას თოჯინებით მოთამაშე მსახიობად ეჩვენებოდა, რომელსაც უცბად დასჭირდა ჰერცოგი.)

ასწორად იქცევთან, როცა ზოგიერთ ფაქტს, რისი შეცვლაც აღარ შეიძლება, ყოველგვარი სინანულისა და განსჯის გარეშე, უბრალოდ აღიარებენ. აგრე უნდა ვაღიარო, რომ ნამდვილი მკითხველი არასდროს ვყოფილვარ. ბავშვობაში კითხვა რაღაც პროფესიად მიმაჩნდა, რომელიც, მერე როცა გავიზრდებოდი, მრავალ სხვა ვალდებულებასთან ერთად უნდა მეტვირთა. გულწრფელად რომ ვთქვა, ზუსტად არ ვიცოდი, როდის დადგებოდა ეს ხანა. ვფიქრობდი, ალბათ მაშინ დაიწყება, როცა ცხოვრება მეტ-ნაკლებად შეიცვლება და უცებ გარედან მომეხლება, ისევე როგორც ახლა ჩემივე წიაღიდან ამოდის-მეთქი. რატომღაც მეგონა, დიდობაში ცხოვრება უფრო ცხადი, მკაფიო, ერთნიშნა და გასაგები გახდებოდა. მარტივი კი არა, არა, პირიქით: უფრო პრეტენზიული, ჩახლართული და მძიმე — ჩემს გამო, მაგრამ მაინც ხილული. მჯეროდა, იმ დროისათვის უკვე დაძლეული დი უკან მოტოვებული მექნებოდა ბავშვის უცნაურად მოუხელთებელი სამყარო: ვერგასამიჯნი, ვერგასარკვევი და ვერგასათვალისწინებელი. ცხადია, არ ვიცოდი, ეს რა გზით მოხდებოდა. სინამდვილეში, ჩემი შინაგანობა ჯერჯერობით მხოლოდ მატულობდა, ყოველი მიმართულებით ფართოვდებოდა. რაც უფრო მეტად ვიხედებოდი გარეთ, მით უფრო მეტად ვამლევარებდი საკუთარ სიღრმეს: იგი სულ უფრო უძირო ჩანდა. ღმერთმა უწყის, საიდან იღებს სათავეს ბავშვის ეს უკიდევანო, უშრეტო წიაღი. მაგრამ, ალბათ უკიდურესი სიჭარბისათვის უნდა მიეღწია, რათა ერთბაშად გადმოღვრილიყო. იოლი შესამჩნევი გახლდათ, რომ დიდებს ის ნაკლებად აწუხებდათ: დადიოდნენ, მსჯელობდნენ და მოქმედებდნენ — ვითომც არაფერი, და თუ რაიმე გაჭირვება ადგათ — სულ გარეგანი ცხოვრებით გამოწვეული.

აი, ამ დროისთვის გადავდე წიგნის კითხვა, როცა მეც შევიცვლებოდი; დიდი გავხდებოდი, ვფიქრობდი, წიგნებთან ისეთ ურთიერთობას დავამყარებ, როგორც ნაცნობებთან, და დროც იმდენი მექნება, რამდენიც ერთ ადამიანს სჭირდება-მეთქი: თანაბრად და სასიამოვნოდ მიმდინარე დრო. ცხადია, შეიძლება სხვა წერილმანებისაკენ უფრო გაეწია გულს და ალბათ ვერც უარს ვიტყოდი, ნახევარი საათი მაინც დამეთმო: გასეირნებისათვის თუ ნაცნობებთან შეხვედრისათვის; ან სასწრაფო წერილის დაწერა დამჭირდებოდა ან კიდევ მომინდებოდა რომელიმე სპექტაკლის დასაწყისი ერთხელ კიდევ მენახა თეატრში და აგრე წავიდოდა ცხოვრება. მაგრამ, ღმერთო ჩემო, ბავ-

შვობის ის ენიტგამოუთქმელი საშინელებანი ხომ ნამდვილად გამორიცხული იქნებოდა! თმა რომ უცებ ყალყზე გიდგება და მერე გადაგეტკიცება, თითქოს ვიღაც თავზე დაგაწვაო, ყურებზე ცეცხლი რომ წაგეკრება მოულოდნელად და ხელები კი რკინასავით გაგეთოშება, ან გრძელი საწითელი შენს წინ ნელ-ნელა რომ ჩაიღვენთება და ოთახი ჩაწყვდიადდება.

ამ ამბებს ახლა მისთვის ვიხსენებ, რომ ეს ყველაფერი განსაკუთრებით მძაფრად განვიცადე მაშინ ულსგორში, არდადეგებზე, როცა უცებ დავიწყე კითხვა. მაშინვე გამოჩნდა: წიგნის კითხვა ჯერ არ შემეძლო. ალბათ უფრო ადრე შევუდექი ამ საქმეს, ვიდრე მოფიქრებული მქონდა. მაგრამ იმ წელს სორიოში, ჩემს თანატოლებს შორის უნდობლად განვეწყვე წინასწარ მოფიქრებული გეგმებისადმი. იქ სწრაფი, მოულოდნელი ამბები მატყდებოდა თავს, ამბები, რომლებიც, აშკარა იყო, სულაც არ მთვლიდნენ ბავშვად. და იმ სიმძიმით მაწვებოდნენ, რა სიმძიმეც ცხოვრებაში გააჩნდათ. და რაც უფრო ჩავწვდი მათ სინამდვილეს, მით უფრო ცხადლივ დავინახე, რა უსასრულო იყო ბავშვის სამყარო. მივხვდი: ეს სამყარო არასდროს ამოიწურებოდა, იგი არ შეწყვეტდა არსებობას, თუმცა სხვა ცხოვრება უკვე დიიწყო. ვამბობდი, ყველასა აქვს უფლება საზღვარი გაავლოს ბავშვობასა და დიდობას შორის, მონაკვეთებად დაყოს-მეთქი თავისი ცხოვრება. მაგრამ ეს მონაკვეთები გამოგონილია და ვერც მე მოვახერხე მათი დადგენა: რამდენჯერაც დავაპირე, ცხოვრებამ იმდენჯერვე მაგრძნობინა: ეგეთი რამ მე არ ვიციო. მაგრამ, როცა არ დავუთმე და დავიჟინე, ჩემი ბავშვობა უკვე წავიდა-მეთქი, მაშინვე მთელი მომავალიც გადამეკარგა, და იმხელა საყრდენილა დამრჩა, რამდენიც კალის სათამაშო: ჭარისკაცსა აქვს ფეხქვეშ, რათა როგორმე დგონა შეიძლოს X

ამ აღმოჩენამ, ცხადია, კიდევ უფრო მეტად გამრიყა ყველასაგან, ჩემსავე თავში გამიჩინა საქმე და მერე იმ საბოლოო სიხარულით ამავესო, რომელიც მე მწუხარებად ჩავთვალე, რადგან იგი დიდად სცილდებოდა ჩემს მაშინდელ ასაკს. იმხანად ისიც მაწუხებდა, რომ, რაკი წინასწარ რაიმეს დაგეგმვა შეუძლებელი აღმოჩნდა, მაშასადამე, ზოგი რამ საქმის განხორციელება საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა. და აი, აგრე განწყობილი რომ დავბრუნდი ულსგორში და ყველა წიგნი ერთად დავინახე, მაშინვე ვეცი. ჩქარ-ჩქარა ვკითხულობდი და თან სინდისი მაწუხებდა. მაშინ ბუნდოვნად ვგრძნობდი, შემდეგ კი უკვე აშკარა გახდა: არც ერთი წიგნი არ უნდა აიღო ხელში, ან ყველა უნდა წაიკითხო. ყოველი სტრიქონით მთელი სამყარო მეხსენებოდა. წიგნებამდე ეს სამყარო წმინდა იყო, და ალბათ მთლიანიც — ვიდრე მათ მიღმა იდგა. მაგრამ ახლა როგორ ამომეკრიბა იგი ყველა წიგნიდან, როცა კითხვა არსებითად არ შემეძლო?! ეს წიგნები კი ეწყოთ იქ, ჩემს წინ, თვით ამ მოკრძალებულ ბიბლიოთეკაშიც ასეთი სასოწარმკვეთი სიმრავლით წარმოდგენილი: ერთმანეთის გვერდიგვერდ ჩამწკრივებულიყვნენ და ერთმანეთს გულისხმობდნენ. მე კი ხან ერთ წიგნს ვეცემოდი გონდაკარგული, ხან მეორეს, და ისე შივარღვევდი ფურცლებს, თითქოს ციხესიმაგრე მქონდა ასაღები. მაშინ წავიკითხე შილერი და ბაგესენი³⁹, ელენშლეგერი⁴⁰ და შაკსტაფელდი,“ ვალტერ სკოტის ყველაფერი, რაც იყო, და კალდერონი. ბევრი შემხვდა ისეთი წიგნი, დიდი ხნის წაკითხული რომ უნდა მქონოდა წესით, ზოგიც ისეთი, რომლის წაკითხვაც ჯერ ადრე იყო. ჩემი ასაკისთვის შესაფერი არაფერი ჩანდა, და მაინც ვკითხულობდი.

უფრო გვიან, წლები რომ გამოხდა, ზოგჯერ ასეთი რამ შემართებოდა: ღამღამობით უცბად ვიღვიძებდი და ვხედავდი, ვარსკვლავები რა ნამდვილად ენთო ზეცაზე, აღვსებული რაღაც აზრით და მნიშვნელობით, და არ მესმოდა, როგორ შეიძლებოდა ამხელა სამყაროს გაცდენა, ძილში გამოტოვება. და აი, დაახლოებით ამგვარი განცდა მეუფლებოდა წიგნის კითხვისას. უფრო მეტად თავს რომ ავიღებდი და ვხედავდი: გარეთ ზაფხული იდგა და მზის სხივები მთავრდებოდა. რაღაც მოულოდნელად დაგვემართა ეს ამბავი: რომ იგი იძახდა და მე არ ვპასუხობდი. თანაც ხსენებული უცნაურობა სწორედ ჩვენი ურთიერთობის უნეტარეს დღეებში დაიწყო. მაგრამ რაკი ერთხელ შემიპყრო კითხვამ, მეც შმაგად მივეჩაქვე და ჩვენს ყოველდღიურ დღესასწაულებს უგუნური ქედმაღლობით ვემალებოდი. მე ხომ ვერასოდეს ვახერხებდი ბუნებრივი ბედნიერების უჩუმარ ნეტარებათა შერგებას, ახლაც მოახლოებული განხეთქილების წინაშე, მომავალ შერიგებას ვპირდებოდი საკუთარ თავს, შერიგებას, რომელიც მით უფრო ტკბილი მეჩვენებოდა, რაც უფრო შორს მეგულებოდა.

სხვათა შორის, ჩემი გაბრუებული და შმაგი კითხვა ისევე უეცრად შეწყდა, როგორც დაიწყო, აი, სწორედ მაშინ, როცა გვარიანი შეხლა-შემოხლა მოგვივიდა. აბელონესაც არ დაუკლია გესლი და ბრაზი, და მერე როცა ბალის ჩეროში შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს, მიმტკიცებდა, მეც შინ ეზივარ და წიგნს ვკითხულობო. და დადგა ის კვირა დილა; თუმცა დახურული წიგნი მართლა ედო გვერდით, მაგრამ თვითონ საჭიროზე მეტად გატაცებული ჩანდა მოცხარის შეგროვებით: პაწია ჩანგლით ნელა აცლიდა მარცვლებს დახუნძლულ კუნწულას.

ისეთი დილა იყო, ივლისში რომ იცის ზოლმე: როცა მსუბუქად მიედინებოდა ცინცხალი, დასვენებული საათები და ყველგან თავისთავად ხდება რაღაც სასიხარულო. მილიონობით უნებლიე მოძრაობისაგან იკვრება უსახლვროდ დამაჯერებელი ყოფიერების მოზაიკა. საგნები თითქოს ერთმანეთში და ჰაერში ვაბრირებენ, ჰაერის სიგრილე ჩრდილებს ამკაფიოებს, მზის ნათებას კი ჰაეროვან, სულიერ ნათებად აქცევს. ასეთ დროს ბალში არ არსებობს მთავარი და არამთავარი. ყველგან ყველაფერია, და ყველაფერში უნდა ჩაერთო, თუკი გინდა, არაფერი გამოგრჩეს.

აბელონეს ამ უბრალო საქმიანობაში ბალის ეს დიდი მთლიანობა მეორდებოდა. რა ბედნიერი გამოგონებაა, აი ეს — რასაც და როგორც აბელონე აკეთებს-მეთქი, გავიფიქრე. მისი ჩრდილდაფენილი, თეთრი ხელები შეხმატკბილებულად და მსუბუქად ფუსფუსებდნენ, ჩანგლის კბილებიდან კი ყოჩაღად ხტებოდნენ მოცხარის მარცვლები ვაზისცვრიანფოთოლჩაფენილ ჯამში, სადაც ადრე ჩაყრილი მარცვლები გროვა-გროვა შეჭგუფულიყვნენ: წითელ-ვარდისფერი, მბზინავკანიანი, ციციქნა ნაყოფები, ჯანმრთელ კურკებს რომ მალავდნენ მკვრივ წილში. არაფერი მსურდა იმის გარდა, აგრე ვმდგარიყავი და უსასრულოდ მეცქირა მისთვის. მაგრამ ვიცოდი, არ დამაცლიდნენ, და მეც ვითომ უშუალოდ და ლალად ვიქცევი-მეთქი, ავდექი და ისევ წიგნს ვეცი, მეორე მხრიდან მივუჩაქი მაგიდას, და დიდხანს არ მიფურცლია, სადაც ჩავეშვი.

„ეგებ ხმამალლა მაინც წაიკითხო, წიგნის ჭიავ!“ — ჩაილაპარაკა აბელონემ ცოტა ხნის შემდეგ. რადგან მისი სიტყვები არცთუ გამომწვევად ეღერდა, და კიდევ იმიტომ, რომ ვიფიქრე, დროა ანგარიში გავათანაბროთ-მეთქი,

და რამდენჯერ შესცვალე სხვა სამყაროთი, როცა ყველას მშვიდად ვძინა. რა თანხმობაში იყავი ღმერთთან, როცა მას ყოველ დღე-ცისმარე ახალ დღედა-მიწას ევედრებოდი, რათა ყველა იქ მისულიყო ყველა, ვინც შექმნა ღმერთობად გეჩვენებოდა დედამიწის დაზოგვა, გაუმჯობესება. შენ მის ღმერთობად ხარჯავდი და ხელებს იწვდიდი სულ უფრო დიდი სიმკაცრისთვის. რადგან შენი სიყვარული ყოველივეს შეზრდოდა. ბიზლიჩიშვილი

განა შეიძლება, რომ ირგვლივ ყველა შენს სიყვარულზე არ ლაპარაკობს? განა უფრო დიდი რა სასწაული მოხდა მას შემდეგ? უფრო დასამახსოვრებელი? ნეტავ, ასეთს რას საქმიანობენ, რომ არ სცალიათ? თავადვე იცოდი შენი სიყვარულის ფასი და ყადრი და ხმამაღლა უთხარი შენი ქვეყნის უდიდეს პოეტს, რომ იგი შენს გრძნობას მეტისმეტად ადამიანურს ხდიდა. ეს სიყვარული ჯერ ისევ სტიქიონი იყო, მან კი პოეტმა, ხალხს მოჰფინა, როცა მოგწერა. აწ ამ პასუხებს კითხულობს ყველა და მათი უფრო ესმით და სჯერათ, ვიდრე შენი სიყვარულისა. რადგან ხალხისთვის პოეტი მუდამ ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე ბუნება. მაგრამ ერთხელაც ეგებ გამოჩნდეს, რომ ხსენებული პასუხები იყო სწორედ ზღვარი მისი სიდიადისა. ეს მეტრფე ქალი მას დაეკისრა და მან ვერ გაუძლო ამ დავალებას. აბა, რას ნიშნავს: „პოეტს არ შეეძლო მის გრძნობაზე ეპასუხაო“. ასეთ სიყვარულს შეგებება არა სჭირდება, იგი ძახილსაც და პასუხსაც თვითონ შეიცავს. იგი თავის თავს თვითონ უსმენს, თვითონ შეისმენს. პოეტს ჰმართებდა თვინიერებით აღვსილიყო წინაშე ამ სიყვარულისა და პათმოსზე მუხლმოდრეკილ იოანესავით⁹ დაჩოქილს ჩაეწერა ორივე ხელით, რასაც ეს ხმა უკარნახებდა, და ელაღადა მთელს სამეფოში. ამ ხმის წინაშე არჩევანი არ არსებობდა, ხმისა: „ანგელოზთა სამსახურად რომ ამწესებდა“. ეს ხმა მოვიდა. რათა პოეტს შემოხვეოდა და მარადისობის სიმაღლეში ზეაეტაცა, ის იყო ეტლი მისი ცეცხლოვანი ცადამაღლებისთვის. ამ სიყვარულმა მას განუმზადა სიკვდილის ცხელი, ბნელი მითოსი, რომელშიც იგი ვერ ჩასახლდა და გააცუდა.

× ბედისწერას უყვარს ნიმუშებისა და სამბოლოების გამოგონება. მისი სიძნელე — სირთულეშია. ცხოვრება კი ძნელია უბრალოების გამო. მას მხოლოდ რამდენიმე საგანი აქვს ჩვენთვის მიუწვდომელი სიდიდისა. წმინდანი, უარყოფს რა ბედისწერას, ამ საგანთ ირჩევს — ღმერთის პირისპირ. მაგრამ რომ ქალმა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე იგივე უნდა აირჩიოს მამაკაცთან მიმართებაში, — იწვევს ყველა სასიყვარულო ურთიერთობის უბედურებას. გადაჭრით და უბედისწეროდ, როგორც უკვდავი, დგება იგი მამაკაცის გვერდით, მამაკაცისა, რომელიც მუდამ გარდაიქმნება. მეტრფე კი სატრფოს მარადუამულად აღემატება, რადგან ცხოვრება უფრო დიდია ვიდრე ბედისწერა. მეტრფეს სწყურია: უსამანოდ მიეცეს სატრფოს. აი, მისი ბედნიერება. ხოლო ენით უთქმელი ტანჯვა მისი სიყვარულისა მუდამ ეს იყო: მისგან ითხოვდნენ, შეეზღუდა ეს თავმიცემა. ×

დასაბამიდან სულ ამაზე ჰგოდებდნენ ქალნი: ამ მოთქმას ვუსმენთ პირველ ორ წერილში ელიოზასი,¹⁴ და ხუთასი წლის შემდეგ კვლავ აღსდგება იგივე გოდება პორტუგალიელი ქალის ყველა წერილში, ფრინველთა გადაძახილს მოგვაგონებს ვაება მათი და ამდაგვარი სიყვარულის უნათლეს სივრცეს

უცხად გაკვეთავს საფოსტოს შორზე-შორი სახეობა, რომელიც ვერ იპოვეს საუკუნეებმა, რადგან ბედისწერაში ეძებეს იგი.



ქართულად

ვერასოდეს გავბედე იმ კაცისგან გაზეთი მეყიდა. რა ღმერთი ქართულა დააქვს ერთი-ორი ნომერი მაინც იმ ძველი ჩანთით, ლუქსემბურგის პარკის მოაჯირს რომ მიუყვება ქუჩის მხრიდან მთელი საღამო? ზურგი მესერისკენ მიუქცევია და ხელს კედელზე მიაცურებს, საიდანაც გისოსები ამოზიდულან. ისე ბრტყლად ეკვრის რკინის მოაჯირს, ყოველდღე ათასობით ადამიანი ჩაუვლის წინ და ვერავინ ამჩნევს. თუმცა მას ჯერ კიდევ შერჩენია ხმის ნალევი და გამვლელთაც უხმობს, მაგრამ ის ხმა იმ შარიშურს ჰგავს, ალის პარპალი რომ გამოსცემს ღუმელში ან ლამპის შუშაში, ან თავისებური შუაღედებით რაღაც რომ წვეთს მრუმე მღვიმეში. და ისეა ეს ქვეყანა მოწყობილი, რომ ასობით ადამიანი სწორედ იმ მოკლე შესვენებებზე ჩაუვლის ხოლმე, როცა ეს კაცი ყველაზე უფრო უჩუმარია ამქვეყნად მოძრავ საგანთა შორის: როცა ეს კაცი ისე გადაადგილდება როგორც საათის დიდი ისარი, ვით ისრის ჩრდილი, როგორც თავად დრო. რა უსამართლოდ ვიქცეოდი, როცა არ მსურდა მისკენ გახედვა. მრცხვენოდა დაწერა, რომ მის სიახლოვეს დანარჩენ გამვლელთ ავუწყობდი ხოლმე ფეხს, თითქოს მის შესახებ არცრა მცოდნოდეს. და შემდეგ მესმოდა: „La Presse“-ო უღონოდ მეორედაც რომ დაიძახებდა, და მესამედაც — სწრაფი შუაღედებით, ხალხი აქეთ-იქით იხედებოდა: მის ხმას ეძებდა. აქ კი ნაბიჯს ვუჩქარებდი და სხვებზე აღრე მივდიოდი, თითქოს ვერაფერს გამჩნევდი ირგვლივ, თითქოს საკუთარ თავში ვიყავი ჩაძირული.

არადა, მართლა ვიყავი ჩემშივე დანთქმული, რადგან ვლამობდი, ეს კაცი წარმომედგინა. საკმაოდ ძნელი ამოცანა გახლდათ: შემეთხზა ამ ხმის პატრონი. ოფლიც კი ჩამომდიოდა დაძაბულობისგან. მე ის უნდა შემექმნა, როგორც მიცვალებულთ ქმნიან წარმოსახვაში, გარდაცვლილთ, რომელთა ამსახველი არავითარი საბუთი არ დარჩენილა. მათ ყოველ ნაკვეთს შენი სული-სგან უნდა შეასხა ხორცი. ახლა ვიცი, ამ საქმეში მცირეოდენ ქრისტეს გარდამოხსნილ სხეულებზე ფიქრიც მშველოდა. სპილოს ძვლისაგან ნაკვეთ ასეთ სხეულებს ირგვლივ ყველგან ნახავდით — ძველი ნივთებით მოვაჭრეებთან. პიეტაზე ფიქრი ხან წინ იწევდა ჩემს გონებაში, ხან უკან იხევდა. და ალბათ იმისთვის ხდებოდა ეს ყველაფერი, რომ მკაფიოდ წარმომედგინა: მისი მოვრობო სახე გვერდზე როგორ გადახრილიყო, თავს როგორ იმაგრებდა აგრე გვერდულად, ამ სახეს როგორ მოსდებოდა ჩავარდნილი ლოყების ჩრდილებში უნუგეშოდ ამოზრდილი წვერი და როგორ მტკივნეულად ჩაეკეტა სიბრმავეს უდაბური იერი მისი ზემოთ აწეული სახისა. მაგრამ, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი წრვილმანისგან შედგებოდა ეს უცხო კაცი, რომლებიც აუცილებლად უნდა წარმომედგინა, რადგან იმთავითვე მივხვდი: ამ წვრილმანებიდან ყველაფერი მთავარი იყო; ისიც, თუ როგორ აჩენდა უკანგადაქანებული პალტო თუ პიჯაკი მთელ საყელოს, თაღად რომ ამობურცულიყო თითქოსდა ნიშნეჭრილი კისრის გარშემო, კისრისა, რომელსაც არც ეხებოდა; მისი მომწვანო-მოშავო კაშნე, კისერ-საყელოს ერთიანად რომ შემოხვეოდა, და განსაკუთრებით კი ძველი, მადლა აზვირთული, მომრგვალებული ქუდი, რო-

მელიც ისე ეხურა, როგორც საერთოდ ახურავთ ბრმებს: უსინათლონი ხომ ვერ ახერხებენ ქუდი თავიანთი სახის წყობას შეუხამონ და ამ დანამატი საგნისა და საკუთარი თავისაგან რაიმე ახალი, გარეგნული ერთიანობა შექმნან. ქუდი ისე ახურავთ, როგორც რაღაც სრულიად უცხო საგანი, რომელიც/და-ხურვაზე დაიყოლიეს.

ვიდრე მისკენ გახედვა მეშინოდა, ჩემი წარმოსახვა დრფსკულქსურად და ბოლოს ისე გაშალა ფრთები, რომ ამ კაცის სახე უეცრად, სრულიად უმიზნოდ შენივთდებოდა ხოლმე ჩემში. იგი ისეთ უსაშველო ტანჯვა-ვაებას გამოხატავდა, რომ ამ გაუსაძლისი ხატით გაწამებულმა გადავწყვიტე, ჩემი წარმოსახვის მზარდი მოწადინებისთვის ნამდვილი ფაქტით დამესვა წერტილი: გადავწყვიტე, მაშინვე ჩამეველო ამ კაცის წინ და მისთვის ყურადღებით შემეხედა.

მაგრამ უნდა იცოდეთ: გაზაფხული ახლოვდებოდა. დღის ქარი ჩაცხრა, გრძელი ქუჩაბანდებიც კარგ გუნებაზე ჩანდნენ. მათ ბოლოში სახლები კაშკაშებდნენ, ბრწყინავდნენ როგორც თეთრი ლითონის ახალი ნაპრალები. ოღონდ განსაცვიფრებლად მსუბუქი ლითონისა. ფართო, შორსმიმსწრაფ ქუჩებში ხალხი ირეოდა და თითო-ორი ეტლს ზედ არ უყურებდნენ. კვირა დღე უნდა ყოფილიყო.

სან-სულპიცის 46 სამრეკლოები ხალისიანად და ლაღად გამოიყურებოდნენ, თითქოს უეცრად კიდევ უფრო გამაღლებულიყვნენ ამ უქარობაში. და ვიწრო, თითქმის რომაულ ქუჩაბანდებს შეუმჩნეველად გააყავდი გარეთ: წელიწადის დროში. ბაღში და ბაღს გარეთაც იმდენი ხალხი ირეოდა, რომ ის მაშინვე ვერ დავინახე, ან ეგებ მაშინვე ვერ ვიცანი იმ ზიმზიმში?

შევხედე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი წარმოსახული ხატი კაპიკად არ ღირდა: ამ კაცის სიდუხჭირე არავითარ სიფრთხილეს არ იჩენდა, ყოველად დაუფარავად გადმოღვრილიყო. ამ უკიდევანო სივალაღის წარმოდგენა ჩემს ძალებს აღემატებოდა. მე გამომრჩენოდა მისი დგომის გადახრის კუთხეც და ის საშინელებაც, რითაც მას თავისი ქუთუთოს შიდამხარე ალაგსებდა. მის პირზედაც არ დავფიქრებულვარ, ავზის ღია სადინარივით რომ ჩავარდნილიყო. შეიძლება, მოგონებანი ჰქონდა ოდესღაც, მაგრამ ახლა უკვე ვეღარაფერი აღწევდა მისი სულის წაადში ყოველდღიური კედლის ამორფული შეგრძნების გარდა, კედლისა, რომელზედაც მისი ხელი ცვდებოდა. გავჩერდი და ვიდრე ყველაფერ ამას თითქმის ერთდროულად აღვიქვამდი. მივხვდი: სულ სხვანაირი ქუდი ეხურა, და ეჭვი არ-იყო, საკვირაო, ყვითელიისფერი, კუბოკრული კაშნე ეკეთა. ხოლო ქუდს რაც შეხება — ეს გახლდათ იაფი, მწვანებაფთიანი ჩალის შლაპა. ცხადია, ფერები საერთოდ არაფერ შუაშია, და რა წვრილმანობაა, რომ მახსოვს! მხოლოდ იმის თქმა მსურდა, რომ ამ ადამიანის მმოსავი ფერები მაგონებდა უნაზეს ღინდლს ჩიტის მუცელზე: იგი ხომ ამ ფერებს ვერ ხედავდა, არ შეჰხაროდა, და სად იყო ის კაცი (ირგვლივაც კი მიმოვიხედე), ვისაც ძალა შესწევდა ეფიქრა: რომ ეს სახელმწიფო ამ უბედურის გულისთვის არსებობდა?¹⁷

ღმერთო ჩემო, ღმერთო! — შმაგად გამახსენდა, — მაშასადამე, შენ ხარ! თურმე არსებობს საბუთი შენი არსებობისა! ეს საბუთები შეგნებულად დავივიწყე და აღარც ერთი აღარასდროს მომიტხოვია, რადგან რა შემზარავ პასუხისმგებლობას დამაკისრებდა შენი არსებობის უეჭველი ცოდნა. მაგრამ აი, ახლა სახეზე ამეფარა ეს ნივთმტკიცება. აი, ასეთი გემოვნება გაქვს,

სივალაღე გესათნოება, ნეტავ გვესწავლა: ყველაფრის გაძლება — განუს-
ჯელად და განუკითხავად.

რა არის სიმძიმე? რა არის წყალობა? — მხოლოდ შენ უწყი,
ოლონდ, ერთხელ კიდევ რომ დაზამთრდება და ახალი პალტოს შეძენა
დამჭირდება, შემეწიე, ახალივით ვატარო იგი, ვიდრე ახალი იქნება.

ეროვნული
გინგულიცოცხა

არა, ამათგან გამორჩევა კი არ მინდა,¹⁸ ამათზე უკეთესი, თავიდანვე ჩემი
ტანსაცმელი რომ მაცვია; საჭიროდ რომ ვთვლი, თავზე საკუთარი ჭერი მე-
ხუროს, არა, აგრე შორს როდი მივდივარ. უბრალოდ, ვერასოდეს გავბედავ
მათსავით ცხოვრებას. მე რომ მკლავი გამხმობოდა, ალბათ დავშალავდი. ის
ქალი კი (არ ვიცი, სხვა დროს ვინ იყო) ყოველდღე ჩნდებოდა კაფეების ტე-
რასათა წინ. თუმცა ძალზე უჭირდა პალტოს გახდა და რაღაც გაუგებარი კა-
ბიდან და კაბისშიდა ბოლოკაბიდან ამოპრომა, ძალ-ღონეს მაინც არ იზოგავ-
და: იხდიდა და იხდიდა. თან ისე ნელა, უფრო ნელა გახდა ვერც წარმო-
მიდგენია. შემდეგ კი ჩვენ წინ იდგა მორიდებულად: დაგრეხილ, გამხმარ-
მკლავიანი და ყველა ხედავდა, რომ ეს მკლავი აღარ ვარგოდა.

არა, მათგან გამორჩევა ნამდვილად არ მინდა. მაგრამ ჩემს თავზე დიდი
წარმოდგენა უნდა მიქონოდა, შათებურად ცხოვრება რომ მომენლომებინა.
ვერა, ვერ დავემსგავსები არც მათსავით ძლიერი ვარ და არც მათი საზო-
მები გამაჩნია. მე ჩემს თავს ვაბურებ და პურობიდან პურობამდე ყოველგ-
ვარ საიდუმლოს მოწყვეტილი ვარ. ისინი კი თავს ისე ირჩენენ და ინახავენ,
თითქოს უკვდავები ყოფილიყვნენ. იმ თავიანთ კუთხეებში დგანან ყოველდღე,
ნოემბრის თვეშიც, და არ ყვირიან ზამთრის წინაშე. მერე ნისლი მოდის, მაკ-
ბურავს და აბუნდოვანებს. ისინი მაინც დგანან და დგანან. წასული ვიყავი,
გმოგზაურობდი, ვიავადმყოფე. ბევრი რამ შემემთხვა, ხოლო ისინი არ და-
ხოცილან.

¹(არ ვიცი, არა, როგორ დგებიან სკოლის მოწაფეები დილაადრიან რუხ-
სუნიანი ყინვით ავსებულ ოთახებში. ვინ აძლევს ძალას სიჩქარით აცახცახე-
ბულ ამ პატარა ჩონჩხებს, გაიქცნენ, გაიქცნენ უფროსთა ქალაქში, ნღვრიე
რიერაჟში, მარადიული სასწავლო დღისკენ: ჯერ ისევ სრულიად პატარა ბავ-
შეები, მუდამ სავსენი წინათგრძნობებით, ყველგან ყოველთვის დაგვიანებუ-
ლნი. წარმოდგენა არა მაქვს იმ უზარმაზარ, საიდუმლო თანადგომაზე, რასაც
ბავშვები ერთთავად ხარჯავენ საწვავივით).

ეს ქალაქი სავსეა იმგვარი ადამიანებით, ნელ-ნელა მათკენ — ფსკერზე
მყოფთაკენ რომ ეშვებიან, უმეტესობა ჯერ იშრიტება და იფანტება. მაგრამ
არიან ხანშიშემავალი, ძლიერი, სრულიად დაუხარჯავი ქალიშვილებიც, ამქ-
ვეყნად არავის რომ არ ყვარებია. ისინი გაუბრძოლებლად ნებდებიან ბედს.

უფალო ჩემო, ვგების ფიქრობ, რომ სწორედ მე უნდა მივატოვო ჩემი
ცხოვრება და ეს ქალიშვილებიც მე შევიყვარო? მაშ, რატომ მიმძიმს აგრე
ქალიან, არ დავედევნო, როდესაც ისინი გამისწრებენ ხოლმე ქუჩაში? და რა-
ტომ ვიწყებ მაშინ ერთბაშად უმხურვალეს-ულამეულეს საალერსო სიტყ-
ვების შეთბზვას და რად მილღვება ხმა გულსა და ბნელ ხორხს შორის ნეტა-

¹ ხელახაწერში კიდევუა მიწერილი.

რებისგან? რატომ წარმოვიდგენ ხოლმე, რომ ჩემი სუნთქვით უსაზღვროდ ნა-
ზად ვათბობ, ვაცოცხლებ ამ დიდ თოჯინებს, რომლებითაც ცხოვრებამ ითა-
მაშა გაზაფხულობით, ტყუილად, არაფრის შესაგებებლად რომ უშლიდა
მკლავებს, ვიდრე მხრისთავები არ მოუფამფალდათ. ისინი დიდი იმედის სიმა-
ღლიდახ არასოდეს ჩამოცვენილან და ამიტომ არც დამსხვრეულან. მაგრამ
გაცვდხეხ კი და ცხოვრებისთვის აღარ ვარგანან. უბატონო მკვლელებს
ეწვევიან. შეღამებისას. ისინი შეუმჩნეველად უკაწრავენ შემსწრებს
და მათ მკერდზე იძინებენ საბანზემოდან. ზოგჯერ ორი ქუჩის მანძილზე გავე-
დევნებო, ისინი ნელა მიუყვებიან სახლების რიგს, და მოდის და მოდის ხალ-
ხის ნაკადი, თანდათან ფარავს, და ისინიც უჩინარდებიან, თითქოს არც ყოფი-
ლან.

და მაინც, თუკი ვინმე შეეცდება მათ შეყვარებას, მეტისმეტად გაუჭირ-
დება. რადგანაც ეს ქალიშვილები უკვე ძალზედ შორს არიან თავიანთი მარ-
ტობის გზაზე წასულნი, და იძულებულნი გახდებიან, შეჩერდნენ და დაუ-
ცადონ იმ აღამიანს. ალბათ მათ ატანას იესო ქრისტე შესძლებდა მარტო.
რომლის მთელი სხეული ჯერ ისევ თრთის აღდგომის თრთოლვით, მაგრამ
მას ესენი არ აინტერესებს. მას მეტრფენი იზიდავენ მხოლოდ და მხოლოდ,
მეტრფე ქალები და არა ისინი, სატრფოდ ყოფნის პატარა ნიჭით რომ დგანან
და იცდიან, თითქოს ცივი ლამპარი სჭეროდეთ ხელში.⁴⁹

ვიცი, თუკი უმძიმესი ბევდრი მიწერია, ვერას მიშველის. მათზე უკეთეს
ტახისამოსს თავს რომ ვაფარებ. განა თვით მეფეს, უზენაესი მეუფებით გა-
რემოსილს, არ მისწვდა ბედისწერა, აღზევების ნაცვლად ფსკერზე რომ და-
ძირა და შეუერთა ყველაზე ბედკრულთ? მართალია, ზოგჯერ სხვა მეფეების
უფრო მჭეროდა, თუმცა ძველი ბაღნარები მათ შესახებ აღარას ამბობენ,
მაგრამ ახლა ღამეა, ზამთარია, მე ვიყინები და მწამს ის მეფე, უბედურებამ
ვინც აირჩია. რადგან დიდებულება — წამია მხოლოდ, ჩვენ კი არა გვინახავს
სივალაღეზე უფრო ხანგრძლივი. ხოლო მეფემ ეამთა ტრიალს უნდა გაუძ-
ლოს.

განა იგი ერთადერთი კაცი არ არის,⁵⁰ რომელმაც თავი შეინარჩუნა თა-
ვისი სიგიჟის დიდ სიბნელეში, როგორც ცვილიანას ნაზ ყვავილებს ახარებენ
მიხის ხუფებქვეშ? სხვა მეფეთათვის ხანგრძლივ სიცოცხლეს ევედრებოდ-
ნენ არსთა გამრიგეს ეკლესიებში. ამას კი კანცლერმა ეან შარლ ერსონმა⁵¹
მოსთხოვა: მარადიულად უნდა იყო. და ეს მაშინ, როცა მეფე ყველაზე გან-
წირული გამხდარიყო მთელ სამეფოში, წმინდაწყლის სილატაკეში დანთქმუ-
ლიყო, თავისი გვირგვინის მიუხედავად.

მაშინ იყო, ეამი-ეამ უცხოვრად გადაცმული, სახეშემურული კარისკაცები
მეფეს საწოლშივე რომ ესხმოდნენ თავს, რათა წყლულებში ჩახრწნილი ძვი-
რფასი პერანგი რამენაირად წაეძროთ ტანიდან, პერანგი, რომელიც, უკვე რა
ხანია მეფეს საკუთარი სხეული ეგონა. ბნელოდა ოთახში. და ისინი ფლეთდ-
ნენ და ფლეთდნენ ჩაძენძილ ქსოვილს მეფის გაბევებულ, უგრძობ მკლავებ-
ქვეშ. ერთხელაც, ერთმა მათგანმა ჩირადდანი აანთო და მაშინდა დაინახეს
მეფის მკერდზე ღია ჭრილობა, სადაც რკინის ავგაროზი ჩაძირულიყო, რად

გან მას მეფე ყოველლამე მკერდზე იჭერდა თავისი სიშმაგის მთელი ძალ-
 ღობით და აი, ახლა ღრმად ჩაქროდა შემაზრზენად ძვირფასი ნივთი: ჩირქის
 მარგალიტებით ქობამოვლებული, როგორც სასწაულმოქმედი წარჩენი რე-
 ლიქციის მეწამულ ღრმულში. უფრო ამტანი მსახურები მოაყვანა, მაგრამ
 ვერც ისინი მოერივნენ ზიზღს, როდესაც მყუდროებადად დაეცა ქრისტიან-მატ-
 ლები ზედ შეაცოცდათ ფლანდრიული ხავერდის ნაფლგებები და შეუმჩ-
 ხველად სახელოებშიც შეუსავსავდათ. ნათლად ხედავდნენ, ხელმწიფის საქ-
 ძე მთლად წასულიყო Parva regina-ს⁵² სიკვდილის შემდეგ. ადრე ამ
 დღეში არ იქნებოდა, რაკი იმ გოგონას — აგრე ნორჩსა და აგრე კრიალას
 — შეეძლო მისი სარეცელის გაზიარება. მაგრამ ის მოკვდა და ვე-
 ლარავინ ბედავდა ამ ცოცხალი მძორისათვის თანამწოლის შეთავაზებას; რად-
 გან მოკვდა და თან წაიღო სიტყვები და მოფერებანი, რითაც მეფეს აღმო-
 ბიერებდა და ამშვიდებდა. და აწ ველარავინ შეელწია ამ გაპარტახებული სუ-
 ლის უდაბურობაში, აღარავინ ეხმარებოდა, რომ მეფეთ-მეფეს თავისი წია-
 ლის ხრამ-ხევებიდან გამოეღწია. და ვერვინ მიხვდა, ერთხელ უეცრად თავი-
 სით როგორ გამოვარდა იმ სიბნელიდან, პირუტყვივით ხარბმზერიანი, პირუ-
 ტყვივით საბალახოდ რომ მიიჩქარის. და როცა მაშინ ქიუვენალის⁵³ საქმიან-
 ნი სახე შეიცნო, სახელმწიფო გაახსენდა, ისეთი, როგორც დასტოვა ბო-
 ლოს, და მოინდომა დასწეოდა ყოველივეს, რაც გამოსტოვა.

მაგრამ იმ დროის მოვლენები ისეთი გახლდათ, რომ ლმობიერად ვერ აც-
 ხობებდნენ. თუ რამ ხდებოდა, ხდებოდა მთელი თავისი სიმძიმით, და რო-
 ცა უყვებოდნენ, თითქოს ერთ გაბმულ სპექტაკლს ისმენდა. ან რა უნდა გამოე-
 ყო იქიდან, რომ მისი ძმა მოკლეს,⁵⁴ რომ ვუშინ ვალენტინა ვისკონტიმ,
 ვისაც მეფე საყვარელ დას უწოდებდა, დაუჩოქა და დამახინჯებულ-მომჩივანი
 სახის გოდებას ქვრივის სამგლოვიარო პირბადე ახადა? დღეს კი სასტიკი,
 სიტყვაუხვი დამცველი იდგა და იმდენ ხანს ასაბუთებდა სამეფო მკვლელის
 წმინდა უფლებას, ვიდრე დანაშაული ერთიანად არ გამჭვირვალდა და აკაშ-
 კაშდა, თითქოს აგრე ნათელმოსილს ცად აშაღლება განუზრახავსო. სამარ-
 თლიანობად ყველას გამართლება ითვლებოდა: და ვალენტინა ორლენელი
 მწუხარებით გარდაიცვალა, თუმცა შურისძიებას შეჰპირდა მეფე. ან რა აზ-
 რი ჰქონდა, ბურგუნდიის პერცოგი რომ შეიწყალა, ერთხელ, მეორედ და
 უსასრულოდ რომ იწყალებდა. იგი სასოწარკვეთის პირქუშმა სიშმაგემ შეიპ-
 ყრო და რამდენიმე კვირა არგილის უღრან ტყეში ბინადრობდა, თავის კა-
 რავში. თან ამტკიცებდა, ღამ-ღამობით ირმების ყვირილი მინდა ვისმინო,
 ეგებ ცოტაოდენი შვება ვნახო.

აი, ამ ყველაფერს ჩაუფიქრდა, თავიდან ბოლომდე, და ამასობაში ხალ-
 ხმაც ითხოვა, მეფე გვანახეთო, და იხილეს: თავგზააბნეული და უნუგეშო. მაგ-
 რამ ხალხს გაეხარდა მეფის დანახვა, რადგანაც მიხვდნენ, სწორედაც რომ ეს
 იყო მეფე: ეს მშვიდი, თვინიერი აღამიანი, რომელიც ახლა აგრე წყნარად,
 უჩუმრად იდგა, რათა ღმერთს თავისუფლად ემოქმედა მის მიმართ და დაეტე-
 ხა ის დრტვინვა-სიშმაგე, რასაც უამი-უამ ატებდა თავს. იმ ნეტარ წუთებში,
 როდესაც მეფე სან პოლის სასახლის აივანზე იდგა, ალბათ თავის საიდუმ-
 ლო, შინაგან წინსვლას გრძნობდა გუმანით. და მას გაახსენდა როზბეკის ის
 დღე,⁵⁵ როდესაც ბიძამისმა, პერცოგმა ბერიელმა⁵⁷ ხელი ჩასჭიდა და თავი-
 ახთი პირველი დაგვირგვინებული გამარჯვება დაანახა. და ის კენტერში, ნო-
 ვემბრის საოცრად გრძელ-ნათელ დღეს მონუსხული გადასცქეროდა შედედე-

ბულ მასას ხალხისას. იმ ჭყლეტაში ადამიანებმა ერთმანეთი გაგუდეს, როცა ყოველი მხრიდან მიაწყდნენ მხედრები. ერთმანეთში აზელილები, ისინი განტური ტვინის მსგავს გროვებად დახვავებულყვნენ. თვითონ შეგროვდნენ აგრე, რადგან შემჭიდროვება, ერთმანეთთან ახლოს ყოფნა უნდოდათ. მაშინ მას სუნთქვა ეკვროდა ამდენი გაგუდული სახის დანახვაზე. ვერცხვანობა-ნა განცდა, რომ ჰაერი აღარ დარჩა, რადგან იმ სივიწროვებში — ჰაერს შეუძლებელი იყო შეღწევა მდგომი გვამებიდან აღმომხდარი ურიცხვი სასოწარკვეთილი სულით გაიჭედა მთელი ის სივრცე.

და მეფეს შთააგონეს, რომ სწორედ იმ დღეს დაიწყო მისი დიდება, და დაიძახსოვრა. მაგრამ თუ ის დღე სიკვდილის ტრიუმფი იყო, ახლა მისტერია იშლებოდა სიყვარულისა. სხვათა შემხედვარეს ესმოდა: იმ ხოცვა-ჟლეტის გაგება შეიძლებოდა, იმგვარ საშინელებას წარმოადგენდა იგი. მაგრამ რაც ახლა მეფის სულში ხდებოდა, შეუცნობელი იყო და შეუცნობლად სურდა დარჩენა. მეფეს თავისი სულის საიდუმლო ისეთივე სასწაულად ეჩვენებოდა, როგორც ოქროსსაყელურიანი ირემი,⁵⁸ რომ ბეკის ბრძოლის წინ სენლის ტყეში რომ დაესიზმრა. მაგრამ ახლა თავად იყო სხვათა ხილვა, სხვათა სიზმარი, და ის სხვანი ჭვრეტად ქცეულიყვნენ. მეფემ იცოდა: იმგვარსავე მოლოდინს აეტანა სუნთქვაშეკრული მისი მკვრეტელი, როგორმაც იგი შეიპყრო ერთხელ სიჭაბუკეში, ნადირობისას: როდესაც თვალეზადქცეულმა, მწყაზარმა სახემ ტოტებ-ფოთლებიდან ამოანათა. მისი ხილვადობის საიდუმლო მის მშვიდ სხეულზედაც ვრცელდებოდა. არც კი ირხეოდა შიშისაგან: არ გავექრეო. ვიწრო ღიმილს მეფის უბრალო, ფართო სახეზე — წმინდანთა ქანდაკებებისა არ იყოს — ბუნებრივი მუდმივობა შეეძინა, და არ ქანცავდა. აგრე იდგა სულგანაბული და გრძნობდა, ეს იყო წუთები, რომლებიც შეკუმშული მარადისობაა. ხალხი ამას როგორ გაუძლებდა. უსასრულოდ გაზრდილი ნუგეშით დაპურებულმა ბრბომ სიხარულის ყიყინით გააპო სიჩუმე. მაგრამ ზემოთ, აივანზე ჯერ მხოლოდ ჟიუვენალ დეზიურსენი იდგა, რომელმაც, ჩაცხრა თუ არა ყიყინა, დაიძახა: მეფე სენ დენის ქუჩაზე⁵⁹ მიბრძანდება უფლის ვნებათა მშობასთან, მისტერიის სანახავადო.

ასეთ დროს მეფეს ღმობიერება და სინაზე ავსებდა. იმ დროის მხატვარს სამოთხის ბინადართა ასახვა რომ მოენდომებინა, მეფის დაწყნარებულ სახეებზე უფრო სრულყოფილ ნიმუშს ალბათ ვერც იპოვიდა — როცა მეფე ლუვრის მაღალ ფანჯარაში რინდდებოდა, თავისი დამრეცი მხრების თაღს შებჭენილი. იგი ქრისტიანე პიზანელის⁶⁰ მომცრო წიგნს ფურცლავდა, „ხანგრძლივი სწავლის გზა“ რომ ერქვა და მას ეძღვნებოდა. მეფე როდი კითხულობდა განსწავლულ პაექრობებს იმ ალეგორიული პარლამენტისა, რომელსაც შიზნად დაესახა, ეპოვა თავადი, მსოფლიოზე ბატონობის ღირსი რომ იქნებოდა. წიგნი ყოველთვის ყველაზე უბრალო ადგილას გადაეშლებოდა ხოლმე, იქ, სადაც გულზე იყო ლაპარაკი, გულზე, რომელიც ცამეტი წელიწადი მხოლოდ იმიტომ ეხურა ტკივილებს ცეცხლგამძლე კოლბასავით, რომ სიმწრის წყალი გამოეხადა თვალებისათვის. და მეფემ შეიცნო: ნამდვილი ნუგეშში სწორედ მაშინ აღმოცენდა, როცა ბედნიერება საკმარისად განქარდა, სამუდამოდ განეშორა. და არაფერი იყო მეფისათვის ამ ნუგეშზე უფრო აბლობელი. და როცა მზერას გაღმა გადებულ ხიდს მიაპყრობდა, სიხარულს ანიჭებდა, მძლავრ ქალაქ კუმადან დიადი გზებისთვის აღძრული გულის თვალით დაენახა მაშინდელი ქვეყნიერება, იმ გულის თვალით, რომელზედაც

წიგნი მოუთხოვდა: ⁶¹ აი, შეუბოვარი ზღვები, შორეულ სივრცეთა მოწოლით შეგუბებულხი, უცხოკოშკებიანი ქალაქები, აღტყინებული მარტოობის ვადაბ-პული მთაგრეხილები, შიშნეული იქვით ნაკვლევი ცანი, ახლავს რომ მკვრივ-დებიან ჩვილის ყიფლიბანდივით.

მაგრამ თუ ვინმე დარბაზში შევიდოდა, კრთებოდა მეფე და ნელ-ნელა ებინდებოდა სული. თანახმა იყო, ფანჯრიდან მოეშორებინათ და გაეყოლოთ. მათ შიაჩვიეს, საათობით ეთვალეერებინა ილუსტრაციები, და მეფეც კმაყოფილი იყო. მხოლოდ ის სწყინდა, ფურცლისას სურათებს სულ ცალ-ცალკე რომ ხედავდა და არა ერთად, რომ სურათები მაგრად ისხდნენ ფოლიანტებში და არ შეიძლებოდა მათი ამოძრავება. მაშინ ერთმა ბანქოს რალაც თამაში გაიხსენა, სამეფო კარზე დიდი ხნის წინ დავიწყებული. ასწავლა მეფეს და დიდი სიხარულიც მიანიჭა. ო, გულს როგორ ეფონებოდა ეს ათასგვარნახა-ტიანი ფერადი ქალაქები, აგრე თავისუფლად რომ მოძრაობდნენ. და როცა ბანქოს თამაში კარზე ისევ მოდად იქცა, მეფეც თავის ბიბლიოთეკაში იჯდა და მარტო თამაშობდა. ღმერთმაც ხომ აგრე ერთ დროში მოგვაქცია მე და იმპერატორი ვენცელიო, ⁶² — ფიქრობდა ხოლმე, როცა ორ მეფეს მაგიდაზე გვერდიგვერდ დებდა. ზოგჯერ დედოფალი კვდებოდა და მაშინ მეფე გულის ტუზს ადებდა გულზე, საფლავის ლოდივით. სულაც არ უკვირდა, ამ თამაშში რამდენიმე პაპი რომ ტრიალებდა. რომს — იქით, მაგიდის ბოლოს აგებდა, ავინიონი კი აქეთ, მარჯვენა ხელის ქვეშ ეგულებოდა. რომის მიმართ გულგრილი იყო, რატომღაც მრგვალი წარმოდგინა და სხვა არც არაფრის ცოდნას არ იჩემებდა. ავინიონს კი კარგად იცნობდა, ⁶³ და როგორც კი ავინიონზე დაფიქრდებოდა, მისი ხსოვნა მაშინვე იმეორებდა მალალი, ჰერმეტუ-ლი სასახლის კონტურს და მეტისმეტად იძაბებოდა. მეფე თვალებს ხუჭავდა მაშინ და სულს ითქვამდა. შიში იპყრობდა, რომ ცუდ სიზმრებს ნახავდა ღამით.

საერთოდ კი, რა თქმა უნდა, თამაში ნამდვილად ამშვიდებდა და სწორად იქცეოდნენ, მეფეს ისევ და ისევ რომ სთავაზობდნენ ბანქოს ქალაქ-დებს. თამაში განუმტკიცებდა რწმენას, რომ იგი მეფე იყო, მეფე კარლოს VI. განა მედიდურობდა არა, ძალზედ შორს გახლდათ იმ აზრისაგან, თითქოს თავად მუყაოს ამგვარ ნაჭერზე მეტი იყო, მაგრამ უმტკიცდებოდა რწმენა, რომ თვითონაც ერთ განსაზღვრულ ნახატს წარმოადგენდა; შეიძლება, ცუდად, ანჩხლად და მრისხანედ გათამაშებულს, რომელიც მუდამ იღუბებოდა, მაგრამ ყოველთვის ერთსა და იგივეს, არასოდეს — რომელიმე სხვას. და მაინც, ამგვარ თანაბარ თვითდგენაში ერთი კვირა რომ გაივლიდა, უცბად თავს ვიწროდ იგრძნობდა ხოლმე საკუთარ თავში. კანი უჭერდა შუბლსა და კეფაზე, თითქოს ერთბაშად შეიგრძნობდა უზომოდ მკვეთრად თავის ქალის მოხაზულობას და არავინ იცოდა, რა ცდუნებას დაჰყვებოდა ხოლმე, როცა მისტერიებს იხსენებდა, ერთი სული რომ ჰქონდა, როდის დაიწყებოდა სანახაობა, და როცა აქამდე მიდიოდა საქმე, მაშინ უმეტესად სენ დენის ქუჩაზე ცხოვრობდა და არა სენ პოლის დიდ სასახლეში.

იქ წარმოდგენილ მისტერიებს ერთი საბედისწერო რამ სჭირდათ: მათი ტექსტი თანდათან მატულობდა, ათიათასობით სტრიქონად ივრცობოდა, იმდენ დღეს გრძელდებოდა, ვიდრე მათი დრო ბოლოს და ბოლოს ნამდვილ დროს არ დაემთხვეოდა. დაახლოებით ისე, დედამიწის ხელა გლობუსი რომ გაეკეთებინათ. შეღრმავებული ესტრადა — რომლის ქვემოთაც ჯოჯობეთი

მოეწყოთ, ზემოთ კი ერთადერთი, სვეტზე შემდგარი, უმოაჯირო აივანი სამოთხის დონეს მიანიშნებდა, — ილუზიის დაძლევასაც უწყობდა ხელს. რადგან იმ საუკუნეებზეცა და ჯოჯობებით მართლაც რომ მიწაზე ჩამოიტანა, ორთავე საუფლოს ძალებით ცოცხლობდა, რათა საკუთარი თავისთვის გაეძლო.

ერქუნული

ავინიონური საქრისტიანოს ხანა იდგა,⁶⁴ მრავალი წლის წინ ~~წინ~~ დაიწყო და იოანე ოცდამეორის⁶⁵ მეუფებაც მოიყოლია. და იქაურობა უნებურად იმდენისთვის იქცა თავშესაფრად, რომ დაიწყოთ თუ არა მისი პაპობა, მაშინვე აღიმართა ამ სასახლის ერთიანი მასაც, პირქუში, მძიმე და ჩაკეტილი, როგორც უკიდურეს ძნელბედობაში მრავალი უსახლკარო სულისთვის იძულებით შიჩენილი ერთი სხეული. ხოლო ის თავად — პატარა, მსუბუქი, სულსმიერი მოხუცი ჯერ ისევ ღიად ცხოვრობდა. ხეივანად არც იყო იქ ჩასული, მაშინვე შეუდგა ფუსფუსს ყოველგვარი მიმართულებით, ათასგვარი წვრილ-წვრილი საქმის მოსაგვარებლად. ვიდრე პაპი აგრე ფაციფუცობდა, მის ტაბლაზე შხამშერეული სასმელით სავსე ფიალები დაედგათ უკვე. პირველი სასმისიდან მუდამ უხდებოდათ ღვინის გადაღვრა, რადგან მარტორქის ნაჭერი მაშინათვე ცუდ ფერს იღებდა, როგორც კი ამოიღებდნენ ხოლმე სასმელიდან, და სამოცდაათი წლის მოხუცმა არ იცოდა, რა ეღონა და სად დამალულიყო. აქეთ-იქით აწყდებოდა და ცვილისგან ჩამოქნილ საკუთარ გამოსახულებებს დაარბენინებდა: ეს ფიგურებიც მისი მოსპობის მიზნით შეექმნათ, და მოხუცს თითები ეჩხვლიტებოდა ნემსებსა და ქინძისთავეებზე, მათში რომ ჩაერჭოთ. ისეთი თავზარი დასცა ამ ავბედითმა ჯადო-ნიშნებმა, თავისი ძლიერი ნებისყოფის მიუხედავად, შიშმა აიტანა, მეც არ გავქრე, როცა ცეცხლი ცვილს დაადნობსო. ამდენმა საშინელებამ მისი გაღეული სხეული მთლად გამოაწროთ და გამძლე გახადა. მაგრამ, სამაგიეროდ, პაპის საუფლოს სხეულს წასწვდნენ და შეუტყეს. გრანადიდან მოკიდებული ებრაელებმა ყველგან წამოიწყეს საქრისტიანოს დარბევა და ამჯერად შემზარავი აღმსრულებელი შეისყიდეს. ატყდა თუ არა მითქმა-მოთქმა, აღარავინ ეჭვობდა კეთრის გაჩენას. მავანს და მავანს საკუთარი თვალთ ენახა, ებრაელებს ჭებში როგორ ჩაეყარათ კეთროვანთა გვამების ერთად გამოკრული ნაგლეჯ-ნაფლეთები. ქარაფშუტობა როდი გახლდათ ამის მაშინათვე დაჯერება. უბრალოდ, რწმენა გამხდარიყო იმდენად სამძიმო, რომ მაშინვე მოსწყდა შიშით აცახცახებულთ და ქის ფსკერზე ჩაეცა. და ბეჯითსა და დაუდგვარ მოხუცსაც ისევ უნდა დაეცვა საკუთარი სისხლი შხამისაგან. ცრუმორწმუნეობრივი შემოტევის უამს მან საკუთარ სულსა და მთელ იმ ქვეყანას დილა-მწყურხრის საგალობელი გამოუწერა ღამის დემონთა წინააღმდეგ და მთელი აფორიაქებული ქვეყნის თავზე ყოველ საღამო რეკდნენ ზარები დამამშვიდებელ ლოცვა-გალობას. ისე კი, ყველა ბულა და ეპისტოლე, რაც ამ მოხუცის ხელიდან გამოდიოდა, უფრო შეზავებულ ღვინოს ჰგავდა, ვიდრე სამკურნალო ნაყენს. იმპერატორის კარი პაპის მკურნალობის წესში არ ერეოდა, მაგრამ მოხუცი არ იღლებოდა, კარისთვის სახელმწიფოს ავადმყოფობა დაესაბუთებინა. და აი, უშორესი აღმოსავლეთიდანაც მიმართეს ამ მბრძანებელ ექიმს.

მაგრამ, სწორედ მაშინ მოხდა ყოველად წარმოუდგენელი რამ. ყველა წმინდანის დღეს⁶⁶ მან ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს, უფრო მხურვალედ იქადაგა. უცებ ყველას, მთელ საკრებულოს დაანახა თავისი რწმენა, თითქოს

თავადვე მოესურვა, მისი კიდევ ერთხელ დანახვაო: მთელი ძალების დაძაბვით ხელა ამოიღო ოთხმოცდახუთი წლის სანაწილედან⁶⁷ და ამბროსზე გადმოაფრქვია: და ყველამ ყვირილი დაატეხა თავს. მთელი ევროპა ყვიროდა: არ ვარგა ეგ რწმენაო.

უჩინეულები

და მაშინ იყო, პაპი რომ გაქრა. დღე დღეს მისდევდა მსხვერპლს არსებითარი განკარგულება აღარ ისმოდა. თავის სამლოცველოში მუხლის ჩოქზე იდგა და საქმის კაცთა საიდუმლოს იკვლევდა, ზარალს რომ აყენებენ საკუთარ სულს. ბოლოს დაბრუნდა, ამ მძიმე დაბრუნებით ქანცგაწყვეტილი, და განუდგა თავის რწმენას. რამდენჯერმე უარყო ზედიზედ. მისი სულის ბებრულ სანახად იქცა ეს უარყოფა. და ისიც მოხდა, რომ ლამაშობით კარდინალებს აღვიძებდა, რათა თავისი მონანიება გაენდო მათთვის. ალბათ მხოლოდ იმედის წყალობითღა ინარჩუნებდა ბატონობას ხალხზე: მას იმედი ჰქონდა, რომ თავს მოიდრეკდა თვით ნაპოლეონ ორსინის⁶⁸ წინაშეც კი, ვისაც პაპი სძულდა და არ სურდა ხლებოდა.

პაპი იოანე ფონ კაპორი⁶⁹ განდგა. და თითქოს ღმერთმა თავად მოინდომა მისი შეცდომის მხილება, როცა ამ ამბიდან მცირე ხნის შემდეგ გრაფ ფონ ლინის ვაჟი⁷⁰ აღაზევა ავინიონში. ეს ბიჭი თითქოს თავისი ბავშვობის გასრულებასღა უცდიდა დედამიწაზე, რათა ყმაწვილკაცურად მისცემოდა ზეციური საუფლოს ვნებათაღელვას.

ბევრს ახსოვდა ამ ნათელმოსილი ყრმის კარდინალობა. ახსოვდათ, როგორ გახდა ეპისკოპოსი თავისი სიჭაბუკის დამდეგს და თვრამეტ წელს მიუღწეველი როგორ გარდაიცვალა საკუთარი სრულყოფილების ექსტაზში. და სხვა გარდაცვლილთაც კი ხვდებოდნენ ხოლმე იმხანად: რადგან ჰაერს ჭაბუკის სამარის თავზე მისი განთავისუფლებული, წმინდა, კამკამა სიცოცხლე შეეწოვა და კიდევ კარგა ხანს ზემოქმედებდა გვამებზე. მაგრამ განა ამ ადრე მომწიფებულ სიწმინდეშიც არ იმალებოდა რაღაც უსაზღვროდ სასოწარმკვეთი? განა უსამართლობა არ იყო ყველას მიმართ: რომ ამ სულის წმინდა ქსოვილი ის-ის იყო შეიწნა და თითქოს მხოლოდ იმისთვის, რომ ეგზომ სხივმფინარე მაშინვე დრო-ჟამის მსუყვე სისხლისფერით შეღებილიყო?

გახა საპასუხო დარტყმად არ უნდა აღექვათ ამ ნორჩი პრინციის უეცარი ნახტომი ცისკენ? რად არ რჩებიან მანათობელნი ღონემიხდილ მეჩირადდნეთა შორის? განა უკუნეთი არ იყო იმ საუკუნისა, იოანე XXII-ს რომ ათქმევინა: „სრული სიწმინდე არსად ყოფილა, თვით ნეტარ სულთა შორისაც კი არ არსებობს და არც იარსებებს განკითხვის დღემდეო!“ რა თავნება და უჭიათი უნდა ყოფილიყო ადამიანი, ვინც, ამ გაუვალი სიბნელისა და ორომტრიალის შემხედვარე, მაინც წარმოიდგენდა: რომ სადღაც მავანთა სახეებს უკვე უფლის შუქი ეფინათ, ანგელოზებს მიყრდნობოდნენ და დარწმუნებულიყვნენ უფლის უშრეტო სანახის ჭვრეტით.

და აი მე ვზივარ, ცივი ღამეა, და ვწერ, ვწერ და ვიცი ეს ყველაფერი. ალბათ იძიტომ ვიცი, რომ იმ კაცს გადავაწყდი მრავალი წლის წინ, ჩემს ბავშვობაში. დიდი ტანისა იყო, ახლაც ასე ვარ დარწმუნებული. თვალში საცემად დიდიც კი უნდა ყოფილიყო.

ახლაც არ ვიცი, როგორ მოვახერხე, მაგრამ ერთ საღამოს სახლიდან გა-

ვიბარე. გავიქეცი, სადღაც კუთხეში შევუხვიე და დავეჭაბე კიდევ იმ კაცს. ვერ ვაცნობიერებ, როგორ იყო იმ ყველაფერს, რაც მაშინ მოხდა, სულ რაღაც ხუთიოდე წამი. რა მოკლედაც არ უნდა მოვყვე, მაინც გაცილებით დიდხანს გრძელდება. მაშასადამე, დავეჭაბე და რაღაც ვიტყინე. პატარა ვიყავი, ისიც დიდი ამბავი იყო ჩემგან, რომ არ ავტირდი, და რა თქმა უნდა, ახლა დამსახურებულ მოფერებასა და ნუგეშს ველოდი. რაკი ის კაცის მსგავსი არაფერს აპირებდა, ვიფიქრე, ალბათ შეცბუნებული და დარცხვენილია, ვეღარც ხუმრობას ახერხებს, რომ ეს ამბავი გააქარწყლოს-მეთქი. გული მოძილბა, უკვე მზად ვიყავი, თავად მივხმარებოდი, მაგრამ ამისათვის სახეში უნდა შემეხედა. ხომ ვთქვი უკვე, რომ ძალიან მალალი იყო, და არც კი დახრილა ჩემკენ, რაც ბუნებრივი იქნებოდა. იდგა იმ თავის სიმაღლეში გახევებული. მე კი ამ სიმაღლისათვის მოუშაადებელი ვიყავი. ჩემი სახის წინ ისევ და ისევ მისი პიჯაკის უცნაური სიმაგრე და სუნი იდგა, რაც პირველსავე წუთში ვიგრძენი. და აი, უცბად მოვიდა მისი სახე. მოვიდა. როგორი იყო? არ ვაცი. არ მინდა ვიცოდე. და ამ სახის გვერდით, მისი შემზარავი თვალების გასწვრივ, თითქოს მეორე თავიანო, — აღმართულიყო ვება მუშტი. ვიდრე პირს ვიბრუნებდი, უკვე გავრბოდი. გვერდზე ვისკუბე და გავიქეცი: ცარიელ, საშინელ ქუჩაში, უცხო ქალაქის ქუჩაში, ქალაქისა, სადაც არაფერს გაპატიებენ.

მაშინ ისეთი რამ განვიცადე, რასაც მხოლოდ ახლა ვაცნობიერებ. მე ვიგრძენი ის მასიური, სასოწარკვეთილი ქამი.⁷¹ ხანა, როდესაც ორი შერიგებული ადამიანის კოცნა მხოლოდ ნიშანი იყო გარსემორტყმული მკვლელებისათვის. მტრები ერთი სასმისით სვამდნენ, ყველას თვალწინ ერთ ცხენზე სხდებოდნენ, და ისიც გახშირდა, ღამით ერთ საწოლში რომ იძინებდნენ. და ყოველი ურთიერთშეხება ისე ამბავდებდა ურთიერთსიძულვილს, რომ რამდენჯერაც ერთმანეთის მფეთქავ ძარღვებს შეაქეჩებდებოდნენ, ავადმყოფური ზიზღი იპყრობდათ, თითქოს გომბეშოს ცახცახს უმზერდნენ. ეს იყო ქამი, ძმა ძმას რომ დაესხა თავს მიწის უფრო დიდი წილის გულისთვის და დაამწყვდია. თუმცა მეფემ დაიცვა დაზარალებული და დაუბრუნა საკუთრება და თავისუფლება, თუმცა უფროსი ძმაც გამოუტყდა დანაშაულში უცხო ბედ-იღბალთა ჩხრეკა-კვლევიტ დაღლილ ხელმწიფეს და მრავალგზის მოინანია კიდევ წერილებში თავისი ცოდვა, — განთავისუფლებული გონზე მაინც ვეღარ მოვიდა. და საუკუნე გვიჩვენებს მას პილიგრიმის სამოსით მოსილს, ეკლესიიდან ეკლესიისაკენ რომ მიეშურება. იგი სულ უფრო უცნაურ აღთქმებს იგონებს და ავგაროზებასხმულ სენ-დენის ბერებს ყურში ჩასჩურჩულებს თავის შიშსა და სასოწარკვეთას. და ამ ძმობის ნუსხა-გუჯრებში დიდხანს იყო აღნიშნული ასფუთიანი თაფლის სანთელი, რომელიც მან წმინდა ლუდვიგისათვის⁷² შესაწირად მოიწადინა. საკუთარ ცხოვრებას აღარ მიბრუნებია. სიკვდილამდე მტანჯველად გრძნობდა უფროსი ძმის შურსა და რისხვას, როგორც საკუთარი გულის თავანზე მცდარად მოხვედრილ ავ ვარსკვლავებს. და განა იმ გასტონმა ფებმა, იგივე გრაფმა ფუამ,⁷³ ყველას რომ აღაფრთოვანებდა, საჯაროდ არ მოკლა თავისი ძმისშვილი ერნაუტი, ინგლისის მეფის ასისტავი ქალაქ ლურდში?⁷⁴ და რა იყო ეს აშკარა მკვლელობა იმ შემზარავ შემთხვევასთან შედარებით, როცა მას დაავიწყდა, ფრჩხილების პატარა, ბასრი დანა სადმე დაედო და სილამაზით განთქმული ხელით იმ დანიანად ეფერებოდა მწოლიარე ვაჟიშვილის გაშიშვლებულ ყელს! ბნელო-

და ოთახში. უნდა გაენათებინათ, რომ სისხლი დაენახათ, სისხლი, რომელიც აგრე შორი გზიდან მოდიოდა და აწ სამუდამოდ ტოვებდა ძველ, ძვირფას გვარ-ტომს, მიმქრალი ბიჭის ციციქნა ჭრილობიდან გადმომდინარე.

ახ ვის გააჩნდა ესოდენი ძალმოსილება, რომ მკვლევლობას გადაჩენოდა? განა იმ დროის ადამიანთა შორის მოიძვეებოდა ვინმე, რომელიც არ იცოდა, უკიდურესი საშინელებაც გარდუვალი რამეა? აქ თუ იქ, მავან ადამიანს, ვინც ყოველ ცისმარე მკვლელის შემმოწმებელ მზერას აწყდებოდა, უცნაური წინათგრძნობა ეუფლებოდა. იკეტებოდა, იმალებოდა. უკანასკნელ სურვილებს წერდა, ბოლოს კი ტირიფის რტოთაგან შეწხულ საკაცეს ითხოვდა, ცელესტინელთა ორდენის⁷⁵ მუქ ანაფორას და გამოუვალ დარდს ეძლეოდა. უცხო მენესტრელები ჩერდებოდნენ მის სასახლესთან და მათ გულუხვად აჯილდოვებდნენ, რადგან მოხეტიალე მომღრალთა ხმებიც სასახლის პატრონის შიშნეულ წინათგრძნობას ესიტყვებოდა. ძალღების გამოხედვაშიც ეჭვი ჩაბუდებულიყო. მათ უტყვ მოლოდინსაც შფოთი გასჭდომოდა. იმ დევიზიდანაც, მთელი ცხოვრება ვარგისად რომ ითვლებოდა, აშკარად სხვა, უცხო აზრი ამოზრდილიყო. ზოგი ძველი ადათი მოძველებულად მიაჩნდათ და ვერც მათ შემცვლელ ახალ წესებს ვერ პოულობდნენ. მომავლის გეგმებს აწყობდნენ, მომავლისა კი აღარ სჯეროდათ. სამაგიეროდ, წარსულის რალაც მოგონებებმა მოულოდნელად შეიძინეს საბოლოო აზრი და სინამდვილე. და სურდათ, ამ მოგონებებს მისცემოდნენ ცეცხლის პირას საღამოობით. მაგრამ უეცრად ღამე ახმაურდებოდა შემაშინებლად, ღამე, რომელსაც ველარ სცნობდნენ. იმდენ თავისუფალ თუ საშიშ ღამეთა განმცდელი სმენა სიჩუმის უმცირეს რხევებსაც კი განასხვავებდა, მაგრამ ახლა სულ სხვაგვარი ღამე დამდგარიყო. ის აღარ იყო ღამე — ჩამდგარი გუშინდელსა და დღევანდელს შორის. ეს იყო ერთი გაბმული ღამე, თავისთავადი, ღამე, და რჩებოდათ მხოლოდ და მხოლოდ *Beau Sire Dieu*⁷⁶ და მკვდრეთით აღდგომა. ამ უკუნეთში რალა აზრი ჰქონდა სატრფოსათვის თავის გამოდების, კაცი როგორღა გახდებოდა სატრფოს პატრონი: ალბებმა და სირვენტებმა⁷⁷ დაამახინჯეს სატრფოთა სახე, გაწელილმა, ბრჭყვიალა მეტსახელებმა შეუძლებელი გახადეს მათი შეცნობა. ისიც დიდი ამბავი იყო, თუ სიბნელეში მათ სავსე და ქალურ მზერას წააწყდებოდი მათ ნაშიერ ვაეიშვილთა გამოხედვაში.

და მერე გვიანი ვახშმის შემდეგ ფიქრი წაიღებდათ ხოლმე წყლით სავსე ვერცხლის თასში ჩაძირულ ხელებზე. საკუთარ ხელებზე. იყო რაიმე კავშირი, ერთიანობა ამ ხელების მოძრაობაში? რაიმე თანმიმდევრობა ხელის ტაცებასა და ხელის გაშვებაში? არა. ირგვლივ ყველანი აქეთ-იქით აწყდებოდნენ, თვითონ ჭრიდნენ და თვითონ კერავდნენ. ამდენად, საქმე არ კეთდებოდა. ქმედებას ვერაფერს დაარქმევდი.

მხოლოდ მისიონერებზე შეიძლებოდა თქმა, რომ ისინი მართლა მოქმედებდნენ. და მათი საქციელის შემყურე მეფემ საგანგებო სიგელი გამოიგონა. მისიონერებს თავის საყვარელ ძმებს უწოდებდა და მათზე ახლობლად არავინ მიაჩნდა: სიტყვიერი უფლება მიანიჭა, თავისუფლად ეტრიალათ მოკვდავთა შორის და თავიანთი საქმე ეკეთებინათ. რადგან მეფეს ესლა ეწადა: მისიონერთ ყველანი მოექციათ და თავიანთ მძლავრ ქმედებაში ჩაერთოთ, ქმედებაში, დიად წესრიგს რომ ასხივებდა. თავად კი ნატრობდა, რაიმე ეს-

წავლა მათგან. განა თვითონაც რაღაც განსაკუთრებული აზრის გამოხატ-
ველ ტანისამოსს არ ატარებდა, რაღაც იდუმალი ნიშნებით არ იყო აღბეჭ-
დილი? და როცა შესცქეროდა, სჯეროდა, თვითონაც ისწავლიდა აგრე მარტ
ცევას: მათსავით შემოსვლას, მათსავით გასვლას, მეტყველებასა თუ ექვან
გადაბრას, და თან სრულიად დამაჯერებლად. უსაზღვრო იმედები უვსებდნ
გულს. სამების მონასტრის⁷⁸ წრილა შუქით განათებულ, უცნაურ^{მარტ}
ვეველ დარბაზში ყოველდღე საუკეთესო ადგილას იჯდა და აღელვებულ^{მარტ}
წამოდგებოდა ხოლმე უეცრად, მთლად მოწაფესავით ირჩებოდა. სხვები ტი-
როდნენ. მისი სული კი ცრემლის მბრწყინავი ნიაღვრებით ავსებულიყო, და
ხელს ხელზე იჭერდა, ის ნიაღვრები რომ აეტანა. ზოგჯერ, საბედისწერო
წუთს, თამაშს ჩამოწყვეტილი რომელიმე მსახიობი მისი ფართო მზერიდან
რომ გავიდოდა, მეფე თავს ასწევდა, აიხედავდა და შიში იპყრობდა: ო, უკ-
ვე რა ხანია რაც ის იქ იდგა: მონსინიორ მიქელ-მთავარანგელოზი,⁷⁹ თა-
ვის სარკოვან, ვერცხლის აბჯარში გამოწყობილი, ესტრადის თავზე, აივნის
პირას რომ აღმართულიყო.

ასეთ წუთებში მეფე მაშინვე ფეხზე დგებოდა. მიმოიხედავდა, თით-
ქოს გადაწყვეტილებას რასმე იღებსო. ის უკვე მზად იყო მოეთხოვა, ნანა-
ხი წარმოდგენის საწინააღმდეგო დადგმა ეჩვენებინათ: ხანგრძლივი შიშით
დაზაფრული, დიდი, გაუბრალოებული ჯვარცმის ამბავი, სადაც თვითონ შე-
ასრულებდა მთავარ როლს. მაგრამ ეს წუთი მალევე ქრებოდა: ყველანი
უაზროდ მოძრაობდნენ. ანთებული ჩირაღდნები იწევდნენ მეფისკენ⁸⁰ და
უფორმო ჩრდილებს ისროდნენ თალის სიღრმეში. მას კი თამაში სურდა.
მაგრამ პირიდან სიტყვა არ ამოსდიოდა, ვერც მისი ხელების მოძრაობა იკვ-
რებოდა აზრიან შესტებად. ისინი კი რა უცნაურად მოიწევდნენ. მეფეს აზრი
დაეზადა, ჯვარს ავიკიდებო. და იცდიდა, ვიდრე მოუტანდნენ. მაგრამ ისინი
მეფეზე ძლიერნი იყვნენ. ჯვრის მოტანა გადაუდეს და ნელა მოაცილენ იქა-
ურობას.

გარეთ ბევრი რამ შეიცვალა. არ ვიცი, როგორ. მაგრამ ჩვენს შიგნით და
შენს წინაშე, უფალო ჩემო, ჩვენს წილში: შენს წინაშე, მაყურებელო: გა-
ნა მოქმედების გარეშე არ ვართ? თუმცა კი ვხვდებით, როლები რომ არ ვი-
ცით ჩვენი, და სარკეს ვეძებთ. რადგანაც გვინდა სახიდან გრიმი ჩამოვირე-
ცხოთ, ძოვიშორით ჩვენი სიყალბე და გავნამდვილდეთ. მაგრამ სადღაც
მაინც აგვეკრობია შენიღბულობის რაღაც მისხალი, რომელიც ჩვენ აღარც
კი გვახსოვს. გადაჭარბების კვალი რჩება ჩვენი წარბების მოძრაობაში, ვერც
იმას ვამჩნევთ, ტუჩის კუთხეები რომ გაგვმრუდებია, და აგრე ვცხოვრობთ
და ვიარებით: გამჭირდავნი და ნახევარნი: არც ყოფიერნი, არც მსახიობნი.

ეს იყო ორანჯის ძველთაძველ თეატრში⁸¹ წესიერად ვერც შევავ-
ლვ თვალი ფასადს, მხოლოდ დიდი, გაურანდავი ქვები ჩამრჩა ცნობიერე-
ბაში, ქვები, რითაც ის იყო აგებული, და პირდაპირ შევალე დარაჯის ოთახის

მინის კარი. იქიდან შევედი შენობაში. ირგვლივ მიმოყრილ სვეტებსა და ტუბტის ჯუჯა ზეებში აღმოვჩინდი. მათი წყალობით ერთ წამს ვერც დავინახე მაყურებელთა დარბაზის დაფერდებული იატაკი, დარბაზისა, გვიანტურ ღია ხიჯარას რომ წააგავდა. მას ისე ეფინებოდა ნაწუადღევს თუჩრდილები, ზოგორც ვეებერთელა ჩაზნექილ მზის საათს. სასწრაფოდ ქეჩით გავემართე, როდესაც რიგებშორის ზემოთ მივიწვედი. ვიგრძენი, რუჩვატირეგდებოდი. ზემოთ, სულ ძალდა რამდენიმე მოცლილი იდგა და უსაგნო ცნობისმოყვარეობით აქეთ-იქით იყურებოდა. მათი ტანსაცმელი უსიამოვნოდ, მკაფიოდ და მკაზხედ ხვდებოდა მზერას, თუმცა თავად ერთი ბეწონი ჩანდნენ. ერთ წამს შეძავლეს თვალი და გაიკვირვეს, რომ მეც ასე პატარა ვიყავი. ამის გამო უკანვე მივტრიალდი.

მივტრიალდი და გავქვავდი. ო, ნამდვილად მოუშაადებელი აღმოვჩნდი იმისათვის, რაც დავინახე. იქ უზარმაზარი, ზეადამიანური დრამა იყო გაჩაღებული. იმ სცენის მძლეთამძლე კედლის უწყვეტი დრამა. ეს კედელი სამშვეულ ნაწილად მოიწვედა წინ, მუქარით აღვსილი და თვალშეუდგამი, თითქმის გამანადგურებელი თავისი სიდიდით, და უცბად ზომიერდებოდა იმ უზომობაში.

იქით დავეშვი, ბედნიერად გაოგნებული. ამ ვეება შვერილის ვეება ჩრდილები სახის ნაკვთებად იკვეთებოდა. შუაგულში, როგორც დაღებულ პირში, თავს იყრიდა მთელი სიბნელე, ხოლო ზემოდან მთავრდებოდა გვირგვინოვანი ქვის თანაბრად ხვეული თმის ზვირთებით. X ეს იყო უძლიერესი, ყველაფრის მომცველი და დამფარავი ანტიკური ნიღაბი, რომლის მიღმაც მთელი სამყარო ერთ უზარმაზარ სახედ იკვროდა. X

ამ დიდ, მორკალულ სამაყურებლო სივრცეში მომლოდინე, ცარიელი, შემსრუტავი ყოფიერება გამეფებულიყო: მთელი ხდომილება მოჩანდა მიღმა: ღმერთები და ბედისწერა. და იქიდან (თუკი ძალდა აიხედავდი) მსუბუქად იღვრებოდნენ კედლის კიციურზე: მარადიულად გარდმომავალნი ცანი.

ახლა ვხვდები, სწორედ იმ წუთმა გამომდევნა სამუდამოდ ჩვენი თეატრიდან. აბა რა მინდა მისი სცენის წინ, საიდანაც ის კედელი (ხატებით დაფარული კედელი რუსული ეკლესიებისა) აღებულა, რადგან ძალა აღარ ვქობდათ მისი სიმკაცრით შეეკუმშათ აირივით გაღვრილი მოქმედება, ზეთის სავსე, მძიმე წვეთებად რომ გადმოდინდება. და ახლა სანახაობა სცენის უხეშად დასვრეტილ საცერში ნამცეცდება, მერე ხვავდება და ბოლოს იყრება, როცა საკმაოა. ეს ხომ იგივე უდღეური სინამდვილეა, ქუჩებსა და სახლებში რომ განფენილა, ოღონდ იქ უფრო მეტი გროვდება, ვიდრე სცენაზე.

¹(მოდით, გულახდილნი ვიყოთ. X ჩვენ თეატრი არ გავვაჩნია, ისევე როგორც არა გვცავს ღმერთი; ორივესთვის ერთიანობაა საჭირო. ყველა ჩვენგანს კი საკუთარი, პატარ-პატარა მიგნებები და შიშები აქვს, და სხვებს მხოლოდ იმდენად უჩენს, რამდენადაც თვითონ სჭირდება.

ჩვენ განუხრელად ვაწყალწყალებთ ჩვენს შეგნებას, რათა ის რამენაირად ყოველნაირ წვრილმანს გადასწვდეს, ნაცვლად იმისა, რომ საერთო უბედურების კედლისკენ ვკიოდეთ; ამ კედლის მიღმა ხომ მიუწვდომელი ძალა აღმართულა, მხსნელი ძალა, და საკმაო დრო აქვს, რათა შეიკრიბოს, დაიძაბოს და შეიმართოს).

¹ ხელნაწერში კიდევხეა მიწერილი.

ფილოსოფიის (იგივე მსახიობი)

და ნამდვილი თეატრი რომ გვექონოდა, ნუთუ მაშინაც ასე იდგნოდა დარბაზის წინაშე, შენ, ტრაგიკული, ასე ტანთხელი, გაშიშვლებული, ფარველო იმათ წინაშე, შენი გამოფენილი ტკივილებით თავიანთი ცნობისწადილს რომ იქარვებენ? წინასწარვე იგრძენ ნამდვილობა ჯვისა, გაშოუთქმელად გულის შემძვრელო; იგრძენი უკვე ვერონაში, როცა შენ, ჯერ კიდევ პატარა გოგონას, სცენაზე ვარდები გეჭირა ხელში — წინახედით, რომელსაც კიდევ უფრო უნდა დაეფარე. მართალია, შენ მსახიობთა შვილი იყავი, და როცა შენიანები თამაშობდნენ, სურვილიც ჰქონდათ, რაც შეიძლება ბევრს დაენახა, მაგრამ შენ ხომ მათ არა ჰგავდი. შენი ხელობა იგივე უნდა გამხდარიყო შენთვის, რაც მარიანა ალკოფორადოსთვის მონაზვნობა იყო (თუმცა თვითონ ეს არ იცოდა): გადაცმულობა — საკმაოდ მკვრივი, გამძლე და ხანგრძლივი, იმისათვის, რომ ამ საფარველს მიღმა თავშეუკავებლად, ბოლომდე ლატაკი ყოფილიყო, ყოფილიყო ლატაკი იმ დაქინებით, უხილავ ნეტართა ნეტარება რასაც ასხივებს. ყველა ქალაქში, სადაც კი შენ გითამაშია, შენს შესტებსა და მიმოხვრას აღწერდნენ. მაგრამ ვერავინ ხვდებოდა, შენ — დღითი დღე სულ უფრო უნუგეშო და მარტოსული — როგორ ცდილობდი წინ რაიმე გაუმჭვირვალე საგანი აგეფარებინა, რომ დაეფარე, თმა ან ხელები გეჭირა ხოლმე შენი სახის ორ გამჭვირვალე, გამომსახიარ სარკის წინაშე: შენ მათ ორთქლავდი, რადგანაც გამჭვირვალენი იყვნენ. პატარავდებოდი, იმალებოდი, ბავშვებმა რომ იციან, ისე. და აი, მაშინ გეწვეოდა ხოლმე ბედნიერი სულისგანაბვა და ანგელოზსლა ელრდებოდი. მას უნდა მოეძებნე, უნდა ეპოვნე და სხვას არავის. მაგრამ მერე ფრთხილად რომ ასწევდი ქუთუთოებს და აიხედავდი, აშკარა ხდებოდა: მთელი ეს ხანი მხოლოდ ისიხი გიყურებდნენ — მაყურებელნი. შემოგცქეროდა თვალებად ქვეული საზიზღარი ფუტურო — დარბაზი, და მხოლოდ შენ გხედავდა. მხოლოდ შენ და ანგელოზს აღარ, და მაშინ იყო, იდაყვში მოხრილ, დამოკლებულ ხელს დარბაზისკენ რომ იშვერდი უცებ. თითებით ნიშანს გამოხატავდი: ავი თვალის საწინააღმდეგოს. და იმ მზერას გამოვლევდი ხოლმე შენს სახეს, სახეს, რითაც ავი თვალი იკვებებოდა: აი, ამ დროს შენ შენ იყავი. და თანამოდასეთ შიში იპყრობდათ. ქალ-ავაზასთან მიემწყვდია თითქოს ვიღაცას, კულისების კედელს ეკვროდნენ და მხოლოდ იმ სიტყვებს ამბობდნენ, რაც ევალეობდათ: ოლონდ კი არ გაელიზიანებინეთ. შენ კი ისინი წინ გაგყავდა, ხალხს ახახვებდი და ისე ექცეოდი, როგორც ნამდვილებს. სცენის მთელი ბუტაფორია — ფარატინა კარები, მოტყუებული ფარდები, მთელი ის საგნები, უკანა მხარე რომ არ გააჩნიათ — წინააღმდეგობას, შეუსაბამობას გიქმნიდა მუდამ, რადგან ხომ გრძნობდი, გული როგორ განუხრელად გიზვირთდებოდა უზარმაზარი სიმართლისა და სინამდვილისკენ. და შეშინებული, კიდევ ერთხელ ლამობდი შენკენ მომართული მზერები აბლაბუდასავით ჩამოგეწყვიტა, მაგრამ უკვე გვიან იყო: უკვე ტაშად ინთხეოდნენ მაყურებელნი: ზარდაცემულნი შენგან დაძრული უკიდურესობით ბოლო წუთს თავიდაბ იშორებდნენ შენეულ ძალას, რომელიც მათ აიძულებდა: შეეცვალათ ცხოვრება თვისი.

ცუდად ცხოვრობენ სატრფონი და მუდმივ საფრთხეში. შეტავ თავი დაეძლიათ და გამხდარიყვნენ მოყვარულნი, დიდი მეტრფენი მეტრფეთა ირგვლივ უხიფათობა გამეფებულა. მათში აღარავინ აღარ ეტყობოდა აღარც თავად შეუძლიათ საკუთარი თავის ლალატი. მათში საიდუმლოდ მთელი და წმინდა გამხდარა და ისინიც ბუღბუღებებით ამოთქვამენ მთელ საიდუმლოს: ერთიანსა და უნაწილებოს. ერთის გამო მოთქვამენ ისინი. მაგრამ ხმას უწყობს, უდასტურებს მთელი ბუნება, რადგან უკვე მარადიულის გამო ვაებენ. დაკარგული სატრფოსკენ მიჰქრებიან, მაგრამ პირველივე ნაბიჯებით უსწრებენ მას და წინ უკვე ღმერთია და სხვა აღარავინ. მათი ლეგენდა ბიბლიდას⁸³ ლეგენდა, კავნოსს რომ გაედევნა თვით ლიკიამდე.⁸⁴ გულის აზავთება სატრფოს კვალდაკვალ მიაგვლევებდა, ქვეყნიდან ქვეყნად, ვიდრე თავისი ძალის ნაპირს არ მიაღწია. მაგრამ ისეთი მძლავრი და მალი გამხდარიყო კროლვა-სწრაფვა მისი არსების, რომ როს დავცა, სიკვდილის მიღმა წმინდა წყაროდ ამოჩქრიალდა, სწრაფ წყაროდ წარდიხდა.

და პორტუგალიელ ქალსაც განა იგივე არ დაეშართა, რომ წყაროსთვალად გადაიქცა თავის წილში? და განა ეს არ დაგეშართა შენც, ელიოზა, თქვენს მოყვარულს, დიდო მეტრფენო, რომელთა მოთქმა-გოდებამაც ჩვენ მოგვალწია: გასპარა სტამპა, გრაფინია ფონ დია⁸⁵, კლარა დ'ანდუზე⁸⁶, ლუიზე ლაბე⁸⁷, ძარსელიხა დებორდ⁸⁸, ელიზა მერკიორ⁸⁹ მაგრამ შენ კი, საბრალო და სულსწრაფო აიშე⁹⁰, უკვე ყოყმანობდი და ბოლოს დასთმე. ღონემიხდილო ქიული ლესპინას!⁹¹ ან შენ, ბედნიერ ბალნარის უსასოო თქმულებავე: მარი-ანნა დე კლერმონ!⁹²

ახლაც ნათლად მახსოვს, დიდი ხნის წინათ შინ რაღაც ძველი, პატარა ზარდახშა ვიპოვე. მარაოს ფორმის ბუდეს ორი მტკაველი სიგრძე ექნებოდა და მუქმწვანე ტარსიკონში ჩატვიფრული ყვავილების ქობა დაჰყვებოდა. ავხადე, ცარიელი იყო. ამას ახლა ვამბობ, ამდენი ხნის შემდეგ. მაშინ კი, როცა ავხადე, მხოლოდ იმას ვხედავდი, რისგანაც ის სიცარიელე შედგებოდა: ხავერდს. ძველი, უკვე ჭკნობაშეპარული ხავერდის პატარა ბორცვს, და სასამკაულე სალუქ ღარს, — სევდის ერთი პატარა ტალღით უფრო ნათელი, იმ ბორცვის გულში რომ გადიოდა. მხოლოდ ერთ წამს შეიძლებოდა ამ ხილვის შენარჩუნება. მაგრამ მისთვის, ვინც სატრფოდ დარჩა სამარადისოდ, და არა მეტრფედ, ის ზარდახშა ალბათ მუდამ ცარიელია.

აბა, დასაწყისიდან გადაფურცლეთ თქვენი დღიურები. განა არა გაქვთ აღწერილი გაზაფხულების ის მონაკვეთი, როცა ამოთქრიალებული წელიწადი თითქოს საყვედურად გხვდებოდათ გულზე? გიბყრობდათ სურვილი — გახარებული ყოფილიყავით, მაგრამ გარეთ რომ გადიოდით ვეება სივრცეში, ჰაერს რაღაც გაუცხოება მოჰქონდა თითქოს, და ისეთი გაუბედავი გიხდებოდათ სიარული, თითქოს გემბანზე მიიკვლევდით გზას. აი, ბალი იწყებდა ახალ სიცოცხლეს. თქვენ კი ზამთარს მოათრევდით და შარშანდელ წელიწადს. საუკეთესო შემთხვევაში გაგრძელება იყო თქვენთვის ეს გაზაფხუ-

ლი. და ვიდრე იცდიდით, როდის ჩაერთვებოდა თქვენი სული არემარეში, უცებ სხეულის ყოველი ნაკვთის სიმძიმეს გრძნობდით და ავად გახდომის შესაძლებლობა გეჭრებოდათ ღია გუმანში. რაღა დაგრჩენოდათ, უნდა გადაგედლოთ თხელი, მსუბუქი სამოსის ჩაცმა და თბილი შალი მოგესხათ მხრებზე, შემდეგ ხეივანში გარბოდით, ხეივნის ბოლოს ვრცელ ყვავილნარში შეხვედით და გულამოვარდნილი. უკვე მიგედლოთ გადაწყვეტილება: მთბლ. 1134-1135 წ. მის შეერთებოდით. მაგრამ აი, ჩიტი ამღერდა, მარტო იყო, მარტო მღეროდა და თქვენ უარგყოთ. ოჰ, ნუთუ მასთან შესაერთებლად მკვდარი უნდა ყოფილიყავით? **ქ**

ალბათ. ალბათ ჩვენთვის ჯერ ახალია: შევძლოთ დაძლევა წელიწადის და სიყვარულის. ყვავილი გაშლილია, ნაყოფი მწიფე, როდესაც ცვივა. ნადირცხოველნი ერთმანეთს გრძნობენ, პოულობენ და ამდებიან. ჩვენ კი — ღმერთი განვიზრახვით, წამოვიწყეთ და ველარაფერი გაგვიწყვია. ჯერ შორსაა ჩვენი მწიფობა. ჩვენი ბუნება გავიმანძილეთ, შორს გადავწიეთ, ჯერ დრო გვეჭირდება, რა არის ჩვენთვის ერთი წელი, ან ყველა ერთად? ჯერ ღმერთს რივიანად არც შევდგომივართ და უკვე შევღალადებთ: „მოშეც ძალა, ღამეს გავუძლო“. მერე სნეულებას. მერე სიყვარულს. **ქ**

ო, კლემენტინა დე ბურჟი⁹³ რომ უნდა მომკვდარიყო ყვავილობისას! უბადლო გოგონა. უმშვენიერესი საკრავი იმ საკრავთა შორის, რომელთა აქლერებაშიც ტოლი არ ჰყავდა; მისი ხმის უმცირესი რხევაც კი განუმეორებლად იყო შესრულებული. მის ქალიშვილობას ისეთი შემართება ახლდა, ერთმა ანიაღვრებულმა მეტრფე ქალმა ამ მზესავით ამომავალ გულს სონეტების წიგნი აჩუქა, წყურვილმოუკვლელი ლექსებით სავსე: პოეტ ლუიზე ლატეს არ ეშინოდა, რომ იმ გოგონას თავზარს დასცემდა, თუ სიყვარულის ტანჯვათა ხანგრძლივობას გაუმხელდა თვისი ლექსებით. და მან აჩვენა ღამეული აზვირთება მონატრებისა, დაჰპირდა ტკივილს — როგორც უფრო დიად სამყაროს, უფრო ვრცელს, ვიდრე სამყაროა სიხარულისა. და მან იგრძნო, რომ თავისი განცდილი და გამოცდილი ტკივილით ბევრად ჩამორჩებოდა ბავშვის ბუნდოვნად ნაწინათგრძნობ, მომავალ ვაებას, რაც იყო წყარო იმ ჭაბუკ-ასულის არნახული სილამაზისა.

ჩემი საძმობლოს გოგონებო, ნეტავ თქვენ შორის ულამაზესმა ზაფხულის ერთ ნაშუადღევს ჩაბნელებულ ბიბლიოთეკაში ერთი პატარა წიგნი იპოვოს, თან დე ტურნემ⁹⁴ რომ დასტამბა 1556 წელს. ნეტავ სიგრილემომბერი, გლუვი ტომი თან გაიყოლოს აზუზუნებულ ხეხილის ბაღში, ან იქით, ფლოქსის რბილი ტევრისკენ, რომლის ზეტკბილ სურნელებაში შეურეველი, წმინდა სიტკბოს ლექი იგრძნობა. ნეტავ გოგონამ არ დაავციანოს ამ წიგნის პოეზია, არ გაეპაროს ის დღეები, როცა საკუთარ სხეულზე იწყებს მზერის შეჩერებას, როცა იმის ყმაწვილურ, ნორჩ პირს ჯერ კიდევ ძალუძს დიდად, ღონივრად ჩაკბიჩოს ვაშლი და ამოივსოს ბნელი წიაღი.

და მერე, როდესაც უფრო აჩქარებულ მეგობრობათა უამრავი გეწვევათ, ო, ქალიშვილებო, ნეტავ თქვენი საიდუმლო ის იყოს სწორედ, რომ ერთმანეთს დიკეს უძახდეთ და ანაქტორიას, გირინოს და ატიიდას.⁹⁵ და ნეტავ, ერთმა თქვენზე ბევრად უფროსმა კაცმა, შეიძლება სულაც მეზობელმა, რომელმაც

ყმაწვილკაცობაში იმოგზაურა და დიდი ხანია ახირებულ ვინმედ ითვლება. გამოიცნოს თქვენი საიდუმლო: ის სახელები. ხანდახან შინაც მუგიატიყით და გაჩვენოთ თავისი სახელგანთქმული ატმები. ან თეთრ დერეფანში გამწკრივებული რიდინგერის გრაფიურები, რომლებზედაც იმდენს დაპარაკობენ, რომ კაცმა თავისი თვალთ უნდა ნახო ბოლოს და ბოლოს.


ეგებ დაიყოლიოთ და რაიმე ამბობინოთ. ვინ შეეცდებოდა შორისაა ის ქალიშვილი, რომელსაც შეუძლია ისე შეეხვეწოს, რომ ამ კაცმა თავისი მოგზაურობის დღიურებიც გამოიტანოს? ის ქალიშვილი, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს, იმასაც დააცდენინებს: — საფოს ლექსების ცალკეულმა ნაწყვეტებმა ჩვენამდე მოაღწიაო, — და ვერ მოისვენებს, სანამ არ ათქმევინებს — თითქმის საიდუმლოს: რომ ამ ჩვენამდე მოღწეულ ლექსებს ეს გარყული, გულჩათხრობილი ადამიანი? მოცალეობის ფაქტს თარგმნიდა თურმე. და მაშინ კაცი აუცილებლად დასძენს, რომ დიდი ხანია აღარ მოუცლია თარგმანებისთვის, და ის კი, რაც თარგმნა, სალაპარაკოდაც არ ღირს. თუმცა, ბოლოს მაინც სიხარულით ამბობს ერთ-ორ სტროფს ამ გულწრფელი ქალიშვილების წინაშე, რომლებიც აღარ და აღარ დაეხსნენ. ბერძნული ტექსტიც კი ახსენდება, ბერძნულად ამბობს, რადგან, მისი აზრით, თარგმანი არაფერს იძლევა. და თან გულით სწადია ახალგაზრდებს არჩვენოს ქვისსატები იმ ძველი, მასიური კაზმული ენისა, რომელიც ასეთ ზემოდავრ ცეცხლში აღრიკებოდა.

და ეს ყოველივე კაცს ისევ სამუშაოს სურვილით აღანთებს. და მას ეწვევა ლამაზი, თითქმის ახალგაზრდული საღამოები, მაგალითად, შემოდგომის საღამოები, გრძელი და მშვიდი ღამე რომ მოსდევთ. და მერე მის სამუშაო ოთახში გვიანობამდე ანთია შუქი. მუდამ ასე კი არ ზის, ფურცელზე თავდახრილი, არა, ხშირად უკან გადაიწევა, თვალებს ხუჭავს ხელახლა წაკითხულ სტრიქონთა ზემოთ და მათი აზრი კაცს მთელ სისხლში უნაწილდება. არასდროს ყოფილა აგრე ცხადი ანტიკურობა. მან ლამის მოწყალედ გაუღიმოს მთელ იმ თაობებს, საბერძნეთი დამთავრებულ, ჩავლილ სპექტაკლად რომ წარმოიდგინეს, სპექტაკლად, სადაც თვითონაც სიამოვნებით ითამაშებდნენ. და მეყსეულად შეიგრძნობს იგი იმ ადრეული სამყაროული მთლიანობის დინამიურ მნიშვნელობას: განა ის ერთიანობა ყველა დროის სულიერი წვისა და დაგვის დიდ ერთობას არ გულისხმობდა?!

მას როდი აბნევს ის გარემოება, რომ საბერძნეთის თანმიმდევრული კულტურა მთელი თავისი მეტ-ნაკლებად სრულყოფილი გამოვლინებებით გვიანდელ საუკუნეთა მზერას ერთ ცალკეულ მთელად და მთლიანად გარდასულ სამყაროდ ეჩვენებოდა. თუმცა იქ მიწიერი ყოფის ნახევარ-თასს ნამდვილად ეხურებოდა ხოლმე სიცოცხლის მეორე, ზეციური ნახევარი, სწორედ ისე, ორი ჰემისფერო რომ ერთდება ღვთაებრივ, ოქროვან სფეროდ, მაგრამ შეერთდებოდნენ თუ არა ეს ნახევრები, მათში ჩართული სულები ჯერ ისევ მხოლოდ სიმბოლოდ აღიქვამდნენ ამ უნაშთო განხორციელებას: მასიური ვარსკვლავითი წონას კარგავდა და მალლა მიიწევდა ლამის სივრცეში, და მას ოქროვან სიმრგვალეში თავშეკავებულად ირეკლებოდა მწუხარება ჯერ ვერ მიღწეულის და ვერდაძლეულის გამო.

და ამას რომ ფიქრობს მარტოსული თავის ღამეში, რომ ფიქრობს და აცნობიერებს, უცბად შეამჩნევს ხილით სავსე თეფშს ფანჯრის რაფაზე. უნებურად ხელს სტაცებს ერთ ვაშლს, მაგიდაზე დებს და დაჰყურებს. ნეტავ

გარს როგორ ეკვრის ჩემი სიცოცხლე აი ამ ნაყოფსო, გაიფიქრებს. ყველა მწიფე და დასრულებული საგნის ირგვლივ ამოიზრდება განუხორციელებელი და შეუქმნელი სინამდვილე, ამოიზრდება და ძლიერდება.

და იმ განუხორციელებლობაზე რომ დაფიქრდება, უეცრად,  ძალზე სწრაფადაც კი, თვალთა წინაშე აღემაართება პატარა, უსასრულოდ მკვეთრი და მკვეთრი დაბული ფიგურა, რომელსაც (გალენის ²⁸ მტკიცებით) გულისხმობდა „მეჭმეჭმე“ ქის ყველა ადამიანი, როდესაც ამბობდა: „პოეტი ქალი“. **X**რადგანაც, თუ პერაკლეს თავის საგმირო საქმეთა შემდეგ სამყაროს დანგრევა და გადაკეთება რჩებოდა, ამ ქალის დასრულებულ გულს მიაწყდნენ მთელი ნეტარება და სასოწარკვეთიანი, რაც კი ყოფიერებას მარავად ჰქონდა, მიაწყდნენ, რათა სიცოცხლე მოეპოვებინათ ამ გულის წყალობით და საგზლად გაპყლოდნენ საუკუნეებს.

და ნაყოფს დაჩერებული კაცი ერთბაშად შეიცნობს იმ შეუპოვარ გულს, რომელიც მზად იყო თავის თავზე აეღო და განუხორციელებინა მთელი სიყვარული — ბოლომდე. ამ კაცს არ უკვირს, რომ ეს გული ვერ ამოიცნეს, რომ ამ ფრიად და ფრიად მომავლის მეტრფეში მხოლოდ გადაჭარბება დაინახეს და უზომობა, და არა ახალი საზომი სიყვარულისა და გულის ტანჯვისა. რომ ხელწერა მისი ყოფიერებისა ისე განმარტეს, როგორც მაშინ იქნებოდა დასაჯერებელი და ბოლოს იმ ადამიანის სიკვდილიც მიაწერეს, რომლის მსგავსთაც ღმერთი სათითაოდ აქეზებს: უპასუხო სიყვარულად გადმოიღვაროს. შეიძლება მეგობარ გოგონათა შორისაც (თავად რომ შექმნა) იყვნენ ისეთები, რომელთაც არ ესმოდათ: რომ იგი თავისი გულისმიერი ქმედების სიმადლეზე იმ ერთი კაცის გამო კი არ ვაებდა, რომელმაც მისი მკლავები სამუდამოდ გაშლილი დატოვა, არამედ უკვე შეუძლებელი სატრფოს გამო გოდებდა იგი, მის სიყვარულს რომ შეეზარდა.

აქ, მოფიქრალი დგება და ფანჯარასთან მიდის. უცებ შეაწუხებს თავისი ძალადი ოთახის ზედმეტი სიახლოვე და ვარსკვლავების დანახვა სწყურია. და არც ტყუვდება. იცის, რომ ეს მოძრაობა მის სულს ალავსებს, რადგან მეზობელ გოგონათა შორის ერთი მისთვის ახლობელია და ამ კაცს სურვილები აქვს (არა თავისთვის, არამედ იმ ქალიშვილისთვის). მისი გულისთვის შეიცნობს იგი ერთ მიმავალ, ღამეულ საათში მთელ მომთხოვნელობას სიყვარულისა. იგი გადაწყვეტს ქალიშვილს არაფერი უთხრას ამის შესახებ. უდიდეს საქმედ მიაჩნია, მარტო იყოს და მარტომ იფხიზლოს, და ქალიშვილის გულისთვის იფიქროს: თუ რა მართალი იყო ის შორეული მეტრფე ქალი, რომელმაც იცოდა: **X**ორის შეერთებით მარტობა იზრდება მხოლოდ; **X**რომელმაც სქესის დროებითი მიზანი დაამსხვრია თავისი განზრახვის უსაზღვროებით; რომელიც მოხვევანათა სიბნელეში წყურვილის მოკვლას კი არ ეძებდა, არამედ მონატრებას; რომელსაც სძულდა, თუ ორიდან ერთი მეტრფე იყო, მეორე — სატრფო. და როცა სუსტი სატრფოები სარეცელისკენ მიჰყავდა, ისევ და ისევ ღვივდებოდა მეტრფედ, როცა ისინი მას სტოვებდნენ. ამ მაღალ დამშვიდობებათა წყალობით მისი გული ბუნებად იქცა. ბედისწერაზე ამაღლებული, იგი საქორწინო სიმღერებს უმღეროდა თავის საყვარელ მეგობარ ასულებს, როგორც მწვერვალთა გაყინულ თოვლს — ალლობდა მათ გულს, მათ ქორწინებას ალაზევებდა. გადაჭარბებით უქებდა ახლომყოფ საქმროს, რათა მათ ძალა მოეკრიბათ საქმროსათვის, როგორც ღმერთისთვის, და თავად ღმერთის დიდებულებისთვისაც გაეძლოთ.

ბოლო წლებში, აბელონე, ერთხელ კიდევ გიგრძენი და გალოარე მოულოდნელად, მას შემდეგ, რაც დიდი ხანი იყო, აღარ მეფიქრა შენზე. ეს ვენეციაში მოხდა, შემოდგომით, ერთ-ერთ ისეთ სალონში, სადა მყოფი უცხოელები სალონის დიასახლისის ირგვლივ იკრიბებოდნენ, რომელიც მათსავით უცხოა. ისინი ირგვლივ მიმოდინებდნენ ფინჯანი ჩაით ხელში და ალტაცება იპყრობთ, როდესაც ვინმე გვერდით მდგომი, იქაურობას ვინც კარგად იცნობს, სწრაფად და მალულად კარასკენ გაახედებს და ყურში ვენეციურად მედერ რაღაც სახელსა თუ გვარს ჩასჩურჩულებს. ესენი დიდად გახმაურებულ სახელებს არიან მიჩვეულნი, არაფერი აკვირვებთ. რადგან შინ რა ძუნწი განცდებითაც არ უნდა ცხოვრობდნენ, აქ, ამ ქალაქში დაუდევრად ეძლევიან უკიდურეს შესაძლებლობებს. თავიანთ ჩვეულებრივ ყოფაში განსაკუთრებული მოვლენა აკრძალულში ერევათ, ისე რომ სასწაულებრივის მოლოდინი, რასაც უფლებას აძლევენ, მათში იარსებოს, ტლანქ, აღვირახსნილ გამომეტყველებად ეფინებათ სახეზე. რაც შინ მხოლოდ კონცერტებზე, ან რომელიმე რომანში ჩაძირულებს ემართებათ, აქ დასანახად გამოჰყვინენ ხოლმე ამ ლაქუცა, პირმოთნე საზოგადოებაში: როგორც სულის გამართლებულ მდგომარეობას. სრულიად მოუმზადებელნი, საფრთხის ვერშემგრძნობნი, ისინი მუსიკის მომაკვდინებელ აღსარებებს ისე ეძლევიან როგორც სხეულებრივ უხამსობებს. მხოლოდ გაღიზიანება სწადიათ. აი, ასევე ეძლევიან ამ ქალაქში იმ ანაზღაურებულ მოთენთვას, გონდოლების რწევა რომ იწვევს და ოდნავადაც ვერ აცნობიერებენ ვენეციის ყოფიერებას. ახლად დაქორწინებულნი, მთელი მოგზაურობის მანძილზე მძულვარე სიტყვებით რომ ჩხვლეტდნენ ერთმანეთს, აქ აღარ იძირებიან მდუმარე თვითშეგუებაში. მამაკაცს თავისი იდეალების საამო დაღლილობა ეუფლება, ქალი კი თავს ნორჩად გრძობს და უნდილ აქაურებს ისეთი ღიმილით უქნევს თავს, თითქოს შაქრის კბილები ჰქონდეს და ერთთავად უდნებოდეს. და თუ ყურს მიუგდებ, გამოირკვევა, რომ თურმე მიემგზავრებიან: ხვალ, ზეგ ან კვირის ბოლოს.

აი, ასეთ ხალხში ვიდექი და მიხაროდა, რომ არსადაც არ მივემგზავრებოდი, ცოტა ხანში აცივდებოდა და ამ უცხოელების ხედვათა და მოთხოვნა-ლებათა შესაბამისი ღუნე, დაბანგული ვენეციაც მათთან ერთად გაქრებოდა. მერე კი, ერთ დილით თვალწინ სულ სხვა ქალაქი გადამეშლებოდა: ნამდვილი, ფხიზელი, ცინცხალი და სალუქი — ლამის შუშასავით მსხვრევადი ქალაქი, რომელზეც კი არ ოცნებობდი, არამედ გსურდა: არაფრის შუაგულში ჩაძირულ ტყეებზე წარმოსახვის მიერ იძულებით გაჩენილი ქალაქი და ბოლოს მაინც ფრიად და ფრიად ნამდვილი და არსებული ვენეცია. 'შეკუმშული, შეკრული სხეული — რაც აუცილებელია, მხოლოდ ის რომ აქვს — სხეული, რომელშიც დღედაღამ ფხიზელი არსენალი სისხლს ამუშავებს, და ამ სხეულის გამსჭვალავი სული, განუხრელად რომ იზრდება და ფართოვდება, და უფრო ძლიერია, ვიდრე არომატული ქალაქ-ქვეყნების მძაფრი სურნელი. შთამაგონებელი, დენადი ქალაქი, რომელიც თავისი სილატაკის მარჩლსა და მინას სხვადასხვა ხალხების სიმდიდრეზე ცვლის. მსოფლიოს მშვენიერი საპირწონე, ჩუქურთმებამდე ავსებული ფარული ენერგიითა და ძალებით, სულ უფრო ფაქიზად რომ იტოტებიან. აი, ეს ვენეცია.

შეგნება იმისა, რომ ამგვარ ქალაქს ვიცნობდი, გაუსაძლისად მძაფრად

მომეძალა იმ თავმოტყუებულ ხალხში და მეც შემოიპყრო სურვილი, ჩემი ცოდნა ვინმესთვის გამეზიარებინა. მივიხედ-მოვიხედე. ნუთუ იმ დარბაზებში ერთი ადამიანიც კი არ აღმოჩნდებოდა, ვინც უნებურად ელოდებოდა, რომლის განუმარტავდნენ იქაურობის არსს? მაგალითად, ვინმე ახალგაზრდა, რომელიც მაშინვე გაიგებდა, რომ ამ ქალაქში სიამე და კმაყოფილება არაა, ჩქეფდა, არამედ იგი იყო მაგალითი ისეთი მომთხოვნი, მკაცრი და შიშისმომცემი ბლური ნებისყოფისა, რომლის ბადალსაც ქვეყანაზე ვერსად ნახავდა. მივდი-მოვდიოდი. ჩემი ჭეშმარიტება არ მასვენებდა. ეტყობა, ამ ჭეშმარიტებამ ამდენ ხალხში იმიტომ შემოიპყრო, რომ სურვილი ჰქონდა: გამომეტქვა, და მეცვა და დამესაბუთებინა. უცებ გროტესკული რამ წარმოვიდგინე: დავინახე, როგორ დავიწყე ტაშის ცემა, რათა გამომეხატა ჩემი სიძულვილი იმ აბდაუბდის გამო, რასაც ვენეციაზე ლაუბობდნენ სტუმრები.

აი, ამ სასაცილო გუნებ-განწყობაზე დამდგარმა შევნიშნე ის ქალი. მარტო იდგა აბღღვრიანებულ ფანჯარასთან და მაკვირდებოდა. მაგრამ არა თავისი ფიქრიანი და სერიოზული თვალებით, არამედ ტუჩებით, ირონიულად რომ ბაძავდნენ ჩემი სახის აშკარად გაავებულ გამომეტყველებას. მაშინვე შევიგრძენი მოუთმენელი დაძაბულობა ჩემი ნაკვთებისა და დაუდევარი სახე მივიღე, რის კვალადაც მისმა ტუჩებმა ბუნებრივი ქედმაღლობა გამოხატეს. მერე, წამიერი დაფიქრების შემდეგ, ერთდროულად გავუღიმეთ ერთმანეთს.

ეს ქალიშვილი, თუ უნდა დავაზუსტო, მაგონებდა მშვენიერი ბენედიქტა ფონ ქვალენის⁹⁹ ახალგაზრდობის სურათს, ვინც დიდი როლი შეასრულა ბაგესენის ცხოვრებაში. მისი თვალების მუჭი სიმშვიდის შემხედვარე, აუცილებლად მისი ხმის ნათელ საბნელესაც ივარაუდებდა. იმდენად კოპენჰაგენურ ყაიდაზე ჰქონდა თმა დაწნული და ღია ფერის კაბის გულისპირი ამოჭრილი, რომ გადავწყვიტე დანიურად გამოვლაპარაკებოდი.

მაგრამ ჯერ ახლოს არ ვიყავი მისული, მეორე მხრიდან მისკენ ხალხის ნაკადი დაიძრა. ჩვენი სტუმართმოყვარე გრაფინია — როგორც ყოველთვის აღფრთოვანებული და დაბნეული — თანამდგომთა მთელი ამალით მიაწყდა ქალიშვილს და სიმღერისათვის განკუთვნილი ოთახისაკენ წარიტაცა. დარწმუნებული ვიყავი, ქალიშვილი იმ საბაბით მოუბოდიშებდა, დანიური სიმღერა ამ საზოგადოებას არ დაინტერესებსო. ასეც მოიქცა. მაგრამ ამან კიდევ უფრო გაამძლიერა ჩოჩქოლი ნათელ კაბაში გამოწყობილი მომღერლის ირგვლივ. მავანმა თურმე ისიც იცოდა, რომ ქალიშვილი გერმანულადაც მღეროდა და „იტალიურად“ — შეავსო ინფორმაცია ვილაეის მოცინარმა, ბოროტად დარწმუნებულმა ხმამ. ახლა უკვე აღარ ვიცოდი, რა საბაბის მოფიქრება მესურვა მისთვის, მაგრამ მაინც მჯეროდა, რომ ვერ გასტეხდნენ. აი, დამყოლიებელთ სიცილი შეაცივდათ, დაქიმული სახეები გადაუსწორდათ და მშრალი წყენა გადაეფინათ. აი, ლამაზი გრაფინიაც უკვე უკუდგა, ერთი ნაბიჯით: თანაგრძნობით და ზვიადად, რათა საკუთარი ღირსება არ შეეღაბა. და აი, მაშინ, როცა ყველაფერი მოგვარდა და აღარაფერი იყო საჭირო, ქალიშვილმა დასთმო ისე გავწბილდი, მევე ვიგრძენი, მიტკლისფერი როგორ დამედო. თვალებიც საყვედურით ამევსო, მაგრამ პირი ვიბრუნე: არ ღირდა ქალიშვილის წყენინება. ის კი სხვებს გამოეყო და უცბად ჩემს გვერდით აღმოჩნდა. მისმა კაბამ შემომანათა, მისი სიბბოს ყვავილოვანი სურნელი შემომეხვია. „მე მართლა

ძიხდა სიმღერა“ — თქვა დანიურად სადღაც ჩემს ლაწვთან. — „იმიტომ, რომ ვალდებული ვარ, სწორედ ახლა ვიმღერო“.

ნელა გავყევი სტუმრების ჯგუფს, რომელთან ერთადღაც გოგონა გამშორდა. მაგრამ მერე ყველას ჩამოვრჩი, ერთ მაღალ კართან შევჩერდი და დაველოდე, როდის დალაგდებოდნენ. შავად ამრეკლავ კარს მიღმა მხრიდან მივეყრდენი და ვიცდიდი. ვილაყამ იკითხა, რა ხდება, სიმღერას ხომ არ აპირებენო. ვუთხარი, არ ვიცი-მეთქი. ვიდრე ვიტყუებოდი, ის უკვე ამღერდა.

ვერ ვხედავდი. თანდათან თითქოს სივრცე გაფართოვდა იტალიური სიმღერის გარშემო, რომლის მსგავსი სიმღერებიც ჩამოსულებს ნამდვილი ჰგონიათ, რადგან გასაგები და ადვილია. მაგრამ მომღერალი ასე არ ფიქრობდა. იგი ტანჯვით უწევდა ხმას, ეძნელებოდა. ტაშის ხმაზე მივხვდი, რომ დაამთავრა. მოწყენილი და დარცხვენილი ვიდექი. ხალხი ამოძრავდა და გაღვივებიტე, როგორც კი ვინმე გავიდოდა, მეც გავყოლოდი.

მაგრამ უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა. წარმოუდგენელი სიჩუმე გამეფდა. გაგრძელდა, დაიძაბა, და უცებ ამ სიჩუმიდან ამოიზარდა ხმა. (აბელონე, გავიფიქრე მაშინ, აბელონე). ახლა ეს ხმა ძლიერი და სავსე იყო, მთლიანო, ყოველგვარი ბზარისა და ნაკერის გარეშე და არაფერი უმძიმდა. ქალიშვილი უცნობ გერმანულ სიმღერას მღეროდა; მღეროდა უბრალოდ, როგორც რაღაც აუცილებელს:

შენ, რომელსაც არ გაგიმხელ,
რომ ცრემლების ღვრით
ვათენებ ლამეს,
ვისი არსებაც აკვანივით
მქანცავს და მარწყვს,
შენ, რომელიც არ გამიმხელ, ჩემს გამო დარდით
თვალს რული რომ არ გეკარება,
აბა, მითხარი, ამ ნეტარებას
ვით ავიტანდით,
რომ არა ვდუმდეთ?

(მცირე ხანს შეჩერდა და ყოყმანით განაგრძო)

შეხე მიჯნურებს
მაშინვე, როცა აღსარება გადახსნის გულებს,
უკვე სტყუიან.

ისევ სიჩუმე. ღმერთმა უწყის, რა იწვევდა ამ მდუმარებას. შემდეგ მსმენელნი აჩოჩქოლდნენ, ერთმანეთს მიეჯახნენ, მოუბოდიშეს, ჩაახველეს. უკვე სურდათ საყოველთაო, ყოველივეს წარმხოც ხმაურში გადანარცხებულებიყვნენ, რომ ხმა ისევ ამოიჩხა, შეუპოვარ, ფართო ნაკადად ამოიტყორცნა:

შენ მარტოს მტოვებ. და შენ მარტოდენ შემძლია გაგცვალო ასე:
ყოველი ჩქამი შენს თავს მაგონებს, შენითაა სამყარო სავსე,
ქარიც შენა ხარ და უკვალო კეთილსურნელიც...
მე ყველა ქალი დამკარგვია, შემოვაჭდე ვისაც მკლავები,
მხოლოდ შენ ერთი ისევ და ისევ დაიბადები,
რადგან არასდროს მიგიჯაჭვე, ხარ განუყრელი.

არავინ ელოდა. თითქოს წელში მოიხარნენ ამ ხმის ქვეშ. ბოლოს ისეთი რწმენა და შეურყევლობა იდგა იმ ხმაში, თითქოს ამ ხმამ დიდი ხნით აღრე

იყო: სწორედ ახლა, სწორედ ამ წუთში უნდა ეთქვა თავისი სათქმელი, ეჩვენებინა თავისი ძალა.



ადრე ზოგჯერ ვეკითხებოდი ხოლმე ჩემს თავს, თუ რატომ არ მიმართავ და აბელონე თავისი დიდებული გრძნობის კალორიებს ღმერთისაკენ, როგორც ნატრობდა, თავისი სიყვარული უსაფრთხო გაეხადა. მაგრამ ნუთუ მისი გული ტყუვდებოდა, და ვერ ხვდებოდა, რომ ღმერთი მხოლოდ მიმართულებაა სიყვარულისა და არა საგანი? არ იყო, რომ არ უნდა შინებოდა მისგან საპასუხო სიყვარულისა? არ იყო, რომ არ უნდა შეეფერებინა თავდაჭერა, აგრე მშვიდად სულ უფრო იქით და იქით რომ გვიწევს სიყვარულის სიხარულს, რათა ჩვენ — ნელგზნებულნი — შესაძლებლობა მოგვცეს, გამოვცადოთ და განვახორციელოთ მთელი ძალისხმევა ჩვენი გულისა? ან ეგებ აბელონე ქრისტეს გაუბრუნებოდა? ეგებ ეშინოდა შუაგზაზე ქრისტეს არ შეეჩერებინა და მისი სატრფო არ გამხდარიყო? ეგებ ამიტომ იყო, რომ არ სიამოვნებდა იული რევენტლოვის გახსენება?

თითქმის მჯერა: ქრისტეს წყალობით, რომელიც ღმერთს აადვილებს, დაეშვა ფრთები ისეთი უბრალო და ძლიერი მეტრფისა, როგორიც იყო მეპტილ-და,¹⁰⁰ ისეთი შმაგისა, როგორიც გახლდათ ტერეზა ფონ ავილა,¹⁰¹ და ტკივილადქცეული ნეტარი როზე ფონ ლიმასი.¹⁰² მათ დათმეს, საპასუხო სიყვარულით დადრეკილებმა. ო, ის, ვინც შემწე იყო სუსტთათვის, უსამართლო-ბად ევლინებოდა ძლიერთა გულებს: სადაც ესენი, სიყვარულით დაძრულები, შორი გზის გარდა აღარაფერს აღარ ელოდნენ, იგი ეგებებოდა ზეცის დაძრულ წინკარში, ანებივრებდა მათ თავშესაფრით და თავგზას უბნევდა თავისი მამრობით. მისი მძლავრადგამბობი გულის ლინზა კიდევ ერთხელ კრებს მათი გულების უკვე პარალელურ ორ ჭავლს, ისევ აერთებს, და ისინიც, უკვე ანგელოზთ რომ შესცქეროდნენ და ღმერთი ეგონათ, იფერფლებიან მონატრებისა და ლტოლვის გვალვაში.

✠ (სატრფოდყოფნა — დაწვაა, სიყვარული კი — ნათება დაუშრეტელი ხეთით. სატრფოდქცევა — წარმავლობაა, სიყვარული კი — მარადისი ყოფიერება). ✠

შესაძლოა, აბელონემ მოგვიანებით სცადა კიდევ გულით ეაზროვნა, რათა შეუმჩნევლად და უბრალოდ დაკავშირებოდა ღმერთს. შემძლია წარმოვიდგინო, რომ წერილებიც არსებობს მისი, რომლებიც გვიმელავნებენ ისეთ დაკვირვებულ შინაგან მზერას, თავადი ქალის ამალია გოლიცინას¹⁰³ წერილებში რომ გვეგებება. მაგრამ, თუკი ეს წერილები ვინმე კაცისადმია მიმართული, რომელთანაც აბელონე წლების განმავლობაში ახლოს იყო, როგორ დაიტანჯებოდა ის ადამიანი ამ წერილების თანდათანობით ფერისცვალებით! და თავად აბელონე: მე მგონი, მას ყველაზე უფრო ეშინოდა ამ სხვადასხვა-რასაც ჩვეულებრივ ვერ ამჩნევდნ ხოლმე, რადგან მის დამამტკიცებელ ყოველგვარ საბუთს, როგორც ყველაზე უცხო საგანს, მუდმივად ხელიდან უშვებენ.

ძხელად თუ ვინმე გადამარწმუნებს, რომ ძე შეცთომილის ლეგენდა არ არის ამბავი იმ კაცისა, რომელსაც არ სურდა, ვინმეს ყვარებოდა. როდესაც ბავ-

¹ ხელნაწერში კიდევბა მიწერილი.

შვი იყო, შინ ყველას უყვარდა. იზრდებოდა, მხოლოდ ასეთი ცხოვრება იყო-
და და ეჩვეოდა თავისიანთა გულის სიღბოს, რადგანაც ბავშვი იყო. მაგრამ,
ბიჭს უკვე ეწადა ეს შეჩვევა და ჩვეულება თავიდან მოეშორებინა ამას ხმამალ-
ლა ხომ ვერ იტყოდა, მაგრამ, ამიტომ იყო, მთელი დღე გარეთ მარტო
რომ ეხეტებოდა, და ძაღლებიც კი აღარ სურდა ჰყოლოდა გვირდით, რადგან
ძათაც უყვარდათ ბიჭი; რადგან ძაღლების მზერაშიც მუდამ მარტოობა იკი-
თხებოდა, თანაგრძნობა, ზრუნვა, ლოდინი და მათ წინაშეც ვერაფერს მოი-
მოქმედებდი, რომ ან სიხარული არ მიგეყენებინა ან მწუხარება. ხოლო რაც
ბიჭს უკვე მაშინ სწყუროდა, ეს გახლდათ თავისი გულის შინაგანი განურჩევ-
ლობა. ეს განცდა ზოგჯერ დილასისხამზე ისეთი სიწმინდით ეუფლებოდა ხო-
ლმე მინდვრებში, რომ ყმაწვილი სირბილს იწყებდა, რათა არ ჰყოფნოდა
დრო და სუნთქვა, ყოფილიყო იმაზე მეტი, ვიდრე ერთი მსუბუქი წუთია,
წუთი, როცა დილას ეგებება ჩვენი შეგნება.

ჯერ არყოფილი მისი ცხოვრების საიდუმლო იშლებოდა და იერცობოდა
ბიჭის წინაშე. უნებურად გადარბოდა ბილიკიდან და შუაგულ მინდორში მიგე-
ლავდა მკლავებგაშლილი, თითქოს სურს ყველა გზა და მიმართულება ერთ-
დროულად დაიტიოსო. მერე კი სადღაც ღობის იქით მიეგდებოდა და ყუ-
რადღებას არვინ აქცევდა. სალამური გამოითალა, ქვას ესროდა რომელიმე
პატარა ნადირს, იკუზებოდა და ხოჭოს აიძულებდა ზურგზე გადაბრუნებუ-
ლიყო. მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო ბედისწერა, და ცანიც ისე-
ვე განურჩევლად მიედინებოდნენ მის თავზე, როგორც მთელი ბუნების ზე-
მთ. ბოლოს დგებოდა ნაშუადღევით. და ბიჭი რაღას არ იგონებდა. აი, მეკობ-
რე იყო კუნძულ ტორტუგაზე, და არავინ ავალდებულებდა ის ყოფილიყო,
აი, კამპეჩეს¹⁰⁴ იღებდა ბრძოლით, იპყრობდა ვერაკრუსს; შეეძლო მთელ ლაშ-
ქრად წარმოედგინა თავი ან ცხენზე ამხედრებულ, დიდ წინამძღოლად ან-
და ხომალდად შუაგულ ზღვაში და ყველაფრად, რაღაც თავს გრძნობდა, და
თუ გაახსენდებოდა და დაიჩოქებდა, დეოდატ დე გოზონი¹⁰⁵ ხდებოდა, ურ-
ჩხულს ამარცხებდა და ავარვარებული ისმენდა, ეს გმირობა ცუდმედიდუ-
რობა და ურჩობააო, რადგან მან საქმე ბოლომდე მიიყვანა. და თუმცა უსას-
რულოდ ეხაცვლებოდნენ ერთმანეთს უმკვეთრესი სურათ-ხატები, შიგადაშიგ
მაინც ახერხებდა, ჩიტი ყოფილიყო, ერთი პატარა, უბრალო ჩიტი, სულ ერ-
თია, რომელი. ეს იყო მხოლოდ: ბოლოს მაინც სახლის გზას უნდა გასდ-
გომოდა.

ღმერთო ჩემო, ახლა რამდენი რამ უნდა დაევიწყებინა! რადგანაც აუ-
ცილებელი გახლდათ წელანდელი განცდების ნამდვილად დაევიწყება. წინაა-
ღმდეგ შემთხვევაში თავს გასცემდა, როცა ოჯახის წევრები მიესეოდნენ.
ეჰ, რამდენიც არ უნდა მდგარიყო ჭიშკართან, აქეთ-იქით ეცქირა და ფეხი
ეთრია, ბოლოს ხომ მაინც უნდა შეელო კარი. და აი, სახლი პირველივე
ფანჯარას თვალივით აქყეტდა და შესცქეროდა. რა თქმა უნდა, იქ ვილაც იდ-
გა. ძაღლები, რომელთა მოლოდინიც მთელი დღე იზრდებოდა, ბუჩქებიდან
გამოცვივდებოდნენ, მიაწყდებოდნენ და ბიჭს აიძულებდნენ ის გამხდარი-
ყო, ვინც თვითონ ეგონათ. დანარჩენს კი ოჯახი გააკეთებდა, აი, შეაბიჯებს
თუ არა სახლის სავსე, შეჩვეულ ოხშივარში, ყველაფერი უკვე გადაწყვეტი-
ლი იქნება. ჯრალაც წვრილმანები შეიძლება სხვაგვარად მოხდეს, მაგრამ ძი-
რითადად მაინც ის ადამიანი გახდება ისევ, რა ადამიანადაც თვლიან შინაუ-
რები, ის სულიერი, ვისაც ხანმოკლე წარსულიდან და თავიანთი სურვილე-

ბიდან რაღაც ცხოვრება შეუქმნეს და მიუსაჯეს, საერთო არსება, რომელსაც დღედაღამ თავიანთ სიყვარულს შთააგონებენ, და ვინც დგას ასე მათი იმედითა და ეჭვებ-შიშებით, შექებითა და კიცხვა-ტუქსვით გარშემორტყმული.

და აბა ასეთს რაღას არგია, ფეხაკრეფით რომ აღის კიბეზე. ყველანი შუა ოთახში იქნებიან და კარი შეიღება თუ არა, მაშინვე ერთად გამოხედვენ. ბიჭი კი სიბნელეში რჩება, სურს იქ დაუცადოს იმათ შეკითხვებს, მაგრამ აი, ყველაზე აუტანელი წუთიც: ხელს ჰკიდებენ და მაგიდასთან მიჰყავთ, და თავად ყველანი ლამპასთან აისვეტებიან ცნობისწადილით. ამათ რა ენაღვლებათ, მათი სახეები ზემოთაა სიბნელეში და მხოლოდ მას მოიცავს ლამპის შუქი და სირცხვილი, სირცხვილი, რომ სახე გააჩნია.

აგრე დარჩება ამათთან ერთად და გააგრძელებს არანამდვილი ცხოვრების ტყუილს? განაგრძობს ცხოვრებას, მას რომ დაუწესეს და მიაწერეს, და თახდათან სახითაც კი დაემსგავსება ყველა ახლობელს? მუდამ აგრე უნდა გაიყოს თავისი ნების ნაზ სიმართლესა და ტლანქ ტყუილს შორის, იმ სიმართლეს რომ უმახინჯებს? ნუთუ ფარ-ხმალს დაჰყრის და ხელს აიღებს თავის სურვილზე, გახდეს ის, ვინც ვნება უნდა მოუტანოს თავისიანებს, რომელთაც ჭერჭერობით მხოლოდ ჩვილი გული გააჩნიათ და სხვა არაფერი?

არა, ის წავა. დასტოვებს კერას. თუნდაც მაშინ, როცა ყველანი ფაციფუცში არიან და აპირებენ დაბადების დღეს ყოველად შეუფერებელი საჩუქრებით აუვსონ მაგიდა, საჩუქრებით, რომელთა დანიშნულებაა კიდევ ერთხელ გამოასწორონ საქმე და გადაასწორონ წინააღმდეგობა-განსხვავებანი. წავა სამუდამოდ. და მხოლოდ გვიან, ძალიან გვიან მიხვდება იგი, რა ძლიერ ჰქონდა განზრახული ყმაწვილობისას, რომ არავინ არ ჰყვარებოდა, რათა არავისთვის დაეტეხა თავს ის საშინელება, სხვისგან მომდინარე სიყვარული რომ ატეხს ადამიანს. ეს წლების შემდეგ გაახსენდება და დაინახავს: მრავალი სხვა სურვილივით ესეც ვერა და ვერ განხორციელდა. რადგან იმ თავის მარტობაშიც მას ისევ უყვარდა, მაინც უყვარდა, და სიყვარულს ვერ იშორებდა: ყოველი ახალი სიყვარულისას მთელ თავის არსებას უნაშთოდ ფლანგავდა და თან შიშობდა, სხვისთვის თავისუფლება არ წაერთმია. ძალიან ნელა, თანდათან ისწავლა, რომ საყვარელი საგანი თავისი განცდის გიზგიზა ჰავლით კი არ დაეფლითა, არამედ გაენათებინა. და ის გაანებივრა თავზესაყრელმა აღტაცებამ: ნათელდაფენილ სატრფოს მჭვირვალე სახების წყალობით ვეება სივრცეებს რომ შეიცნობდა, სივრცეებს, რომლებიც სატრფომ შეაგება მის უზარმაზარ სურვილს ფლობისას.

როგორ შეეძლო ლამლამობით კიდევ ეტირა წყურვილისაგან: ნეტავ მეც დამაფინოს ვინმემ თავისი სიყვარულის შუქ-ნათელიო! მაგრამ სატრფო, რომელიც ნებდება, განა მეტრფეა? ო, უნუგეშო ლამეები, როცა ის თავის მიერ გაცემული მადლის ნაკადებს ნაკუწ-ნაკუწ იღებდა უკან, დამძიმებულს წარმავალობით. ო, როგორ ჩაუფიქრდა მაშინ იგი ტრუბადურთა დიად მაგალითს. მათ ხომ ყველაზე უფრო ის აშინებდათ, რომ სატრფოს შეიძლებოდა შეესმინა მათი ღალადი! და იგი მთელ მოპოვებულ, ნამატ თანხას იძლეოდა დაუზოგავად, ოღონდ კი საპასუხო სიყვარული ჯერ არ სწევოდა. იგი შეურაცხყოფას აყენებდა სატრფოს ამ უხეში საფასურით, რადგან ეშინოდა: სატრფო მის სიყვარულს არ შეგებებოდა; რადგან უკვე აღარ ჰქონდა იმედი, რომ შეხვდებოდა ისეთ მეტრფე ქალს, რომელიც მას შინაგანად დაანაცრებდა.

იმ ხანებშიც კი, როცა სილატაკე ყოველდღიურად სულ უფრო მეტის დაუნდობლობით ეტანებოდა, როცა მის თმაგახუნებულ თავს სიღუბნურად საყვარელი ნივთივით მუდამ თან დაათრევდა, როდესაც ტანზე ჩირქოვანი იარები მიმოეფინა, იარები, იძულებითი თვალეზივით რომ გახელილიყვნენ განსაცდელის ღამის პირისპირ, როცა ზარავდა უწმინდურებას, სადაც მიაგდეს, რადგან თვითონაც უწმინდურებას მოჰგავდა უკვე უღმერთებშიც კი, გონს რომ მოდიოდა, უდიდეს საშინელებად მაინც ის ეჩვენებოდა: ჩემს სიყვარულს სიყვარულით არ უბასუხონო. აბა რა იყო მას შემდეგ მოსულ წყვილიადთა წყება იმ მოხვევნათა შედეგებულ ნაღველთან შედარებით, როცა ყველაფერს მკლავებში კარგავდა? განა იმ გრძნობით არ ახელდა თვალს, რომ წინ მისხალი მომავალიც აღარა ჰქონდა? განა უაზროდ არ დაბორიანებდა, სიყვარულით გულნაჭერები, რადგან დაჰკარგვოდა ყველანაირი ხიფათის ხება? განა ათასჯერ არ უნდა მიეცა პირობა სატრფოსათვის, არ მოგკვდებო? ალბათ ამ უკეთური მოგონების სიჭიუტე და ახირება გახლდათ, დაბრუნებიდან დაბრუნებამდე ესაზრდოებიანა და შეენარჩუნებიანა ამ კაცის სხეული, ბინძურ ნაყარნუყარში მაინც რომ განაგრძობდა არსებობას მისი ცხოვრების ნება-სურვილით. და ბოლოს ისევ იპოვეს მარტოსული და მხოლოდ მაშინ, მწყემსობის წლებში დამშვიდდა მისი ვრცელი წარსული.

ვინ აღწერს, რა ემართებოდა მაშინ? რომელი პოეტი დაიყინებს, რომ შეუძლია მისი მაშინდელი დღეების სიგრძე ჩატიოს ერთი ცხოვრების ხანმოკლეობაში? რომელ ხელოვნებას ხელეწიფება ერთდროულად გამოიხმოს ამ კაცის თხელი, მოსასხამში გამოკრული, სუსტი სხეული და მისი სულის უზარმაზარ ღამეთა სივრცე?

მისი ცხოვრების ეს მონაკვეთი იმით დაიწყო, რომ იგი თავს რაღაც ზოგად და ანონიმურ არსებად გრძნობდა, როგორც სხეული, შეფერხებებით რომ ჯანმრთელდება. მას არაფერი აღარ უყვარდა, თუ არ ჩავთვლით რომ ყოფნა უყვარდა. თავისი ცხოვრების დაბალი სიყვარული არ ეხებოდა. როგორც სინათლე ღრუბლებშორის მიმოფანტული, ის სიყვარულიც ირგვლივ აგრე იბნეოდა და რბილად ციმციმებდა მინდორ-ველებზე. მათი შიმშილის უცოდველ კვალს ადევნებულნი, ის მიაბიჭებდა შორს, ამ ქვეყნის დიდ საძოვრებზე. უცხონი ხედავდნენ მას აკროპოლისზე, და ეგებ ქალაქ ბოს¹⁰⁶ მწყემსებშიც ერია ერთ ხანს, და იხილა როგორ იგერიებდა ბოს პრინციების მაღალი მოდგმა გაქვავებულ ჟამს, მოდგმა, რომელიც შვიდისა და სამის მთელი ძალისხმევით ცდილობდა დაემარცხებინა თავისი ვარსკვლავის ავბედითი თექვსმეტი სხივი.¹⁰⁷ ან ეგებ ორანუში უნდა წარმოვიდგინო, ტრიუმფალურ თაღს მიყრდნობილი? ეგებ იქ უნდა დავინახო სულებით დასახლებულ ჩეროებში ელისეისა, სადაც ჭრიჭინას ადევნებს მზერას საფლავებშორის, რომლებიც ისე დაღებულან, ვით საფლავები მკვდრეთით აღმდგართა? სულ ერთია სად. მე უფრო მეტს ვხედავ, ვიდრე თვითონაა. მე ვხედავ მის ყოფიერებას, რომელიც შეუდგა ხანგრძლივ სიყვარულს ღმერთისადმი, ჩუმ, გარინდებულ, უმიზნო საქმეს. რადგან იგი, ვინც სამუდამო თავდაოკებას ელტვოდა მუდამ, კიდევ ერთხელ შეიპყრო თავისი გულის სხვაგვარად ყოფნის სულ უფრო მზარდმა ვერ შემძლეობამ. ამჯერად კი მას იმედი ჰქონდა, რომ შეისმენდნენ. მთელი არსება, ხანგრძლივ მარტოობაში შეუმცდარი წინათგრძნობა რომ შეეძინა, ჰპირდებოდა: მას, ვინაა ახლა გულისხმობდა, ესმოდა სიყვარული, შეეძლო ყვარებოდა გამსჭვავ-

ლაგი, სხივოსანი გზებით. მაგრამ როდესაც მოინატრა, ხეტავ როდის შემავ-
 ვარებენ ეგზომ დიდოსტატურადო, სიწორეებს გაჩვეული მისი გუმანი ჩას-
 წვდა უკიდურეს მანძილს ღმერთამდე. დადგა ღამეები, როცა ეგონა, რომ სუ-
 ლი ღმერთისკენ ასტყორცნა სივრცეში; აღმოჩენებით სავსე სათვლები: როდეს-
 საც გრძნობდა, რომ შეეძლო იმ სიმაღლიდან დედამიწისკენ დაშვებულიყო
 და თავისი გულის ქარიშხლებით ზეაეტაცა. **ქ**იმ კაცსა ჰგავდა, **ჩ**ნდვნი ქრისტი-
 ბული ენა რომ ესმის და სიცხიანივით ღამობს ამ ენაზე ლექსების შეთხზვას.
 მაგრამ ჯერ წინ უცდიდა გაოგნება, როცა მიხვდებოდა, თუ რა ძნელი იყო
 ეს ენა. ჯერ არც კი სურდა დაეჯერებინა, რომ მთელი გრძელი ცხოვრება
 დასჭირდებოდა პირველი, მოკლე, უაზრო წინადადებების შედგენას. ისე გაი-
 ჭრა სწავლის ძნელ გზაზე, როგორც მორბენალი სარბენ ბილიკზე. მაგრამ
 იგი შეანელა შესასწავლი საგნის სიმკვრივემ. ძნელი წარმოსადგენია უფრო
 დიდი რუდუნება და თვინიერება, რაც მისი სწავლის დასაწყისს ახლდა. მას
 სიბრძნის ქვა ჰქონდა ნაპოვნი და აი, აიძულებდნენ, თავისი ბედნიერების აგ-
 რე სწრაფად დამზადებული ოქრო განუწყვეტლივ გადაექცია მოთმინების შე-
 კუმშულ ტყვიად. და კაცი, ვინც ვეება სივრცეებს შეთვისებოდა, ახლა მატ-
 ლივით მიცოცავდა მიხვეულ-მოხვეულ ბნელ გვირაბებში, არც მიმართულე-
 ბა იცოდა და არც გამოსასვლელი. და აი, ახლა, რაკი ეგოდენი წვითა და
 დაგვიტ სწავლობდა სიყვარულს, ეჩვენა: რა დაუღვეარი და კნინი იყო ყვე-
 ლა წარსული სიყვარული, და რომ, არც ერთი მათგანისაგან არაფერი არ გა-
 მოვიდოდა, რადგან აქამდე მას არ ეცადა: სიყვარული მძიმე სამუშაოდ გადა-
 ექცია და ეს სამუშაო აღესრულებინა.

იმხანად მის სულში დიდი ცვლილებები ხდებოდა: ღამის თვით ღმერ-
 თი გადაავიწყდა დაუნდობელ მუშაობაში, რომლის მიზანიც ღმერთთან მი-
 ახლოვება იყო. და ყველაფერი, რის მიღწევასაც ალბათ ღროთა განმავლო-
 ბაში იმედოვნებდა ღმერთთან, ახლა ამ ჭეშმარიტებად ქცეულიყო:
„sa patience de supporter une âme.“¹⁰⁸ აღამიანთათვის ეგზომ მნიშვნელოვანი
 და მრავლისმეტყველი — შემთხვევები ბედისწერისა დიდი ხანი იყო, რაც
 ჩამოსწყდა იმის ცხოვრებას, მაგრამ დაიკარგა ის ყველაფერიც, სიხარულსა
 და ტანჯვა-ტკივილს რაც სჭირდებოდა: საკმაზის გემო, და დაიწმინდა და
 საკვებად ვარგისი გახდა მისი სულისთვის. მისი ყოფიერების ფესვებიდან
 ამოიზარდა სულ სხვაგვარი — ნაყოფიერი სიხარულის ნაზამთრალი, გამძ-
 ლე მცენარე. მთლიანად ჩაიძირა ამ სიხარულში, რათა დაუფლებოდა იმას,
 რასაც მისი ფუტკრისებრი რუდუნება ელტვოდა. მას არ უნდოდა რაიმეზე
 გადამბტარიყო, გამოეტოვებინა, რადგან ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ყველა-
 ფერში მისი სიყვარული სახლობდა და იზრდებოდა. შინაგანი თვითფლობა
 ისე გაუძლიერდა, რომ გადაწყვიტა: განხორციელებინა უმთავრესი საქმე,
 რის განხორციელებასაც ადრე ვერ შესძლებდა. ბავშვობა ჰქონდა მხედვე-
 ლობაში. რაც უფრო მშვიდად ფიქრობდა ბავშვობაზე, მით უფრო განუხორ-
 ციელებული ეჩვენებოდა იგი; ბავშვობის მოგონებებს წინათგრძნობის ბუნ-
 დოვანება ეფინათ, და სწორედ იმიტომ, რომ წარსულად ითვლებოდნენ, მო-
 მავლის სახე ჰქონდათ მიღებული. უნდოდა ბავშვობის მძიმე სამყარო ისევ
 თავის თავზე აედო. აი, ეს იყო მიზეზი გაუცხოებულის შინ დაბრუნებისა.
 არ ვიცით, შინ დარჩა იგი თუ არა. ვიცით, რომ დაბრუნდა. **ქ**

ხსენებული ამბის მთხრობელნი ცდილობენ ამ ადგილას სახლი გაგვახსე-
 ნონ, სახლი — ისეთი როგორიც იყო. რადგან იმ სახლში ცოტა დროს გაევლო

მხოლოდ, მცირეოდენ დათვლილ დროს. ცხადია, სახლის ყველა ბინადარს შეეძლო ეთქვა, რა ხანმა განვლო. ძაღლები დაბერდნენ, მაგრამ ცოცხლობდნენ. გვიამბობენ, ერთმა მათგანმა კიდევ შეჰყმუვლაო. ყოველდღიური საქმიანობა უეცრად შედგა. აი, სახეები ჩნდებიან ფანჯრებში, დაბრუნებული, მოწიფული თუ ნორჩი სახეები, გულისამაჩუყებლად რომ წააგვიანან ერთიმეორეს. და ერთ-ერთმა ყველაზე ხნიერმა სახემ უეცარი ვადასტურებით გამოხატა: რომ იცნო მისული. ცნობა? ნუთუ მხოლოდ ცნობა იყო ეს? არა — პატიება. პატიება? კი მაგრამ, რა საფუძველზე? — სიყვარულის. ღმერთო ჩემო! მას, ვინც იცნეს, ამაზე სულ აღარ უფიქრია, ეგზომ დატვირთული იყო მთელი ის ხანი. აღარ უფიქრია, რომ სიყვარული ისევ შეიძლება არსებულებო. გასაგებია, რომ ყველაფრიდან, რაც იქ ხდებოდა, მხოლოდ ეს გადმოგვცეს: დაბრუნებულის მოძრაობები. მისი გაუგონარი უესტები, იქამდე რომ არვის ენახა: უსაზღვრო ვედრების გამომხატველი აპყრობა ხელთა, როცა ის მათ ფერხით დაეარდა და შექლალადა: ნულარ, ნულარ გეყვარებითო. დამფრთხალმა შინაურებმა ააყენეს დაჩოქილი და გულში ჩაიკრეს. მისი სიშმაგე თავისებურად ახსნეს და მიუტევეს. და აი, მაშინ ალბათ ენით აღუწერელი თავისუფლება იგრძნო მისულმა: რომ დამხვდურებმა ვერ გაუგეს, ვერ გაუგეს, მისი საქციელის სასოწარკვეთილი ერთაზროვნების მიუხედავად. ახლა კი შეეძლო დარჩენილებო. რადგან დღითი დღე რწმუნდებოდა, რომ ოჯახის წევრთა სიყვარული მას აღარ ეხებოდა, სიყვარული, რითაც აგრე მოჰქონდათ თავი და რისკენაც ერთმანეთს ფარულად აქეზებდნენ. ალბათ თითქმის ეღიმებოდა, მათ მოწადინებას როცა ხედავდა. ცხადი იყო: შინაურნი მას აღარ გულისხმობდნენ.

აბა, რა იცოდნენ, ვინ იდგა მათ წინ. დაბრუნებულის სიყვარული ახლა ძალიან ძნელი იყო და გრძნობდა კაცი: მხოლოდ იმ ერთს შესწევდა ძალა, ის ყვარებოდა. მას კი ჯერ არ სურდა.

შენიშვნები

1. **Dame à la Licorne (ფრანგ.)** — ქალი ცალეშვასთან ერთად — იგულისხმება XVI საუკუნის ექვსი გობელენი, რომელიც დაცულია საფრანგეთის ერთ-ერთ მუზეუმში. იქ გამოსახულია ქალი მითიურ ცხოველთან ერთად (იხილეთ: რომანის I ნაწილი, საუნჯე № 1, 1987 წ., გვ. 66).
2. **დეღე ვისტები** — გობელენები განკუთვნილი იყო ვინმე კლოდ ლე ვისტისათვის როგორც საქორწინო საჩუქარი.
3. **პიერ დ' ობიუსონ (1425—1503)** — იოანიტების ორდენის დიდი მაგისტრი, ბუსაქის ციხე-კოშკის მფლობელი, სადაც ინახებოდა ხსენებული გობელენები.
4. **გასპარა სტამპა (1528—1564)** — ვენეციელი პოეტი ქალი. სონეტების ციკლში („ლექსები სიყვარულზე“), მისი სიკვდილის შემდეგ რომ გამოქვეყნდა, მან უმღერა თავის სიყვარულს გრაფ კოლალტინო დი კოლალტოსადმი.
5. **პორტუგალიელი ქალი** — იგულისხმება პორტუგალიელი მონაზონი მარიანა ალკოფორადო (1640—1723). 1669 წელს პარიზში გამოქვეყნდა „პორტუგალიური წერილები“, სადაც მოთხრობილია ამბავი მისი ტრაგიკული სიყვარულისა მარკიზ დე შამილისადმი. დღესდღეობით შეკლევარნი თვლიან, რომ ეს წერილები სინამდვილეში ეკუთვნის **ვიკონს დე ბიიარაბს** (1628—1685), რილკე კი მათ პორტუგალიელი მონაზონის წერილებად მიიჩნევდა და გერმანულად თარგმნა ისინი (1913 წ.).
6. **ვალანსენი** — ჩხირებით ნაქსოვი მაქმანი ყვავილოვანი ორნამენტით, ასე ეწოდება ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთის ქალაქ ვალანსენის მიხედვით.
7. **ბინში** — ქალაქი ბელგიაში (ბელგია ჩხირებით ნაქსოვი მაქმანების სამშობლოდ ითვლება).

8. **გრაფი ბრაე** — გერმანულ კომენტატორთა აზრით გრაფ ბრაეს პროტოტიპი უნდა იყოს ჰესენის ლანდგრაფი, რომელიც ხელმძღვანელობდა მისტიკურ-თეოსოფიურ საზოგადოებას კომენაგენში და დროდადრო აწუბდა სპირიტუზმის სეანსებს.

9. **ბრედგადი** — ქუჩა კომენაგენის ცენტრში.

10. გრაფ ბრაეს მემუარები წარმოადგენს ი. კ. ლაფატერის (1741—1801) ჩანაწერებს, როდესაც იგი მინისტრ გრაფ ანდრეას პეტერ ბერნსტორფის (1735—1797 წ. მიწვევით) მონაწილეობდა ჰესენის ლანდგრაფის სპირიტუალურ სეანსებში (1793 წ.). ეს ჩანაწერები *ლანდგრაფის* მახის ერთ-ერთი წყაროა.

11. **ხედენბორგი** — ემანუელ ხედენბორგი (1688—1772) შვედი თეოსოფი. ცნობილია მისი თხზულება „ზეცის, ჯოჯოხეთისა და სულთა საუფლოს შესახებ“ (1758).

12. **ეკერნფიორდე** — ქალაქი შლეზვიგ-ჰოლშტაინში, სადაც თავისი ცხოვრების ბოლო ოთხი წელი გაატარა ცნობილი ავანტიურისტმა გრაფ სენ ჟერმენმა (1710—1784), რომელსაც ანლო ურთიერთობა ჰქონდა ჰესენის ლანდგრაფთან და მის წრესთან.

13. **მარკიზ ფონ ბელმანი** — გრაფ სენ ჟერმენის ერთ-ერთი სახელი.

14. **Adieu, Madame (ფრანგ.)** — ნახვამდის, ქალბატონო.

15. **Jardin d' Acclimatation (ფრანგ.)** — პარკი გასართობი სანახაობებით, ნაწილობრივ ხადირთა ვოლიერებით (პარიზში).

16. **ბერნსტორფული წრე** — იგულისხმება მინისტრ გრაფ ანდრეას პეტერ ბერნსტორფის არისტოკრატიული წრე — რევენტლოვებისა და შიმელმანების ოჯახები.

17. **იული რევენტლოვი** — გრაფინია იული რევენტლოვი (1763—1863) — დაბადებით შიმელმანი, ცნობილი იყო თავისი სილამაზით, სინატიფითა და ღვთისმოსაობით.

18. **სტიგმები** — ქრილობები, რომლებიც უჩნდებათ განსაკუთრებით მგრძნობიარე სულის მორწმუნეებს ამ ადგილებზე, სადაც ქრისტეს ლურსმნები ჰქონდა ჩარჭობილი.

19. **ლანგელინი, ამალიეგადი** — ქუჩები კომენაგენის ცენტრში.

20. „...სიკვდილამდე სამი საათით ადრე...“ — როგორც გერმანელმა კომენტატორებმა დაადგინეს, ეს ნაწყვეტი წარმოადგენს თითქმის ზუსტ თარგმანს დანიური ტექსტისა („დანიელ მეფეთა პორტრეტები“), სადაც აღწერილია ქრისტიან IV-ის სიკვდილი.

21. „ო, ექიმო, ექიმო, რა ჰქვია მას?“ — დანიური წესისამებრ მეფე მესამე პირში მიმართავდა ქვეშევრდომთ. ამიტომ ექიმმა იფიქრა, რომ მეფეს მისი სახელი დაავიწყდა და შეახსენა: შპერლინგიო. სინამდვილეში მეფეს ექიმის სახელი კი არა, სიტყვა „სიკვდილი“ დაავიწყდა. **Döden** — დანიურად სიკვდილს ნიშნავს.

22. **ალექსის ფელიქს არვერი** (1806—1850) ფრანგი პოეტი. მისი სიკვდილის ისტორია გახმაურებული ამბავია.

23. **ჟან დე დიუ** (1495—1550) ბერთა ერთ-ერთი ორდენის დამაარსებელი.

24. ...ის გამოგნებელი ნახატები — გერმანულ კომენტატორთა აზრით, აქ შეიძლება იგულისხმებოდეს ბრეიგელის ან ბოსხის ნახატები.

25. **გრიშა ოტრეპიევი** — ცრუ დიმიტრი I, რომელიც ბოიარებმა მოკლეს 1606 წელს.

26. **კარლოს მამაცი** — ბურგუნდიის პერცოგი (1467 წლიდან) „ევროპის პირველ რაინდად“ წოდებული, მეფის ხელისუფლების მოწინააღმდეგე და ფეოდალური შეუზღუდავობისათვის თავზეხელაღებული მებრძოლი.

27. **მარია ნაგაია** — ივანე მრისხანეს უკანასკნელი (მეშვიდე) ცოლი. მეფის სიკვდილის შემდეგ (1584) ბოიარებმა გაასახლეს უგლიჩში მცირეწლოვან შვილთან, უფლისწულ დიმიტრისთან ერთად, რომელიც რვა წლის ასაკში დაიღუპა. 1605 წელს მარია ნაგაია ცრუ დიმიტრი I-მა გადასახლებიდან დააბრუნა. მარია ნაგაიამ, რათა ხელისუფლებისათვის სამაგიერო გადაეხადა, ცრუ დიმიტრი ანუ გრიშა ოტრეპიევი საკუთარ შვილად სცნო.

28. **მარია მნიშევი**, ცრუ დიმიტრი I-ის საცოლე (შემდეგ ცრუ დიმიტრი II-ისა), დათანხმდა მასთან ქორწინებაზე, რადგან ამ უკანასკნელმა მამამისს აღუთქვა ქალაქები — ნოვგოროდი და ფსკოვი.

29. **შუისკი** — თავადი ვასილი შუისკი, რომელიც ცრუ დიმიტრი I-ის მოკვდინების შემდეგ მეფე გახდა (1606-10).

30. **დიუონი** — ბურგუნდიის საპერცოგოს დედაქალაქი შეასაუკუნეებში (რილკე დიქონში იმყოფებოდა 1903 წლის 29 აპრილს გზად ვიარეჯოდან პარიზისაკენ).

31. **ქალაქი ლოზანა** ვერ აიღო კარლოს მამაცმა.

32. **გრანსონი** — ამ ქალაქთან კარლოს მამაცის ჯარი დაამარცხეს შვეიცარიელებმა (1476 წლის 2 მარტს).

33. ურის ბუკები — იგულისხმება შვეიცარიელთა ბუკები, (ური — შვეიცარიის ერთ-ერთი კანტონია), რომელთა ხმაც ძალზე აღიზიანებდა კარლოს მამაცს, რადგან ახსენებდა დამარცხების ქალაქ გრანსონთან.
34. ნანსი — ქალაქი ლოტარინგიაში, სადაც კარლოს მამაცი დაამარცხა ლოტარინგიის ჰერცოგმა და მისმა მოკავშირე შვეიცარიელებმა. იქ დაიდუმა კარლოს მამაცი.
35. გრაფი ფონ კამპო-ბასო — XV საუკუნის იტალიელი კონდოტიერი ნანსის ბრძოლაში მიატოვა კარლოს მამაცი, რითაც ხელი შეუწყო მის დაღუპვას.
36. „მეფის მახარა ლუდოვიკ XI“ — კარლოს მამაცის მიერ მახარასთვის შერქმეული სახელი, ნიშნად იმისა, რომ აბუჩად იგდებდა თავის კუზენსა და მტერს — საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკ XI-ს (1461—1483), რომელიც თავდაუზოგავად იბრძოდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს შესაქმნელად.
37. ოლივიე დე ლა მარში (1425—1502) — ფრანგი პოეტი და ისტორიკოსი კარლოს მამაცის კარზე.
38. „...რომაელები ხომ არ გვიდგანან ზურგს უკანო“... — იგულისხმება ის ფაქტი, რომ ნანსის ბრძოლაში კარლოს მამაცი გასცეს დაქირავებულმა იტალიელმა ჯარისკაცებმა, რომლებიც მოისყიდა ლუდოვიკ XI.
39. იენს ბაგესენი (1764—1820) — დანიელი მწერალი.
40. ადამ ელენშლეგერი (1779—1850) — რომანტიზმის ეპოქის დანიელი მწერალი.
41. შაკ ფონ ხტაფელდი (1769—1826) — დანიელი მწერალი.
42. ბეტინა — ბეტინა ფონ არნიმი (1785—1859) კლემენს ბრენტანოს და, ახიმ ფონ არნიმის მეუღლე, გერმანელი მწერალი ქალი, რომანტიზმის ეპოქის მნიშვნელოვანი პიროვნება, უაღრესად ემოციური, ინტუიტიური, უშუალო ბუნების ადამიანი. ცნობილია მისი მიმოწერა გოეთესთან („გოეთეს მიმოწერა ბავშვთან“, 1835).
43. „...პათმოსზე მუხლმოდრეკილი იოანესავით“ — იგულისხმება მოციქული და მახარებელი იოანე, რომელიც იმპერატორმა განდევნა კუნძულ პათმოსზე, სადაც მან დაწერა თავისი აპოკალიპსი („გამოცხადება“).
44. ელოიზა — იგულისხმება ფრანგი ფილოსოფოსისა და თეოლოგის, პიერ აბელიარის (1079—1142) მეუღლე ელოიზა და მისი წერილები აბელიარისადმი, რომელთაც ის სწერდა მონასტრიდან, მას შემდეგ, რაც მოსწყვიტეს თავის მეუღლეს.
45. La presse (ფრანგ.) — პრესა, გაზეთები.
46. ხან სულპიცი — წმინდა სულპიციუს ეკლესია პარიზში, ლუქსემბურგის ბაღის ჩრდილოეთით.
47. „...რომ ეს სახელმწიფო ამ უბედურის გულისთვის არსებობდა...“ — იგულისხმება: სახელმწიფო წარმოშობს ასეთ ბედკრულ, გაუბედურებულ ადამიანებს, რომლებიც ბედნიერებზე უფრო ახლოს იმყოფებიან ღმერთთან, რადგანაც მათი გრძნობები (ტანჯვა-ტკივილი, შიში) უკიდურესად გამბაფრებულია. ისინი არიან „ღვთის რჩეულნი“, ნამდვილ ყოფიერებაში მდგომნი, განსხვავებით ბედნიერებისა და დაღვინებულებისაგან, რომელთა ყოფიერებაც ზედაპირულია.
48. იგულისხმება წინა პასაჟში აღწერილი გაზეთების გამყიდველი და მისი მსგავსნი — ცხოვრების ფსკერზე მყოფნი, უბედურებისა და ტანჯვისთვის განწირულნი.
49. „...თითქოს ცივი ღამპარი სკეროდეთ ხელში“ — მათეს სახარება, 25.2.
50. „...განა იგი ერთადერთი კაცი არ არის...“ — ლაპარაკია საფრანგეთის მეფეზე, კარლოს VI შემლილზე (1368—1422), რომელსაც ხშირად ჰკონდა სულეერი ავადმყოფობის შეტევები. იგი სულ უფრო და უფრო გულგრილი ხდებოდა თავისი მეფობის მიმართ და ხალხმა მას „საყვარელი მეფე“ შეარქვა, რადგან მან დაიახლოვა მესამე წოდება.
51. კანცლერი ჟან შარლ ვერსონი (1363—1429) — ეკლესიის უდიდესი ქადაგი XIV საუკუნეში, თეოლოგიის პროფესორი პარიზის უნივერსიტეტში.
52. Parva regina (ლათ.) — პატარა დედოფალი, იგულისხმება ნორჩი და თვალწარმტაცი ოდეტა დე შანდივერი, ავადმყოფი მეფის კონკუბინა.
53. ჟან ეიუვენალ დეზიურსენი (1369—1431) — გავლენიანი პოლიტიკოსი კარლოს VI კარზე.
54. „...რომ მისი ძმა მოკლეს...“ — იგულისხმება ლუდოვიკო ორლეანელი, კარლოს VI-ის ძმა, მისი რეგენტი. იგი 1407 წელს მოკლეს დაქირავებულმა გველელებმა, რომლებიც მიუგზავნა მეფის ბიძაშვილმა ბურგუნდიის ჰერცოგმა იოანე უშიშარმა (1371—1419).

55. ვალენტინა ვისკონტი — ლუდოვიკო ორლეანელის მეუღლე. იგი მეუღლის სიკვდილის შემდეგ მალე გარდაიცვალა (1408 წელს).
56. კარლოს VI ახსენდება დიდი გამარჯვება ფლამანდიაში, როზბეტან.
57. პერტოგი იოანე ბერიელი, კარლოს VI-ის ნაცვალის ოვერსა და ლანგედოკში.
58. ეს ირემი დასიზმრებია ახალგაზრდა კარლოს VI როზბეტის ბრძოლის წინ.
59. სენ დენის ქუჩაზე — ქუჩა პარიზში, სადაც შუასაუკუნეებში იმყოფებოდა „თეატრალური გაერთიანება“ მისტერიათა დასადგმელად (დაარსდა 1402 წელს).
„თეატრალური გაერთიანება“ მისტერიათა დასადგმელად (დაარსდა 1402 წელს).
60. ქრისტინე პიზანელი (1364—1411) — იტალიური წარმოშობის ფრანგი მწერალი ქალი. აქ მინიშნებულია მისი წიგნის („ხანგრძლივი სწავლის წლები“, 1402) ზოგიერთი მოტივი.
61. ქრისტინე პიზანელის წიგნში მოთხრობილია სიზმარი, რომელშიც ქალაქ კუმაში მცხოვრები წინასწარმეტყველი ქალი მთავარ გმირს აიყვანს ზეცაზე, სადაც ქვეყნიერების ოთხი დედოფალი იმაზე კამათობს, თუ ვინ არის საუკეთესო მეფე.
62. იმპერატორი ვენცელი — იგულისხმება ჩეხი მეფე ვაცლავ IV (1378—1419), რომელიც 1400 წლამდე იყო გერმანული იმპერიის იმპერატორი. 1397 წელს კარლოს VI ჩავიდა რაიმსში იმპერატორთან საეკლესიო საკითხებზე მოსალაპარაკებლად.
63. „...ავინიონს კი კარგად იცნობდა...“ — 1398 წელს კარლოს VI ჩავიდა ავინიონში, სადაც მას მასპინძლობდა პაპი კლიმენტ VII.
64. „...ავინიონური საქრისტიანოს ხანა იდგა“ — საფრანგეთის მეფე ფილიპ IV ლამაზმა პაპის ტახტზე დასვა ფრანგი არქიეპისკოპოსი და უბრძანა მას ყოფილიყო არა რომში, არამედ პროვანსის ქალაქ ავინიონში. ე. წ. „პაპების ავინიონური ტყვეობა“ 1309 წლიდან 1377 წლამდე გრძელდებოდა. შემდეგ კი კათოლიკურმა ეკლესიამ ისევ მოახერხა რეზიდენციის გადატანა ვატიკანში. 1378 წლიდან 1417 წლამდე მუდამ ორი პაპი იყო. ერთი რომში, ერთი ავინიონში. სწორედ ამ დროს მეფობდა კარლოს VI.
65. პაპი იოანე XXII (1245—1334) ავინიონის მეორე პაპი იყო (1316 წლიდან).
66. ყველა წმინდანის დღე — ყველა წმინდანის მოხსენიების კათოლიკური დღესასწაული (1 ნოემბერს). ლაპარაკია 1331 წლის ქადაგებაზე.
67. იგულისხმება თავად ოთხმოცდახუთი წლის პაპი.
68. ნაპოლეონ ორსინი (1263 — დაახ. 1342) — კარდინალი, პაპ ნიკოლოზ III-ის ნათესავი.
69. იოანე ფონ კამორი — პაპ იოანე XXII-ის საერო სახელი.
70. გრაფ ფონ ლინის ვაჟი — პიერ დე ლუქსემბურგ-ლინი (1369—1387), შუასაუკუნეების ვენდერკინდი, რომელიც 17 წლისა უკვე კარდინალი იყო ავინიონში.
71. იგულისხმება შუასაუკუნეები.
72. წინდა ლუდვიგი — წმინდა ლუდოვიკო (1214—1270) — ლუდოვიკო IX, საფრანგეთის მეფე.
73. გრაფი ფონ ფუა — გასტონ ფეხი (1331—1391) — ასწლიანი ომის ეპოქის ერთ-ერთი დიდი ფეოდალი, ცნობილი თავისი სისასტიკით.
74. ლურდი — ქალაქი სამხრეთ საფრანგეთში, კათოლიკე პილიგრიმთა ცენტრი.
75. ცელესტინელთა ორდენი... — პაპმა ცელესტინმა დააარსა ბერთა უმკაცრესი ორდენი (რომელსაც მისი სახელი ეწოდა).
76. Beau Sire Dicu (ფრანგ.) — კეთილი უფალი ღმერთი...
77. ალბა, სირვენტი — შუასაუკუნეებრივი პროვანსული ლირიკის თანრები.
78. სამების მონასტერი — საავადმყოფო.
79. მიქელ მთავარანგელოზის ბრძოლა ეშმაკთან შუასაუკუნეების მისტერიათა გავრცელებული თემა იყო.
80. გერმანულ კომენტატორთა ვარაუდით, აქ მეფეს უნდა აგონდებოდეს თავისი ცხოვრების ერთი ეპიზოდი, როცა ერთ-ერთ საქორწინო ზეიმზე შემთხვევით ხანძარი გაჩნდა და მეფე კინალამ დაიწვა.
81. ორანჟის თეატრი — რომაული ამფითეატრი ორანჟში (პროვანსი), გვიანანტიკური არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლი (მე-2 ს. ჩ. წ.), გათვალისწინებული დაახლოებით 7 ათას მაყურებელზე. ამ თეატრის გარეთა (37 მეტრის სიმაღლის) კედელს ლუდოვიკო XIV თავისი სამეფოს საუკეთესო კედელი უწოდა. რილკე იქ იყო 1909 წლის შემოდგომაზე.
82. იგულისხმება ელეონორა დუზე (1859—1924), გამოჩენილი იტალიელი მსახიობი, ვისი ხელოვნებაც რილკეს უსაზღვროდ აღაფრთოვანებდა. პირადად გაიცნო 1912 წელს ვენეციაში.
83. ბიბლია — მილეტის ასული (მილეტმა დააარსა ქალაქი მილეთი მცირე აზიაში), რომე-

ლიც იმდენხანს ტიროდა თავისი ძმისადმი — კენოსისადმი ცალმხრივი სიყვარულის გამო, რომ წყაროდ გადაიქცა (ოვიდიუსი, მეტამორფოზები, წიგნი 9).

84. ლიკია — ადგილი მცირე აზიაში ანტიკურ ეპოქაში.
85. გრაფინია ფონ ღია — ცხოვრობდა XIII საუკუნის დასაწყისში, ეწვარდა ტრუბადური რამბაუტ III და უძღვნიდა მას კანცონებს.
86. კლარა დ' ანდუზე — XIII საუკუნის პროვანსელი პოეტი ქალი.
87. ლუიზა ლაბე (1525—1566) — ლიონის სკოლის ფრანგი პოეტი ქალი. რილკემ თარგმნა მისი 24 სონეტი (1917), სადაც პოეტი ვაებს სატრფოსთან (როგორც ვარაუდობენ: პოეტი ოლივიე დე მანისთან) განშორების გამო.
88. მარსელინა დებორდ-ვალმორი (1786—1859) — ფრანგი პოეტი ქალი.
89. ელიზა მერკიორი (1809—1855) — ფრანგი პოეტი ქალი.
90. აიშე — იგულისხმება ავტორი „მადმუაზელ აიშეს წერილები“-სა. არის თუ არა ამ წერილების ავტორი ახალგაზრდა ჩერქეზი ქალი, რომელიც განგებამ პარიზის არისტოკრატიულ წრეში მოახვედრა (1695—1733), გადაუჭრელ საკითხად რჩება. ზოგიერთები ამ წერილებს ანონიმურ ავტორს მიაკუთვნებენ.
91. უიული ლესპინას (1732—1776) — ცნობილი იყო როგორც უაღრესად განათლებული და ღრმა პიროვნება. მის სალონში იმ დროის მრავალი გამოჩენილი ადამიანი იყრიდა თავს.
92. მარი-ანნა დე კლერმონ (1697—1741) — უზომოდ მწუხარებდა და ღირსეულად იტანდა ტანჯვას, პერცოგ დე მელიუნის სიკვდილის გამო, ვისთანაც ფარულად იყო დაქორწინებული.
93. კლამენტინა დე ბურჟი — ლუიზე ლაბეს მეგობარი, განსაცვიფრებლად ლამაზი და გონიერი ქალიშვილი, რომელიც გარდაიცვალა მწუხარებისაგან, როდესაც მისი შეყვარებული პროტესტანტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს.
94. ჟან დე ტურნი (1504—1564) — ლიონელი მბეჭდავი, რომელმაც გამოსცა ლუიზე ლაბეს სონეტები.
95. დიკე, ანაქტორია, გირინო, ატიოდა — საფოს მეგობარ ქალიშვილთა სახელები.
96. რიდინგერის გრავიურები — იოჰან ელიას რიდინგერი (1698—1769) გერმანელი ფერმწერი და გრაფიკოსი.
97. მკვლევართა აზრით უნდა იგულისხმებოდეს პოლ სეზანი (1839—1906), რომლის ხელოვნებამაც დიდი გავლენა მოახდინა რილკეზე.
98. კლავდიუს გალენი (131—210) — ცნობილი ძველბერძენი ექიმი.
99. ბენედიქტა ფონ ქვალენი — ქალი, რომელსაც დანიელი მწერალი იენს ბაგესენი ამაოდ ეტრფოდა.
100. მეტილდა ფონ მაგდენბურგი (1210—1282-3) — შუასაუკუნეებრივი მისტიციზმის წარმომადგენელი.
101. ტერეზა ფონ ავილა (1515—1582) — ესპანეთში მცხოვრები კათოლიკე წმინდანი ქალი, ფილოსოფიურ-რელიგიური თხზულებების ავტორი.
102. როზე ფონ ლიმა (ისაბელ ფლორესი, 1586—1617) — პერუელი რელიგიური მოღვაწე, 1671 წელს წმინდანად იქნა შერაცხული.
103. თავადის ქალი ამალია გოლიცინა — დაბადებით გრაფინია შმეტაუ (1748—1806), მეუღლე რუსი თავადის დიმიტრი გოლიცინისა, რომელიც იყო რუსეთის წარგზავნილი პარიზში. თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებლესი ქალი, ქალთა ემანსიპაციისათვის მებრძოლი.
104. კამპენე — ქალაქი კამპენეს ყურეში, მექსიკის ყურეს სამხრეთ ნაწილში.
105. დეოდატ დე გოზონი — შუასაუკუნეების რაინდი, რომელიც დასაჯეს, რადგან აკრძალვის მიუხედავად მოკლა დრაკონი.
106. ბო — ძველი ქალაქი პროვანსში.
107. როგორც თავად რილკე განმარტავს, ბოს პრინცების უძველესი მოდგმა ერთ-ერთი აღმოსავლელი მოგვიდან, მეფე ბალთაზარიდან იღებდა სათავეს და მათ ღერბზე გამოსახული იყო თექვსმეტსხივიანი ვარსკვლავი, რომელიც დაჰნათის ბაგას. უაღრესად ცრუმორწმუნე პრინცებს ავბედითად მიაჩნდათ ამ ვარსკვლავის თექვსმეტი სხივი და ებრძოდნენ მას „ბედნიერი“ რიცხვებით: სამით და შვიდით; ყოფდნენ მამულებს შვიდ ნაწილად და ა. შ.
108. *Patience de supporter une âme* (ფრანგ.) — მოთმინება, რითაც ის განიმტკიცებდა ცოცხალ სულს.

კომენტარების ნაწილი თარგმნილია წიგნიდან: Reiner Maria Rilke, *Ausgewählte Prosa*, Moskau, 1984.



თარგმნა თალო ბაქიშვილმა

SILENTIUM¹

დადუმდი, ფიქრი დაფარე შენი,
გრძნობას, სანუკვარს დაუხშე ბჭენი!
დაე უხილავ სულის ხვეულში
დარჩეს, დავანდეს, ხელს ნუ შეუშლი!
ეხუროს ვარსკვლავს ცა იღუმალი,
დატკბი მიწით და იყავ მდუმარი!

გულო, შენ ვერვის დაენახვები,
უხილავია შენი ზრახვები...
ვინ უნდა მიხვდეს თუ რას მოელი?

ტყუის ნათქვამი სიტყვა ყოველი!
და სულში წმინდა წყარო თუ არი —
დაეწაფე და იყავ მდუმარი!

საკუთარ თავში ყოფნა შესძელი,
შენს სულში ფეთქავს სამყარო მთელი!
უიღუმალეს ზრახვებს და აზრებს
გარე ხმაური ახშობს და აზრობს...
არ აამღვრიო ხმა იღუმალი, —
უსმინე უხმოდ — იყავ მდუმარი!..

ფეხქვეშ შრიალებს გამშრალი სილა.
დღე იცრიცება. მივდივართ
ფრთხილად.
თანდათანობით ნაძვების ჩრდილი
უკვე შეერთდა ერთიან ჩრდილად.

შრიალებს შიშით უღრანი შავი,
გაუმართიათ ალებს მარულა
და ღამე, როგორც ნადირი ავი,
ყველა ბუჩქიდან გვიმზერს მალულად.

სულო — ჯიანდების ელიზიუმო —
ნათელ, მშვენიერ, მდუმარ ლანდების —
როგორ უცხოა შენთვის ყოველი
ლხენა და დარდი დღის დღევანდელის!

სულო — ლანდების ელიზიუმო,
ამ ცხოვრებასთან რა გაქვს ზიარი, —
სადაც ჩამქრალა შუქი ღვთიური,
სადაც ამდენი სიბილწე არი?!...

¹ მდუმარება (ლათ).

შადრევენი

შეხედე, როგორც ცოცხალი ნისლი,
 ცად ასროლილი მბრწყინავ
 ბოლქვებად —
 მიიწევს მალა, ნაპერწკლებს ისვრის,
 მზეში ელვარებს ვით საოცრება.
 მისი მიმსწრაფი, ლალი სხეული
 ოდეს სანუკვარ სიმალლეს სწვდება —
 უთვალავ წვეთად ჩამორღვეული,
 კვლავ ძირს იფრქვევა, მიწაზე კვდება.

ო, მოკვდავ აზრთა აშადრევენებაე!
 ცად ვინ მიაფრენს აზრთა შადრევენებს?
 მარად და მარად, შეუსვენებლად
 რაა ის ძალა, რაც არ განგებებს?
 რა შმაგად ილტვი შალალი ცისკენ,
 მაგრამ უხილავ ხელით განგების —
 დედამიწაზე ეშვები ისევ,
 მხეფად იშლები და იფანტები!

გადაფარული მკვრივი ყინულით
 ჩაცხრა, ჩამშვიდდა შმაგი დინება.
 სიცივე, ირგვლივ შემორკინული,
 ხმებსა და ფერებს ზედ ეფინება.
 მხოლოდ სიცოცხლის უკვდავი წყარო
 შეუბორკავად მიეჩქარება,
 ის ყინულეთშიც ლივლივებს, ხარობს
 და ეღაუვება მკვდრულ მღუმარებას.

ასევე გულსაც თოშავს და ყინავს
 ცხოვრების მკაცრი გულმოდგინება...
 აღარ ხალისობს, აღარა ბრწყინავს
 ყრმობის გიჟმაჟი, ლალი დინება.
 მაგრამ ყინულის საფარველ ქვეშაც
 რაღაცა ფეთქავს, ჩუხჩუხებს, ჩქარობს.
 ყურს თუ მიუგდებ, გარკვევით ისმის,
 როგორ ჩუჩულებს სიცოცხლის
 წყარო.

მარტო ვზივარ მწუხარე,
 მინავლებულ ბუხართან,
 გამოკეტილ კართან.
 დღეებს ვუმზერ გაფრენილს,
 არ შემრჩა არაფერი
 მწუხარების გარდა!

ჭკნება, რჩება წარსულში,
 მაგრამ ახალ ზაფხულში
 კვლავ ახალი ჩნდება.

ის, რაც იყო, რა იქნა?
 რა წყვდიადში გაიქნა,
 საით ჩაიკარგა?
 ის რაცაა, ისიც ხომ
 უნდა გადავივიწყო,
 იმასაც ხომ ვკარგავ!

და კვლავ მოვა თავიდან,
 რისი ყავლიც გავიდა,
 აყვავდება ვარდიც...
 მაგრამ უკვე დამცხრალი,
 ჩემი გული საწყალი
 გაილია დარდით.

წელს მიჰყვება წელი და
 დროის ყრუ სიბნელიდან
 რა ნაყოფი რჩება?

თუმცა ჩემივე ნებით,
 თვით მე არ ვასვენებდი...
 ახლა რაღას შევცვლი?
 ცოტაც გაძლო იქნება,
 სანამ სულ ჩაგიქრება
 გულო, ტრფობის ცეცხლი!

რა ხეობაა მიყრუებული!
 ჩემსკენ გამორბის ლიკლიკა წყარო!
 ის დაბლა მიჰქრის აქაფებულნი,
 მე — მაღლა მდგარი ნაძვისკენ
 ვჩქარობ.

აი, ავედი, დაღვრილი ოფლიდან
 სიმყუდროვით და სიმშვიდით ვხარობ,
 დაბლა, ხალხისკენ მიილტვი წყაროვ...
 ერთი შენც სცადე იმათთან სოფნა

და შენს თვალებში გრძნობები ჩაქრა,
 და შენს სიტყვებში სიპართლე არ ჩანს
 ჰგავხარ სულისგან დაცლილს...

გულო, თქვი ბარემ სიტყვა მოქმედი —
 არც ქმნილებაში ჩანს შემოქმედი!
 არც ლოცვაშია აზრი!

29 იანვარი, 1897

ვინ, ვინ განგმირა პოეტის გული?
 ვინ გაიმეტა ის ტყვია ცხელი?
 ღვთაებრივი და მყიდვე ჭურჭელი
 ვინ დაამსხვრია ბოროტი ხელით?
 ახლა ვინაა მართლის განმსჯელი,
 ვინ გახსნას კვანძი გადახლართული?
 მკვლელი მარადის „ღვთაების“
 მკვლელის“
 დალით იქნება ამოშანთული.

ნათელში ყოფნა და სიმყუდროვე!
 ამ ხვედრით მხოლოდ ის გახდა ცხადი,
 რომ უკვდავება დაამწყურვალე...
 იყავ ღვთაების ცოცხალი ხატი,
 გულში კი სისხლი გედგა მხურვალე.

ამიტომ თავი ძირს არ დახარე
 და შეეწირე ღირსების წყურვილს,
 დროშა გლოვისა გადაგვაფარე
 მაგ ვაჟკაცურად განგმირულ გულით.
 ამ მტრობას ალბათ ამოხსნის ვინმე,
 სისხლი დაღვრილი — სამართალს
 ელის...

შენ კი გაგწირეს და გაგიმეტეს,
 ნათელს მომწყდარო, უღვთოდ,
 უდროოდ —
 პოეტის ლანდო, მშვიდობა შენს
 ნეშტს,

შენ კი, ვითარცა სიყვარულს პირველს,
 არ დაგივიწყებს რუსეთი შენი!

პოეზია

ჭეჭა-ჭეხილსა და ხანძრებს შორის,
 მაშინ, როდესაც ვნებათა ტბორი
 თავზე ევლება ქვეყნიერებას —
 იგი ჩვენამდის მოფრინავს შორით,
 ცის მოვლენილი — მიწიერებთან...
 მზერა უელავს ლურჯ საფირონით
 და აღელვებულ ვნებების მორევს
 ის შერიგების აცხრობს მირონით!

დამშვიდდი, მეტი რა დაგრჩენია —
სიშლეგე — ეძებს, განსჯის —
სიბრიყვე...
დღის დარდი სიზმრით გადაივიწყე,
ხვალ კი... მოხდეს, რაც მოსახდენია!

იცხოვრე, შესძელე ყოველს გაძლება:
დარდის თუ ლხენის, უგზურთა
უჩიქუნულწიხვით...
ცოცხლობ? სხეულებს დაგენაღვლება,
მადლობა უფალს, ამ ერთი დღისთვის!

ტყე მთვლემარე და გარინდებული
არე-მიდამოს ანაღვლიანებს.
თუმცა ჯერ ფოთლის უშქარი ჯარი,
დაოქროვილი, უმწეო, მკვანარი,
რტოებზე ქარში ისევ შრიალებს.
გავყურებ სევდით და თანაგრძნობით,
როს ღრუბლებიდან, ვით მოწყალება—

ტყეს შეყვითლებულს, მნათობი ცივი
გააფერადებს უღონო სხივით
და კვლავ ღრუბლებში მიიმალება.
რაც ჭკნება, რარიგ საყვარელია!
როგორი სევდით და სიმძიმით —
მიდის, გვშორდება ის, რაც ყვაოდა...
თითქოს ხელს გვიჭნევს სასაფლაოდან
უკანასკნელი ცივი ღიმილით!

ბოლო სიყვარული

წლების დასასრულთან, ბოლო
სიყვარული.
როგორი ნაზია, როგორ მშვიდი არის...
გვინათე, გვინათე შეუქო მინავლულო,
ბოლო ტრფიალების მწუხრი ბინდიანი!
ზეცის ნახევარზე ჩრდილი
გადაღვრილა,
მზეო ჩამავალო, დაისს ეფარები...

დაიცა, დაიცა, დღეო გადახრილო,
გაგრძელდი, გაგრძელდი, წამო
ნეტარების!
თუმცა ძარღვში სისხლი, უკვე იყინება,
გულს ძველი სინაზე მაინც არ ეთმობა...
ო, რა ტკბილ-მწარე ხარ, ბოლო
სიყვარულო,
შენ ხარ ნეტარებაც... და უიმედობაც!

ზაფხული. 1854.

რა ზაფხულია, რა უცნაური,
ვინ დალოცვილმა გამოგვიგზავნა
ეს ჯადოსნური დღესასწაული,
ვინ მოავლინა არაფრისაგან?
შეშფოთებულით ვუმზერ თვალებით
ამ ბრწყინვალეობას, ამ ელვარებას...

ბომ არ დაგვცინის ნეტავი ბედი,
ასე გულთბილად ვინ გვესალმება?
ეხ, თუმცა ასეა ქალის ღიმილიც,
შემონათება ბაგეთა, თვალთა —
არ აღგვიტაცებს, აღარა გვხიბლავს,
მხოლოდ გვაძრწუნებს სიბერის
ზღვართან!



უკრაინულიდან
თარგმნა სოსო ჩორიამ

წერილი ძახველს

არავინა მყავს, რომ მივწერო,
ნათესავთაგან,
მხოლოდ შენ შემრჩი, ჩემო ძახველო.
ბოლოს დიდედამ დაჰხარა ტოტი
და ბნელ ლამეში გაეფანტა

ვერცხლის ფოთლები.

შენ კი იცოცხლე! სიზმარშიც, ცხადშიც
ვტოვებ ვისლას და ენისეის, ვტოვებ დუნაის —
შორი ქვეყნიდან მოვიჩქარი სამშობლოსაკენ,
ჩემო ძახველო, აქ ხომ მუდამ შენ მეგულები,
ძვირფასს, ვით მშობელს, დედას გიწოდებ,
მე შენს კალთაში თავს ჩავრგავ და ავქვითინდები.
ო, ეს ტყვეობა არ მომშლოდეს ღმერთს ვევედრები.
არავინა მყავს რომ მივწერო.

შენ ერთი დამრჩი.

როგორ გაგექცე? მე შენი ვარ, შენი, მარადის.
ააშრიალე ისევ ფოთლები,

ქარს გაატანე მათი წკრიალი,

შემეპასუხე წითელ მტევნებით,
გამესაუბრე სევანზე და ენისეიზე, —

სადაც ვიქნები, —

ვისლაზე თუ ლურჯ დუნაიზე.

მოდი, დამიჯექ თავსასთუმალთან,

როგორც დიდედა

და მიაძბე, როგორ არიან, რას იქმონან

შენი ჩრდილისქვეშ.

იმ სამყაროზე, იმ მიწაყრილზე მესაუბრე,

სადაც არიან,

ნეტავ ვიცოდე უჭირთ თუ ულხინთ,

ისევ და ისევ თუ ეწვევიან მწარე თამბაქოს

ჭალაროსანი ჩემი ბიძები,
 ეჰ, ალბათ უკან არასოდეს დაბრუნდებიან.
 გთხოვ, იმათ ბედზე, მწარე ბედზე მომწერე რამე,
 მომწერე რამე შენი სულის დიდსულოვნებით,
 იმათ მაგიერ მიპასუხე, შენ გენაცვალე,
 ლამაზია და წარმტაცია შენი რტოები,
 როგორ უვლიან მათ საფლავებს შვილიშვილები,
 თქვენ გაზაფხულის ყვავილები მათ მიეცით და
 შესაფერისი ხსოვნის ნიჭი შვილებს უბოძეთ.



ჩემო ძახველო, სულ იზარდე, სულ იხასხასე.
 მომწერე შენი ლერწმის კალმით, პასუხი გამეც,
 სადაც ვიქნები, — ალტაიზე თუ პრიპიატზე,
 ჩემი შერანი სადაც გაშლის თავის ძლიერ ფრთებს.

ჩემო სინდისო — ჩემო ძახველო!
 დე, იყავ მუდამ ჯანმრთელი და სამართლიანი!
 ირწმუნე, შეშად არ იქცევი შენ არასოდეს,
 იცოდე, გწამდეს, აღარ გაგცვლი მთელ ქვეყანაზე.
 სულ იხასხასე, ქარებს შეხვდი მუდამ გულდაგულ,
 შენ განანათლე საქმენი და სიზმრები ჩემი —
 უკვდავი სხივით სიმართლისა და გაზაფხულის.

დაუწერიელი პოეზია

შარლოტა ფონ შტეინი, —
 მიემგზავრება ვაიმარის
 ერთი სასახლიდან,
 იოჰან ვოლფგანგ გოეთე, —
 საკონსპირაციოდ მიემგზავრება
 მეორე სასახლიდან,

იქ, სადაც ისინი
 ეხვევიან ტყეში ერთმანეთს,
 იქ, სადაც ცხენებს
 ხეს მიაბამენ, —
 დაიგუგუნებს იქ
 ბ უ ჰ ე ნ ვ ა ლ დ ი.

ბალადა დეზოქსირაბონუკლეინის მთავაზე (დნმ-ზე)

ი. შჩერბაკს

მემკვიდრეობის საიდუმლოება —
 ფასკუნჯის გადაფრენა...
 პროტონ-ნეიტრონები ხომ
 თავის ორბიტაშია
 „ევრიკა!“-ო იძახიან
 უკვე დიდი ხანია,
 ფრენის კრიკი და
 ჯეიმს უოტსონი —

მიკროსამყაროს კოლუმბი ორი.
 მემკვიდრეობის საიდუმლოება —
 დნმ-ის გაშიფრული
 მოლეკულა —
 განთიადი ბიოლოგიაში.
 ადამიანი უკვე შეეგუა
 მემკვიდრეობის განსაზღვრას.

ცდა ცილის სტრუქტურის
 დაპროგრამების!
 ხელოვნური ორგანიზმები ათი წლის
 შემდეგ!
 რაკეტის სიჩქარით აიჭრა ცაში
 ბიოლოგია.
 ფიზიკა გაიჭედა. გამეფდა მდუმარება:
 და ფასკუნჯი იდუმალი წყვდიადში
 აიჭრა.
 ატომური ორთქლმავალი სწორედ
 ასე მოაბიჯებს
 და გონებას ძაბავს საფრთხის
 მოლოდინი.
 ა) იქნებიან ხელოვნური არმიები,
 ლეკვებივით იქნებიან დაგეშილნი,
 იქნებიან სავალალოდ
 განწირულნი, —
 ჯვარზე იქნებიან კადონებად.

ბ) ტვინის მწარმოებელი ქარხანა.
 ბატონო გენერალო!
 თქვენი არმიისათვის ჩამოტვირთეს
 ოცდაცამეტი / ეშელონი
 „დეგენერატის“ მარკის
 მოდერნიზებული ტვინი.
 შეგიძლიათ დაიძრათ.
 შეჩერდით —
 ბატონ პრეზიდენტს
 პირადად სურს რომ
 ხელოვნური ჩაგიდგათ ტვინი.
 ...ჰა, ჩამოჰკრა შიშის ზარმა,
 მან შვა სწორედ ეს ბალადაც,
 იკლაკნება ის ჰაერში, ვით ანკარა.
 შიში ფეხქვეშ გვეფინება
 ფიანდაზად
 და სისინებს ის ჰაერში კვლავ —
 საზარლად.

იური შჩერბაკი

ლენინგრადული ფრესკა

ძლიერ უყვარდა ამ ბიჭუნას
 ციგურაობა,
 გულს აწვრილებს თოვლის ფეხქვეშ
 ჭრაჭუნნი,
 დედა თოკით ეწეოდა ციგას,
 იცინოდა ბედნიერი დედა,
 მედიდურად იჭდა შვილი ციგაზე
 (ლოყებლაყლაყა, ცისფერთვალება),
 აი, დღესაც კარგი დარი დგას, —
 დახატული ცარცის ფერად ჩხირებით:
 ვარდისფერით, წითელით და
 ცისფერით.

გულს აწვრილებს თოვლის ფეხქვეშ
 ჭრაჭუნნი.
 ბიჭი თოკით ეწეოდა ციგას,
 ციგაზე კი მისი დედა არის,
 ციგაზე კი მისი დედა იწვა...
 ციგაზე.
 დედა...
 ჭრაჭუნობდა თოვლი
 19 თებერვალს
 ათას ცხრაას ორმოცდაორის...

მოზურანი

ო, როგორ შურს მას მიცვალებულთა,
 ნათელი ხსოვნის შურს მას იმათი,
 მას შურს იმათი გახრწნილი ძვლების,
 მათი დიდების და მათი ბედის.

შურს სკოვოროდას ჰონორარები,
 შურს შევჩენკოსი
 კოს-არალსკური აგარაკები,
 შურს ლესიასი უცხოური მივლინებები,

მას ჯანმრთელობაც კი შეშურდა
დიდი ფრანკოსი,
ო, როგორ შურს მას მიცვალებულთა,
მას,

ვისიც არვის შეშურდება ამ
ქვეყანაზე —
და დავიწყებას მიეცემა,
როცა მოკვდება.



წარმოიდგინე,
ჩემო ძვირფასო,
ვილაც გონიერ, ჭკვიან პროფესორს
გამოუთვლია და გვიმტკიცებს
თავგამოდებით,
რომ ერთ კოცნაში
იხარჯება რვა კალორია, —
ალარც მეტი, ალარც ნაკლები.
რა გაეგება ჭკუანალრძობ
ვილაც პროფესორს,
რა გაეგება იმ საცოდავს
კოცნა-ამბორის?
მან რალა იცის ცხოვრებაში,
ადამიანის უკანასკნელ,
ბოლო კოცნაზე?
რა გაეგება მას იმ კოცნისა, კაცი
ცხოვრების მესამედს რომ
თურმე ანდომებს?
რა გაეგება მას იმ კოცნისა,
მთელი სიცოცხლე
რომ ვესწრაფოდნი?

გამოვიარე ქარიც, ცეცხლიც,
ჯვარს ვეცვი მისთვის,
ცარიელი და გრძელი გზა განვვლე
წვალებით მისკენ,
მე მივდიოდი მოჩხორვილი
უდაბნოებით,
გავარეარებულ და ცხელ თიხაზე
მე ფეხშიშველა მივაბიჯებდი.
მივდიოდი და ვიტანდი
ირონიას მუხთალი ბედის,
მივდიოდი, მჯეროდა რომ
მხოლოდ კოცნა მიხსნიდა.
რამდენ კალორიას
ითხოვს ბედნიერება?
ანდა რა ღირს
გამჭვირვალე, ლურჯი ზეცა?
ეს თქვენ თუ იცით
ყოვლისმცოდნე პროფესორებო.

ლუდგილა ტარან

ვერ მივეფერე მთებს ჯეროვნად,
ვერ ჩავეხუტე,
მხოლოდღა გულში დაივანა, —
ღრმად აღიბეჭდა
ის შორეული თეთრი თოვლი, თოვლი
ეული
მე მიძახდა და მომიხმობდა
ულელტეხილზე,
რაც მალღა ვიწევ, ვიღლები და
სუნთქვა მეკვრება.

ტკბილი ქართული დამეწია
მე იმ მწვერვალზე.
მიწაც გამოჩნდა, მუქი,
როგორც გელათის ფრესკა.
რამდენი წვა და მთა კივილი უთქმელი
ღარჩა
და ცისკიდურზე აელვარდა მზე
ვაზის მტევნად, —
და შემიხორცდა მე ჭრილობა
ათასწლოვანი.



მთხრობა

თარგმნა ბივი ქაჯაბაძემ

სიტყვასიტყვით ჩაიწერა ავტორმა, ამჟამად კოლმეურნე პენსიონერის, მელუმელე ქუზმა ივანოვიჩ ბარახვოსტოვიჩ ნაიშობი, მისი ცოლის, ვირინეას თანდასწრებით და უიმქალოდ.

თავშესაქცევი ეჭვს თეგად

პირველი თეგა

(აქ ნაიშობია, თუ როგორ დაიბადა ქუზმა, როგორ ატარა დრო და ბოლოს როგორ დაქორწინდა ვირინეაზე).

ელოდე, შიკი დაეწი, —
შარახნი რა უნდა იუოს

ამჟამად ორმოცდაათი წლისა ვარ უმეტნაკლებოდ, კაცი ნავალი, ბევრის მნახველი და მომსწრე. ჩემი გზა გრძელია და არც სულ ვარდებით მოფენილი, მაგრამ თავს ლათაიებით ვილხენ. ლათაიებს ვერა და ვერ შეველევი. ჩემს ცხოვრებას გარე-გარე მივუყვები, გარე-გარე რო გაფუვლი, მერე გარდიგარდმო გადავსერავ ხოლმე. ასეთია ჩემი მთავარი გეგმები. მახსოვს, ჩემმა მძახალმა მითხრა, ანდრეიმ: დიდი ეშმაკი კაცი ხარ შენ, ბარახვოსტოვი, ეშმაკი და ცულლუტი, წლებს იმატებ, უფრო ხნიერად რომ გვაჩვენო თავიო. რას ჩამციებიხარ, მძახალო, ყველაფერი მისხის-მისხით ვიანგარიშე, წამიც არ წამიკეცავს-მეთქი, მოვახსენე.

ეს ამბავი თექვსმეტ წელს მოხდა. მაშინ მე საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი: დავიბადო და ქვეყნიერებაზე გამოვცხადდე, თუ ცოტაც დავიცადო-მეთქი. რასაკვირველია, ასეც შეიძლებოდა და ისეც. ორ-სამ წელიწადს, აბა, რა უნდა მოეტანა ჩემთვის, მაგრამ მაინც...

ვიფიქრე, ვიფიქრე და ვერაფერი მოვიფიქრე. მრჩეველი კი არავინ მეგულებოდა. თუმცა ასეთ დროს რო გამოვცხადებულეყავი ქვეყანაზე, მეც სამოთხეს ვნახავდი რაღა: გერმანიასთან პირველი ომი იყო გახურებული. არადა, ქვეყნის ნახვაც მინდოდა. სხვები თუ ცხოვრობდნენ საწუთროში, მე რა, მათზე ნაკლები ვიყავი? ბოლოს ავდექი და გადავწყვიტე. მოდი, სანამ ომი დამთავრდებოდეს, ცოტას კიდევ დავიცდი, ახლა იქ რა უნდა ვაკეთო? მაღაზიაში არც პური და არც თუთუნ-მეთქი. კეთილი.

ჩვიდმეტ წელს დედა რუსეთზე რევოლუციამ გადაიგრილა. მეფე ნიკოლოზი თანამდებობიდან გადააყენეს. მთელი უწინდელი დიდკაცობაც კინწისკვრით გაყარეს ქვეყნიდან. მერე ხმა დაირხა: მიწები ყველა ჭამის მოყვარულს უნდა გაუნაწილდესო. ჰაი, დედასა! მე კი ჯერ საპერანგოდაც არა მაქვს-მეთქი საქმე, გავიფიქრე, დედაჩემი ჯერ კიდევ არ იყო გათხოვილი, მამაჩემი კაცმა არ იცის, სად იმყოფებოდა. პოდა, რა მექნა? რა ზომებზე დედაჩემს და მამაჩემს ასე ხელდახელ გაეცნოთ ერთმანეთი? და აი ყური მოვკარი, მამაშენი ომიდან დაბრუნებულა და დედაშენი ჯარიანობაზე გაუცვნიათ. აბა, ახლა საქმე დამშია-მეთქი, გავიფიქრე. ველოდები და ველოდები.

ელოდე, მერე დაეწიე, — უარესი რა უნდა იყოს? ცხრა თვეს ველოდი, სანამ ქვეყანაზე გადმომაგორებდნენ.

დედაჩემმა რო დამბადა.

ირყეოდა მთა და ბარი,

მამიდაჩემი იძახდა,

ღმერთმა მოგვცა ამბოკარი!

ყველაფერი კეთილად დაგვირგვინდა. მოვასწარი. სწორედ მაშინ მოვევლინე ქვეყანას, გლეხები რო მიწებს ინაწილებდნენ. მოვასწარი-მეთქი, მოგახსენეთ, იმიტომ რო იმ ხანებში აკუშერების და პოლიკლინიკების სახსენებელიც არ იყო და ქალებს ვაგონილიც არ ჰქონდათ ამორტაჟი.

ცხოვრების დასაწყისი

ერთი მხრივ, კარგად მოვიქეცი, რო გავჩნდი. ეს სადარდებელი მოვიცილე, მაგრამ მეორე მხრივ... ვხედავ, ქვეყანაზე ძალდი პატრონს ვერა ცნობს. ვერაფერს გაიგებ, ქალები კაცებს უდგანან კრიჭაში, ბავშვები კი დედ-მამის წინააღმდეგ გამოდიან. პური არ იშოვება, არაყი კი — რამდენაც გენებოს. ხალხი მუშაობას გადაჩვეულა. ვყაყანებთ, ვყაყანებთ დ ძმურ დახმრებას ველოდებით, მაგრამ მოწყალების კალთას გადაგაფარებს ვინმე? დაბადების დღემ კეთილად ჩაიარა, შენთვის ეს ნათქვამი მაქვს, ვახსოვს? დედაბრებმა ჭიპი მაგრად ვერ შემინასკვეს-მეთქი, დავაცხვიკე და შესაკრავი გამიწყდა. ვა, ეს რა მაცაცერა ვინმე დაბადებულაო! — ხელი ხელს შემოჰკრეს ქალებმა და ჭიპის ხელმეორედ შენასკვა დამიპირეს, მაგრამ ძაფი არ გააჩნდათ. ბოლოს გაიქცნენ ის გამოყრუებულები, სელი მოიტანეს და ძაფის დასაგრებად სართავს ძენძი დაახვიეს. საქმე იჭამდეც კი მივიდა, კინალამ დედა შევაგინე! თქვე მართლა ჩერჩეტო, მხცე დედაბრებო, ადამიანი სიბნელეში დავიბადე, ჭიპი უნდა შემინასკვოთ, თქვენ კი ძაფს ახლა დახავთ-მეთქი — ენა რო ვერ ამოვიდგი, ფეხებს ვიქნევდი და გუნებაში ვიგინებოდი. ბოლოს ძენძი გამოაბეს სართავს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ატყდა ერთი დავი, ერთი ალაბალა. ზოგი იძახის, ძაფს მე დავგრებო, არა, მე უფრო წვრილი გამომიდისო, ამბობს მეორე, მესამესაც ერთი სული აქვს, სანამ ძაფს დავგრებდეს. დავობენ და დავობენ დედაბრები. მე კი შეუნასკვავე ჭიპით ვწევარ და აბიცაა ჩემზე. ასე უდროოდ დროს რო მომინდა გაჩენა. მერე ღრიალიც კი მოვრთე. თუმცა ამისთანა დასაწყისის შემდეგ აღრიალდები კი არა, უარესიც მოგივა. სანამ დედაბრები დავობდნენ, ვის უნდა დაეგრიხა ძაფი, ქოხი სულ გაცივდა, კვარიც ჩაქრა და ჭიპის შენასკვა წკვარამ ღამეში მოუხდათ. აი დიდი ცოდვა კი იყო.

ჩემთვის არ უთქვამს

კარგია ცხოვრება, სანამ შენ კუზკა ხარ. მერე კი, კუზკა ივანოვიჩი რი განდები, ათასი დარღუბალა შეგაწუხებს და, თუ ბიჭი ხარ, ულუთაიებოდ გაძელი. ლათაია სულს უარყოდ გილხენს, გულს გილაღვქუდეუღვინებასაც ახალ გასაქანს აძლევს. ზოგიერთი მოკლე, გაბედული დახმარებასაც გულს გაუხსნის, სულელს კი პირს დააღებინებს ხოლმე. განა ცოტაა ამქვეყნად პირდაღებულნი კაცი?

სულელს რო უთხრა, თივაში ცეცხლი დამალე ან საცრით წყალი დალიე, თივაში ცეცხლსაც დამალავს, საცრით წყალსაც დალევს და ულვაშებზე ხელსაც ჩამოისვამს.

ჩემი მძახალი, კი სულ სხვა კაცია, ანდრეი. ამას ასი თვალი და ყური აქვს გამობმული და კუდი ყავარზე უდევს. მახსოვს, პატარაობისას სოფელში კარდაკარ დავწანწალებდით. ნამეტნავად კი ერთ მეწაღესთან გვიყვარდა მისვლა. იჯდა მეწაღე, კერავდა ჩექმას და თანაც ამბავს გვიყვებოდა: იცით, ყმაწვილებო, გუშინ აბანოში ვიყავი. უკან რო გამოვბრუნდი, ვხედავ, ველზე მელი მოცუნცულებს, პირდაპირ ეკლესიისკენ უქნია პირი. უცებ სამრეკლოზე აირჩიბა, ბაწარი დაითრია და ერიპა! — ჩამოჰკრა და ჩამოჰკრა ზარს. მერე ჩვენს დიაკონს ქათამი ააწაპნა და იმ ტაკისმასხარამ ტყეში წააცუნცულაო!

შინ რო მივდიოდით, ანდრეიუშა პირდაპირ ზღურბლიდან უყვებოდა დედამისს: იცი, მელას რა უქნია? ზარი დაურეკავს და ჩვენი დიაკონისთვის ქათამი მოუპარავსო. დედამისს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა ეს ამბავი.

— კარგი ერთი, ჩერჩეტო. ეს ხომ გაუგონარი ამბავია. მეწაღეს მოუტყუებინხარ.

ანდრეიუშა თავს გაიქნევდა:

- ნწუ.
- რა ნწუ?
- რა და ჩემთვის არ უთქვამს.
- აბა, ვის უთხრა?
- ვის და კუზკას!

აი ამისთანა ბიჭი იყო შვიდი წლის ანდრეი. ახლა კი მისგან რა კაციც დადგებოდა, ამას შენ თვითონ მიხვდებოდი. არა, ჭეელო, მე და ჩემს მძახალს ყინულზე ვერ გაგვაცურებ.

ვაითუ სულ გამოხმეს

თუმცა ერთხელ, ბავშვობაში, ანდრეისაც მოუვიდა იაღლიში. ზაფხულს იყო. ანდრეი და პაპამისი თივას თიბავდნენ ძროხებისთვის და ტყეში ცხოვრობდნენ. მაშინ ჩემს მძახალს პირველად შეუკერეს ჩექმები, მერე კი თიბვაც ასწავლეს. ბიჭი დილაადრიან უნდა ამდგარიყო ხოლმე, როცა ცვარი ხან მღულარესავით გწევას ფეხებს, ხანაც ყინულივით ცივია.

ანდრეი ფიქრობდა: ეს ჩექმები რო არ შეეკერათ, კარგი იქნებოდა, ფეხშიშველს ვერ მათიბვინებდნენო. ადგა და პაპამისს უთხრა: პაპაჩემო, ახალი ჩექმები მეცოდება, არ მინდა დავხიო, დედა რო მოვა, შინ წაილოსო. კარგი ბიჭი ხარ შენ, ანდრეიუშა, პატარაობიდან ფეხსაცმლებს რო ასე უფრთხილდები. მა-

ლე დედაშენი მოვა, დევნებს მოგვიტანს და ჩექმები სოფელში გავატანოთ. მანამდე კი გასაშრობად ლატანზე ჩამოვიდეთ, ყაბულს იყო პაპამისი.

დილით პაპას შვილიშვილი არ გაუღვიძებია. აბა, ფეხშიშველმა რა უნდა მომითიბოსო. ანდრეიმ ძილით გული მოიჭერა, ადგა, მთელი კარდალა ფაფა მოტორა და ფსკერიც კი ამოფხიკა. მერე მთელ დღეს კენკრას კრწყლს ტყუშს. პაპა კი თიბავდა. საღამოს რო ივახშმეს, პაპამ ასე უთხრა ანდრეიშვილს: ანდრეიშვი, ქობში რწყილები რო არ გაგვიჩნდეს, მოდი, ძველი თივა გარეთ გამოვყაროთ და ახალი დავაფინოთო. ქობს უკან კინკარი იყო მოთიბული. პაპა ადგა და ანდრეის სქლად დაუფინა ქობში. მერე დასაძინებლად მოეწყვნენ. ჩემი მძახალი შამფურივით ტრიალებდა კინკარზე, მისი ჩექმები კი გარეთ გასაშრობად ეკიდა. ვერ მოითმინა და უთხრა:

— პაპაჩემო, პეტრეობა დღეს კუზკას რო სტუმრები ჰყავდა, ყველას ჩექმებით იეძინა ფარდულში.

— ალბათ მთვრალეები იყვნენ.

— ნწყუ? კუზკა მორწმუნე ბიჭია და არაყს არ სვამს, ტკბილეულს-ღა ეტანება, მაგრამ არც იმას გაუხდია ჩექმები.

— ოჰო! ალბათ გაძრობა დაავიწყდა. ფეხები ღრმად ჩაყავი თივაში და არ გაგიცივდება.

ცოტა ხანს კიდევ იწვნენ, მერე, ჩემმა მძახალმა ისევ წამოიწყო:

— იცი, პაპაჩემო, ჩექმები დიდხანს რო არ ჩავიცვა, ვაითუ სულ გამოხმეს, მერე კი ფეხსახვევიანი ფეხი შიგ არ ჩამივა.

— კუბრით გავპოხავთ და დარბილდება. არა გცივა?

— ეს კია. ჩექმები ფეხებს მატკენს.

— ალბათ ცოტათი გატკენს კიდევ.

— არა, სჯობს, ჩავიცვა, თორემ სულ გამოხმება.

— ხვალ ჩაიცვი. შენ კარგი ბიჭი ხარ, ანდრეიშვი, დახე, როგორ უფრო ხილდება ფეხსაცმელს! შენხელა რო ვიყავი, ღამით ნიფხავსაც ვიხდიდი. აბა, რა მექნა? ოჯახი დიდი იყო და ნიფხავს მუქთად ვინ მოგვაშავებდა.

დილით შხის ამოსვლამდე ადგა ანდრეი. გაიქცა და ჩექმები ჩაიცვა. მერე კი სათიბავად მოემზადა. ნუ წახვალ, ხვალ დილამდე ეკიდოსო, უთხრა პაპამ. ანდრეიმ კი იუარა, არა პაპაჩემო, ვაითუ ნამეტანი მოუვიდესო.

ახალი ღონისძიება

თუკი რამე მძულდა ცხოვრებაში, ეს სელის თხრზა იყო. თუმცა არც ხბოს მწყემსვა მანიჭებდა სიამოვნებას. მახსოვს, სელს რო ვთხრიდი, ბანგისაგან თავბრუ მესხმოდა. ხელები სულ მთლად ხიწვით მქონდა დაკაწრული, ის ოხერი კვალი კი დიდმარხვასავით გაჭიმულიყო და ბოლო არ უჩანდა. მერე ხბორის მწყემსად დამაყენეს, მაგრამ უარეს დღეში ჩავვარდი. როგორც კი მტრედისფრად ინათებდა, ჩლიქებით ცას სწვდებოდნენ. კული ზურგზე ჰქონდათ გადებული. ერთს რო ჯოგში შევიტყუებდი, ახლა მეორე გარბოდა კოლეტივიდან. ამას დავეწეოდი, სხვა ტოვებდა ჯოგს. ისე ვბრაზობდი, იქაურობა სულ ყვირილით მიმქონდა და ჯოგს მე თვითონ გავფანტავდი ხოლმე. აბა, თქვე გასაწყვეტლებო, გაიქეციო, გაიფანტეთ ტყეში, თუნდაც მთელ ქვეყანას მოედეთ-მეთქი! — ერთ რო დავუცაცხანებდი, ქვებით გვერდებზე სულ ბაგაბუგს ავუყენებდი. მაგრამ გაგიგონია! ახლა ფეხსაც არ მოიცვლიდნენ. პირი-

ქით, ერთ ადგილას შექუჩდებოდნენ ხოლმე. აი რანაირი ახირება იცის ხბომ.
მერე მივხვდი, სულ სხვა, მკაცრი ზომები რო უნდა მიმეღო, რამაც დღეს სახ-
რეს ტბაში გადავუძახე და სხვა თანამდებობაზე გადავედი.

უველაფერი მოლანდებოდა უოფილად
ქართულში
გაბაშვილი

დიდი ხათაბალა ხალხია მოხუცები, მაგრამ ვერც ახალგაზრდობაზე იტ-
ყოდი, მუდამ ალჩუზე ჯდებო. მეტადრე კი მამრობით სქესს ვგულისხმობ.
ოთხი ფეხიდან ორ ფეხზე დადგება თუ არა, მაშინვე უწესო ცხოვრებას იწ-
ყებს. არყის ხეზე თვითონ აცოცდება, მაგრამ სახანძრო კიბე თუ არ მიუდგი.
ისე ძირს ვერ ჩამოიყვან. იმისთანა ბლავილი იცინა, ყურები ხელებით უნდა
დაიცო. მანსოვს, შემოდგომა რო დადგებოდა, ბოსტნებში ხაფანგებს ისე
გვიგებდნენ, ვითომ კურდღლები ვყოფილიყავით. მოგეხსენებათ, სხვისი პური
ვემრიელიაო. ჯერ კიდევ არაფერი იქნებოდა შემოსული, ჩვენ უკვე დასალაშ-
ქრად გავრბოდით... გავრბოდით და წვრილი ბარდით დატენილ თოფს გვეს-
როდნენ. კალოზე რო შევიკრიბებოდით, ერთმანეთს ბარდას უკანალიდან ისე
უაძრობდით, გეგონებოდა, სანიტარული ბატალიონიაო. თუმცა რალა შორს წა-
ვიდე, ჩემს მძახალ ანდრეის ახლაც მთელი პარკი ბარდა არქვია უკანალზე.
ამიტომაც არ დადის ანდრეი აბანოში, აქაოდა, თბილი წყლისაგან ბარდა გალ-
ვივდება და ამოვაო. ესეც კაი ამბავია რალა.

ჰო, მოგიყვები, როგორ გამოვედი ბავშვობის ასაკიდან. უკვე სამი წყვი-
ლი ჩექმა გავცვითე, ღუმლის შენებაშიც დავოსტატდი, მაგრამ ცოლის შერთ-
ვაზე კრინტიც არ უნდა დამეძრა. ძილში სულ ვთრთოდი და ვიდაგებოდი,
დღისით კი თავში სულ გოგოები მიტრიალებდნენ, ნამეტნავად კი ერთი ქალი-
შვილი არ მაძლევდა მოსვენებას.

გარმონს თასმები არტყია,
მე კი სატრფოზე ვლალადებ.
დავიღვრებოდი ცრემლებად,
რო არ დაუდოთ ყადაღი.

პურის საჭმელად რო დავსხდებოდით, რაც ხორცში ყმესი იყო, დედა-
ჩემი ყველას მე დამიყრიდა: ჰა, კუზკა. დანაყრდი, დანაყრდი და დაზამთრება-
მდე ცოლს შეგრთავო. ამისთანა საქმლისაგან ღრანჭი მქონდა მოქცეული.
დედაჩემს კი ეცინებოდა. წელიწადი რო გავიდა, მამაჩემმა ეგზამენტი მო-
მიწყო: აბა, კუზკა, თუ დატრიალდები და კარგ ნაჯახს გამიკეთებ, დაზამთრე-
ბამდე ცოლს შეგრთავო. მეც ავდექი და იმისთანა ნაჯახი გავაკეთე, თქვენი
მოწონებული, მაგრამ მამაჩემმა კრინტი გაიწყვიტა, ვითომ არც კი დამპირე-
ბოდეს. კეთილი და პატიოსანი, სამი წელიც რო გავიდა, მითხრა: აი, კუზკა,
თუ ლურსმანს სამი დარტყმით მორში ჩააქედებ, აუცილებლად დაგაქორწი-
ნებო. იმ ლურსმანმა დაწრიპინებაც ვერ მოასწრო, სამი დარტყმით ისე ჩავ-
მალე მორში, მამაჩემმა კი ახლაც ხელები გასაგსავა: არა, ძმობილო, შენ-
თვის ცოლის შერთვა ნაადრეგია. ჯერ კიდევ სულელი ბიჭი ხარ, კუზკა, იმისთა-
ნა ლურსმანი სულ ტყუილად დაღუპეო. ვხედავ, ირგვლივ ყველაფერი მოჩ-
ვენება ყოფილა. გავიდა სამი ზამთარიც, მაგრამ ცოლს სიზმარში თუ ვნახავ-
დი. სამუშაო კი მძიმე იყო. დავფიქრდი და ვუთხარი: მოდი, მამაჩემო, ცხვარი

დავკლათ, თორემ ცარიელი შჩის ხვრება მომბეზრდა-მეთქი. შეილო, შენ თვი-
 თონ ხედავ, ცხვარი ეს-ეს არის გავკრიჭეთ, გაკრეჭილი ცხვარს დაველა კი რა
 ხერს მოგვცემსო. მეორე დღეს ვომურიდან რო გამოდიოდა, ვკითხე რაო,
 მამაჩემო, ცხვარს ჯერ კიდევ არ ამოუვიდა-მეთქი მატყლი? მიყურა, მიყურა
 და ხმა არ გაუცია. ორი დღის შემდეგ კი ცხენი შეაბეს და ჩაქრის ნაწილი
 წავედით.

მეზვიდე ცაზე

რო არ მოგატყუო, თავდაპირველად ლარი ვერ გავიტანე, თუმცა ერთი
 ცდით დაცხვიკებასაც ვერ მოახერხებ კაცი, აქ კი ცოლი უნდა შემერთო. ხომ
 იცი, ეს რა ჩახლართული საქმეა, ჯეელო, თუ როგორ მივედით მაჭანკალთან ერ-
 თად, ამის მოყოლით თავს არ შეგაწყენ და ახლავე პირველი, ღამის ამბავს
 მოგიყვები. ზედმეტი ხარჯი რო არ ყოფილიყო, ქორწილი პირველ მაისს უს-
 წორეს: სვეს, ჭამეს, იცეკვეს და იმღერეს. ამასობაში კი ცოლთან დაწოლის
 დროც მოვიდა. დადგა ახალგაზრდა ცოლ-ქმრის პირველი ღამე. პირდაპირ
 მეშვიდე ცაზე ვიყავი. საწოლი ოთახში იდგა. ის იყო, ცალი ჩექმა გავიძვრე,
 რო ცოლმა გამომიცხადა: კუზკა, ა, კუზკა, მე ახლა ქალთა საბჭოში მივდი-
 ვარ, იქ ბუბნოველთა მოძრაობა გვაქვსო. შემშიშვივით ვავხდი. ქალმა ისე
 მომიჯახუნა კარი, მისი სარაფანი-ღა დავლანდე, ვზივარ და ერთ წერტილს
 მივჩერებივარ. არ ვიცი, რა ვქნა, მეორე ჩექმაც წავიძრო, თუ გამძვრალი ჩა-
 ვიცვა და ქალს გამოვეკიდო. სანამ ვფიქრობდი, ცოლს ქოხ-სამკითხველოში
 ამოუყვია თავი. ქოხ-სამკითხველო კი სხვა სოფელში იყო. დავკარი ფეხი
 და იქითკენ ვავიქეცი.

კრება ძალაში იყო შესული. კარი რო შევალე, მომამახეს: ახლავე შენო-
 ბიდან გადიო! არ გავალ-მეთქი, ვიუარე, მაგრამ ფიზიკური ძალა იხმარეს და
 თავი ქუჩაში ამოვყავი. ვხედავ, კიბეზე მხარიზე აგდია. დავავლე ხელი და,
 რაც ძალა და ღონე მქონდა, ფანჯარას ვხეთქე. ჩარჩომ საშინელი ტკაცანი
 გაადინა, წირთხლს კი ძვრაც ვერ ვუქენი. სამაგიეროდ ჩარჩოები სულ რი-
 ხინრიხინით ჩამოცვივდა ძირს. ქალთა საბჭომ წივილ-კივილი მორთო, მერე
 ვაიუშველებელიც ატეხა და იმავ ღამეს დაადგინეს: კუზმა ბარახვოსტოვმა,
 ამა და ამ წელს დაბადებულმა, სასწრაფოდ ჩააყენოს ახალი ჩარჩოები, ხოლო
 მისი შეუღწებელი პიროვნება სამართალში მიეცესო.

სასამართლოში მკითხეს: რა პოზიციიდან ხეთქე მხარიზე ფანჯარასო?
 რა პოზიციიდან და ქუჩიდან მოვუქნიე-მეთქი, ვუთხარი. არა, თავდაპირველად
 რა განზრახვა გამოძრავებდაო. შენ რო კლასობრივი ნიშნების მიხედვით გა-
 ვასამართლოთ, ამდენი და იმდენი წლის პატიმრობა მოგერჭობა, ხოლო თუ
 ხულიგნობაში ჩავითვლით, უფრო ნაკლებს მოგისჯითო. მაპატიეთ-მეთქი,
 ვუთხარი, კარგი, წადიო, მიპასუხეს.

შინ რო მივედი, მამაჩემი ფეხებში ჩამივარდა: არიქა, კუზკა, ის შენი
 ქალბატონი ახლავე თავიდან მოგვაშორეო! ვინ მოგაშოროთ-მეთქი? — ვკით-
 ხე. როგორ თუ ვინ, შენს ცოლზე გელაპარაკები. იცი, შენ რო აქ არ იყავი, ადგა
 და რაც ხატები გქონდა, სულ ყველა გარეთ გამოჰყარა, ძროხის მოწველაზე
 უარს ამბობს, ახლა თავი რაღაც ქალაქებში ჩაურგავს და პირი მელნით
 აქვს მოთხუპნული. იცოდე, თუ არ გავიგდია, მე და დედაშენს მეტი ჩარა რა
 გვაქვს, თავს ჩამოვიხრჩობთო. ცოტა ხანს დამაცადეთ-მეთქი, ვთხოვე. რო-

დემდის უნდა გაცალოთო, მითხრა და დედაჩემს დაუძახა: დედაკაცო, ასის-
თავი მოიყვანე, ქონება უნდა გავიყოთო!

გავიყავით ქონება. ნახევარი ძროხა ჩვენ გვერგო, მეორე ნახევარი —
დედაჩემსა და მამაჩემს, ნახევარი ქოხი — ჩვენ, მეორე ნახევარი დედ-მა-
მას, ტყაპუჭიც — ჩვენ. ერთი სიტყვით, ცხოვრება ისე აგვეწყობა, მე და მა-
მაჩემი ფეხზე ჩამოვხვით.

ერთი კვირის შემდეგ იაბო შევაბი და ცოლს გამოვუცხადე: აბა, ადექი
და ბარგი-ბარხანა აიკარი-მეთქი! ჩაჯდა, გავსწიეთ და აბანოსთან ჩამოვსვი.
ისე კი ძალიან შემეცოდა. მეორე დღეს მისი სიმღერა გავიგონე ჯარიანობაზე:

ქმარი დავტოვე, რა ქმარი!
მივაყარე ქვა და გუნდა.
ახლა სხვაში ვარ ჩამწვარი,
სიყვარულიც ასე უნდა.

კეთილი და პატიოსანი. კარგად მოვიქეცი, ცოლს რო ქოშები დავულაგე-
ხომ გავიგონიათ, ქალი ურმიდან ჩააბრძანე და ცხენი სულს მოითქვამსო.

ამისთანა დასაწყისის მერე ცოლის შერთვის სურვილი სულ დამეკარგა.
ჩემს მძახალ ანდრეისთან ერთად უცოლო კაცის ცხოვრებას შევუდექი. ბევრი
ვიცეკვე, ვითამაშე, სხვა სოფლებშიც ვიხეტიალე და არდგმულებშიც ბევ-
რი ღამე ვათიე. ისე რო, ბევრი მოსაგონარიც მაქვს, ჭეელო.

უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ

სტუმრად სიარული მთელ ქვეყანას მერჩივნა. ახლაც ვივლიდი, მაგრამ
ნამეტანი ბევრი დღესასწაულია შემოდებული. მთელი სოფელი რო ფხოქა-
გლეჯით გაიბაწრება, ვერც კი დაეწევა კაცი. ამასთან სახეტილოდ არც ჯა-
ნიანობა მომდევს ახლა. უწინ კი მთელი ეს არემარე რო შემომეველო, ერთხელაც
არ შევისვენებდი. რა თქმა უნდა, ჩემისთანა მოყიალე კაცს ცემა-ტყეპა ასე-
დებოდა-მეთქი, ვერ ვიტყვოდი. ნამეტნავად კი პირველ ხანებში მცემდნენ.
როცა ხამი ვიყავი და მოსატყუებელი კბილი ჯერ კიდევ არ მომეცვალა. მახ-
სოვს, ბოსტნებში ერთი ლიწინლიწინი იდგა ხოლმე. მე საძოვრებისკენ გავრ-
ბოდი, მაგრამ ზურგზე პალოებით იმისთანა ბაგა-ბუგს ამიყენებდნენ, ნაცემ
ადგილებს ორამდეც ვერ ვითვლიდი.

კეთილი და პატიოსანი. ჯერ გარმონი ვიყიდე, მერე კი ძეწკვიანი საათიც
შევიძინე, ხოლო ქილეტიანი კოსტიუმი პირველად ქალთა საბჭოს დროიდან შე-
მომრჩა.

მახსოვს, ერთხელ ჯარიანობაზე ვიყავი. ჯარიანობა ჩემი გულის მურაზის
ეზოში გაიმართა. მე და ის ქალი ქოხის დერეფანში ვისხედით. ჯარიანობაზე
მარტო მე ვიყავი უცხო, დანარჩენები კი იმსოფლელები იყვნენ. ჰოდა, ვხე-
დავ, იქაური ბიჭები ეზოში წინ და უკან დადიან და მალულად გვიყურებენ.
ახლა კი ზაპაზუბი არ ამცდებია-მეთქი, გავიფიქრე. ჩემი გულის მურაზის მამას
ლუდი ედუდა. გავიგონე, კასრში რო ბუყბუყებდა. ავდექი და საცობები მაგ-
რად ჩავაჭდე კასრებში, მერე კი ის კასრები კიბის თავზე საარტილერიო ბა-
ტარეასავით განვალაგე. ახლა გაჭიმული ამოვლენ-მეთქი, გავიფიქრე და ქოხში

ლამპა ნამსხვრევებად ვაქციე. კასრი წინასწარ შევანჯღრიე და ცუცხლის გასახს-
 ნულად მოვემზადე. ლუდი ისე გუგუნებდა კასრში, გეგონებოდა, ატომური
 ბომბიაო. ვხედავ, იერიშზე გადმოვიდნენ. სდექ! გირჩევიანთ, ახლოსაც
 გამეკაროთ-მეთქი! — დავუყვირე. არა, მაინც იწყეს ამოსვლა... საცობი ლურ-
 სმნით ამოვადე და ბათქ! — გაისმა გრიალი. ათიოდე კაცი დაეცა, მაგრამ
 პანიკას მაინც არ მისცემიან. ახლა მეორე კასრი გამოვავორე. ბათქ! —
 რილა ისევ და დერეფანი სულ დაცარიელდა. ბათქ! ბათქ! — ისევ მოვდე
 ქოთი და კიბე სულ გადავხვეტე, ყველანი გაიფანტნენ. მე კასრებს ვცლი, ისინი
 უკან იხევენ. მეორე დღეს მთელი სოფლსაბჭო გამოვიდა ზოგიერთების სა-
 ძებნად. რო არ მოგატყუო, ყველა გამოინახა. მარტო ორი თუ სამი კაცი
 დაიკარგა უგზო-უკვლოდ. თუმცა რა უნდა გიკვირდეს, იმისთანა ბათქაბუთქი
 ავტებე, ფანჯრებიდან მინები ჩამოცვივდა.

ცლა გელის მონახევრეაო

კარგია უცოლოდ ცხოვრება, მაგრამ გვირგვინის დადგმას მაინც ვერ
 გაქცევი. იშვიათად თუ ვინმე იტყვის უარს დაქორწინებაზე. ალბათ გეცო-
 დინება, ერთი ავადმყოფობაა ასეთი — სოკოს ეძახიან. რაც გინდა თავი
 აარიდო, ბოლოს მაინც მოგაკითხავს და სიცხეს აგიწევს. წელს, გაზაფხულ-
 ზე, ჩემმა მძახალმა მითხრა, ანდრეიმ: ახლა მე იმისთანა წამალი ვიცი, სო-
 კო ფეხებსაც ვერ მომჭამსო. აგერ მთელი სოფელი ლოგინად ჩაეარდა, მე კი
 არხეინად დავსეირნობო. ვუსმინე, ვუსმინე და თავი გავაქნიე: ნამეტანი ჭკვიან-
 ნი კაცი ხარ შენ, ანდრეი. სოკოს გინდა ხელიდან დაუსხლტე? აგერ მეორე
 ტალღა წამოვიდა. იმასაც ვნახავ, მაგ ცხვირს რო წაგაცლის-მეთქი. არა, წა-
 მალი ვიცი და წამალი ვიციო, დამიჩემა. მაინც რა ისეთი წამალი იცი-მეთქი-
 ქი? რა და ორას ორმოცდაათი გრამი დამიდგი და ახლავე გაიგებო. არც
 შევდავებივარ. ავდექი და არაყი გამოვიტანე. აბა, ახლა მაინც თქვი, რა წა-
 მალი იცი-მეთქი. რა უნდა გითხრა, კუზკა, წამალი ცხვირწინ გიდგას. ადექი
 და ჭიქები გამოიტანე, ნახავ, რა უებრო რამეაო. მერე, ერთიც ვნახოთ, ხვე-
 ლება აუტყდას! ჰაი, დედასა! უცებ უნდა ჩამეცეცხლა, ახლა კი სატკივარს ვე-
 ღარ მიუსწრებსო! აბა, მოდი, ერთიც დავლიოთ, იქნებ ჯერ დაგვიანებული არც
 კი იყოს-მეთქი. ავსწიეთ და გადავკარით.

დილით ჩემი მძახალი აღარ გამოჩენილა, ვერც მეორე დღეს მოვკარი
 თვალი. მერე დედაბრები უკანასკნელ ცნობებს იტყობინებოდნენ: ანდრეი
 ლოგინში წევს და ხველებისაგან იბრჩობაო. ახია შენზე, მძახალო. წამალი
 ვიცი და წამალი ვიციო, რო ტრაბახობდი, სოკომ ხომ მაინც მოგაკითხა-
 მეთქი. აი ასე იყო ქორწინების ამბავიც.

ქალი მე და მამაჩემმა შორეულ სოფელში დავნიშნეთ. იმისთანა გოგო
 იყო, კალმით ნახატიო, იტყოდი. ოჯახში ორი გოგო ჰყავდათ — ჩემი და-
 ნიშნული და მისი უფროსი და. უფროსი ჯერ კიდევ არ იყო გათხოვილი. თუმ-
 ცა იმისთანა ელამი და ჩოფურა ვის უნდა შეერთო! ჩვენ უმცროსი დავნიშნეთ.
 სიმამრმა გვითხრა, მზითვად ლამაზ სამოვარს და მაკე ცხვარს მოგართმევთო.
 კეთილი და პატიოსანი. ხელი სოფლსაბჭოში უნდა მოგვეწერა და შაბაშ! —
 მაგრამ დედაჩემმა იუარა. შვილებო, ძველებურად იქორწინეთ და ჯვარი და-
 იწერეთო. მაშინ ეკლესიაში მინები ჯერ კიდევ არ იყო ჩაღწეილი. მღვდელმა
 ჯერ ქვა აავდო და თავი შეუშვირა, მაგრამ ბოლოს მაინც დავიყოლიეთ. გა-

სადების მოსატანად კაცი სოფლსაბჭოში გაიქცა. მე კოსტიუმი ჩავიცვი და იაბო შევაბი. ადათ-წესის მიხედვით ქალი სხვა მარხილით წამოვიყვანეთ. თავზე ფატა პქონდა წამოხურული.

ეკლესიაში იმისთანა სიცივე იყო, სულ გავითოშეთ. ამიტომ მე და ხუცესმა ცოტათი მეტი გადავკარით. ჯერის დასაწერად რუსულად წარამარა ფეხქვეშ ვიხედებოდი. ვაითუ წავიქცე და ხალხმა სცნო, რომ ვინმე არის-მეთქი. ხუცესმა სწრაფად, სტახანოვურად დაგვწერა ჯვარი. მერე ნეფე-დედოფალი ერთ მარხილში ჩაგვსვეს. ჩაგვსვეს და, ღმერთო მაღალო, თავი რო მოვაბრუნე, შეშმიშივით გავზდი! თურმე კალშით ნახატი კი არა, ის ელაში და ჩოფურა გოგო მიზის გვერდით! ვირინეას ეძახიან. კინალამ ცრემლები წამსკდა, მაგრამ სიმამრმა ხელი დამკრა მხარზე: კუზმა ივანოვიჩ. მაკე ცხვრის ნაცვლად მაკე ძროხას მოგართმევ მზითვად და ზედ ლამაზ სამოვარსაც დავუმატებო მინდოდა მარხილიდან გადამეგდო, მაგრამ ხალხის შემრცხვა. ეპ, ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია, ვინდ ცხვარი იყოს, ვინდ ძროხა. ვეცდები ელამ ქალთანაც ვიცხოვრო. იქნებ ურიგო არ იყოს-მეთქი! — გავიფიქრე. ჰოდა, მას აქეთ პირზე ვირკა და ვირკა მაკერია, ძალიან დიდხანს ვჯახირობდით ერთად მე და ეს დედაკაცი. ახლა რო დავფიქრდები, თითქოს არა უშავდეს რა... ა? რაო? იყურე, დედაკაცი, იყურე. ნუ იცინი და უურს ნუ გვიგდებ. რა შენი საქმეა. რაო, და არ მყოლიაო? უყურე შენ! რას ამბობ, ქალო! ჩემ დღეში არ მითქვამს ტყუილი. შემიძლია, ამ კაცის წინაშე დავიფიცო. მთელი დღე და მოსწრება გასაქანს არ მაძლევ. ჩემთვის ხსნა ის იქნებოდა, ყურადღებას სულაც არ მოვაქცევდე.

მეორე თავი

(აქ ნაამბობია თუ როგორ წაუვიდა კუზმა ივანოვიჩს ოჯახური ცხოვრება და აგრეთვე მოთხრობილია მისი დამატებითი შემოსავლის ამბავი)

სატაცების ბრალი არ არის

თავდაპირველად ჩემი ვირინეა ძლივს დავიმორჩილე. მახსოვს, გამგეობის წევრად რო აირჩიეს, ისე გადიდგულდა, ხმასაც კი აუწია. ქედმაღლურად დამიწყო ლაპარაკი, ხოლო ბოლოს სუბის ხარშვაც კი იუკადრისა. ისე გადიოდა კვირები, ქოხში ცოცხსაც არ მოუხვამდა. ბავშვები ხომ მშვივრები ეყარნენ. რაო, რა თქვი? იმ ხანებში შვილები არ გვეყავდაო? (ყურს ნუ უგდებ, ჯეელო, იტყუება). რასაკვირველია, არ გვეყოლებოდა, რაკი ახალ მშენებლობაში იყავი ჩაბმული. ჰო, რაზე შევჩერდი? შენ კი, დედაკაცი, იყურე და ნულარ შეგვაწყვეტინებ საუბარს.

ღიახ. ისე უყვარდა კრებიდან კრებაზე სიარული, ზოგიერთხელ ლუმელა გაუხურებელი რჩებოდა. პირდაპირ უბედურება იყო ქალო, ხელმძღვანელობა რო შეიცვალოს, ვნახავ, როგორ აქიკტიკდები. მაშინ ხელიდან ვერ დაუძვრები-მეთქი. არა, ვერ მოიხვენა, მაგრამ ჩემმა მძახალმა მიხსნა, ანდრეიმ: შენც ადექი, კუზმა ივანოვიჩ, და ჯარიანობაზე იარეო. ჰოდა, მეც ასე მოვიქეცი, ცოლი რო კრებაზე იყო, მე დავკრავდი ფეხს და ჯარიანობაზე გავრბოდი, გოგოებთან. ორივე ცოლ-ქმარი შუალამემდე შინ არ ვიყავით ხოლმე. ისიც და მეც! ეს რო გაიგო, იცოცხლე, საზოგადოებრივი დატვირთვა გვერდზე

გადადო. მოჭრა და გაათავა. მეც, რასაკვირველია, ხათრიანი კაცი ვარ და მაშინვე დავდინჯდი. ჯარიანობაზე სიარულს თავი დავანებე და ოჯახური ცხოვრების მოგვარებას შევეუდექი.

ოჯახურ ცხოვრებაში კი, როგორ ფიქრობ, მთავარი რა არის? თავი დათავის გახლავს, ჩემო ძამია, რო შიმშილით კუჭი არ გიხმებოდეს. კუჭს რა დატვირთვა შემოაკლდება, მაშინვე იწყება ჩხუბი და მღურვა, ყველაფერი ცუდი დაფერში. ეს მე თვითონ არაერთხელ გამოვცადე. ის იქნებოდა, გონს მოვიდოდი, ცოლი მაშინვე მომადგებოდა განცხადებით: კუჭმა, ფქვილი გაგვითავდაო! კარგად ჩაიხედე-მეთქი, ვეტყოდი. აბა, სად უნდა ჩავიხედო, ფსკერი სულ ერთიანად მოპრიალებულია. გახსნით კი გავხსენი, მაგრამ მოსახელად ფინქცვიც არ გავვაჩნიაო. მე დავჯდებოდი და კეფას მოვიფხვებდი. გირვანქანახევარს რო ჩამოვიფხვებდი, საფუარს მოხელდა. სამი დღის შემდეგ კი ისევ მომადგებოდა განცხადებით: კუჭმა, პური არა გვაქვსო! მაშ, ღვეზლები გამოაცხვე-მეთქი, ვიტყოდი. ერთს კი მომადგურთებდა ბავებზე და სამზარეულოში გარბოდა. იქიდან კი მესმოდა იატაკზე დანარცხებული სატაცების ბრახუნნი. აბა სატაცურმა რა დააშავა? განა ეს საქმეა-მეთქი? — ვფიქრობდი. თიბვის დაწყების წინ თავისუფალი დრო გამოვნახე, გამოვჭერი სამი ფიცარი. გავაშალაშინე და თარო გავაკეთე. ფქვილი რო გაგვითავდებოდა, ცოლს ვეტყოდი: ვირინეა, დროს ნუ აჭიანურებ, კბილები თაროზე ჩამოკიდე-მეთქი! მესმისო, დამიძახებდა. ჰოდა, იმ ზაფხულიდან მოყოლებული, ჩვენს შორის არც ჩხუბი ატებილა და არც დავიდარაბა. რამდენი წელია, მეგობრულად ვცხოვრობთ. შვილებიც დავზარდეთ. ჰკითხე, ვისაც გინდა, ბარახვოსტოვის შვილების ძვირს კაციშვილი ვერ გეტყვის.

ცოტათი გადავამლაშეთ

ჰო, კიდევ რა უნდა მეთქვა? უყურე შენ! ქალი რო აქ იყო, ველარ გავუბედე. ახლა კი დამავიწყდა. გავიდა ვირინეა და ვახშობამდე მთელ სოფელს შემოივლის. ჰო, მოგიყვები, რანაირად გავუსწორე ვირკას ელამი თვალები. რაო, არა გჯერა? კარგი, თუ გინდა ნუ დამიჯერებ. შემიძლია ხმაც არ ამოვიღო, თავს არ შეგაწყენ, ჯელო. კეთილი, კეთილიო, რო იძახი, ამით ვითომ რისი თქმა გასურს? უყურე შენ! ერთბაშად კუჭმა ივანოვიჩი გავხდი. ორმოცდაათი წელია კუჭმა ივანოვიჩს მეძახიან! მე შენისთანებს ისე ვუსმენდი ერთხელაც არ ჩამომირთმევია სიტყვა, ახლა კი მეც მომისმინონ, ჩემო ძმაო.

ეს ამბავი კი ასე მოხდა: მახსოვს, ძალიან მომბეზრდა ელამ ქალთან ცხოვრება. პირით ერთი მიმართულებით რო იდგა, თვალები მეორე მიმართულებით ჰქონდა მიპყრობილი. ჰკითხე, ვისაც გინდა, პირდაპირ საზიზღრობა იყო. ჰოდა, მეც ავდექი და დრო შევეურჩიე, კისერზე რო ძირმაგარა ამოუვიდა. (ჩემს ვირინეას კი თუ რამე უყვარდა ახალგაზრდობაში, ეს მამლების ჩხუბი იყო. ყველაფერს მიაგდებდა, ოღონდ კი ეცქირა, რომელი მამალი რომელ მამალს გააცლიდა ბუნდლას. მე კი იმ წუთებში მასთან გაკარებაც არ შემეძლო).

ჰოდა, ჩემს მძახალს მოველაპარაკე, ანდრეის: შენ, მძახალო, ადექი და მამალს ფეხზე გრძელი ძაფი გამოაბი, თვითონ კი კუთხეში დაიმალე. მამლები რო ჩხუბს დაიწყებენ, ძაფი საჭირო მიმართულებით დაქაჩე-მეთქი. ვთქვით

და შეეასრულეთ. ხომ იცი, რა ცხოველია მამალი — მთელი დღე და მოსწრება სულ ჩხუბისკენ მიუწევს გული, რამეფრად თავისივე ამხანაგს თვალები რომ ამოკორტნოს. ჩხუბი იმ მამალმა დაიწყო, ფეხზე ძაფი რომ ჩქონდა გამობმული. პირდაპირ გრიგალივით დაეცა თავს, მეორე კი დაიბნა. აქ მთავარია, პირველი რომელი დაიწყებს ჩხუბს. ერთმანეთზე უკუწინდელი შეიბნენ. პოდა, ჩემმა ვირინეამ დაბარებულივით მოირბინა. ამასობაში ჩხუბები ისე გაცხარდნენ, ერთმანეთი შეუბრალებლად გაპენტეს. ვირინეა ჩხუბს თვალს არ აშორებდა. მე ავდექი და მძახალს ხელი დავუქნიე: აბა, მძახალო, დაიწყე, ახლა კი დროა-მეთქი. ანდრეიმ მამალი წაათრია. ვირინეა სიაშოვნებისაგან დნებოდა. ჩხუბი სულ გვერდზე და გვერდზე გადაქონდა ანდრეის. ვხედავ, ჩემი ქალი მთელი მთავარი ტანით ჩხუბისკენ შებრუნდა, იმიტომ რომ კისრის მობრუნება არ შეეძლო ძირმაგარას გადამკიდე. მე ცალი ფეხი ცოლს შევუდგი, მეორეთი მიწას დავებჯინე, ძლივს დავიჭირე მხრით და, ჩხუბისკენ რომ შებრუნებულიყო ტანით, ამის საშუალება არ მივეცი, თანაც ჩემს მძახალს დავუყვირე, ანდრეის: აბა, მიდი, წაათრიე-მეთქი! ანდრეიმ მამალი დაქაჩა, მე კი ვირინეა შევაკავე. ქალმა ჩხუბის ადგილისკენ სცადა მიბრუნება, მაგრამ ძირმაგარამ არ გაუშვა. სამაგიეროდ მამლებისკენ ისე ძლიერ შეატრიალა თვალები, ცხვირის ფუძესთან რალაცამ დაიხრჭიალა, ანდრეიმ კი დამიძახა: ეყოფა, თუ კიდევ დავქაჩო? აბა, რომელი ექიმი მნახე, ყოველი შემთხვევისათვის კიდევ დაქაჩე-მეთქი! ანდრეიმ ისევ დაქაჩა ძაფი, მე კი ვირინეა დავიჭირე და თვალები თანდათან გავუსწორე. პირდაპირ საათის ისრებივით გადამყავდა. შეჩერდი, ალბათ ეყოფა, აღარ გადავამლაშოთ-მეთქი! — დავუყვირე ანდრეის. მძახალმა გაუშვა მამალი და ჩხუბიც ამით დამთავრდა. მე ვირინეას გადავხედე, გადავხედე და, ღმერთო ძლიერო! — სულ სხვა ქალი აღდამიდგა თვალწინ! თუმცა ნამეტანი კი მოგვსვლია, თუ ადრე მარჯვნივ ეჭირა ელამი თვალი, ახლა ოდნავ მარცხნივ იხედებოდა. უწინდელთან კი რა შედარება იყო.

სუფთა ჰაერზე

ლაპარაკი არ უნდა, მე და ვირინეას იშვიათად, მაგრამ მაინც მოგვდიოდა დავა და ალაბალა. ჯერ ერთი, პოლიტიკამ რომ გაიტაცა, ამით ვითომ რამე მოიგო? რაც შეუგნებელი იყო, ის შეუგნებელი დარჩა ბოლომდე. ახლა კი ველარ გამოასწორებ. ეს შენ ელამი თვალი არ გეგონოს, ჯეელო. ამაზე ადრე უნდა შეფიქრა.

პირველი შეხლა-შემოხლა ჩვენ შორის მაშინ მოხდა, კოლმეურნეობაში რომ შევდიოდით. მახსოვს, ჩვენი სოფლის გლეხები ავდექით და სულ ერთი საღამოს განმავლობაში ჩავეწერეთ კოლმეურნეობაში. სოფელში ორმოცი მეურნეობა იყო, ორმოცივე ნახევარ საათში მოვსპეთ კრებაზე და ერთი დიდი საზოგადოებრივი მეურნეობა დავაარსეთ.

კრება ძალაში რომ შევიდა, შეშაზე ჩამოვარდა კამათი. ვთათბირობდით: ერთპიროვნული შეშა საზოგადოებრივ შეშად გვექცია, თუ თავი შეგვეკავებინა. ჩემი ცოლი კრებიდან გაიქცა. მე შეშასაც ვუყარე კენჭი, წყალი რომ არ გვენაყა და დილაამდე ტყუილ-უბრალოდ არ ვმსხდარიყავით. შინ გაბლინძული მივდიოდით. პარმალზე რომ შევდგი ფეხი, ცოლმა ჭიშკარი ჩამიკეტა და არ შემიშვა. ახლა ფანჯარას ვეცი, ქალი ღუმელზე ავიდა. ისევ დავბრუნდი ჭიშკართან, და მაინც ვერაფერი შევასმინე. ბოლოს თავი გამოჰყო და მომა-

ძანა: ჯანაბის იქითაც გქონია გზა წადი და რომელი სახლიც მოგეწონოს, იქ გაათიე ლამე. კოლმეურნეობაც ხომ ამისათვის დაარსდაო. ვირინეა, დაფიქრდი, ქალო, კეთილი და პატიოსანი, შეშა საერთოა, სამაგიეროდ საქმეები ტაბუხის თავი გეჭნება ხოლმე. აბა რა დიდი საქმეა შეშა? როგორმე დავერეხეთ-მეთქი! — ვუთხარი. ხმა გაიკმინდა, მე კი წაეხალისდი: შენ ძროხებს პაერით ჩამოწველი, მე კი მიწას ელექტრონით მოვხნავ-მეთქი. ვიგრძენი შეშა მენდა, ჭიშკარი კი მაინც არ გამილო

ახლა ჩემი აგიტაცია წინ წავეწიე:

— როგორმე გაზაფხულამდე გავძლოთ, გაზაფხულზე კი პურის ქვეყნებს ხანძარი მოედება!

გავიგონე, კარი რო გამოალო, და შევაგებე:

— ვარდისფერი კოფტით ივლი!

ჭიშკრის გასაღებად წამოვიდა, მაგრამ ყოველგვარი მოულოდნელი შემთხვევისათვის მაინც შევაშველე:

— შეილებს რო გააჩენ, მოვლა-პატრონობა არ დაგჭირდება, ყველას სახელმწიფოს ჩავაბარებთ ნებაყოფლობით!

ეს კი არ უნდა მეთქვა! ჭიშკარში ფეხიც არ მეჭნებოდა შედგმული, რო ისევ გაისმა წელანდელი რეპლიკა:

— აქედან დამეკარგე, შე ოხერო, შენ! მე ჩემი შეშა შრომა-გარჯით მოვიმარაგე. წადი და თვალთ არ დამენახოს!

ახლა კი დავიღუბე, ჭიშკარს ხელმეორედ აღარ გამილებს-მეთქი, გავიფიქრე და ლამის გასათევად ჩემს მძახალთან წავედი, ანდრეისთან. ანდრეი კიბეზე ჩამომჯდარიყო. ასე, ლამის ოთხი საათი იქნებოდა. ანდრეი, რა დაგემართა-მეთქი? — ვკითხე, რა და ისა... თუთუნის მოსაწევად სუფთა პაერზე გამოვედიო. მეც ისა... თუთუნის მოსაწევად მოვედი-მეთქი, ვუთხარი.

ჰოდა, სუფთა პაერზე კოლექტიურად გავაბოლეთ თუთუნი.

ნარდად მუშაობა

დაიწყო საერთო-საკოლმეურნეო ცხოვრება. ჩემი ვირინეა მოწინავე მწველავებში ჩააყენეს და თექვსმეტი მაკე ძროხა ჩააბარეს მოსავლელად მე კი სასილოსე მასის მიზიდვაზე ვმუშაობდი. მახსოვს, ფერმას რო მივუახლოვდებოდი, მაშინვე გადავძახებდი ცოლს: აბა, ვირინეა, ტვირთი მიიღე-მეთქი. დამინახავდა თუ არა, სიხარულისაგან ალექსილი გამორბოდა შესახვედრად ფიწალს მის ხელში სულ ლაპლაპი აუდიოდა. ერთ პწკენასაც ვერ მოვასწრებდი, ახლა მდინარიდან ისმოდა მისი ვედროების ელარუნი. ზოგჯერ მარჯვენა ფეხის ჩექმა მარცხენაზე ეცვა და ისე დარბოდა წინ და უკან. კედლის გაზეთში ხო სულ აქებდნენ და ადიდებდნენ. თუ სადმე შეკრება გაიმართებოდა, ტარანტასით დაჰყავდათ. ეს კია, ჩემდა სამწუხაროდ, ფერმაში დადიოდა ლამის გასათევად, მე კი ადრეუტანტივით უკან დავდევი. რასაკვირველია, ყოველივე ამას სალაპარაკოდ არ გავიხდიდი, მაგრამ ჩემმა მძახალმა ყურში ჩამაწვეთა. ანდრეიმ; ნეტავი ხბოს არ მოიგებდე, კუზია, ქალი რო ლამლაობით დადის, მისი შეცდენა სულ იოლი საქმეაო. მე კი ვითმენდი და ვითმენდი, შრომადღეებს მე და ვირინეას იმდენს გვიწერდნენ, მალე ზედ ათასამდეც ავიდა, სარგებელი. კი, რასაკვირველია, ერთი ნამცეცი იყო. ქალო, შარშანდელი ყველიერის აქეთ ხორბლის ფქვილისაგან არაფერი გამოგიცხვია, შიმშილით კუჭი გეწვის. ასე

საღამდე უნდა გაგრძელდეს-მეთქი, ვუთხარი. შენი რა საქმეა, დიდ გზაზე გავდივარო. კი, ბატონო, დიდ გზაზე გაბრძანდი, მაგრამ გადასახადს მე ვიხდი, კარ-მიდამო ჩემს სახელზე სწერია, ავდგები და სხვა სახსარს გამოვინახავ-მეთქი. ცხენი და მოკაზმულობა სხვას გადავეცი, ხელსაწყოები შულდაქში ჩავალაგე და გზას გავუდექი. ჰოდა, დავდიოდი სოფელ-სოფელ და ღუმელები ამომყავდა. სასუქი საქონელივით მაჭმევდნენ, მასმევდნენ, პატრის ქცევდნენ, კაცი-შვილი არ მაჩქარებდა. აბა, მიდი, საქმე წინ წაიგდეთ. დილას რო ჩაის დავლევდი, სამოვარში ჩარჩენილი თბილი წყლით თიხას ვზელდი, აგურს აგურზე ვაწყობდი და თანაც ვლიღინებდი: „ველის პირას აყვავებულ ბაღში“. მალე ჩემს მძახალს შეშურდა, ანდრეის: შენ რა გიჭირს, ბარახვოსტოვ, საქმელ-სახმელი მუქთი გაქვს, ბინა — მორთმეული. ახ, ნეტავი კი თანაშემწედ ამიყვანდეთ. მერედა წამოდი-მეთქი. წამოსვლით კი წამოვიდოდი, კუზია, მაგრამ გამგეობა არ გამომიშვებს. ჩვენთან მეხანძრედ უნდა იმუშავო და მორჩაო. მერე დაიწყე-მეთქი? — ვკითხე. ჯერჯერობით არა, ფორმის ქუდს ველოდებიო. კეთილი და პატიოსანი. ვცხოვრობთ ასე.

ერთხელ საკოლმეურნეო არდგმულში გვარიანი ღუმელი ამოვიყვანე. კარგი ღუმელი იყო, ცხელი, უმხთურო, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ამოკოპწიავებული, თანაც ისე საათივით მქონდა გამართული, შეუცუტებლად თუნდაც ას წელიწადს გაძლებდა. ანგარიში უმაღლესი ტარიფით გამისწორეს და ფულიც ნაღდი ჩავიხხრიალე. მერე ექვსი არდგმული პური გააშრეს იმ ღუმელში, მაგრამ რად გინდა? ერთიც ვნახოთ, ფორმისქუდიანი ანდრეი გამოცხადდა, ჩემი მძახალი, და ბრიგადირს ჰკითხა:

- ღუმელი ხურდება?
- ისე ხურდება, აფთიაქში რო გინახავს.
- დაანგრიეთ!
- რატომ?
- ლაპარაკი არ იყოს. ცადა ოთხი საათი გეძლევათ!
- კარგი ღუმელია.
- დაანგრიეთ. ხანძარსწინააღმდეგო წესი მოითხოვს ამას.

დასცხეს ხელნები და ჩემი ღუმელი ნანგრევებად იქცა. ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ მომაკითხეს: აბა, ბარახვოსტოვ, ამოიყვანეთ! მეც ამოვიყვანე ღუმელი, მაგრამ ისევ გამოცხადდა ჩემი მძახალი და განკარგულება გასცა: დაანგრიეთ! თქვენი ღუმლის კვამლი იქით კი არ მიდის, საითაც უნდა მიდიოდეს. ინსტრუქციის მიხედვით კვამლი მარცხნივ უნდა უხვევდეს, ამ ღუმლის კვამლი კი პირდაპირ ზეცისკენ უბერავსო. ბევრი რო არ გავაგრძელო, ისინი ანგრევდნენ, მე კი ამომყავდა. საქმე წინ მიდიოდა. ვცხოვრობდით. მე ნარდად ვმუშაობდი, ანდრეის ხელფასი ჰქონდა. ბოლოს ავდექი და ვუთხარი: ძმობილო, ეს ორომტრიალი რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს-მეთქი! მეც მომბეზრდა, კუზია, მაგრამ რა ვქნაო. რა და ნგრევას თავი დაანებე-მეთქი. ამაზე ზემდგომ ორგანოებს მივმართე, მაგრამ ყურიც არ მათხოვეს. შენ ბრძანება შეასრულე და ხმა არ ამოიღო. ფორმის ქუდი ტყუილად კი არ გახურავსო. ფორმის ქუდი კარგია, ანდრეი, მაგრამ პორუჩიკი ეგონები ვინმეს. მე კი ღუმელების ამოყვანას გადავეჩვიე. თუ აქამდე ოსტატი ვიყავი, ახლა მეც არ ვიცი, ვინ და რა ვარ-მეთქი.

მძახალი ცუდს არ გასწავლის

ღმერთმანი, გადავეჩვიე. ახალ კანტორაში რო ღუმელი ამოვიყვანე, წამეტანი მხუთრიანი გამოდგა. მახსოვს, გამგეობის კრებას რო მოიწვევდნენ/ნახევარი საათის შემდეგ ყველა გალურჯებული იჯდა. ყურები გვიწვივდა, მონებს ზრიალი გაუდისო, ამბობდნენ. ისე იყვნენ ხოლმე გაბრუნებულნი ზოგიერთხელ ერთი გადაწყვეტილების ნაცვლად მეორე გამოჰქონდათ. ერთმანეთში ერეოდნენ ქაღალდები. ჯობი კი ისევ ბარახვოსტოვის თავზე ტყე-ბოდა. სულ დაგვხოცე ხალხიო! — მისაყვედურებდნენ. მაპატიეთ, ბიჭებო, თქვენი ჭირიმე, მე თვითონ არ ვიცი, რა და როგორ მოხდა-მეთქი. ყურები რატომ გვიწვივისო? არ ვიცი-მეთქი. იცოდე, ასე და ისე გიზამთ! გეტყობა, მუქთად სმა-ჭამა მოგსურვებიაო. ავიღე და ხელსაწყოები იატაკზე დავანარცხე, დღეის იქით თვითონ ამოიყვანეთ-მეთქი!

ბარახვოსტოვს ვალი მის დღეში არ შეურჩენია. გადასახადს სულმუდა პირველი ვიხდიდი. ერთში კი ცუდად მქონდა საქმე: ყოველ ცისმარე დღეს სხვა ხალხში მიხდებოდა ტრიალი. მახსოვს, შინ რო მივდიოდი, ძროხა ჩამოუწვევლი მხვდებოდა. ვირინეა კი ჯერ კიდევ არ იქნებოდა მოსული ფერმიდან. დავდიოდი კარდაკარ და მთელ სოფელში ვაფანტულ ბავშვებს მწყემსივით ვაგროვებდი. ერთხელ ძროხა მე თვითონ ჩამოვწველე, საკუთარი ხელით. ძროხა შეუჩვევლობისა თუ აღშფოთებისაგან წარამარა იქნევდა კუდს. ხან სახეში მომარტყამდა, ხანაც შიგ თვალეში ჩამაფერთხავდა გაბრაზებული თუმცა რა უნდა მოსთხოვო? პირუტყვი პირუტყვია. ანდრეის რო შევხვდი, შევჩივლე: მეტი ძალა არა მაქვს, მძახალო! მოსაწველად რო ჩავჯდები, კუდს გაიქნევს და ისე მთხლიშავს, თვალეში სულ ამომთხარა-მეთქი. იცი, რა გითხრა? მიდი, კუდზე რაც შეიძლება მძიმე აგური გამოაბი და ისე გაუშეშებს. ვერც კი გაანძრევსო, მირჩია, ჩემი მძახალი ცუდს არ მასწავლის-მეთქი, გავიფიქრე და ძროხას კუდზე მართლა გამოვაბი აგური. არ ვიცი, დამიჯერებ თუ არა, მაგრამ მოსაწველად რო ჩავჯექი, გამიქნია და ის აგური ისე მდრუხა თავში, მიწაზე ზღართან მოვადინე. ვიწექი და ვფიქრობდი: ახია ჩემზე, მძახალს რო დავუჯერე და საკუთარი ჭკუით რა ვიფიქრე-მეთქი.

თავი დაიძვრინა

აკი მოგახსენე, თავდაპირველად კაი-კაი ღუმლები ამომყავდა-მეთქი. თუ სადმე რიგიანი ღუმელი იყო, ყველა ჩემი ამოყვანილი გახლდათ. ეს კია, საკუთარი თავისთვის ვერა და ვერ მოვიცალე. სახლს ძველებურად ვათბობდით ხოლმე. კვამლი ჭერქვეშ გადიოდა, სპეცნახვრეტში. ამ ნახვრეტს საფუტარს ეძახიან. თუ ვინიცობაა, დაიგვიანე და საფუტარი დროზე არ ჩაკეტე. უბედურებას თავიდან ვერ აიცილებ! მთელი მეხსიერება სითბოსთან ერთად გავა საფუტარში და მართო საკუთარი ინტერესებით დარჩები კაცი. ამისთანა ამბავი არაერთხელ შემემთხვა. მომკალი და ახლა ვერ გავიხსენებ, კიდევ რა ამბები გადამხდა იმ წლებში. ერთი შემთხვევა კი მახსოვს, მე და ვირინეა შეილებთან ერთად კინალამ ღია ცის ქვეშ რო დავრჩით. ზაფხულში საფუტარის ჩაკეტვა დაგვიწყებოდა. სწორედ ამ დროს კი ჭექა-ქუხილი დაიწყო და მეხი ცეცხლთან ერთად შემოვარდა საფუტარში. ჰოდა, ჩემს ქოხში ერთბაშად აფრინდა წითელი მამალი. მეხისაგან გაჩენილ ცეცხლს კი მართო ძრო-

ხის რძით აქრობენ ხოლმე. ეს შენც კარგად იცი, ჯელო. უბრალო წყლით ხანძარს ვერ ჩააქრობ. მაგრამ იმ ხანებში ჩვენ ძროხა არ გვყავდა. მართოთხა იყო ჩვენი მარჩენალი. ავდექი და ჩემს მძახალს დავუძახე, ანდრეის: რას მიჩვევდი, თხის რძე ხანძარს ჩააქრობს-მეთქი? მძახალმა ყურისძირი მოიფხანა და მითხრა: თუ ნამეტანი ცხიმიათი არ იქნება, უსუფუფუდ უნდა აქროსბსო. კეთილი და პატიოსანი. შევაბი ცხენი, ფარეხში წავედრ და მწყემსებს ნახევარი ლიტრი დავუდგი: ასე და ისეა საქმე, ბიჭებო, შინ ცხოველი მჭირდება-მეთქი. თხა ხელდახელ მოვიყვანე, ჩამოვწველეთ და ქოხში ხანძარი ჩავაქრეთ. ცოტაც რო დამგვიანებოდა. სახურავს სულ მთლად მოედებოდა ალი. ხედავ, დედაკოჭი რანაირად დაიწვა? არა, ახლა ვერ დაინახავ, ვირინეამ ქალაღდი დააწება.

ჩემმა ოჯახობამ კი მევე გამიხვრიტა ცხვირი საყვედურებით. მე კი მოვახსენე: ძროხა რითია თხაზე უკეთესი? მაშინ მეურნეობაში ძროხა რო გვყოლოდა, ვითომ მის მოყვანას საზიდრით მოვასწრებდით? ვერაფრის დიდებით! ამოდენა ხორცის მოზიდვას საზიდრით ვინ შეძლებდა! ახლა ბავშვებთან ერთად ღია ცის ქვეშ ვეყრებოდით, კარდაკარ ვიწანწალებდით-მეთქი. ქალი ქალია და ქალადაც დარჩება. ადგა და წუწუნნი დამიწყო: თხის ყოლას სულაც არ გვყოლოდა პირუტყვი, ის აჭობებდა. რაღაც გირვანქა რძეს იწველის და იმასაც თხის სუნი აუდისო. აბა მე რატო არ მცემს-მეთქი სუნი? — ვკითხე. იმიტომ რო თუთუნს ეწვეო. ხედავ, რანაირად დაიმშვიდა თავი?

ნერვეზა გვიმტუნა

ლაპარაკი არ უნდა, ერთი მხრივ, თხა სარგოიანი ცხოველია. მეორე მხრივ კი, ვირინეასაც უნდა გავუგოთ, როგორც ადამიანს. თხას მართლა ძალიან უყვარს ხეტიალი. ამიტომ ერთ ბეწვა რამეზე უჩივიან ხოლმე: ეს რა საქონელია?! ყველგან დაძვრება, ნამეტნავად კი იქ უნდა შერგოს ცხვირი, სადაც არ ეკითხება, ხოლო სადაც ეკითხება, იქ ვერც კი შედენიო. მახსოვს, დროს რო მოვიხელთებდი და გაზეთის წასაკითხად დავჯდებოდი (მე მაშინ ბრიგადირი ვიყავი), იმ წუთას მოირბენდნენ ბავშვები: კუზმა ივანოვიჩ, შენი თხა შემოდგომის ნათესს წიწკნისო. ნათესი რო ჩემი ყოფილიყო, ფეხებზე დავიკიდებდი, მაგრამ ნათესი საკოლმეურნეო გახლდათ, თხა კი — ჩემი. ამასთან ბრიგადირიც შენა ხარ! კეთილი და პატიოსანი. ეს მე რე იყო. მე კი იმას გიყვები, რაც მანამდე მოხდა. აბა, რას მეტყობდი, რისთვის დავიყენებდით თხას? იმისთვის, რო ძროხების მოვლისას ცოდვა ჩავიდინეთ, ნერვეზმა გვიმყუნა და მოთმინებიდან გამოვედით. ძროხა ყველასათვის კეთილი იყო და ფუთობთ რძეს იწველიდა. ზოგიერთხელ კიბესთან რო მოვიდოდა, ყველაფერი ესმოდა ჩვენი, ოღონდ ენის ამოდგმა არ შეეძლო. სანამ ცალკე ვაძოვებდით, კარგად მიდიოდა საქმე, ერთად რო დავაწყებინეთ ძოვება, სულ გაფუჭდა, განებივრდა, დისციპლინას გადაეჩვია. ისე ირჩოლებოდა, რქები დაიმტვრია, ცუდი ზნე გადმოიღო. წველას რო დავამთავრებდი (ახლა კუდს ფეხზე ვაბამდი და უაგუროდ გავდიოდი), საწველელი რძით იყო სავსე. ის თავხედი კი ასწევდა უკანა ფეხს და შიგ საწველელში ჩაჰკრავდა. აი სადამდე მივიდა საქმე! არა, ქალიშვილო, ასე მალე გამიფრინდები. აგერ პირველი პარტია ხორცის ჩაბარებაზე გავრეკეთ, ახლა შენც მიგაყოლებ-მეთქი, ვუთხარი. მორჩა და გათავდა. ჩემი გადაწყვეტილება მტკიცე იყო. ერთდროულად რძის ჩაბარები-

საგანაც დავიძვრინეთ თავი. ის ძროხა სახელმწიფოს ჩავაბარეთ და გრძელწვერა ორცუორიანი ვიყიდეთ.

ზოგი ჰირი მარგაველიაო



ქართული
განმანათლებელი

მას აქეთ დღე ისე არ გავიდოდა, მე და ვირინეას შორის არაბული კონფლიქტი რომ არ ჩამოვარდნილიყო. პირდაპირ გული გამიწყალა ჩიჩინით: ყველა ადამიანურად ცხოვრობს. კუზია, მარტო ჩვენ გადავყევით თხასო. ვირინეა, ქალო, სინდისიც კარგი საქონელია, უაზროდ ლაპარაკს თავი დაანებე-მეთქი, ვეტყობდი. რა ვთქვი უაზროდ და რა ვთქვი უაზროდო! — დაიკერებდა პირზე. მე ვდუმდი. ის კი ისევ საყვედურებით მავსებდა. ავდექი და ამისთანა მოქმედების გეგმა შევიმუშავე: მოდი, ახალ ლუმელს ამოვიყვან-მეთქი! ლუმლის ამოყვანაზე სინდისიერად ვიმუშავე. გავიდა ერთი დღე, ვითომ დამშვიდებულიყოს ვირინეა. გავიდა მეორე, ბოლმა მოეშვა გულზე. გავიდა მესამე, ახალი ძალით დამიწყო ჩიჩინი. ამასობაში კი რაც ანდრეის სახლში ტარაკანები იყო, ყველა ჩემს ქობში გადმოვიდა. გაიგეს! თუ არა, ახალი ლუმელი რომ მქონდა ამოყვანილი, ერთმანეთის მიყოლებით წამობობდნენ, მაგრამ ზოგი ჰირი მარგაველიაო, ნათქვამია. ვირინეა დარბაზში იძინებდა, მე კი ლუმლის უკან, ძირს ვწვებოდი ხოლმე. დამიწყებდა თუ არა ჩიჩინს, ნელ-ნელა ავდგებოდი, უჩუმრად ჩავიცვამდი ბაგვებს და ანდრეისთან გავრბოდი. ამ დროს კი ტარაკანები ლუმლის უკან უღვაშებს აქიციანებდნენ, ფაჩუნობდნენ, ვირინეას კი ეგონა, კუზია ინძრევას და წუწუნით მიღრნიდა გულს. ერთი კვირის შემდეგ უკანვე გაბრუნდნენ! დილას ანდრეის სახლიდან რომ გამოვედი, ვხედავ, ის ტაკიმასხრები თოვლზე კისრის ტეხით, პანტაპუნტით მობობლავენ. რაო, სტუმრად ყოფნა მოგბეზრდათ-მეთქი? — დავუყვირე. შინ რომ მივედი, ქობში მათი სახსენებელიც არ იყო.

რატომღაც, ჯეელო, ამ ბოლო დროს, უხეირო ლათაიები გამომდის, უთავბოლო. მგონი, ტარაკანებზე ყველაფერი არ მითქვამს. მეხსიერებამ მიღალატა. აკი გითხარო, მეხსიერება მხუთრთან ერთად საფუტრიდან გამიფრინდა-მეთქი. ის კი კარგად მახსოვს, ტარაკანების გადამკიდე უამრავი ხათაბალა რომ გამოვიარე. დაწვრილებით კი ველარ გამიხსენებია. თუმცა შაბაშ, ჯეელო, შაბაშ! ეშმაკსაც წაუღია ყველა ტარაკანი.

კვიცეზივით ზავადით

ომის ამბებით თავს არ შეგაწყენ, ჯეელო. სულ ერთია, მაინც არავინ დამიჯერებს. აბა, რა ხალხია ახლა? ლათაიებს რომ ჩაუწყინავ, ყველა პირდაღებული გისმენს და კიდევაც სჯერა. სიმართლეს იტყვი და ყურსაც არავინ გათხოვებს. აგერ შენც მყავხარ რალა. ნეტავი რა გაციინებს? სიმართლეს პირში თქმა უყვარს. ბიძია, შენ კი თვალმოხუჭული ზიხარ და არც არაფერი გტკივა. გაახილე თვალი და ისე აგეწყება. იქნებ ბლავილიც კი დაიწყო. ჰოდა, ასეა, ვსხედვართ და თვალი რომ ვინმეს ავუხილოთ, ამის სურვილი არა გვაქვს.

ომის დროს ისე მივალწიე პრალამდე, ფრჩხილიც არ წამომტკივებია. პრალაში კი მარცხი მომივიდა: ზედ ფეხზე მომხვდა ტყვია. შინ რომ გამომიშვეს, სხვადასხვა ფეხები მქონდა. ერთი ფეხი ხუთი სანტიმეტრით მოკლე იყო მეორეზე. სადგურიდან ყავარჯენზე დაყრდნობილი გამოვედი ბაჭბაჯით. თუ-

თუნის მოსაწევად ჩამოვჩექი და, ღმერთო დიდებულო! — ვხედავ, ჩემი მძახალი არ მოდის, ანდრეი! მოდის და ისიც სამ ფეხზე დგას.

- გამარჯობა, მძახალო!
- ვაგიმარჯოს!
- სად დაგჭრეს?
- მარცხენაში. შენ სადა ხარ დაჭრილი?
- ვერა ხედავ? მარჯვენაში მომარჭვეს.



ჩამოვსხედით და მასლაათი გავაბით. მაგრამ რამდენიც გინდა იმასლაათო, შინ მაინც უნდა წახვიდე, ავდექი და წავედით. ორივე კოჭლა-კოჭლობით მივდივართ. ანდრეის მარცხენა ფეხი აქვს ჭლიბუნა, მე კი — მარჯვენა. მძახალო, ასე ფეხათრეული შინ დაღამებამდეც ვერ მივალწევთ-მეთქი, ვუთხარი. იცი, რა გითხრა, კუზია? მოდი, ფეხები გავცვალოთ. მე ჩემს დამოკლებულს მოგცემ, შენ შენი გრძელი მომაშავე. ასე ნულა იმიტომ მივდივართ, სხვადასხვა ფეხები რო გვაქვსო. ვიფიქრე, ვიფიქრე და ხელი ჩავიქნიე: კეთილი, გავცვალოთ-მეთქი. ავდექი და გავცვალეთ. მე ჩემი სალი მივეცი, ანდრეიმ თავისი დამოკლებული მომაშავა. მომაშავა და კოჭლობა ვითომც არ ყოფილიყოს. ყავარჩნებსა და ხელჯონებს არხში გადავუძახეთ და კვიცებივით წავედით. დიდი ჭკუის კოლოფი იყავი შენ, ანდრეი, ომამდე, ომიდან კი უფრო დაქოქილი დაბრუნებულხარ. მე კი რაც ჭკუა მქონდა, სულ დავკარგე, თორემ ფეხს ჯერ კიდევ მატარებელში გავცვლიდი. განა ჩვენისთანა ჩლაბუნა ომიდან ცოტა დაბრუნდა-მეთქი? — ვუთხარი.

შინ რო მივედით, ვახშამი მზად დაგვიხვდა.

შეცდომა ცოდვა როდია

მშვიდობიანობის დროს მე და ვირინეას შვილები წამოგვეზარდნენ, ოღონდ აზრზე არა ვარ, საიდან მოგვეჯარა ამდენი. ჯერ ახალშობილების ჩასაწერად სოფლსაბჭოში დავდიოდით, მერე კი ველარ ავუთავდი და შინაურ აღრიცხვაზე გადავიყვანე. ერთხელ, უკან რო მოვიხედე, შეშმიშვივით გავხდი და ცოლს შევჩვილე: შეჩერდი, ვირინეა! შეჩერდი ქალო! ჯეელი არ გეგონო, შეიძლება ყოველ წამს ფეხები გავჭიმო-მეთქი. მაგრამ ჩემი მითითება მითითებად დარჩა. ვირინეა წინანდელი გრაფიკით წვებოდა მოსალოგინებლად. მერე ქალის დარწმუნება ძალის პოზიციიდან ვცადე, მაგრამ უარეს დღეში ჩავვარდი: რაც კანონი და კოდექსის დებულება იყო, ყველა ჩემს წინააღმდეგ წავიდა. აბა... ექვს ვწერთ, შვიდს ვინახავთ, სულ დავიბენი კაცი მახსოვს. ჩემი მძახალი რო შემოვიდოდა, ანდრეი, ბავშვების თვლას იწყებდა:

- პირველი, მეორე, მესამე... მოიცა, ბარახვოსტოვ! ხედავ, ერთი ბავშვი არა ჩანს, ოღონდ ვერ გამიგია, გოგო დაგეკარგა თუ ბიჭი.
- ხელმეორედ დაითვალა, ანდრეი, ამ საქმეს ძალიან მკაცრად ვეკიდები.
- არა, ერთი აკლია.
- უნდა იყოს, თვალში კარგად გამოიხედე. შენ სულ საკუთარი არით-მეტყივით ცხოვრობ, ანდრიუშა. სასეც იმიტომ ლაპარაკობ.
- რომელი არითმეტყივით?
- რომლით და აგერ სულ ორი შვილი გყავს, ისიც ომამდე გაჩენილი. ომამდე კი სასმელ-საჭმელი გაცილებით ხელმისაწვდომი იყო.
- აქ კი ენაზე იკბენდა ანდრეი.

— ალბათ მართალს ამბობ, კუზკა. შენ დიდი ყოჩალი კაცი ხარ, აი მედ-
ლი კი მარტო ვირინეას მისცეს. განა ეს სამართალია? თუკი ვირინეა გმირ
დღეა, შენ ნაწყენი რატომ უნდა დარჩე?

რასაკვირველია, გუნებაში ვეთანხმებოდი, მაგრამ დათმობაზე მაინც არ
წავსულვარ.

— არა, ძმობილო, მართალი არა ხარ. ეგება კაცი მარტო არამედ თანაშემწეები ჰყოლოდეს. ეს კი მთავრობამ საიდან უნდა იცოდეს?
აი ხომ არიან იმისთანა მოყვარულები, გაბედნიერებას სხვის ხარჯზე რო ცდი-
ლობენ. რაც კი შედლებს შეეხება, ზოგი რამ მეც ვიცი.

რასაკვირველია, ანდრეისთან აბრუ არ გავიტეხე, მაგრამ ზამთარი რო
დადგება... ეჰ ამხანაგო, ამას რო გავიხსენებ, ელეთმელეთი მომდის! გეუბ-
ნები, მაშინ ლათაიების დარბევა ცოდვად არ ჩამეთვლება-მეთქი. ზახულში
რამეფრად მოითმენ, ფეხშიშველი ივლი და ბალახს მოძოვ, მაგრამ თოვლ-
ჭირხლი რო დატრიალდება... დალახვროს ეშმაკმა, გახსენებაც არ მინდა. შაბაშ,
ყმაწვილო, შაბაშ! მორჩა! აბა, ვირინეა, სამოვარი დადგი, გეთაყვანე, შემწ-
ვარ წყალს დავლევთ. რაო, დილის აქეთ სამჭერ დავლიეთო? არა უშავს, მეოთ-
ხეჯერაც დავლიოთ. მაშ, ღვეზლები მოგვართვი! რაო, ისიც გაგვითავდაო?
აბა, დატრიალდი, კარადიდან, ღუმლიდან, სადაფიდან — ყველაფრიდან გა-
მოიტანე ხორაგი! ახლა მაინც ვჭამოთ ძლომაზე.

მესამე თემა

იმავე თემაზე, ამორაში როგორ იყო

ზორცი არ შემოგაკლავია

ვინ იტყვის, ბარახვოსტოვი ჩია კაციაო? ჩვენს სოფელში ამისთანა არც
ყოფილა და არც ოდესმე იქნება, ჯეელო. ეგება სხვაგან იყოს, მაგრამ ჩვენთან
ამისთანას ვერ შეხვდება კაცი. არა, ბარახვოსტოვი ჩია კაცი როდია ბაჭიობა
არ მიყვარს. ვინდა ტყის ლათაიებს მოგიყვე? აქნობამდე თუ ველის ლათაიებს
გიყვებოდი, ახლა ტყის ლათაიებსაც დაუგდე ყური. ტყე ყველა ადამიანის
პირველი მეგობარია და მალე ჩემთვისაც დადგა ტყის ახალი ეპოქა. შემოდგო-
მა იყო. ვიჩქეჩი და ბაგვებს ვაკერებდი. ქოხში იმისთანა სოდომ-გომორი იდგა,
ბერლინის იერიში გეგონებოდა. ჩემი გვარდიელები ყაყანებდნენ, ჭიჭყინებდ-
ნენ და გნისობდნენ სხვადასხვა ხმაზე. უცებ ახალი ხმა გავიგონე. ვირინეა,
ეს ვინ უნდა იყოს-მეთქი? — ვკითხე ცოლს. ახ, ნეტავი კი ჩაკვდებოდეს ეს
მართლა საკვდავა, ესო. — მიპასუხა. თვითონ კი ვედროებს დაავლო ხელი და
გომურში გაიქცა. ჩაკვდებოდეს... საკვდავა... საკვდავა, მოდი-მეთქი აქ! —
დავუყვირე, მაგრამ ყურიც არ შეუბერტყავს. ბიჭებო, გამოათრიეთ-მეთქი! —
მივუბრუნდი ახლა ჩემს ბაცაცებს. ბიჭებმა ღუმლის უკნიდან ახალი მხეცი
გამოიყვანეს. ვხედავ, თათები სატაცებივით უჭირავს. სხვადასხვა ფერის თვა-
ლები აქვს და ცალი ყური ჩვარივით ჰკიდია. შენ ვისი ხარ-მეთქი, საკვდავა? —
ვკითხე. ჩემი ბიჭები ერთმანეთს არ აცლიან: ვისი უნდა იყოს, არავისია, არა-
ვისიო! თუ საკვდავა არავისია, მაშ, არ ყოფილა სხვისია-მეთქი, ვუთხარი.
ძალღმა კუდის ქიციანი დაიწყო და თათები დააბაკუნა. ჯიში, რასაკვირველია,
ვერ გავარჩიე, მაგრამ გამჭრიახი თვალები კი ჰქონდა. საკვდავა, თავი რითი

ვირჩინოთ-მეთქი? — ვკითხე, მაგრამ ხმა არ გაუცია. კეთილი და პატიოსანი. ჯერხანად საყელურს გაგიკეთებ-მეთქი, დაეპირდი. ზაფხულში წამოიზარდა, ტანით არც ისე მაღალი იყო, მაგრამ სიტყვა ჩემი კი ესმოდა. მერე დოკვა და ყეფა არ მომკლებია. სამაგიეროდ ძალლი ჩემი იყო, საკუთარი, ახლა/ძალლი კი შევიჩვიე ხელზე, მაგრამ თოფი არა მქონდა. ავდექი და სოფლის მალაზიაში ბერდანა ვიყიდე. საკვდავა სულ უფრო და უფრო ცქადრ შევხებოდა. ჩეზობლების საქათმეებში კვერცხების პარვას შეეჩვია. საფენს ბუდეში ტოვებდა, კვერცხებს კი გამოუჭამდა გულს და ცარიელი ნაჭუჭი-ლა მოჰქონდა შინ. ჩემი მძახალი სოფელში ჩივოდა, ანდრეი: შეიდი ნოემბრის აქეთ ტაფამწვარი პირში არ ჩამსვლია, რა ოხრად მინდა, ექვსი ქათამი რო მყავსო.

— ითმინე, ანდრეი, უარეს დღესაც შეესწრები. ავდექი და მე მომბაძე, თოფი იყიდე-მეთქი, — ვუთხარი. — დილას ერთს რო დავუსტვენდი, საკვდავა ჩემთან გაჩნდებოდა ხოლმე. ტყემდე ფეხშეწყობილი მივდიოდით, მაგრამ მალე მე დავწინაურდებოდი, საკვდავა კი უკან გარბოდა, სოფლისკენ. საკვდავა, ამას რასა შვრები, ძალლო, პატრონს ასე უნდა მოექცე-მეთქი? — მივაძახებდი, მაგრამ ძალლი უკანმოუხედავად გარბოდა სოფლისკენ, მე კი ტყეში მარტო მიხდებოდა ხეტიალი.

რო არ მოგატყუო, თავდაპირველად სულ ტყუილად ვიხეტიალე. შინ სოკოები-ლა მომქონდა. ტყეს მერე გავუგე მულამი.

გინდ ფრინველი იყოს, გინდ მხეცი. შენ რა გგონია? არც ერთია უნიჭო და არც მეორე. ერთი თუ დაფრინავს, მეორე დარბის. ჰოდა, მეც ასე შევეფერე ტყეს: სელისაგან თოქს რო დავგრებდი, როჭოებს მივაბამდი კუნძზე. როჭოები კუნძის გარშემო დასეირნობდნენ. ბალახობდნენ ან კენკრას კენკაედნენ ხოლმე. მეორე დღეს რო მივდიოდი, ნება-ნება ვხოცავდი თოფით. არც ვიღლებოდი, არც არაფერი და მარაგიც კარგი მქონდა. ისე რო, ხორცი არც კი შემომკლებია, ჭეელო.

გამიზართლა

ანდრეის ესეც შეშურდა. ჩემმა მძახალმა მაშინვე თორმეტყალიბიანი თოფი შეიძინა და ტყეში ერთად დავდიოდით სანადიროდ. ჩემმა საკვდავამ რო დაგვინახა, თავი გამოიღო.

მივედით ტყეში. საკვდავამ თავისი მოვალეობის შესრულება დაიწყო: რამდენჯერმე დაყნოსა ჭირკი. აბა, საკვდავა, დროა დადარბაისლდე, ეძებე-მეთქი, ვუთხარი. კუდი გააქოცინა, წამოცუცქდა იქვე და ცხვირში მომაჩერდა. აბა, რას მომჩერებინხარ? ეძებე-მეთქი! — გავუმეორე. დაიწკმუტუნა, შეხტა და ისევ წამოცუცქდა. ჩემი მძახალი წამოდგა ანდრეი, და მითხრა: თავი დაანებე, კუჩია, სულ ერთია, მაინც ვერაფერს შეაგნებინებო. როგორ თუ ვერ შევაგნებინებ-მეთქი! — ვიუარე. როგორ და შენი ინჩიბინჩიც არ ესმისო, ჩაილაპარაკა, ადგა, მხარზე შულდაკი მოიგდო და ტყეში გზა განაგრძო. მე კი ჩინჩხვარზე ჩამოვჯექი, თუთუნი გავაბოლე და საკვდავას ვუთხარი: ახლა რა ვქნათ? ასე მაწანწალებივით როდემდე ვეყაროთ? არა, ძმობილო, დღეის იქით ლუკმასაც არ მოგიგდებ-მეთქი!

ამასობაში კი, ერთიც ვნახოთ, კურდღელი გამოხტა, კოლბონებს გადმოველო და პირდაპირ ჩვენსკენ გამოიქცა. ჩემს საკვდავას ყურიც არ შეუბერტყავს. ისე იჯდა, ვითომ კურდღლის ჭერა მისი საქმე არც კი ყოფილიყოს. აბა,

საკვდავა, გაეკიდე, სალაში მაინც მიეცი-მეთქი! — ვუთხარი. ისევ გააქიციანა კუდი და თვალეზი დაახამხამა. სულელი ძაღლი ხარ შენ, საკვდავა, მარტო კვერცხის პარვა იცი, სხვა არაფერი გეხერხება-მეთქი, ვთქვი გულში თოფი ბურცობზე დავდე და კურდღელს მე თვითონ გავეკიდე. მივდევი იმ ყურცვეტას და გვრძნობ, სადაც არის გნაცი გამომეცლება, ჰაერი არ მყოფნის. მეთქი! შევისვენეთ, სული მოვითქვით, მაგრამ ჩემი ოჯახის პატრონს დასასვენებლად ეცალა? ავდექი და ვუთხარი: გვეყო ჯდომია, დრო აღარ ითმენს, ახლა გავიქცეთ-მეთქი! კურდღელი ჩემს ირგვლივ წრეს უვლის, მე კი პირდაპირ გავრბივარ. ბოლოს კურდღლის წინ ისე აღმოვჩნდი, ვერც კი შევამჩნიე. ვხედავ, კურდღელი არა ჩანს. უკან რო მივიხედე, პირდაპირ კვალში მომდევს. ჰოდა, რა გგონია? ეს რო ჩემმა საკვდავამ დაინახა, ყუფით მევე გამომენტოს!

ის მართლა ძაღლიშვილი, ისა! ყუფით იჭაურობას იკლებს. მომდევს, პირდაპირ კვალში მომყვება. ესეც ნადირობაა-მეთქი? — ვფიქრობ. კიდევ კარგი, თოვლი არ დევს. თუმცა ფიქრის დრო ვისა აქვს. მე გავრბივარ, კურდღელი უკან მომდევს, ჩემი საკვდავა კი მევე დამდევნებია. რა ვქნა? დავკარი ფეხი და კვალის ასარევიად წრე მე თვითონ შემოვხაზე. რის ვაივავლაბით ავუარიე კვალი. გონს რომელიდაც ჭაობში მოვედი. დავწყნარდი, სული მოვიბრუნე. მერე იმ ჭაობიდან ამოსვლას ნახევარ დღეს მოვუწიდი. ავდექი და თოფის წამოსაღებად წავედი. გზაზე ჩემი მძახალი შემომხვდა, ანდრეი. ახლა კი გადავრჩი-მეთქი, გავიფიქრე. ვუამბე, რაც გადამხდა. მძახალმა ჭერ არ დამიჭერა, მერე კი ჩემთან ერთად იძახა ვაი და ვუიო. ბედი გქონია, ბარახვოსტოვ! ახალგაზრდა კურდღელი ყოფილა, გამოუცდელი, თორემ ჭაობში კი არა, საძოვრებისკენ ვიკრავდა თავს. იქ კი შავი დღე დაგადგებოდაო.

აი ხომ ხედავ, მყაწვილო, ზოგიერთხელ იმისთანა ჭაპანწყვეტაში ჩაგადებს ბედი, შენ თვითონ გავიკვირდება, ჩემი საკვდავა კი ჩემზე აღრე მისულა შინ, ვითომ არც არაფერი მომხდარიყოს. ჰოდა, მოდი და ამისთანა ძაღლს ენდე! მარტო ჭამა და კუდის ქიციანი იციან, მეტი არაფერი. მოტყუებით კი აქეთ მოგატყუებენ.

ახალს ვიხილეთ

ვიცი, არ დამიჯერებ, მაგრამ მაინც უნდა მოგიყვე. მე ერთი ნაცნობი დათვი მყავდა, ღმერთმანი. ვინ მოთვლის, რამდენი ნაცნობი მყოლია ცხოვრებაში, მაგრამ ეს ყველაზე უფრო მახსოვს. ჰო, რა მეგობრები ვიყავით! ერთმანეთთან სტუმრადაც კი დავდიოდით. იმისთანა თავისუფალი, უბოროტო დათვი იყო, ჩემ დღეში ვერ დავივიწყებ. არა გჯერა? ააა, ძმობილო, ჩვენს ტყეში ამისთანას ნახავ? უფრო საკვირველი ამბებიც ხდება ხოლმე. ხალხი მუუბნება, შენ, ბარახვოსტოვ, ტყუილების გუდა ხარ, ერთი სიტყვაც არა გვჯერა შენი, ისე სიტყვას არ იტყვი, ლათია რო არ გამოაცხოო. კეთილი, გეთანხმებით, წმინდანთა შორის ჩარიცხული არც მე ვარ, ზოგჯერ გადამლაშებაც მიხდება-მეთქი, ვუპასუხებ. თუმცა ვერც იმას ვიტყვოდი, მარცხი არ მომსვლოდეს-მეთქი. ხან რიცხვი შემეშლება, ხანაც გვარებზე ვერ ვიკისრებ თავდებობას, მაგრამ უმთავრესად და ძირითადად მაინც სიმართლეს ვამბობ.

ჰო, დათვზე მოგახსენებდი. შემოდგომაზე საბუნდარში მარტო დავდიო-

დი სანადიროდ. საკვდავამ ორთქლში მოხარშული თალგამურით გაისისინა მუცელი და ავად გახდა ერთი დილა გავატარე იქ, მეორე, ვიჯექი და ყურს ჩიტებს ვუგდებდი. მახსოვს, სახუნდრიდან რო გამოვედი, სიმღერით გავუყვიე შინისკენ. მივდიოდი ვერან ადგილებში და მივიმღეროდე. ჰოდა ერთიც ენახოთ, დათვი არ შემომეყარა! სდექ! ნაბიჯი მარცხნივ, ნაბიჯი მარჯვნივ. გაქცევად ჩაგეთვლება-მეთქი! — დავუყვირე, დათვმა ერთი კი შეძლებდა და შემომაფურთხა! მე ცალი ხელით ფურთხი მოვიხოცე სახიდან, მეორეთი კი თოფი დავუშიზნე. დათვმა ერთი-ორი ჩამიბასილა და თავი დამანება. შიშისაგან ოფლში ვიწურებოდი. მერე თოფი გამომგლიჯა ხელიდან და არყის ხეს ისე მიახეთქა, სულ ნაფოტებად აქცია. დაჰკრა თათი და ტყეში წაბაჯბაჯდა. მე ბალახში ტანისამოსი მოვისინჯე. იმ შეჩვენებულს ღილები სულ აეწყვიტა. წამოვდექი და დავუყვირე: შეჩერდი, დათვო, ნუ წახვალ! მოდი, ჩამოვსხდეთ და ვიმასლაათოთ-მეთქი! ყურიც არ მათხოვა. მიბაჯბაჯებდა ტყეში და ლაწალუწი მესმოდა. მერე ლაწალუწი შეწყდა, ეტყობოდა, შეჩერებულყო. ღმერთს გეფიცები, დათუნია, ცოტა არაყი დამრჩა-მეთქი! — დავუყვირე. დაბრუნდა უკან და ჩემს სიახლოვეს ჩამოჯდა უკანალით. მე ორას ორმოცდაათი გრამი გავუწოდე. აიღო და პირდაპირ ბოთლით მიიყუდა. პურზე კი უარი თქვა, მიუტანებლადაც კარგად გადავიდაო. დარჩენილი არაყი ავიღე და ვკითხე: ზამთარში რო ძილს გამოჭიმავ, საჭმელ-სასმელი არ გჭირდება, ასე იოლად რანაირად გადიხარ? ნეტავი მე და ჩემი ოჯახი ასე გვაცხოვრა-მეთქი! თათი ადამიანივით გააქნია: აბა, ჩემი ვის უნდა შეშურდეს, მთელ ზამთარს მოკაცული ვწევარო. თუთუნს თუ ეწვევი-მეთქი? — ვკითხე. სიფათი გააქნია, მე კი ჩავაცვიდე: შენი საიდუმლო გამანდე, დათუნია, დიდი ოჯახის პატრონი ვარ. მთელ ზამთარს რო წოლა და ძილი შეგვეძლოს, ჩვენს ბედს ძალი არ დაყუფდა-მეთქი. ადგა, მივიდა არყის ხესთან და თოფის ნაწილაკები ახიკა — ლულა იქ. ქონდახი, ზესალები. ეშმაკსაც წაუღია, დათვო, ფეხებზე არ გკიდია? ახალს ვიყიდი-მეთქი, ვუთხარი. მერე გზიდან შორს გადავედით და იქ დალამებამდე ვისხედით. მალაზიაში ორჯერ თუ სამჯერ შევირბინე.

დათუნია — მბაცეგელი

იმ დათვმა სულ ამიწეწა საჭმეები. იცი, ფხიზელი დათვი დათვია, ძროხას და ხბოს კი არა. ქიანჭველასაც არ აწყენინებს, მაგრამ ცოტათი რო შეთურება... ეს შენც იცი, ჯეელო. თავის შეკავება გვიჭირს. ჯერ თითქოს ცოტას ვსვამდით, მერე კი, ოდნავ რო შევხურდებით, კოკასაც კი მივიყუდებთ. მივიყუდებთ და მალე კაცი ვერ მოგვიარშიებს, სიხარულისაგან ყველა გამვლელს შევფოფინებთ, ისე შევიცვლებით, ქუდებს ვკარგავთ, ყველაფერს წამოვაყრანტალებთ. რაც ენაზე მოგვადგება, მერე კი ვნანობთ.

ის დათვი თოვლის დადებამდე სვამდა. ბუნაგის ძებნას თავი დაანება და ზამთრის ძილზეც უარი თქვა. დათუნია, კარგად დაფიქრდი. დათიკო, გონს მოდი, ხომ ხედავ, თვალები ჩაგლურჯებია, ელამივით იყურები, ხორციც დაგიყრია. იცოდე, უბედურება არ აგცდება. ან საავადმყოფოში ამოპყოფ თავს ან სადმე გზაზე გაიყინები-მეთქი, ვუთხარი. დრუნჩი ჩამოუშვა და კრინტი არ დაუძრავს. ყაბულს იყო, მაგრამ რა გამოვიდა? ახლა, ჯეელო, იმისთანა

¹ უდავოდ ამ სუფეტებს ბარახვოსტოვი მწერალ კონსტანტინ კონიჩევისაგან ისესხებდა.

ნამუსგარეცხილი ხალხია, დათვს განზრახ ასმევენ ხოლმე, მთვრალ კაცს კი ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნადო, ნათქვამია. ჯერ ერთი თლაშა მიეცი ჩასაცეცხლებლად, მერე კი, გაჟიჟინებულს, რაც მოგესურვოს, ის აკეთებინე. შეშასაც კი დაგიჩებავს უსასყიდლოდ. პო, ზამთარი ძლივძლივობით გაათრია, დადგა გაზაფხული, ადგა და საკუთარ ხარჯზე მწყემსობა დაიწყო. თვეში ორმოც შრომაღლეს უწერდნენ. ძროხები რო დაინახებდნენ, ისევე ბუბუნნი გარბოდნენ სოფლისკენ. მერე კი შეეჩვივნენ და საქმე აეწყო. მე დოლი და ორი სარაკუნა გავუკეთე. დოლს ფრიადზე უკრავდა, მახსოვს, ტყეში რო გავივლიდი, იმისი ხმა გულს მაღამოდ ეფინებოდა. მთელი ზაფხული ისე იმწყემსა, როგორც წესი და რიგია. ზამთარში კი რა უნდა ექნა? ზამთარში ძილისთვის უნდა მიეცა თავი, მაგრამ ეს დათვი ძილს გადააჩვიეს.

საანგარიშო წელი ჩვენთან სულმუდამ ახალი წლის შემდეგ იწყება. დათვიც ადგა და კარდაკარ იწყო სიარული სამათხოვროდ. მივიდოდა ქობთან, დადგებოდა კარის წინ და პირჯვარს ძლივს იწერდა. ჯერ ჩვენს კოლმეურნეობაში ითხოვდა მოწყალებას, მერე კი ქალაღი გამოსცეს: ყველა მათხოვარი დაიჭირეთ და სოფლსაბჭოს გადაეცით, რო მუქთახორობას თავი დაანებონ და ხალხში ათასნაირ ჭირს არ ავრცელებდნენო. დათვმა დაჰკრა ფეხი და სხვა სანახებში გადავიდა სამათხოვროდ. ასე დაიკარგა დათუნია, მას აქეთ იგი თვალითაც არ მინახავს, ამბობენ. სადღაც ხეების დასაცურებელთან შეხვედრიანო. მერე ხმა დაირხა, ბუნაგში დაწოლილა და თავი ძილისთვის მიუციაო. ბოლოს ისიც კი თქვეს, ცენტრიდან მოყვარული მონადირეები ჩამოსულან და ალყა შემოურტყამთო, ის შუბლგარეცხილები ცეცხლმსროლელი იარაღით ყოფილან შეიარაღებული; ამდგარან და მარტოხელა დათვზე იერიში მიუტანიათ. მერე გაზეთში ამისთანა ცნობა წავიკითხე: მტაცებელი მხეცი მოსპესო. ღმერთო ჩემო, ეს დათუნია იყო მტაცებელი? იცოცხლე, იმათ დედა ვაგინე მე ცოდვილმა...

თევზის წმინაფი

ნათქვამია, თევზი გამოწეღვად არ ღირდა, დევნა მეტი იყოო. რაც მართალია, მართალია, მაგრამ სანამ ამას მიხვდებოდე, არა ორი და სამი დღე გაივლის. ყველა თევზს თავისი თემის პირი და მიდრეკილება აქვს ცხოვრებაში. აი თუნდაც იგივე ჩიქვი ავილოთ. დღეს ამ ნაძირალებს ახლებურად ხუნვეიბინებს, ეძახიან. უწინაც ორნაირად ნათლავდნენ ხოლმე. სადაც უნდა მიხვიდდე, ყველგან დაძვრებაო, ამბობდნენ. დიდი და პატარა ფსკერზეც კი დაცოცავს, სხვის ქვირითსა და ჩანასახს ჭამს, ყველა სლიპი და ჩხვლეტიაა. ზოგიერთხელ მთელ დღეს რო ჰაერზე ამყოფო, გეგონება, თქვენი ჭირი წაიღოო, ჩაუშვებ წყალში და მაშინვე ფარფლებს გაიქნ-გამოიქნევს. ეს მატრებაში საიქიოდან დაბრუნებულაო, იტყვი. სხვა თევზი რო ამდენ ხანს ამყოფო ჰაერზე, ადრევე აყროლდება. ეს კი უფრო მოლონიერებული და ურჩი ჩადი წყალში.

ნაფოტა კი ჩიქვს ვერაფრით შეედრება. მართალია, ეშმაკია ნაფოტა, მაგრამ გაგრიანა. საქმელს ქალივით წიწკნის. ჭამა უნდა, მაგრამ შეხების ეშინია. მატლს პატარა-პატარა ლუკმებად ყლაპავს. გარეგნულად ბრწყინავს, ტანით კი სუსტია. ნაფოტას, ისევე როგორც ქორჭილას, ჭამის დროს იცნობ. ქორჭილა ხულიგანი და სულელია. მოუფიქრებლად იცის დაძვრება. ანკესს რო

ჩაყლაპავს, გზას არხეინად განაგრძობს. აი სწორედ ამ დროს უნდა ამოათრიოთ ნაპირზე.

ჰოდა, ჯელო, მართალია, კარგი ანკესები გავიკეთე, მაგრამ თევზს საკუთარი ახალი ხერხით ვიჭერდი. როგორ? როგორ და ასე: სანამ ანკესებით ზიხარ, წვერი ჭიპამდე გაგეზრდება. მე კი ეს ვადა შევამცურებ და მდინარე ზაფხულობით შრება. მარტო თევზიანი ღრმა მარტო მარტო აქა-იქ. ჰოდა, რიყის ლოდები ავაგორე, მივაგორე ზედ ნაპირთან, და ისეთი ცეცხლი გავაჩაღე, ალი ზეცას სწვდებოდა. მერე ავდექი და წითლად გაგარვარებული ლოდები შიგ მორევში ჩავაგორე. მალე ქვებს შიშინი აუვიდა, შიგ, რასაკვირველია, ორთქლიც იყო და ალემურიც. დამწვა, მაგრამ ვითმენდი, ნახევარი საათის შემდეგ მორევი აღუღდა. დავკარი ფეხი და სოფელში გავიქეცი ხალხის მოსაყვანად. მოვიდნენ, თევზის წვნიანი ხვრიპეს და თანაც მაქეს: აი ყოჩად, კუხმა ივანოვიჩ! უჰ, დიდი გამრჯე კაცი ხარ შენ, ბარახვოსტოვ! დახე, ხალხის საკეთილდღეოდ კიდევ რა გამოიგონაო! ზოგჯერ მთელ სოფელს ზაფხულის განმავლობაში ვარჩენდი, იმიტომ რომ კოლექტივი ჩემთვის მთავარია. თევზის წვნიანი ყოველ ზაფხულამდე იმდენი გვექონდა, ყველას ვერ ერეოდნენ, რჩებოდათ. ნარჩენებს კი მაშინვე ჭამდნენ. დაბოლოს, თევზზედამხედველობა რომ არ ყოფილიყო ასე მკაცრი, თევზის წვნიანი წლევანდელ ზაფხულამდე გამოგყვებოდა.

მგლის დამატებითი საკვები

ხალხი, პატარა თუ დიდი, სულმუდამ პატივს მცემდა. ზოგი — ლათაიების გულისთვის, ზოგი კიდევ ისე, უბრალოდ. მარტო ჩემი მძახალი გაჭიუტდა, ანდრეი. ხალხში ჩემი ავტორიტეტის აღიარება არ უნდოდა. ერთმანეთს რომ შეეხვდებოდით, იმაზე უფრო თავაზიანი კაცი არ იყო. ხალხში კი სულ თვალები ჰქონდა დახრილი, ისე იყო ზოლმე მოღუშული, გეგონებოდა, რაღაცა სწყინსო. ნეტავი რა უნდა ჰქონოდა საწყენი? აბა, მე ხომ არა ვარ დამნაშავე, რომ სულ სხვანაირი გოგრა მამია კისერზე. ერთს რომ შეეხვდავ, მაშინვე ვიცი, რა უნდა ვიღონო.

ზოგჯერ ჩვენი კოლმეურნეობის სავარგულებში საიდანღაც მგლები მოძუნძულდებდნენ. ყოველი მათი შემოსევა უბედურება იყო. დღე ისე არ გავიდოდა, ცხვარი არ შეეჭამათ. ხანდახან ორსაც კი წაათრევდნენ. ხელმძღვანელობამ მე მომმართა. არიქა, ბარახვოსტოვ, გვიხსენი! არ ვიცი, რა წყალს მივცეთ თავი. დღე ისე არ გავა, ორი ცხვარი რომ არ ჩამოვწეროთ. სახელმწიფოს ზარალი მოუდისო! მოსაფიქრებლად დრო მომეცით-მეთქი. ვუპასუხე. სადამდე უნდა იფიქრო? ახლა ფიქრისთვის არა გვცალიაო! — იუარეს. კეთილი, ახლავე არტელის კრება მოიწვიეთ-მეთქი, დავეთანხმე.

ყველამ ერთ ქოხში მოიყარა თავი. პირველი სიტყვა მე მოვითხოვე: მგლები შემოგვესიენ? დიახ, შემოგვესიენ. გვანადგურებენ? დიახ, გვანადგურებენ. კითხვა: რატომ ჭამენ მგლები ცხვარს? იმიტომ რომ ჰშიათ. საკმელი არა ჰყოფნით. საძოვარზე თუ ჰყრია მგლისთვის რამე? არაფერი. ყოველდღიურად თითო ცხვარს ვკარგავთ. ამიტომ წინადადება შემომაქვს. მგლებს დამატებითი საკვები შევუქმნათ, ესე იგი, ყოველდღიურად დავკლიათ ოთხ-ოთხი ცხვარი და მგლებს უფასოდ დავურიგოთ-მეთქი. ვთქვი, დავკეტი და შუბლი ცხვირსახოციტ შევიმშრალე. ვხედავ, ერთხმად მიყარეს კენჭი. თავი

მარტო ჩემმა მძახალმა შეიკავა, ანდრეიმ, გადაწყვიტეს და ჩაწერეს. ყოველ-
დღიურად კლავდნენ ოთხ-ოთხ ბატკანს და ტყეში ეზიდებოდნენ. მკლებმა მა-
შინვე შეწყვიტეს თარეში. ტყეში სიმშვიდე დამყარდა, ყველაფერი ისე
მიყუჩდა, ჩემმა საკვდავამ გაბედა და მახლობელ მდინარემდეც კი მიიბრინა.
არა, რაც გინდა, თქვი, ჯელო, და მე რო არ ვყოფილიყავი, ეკუთვნის
ობა ზარალს და ჯახირს თავს ვერ დააღწევდა.

ავ თვალს არ დაენახვება

რამე ხათაბალაში ჩავარდებოდა კოლმეურნეობა — არიქა, ბარახვოს-
ტოვ, უშველე! ზოგჯერ დილის ლუკმა რო დილის ლუკმაა, ისიც არ იყო ჩემ-
თვის. მაშინვე მოიბრენდნენ ბავშვები და მეტყოდნენ: ძია კუზია, გეძახიან-
ო! — „ვინ გეძახის?“ — „ახლავე მოვიდესო, გვითხრეს!“ — „ნეტავი სად
უნდა მივიდე?“ — „სად და კანტორაში მოვიდესო, ძია კუზკა!“ მაშინვე მი-
ვაგდებ ყველაფერს და გავრბივარ. კანტორაში იმდენი მწეველია, ბოლი
იატაკიდან ჭერამდე აღის ეტაპებად. ხელს ჩამომართმევენ, დამიდგამენ სკამს
და მეტყვიან: აბა, ბარახვოსტოვ, ასე და ისეა საქმე, სადავეები არა გვაქვსო.
„რა არა გვაქვთ?“ — „რაიონში წასასვლელად სადავეები არა გვაქვს“. —
„მაცალეთ, მოვიფიქრებ“. — „ახლა ფიქრის დროა? ამდენი საზრიანობა რო
გვქონოდა, რამეს ჩვენ თვითონ მოვიფიქრებდით“. — „გთხოვთ, გამომიყოთ
მუშახელი, სამი ქალი“. ტყეში ქალებთან ერთად მივდივარ, ბუჩქებიდან აბ-
ლაბუდას ვაგროვებთ და ბაწარს ვგრებთ, ბაწარისაგან — თოკს და გასწი,
საითაც მოგესურვოს. ავ თვალს არ დაენახვება.

ცენტრიდან დირექტივა მოვიდა: პირუტყვის სულადობის გეგმას წლიდან
წლამდე ვერ ასრულებთო. რა უნდა ქნან? გამოიძახეს ბარახვოსტოვი, კარგი,
გიშველით-მეთქი, ვუთხარი. მერე ისევ წავედი ტყეში. ცხენ-ირმები შემო-
ვიტყუე და ფერმა დავაარსე დამატებით. ვწველით, რძეც გვაქვს და ხორცსაც
ვაძლევთ სახელმწიფოს. გეგმებს ყოველწლიურად გადაჭარბებით ვასრულებთ.
ეს კია. ცხენ-ირემს რქები თუ არ მოახერხე, ისე მისი ჩამოწველა ჭირს
სამაგიეროდ ბევრი თივა დავზოგეთ. უხეში საკვების ეკონომია კი თავისთავად
იგულისხმება.

დადგა გაზაფხული. სასუქების შესყიდვაა საჭირო. ფული კი არა გვაქვს.
სილაროში უჭაერო სივრცეა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და მაინც ბარახვოს-
ტოვს მიაკითხეს. მთელი სოფელი წამოვშალე. ავიღეთ ვედროები, მათარები
და ცულები. ტყე კი ყურის ძირში იყო. არყის ხეებს ცულით ტანი ჩავუჩე-
ხეთ და წვენი ჩამოვადინეთ. მერე ის წვენი სასწრაფოდ წავიღეთ რაიცენტრ-
ში. ასე დავაარსეთ საკუთარი ფარდული სახელწოდებით: „ამა და ამ კოლმე-
ურნეობის არყის ხის სიტრო“. მე მთავარ დირექტორად დამნიშნეს. დილით
ბოქლომს რო გავხსნი, საკვდავას საყელურიდან ავუშვებ, წინსაფარს ჩავიც-
ვამ და ვარობას შევუდგები ხოლმე. ჭიქა სიტრო ორმოცდაათი კაბიკი ღირს,
ხალხი ნამთვრალევეზე სვამს და თანაც ქებას არ იშურებს: ჭეი, გამყიდველო.
ურიგოდ არ გასცეთ სიტროო! — ისმის ყვირილი. იქვე ცხენოსანი მილიცია
ტრიალებს. არის ერთი ჭყლეტა, დავა და ალაბალა. სახელმწიფოს სასმელებს
კაციშვილი არ ეტანება. მერე ადგნენ და ტიპოგრაფიაში საჩივარი შეიტანეს.
საქმე მოსკოვამდეც კი მივიდა. მოსკოვიდან კი განკარგულება გასცეს: ფარ-
დული დახურეთ, საზოგადოებრივ ვაჭრობას უშლის ხელსო. ამასობაში კი

მთელი სიტრო გაგვითავდა. ბოლო მათარა უფროსებს დავალევინე ფული დავითვალე და რაიცენტრიდან გუშინდელი თოვლივით გავქერი!

მაყუთი კაპიკ-კაპიკ სალაროს ჩავაბარე. კარგი მუშაობისთვის კოლმეურნეობამ ბერდანა და პატრონტაში მომცა პრემიად.



გაოთხა თემა

(აქ ნაამბობია, თუ როგორ აირჩიეს კუზმა ივანოვიჩი ბრიგადირად და რა გამოვიდა აქედან)

პირველი ცდა

ჩვენი სოფელი ხშირად, თითქმის რეგულარულად რჩებოდა უბრიგადიროდ. რა მიზეზით? ახლა ამის დადგენა ალა-ალა როდია. მიზეზი ბევრი და ათასნაირი იყო. ზოგი ხე-ტყის სამრეწველო მეურნეობაში ვადავიდა სამუშაოდ, ზოგმაც სმას მიჰყო ხელი, ბევრიც დააწინაურეს, ხოლო სხვებმა იმ ქვეყნიდან მოკითხვა შემოგითვალათ. იყო ასეთი შემთხვევებიც, როცა ზოგიერთი ბრიგადირი მშობლებისადმი უპატივცემულობის გამო მოაძვრეს. ჯერ ხელმძღვანელობა ხელიდან ხელში გადადიოდა, ბოლოს კი ჩიხში მოვემწყვდიეთ: ბრიგადირად რო აგვერჩია, ისეთი არავინ ჩანდა. ამიტომ ავდექით და ბრიგადის საერთო კრება მოვიწვიეთ. კრების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე კი ქალებს გავერცელებინათ გამგეობის საიდუმლო: ბრიგადირად ბარახვოსტოვს ირჩევნო! ააახ! ახლა კი რისხვა არ ამცდება-მეთქი, გავიფიქრე.

დადგა პირველი ცდის დრო, მაგრამ რა ვიღონო? ავდექი და ცარიელ სარდაფში დავიმალე. ვიცი ასეთი წესი: თუ პიროვნება კრებას არ ესწრება, ისე ხმას ვერ მისცემენ. ვზივარ სარდაფში და კრებაც ზის, ბარახვოსტოვს ელოდება. ვსხედვართ მთელი საათი, ვსხედვართ ორი საათი, ვსხედვართ სამი საათი. ამასობაში კი ჩამძინებოდა. მოგეხსენებათ, ზაფხულობით სარდაფში გრილა, სიჩუმე და სიმშრალეა. ჰოდა, ერთიც ვნახოთ, ვილაც-ვილაცები ჩემს ქოხს მოადგნენ. ვირინეა წინასწარ მყავდა გაფრთხილებული, მაგრამ მაინც ვღელავ. მერე ასეთი ლაპარაკი გავიგონე: „ბარახვოსტოვი შინ ბრძანდება?“ — „რა ვიცი, დილიდან ვერა ვხედავ, ალბათ სანადიროდ გაიპარა“. — „აბა ბერდანა — კოლმეურნეობის პრემია — რატომ ჰკიდია ლურსმანზე?“ ქალი დაიბნა (ისე კი, სადაც საჭიროა, იქ კაიგოგრიანები არიან). მოსულები იერიშზე გადავიდნენ: „მოიყვანე შენი ქმარი!“ — „ქოხში არ გახლავს და“. „როგორ თუ არ გახლავს? ბერდანა აქ არის. მაშ, ისიც აქ ყოფილა. აგერ მისი ფორმის ქუდიც!“ — „სად?“ — „აი იქ, საკიდზე!“ ვერ მოვითმინე და დავუყვირე: თქვე გასაწყვეტლებო! ეს სხვა ქუდია, სადღეს-ასწაულო! თქვენ რო გგონიათ, ის ქუდი აგერ მხურავს, თავზე. მადლი უფალს, ბარახვოსტოვს ქუდები თავზე საყრელი აქვს-მეთქი!

არ უნდა გამოვლაპარაკებოდი. სარდაფიდან ხელში ატატებული გამომიყვანეს: კუზმა ივანოვიჩ, ბრიგადირად გირჩევთო. ამის უფლება არ გქონდათ-მეთქი. „მთელმა კრებამ ერთხმად აგირჩია, კუზმა ივანოვიჩი!“ — „თავს აცილებას ვაძლევ. არჩევნები ნამდვილი არ იყო“. — „შენ ბრიგადა ჩაიბარე!“ ვატყობ, ისე გავები, თავს ვერ დავალწევ. მაშ, ლუმლები ვინ უნდა ამოიყვა-

ნოს-მეთქი? — ვკითხე. ლუმლების ამოყვანა შეთავსებითაც შეიძლებაო. მორჩა. არგუმენტები გამითავდა. მერხზე ჩამოვჯექი და თავზე ხელები შემოვიტირე. რა უნდა მექნა ასეთი საფრთხის წუთს? უკანასკნელად ამოვიოხრე და ვუთხარი: ჩემი დანიშვნა ამ თანამდებობაზე არ შეიძლება-მეთქი, ვითომ რატომ არ უნდა შეიძლებოდესო? — გაუკვირდათ. რატომ და აუკუყვებულხარ და მივიგდო. გერმანიიდან ომის შემდეგ სატკივარი ჩამოვიტანე. ბუნებრივად მივინდოდა, მაგრამ მაიძულეთ-მეთქი. კრინტიც არ დაუძრავთ. ნეტავი რა ისერი უფმური დაგაწვაო? — მკითხეს ბოლოს. კოლექტივთან ჩემი ერთად ყოფნა არ შეიძლება, ვადამდები ავადმყოფობაა-მეთქი. რა ჰქვიაო, დაინტერესდნენ. რა ჰქვია და ის... ეს... ქავოსია... გულის ქავოსი შემეყარა-მეთქი. ქავოსიო? — გაუკვირდათ. ჰო, ფანქრიდან და ქალაღიდან გაღადის-მეთქი.

ვხედავ, საქმე ღამშია მოსული!

ყველაფერი ზუსტად მოვახსენე, სად და როდის შემეყარა სატკივარი, რანაირად ებრძვის მთელი მედიცინა ამ სენს მრავალი წლის განმავლობაში, მაგრამ ამოდ. ქალებმა ერთი კი ამოიოხრეს და თავი დამანებეს. ბრიგადირად ჩემი მძახალი აირჩიეს, ანდრეი.

ახალი სისტემით

ჩემი მძახალი ჩემზე უწვრთნელი არ გეგონოთ. იგი დიდხანს არ მჯდარა ბრიგადირად. სიმინდის საგანაფხულო კამპანიის ჩაშლისთვის მოაძვრეს და ჩემი მრავალტანჯული კანდიდატურა ხელმეორედ ამოტივტივდა. ამჯერად ქავოსმა საქმეს ვერ უშველა. ადგილობრივი მედიცინის ცნობა მომთხოვეს (ვინც მძახალი ანდრეი ეშმაკურად მოატყუოს, იმას დაუწვა და არ აუდგა გვერდები). დამინახა, გამაჩერა და მითხრა: ახლა შენ, ბარახვოსტოვ, უღელს ვერ გადაიგდებ. გეყოს ღებურტირობა. ბრიგადირად დავნიშნავენ და ვნახავ, როგორ აქიკტიკდებიო.

ხელი ჩავიქნიე, თანამდებობა აქტით ჩავიბარე და კრებაზე გამოვედი: აი რა ვითხრათ, ქალებო და მოქალაქეებო! რაკი ბრიგადირად ამირჩიეთ, მაშ, კიდევაც უნდა დამიჯეროთ. წვრილმანებს თავი დაანებეთ. მალე ბრიგადს ფეხზე დავაყენებთ-მეთქი!

ყველა საქმეში მთავარი რგოლი და მიზიდულობის წერტილი უნდა გამონახო კაცმა. მე, უპირველეს ყოვლისა, დოკუმენტაციის გაფორმება შემოვიღე, მაგრამ ამან ნაყოფი ვერ გამოიღო, ახლა ავდექი და საჯარიმო ტაბულა და დღის წესრიგი დავაწესე. მაინც ვერ გავიტანე ლარი. მერე თვალსაჩინო სწავლებაც დავდე წესად, მაგრამ წინ მაინც ვერ წავედით. ეს რა თავსატეხი გავიჩინე-მეთქი, ვფიქრობ. ბოლოს რისკზე წავედი და ასეთი გადაწყვეტილება მივიღე: მოდი, ადამიანების მთელ სულადობას ნელ-ნელა თანამდებობაზე გადავიყვან-მეთქი. თუ ადამიანი თანამდებობაზეა, მაშინ მას სულ სხვა პასუხისმგებლობა და თვალსაზრისი უჩნდება. გადაწყვეტილია: თიბვის დაწყებამდე ყველა უფროსად დავნიშნო, იმიტომ რო სხვა გამოსავალი არა მაქვს. სიტყვას საქმე მოჰყვა. მუშაობის გარდაქმნას სამ კვირაზე ნაკლები დრო მოვანდომე. მთელი სოფელი სწრაფად გადავიყვანე პრაქტიკის ახალ სისტემაზე. ბრიგადაში რიგითი კოლმეურნე არა მყავს, ყველა უფროსია. ჰოდა, იცი, რა მოხდა? თავდაპირველად ვერც კი ვიცინი ხალხი! მატერიალური დონის

სკალამ უცებ აიწია ზევით, სოფლის მომხმარებელთა საზოგადოება ღოსა-
 პედების შემოზიდვას ვერ ასწრებს. ქოხები შემოვანგრით და ხელახლა გა-
 დავხურეთ. ახალგაზრდები ინსტიტუტებში დავგზავნეთ. ~~აღუძურეთ~~ ბავშვების-
 თვის საბავშვო ბაგებია აგებული. ოჯახის ყველა წევრზე შემზაველი სალა-
 როა. ერთი სიტყვით, ძალიან - კარგად აეწყო ჩემი ბრიგადის ~~კარგობა~~ სო-
 ფელში. ხალხი არც მანამდე მაკლებდა სალამს, ახლა ~~კარგობით~~ სიტყვე-
 ბისაგან მოსვენება არა მაქვს. ზოგჯერ საქმეზე რო მივდივარ, შუაგულ ქუ-
 ჩაში მაჩერებენ: დიდი მადლობელი ვართ შენი, კუზმა ივანოვიჩო! — მეუბ-
 ნებიან. ამხანაგებო, ეს ჩემი დამსახურება არ გეგონოთ-მეთქი, ვუპასუხებ.
 მარტო მძაბალი ანდრეი დამრჩა უკმაყოფილო. ამას მეც შევძლებდი, კუზმა.
 ეს საქმე ასე ალა-ალად გასაკეთებელი თუ იყო, არც კი მეგონაო. არა, მძა-
 ხალო, ასე რო ყოფილიყო, მაშინ ქანდარაზე თევზები ამოვიდოდნენ. აბა ვინ
 გაშლიდა ხელს, რო თავი გაგენძრია-მეთქი. მოვახსენე. კრინტიც არ დაუძრავს,
 ნამწვი მიწაზე დააგდო, ფეხით გასრისა და წავიდა.

პირველ ადგილზე

რასაკვირველია, ჩემი პირადი ცხოვრება ბრიგადაში უკეთ აეწყო-მეთქი,
 ვერ ვიტყვოდი. კოლმეურნეები მოვიმადლიერე, მაგრამ ზემდგომ უფროსებ-
 თან რა ილეთი მეზმარა? პროდუქციის ჩაბარება შევწყვიტეთ. აღმავლობის
 გეგმა ერთ წერტილზე გაიყინა. მისი კეთილშობილება, მინდვრის დედოფა-
 ლი კი მარტო ერთ გოჯზე ამოიწვერებოდა მიწიდან და მერე ყურითაც ვერ
 ამოათრევდი.

და მაინც გულახდილად უნდა გითხრა, ჯეელო, რო ბრიგადა სულმუდამ
 პირველ ადგილზე იყო. გარდამავალი დროშა ერთხელაც არ გაგვიშვია ხელი-
 დან. ზედიზედ სამ წელიწადს ჩემს კარადაში ინახებოდა. მაინც რა ხერხით
 მოვიპოვეთ ამდენი? სულ უბრალოდ, ძმობილო. შეჯიბრებაში მთავარი
 ჭკუაა. განაწესს რო შევადგენდი, ქალებს გავანაწილებდი, გადაუდებელ საქ-
 მეს მოვიმიზეზებდი და მეზობელ ბრიგადებში გავრბოდი. მეზობლები ხნავდ-
 ნენ, მე კი მივადგებოდი: ამხანაგებო, თუთუნი მომაწვევინეთ-მეთქი. ჰოდა,
 სადაც ერთ პაპიროსს შევანვევდით, იქ მეორესაც გავაბოლებდით. მესამესაც.
 ხალხი თანდათან იყრიდა თავს. სანამ პაპიროსს ვეწეოდით, მე რომელიმე
 წყალწყალა ლათაიას ვყვებოდი. ხალხი მატულობდა. ხოლო ყველა რო შეგ-
 როვდებოდა, მძიმე არტილერიასაც გამოვავაგორებდი. ცხენები თვლებდნენ,
 სახნისები მიწაში იყო ჩარჭობილი, მე კი ერთმანეთზე უკეთესს ლათაიებს
 დავაჯახებდი ხოლმე. ხალხი ხან სულგანაბული მისმენდა მდელიოზე, ხან სი-
 ცილისაგან იხოცებოდნენ, ხანაც გედებივით კისერს წაიგრძელებდნენ. ჰოდა,
 მეც ეს მინდოდა. ბრიგადა ხომ ჩემი არ იყო. გაზაფხულის ერთი დღე მთელ
 წელიწადს კვებავსო, ნათქვამია.

ჩემი ქალები კი, ავად თუ კარგად, მიწას ჩიჩქნიდნენ, ხოლო მეზობლები
 ჩემი ლათაიებით იყვნენ გართულნი. ჰოდა, ბარახვოსტოვის ბრიგადა წინ გა-
 იჭრა.

ერთი სიტყვით, ყველა კამპანიაში მოწინავეები ვიყავით. იმდენი სიგე-
 ლი მოგვცეს. შპალერი და ფერწერის ტილოები საჭირო არ იყო. ეს ქოხი
 კი არა, იშვიათი ექსპონატების მუზეუმიც, იტყვოდი.

ხალმა მითხრა: ჰო, როგორ გაგაცალა გნაცი იმ მინდვრის დედოფალმა! ისე ჩამოხში, ვინმეს ახალწვეული ეგონებო!

საშეფო დახმარება



ქართული

ის იყო, გონს მოვედი, რო დეპეშა მომივიდა: „მშენებელი ბარახოსტოვი! წერტილი. რამდენადაც თქვენმა ბრიგადამ პირველი ადგილი დაიკავა. წერტილი. გიგზავნით საშეფო ჯგუფს ორმოცდაათი მანდილოსნის შემადგენლობით. ჯგუფი პირადად თქვენთვის არის განკუთვნილი. უზრუნველყავით ღამის გასათევით. წერტილი.“

ჯერ ცხვირი ავიბზიკე, მაგრამ რო დავფიქრდი... ღამის გასათევით უზრუნველყავითო, საგონებელში ჩავვარდი. აქ მარტო ვირინეამ გამაწამა, დღეს კი ოცდაათი ცალი მომაყენეს ქარს და ისიც ქალაქელი ქალები, შეფები.

კეთილი და პატიოსანი. დავიწყეთ მზადება საშეფო დახმარების მისაღებად. დავკალით ორი ცხვარი, გავრეცხეთ არასაცხოვორებელი ნაგებობა და გავათბეთ. დავაგეთ ქვეშაგები და ველოდებით. შეფი ქალები საღამო ხანს მოვიდნენ. ყველა შეღებილი იყო. საღებავი ძირითადად და უმეტესად სამნაირი მომხვდა თვალში: შავი, წითელი და თეთრი პუდრი. ბაგაყი კი ვერ გავარჩიე, თუმცა ისიც საცხი მასალებით იქნებოდა სავსე. მთელ ღამეს მღეროდნენ, დილით კი დაიძინეს. უნდა გავაღვიძო, მაგრამ არ ვიცო, როგორ მივუდგე. ბიჭებმა ფანჯარაში დაუწყეს ყურება. ატყდა ქალებში ჭორი, მითქმა-მოთქმა და გადალაპარაკ-გადმოლაპარაკება. ზოგიერთი მამაკაცი პირგაპარსულიც კი მოვიდა. აბა, ახლა იქონიე დახმარების იმედი. თუ აქამდე, ასე თუ ისე, მაინც მუშაობდნენ სელის გაშლაზე, ახლა საქმეს სულ ააღეს ხელი. შევდივარ ქოხში.

„ძია, აქ შემოსვლა არ შეიძლება!“ — „მე ძია კი არა, ბრიგადირი ვარ, კუზმა ივანოვიჩ ბარახოსტოვი!“ — „კუზმა ივანოვიჩ, ჩვენთან ასე შემოსვლა არ შეიძლება. იქნებ ტანგანდილი ვიყოთ!“ — „კეთილი, არ შემოვალ, ოღონდ ჩემი შესავალი სიტყვა მოისმინეთ. სადილობამდე თუ აპირებთ ძილის გამოჭიმვას, ადექით და სუბი თვითონ მოიხარშეთ. არც რძე გექნებათ ახალი“. — „მაინც რა უნდა ვაკეთოთ?“ — „სელის გაშლაზე იმუშავეთ“. — „კუზმა ივანოვიჩ, სჯობს, კონცერტი გავმართოთ“. — „თქვენი საქმე თქვენ იცით. რაც გინდოდეთ, ის გამართეთ. შეფებსაც ამიტომ გეძახიან“.

იმავე დღეს რეპეტიციას შეუდგნენ. შეფებო, გასტროლი გასტროლია, მაგრამ სელიც ხომ... აგვისტოს ნამით უნდა ვისარგებლოთ-მეთქი, ვუთხარი. კუზმა ივანოვიჩ, ცხოვრებას ჩამორჩენილხართ, ახლა სექტემბერია. ამა და ამ რიცხვში მოდით თემატიკურ საღამოზეო.

რა უნდა მექნა? მთელ სოფელს ეს თემატიკური საღამო ეკერა პირზე. ზოგიერთი ქალი შეშფოთებული იყო. კაცები გაპრიალელებული ჩექმებით შედიოდნენ საღამოზე. ატყდა ისევ ჭორაობა, მითქმა-მოთქმა. წარმოება გაჩერდა. შეფი ქალები სადილობამდე სამ-სამ ძნას შლიდნენ, მერე კი რეპეტიციაზე მიდიოდნენ ხოლმე. მე ვაგინებდი, ვლანძღავდი, ისინი კი აქეთ მისაყვედურებდნენ: ფუ, რა უკულტურო ყოფილხართ, კუზმა ივანოვიჩ! კარგი იქნებოდა, ათი დღელამით ციხეში რო ჩავსვამდნენო. აქ კი მოთმინების ძა-

ფი გამიწყდა: მოქალაქე ქალებო, ვაცხადებ ორ ვეგეტარიანულ დღეს. ხორცა გავეითავდა, მაწონს კი საკმაოდ მოგცემთ-მეთქი, კატეგორიულად განვუცხადე. ყურადღება არც კი მომაქციეს. კეთილი. ორ დღეს მაწონზე მყავდნენ, მესამე დღეს კი ყველა ვეგეტარიანელი შეფი ბარდის ლეწვასა და შრომაზე გადავიყვანე. სალამოს კონცერტი იყო დანიშნული. ვხედავ, ყველა შეფი ახლოს მარიდებს, ზოგიერთები კი ახლოსაც არ მეკარებიან. მითქმა-მოთქმე და ჩუქჩუქი ხელი არ ისმოდა. თემატიკური სალამო გააუქმეს. მეორე დღეს კი შეფი ქალები გაემგზავრნენ. დისციპლინა ბრიგადაში უწინდელივით დამყარდა.

პირადი კონტაქტი

ერთ დროს ბრიგადაში უამრავი ჭრელი ხალხი ჩამოდიოდა მივლინებით. ვერც კი მოასწრებდი ერთთან შეგუებას, ახლა სულ სხვა ზნე-ხასიათისა და მიდრეკილების კაცი მოგადგებოდა.

და მაინც დიდი საქმეა პრაქტიკა! რაც გინდა ჭრელი ხალხი იყოს, ისინი მაინც სამ ძირითად კატეგორიად იყოფიან. დამაცადე, ნუ შემაწყვეტინებ, მე თვითონ მოგიყვები.

მაშ ასე, პირველ კატეგორიას მე პირქუში რწმუნებული მივაკუთვნე, მეორე კატეგორიაში კი მხიარული უცოლო მოხვდა, ხოლო მესამე კატეგორიაში მეთევზე მოვაქციე. მხიარულ უცოლოს უცებ შევუწყვე ხასიათი. მისთვის ან სამოვარი უნდა დამედგა და ვირინეა მაღაზიაში გამეგზავნა ან არადა რომელიმე გარკვეულ მწველავ ქალთან მომეწყო ღამის გასათევად. ერთი სიტყვით, მე და მხიარული უცოლო ერთმანეთს შევეთვისეთ. აი პირქუში რწმუნებულის გამოსაცნობად კი კარგა ხანი დამჭირდა. აქ მთავარია, არ აჩქარდე, აცალო ადამიანს თავის კალაპოტში ჩადგომა, რო პირში წყალი არ ჩაიგუბოს და ილაპარაკოს. ხოლო როცა ალაპარაკდება, პირი არ უნდა დაადოს სადაც საჭიროა, იქ ბანი უნდა მისცე, ან სულ არა, არა უძახო, რო ილაპარაკოს და ილაპარაკოს შეუჩერებლად. რატომ? იმიტომ რო, რაც გინდა პირქუში იყოს, თუ ალაპარაკე, არც ისე საშიში და სარიდალია. სიმკაცრე სიტყვებთან ერთად ისე გამოდის მისგან, როგორც სურდო გამოდის ადამიანის ტანიდან აბანოში. მეორეც, ლაპარაკის დროს მის ასავალ-დასავალსაც გაიგებ, ხოლო ასავალ-დასავლის მიხედვით საუბრის გეგმასაც შეადგენ და ყველაფერს აწონ-დაწონი. ვთქვათ, თუ პალტოზე დილი აქვს აგლეჯილი. მაშასადამე, ან დაქვრივებული ყოფილა ან არადა აზიზმაზიზი ცოლი შეხვედრია. თუ საათს წარამარა დასცქერის, მოვალეობის ატანა არ შეძლებია და მივლინებაში ძალით ყოფილა გამოგდებული. თუკი მწნილს და ლორს არ ეტანება, კუჭი ვერ ჰქონია რიგზე. ამიტომ არ უნდა დაიზარო, ადგე და მძახალი ანდრეისთან გაიქცე თაფლის გამოსართმევად. მაშ ასე, ლაპარაკ-ლაპარაკში მყარდება პირქუშ რწმუნებულთან პირადი კონტაქტი.

მეთევზის გამოცნობა სულ იოლი საქმეა. ჯერ გაიხსენებ, რისთვის იყო ჩამოსული ბოლო დროს ან სულაც არ გაიხსენებ. მივლინების გაფორმება ავიწყდება. ეს კია, პოზიციას ერთბაშად არ დაგიტოვებს, ერთს თუ ბრტყვიალა

სატყუარა უყვარს, მეორე ბარჯით თევზის ჭერას ამჯობინებს, მესამეს კი სამშაგი თევზისწვნიანი შიართვი. მეოთხე ანკესებს გამართავს, მთელ ღღეს ნაპირ-ნაპირ დასეირნობს და ათასნაირ ძირძურებს აგროვებს. შენ თვითონ რა პროფესიის კაცი ხარ? კარგი, კარგი, ჩაიწერე, სულაც არ შენადვლება.

უკონუსული
გინგლიქოსეა

უკანასკნელი საშუალება

რით დამთავრდა თემა? თემა თავისთავად დამთავრდა, როგორც საჭირო იყო. ბრიგადირის თანამდებობაზე სამი წლიური სეზონი ვიჯექი. დავიწყე მეოთხე, მაგრამ ვატყობ, ტყავს გავქიმავე. ჯანმა მილალატა. რაც ღღე გადის, სულ უფრო ვნერვიულობ. მართალია, კვება გამიუმჯობესდა, მაგრამ დიდი დაგვიანებით. კუჭი უარს ამბობს საჭმელზე, თუთუნის წვევისაგან სულ გავშავდი. მარცხენა ფეხი მიხტის. შაბაში ახლა ბრიგადირის თანამდებობიდან სასწრაფოდ უნდა გადავდგე-მეთქი, ვფიქრობ, დავწერე განცხადება — რეზოლუციას: „უარი ეთქვას“. დავწერე მეორე — ხელები გაასავსავეს: აიძულეთ იმუშავოსო. მერე განცხადების მიღებასაც თავი დაანებეს. ჩვენ კადრები გზაზე კი არ გვიყრიან, უთქვამთ. ახლა პირდაპირ გადავედი იერიშზე: სმას მიეყავი ხელი, მაგრამ ვერც ამ ბერბმა მიშველა. მაგინებენ და მთათბავენ, თანამდებობიდან ჩემი გათავისუფლება კი მაინც არ უნდათ. ავდექი და უკანასკნელი საშუალება გამოვიყენე: საქმე ჩავაფლავე, რეგულარულად საერთო გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვდივარ. გამომიძახეს რაიონში: „ამხანაგი ბარახვოსტოვი ბრძანდებით?“ — „სწორედ ის ვარ, ბარახვოსტოვი“. — „აი, რა, ამხანაგო ბარახვოსტოვ. ჩვენ აქ გადაწყვეტით, კვალტიკაციის ასამაღლებლად კურსებზე გაგზავნით. კურსების დამთავრებისთანავე კი უფრო დიდ თანამდებობაზე დაგნიშნავენ“. ქაჩალ თავზე თმა ყალყზე დამიდგა: „ღვთის გულისათვის, ბიჭებო, აქედან გამიშვით!“ — „კრინტი არ დასძრათ. სამ თვეში კურსებზე უნდა წახვიდეთ!“ — „ამხანაგებო, ამ საქმეს თავს ვერ გავართმევ“. — „დაგეხმარებით, ამხანაგო ბარახვოსტოვ, დაგეხმარებით“. აბა რა შექნა? დავკარი ფეხი და წავედი. ჰო, რამდენი იტირა მაშინ ჩემმა ვირინეამ! ნუ სტირი, ვირკა, სულ ერთია, უკან გამოვიქცევი-მეთქი. რას ამბობ, კუხკა, ნუთუ მართლა გამოიქცევიო?

კურსები რო დავამთავრე, ახალ თანამდებობაზე დამნიშნეს. მაშინ, მართალია, ყალყზე დავდექი, მაგრამ მაინც არაფერი გამომივიდა, ახლა კი თვითონ შევეჩვიე. ახალ ცხოვრებას ნელ-ნელა გავუგე გემო. ვიყიდე პალსტუხი, ძვირფასი ბეწვის ქუდი, ჩავეწერე საზოგადოება „მოსავალში“. შევიცვალე სიარული და ზოგიერთი საზღვარგარეთული ფრაზაც დავიზეპირე. ექვსი თვის შემდეგ კი ოლქში გადამიყვანეს სამუშაოდ. ერთი წლის შემდეგ კი ბარახვოსტოვი ცენტრშია და საკუთარი მანქანით დაბრძანდება. კეთილი და პატიოსანი.

სწორედ ამ დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ერთი ადგილი გათავისუფლდა. აბა, ბარახვოსტოვ, გვიხსენიო, მომმართეს თხოვნით.

გემით გავემგზავრე ამერიკაში და საქმეები ჩავიბარე. უკვე აღარ მიხტოდა ფეხი, თმაც ამომივიდა. მომიარეს და მიმკურნალეს. კოსმოსში კი, რო არ მოგატყუო, სულ ორჯერ გავფრინდი და ისიც ვენერას რაიონში. ახლა პენსიონერი ვარ.

მეხუთე თავი

(უველაზე ბნელი)

ადგილები არ არის



ქართული
ბიბლიოთეკა

სანამ სხვაგან ვიყავი, ჩემი მძახალი გარდაცვლილიყო, ანდრეი. ამბობენ, მიქელ-გაბრიელი უეცრად წაადგა თავს და გუშინდელი თოვლივით გაქრაო, ჩემი საკვდავა ცოცხალია, მძახალი კი არა მყავს. ვირინეა სულ დაყრუვდა. ცხოვრება დაქვეითების გზით მიდის. ხმის გამცემიც კი არავინა მყავს, კოლმურნეობის კანტორა სხვა სოფელში გადაიტანეს. მაშ, არადა, ბარახვოსტოვი სულელია, ასე რო იცხოვროს? ავდექი და გადავჭერი: მოდი, ნიკოლაობა დღეს გადავიხდი, ნება-ნება დავლევ შარაფს და პატრონს ჩავბარდები. და-ყოვნება რა საჭიროა? სულ ერთია, სიკვდილს მაინც ვერ გავექცევი-მეთქი. ვთქვი და უველაფერი გეგმის მიხედვით შევასრულე. დავწევი და ღირსეულად მოვკვდი. ხოლო თუ როგორ მომყარეს მიწა, აზრზე არა ვარ. ალბათ ჩემს ვირინეას დიდხანს არ უტირია.

ჰოდა, უველაზე ბნელი თემაც აქ იწყება. მესამე დღეს საიქიოში მივედი, მაგრამ არ შემიშვეს. ავდექი და დავაკაკუნე. ვილაცამ მრგვალი თავი გამოჭყო და იკითხა: ვინ დააკაკუნაო? ვინ და მე დავაკაკუნე-მეთქი, თქვენ ვინ ხართ? ბარახვოსტოვი გახლავართ, პატრონს გუშინწინ ჩავბარდი-მეთქი, ადგილი არა გვაქვსო. კიდევ კარგი, მოსაწევი რო წამოვიღე სამყოფად. არ უნდა აეჩქარებულიყავი. ჯერ კიდევ უნდა მეცხოვრა. აქ ხალხს საქმე გავუჭირე, თვითონ კი მაწანწალასავით ღობის ძირას ვაგდივარ-მეთქი, ვფიქრობ. კეთილი და პატიოსანი. ახლა საიქიოს მეორე მხარეს გადავედი და ვკითხე: „მაშ, ასე, სად უნდა შევიდე, სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში?“ — „თქვენ რა, იმ ქვეყნიდან მოხვედით?“ — „სწორედ ასეა“ — „მოქალაქევე, გაზეთებს არ კითხულობთ? რა ხანია, არც სამოთხე არსებობს და არც ჯოჯოხეთი. უწყებათა გაერთიანება მოხდა“. — ნუთუ ახლა უველანი ერთად არიან?“ — „დიახ“. — „ვითომ ასე სჯობს?“ — „გააჩნია, რა თვალსაზრისით შეხედავ. ახლა უველა თანასწორია. უველა ცოდვილი უფლებებში აღადგინეს“. — „მაშ, ცოდვის ჩადენა ახლა შეიძლება?“ — „თქვენი საქმე თქვენ იცით. ეს ჩვენ არ გვეხება. ანალიზები ჩააბარეთ?“.

სულელი ვყოფილვარ, ყეყეჩი. უყურე შენ! ლაპარაკში გავერთე და თავი ხათაბალაში ჩავიგდე. უნდა დამეკრა ფეხი და სასწრაფოდ წამოვსულიყავი. მე კი შევეყოვნდი. მძახალი ანდრეი იმ დღეს ვერ ვნახე. გავიძრე ანალიზები. ერთი სიტყვით, ბევრი საქმე კი გავიჩინე.

მძახალ ანდრეის ნომერი

იქ კაციშვილი არ შრომობს. არც საჭმელს ჭამენ. ხიმანკლობა, ჭორი და ენატანიანობა არ უყვართ. მხოლოდ თვალეზდაბუჭული სხედან თავისთვის და ფიქრობენ. ახლოს რო მიხვალ, მძინარე გეგონება. ერთხელ გავბედე და ვკითხე: მოქალაქევე, გეთაყვა, რაზე ფიქრობ-მეთქი? როგორ თუ რაზე ვფიქრობ? ვფიქრობ იმაზე, თუ ხვალ რაზე ვიფიქრო. ჯერ უბრალო აზრები მომდის თავში, მერე კი, ცოტათი რომ შევხურდები, ამ აზრების შესახებ მომდის აზრები, ხოლო ამის შემდეგ საყოველთაო აზრები მეზადება. უველა სა-

ყოველთაო აზრისაგან უსაყოველთაოესი მომდის თავში, ამ უსაყოველთაო-ესი აზრიდან კი ყველაფერს თავიდან ვიწყებ და მიმართულებაც იგივე მაქვსო. მერე? ნეტავი მერე რაზე ფიქრობთ-მეთქი? — ვკითხე, ისე შემომხედა, ვითომ სულელი ვყოფილიყავი და კრინტი არ დაუძრავს. კეთილი და პატიოსანი, განვაგრძე გზა, ვხედავ, მეორე ზის, მოქალაქევე, თქვენი ნომერი აზრები გებადებათ-მეთქი? — ვკითხე, არაო, მიპასუხა, ახლა მუხრანში მდებარე-რო, აბა ეს როგორ უნდა გავიგოთ-მეთქი? როგორ და უსაყოველთაო აზრს საყოველთაოსაკენ მივყავართ, საყოველთაოს კი — საერთოსკენო.

ვერაფერი გავიგე, ხელი ჩავიქნიე და ვკითხე: მოქალაქევე, სად შეიძლება, შეშა რო დაგჩეხო-მეთქი? გაოცებისაგან თვალები გადმოკარკლა, შეშას დაგჩეხავდი-მეთქი, გავუმეორე, ჩაფიქრდა, მერე კი მკითხა: „ნომერი?“ — „რა ნომერი?“ — ვუპასუხე და ყოველი შემთხვისათვის ორი ნაბიჯით უკან დავიხიე. — „რომელი ნომერია თქვენი სული?“ — „ჯერჯერობით უნომროდ ვარ“. — ერთი კი ამოიზღუტუნა და თქვა „აქ ნომრიანებსაც უჭირთ შემოღწევა, ამას კი უნომროდ მოუნდა, მეტისმეტად ეშმაკი ყოფილხართ, ვიცო, ვიცო თქვენისთანა ახალმოსულების ამბავი, ყველგან უნომრად მოძვრებით“. აბა, ჩემი მძახალი მაინც მომანახვინე-მეთქი, ვუთხარი, შენი მძახალი მე ვარ, ანდრეი, შენ ბარახვოსტოვი არა ხარ? მიდი, მიდი, გზა განაგრძე, ხელს ნუ მიშლი ფიქრშიო!

აი, ესეც ნომერი-მეთქი! — გავიფიქრე.

შესვენება თაგბათოს მოსაწევად

ცოტათი რო მოვშორდი, ვხედავ, შარვალი თავისი აცვია, სახით კი ვერ ვცნობ, ოჰ, თუმცა რა გარეგნობა, რომელი გარეგნობა! აქ ხომ გარეგნულად ყველა ერთნაირია, ისევ ჩუმად მივუახლოვდი მძახალს, მძახალო, ა, მძახალო, გესმის-მეთქი? კრინტიც არ დაუძრავს, ახლა რაც ხმა მქონდა, ისევ დავუყვირე: ცოტა ხნით მაინც შეჩერდი, მოდი, ვილაპარაკოთ-მეთქი! არც კი შენძრეულა ანდრეი, თუმცა რას იზამ, ასეც ხდება ხოლმე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რო ვმუშაობდი, თანამემამულეებთან არც მე მიყვარდა ლაპარაკი, გინდ მძახალი იყავი, გინდ ძმა, მიდი, გაიარე, მოკრძალებით ვიჭექი, მერე კი ვუთხარი: მძახალო, რამდენი წელი ერთ კოლმეურნეობაში ვმუშაობდით, ჩემი ქალიშვილი შენი ბიჭის ცოლია, მოდი, ვილაპარაკოთ-მეთქი, არა, ხმაც არ გამცა, ეჰ, დრო როგორ ცვლის-მეთქი ადამიანს! გავიფიქრე, მძახალ ანდრეიში მძახალი აღარ არის, მარტო ანდრეი დარჩენილა ნომრიანი! იქნებ თუთუნი გინდოდეს-მეთქი! — დავუყვირე, ვხედავ, მძახალი უცებ გამოფხიზლდა, ძლივს შეახვია პაპიროსი, შეუჩვეველი ხელები უკანკალებდა, აჰა, გააბოლე, ოღონდ ფიქრს თავი დაანებე-მეთქი! მოსწია, მალულად შემომხედა და მითხრა: „ოღონდ, ბარახვოსტოვ, ჩუმად იყავი, ნუ იხმაურებ, შინიდან დიდი ხანია წამოხვედი?“ — მკითხა, მეექვსე დღეა, საკუთარი ნება-სურვილით აღვესრულე-მეთქი, „სულელი ყოფილხარ, მე რო შენს ადგილზე ვყოფილიყავი, ვიცხოვრებდი და ვიცხოვრებდი“ —

— „მერე ხელს ვინ გიშლის, მოდი, გავიქცეთ, ეს სულ უბრალო საქმეა“. — „არ შეიძლება, ბარახვოსტოვ“. — „ვითომ რატომ არ შეიძლება? ყველაფერი შეიძლება“. — „უკან ვერ დავიხევთ, აქ ფიქრებში ტყუილად კი არა ვართ წასულები, სულ წინ უნდა ვიაროთ“. — „შენ როგორც გინდოდეს, ისე მოიქე-

ცი, მე კი უნდა გავიქცე“. თუთუნი, ჩავუყარე, მისამართი მივეცი და გასასვლელისკენ მოვკურცხლე.

ოჰ, დალახვროს ეშმაკმა! ვიცოდი, უკან არ გამიშვებდნენ! ^{გასასვლელად} თან რო მივედი, სახელოში ჩამავლეს ხელი და მკითხეს, საით გარბინათო? სულ დავიბენი. ასე და ისეა საქმე, შინ უნდა შევიარო, ის ^{მეტი} ქვეშაგების წამოღება დამავიწყდა-მეთქი, არავითარი ქვეშაგები, ^{ფიჭვი} მარე მდგომარეობაშიც შეიძლებაო!

მეექვსე თემა

(უკანასკნელი. ამჟამად როგორ ცხოვრობს კუზმა ივანოვიჩი და მისი მომავლის გეგმები)

ერთმანეთს ცოცხალი თავით ღავროდით

გამოტრიალებით კი გამოვტრიალდი, მაგრამ შინ უცნობივით მიმიღეს. წიაღსა შინა აბრამისასა განისვენე, მაშასადამე, საერთოდ არ არსებობო, მითხრეს. სიებიდან ამოშლილი ვყოფილვარ, პენსია კი ჩემი დასაფლავების მეორე დღესვე ჩამოუწერიათ, ხოლო ვირინეა სხვა მოხუცებულს გაჰყოლია ცოლად. ბიჭებო, ასე როგორ შეიძლება-მეთქი! — შევჩივლე. ჩვენ არაფერი ვიცით, მიცვალებულებთან ლაპარაკი საერთოდ არ გვინდაო. შედით ჩემს მდგომარეობაში, ვის არ მოსვლია-მეთქი, ვუთხარი.

პენსია ნელ-ნელა აღმიდგინეს, თუმცა ძალიან გავჯახირდი. აი ვირინეამ კი ნამეტანი გამიჭირა საქმე. ის არამზადა ბერიკაცი ჩემი ნაცნობი გამოდგა. ჯარში ერთად ვმსახურობდით ლენინგრადის მახლობლად! ძალიან მოუთმენ-ნელი ყოფილხარ, მატრახაზო, ხელი რო ჩავივლია და ცოლად შევირთავს, ცოტა დაგეცადა-მეთქი. — მოვახსენე. მენანება, მაგრამ დაიბრუნე! გულზე მაინცდამაინც არ მეხატება ცეცხლზე უწყლო სამოვარი დაუდგამს და სულ დაუდნიაო. რაო, რა ბრძანე? ახლავე უკან წაიღე ეს სიტყვები! იცოდე, პიროვნების შეურაცხყოფას ვერ ვიტან, ჩემი ვირინეა სხვებზე ნაკლები რითია-მეთქი.

ჩემი ძველი ქალბატონი
ასე რო სარ მყვარებოდა,
ბნელ ღამეში არ ვივლიდი.
მექნებოდა მაშინ ოდა.

ცალმხრივი მიწერ-მოწერა

ერთხელ ჩაის რო ვსვამდი, ფოსტალიონმა დებეშა მომიტანა. ისე იყო ლუქით დაბეჭდილი, გახსნა ვერ გავბედე. ნეტა საიდან უნდა იყოს? ეჰ, ბედი არ მწყალობს, პირადი ცხოვრება ძლივს მოვიგვარე-მეთქი, ვფიქრობ. გავხსენი და სწორი წავიკითხე:

1 ამ ადგილას ავტორის მიზნით მეხუთე თემა შეწყდა. რა გზით მოახერხა კუზმა ივანოვიჩმა უკან გამოქცევა, გაუგებარია. ავტორს დიდი ჯაფა დასჭირდა, რომ იგი ლათაიების გასაგრძელებლად შეეგულიანებინა, მაგრამ ბარახვოსტოვმა მაინც ვერ იკისრა მეხუთე თემის დამთავრება. უნდა შევნიშნოთ, რომ უკანასკნელი ლათაიები ავტორმა მეხუთეების მიხედვით დაწერა და მათს სტენოგრაფიულ სიზუსტეზე თავს არ ღებს.

„მოქალაქე ბარახვოსტოვი. წინადადება გეძლევათ. სასწრაფოდ გამოცხადდეთ, როგორც გაპარული. გამოცხადება აუცილებელია და გასაჩივრებას არ ექვემდებარება“. რიცხვი გავარჩიე, ხელწერა კი ვერ ვიპოვე. არ უნდა გამეხსნა! უკანვე უნდა დამებრუნებინა, ვითომ ეს საქმე სულაც არ მეხებოდეს. ეჰ, რა სულელი ვყოფილვარ-მეთქი! — შევწუხდი. აქედან, როდესაც ვეცი, მაგრამ მაინც ვერაფერი მოვისაზრე. სიცოცხლეში პირველად ვიხსენებ ასირცხვილი. დავრბივარ ქობში და რჩევას ჩემს მეორე ნახევარს ვეკითხები: რა ექნა, ვირინეა, როგორ მოვიქცე-მეთქი? ვირინეამ სმენა დამიტკბო: თუკი მოითხოვენ, კიდევაც უნდა წახვიდეო! თქ, ღვთისმშობელო მარიამ! ისე გავბრაზდი. კინალამ მაგიდა გადავაბრუნე. ეს რა მითხარი, შენი ასე და ისე, გეტყობა, სხვა სოფელში ყოფნა გაგიტკბა-მეთქი! მე რა, გენაცვალე, ისეთი არაფერი მითქვამსო.

არაფერი მითქვამსო... გიცნობთ, გაცნობთ ქალებს, თვალი სულ სხვისკენ გიჭირავთ! ცოტათი რო დავშოშმინდი, გუნებაში გავიფიქრე: არ წავალ და მორჩა, რაც იქნება, იქნება-მეთქი. ერთი კვირის შემდეგ სხვა დეპეშა მოვიდა, მაგრამ შინიდან ცხვირიც არ გამიყვია.

დაიწყო ცალმხრივი მიწერ-მოწერა. დეპეშებს ლურსმანზე ვკიდებ და ვცდილობ, ყურადღება სულაც არ მივაქციო. ასე გაგრძელდა მთელ ზაფხულს. წერილი წერილზე მოდიოდა. „მოქალაქე ბარახვოსტოვი. ასმერვეჯერ გაფრთხილებთ!“ ვერაფერს ვიტყოდი, მაგარი ბიჭები ყოფილან, მაგრამ ხელში მაინც არ ჩავუვარდები, სულელები სხვა სოფლსაბჭოში ეყოლებათ.

გამოცხადდა ძებნა. ჩემი თავი ვალუტის დიდ თანხად შეაფასეს. ვხედავ, საქმე ცუდად მიდის, რამე უნდა ვიღონო.

წლებადელი მოსავლის აღება რო დამთავრდა, ახალი ბამბის კოსტიუმში შევიკერე, დავკარი ფეხი და სიძეებთან და რძლებთან გავემგზავრე სტუმრად. გავემგზავრე და მივედი, მაგრამ ისინი განმიდგნენ. მე კი ერთი პირობა ვფიქრობდი, გვარის გამოცვლა მომიხდებოდა-მეთქი. ეს კი ძალიან ცუდი საქმეა.

გულჩათხრობილი გავხდი

შინიდან რო გავდიოდი, ვირინეა ასე დავარიგე: იცოდე, წესიერად მოიქეცი. ამჯერადაც თუ წაგძლია სულმა, აღარ დამელოდო. შენთვის განკუთვნილ საჩუქრებით სავსე ჩემოდნებს ჩემთვის დავიტოვებ, თვითონ კი ქალაქელ ქალს შევირთავ ცოლად, თანაც იმისთანას ამოვირჩევ, ფრჩხილები წითლად შეღებილი რო ჰქონდეს-მეთქი. ვითომ ვერ ვიზამდი? მე ხომ სხვა გუჯაბის კაცი ვარ, ბარახვოსტოვი. სოფლიდან რო გავდიოდი, თვალში არავისთვის შემიხედავს, მაგრამ მაინც წინ მისწრებდა ხალხი: ბედნიერებას ვისურვებთ, კუზმა ივანოვიჩ! მოკითხვა გადაეცითო! სიცოცხლეში პირველად გავიბლინძე. შვილები წამომეზარდნენ, სტუმრად მივდივარ მათთან, ახლა თავის მოწონებაც შეიძლება-მეთქი. მატარებელში წამდაუწუმ მეკითხებოდნენ კულტურულად: „თქვენი სახელი და მამის სახელი?“ — „ბარახვოსტოვი, კუზმა ივანოვიჩი, აქაური და იქაური“. — „უკაცრავად, კუზმა ივანოვიჩ, ჯანმრთელობას ხომ არ უჩივით?“ — „კბილებმა მილალატა, სხვაფრივ კი ბედს არ ვემდღური, თუმცა ომში მიღებული ფეხის ჭრილობა მაწუხებს“. — „არაყს არ დაღვედით?“ — „გმადლობთ, სასმელს არ ვეტანები“.

ესხედვართ და მივქრით. ქალაქამდე არ ვიქნებოდით მისული, გავიხედე

და უამრავი პატარა სახლი დავინახე. ვეკითხები: ეს რა უნდა იყოს? შიგ რას ასუქებენ-მეთქი? არა, ეს ფანერის აგარაკებია, ხალხი დასვენების დღეებში ჩამოდისო. გასაგებია-მეთქი, ვეუბნები.



თვითონ კი ვერაფერი გამიგია. ვაგზლიდან პირდაპირ მისამართზე წავედი. ჯერ ერთ რძალთან ვეუბნები, შემდეგ მეორესთანაც შევიარე. ყველა შეღებილი იყო, მუცლებზე მათი კაბა თითქმის ჭიპსაც ვერ უფარავდათ. უხერხულობას რო ვირგძნობ, მარცხნივ ვავიხედავ.

ცცხოვრობ. ყოველ ცისმარე დღე დავდივარ კულინარიულ სამზარეულოში. საღამო ხანს ისე მაქვს ფეხები დაწყვეტაზე, წყალსადენის ქვეშ ვჯდები. ჩექმები საპირფარეოში გააქვთ. თამბაქოს მოწევა ამიკრძალეს. მერე დავკარი ფეხი და სიძესთან გადავედი. იქიდან კი სხვა რძალს მივადექი კარზე. პოდა, ჩემი აღზრდა ამ რძალმაც იკისრა. თქვენ, მამაჩემო, სულ შეუფხვებელი პიროვნება ყოფილხართ, კულტურა არ გცოდნიათო. საჭირო სიტყვა ვერ ვთქვი — მასწავლიან, ნაბიჯი ისე ვერ გადავდგი — მასწავლიან, სხვანაირი აზრი მომივიდა თავში — მომდგებიან და ისევ მასწავლიან.

კეთილი და პატიოსანი. ქალაქური თავაზიანობა და ქცევა უნდა ავითვისო, მე ზომ გონიერი კაცო ვარ-მეთქი, გადავწყვიტე და მართლა ავითვისე, მაგრამ უთანხმოება მაინც ჩამოვარდა. თქვენ, მამაჩემო, ნამეტანი ბევრი გცოდნიათო.

ესე იგი, არც ერთი მოსწონთ, არც მეორე. რატომ არ მოსწონთ? ცოტა იცი — ვაგინებენ, ბევრი იცი — ეშინიათ. ვხედავ, მთელი მგზავრობის განმავლობაში ჩემს გადაკეთებას ცდილობენ, თანაც დამცინიან. ავდექი და განზრახ გულჩათხრობილი ვავხდი, მაგრამ მაინც არ მოეწონათ! ისევ საყვედურებით გამიხვრიტეს ცხვირი: თქვენ, მამაჩემო, ნამეტანი უსინდისო ყოფილხართ, თქვენთვის სიკეთე გვინდა, თქვენ კი გულჩათხრობილი ზიხართო. თქვე სულელებო, განა ის არ გიჯობთ, მე რო გულჩათხრობილი ვარ? ეს ზომ თქვენთვის უფრო ხელსაყრელია, აბა, პირუტყუ რო მოვიქცე და გული გადაგიშალოთ, რა მოხდებოდა მაშინ? კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა-მეთქი. ვფიქრობ გუნებაში.

გავმდიდრდი

ყველაზე საწყენი ის იყო, რო უსინდისოს მეძახდნენ. ღამეს თეთრად ვათენებდი. ნუთუ მართლა უსინდისო ვარ? მოდი, გავმდიდრდები და მერე ვნახოთ-მეთქი, ვავიფიქრე. ფული ჯერ კიდევ მქონდა დარჩენილი, ამასთან ვირინეამ თხუთმეტი მანეთი გამომიგზავნა. ჩანთა ავიღე და ბაზარში წავედი. აქ სადილობამდე ვიხეტიალე. ყველა სინდისგარეცხილი ყოფილა იმ ბრბოში. საკომისიოში რო შევედი, მითხრეს: გვქონდა, მაგრამ ჯერ კიდევ იმ კვირაში გავყიდეთო. კეთილი. ახლა იქნებ დახლის ქვეშიდან გამომიღონ-მეთქი, ვავიფიქრე და ვავიკითხ-გამოვიკითხე, მაგრამ ყველამ უარი მითხრა. ბოლოს ვილაც დედაბერმა მირჩია: აგერ იმ ავტობუსზე დაჯექი, ბოლო გაჩერებამდე მიდი და ხის სახლებში იკითხეო.

ჩავედი და პირველ სახლში დავაკაკუნე კარი ვილაც მოქალაქემ გამიღო, ფეხები ფოსტლებში მქონდა წადგმული. გვქონდა, მაგრამ დღესასწაულის წინ გავყიდეთ, ფული ძალიან გვჭირდებოდაო. მუცელი მოვიფხანე და კარი

მივაჯახუნე. ახლა მეორე სახლში შევედი. ასე და ისე საქმე, ფულს არ დავიშურებ-მეთქი. კი, ბატონო, რამდენიც ვსურთ, იმდენს მოგართმევთ, ოღონდ ფული ახლავე მომეცითო. რასაკვირველია, ასეც იქნებოდა მთელი მთელი კურტელი მომეცითო. კეთილსინდისიერად გადავუხადე ფული და რძალთან წავედი. რძალმა არც კი დახედა ჩემს ნაყიდს და გესლიანად დასტკბუნდა მამარკენი რა ნამუსიანი გახდაო!

სოფელში რო ჩავედი, ჩანთა სარდაფში შევინახე და მას აქეთ იქა გდია.

მხიარული ცხოვრება

ისე კი ამაოდ არ მიმოგზაურია, რადგან ცხოვრების ძირითადი მიზანი გავიგე. მაინც რა მიზანი? აბა, როგორ ვითხრა, ჯეელო... კაცმა რო თქვას, ამას ყველა ვერ გაიგებს. რასაკვირველია, შენზე არ ვლაპარაკობ. მე ისე ვთქვი, საერთოდ. ცხოვრება ჩემი სიძის მეზობელმა მასწავლა. ბოლო დღეებში შინ ღამის გასათევადაც არ მიშვებდნენ. აქ თვალში ნუ გვეჩხირები, წადი, საითაც მოგესურვოს და ეგ შენი სინდისიც თან წაიღეო. დამე სადმე ხომ უნდა გამეთია? მეც დავკარი ფეხი და ჩემი სიძის მეზობელს, ერთი შეხედვით, პირიან კაცს მივადექი. დილით რო გავიღვიძეთ, ჩაიზე მისაჭმელი პური აღარ იყო. აბა, ბაბუაჩემო, წადი და ბოთლები ჩააბარეო, მითხრა. ჩავაბარე ბოთლები და ბატონები ვიყიდე. ტყუილ-უბრალოდ გარჯილხარ, ამ ფულით არაყი უნდა გეყიდა. შენ, ჩემო ბარახვოსტოვ, ცხოვრება არ გცოდნია. აი მე სულ ასე ვშვრები: ჩავაბარებ ბოთლებს და ამ ფულით არაყს ვყიდულობ, რო მეტი ბოთლი დამიგროვდეს და კიდევ მეტი ჩავაბარო. აგერ ათი წელია სხვას არაფერს ვაკეთებო. ბიჭოს! ეს კაცი მართალს უნდა ამბობდეს-მეთქი, გავიფიქრე.

სოფელში რო ჩავედი, ეს ახალი ხერხი მოვსინჯე და კიდევაც ნაყოფი გამოიღო. ახლა უდარდელად ვცხოვრობ. პენსიისთვის ხელიც რა მიხლია, სულ კაპიკ-კაპიკ ვინახავ წიგნაკში. ხუთ ბოთლს ჩააბარებ. ექვს იყიდი, ჩაცეცხლავ და ახლა ხუთის ნაცვლად ექვსი ბოთლი გექნება ჩასაბარებელი. მერე ექვსს რო ჩააბარებ, შვიდს გამოიტან მაღაზიიდან. ერთი სიტყვით, სარფიანი საქმეა. ყლურჭე, აბარე, ჰკიდე და იარე არხეინად. არც დარდი გაწუხებს და არც არაფერი, ეს რო გლებებმა გაიგეს, ყველამ ახალ ხერხს მიმართა. დიდ მადლობას გწირავთ, ბარახვოსტოვ, ცხოვრება გვასწავლეო. პოდა, იცოდეთ, ყოველთვის ჩემგან აიღეთ მაგალითი. ბარახვოსტოვი უარესი მდგომარეობიდანაც გამოვა-მეთქი, ვუბასუხებ. იმ დღეიდან მოყოლებული ქალიან-კაციანად და ბავშვიანად შეიცვალა სოფელი. ასე გასინჯეთ, მამლებიც კი სხვანაირად ყვირიან.

ლათია დამეკარბა

ოპ, ღმერთო ჩემო! ხედავ, რა დამემართა? პირდაპირ უბედურებაა! ფარდულში წასვლა ვერც კი მოვასწარი, რო უკვე დამეკარგვია. არა, ვირინეა, არა. ვირინეა სად უნდა დავარგულიყო? ერთი დღითაც რო წასულიყო სადმე, იდაყვით პირჯვარს გადავიწერდი. რაო, არ წავალო? ვიცი, ვიცი, შენისთანა დედაბერს ფეხით მოსიარულეს კი არა, ბაგაყითაც არ მიიღებენ. ისე კი ერთი კვირით რო წახვიდოდე გინდა რძლებთან, კარგი იქნებოდა. კეთილი, კეთილი,

იქვე შინ, ჰმ... მაინც სად უნდა დაკარგულიყო? წელან აქა მქონდა. რა და ლათინია ლათინია დამეკარგა და ველარ მიპოვია. მხოლოდ ერთი წუთით გავედი გარეთ. შენ არ დაგინახავს? აბა, ფეხებქვეშ შეიხედე, სკამქვეშ. ვერ მოგეჩინა ჰმ... ვირინეა, რას წამომგდარხარ, მიდი, შენც ეძებე. ლათინია ნემსი რომ არ იყო, სადმე იქნება აქვე. კარადაში შეიხედე? ლუმლის უკან? ჰაი, დედაქვეშ უნდა იქნებოდა? რეპლიკებს თავი დაანებე და ძებნაში დამეხმარე. თვალით ხედავ, ხელის ცეცებით ეძებე. აქვე უნდა იყოს, სადმე. აბა! მაინც ვერ ნახე? რას დაგიჩემებია, თავი დამანებე და თავი დამანებეო! არა, ვერ დაგანებებ. ჰმ... ამ ლათინიას ვერ მოვნახავ.

ახლა სხვა უნდა გამოვიგონო. აფსუს! კარგი ლათინია კი იყო, მაცოცხლებელი. არა, არ უნდა დაკარგულიყო-მეთქი. ოპ, აგერ ყოფილა, აგერ, ეს ჭორების გუდა, ეს! სულ პირზე მეკერა. ჰოპ, პოპ, გაჩერდი-მეთქი, გაჩი.. აბა, დავიჭირე! ახლა კი ველარ გამეჭყვევა. აბა, მომისმინე.

ფურცლები ამრევი

მაშინ საკუთარი ნება-სურვილით მოვწყდი წუთისოფელს, ახლა კი, ვატყობ, იძულებით ვგრილდები. იცი, აქ სულ სხვადასხვა თემაა, ჯელო. დილით კალენდარს რო დავხედავ და გუშინდელ ფურცელს ავახევე, დღე ვითომ არც კი ყოფილიყოს. ვხედავ, ჩემი დღე დათვლილია... ვითომ ფურცლები თავისთავად სცვივოდეს. ამ ფურცლებს არყის ხის ბადახშაში ვინახავ და ვფიქრობ: რა ოხრად მინდოდა, საქმე რო გავაჯანჯლდე, სულ ერთია, პატრონს მაინც უნდა ჩავბარდე-მეთქი.

ერთ დილას ძლივს წამოვდექი საწოლიდან. კალენდარს ფურცელი ავახიე და შევქანდი. თავს რეტი დამესხა და ჩავიკეცე. ვიგრძენი, ჩემი აღსასრულის დღე დამდგარიყო. მორჩა, დღეს მართლა ამომძვრება სული, ამჯერზე უკან ვერ გამოვიქცევი-მეთქი. შაბაში! გაშეთებული ვიწექი საწოლზე და სუნთქვა მიჭირდა. უკანასკნელად გავიხსენე, ბარახვოსტოვი რო ვიყავი. გავიხსენე, კალენდარამდე მივფოფხდი და წამოვდექი. ფურცელი კი ავახიე კალენდარს, მაგრამ მერე... მერე ავიღე და უკანვე მივაწეებე! იმ დღეს არ წამილია თქვენი ჭირი, მეორე დღეს კი გუშინწინდელი ფურცელი მივაწეებე. გავძელი კიდეც ერთ დღეს. კალენდარზე უკანა რიცხვების მიწეპებას შევუდექი. უკანა მიმართულებით ვიწყე ცხოვრება. დილა რო გათენდება, კალენდარზე უკანა ფურცელს ვაწეებ და უკან-უკან მივდივარ, ახალგაზრდობისკენ. პენსიაზე უარი მითხრეს, გაახალგაზრდავდიო. ასე გამოვედი მოხუცებულობის ასაკიდან. სამუშაოს ისევ მძიმეს მაძლევენ, მაგრამ შევეჩვიე. ჩაის მე თვითონ ვსვამ ჩემი ხელით. მაგრამ მომავალში როგორ განვაგრძო უკუსვლა? აი ეს ძალზე საინტერესოა. აურაცხელი დღესასწაული შემოიღეს. აგერ დღეს პირველი მაისია. აბა, ვირინეა, ახალი კოსტიუმი მომიტანე! რაო, რვა მარტამდე კიდეც რვა დღე დარჩაო? ეტყობა. ფურცლები ამრევი. დღეის იქით ჩემს ბადახშას ხელი არ აბლო. შენი სათითებისთვის სხვა ჭურჭელი გამონახე.

სამხე ჩაიფუზა

ახლა, ვფიქრობ, ერთი განსაკუთრებული მცენარის ძირი გამოვიწერო მანათით. ამბობენ, სადღაც ჩინეთში, თვით მათ ძე-დუნის გვერდით იზრდებაო.

გესმის, ვირინეა? აბა, რას იტყობდი, ის არამზადა მათ ძე-ღუნი რატომ ცოცხლობს ასე დიდხანს? თანაც შვილებიც უჩნდებაო, ამბობენ. რატომ და იმ მცენარის ძირი შველისო! გარეგნულად ჩვენს ბოლოკს წააგავს, მაგრამ შიგნითვალავი ვიტამინიაო, მითხრეს. ამასთან, ვფიქრობ, ტანის ფიზიკულტურული ვარჯიში დავიწყო, ზამთრობით კი აბანოში ტანის დაბანის ნაცვლად ყინულქრილში ჩავძვრე შიშველი.

მაშ, არადა, ბარახვოსტოვი უკან არ დაიხვეს. ოღონდ ცუდი ის არის, კოლმეურნეობაში ჩემი ხელობის სამუშაო რო არ მოიძებნება. რუსული ღუმლები თითზე ჩამოსათვლელი დარჩა. ბედურები რო ითოშებიან ნათლილების ღამეებში, ისე იყინებიან ხოლმე, ღუმლებს კი ახალმოდურს მოითხოვენ. ჭველი კონსტრუქციის ღუმლები ერცხვინებათ, ავადმყოფობის დროს კი დასაწოლი ადგილიც არ გააჩნიათ.

სამაგიეროდ მოწინავეები არიან. მელუმელეს საქმე რო არა აქვს რა, ლათაიები უნდა დაარბიოს. მე ჯერ კიდევ ომამდე ბევრი მწერალი მებატიყებოდა პურ-მარილზე, იმისთანა ოსტატი ვიყავი თავშესაქცევი საქმის. მწერლები ჩემს ლათაიებს იწერდნენ, სიგელები კი მოსკოვში იგზავნებოდა. პირველად რო წავიღე თქვენი ჭირი, მოსკოველები დარდში ჩავარდნილან: რატომ დავივიწყეთ ბარახვოსტოვი და რატომ დავივიწყეთო! რატომ შუშაში არ ჩავსვით ეს კაცი? საავადმყოფოში მაინც დაგვეწვინა და რემატიზმები გვემკურნალა მისთვისო, სულელებო, ადრე სად იყავით?

მერე დაუდგენიათ, ჩემს კვალდაკვალ ხელმასწარა კაცი გამოეგზავნათ, რო მოვეძებნე და რაც კი ლათაიები დამრჩენოდა, ბლოკნოტში ჩაეწერა. უკვე მივლინებაც კი გამოუწერიათ მისთვის, მაგრამ ამასობაში დავკარი ფეხა და საიქიოდან გამოვიქეცი.

ეს იყო და ეს. მწერლებს ლათაიების ინტერესი დაეკარგათ და მთელი საქმე ჩაიფუშა. ეტყობა, ელოდებიან, ხელმეორედ როდის მივიძინებ სამუდამოდ.

ზამთარში გრძელი საღამოები იცის

აი ასე ვცხოვრობ. იმ ზამთარს ერთი შენისთანა კაციც ჩამოვიდა. ბატონკაცური ქუდი ეხურა და წვრილწვერიანი ფეხსაცმლები ეცვა. თურმე ისე მორბოდა ყინულზე, ქალებმა მითხრეს, სულ ხტუნვა-ხტუნვით მოისწრაფოდაო. შემოვიდა ქობში: „მოქალაქე ბარახვოსტოვი აქ ცხოვრობს?“ — „აქ.“ — „სახელი და მამის სახელი?“ — „დილიდან კუზმა ივანოვიჩს მეძახიან“. — „კუზმა ივანოვიჩ, თქვენთან დიდი საქმე გვაქვს“. ღუმლიდან ჩამოვედი, პირსაბანზე ხელები დავიბანე და მივესალმე. ვირინემ სამოვარი დადგა, დაჭრა პური. სტუმარი იჯდა მთელ ღამეს და ლათაიებს იწერდა, მეორე დღეს კი განაგრძო. მთელი ერთი კვირა იცხოვრა ჩემთან, მერე დაჭრა ფეხი და გაემგზავრა. მე კი თუ ვინმეს ლათაიებს არ მოვუყევი, ისე ვერ ვძლებ. ზამთრის გრძელი საღამოები იყო. ავდექი და ლათაიები ჩვენებურ გლებებს დავუბრახე. უცებ ოლქიდან ქალაქი მოვიდა: „ლათაიების ფლანგვა შეწყვიტეთ, შეაჩერეთ ბარახვოსტოვი“. მერე, ერთიც ვნახოთ, ოლქიდან შიკრიკი ჩამოვიდა. აიყვანეს ასისტავი და შინ მომადგნენ: „ამხანაგი ბარახვოსტოვი ბრძანდებით?“ — „გაზღავარ“. — „გვიბრძანეს, თქვენი ლათაიები აღწეროთ და ხელწერილით ჩავიბაროთ“. — „ეს რისთვის დაგჭირდათ, ბიჭებო?“ — „აქ

თქვენ კერძო საკუთრება გაგიჩალებიათ! აბა, რა მექნა? ავდექი და რაც ლათაიები მქონდა, ყველა ჩავაბარე. საღამოობით შინ ვზივარ. ღამით კი, თითქოს ჭიბრზე, ლათაიები მოსვენებას არ მაძლევენ მოვეყვებოდი. მსგავსების უნდა მოვეყუყუე? ჩემი ვირინეა სულ დაყრუვდა. რო ჩავიძინებ, ლათაიები ხერხეასთან ერთად ამომდის პირიდან. გავიღვიძებ და ჩავყლაჭავ მსგავსებებს იჭექი შიგნით, შენი დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა-მეთქი! -- ვეუბნები. სილი რო გამიტყდება, ეზოში ჩავდივარ.

ნეტავი შენ თვითონ რომელი ორგანიზაციიდან ხარ? ვატყობ, ლათაიებისთვის ჩამოხვიდოდი. ოღონდ ჩვენს ვოლოგდის ოლქში ეგება ჩემზე უკეთესი მომყოლები იყვნენ, მაგრამ არა ჰყვებიან. კარგი, კარგი, მეც შემიძლია, მთელი გუდა ლათაიები დავროშო. რაო, ცოტააო? აი შე ღლაპო. შენა, როგორ თუ ცოტაა. ოღონდ ლამპაში ნავთი ჩავუმატო და ცოლი შინიდან გავიტყუო, თორემ თავისუფლად ლაპარაკს არ მაცლის.

1969



1 მკითხველისათვის წარმოდგენილი ლათაიების გარდა განზრახ გამოვტოვეთ მნიშვნელოვანი უწმაწურობები ეგრეთ წოდებული იგავეებისა და ფუნაგორიების სახით, რომლებსაც, კაცმა რომ თქვას, დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ და რომლებიც ბარახვოსტოვმა გზადაგზა და ქანის ასაღებად გვიამბო.



თარგმნა მადია კახიძემ

მწუხრის ლოცვა

დაუბერავენ შემოდგომის ცივი ქარები,
 აღმუვლდებიან საკვამურებშიც
 ზამთრის ქარები,
 სულ იშვიათად ხელს დამიქნევს
 ქათქათა მთვარე,
 სულ იშვიათად გულსდა მატკენს
 ვილაცის წასვლა.
 იშვიათადლა სისხლს ამიმღვრევს
 ტრფობის სახმილი,
 ჩემს ტყეს და ქალაკს
 დაეცემა საღამოს ჩრდილი
 და შიგ სიგრილე დაისადგურებს.
 დაე, მე კაცის
 გამომწვევი სხეულის სითბო,
 ნულა დამირბენს ტანში, როგორც
 ელექტროდენი;
 დაე, გვიმრების სარეცელზე ჩვენი
 განცხრომა
 სიზმრად გაცხადდეს,
 დაე, თვალებით ლაპარაკი
 გადაგვაფიწყდეს,
 დაე, ვანელდეს, დაიწრიტოს
 ის სიყვარული,
 ოღონდ არასდროს წაიშალოს

მცირე ბილიკი,
 ქვეყნიერებას და ჩემს შორის
 გადახიდული,
 რომ ჩემს დაღლილ გულს
 კვლავ შეეძლოს გაიხალისოს
 ჭაფარა ჩიტის ფერადოვან
 ფერების ხილვით,
 თვალმოუხუჭავ ვარსკვლავეთის
 ცაზე კიაფით,
 მზითა და წვიმით,
 ყვავილებში ჩაფლული ბალით,
 რომ სული ჩემი
 გაწაფული დიდ სიყვარულში,
 თბებოდეს სხვათა სიყვარულის
 რიურაჟის შუქზე,
 არ უწერია მას ჩაქრობა,
 და თუ ცის გრგვინვა
 და კაცის ხმა
 ჩემს წასვლის შემდეგ
 მოეფინება ამ ქვეყანას წკრიალა
 ექოდ.
 იცოდეს ყველამ,
 რომ ამ ხმაში გაცხადებული —
 ეს მე ვიქნები,
 ციური და მარადიული.

დედასთან

დედის წინაშე ჩვენ ყველანი ვპატარავდებით,
 რა გინდ პატივშიც არ უნდა ვიყოთ.
 მიქრიან წლები და ხუნდებიან

ჩინ-მედლები და წარმატებები,
 და ჩვენ მივდივართ ნაცნობ ბილიკზე
 დაბნეულნი და ფრთაშესხმულნი...
 და აი, დედაც —
 ჩვენი დედილო,
 ისევ ისეთი და გალუული...
 ქედს ვიხრით ყველა დედის წინაშე, —
 სახელგანთქმული მომღერლები და მინისტრები,
 ოჯახის ბურჯნი და გენერლები.
 ჩვენ დამნაშავე ბავშვებივით
 მის დამჭკნარ ხელებს
 ვეფერებით და ვეამბორებით.
 ო, ნუ გვიყურებ ამნაირი თვალებით, დედი,
 რომელიც გულის სიღრმემდე ატანს,
 ნურაფერს გვეკითხავ,
 ისეც გვემჩნევა ნაიარევი,
 ბევრჯერ ვცდებოდით,
 ახლაც გვიმძიმს ის დამარცხება,
 უცხოს გულდაგულ რომ ვუმაღავდით.
 ხშირად იოლ გზებს ვეტანებოდით,
 და რასაც ვთესდით —
 მას ვერ ვიმკიდით,
 დედა არაფერს გვეკითხება
 მაგრამ ჩვენ გვჭოლავს მისი უბრალო შემოხედვა
 და საწუხარი,
 რა ღარიბია და მარტოსული
 ამ ჩუმ, უსიტყვო აღსარების გარეშე ყველა!..



შემოდგომის ზღაპარი

გაქრა ზაფხული
 თმებს უვარცხნის ნისლი
 ტყე-ჭალას
 და უსახლკარო ქარი
 ეული
 მთელი საღამო
 შფოთავდა ცაცხვზე
 გაქრა ზაფხული
 რა მოვიფიქრო, სად გავატარო ეს საღამო
 ამ სიცხვეში მესიკვდილება სახლიდან გასვლა
 არც ახლო-მახლო
 არც შორი ახლო არ მინდა წასვლა
 გთხოვ, დარჩი ჩემთან
 დავანთებ ბუხარს როგორც ზამთარში,
 ფერხთით დავჭდები

მე ჩემს დიდ შალს მოვისხავ მხრებზე
 და გიმკითხავებ
 (ხომ არსებობენ ქერა ბოშებიც)
 „ჩემო ბატონო
 თქვენი გზა ძლიერ დახლართულია
 თქვენ გამოივლით მრავალ ქარტეხილს
 სისხლი დაგიწყებთ მუხლიდან წვეთას
 რადგან მრავალჯერ წაქცეული ადგები ფეხზე
 მაგრამ არავის დაუჩოქებ მუხლებზე ვისმე
 შენ არწივივით ცაში იფრენ გულგალადებით
 ფრთების ტყლაშუნში დაგცვივდება თუმცა ბუმბული
 მაგრამ შენ ჯიში ძლიერი გაქვს ჩემო ბატონო
 ყლორტს ამოიყრი, ცივ ქვის ლოდზე გინდა დასახლდე
 შენ ბოროტებას ახტუნავებ
 ვით ჩაქუჩს გრდემლზე.
 თავზე ბევრი რამ გადაგხდება ღრმა სიბერემდე
 გაგიყვებამდე ეყვარები მშვენიერ ქალებს
 მარად ჭაბუკი დარჩები მაინც,
 ერთი მათგანი ფერხთით გიზის
 მე როგორც ვიცი, შენ მას ცივ ნიავს
 არ აკარებ
 აქვს ქერა თმები
 და თვალები მომწვანო ფერის.
 არ გამომტაცო შენი ხელი
 მე ამ ხელს ახლა არ ვთხოვ ალერსს,
 მე მინდა ოდნავ ვეხებოდე
 შენს ცხელ ხელისგულს,
 ხელს, დამძიმებულს სიყვარულით და სიძლიერით
 ჩემს გარდა ქვეყნად
 ვინც არავის ემორჩილება
 მე მკითხაობას
 მოვრჩი და შენ
 ცხელი ტუჩები
 ჩემს ცხელ ხელისგულს დააკონე
 მონეტის ნაცვლად.



დაბადების დღე

არ მომიყრია სტუმრებისთვის ამჯერად თავი
 მე მარტო ვზივარ
 ირგვლივ წლებით გარშემორტყმული,
 ვუსმენ გულის ხმას ძვლებისა და
 ნერვების ხმაურს
 არტერიებში ლურჯს და წითელ
 სისხლს ვაყურადებ

თანდათანობით თითქმის ყოველ წელს რომ იცვლება
 და თუმცა ამაზე ეჭიმები არას ამბობენ
 მაგრამ სიმართლეს არ მალავს სარკე
 და ყოველი დღე ჰგავს მძიმე ფლოქვებს
 ჩემს სხეულზე რომ გადითქარუნებს
 რადგან მართო ვარ მე გაგიმხელთ გულის ხვაშიადს
 არას ვამბობდი მაგრამ გულში მჯეროდა მუდამ
 ზეცის გახსნის და სასწაულების
 მე თმებს ვიწწნავდი
 და გამომწვივად ვიქცეოდი
 მხოლოდ იმისთვის
 რომ დამეფარა მორცხვობა ჩემი,
 ვისაც ძაღლები მიყვარდა ძლიერ,
 ვისაც ცვარ-ნამით დამძიმებული
 კაბა მაქცევდა
 ვინც გაზაფხულის სურნელს აფრქვევდა
 და მოსამკელად პატრონს ელოდა.
 მისი ხატება მისვენია მარგალიტივით
 რომელსაც წლები გულში ქაფად მოჰკიდებია.
 მაგრამ ხანდახან ზოგის თვალში ვცოცხლდები ისევ
 და კვლავ ატყვევებთ
 მაშინდელი მშვენიერებით
 ჩემს გულის რჩეულთ ჩემი ხატება უწინდელი.



უკვდავნი

მძიმე ურდულიან დახურულ ფარდებში
 ჩვენი სიყვარული არ ჩავვიკეტია
 სახლის ქერის ნაცვლად მიბოძე საწუთრო
 ხელისგულივით გაშლილი ქვეყანა
 უსიტყვო ალერსით გვხვდებოდა მთა-ბარი
 და ვგრძნობდი თავს მუდამ
 საკუთარ ქერქვეშ
 როცა თავი მედო შენს ძლიერ მკერდზე
 ჩვენ საგაზაფხულო წვიმები გვაწვიმდა
 და წვიმის სურნელით
 გაქდენთილ ტუჩებით
 ვკოცნიდით და ქარი ერთმანეთს გვახლიდა
 და ქერის მაგივრობას ლაყვარდი გვიწევდა
 ვერცხლისფრად დიოდნენ წყლის თეთრი ქაველები
 და ზედ ვისხურებდით წყალს ხელისგულებით
 და ჩვენს მწველ ჩურჩულზე ვარსკვლავთა ხომლები
 თავზე გვაცვიოდნენ ივლისის ღამეში,
 იქნებ ჩვენ არ მოვკვდეთ იმავე სიკვდილით
 როგორც დანარჩენი კვდებიან ამ ქვეყნად

ვინ იცის ვერც მივხვდეთ
ჩვენ ისე გავიბნეთ
უნაზეს ჰანგებად სუნთქვად და ნიავად
მოგკვდებით მაგრამ ჩვენ
კვლავაც აქ ვიქნებით
და თვალთუხილავად ჩვენს ფეხქვეშ ველური
ბალახი დაიწყებს შარიშურს ჩურჩულით,
ყვავილებს ექნებათ საამო სურნელი
ჩვენ ვივლით კვლავ ერთად
მხოლოდ მზეს ექნება
რომ ჩვენთან იაროს ხელგადახვეულმა.



ქართული
ბიბლიოთეკა

ჩემი ქალაუფლება

სახლში ვბრუნდები
ვით ბრძოლაში დამარცხებული,
მე დამცირება
ხანჯალივით გულს ორად მიპობს
და გულგრილობა შემძრავს ხოდმე
გულის სიღრმემდე
და წყენისაგან
როგორც კვამლისგან
ცრემლის სისველით მეწვება თვალი,
სახლში ვბრუნდები გაოგნებული
და სიხლგამშრალი,
მსურს მარტო ყოფნა
ქუთუთოებზე ძელი მდარაჯობს

საკმარისია მოვხუჭო თვალი
მაგრამ თვალეები კვლავ ძილფხიზლობენ
და კვლავ ნათდება ჩემი ფანჯარა
მივწვდები ქალაქს გაუბედავად
და ვჯდები საწერ მაგიდასთან
ისე როგორც დედოფლის ტახტზე
და მბრძანებლური თვითდაჯერებით
ისე როგორც ხმალს დავწვდები კალამს
და ჭრილობები
ვარსკვლავებად აელვარდება
ამქუხარდება სიტყვა მგზნებარე
ვით ტყვიამფრქვევი
„დიდება ომში გამარჯვებულებს“.

ნივთების აღწერა

ღმერთმა ნუ ქნას ~~ღ~~, თუ განკითხვის
დარეკავს ქამი
ყინვით მოლიპულ მოედანზე ან ცხელ ქუჩაზე
ვინმე აიღებს ჩემს ბადურას
პურიტა და წიგნებით სავსეს
ვიღაც მოხელე გულგრილად აღწერს ჩემეულ ნივთებს
უბრალო კალამს წვერმოცვეთილს დიდხანს ხმარებით
მინაწერს „კარგო თანახმა არ ვარ“ — არ მინდა არ მსურს“
ცარიელ ქისას რომელშიაც ფული...
ფული, ო, ფულს რაც შეეხება არის ნათელი,
მე ფულის ფასი ვიცოდი და მიყვარდა ფლანგვა
გასაღებები საიდუმლო და ფოსტის ყუთის
ო, ჩემი სახლი ყვავილებით და ჭალის შუქით განათებული.

მოკლე დღეებით, გრძელი ღამით სავსე პირთამდი
სადაც ცხოვრობდა ერთი გოგონა

ვის გარეშედაც მოწყენა და სიცივე მეფობს

მამაკაცების სურათები „კომოდის თავზე“

და იმ ერთ ყუთში ჩემი ცხოვრების ნახევარი გამომწყვდეულა

ნახეს ნახმარი, მატარებლის, კინოს ბილეთი

რამდენი გზები მივლია თურმე

მუდამ რაღაცის მოლოდინში ვიყავ წასვლისას

დაბრუნებისას სიხარულით მიძგერდა გული

და ვოცნებობდი კვლავ ახალ გზებზე

აღწერენ წვრილმანს, სუნამოს, სარკეს,

მე თუმც ღამაში არ ვიყავი, მაგრამ ვუყვარდი

უკანასკნელ ამოსუნთქვამდე

ის დაამთავრებს აღწერას და დაუსვამს ბეჭედს,

და ვერ მიხვდება რომ ამ ნივთებში

გამომწყვდეული იყო მთელი ჩემი ცხოვრება.



ქართული
ბიბლიოთეკა

□



თარგმნა ვალეა შავდლიძევილმა

გზა ჩემი უგზო, ოხერტიალი,
როგორ გავიგნო უბირმა როგორ!..
მთლად მარტოდ-მარტოდ მოხეტიალემ,
მთლად უთვისტომომ და უმეგობრომ...
თუ კვლავ იდუმალ, ჩუმი ალერსით
სულში სიმღერა არ იბადება
უღიადესი და უნაზესი —
ვით საოცნებო ქალის ხატება!
ჰა! ეს სიმღერა უცხო მხარეში,
ნუგეშის ცისფერ ფრთებად გამოჩნდა
სამოთხის ფრთოსნის
ნარნარ ხმად მესმის.
ტყის პირად გამხმარ ჭირკვზე ჩამომჯდარს.
გალობს ფრინველი ნაობლარ რტოზე...
მიამბობს, რარიგ სთოშავდა ყინვა,
რარიგ მოსთქვამდა სიმარტოვეზე.
რარიგ უბმობდა გრიგალთა გმინვა...
ყველგან და მარად სულში მიღელავ,
შენზე ერთგული სხვა ვინ ვეძებო,
ჩემო წრფელო და ძველო სიმღერავ
და ბადიშთათვის ნაანდერძებო!

1900 წ.

შენამდეც ხომ ცდილან სხვანი, —
არად სთვლიდნენ ბედის რისხვას, დამუქრებას!
ვინ აღანთოს მაშინ აზრის ჩირაღდანი,
თუ გულს გზნება და იმედი ჩაუქრება.

სული უნდა გაითოშოს, ვით ნახირი,
 ვით ნახირი, საბრალისი, ზამთრის ქამის,
 ხომ ჩაკვდება უპასუხოდ ის ძახილი...
 არც ოცნება, არც ნატვრა და არც მიზანი!
 უსულგულოდ გააღაღებ ნებიერ ხორცს,
 სულმა უნდა სამუდამოდ მიიძინოს?
 როს შენს ირგვლივ პირუტყვული ხორხოცია —
 გულცივად და უსირცხვილოდ იცინიან
 ოცნებები თუნდაც წამით წარიხოცოს,
 სულ ახალ მსხვერპლს, სულ ახალ მსხვერპლს
 მოგთხოვს ხორცი...
 მაშ უმიზნო ყოფნა რაა, უსიმღერო...
 ვინც ქედს იხრის, იგი ბედის მასხარაა,
 სულიც აქვს და ხორციც პირუტყვს
 მაგრამ რწმენა და ოცნება მას არა აქვს!



1900 წ.

ოქროს იმედთა დასჭკნა ფურცლები,
 ფუჭ ოცნებებში გავჭალარავდი,
 მაინც მოსისხარ ბედს ვეურჩები
 და შენთვის ვიღვწვი აწ და მარადის!
 ცხოვრება ლექსს ჰგავს ოქროსფერ ფრთიანს,
 სიზმარში სიზმრად ნანახს და ზღვისფერს...
 სულში ვარვარა ელვანი კრთიან
 და რაც წამართვეს, მას ვერვინ მიზღავს!
 ჰო! მირაჟია აწ ყოფნა ჩემი,
 ისევ ამაოდ გელი ტანჯული.
 არვინ მყავს ქვეყნად ნუგეშისმცემი,
 არც პირუთვნელი წრფელი მსაჯული.

1901 წ.

ადამიანი ხორციით და ძვლებით
 გამოტენილი არის ტომარა...
 ნუ იჭიმები, ცაში ნუ ძვრები,
 შენც სტუმარი ხარ... წამის სტუმარი!
 გუშინ მთლად ბავშვი — დღეს მოხუცი ხარ...
 ხვალ კი წყარო ხარ უკვე დამშრალი,
 თვით გართმევს, რაც კი ბედს მოუცია
 წახვალ შიშველი, წახვალ მაშვრალი!

ერთი მრავალთა მრავალთაგანი,
 ყველანი წავალთ ადრე თუ გვიან,
 ბოლოს მიწაა შენი აკვანი...
 გიყვარდეს მუდამ ადამიანი
 და სილამაზეს ეცი თაყვანი.



წყალზე ნავივით ქანაობს მთვარე...
 და ეს დუმილი ღრმაა, ნათელი,
 ჩუმი დუდუნი ისმის მდინარის,
 თითქოს სიჩუმით სურს თქვას სათქმელი!
 და ნათრთვილ ხეებს ათრთოლებს ქარი,
 სპეტაკი ფიფქი ცვივა ყვავილთაც...
 ჩაივლის ზვირთი ეამივით ჩქარი
 გადიკარგება წყრომით საითლაც!
 კლდეებში ისმის ძაღლის ხმის ექო
 და მწყემსთა შორი გადაძახილი.
 ვფრთხილობ, რომ ფეხით მიწას შევეხო
 რატომღაც კრძალვით ვარ თავდახრილი.
 ფოთლის დაცემაც მაშინებს თითქოს...
 უცნაურ ლანდებს ჰგვანან ბუჩქები.
 ო, მაგრძნობინე კვლავ შენი სითბო
 და სიმხურვალე შენი ტუჩების...

მოხველ, რომ სატრფოს არა უთხრა-რა,
 ღელვაც გიხდება კარგო ესეთი!
 სდუმხარ, იკავებ ცრემლებს და სუნთქვას,
 თუმც დიდ განსაცდელს გამოეჭეცი!

1880 წ.

ყოფნა სიზმრისდარია, ცრუა წუთისოფელი...
 იმედი დაიმარხა, ლექსი მაინც მქუხარებს...
 თუ კი შესძლებ, იყავი გულდინჯი და მომთმენი,
 თუ შესძლებ, შეიკავე ეგ ცრემლები მდუღარე!
 ვარდს რომ სცვივა ფოთლები —
 შენს თავს წრფელად უთხარი:
 სისხლი შენც გაგიცივდა?... შენც გახდი უშფოთველი?
 გარს ცრუ ხალხი გეხვევა, მონურ ტანჯვას ჩვეული,
 მხარე უკაცურია, მტრობაა და შურია,
 ო, ყოფნა მირაჟია, ცრუ უდაბნოსეული,

ყველა განწირულია, ყველა უბედურია,
მაგრამ ბედნიერება მაინც ყველას სწყურია!



ვერავინ მოგისყიდის დაფაფით და დიდებით,
სხვისი ბედი არ გხიბლავს, არ შენატრი არვის გზას...
დე ყველამ იცოდეს აროდეს იყიდები, —
რჩები ისევ ერთგული მუდამ შენი თავისა!

ბავშვისთვის აკვანი სივრცეა ვრცელი,
და დედის მკერდი კი — სამყარო მთელი,
როს დავაჟკაცდება, თვით ვრცელი ველიც
ვიწრო იურტაა პატარა, ძველი!

1880 წ.

არ შემწევს ძალა ძველებურ გზნებით
ვეხეტო ისევ ამ უგზო გზებით,
რომელიც განვვლე უღვთო წამებით,
ვლახე ამაყმა და ქედუხრელმა...
ისევ წამების მწარე წამები...
ისევ ცა რისხვით მომიქუხდება!
არ შემწევს ძალა... ჭაღარა მფარავს,
თუმცა... სხვა გზანი არ სჩანან, არა!..

1889 წ.

სავსე ვარ ძმებით და თვისტომებით,
მეგობრები ხომ მყავს უთვალავი,
და მაინც უღვთოდ ვარ მარტოდმარტო
ნუგეშისცემა არ სურს არავის!
ო, მე არ ვიცი, არ ვიცი რატომ...
გეტყვით, რა არის აქ დასამალი:
მთლად ობოლი ვარ და უთვისტომო
თითქოს სამარის ქვა ვარ შამანის!

1889 წ.

ტომი უბელადოდ ბრბოა,
ვით ყმაწვილი, —
უმთვარო ღამეში
უგზოდ განაწირი!



ო, უმიზეზოდ მახვილს ნუ ლესავ,
შენ ეგ მახვილი განგმირავს ბოლოს...
ბედნიერება უუმაღლესი
მშვიდობა არის ამ ქვეყნად მხოლოდ!
იშრომე მშვიდად და გზად და ზიდად
მარტოდენ ერთი გწამდეს — სიმართლე!
ვინც მახვილს ლესავს...
ვინც მახვილს ლესავს,
დაეკარგება თვალის სინათლე!

1889 წ.

□



თარგმნა გივი ქნელაძემ

პოეტი

ღვთის გულისათვის —
მე ნუ ჩამთვლით
ვინმეს მიმდევრად:
შესაბრალისს და ხელით სათრევს,
შემხედეთ, — ვგავარ?...
კასტის წევრობა, —
დამიჯერეთ, —
მე არ მჭირდება,
მე თვითონ ვიცი ჩემი საქმე, —
ვინ ვარ და რა ვარ!..

მე შემიძლია
უძლეველი გავხდე მოკრივე —
ჩიჯგვა
მაჩებზე
მჯილები მაქვს
ურმის მორგვივით!..
მოდის და ხელი,
ტყვილა... ისე —
ხელზე მომკიდე, —
ა, ნახე, თითქოს
ხისგან იყოს
გამოჯორკნილი!..

ლიტერატურისმცოდნეებო! —
თხოვნა მაქვს ერთი:
ნუ დაწერთ ჩვენზე დისერტაციებს;
ღვთის შემიძლია ვიწამო ღმერთი,
ანტიზეციურს ხვალ მოვაწყობ
რაღაც აქციას!..

ჩვენ — პოეტები —
ვცხოვრობთ ნებისად,
ჩვენი საქმეა იმპროვიზაცია!..
ლამე გვგონია ხანდისხანად
გათენებისას,
ღვთიური მადლით განირჩევა
ჩვენი პროზაც კი!..

ვიცი ჩვენ
უზღვროდ განვრცობილი ოცნების
ყადრი,
უცხო არ არის ჩვენთვის ხოტბა,
ანაზღად ქება!..
დაგვიჯერეთ —
სული ჩვენი არ გახლავთ მდგრადი, —
ვერ ვეგუებით
რომელიმე
ქარგას და სქემას!..

ნუ დაწერთ ჩვენზე დისერტაციებს, —
იქნებ მე მოვკვდე
არა თქვენი განსჯა-განსაზღვრით!..
რა გაეწყობა, —
მე არა ვარ ისეთი კაცი —
ამოიძახებს —
ჩასძახებენ სხვები რასაც კი!..
მე სამშობლოსთვის იქნებ მოვკვდე,
ან, ვთქვათ, მწყემსისთვის, —
იალაღებზე ოფელს რომ ღვრის და
წელზე ფეხს იდგამს!..

იქნებ უბრალოდ, —
ქალისთვის ან ერთი ლექსისთვის,
ანდა სრულიად უმიზეზოდ, —
რისთვისაც გინდათ!..

არ მშურს მე სხვისი სახელი და
სხვისი დიდება,

ვარ განთიადზე ოცნებაში
ლამის მთევარი..
ნუ ჩამთვლი, ძმაო,
რომელიმე „იზმის“ მიმდევრად, —
მხოლოდ და მხოლოდ ნუაქი
პოეზიის ვარ მიმდევარი!..

უან ლანსელე (საფრანგეთი)

და ასე უმედეგ და სხვა და სხვა...

არიან ადამიანები,
რომლებიც ჯერ საჭმელს აჭმევენ, —
მერე ეფერებიან კატებს...

არიან ადამიანები,
რომლებიც მხოლოდ ეფერებიან კატებს...

არა, — ეს სრულიადაც არ არის ერთი და იგივე!

არიან ადამიანები,
რომლებიც მხოლოდ ხარობენ
ყვავილების დანახვისას...

არიან ადამიანები,
რომლებიც რწყავენ ყვავილებს...

არა, — ეს სრულიადაც არ არის ერთი და იგივე!...

არიან ადამიანები,
რომლებიც ჩვენ გვიჩვენებენ კეთილ საქმეთა ქმნას!...

არიან ადამიანები,
რომლებიც უსიტყვოდ, თავად მოიმოქმედებენ სიკეთეს!...

არა, — ეს სრულიადაც არ არის ერთი და იგივე!..

და ასე უმედეგ და სხვა და სხვა...

ერთმანეთს ადამიანები
სრულიადაც, სრულიადაც არ ჰგვანან!...



დღეს უოგაა

დაბადებისთანავე
 ქრისტემან ყრმამან
 ჭვარისაებრ გაშალა მკლავნი —
 გულს ჩასაკვრელად
 ვირის და ხარის,
 ძროხის და ძაღლის...
 და მათთან ერთად —
 მშობელი დედის,
 და მათთან ერთად —
 საშობაო საჩუქრებით
 დატვირთული ფოსტალიონის
 გულს ჩასაკვრელად
 გაშალა მკლავნი, —
 რადგან უყვარდა,
 ერთნაირად უყვარდა ყველა,
 ანუ ყოველი,
 ანუ ყველა უყვარდა ერთფერ!..

... მოკვდინებამდე
 გვმწყემსდა ესრე —
 ჭვარისაებრ გაშლილ მკლავებით!..

და... გარეცხილი პერანგით
 გააკრეს ჭვარზე,
 ანადა, — ვითა საფრთხობელა,
 გააკრეს ჭვარზე —
 საფრთხობლად ჩიტთა!..

□



მონოგრაფია

ინგლისურიდან თარგმნა **ლელა დუმბაძემ**

გათენებიდან მოყოლებული გახურებულ, გადათეთრებულ გზაზე უკვე ოცდაათ კილომეტრზე მეტი მარშით გაიარეს. აქა-იქ ჩარიგებული გზისპირა ხეები წამიერად უჩრდილავდნენ სავალს, მერე კი ისევ მზის გულზე მიაბიჯებდნენ. ვრცელი, მეჩხერი ჭალა ერთიანად ლაბლაპებდა სიციხეში: აქეთ მუქი მწვანე ჭვავის ყანები და ღია მწვანე ჯეჯილი, იქით ხნულები, მდელოები და შავი ფიჭვნარი გავარვარებულ, უღიმღამო დიაგრამასავით გაშლილიყო ცის კაშკაშა თალქვეშ. ხოლო პირდაპირ, გზის გარდიგარდმო აღმართულიყვნენ ცისფერი მთები და მათ გარინდულ, დათოვლილ კალთებს ნაზი ციალი გაუდიოდა ამ დამძიმებულ ატმოსფეროში. სწორედ იმ მთებისკენ მიიწევდა მარშით ლეგიონი; უკან ტოვებდა გზის ორივე მხარეს შორიშორ ჩამწკრივებულ ხეებს, ჭვავის ყანებსა და მდელოებს. მუქ მწვანედ მბზინავი ჭვავი სულისშემბუთავ ოხშივარს აფრქვევდა, თანდათან მოახლოებული მთები კი სულ უფრო მკაფიოდ იხაზებოდნენ. ჯარისკაცებს ფეხები ჩაუხურდათ, ჩაჩქნებქვეშ თავ-კისერზე ხვითქი გადასდიოდათ, ხოლო მხრებზე დაუსრულებელ ხახუნს ისე გადაეხურებინა ზურგჩანთები, რომ მათ ყოველ შეხებაზე უსიამოდ აჟრჟოლებდათ.

ის ხმაამოუღებლივ მიდიოდა, მიდიოდა და მიშტერებოდა მთავრეხილს, რომელსაც თითქოს მიწის გულიდან ამოეხეთქა, კალთები და ნაოჭები ერთმანეთში ჩაეხლართა და, ცასა და მიწას შუა გამოკიდებული, მის თვალწინ ზღუდესავით აღმართულიყო — ქათქათა თოვლით დასერილი ცისფერი ქიმებიით.

ახლა თითქმის აღარ უჭირდა სიარული. როცა ლეგიონი დაიძრა, გადაწყვიტა არ ეკოჭლა. პირველი ნაბიჯების გადადგმა გაუძნელდა, მთელი მილი სულშეგუბებულმა გაიარა და შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა; მაგრამ მაინც მოერია ტკივილს. ბოლოს და ბოლოს ეს ხომ უბრალო დაბეჭილობა იყო და სხვა არაფერი. დილით, როცა დგებოდა, მტკივან ადგილებზე დაიხედა და დაინახა, რომ თქმობები ერთიანად დალურჯებოდა; დადგა თუ არა ფეხზე, მძაფრმა ტკივილმა წამოუარა და არც განელებია. მოთმინება და თავშეკავება მის მკერდში გავარვარებული, მკვრივი ბირთვივით შეიკრა; და თუმცა სული ეხუთებოდა, მაინც მსუბუქად მიაბიჯებდა.

კაპიტანს ხელი აუკანკალდა ყავის სმის დროს — შიკრიკს კვლავ თვალ-
წინ დაუდგა იმდღიანდელი ამბავი; აბლა კი ცხენზე ამხედრებული კაპიტა-
ნი წინ, ფერმასთან მიჯირითობდა. მოხდენილი კაცი იყო, წითელი კანტილით
გაწყობილი ცისფერი სამხედრო ტანსამოსი ეცვა, შავი მუზარადი და დაშ-
ნის ქარქაში მზეში უელავდა. მისი ქურანის ხავერდოვან ფერდებს კი ოფიცარი
მუქ ზოლებად აჩნდა. შიკრიკი, თითქოს უხილავი ჯაჭვით მიემათო, კვლავ
მისდევდა, ვით განურიდებელი, შერისხული, უტყვი აჩრდილი. ოფიცერს გა-
მუდმებით ჩაესმოდა ზურგს უკან მიმავალთა მძიმე ფეხის ხმა და ისიც გრძნო-
ბდა შიკრიკის სიახლოვეს.

კაპიტანი საფეთქლებთან თმაშევერცხლილი ორმოციოდე წლის ახოვანი
მამაკაცი იყო. ეს დახვეწილი გარეგნობის კაცი დასავლეთში ერთ-ერთ საუკე-
თესო მხედრად ითვლებოდა. შიკრიკს მისთვის ტანის დახელაც ევალებოდა
და არაერთხელ მიუბჟურია აღტაცებული მზერა ბატონის საოცრად განვითა-
რებული კუნთებისათვის.

ეს იყო და ეს; სხვა მას არაფერი შეუნიშნავს. დაკვირვების უნარი სა-
ერთოდ არ გააჩნდა. ბატონის სახესაც იშვიათად ხედავდა; არ უყურებდა მას.

კაპიტანს წითური ხეშეში თმა მოკლედ შეექრა, მოკლედვე გაეკრიჭა ჯა-
გარა უღვაში; უხორცო პირისახე და დაღარული ლოყები ჰქონდა, მსხვილი
ტუჩები ხასიათის სისასტიკეს ავლენდა. შესაძლეთა ამ მამაკაცის თავისებურ
სილამაზეს დღენიადაგ შეჭმუხნილი შუბლი და ღრმა ნაოჭები ქმნიდა, რაც
ამასთანავე ცხოვრებას შეუგუებელი ადამიანის იერს აძლევდა. ბუჩქივით წა-
მოზრდილი ქერა წარბები კი ყინულივით ცივ, მოელვარე ცისფერ თვალებს
უჩრდილავდა.

ეს ქედმაღალი, ძალაუფლების მოყვარული არისტოკრატი დედის მხრი-
დან პოლონელი გრაფის შთამომავალი იყო. ჯერ კიდევ სიჭაბუკეში მთელი
ქონება ბანქოში გაანიავა და ვალები დაედო, რითაც მოსალოდნელი სამხედ-
რო კარიერა საბოლოოდ ჩაეფუშა და ქვეითი ჯარის კაპიტნის წოდებას დას-
ჯერდა. ცოლი არ შეურთავს, რადგან არც მდგომარეობა უწყობდა ხელს და
არც რომელსამე ქალს აღუძრავს მასში დაოჯახების სურვილი. თავისუფალ
დროს ხან ოფიცერთა კლუბში ატარებდა, ხან ჯირითში; ზოგჯერ კი, თავის რო-
მელიმე ცხენზე ამხედრებული, დოღშიაც მონაწილეობდა. დროდადრო საყვა-
რელსაც გაიჩენდა, მაგრამ ამის შემდეგ გამომეტყველება კიდევ უფრო მრის-
ხანე და უღმობელი უხდებოდა. საერთოდ ქვეშევრდომებთან თავის ხასიათს
არ ავლენდა, გულგრილი იყო, მაგრამ მოთმინებიდან გამოსული ნამდვილ სა-
ტანას ემსგავსებოდა. ამიტომ ხელქვეითებს არ სძულდათ, უბრალოდ ეშინო-
დათ მისი. ამ კაცს აღიქვამდნენ, როგორც ბედისწერას.

თავიდან კაპიტანი შიკრიკის მიმართაც გულგრილი, მიუკერძოებელი და
სამართლიანი იყო; წვრილმანებზე არ ედავებოდა და მსახურმაც არსებითად
თითქმის არაფერი იცოდა ბატონის შესახებ; იცოდა მხოლოდ ის, თუ რა
ბრძანებების გაცემა შეეძლო, ან როგორ მოითხოვდა მათ შესრულებას. ეს
კი დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. მაგრამ თანდათან ყველაფერი შეიც-
ვალა.

შიკრიკი ოცდაორიოდე წლის კარგად ჩამოსხმული, შუატანის ყმაწვილი
იყო; ჰქონდა ტლანქი და მძლავრი კიდურები, შავგვრემანი სახე და შავი, ფა-
ფუკი, ახალამოწვერილი უღვაში. მისი არსება სულ ერთიანად სითბოსა და
სინორჩეს ასხივებდა. მკაფიოდ გამოყვეთილ წარბებს ქვემოდან უაზროდ იმ-

ზირებოდნენ ფიქრს მოკლებული მუქი თვალები; ჩანდა, აღქმა ცხოვრებისა უშუალოდ გრძნობისმიერი უნდა ჰქონოდა, მის მოქმედებას კი მხოლოდ ინსტიქტი აუ განსაზღვრავდა.

ოფიცერმა თანდათან შეიგრძნო მუდამ მის სიახლოვეს მოფუსფუსე მსახურის ახალგაზრდული, მჩქეფარე, გაუცნობიერებელი ატყეპუნაჲ... ამ მოულოდნელმა აღმოჩენამ მთლიანად მოიცვა მისი გრძნობა... გრძნობა როცა ვაჟი ემსახურებოდა, სხვა ველარაფერზე ფიქრობდა. ეს ფიქრი მწველი ალივით მოეკიდებოდა ხოლმე ხნიერი კაცის ხმელსა და დაძაბულ სხეულს, რომელშიც თითქმის საბოლოოდ ჩამქრალიყო სიცოცხლის სხივი. ამ ჭაბუკში იყო რაღაც ლალი, თვითმყოფადი, მის მოძრაობაში კი ისეთი რამ, ოფიცერის ყურადღებას განუწყვეტლივ რომ იზიდავდა. ეს კი აღიზიანებდა პრუსიელს; სრულებით არ სურდა სიცოცხლის უშუალო შეგრძნებას მსახურის მეოხებით ზიარებოდა. მართალია, შიკრიკის შეცვლა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ რატომღაც არც ეს ინება. უბრალოდ, ახლა უფრო იშვიათად უსწორებდა თვალს, თავს მიაბრუნებდა, თითქოს ჭაბუკის დანახვას ერიდებო. მაგრამ მაინც როცა ჯარისკაცი მისთვის ჩვეული უაზრო გამომეტყველებით მიმოდოდა ოთახში, ოფიცერი თავისდაუნებურად უთვალთვალებდა მისი კისრის მოყვანილობას, ახალგაზრდული ჯან-ლონით სავსე მხრების მიმოხვრას ცისფერი ქსოვილის ქვეშ. ეს აღიზიანებდა ხნიერ კაცს. გული ბრაზითა და ზიზლით ევსებოდა, როცა დაინახავდა, როგორ ჩაებლუჯა პური ან ღვინის ბოთლი ჯარისკაცის გლეხურ, გარუჯულ ხელს, ახალგაზრდულსა და ლაზათიანად მოყვანილს... ოფიცერს ჯარისკაცის მოუხეშაობა კი არ აღიზიანებდა, არამედ ის, რომ მსახური გაუწვრთნელი ცხოველივით ბრმად და ლაღად მოძრაობდა.

ერთხელ, სადილობისას ბოთლი წაექცა და სუფრაზე წითელი ღვინო დაიღვარა. ოფიცერი გინებით წამოიჭრა ფეხზე და დაბნეულ ჭაბუკს მოლურჯო ცეცხლით აკიაფებულ თვალები შეანათა. ახალგაზრდა კაცს თავზარი დაეცა. იგრძნო, როგორ ჩაიძირა მის სულში რაღაცა ღრმად, ძალიან ღრმად, იქ, სადაც მანამდე არაფერს ჩაუღწევია. გაოგნებული იდგა. ბუნებით მინიჭებული შინაგანი მთლიანობა ნაწილობრივ დაერღვა და უხერხულობით შეეცსო. სწორედ ამ წუთიდან ორი მამაკაცი იდუმალმა გრძნობამ შეაკავშირა.

მას შემდეგ შიკრიკი ბატონთან პირისპირ შეყრას გაურბოდა. მეხსიერებაში გაუცნობიერებლად აღბეჭდვოდა ხნიერი კაცის შეჭმუხნილი შუბლი, მახვილივით ბასრი მხერა და სულაც არ აპირებდა ხელმეორედ შეფეთებოდა მას. ამიტომაც თვალს ვეღარ უსწორებდა, ცდილობდა, რაც შეიძლება შორს დაეჭირა თავი. ერთი სული ჰქონდა, დარჩენილი სამი თვე გასულიყო და მისი სამხედრო სამსახურის ვადა ამოწურულიყო. კაპიტნის თანდასწრებით იძაბებოდა; ახლა მას ოფიცერზე არანაკლებ უნდოდა, რომ არავინ და არაფერი შეხებოდა.

მთელი წელიწადი ემსახურა კაპიტანს და თავისი მოვალეობა კარგად აითვისა. ამ საქმეს ისე იოლად უძღვებოდა, თითქოს მთელი ცხოვრება სხვა არაფერი ეკეთებინოს. ოფიცერსა და მის ბრძანებებს ისევე ჩვეულებრივ მოვლენად თვლიდა, როგორც მზეს, წვიმას; ეს იყო მოვალეობა, რომელსაც სავსებით ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ასრულებდა.

ხოლო თუ ახლა ბატონი მასთან პირადი ურთიერთობის დამყარებას შეეცდებოდა, ის ხაფანგში გაბმულ, ნადირს დაემსგავსებოდა. გული უგრძნობდა ჯარისკაცს — უნდა განრიდებოდა კაპიტანს.

ახალგაზრდა კაცის არსებობამ უცნაურად იმოქმედა ბატონზე; დაურღვია ჰყავრი ცხოვრების წესი და ოფიცერში მამაკაცი ააფორიაქა. მაგრამ ამ ჯენტლმენად აღზრდილ კაცს, რომელსაც გრძელი, ნატიფი ხელები და დაიწყოლი მოძრაობები ჰქონდა, არაფრით არ შეეძლო თანდაყოლილ მიდრეკილებათა მოულოდნელ გამოდვიძებას რომ შეგუებოდა. ბუნებით ყინიანი და გულწრფელი გრძნობების მოთოკვას იყო ჩვეული, და მაინც რამდენიმე წელიწადი დღელამდეც მიიყვანა, ჯარისკაცებთანაც არაერთხელ აფეთქებულა. იცოდა, მოთმინების ძაფი ყოველ წუთას შეიძლება გაწყვეტოდა და ამიტომ მთელ ენერჯიას სამხედრო სამსახურის ერთგულებას ახმარდა. მისგან განსხვავებით ჯარისკაცის თბილი და მჩქეფარე ბუნება ერთიანად გარეთ ილტვოდა და მუღავენდებოდა მისი ტანის ყოველ შერბევაში, ისეთსავე განუმეორებელსა და ეშხიანში, როგორიც მხოლოდ ველურ ნადირთა ლალ მოძრაობას ახასიათებს. ეს კი სულ უფრო მეტად აღიზიანებდა ოფიცერს.

მიუხედავად დიდი სურვილისა, კაპიტანს უკვე აღარ შეეძლო გულგრილად მოპყრობოდა შიკრიკს, აღარ ასვენებდა: უთვალთვალებდა, განკარგულებებს უხეშად აძლევდა, ცდილობდა, რაც შეიძლება დიდი ხნით დაესაქმებინა, ხანდახან მოთმინებადაკარგული, უშიზეზოდ გაცხარებული ამცირებდა, მასხარად ივდებდა ახალგაზრდა ჯარისკაცს. ასეთ დროს შიკრიკი საკუთარ თავში ჩაიკეტებოდა და, თითქოს სმენა დაკარგაო, დაღვრემილი, სახეალეწილი ელოდებოდა, როდის დაცხრებოდა ოფიცერი: სიტყვების აზრი მის გონებამდე ველარ აღწევდა, რადგან ბატონში მოზღვავებული გრძნობებისაგან თავის დასაცავად ყურს იყრუებდა.

მარცხენა ხელის ცერა თითის გასწვრივ ჭაბუკს გრძელი, ღრმა ნაიარევი ჰქონდა. ამ ნაჭრილობევზე ფიქრი დიდი ხანია უცნაურად აწვალებდა ოფიცერს და უნდოდა რაიმე ელონა. მის თვალს უხეშად ხვდებოდა შემზარავი, მახინჯილარი ნორჩ, შავგვრემან კანზე. ბოლოს და ბოლოს მოთმინება გამოელოდა და ერთხელ, როცა შიკრიკი მაგიდაზე სუფრას აფენდა, თავი ველარ შეიმაგრა, ნაიარევი ფანქრის წვერი უჩხვლიტა და, ჰკითხა:

— როგორ შეგემთხვა ეს?

ახალგაზრდა კაცი შეკრთა და უნებურად უკან დაიხია.

— ნაჯახით, ჰერ ჰაუპტმან, — მიუგო მან.

ოფიცერი უფრო ვრცელ პასუხს მოელოდა, მაგრამ ამოდ; შიკრიკი უსიტყვოდ განაგრძობდა საქმიანობას. ბოლმა მოაწვა ხნიერ კაცს გულზე, მსახური აშკარად ერიდებოდა. მეორე დღეს ნებისყოფის სრული დაძაბვაც კი დასჭირდა, რათა ნაჭრილობევისათვის აღარ შეეხედა. არადა, დაუოკებელი სურვილი დაეუფლა — უნდოდა ხელი ჩაეველო მისთვის და სისხლმა მხურვალე ნიაღვარივით დაუარა ტანში.

ოფიცერმა იცოდა, შიკრიკს მალე გაუვიდოდა სამხედრო სამსახურის ვადა და სიხარულით შეეგებებოდა თავისუფლებას. ჯარისკაცი დაყინებით არიდებდა თავს ბატონს. კაპიტანს ეს სიგიჟემდე აღიზიანებდა. მარტოდ დარჩენილი მოუსვენრად წრიალებდა, ხოლო მის სიახლოვეს მოფუსფუსე შიკრიკს უსაზღვრო ტანჯვის გამომხატველ მზერას მიაპყრობდა. ეზიზღებოდა, სძაგდა ეს მუქი უაზრო თვალეები და ლარივით წარბეები; ახელებდა ჯიშიანი კიდურების ლალი მიმოხვრა, რომლის შესაბოჭად უძლური იყო ნებისმიერი სამხედრო დისციპლინა. კიდევ უფრო უხეშად და დაუნდობლად ეპყრობოდა; აშკარად

გამოხატავდა ზიზღს, აბუჩად იგდებდა ჭაბუკს. ახალგაზრდა ჯარისკაცი კი ამის საპასუხოდ უფრო სიტყვაძუნწი და გულჩაკეტილი გახდა.

— რა პირუტყვმა გმობა, თვალს რომ ვერ მისწორებ? თვალეში მიყურე, როცა გელაპარაკები!

და ჯარისკაცმა მორჩილად მიაპყრო უფროსის სახეს მუქი, მზერა-ჩამქრალი თვალები; ისე უაზროდ მისჩერებოდა, თითქოს უსწრაფესად მზერა, რათა ბატონის თვალებში ლურჯი ფერის გარდა სხვა არაფერი ამოეკითხა. ხნიერი კაცი გაფითრდა, შეუთამაშდა მოწითალო წარბები. დაუფიქრებლად გასცა მორიგი განკარგულება.

ერთხელ კი ჯარისკაცს ცხვირ-პირში სთხლიშა მძიმე სამხედრო ხელთათმანი, და მაშინ პირველად დაეუფლა უცნაური კმაყოფილების გრძნობა, როცა დაინახა, როგორ წამოენთენ ყმაწვილის თვალები, ალზე აგიზგიზებულ ხმელ ჩალასავით რომ აპრიალდნენ. და კაპიტანმა გესლიანად გადაიხარხარა, ოღონდ ხმა აუკანკალდა ოდნავ.

მაგრამ სულ ორიოდ თველა იყო დარჩენილი. შიკრიკი ინსტინქტურად ცდილობდა თავიდან აერიდებინა ხიფათი. თავის ბატონს ისე ემსახურებოდა, როგორც ემსახურებიან ხელისუფლებას და არა ადამიანს. ალღო კარნახობდა, რომ ყოველგვარი პირადული ურთიერთობისათვის, თუნდაც ეს სიმულვილი ყოფილიყო, როგორმე გვერდი უნდა აევილო; და მაინც ვერაფერი გააწყო. ოფიცრის ვნების საპასუხოდ ძალაუნებურად უღვივდებოდა ზიზღი. თუმცა გულში ღრმად ჩაიმარხა ეს გრძნობა, რომლის გამომჟღავნებას მხოლოდ მაშინ თუ გაბედავდა, როცა სამხედრო სამსახურს მიატოვებდა. ამ სიცოცხლით სავსე ჭაბუკს ბევრი ამხანაგი ჰყავდა; ხშირად სიყვარულით ფიქრობდა მათზე. ოღონდ ისე, თვითონაც რომ ვერ ხვდებოდა, მარტო იყო. მით უფრო მარტო იყო ახლა და ასე იქნებოდა სამხედრო სამსახურის ბოლომდე. მაგრამ ოფიცრის წრეგადასულ სიფიცხეს კარგი პირი არ უჩანდა და ჭაბუკი შიშმა აიტანა.

ჯარისკაცს მთიელი გოგო უყვარდა — ერთი ლალი და მარტივი ქმნილება. ხმაამოუღებლივ დასეირნობდნენ ხოლმე ერთად. სალაპარაკოდ როდი ხვდებოდა; უბრალოდ, უნდოდა ხელი გადაეხვია და მისი სხეულის სითბო შეეგრძნო. ამ დროს გულიდან სიმძიმე ეხსნებოდა, განიტვირთებოდა და დროებით ივიწყებდა კაპიტანის არსებობას. ჩაიკრავდა თუ არა შეყვარებულს გულში, განუზომელ შვებას გრძნობდა. და გოგონაც, მასავით უთქმელად, მთელი არსებით მიენდობოდა ვაჟს; მათ უყვარდათ ერთმანეთი.

კაპიტანი ყველაფერს მიხვდა და მთლად დაკარგა გონება. ყოველ საღამოს რაიმე საქმეს გამოძებნიდა, რომ როგორმე სახლში დაეკავებინა ჭაბუკი. თან კმაყოფილი აკვირდებოდა მის დანადგლიანებულ, მოღუშულ სახეს. ორი მამაკაცის მზერა იშვიათად თუ შეიყრებოდა: უმცროსს ჩიქვივით უცვლელი, არაფრისმთქმელი გამომეტყველება ჰქონდა, უფროსს კი დაუფარავი ზიზღითა და გესლით აღსავსე.

ოფიცერი თავს არ უტყდებოდა, რომ მის სხეულში ვნების ცეცხლი აგზნებულიყო. გადაჭარბებული სიშმაგე ურჩსა და უგუნურ მსახურზე განრისხებული ბატონის ბუნებრივ ემოციებს მიაწერა; ამგვარად გაიმართლა თავი, სხვა კი აღარაფერს დაეძებდა. მაგრამ დღემუდამ დაჭიმულ ნერვებს ვერაფერი მოუხერხა, იტანჯებოდა, ბოლოს იფეთქა კიდევ: ამჯერად ტყავის ქამარი გაულაწუნა მსახურს სახეში. როცა მისი დასისხლიანებული პირი და თვალში აკია-

ფეხული ცრემლი შენიშნა, თხემით ტერფამდე განიმსჭვალა ღრმა სიამოვნებით და სირცხვილის გრძნობით.

ახლა კი გამოუტყდა თავს, რომ მსგავსი რამ არასოდეს ჩაუდენია. ეს ბიჭი პირდაპირ ახელებდა! ცოტაც, და საბოლოოდ უმტყუნებდა ნერვულ ღრმე ღრმით იქაურობას გაეცალა, თან ქალი გაიყოლა.

მაგრამ ამას სიამოვნებასთან არაფერი ჰქონდა საერთო: თურმე ქალი სრულებით არ სჭირდებოდა! დათქმულ ვადამდე მაინც არ წამოვიდა. ბოლოს კი როგორც იქნა, დაადგა გზას, ჯოჯოხეთური ტანჯვითა და უმწეობით განადგურებული. მთელი საღამო მიაჭენებდა ცხენს და სახლში სწორედ ვახშმობის დროს მივიდა. მსახური შინ არ დაუხვდა. ოფიცერი ჩამოჯდა, ნატიფი ხელები მაგიდაზე დააწყო და გაირინდა; ერთიანად ამღვრეოდა სისხლი.

როგორც იქნა, მსახურიც შემოვიდა. ოფიცერმა ყურადღებით შეათვალიერა სხარტი და მძლავრი, სისხლსავსე ხეული, ლარივით წარბები, ხშირი შავი თმა. იმ ერთ კვირაში ჰაბუკს ძველებური, საღ-საღამათი იერი დაბრუნებოდა. ხელები შეუტოვდა კაპიტანს, თითქოს უეცრად ბობოქარმა ალმა წაბიანთოო. ახალგაზრდა კაცი კი იდგა გახევეებული, თავის თავში ჩაკეტილი და ბრძანებას ელოდა.

ვახშმის დროს სრული სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ შიკრიკი ჩანდა აფორიაქებული: ხმაურით ალაგებდა ჭურჭელს.

— ხომ არ გეჩქარება? — ჰკითხა ბატონმა და მსახურის გაფაციცებულ, შეფაკლულ სახეს დააკვირდა. მან პასუხი არ გასცა.

— მიპასუხებ თუ არა? — თქვა კაპიტანმა.

— დიახ, სერ, — მიუგო შიკრიკმა, რომელსაც ახლა სამხედრო მათლაფები ახორციელებდა ხელში. კაპიტანმა აღროვა, თვალეში შეხედა და ხელმეორედ ჩაეკითხა:

— გეჩქარება?

— დიახ, სერ, — გაისმა პასუხი.

კაპიტანი ერთბაშად წამოენთო.

— რატომ?

— წასვლას ვაპირებდი, სერ.

— ამ საღამოს მე დამჭირდება.

ოფიცერი წამით შეყოყმანდა, უცნაურად წამოუჭარხლდა სახე.

— დიახ, სერ, — გაისმა მსახურის მოგუდული ხმა.

— ხვალ საღამოსაც დამჭირდება. ერთი სიტყვით, შეგიძლია ჩათვალო, რომ თავისუფალი საღამო აღარ გექნება, სანამ მე თვითონ არ დაგიტხოვ.

— დიახ, სერ, — მიუგო შიკრიკმა, და წამით გახსნა მოკუმული ბაგე. შემდეგ ისევ კარისკენ შეტრიალდა.

— ერთი მითხარი, ეგ ფანქარი რისთვის გაგირჭვია ყურს უკან?

შიკრიკი შეყოვნდა, მერე უხმოდ განაგრძო გზა. ჭურჭელი კარს უკან დააწყო, ფანქარის ნატეხი ყურიდან მოიშორა და ჯიბეში ჩაიღო. ახლახან თავის შეყვარებულს დაბედების დღის მისალოც ბარათზე ლექსი გადაუწერა. ისევ შემობრუნდა მაგიდის ასალაგებლად. ოფიცერს თვალეში უხტოდა, ტუჩებზე კი ძლივს შესამჩნევად დასთამაშებდა ჟინიანი ღიმილი.

— რატომ გედო ფანქარი ყურზე?

შიკრიკმა დაგროვილი ჭურჭელი ხელებში მოიქცია. კაპიტანი დიდ, მწვა-რე ღუმელთან იდგა, სახე ოდნავ უღიმოდა, ნიკაპი წინ წამოწეოდა. ჯარისკაც-

მა შეხედა და გულმა რეჩნი უყო. თვალთ დაუბნელდა. ნაცვლად იმისა, რომ პასუხი გაეცა, კარისკენ გაემართა თავზარდაცემული. როცა ჭურჭლის ძირს დასადებად დაიხარა, უკნიდან მძლავრად ამოჰკრეს წიხლი და წინ გადავარდა. ჯამ-ჭურჭელი რახარუხით ჩაცვივდა კიბეზე. თვითონ უი მოსაჯირს ჩაეჭიდა. როგორც კი წამოდგომა დააპირა, მაშინვე წიხლი მოხვდა, შერე ისევ და ისევ, ვიდრე ძალაგამოცლილი უღონოდ არ ჩამოეკიდა კარისკენ. შემდეგ ბატონი ნაჩქარევად შევიდა ოთახში და კარი მიიხურა. ჭკეცდა სართულიდან მოახლე გოგომ ამოიხედა და დალეწილი ჭურჭლის შემხედვარეს სახე დამცინავად დაემანჭა.

ოფიცერს გული ეკუმშებოდა. ჭიქაში ღვინო დაისხა, ნაწილი ძირს დაედვარა, დანარჩენი ერთბაშად გადაჰკრა და გრილ, მწვანე ლუმელს მიეყრდნო. ესმოდა, როგორ აგროვებდა კიბეზე დაყრილ ჭურჭელს მისი მსახური. მომხამულივით გადაუფითრდა სახე. ასე იდგა და ელოდა. მსახური კვლავ შემოვიდა. როგორც კი ოფიცერმა შენიშნა, რომ თავზარდაცემული ყმაწვილი ტკივილისაგან ძლივს იდგა ფეხზე, მყისვე სიმწარენარევი სიამოვნების გრძნობით აევსო გული.

— Shöner! — აღმოხდა მას.

ჯარისკაცი ცოტა მოგვიანებით მოეგო გონს.

— დიახ, სერ.

ჭაბუკი ოფიცრის წინ იდგა: გულისამაჩუყებელი სანახავი იყო მისი ნორჩი უღვაში და შავგვრემან, გლუვ შუბლზე ლამაზად გავლებული წარბების ხაზი.

— მე რაღაც გკითხე.

— დიახ, სერ.

მეავასავით თუთქავდა ოფიცრის ტონი.

— რად გინდოდა ფანქარი ყურზე?

ჭაბუკს კვლავ გამალებით აუძგერდა გული და სუნთქვა შეეკრა. იდგა იატაკში ჩასობილი სარივით გახევებული, უგონო. ავისმომასწავებელმა ღიმილმა გაიღვია ოფიცრის თვალებში. მან ფეხი შემართა.

— შემთხვევით დამრჩა, სერ, — ძლივს ამოილულულა ჯარისკაცმა და მოუსვენრად აწრიალებულ ლურჯ თვალებს თავისი მუქი თვალები მიაშტერა.

— რაში დაგჭირდა?

ჭაბუკს მკერდის გახშირებულ მოძრაობაზე დაეტყო, რომ შესაფერ სიტყვებს ეძებდა.

— ვწერდი.

— რას წერდი?

ჯარისკაცმა ისევ შეავლო თვალი კაპიტანს და ძირს დაიხედა. ოფიცერს ესმოდა მისი ქშენა. კვლავ გაუელვა ღიმილმა ლურჯ თვალებში. ჯარისკაცი ცდილობდა გამშრალი ხორხიდან როგორმე ხმა გამოეღო, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. უცებ ღიმილმა აღმურივით წამოანთო ოფიცრის სახე და შიკრიკს თეძოზე მძლავრად მოქნეული წიხლი მოხვდა. ახალგაზრდა კაცი შეტორტმანდა. მკვდრისფერი დაედო, უაზროდ გაუშტერდა თვალები.

— აღარ იტყვი?! — თქვა ოფიცერმა.

შიკრიკს პირი გაუშრა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ენა ხეშეშ, ხაოი-

ან ქაღალდს ეხახუნებოდა. უშედეგოდ ცდილობდა ხმის ამოღებას. ოფიცერი
მა წიხლი შემართა. მსახურს სახეზე სისხლი მოაწვა.

— ლექსს ვიწერდი, სერ, — გაისმა გაბზარული, არაბუნებრივად შეცვლილი ხმა.

— ლექსს, რა ლექსს? — იკითხა კაპიტანმა და ბაგეზე ზიზღისკრებში დახმობილი გამოესახა.

ისევ ამუშავდა ხორხი. უცებ კაპიტანს გული ტყვიასავით დაუძიმდა; ერთბაშად მოეშვა და მოითენთა.

— ჩემი გოგოსათვის, სერ, — ჩაესმა მოგუდული, არაადამიანური ხმა.

— ოჰ! — აღმოხდა ოფიცერს და პირი იბრუნა, — აალაგე მაგიდა.

— ქ-ხ, — ისმოდა ჭარისკაცის ხორხიდან; შემდეგ ისევ, — ქ-ხ, — და მერე, ძლივს გასაგონად: — დიახ, სერ.

ახალგაზრდა ჭარისკაცი უცებ ბებერს დაემსგავსა, კარებამდე მილასლასდა და ოთახიდან გავიდა.

მარტოდ დარჩენილი ოფიცერი არ განძრეულა, მას ფიქრისა ეშინოდა. გუმანით გრძნობდა, რომ ახლა არ უნდა ეფიქრა. მისი არსების სიღრმეში ჭერ კიდევ არ დამცხრალიყო დაკმაყოფილებული ჟინით მინიჭებული უდიდესი სიამოვნების გრძნობა. შემდეგ ყველაფერი უკულმა დაუტრიალდა — სულის სიღრმეში რაღაცა შემზარავად ჩაემსხვრა და ჯოჯობეთური ტკივილი მიაყენა. დაახლოებით ერთ საათს გაუნძრევლად იდგა შეგრძნებათა ქაოსით გარემოცული, ერთი სურვილით შეპყრობილი — შეენარჩუნებინა ეს გაბრუებული მდგომარეობა, რათა მის ცნობიერებას ვერ მოესწრო მომხდარის გააზრება. ასე იდგა, ვიდრე სულიერი შეტევის უძლიერესმა ტალღამ არ გადაუარა, მერე კი სასმელს მიეძალა, გამოთვრა და გონებაშიხდილს ჩაეძინა. დილით სულით ხორცამდე შეძრწუნებულს გამოეღვიძა, მაგრამ იმის გამორკვევას როდი მოჰყვა, თუ რა ჩაიძინა; პირიქით, უსიამოვნო ფიქრები არც კი გაივლო თავში, ერთიანად უკუაგდო და ინსტინქტების მსგავსად ისინიც ჩაახშო, მიჩქმალა. ამ საღად მოაზროვნე ადამიანს აღარაფერი ესაქმებოდა გუშინ მომხდარ ამბავთან. უბრალოდ, ნაბახუსევი კაცივით თავს ცოტა უქვეიფოდ გრძნობდა, წინაღამინდელი შთაბეჭდილებები კი სქელ ბურუსში ჩაძირულიყო და სამუდამო დავიწყებას მისცემოდა. მის მეხსიერებაში არც ვნების სიმთვრალეს და ეტოვებინა რაიმე კვალი; და იმ დროისათვის, როცა შიკრიკმა ყავა მიართვა, ოფიცერი ზუსტად ისეთივე დაუხვდა, როგორიც წინა დილით იყო. მან სავსებით უარყო წინაღამინდელი შემთხვევა, შთაიგონა და ირწმუნა კიდევ მისი არარსებობა. ერთი სიტყვით, მას არაფერი ჩაუდენია. თუკი რაიმე საერთოდ მოხდა, დაე ურჩმა და ბრყვმა მსახურმა თავის თავს მოჰკითხოს!

მთელი ის საღამო შიკრიკი გამოთავყვანებულებით დაბორიალებდა ოთახში. ყელი უწრებოდა, ცოტა ლუდი მოსვა, მაგრამ ბევრი აღარ დალია, რადგან ალკოჰოლმა მთელი სიმწვავეით მოაგონა განცდილი, ამის ატანა კი აღარ შეეძლო. თითქოს ჩვეულებრივი ადამიანის სასიცოცხლო ძალებიდან ცხრა მეათედი გამოაცალესო, ისე იყო გასავათებული. დასახიჩრებული ძლივს დალოდავდა. და მაინც საკმარისი იყო გახსენებოდა, როგორ დაწიხლა ბატონმა, რომ უმალ ბოლმით ევსებოდა გული; ხოლო როცა გაიფიქრებდა, ოთახში შებრუნებული როგორ აიტანა შიშმა — ბატონმა კიდევ არ დამწიხლოსო, სისხლი ტვინში ასხამდა და ლამის გონება დავკარგა; მაგრამ ყველაზე მწარე, სულის მობრუნების საშუალებას რომ აღარ აძლევდა, იმ ბოლო დარტყმის მოგონება

იყო. აიძულეს ეთქვა — ჩემი გოგონასათვისო! ისე გასავათდა, ტირილის თავიც კი არ ჰქონდა. ლენჩივით დაედო პირი. სრულიად გამოფიტული, დაცლილი იყო. ასე გონებაარეული მაინც შეუდგა საქმიანობას: ნელა, უგერვილოდ ჯახირობდა, მოუხერხებლად აფათურებდა ჯაგრისებს და როცა ჩამოჭდებოდა, ძალ-ღონეს ველარ იკრებდა წამოსადგომად. უსიცოცხლოდ ჩამოჰკიდებოდა ყბა, მთლიანად მოდუნებოდა კიდურები. საოცრად სწრაფად ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია საწოლამდე და დაწვა. მოშვეშელი და გათანგული მიეცა ძილს, რომელიც გრძნობამიხდილი ადამიანის უგონო მდგომარეობას უფრო ჰგავდა, ვიდრე მოსვენებას: ეს იყო მტანჯველი ხილვებით დაცხრილული უკუნი ღამე.

ღილით მანევრები იწყებოდა. მაგრამ მას უთენია, საყვირის ხმამდე გამოედვიდა. საშინელმა ტკივილმა მკერდში, ყელის სიმწრალემ და უმწეობის გაუნელებელმა გრძნობამ დაუფრთხო ძილი, გაახელინა თვალი და უძირო დარღით აღავსო. ფიქრი არც დასჭირვებია, ისედაც იცოდა, რა მოხდა. ისიც იცოდა, რომ მალე გათენდებოდა დღე, როცა ძველებურად უნდა დაეჭირა საქმის თადარიგი. საღაცაა ღამის ბინდი საბოლოოდ გაიხვეტებოდა ოთახიდან და მასაც მოუწევდა გათანგული სხეულის წამოწევა, ამოძრავება. ჯერ ისეთი ახალგაზრდა იყო და ცხოვრებაშიც ისე ცოტა რამ გამოეცადა... აღარ იცოდა, რა ექნა, რა ელონა. მხოლოდ ერთი ნატვრა ჰქონდა ახლა — უსასრულოდ გაგრძელებულიყო ეს ღამე, რათა შეძლებოდა გაუნძრევლად წოლილიყო უკუნი წყვილიდით შებურული. მაგრამ დღის მოსვლას ვერაფერი დააკავებდა; უნდა ამდგარიყო და შეეკაზმა კაპიტნის ცხენი, უნდა მოედულებინა ყავა. მერე მოეჩვენა, რომ ეს შეუძლებელი იყო. მაგრამ რომ არ მოასვენებდნენ? — უნდა წასულიყო და მიერთმია ყავა კაპიტნისათვის! მღელვარებამ მთლად დაუბინდა გონება. თუმცა ერთი რამ მაინც იცოდა დანამდვილებით — ამას ვერ განერიდებოდა, ვერ განერიდებოდა. რაგინდ დიდხანს წოლილიყო ასე გახვეშებული.

ბოლოს რის ვაი-ვაგლანით წამოდგა. ტანი უსიცოცხლო მასად გადაქცეოდა. თითიც რომ გაენძრია, უდიდესი შინაგანი ძალდატანება სჭირდებოდა. იმან საბოლოოდ აუბნია თავგზა, დააძაბუნა. თან ისე გაუმწვავდა ტკივილი, რომ სიმწრისაგან საწოლს ჩააფრინდა. მაშინ დაიხედა თემოებზე და მუქ კანზე ლურჯი ლაქები შენიშნა. იცოდა, თითის ოდნავი დაკარებაც საკმარისი იქნებოდა, რომ გული წასვლოდა. მაგრამ ეს არაფრით არ უნდა მომხდარიყო: არავის არ უნდა სცოდნოდა მისი ამბავი, კაციშვილს არ უნდა შეეტყო, რა დაემართა. ეს მხოლოდ მას და კაპიტანს ეხებოდა. მისთვის ორად ორი სულიერიდა არსებობდა მთელ სამყაროში — თვითონ და მისი ბატონი.

ნელა, ფრთხილად ჩაიცვა და თავს ძალა დაატანა, რომ როგორმე ნაბიჯი გადაედგა. მხოლოდ იმ საგნებს შეიგრძნობდა გარკვევით, რომელთაც ხელით ეხებოდა. მაგრამ საქმეს მაინც მოაბა თავი. დაბინდული გონება სწორედ ამ ტკივილმა გამოუცოცხლა. თუმცა მთავარი განსაცდელი, ჯერ კიდევ არ გადაელახა: ლანჯარი ხელში აიღო, მეორე ხართულზე ავიდა და კაპიტნის ოთახისაკენ გაემართა.

ოფიცერი ფერმიხდილი, პირქუში სახით მიჯდომოდა მაგიდას. ჯარისკაცმა სალაში მისცა და უცებ მოეჩვენა, რომ თვითონ გაქრა, გაუჩინარდა. ამ აზრმა წამით დათრგუნა და ადგილზე გააქვავა; მერე თავს მოერიო, თითქოს კიდევ დაიბრუნაო გამქრალი არსებობა; მაგრამ ახლა კაპიტნის გამოსახულება

ვახდა ბუნდოვანი, გაურკვეველი. გამალებით აუძგერდა გული ახალგაზრდა ჯარისკაცს; უნდოდა დაეჭვებინა, რომ კაპიტანი მართლაც არ არსებობდა, რათა თვითონ შეენარჩუნებინა სიცოცხლე. მაგრამ როცა შეამჩნია, როგორ აუკანკალდა ოფიცერს ხელი ყავის სმის დროს, ერთბაშად დაემსხვრა იმედით. ოთახიდან მიმავალს კი მოეჩვენა, თითქოს თვითონაც ამ იმედგერევივით დაემსხვრა და ნაწევრდებოდა...

ცოტა ხნის შემდეგ ამხედრებული კაპიტანი თოფითა და მხარზე მოკიდებული ზურგჩანთით მიწაზე მდგომ ჭაბუკს განკარგულებებს აძლევდა. და მაშინ ტკივილისაგან სულშეგუბებულმა ჯარისკაცმა გაიფიქრა, რომ იქნებ ჯობდა, იქნებ მართლაც ჯობდა ყოველივე მომხდარზე თვალი დაეხუჭა. მაგრამ მოგვიანებით, დაუსრულებელ გზაზე სიარულით გაწამებული და ხახაგამომშრალი, მთელი მისი არსება ერთმა დაუოკებელმა, თუმცა ჯერ ბუნდოვანმა სწრაფვამ აიტანა — როგორმე გადაერჩინა თავი.

II

თანდათან შეეჩვია ყელის სიმშრალეს. ეს დათოვლილი მწვერვალები, სადაც, შუაგულ ცაში რომ ელვარებდნენ, და მომწვანო-ოეთრი ყინულოვანი მდინარე ქვემოთ, ხეობის მარჩხოვებში რომ მიიკლავნებოდა, თითქმის ზებუნებრივად ეჩვენებოდა. მაგრამ სიცხეს და წყურვილს ლამის გაეგოებინა. მაინც არ წუწუნებდა, მილასლასებდა თავისთვის. არ უნდოდა ლაპარაკი, არავისთან არ უნდოდა... მდინარის თავზე წყლის შხეფის თუ ფიფქის მსგავსი ორი თოლია კრთოდა. მზეში ჩახურებული ჭვავი გულისამრევად ყარდა. მარში კი გრძელდებოდა მონოტონურად, როგორც უქმურ ზმანებაში.

მარაგზის გასწვრივ განივად იდგა ფერმის დაბალი შენობა. მის ეზოში წყალი გამოეზიდათ კასრებით. მოწყურებული ჯარისკაცები უმაღლეს გარს შემოერთყნენ; მოიხადეს ჩაჩქნები და ოფლიანი თმიდან ბული აუვიდათ. კაპიტანი იჭდა ცხენზე და აქეთ-იქით იცქირებოდა; შიკრიკს დაეძებდა მისი ცეცხლოვანი, ელვარე თვალები ჩაჩქანს დაეჩრდილა. მაგრამ უღვაში, პირი და ნიკაპი მზეში გამოკვეთილად მოუჩანდა. ამ მხედრის თვალთახედვის არეს შიკრიკი ვერ გასცდებოდა. ეს აზრი როდი აფრთხობდა, როდი აშინებდა ჯარისკაცს; უბრალოდ თავს ისე გრძნობდა, თითქოს გამოეშიგნათ, ნიუარასავით გამოეცარიელებინათ. ის ახლა ერთი უარსო, ამ მზისქვეშეთში უჩინრად მხოხავი ლანდი გამხდარიყო. და თუმცა საოცრად სწყუროდა, წყალს ვერ დაღევდა, ვიდრე კაპიტნის სიახლოვეს გრძნობდა, ვერც ჩაჩქანს მოიხდიდა ოფლიანი თმის შესაშრობად. ამ მდგომარეობიდან გამოსვლას და გამორკვევას ერჩინა ისევ ჩრდილში დარჩენილიყო. უეცრად შეკრთა, დაინახა, როგორ ამოჰკრა მზინავი დეზი ცხენს ფერდში კაპიტანმა და ოთხით გაქუსლა. ახლა კი შეეძლო ისევ ჩაეყვინთა სიცარიელეში.

ამ მზიანი, თაკარა დილიდან ჯარისკაცი თითქოს ამოეგდოთ, ამოეშალათ. მის ადგილას ფარღალაა წარმოქმნილიყო. რაც შეეხება კაპიტანს, ის კვლავინდებურად არხეინად, თავმომწონედ მიჯირითობდა წინ. შიკრიკი მთელი არსებით წამოენთო: თავისი ძალაუფლების სიმადლიდან ოფიცერი მორჭმული და თავდაჭერებული ჩანდა; თვითონ კი აჩრდილივით უარსო... ისევ დაუარა მხურვალე ტალღამ მთელ სხეულში და გააბრუა. მაგრამ ახლა უფრო ძალუმად აუძგერდა გული.

ლეგიონი მთას აუყვია, იქ წრე უნდა დაერტყათ უკან გამოსაბრუნებლად. დაბლა, ხეების სიღრმიდან სამრეკლოს ზარმა დარეკა. ჯარისკაცმა დაინახა, ფეხშიშველა მთიბავეებმა როგორ გაიდეს მხარზე ბრტყალივით მოკაუჭებული ელვარე ცელები და მობიბინე მინდვრიდან თავქვე დაეშვნენ. ისინი სიზმარულ ჩვენებებს ჰგავდნენ და თითქოს არაფერი ჰქონდათ საერთო მასთან; თითქოს ეს შავბნელ სიზმარში ხდებოდა, სადაც მის გარდა ყველაფერი არსებობდა ყველაფერს ჰქონდა ფორმა; მარტო თვითონ იყო ხორცშეუსხმელი ცნობიერება, ფულურო, რომელსაც მხოლოდ ფიქრი და აღქმა შეეძლო.

ჯარისკაცები უხმოდ მიაბიჯებდნენ მზით გაჩახჩახებულ მთის ფერდობზე. მერე ყველაფერი დაუტრიალდა ირგვლივ, თავბრუ ეხვეოდა. შიგადაშიგ თვალზე ლიბრი გადაეკვროდა და თითქოს დაორთქლილი მინიდან უმზერსო სამყაროს, ბუნდოვან, სიფრიფანა ლანდებს ხედავდა. ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ტკივილი ჩაქუჩივით ურტყამდა თავში.

ჰაერში ისეთი ბული ტრიალებდა, რომ სუნთქვა ჭირდა. გეგონებოდათ, ათასგვარი ბალახეულიდან იმდენ ხანს ეონა აორთქლებულმა წვეწმა. სანამ ჰაერი არ გააჯერა ამ საზარელი, გულისამრევი სუნითო. სამყურას სურნელება, ნამდვილ თაფლსა და ფუტკარს რომ აგონებდა, წიფლნართან მიახლოებისას აუტანელ, მძაფრ სუნში აირია. უფრო მოშორებით, იქ, საიდანაც ყრუ პაკაბუკი მოისმოდა, საზარლად ყარდა ჰაერი. როცა ცხვრის ფარას ჩაუარეს, შავნაბდიანი მეცხვარე დაინახა, მას ხელში კომბალი ეჭირა. უცნაურად ეჩვენა, რომ ამ პაპანაქება სიცხეში ცხვრები ერთმანეთს ეკვროდნენ. უცებ თავში გაუელვა, რომ ალბათ მეცხვარე ვერ დაინახავდა მას, თუმც თვითონ მშვენივრად ხედავდა მეცხვარეს.

როგორც იქნა, შესვენების დროც მოვიდა. ჯარისკაცებმა შაშხანები ჯოჯინებად შეაყენეს, გარშემო ზურგჩანთები შემოუწყვეს. შემდეგ მთის ფერდობს შეეფინენ და იქვე, ბორცვზე განლაგდნენ. ალაპარაკდნენ. ყველა ოფლად იღვრებოდა, მაგრამ ხალისი არ დაეკარგათ. მარტო ის იჯდა გარინდული და მიჩერებოდა მისგან ოციოდე კილომეტრით დაშორებულ ცადაზიდულ ლურჯ მთებს. ქედებში ლურჯი ტაფობი შენიშნა; ამ ტაფობის ძირას მდინარის ფართო, მკრთალ კალაპოტს მოჰკრა თვალი. მომწვანო-თეთრი წყალი მოვარდისფრო-მონაცრისფრო მარჩხობებში ლივლივებდა, გარშემო მუჭი ფიჭვნარი გაშლილიყო. თვალუწვდენელი სიშორიდან მოიკვლევდა გზას ეს მდინარე, მაგრამ აქედან მაყურებელს ეგონა, პირდაპირ მთის გულიდან მოედინებოთ. დაახლოებით ერთი მილის დაშორებაზე ვილაცა ბორანს მართავდა. უფრო ახლოს, მწვანედ შეფოთლილი წიფლნარის კიდესთან მიყუყულიყო წითელსახურავიანი ფერმის ფართო შენობა თეთრი კედლებითა და პაწია ფანჯრებით. აქა-იქ მიწა სამყურას, ჰვავსა და ბაც, ნორჩ ჯეჯილს აეჭრელებინა. ხოლო ქვემოთ, ბორცვის ძირას, რუხი ჭაობი მოჩანდა: წერწეტ ღეროებზე სუნთქვა-შეკრულებივით გაშეშებულიყვნენ უძოვარას ყვავილები. დროდადრო რომელიმე მოოჭროსფრო ბუშტი იფეთქებოდა და წამით ბრტყვიალა ნამსხვრევი გადაეკიდებოდა ჰაერში. სადაცაა ჩასთვლემდა კიდევ...

მაგრამ მის თვალწინ, ამ ფერად ჩვენებაში უეცრად რალაცა შემოიჭრა: ეს ცხენზე ამხედრებული კაპიტნის პატარა, ლურჯ-წითელი ფიგურა მოიკვლევდა გზას ყანებს შორის, მთის ბრტყელი შვერილის გასწვრივ. უკან მეორე კაცი მოყვებოდა, რომელიც დროშებით ნიშანს იძლეოდა. ამაყად და მშვიდად მოიწევდა წინ მედიდური, თავმომწონე მხედარი, რომელზეც თითქოს მთელი

სიუხვით დაეღვარა მზეს ბრწყინვალეზე, ირგვლივ კი მისგან ასხლეტილი მკრთალი ნათელი ეფინა მხოლოდ. ახალგაზრდა ჯარისკაცი მოშვებული, ბედს მინდობილი იჯდა და ერთ წერტილს მიშტერებოდა. მაგრამ როგორც კი ცხენოსანმა სვლა შეანელა და ბორცვისკენ ამომავალ ციცაბო ბილიკს ამოუყვებოდა, მკრთალს აღმური მოედო. იჯდა და იცდიდა. თავი ისე დაუშვიძლდა, თითქოს ვეება კოცონი უგიზგიზებდეს. ჭამა არ უნდოდა; ვერაფრით ვერ უძლიძლიდებდა მთრთოლვარე ხელებს. ამასობაში ცხენზე ამხედრებული ოფიცერი დინჯად, ამყად უახლოვდებოდა. შიკრიკი უფრო დაიძაბა. მერე კი, როცა დაინახა, რომ კაპიტანი უნაგირზე მოეშვა და სვლა შეანელა, უმაღლესი მოეკიდა გულზე.

ოფიცერმა გახედა ფერდობს და მთლიანობაში აღიქვა იგი ერთ ცისფრად და წითლად მოჩითულ მონაკვეთად, რომელიც მჭიდროდ მსხდომ ჯარისკაცთა თავებს მუქად დაეწინწკლა. კმაყოფილი დარჩა: მბრძანებლობა სიამოვნებას ჰგვრიდა, სიამაყის გრძნობით აღავსებდა. ამათში ერია მისი შიკრიკიც — ერთი რიგითი ხელქვეითთაგანი... ოფიცერი უზანგებზე წამოიწია და გამოხედა; ახალგაზრდა ჯარისკაცი დაყურსული იჯდა და განზე იცქირებოდა. კაპიტანი ისევ მოეშვა უნაგირზე. მისი წაბლისფერი ქურანი, მოხდენილი და ტანწერწეტა, მედიდურად აუყვებოდა აღმართს. როგორც კი ლეგიონის გარემოცვაში შეიჭრა, მაშინვე ეცა მამაკაცის, ოფლისა და ტყავის ჩახუთული, მძაფრი სუნი. ამას ჩვეული იყო. რაღაც გადაულაპარაკა ლეიტენანტს, მერე რამდენიმე ნაბიჯიც აიარა და ყველაზე ზევით შედგა, როგორც უმნიშვნელოვანესი ფიგურა. მისი გახვითქული ცხენი კუდის თამაშს მოჰყვებოდა, თვითონ კი უთვალთვალედა ქვეშევრდომებს, მათ შორის შიკრიკსაც, რომელიც არარაობასავით გათქვეფილიყო ხალხის ბრბოში.

ახალგაზრდა ჯარისკაცს გული ცეცხლივით უხურდა მკერდში და სუნთქვას უძნელებდა. ოფიცერი ზემოდან დასცქეროდა ფერდობს, საში ჯარისკაცი დაინახა, ერთს წყლით სავსე ვედროები მიჰქონდა და ტორტმანით მიუყვებოდა ხასხასა, მზიან მდელს. შორიახლო, ხის ქვეშ, მაგიდა გაემართათ. იქვე დიდი ამბით საქმიანობდა ტანწერწეტა ლეიტენანტი. ბოლოს და ბოლოს ოფიცერმა სითამამე მოიკრიბა და თავისი შიკრიკი იხმო.

ბრძანება რომ გაიგონა, ახალგაზრდა ჯარისკაცს ყელში მოეგინა ცეცხლი. სულშეხუთული, თვალდაბინდული წამოდგა. ისე მიესალმა ზემოდან მაცქერალ ოფიცერს, თავი არც აუწევია. მაგრამ კაპიტნის ხმაში მღელვარება მოესმა:

— წადი საფუნდუკეში და მომიტანე... — ბატონმა განკარგულებები გასცა. — მარდად! — დაუმატა მან.

ეს ბოლო სიტყვა მსახურის გულს ლაზვარივით მოხვდა. უცნაური ძალა ჩაუდგა სხეულში. და მაინც, ბრძანების შესასრულებლად უნებურად შეტრიალდა, ძუნძულით დაუყვებოდა აღმართს. ჩექმებს ზემოდან შარვლის ტოტები ებერებოდა. ოფიცერი თვალმოუწყვეტლივ შესცქეროდა ჯარისკაცს, ასე ბრმად, თავგამეტებით რომ ეშვებოდა თავქვე.

თუმცა შიკრიკის უნებური და თვინიერი მორჩილება მხოლოდ გარეგნული და მოჩვენებითი იყო. მის მკერდში ამასობაში დაგუბდა და მკვრივი მუშტივით შეიჭრა ახალგაზრდა კაცის მთელი ცხოველმყოფელი ძალა. დავალება შეასრულა თუ არა, უკან გამობრუნდა და მძიმე, მაგრამ სწრაფი ნაბიჯით აუყვებოდა ფერდობს. სიარულისაგან ისე სტკიოდა თავი, რომ უნებლიეთ სახე

ემანჭებოდა. მაგრამ შუაგულ მკერდში ახლა კი შეიგრძნობდა თავის თავს — მტკიცეს, უძლეველს, რომელსაც ველარაფერი დაშლიდა და დაბანჯერებდა. კაპიტანს ტყისკენ აეხვია. შიკრიკი ჯარისკაცებს შორის მიბარბაცებდა. მასაც სცემდა ჩახურებული, მქისე სუნი. უცნაური ძლიერება ჩადგოშოდა სხეულში. კვლავინდებურად კაპიტანიც კი ველარ თრგუნავდა მის წინაშე. მალე ტყის მწვანე ზღურბლს მიაღგა. შორიახლო ქურანა დაინახა; წაბლისფერი ტანი ნახევრად ჩრდილში მოქცეოდა, ზედ მზის სხივები და ათრთოლებული ფოთლის ჩრდილები დასთამაშებდა. როგორც ჩანს, ცოტა ხნის წინათ აქ ტყე გაეკაფათ. იქვე, მოოქროსფრო-მწვანე ჩრდილში, გავარვარებული მნათობის სხივებისაგან თავი შეეფარებინა ორ მამაკაცს. მათ ლურჯ ტანსაცმელზე წითელი ზოლები გამოიკვეთებოდა. კაპიტანი თავის ლეიტენანტს ესაუბრებოდა.

შიკრიკი მზით გაჩახჩახებული ახოს კიდეზე იდგა, სადაც ვეება ხეების ლაპლაპა მორები შიშველი, გარუჯული გვამებივით ეყარა ძირს. ნაფოტები მზის ათინათებივით მობნეულიყო გატკეპნილ მიწაზე. აქა-იქ ძირკვების ბრტყელი, ნედლი ზედაპირი კრთოდა. უფრო მოშორებით კი მწვანედ გაქქონდა ლალანი წიფლნარს.

— მერე მე წავალ წინ, — მოესმა შიკრიკს კაპიტნის ხმა. ლეიტენანტი გამოეთხოვა და წავიდა. მაშინ თვითონ შიკრიკი დაიძრა. ცხელმა ტალღამ დაუოუთქა გულ-მუცელი.

კაპიტანი თვალებით ჭამდა მისკენ ბარბაცით მიმავალი ჯარისკაცის უჩვეულოდ დამძიმებულ, ტლანქ სხეულს და მანაც იგრძნო მხურვალე ყრყოლა სისხლძარღვებში. ორი მამაკაცი პირისპირ ხვდებოდა ერთმანეთს. მძიმე ნაბიჯით მიახლოვებული ჭაბუკის თავჩაქინდრულ, ბრგე ფიგურას ოფიცერმა უნებურად გზა დაუთმო. შიკრიკი დაიხარა, საჭმელი ბრტყლად მოხერხილი ხის ძირკვზე დადო. კაპიტანმა თვალი გააყოლა მის ლაპლაპა, მზით დამწვარ შიშველ ხელებს. უნდოდა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მსახურმა ბოთლი თედოზე მიიყრდნო, საცობი ამოაძრო და ლუდი კათხაში ჩაუსხა. თავი არ აუწევია. კაპიტანმა კათხა ჩამოართვა.

— ცხელა! — მის ხმაში თითქოს კეთილგანწყობილება იგრძნობოდა.

შიკრიკის გულს ისეთი მაგაბუგი გაქქონდა, კინალამ გაიგუდა.

— დიახ,სერ. — კბილებში გამოსცრა მან.

ესმოდა, როგორ ულაპავდა ლუდს კაპიტანი და უცებ მაჯებში ისეთი აუტანელი ტკივილი იგრძნო, რომ მუშტები მაგრად შეკუმშა.

კათხის ხუფი ტკაცუნით დაიხურა. კაპიტანს ახედა — ის ისევ მას მისჩერებოდა. მაშინვე იბრუნა პირი. მერე შეამჩნია, როგორ დაიხარა ოფიცერი ძირკვიდან პურის ასაღებად, როცა მის ფეხთით წაკუზული კაცის ხმელი ტანი დაინახა, ისევ წამოენთო შინაგანად და უცნაურად შეუტოკდა ხელები. განზზე გაიხედა. იგრძნო, ოფიცერი ლელავდა: მან პური გადატეხა, ნაწილი ძირს დაუვარდა და მეორე ნაჭერს შეექცა. ორი მამაკაცი დაძაბული, გაშეშებული იდგა პირისპირ: ბატონი პურს ლეჭავდა, მუშტებმოკუმული მსახური კი განზე იტყირებოდა.

უეცრად ახალგაზრდა ჯარისკაცი შეკრთა: ოფიცერმა ისევ ახადა კათხას ხუფი. შიკრიკი მონუსხულივით მიაჩერდა ხუფსა და, თეთრ ხელს, კათხის სახელური რომ ჩაებლუჯა. ხელმა კათხა პირისკენ წაიღო. ამ მოძრაობასაც გააყოლა თვალი. მერე უყურებდა, როგორ იქნევდა ლონიერ ყბებს ხნიერი კა-

ცი, როგორ აუღ-ჩაუდიოდა ხმელი. ძარღვიანი ხორხი სმისას. და მაშინ ინსტიქტმა, რომელიც აქამდე მხოლოდ ჭაბუკის ატოკებულ მაჯებში ფეთქებდა, გამოსავალი მონახა და ერთიანად ამოხეთქა. უცებ ისეთი შეგრძნებით ისკრებოდა, თითქოს შინაგანი ცეცხლით გამომწვარი ორად გაიხლიჩაო.

ოფიცერი დეზით ხის რომელიღაც ფესვს გამოედო, თავი ვეღარ შეშინებულა, პირალმა წაიქცა და ზურგით დაასკდა წაწვეტებულ კუნძს. კაპიტანი უხერხულად გაუვარდა. თვალის დახამხამებაში შიკრიკი უკვე მუხლით ადგა ოფიცერს მკერდზე; მის ნორჩ სახეს უჩვეულოდ სერიოზული გამომეტყველება მიეღო, ქვედა ტუჩი კბილებს შორის მოექცია და გამალებით აწვებოდა ოფიცერის ნიკაპს ქვემოთ, კუნძის მეორე კიდისკენ; აწვებოდა თავგამეტებით, განთავისუფლების უნით ალტკინებული და მის მაჯებსაც გადასცემოდა ამ ალტკინებით გაათქვამებული ძლიერება. რაც ძალი და ღონე ჰქონდა ხელისგულებით აწვებოდა ნიკაპს. სიამოვნებდა იმის შეგრძნება, რომ ეს ნიკაპი და წვერისაგან ოდნავ გაუხეშებული, ძალოვანი ყბა ხელებში მოემწყვდია. წამით არ მოდუნებულა, სისხლმორეული, ყოველი კუნთით დაჭიმული უკან უზნექდა თავს. ბოლოს ყრუ „ტ-ხ“ და ხჭრიალის მაგვარი ხმა გაიგონა. მაშინ ღრუბელივით აუმჩატდა თავი. ოფიცერის ტანი კი მძლავრმა კრუნჩხვამ დაგრიხა. ჯარისკაცს ელდა ეცა. მაგრამ დაკრუნჩხულის გაკავებაც სიამოვნებდა. სიამოვნებდა იმის შეგრძნებაც, რომ მისი ახალგაზრდა მუხლების ძალამ დაიმორჩილა ეს მამაკაცი; რომ ზემოდან აწვებოდა უილაჯოდ გაშოტილს, კრუნჩხვისაგან ატოკებულს და მასთან ერთად თვითონაც მთელი ტანით ირყეოდა.

მაგრამ სხეულმა ერთბაშად შეწყვიტა რყევა. ზემოდან მოქცეული ჯარისკაცი ხედავდა ოფიცერის ნესტოებს, თვლებს კი ვერა. ჯაგარივით ამოწვერილი უღვაში და ბაგე არაბუნებრივად გამოზიდვოდა წინ, ეს კი მეტისმეტად დიდს აჩენდა ისედაც მსხვილ ტუჩებს. უეცრად შეცბა — ოფიცერს სისხლი მოსდიოდა ცხვირიდან: წითელმა სითხემ ჯერ ნესტოები ამოავსო, მერე ერთი შეივრხა და წურწურით ჩაიღვარა სახეზე, თვლებისაკენ.

ამან სულთ ხორცამდე შესირა, თავზარი დასცა ჯარისკაცს. წელმოწყვეტილივით წამოდგა ფეხზე. გვამი ერთხელ კიდევ დაიკრუნჩხა და უსიცოცხლოდ გაიშოტა მიწაზე. ჯარისკაცი იდგა და სულგანაბული დასცქეროდა. ენანებოდა რომ დაიმსხვრა: იგი მხოლოდ მტარვალი როდი იყო, რომელმაც სიცოცხლე გაუმწარა, არა, რალაც უფრო მნიშვნელოვანიც. ყველაზე მეტად მისი თვლების ეშინოდა: შესაზარი გამხდარიყო ამოტრიალებული, ერთთავად თეთრი თვალის კაკლები, საითაც სისხლი ჩაიღვარა. ამის შემხედვარე ჯარისკაცი შიშისაგან დაიძაგრა. მაგრამ რაც მოხდა, მოხდა, გული ხომ მოიოხა! აკი მუდამ სძაგდა კაპიტნის სახე; ახლა იგი ჩაქრა, წაიშალა... ჯარისკაცს ერთბაშად გულზე მოეშვა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდოდა მომხდარიყო. მაგრამ ის კი აღარ შეეძლო, რომ უმოქმედოდ მდგარიყო და ეცქირა ამ მხედრის გრძელი, დასახიჩრებული გვამისათვის, პირალმა რომ ეგდო კუნძზე; ეცქირა მისი თლილი თითებისათვის, საზარლად რომ დაკრუნჩხვოდა. უნდა დაემალა სადმე.

რამდენიმე მოჭრილი ხის გრძელი, ლამაზი ტანი გარდიგარდმო დაცემულიყო მორებზე. ჯარისკაცმა საჭმიანად მოავლო ხელი ცხედარს და სწრაფად შეჩურთა ამ ხეების ქვეშ. საზარელი შესახედი იყო დასისხლიანებული პირისახე. ზედ ჩაჩქანი დააფარა. მერე სხეული და ხელ-ფეხი გაუსწორა, სამხედრო ტანსაცმლის თხელი ქსოვილიდან ფოთლები გადმოფერთხა. ახლა ის

სრულიად გარინდული იწვა ხეების ჩრდილში. ძელებს შორის ღრიტოდან შე-
მოპარული მზის შუქი წვრილ ზოლად გასდევდა მკერდზე, ჯარისკაცი ერთხანს
იჯდა და დასცქეროდა. მისი ცხოვრებაც აქვე დასრულდა.

გაშეთებულ შიკრიკს ლეიტენანტის რიხიანი ხმა ჩაესმა ის/ტყის შო-
რიახლო განლაგებულ ჯარისკაცებს მიმართავდა: მათ უნდა შეეცადებინათ,
თითქოს ქვემოთ, მდინარეზე გადებული ხიდი მტერს მტკიცე მდგომარეობაში: უხსნი-
და, როგორ უნდა გადასულიყვნენ იერიშზე, რაგვარად ემოქმედათ. ლეიტენ-
ნანტს არ ჰქონდა გადმოცემის უნარი. შიკრიკმა უნებურად, ჩვეულებისამებრ
მიუგდო ყური, მაგრამ ვერაფერი გაიგო. ხოლო როცა ლეიტენანტი ხელახლა
მოყვა ახსნა-განმარტებას, მას უკვე აღარაფერი ესმოდა.

იცოდა, უნდა გასცლოდა იქაურობას. გაოგნებული მიშტერებოდა ფოთ-
ლებს, რომლებიც ძველებურად ლიცლიცებდნენ მზეში; უყურებდა ხის ნაფო-
ტებს, ისევ თეთრად რომ კრთოდნენ მიწაზე. მისთვის მთელმა სამყარომ იცვალა
ფერი, მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ მისთვის: სხვებისათვის ყველაფერი
უცვლელად დარჩენილიყო. მარტო მან მიატოვა ის სამყარო, მიატოვა და
აღარ შეეძლო უკან დაბრუნება. წესით ბოთლი და კათხა უნდა მიებრუნები-
ნა მენფუნდუკესთვის. მაგრამ რომ არ შეეძლო? მან ხომ ყველაფერი მიატო-
ვა... კვლავ ჩაესმა ლეიტენანტის მჭახე ხმა. უნდა წასულიყო, თორემ ჩაე-
ლებდნენ. ახლა კი არავისი თავი არ ჰქონდა.

თვალეზი თითებით მოისრისა, მიმოიხედა. მერე შეტრიალდა. ბილიკზე
ცხენი დაინახა, მისკენ გაემართა და მოახტა. როგორც კი უნაგირზე მოექცა,
ისევ აუტანელმა ტკივილმა წამოუარა. ეს ტკივილი ტანჯავდა მთელი ვზა,
ვიდრე ცხენს ჩორთით მიჰყავდა ტყეში. ამას როგორმე აიტანდა, მაგრამ აბ-
ლა სულ სხვა რამ აფორიაქებდა და უკარგავდა მოსვენებას — ეს იყო დანარ-
ჩენებისაგან გამოყოფის შეგრძნება. ბილიკმა მხედარი ტყის განაპირას მიიყ-
ვანა. აქ ცხენი შეაყენა: მის წინ მზიანი, ვრცელი მინდორი გადაიშალა. მომ-
ცრო ჯგუფად მიმავალი ჯარისკაცები შენიშნა. შორიახლო გლეხი ყანას ფარ-
ცხავდა და თითო კვალს რომ გაიტანდა, ერთს რიხიანად შეუძახებდა ხარებს.
მზით გაჩახჩახებული სოფელი და თეთრკოშკიანი ეკლესია სულ ერთი ბეწო
მოჩანდა აქედან. ის კი აღარ ეკუთვნოდა ამ სოფელს: იჯდა ცხენზე გამოდ-
მა, სიბნელეში, როგორც გარეშე კაცი. იგი განშორდა ცხოვრების ყოველდ-
ღიურობას, მოვიდა ჯერ არნახულ, უცხო ქვეყანაში და არამცთუ არ შეეძლო,
არც კი უნდოდა უკან დაბრუნება.

მერე ამ მზით გაჩახჩახებულ მინდორს ზურგი შეაქცია და ცხენს ისევ
ტყისკენ უქნა პირი ტანმალალი ხეები ადამიანებზევით იდგნენ მის გარშე-
მო სრულიად გარინდულნი, თითქოს ვერც კი ამჩნევდნო მათ შორის მიმა-
ვალ მხედარს. უეცრად შველს მოჰკრა თვალი, რომელიც მოსწყდა ადგილს და
ისე ლაღად გაიქროლა მოციმციმე ჩრდილიანში, თითქო მზის ანცი ათინათა
ყოფილიყო. ჯარისკაცმა მერე ნაძვნარში ამოჰყო თავი. აქ სიბნელე იყო,
გრილოდა. მაგრამ ტკივილმა საოცრად გატანჯა, ტვინი უხურდა და უფეთქავ-
და; ეტყობა, რაღაც სენი შეეყარა. თავის სიცოცხლეში პირველად იყო ავად,
თავგზა აებნა, აღარ იცოდა, რა ექნა.

როცა ჩამოქვეითება დააპირა, ცხენიდან გადმოვარდა. ვერ წარმოედგი-
ნა, თუ წონასწორობას დაკარგავდა და თუ დაცემა ასეთ საზარელ ტკივილს
მიაყენებდა. ცხენი მოუსვენრად ცმუტავდა ადგილზე. ჭაბუკმა ჯერ ღონივრად
მიიზიდა სადავეები, მერე კი ერთბაშად მიუშვა. ბედაური ჩორთით გაუყვა

გზას. გაწყდა ეს უკანასკნელი კავშირიც, რომელიც ჯარისკაცს გარემოსთან ერთობდა.

თუმცა მას არც არაფერი უნდოდა გარდა იმისა, რომ თავისთვის წარღობილიყო და არავის შეეწუხებინა. ტორტმანით გაიკვლია გზა ხეებს შორის და ერთ მოფარებულ ფერდობზე გავიდა, სადაც ნაძვისა და ფიჭვის ხეებში წეროდა ერთმანეთს. მაშინვე მიწაზე მიესვენა. რაწამს თვალები დახუჭა, თავისდაუნებურად აემღვრა გონება. აძაგდაგებდა; ეჩვენებოდა, თითქოს მთელი დედამიწა ზანზარებდა მასთან ერთად. წყურვილისაგან მთელი სხეული ეწვოდდა; მაგრამ ამაზე საფიქრელად აღარ ეცალა, ისე ჩაითრია ავადმყოფურ ხილვათა უთავბოლო დინებამ.

III

უცებ რაღაცამ დააფეთა და გონს მოეგო. პირი გამოშრობოდა, გახვევებოდა, გულს კი ბაგაბუგი გაჰქონდა. მაგრამ ძალა არ შესწევდა, რომ წამოდგარიყო. ბაგაბუგი გაჰქონდა გულს — სადაა ნეტა, ყაზარმებში, სახლში? იქვე რაღაცა აკაკუნებდა. თავს ძალა დაატანა და მიმოიხედა. ირგვლივ ტყე იყო, მწვანედ ღალანებდა არემარე, ხოლო მიწაზე მზეს ბრჭყვიალა ნამსხვრევებით მიმოეფანტა მოწითალო შუქი. საკუთარ თვალებს ვერ უჯერებდა; ნუთუ მართლა არსებობდა ის, რასაც ხედავდა, ნუთუ ეს თვითონ იყო? რაღაცა აკაკუნებდა. ერთი გაიბრძოლა გონების მოსაკრებად, მაგრამ არაფერი გამოუვიდა; მერე კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და ნელ-ნელა გარემოსა და მას შორის ურთიერთკავშირი აღდგა. ყველაფერი მოაგონდა და უსაზღვრო შიშმა შეიპყრო. ვიღაცა აკაკუნებდა. ზემოთ აიხედა და სოჭის ხე შენიშნა: ხშირი, მძიმე წიწვები ძონძებივით ეკიდა ტოტებზე. მერე, თითქოს ყველაფერს შავი ფარდა გადაეფარათ, ველარაფერს ხედავდა. თუმცა დარწმუნებული არ იყო, რომ თვალები დახუჭა; არც დაუხუჭავს. ცოტა ხნის შემდეგ ამ სიბნელეში რაღაც ფორმები ამოტივტივდა — ისევ დაუბრუნდა მხედველობა. ვიღაცა აკაკუნებდა. წამით თვალწინ გაუელვა კაპიტნის სისხლიანმა, დასახიჩრებულმა სახემ, ასე რომ სძულდა. შიშისაგან სული განაბა. მართალია, შინაგანად გრძნობდა, კაპიტანი ცოცხალი არ უნდა ყოფილიყო, მაინც ისევ ჩაითრია ავადმყოფურმა მოლანდებებმა. ვიღაცა ნამდვილად აკაკუნებდა. შიშისაგან ზარდაცემული ჯარისკაცი მკედარივით გაუნძრევლად იწვა მიწაზე, მერე კი ისევ დაკარგა გონება.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა თვალები გაახილა, დაინახა, რომ მის წინ ხეზე რაღაცა ვამალებით მიცოცავდა. ისევ შეკრთა. პატარა ჩიტი გამოდგა, შემდეგ მისი სტვენაც მოესმა ზემოდან. — ტუკ-ტუკ-ტუკ, ეს კი პაწაწინა, ცქვიტი ფრინველი უკაკუნებდა ხის ქერქს ნისკარტით, ისე, თითქოს თავის ნაცვლად პატარა, მრგვალი ჩაქუჩი ჰქონოდე. ჯარისკაცი ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებდა ფრინველის საქმიანობას. ის კი თავისებურად დაცოცავდა ხეზე, წარამარა იცვლიდა ადგილს. მერე თავგვივით ხოხვით ჩამოჰყვა ხის ტანს. ამ ყრუ ფხაჭუნმა უსიამო ქრუანტელი მოჰგვარა ჯარისკაცს. თავი წამოსწია: საოცრად დამძიმებოდა, ჩიტი ახლა ჩრდილიდან გამოვიდა და მზით გაჩაღებულ მონაკვეთში ისკუბა. თავი ოდნავ შეუქანდა, თეთრი ფეხები თვალისმომჭრელად გამოუკრთა წამით. რა კობტა იყო ეს პაწია არსება, როგორ შვენიოდა თეთრი ლაქები ფრთებზე. იქვე რამდენიმე ასეთივე ფრინველი მოჩან-

და, ყველანი საოცრად კობწიები იყვნენ, თუმცა წრუწუნებივით მოუსვენ-
რად კი დაკოცავდნენ აღმა-დაღმა წიფლის რტოებზე...

ქანცგაწყვეტილი ჯარისკაცი მიწაზე მიესვენა, ცნობიერება დაკარგა.
მცოცავი ჩიტების შიში აეკვიატა: ამ ფრინველების მაგივრად ახლა სისხლი
უქაწრავდა და უფხაჭნიდა თავის ქალას; მაგრამ მაინც ვერ შეეძლო განძ-
რევა.

როცა ისევ მოეგო გონს, იგრძნო, კიდევ უფრო დასუსტებულიყო. აუ-
ტანელად სტკიოდა თავი; ამ საზარელმა ავადმყოფობამ მოძრაობის უნარიც
წაართვა. აქამდე ავად არასოდეს ყოფილა. აღარ ახსოვდა, სად იყო, ან საერ-
თოდ, ვინ იყო თვითონ... ალბათ მზემ თუ დაჰკრა; ან ეგებ სხვა რამ შეემთ-
ხვა? მან სამუდამოდ დაადრუმა კაპიტანი სულ ცოტა ხნის წინ... — ოჰ, არა, დი-
დი ხნის წინ! სახე დაუსისხლიანდა, თვალის კაკლები ამოუტრიალდა... მაგ-
რამ სინანულს არ გრძნობდა; ამით ხომ სიმშვიდე მოიპოვია... თუმცა ახლა
საკუთარ თავს გასცდა და იქ მივიდა, სადაც არასდროს ყოფილა ადრე... ნეტა
სინამდვილეში არსებობდა თუ არა? სრულიად მარტო იყო, თავის თავს მინ-
დობილი... ისინი, სხვები, ერთ უზარმაზარ, ნათელ ადგილას დარჩნენ, მარ-
ტო თვითონ გამოეყო მათ: ქალაქი, მთელი ქვეყანა მზით და სინათლით გა-
ჩაღებულ, უშველებელ სივრცეს წარმოადგენდა. მხოლოდ თვითონ იწვა აქ,
სინათლისაგან მოწყვეტილ, უკიდევანო მიღმეულში, სადაც ყოველი საგანი
განცალკევებით არსებობდა... მაგრამ იმათაც, ვინც გაღმა დარჩა, ერთ მშვე-
ნიერ დღეს აქეთ მოუწევდათ გადმოსვლა. ისინი ჭერჭერობით განაგრძობდნენ
ცხოვრებას სადღაც უკან დარჩენილნი, უმნიშვნელონი; გაღმა იყვნენ დედა და
მამა, შეყვარებული გოგონაც; მაგრამ აქ, ამ ახალ ნაპოვნ სამყაროში ყოველ-
ივეს დაჰკარგოდა აზრი.

წამოაჯდა. ბალახში რალაცამ გაიშრიალა. პატარა, ყავისფერი ციყვი ტალ-
ლისებური ნახტომებით დაკუნტრუშობდა მიწაზე. მისი სხეულის ტალღოვანე-
ბას ალისფერი კუდი აბოლოვებდა — ნახტომის შესაბამისად ისიც ჩამოიშლე-
ბოდა ან აიკეცებოდა. ჯარისკაცს სიამოვნებდა მისი თვალთვალი. ციყვი მოუ-
სვენრად ხტოდა, თავს ირთობდა. მერე ერთბაშად მოსწყდა ადგილს და მეო-
რე ციყვისკენ გაექანა; ახლა ორნი დასდევდნენ ერთმანეთს. შიგადაშიგ მათი
ჭყიპინა ხმებიც ესმოდა. ჯარისკაცს მოუნდა შეხმიანებოდა, მაგრამ ხორხიდან
მხოლოდ ხრიალი აღმოხდა. ციყვები უმაღლესი გაიფანტნენ და ხეებზე აცვივდ-
ნენ. ერთმა მათგანმა სწრაფად აირბინა შუამდე ხე, მერე პაწია თავი მოატრია-
ლა და დამფრთხალი თვალეები მიწაზე მჯდომს შეაჭყიტა. ჯარისკაცი შეკრთა,
დაფეთდა, მაგრამ თან, რამდენადაც დაბინდული გონება აძლევდა ამის საშუა-
ლებას, გაერთო კიდევ: ციყვმა ერთხანს იყუჩა ასე — ციცქნა ყურები აეცქვი-
ტა, პაწია ბრჭყალებიანი თათებით ხის ქერქს მობლაუჭებოდა, თეთრი მკერდი
გამობურცვოდა და გამახვილებული მზერა მიწაზე მჯდომისათვის მიეპყრო. ჯა-
რისკაცი ძრწოლამ აიტანა.

რის ვაი-ვაგლახით წამოდგა ფეხზე და წაბარბაცდა. მიდიოდა. ეს წყურვი-
ლი მიერეკებოდა წინ, სულ წინ, და ალბათ მანამ ივლიდა ასე, ვიდრე წყალს
არ მიაკვლევდა სადმე. წყურვილისაგან ცეცხლმოკიდებულსავით უხურდა ტვი-
ნი. ბორძივობდა, მაგრამ მაინც მიდიოდა. მერე კი ველარაფერს გრძნობდა,
უგონოდ განაგრძობდა გზას. და მაინც, ისევ წინ მიიწევდა, პირდაფრენილი, ხა-
ხაგამომშრალი.

ხოლო როცა გონებაშიხდილმა თვალი კიდევ ერთხელ გაახილა და გაოგნე-

ბული მზერა მიაპყრო სამყაროს, აღარც უცდია იმის გამოკვლევა, თუ რა იყო ორგანიზაცია; რაღაცა მოოქროსფრო-მწვანედ ლიცილიცებდა, ამის უკან მუქი ოქროსფერი შუქი ღვიოდა, აქა-იქ მორუხო-მეწამული მალალი ხეები ასევე ლიცილიცებდნენ, იქით, სიღრმეში, უფრო ჩაბნელებულიყო არემარე. სიბნელე თანდათანობით მატულობდა და გარს ეკვროდა ჯარისკაცს. ისეთი გრძნობა, თითქოს მოგზაურობიდან დაბრუნდა და მოულოდნელად აღმოჩნდა მშვენიერ გარემოში. ეს სინამდვილე შავი ქვესკნელი იყო. მაგრამ წყურვილის გრძნობა ცეცხლივით დანთებოდა ტვინში. ახლა თითქოს აღარ იყო ისე დამძიმებული, თავს უფრო მსუბუქად გრძნობდა. ეს ერთგვარ სიბნელედ ჩათვალა. მერე იქე-ქა, ივრიალა და არემარე ერთიანად შეზანზარდა. ახლა კი მოეჩვენა, რომ საოცარი სისწრაფით მიჰქროდა სადღაც და სადაცაა შევბას პოვებდა. შევბას თუ წყალს?

უცებ შიშისაგან ადგილზე გაქვავდა: თვალი მოსჭრა ოქროსავით აელვარებულმა სივრცემ, მის წინ რომ გადაიშალა: ეს იყო ჭეჭილი, და მის უნაზეს მწვანე ღეროებზე ოქროსფრად ბრდღვიალებდა ნორჩი თავთავი. ამ ხასხასა, მზით გაკაშკაშებულ ყანაში მუქი ლოდივით წამომართულიყო მოპირისპირე მხარეს მიმავალი ფაშფაშაკაბიანი, შავთავსაფრიანი დედაკაცი და მისგან წარმოქმნილი ჩრდილი. შორიახლო ცისფრად კრთოდა ჩრდილში შავი ტყით გარშემორტყმული ფერმის შენობა. ეკლესიის წვრილი ქიმი ცეცხლის ალივით ავარდნილიყო ცაში. დედაკაცი კი მიდიოდა და სულ უფრო სცილდებოდა ჯარისკაცს. მას მოეჩვენა, რომ ამ ქალთან ვერ გამოიხატავდა საერთო ენას: იგი ხომ მყარი და ნათელი არარეალობის ნაწილი იყო, მასთან ლაპარაკს არ ჰქონდა აზრი; შიკრიკს აღარ ესმოდა იმათი ენა... ქალს თუნდაც მოეხედა, უკან, ხეზე მიყრდნობილ ჯარისკაცს მაინც ვერ შეამჩნევდა. იგი იქით, გაღმა გადიოდა.

ბოლოს შიკრიკი შემობრუნდა, გახედა მეჩხერ ქალას, რომლსაც უკვე საღამოს ბინდი შემოჰპარვოდა და უეცრად, რაღაცამ შორიდანვე მოსტაცა თვალი: ეს იყო საოცარი შუქით სხივფენილი, ერთიანად აელვარებული მთები. წინა, ოდნავ დაბინდული ქედების უკან კიდევ ქედების წყება მოჩანდა. ზოგი მოოქროსფროდ, ზოგი მონაცრისფროდ კრთოდა. თოვლი კი ბაჯაღლო, მდნარ ოქროსავით ბრდღვიალებდა. ცადატყორცნილი, მდუმარე მთები მთლიანად ძვირფასი ლითონისაგან ჩამოსხმულს ჰგავდნენ. ჯარისკაცი სახეანთებული შესცქეროდა მათ. ამ ოქროსფრად აკაშკაშებული თოვლივით ახლა მასში წყურვილი აგზნებულიყო. ზურგით ხეს მიეყრდნო და დადგა ასე, თვალგამტერებული. მერე კი ერთბაშად, ყველაფერი წაიშალა მის თვალწინ, წაიშალა და უსასრულობაში ჩაიქცა.

ღამით განუწყვეტლივ გრგვინავდა და ელვა კიდით კიდემდე თეთრად ანათებდა ზეცას. როგორც ჩანს, ჯარისკაცმა კიდევ იარა. ელვით გაშუქებული სამყარო მის თავზე ქუშ ფერებში გადაიხსნებოდა ხოლმე; წამით გამკრთალ მინდვრებს მოლურჯო-რუხი ფერი გადაეკვროდა, ხეების ტანი შავ სვეტებს ჰგავდა, მოთეთრო ცის თალი ღრუბლის თაღს ქულებს დაეფარა... გაელვების შემდეგ კი წყვდიადი მძიმედ დაშვებულ დარაბასავით ჩამოწვებოდა და ისევ უკუნი ღამე სუფევდა. ბუნდოვნად კრთოდა ნახევრად წარმოჩენილი სამყარო, თითქოს არ შესწევსო ძალა მძლავრი ნახტომით ერთბაშად დაუსხლტეს წყვდიადს! მერე ხელახლა დაეცემოდა მიწას მქრალი შუქი, გამოკრთებოდა ბნელი ფორმები და ცაზე გაკიდული ღრუბლების წყება... ამ დროს დედამიწა მოჩ-

ვენებითი ლანდივით გაიღვებდა საყოველთაო წუვლიადში, რომელიც მერე მეტი სისრულითა და სიძლიერით მკვიდრდებოდა ირგვლივ.

მას კი უკვე საბოლოოდ მორეოდა ავადმყოფობა: სიცხისაგან იწყოდა და აბოდებდა. ამ ღამის მსგავსად ტვინიც უეცრად უნათდებოდა ან უბნელდებოდა ... დროდადრო მთელი სხეულით იწყებდა ცახცახს, რაღაცას ეძებდა. — ხიდან ორი უზარმაზარი თვალი მომჩერებიაო. ხან ეგონებოდა, რომ მისი მიუყვებოდა დაუსრულებელ შარას, კვლავ სისხლს უშრობდა მცხუნვარე მზე... ხანაც კაპიტნის მიმართ მწვავე სიძულვილი უღრღნიდა გულს, მერე საოცარი სიმშვიდე ეუფლებოდა... მაგრამ ტკივილით გამოწვეული ეს უსახური, დამახინჯებული შეგრძნებები ისევ ტკივილად გარდაიქმნებოდნენ.

დილით სავსებით გამოფხიზლებულს გამოეღვიძა. მაშინ კი მართლა საზარლად წამოუნთო ტვინი წყურვილმა! სახეზე მზე აცხუნებდა, დანამული ტანსაცმლიდან ორთქლი ასდიოდა. შეშლილივით წამოხტა ფეხზე. იქვე, მის თვალწინ, დილის ფერმკრთალ ცას მთები ქიმებით ებჯინებოდნენ. ამ მთებისკენ მიილტვოდა მთელი არსებით; ო, რომ შეძლებოდა, სხეულიდან ამოსულიყო და მათ შერწყმოდა! არ ირბეოდნენ ქედები, იდგნენ მშვიდად, გარინდულნი, თეთრი, კამკამა თოვლით დასერილნი... ტანჯვისაგან სიგიჟემდე მისული ჯარისკაციც გარინდული იდგა და უმწეოდ იმტვრევდა ხელებს. მერე ბალახზე დაეცა და სიმწრისაგან მთელი ტანით დაიკრუნჩხა.

შემდეგ სრულიად გაუნძრევლად იწვა მიწაზე ავადმყოფური ჩვენებებით გაწამებული, წყურვილი, თითქოს მოსწყდა მის არსებას და გადგა განზე, როგორც დამოუკიდებელი შეგრძნება. წყურვილს ტკივილიც მიჰყვა, განცალკევდა; სადღაც იქვე მძიმე ტვირთივით ეგდო მისი სხეულიც; ერთი სიტყვით, მისმა სულმა და სხეულმა სხვადასხვაგვარი დანაწევრება განიცადა. თუმცა მათ შორის ბეუტავდა უცნაური, ნაძალადევი კავშირი. მაგრამ თანდათან ყველანისინი სცილდებოდნენ ერთიმეორეს. შემდეგ კი ალბათ საბოლოოდ დაიშლებოდნენ: მზის მცხუნვარება, ტვინს რომ უბურღავდა, ბოლოს ამ ბუნდოვან კავშირსაც გაბურღავდა, გაგლეჯდა. მაშინ ისინი დაიფანტებოდნენ და სოფლის სამარადისო ბრუნვას შეერწყმებოდნენ... მერე ხელახლა დაუბრუნდ: ცნობიერება. თავი იდაყუს დააყრდნო და კამკამა ქედებს მიაჩერდა. გამწკრივებულიყვნენ თვალწარმტაცი, გარინდული მთები ცასა და დედამიწას შუა. გაშტერებული უცქეროდა, ვიდრე თვალთ არ დაუბნელდა; აი მაშინ კი, თითქოს, იმ მშვენიერმა, კამკამა მთებმა მართლა ჰპოვეს და გაითავისეს ის, რაც სამუდამოდ განქარდა მასში.

IV

ჯარისკაცებმა სამი საათის შემდეგ მიაგნეს. მიწაზე მისვენებულს მკლავი თავქვეშ ამოედო და მზით გახურებულ შავი თმიდან ბული ასდიოდა. თუმცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. როცა ახალგაზრდა ჯარისკაცებმა მისი ავისმომასწავებლად დაღებული პირი დაინახეს, შეძრწუნებულებმა უნებლიეთ ზურგი შეაქციეს.

გარდაიცვალა ღამით, ჰოსპიტალში. ისე, რომ თვალში აღარ გამოუხედავს. ექიმებმა შენიშნეს მისი დალილავებული თეძოები და მდუმარედ დაჰყურებდნენ ერთხანს.

ორი მამაკაცის ცხედარი მორგში გვერდიგვერდ ესვენა: ერთი მათგანი უფრო ხმელი და ფერმკრთალი, გახევებული გაშოტილიყო. ხოლო მეორე, ნორჩი, უმანკო ჭაბუკის შემხედვარე უნებლიეთ გაიფიქრებდით — ბურანშია ალბათ და სადაცაა გამოერკვევა, მობრუნდებაო.





ქოხრობა

ივლისურიდან თარგმნა მანანა ზორჩიძემ

1

სომერი ოთხი პატარა ლოკომოტივი შვიდი საესე ვაგონით
ქლარუნითა და რახრახით მოემართებოდა სელსტონიდან. იგი
ესეთი ხმაშალალი მუქარით აღსავსე ქშენით გამოჩნდა მოსახვევიდან, გეგონებო-
დათ, თავბრუდამხვევი სიჩქარით მოჰქრისო. მაგრამ ხმაურისაგან დამფრხალმა
კვიცმა, რომელიც ბურუსიანი ნაშუადღევის ბინდბუნდში ჯერ კიდევ სხივმფენი
ქურდლისცოცხას ბუჩქიდან გამოხტა, ადვილად ჩამოიტოვა უკან. ანდერვუ-
დისაკენ მიმავალი ქალი, ლიანდაგს რომ მიუყვებოდა, ლოკომოტივის დანახ-
ვაზე ლობეს აეკრა, კალათა განზე გასწია და მატარებელს შეაცქერდა. რუხი
ფერის ვაგონეტები ერთიმეორის მიყოლებით მძიმედ მოიწევდნენ წინ და
არარად აგდებდნენ ლობესთან მიმწყვდევულ ქალს. შემდეგ წარაფისაკენ გა-
დაუხვიეს, სადაც უხმაუროდ ცვიოდნენ მუხის დამქნარი ფოთლები და ას-
კლის აღისფერი ბუჩქნარიდან წამოფრენილი ჩიტები სალამოს შეუმჩნევლად
ჩამომდგარ ნისლში ეხვეოდნენ. გაშლილ ადგილებში გადახრუკული ბალახი
ლოკომოტივის კვამლში იძირებოდა და ინთქმებოდა. უკაცრიელ და პირქუშ
მინდორს ჭანჭრობიანი ზოლი ჰკვეთავდა, რომელიც მალაროდან გამომდინარე
წყლებით დატბორილ ლერწმიან გუბურას ერთვოდა. ქათმებს უკვე დაემთავ-
რებინათ თხმელებში სირბილი და იქვე მდგარი გაფისული საქათმისათვის მიე-
შურებინათ. ტბორს იქით, სალამოს უსიცოცხლო შუქში მქრქალად ინაკვთე-
ბოდა ნაყარი მიწის ბორცვი, რომლის ნაცრით დაფარულ კიდევებს ღია ჭრილო-
ბასავით წითელი ცეცხლის ენები ელამუნებოდა. ბორცვის მიღმა ბრინსლის
მალაროს კონუსისებური საკვამურები წამომართულიყვნენ. გამალებით ბრუ-
ნავდნენ ამწე მანქანის ბორბლები, მალაროელები ზევით ამოდიოდნენ.

ლოკომოტივმა დაიკვივლა და სატვირთო მატარებლებით გავსებულ რკი-
ნიგზის მისასვლელი გზების თავშესაყარში გაჩერდა.

მალაროელები თითო-თითოდ, ჯგუფ-ჯგუფად, ლანდებივით მიბორიალებდ-
ნენ სახლებისაკენ. სათადარიგო რკინიგზის ხაზის პირას, წიდოვანი გზიდან
სულ რაღაც სამიოდე საფეხურის ქვევით, პატარა, დაბალი სახლი წამოსკუბე-
ბულიყო. სახლის კედელზე ასულ მსხვილფესვებიან ბებერ ვაზს კლანჭებივით
გაებარჯდა ლერწები, თითქოს კრამიტით გადახურულ სახურავს უნდა ჩა-
აფრინდესო. მოკირწყლული ეზოს გარშემო ჩაყოლებულ ფურისულებს ჭკნო-
ბა შეჰპარვოდათ. სახლის უკანა მხარეს ბალი ფერდობს დაჰყვებოდა და
ბუჩქნარით დაფარულ პატარა მდინარის ნაპირს ერწყმოდა. ბალში რამდენიმე
სიცივით დამზრალი, ტოტებჩამოყრილი ვაშლის ხე და ფოთლებდაფლეთილი

კომბოსტო იზრდებოდა. ბილიკის გასწვრივ გაბურძენულ ვარდისფერ ქრიზან-
თემებს ჩამოეკიდათ თავები, თითქოს ბუჩქებზე ვარდისფერი ტიხვები მიუყრია-
თო. სახლს უკან მდგარ მუყაოს სახურავიანი საქათმიდან წელიში/მოხრილმა
ქალმა გამოაბიჯა, კარი მიხურა, ბოქლოში დაადო, გასწორდა და თეთრი წინ-
საფარი ჩამოიფერთხა.

ლამაზი, მაღალი, მედიდური შესახედაობის ქალი იყო, შავ, გადაკალმულ-
წარბებიანი. შავი გადატყეცილი თმა ზუსტად შუაზე გაეყო. ერთხანს გა-
უნძრევლად იდგა, ლიანდაგის გასწვრივ მიმავალ მაღაროელებს შეჰყურებდა.
ცივი, გარინდებული სახე ჰქონდა, ბაგეზე უსასოობის ბეჭედი ესვა. შემდეგ
მისი ძახილი გაისმა:

— ჯონ! — არავინ გაპასუხებია. ჯერ შეიცადა, მერე უფრო ხმამაღლა
დაიძახა:

— სადა ხარ?

— აქ! — გაისმა ბავშვის გაჯავრებული ხმა ბუჩქებიდან.
ქალი დაკვირვებით ჩაატყერდა სიბნელეს.

— მდინარესთან? — მკაცრად ჰკითხა ქალმა.
ბავშვს არ უპასუხია, ფოლოს ტოტებგაფარჩხულ ბუჩქებიდან გამოაბიჯა.

პატარა, ჩასკვნილი, ხუთიოდე წლის ბიჭი იყო. ჩუმად, მაგრამ გამომწვევად
თოდგა.

— ოჰ! — გულზე მოეშვა დედას. — მეგონა, მდინარესთან იყავი. ხომ
გახსამოვს, გითხარი...

ც ბიჭი არც ინძრეოდა და არც არაფერს პასუხობდა.

ს. — შემოდი, შემოდი შინ! — დაუყვირა ქალმა. — ბნელდება. ბაბუაშენის
ორთქლმავალიც მოდის.

იი განაწყენებული ბიჭი ნელა, მდუმარედ გამოემართა, შარვალი და ქურ-
თუბი სქელი, უხეში ქსოვილისა ეცვა. აშკარა იყო. მამაკაცის ტანსაცმლისაგან
გაღიჯეკებინათ.

სახლისკენ რომ მიდიოდნენ, ბიჭმა გაბურძენული, ჩამოფლეთილი
ქრიზანთემების კონა მოიგდო ხელთ და მთელი ბლუჯა ფურცლები ბილიკზე
მიმტრიაბნია.

— ნუ შვრები, საძაგლად იქცევი! — უთხრა დედას.

ბიჭმა თავი ანება ყვავილებს. ქალს უცებ რატომღაც შეეცოდა ბავშვი,
თვითონ მოწყვიტა პატარა ტოტი, რომელსაც სამი თუ ოთხი ფერწასული
ქრიზანთემა ება და სახესთან მიიტანა. წინა ეზოში რომ შევიდნენ, ქალმა, იმის
მაგიერად რომ გადაეგდო ყვავილი, მისდა უნებურად წინსაფარში გაიჩქო იგი.
დედა-შვილი სახლის წინ შეჩერდა და რკინიგზის გასწვრივ მიმავალ მაღაროე-
ლებს დაუწყეს ყურება. პატარა მატარებლის ქშენა ახლოვდებოდა. ლოკომო-
ტივი სახლს გასცდა და სწორედ ქიშკრის წინ გაჩერდა.

მემანქანე, პატარა, ქალარა, წვერმომრგვალებული მამაკაცი, კაბინიდან
გადმოიწია და მაღლიდან გადმოხედა ქალს.

— ერთ ფინჯან ჩაის ხომ არ დამალევინებდი? — მხიარული, გულითადი
კილოთი მიმართა.

მემანქანე ქალის მამა იყო. დავაყენებო, უპასუხა ქალმა და სახლისკენ გაე-
მართა. უკან მალე მობრუნდა.

— კვირას ვერ მოვიწახულებ, — დაიწყო პატარა, ქალარაწვერიანმა მამა-
კაცმა.

— არც გელოდი! — მოუჭრა ქალიშვილმა.

მემანქანე შეერთა, მაგრამ ისევ მხიარულ კრწაზე გაეპასუხა, ვითომც არაფერი იყო.

— ო, ალბათ შეიტყობდი. მერე, რას ფიქრობ?

— ვფიქრობ, ცოტა უნდა დაგეცადო. — უპასუხა შვილმა.

ამ ძუნწი საყვედურის გაგონებაზე კაცმა უკმაყოფილოდ გაქეპტა და მუდარით წამოიწყო ლაპარაკი. თუმცა მის ხმაში ფარული სისასტიკეც გამოსჭვივოდა.

— აბა, რა უნდა მექნა? ჩემი ხნის კაცი როგორ გავჩერდე გაცივებულ კერძთან? ჰოდა, თუ მაინც უნდა მომეყვანა ცოლი, ადრე მოხდებოდა ეს თუ გვიან, რა მნიშვნელობა აქვს? ვისი რა საქმეა!

ქალს არაფერი უპასუხია, შებრუნდა და სახლში შევიდა. კაცი კმაყოფილი დარჩა თავისი პასუხით. მალე ქალიშვილიც დაბრუნდა ფინჯანი ჩაითა და კარაქიანი პურით და მოშიშინე ლოკომოტივის საფეხურებთან გაჩერდა.

— რად გინდოდა კარაქიანი პური! მაგრამ ეს ჩაი კი, — თქვა და სიამოვნებით მოსვა, — ძალიან კარგია!

ერთხანს ჩუმად სვამდა, შემდეგ ლაპარაკი წამოიწყო:

— გავიგე! უოლტერს ისევ დაუწყია სმა.

— როდის არ სვამდა? — გესლიანად უპასუხა ქალმა.

— ამბობენ, „ლორდ ნელსონში“ თავი მოჰქონდა, სანამ სულ არ დავხარჯავ ფულს, აქედან ფებს არ მოვიცელო. ძალღიშვილი, ნახევარი გირვანქა სტერლინგი ჰქონია.

— როდის? — ჰკითხა ქალმა.

— შაბათ საღამოს. დარწმუნებული ვარ, ხალხი არა ტყუის.

— მჯერა! — მწარედ გაიცინა ქალმა. — მე კი ოცდასამი შილინგი მომცა.

— ეჰ, ვერაფერს იტყვი, კარგი საქმეა, კაცს რომ მხოლოდ ჩასახეტქად უნდა ფული!

ქალმა მზერა აარიდა.

კაცმა მოამთავრა ჩაის სმა და ფინჯანი გაუწოდა ქალიშვილს.

— ეჰ! — ამოიხვნეშა და პირი მოიწმინდა. — კარგი რამე იყო... — თქვა და ხელი ბერკეტს ჩაავლო. პატარა ლოკომოტივმა ძალა მოიკრიბა, ამოიქშინა და რახრახით დაიძრა გზაჯვარედინისაკენ. ქალი იდგა და ისევ ლიანდაგებს გაჰყურებდა.

ლიანდაგებიცა და სატვირთო ვაგონებიც უკვე ბნელს მოეცვა; მეშახტეთა ნაცრისფერი, პირქუში ლანდები ჯერ ისევ მიმოდითოდნენ აქეთ-იქით, სახლებში ბრუნდებოდნენ. ამწე მანქანაც ჩქარობდა, თითქმის შეუსვენებლივ მუშაობდა. ელიზაბეთ ბეიტსი კარგა ხანს გაჰყურებდა ადამიანების ამ ერთფეროვან მსვლელობას, მერე სახლში შევიდა — მისი ქმარი იგვიანებდა.

პატარა სამზარეულო ლუმელში დანთებულ ცეცხლის ალს გაენათებინა, ლუმლის გახურებულ ხახაში ქვანახშირი ვარვარებდა. გეჩვენებოდათ, რომ ოთახის მთელი ცხოვრება ამ შეთეთრებული ლუმლის გარშემო ტრიალებდა, რომლის რკინის ცხაურზე ცეცხლის ენები ციმციმებდნენ. ჩაის სუფრა გაეწყობოთ; სიბნელეში ფინჯანების ელვარება გამოკრთოდა. იქვე, საძინებელ ოთახში ამაველ კიბესთან, სოლივით რომ შეჭრილიყო სამზარეულოში, ბიჭი დანით ცაცხვის ხის ნაჭრისაგან რაღაცას თლიდა. ბინდბუნდში ბიჭი თითქმის არ ჩანდა. ხუთის ნახევარი იყო. ჩაის დასალევად მამას უნდა დალოდებოდნენ.

დედა უყურებდა ბიჭის მოღუშულ სახეს, მის ჩუმ, ჯიუტ ბრძოლას ხის ნაჭერთან და შვილში თავის თავს ხედავდა, ხოლო გულგრილობა ყველაფრისადმი, ვარდა საკუთარი თავისა, მამისაგან მოსდგამსო, გაუელვა ქალს, სულ ქმარზე ეფიქრებოდა. საკუთარი სახლის კარს ჩაურა და დასალევად წავიდა. აქ კი, მის ლოდინში სადილი გაუცივდათ. საათს შეხედა, მოხარშულ, კბილანად სავსე ქვაბი აიღო და ეზოში გავიდა ნახარშის გადასალვრელად. ბაბიცი და მინდვრებიც უკუნ სიბნელეს მოეცვა. ქვაბიანად დაიხარა, მიწას, ცხელი წყლისაგან ოხშივარი აედინა, როდესაც გაიმართა, ერთხელ კიდევ მიმოიხედა, რკინიგზის ლიანდაგებსა და მინდვრებს იქით, მთაში აშავალი შარავზის გაყოლებით ყვითელ სინათლეებს მოჰკრა თვალი. მაღაროელთა დინება შეწყვეტილიყო, თითო-ოროლა კაცს თუ დაინახავდა.

ღუმელში ცეცხლი ინავლებოდა და ოთახი მუქ წითელ შუქში გახვეულიყო. ქალმა ქვაბი ღუმლის თაროზე შედგა, პუდინგიც ცეცხლისკენ მისწია. გახვეებული იდგა: უცებ გარედან ბავშვის ჩქარი, მსუბუქი ნაბიჯების ხმა მოესმა. ერთხანს კართან შეჩერდა. ეტყობა, კარის სახელურს აწვალებდა. როგორც იქნა, გააღო კარი და ოთახში გოგონამ შემოირბინა. გზადაგზა პალტოს იხდიდა, შემდეგ ქუდიც წაიძრო თავიდან და მუქი ოქროსფერი კულულები სახეზე ჩამოეშალა.

დედამ ბავშვი დატუქსა, გვიან რატომ ბრუნდები სკოლიდან. საერთოდ აღარ გაგიშვებ წამთრის ასეთ ბნელ დღეს ვარეთო.

— არა, დედა, სულაც არ ბნელა. შენც არ აგინთია ჯერ ლამპა, არც მამა დაბრუნებულა!

— ჰო, არ დაბრუნებულა. უკვე ხუთს თხუთმეტი წუთი უკლია. სადმე ხომ არ მოგიკრავს თვალი?

ბავშვი უცებ დასერიოზულდა და დედას დიდი, ლურჯი, ფიქრიანი თვალები შეანათა.

— არა, დედა, არ მინახავს, რა, გგონია უკვე „ოულდ ბრინსლიშია?“ არა, დედა, მაშინ სადმე დავინახავდი.

— როგორმე დაგიძვრებოდა! — ღვარძლიანად უპასუხა ქალმა. — მოახერხებდა. ახლა ნამდვილად „უელსის პრინციშია“, თორემ ასე არ შეაგვიანდებოდა.

გოგონამ საწყლად შეხედა.

— დავლიოთ ჩაი, დედა, არა?

დედამ ჯონს დაუძახა, მერე ისევ გამოაღო კარი და რკინიგზის ლიანდაგებს გახედა. კაციშვილი არ ჩანდა. აღარც ამწე მანქანის ხმაური ისმოდა.

— იქნებ, — ჩაილაპარაკა ქალმა, — აფეთქებამ შეაყოვნა.

მაგიდას შემოუსხდნენ. ჯონი მაგიდის ბოლოში იჯდა, კართან და თითქმის აღარ ჩანდა სიბნელეში. ვერც ერთი მათგანი ერთმანეთის სახეს ვერ არჩევდა. გოგონა ცხაურთან ჩაცუცქდა და პურის მოზრდილი ნაჭერი ცეცხლს მიუფიცხა. ბიჭუნა, სიბნელეში აჩრდილს რომ დამსგავსებოდა და თავი შავ ლაქად მოუჩანდა, გოგონას შესცქეროდა, რომელსაც ცეცხლის შუქზე სულ სხვადაგვარი იერი მისცემოდა.

— რა კარგია ცეცხლის ყურება! — თქვა გოგონამ.

— მართლა? — ჰკითხა დედამ. — რატომ?

— წითელია და პატარა გამოქვაბულებებითაა სავსე, თან სასიამოვნოა, თბილია და კარგი სუნის ასდის.

— ჩქარა უნდა შევეუკეთოთ, თორემ მამაშენი მოვა და ბუზლუნს მოჰყვება, არასოდეს ცეცხლს არ მახვედრებენ, კაცი მალაროში ოფლსა ვღვრიო. დუქნებში ყოველთვის თბილა.

ერთხანს ჩუმად იყვნენ, სამამ ბიჭი არ აწუწუნდა:

— ანო, ჩქარა რა!

— მე კი ვჩქარობ, მაგრამ ცეცხლს ხომ ვერ ვუბრძანებ, ჰა?

— ატრიალებს აქეთ-იქით, განგებ ზოზინებს, — ბუზლუნებდა ბავშვი.

— ნუ გაქვს ასეთი ცუდი ხასიათი, ბიჭო, — დატუქსა დედამ.

მალე ოთახში დაბრაწული პურის ხრამახრუმი გაისმა. დედა თითქმის არ ჭამდა, ცარიელ ჩაის სვამდა ჩაფიქრებული. მაგიდიდან მალე წამოდგა და ამყად ასწია თავი მაღლა. ჩანდა, გულისწყრომას მთელი მისი არსება მოეცვა. და როდესაც ღუმლის თაროზე შედგმულ პუდინგს მოჰკრა თვალი, თავი ველარ შეიკავა:

— ამაზე მეტი სირცხვილი რაღა იქნება, სადილადაც კი აღარ მოდის შინ! თუნდაც დანახშირდეს ყველაფერი, ჩემთვის სულ ერთია. საკუთარი სახლის კარს ჩაუარა და დუქნისაკენ წავიდა, მე კიდევ სადილი მოვუმზადე, ვზივარ შინ და ველოდები...

გარეთ გავიდა, ქვანახშირი შემოიტანა. თითო-თითოდ აგდებდა ღუმელში. ოთახის კედლებზე ჩრდილები ათამაშდა. მალე ცეცხლი სულ მინავლდა და უკუნი სიბნელე ჩამოწვა.

— ვერაფერს ვხედავ, — გაისმა უჩინარი ჯონის ბუზლუნი. დედას მისდა უნებურად გაეცინა.

— პირის გზას ხომ აგნებ? — თქვა და აქანდაზი გარეთ გაიტანა. როცა უკან შემობრუნდა და ქალის ჩრდილი თეთრ ბუხარზე დაილანდა, გაჩაგრებულმა ბიჭმა ისევ გაიმეორა:

— ვერ ვხედავ!

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა გაბეზრებულმა დედამ. — სულ მამაშენივით ხარ, ოდნავ სიბნელეს ვერ იტან.

მაგრამ მაინც ჩამოიღო ღუმლის თავიდან დაგრაგნილი ქალაღდი. ცეცხლი მოუკიდა და ოთახის შუაგულში ჩამოკიდებული ლამპისაკენ წაიღო. როდესაც ხელი მაღლა ასწია, მომრგვალებული მუცელი გამოეკვეთა, ქალი ფეხმძიმედ იყო.

— უი, დედა! — წამოიძახა გოგონამ.

— რა იყო? — ჰკითხა და ხელი ჰაერში გაუშეშდა. სპილენძის ლამპის შუქზე მაღლა აწეული ხელითა და შვილისაკენ მიბრუნებული თავით ქალი ლამაზი ჩანდა.

— წინსაფარში ქრიზანთემა გაქვს! — წამოიძახა ბავშვმა, აღტაცებულმა უჩვეულო სანახაობით.

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა და შვებით ამოისუნთქა. — მეგონა, სახლს წაეკიდა ცეცხლი.

ქალმა ლამპას შუშა ჩამოაცვა, პატრუქს ჩაუწია და ლამპის შუქის მკრთალი ანარეკლი იატაკზე გაცურდა.

— მასუნებიანე რა! — კვლავ აღტაცებით წამოიძახა გოგონამ, დედას მიუახლოვდა და მის წინსაფარში ჩარგო თავი.

— თავი დამანებე, სულელო! — თქვა და პატრუქს აუწია. სინათლემ თითქოს გააძლიერა მათი დაძაბული მოლოდინი და ქალმა იგრძნო, მეტის გაძ-

ლება აღარ შეეძლო. ანი კვლავ მის წინსაფარზე დაბრილიყო. ვალიზიანებულმა ყვავილები წინსაფრიდან ამოიძრო.

— ო, არ ამოიღო რა, დედა! — წამოიძახა ანიმ, დედას ხელი დაუჭირა და შეეცადა ისევ წინსაფარში ცაერტო ყვავილები.

— რა სისულელეა, — თქვა ქალმა და გოგონას ხელი მშვენიერად დაეჭირა.

ბავშვმა ფერმკრთალი ქრიზანთემები ტუჩებთან მიიტანა და ჩაიჩურჩულა:

— რა კარგი სუნია აქვს!

დედამ ჩაიციხა.

— არა, — თქვა მან, — ჩემთვის არა აქვს. ქრიზანთემები მჭონდა ქორწილში, მაშინაც, შენ რომ დაიბადე, და მამაშენსაც დიდიხლოში მოწითალო ქრიზანთემა მჭონდა გარტობილი, როდესაც პირველად მოიტანეს სახლში მთვრალი.

ქალმა ბავშვებს შეხედა. გაკვირვებულები უყურებდნენ, პირიც კი გაეღოთ, საქანელა სავარძელში ჩაჯდა და რამდენიმე ხანს გაჩუმებული ირწეოდა. მერე საათს შეხედა.

— ექვს ოცი უკლია, — თქვა და აგდებულად, ღვარძლიანი სიმწარით განაგრძო: — სანამ არ წამოათრევენ, არ წამოვა, ფეხსაც არ მოიცვლის დუქნიდან! მალაროს ტალახში ამოგანგლული დაეგდება, მაგრამ იმის ბანვას არ მოვყვები, იწვეს იატაკზე. ღმერთო ჩემო, რა სულელი ვიყავი, რა სულელი! ამისთვის ჩამოვედი აქ, ამ ქუჩყიან, ვირთხებით სავსე სოროში. საკუთარ სახლს გვერდს უვლის და სადღაც მიძვრება. გასულ კვირას ორჯერ გამოთვრა და იწყო ახლა...

თავს ძალა დაატანა, გაჩუმდა და სუფრის ალაგებას შეუდგა.

კიდევ ერთი საათი გავიდა, ბავშვები თამაშობდნენ. დაძაბულობის გაფანტვას ცდილობდნენ და ახალ-ახალ გასართობს იგონებდნენ. ცალკე დედის გამაგების ეშინოდათ და ცალკე მამის დაბრუნების. მისიზ ბეიტის საქანელა სავარძელში იჯდა და მალაროელის უსახელებო, სამუშაო ტანსაცმელს კერავდა სქელი, ყვითელი ფლანელისაგან. როცა ქსოვილს ნაცრისფერ ნაწიბურებს ახედა, ოთახში კენესისმაგვარი ხმა გაისმოდა. ენერგიულად მუშაობდა, თან ბავშვებს უგდებდა ყურს. მისი გულისწყრომა კი თითქოს დაიღალა, მიყუჩდა, მხოლოდ დროდადრო თუ შეახსენებდა თავს და მაშინ ერთიანად იძაბებოდა, სმენად იქცეოდა. როდესაც გარედან ნაბიჯების ხმა ჩაესმოდა, საკერავს განზე სწევდა. ამ დროს თითქოს მისი წყრომაც დრკებოდა, უკან იხევდა. ქალი სწრაფად სწევდა თავს ძალა და როგორც კი დააპირებდა ბავშვებისთვის ეთქვა, გაჩუმდითო, წამსვე გონს მოდიოდა, ნაბიჯების ხმა წყდებოდა და ბავშვები წყნარად განაგრძობდნენ თამაშს.

მაგრამ აი, ანიმ ამოიოხრა და დაღლილობას დანებდა. მობეზრდა საშინაო ფლოსტებით თამაში, ვაგონებს რომ განასახიერებდნენ, საცოდავად გახედა დედას და დაუძახა:

— დედა! — ქალი არ გაპასუხებია.

ჯონი ბაყაყივით გამოფოფხდა ტახტის ქვემოდან. დედამ თავი ასწია.

— კარგია! შეხედე შენ სახელოებს!

ბიჭმა უსიტყვოდ გაიშვირა წინ ხელები და სახელოები შეათვალიერა. შორს, ლიანდაგებთან ვილაცის ხრინწიანი ხმა გაისმა. ოთახში მყოფნი უცებ მოიცვა მღელვარებამ, მაგრამ ტყუილად. ორმა ადამიანმა ლაპარაკით ჩაუარა სახლს.

— ძილის დროა! — გამოაცხადა ქალმა.
 — მამა რომ არ მოსულა, — ცრემლნარევი ხმით, საწყლად თქვა ანამ, მაგრამ დედის გული ვერ მოუღებო.
 — შენ ნუ დარდობ, კუნძივით შემოიტანენ, როცა მოვა. — ამით იმის თქმა უნდოდა, რომ მამის დაბრუნებას აყალმაყალი არ მოჰყვებოდა. — თუ შენვე უნდა იტაკე, სანამ გაიღვიძებდეს. ალბათ დღევანდელი ამბის შემდეგ შენც მოხარული იქნები.
 — რა ვეღარც წავა!

ქალმა ჩაჩუმებულ ბავშვებს ფლანელის სველი ნაჭრით გაუწმინდა სახე და ხელები. პერანგები ჩაიცვეს თუ არა, ლოცვა დაიწყო, ბიჭი რაღაცას გაუგებრად ლულულულებდა. დედა უყურებდა გოგონას მუქ ოქროსფერ, აბრეშუმივით რბილ თმას, კულულებად რომ ეყარა კეფაზე, ბიჭის პატარა, შავთმიან თავს და გული ბრაზით ევსებოდა მათი მამის გახსენებაზე, ვინც სამთავეს ასეთ მწუხარებას აყენებდა. ბავშვებმა დედის კალთაში ჩარგეს თავები სანუგეშოდ.

როცა მისიზ ბეიტსი ქვევით ჩავიდა, ოთახი უცნაურად ცარიელი და თან დაძაბული მოლოდინით სავსე ეჩვენა. ისევ საკერავი აიღო და რამდენიმე ხანს თავაუღებლად მუშაობდა. მუშაობდა და თანდათან მის გულში წყრომის ნაცვლად შიში იკიდებდა ფეხს.

II

საათმა რვაჯერ ჩამოჰკრა თუ არა, ქალი უცებ ფეხზე წამოხტა და საკერავი სკამზე მიაგდო. კართან მივიდა, გამოაღო და სმენად იქცა, შემდეგ გარეთ გავიდა და კარი გამოიკეტა.

უბოში რაღაცამ გაიშლივინა. ქალი შეკრთა, თუმცა იცოდა, საშიში არაფერი იყო. ალბათ ვირთხებია, მთელ დასახლებას რომ მოსდებიანო. ძალიან ბნელოდა. არც ვაგონეტებით გაჭედული ლიანდაგების თავშესაყარში ენთო სინათლეები, მხოლოდ მოშორებით, კარიერზე ციმციმებდა რამდენიმე ყვითელი ნათურა და ლაქასავით ღვიოდა ნაყარი მიწის მთა. ქალი ლიანდაგს გაჰყვა, მეისრის ჯიხურთან თეთრი ჭიშკარი გამოაღო, რამდენიმე საფეხური აიარა და გზაზე გავიდა. თითქოს გულზე მოეშვა. ხალხი ნიუ ბრინზლისაკენ მიდიოდა, სახლებში სინათლეები ენთო, ოციოდე იარდის მოშორებით „უელსის პრინცის“ დიდი ფანჯრები სითბოსა და სინათლეს აფრქვევდნენ, მამაკაცების ხმამაღალი საუბარი მკაფიოდ ისმოდა. სულელი, წარმოიდგინა, რაღაც უბედურებააო მის თავს. ალბათ „უელსის პრინცშია“ და სვამს. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. კუდში არასოდეს უდევნია და არც ახლა დაუწყებდა დევნას. ასე მიჰყვებოდა შორიშორ მდგარი სახლების გრძელ, შავ რიგს, შემდეგ პატარა ბილიკზე ჩაუხვია.

— მისტერ რიგლი ვნებავთ, არა? ახლა სახლში არ გახლავთ.

გაძვალტყავებული ქალი ჩაბნელებული ჭურჭლის სარეცხი ოთახიდან ახედებოდა და ცდილობდა, სუსტ შუქზე, სამზარეულოს ფარდაჩამოშვებული ფანჯრიდან რომ აღწევდა, სტუმარი შეეცნო.

— მისს ბეიტსი ხართ? — იკითხა ქალმა. მის კილოში სტუმრისადმი პატივისცემა გამოკრთა.

— დიას. მინდოდა გამეგო, თქვენი ქმარი შინ არის თუ არა? ჩემი ჯერ არ დაბრუნებულა.

— რას მეუბნებით? ჭეჭი იყო, ისადილა და ისევ გავიდა. ნახევარი საათით გავივლი ძილის წინო. „უელსის პრინცი“ იყავით?

— არა...

— ჰო, რა თქმა უნდა... არ გინდოდათ, რომ... როცა ქალი... მასპინძელი მიუხვდა სტუმარს. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჭეჭს არაფერი უთქვამს თქვენს მეუღლეს?

— ალბათ დუქანშია, სხვაგან სად იქნება?

ელიზაბეთ ბეიტსმა მწარედ, გამომწვევად წარმოთქვა ეს სიტყვები. იცოდა, რომ მისიზ რიგლის მეზობელი ქალი თავის კართან იდგა და მათ ლაპარაკს ისმენდა. მაგრამ ახლა ყველაფერი სულერთი იყო მისთვის. უკან გაბრუნებას აპირებდა, მისიზ რიგლიმ რომ შეაჩერა.

— ერთი წუთით შეიცადეთ, წავალ, ვკითხავ ჭეჭს, იქნებ რამე იცის!

— ო, არ მინდა, ასე შეგაწუხოთ.

წავალ, ოღონდ შინ შედით და ბავშვებს მიმიხედეთ, ქვემოთ არ ჩამოვიდნენ, ხანძარი არ გააჩინონ.

ელიზაბეთ ბეიტსი თითქოს უარობდა, რაღაც ჩაილაპარაკა, მაგრამ სამზარეულოში მაინც შევიდა. ქალმა ბოდიში მოიხადა, არეული მაქვს აქაურობა.

დიასახლისს მართლაც რომ მოსაბოდიშებლად ჰქონდა საქმე. ტახტზე და იატაკზე ბავშვის კაბები, შარვლები და თეთრეული იყარა, ყველა კუთხეში სათამაშოები მიმოებნიათ. შავ-მუშამბაგადაფარებული მაგიდა პურისა და ნამცხვრის ნაჭრებით, ქერქებითა და ნამცეცებით იყო სავსე. იქვე გაციებული ჩაიდანიც იდგა.

— ჩვენც ასე არა ვართ, — უპასუხა ელიზაბეთ ბეიტსმა, რომელიც დიასახლისს უყურებდა და არა სამზარეულოს. მისიზ რიგლიმ თავშალი მოიხვია, ახლავე მოვალო, ჩაილაპარაკა და საჩქაროდ გავიდა გარეთ.

ქალი დაჯდა, მიმოიხედა და სამზარეულოში გამეფებული უწესრიგობის გამო გულში გაჰკილა დიასახლისი. შემდეგ იატაკზე უწესრიგოდ მიყრილი ფეხსაცმელების თვლას მოჰყვა. თორმეტი დაითვალა. ამოიოხრა და ჩაილაპარაკა: რა გასაკვირიაო! — და ახლა სათამაშოების გროვაზე შეაჩერა მზერა. ეზოდან ფეხის ხმა შემოესმა და რიგლებიც შემოვიდნენ. ელიზაბეთ ბეიტსი ფეხზე წამოდგა. რიგლი ძვალმსხვილი, დიდი კაცი იყო. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევდა ფართოყვრიმალებიანი სახე. საფეთქლის გასწვრივ ნაიარევი აჩნდა, მალაროში მიღებული ჭრილობა ქვანახშირის მტვერს ლურჯად შეედება და სვირინგს ჯამსგავსებოდა.

— ჭერ არ მოსულა? — შემოსვლისთანავე დაიწყო კაცმა მისალმების გარეშე, მაგრამ თანაგრძნობითა და პატივისცემით.

— არ ვიცი, სად უნდა იყოს, იქ არ იყო! — „უელსის პრინცისაკენ“ გაიქნია თავი.

— იქნებ „ურთხელებშია“? — იკითხა მისიზ რიგლიმ.

სიჩუმე ჩამოვარდა. რიგლი აშკარად შეფიქრიანებული ჩანდა.

— მე რომ მოვდიოდი, ნორმას ამთავრებდა, ცვლის დამთავრების საყვირიდა. ათი წუთი იქნებოდა გასული, წამოსვლა რომ დავაპირეთ, დავუძახე: უოლტ, არ მოდიხართ-მეთქი? — წადით, მეც უკან მოგყვებითო! — დაგვიძახა. მე და ბაუერსმა ვიფიქრეთ, ალბათ მომდევნო ჯგუფს ამოჰყვებო.

აღელვებული და დაბნეული ჩანდა, თითქოს თავს იმართლებდა ქალების წინაშე ამხანაგის მიტოვებისთვის. ელიზაბეთ ბეიტსი, თუმცა ეჭვი აღარ ეპა-

რბოდა, რომ მის ქმარს უბედურება შეემთხვა, მის გადარწმუნებას შეეცადა.

— ალბათ „ურთხელებშია“, როგორც თქვენ თქვით. პირველი შემთხვევა კი არ არის. რამდენჯერ ავფორიაქებულვარ დღევანდელივით. შინ მაშინ დაბრუნდება, როცა მოსატანი გახდება.

— ეს რა უბედურებაა! — წამოიძახა მისიზ რიგლიმ.

— ერთი დიკთანაც შევირბენ, ვნახავ, იქ ხომ არ არის! — უკმაყოფილოდ მისტერ რიგლიმ, ცდილობდა ქალისთვის თავისი შიში არ გაემჟღავნებინა, არც თავის მობეზრება უნდოდა.

— ო, არ მინდოდა ასე შემეწუხებინეთ! — მხურვალედ იუარა ელიზაბეთ ბეიტსმა. მაგრამ კაცი მიხვდა, ქალს გაუხარდა ასეთი ყურადღება.

სანამ ბილიკს ჩაივლიდნენ, ელიზაბეთ ბეიტსმა გაიგონა, როგორ გადაირბინა რიგლის ცოლმა ეზო და მეზობლის კარი შეაღო. გაიგონა და თითქოს სისხლისგან დაეწრიტა, სადღაც გაეპარა გული.

— ყურადღებით იყავით, — აფრთხილებდა რიგლი, — რამდენჯერ ვთქვი, ეს გზა მოვასწოროთ-მეთქი, სანამ ფეხს არ მოიტეხავს ვინმე...

ქალი თავს მოერიდა და მალაროელის ჩქარ ნაბიჯს ფეხი აუწყო.

— არ მინდა მძინარე ბავშვები ამდენ ხანს მარტო დავტოვო, შინ არავინაა!

— გასაგებია, — თავაზიანად შეესიტყვა მალაროელი.

სახლთან მალე მივიდნენ.

— რამდენიმე წუთში მოვბრუნდები, ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება! — დაამშვიდა კაცმა.

— დიდი მადლობა, მისტერ რიგლი, — უპასუხა ქალმა.

— რა სალაპარაკოა! — დარცხვენით ჩაილაპარაკა უკვე გზაზე დამდგარმა რიგლიმ. — მალე მოვბრუნდები.

სახლში სიწყნარე იყო. ელიზაბეთ ბეიტსმა ქუდი და შალი მოიხადა, შემდეგ ხალიჩა გაშალა ბუხრის წინ და დაჯდა. ათი საათი დაწყებულ იყო. უცებ ქალი შეკრთა. მალაროში ქშენით ამუშავდა ამწეზანქანა. მუხრუჭები აჭრიალდნენ, ბაგირი აზუზუნდა. ლიფტი ქვევით ეშვებოდა. კვლავ მტკივნეულად შეეკუმშა გული. ხელი მკერდზე მიიღო და წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო, ეს ხომ ცხრა საათის ცვლა ჩადის ქვემოთ, — უსაყვედურა თავს.

ჩუმად იჯდა, სმენადქცეული. ნახევარი საათის შემდეგ იგრძნო, რომ სრულიად გამოიფიტა მღელვარებისგან.

— რა მემართება? — საკუთარი თავი შეებრაღა. — ასე რამეს ავუტეხავ თავს!

ისევ საკერავს მიუბრუნდა.

ათს თხუთმეტი წუთი უკლდა, ფეხის ხმა რომ გაისმა. ვიღაც მარტო მოდიოდა. კარს მიაშტერდა, გაღებას ელოდა.

ხნიერი ქალი შემოვიდა — დედამთილი, შავი ქუდი ეხურა და შავი შალი ბჭონდა მოსხმული მხრებზე. ასე სამოცი წლისა იქნებოდა. ფერმკრთალი, ცისფერთვალეა ქალი იყო, სახედანაოქებული, დამწუხრებული. მოხუცმა კარი მიხურა და აწუწუნდა:

— ეპ, ლიზი, რა ვქნათ, რა ეილონოთ?

ელიზაბეთი ცოტა არ იყოს უხეშად გაეპასუხა:

— რა იყო, დედა, რა მოხდა?

მოხუცი ტაბტზე ჩამოჯდა.

— რა ვიცი, შვილო, აღარაფერი მესმის, — ქალმა ნელა გააქნია თავი. შეფიქრიანებული და გაღიზიანებული ელიზაბეთი უხმოდ შეჰყურებდა. — ჩემს უბედურებას ბოლო არ უჩანს. რა აღარ გადავიტანე, არ უნდა მოვიხვეწო? — ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა, არც უცდია შემშრალება.

— რა იყო, დედა, რაზე ჯაპარაკობ, რა მოხდა? — მოხუცმა ცრემლები დინჯად მოიწმინდა — ელიზაბეთის პირდაპირმა შეკითხვამ თითქოს გამოაფხიზლა და ტირილი შეწყვიტა. ისევ შეიმშრალა ცრემლიანი სახე და აკვნესდა:

— საცოდავო ბავშვო, შე საცოდავო! რა ვქნათ, რა გვეშველება? შეტკიდევ ამ დღეში ხარ... მართლა საშინელებაა!

ელიზაბეთმა შეიცადა.

— მკვდარია? — იკითხა ბოლოს და ეს სიტყვა წარმოთქვა თუ არა, გული გაშმაგებით აუძგერდა, თან შერცხვა ამ უცნაური შეკითხვის გამო. მოხუცი ისე შეშინდა, რომ თითქმის გონს მოეგო.

— რას ამბობ ელიზაბეთ! ასე როგორ გაგვწირავს ღმერთი, ელიზაბეთ! ჯეკ რიგლი მოვიდა ჩემთან. ის იყო დაწოლა დავაპირე, მოვიდა და მითხრა, იქნებ რკინიგზისკენ წახვიდეთ მისიზ ბეიტს, თქვენს რძალთან, უოლტს რაღაც შეემთხვა, იქნებ წახვიდეთ და მასთან იყოთ, სანამ სახლში მოვიყვანთო. ვერაფრის კითხვა ვეღარ მოვასწარი, ისე წავიდა. მაშინვე ქუდი დავიხურე და შენსკენ გამოვეშურე, ლიზი, თან ჩემთვის ვფიქრობდი: ეჰ, ჩემი საწყალი გოგო, ვინმემ არაფერი მიახალოს უცებ, ღმერთმა არ იცის რა მოუვა-მეთქი! არ უნდა აღელდე, ლიზი, იფიქრე, რა მოჰყვება ამას. რამდენი თვის ხარ, ექვსის თუ ხუთის, ჰა, ლიზი? — მოხუცმა ისევ გადააქნია თავი. — როგორ გარბის დრო, როგორ! ეჰ!

ელიზაბეთი კი სულ სხვას ფიქრობდა: თუ მკვდარია, ეყოფათ თუ არა პენსია, შესძლებს თუ არა თვითონ საკუთარი შრომით იშოვოს ფული — სწრაფად ანგარიშობდა. თუ მხოლოდ დაშავებულია, საავადმყოფოში არ წაიყვანდნენ, რა ძნელი მოსავლელი იქნება! მაგრამ იქნებ შესძლოს და სმას თავი დაანებებინოს, გამოასწოროს. სანამ გამოჯანმრთელდება, ალბათ დაემორჩილება ამის წარმოდგენაზე თვალეზზე ცრემლები მოადგა. ცრემლები — ასეთი ფუფუნების უფლება არ ჰქონდა. ბავშვებზე გადაიტანა ფიქრი. ერთი რამ ცხადია, ბავშვებს დედა სჭირდებათ. მისი მთავარი საზრუნავი ისინი არიან.

— ეჰ! — ისევ ამოიოხრა მოხუცმა. — თითქოს ერთი-ორი კვირის ამბავია, ისე მახსოვს, პირველი ხელფასი რომ მომიტანა. ოჰ, კარგი ბიჭი იყო, ელიზაბეთ, კარგი ბიჭი. თუმცა თავისებური. არ ვიცი, ასეთი როგორ გახდა, არ ვიცი. სახლში ყოველთვის სიხარული შემოჰქონდა, უცებ კი იცოდა აფეთქება. მერე, იცოცხლე, ბევრი სიმწარე მანახვა! მჯერა, ღმერთი დაიფარავს და გზაზე დააყენებს, მჯერა, ასე მჯერა! შენც ბევრი გაჭირვება განახვა, ელიზაბეთ, ბევრი მაგრამ ჩემს მიმართ ისეთი აღერსიანი იყო ყოველთვის, ისეთი, დამიჯერე, არ ვიცი, როგორ...

მოხუცის ლაპარაკს ბოლო არ უჩანდა. ელიზაბეთი ყურს არ უგდებდა. დაძაბული ფიქრობდა და მხოლოდ გამაღიზიანებელი, მონოტონური ხმა ჩაესმოდა. უცებ შეკრთა. ამწე მანქანა სწრაფად ამუშავდა და მუხრუჭების ყურისწამლები ღრჭიალი გაისმა. მერე თითქოს შეანელა მუშაობა და მუხრუჭების ხმაც მიწყდა. მოხუცს არაფერი გაუგია. ელიზაბეთი მთლად მოლოდინად

ქვეყლიყო, დედამთილი კი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, მხოლოდ დრო-
დადრო თუ მიჩუმდებოდა.

— იგი შენი შვილი არ არის, ლიზი. შვილი სულ სხვაა. რაც არ უნდა ექნებ, სულ მისი პატარაობა დამიდგებოდა ხოლმე თვალწინ და ვცდილობდი გამეგო/ და მეპატიებინა...
ეროვნული

თერთმეტის ნახევარი ხდებოდა, მოხუცი კი ისევ განაგრძობდა ბაში იბადები და კვდები. უბედურება ასაკს არ დაგიდევს, უბედურება...“
უცებ ჭიშკარმა გაიჭრიალა და მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა.

— მე გავალ, ლიზი, მე! — წამოიძახა მოხუცმა და ფეხზე წამოდგა, მაგრამ ელიზაბეთი უკვე კართან იყო. შემოსასვლელში მაღაროელი იდგა.

— მოჰყავთ, ქალბატონო! — თქმა მან. ელიზაბეთს გული გაუჩერდა, მაგრამ მეორე წამში ისე გამალებით აუძგერდა, თითქოს აზვირთებული ტალღა დაეტაკა და უნდა დააღრჩოსო.

— როგორ არის, ცუდად? — ამოღერდა ბოლოს.

კაცმა პირი იბრუნა და სიბნელეს გახედა.

— ეჭიმი ამბობს, რამდენიმე საათის მკვდარიაო. ფარნების შესანახ ოთახში გასინჯა.

მოხუცი ქალი, ელიზაბეთის ზურგს უკან რომ იდგა, სკამზე დაეარდა და ხელების მტვრევით წამოიძახა:

— ვაი, შვილო! ჩემი ბიჭი!

— ჩუმად! — თქვა ელიზაბეთმა და სახე შეუტოკდა. — ჩუმად იყავით, დედა, ბავშვები არ გააღვიძოთ. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, დაბლა რომ არ ჩამოვიდნენ.

მოხუცი ირწეოდა და ჩუმად კვნესოდა. კაცმა გაბრუნება დააპირა. ელიზაბეთმა წინ გადადგა ნაბიჯი:

— როგორ მოხდა?

— რა ვიცი, ზუსტად ვერ გეტყვით! — აღარ იცოდა, რა ეპასუხა — ცვლა დამთავრებული იყო. ყველანი წასულები იყვნენ. ამ დროს ჩამონგრეულა.

— გასრისა? — წამოიძახა ქვრივმა და შეაფრქოლა.

— არა, — უპასუხა კაცმა. — მის უკან ჩამონგრეულა, მოშორებით. ერთი ნამტვრევიც არ დასცემია. გასასვლელი კი ამოქოლა. აღბათ გაიგუდა.

ელიზაბეთი შექანდა. გაიგონა, როგორ წამოიძახა მოხუცმა:

— რა? რას ამბობს?

— გაიგუდა!

მოხუცი ხმამალლა აქვითინდა, ელიზაბეთიც მთეშვა.

— დედა! — თქვა და მოხუცს ხელი დაადო: — დედა, ბავშვები არ გააღვიძოთ, არ გააღვიძოთ...

თვითონაც ატირდა, მაგრამ ვერ ამჩნევდა, ცრემლები რომ სდიოდა. მოხუცი კი ირწეოდა და კვნესოდა. ელიზაბეთს გაუელვა, მოჰყავთ და უნდა მოვემზადოო. „სასტუმროში დავასვენებინებ“, ჩაილაპარაკა თავისთვის. ერთხანს ფერდაკარგული და თავზარდაცემული იდგა.

მერე სანთელი აანთო და ციციქნა ოთახის კარი შეაღო. ცივი და ნესტიანი ჰაერი დაეტაკა, მაგრამ ცეცხლს ვერ დაანთებდა. ოთახს ლუმელი არ ჰქონდა. სანთელი დადგა და მიმოიხედა. სანთლის მკრთალი შუქი ქალის შუშის საკიდებზე, ვარდისფერქრიზანთემებიან ორ ლარნაკსა და მუქწითელ ხის ავეჯზე აციმციმდა. ქრიზანთემების სულისშემხუთველი, მძაფრი სუნი იდგა. ერთხანს

ყვავილებს შეჰყურებდა. შემდეგ შებრუნდა და თვალით ადგილი მოზომა, შიფონერსა და ტახტს შორის იატაკზე რომ დავასვენებინო, თუ დაეტევას. სკამები განზე გადავა. დაეტევა და გასასვლელი ადგილიც დარჩებოდა, გაიფიქრა. ძველი წითელი სუფრა აიღო. მეორეც ამოიღო უჭრიდან და იატაკზე დააფინა. ხალიჩა რომ არ დასვრილიყო. შეამცივნა. ტანსაცმლის კაბრიდან სუფთა პერანგი გამოიღო, ოთახიდან გავიდა და ცეცხლთან მიასფინა გასასვლელად. დედამთილი ისევ სკამზე იჯდა, ირწეოდა და კვნესოდა.

— აქედან უნდა გადაჯდეთ, დედა, — უთხრა ელიზაბეთმა. — ახლა შემოიტანენ. საქანელა სავარძელში ჩაჯექით.

მოხუცი ანგარიშმიუცემლად დამორჩილდა, წამოდგა, ცეცხლთან დაჯდა და ისევ ატირდა. ელიზაბეთი საკუჭნაოსკენ გაემართა მეორე სანთლის ასაღებად და იქ, კრამიტით გადახურულ საკუჭნაოში გაიგონა, როგორ მოუახლოვდნენ სახლს, როგორ გაჭირვებით ჩამოათავეს ის სამი საფეხური. ბორძიკითა და ფეხის ფრატუნით მოიწევდნენ. ლაპარაკის ხმაც აღწევდა. მაგრამ სიტყვები ვერ გაარჩია. მოხუცი ჩუმად იყო. კაცები ეზოში შემოვიდნენ.

შემდეგ ელიზაბეთმა მეთიუზის ხმა გაიგონა, მალაროს უფროსის.

— ჯიმ, ჯერ შენ შედი, ფრთხილად!

კარი გაიღო და ქალებმა მალაროელი დაინახეს, ზურგით რომ შემოდის ოთახში და საკაცის ბოლო ეჭირა. მიცვალებულის ნალდარტყმული ჩექმებიც გამოჩნდა.

ორივე კაცი საკაცე რომ მოჰქონდათ, შეჩერდნენ, მიცვალებულის თავით მდგარი მოიხარა, კარის წირთხლს მთარიდა თავი.

— სად წავილეთ? — იკითხა უფროსმა, ტანდაბალმა, თეთრწვერა კაცმა. ელიზაბეთი გამოერკვა და აუნთებელი სანთლით გამოვიდა საკუჭნაოდან.

— სასტუმრო ოთახში, — თქვა ქალმა.

— იქით, ჯიმ, — ანიშნა უფროსმა და კაცები ციციქნა ოთახისაკენ დაიძრნენ. სანამ ერთი კარიდან მეორეში შევიდოდნენ, კაცები როგორღაც უშნოდ შეტრიალდნენ და პალტო, მიცვალებულისათვის რომ მიეფარებინათ, ჩასრილდა, დედამ და ცოლმა წელამდე გაშიშვლებული სხეული დაინახეს; ასე მუშაობდა ხოლმე მალაროში. თავზარდაცემული მოხუცი ჩუმი ხმით ატირდა.

— აგერ დადეთ საკაცე, — ბრძანა უფროსმა, — სუფრაზე გადაასვენეთ, ფრთხილად, ფრთხილად!..

ერთ-ერთმა კაცმა ქრიზანთემებიანი ლარნაკი გადმოაგდო და დაბნეული იყურებოდა აქეთ-იქით. საკაცე ძირს დადეს.

ელიზაბეთს ქმრისთვის არ შეუხედავს. როგორც კი შესასვლელი განთავისუფლდა, ოთახში შევიდა და ლარნაკის ნამსხვრევებისა და ყვავილების აკრეფას შეუდგა.

— ერთი წუთით, თუ შეიძლება, — თქვა ელიზაბეთმა.

სამივე კაცი ჩუმად იდგა და იცდიდა, სანამ ქალი ჩვრით იატაკს მოამშრალებდა.

— ეჰ, ეს რა დაგვემართა, რა დაგვემართა! — დაიწყო უფროსმა, თან აღელვებული ისრესდა შუბლს. — ჩემს სიცოცხლეში ამისთანა არაფერი გამიგია. არაფერი! რა საქმე ჰქონდა, რისთვის დარჩა! არასოდეს ამისთანა არაფერი გამიგონია! ზუსტად მის უკან ჩამოინგრა, ზუსტად, და ოთხი ფუტის სივრცეში გამოემწყვდია. მაინც არაფერი დაშავებია. ერთი დაღურჯებული ადგილიც არსადა აქვს.

უფროსმა ნახევრად შიშველ, ქვანახშირის მტვრით გამურულ, იატაკზე გართხმულ მიცვალებულს დახედა.

— გაიგუდაო, ექიმმა თქვა. ამაზე საშინელი არაფერი გამიგია. თითქოს განგებ იყო ყველაფერი მოწყობილი. ზუსტად მის ზურგს უკან ჩამოიშალა და ისე გამოიკეტა, როგორც სათაგურში... — თქვა და ხელი მოწყვეტით ჩაიქნია.

იქვე მდგარმა მალაროელებმა დასტურის ნიშნად ნალვლიანად დაიწყეს თავეები, თითქოს სრულად ახლა შეიგრძნეს მომხდარი ამბის მთელი საშინელება.

— დედა, დედა, ვინ არის? ვინ არის?

ელიზაბეთმა სწრაფად მიიღბინა კიბის ძირთან და კარი შეაღო.

— დაიძინე! — მკაცრად გასძახა გოგონას. — რას ყვირი? ახლავე დაიძინე, არაფერი არ...

შემდეგ კიბეს აუყვა. ჯერ კიბის საფეხურებზე, შემდეგ კი პატარა საძინებელი ოთახის ლინოლეუმის იატაკზე გაისმა მისი ნაბიჯების ხმა.

ლაპარაკიც გაიგონეს. ყოველი სიტყვა მკაფიოდ აღწევდა ძირს მყოფთა ყურამდე.

— რა მოხდა, რა მოგივიდა, შე სულელო? — აღელვებული, არაბუნებრივად ალერსიანი ხმით ლაპარაკობდა ქალი.

— შეგონა, ვიღაც კაცები მოვიდნენ, — ბავშვი საცოდავად ლულულულებდა, — მოვიდა?

— ჰო, მოვიდა, მოიტანეს, ყველაფერი კარგად არის, დაიძინე ახლა, შენ ხომ კარგი გოგო ხარ!

კაცები იდგნენ და იცდიდნენ, სანამ ქალი ბავშვებს საბანს გაუსწორებდა, თან მთელი ლაპარაკი ესმოდათ.

— მთვრალია? — გაუბედავად, ძლივს გასაგონად იკითხა გოგონამ.

— არა, არ არის, უბრალოდ, სძინავს.

— დაბლა სძინავს?

— ჰო, ჩუმად იყავი.

ერთხანს სიწყნარე ჩამოვარდა, შემდეგ ისევ გაისმა შეშინებული ბავშვის ხმა.

— ეს რა არის?

— არაფერია, დამიჯერე, არაფერია. რამ შეგაშინა?

ეს მოხუცი კვნესოდა. იგი უკვე ვეღარაფერს ამჩნევდა ირგვლივ, იჭდა სავარძელში, ირწეოდა და კვნესოდა. უფროსმა ხელი მოჰკიდა მკლავზე, ჩუმად იყავითო.

მოხუცმა თვალები გაახილა, შეხებამ შეაკრთო და უაზროდ მიაშტერდა კაცს.

— რომელი საათია? — ისევ გაისმა საწყალობელი, სუსტი ხმა. ბავშვს ეტყობოდა, ძილი ართმევდა თავს და ძლივს ამოთქვა ეს უკანასკნელი კითხვა.

— ათი საათია, — ჩუმად გაეპასუხა ქალი. მერე, ეტყობა, დაიხარა და ბავშვებს აკოცა.

მეთიუზმა კაცებს ანიშნა, წავიდეთო. მალაროელებმა ქუდები დაიხურეს, საკაცე აიღეს, მიცვალებულს გადააბიჯეს და ფეხის წვერებზე გავიდნენ სახლიდან. არც ერთს ხმა არ ამოუღია, სანამ კარგა მანძილზე არ დაშორდნენ სახლს, სადაც ბავშვებს ასეთი მშფოთვარე ძილით ეძინათ.

როდესაც ელიზაბეთი ქვევით ჩავიდა, დედამთილი სასტუმროში მარტო

დახვდა, იატაკზე დამჯდარი მიცვალებულისკენ გადახრილიყო და ცრემლებს აფრქვევდა.

— უნდა გავაპატიოსნოთ, — თქვა ცოლმა და ჩაიდნის დისადგმელად გავიდა. შემდეგ შემობრუნდა, მიცვალებულთან ჩაიმუხლა და ფენსაცმლის ზონრების შეხსნას შეუდგა. ნესტიან ოთახს მხოლოდ ერთი სანთელი მკრთალი შუქი ანათებდა და ქალს ლამის იატაკამდე მოუხდა თავის დახრია. ზოლოს, როგორც იქნა, ზონრები გაუხსნა, მძიმე წალები გააძრო და განზე დააწყო.

— ახლა უნდა მომეხმაროთ. — უჩურჩულა მოხუცს. ქალებმა ერთად გააშიშვლეს მიცვალებული.

როცა ფეხზე წამოდგნენ და კაცს დახედეს, სიკვდილის გულუბრყვილო სიდიადემ ქალები შიშითა და პატივისცემით აღავსო. რამდენიმე წუთს გარინდებული დაჰყურებდნენ. მოხუცი სლუკუნებდა. ელიზაბეთი კი იდგა და ახალ ბრძანებებს ელოდა ქმრისგან ძველი, გაუქმებული ბრძანებების ნაცვლად. ხედავდა, რომ ქმარი, სრულიად შეუვალი მისთვის, თავის თავში ჩაძირული იწვა, აღარაფერი აკავშირებდა მასთან. ამას ვერ შეგუებოდა. დაიხარა და ხელი დაადო, თითქოს თავის უფლებას აცხადებდნო ამით. ჯერ კიდევ თბილი იყო კაცი, რადგან მაღაროში, სადაც დაიღუპა, ცხელოდა. მოხუცს შვილის თავი ხელებში მოეჭვია და რაღაცას გაუგებრად ბუტბუტებდა. ცრემლები ისე სდიოდა, როგორც ფოთლებს წვიმის წვეთები. კი არ ტიროდა, უბრალოდ ცრემლების ღვარი უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა. ელიზაბეთი ქმრის სხეულს მოეხვია, ლოყითა და ტუჩებით მიეკრო. აყურადებდა, პასუხს ელოდა, თითქოს მასთან მისასვლელ გზებს ეძებდა, მაგრამ ვერ ეპოვა. ელიზაბეთი უარყვეს. კაცი მიუდგომელი გამხდარიყო მისთვის.

ადგა და სამზარეულოში გავიდა, თბილი წყალი ჯამში გადმოასხა, საპონი, ფლანელის ნაჭერი და რბილი პირსახოცი აიღო და სასტუმროში დაბრუნდა.

— უნდა დავბანო.

მოხუცი ძლივს წამოდგა ფეხზე და ელიზაბეთს შეაჩერდა, რომელმაც ფრთხილად მობანა კაცს სახე, ფრთხილად გაუსუფთავა ფლანელის ნაჭრით ქერა უღვაშები. უსახლვრო იყო ქალის შიში, ამიტომ მოწიწებით ემსახურებოდა. ეჭვიანობით ატანილმა მოხუცმა წამოიძახა:

— გამამშრალებინე! — და რძლის პირდაპირ ჩაიჩოქა. ელიზაბეთი ბანდა, მოხუცი კი სათუთად ამშრალებდა, დროდადრო მისი შავი შლიაპა რძლის მუქთმიან თავს ეხახუნებოდა. დიდხანს უსიტყვოდ საქმიანობდნენ. არ ავიწყლებოდათ, რომ სიკვდილთან ჰქონდათ საქმე და მკვდარი მამაკაცის სხეულის შეხება უცნაურ, განსხვავებულ გრძნობებს აღუძრავდა ძრწოლაატანილ ქალებს; დედა ხედავდა თავის უნაყოფობას, ხედავდა, რომ ამოდ დაშვრა. ცოლისთვის ადამიანის სულის უკიდურესი სიმარტოვე გახდა ნათელი. ბავშვი, რომლის გული მის სხეულში ძვერდა, მხოლოდ მისგან დამოუკიდებლად არსებულ სიმძიმედ ქცეულიყო.

როგორც იქნა, მორჩნენ. ლამაზი კაცი იყო. სმას მისი სახისთვის კვალი არ დაემჩნია. ქერა, ტანსაცმე, კარგად ნაკვეთი გრძელი კიდურებით, მაგრამ მკვდარი.

— შეიწყალე! — ჩურჩულებდა მოხუცი და თავზარდაცემულს თვალი ვერ მოეშორებინა შვილის სახისთვის. — უფალო, შეიწყალე! — ხმაჩამწყდარი ლტლტულებდა შიშისა და მშობლიური სიყვარულისგან ერთიანად გათანგული.

ელიზაბეთი ისევ იატაკზე დაეშვა, აკანკალებულმა და ათრთოლებულმა სახე ქმრის კისერში ჩამალა, მაგრამ ისევ უკან დაიწია. იგი მკვდარი იყო და ქალის ცოცხალ სხეულს ადგილი არ მოეძევებოდა მის გვერდით. შიშისა და დაღლილობისგან ერთიანად მოწყდა. იგი აღარავის სჭირდებოდა, დამთავრდა მისი ცხოვრება.

— რძესავით თეთრია და ჩვილი ბავშვივით კრიალა. შეიწყობს, — უცხადებდა ჩემი საყვარელი ბიჭი, — თავისთვის ბუტბუტებდა მოხუცი დედა. — ერთი ლაქაც კი არსად ამჩნევია. ბაბის ქულასავით თეთრია და სუფთა. ავ თვალს არ ენახვება, — სიამაყით ჩურჩულებდა ქალი.

ელიზაბეთს ისევ ჩამალული ჰქონდა სახე.

— მშვიდად მიიცვალა, ღიზი, გეგონება, მიიძინაო. რა მშვენიერია არა ჩემი კრავი! მოისვენა, ღიზი, შენდობა მიიღო, ღიზი. სანამ იქ იყო გამოკეტილი, დრო ჰქონდა მონანიებისა. ასეთი სახე არ ექნებოდა, შენდობა რომ არ მიეღო, კრავი, საყვარელი კრავი! რა კარგი სიცილი იცოდა, მიყვარდა მისი ცქერა. ისეთი გულგია სიცილი ჰქონდა, ღიზი, ბიჭობისას..

ელიზაბეთმა თავი ასწია. კაცს ჩავარდნილ და ოდნავ გაღებულ პირს უღვაში უფარავდა. სიბნელეში ნახევრად ღია თვალების შუშისებური ელვარება აღარ ჩანდა. სიცოცხლის მზრჩოლავი ცეცხლი ჩამქრალიყო მასში და სრულიად უცხო გაეხადა ქალისათვის. და ახლა ამ მარტოსულ, უცხო კაცს რომ დაჰყურებდა, რომელთანაც მრავალი წლის განმავლობაში იყო ერთხორც, მთელ გულმუცელში სიცივე უვლიდა. იქნებ მხოლოდ ეს სრული, მთლიანი გაუცხოებაა ნამდვილი, ცხოვრების ფერხულში ჩაბმულები რომ ვერ ვამჩნევთ. შეძრწუნებულმა ქალმა თავი მიაბრუნა. კაცს მეტისმეტად მკვდარული სახე ჰქონდა. არაფერი ყოფილა მათ შორის საერთო, მათ შორის, ვინც მრავალჯერ ყოფილან ერთურთთან სულით ხორცამდე შიშველნი და თურმე ყოველთვის, როცა ერთ ხორცად ქცეულან, ეს მხოლოდ ორი, ერთმანეთისთვის სრულიად უცხო, განცალკევებულ არსებათა დროებითი მთლიანობა ყოფილა, ისევე შორებელთა ერთმანეთისთვის, როგორც ამ წუთში. კაცსაც იმდენივე ბრალი მიუძღოდა ამაში, რამდენიც ქალს. ყინულივით ამძიმებდა ქალის საშოს ნაყოფი.

უყურებდა მკვდარ სხეულს და ცივი, ყველაფრისგან განდგომილი გონებით სჯიდა: „ვინ ვარ? რას ვაკეთებდი? ქმარს ვებრძოდი, რომელიც არც კი არსებულა. ეს კი ყოველთვის არსებობდა. რაში ვცდებოდი? ვის გვერდით ვცხოვრობდი? აი, სინამდვილე ეს მკვდარი კაცი“. და თითქოს მასაც ჩაუჭრა, გაუქვავდა შიგნით ყველაფერი. თურმე კაცი არასოდეს დაუნახავს ისეთი, როგორიც იყო. კაცი ხედავდა მას. ბნელში შეხვდნენ და ბნელში ებრძოდნენ ერთმანეთს, არც იცოდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე და ვის ებრძოდნენ. ქალმა მხოლოდ ახლა დაინახა იგი, დაინახა და ჩუმად იბრუნა პირი, რადგან აქამდე ცდებოდა, იმად მიაჩნდა კაცი, რაც არასოდეს ყოფილა, ღვიძლ ადამიანად მიაჩნდა. ის კი მთელი ამ ხნის განმავლობაში სულ ცალკე მდგარა, თავისი ცხოვრებით უცხოვრია, და რასაც იგი გრძნობდა, ქალისთვის მიუწვდომელი იყო.

შიშითა და სირცხვილით დაჰყურებდა შიშველ სხეულს, რადგან ჭეშმარიტად არასოდეს ცნობია იგი, თავისი ბავშვების მამა. თითქოს ქალის სული მისსავე სხეულს მოსწყდა, განცალკევდა. უყურებდა შიშველ გვამს და სირცხვილი სწვავდა. თითქოს საკუთარი ნებით უარეყო იგი. მიცვალებულის სხეულის-

თვის კი ყველაფერი სულერთი იყო. ქალს ეს ყველაზე მეტად სტანჯავდა. ქმრის სახეს დახედა და ვერ გაუძლო, კედლისკენ შეაბრუნა თავი, რადგან მთლად უცხო გამხდარიყო მისთვის. მას უკვე თავისი, საკუთარი გზა ჰქონდა. ქალს აქამდე მთავარი ვერ ამოუცვნია მის არსებაში — აქედან გამომდინარე მათლად ხედავდა — უარუყვია ის, რაც კაცს ჰქონდა. სულ ეს ყოფილა მისი უარყოფითი ცხოვრება. სიკვდილმა თვალი აუხილა, ჭეშმარიტება დაანახვა და ამიტომ მადლობელი იყო მისი, და კიდევ ის იცოდა, რომ თავად ცოცხალი იყო.

გული სიბრაღულისა და მწუხარებისგან ეგლიჯებოდა. ვინ იცის, რა ტანჯვა გადაიტანა ამ უმწეო სხეულმა? ქალი ტკივილისაგან გაქვავებული იდგა. ვერ უშველა ქმარს. უწყალოდ ტანჯეს, დაჯიჯგნეს ეს შიშველი, მარტოსული ადამიანი, ელიზაბეთმა კი ვერაფერი უშველა... ბავშვები დარჩნენ, მაგრამ ბავშვები მთლიანად სიცოცხლეს ეკუთვნოდნენ. ამ მკვდარ მამაკაცს არაფერი ჰქონდა მათთან საერთო. ქალი და კაცი მხოლოდ სიცოცხლის მდინარების გამგრძელებელი არხები ყოფილან, რათა ბავშვებში გადასულიყო სიცოცხლის უწყვეტი დინება. იგი დედა იყო, და მხოლოდ ახლა მიხვდა, რა ძნელი ყოფილა მეუღლეობა. მიხვდა, კაცის ხვედრიც მძიმე იყო, მასაც ახლა, მკვდარს, სტანჯავდა ქმრობა. იცოდა, იმქვეყნად უცბონი იქნებოდნენ ერთმანეთისთვის. მაგრამ იქ თუ მაინც შეეყრებოდნენ ერთმანეთს, სირცხვილი დასწვავდათ იმის გამო, რაც აქ, ამქვეყნად აერთიანებდათ. მათგან, კაცისა და ქალისაგან, რაღაც იდუმალი მიზეზის გამო, ბავშვები იშვნენ. მაგრამ ბავშვებმა ვერ გააერთსულეს ისინი. ახლა კაცი მკვდარი იყო და ქალი მიხვდა, რომ სამუდამოდ განერიდა, სამარადისოდ განშორდა მას. ქალის ცხოვრების ერთი მონაკვეთი დასრულდა. მათ სიცოცხლეშივე უარყვეს ერთმანეთი, ახლა კი კაცმა სამუდამოდ მიატოვა. საშინლად სტკიოდა გული. ყველაფერი მათ შორის კაცის სიკვდილამდე დასრულდა. მაგრამ იგი ხომ ქმარი იყო მისი. მაგრამ თურმე რა ცოტას ნიშნავდა ეს!

— ელიზაბეთ, პერანგი თუ გაამზადე?

ელიზაბეთს არ უპასუხია, ისე შეტრიალდა დედამთილისკენ, ცდილობდა ეტირა, ისე მოქცეულიყო, როგორც დედამთილი მოელოდა მისგან, მაგრამ ვერ ახერხებდა, ხმის ამოღებაც კი არ შეეძლო. სამზარეულოში გავიდა და პერანგი შემოიტანა.

— განიავდა, — თქვა და თან ბამბის პერანგს ხელით ამოწმებდა, სინჯავდა. ახლა თითქმის მკრებელობად ეჩვენებოდა კაცთან მიახლოვება. რა უფლება აქვს ელიზაბეთს, ან საერთოდ ვინმეს, ხელი შეავლოს მიცვალებულს.

ამიტომ კრძალვით შეეხო. გაუჭირდათ ჩაცმა. გაქვავებული კაცი მძიმე იყო. ამ მძიმე, გაშეშებული, უსიცოცხლო, თავის თავში ჩაძირული სხეულის ყოველი შეხება გამოუთქმელი ძრწოლით ავსებდა. ქალი თვალს ველარ უსწორებდა იმ უსაზღვროდ ღრმა უფსკრულს, მათ შორის რომ წარმოქმნილიყო, და ეჩვენებოდა, რომ მეტს ველარ გაუძლებდა.

როგორც იქნა მორჩნენ საქმეს. ყბა აუხვიეს, ზეწარი გადააფარეს და დატოვეს. ქალმა მაგრად გამოიკეტა პატარა სასტუმრო ოთახის კარი, ბავშვებს რომ არაფერი დაენახათ. შემდეგ გულდამძიმებული, მაგრამ ბედს შერიგებული სამზარეულოს მილაგებას შეუდგა. იცოდა, რომ წამიერ მბრძანებელს — სიცოცხლეს დანებდა და ძრწოლითა და სირცხვილით იბრუნა პირი სიკვდილისაგან — უზენაესი მბრძანებლისაგან.



ტოტო მარუშენი

1

გადარცვულ ბალში ყვითელ ფოთლებს ჩააჭკნობს ხვატი
და ჩუქურთმიან აივანზე სურო ნებიერობს,
მე ამგვარ ვილლებს ვუმღეროდი და იმათ ნატიფ
არქიტექტურას, გადაშლილებს თეთრ ფურცლებივით.

სევდით იხსენებს იმ ბედნიერ დღეებს, აგრეთვე
ხშირ ხეივანში მოსეირნე წყვილებს იხსენებს
და დარბაზებში გაჩაღებულ მბრწყინავ ბანკეტებს,
ლამაზ მეჯლისებს, გულს რომ დარდით უხრავს ისევე.

ანსაღდოს სახლი, რატააციის და აძელიოსი
და ოდონესი — დროის მსუსხავ ქროლვას დანებდა
ახლა ავტოთი მოსეირნობს ხალხი რიოში,
გორგონას თავით გვამცნობს თავის შემობრძანებას.

შეჰყეფს ძალლი და ნაბიჯის ხმა. გაუბედავად
იღება კარი. თითქოს კართან ვიღაც იძახდა,
აქ ცხოვრობს ტოტო მერუმენი. საბყარ დედასთან,
მამიდასთან და ცოტა ჭკუანაკლულ ბიძასთან.

II

ოცდახუთი წლის ტოტოს კატა უზის ფეხებთან,
პოეზიაში არის თავით გადავარდნილი,
ჭკუით არ ბრწყინავს და ზნეობას რაც შეეხება,
ზნეობით ახალ დროის შვილი გახლავთ ნამდვილი.

არც მდიდარია, და „სიტყვების კვდომას“ ამატებს
(მისი პეტრარკა...) ხან შეცვლის ან ჩხაპნის რალაცას,
განდევილობა ამჯობინა მისთვის სანატრელ
თავისუფლების გამო ოხვრას და ფუჭ ლაყაფსაც.

კეთილიც არის. ზოგჯერ გროშებს აძლევს ღარიბებს,
ხენდროს მიაართმევს მეგობარს და ვახშობს სტუმართან,
და უცოდინარ მოწაფეებს ჭკუას არიგებს,
ემიგრანტებსაც ეხმარება და ხელს უმართავს.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

თავის შეცდომებს თვითონ ხვდება, ხან საარაკოდ
კეთილი არის, თუ ვიმსჯელებთ აქ ნიცშეს აზრით:
„არარაობა მეზიზღება, როცა ამაყობს
სიკეთით, რადგან უელვარებს ბრჭყალები ბასრი“.

და ტვინის ჭყლეტვის შემდეგ ტოტომ გაისეირნა,
და ტკბილ მეგობრებს მისი თბილი ხელი გადასწვდა,
ხრინწიან ჩხიკვთან მიუყვება დამჭკნარ ხეივანს
და მაიმუნი მაკაკიტაც მიდის კატასთან.

III

ცხოვრების ყველა დაპირება გაქრა ლანდისებრ,
აღარ მოსულა სიყვარული — შორი და ურჩი,
სიზმრად ხედავდა პრინცესებს და მფრფინავ აქტრისებს,
ახლა მზარეულ გოგოს მზურვალ თეძოში ბურჯგნის.

როცა ჩაქრება სახლში შუქი, რა ქნან ფურცლებმა,
ჯანსაღი, როგორც შემოდგომის ხეზე ნაყოფი
შემოდის გოგო ფეხშიშველი და შეუწვება
ტოტოს, იმის ცხელი მკერდის ჟღვლემით კმაყოფილს.

IV

და ტოტოს გულში ყველა გრძნობამ ჩაუშვა ღუზა,
აღარც მზის შუქი აღელვებს და აღარც ქალის ხმა
და რასაც ქალი აალებულ შენობას უზამს
სწორედ ის უქნა სოფიზმებმა და ანალიზმა.

მაგრამ ვით სახლის ნანგრევებში, თუ იქ შეფრინდა
თესლი — ხანჯალა გაიხარებს და აყვავდება
იმისი სულიც ნელა ფერფლად იქცა, ფერფლიდან
ტოტოს ლექსები ამოვიდნენ დამჭკნარ ვარდებად.

მოკლედ, ამდენი მწუხარებით ამაოდ დაშვრა,
ბედნიერია თითქოს ტოტო, ფიქრებს ლექსებად
აუღერებს, მკვიდრად ჩაიკეტა საკუთარ თავში
და ს უ ლ ი ჯერაც განუცდელი შუქით ევსება.

რადგანაც მისი ხმა სუსტია, ხოლო ვინ იცის,
ვინ დაუსაზღვრა ხელოვნებას განი და კიდე,
ლექსებს თზზავს ტოტო. დრო კი მიდის, ერთი იმისიც...
ის დაიბადა ერთხელ, ერთხელ მოკვდება კიდეც.

კორაღო გოვონი

სახვარელი სახეები



გაზაფხულის ცისფერი კვირეები.
 სახურავებზე თოვლი, თეთრი ნიღბების მსგავსად.
 შეყვარებულთა გასეირნება არხების გასწვრივ.
 კვირა სისხამზე პურის ჩაკვრა და გამოცხობა.
 მარტის წვიმა, მოხტუნავე რუხ სახურავზე.
 გლიცინია კედელს აკრული.
 თეთრი ფარდები მონაზონთა მღუმარ ფანჯრებზე.
 შაბათის ზარები.
 ანთებული სანთლები წმინდა ნაწილების წინ,
 სარკეები ოთახებში მოციმციმენი.
 ალისფერი ყვავილები თეთრ მუშამბაზე.
 ოქროს ლამფები საღამოთი შესაგებებლად.
 სისხლიანი დაისი, მომაკვდავი, კედელთან ახლოს.
 ვარდის ფურცლები ავადმყოფთა თავსასთუმალთან.
 როიალის ხმა დღესასწაულზე.
 სადღაც მინდორში გუგლის „გუ-გუ“.
 ჭრელი კატები ფანჯრის რაფაზე.
 სახურავებზე მოგვრიტინე თეთრი მტრედები.
 ქოთნებში ბალბა.
 მათხოვრები, რომლებიც ჭამენ ეკლესიის სატრაპეზოსთან.
 ავადმყოფები, მზისგულისკენ მიფიცებულნი.
 გოგონები, მძიმე ოქროს რომ ივარცხნიან მზეში, კარებთან.
 გოგონები, ღია ფანჯრებთან რომ მღერიან თავდავიწყებით.

დინო კავანა

გენუელი ძალი

წყალმცენარეებს უკავიათ შენი თმების მშვიდის თეთრი აჩრდილი მხოლოდ,
 და ქარის ხურნელს, რომელიც ავებს სულს თავისუფალ
 რომელიც მოდის შორეთიდან სიხარულით,
 და შემოაქვს მძიმე ალმური მომხიბლავ და მშვენიერ შუქით.
 შენს ბრინჯაოსფერ სხეულში. ოი, უსასრულობის სიღრმეებისკენ
 შენი მწყობრი თლილი ფორმების ძალუძს იმისი გატაცება ალბათ
 დვთაებრივი უბრალოება, სიროკოს,¹
 არც სიყვარული და არც ტანჯვა, შენს ხელისგულზე რარიგ პატარა,
 მოჩვენება და გარდაუვალი რარიგ მსუბუქი მოჩანს სამყარო.

1. სიროკო — სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი.

უმჯერატო საბა

ზღაპარი



ქართული
ბიბლიოთეკა

შენ ხარ ღრუბელი ფრია, მე კიდევ — ქარი მქვია,
 შენი სიმშვიდე მალიზიანებს ძლიერ,
 დაგალივლივებ სიამოვნებით ქვიან
 გორაკის ზემოთ, გადმოგატარებ ციერს.
 და მთების შიგნით ღამე და ძილი უხმობს
 გადაღლილ სიზმრებს, შენ კი იღუმალ სიზმარს,
 რომელიც საწოლს თავს წაადგება უხმოდ —
 გაქათქათებულ ზეწრების ქვემოთ ხიზნავ.

პირ პაოლო პაპოლინი

ანდერძის სტრიქონები

მარტოობა: აუცილებლად უნდა იყო ძალზე ძლიერი
 რომ შეგიყვარდეს მარტოობა: საჭიროა მაგარი მუხლი
 პლუს იშვიათი ამტანობა, უნდა უფროსილდე
 გაცივებას, გრიპს და ანგინას, არ შეგეშინდეს
 მკვლელებისა და ბანდიტების, თუ მოგიხდება
 ხეტიალი ნახევარი დღე ან მთელი ღამე —
 უნდა იარო, დაღლილობა არ შეიმჩნიო: ჩამოსაჯდომი არსადაა
 ამ გრძელ შარაზე.

ხოლო ზამთარში განსაკუთრებით: ქარი დაქრის სველ ბალახებზე,
 ორმოებს შორის ამოჩრილან ჭუჭყიანი და შავი ქვები,
 უეჭველია ეს ერთადერთი თავშესაფარი —
 წინ ისევ გრძელი დღეა და დღეზე უფრო გრძელი ღამე —
 დაუსაზღვრავე, გახსნილი და თავისუფალი.
 ხორცი მარტოდენ საბაბია და რამდენი შეხვედრაც არის
 თუნდაც ზამთრობით, ქარიშხლებით დაფარულ გზებზე,
 ვეებერთელა სანაგვეებს შორის მაღალ სახლების ფონზე —
 ყველა მათგანი ერთი რგოლია მარტოობის გრძელი ჯაჭვიდან.
 რაც უფრო მეტად ღვივდება ცეცხლი და სიცოცხლე ნატიფ
 სხეულში

თესლს ამოანთხევს რომელიც უცებ და მიდის მერე, —
 მით უფრო მეტად გაყინულია და უსიცოცხლო უდაბნო გულის
 ირგვლივ. სხეული სიხარულით აღვსებულა, როგორც ჩადოსნურ
 ქარის შრიალით.

არც უცოდველი ღიმილი და აუტანელი თავხედობა ადამიანის,
 რომელიც მერე მიდის, მიდის და თან მიაქვს ახალგაზრდობა,
 უსაზღვროდ ნორჩი. აი, რაა გულისშემძვრელი:

ის კვალს არ სტოვებს, უფრო სწორად, მხოლოდ ერთადერთ
 კვალს სტოვებს, ისიც წელიწადის ნებისმიერ დროს,
 ნორჩი არსება, ეს-ესაა სიყვარულის გზას რომ დაუყვა
 ასახიერებს თავისთავში მარადიულ სიმართლეს მიწის.
 მთელი სამყარო იბადება იმასთან ერთად,
 იბადება და ხდება მერე ნაირსახოვნად.
 რასაც აიღებ, მაინც არის ხელშეუხებელი
 და შესაძლოა, დაიარო მთელი ქალაქი და ის მაინც ვეღარ იპოვო.
 აღსრულდება გამეორების რიტუალი, ვერას გააწყობ.
 მარტოობა უფრო იზრდება, თუმცა უკვე უზარმაზარი
 ბრბოები თავის რიგს ელიან, სინამდვილეში
 სამარადისოდ წამებულთა იზრდება რიცხვი.
 მაგრამ წასვლა გაქცევას ნიშნავს. დღე ხვალინდელი
 დღევანდელ დღეს აწვევა ვალად, რომ დანებდეს სიკვდილის
 სურვილს.



მართალია ასაკთან ერთად დაღლილობაც გვეტყობა უკვე
 განსაკუთრებით საღამოობით, ნავახშმევს, როცა ყველაფერი
 რიგზეა თითქოს

მაგრამ ცოტაც და შენ იყვირებ ან ატირდება
 და ღმერთმა ნუ ქნას, დაღლილობამ შთანთქას ყოველი,
 ზოგჯერ — შიმშილმა. და ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს ნიშნავდეს —
 შენი სურვილი ჭეშმარიტი მარტოობისა ვერ აღასრულო.
 ან შენსკენ როგორ მოიქცევა ყოველივე, თუკი იმას, რაც
 მარტოობად

არ ჩანს და მაინც ჭეშმარიტი მარტოობაა — არ დათანხმდება.
 არც ვახშამია, არც სადილი, არც სხვა რამე სიამოვნება,
 რომელიც ღირდეს უსასრულო ხეტიალად ამ შიშველ გზაზე,
 სადაც ძლიერი უნდა იყოს, თან უბედური და თან იაღლების
 მეგობარი, აუცილებლად.

ნოქტიურანი

ო, ვარსკვლავებო, ვერ მიმიზიდავთ	გულის ცეცხლს, რათა მოითარეშოთ,
შიშით და ელდით იმ ლურჯ თაღამდე,	იგი უშიშრად იწვის — მიწიერ
თუნდ ციურ ცეცხლის შუქი	ბედის ყვავილი — ფერფლის გარეშე.
მდაღავდეს	
მანდ, მაინც ვეღარ მომწყვეტთ	მაგრამ ასევე შორით მიცქერის
მიწიდან.	(არ უჩანს ყოფნის რამე ნიშანი)
	ღმერთი, რომელიც ვერ შევიცანი,
ბასრი ყინვითაც ვერ მოიძიებთ	და შეყვარებაც ვერ შევიძელი.

თარგმნა ბარანა ბრეზვაქვი



(მსოფლიო ღრამა ორ ნაწილად)

I. ცეზარის განდგომილება

(ღრამა ხუთ მოქმედებად)

მოქმედი პირნი:

იმპერატორი კონსტანციუსი
იმპერატორის მიუღწევე მცხობი
ილინე — იმპერატორის და.
გალუსი — იმპერატორის ბიძაშვილი.
იულიანე — გალუსის უმცროსი ძმა.
მეგნონი — ეთიოპიელი მონა, იმპერატორის სხეულის მცველი.
კოტამონი — ოქრომჭედელი.
ფოკიონი — მღებავი.
მონაპიონი — დალაქი.
ხილით მოვაპრე
სასახლის გვარდიის რაზმის უფროსი ჯარისკაცი.
ფერ-უმარხილით გათხივნილი ქალი.
დამგლადაცემული
ბრმა გათხივარი
აბათონი — კაბადოკიელი მევენახის შვილი.
ლიბანიონი — სოფისტი და რიტორი.
გრიგოლ ნაწიანჯელი.
ბასილი კესარიელი.
სალუსტიუს კერუსიელი.
ეპიფოლიუსი — ღმრთისმეტყველების მასწავლებელი.
მაქსიმე — მისტიკოსი.
მეგნარიონი — სახლთუხუცესი.
ლეონტიუსი — კვესტორი.
მირა — მხევალი.
დეციმიუსი — ტრიბუნი.
სინტულა — მეჭინბეთუხუცესი.
ორიბასიონი — ექიმი.
ფლორენციუსი, სევირუსი — მხედართმთავრები.
ლაიპსონი, ვარონი — ასისტანტები.
მავრონი — მედროსე
ჯარისკაცები, მლოცველები, გათხივრები, წარმართი მათუ-
რებლები, სასახლის კარის დიდებულები, მღვდლები, ფილო-
სოფიური სკოლების მოწაფეები, მოციკვავე ქალები, მსახუ-
რები, კონსტორის ამაღა, გალიელი მთავრები,
მოქმედებები და ხმები.

პირველი მოქმედება მიმდინარეობს კონსტანტინოპოლში, მეორე — ათენში, მესამე — ეფესში, მეოთხე — გალიაში, ლუტეციის მახლობლად, მეხუთე — ვიენაში.
მოქმედების დრო — 351-361 წ.წ



პირველი მოქმედება

პასექის ღამე კონსტანტინოპოლში. სცენა წარმოადგენს საიმპერატორო სასახლის წინ მდებარე ღია მოედანს. ირგვლივ ხეები, ბუჩქები და პირქვედამხობილი ქანდაკებები; სიღრმეში — სანთლებით გაჩახჩახებული სასახლის კარის ეკლესია; მარჯვნივ — მარმარილოს ბალუსტრადა, საიდანაც წყლის პირას ეშვება კიბე; კვიპაროსებს შორის ბოსფორისა და აზიური ნაპირის ხედი იშლება.

ეკლესიაში წირვა მიმდინარეობს. სტოვის საფეხურებზე — სასახლის გვარდიის რაზმი დგას; ეკლესიაში გუნდ-გუნდად შედიან მღვდლები. კარიბჭესთან მათხოვრების, საბჭოების და ბრძოლის ბრბოა. წარმართი მამუშრებლები, მოვაჭრენი და წყლის გამყიდველნი მოედანზე შეჭაფულან.

გუნდი (ეკლესიაში გალობს):
დიდება ჭვარს და მაცხოვარს ჩვენსას
აწ და მარადის
შეირყა ბჭენი ჭოჭობეთისა
კაცთა მზარავი
მშვიდობა სუფევს უოველთა ზედა,
არ ძრწის არავინ
კურთხეულ იუოს უფლის ტარივი,
ძე ტეშმარიტი არსთა გამრიგის

კოტაშონი (მარცხნიდან მიიკვლევს გზას, ხელში ჭაღალდის ფარანი უჭირავს, რომელსაც მსუბუქად გაჰკრავს ერთ-ერთ ჯარისკაცს და ეუბნება). ეი, ძმობილო, როდის მოვლიან იმპერატორს?

ჯარისკაცი. არ ვიცი.

ფოკიონი (ბრბოლკენ იბრუნებს პირს). იმპერატორხო? ვინ იკითხა იმპერატორი? ასე, შუალამისას გამობრძანდება სასახლიდან; ზუსტად შუალამის წინ. თვითონ მემნონმა მითხრა.

მენაპიონი (აქოშინებული შემოვარდება და ხილით მოვაჭრეს მუჭლუგუნით მიაგდებს განზე). ზა, ზა, წარმართო ძაღლო!

მოვაჭრი. ეგ სადაური ზრდილობაა, ჩემო ბატონო?

კოტაშონი. ამ ღორს ვერ უუბრებთ, კიდევ რომ ჭყვირის?

მენაპიონი. უ, შე ძაღლის შვილო!

ფოკიონი. და მერე ვის წინაშე, კეთილშობილი ქრისტიანის, თვით ჩვენი დიდი იმპერატორის ერთმორწმუნის წინაშე ჭყვირის.

მენაპიონი (ხილით მოვაჭრეს ფეხს გამოჰკრავს და წააქცევს). წუმპეშია შენი ადგილი!

ფოკიონი (ჯობს ურტყამს წაქცეულს). ესეც შენ.. ესეც შენ.. ესეც შენ!

მენაპიონი (წიხლებით შესდგება მოვაჭრეს). ეს კიდევ ჩემგანი.. ჩემგანი.. ჩემგანი.. მაგ ბილწ ტყავს ვაგაძრობ, იცოდე!

ხილით მოვაჭრი გაქცევით შველის თავს.

ფოკიონი (განზრახ ლაპარაკობს ხმამაღლა, რომ სასახლის გვარდიელთა რაზმის უფროსმა გაიგონოს). კარგი იქნება, თუ ამ ამბავს ვინმე მიიტანს ჩვენი ღვთივკურთხეული იმპერატორის ყურამდე. აკი ამას წინათ გვრისხავდა, მონათლული მოქალაქეები ისე მშვიდობიანად მეზობლობთ წარმართებს, თითქოს ერთმანეთისაგან არაფერი არა გყოფდეთო...

კოტაშონი. მოედანზე გამოკრულ ბრძანებას ხომ არ გულისხმობ? მეც წავიკითხე. ჩემი აზრით, როგორც ბაჭაღლო ოქრო განსხვავდება უაღბისაგან, ისე...

მენაპიონი. მე თუ მკითხავ, ყველას ერთი და იმავე საზომით ვერ მიუდგები. მაგრამ, მაღლობა უფაღს, ჩვენს შორისაც მოიძებნებიან ტეშმარიტად გულმოდგინე მართლმორწმუნენი.

ფოკიონი. არც ისეთი გულმოდგინენი, როგორნიც უნდა იყვნენ, ჩემო საუვარელო ძმა-

ნო! აბა შეხედეთ, რა თავხედურად იქცევიან ეს დუთისმგობნი თქვენ გგონიათ, უველა ამ გარეწარს ხელზე ჭვრისა და თევზის ნიშანი აწის?

კოტამონი. მართლაცდა შეხედეთ, რა მატლებივით ფუთფუთებენ ზედ კრის ეკლებიის წინს...

ფოკიონი. თანაც ამ წმინდა ღამესს..

ივნაკიონი. გზის უღობავენ კეშმარიტ ქრისტიანებსს..

ფორ-უგარნილით გათხივნილი კალი (ბრბოში). ვინ არიან კეშმარიტ-ქრისტიანებო, დონატისტები?

ფოკიონი. რაო? დონატისტებიო? შენ დონატისტი ხარ?

ივნაკიონი. რა თქმა უნდა, შენ კი არა?

ფოკიონი. შე? შე? გაგახმეს ენა!

კოტამონი (ბარჯვარს იწერს). კირმა წაგიდოს!

ფოკიონი. დონატისტი ფუტურო ხეი დამპალი ლეში!

კოტამონი. აგრეა, აგრე!

ფოკიონი. სატანის კოცონის მუტუშალი!

კოტამონი. მიდი, მიდი, მისცხე, ჩემო ხაყვარელო ძმაო!

ფოკიონი (ხელსა ჰკრავს კოტამონს). ხმა, კრინტი გამეცალე! კარგად გიცანი: მანიქეველი კოტამონი არა ხარ?

ივნაკიონი. მანიქეველიო? წყუთლი მწვალებელი ფუა, ფუა!

კოტამონი (ფარნიან ხელს ვაიშვერს). ერიშა! ეს ხომ ანტიოქიელი მღებავი ფოკიონია! კანეტი!

ივნაკიონი. ვაი შე უბედურს! რა მინდა ამ სიცრუის მსახურთა შორის?

ფოკიონი. ვაიმე, სატანის შვიდობილს არ გამოვესარჩლე?

ივნაკიონი (სილას ვააწნავს). ესეც შენი გამოსარჩლები საზღაური!

ფოკიონი (ხურდას უბრუნებს). უ. შე კოფეკო!

კოტამონი. ღმერთმა შეგაჩვენოს ორივენი!

იმართება მუშტი-კრივი და ცემა-ტყევა, რაც თავშეყრილ ბრბოში გულიან სიცილს იწვევს.

რაჭმის უფროსი (ჯარისკაცებს უყვირის). იმპერატორი მობრძანდება!

მოჩხუბრებს აშველებენ და ისინი დანარჩენ მლოცველებთან ერთად სწრაფად შედიან ეკლესიაში.

ბუნდი (გალობს).

მშვიდობა სუფევს ყოველთა ზედა,

არ ძრწის არავინ!

შეირუა ბტენი ჭოჭობეთისა,

კაცთა მწარავი...

მოედანზე მარცხნიდან შემოდის საზეიმო პროცესია. წინ მღვდლები მოუძღვიან საცეცხლურებით; მათ მოჰყვებიან სხმულის მცველნი და მიმავსალენი, დიდებულნი და სასახლის გვარდია. პროცესიის შუაში მოაბიჯებს იმპერატორი კონსტანცინუსი, ოცდაათობმეტი წლის წარმოსადგო, ზვიადი გარეგნობის კაცი; უწვეროა, შავი ხუჭუჭი თმა და პირქუში, იკვნეული გამოხედეა აქვს. გვერდით მოჰყვება დიდოფალი ივსებინა, ფერმკრთალი, გამხდარი, ნატიფნაკვთებიანი ქალი; ასაკით ქმრის ტოლი ჩანს. მათ უკან მოსდევს იულიანე, ჯერ კიდევ ნორჩი, ცხრამეტითღე წლის ყმაწვილი კაცი; შავთვალწარბა და შავთმიანი, ახლად წვერ-ულვას შეღერებულ ჰაბუკს ცოცხალი, მკვირცხლი თვალები და ქორული გამოხედეა აქვს. იულიანეს დიდებულთა ახალგაზრდა ასულები და დარბაისელი მატრონების ასაბიის თანხლებით, ფეხდაფეხ მოჰყვება მლენი, ტანსავსე, უჩვეულოდ ღამაზი ქალწული, ოცდახუთი წლისა. სულ ბოლოს მოდიან კარისპაცები და სხმულის მცველნი. ამაღაში ურევია მემონი, მდიდრულად ჩაცმული ეთიოპიელი გოლიათი.

კონსტანცინუსი (უცებ შედგება, იულიანეს მიუბრუნდება და უკმებოდ ეკითხება). კი მაგრამ, გალუსი სადღაა?

იულიანე (გაფითრდება). გალუსი?... რაში გაგახხენდა?..

კონსტანცინუსი. მითხარი, რატომ დაგება ენა?

იულიანე. მეუფეო...

ივსებინა (ხელს ჩასკიდებს იმპერატორს). წავიდეთ, წავიდეთ!

კონსტანცინუსი. გუდი შემდვრევა... მაინც რა შეთქმულებას აწუობ?



იულიანე, ჩვენ?

კონსტანტინუსი. დიახ, თქვენ ორივენი.

მესმება. წავიდეთ-მეთქი, არ გესმის?

კონსტანტინუსი. ბნელი ხაქმია, ბნელი.. რაო, რა პასუხი გაცათ მისანმა?

იულიანე. მისანმა? ვფიცავ მაცხოვარს...

კონსტანტინუსი. თუ ცილი დაგწამეს, დარწმუნებული ბრძანდებოდე, ცილს მტრად მტრად

კოცონზე დაწვა არ ასცდება. (იულიანეს ხელს გამოსდებს და განზე გაიყვანს) მოდი, მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს, ძვირფასო ძმაო.

იულიანე. უველაფერი შენს ხელთაა, მოწყალეო მეუფევ!

კონსტანტინუსი. ჩემს ხელთ?..

იულიანე. მათგან ბოძებული წყალობა ნუ მოგვიშალოს ღმერთმა.

კონსტანტინუსი. ჩემს ხელთ?.. მაინც რა გაიფიქრე ჩემს ხელებზე?

იულიანე (იხრება და ხელებზე ეამბორება). იმპერატორს თეთრი და ცივი ხელები აქვს.

კონსტანტინუსი. მაშ, როგორი ხელები უნდა მქონდეს? მითხარი, რა გაიფიქრე? აი, ხომ ხედავ, ისევ დაგება ენა.

იულიანე (ხელახლა ეამბორება ხელზე). ამ მთვარის შუქზე ისინი ვარდის ფურცლებსა მგვანან.

კონსტანტინუსი. კარგი, კარგი, გეყოფა, იულიანე.

მესმება. წავიდეთ, დროა.

კონსტანტინუსი. უფლის წინაშე წარდგომის დროა! მე, მე უნდა წარვდგე ილოცე ჩემთვის, იულიანე! ისინი მაზიარებენ.. ვხედავ... ნაკურთხი ღვინო შუშხუნებს, შხეფებს ისვრის წმიდა ბარძიშში... გველის თვალფით ბრწყინავს. (წამოიყვირებს). ხისხლიანი თვალები!..

იულიანე. იესო ქრისტე, შემავედრე მამაზეციერს!

მესმება. იმპერატორი ცუდადაა!

იულიანე. სად არის კესარიოსი? ექიმი, ჩქარა ექიმი... იმპერატორის ექიმს უხმეთ!

მესმება (ანიშნებს, მომიახლოვდით). მემნონ, აქ მოდი, მემნონ!

იულიანე (ხმადაბლა). მეუფეო, მოწყალება მოიდე და აქედან ხაღმე შორს გამგზავნე.

კონსტანტინუსი. მაინც სად? უველაზე მეტად საით მიგიწევს გული?

იულიანე. ეგვიპტისკენ. თუ შენი ნება იქნება, უველას ისევ ეგვიპტე მიჩვენია. იცი, რამდენი ხალხი მიდის და უდაბნოში მარტოდ უოფნას იჩრევს?

კონსტანტინუსი. მარტოდ უოფნას?.. სიმარტოვეში ბევრს ფიქრობენ და ტვიანს იკუდიტენ! მე კი ტვიანის კუდეტას ვიკრძალებ, გესმის?

იულიანე. კეთილი, ჯანდაბას უოველგვარი ტვიანის კუდეტა, შენ ოღონდ ნება დამრთე... აქ დღითი დღე მემატება კმუნვა და სიმძიმელი. უამური ფიქრები მიწიწენ სულს. ცხრა დღე არ გამიხდია ძაძა; ცხრა ღამე თვითგვემით ვცდილობდი ხორცის მოკვდიინებას. მერედა, რა გამოვიდა? ვერც კმუნვა გავიქარვე და ვერც უამურ ფიქრებს დავალწიე თავი.

კონსტანტინუსი. მეტი გულმოდგინება გმართებს, იულიანე, სატანა მძლავრობს თვითეული ჩვენგანის სულში. ეკივოლიუსს მოეთათბირე...

მემნონი (იმპერატორს). უკვე დროა...

კონსტანტინუსი. არა, არა, არ მინდა...

მემნონი (ხელს ჩასკიდებს). მიბრძანდი, მოწყალეო ხელმწიფევ, მიბრძანდი...

კონსტანტინუსი (გასწორდება და ღირსებით წარმოთქვამს). მაშ, უფლის ხალხში შევდგათ ფეხი!

მემნონი. (ხმადაბლა). შემდეგ კი ნურც იმას დაივიწყებ...

კონსტანტინუსი (იულიანეს). გალუხს დამიძახონ!

იულიანე იმპერატორის ზურგს უკან ვედრების ნიშნად დაიკრეფს გულხელს და დედოფალს მიაჩერდება.

მესმება (ჩუმად, სხაპასხუპით). ნუ გეშინია!

კონსტანტინუსი (იულიანეს). აქ დარჩი, შენ რომ იზრახავ, იმნაირი ზრახვებით ეკლესიაში არ შედიან. საკურთხევლის წინაშე ხულ ჩემს სიკვდილზე ლოცულობ. ამნაირი ცოდვით ნუ დაიმძიმებ სულს, ჩემო საყვარელო ძმაო!

პროცესია ეკლესიისაკენ მიემართება. მათხოვრები, საპყრები და ბრმები კიბის საფეხურზე გარს შემოხვევიან იმპერატორს.

დავრდომილი. ო, მძლეთამძლეო მეუფევ, უოვლის მპყრობელო! ნება მიბოძე, შენი სამოსის კაღთას შეგვხო, რათა განვიკურნო.

ბრმა. მირონცხებულს, ილოცე ჩემთვის, რათა თვალი ამეხილოს.
კონსტანტინუსი. ნუ გეშინიათ, შეიღწო შეშინონ, ვერცხლი უბოძე ამათ... შევიდეთ, შევიდეთ!

პროცესია ეკლესიაში შედის. კარი იხურება და ბრბო თანდათან იშლება. იულიანე მარტო რჩება ერთ ხეივანში.

იულიანე (ეკლესიას მისჩერებია). ნეტა რაში დასჭირდა გალუსს? რაგონს დაჭიქრო, რომ ამ წმიდა ღამეს ბოროტს იზრახავს?.. ო, რომ ვიცოდეს!.. (შემოხატუნდება) და წასასვლელად გამზადებულ ბრმას შეეჩხება.) ფრთხილად, თვალები სადა გაქვს, ძმობილო?

ბრმა. ბრმა ვარ, ბატონო.

იულიანე. ჭერ კიდევ ბრმა ხარ? ნუთუ იმ მოციმციმე ვარსკვლავსაც ვერ ხედავ? ფუ, შე მცირედ შორწმუნევ, შენაი კი მაგრამ, აკი მირონცხებულმა აღვითქვა, ვილოცებ, რომ მზერა დაგიბრუნდესო.

ბრმა. ვინა ხარ, შენს უსინათლო ძმას რომ დამცინი?

იულიანე. შენი ძმა ცრურწმენასა და სიბრმავეში (ხელმარცხნივ აპირებს გახვევას.)

ბრმა (ბუჩქებიდან, ჩუმად). იულიანე, იულიანე!

იულიანე (წამოიძახებს). ა!

ბრმა (უფრო ახლოდან). იულიანე!

იულიანე ხდები უიარაღო არ გეგონის ფრთხილად!

ბაბუკი (ბუჩქებიდან გამოდის: ღარიბულად ჩაცმულს ხელში ჭოხი უჭირავს). ჩუმად, მე ვარ...

იულიანე. შეჩერდი, ფეხი არ მოიცვალო!

ბაბუკი. ვერ მიცანი? აგათონი ვარ...

იულიანე. აგათონიო? რას ამბობ? აგათონი პატარა ბიჭი იყო...

ბაბუკი. ექვსი წლის წინათ... მე კი მაშინვე გიცანი (უახლოვდება).

იულიანე. აგათონი მაცხოვრებ წმიდა ჭვარბ ვფიცავ, შგონი, მართლა აგათონია!

აგათონი. კარგად დამაყვირდი.

იულიანე (ეხვევა და ჰკოცნის). ჩემი ძმა, ჩემი მეგობარი ვინა მუაღდა შენი ფასი კი მაგრამ, იქ ხაიდან გაჩნდი? რამ გამოგატარა ამოდენა გზა? სად კაპადოკია და სად კონსტანტინოპოლი?

აგათონი. ორი დღის წინ ხომალდს ჩამოვყუევი იფეხიდან. რომ იცოდე, რამდენს გიძებდი, ამ ორი დღის განმავლობაში. ამოდს სასახლის მცველებმა ახლოსაც არ გამიკარეს.

იულიანე. ჩემი სახელი ხომ არავისთან წამოგცდენია? ან ხომ არავისთვის გითქვამს, რომ მე შეძებდი?

აგათონი. არა, შენი სახელის ხსენება ვერ გავხედე, რადგან ვიცოდი...

იულიანე. ძალიან კარგი, არავის არაფერი არ უნდა უთხრა, გარდა იმისა, რაც აუცილებელია. ერთი აქ მოდი, აგათონ, მთვარის შუქზე კარგად შეგხედო... როგორ გაწრდილხარ, დავაჟკაცებულხარ...

აგათონი. შენ კი ეგრე რამ გავცრიცა, გაგაფერმკრთალა?

იულიანე. სასახლის შიგნით მწყუნს. შენს მტერს აქ უოფნა, დაილოცოს მაკელა... რა სიმალღეზეა! კაპადოკიის ვერც ერთი ქალაქი ვერ შეედრება სიმადლით... შერედა, რა მაცოცხლებული ნიავე უბერავს ტავრის თოვლიანი მთებიდან?.. დაღლილი იქნები, აგათონ.

აგათონი. შენც არ მომიკვდე.

იულიანე. მაინც ჩამოვსხდეთ. აქ სიწყნარეა და ხელსაც არავინ გვიშლის. აქეთ, აქეთ, უფრო ახლოს! აი, ასე! (ბალუსტრადასთან მდგარ მერხზე გვერდით მოისვენებს.) „განა შეიძლება კეთილი რამ გამოვიდეს კაპადოკიიდან?“ — ასე ამბობენ აქ, მაგრამ კაპადოკიიდან შეიძლება ჩამოგვიდნენ მეგობრები! რა შეედრება ამას? (დიდხანს მისჩერებია.) არა, მაინც რა დამემართა, რომ მაშინვე ვერ გიცანი?.. ემ, ჩემო ძვირფასო ძმას! ხომ ასეა? ხომ იგივე ხარ, რაც ბავშვობაში იყავი?

აგათონი (მუხლს იყრის მის წინაშე). დღესაც ისევე მუხლმოყრილი ვარ შენ წინაშე, როგორც მაშინ.

იულიანე. არა, არა, არა!


აგათონი. ნება მიბოძე, ასევე დავრჩე.

იულიანე. ემ, ჩემო აგათონ, ღმერთსა სცოდავ და დამცინი, რაკი მუხლს იყრი ჩემ წინაშე, რომ იცოდე, რამდენი ცოდვის სიმძიმე მაწევს კისრად! ეკივოლუსი, ჩემი ძვირფასი მასწავლებელი, პირდაპირ შეძრწუნებულა ჩემ გამო. აი, ის მოვიყვებოდა, რახაც მოგიყვებო-

და, აგათონ... როგორ გაგზრდია და ვაგხკელდებია თმის როგორ დაგხვევია და დაგხუკუკებია... მარტონოსი რაღახა იქმს? ალბათ, კიდევ გაქალარადა.

აბათონნი. თოვლივით გათეთრდა.

იულიანე. როგორ გვიხსნიდა ბომეროსს! ამ საქმეში, ღმერთმანი, ტოლი არ ჰქადა... გმირები ჩამკვდრო-სახიცოცხლოდ ერკინებოდნენ ერთმანეთს, მათ თავს ზემოთ კი ელვასავით დაჰქროდნენ ოლიმპოს მკვიდრნი ყველაფერს ისე ცხადად ვხედავდი...



აბათონნი. მაშინ სულ სახელის მოხვეჭასა და გმირობაზე ოცნებობდი.

იულიანე. ნეტავი იმ დროს... რა შეედრება კაბადოკიაში გატარებულ იმ ექვს წელიწადს? ან იქნებ წლები მაშინ უფრო ზანტად მიიზღაზნებოდნენ, ვიდრე ამჟამად? როცა ვახსენებ, ჩამდენი რამე დაიტვიჩს იმ წლებმა, შეიძლება კიდევ ირწმუნო, რომ ეს მართლაც ასეა... ჰო, მართლაც ბედნიერი დრო იყო. მე და შენ წიგნებს ჩავკირკიტებდით, გალუსი კი თავის 'სპარსულ ულას' დააგვლევდა. ღრუბლის ჩრდილივით გადაუქროლებდა თვალუწვდენ ტრამაღს... ჰო მართლა, ერთი ეს მითხარი, ეკლესიის საქმე როგორაა?

აბათონნი. რომელი ეკლესიის? წმიდა მამის საფლავზე რომ წამოიწყეთ?

იულიანე. დიახ, მე და გალუსი რომ ვაშენებდით, გალუსმა თავისი ფრთა დაასრულა, მე კი ვერ იქნა და საქმეს ვერასდიდებით ვერ მოვაბი თავი. მერე მაინც თუ გამოვიდა რამე?

აბათონნი. არაფერიც არ გამოვიდა. ხალხმა თქვა, ასე არაფერი აშენდებაო.

იულიანე (ჩაფიქრებით). რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. ახლა კი ვიცი, რატომ არაფერი არ გამოვიდა. იცი, რას გეტყვი, აგათონ? მამა ცრუ წმინდანი იყო.

აბათონნი. წმინდა მამა?

იულიანე. უნდა მოგახსენო, რომ არახოდეს უმარტვილია. მასზე შეთხზული ლეგენდა წმინდაწყლის ხიცრუე გახლავს. ეკივოლიუსმა, თავისი ღრმა განსწავლულობის წყალობით, სიტყვა-სიტყვით აღადგინა კრემშარიტება, ვაარკვია, რა როგორ იყო. მე კი ამ თემაზე ამას წინათ პატარა თხზულებაც დავწერე, რომელსაც, ჩემო აგათონ, აუდიტორიებში ქებით იხსენიებნ ზოგიერთი ფილოსოფოსი... ღმერთმა არიდოს ჩემს გულს ფუჭი პატივმოყვარეობა! ბორცსა და მაცთურ სულს იმდენი დაბლართული გზა აქვს... კაცმა არ იცის... გალუსს უნდა გამოსვლოდა, მე კი არა. ამ ნაგებობაზე რომ ვფიქრობ, კაენის მსხვერპლი მახსენდება...

აბათონნი. იულიანე!

იულიანე. ღმერთი ვერ მამჩნევს, აგათონ!

აბათონნი. ასე ნუ ლაპარაკობ. განა სული ღვთისა არ მძლავრობდა შენში, როცა ჯერ კიდევ ბავშვმა წარმართობის წყვდიადს გამოშტაცე და კრემშარიტების მარადიული ნათელი ამინთე თვალწინ?

აბათონნი. და მაინც რა მადლიანია ეს კრემშარიტება.

იულიანე (პირქუშად). ნეტავი უკან დამაბრუნებინა ის დრო!.. რას ანთებდა მაშინ ჩემს სულში სიტყვის ცეცხლი? მაერში თითქოს ღვთაებრივი საგალობელი ირბეოდა... დედამიწიდან აღიოდა და ცის თავანს უწევდა კიბე... (სივრცეს მიაპყრობს მზერას). დაინახე, დაინახე?

აბათონნი. ვინ? რა?

იულიანე. ვარსკვლავი ჩამოვარდა. იქ, იმ ორ კვიბაროსის მიღმა. (ერთხანს დუმს და უცებ შეცვლილი ხმით ამბობს). ზომ არ მიაშინია შენთვის, რა სიზმარი უნახავს დედაჩემს ჩემი დაბადების წინა ღამეს?

აბათონნი. არ მახსოვს.

იულიანე. თუმცა როგორ გაამბობდი, მეც მხოლოდ ამას წინათ გავიგე.

აბათონნი. მაინც რა უნახავს ასეთი?

იულიანე. რა და, ვითომ აღქილევსი შვა...

აბათონნი (სწრაფად). შენ ჯერ კიდევ გჯერა სიზმრებისა?

იულიანე. რად შეკითხები?

აბათონნი. რად და... უფრო მიგდო, სწორედ ამან მაიძულა გადმომეღაბა ზღვა.

იულიანე. ესე იგი, რაღაც ხაგანგებო საქმემ ჩამოგიყვანა? მე კი იმასაც ვერ მივხვდი, შეკითხა შენთვის...

აბათონნი. დიახ, ძალზე უცნაური ამბავია. აი, რატომ არ ვჩქარობ, რატომ ვყოყმანობ და ვშფოთავ. თავდაპირველად ბევრი რამის გაგება მაინტერესებს... აქაურობაზე... პირადად შენზე... იმპერატორზე.

იულიანე (დაეინებებით უყურებს). მართალი მითხარი, აგათონ, ვის ელაპარაკე აქ, ჩემთან შეხვედრამდე?

აბათონნი. არავის.

იულიანე, როდის ჩამოხვედი?

აბათონი. ავი გითხარი ორი დღის წინათ-მეთქი.

იულიანე. და ახლაც გინდა უველაფერი გაიგო? რაში გაინტერესებს იმპერატორის ამბავი? ვინმემ დაგავალა? (ეხვევა). ო მომიტყვი, მომიტყვი, აგათონ, ჩემო ძვირფასო ძმაო.

აბათონი. მოხატევებელი რა გვირს?

იულიანე (წამოდგება და აყურადებს). ხსუ... არა, არაფერია, ჩემო ძვირფასო ძმაო, ჩემი ბუჩქებში... მე ბედნიერი ვარ! აჰ, რატომ არ გჯერა ჩემი? ან კი რატომაც არ უნდა ვიყო ბედნიერი? უველა ჩემიანი აქა მყავს, გარს მახვევია! ესე იგი, მე მიწა ვთქვა, უველა ის, ვინც მაცხოვარმა მოწყალედ შეივრდომა თავისი მძლავრი მარჯვენის ქვეშ.

აბათონი. იმპერატორი ხომ მაშის მაგივრობას გიწევს?

იულიანე. იმპერატორი უსაზღვროდ ბრძენია და კეთილი.

აბათონი (თვითონაც დგება). იულიანე, ხალხში ხმა დადის, თითქოს შენ იმპერატორის მომავალი მემკვიდრე ხარ, მართალია თუ არა ეს?

იულიანე (სწრაფად). მეტს ნუღარაფერს იტყვი, ამაზე ღაპარაკიც კი საშიშია. ნურც გამაგონებ ამ ბრიყვულ მითქმა-მოთქმას... მაინც რას მოითხოვ ჩემგან? ერთ სიტყვასაც ვერ მათქმევინებ, სანამ თვითონვე არ შეტყვი, რამ ჩამოგიყვანა კონსტანტინოპოლს.

აბათონი. ხალხმართო საქმემ.

იულიანე, თუ მაცხოვარი და თვით შენი საკუთარი ცხონებაც რამედ გიჩანს, შინ დაბრუნდი. (ბალუსტრადაზე დაყრდნობილი აყურადებს სივრცეს). ჩუმაღ ილაპარაკე, ვილაც გვიახლოვდება ნავით (სხვა მხარეს მიჰყავს). მაინც რამ ჩამოგიყვანა? წმინდა ჯვრის ნამსხვრევების ამბორის უოფა მოგინდა? იცი, რად იქცა კონსტანტინოპოლი ამ უკანასკნელი წლინახევრის მანძილზე? უღვთო ბაბილონად... ნუთუ არაფერი ვსმენია? არც ის იცი, რომ ლიბანიოსი აქაა?

აბათონი. რას იზამ, იულიანე, ლიბანიოსის სახელიც არ გამიგონია.

იულიანე. ემ, შე კაპადოკიელი განდევნილი! ნეტა იმ კუთხეს, სადამდისაც ჯერ კიდევ არ მიუღწევია ლიბანიოსის ხმასა და სწავლას!

აბათონი. აჰ! მაშ, ეს ერთ-ერთი წარმართი ცრუ მოძღვარია?

იულიანე. უველაზე საშიში წარმართთა შორის.

აბათონი. ედებსია პერგამოსელებზე უფრო საშიში?

იულიანე. რა შედარებაა? ვილას ახსოვს დღეს ეს მიხრწნილი ბერიკაცი?

აბათონი. ნუთუ იმ იდემალებით მოცულ მაქსიმეზეც უფრო საშიში?

იულიანე. მაქსიმეზეო? თუ ღმერთი გწამს ნუ მიხსენებ ამ ტაკიმასხარას, ან კი დანამღვილებით ვინ რა იცის მაქსიმეზე?

აბათონი. თურმე ამტკიცებს, სამ წელიწადს გამოუღვიძებლად შეძინა მღვიმეში, იორდანეს გადაღმაო.

იულიანე. ეკივოლიუსი ცრუპენტელად თვლის და, მგონი, არც სცდება. არა, არა, აგათონ, ლიბანიოსი უველაზე საშიშია. ჩვენი ცოდვილი მიწა თითქოს ტყვილით იგრიხება ამ ღვთის რიხხვად მოვლენილი შოლტის ქვეშ. მის მოვლინებას წინ უსწრებდა ნიშები და სასწაულები. ქალაქში მძვინვარებდა შავი ჭირი. ნოემბერში კი სენის მძვინვარება თითქოს დაცხრა, მაგრამ ახლა სხვა უბედურება დაგვატყდა თავს: თითქოს უოველ ღამე ცეცხლის წვიმა მოდიოდა ციდან. მართალს მოგახსენებ, აგათონ. მე თვითონ ვხედავდი, როგორ სწყულებოდნენ ვარსკვლავები თავიანთ ორბიტებს, დედამიწისკენ მოფრინავდნენ და გზაშივე იფარულდებოდნენ... შერე კი ეს სოფისტი და რიტორიც მოგვევლინა. აჰ უველა მჭევრმეტყველების მოძღვართა მეფედა თვლის, და აღბათ, არცა სცდება. ზომ გეუბნები, საშინელია-მეთქი. ჭაბუკებიცა და უფრო მოწიფულნიც ბუზებივით ეხვევიან გარს. ის მახეს უგებს და ატყვევებს მათ სულეებს და ისინიც ძალაუნებურად ფეხდაფეხ მისდევენ უველგან. ურწმუნოება თაფლივით ტკბილად მოწვეთავს მის ბაგეთაგან... იმ მომენტზედელი სიმღერების მსგავსად, ტროილებსა და აქაველებზე რომ მღეროდნენ ჩვენი წინაპრები...

აბათონი (შეძრწუნებული). და შენ მას უხმენდი, იულიანე?

იულიანე (წაბარბაცდება). მე?.. ღმერთმა დამიფაროს! თუ ამნაირი მითქმა-მოთქმა ოდეს-მე მოაღწევს შენს უურამდე, არ დაიჭროს! არ დაიჭროს, თითქოს მე ღამღამობით, ან გადაცემული მოვიპარებოდი, რათა ლიბანიოსისათვის მესმინა. მართო მისი სიახლოვეც კი თავზარსა მცემს. ეგეც არ იყო, იმპერატორმა სასტიკად ამიკრძალა, ბოლო ეკივოლიუსმა კიდევ უფრო მკაცრი უადაღა დამადო... უოველი მორწმუნე, რომელიც ამ სოფისტს დაუახლოვდება, განდგომილი და ღვთისმგმობი ხდება. ეს კიდევ რაა? მისი სიტყვა ხელიხელ საგოგმანები მარ-

გალილეველი ტრიალებს ხალხში და თვით იმპერატორის სახანდედღაც კი აღწევს. მისი ღვთის-
მგმობლობა, მისი წინაღუდგომელი საბუთები, მისი მკრებულობით ხვეს ლექსები მოძალადე-
ებივით აჭრებიან ჩემს ლოცვებში. უოველივე ეს, ერთად აღებული, იმ ფრთოსან ურჩხულებს
მაგონებენ, ოდესღაც ვაგლახად რომ ბილწავდნენ ზღვასა და ხმელზე მოხეტიალე ღვთისმოსა-
ვი გმირის სუფრას. ხანდახან ძრწოლა მიპყრობს იმის გამო, რომ რწმენისა და ღვთის სიტ-
ყვის საწრდო აუტანელი მეჩვენება... (უჩვეულო აგზნებით). ემ, იმპერატორის ^{მკრებულობით}
რომ მომცა, ვერცხლის სინით მოგართმევდი ლიბანიოსის თავს!

აბატონი. კი მაგრამ, იმპერატორი როგორ ითმენს მთელ ამ სიბილწეს? ეს ეკადრება
ჩვენს ღვთისმოსავ, ღრმად მორწმუნე იმპერატორს?..

იულიანე. იმპერატორი? სახელი და დიდება მის რწმენას და ღვთისმოსაობას! მაგრამ
იმპერატორს სხვა საფიქრალი არ გააჩნია, სპარსელებთან ამ უხადრუკი ომის გარდა. ყველას
ეს აკერია პირზე. ვინ უიქრობს იმ ომზე, რომელსაც გოლგოთის მთავრის წინააღმდეგ აჩა-
ლებენ ურწმუნონი? ემ, ჩემო ძვირფასო აგათონ, ახლა ყველაფერი სულ სხვაგვარადაა, ვიდრე
ამ ორი წლის წინ იყო. მაშინ მისტიკოს მაქსიმეს ორ ძმას სიცოცხლის ფასად დაუჭდა თა-
ვიანთი ცრუმოდველების გავრცელება. შენ ვერ წარმოიდგენ, რა გავლენიანი მფარველები
შეგვს ლიბანიოსს. დროდადრო ქალაქიდან აძევებენ ხოლმე ხან ერთსა და ხან მეორე გაცილებ-
ით ნაკლებად საშიშ ცრუბრძენს. ლიბანიოსს კი უხატონოდ ვინ ეკადრებს რასმე? რამდენი
ვთხოვე. რამდენი ვევედრე ეკივოლიუსს და იმპერატორსაც, აქედან გავაძევოთ-შეთქი, ვერ
იქნა და ვერცერთი ვერ დავიყოლიე, არადა, რა აწრი აქვს დანარჩენების გაძევებას? მარტო
ეს ერთი კაცი ყველას წუაღს გვიმდვრევს და პერს გვიწამლავს. ომ, ჩემო მაცხოვარო, ნეტა
შემეძლოს გავიქცე და გავეცალო მთელ ამ წარმართულ სიბილწეს! გინდ აქ მიცხოვრია და
გინდ ლომის ბუნაგში!

აბატონი. (აგზნებით). იულიანე... რა თქვი შენ ახლა?

იულიანე. დიახ, დიახ, მხოლოდ სასწაულს თუ შეუძლია გვიხსნას.

აბატონი. მაშ, მისმინე! სასწაული უკვე აღსრულდა!

იულიანე. რას გულისხმობ?

აბატონი. უური მიგდე, იულიანე! მე უკვე ეჭვიც აღარ შეპარება იმაში, რომ სწორედ
შენ გებება საქმე, კონსტანტინოპოლში ერთმა უცნაურმა ხილვამ ჩამომიყვანა.

იულიანე. ხილვამ?

აბატონი. წმინდა გამოცხადებამ...

იულიანე. ო, მითხარი, ღვთის გულისათვის, ჩქარა მითხარი.. სსუ.. ჩუმაღ! ვიღაცა მო-
დის... შენ აქ დარჩი და ხმა არ გაიღო...

ორივე ბალუსტრადასთან რჩება. ხეივანში, მარცხენა მხრიდან გამოჩნდება შუახნის ლა-
გაზი, ტანადი კაცი, ფილოსოფოსის მოკლე მოსასხამი მოუსხამს; გვერდით მოაყვებიან მოწა-
ფიბი; ყველას მოძღვარივით აცვია და შუბლს სუროს გვირგვინები უმკობთ; ხელში წიგნე-
ბი, ბაპირუსის გრაგნილები და პერგამენტები უჭირაფთ. შორიდანვე მოისმის მათი ხორხოცი.

ფილოსოფოსი. წუაღში არაფერი ჩაგვივარდეს, ჩემო ძვირფასო გრიგოლი! გახსოვდეს, რაც
ხელში მიჭირავს, თვით ოქროზედაც ძვირფასია.

იულიანე (როცა ფილოსოფოსი გაუსწორდება). თუ ნებას მომცემთ, ერთი რამ მინდა
გკითხოთ: ვანა ამქვეყნად მოიძებნება რაიმე ნივთიერი, ოქროზე ძვირფასი რომ იყოს?

ფილოსოფოსი. თუ შეგიძლია მთელი შენი სიცოცხლის ნაყოფი დაკარგო და ოქროთი
შეიძინო?

იულიანე. მართლმაც ბრძანებ. მაგრამ თუ ასეა, როგორღა ენდობი მუხანათ ტაღლებს?
ფილოსოფოსი. კაცთა კეთილგანწყობა უფრო მუხანათურია.

იულიანე. ბრძნულ სიტყვას ამბობი.. საით გავიწევია მთელი შენი საუნჯითურთ?

ფილოსოფოსი. ათენში. (წასვლას აპირებს.).

იულიანე (ძლივს იკავებს სიცილს). ათენში? როგორც ჩანს, შენი სიმდიდრის პატრონი
არ უოფილბარ, მდიდარო კაცო.

ფილოსოფოსი (ჩერდება). როგორ?
იულიანე. რომელი ბერძენი ჩაიყვანს ბუებს ათენში?

ფილოსოფოსი. ჩემი ბუები ეკლესიის წათელს ვერ ეგუებიან იმპერატორის ქალაქში.
(ერთ მოწაფეთაგანს.) ხელი მომეცი, ხალუსტიუსს! (ძირს ჩასვლას აპირებს.).

სალუსტიუსი; (კიბეზე უკვე სანახევროდ ჩასული, ხმადაბლა). ღმერთებსა ვფიცავ, ის არის!
ფილოსოფოსი. ვინ ის?

სალუსტიუსი. მიწამ მიყოს პირი თუ ვტაუოდე! ვიცნობ... ეკივოლიუსთან მინახავს.

ფილოსოფოსი. ა! (შეუშინებლად, მაგრამ დაყინებით უყურებს იულიანეს და შემდეგ ნაბიჯს გადადგამს მისკენ): შენ ახლა გაიღიშე, რატომ?

იულიანე. ეკლესიის ნათელს რომ უჩიოდი, მე ვავიფიქრე, ერთ-ერთი რატომ აუდიტორიის მეფური ბრწყინვალება უფრო მეტად ხომ არ სჭირს თვალს-მეთქი?

ფილოსოფოსი. შური ვერ თავსდება მოკლე მოსახბამის ქვეშ.
იულიანე. რაც ვერ თავსდება, გარეთაა გამოჩრდილი.

ფილოსოფოსი. ენა კი კარგად გიჭირს, კეთილშობილო გალილეველო? განა რა მიგავს გალილეველს?
იულიანე. რატომ მაინცდამაინც გალილეველო? განა რა მიგავს გალილეველს?

ფილოსოფოსი. კარისკაცის ტანსაცმელი.
იულიანე. მე სულით ფილოსოფოსი გახლავარ და ჩემს ტანსაცმელსაც ხაკმაოდ უხე-

ში სარჩული აქვს გამოკრული, მაგრამ ერთი ეს მითხარი, მაინც რას დაეძებ ათენში?
ფილოსოფოსი. რას ეძებდა პონტიუს პილატე?

იულიანე. ე! განა ჭეშმარიტება იქ არ არის, სადაცაა ლიბანიოსი?
ფილოსოფოსი (დაყინებით უყურებს). კმ!.. ლიბანიოსი, -- რა თქმა უნდა. მაგრამ ლი-

ბანიოსი მალე დადუმდება. ლიბანიოსს ბრძოლის თავი აღარ აქვს, ჩემო მეუფევი!
იულიანე. ბრძოლის თავი აღარა აქვს?.. ვის? უოვლისმმუსერელს და უოვლისმძღველს?

ფილოსოფოსი. ლიბანიოსს მობეზრდა თავისი სწორის ლოდინი.
იულიანე. ახლა კი ხუმრობ, ძმობილო, განა ამქვეყნად მოიძებნება ლიბანიოსის ტოლი

და სწორი?
ფილოსოფოსი. მოიძებნება.

იულიანე. ვინ? სად? აბა, დამისახელე!
ფილოსოფოსი. საშინაო.

იულიანე. რატომ?
ფილოსოფოსი. შენ ხომ კარისკაცი ხარ?

იულიანე. ახეც რომ იყოს, მერე რა?
ფილოსოფოსი. რა და, თავად თუ გეყოფა გამბედაობა, რომ პატივი მიავო იმპერატო-

რის შემკვიდრეს?
იულიანე (გაოგნებული). ა!..

ფილოსოფოსი (სწრაფად). თუ გამცემ უველაფერს უარვეყოფ.
იულიანე. არავის გაცემას არ ვაპირებ, დარწმუნებული ბრძანდებოდე. შენ ამბობ, იმ-

პერატორის შემკვიდრესო! არ ვიცო, ვის გულისხმობ... იმპერატორს ჭერ არავინ დაუსახელე-

ბია... მაგრამ რა საჭიროა ეს ხუმრობა? რატომ ჩამოაგდე ლიბანიოსის ტოლსწორზე სიტყვა?

ფილოსოფოსი. მართალია თუ არა, რომ იმპერატორის სასახლეში ცხოვრობს ჭაბუკი, ვისაც ხან ძალით, ხან მუქარით, ხან შეგონებით სასტიკად უკრძალავენ ფილოსოფოსებთან ურთიერთობას და მათ სკოლებს სიახლოვეს არ აკარებენ?

იულიანე (სწრაფად). მხოლოდ იმითომ, რომ მტკიცედ დაიცვან მისი რწმენის სიწმინდე.

ფილოსოფოსი (იღიმება). განა ამ ჭაბუკს ასე ნაკლები რწმენა აქვს თავისი რწმენის? ან რა იცის თავის რწმენაზე? რა იცის მეომარმა თავის ფარზე, ხანამ ბრძოლაში არ გამოხ-

ცდის?
იულიანე. სწორია, სწორი, მაგრამ იცი რა?.. ეს მოსიყვარულე ნათესავები და მახწავ-

ლებლები...

ფილოსოფოსი. უოველივე ეს მხოლოდ ფუჭი სიტყვებია, ჩემო მეუფევი! თუ გნებავს, მე მოგაბხენებ, რაშია საქმე. იმპერატორის, დიახ, მხოლოდ იმპერატორის გულისთვისაა, რომ მის ახალგაზრდა ნათესავს სიახლოვეს არ აკარებენ სიბრძნის მეგობრებს. იმპერატორს სიტყვის ფლობის ღვთიური ნიჭი არ უბოძა არსთა გამრიგებ. იმპერატორი კვლავ სხვა მხრივ დიდია და დიდხულოვანი; მაგრამ იმის გაფიქრებაც კი ზარავს, რომ მისი შემკვიდრე შეიძ-

ლება ქვეყნის ჭავარი და სიბრძნის ჭეშმარიტი ლამპარი გახდეს.

იულიანე (ერთიანად დაბნეული). როგორა ბედავ...

ფილოსოფოსი. მესმის, მესმის, რატომაც მრისხავ შენი მბრძანებლის გამო, მაგრამ...

იულიანე. არა, არა, პირიქით, ესე იგი... იცი, მე ხაკმაოდ კარგად ვიცნობ (ამ ჭაბუკს და ძალიან მინდოდა, გამეგო... (შემობრუნდება.) ცოტა გავვეცადე, აგათონ მინდა ამ კაცს მარტოდმარტო ველაპარაკო. (რამდენიმე ნაბიჯით განზე გადაგება უცნობთან ერთად.) შენ თქვი, -- სიბრძნის ლამპარიო!.. მაგრამ რა იცი, ან, საერთოდ, ვინ რა იცის, რა კაცია ეს იულიანე?

ფილოსოფოსი. ღრუბული როგორ ღარბულია სიბრძნის ხალხის იულიანე ანდრე ჭარი აქა-იქ მაინც გაგდევს ამ მრუმე რიდეს და ეს ხაკმარისია, რომ...

იულიანე. თუ შეიძლება ცოტა უფრო გასაგებად ილაპარაკე.

ფილოსოფოსი. სასახლე და ციხესიმაგრე, — აი, ორმაგი ვალია, სადაც ჩაკეტილი მკვითკბუკი. მაგრამ ვალია ურუდ როდია დახშული. დროდადრო თითო-ორთა სიტყვა მაინც დასცდება ხოლმე; და მაშინ ქვემძრომი და ქვემეთრევი კარისკაცები... მომითხრო, ჩვენი შეუფხვე! — დიახ, კარისკაცები აიტაცებენ ამ სიტყვას და ცდილობენ, ხალხის სასაქლოდ, ქვეყანას მოშფინონ იგი. მაგრამ მისი ღრმა და ფარული აზრი არ ესმით, ამ ვაგებატონებს... ერთხელაც გთხოვ, მომითხრო! — უმეტესობას მაინც არ ესმის.

გალილეველი
გალილეველი

იულიანე. არავის, შეიძლება თამაშად ითქვას, — არავის!

ფილოსოფოსი. მაგრამ შენ კი, გეტყობა, გესმის და სხვათა შორის — ჩვენიც... დიახ, აი, ვინ შეიძლება ვამხდარიყო სიბრძნის ლამაზი აკი ამბობენ, რომ ჯერ კიდევ ბავშვობაში, კაპადოკიაში, თავის ძმასთან — გალუსთან პაექრობისას ოლიმპიელ ღმერთებს დაუქირა მხარი გალილეველის წინააღმდეგ და დაიცვა კიდევ ისინი.

იულიანე. ეს მხოლოდ ხუმრობა იყო. შევერმეტყველებოდა ვარჯიში.

ფილოსოფოსი. ახლა იმას აღარ იკითხავთ, რა მრავალმხრივი ნიჭი აღმოაჩინა მარდონოსმა მასში შემდეგ კი — ეკივოლიუსმაც! რა დახვეწილი ხელოვნებით თხზავდა სიტყვებს ჯერ კიდევ ბავშვობაში! რანაირი ხილამაზე, სინათლე და სიკისკასე იგრძნობოდა მისი აზრების მსუბუქ თამაშში!

იულიანე. შენც ასე ფიქრობ?

ფილოსოფოსი. დიახ. აი, ვინ იქნებოდა ჩვენი ღირსეული მეთოქე, თანაბრად საშიში და სასურველი... მაგრამ რა აკლია, რა უშლის ხელს იმაში, რომ ესოდენ საპატიო მიზანს მიადწიოს? — მხოლოდ ერთი, ერთადერთი რამ: აუცილებლად უნდა გაიაროს იგივე სკოლა, რომელიც განვლო პავლემ, მაგრამ იმდენად უვნებელი გამოვიდა იქიდან, რომ შემდეგ შეძლო გალილეველებს მიმხრობოდა და უფრო მეტად გაბრწყინებულიყო თავისი სიბრძნითა და შევერმეტყველებით, ვიდრე ცილესიის უველა მნათობი, ერთად აღებული. ეკივოლიუსი თავის მოწაფის რწმენის გამო ძრწის: მე ხომ ვიცი, უველაფერი მისი ბრალია. მაგრამ ნუთუ ამ უაღრესად კეთილსინდისიერ კაცს დაავიწყდა, რომ სიტყბუკეში თვითონვე ხარბად ეწაფებოდა იმ წყაროს, რომელსაც ახლა თავის შეგირდს უკრძალავს? ვანა ჩვენი წყალობით არ დაეუფლა იმ იარაღს, რომელსაც ახლა ესოდენ დახვეწილი ხელოვნებით იყენებს ჩვენსავე წინააღმდეგ?

იულიანე. მართლმაც ბრძანებ.

ფილოსოფოსი. მაგრამ რა არის თვით ეკივოლიუსის ნიჭიერება იმ სამეფო გვარის კაბუკის მრავალმხრივ ნიჭთან შედარებით, რომელიც, თუ მითქმა-მოთქმას ვერწმუნებით, ჯერ კიდევ უასაკო ურმა იყო, როცა კაპადოკიაში, სიკვდილით დასჯილ გალილეველთა საფლავებთან იქადაგა მოძღვრება, ჩემ მიერ მკვდარად მიჩნეული და, მაშასადამე, მომავლის არმქონეც. მაგრამ მის მიერ ისეთი შთაგონებითა და შთამბეჭდავი ძალით გადმოცემული, რომ თუ ხალხში საკმაოდ გავრცელებულ გადმოცემას ვენდობით, — მრავალი უმანკო სული, თავისი მრავალი თანამოახავე მოაქცია და დაიმოწაფა. ო, ეკივოლიუსი, მრავალი სხვა ბრძენმოძღვრის მსგავსად, უფრო შურიანი, ვიდრე გულმოდგინე. აი, რატომაა, რომ ლიბანიოსი ელოდა, ელოდა, მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდა.

იულიანე (ხელში ხელს სტაცებს). ღვთის გულისხმების, მითხარი, რას ამბობდა ლიბანიუსი?

ფილოსოფოსი. ყოველივე იმას, რაც ეს-ესაა მოისმინე. მეტიც, ის ამბობდა: შეხედეთ ამ სამეფო გვარის გალილეველს; თავისი სულის ძალით ის აქილევსია!

იულიანე. აქილევსი! (ხმიდაბლა.) დედაჩემის სიზმარი!

ფილოსოფოსი. აუდიტორიები, რომელთა კარიც უველასათვის ღიაა, ბრძოლების ასპარეზად არის ქცეული. შვიანი დღისა და სიხარულის ბრწყინვალეობა ნათელსა მტენს ამ ბრძოლასაც და მებრძოლებსაც. სტვენით მიპქრიან სიტყვის ისრები, მახვილგონიერების ორღესული სატევრები ნაპერწკლებს ურიან, ხოლო ღრუბლებიდან ბრძოლის ველს ღიმილით დაშფერენ ღმერთები...

იულიანე. განვიდ ჩემგან მთელი შენი წარმართული სიბრძნით...

ფილოსოფოსი. და გამირები ხელისხელგადახვეულნი უბრუნდებიან თავიანთ ბანაკს წითლად შეფაკული ღაწვებით, ძარღვებში შმაგად მბორგავი სისხლით, ცოდნის ნადავლით, მწვანე გვირგვინებით დადაფნულნი, მაგრამ სადაა აქილევსი? არსადა ჩანს. აქილევსი მრისხანებს!

იულიანე. აქილევსი უბედურია!.. მაგრამ შემოიძლია თუ არა ვირწმუნო ყოველივე ეს?.. მითხარი... თავბრუ შეხვევა... მართლა ამას ამბობდა ლიბანიოსი?

ფილოსოფოსი. კი მაგრამ, როგორ გგონია, რისთვის ჩამოვიდა ლიბანიოსი კონსტანტინოპოლში, თუ არა იმისთვის, რომ ერთი ღირსეული ქაბუკის შეგობრობა მოეხვეჭა?

იულიანო (დაძაბულად). სიბართლე მითხარის არა, არა, შეუძლებელია ეს სიბართლე იყოს როგორ შევეთანხმეთ ეს იმ გმობასა და მწარე დაცინვას, რომლებიც... კაცს არ დასცინიან, როცა მისი შეგობრობის მოხვეჭა სურთ.

ფილოსოფოსი. ეს სულ გალილეველთა ბრიკებია: სწორედ იქნებოდნენ სიბუღიანისა და ზიზღის კედელი აღმართონ ამ ორ მებრძოლს შორის.

იულიანო. კი, მაგრამ, იმას ხომ ვერ უარყოფ, რომ ლიბანიოსი?..

ფილოსოფოსი. მთელი ჩემი არსებით უარყოფ.

იულიანო. განა მას არ ეკუთვნის ის გესლიანი სათრეველი ლექსები?

ფილოსოფოსი. მას? არც ერთი. უველა, უკლებლივ, სასახლის კარისაგან იღებს დასაბამს, თუმცა ლიბანიოსის სახელით კი ვრცელდება ხალხში.

იულიანო. რას ამბობ?

ფილოსოფოსი. იმას, რაც, მზადა ვარ უველას წინაშე ფიცით დავადასტურო. აი, შენ საქმოდ ბასრი ენა გაქვს და, ვინ იცის, იქნებ შენ თვითონ...

იულიანო. შე?.. აბა, ამას ვინ დაიჭერებს? ესე იგი, ლიბანიოსს არ დაუწერია ეს ლექსები... არც ერთი მას არ ეკუთვნის?

ფილოსოფოსი. არც ერთი.

იულიანო. არც ის სათრეველი ლექსი გვერდმოქცეულ ატლანტზე?

ფილოსოფოსი. არა-მეტქი!

იულიანო. არც ის ბრიყვეული და უკიდურესად თავბედური ლექსი კარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილ მაიმუნზე?

ფილოსოფოსი. მა-მა-მა! ის აუდიტორიაში კი არა ეკლესიაშია შეთბზული. არა გჭერა? გეუბნები თვით ეკივოლიუსია მისი...

იულიანო. ეკივოლიუსი?

ფილოსოფოსი. დიახ, ეკივოლიუსი, რომელსაც სურს შუღლი ჩამოაგდოს თავის მტერსა და თავის მოწაფეს შორის...

იულიანო (მუშტებსა ეუმშავს). ა, თუ ეს მართლა ასეა..

ფილოსოფოსი. ეს მოტუხებულები და შეკადრებულნი შეუვანილი ქაბუკი უფრო უკეთ რომ გვიცნობდნენ სიბრძნის შეგობრებს, აღბათ ესოდენ მკაცრსა და სასტიკ ზომებს აღარ მიმართავდა ჩვენ წინააღმდეგ.

იულიანო. რას ამბობ?

ფილოსოფოსი. ახლა უკვე გვიანია. კარგად ბრძანდებოდე, მეუფე! (წასვლას აპირებს.)

იულიანო. (ხელს წაავლებს). ძმაო და შეგობარო, ვინა ხარ შენ?

ფილოსოფოსი. კაცი, რომელიც კმუნავს და წუხს, რაკიღა ხედავს, რომ იღუპება ღვთაებრივი საწყისი.

იულიანო. რას უწოდებ შენ ღვთაებრივ საწყისს?

ფილოსოფოსი. ხელთუქმნელს — წარმავალში.

იულიანო. ესეც გაუგებარია ჩემთვის.

ფილოსოფოსი. არსებობს მთელი სამყარო, საოცარი სამყარო, რომელსაც ვერ ამჩნევს გალილეველთა თვალი. ამ სამყაროში სიცოცხლე სხვა არა არის რა, თუ არა დღესასწაული ქანდაკებებს შორის, წმიდა საგალობელთა გალობით, ხელში შეშხუნა ღვინით სავსე თასებითა და ვარდის გვირგვინებით შემკული შუბლებით. თავბრუდამხვევ ხიბალღებზე ცინარტუელასავით გადარკალებულია ურიცხვი ხიდი სულიდან სულისაკენ. ვიდრე სივრცის უხასრულობაში მიყარგულ ოდნავდა მბუუტავ აღამდე. და მე ვიცი, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ღიადი, მზის სხივებით წარღვნილი და წალგელი სამყაროს მბრძანებელი.

იულიანო (შიშით). დიახ მარადიული ნეტარების დაკარგვის ფასად.

ფილოსოფოსი. რა არის ნეტარება? სულის შერწყმა პირველსაწყისთან.

იულიანო. დიახ, ცნობიერ სიცოცხლეში, ჩემი ქეშმარიტი „მე“-ს შერწყმა..

ფილოსოფოსი. შეერთება წვიმის წვეთისა — ზღვასთან, დამაალი ნეშოსი — დედამიწასთან, რომელმაც გაზარდა იგი.

იულიანო. ო, ნეტა იმდენი ცოდნა მომცა, ისე შემაიარალა სიბრძნით, რომ შენ შეგერკინო.

ფილოსოფოსი. ძგ იარაღი შენ თვითონვე უნდა გამოქედო, ქაბუკო! ფილოსოფიურა სკოლა — აი, გონებისა და ნიჭიერების საწვრთნელი არენა და ასპარეზი.

იულიანე (უკან დაიხვეს). აი..

ფილოსოფოსი. აბა, დააკვირდი ამ სიცოცხლით სავსე ქაბუკებს. მათ შორის გალილე-
ელებიც არიან. ღვთაებრივ საკითხთა მიმართ სხვადასხვანაირი დამოკიდებულება განსტკი-
ლების წყაროდ როდი იქცევა ჩვენთვის... კარგად ბრძანდებოდეს! თქვენ, გალილეელებმა გან-
დევნეთ და გააძვეეთ კეშმარტება. მაშ, შეხედეთ, რა ქედუბრულად ვიგებებით ბედისწერის
დარტყმებს! რა ამჟამად გვიპირავს მალლა მწვანე გვირგვინით და დაფნული შუბლიანი უტყუ-
ხად მივაბიჯებთ თქვენგან დევნილნი და ვცდილობთ სიმღერებით შევიმოკლოთ უტყუარ
ოსის მოლოდინში (კიბით ეწეება დაბლა, სადაც მისი მოწაფეები უცდიან, შემდეგ ისმის, რო-
გორ შორდება ნაპირს მათი ნავი.)

იულიანე (დიდხანს გაკუჭრებს წყალს). ნეტა ვინ იყო ეს იდუმალეებით მოცული კაცი?

აბათონე (უახლოვდება). მომისმინე, იულიანე...

იულიანე (ძალზე აღელვებული). მან გამიგო... და თვით ღიბანიოსი... დიდი, უებრო ღი-
ბანიოსი.. წარმოგიდგენია, აგათონ, თვით ღიბანიოსი ამბობდა თურმე, რომ... ო, რა ბახრი
მწერა აქვთ ამ წარმართებს!

აბათონე. ეს სულ მაცთურის ხრიკებია, შენდე.

იულიანე (ყურადღებას არ აქცევს). აქ, ამ ხალხში ცხოვრებას მე ნამდვილად ვეღარ
გავუძლებ. აი, თურმე ვის ეკუთვნის ეს ამაზრუნე დექსები! აქ მე დამცინიან და ზურგს
უკან მახხრად მიგდებენ. არავის არა სწამს ის, რასაც ველოლიავები, სულით, დავატარებ. ყვე-
ლა ცდილობს გამოაჯავროს ჩემს ხმას, ჩემს მიზრამოზრას, ჩემს სიტყვებს. თვით ეკივოლიუ-
სიც... ო, შე ვგრძნობ, რომ ქრისტეც ხელს მადებს; აქ მე ავი და ბოროტი ვხდები.

აბათონე. მაგრამ თუ იცი, რომ სწორედ შენზე გადმოდის მადლი?

იულიანე (ბოლოს სცემს ბალუსტრადის გასწვრივ). მე ვარ ის, ვისთან შერკინებაცა
სურს ღიბანიოსს, რა უცნაური სურვილია! ღიბანიოსი თავის ხწორადა მთვლის და მელის
კიდევ!

აბათონე. უსმინე და დაემორჩილე: შენ გელის ქრისტე!

იულიანე. რას გულისხმობ, ჩემო მეგობარო?

აბათონე. ხალვას რომელმაც კონსტანტინოპოლში ჩამომიყვანა...

იულიანე. მო, მართლა, ხილვა... კინალამ დამაფიწყდა.. შენ ისიც კი თქვი, გამოცხადე-
ბაო... მითხარი, ჩქარა მითხარი!

აბათონე. ეს ჩვენში, კაპადოკიაში მოხდა, ამ ერთი თვის თუ ცოტა მეტი ხნის წინათ.
ხალხში ხმა დაიჩხა, წარმართებმა დამლამობით კვლავ განაახლეს თავიანთი ფარული თავ-
ყრილობები კიბულეს ტაძარშიო...

იულიანე. თავგახულები... ავი სასტიკად აკრძალული იყო...

აბათონე. აღშფოთებამ შეიპყრო ყველა მორწმუნე. ხელისუფლებმა ბრძანეს, ტაძარი
მიწასთან გაგვეხწორობინა, და ჩვენ ნამსხვრევებად ვაქციეთ წარმართთა მაცთური კერპები.
მაგრამ ბევრი ჩვენგანი, უფრო გულმოდგინე და ღვთის სულით აღძრული, ამასაც არ დას-
ჯერდა. ფსალმუნების გალობითა და ბაირადების ფრიალით მოვედეთ ქალაქს, და, როგორც
ღვთის რისხვის მაცნენი, თავს დავატყდით უღმერთობებს: წავართვიო სარჩო-საბადებელი,
ცეცხლს მივეციო მათი სახლ-კარი. მრავალი წამართთავანი ცეცხლზე დაიღუპა, უფრო
მეტს ქურბებში გავავლეთ მუსრი, როცა ცდილობდნენ გაქცევით გადაერჩინათ თავი. ო, ეს
იყო კეშმარტად საღმრთო საქმე, უფლის საფიდებლად აღსრულებული.

იულიანე. კი მაგრამ, შენი ხილვა, აგათონ?

აბათონე. მთელი ხამი დღე-ღამის მანძილზე მძვინვარებდა ჩვენში შურისგების სული.
მაგრამ შემდეგ ბრწინაღმა სხეულმა ვეღარ გაუძლო, მხარი ვეღარ აუბა სულის გულმოდგი-
ნებას და ჩვენც შევწყვიტეთ დევნა... ჩემს სარეცელზე ვიწიქი; აღარც ძილის თავი მქონდა
და აღარც ღვიძილისა. ასე მეგონა, თითქოს სულ მთლად ცარიელი ვიყავი, თითქოს ჩემმა სუ-
ლმა მიმატოვა. ცეცხლი მეკადა, გეგონებოდა, თონეში ვდგავარო, თმას ვიგლეჯდი, ვტიროდი,
ვლოცულობდი, ვგალობდი.. ახლაც არ ვიცი, რა შემართებოდა... უცებ, ჩემ წინ, კედელზე
თვალისმომკრელად იფეთქა შუქმა, და მის ნათელში ჩემ თვალწინ წარმოხდგა გრძელმოსას-
ხამიანი კაცი. თავს სხივების დიადმა უმკობდა, ხელში უავარტენი ეჭირა, და თავისი თვი-
ნიერი მწერა მომაპყრო.

იულიანე. შენი თვალითა ნახე?

იულიანე. ასე მითხრა: „აღსდექ, აგათონ, მოძებნე ტახტის შემკვიდრე და უბრძანე მას,
ხაროში ჩავიდეს და ღომებს შეერკინოს!“.

იულიანე. ღომებს შეერკინოს?! რა უცნაურია?! უცნაურზე უცნაური... ოო, ასე რომ იუ-

ოს... იმ უცნობ კაცთან შეხვედრა... გამოცხადება... ღმერთის მაცნე, ჩემგან გამოგზავნი-
ლი... ჩუთხუ მე ღვთის რჩეული ვარ?

აბათონი. კეშმარიტად!

იულიანე. ლომებს შეერკინოსო. დიახ, მე ვხედავ... ასეა, ჩემო აგათონი! ასეთია ნება
უფლისა, და მე, უწინარეს ყოვლისა, ლიბანიოსთან შეხვედრას უნდა ვეცადო...

აბათონი. არა, არა, ჭერ ბოლომდე მოთქმევიწ!

იულიანე. ფარულად დავეუფლო მის ხელოვნებას, შევიძინო ~~ქანდაკე~~ და მათივე
საკუთარი იარაღით განვგმირო ურწმუნონი... პავლესავით შევეშუბნებ, — ~~ქანდაკე~~ პავლესა-
ვით ვქლიო ისინი და ძლიერა მოვუპოვო უფლის საქმეს!

აბათონი. არა არა, იგ როდია ხილვის ნამდვილი აწრა.

იულიანე. როგორ შეიძლება ამაში ეჭვის შეტანა? განა სწორედ ლიბანიოსი არ არის
უღაბნოს მძლავრი ლომი, მისი სკოლა კი — ხარო?

აბათონი. გეუბნები, არა-მეთქი დასასრულ, ხილვამ დახძინა: „უწუე რჩეულს, რომ
საიმპერატორო ქალაქის მტვერი ჩამოიბერტყოს ფეხიდან და აღარასოდეს შეველოს მისი
ბჭენი!“

იულიანე. დარწმუნებული ხარ, აგათონ?

აბათონი. დიახ, მთელი ჩემი არსებით.

იულიანე. ესე იგი, აქ არა. მაგრამ ახა სად უნდა შევერკინო ლომებს? ვინ მეთყვის, ვინ?
ხეივანში მარცხენა მხრიდან გამოჩნდება ბალუსი (ლამაზი, ტანადი, ოცდახუთი წლის
ყმაწვილი კაცი: ქერა, ხუჭუჭი თმა აქვს; თავიდან ფეხამდი იარაღშია ჩამჭდარი.

იულიანე (ეგებება). გალუს!

ბალუსი. კარგხ რას მეთყვი? (აგათონზე ანიშნებს). ეს ვინაა?

იულიანე. აგათონი.

ბალუსი. რომელი აგათონი? ყველა შენი ნაცნობი როგორაა? თუმცა რა ღმერთი გამო-
წყრა, ეს ხომ კაპადოკიელია? დავაუკაცებულხარ...

იულიანე. იმპერატორმა გიკითხა, გალუს!

ბალუსი (დაძაბულად). ამ შუაღამისას?

იულიანე. დიახ, დიახ უნდა მოგელაპარაკოს... ძალიან გაბრაზებული ჩანდა.

ბალუსი. რაზე შეატყე? რა თქვა?

იულიანე. ვერ გავიგე. აინტერესებდა, რა გიპასუხათ მისანმაო.

ბალუსი აა!

იულიანე. ნურაფერს დამიმალავ. მაინც რას ეხება საქმე?

ბალუსი. სიკვდილს ან გაძევებას.

აბათონი. ღმერთო დიდებულო!

იულიანე. გული მიგრძნობდა... თუმცა არა, დედოფალი მშვიდად იყო. მაგრამ მითხა-
რი, მითხარი რაღას უყურებ?

ბალუსი. რა უნდა ვითხრა? ხომ არ გგონია, შენზე მეტი ვიცი? თუ იმპერატორმა მისანზე
ჩამოაგდო სიტყვა, მაშახადამე, ან მაცნე დაიჭირებს ან ვიღაცამ გამოცა...

იულიანე. მაცნე?... ხომ არ გაგიჟდი, რამ გაგაბედვინა?

ბალუსი. ასე ცხოვრება აღარ შემეძლო! ყოველდღე შიში, უნდობლობა, უიმედობა...
რაც უნდა, ის მიუოს... ამას ყველაფერი მიჩვენია...

იულიანე (განზე გაყვას, ხმადაბლა). ფრთხილად იყავი, გალუს!. მაინც რა მაცნეზე
ლაპარაკობ?

ბალუსი. აბიდოსში გავგზავნე, ოსირისის ქურუმებს რომ შეპკითხვოდა...

იულიანე. აა!.. მისნებს? ამნაირი წარმართობისთვის...

ბალუსი. წარმართობას კიდევ რა უშავს... მაგრამ ახლა ამასაც გეტყვი: მაცნეს დავა-
ვალე, ეკითხა, თუ რა შედეგით დასრულდებოდა სპარხეთის ომი...

იულიანე. გაგიჟებულხარ და ეგაა!.. მაგრამ სახეზე გეტყობა, გალუს... კიდევ რა აკი-
თხვიწ?

ბალუსი. მეტი არაფერი...

იულიანე. არა, არა. ერთი ძლიერაოსილი კაცის ყოფნა-არყოფნის ამბავიც გაინტერე-
სებდა, ხომ?

ბალუსი. ასეც რომ იყოს, მერე რა?... ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ამაზე მნიშვნელო-
ვანი არ არის რა...

იულიანე (ხელს სტაცებს). ჩუმაღ! ხომ არ გაგიჟდი?..

ბალუსი. გაშეცა! შენ თუ გინდა, ფეხებში ჩაუვარდი, ძალღვიით ელაქუცე და კული

უქნიეს მე კი ამის ატანა აღარ შემიძლია! მზადა ვარ ყველა მოედანზე, ქვეყნის გასაგონად ვიუვიროს.. (აგათონს უყვირის). ეჭვი, კაბადოკიელი, შენი თვალით თუ ნახე მკვლელი?

იულიანე. გალუსი ძმას!

აბატონი. მკვლელი?

ბალუსი. დიახ, პორტიროსანი მკვლელი... მამაჩემის, ჩემი დედინაცვლის, ჩემი უფროსი ძმის მკვლელი...

იულიანე. იცოდე, თავსაც დაიღუპავ და მეც დამღუპავ!

ბალუსი. თერთმეტე თავი — ერთ დამეს, თერთმეტი გვამი... მთელი ჩვენი საგვარეულო...

მაგრამ მერწმუნე, სინდისი არ აძლევს მოსვენებას, დღედაღამ მოფუთფუთე მატლებივით ღოდნის და ხრავს მის ხულსი..

იულიანე (აგათონს). უფროს ნუ უგდებ! გაგვეც, წადი!

ბალუსი (იულიანეს მხარში სტაცებს ხელს). სდექ! ეგრე რამ გაგაფითრა ან რად კანკალებ?... შენ თვითონ ხომ არ ვამეცი?

იულიანე. მე? შენმა ღვიძლმა ძმამ?

ბალუსი. რა ძმა, რის ძმა! ჩვენს გვარში ვინ გადაურჩენია ძმობას? გამოტყდი, მალულად მითვალთვალეზღვი?... აბა ვის რა უნდა გაეგო? შენ გგონია, არ ვიცი, რას ჩურჩულებენ აქ ყოველი ფეხის ნაბიჯზე? იმპერატორი თავის მემკვიდრედ გირჩევს.

იულიანე. არასოდეს! გეფიცები, ჩემო ძვირფასო გალუს, არასოდეს ეს არ მოხდება! არ მინდა, არ შემიძლია, გესმის? მე ამირჩია უოვლისმპურობელმა.. მერწმუნე, გალუს, ჩემი გზა უკვე ცნობილია, და ეს არ არის მემკვიდრის გზა... ო, ციურ მოლაშქრეთა მეუფეო, რას ვაქნევ მე იმპერატორის ტახტს?

ბალუსი. ჰა-ჰა-ჰა! კარგად კი გაითამაშე, შე ტაკიმასხარავ!

იულიანე. დამცინე, დამცინე, რა გენადვლება? შენ ხომ არ იცი, რა მოხდა. შენ კი არა, თვითონაც თავგზა მებნევა... ო, აგათონი. ამ თავს რომ მირონცხება ელოდეს, რა იქნებოდა ეს, თუ არა განდგომილება და მომაკვდინებელი ცოდვა? უფლის წმიდა ზეთი გამლღვლი ტყვიახავით დამიმდურავდა თავს!

ბალუსი. ო, მაშინ ჩვენი ესოდენ მალა აღწევებული ნათესავი თვით იულიუს კეისარ-ზედაც უფრო მელოტი იქნებოდა.

იულიანე. ნუ სცოდავს!.. მიაგე კეისარს კეისარისა...

ბალუსი. მამაჩემის სისხლი... შენი დედ-მამის სისხლი..

იულიანე. ეჭ, რა ვიციოთ ჩვენ ამ საშინელებაზე? მაშინ ხომ სულ პატარები ვიყავით, მთავარი ცოდვა ჭარისკაცებს, შეამბოხებებს, ბოროტ მრჩევლებს აწევთ კისრად!

ბალუსი (სიცილით). მემკვიდრე ვარჯიშობს!

იულიანე (ტრემლმორეული). ომ, ნეტა მომკლან ან შენ ნაცვლად განმდევნონ, გალუსი აქ ჩემს ხულს მხოლოდ წარწყმედა ელის. ჩემი ვალია ყველას მივუტევო, მაგრამ ვაი რომ არ შემიძლია. ბოროტება დღითი დღე იზრდება ჩემში. სიძულვილი და შურისგების სურვილი სულ იმას ჩამჩიჩინებენ, რომ...

ბალუსი (ეკლესიისკენ აყურება, სწრაფად). მოდის, მოდის!

იულიანე. გონებას მოუხმე, ძვირფასო ძმას!.. ეჭ, ეკივოლიუს!

ამასობაში ეკლესიის კარი იღება და ხალხი მოედანზე გამოეფინება. ვინ მიდის, ვინ კი სამეფო პროცესის საყურებლად რჩება. გამოსულთა შორისაა ეპიფოლიუსიც, სამღვდელო შესამოსელი მოსაღეს.

ეპიფოლიუსი (მარცხნივ გახვევას აპირებს). ა, ეს შენა ხარ, იულიანე? ისევ შავი დღე მაყარებს შენი გულისთვის.

იულიანე. ეჭ, ჩემი გადაწყვიდე სულ შავ დღეში ხარ.

ეპიფოლიუსი. ქრისტე შემოგწყრა, შვილო ჩემო! შენი ქედმაღლობის გამო შემოგწყრა! სიყვარული აკლია შენს ხულს... ეჭ შენი ფუჭი ცუდმედიდობა...

იულიანე. ვიცი, ვიცი, ეკივოლიუს, რამდენჯერ გითქვამს.

ეპიფოლიუსი. მე ეს-ესაა ვილოცე იმისთვის, რომ წრფელ გზაზე მოგაქციოს უფალმა. მაგრამ ყოვლად მოწყალე მაცხოვარმა არ შეიწყნარა ჩემი ლოცვა, თითქოს უურიც არ ათხოვა მას, — საშუალება მისცა ამაოებას და დაბნეულობას შეპარულიყვნენ ჩემს აზრებში..

იულიანე. მაშ, ჩემთვის ილოცე? ო, რა მოსიყვარულე გული გაქვს, ეკივოლიუს, — ჩვენთვის, უტყვი ცხოველებებისთვისაც კი ლოცულობ ხოლმე... როცა ქარისკაცის ხამოსი გვაცვია ტანთ.

ეპიფოლიუსი. რას ამბობ, რას, შვილო ჩემო?



იულიანე. ეკვილიუს, რამ დაგაწერინა ის ამაწრწენი ლექსი?

ეკვილიუსი. მე? გეფიცები ყველა წმინდანს..

იულიანე. თვალზე გეტყობა, რომ ცრუობ, დანამდვილებით ვიცი, რომ შენ დაწერე, მაგრამ, კვლავ გეკითხები, რა ჭანდაბამ დაგაწერინა... ან რა გულმა მტყცა, რომ ლიბანიოსის კუთვნილად გავგესაღებინა?

ეკვილიუსი. კეთილი, ჩემო ძვირფასო, რაკილა დანამდვილებით გეტყულებ

იულიანე. ო, ეკვილიუსს სიცრუე, სიყალბე, თვალთმაქცობა!

ეკვილიუსი. ხომ ხედავ, ჩემო ძვირფასო, რა გულმხურვალედ მიუვარხარი არაფერს დავიშურებ იმისი სულის ხახსენებლად, ვისაც ერთ მშვენიერ დღეს თვითონ უფალი სცხებს მირონს... დიახ, მე ვცრუობდი და გატყუებდი, მაგრამ მხოლოდ იმ მიზნით, რომ შენს სულზე შეწრუნა, რადგანაც მწამდა, რომ მრავალმოწყალე უფალი კეთილმოსურნე თვალთ დაამხერს ჩემს საქმეს და თავისი მძლეთამძლე მარჯვენით აკურთხებს მას...

იულიანე. მე კი.. ნამდვილი ბრმა ვარ, ბრმა.. ნება მიბოძე, მაგ ფიცისგამტებ ხელზე გმთხვიო...

ეკვილიუსი. იმპერატორი..

იმპერატორი კონსტანციუსი თავისი ამალის თანხლებით გამოდის ეკლესიიდან. აგათონი ჭერ კიდევ წინა სცენის განმავლობაში ხელმარჯვნივ მიუთარა ბუჩქებს.

კონსტანციუსი. ო, ეს ციური ნეტარება, ზეგარდმო რომ შედვრება სულში!

მვსებრია. ხომ უკეთ გრძნობ თავს, ჩემო კონსტანციუს?

კონსტანციუსი. დიახ, დიახ. ჩემი თვალთ ვიხილე, როგორ მომეფართქუნა მკერდზე ცოცხალი მტრედი და თან წაიღო ჩემი ცოდვების სიმძიმე... ახლა კი შემოძლია გავბედო, შემნონ!

მემნონი (ხმადაბლა). ნუღარ დააუოვნებ, მბრძანებელო!

კონსტანციუსი. აი, ისინიც, ორივენი აქ არიან (გალუსსა და იულიანეს უახლოვდება).

ბალუსი (ხელს უნებურად ხმლისკენ აპარებს და შეშინებული ყვირის). ნუ გამწირავ!

კონსტანციუსი (ხელებგამოიღო). გალუსსი ძმამო! (ეხვევა და პკოცნის.) აი, პასექის ღამის მოციმციმე ვარსკვლავების შუქზე მე ვირჩევ იმას, ვინც ხათნო უჩანს ჩემს გულს.. ქელი მოიდრიკეთ, თაყვანი მცით ცეზარ გალუსს!

ყველა სახტად რჩება: ზოგს უნებური წამოძახილი აღმოხდება.

მვსებრია (წამოიძახებს). კონსტანციუს!

ბალუსი (გაოგნებული). ცეზარი!

იულიანე. ა! (თითქოს აღტაცებული მივარდება და იმპერატორის ხელს წაეპოტინება).

კონსტანციუსი (ხელის აქნევით იშორებს). არ მომეკარო! რა ვინდა?.. გალუსი შენზე უფროსია! რისი იმედი უნდა გქონოდა? შენივე პატივმოყვარეობით დაბრმავებული უაწრო ხმებს და მითქმა-მოთქმას ხომ არ?... შორს, შორს!..

ბალუსი. მე... მე — ცეზარი ვარ!

კონსტანციუსი. დიახ, ჩემი მემკვიდრე! სამი დღის შემდეგ აწიურ ლაშქარს შეუერთდები... აკი სპარსეთის ომი მოსვენებას არ გაძლევს...

ბალუსი. ჩემო მრავალმოწყალე მბრძანებელო!

კონსტანციუსი. საქმით გადამიხადე მადლობა. ძვირფასო გალუსსი მეფე საპორი ევფრატის დახავლეთით დგას. ვიცი, რა ძვირფასია შენთვის ჩემი კეთილდღეობა — მაშ, შემუსრე საპორი (იულიანეს მიუბრუნდება, ხელისგულეებში მოიქცევს მის თავს და პკოცნის). იულიანე, ასე იყო საჭირო, ჩემო ძვირფასო ძმამო და მეგობარო.

იულიანე. კურთხეულ იყოს იმპერატორის ნება!

კონსტანციუსი. მოვეშვათ ამ ღოცვა-კურთხევას! თუმცა მომისმინე, არც შენ დამიტოვებინარ უყურადღებოდ. ახლა კი შეგიძლია თავისუფლად იხუნტო კონსტანტინოპოლში...

იულიანე. დიდება ქრისტეს და იმპერატორს!

კონსტანციუსი. შენ უკვე იცი? ვინ გათხრა?

იულიანე. რა, მეუფეო?

კონსტანციუსი. ლიბანიოსის განდევნის ამბავი.

იულიანე. ლიბანიოსი განდევნილ იქნა?

კონსტანციუსი. დიახ, ათენში გადავასახლე.

იულიანე. ა!

კონსტანციუსი. აი აგერ დგას ხომალდი, რომლითაც ამალამვე უნდა გაემგზავროს!

იულიანე (თავისთვის). მაშასადამე, ეს თვით ლიბანიოსი იყო?

კონსტანცია: შენ ხომ დიდი ხანია ნატრობდი ამას. აქამდე სურვილი ვერ შეგისრულე. ახლა კი... დაე, ეს ერთგვარი საზღაური იყოს შენთვის, ჩემო იულიანე...

იულიანე (ხელში ხელს სტაცებს). მეუფეო, თუ შეიძლება, ერთი მოწყალეხაც მორღე! კონსტანცია: მთხოვე, რაც გნებავს!

იულიანე. პერგამოსში გამიშვი. ხომ იცი, ვინ ახწავლის იქ? — მოხუცი ეღესია

კონსტანცია: უცნაური სურვილია, წარმართებთან გაშვებას მთხოვ? **ეროვნული**

იულიანე. ედესია საშიში არ არის; კეთილშობილი ბერიკაცია და, თანაც **საღვთისმეტყველები** სამარეში უდგია უკვე.

კონსტანცია: ეს მაგრამ, რაში გჭირდება, ძმაო?

იულიანე. შინდა ლომებთან ბრძოლის ხელოვნება ვისწავლო მისგან.

კონსტანცია: მესმის შენი საღმრთო მიზანი. მაგრამ არ გეშინია? გრძნობ კია შენში ხაყმარის ძალას?..

იულიანე. უფალმა ღმერთმა ხმამალა მიხმო. დანიელისა არ იყოს, მეც მშვიდად და სიბარულით ჩავალ ლომების ხაროში.

კონსტანცია: იულიანე!

იულიანე. ამაღამ, შენდა შეუცნობლად, უფლის საქურვლად მოგვევლინე. ო, გამიშვი, ნება მიბოძე, წარმართობისაგან გავწმინდო მთელი ქვეყანა!

გალუსი (ხმალაბლა იმპერატორს). გაუშვი მეუფეო! უფრო მნიშვნელოვან საქმეებში აღარ ჩაერევა.

მცხებია. გვედრები, კონსტანციუს, წინ ნუ აღუდგები ესოდენ დაუოკებელ სწრაფვას! ეკივოლიუსი (ჩუმად). ჩვენო მბრძანებელო, გაუშვი, წავიდეს პერგამოსში. მიეპყება, რომ აქ მიხი დაურყვება შევძლო; თუმცა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს ახლა?..

კონსტანცია: განა შემიძლია უარი გითხრა ესოდენ მნიშვნელოვან წამს? წადი, იულიანე, ღმერთი იყოს შენი მფარველი!

იულიანე (ხელებს უკოცნის). ო, გმადლობ... გმადლობ...

კონსტანცია: ახლა კი სადღესასწაულო სუფრას მივუსხდეთ. ჩემმა მზარეულმა ახალი სამარხვო კერძები გამოიგონა — ქიოსურ ღვინოში მოხარშული კობრი და... მოკლედ, წავიდეთ!... შენ, როგორც ცეზარი, ფეხდაფეხ უნდა მომყვე, გალუს!

პროცესია გზას გაუდგება.

გალუსი (ჩუმად, ეღენეს). რა განსაცვიფრებელი ცვლილებაა, ეღენე!

ელენე. ო, გალუს, ჩვენი სასოების მზე ამობრწყინდა!

გალუსი. არც კი მჭერა. ნება ვის უნდა ვუმაღლოდე?

ელენე. სსუ!

გალუსი. შენ, ძვირფასო! შენ თუ არა, მაშ, ვის?

ელენე. მემნონის ლაკედემონურ ქოფაკს.

გალუსი. ვის?

ელენე. მემნონის ქოფაკს-მეთქი... ამას წინათ, იულიანემ წიხლი ამოტკრა, მოდა, აი შურისძიებამაც არ დაახანა.

კონსტანცია (დღლოფალს). რას გაჩუმებულხარ, ევსებია?

მცხებია (ჩუმად ცრემლს იწმენდს). ო, კონსტანციუს... ვისზე შეაჩერე შენი არჩევანი?

კონსტანცია: თერთმეტი აჩრდილი მოითხოვდა ამას.

მცხებია. ვაი ჩვენი ბრალი! შენ გგონია, ეს დაამშვიდებთ?

კონსტანცია (ყვირის). ეპეი, მუხიკა! რას გაჩუმებულან ეს გაიძვერები? დაუკარიით-მეთქი!

იულიანეს გარდა ყველა მარცხნივ მიემართება. ბუჩქებიდან გამოდის აგათონი.

იულიანე. გალუსი მიხი მემკვიდრეა! მე კი თავისუფალი ვარ, თავისუფალი!

აგათონი. რა გასაოცრად მართლდება განგების ნება!

იულიანე. გაიგონე, რაც აქ მოხდა?

აგათონი. დიან, ყველაფერი მესმოდა...

იულიანე. მაშ, ასე, აგათონ, ხვალვე ათენისაკენ გავწივ.

აგათონი. ათენისაკენ?... აკი პერგამოსშიო?

იულიანე. სსუ!.. არ იცი?... ცბიერები უნდა ვიყოთ, როგორც გველები, თავდაპირველად — პერგამოსში, იქიდან კი — ათენში!..

აგათონი.. მშვიდობით, ჩემო მეგობარო და მბრძანებელო.

იულიანე. ჩემთან ხომ არ წამოხვალ, აგათონ?

აბათონი. არ შემიძლია, შინ უნდა დავბრუნდე. პატარა ძმა მყავს სარჩენი.
 იულიანე (ბალუსტრადასთან). აი, მათ უკვე აფრა აღმართეს. ბედნიერ მგზავრობას გი-
 სურვებ, ფრთოსანო ღომო! მალე აქილევსიც უკან მოგვუვება... (ყრულ წამოიყვირებს). ა!
 აბათონი. რა მოხდა?
 იულიანე. ვარსკვლავი მოწყდა.



მეორე მოქმედება

ათენი, პორტიკებითა და კოლონადებით გარშემორტყმული და ქანდაკებებითა და შად-
 რევნით შემკული მოედანი. მოედნის მარცხენა კუთხეს ვიწრო ქუჩა ემიჯნება. მზის ჩასვლის
 დროა.

ბასილი კისარნილი, მოხდენილი გარეგნობის უმაწვილი კაცი, მოედნის კუთხეში მიმ-
 ჯდარა და წიგნს კითხულობს. უმაღლესი ფილოსოფიური სკოლის სხვა მოწაფეები, მათ შო-
 რის ბრიგოლ ნაზიანზელიც, ჩვეუ-ჩვეუად სეირნობენ სვეტებს შორის. ხალხის ბრბო ღრი-
 ინცულით გადასჭრის მოედანს და ხელმარჯვნივ მიეშურება. შორიდან ყვირილი ისმის.

ბასილი (კითხვას თავს ანებებს). რას მოახწავებს ეს ველური ყიფინი?

ბრიგოლი. ხომალდი ჩამოვიდა ეფესიდან.

ბასილი. ახალი მოწაფეები ჩამოიყვანა?

ბრიგოლი. დიახ.

ბასილი (დგება). ესე იგი. ამაღამ ღრეობა იქნება. წავიდეთ, გრიგოლ, გავეცალოთ ამ
 უხამს სანახაობას.

ბრიგოლი (მარცხნივ ანიშნებს). შენი აზრით, ეს უფრო სასიამოვნო სანახავია?

ბასილი. იულიანე.. სახელეწილი ვარდების გვირგვინით შუბლშემკული..

ბრიგოლი. თან ღოთიფოთების მთელი ჩგრო ახლავს. შეხედე, რა გამოთაყვანებული
 თვალები აქვთ. უური მიუგდეთ. თუ გაარჩევ მათ უთავბოლო ღუღლულს. მთელ დღეს ღი-
 კონის დუქანში ეყარნენ და ენას ძლივს იბრუნებენ პირში.

ბასილი. მათ შორის ბევრი ჩვენია, გრიგოლ, ბევრი ქრისტიანი..

ბრიგოლი. ისინი მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები. აქი ქრისტიანად თვლიდა თავს
 ლამპონიც, ზეთით მოვაჭრის ზენონის ქალიშვილს რომ ახადა ნამუსი. ისევე როგორც ილა-
 რიონ აგრიგენტელი და მისი ორი სხვა ამფსონიც, რომლებმაც ისეთი უგვანი საქმე ჩაიდინეს,
 რომ თქმაც კი მკრებელობაა..

იულიანეს ხმა (მოედნის მარცხენა კუთხიდან მოისმის). ეჭვი, თქვენ, კაპადოკიელი კა-
 სტორ და პოლუქსი

ბასილი. დაგვინახა! მე წავედი. როცა ასე გამტყვრალია, ვერ ვიტან.

ბრიგოლი. მე კი დავრჩები; სწორედ ახლა სჭირდება მეგობარი.

ბასილი ხელმარჯვნივ გადის. იმავე წამს ვიწრო ქუჩიდან, სხვა მოწაფეების თანხლე-
 ბით, გამოდის იულიანე; თმა აბურძგვანია, მბრებზე, დანარჩენების მსგავსად, მოკლე მოსას-
 ხამი მოუსხამს. მის თანმხლებთა შორისაა სალუსტიუს კერუზიელიც.

მოწაფეები (ყვირიან). დიდება ათენის მნათობს! დიდება სიბრძნისა და მქვერმეტყვე-
 ლების მეგობარს!

იულიანე. სულ ტუუილად მელაქუცებით! ერთ სტრიქონსაც ვეღარ ეღიბებოთ ჩემგან!
 სალუსტიუსი. როცა ჩვენი ბელადი დუმს, ყველაფერი ცარიელდება და უდაბური ხდე-
 ბა, როგორც ქუჩა, ჭერ კიდევ დილაუთენია, დამეული ღრეობის შემდეგ.

იულიანე. თუ გართობაა, რაღაც ახალი უნდა მოვიგონოთ. მოდიოთ, მსაჭულობანა ვითა-
 მაშოთ!

ბრბო. დიახ, დიახ! მთავარი იულიანე მსაჭული იყოს!

იულიანე. შორს ჩვენგან მთავრები, მეგობრებო...

სალუსტიუსი. მსაჭულის სავარძელზე დაბრძანდი, შეუდარებელო!

იულიანე. მსაჭულობა რა ჩემი საქმეა?! აი, ვინ გვჭირდება! ვინ შეედრება კანონებისა
 და სჭულის ცოდნაში გრიგოლ ნაზიანზელს?!
 სალუსტიუსი. მართალია!

იულიანე. მაშ, მსაჭულად დაგვიდექ, ბრძენო გრიგოლ, მე კი მოპახუბე ვიქნები.
 ბრიგოლი. გივედრები, მეგობარო, თავი გამანებე.

იულიანე. მსაჭულის კათედრაზე, მსაჭულის კათედრაზე-მეთქი! აი, ასე დაბრძანდი
 (დანარჩენებს) მაინც რაში მედება ბრალი?

ხმები, რაში? შენ თვითონ ამოიჩაე!
სალუსტიუსი. თუ შეიძლება რაღაც გალილეური, როგორც ჩვენ, უღმერთონა ვამბობთ ხოლმე.

იულიანე. კეთილი, იყოს რაღაც გალილეური. პო, მოვიგონე; მე გადავწყვიტე გადასახადი აღარ ვუხადო იმპერატორს...



საქონელონი
ბიბლიოთეკა

ხმები. ბა-ბა-ბა! დიდებულა, დიდებულა!
იულიანე. და აი, ხელეშეცრული, კინწისკვრით მიმათრიეს სამსჯავროში...

სალუსტიუსი (გრიგოლს). ბრმა მსაჯულო — მე მართლმსაჯულების სიბრძავეს ვგულისხმობ — შეხედე ამ თავბედს: მან გადაწყვიტა გადასახადი აღარ უხადოს იმპერატორს.

იულიანე. ნება მიბოძე, ორიოდ სიტყვა მეც დავაგდო სასწორის პინაზე: მე ბერძენი მოქალაქე ვარ, რამდენი უნდა უხადოს ბერძენმა მოქალაქემ იმპერატორს?

ბრიგოლი. იმდენი, რამდენსაც იმპერატორი მოითხოვს.
იულიანე. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ მაინც რამდენი? მიპასუბე, თითქოს იმპერატორი თავად ესწრებოდეს სამსჯავროს, — რისი მოთხოვნის უფლება აქვს იმპერატორს?

ბრიგოლი. უველაფრის.
იულიანე. აი, პასუხიც ამასა ჰქვია!.. თითქოს იმპერატორი ჩვენ გვერდით იყოს! მაგრამ აი, სად მარხია ძაღლის თავი! საღმრთო წერილი ბრძანებს: „შიაგე კეისარს კეისარისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა!“

ბრიგოლი. შერე რა?
იულიანე. ერთი ეს, მოთხარი, ბრძენო მსაჯულო, მთელი ჩემი ავლადიდებიდან მაინც რა გუთვნის ღმერთს?

ბრიგოლი. უველაფერი.
იულიანე. კი მაგრამ, იქიდან, რაც ღმერთს ეკუთვნის, რამდენი შემიძლია მოვცე კეისარს?

ბრიგოლი. მეგობრებო, შევწყვიტოთ ეს თამაში.
მოწაფეები (სიცილ-ხარხარით). არა, არა, უპასუბე!

იულიანე. მაშ, ასე, ღმერთის ეკუთვნილიდან რამდენის მოთხოვნას გაბედავს კეისარი?
ბრიგოლი. არ ვიპასუხებთ, ეს იმპერატორის გამოაცაა და ღმრთისგმობლობაც. გამატარეთ!

ხმები. არ გაუშვათ!
იულიანე. ფეხსაც ვერ მოიცვლი!.. როგორ? უხადრუკო მსაჯულო, იმპერატორის საქმე წააგე და ახლა პასუხისათვის თავის არიდებას, გაქცევას ცდილობ? კი მაგრამ, მაინც სად გარბიხარ? სკვითებთან? მოშიახლოვდი!.. მიპასუხეთ იმპერატორისა და სიბრძნის მომავალო მსახურნო: ხომ ამირებდა იმპერატორის ძალაუფლებას გარიდებოდა?

ბრიგოლი. დიახ, დიახ!
იულიანე. მერედა, რა სახეღეს იმსახურებს ამნაირი დანაშაულისათვის?

ხმები. სიყვდილს! ღვინით სავსე კასრში ჩავახრჩოთ!
იულიანე. მოდით, კარგად ავწონ-დავწონოთ და ისე განვსაჯოთ საქმე, თითქოს თვით იმპერატორი გვესწრებოდეს. სადაა იმპერატორის ძალაუფლების ზღვარი?

ხმები. იმპერატორის ძალაუფლება უსაზღვროა!
იულიანე. მეც ასე მგონია. მაგრამ განა შლეგი არ არის, მეგობრებო, ის, ვინც ცდილობს გაქცევით დააღწიოს თავი უსაზღვროებას?

ბრიგოლი. დიახ, დიახ, კაპადოკიელი შლეგია!
იულიანე. კი მაგრამ, რა არის სიშლეგე? როგორ განმარტავდნენ ამ მდგომარეობას ჩვენი წინაპრები? რას გვაწავლიდნენ ეგვიპტელი ქურუმები? რას გვეუბნებოდა მისტიკოსი მაქსიმე და სხვა აღმოსავლელი ბრძენმოძღვარნი? ისინი გვეუბნებოდა, რომ სიშლეგის წყალობით ცათა იდუმალი, ფარული სიბრძნე საცნაური ხდება ჩვენთვის. ამრიგად, იმპერატორის წინააღმდეგ რომ აღძვრის, ეს ჩვენი გრიგოლი ციურ ძალთა მოდასედ გვევლინება!.. მაშ, ღვინო დაუბხით კაპადოკიელს, დიდება ჩვენს დიდ გრიგოლს!.. ძეგლი უნდა ავუგოთ მის სიბრძნეს, ძეგლი!

მოწაფეები (სიცილ-ხარხარითა და მხიარული ყიჟინით). დიდება კაპადოკიელს! დიდება მის მსჯავრს!

სოფისტი ლიბანიოსი მოწაფეების თანხლებით გადმოსკრის მოედანს.
ლიბანიოსი. ოჰო! როგორც ჩანს, ჩემი ძმა იულიანე უკვე სახალხოვ კადაგებს სიბრძნეს.

იულიანე. უფრო სწორი იქნება, თუ იტყვი — სიშლეგეს-თქო!.. სიბრძნეს აქ რა უნდა?

ლიბანიოსი. როგორ თუ რა უნდა?

იულიანე. უფრო სწორი იქნება, თუ იტყვი — სიშლეგეს-თქო!.. სიბრძნეს აქ რა უნდა?

ლიბანიოსი. როგორ თუ რა უნდა?

იულიანე. უფრო სწორი იქნება, თუ იტყვი — სიშლეგეს-თქო!.. სიბრძნეს აქ რა უნდა?

ლიბანიოსი. როგორ თუ რა უნდა?

იულიანე. უფრო სწორი იქნება, თუ იტყვი — სიშლეგეს-თქო!.. სიბრძნეს აქ რა უნდა?

ლიბანიოსი. როგორ თუ რა უნდა?

იულიანე. უფრო სწორი იქნება, თუ იტყვი — სიშლეგეს-თქო!.. სიბრძნეს აქ რა უნდა?

ლიბანიოსი. როგორ თუ რა უნდა?

იულიანო. როგორ და, ჭერ თუ არ გადახახლებულა, უკვე აპირებს გადახახლებას. აუ შენც პირეოსში მიგერქარება? ხომ მართალს ვამბობ?

ლიბანიოსი. შე, ძმაო ჩემო? პირეოსში რა მესაქმება?

იულიანო. ესე იგი, სიბრძნის მოძღვართა შორის მხოლოდ ლიბანიოსმა არ იცის, რომ ეს-ესაა ხომალდი ჩამოვიდა ეფესიდან.

ლიბანიოსი. ან ამ ხომალდთან რა მესაქმება, ჩემო ძვირფასო?

იულიანო. იცოდე, ცოდნის ნერგებითაა დატვირთული...

ლიბანიოსი (ზიზლით). ეფესური ცოდნის ნერგებით...

იულიანო. განა ოქრო უველგან თანაბრად არ იწონის, ეფესშიაც და ათენშიაც?

ლიბანიოსი. ოქროს? ჰა-ჰა-ჰა! ნუ გეშინია, ოქროს ნერგებს მაქსიმე ხელიდან არ გაუშვებს... ვინ, რა ხალხი ჩამოდის სასწავლებლად ეფესიდან? ვაჭრების უტვინო მემკვიდრეები, ხელოსნების მუტრუკი შვილები. ოქროს, შენ ამბობ, იულიანე? მაგრამ აბა ერთი მეც მკითხე; სად ჯანდაბაშია ოქრო? მაგრამ შე ვერ შემაკრთობს ოქროს უქონლობა და ბაჭალო ოქროს ცინცხალ მონეტებს მოვკრი თქვენდა ხახმარად, ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო. ან იქნებ არ შეიძლება სრულფასოვან ოქროს მონეტას შევადაროთ ცხოვრებაში იგვომ საქირო ცოდნა, როცა ის კეთილგონივრული და მომნიბლავი ფორმითაა გადმოცემული, თუ თქვენც ამ ავე აზრისა ხართ, მაშინ მისმინეთ. წედან აქ ითქვა, რომ ზოგჯერგერთმა უკვე მიაშურა პირეოსს. ვინ არიან ეს სულწასულნი? ღმერთმა დაშიფაროს იმისგან, რომ მათი საბედების ჩამოთვლას მოვუყვე. მაგრამ თვითონ კი ფილოსოფოსებსა და სიბრძნის მასწავლებლებს უწოდებენ თავიანთ თავს. მაშ, ფიქრით გადავიდეთ პირეოსში! რა ხდება იქ ახლა, როცა შე აქ, თქვენ შორის ვდგავარ, უურადღებად ქცეულ მოწაფეთა და თანამოაზრეთა მეგობრულ წრეში? ხალხს, რომელიც სიბრძნის მეგობრებად და მასწავლებლებად ასაღებს თავს; ნავსადგურში მოუყრია თავი, არის ერთი უვირილი, ჭგლეთა და შეხლა-შემოხლა, იგინებიან და მუქლუგუნებით უმასპინძლდებიან ერთმანეთს, აღარც ხინიდისი ახსოვს ვინმეს, აღარც ზრდილობა და წესიერება. და მერე რიხი გულისთვის? იქნებ სხვებს დავასწროთ, უკეთ ჩაცმული ახალგაზრდები ჩავიგდოთ ხელში და ამ ნანატრი ნადავლით დავბრუნდეთ შინ, რათა შემდეგ უფრო მეტი ფული დავცინცლოთ მათ მშობლებსაო... ვაი სირცხვილო!... რა მწარე სინანული და იმედგაცრუება იღიოთ, როცა სულ მალე დარწმუნდებიან, რომ ამ კაბუკების სწავლის საფასური... ჰა-ჰა-ჰა... მათ გასამასპინძლებლად გამართული ნადიმის ხარჭებსაც კი ვერ დაფარავს. მაშ, დაიხსომეთ, კაბუკებო, გაკვეთილად გამოგადგებათ, რაოდენ ბლაღავს ფილოსოფოსის ღირსებას და რა მწირია საზღაური უველა იმ საუნჯის მოხვეჭისა და ხელში ჩაგდების სურვილისა, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა კემშარიტებასთან.

იულიანო. ო, ლიბანიოს, თვალდახუკული რომ გისმინოს, ღმერთმანი, შეიძლება იფიქროს კაცმა, ნამდვილად სიზმარში ვარ და აგერ, ჩვენ შორის მკვდრეთით აღმდგარ დიოგენესა ვხედავო.

ლიბანიოსი. შენი ბაგენი მეფურად უხვნი და უშურველნი არიან, ჩემო ძვირფასო.

იულიანო. არ დაიჭერო. მაგრამ რა ვქნა, მაინც უნდა გაგაწუვეტინო სიტყვა, ამჭერად ერთ-ერთ შენს თანამოდმეს ნამდვილად აღარ მოუწევს იწვნოს იმედგაცრუების მთელი სიმწარე.

ლიბანიოსი. ჩემი ძვირფასი მეგობარი ხუმრობის გუნებაზეა.

იულიანო. შენს მეგობარს შეუძლია დაგარწმუნოს რომ ხომალდს მეფისნაცვალ მილონის ორი ვაჟიშვილი ჩამოჰყვა.

ლიბანიოსი (ხელს სტაცებს). რას ამბობ?

იულიანო. დიოგენეს იმ მიმდევარს, რომელიც ამ კაბუკებს ჩაიგდებს ხელში, სამათხოგროდ აღარ ექნება საქმე.

ლიბანიოსი. მეფისნაცვალ მილონის ვაჟიშვილები? იმ კეთილშობილი მილონისა, იმპერატორს შვიდი სპარსული ულაუი და თვალ-მარგალიტით მოოკვილი შვიდი უნაგირი რომ მიართვა ძღვენად?..

იულიანო. ბევრის აზრით მილონს შეეძლო უფრო მდიდრული ძღვენიც გამოეგზავნა.

ლიბანიოსი. მართალია, მართალი, მილონს უნდა გამოეგზავნა ლექსები, დაბეწილი ხელოვნებით შეთხზული სიტყვა ან ეპისტოლე. მეფისნაცვალ მაღალნიჭიერი კაცია, მთელი მისი საგვარეულო ნიჭიერია.

იულიანო. განსაკუთრებით ეს ორი კაბუკი.

ლიბანიოსი. უყოყმანოდ ვიზიარებ შენს აზრს. ღმერთებო, თქვენ შეეწიეთ, რომ მამის გულუხვობისა და კეთილმოწყალების ხანაცვლოდ კარგ ხელში მოხვდნენ! მა-

რთაღი ხარ, რას გერჩი იუღიანე: ხომალდს ბაქალლო ოქრო ჩამოუტანია ეფესი-
დან. მაგრამ შე რა ვქნა, რა მომასვენებს? ამ კაბუკების კეთილდღეობა ხუმრობა საქმე რო-
დია, და ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის ხელში მოხვდებიან თავდაპირველად, ხე-
მო ახალგაზრდა მეგობრებო, თუ თქვენც ამავე აზრისა ხართ, გზისმაჩვენებელი ხელი გავუწო-
დოთ ამ ორ უცხოელს, ვუშველოთ, რაც შეიძლება უკეთესი მასწავლებელი ამოირჩიონ, და-
ბინავდნენ და...

საქონესული
ბიზნისით

სალუსტიუსი. შე შხადა ვარ!

მონაფეხი. პირეოსში პირეოსში!

სალუსტიუსი. ტახებივით ვიბრძობებთ მილონის გაუიშვილების გულიხთვის.

იულიანოსა და ბრიგოლის გარდა ყველა მარჯვნივ მიემართება.

იულიანო (მზერით აცილებს მიმავალთ). შენედე ფავნების ჯოგით არ აკუნტრუშდნენ?
წინასწარ უღაპავენ ნერწყვს გემრიელი ვახშის მოლოდინში. (გრიგოლს მიუბრუნდება.) თუკი
ახლა საერთოდ შეუძლიათ ლოცვა. მხოლოდ იმას შესთხოვენ ღმერთს, კარგად დაგვიცარიელე
ბუცლები, რათა ხვალ დილით საუწმეზედაც მაგრად ამოვიყოროთ.

ბრიგოლი. იუღიანე...

იულიანო. კარგად დამაკვირდი — ფხიზელი ვარ.

ბრიგოლი. ვიცი ზომიერება არ გაკლია და მაინც მათხავით ცხოვრობ.

იულიანო. რატომაც არა. განა შე და შენ ვიცით, როდის იქუხებს, როდის დაგვეცემა შე-
ნი? მაშ, რატომაც არ უნდა დავტკბეთ ამ მზიანი დღის ბრწყინვალეობით? არ დაგავი-
წყდეს, რომ მთელი ჩემი სიყრმე და სიკაბუკე ოქროთი მოვარაყებულ გალიაში გავატარე,
დამნაშავე მონასხავით გამომწყვდეულმა. მოდა, ჩვეულება, მეტიც, მოთხოვნილებად მექცა იმ-
ის მოლოდინი, თუ როდის დამსჯიან, შემრისხავენ, შემაჩვენებენ. ან ჩემს ახლანდელ მდგო-
მარეობას აღარ იკითხავ?.. იმპერატორის ეს სამარისებური სიჩუმე... ეს საბედისწერო დუმი-
ლი... პერგამოსი მისი ნებართვის გარეშე დავტოვე; იმპერატორს ხმა არ ამოუღია. თვითნე-
ბურად გავმგზავრე ნიკომედიასში; ერთხანს იქ ვცხოვრობდი და ნიკოკლესთან და სხვებ-
თან ვსწავლობდი; იმპერატორმა არც ეს შეიმჩნია; ათენში ჩამოვედი და ლიბანიოსს დავუახ-
ლოვდი, რომელთანაც უოველგვარი ურთიერთობა სასტიკად ამიკრძალა, — იმპერატორი კი
დღემდე დუმს. რა ახსნა მოვუძებნო ამას?

ბრიგოლი. უველაფერს სიუვარულის თვალთ შეხედე, იუღიანე.

იულიანო. ემ, შენ რა იცი? შე მძულს, მეზიზღება ეს გარეგანი ძალა, საშინელი, როცა
მოკმედებს და კიდევ უფრო საშინელი, როცა უქმადაა.

ბრიგოლი. გულზე ხელი დაიდე და ისე მითხარი, ჩემო მეგობარო: მხოლოდ ეს იყო
მიზეზი, რამაც ამ უცნაურ გზაზე დაგაყენა?

იულიანო. რას უწოდებ შენ უცნაურ გზას?

ბრიგოლი. შენზე ამბობენ, ღამლამობით ელევსინის წარმართულ მისტერიებსა სწავლო-
ბსო, მართალია თუ არა ეს?

იულიანო. მოცლილი ხალხის უბედობაა! შენდე, ბევრს ვერაფერს გამოიტან ენიგმებს
დახარბებულ ამ მეოცნებეთა ზმანებებიდან. ასე რომ, მოვეშვათ ამას.

ბრიგოლი. ესე იგი, მაინც მართალია! ემ, იუღიანე, იუღიანე, რა შენი საკადრისია ეს
უგვანო ქცევა?

იულიანო. შე მინდა ვიცხოვრო, გრიგოლ, ხოლო აქ ცხოვრება სიბრძნის ამ სკოლაში უო-
ფნა ცხოვრებად არ მიმაჩნია. ომ, ეს ლიბანიოსი... ვერასოდეს ვერ ვაპატიებ ჩემს თავს, რომ
ოდესღაც ასე გულმხურვალედ მიყვარდა და თავყანს ვცემდი. თავდაპირველად ცბროიანივით
ვცახცახებდი ამ კაცის წინაშე და ღამის ღმერთის დარად ვსახავდი ხელებს ვუკონიდი და
ჩემს დიდ ძმას ვუწოდებდი მას!

ბრიგოლი. დიახ, უველა ქრისტიანი იმ აზრისა იყო, რომ შენ ნამეტანს აქარბებდი.

იულიანო. აქ რომ ჩამოვედი, აღტაცებისაგან აღარ ვიცოდი, რა მექნა, წინასწარ ვგრძნო-
ბდი, რა უღმობელი ბრძოლა უნდა გამართულიყო ჩვენ ორს შორის, საერო და საღმრთო კრე-
მარტებს შორის... მერედა, რა გამოვიდა? ლიბანიოსს სერიოზულად არც არასდროს მოუნ-
დომებია ამ ბრძოლის გამართვა; მეტიც, საერთოდ არა სურს არავითარი ბრძოლა. მას მხო-
ლოდ ერთი რამ აინტერესებს; — პირადი გამორჩენა. პირდაპირ გეტყვი, გრიგოლ, ლიბანიოსი
სულაც არ არის დიდი კაცი.

ბრიგოლი. რა ვიცი, მთელი განათლებული საბერძნეთი კი მის სიდიადეს გაჰყვირის.

იულიანო. და მაინც კვლავ გიმეორებ, დიდი კაცი არ არის-მეთქი. შე მხოლოდ ერთხელ,
ერთადერთხელ ვიგრძენი მისი სიდიადე: იმ ღამეს, კონსტანტინოპოლში. ლიბანიოსს არნახული

უსამართლობა დაატყდა თავს და მისი სული სავსე იყო საღმრთო რისხვით. მაგრამ აქ? რაღასი მოწმე არა ვყოფილვარ! ღიბანიოსი დიდი ხწავლულია, მაგრამ არა დიდი ადამიანი. ხარბია, პატივმოყვარე, შურით გულამოკმული. შენ გგონია, შეურაცხდებოდა იმ დიდებას, რომელიც — რა თქმა უნდა, უპირატესად ჩემი კეთილშობილურ მეგობრების წყალობით შეიძლება წილად მხვდომოდა? მიდი ღიბანიოსთან, ყველა სიქველეს და მათ ნიშნებს დაწვრილებით ჩამოგითვლის; ყველა სათითაოდ აქვს აღწუსებული, როგორც წიგნები უჯვრის წიგნთსაცყავში. მაგრამ ერთ საქველესი მაინც თუ იწვრთნის და იწაფავს თავს? შეესაბამება თუ უარყოფს ცხოვრება მისსავ მოძღვრებას? ღიბანიოსი — სოკრატესა და პლატონის მიმდევარი. მა-მა-მა! განა თვით თავისი განდევნის დღემდე არ ეპირფერებოდა იმპარატორს? განა ასევე არ მეპირფერებოდა მეც კონსტანტინოპოლში ჩვენი შეხვედრისას? შემდეგ კი ასე უგერგილოდ ცდილობდა გაემასხრებინა და ხასაცილო სახით წარმოედგინა იგივე შეხვედრა. ახლა ის წერილს წერილზე უგზავნის გალუსს, ცტარ გალუსს, იმპერატორის მემკვიდრეს და შემდგომ წარმატებებს უხურვებს სპარსელებთან ომში, თუმცა დღემდე ეს წარმატებები საკმაოდ უზადრუკი იყო; დიას, წერილს წერილზე უგზავნის, მიუხედავად იმისა, რომ არც დიდი განსწავლულობით გამოირჩევა და არც მჭევრმეტყველებით. და ამ ღიბანიოსს ბერძნები კვლავ ფილოსოფოსთა მეფედა თვლიან! არ უარვყოფ, რომ ეს ჩემს აღშფოთებას იწვევს. მართალი გითხრა, მაინც მეგონა, რომ ბერძნებს შეეძლოთ უფრო ღირსეულ კაცზე შეეჩერებინათ თავიანთი არჩევანი, ცოტა მეტი ყურადღებით რომ დაჰკვირვებოდნენ სიბრძნისა თუ მჭევრმეტყველების თაყვანისმცემელთა და მხაზურთ, რომლებიც ამ ბოლო დროს...

ბასილი (მარჯვენა მხრიდან შემოდის). წერილები! წერილები კაპადოკიიდან!

ბრიგოლი. ჩემიც?

ბასილი. აი, დედაშენის წერილი.

ბრიგოლი. ჩემი ღვთისმოსავი დედა! (წერილს ხსნის და კითხულობს).

იულიანე (ბასილს). შენი დის წერილია?

ბასილი (რომელსაც ხელში გახსნილი წერილი უჭირავს). დიას, მაკრინესი. გაუგონარსა და ფრიად სამწუხარო ამბებს მაცნობებს.

იულიანე. მაინც?

ბასილი. უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება შენს ძვირფას ძმას. ანტიოქიაში სასტიკი ხელით უჭირავს მმართველობის სადავენო.

იულიანე. დიას, გალუსი მკაცრია... მაკრინე იწერება — სასტიკი ხელითო?

ბასილი (თვალს შეავლებს). ხიხლიანითო — ახე მწერს.

იულიანე. აა) ასეც ვიცოდი! ნეტავი იმპერატორს იმ ხელიდან წასულ ქვრივზე — კონსტანტაზე არ დაექორწინებინა!

ბრიგოლი (კითხულობს). ამაზე დიდი ბოროტება იქნება?

იულიანე. რა მოხდა ძმამ?

ბრიგოლი (ბასილს). მაკრინე არაფერს იწერება, რა ხდება ანტიოქიაში?

ბასილი. გარკვევით — არაფერს. მაინც რა ამბავია, რატომ გაფითრდი?

ბრიგოლი. შენ ხომ იცნობდი კლეონ ალექსანდრიელს? რა კეთილშობილი კაცი იყო...

ბასილი. როგორ არა... რა მოუვიდა?

ბრიგოლი. მოაშთეს, ბასილი!

ბასილი. მოაშთეს?... რას მეუბნები?

ბრიგოლი. მე გეუბნები — მოაშთეს-მეთქი! განუსჯელად და განუკითხავად!

იულიანე. კი მაგრამ, ვინ?

ბრიგოლი. ვინ, ვინ? როგორ გითხრა — ვინ? დედაჩემი მწერს: კლეონის ავბორც სიდედრს სიძის სიყვარული ჩაუვარდა გულში, მაგრამ რაკი ვერ იქნა და საწადელს ვერ ეწია, უკანა კარით შეიპარა სასახლეშიო...

იულიანე. რომელ სასახლეში?

ბრიგოლი. დედაჩემი მხოლოდ ერთი სიტყვითა მწერს, სასახლეშიო.

იულიანე. მერე?

ბრიგოლი. მხოლოდ ის იცოდა, რომ იქ ერთი ფრიად გავლენიანი ქალბატონისათვის უძვირფასესი სამკაული მიურთმევია, რათა სასიკვდილო განაჩენი გამოეტანათ მისი სიძისთვის...

იულიანე. კი მაგრამ, თავისას ხომ ვერ მიაღწია?

ბრიგოლი. არა, მიაღწია, იულიანე.

იულიანე. ო, იესო!

ბასილი. ვაი ჩვენს დღეს და მოხწრებას!.. მერე კლეონი?..

ბრიგოლი. სასიკვდილო განაჩენი ჰონორატუსს გადაუგზავნეს. ამ სუსტი ნებისყოფის კაცმა ვერ შეძლო ურჩობა გაეწია ზემოდან მიღებული ბრძანებისათვის. კლეონი დილეგში ჩაგდეს და მტორე დღეს, დილაუთენია სიკვდილით დასაჯეს, ისე რომ ერთი სიტყვაც არ ამტყვეინეს თავის გასამართლებლადო, — ასე მწერს დედაჩემი.

იულიანე (გაფითრებული, ხმადაბლა). დაწვით ეს საშინელი წერილები! დაწვით, თორემ ყველანი დავიღუპებით.

ბასილი. ასე აშკარა ძალადობა და თანაც ამხელა ქალაქში, ვაი ჩვენი ბრალის სად ვცხოვრობთ, სად?

იულიანე. დიახ, თქვენ უფლება გაქვთ იკითხოთ, სად ვცხოვრობთო! ქრისტიანი — მკვლეელი, ქრისტეს მხევალი — მეძავი, ქრისტიანი...

ბრიგოლი. ტირილი და თავში ცემა ვერას გვიშველის. თქვი, რას აპირებ?

იულიანე. მე?.. ჩემი ფეხი აღარ იქნება ელევსინში, ახლოს აღარ გავეკარები წარმართებს და გულმხურვალე მალს შევწირავ უფალ ღმერთს ჩემსას, რომ ძალაუფლების ხაცურისაგან დამიხსნა.

ბრიგოლი. კეთილი და პატიოსანი... კი მაგრამ, მერე?..

იულიანე. არ მესმის შენი...

ბრიგოლი. მაშ, მომიხმინე... ხომ არ გგონია, რომ კლეონის მკვლელობით დამთავრდა ყველაფერი! ეს გაუგონარი და სამარცხვინო ბოროტმოქმედება შავი ქირივით მოედო მთელ ანტიოქიას. თავი წამოყო ყოველივე ბოროტმა და უკეთურმა და თავისი სოროებიდან გამოცოცდა, ბუნაგებიდან გამოძვრა. დედაჩემი მწერს, თითქოს სიბილწის საზარელმა უფსკრულმა დააღო ხახა ჩვენ წინაშეო. ცოლები ქმრებს ასმენენ, შვილები მამებს უიღიან, სამღვდელონი — თავიანთ სამწყსოს.

იულიანე. არც ამით დამთავრდება საქმე სიბილწე ყველას მოგვედება და ყველას გაგზრწნის, გრიგოლ... სად გავიქცე, სად გადავიქარგო?

ბრიგოლი. შენი ადგილი ხამყაროს კიბაზეა, იულიანე!

იულიანე. რას მოითხოვ ჩემგან?

ბრიგოლი. შენა ხარ ამ სისხლისმსმელი ცეზარის ძმა. აღსდექ და ამხილე, აკი ქრისტიანად ასაღებს თავს. სახეში მიახალე მისი სისხლიანი ხაჭმენი, დასცე, დაამხე, ტალახსა და მტვერში ათრიე, სინიღისის ქენჯნას მიეც საჩიჯგნად!

იულიანე (შეძრწუნებული უკან იხევს). ხომ არ გაგჩუდი? რა განგიზრახავს?

ბრიგოლი. გიყვარს შენი ძმა? გინდა, რომ იხსნა?

იულიანე. მიყვარს. ამქვეყნად მისი ფასი არავინ მყავდა!

ბრიგოლი. გყავდა?

იულიანე. დიახ, სანამ მხოლოდ ჩემი ძმა იყო. ახლა კი... ის ცეზარია! გრიგოლ... ბასილი... ჩემო ძვირფასო ძმებო. მეშინია, ვძრწვი და ვკანკალებ.. ცეზარ გალუსის წინაშე ვკანკალებ, გესმით? როგორ გავბედავ, რომ წინ აღვუდგე, როცა თვით ჩემი არსებობაც კი მუქარად უჩანს?

ბრიგოლი. რისთვის ჩამოხვედი ათენში? აკი მთელ ქვეყანას ბუკ-ნალარით ამცნე უფლისწული იულიანე კონსტანტინოპოლს ტოვებს ცრუ რწმენასთან საბრძოლველად და წარმართული სიბილწისაგან ქრისტიანული კრემარიტების დახაცავადო! მერედა, ასე იცავ ჩვენს რწმენას?

იულიანე. კი მაგრამ, აქ როდი უნდა გაიმართოს ბრძოლა.

ბრიგოლი. დიახ, აქ არა... არც ენა უნდა აღიძრას ენის წინააღმდეგ, არც წიგნი — წიგნის წინააღმდეგ. და ვერც მკვერმეტყველების სკოლაში სიტყვების თამაშით უშველი საქმეს! არა, იულიანე, შენ აღკურვილი უნდა გამოხვიდე ცხოვრების ასპარეზზე საბრძოლველად და თუ სატიროს შეიქნა, თავიც დადო!

იულიანე. მესმის, მესმის!

ბრიგოლი. კი მაგრამ, ღიბანოსივით გესმის! აკი დასცინი: ყველა სიქველეს სათითაოდ ჩამოგითვლის, მათ ნიშანტვისებებს წვრილ-წვრილად ჩამოგიმარცვლავს, მაგრამ მისი სიტყვა სხვაა და საქმე კი სხვაო!.. ის, რაც შენია, ღმერთისაცაა? მაინც რამდენი ცკუთვნის ღმერთს? რამდენი შეიძლება მოითხოვოს იმპერატორმა?

იულიანე. აკი შენ თვითონვე თქვი, ეს გამოზაო?..

ბრიგოლი. კი მაგრამ, ვისი? ღვთისა თუ იმპერატორისა?

იულიანე (სწრაფად). კეთილი, მაშ, ერთად მივდივართ?

ბრიტოლი (თავს არიდებს). მე ჩემი ვიწრო ასპარეზი მაქვს: ახლობლებზე უნდა ვიზრუნო. ამის შეტს ვერც ჩემი ძალა გასწვდება და ვერც უნარი.

იულიანე (მასუნის გაყვმას აპირებს. მაგრამ უცებ მარჯვნივ შებრუნდება, რაღაცას მიაკურადება და წამოიძახებს). ბაკქანალია!

ბასილი. იულიანე!

იულიანე. ბაკქანალია, მეგობრებო, ბაკქანალია!

ბრიტოლი ერთხანს უყურებს, მერც კი ხელმარცხნივ მიდის და სწავლებს უჩინარდება, მარჯვენა მხრიდან კი პოედანზე გამაყრუებელი ყიჟინით შერბიურება მიწაფიების ბრბო; მათ შორის ახლად ჩამოსულლებიც არიან.

ბასილი (იულიანეს უახლოვდება). მომისმინე, იულიანე...

იულიანე. შეხედე, შეხედე, თავიანთი ახალი მეგობრები აბანოში წაუყვანიათ... ზეთით დაუშეღიათ თმა... ხედავ, როგორ იქნევენ და ქვაფენილს უბაგუნებენ ქოხებს?... რას იტყვი, პერიკლე? მე შერყენება შენი მრისხანე ლანდი...

ბასილი. წავიდეთ. წავიდეთ.

იულიანე. შეხედე იმ კაცს, ტიტლიკანა რომ მოათრევენ, აგერ, მოცეკვავე ქალებიც ხედავ?...

ბასილი. ფუჰ! ფუჰ! ნუ უყურებს. დასწყევლოს ღმერთმა!

ამისობაში კიდევ ღამდება. ბრბო პოედანზე, შადრენის ირგვლივ ქუჩდება. მოაქვთ ღვინო და ბილი, მორთულ-მოკაზმული ქალიშვილები ჩირაღდნების შუქზე ცეკვავენ.

იულიანე (ხანმოკლე ღუმილის შემდეგ). მითხარი, ბასილი, რატომ იყო წარმართული ცოდვა ესოდენ მშვენიერი?

ბასილი. სცდები, მეგობარო, მასზე მშვენიერი სიმღერები და თქმულებები შეთხზეს, თვით წარმართული ცოდვა კი არ ყოფილა მშვენიერი.

იულიანე. რას მეუბნები? განა მშვენიერი არ იყო ალკიბიადე, როცა ღვინით გახელბული, კაბუკი ღმერთის მსგავსად, ღამღამობით გრიგალივით დაუვლიდა ათენის ქუჩებს? განა მშვენიერი არ იყო მისი სიშმაგე, როცა თავხედურად მუსრავდა პერმებს? როცა კარზე უბრახუნებდა მოქალაქეებს და უვირილით იწვევდა ქუჩაში მათ ცოლებს და ქალიშვილებს, ფერმიხდილები რომ მიუუუულიყვნენ კუთხეში, მაგრამ გულში მაინც მხოლოდ ერთსა ნატრობდნენ?

ბასილი. ო, გვედრება, მომისმინე!.. აჰ, რას ვიტყვი.

იულიანე. განა მშვენიერი არ იყო ინახად მქდარი სოკრატე? ან პლატონი და სინარულით მოთვრალი დანარჩენი შეინახენიც? ხოლო ამასთანავე ხჩადიოდნენ ისეთ რამესაც, რომ თვით ამ ღორისშვილ ქრისტიანებსაც კი ყალუზე დაუდგებოდათ თმა და პირჭვრისწერას მოაყვებოდნენ, ღმერთო, ბოროტი გვაშორეო. ვაიხსენე ოიდიპოსი, მედეა, ლედა...

ბასილი. უოველივე ეს მხოლოდ პოეზიაა. შენ ერთმანეთში ურევე პოეტურ გამონაგონს და სინამდვილეს.

იულიანე. კი მაგრამ, განა პოეტების მიერ გამოგონილი გმირები, მათი სული და ნება იმავე კანონებს და პარობითობებს არ ემორჩილებიან, რასაც გმორჩილებენ თვით უფლის მიერ ხატად თვისად შექმნილი კაცნი? მაგრამ ჩაბედე ჩვენს საღმრთო წერილს, როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმასაც. განა მშვენიერი იყო ცოდვა სოდომსა და გომორში? განა იაშვე ცაცხლით; არ სჭიდა იმას, რის წინაშეც უკან არ იხევდა სოკრატე?... ო, ამ შმაგი ცხოვრების ფერხულში ჩაბმულს ხშირად მიუიქრია, გეშქარიტება მშვენიერების მტერი ხომ არ არის-მეთქი?

ბასილი. ქვეყანა იქცევა. შენ კი დამდგარხარ და მშვენიერებაზე ოხრავ. ან იქნება დაგავიწყა, რაც ახლახან მოისმინე?

იულიანე (ყურებს თითებით იცობს). ამ საშინელების გაგონებაც არ მინდა! ჩამოვიბერტყოთ ანტიოქიის მტვერი... ერთი ეს მითხარი, კიდევ რახა გწერს მაკრინე? წერილში კიდევ იყო რაღაცა... თუ არა ვცდები, ერთი ისეთი ამბავი ახსენე...

ბასილი. უოვლად უჩვეულო ამბავი.

იულიანე. დიახ, დიახ, მაინც რა?..

ბასილი. ჩემი და მაქსიმე ეფესელზე მწერს...

იულიანე (სწრაფად). მისტიკოსზე?

ბასილი. დიახ, ამ იდუმალებით მოცულ კაცზე. ახლა თურმე კვლავ გამოჩნდა ასპარეზე, ამჯერად — ეფესში და გარშემო ყველაფერი ამტუტა. ან ოინბაზია, ან უკეთური კავშირითაა შეკრული ხოროტ სულთან. თვით ქრისტიანებსაც კი — ღმერთმა იცის როგორ და რატომ — უცნაური ძალით იზიდავს თურმე მისი მისნობა და გრძნეულება.

იულიანო. მერე, მერე?.. გვედრები...

ბასილი. წერილში მეტი არაფერია ნათქვამი. მაკრინე მხოლოდ დახტენს, მაქსიმეს დაბრუნება ღვთის რისხვის ნიშანიაო მისი აზრით, სასტიკი გამოცდა მოგველის ჩვენი ცოდვებისათვის

იულიანო. დიახ, დიახ!.. იცი რას გეტყვობ, ბასილი, შენი და უთუოდ იშვიათი ქალი-

ბასილი. კრწმარითად.

იულიანო. ყოველთვის, როცა მისი წერილების შინაარსს მაცნობ, მე წარმოვიდგენა რად დაც უჩვეულოდ მთლიანი, სავსე და სრული, რასაც დიდი ხანია ვნატრობ. მითხარი, კვლავინდებურად აპირებს ზურგი აქციოს ამ სოფელს და მონაზვნად აღიკვეცოს?

ბასილი. მისი გადაწყვეტილება ურყევია.

იულიანო. მართლა? კი მაგრამ, როგორც ეტყობა, ყოველი სიკეთითაა შემკული... ახალგაზრდა, ლამაზი, მდიდარი მემკვიდრე, ქალის კვალობაზე უჩვეულოდ განათლებული... იცი, ბასილი, ერთი ხული მაქვს, როდისა ვნახავ... რა უნდა უდაბნოში?

ბასილი. ხომ გითხარი, ხაქმრო დაედუპა-მეთქი, მაგრამ მაკრინე მას მომავალ სიცოცხლეში თავის შეუღლებად სახავს, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს მისი ზრახვაც, გულისტქმაც, სწრაფვაც და რომელსაც უმანკოდ უნდა წარუდგეს სულით და ხორციით.

იულიანო. უცნაურია, მაინც რამდენს აზიდავს ჩვენს დროში სიმარტოვე, უდაბნო, უდაბურება. თუ წერილს მისწერ, ნუ დაიზარებ და აცნობე, რომ მე...

ბასილი. უკვე იცი, იულიანო. მაგრამ არ ხჭერა...

იულიანო. რატომ? რას იწერება?

ბასილი. გვედრები... ნუ მათქმევინებ...

იულიანო. თუ გიყვარვარ, ნუ დაშიშალავ მის სიტყვებს.

ბასილი (წერილს უწვდის). რახან არ შეშვები, აი, აქედან წავიკითხე.

იულიანო (კითხულობს). „ყოველთვის, როცა შენს მეგობარზე, იმპერატორის ახალგაზრდა ნათესავზე მწერ, ისეთი სიხარულით მევსება გული...“ ო, ბასილი, იყავ ჩემი თვალი და შენ განაგრძე!

ბასილი (კითხულობს). როცა წავიკითხე, რა მიამიტური თვითრწმენით სავსე ჩამოვიდა ათენში, ჩემ თვალწინ გაცოცხლდა ძველი აღთქმის ერთი ხურათი. დიახ, მე მწამს — ესაა ახალი დავითი, რომელმაც უნდა შემუსროს წარმართობის გოლიათი. დე, სული ღმრთისა გადმოვიდეს მასზე, როგორც ამ ბრძოლაში, ისე მთელ მის სიცოცხლეშიც“.

იულიანო (ხელში სწვდება). საკმარისია!.. ისიც? თქვენ რა შეთქმულებივით ერთსა და იმავეს მოითხოვთ ჩემგან? განა ოდესმე აღგიტყვით, ძალაუფლების ღომებს შევებრძოლები-მეთქი?

ბასილი. კი, მაგრამ, რას ნიშნავს ეს უცნაური მოლოდინი, რატომაა, რომ ყველა მორწმუნე მხოლოდ შენ შემოგცქერის ხასოებით?

იულიანო (ერთი-ორჯერ გაივლ-გამოივლის სვეტებს შორის, შეჩერდება და წერილისკენ გაიწვდის ხელს). მოიტა, ერთიც ჩავხედო (კითხულობს). „დე, სული ღმრთისა გადმოვიდეს მასზე, როგორც ამ ბრძოლაში, ისე მთელ მის სიცოცხლეშიც“. ებ, ბასილი, ნეტა შემეძლოს!.. მაგრამ რა ვქნა, სულ ისეთი განცდა მაქვს, თითქოს დედალოსივით ცასა და დედამიწას შუა ვიყო გამოკიდებული. თავბრუდამხვევი სიმაღლე და უფსკრულის უძირო სიღრმე... რას უნდა მოახწავებდეს ეს ხშები, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან რომ მიხმობენ ქრისტიანობის საბხნელად და გადახარჩენად? სადაა ეს ქრისტიანობა, რომელიც უნდა ვიხსნათ? სად ვეძიოთ, იმპერატორისა თუ ცეზარის სასახლეში? მე მგონი, თვით მათი ხაქმენი ღალადებენ: არა, არა! იქნებ მორჭმულთა და ამაჟვეუნის ძლიერთა შორის? ეს გარყვნილი და გაზულუქებული კარისკაცები, ეს კაცობის შემარცხველნი, ფაშვებზე რომ შემოუწყვიათ კოტიტა ხელები და კოშინით კითხულობენ: „რისგან შეიქმნა ძე ღმრთისა? — არაფრისაგან?“ ან იქნებ იმ სწავლულთა და განათლებულთა შორის, რომლებმაც ჩვენსავით წარმართული წყაროები ან შეიწოვეს და შეისისხლხორცეს სიბრძნე და მშვენიერება? განა მათი უმრავლესობა არიოზის მწვალებლობისკენ არ იხრება, რომელსაც ასე სწყალობს თვით იმპერატორი? ან თუნდაც ამ ჩამოხეულსა და ჩამოძონძილ ბრბოში, რომელიც ასე მძვინვარებს ტაძრების წინააღმდეგ და მუსრს ავლებს და დედაბუდიანა სპობს წარმართებს? და ყოველივე ამას სჩადის ქრისტეს სახელით! ბა-ბა-ბა! შემდეგ კი მკვლელები თავ-პირს ამტვრევენ ერთმანეთს მოკლულთა ქონების გაყოფისას... ბკითხე მაკრინეს, უდაბნოში ხომ არ ვეძიოთ ქრისტიანობა, ცალ ფეხზე დაყუდებულ მესვეტეთა შორის? ან ქალაქებში? იქნებ იმ კონსტანტინოპოლელ მეფუნთოშეთა შორის, რომლებიც ამას წინათ მუშტი-კრივით ცდილობდნენ გადაეწყვიტათ საკითხი იმის შე-

სახეზე, თუ რა არის წმიდა სამება — სამი პირი თუ სამი პირობა? რომელ მათგანს აირჩევდა ქრისტე თავის მოწაფედ, ხელახლა რომ მოვლენოდა ამ ცოდვილ მიწას? დავიწყებულა თანაო აიღე ხელში, ბასილი გაანათე ეს განუკურნებელი უკუნეთი, სად არის ქრისტე?

ბასილი, პახუნი ეძებე იქ, სადაც მას პოულობდნენ სულიერი სიმწიროს უველა ეპოქაში. იულიანე, ნუ დახშავ შენი ცოდნის საუნჯეს! თუ შეგიძლია დააცხრე ჩემი წყურვილი სად უნდა ვეძიო, რომ ვაპოვო?

ბასილი, საღმრთო წერილში. იულიანე, კვლავ იგივე, ერთი და იგივე სასოწარმყვეთი პახუნი: წიგნები... მხოლოდ წიგნების ლიბანიოსთან მივალ და სულ ამას ჩამჩიჩინებ: წიგნები, წიგნების თქვენთან მოვალ და იგივე მესმის: წიგნები, წიგნები, წიგნების პურის ნაცვლად — ქვების არ მინდა წიგნები, მე მინდა ცხოვრება, სულთან სიახლოვე, მასთან შერწყმა! განა სავლეს წიგნებით აეხილა თვალი? განა მის შესახვედრად ზეციით არ იფეთქა ნათელმა? განა არ შეაჩერა ხილვამ, არ ჩამოესმა მგრგვინავი ხმა?

ბასილი, შენ გავიწყდება ის ხილვა და ხმა, რასაც გვაუწყებს აგათონ მაკედონელი იულიანე, ეს იყო იდუმალი ხმა, მისნის ძაბილი, მაგრამ მისი წვდომა ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. ნუთუ მე ვარ ის ღვთიერჩეული? ხმა წინახწარმეტყველებდა სამეფოს შემკვიდრის მოვლინებას. რომელი სამეფოსას? ათასი ეჭვი აღეძვრის კაცს... მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი, — ათენში როდია ლომების ხარო, მაშ სადაა, სად? სავლესავით დამის წუვდიადში მეც ხელის ფათურით, ალაღბედზე მივიკვლევ გზას, თუ ქრისტე რაიმეს მოითხოვს ჩემგან, დაე უფრო ნათლად და გარკვევით მამცნოს! შიგ ღია კრილობაში მატავოს თითი..

ბასილი, მაგრამ საღმრთო წერილში ხომ ნათქვამია...

იულიანე, ვიცი, ვიცი, რაც არის ნათქვამი, მაგრამ უველა ეს წერილი ხორცშესხმული კეშმარტება როდია ჩემთვის. ნუთუ სული არ გეხუთება და გემბანზე მყოფივით გული არ გერევა, ნიავიც რომ არხით იძვრის და მაინც ასე გაზუდმებით ირუვეი ცხოვრებას, საღმრთო წერილს, წარმართულ სიბრძნესა და მშვენიერებას შორის? უნდა მოგვეცეს ახალი გამოცხადება, ან გამოცხადდეს რაღაც ახალი, დიახ! უკვე დროა!.. გამოცხადება! ოჰ, ბასილი, შენ რომ შეგიძლოს ღმერთს შემავედრო და ჩემთვის გამოითხოვო იგი მაშინ მზადა ვარ თუნდაც ჭვარს ვეცვა, ჭვარცმულმა დავლიო სული ო, თავბრუ მესხმის, რა ნეტარებაა ამაზე ფიქრი!.. მართლანს ჩაფიქრებულო დასცქერის და ხმადაბლა ამბობს.) მე კი აი, რა მადგას თავზე, სულ დამავიწყდა. (გვირგვინს განზე მოიხვრის.) მხოლოდ ერთი რამ ვისწავლე ათენში.

ბასილი, რა, იულიანე?

იულიანე, ძველი მშვენიერება უკვე აღარ არის მშვენიერება და აღარც ახალი კეშმარტი.

ხელმარჯვნივ, სვეტებს შორის სწრაფი ნაბიჯით გამოდის ლიბანიოსი

ლიბანიოსი (შორიდანვე). ხომ წამოვგო, ბოლოს მაინც ხომ წამოვგო ანკესს!

იულიანე, ვინ? მე მეგონა, ორივე უკვე ხელში გყავდა.

ლიბანიოსი, ვინ ორივე?

იულიანე, მილონის ვაფიშვილები.

ლიბანიოსი, მოო! თუმცა ისინიც... მაგრამ ის კი მართლა ხელში გყავს, ვეღარსად წავივია, იულიანე!

იულიანე, აა! აღბათ ერთ-ერთი ბრძენი, შენი პეტოქე!

ლიბანიოსი, უოველგვარი სიბრძნის მოსისხლე მტერი.

იულიანე, აღარ იტყვი, ვინ?

ლიბანიოსი, შენ რა, მართლა არ იცი? არაფერი გაგიგია მაქსიმეზე?

იულიანე, მაქსიმეზე? ღვთის გულისათვის...

ლიბანიოსი, აი, სანამდის მივიდა ეს დამთხვეული მეოცნებე... ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, სრულ სიგიჟემდე.

იულიანე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უზენაეს სიბრძნემდე.

ლიბანიოსი, რაც გინდა, ის დაარქვი. მაგრამ ახლა მოკმედეების დროა, ხელიდან არ უნდა გავუშვათ ესოდენ ძვირფასი წამი. შენ, ჩვენო სათაყვანებელო იულიანე, სწორედ შენა ხარ ის კაცი, ვინც ჩვენ გვკირდება. შენ ბრძანდები იმპერატორის ახლო ნათესავი, სიბრძნის უველა კეშმარტი მოუვარე, აქაც და ნიკომედიასიც, შენ ერთს შემოგცქერის სახოებით...

იულიანე, მომიხსინე, ღვთაებრივო ლიბანიოს, გულთმისანი ხომ არ გგონივარ?...

ლიბანიოსი. ჰო, კარგი, გეტყვი: მაქსიმე ენ-ეხაა საზალხოდ გამოაცხადა თავისი მოძღვრების ფარული არსი.

იულიანე. შენ ამას დანაშაულად უთვლი?

ლიბანიოსი. მან განაცხადა, სულელები და აჩრდილები მმორჩილებენო.

იულიანე (მონასხამში სტაცებს ხელს). ლიბანიოსი



ბიბლიოთეკა

ლიბანიოსი. ზომალდზე ყველას მისი გრძნეულება აკერია პირზე, ხოლო (ქრისტიანულად) ჩემი ღირსეული თანამოძმე ეხსევია დაწვრილებით ამიწერს საქმეს.

იულიანე. სულელები და აჩრდილებიო?!

ლიბანიოსი. ამას წინათ ეფესში მრავალრიცხოვანი მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების თანდასწრებით მაქსიმე არ შეუშინდა აკრძალვას და შეკატეს ტაძარში ქალღმერთის ქანდაკების წინაშე, თავისი გრძნეული ხელოვნებით არნაბული სასწაული უჩვენა ხალხს. ეხსევია მწერს, მეც იქ ვიყავი და ყველაფერი ჩემი თვალითა ვნახეო. ტაძარში ისე ბნელოდა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი. მაქსიმემ რაღაც უცნაური შელოცვა წარმოთქვა, მერე კი მინი იმდერა, რომელიც ვერავინ გაიგო და აი, ქალღმერთის ხელში მარმარილოს ჩირაღდანი უცებ აენტო...

ბასილი. სატანის კერძი!

იულიანე (სუნთქვაშეკრული). მერე?

ლიბანიოსი.და რძისფერი შუქის ციაგში მთელმა კრებულმა თავისი თვალით იხილა, როგორ გაცოცხლდა ქალღმერთის სახე და ხალხს გაუღიმა.

იულიანე. მერე, მერე?

ლიბანიოსი. უმრავლესობას თავზარი დაეცა. ყველა კარს მიაწყდა. ბევრი მათგანი შემდეგ ავად გახდა, ლოგინად ჩავარდა და ბოდვა დააწყებინა. ის კი — დაიჭერებ, იულიანე? თითქოს აინუნშიაც არ აგდებს, რა ბედი ეწია კონსტანტინოპოლში მის ორ ძმას, ქედს არ იხრის ბედისწერის წინაშე, თამამად მიაბიჯებს მოღიაულ გზაზე და ყველგან საცთურსა თესავს.

იულიანე. საცთურს? შენ ამ გზას საცთურის გზას უწოდებ? განა მას არ უერთდება სიბრძნის ყველა ვიწრო ბილიცი? მიაღწიო სულის სულთან შერწყმას...

ბასილი. ო, ჩემო ძვირფასო ძმაო, ძევ შეცთომილო...

ლიბანიოსი. შე კი გეტყვი, ეს უარესია, ვიდრე საცთური, რა არის შეკატე? რანი არიან საერთოდ ღმერთები ნათელმოსილი გონებისათვის? მადლობა ღმერთს, იმ ბრმა მომღერლის დროში როდი ვცხოვრობთ! მაქსიმეს ცოტა მეტი განათლება არ აწუენდა, განა პლატონმაც და ამის კვალდაკვალ ბევრმა ჩვენგანმაც ნათელი არ მოპოვინა ამ იდუმალეობას? განა ხალხს არ აცთუნებს ის, ვინც დღეს, ჩვენს დროში, ცდილობს კვლავ იდუმალეობის ბურუსითა თუ მისტიკური ბოდვით დაჩრდილოს და დააბნელოს ესოდენ დიდებული, გონების შუქით გაბრწყინებული და, თამამად შეიძლება ითქვას, წარმოუდგენელი რუდუნებით აგებული ცნებებისა და განმარტებების ნათელი ტაძარი, რომელსაც ჩვენ, სიბრძნისმოყვარენი, ჩვენი ფილოსოფიური სკოლა...

იულიანე (აგზნებით). მშვიდობით, ბასილი! ჩემს გზაზე ცეცხლის აღს მოყვარი თვალი.

ბასილი (ხელს სტაცებს). ფეხხაც ვერ მოიცვლი! არ გაგიშვებ!

იულიანე (თავს ითავისუფლებს). ვინ დაშიჭერს?.. წინ ნუ აღუდგები გარდუფალს!

ლიბანიოსი. აი, სიგიჟე! სად მიხვალ, მეგობარო, ძმაო, მოყვასო?

იულიანე. სადაც ინთებიან ჩირაღდნები და ღიმილს გვაფრქვევენ ქანდაკებები!

ლიბანიოსი. და ეს შენ იულიანე... ჩვენო სიამაუფე, ჩვენო სასოებავ, ჩვენო ჯავარო!.. შენ უნდა ისწრაფოდე სიცრუით დაბანჯულ ეფესში, რომ იქ ოინბაზის სათამაშოდ იქცე? მაშ, იცოდე, როგორც კი ასე დაიმდაბლებ თავს და დაეცემი, სამუდამოდ გამოეთხოვები შენს დიდებას და სწავლულისა და მკვერმეტყველის ღირსეულ სახელს, რომელიც ამ წლების მანძილზე მოიხვეჭე პერგამოსსა და ნიკომედიაში, უპირატესად კი აქ, ათენის უმაღლეს სკოლებში..

იულიანე. ომ, ეს თქვენი სკოლები! აქ დარჩი და წიგნებს მიხედვი ახლა შე შენ მიჩვენე კაცი, რომელსაც ხანთლით ვეძებდი. (სწრაფი ნაბიჯით მიდის მარცხნივ და სვეტებს შორის უჩინარდება..)

ლიბანიოსი. (ვრთხანს მღუმარედ უყურებს). ეს სამეფო გვარის კაბუცი ხაშიშია მეცნიერებისათვის.

ბასილი (თითქოს თავისთვის). იულიანე ცოტა უფრო მეტი რამისთვისაც ხაშიშია.

მისამე მოქმედეა

ეფესი. იულიანეს პალატა სანთლებითაა გაჩახახებული. ხელმარჯვნივ შემოსასვლელი კარია. ცოტა უფრო შორს სიღრმეში, შედარებით მომცრო ფარდებჩამოფარებული კარი. კიდევ ერთი მარცხენა კარი მოსასვენებელ დარბაზში გადის. შუა კედელი თაღს მოგვაგონებს, რომლის მიღმაც პატარა ქანდაკებებით შემკული შიდა ეზო ჩანს.

მსახურები. სუფრას აშლიან და სარეცლებზე ბალიშებს აწყობენ. ვასშიძის დროა. სახლთუბუცესი ევფერიოსი შემოსასვლელ კართან დგას და ბრიგოლ ნაწინაწილსა და ბასილი კისარიელს თავაზიანად ეპატიჟება, შემობრძანდითო.

ევფერიოსი. დიახ, დიახ, დამერწმუნეთ, მართლა ასეა.

ბრიგოლი. შეუძლებელია. ხომ არ დაგვცინი?

ბასილი. ხუმრობ მეგობარო. როგორ შეიძლება, შენი ბატონი გველოდეს? კაციშვილს არ გაუგია ათენიდან ჩვენი წამოხვლა; გზაში არსად შევჩერებულვართ და იხე სწრაფად მოვცურავდით, ღრუბლებსა და წეროების გუნდებს უკენ ვიტოვებდით.

ევფერიოსი. აბა შეხედეთ, ეს სუფრა სტუმრებისთვისაა გაშლილი; თვითონ ხილისა და პურის მეტს არაფერს გეახლებათ.

ბრიგოლი. რაღა გვეთქმის; უველაფერი. რასაც ვხედავთ და ვისმენთ, შენს სიტყვებს ადასტურებს. მწვანე ფოთლებითა და უვავილებით შემკული ფიალები, გაჩახახებული სანთლები, ხილით დაწვინული სინები, ნელსაკმეველთა სურნელება, მუსიკოსები...

ევფერიოსი. დღეს დილაუთენია მიხმო, ძალიან გახარებული ჩანდა, ბოლთას ხცემდა და კმაყოფილებით იფშენებდა ხელებს. „მეფური სუფრა გაშალე. — მითხრა მან, — ამ საღამოს ორ მეგობარს მოველი „ათენიდან“. (მარცხენა კარს შეავლებს თვალს. უცებ დუმდება და მოწიწებით გადგება განზე.)

ბასილი. მოდის?

ევფერიოსი დასტურის ნიშნად ხრის თავს და შემდეგ მსახურებს ანიშნებს გაგვშორდითო; ისინიც მარჯვნივ, წინკარშა გადიან; ევფერიოსი უკან მისდევთ. იმავდროულად მარცხენა კარიდან სწრაფი ნაბიჯით შემოდის იულიანე, ეტყობა, ძალზე გახარებულია, ღელავს.

იულიანე (სტუმრებთან მიდის და გულმხურვალედ ესალმება). აი, ისინიც აი, ისინიც! გმადლობთ, გმადლობთ, რომ თქვენმა ხულმა უკან მოიტოვა თქვენი სხეული!

ბრიგოლი. იულიანე!

ბასილი. ძმავ და მეგობარო!

იულიანე. მე, როგორც მოლოდინით გულგადაღებულ მიქნურს, ერთი სული მქონდა, როდის ჩამოგართმევდით ხელს. ქვემეთრევმა კარისკაცებმა, ზოგ-ზოგიერთის საამებლად, მაიმუნი შემარქვეს... ნეტავი მაიმუნივით მართლა ოთხი ხელი მომცა, რომ ერთად ჩამოგართვათ ოთხივე!

ბრიგოლი. კი მაგრამ, რას ნიშნავს ეს? შენი მსახურები მუსიკოსთა თანხლებით გვხვდებიან კართან, აბანოში წაუვანახს, ზეთით დაწელახსა და თავზე ვარდის გვირგვინების დადგმას გვიპირებენ...

იულიანე. წუხელ ორივენი სიზმარში გნახეთ. მოგეხსენებათ, ახლა სავსე მთვარეა, ხოლო ჩემი სული ამ დროს უჩვეულოდ მგრძნობიარე ხდება. ჩემს მაგიდას ვუჭკეპი წიგნთსაცავში და ვთვლებდი... ბოლოს კი კითხვით, წერით და ფიქრით დაღლილ-დაქანცულს ჩამეძინა. უცებ მთელი სახლი, ჩემო მეგობრებო, თითქოს ქარიშხლის შემობერვამ შეაზანზარა! ფარდები აფრიალდა და ჩემ თვალწინ გადაიშალა ზღვის უსასრულო სივრცე. ანაზღეულად მომაჯადოებელი სიმღერა შემომესმა... ორი უცხო ფრინველი გაღობდა... ორივეს ქალის სახე ჰქონდა. გვერდიგვერდ მოისწრაფოდნენ ნაპირისაკენ. მერე ნელ-ნელა დაეშვნენ დაბლა; ბუმბული მთლიანად დახცვივდათ, თანდათან ღრუბლის ფაფუკ ქულასავით გაქრა და რძისფრად მოციანვე ნათელში თქვენი ძვირფასი სახეები დამიდგა თვალწინ.

ბრიგოლი. დარწმუნებული ხარ, რომ უველაფერი მართლა ასე მოხდა?

იულიანე. მითხარით, ჩემზე ფიქრობდით? წუხელის მახსენებდით?

ბასილი. დიახ... გემბანზე...

იულიანე. მაინც რა დროს?

ბრიგოლი. შენ როდისღა ნახე შენი სიზმარი?

იულიანე. შუალამე ასე ერთი საათის გადასული იქნებოდა.

ბრიგოლი. (ბასილს გადაბედავს). სასწაულია და ეს არის!

იულიანე (ხელებს იფშენებს და აქეთ-იქით დადის). ხედავთ! ძა-ძა-ძა! ხედავთ?



ბასილი (თვალს არ აშორებს) ო, ესე იგი, მართალია.

იულიანე, რა? მითხარი, რაა მართალი?

ბასილი, რასაც შენს ღამეულ გრძნეულებაზე ამბობენ.

იულიანე, ემ, რას არ იტყვის ხალხის ენა! თუმცა რას ამბობენ ჩემზე? ქოს ათას რამესა მწამებენ. თუ ზოგზოგიერთს ვერწმუნებით, მთელ იმპერიაში იშვილათადა თუ ლაპარაკობენ ვინმეზე იმდენს, რამდენსაც ჩემზე.

ბრიგოლი, დღესდღეობით მართლაც ასეა.

იულიანე, კი მაგრამ, ლიბანოსი რას ამბობს ამაზე? ვერასოდეს ვერ იტანდა, როცა ხალხს სხვისი სახელი ეკერა პირზე და არა მისი. ან, საერთოდ, რას ამბობენ ჩვენი დაუვიწყარი ათენელი მეგობრები? ალბათ იციან, რომ შერიხბული ვარ, აღარც იმპერატორი მწყალობს და აღარც მისი სასახლის კარი.

ბრიგოლი, მართლა? დროდადრო კი ვიგებ სასახლის ამბებს, მაგრამ ჩემს ძმას კესარიოსს ამის თაობაზე არაფერი მოუწერია.

იულიანე, მაშ, რითი უნდა ავხანა, ჩემო ძვირფასო გრიგოლ, რომ უველას თავის მოვალეობად მიაჩნია. თვალუური ადევნოს ჩემს თვითრეულ ნაბიჯს? აგერ, ახლახან ცეზარმა გალუსმა თავისი სულიერი მოძღვარი აეციუსი გამოგზავნა, რათა გაეგო, მტკიცედ ვადგავარ თუ არა ქრესტიანობის რწმენას.

ბასილი, მერე?

იულიანე, უნდა მოგახსენოთ, რომ უშიშვლოდ არასოდეს არ ვაკლდები ცისკრის წირვას. იგეც არ იყოს, დიდ პატივს ვცემ წმინდა მოწამეთ: მართლაცდა რა ნებისყოფა უნდა მქონდეს კაცს, რომ რწმენის გულისთვის დაითმინოს ამდენი ტანჯვა და უდრტვინველად შეეცდოს თვით სიკვდილსაც. საერთოდ, მე მგონია, აეციუსი კმაყოფილი დარჩა ჩემით.

ბასილი (ხელს წაავლებს), იულიანე... თუ ჩვენი მეგობრობა გწამს, გულახდილად გვითხარი შენი ამბავი.

იულიანე, მე უბედნიერესი კაცი ვარ მოკვდავთა შორის, ჩემო მეგობრებო, ხოლო მაქსიმე... ზედმიწევნით ამართლებს თავის სახელს. დიახ, მაქსიმეზე დიდი კაცი ჯერ არ დაბადებულა ამქვეყნად.

ბრიგოლი (წასვლას აპირებს), ჩვენ მხოლოდ შენი ნახვა გვინდოდა, იულიანე.

იულიანე, კი მაგრამ, სად გაგონილა, რომ ამის გამო ძმა მოინდუროს ძმამ? თქვენ შიში გიპყრობთ და უკან იხევთ უოველივე იღუმალის წინაშე. საკვირველია, ღმერთმანის თუმცა მეც უკან მოუხედავად გავრბოდი ხოლმე, სანამ თვალი არ ამეხილა და უშუალოდ ხულით არ ჩავწვდი სიცოცხლის დვრიტას.

ბასილი, რას უწოდებ შენ სიცოცხლის დვრიტას?

იულიანე, იგ მაქსიმეს ბკითხე, მის სულში მწიფდება ახალი გამოცხადება.

ბასილი, და შენ ეზიარე მას?

იულიანე, თითქმის ბევრი აღარაფერი მიკლია... მაქსიმემ აღმიტქვა, რომ სწორედ ამალამ...

ბრიგოლი, მაქსიმე მეოცნებება, ანდა უღვთოდ გატყუებს შენი..

იულიანე, კი მაგრამ, როგორ აძლევ შენს თავს იმის უფლებას, რომ მიხტერიებზე ასე ხელადებით იმსჯელო?.. მათ უარულ არსს შენი განხწავლულობით ვერ მოიხელთებ, ჩემო გრიგოლ, საშინელია დიდების სახუფრველისაკენ მიმავალი გზა. ელევსინელ მეოცნებეებს სწორი გეზი მქონდათ აღებული და იქნებ კიდევაც დახდგომოდნენ ქრესტიანობის კვალს. მაქსიმე კი უკვე დაადგა და მისი შემწეობით — მეც... წყვედიადით მოცულ ხეცს მივუვებოდი, ხელმარტხნივ კონკუსი და კაობი იდგა. ასე მეგონა, რომ ესაა მდინარე, რომელსაც დინება დაავიწყდა. დაშის მყუდროების დროდადრო საზარელი ყვირილი, ერთმანეთში უთავბოლოდ აღუფხული ხმების გნიასი არღვევდა, აქა-იქ წამით იღვრებდა ცისფერი ალი, თითქოს მხოლოდ იმიტომ, რომ წყვედიადისათვის საზარელ ურჩხულთა ლანდები გამოეტაცა... მე კი მაინც წინ მივიწევდი, ძრწოლით სავსე, მკვდარივით გაფითრებული... მაგრამ ვიმძლავრე, გავუძელი... მერე კი... მერე, ჩემო ძვირფასო, ამ ჩემი სულად ქცეული ხორციით თამამად შევვლე სამოთხის ბტენი; ანგელოსები შემომეგებნენ ძღვევის მიმნით და მე ვიხილე საწყაროული შუა ცეცხლის უოველისწამლეკი ნათელი...

ბრიგოლი, წყუულიმც იყოს მაქსიმე! ღმერთმა შეაჩვენოს უღმერთო, ოინბაზი, ხატანის კერძი!

იულიანე, ნუ სცოდავ, ნუ სცოდავ! მაქსიმე აღმერთებს თავის წინამორბედთ თაყვანს სცემს თავის ორსავე დიდ ძმას; ხინელ სჯულმდებელსაც და ნაზარეველ წინახწარმხედსაც...

თუ იცი, როგორ გადმოვიდა ჩემზე შემეცნებისა და ცნობადის სული?.. ერთ ღამეს, ლოცვითა და მარხვით დაღლილ-დაქანცულმა, ანაზღეულად ვიგრძენი, როგორ ამიტაცეს და თითქოს სივრცესა და დროს გამარიდეს. გარშემო ყველაფერი მზის სხივებს წაეღვება. და მე მარტო ვიდექი ხომალდზე! რომელსაც დაღლილი ფრთებივით უმწეოდ დაეშვა აფრები და ნელა ირწყოდა ბერძნული ზღვის სარკესავით მოლაპლაპე გლუვ ტალღებზე. წყლიდან აქა-იქ, შორს გაწოლილი ნისლის მსუბუქი ფთილებივით ამოჩრდილდნენ კუნძულები, და მხოლოდ თითქოს თვლემდა ზღვის მოციხფრო-მომწვანო ზედაპირზე.

ბრიგოლი

მერე ეს ზედაპირი სულ უფრო და უფრო გამჭვირვალე გახდა, უფრო მსუბუქი, უფრო მკერძოვანი. ბოლოს კი სულაც გაქრა, სივრცეში გაითქვიფა, გაუჩინარდა და ჩემი ხომალდი დარჩა ასე, საზარელი უფსკრულის თავზე თითქოს მკერში გამოკიდული. აღარსად ჩანდა მზის ერთი სხივიც, აღარც ხიმწვანის ნატამალი... უოველმხრივ გადაჭიმულიყო მხოლოდ ზღვის უსიცოცხლო, შავად მოთიშთიშე. გულშემწარავდ შიშველი ფსკერი. სამაგიეროდ ზევით, უსასრულოდ გაშლილ გუმბათოვან სივრცეში, სადაც მე უწინ მხოლოდ სიცარიელე მეგულებოდა, ძალუმაღ ბობოქრობდა სიცოცხლე, ახალ-ახალ, უჩვეულო და უხილავ ფორმებს იღებდა და დუმილი ბადებდა ღვთაებრივ ბგერებს. სწორედ მაშინ ავივსე შემეცნების დიადი, ცხოველ-მყოფელი და მძლეთამძლე სულით.

ბრიგოლი. რომელ შემეცნებას გულისხმობ?

იულიანე. არსებული არ არის და არარსებული არის.

ბასილი. ო, შენ მალე მთლიანად გაიხლართები და დაიღუპები კიდევ ამ ბაღეში, შუქჩრდილის ამ საბედისწერო წნულში.

იულიანე. მე?.. განა სასწაული კვლავაც არ ხდება? განა წინასწარმეტყველება და ვარსკვლავიერ სივრცეში უჩვეულო მოვლენათა არნახული სიმრავლე კვლავინდებურად არ იუწყება, რომ განგების ნება რაღაც დიადის აღსრულებად მიხმობს? თუმცა რა არის ეს დიადი, ჯერ კიდევ არ გაცხადებულა!

ბრიგოლი. ნუ ენდობი ამ იღუმალ ნიშნებს. შენ არ შეგიძლია იცოდე, ვის მიერია ისინი.

იულიანე. რას ნუ ვენდობი — სიკეთის მაუწყებელ ნიშნებს? ნუ ვენდობი იმას, რაც თითქმის უკვე ახდა? (მომიხსლოვდითო, ანიშნებს სტუმრებს და ხმადაბლა ეუბნება მათ.) შემიძლია გაცნობოთ, მეგობრებო, რომ ახლოვდება დიადი გარდატეხის წამი. მალე მე და ცეზარი გალუსი ძალაუფლებას გავიყოფთ და მსოფლიო იმპერიის მბრძანებლებად მოგვევლინებით. გალუსი — როგორც იმპერატორი, მე კი... აბა რა გითხრათ? რა სახელი უნდა უწოდო იმას რაც ჯერ კიდევ არ დაბადებულა? მაშ, ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე, სანამ არ მოიწევა ფაში. მაგრამ, აი, ცეზარზე კი, ჩემი აზრით, შეგვიძლია ვილაპარაკოთ. ალბათ თქვენამდევ მოაღწია ხმამ იმ ხილვის შესახებ, რის გამოც დიღეგში ჩააგდეს და სასტიკად აწამეს სიღონელი მოქალაქე აპოლინარიოსი.

ბასილი. არა, არა, არაფერი არ გაგვიგია.

იულიანე. როგორც თვით აპოლინარიოსს უამბნია ნაცნობებისთვის, შუალამისას ვილაპამ დაუკაკუნა თურმე კარზე. ამდგარა, გარეთ გამოსულა და ერთი უცნაური არსება დაუნახავს — კარვად ვერ გაურჩევია, კაცი იყო თუ ქალი — რომელსაც უთქვამს, სამეფო პორფირი გაამწადეო, სწორედ ისეთი, ტახტზე ახლად ასული მბრძანებლები რომ ატარებენ. აპოლინარიოსი შეუყოყმანებულა, ემანდ ხიფათს არ გადავეყაროო, და მოჩვენებაც გამქრალა. მაგრამ მკერში ერთხელ კიდევ გაისმა თურმე: „წადი, წადი, აპოლინარიოს, და სასწრაფოდ გაამწადე სამეფო პორფირი!“

ბრიგოლი. მერედა, სწორედ ეს სასიკეთო ნიშანი ავიხდა, როგორც წელან თქვი?

იულიანე (ნელა იხრება მისკენ). აპოლინარიოსის ხილვიდან ერთი კვირაც არ გასულიყო, რომ ბეთანიაში გარდაიცვალა ცეზარის მეუღლე კონსტანტინა უოველთვის გალუსის ბოროტი სული იყო. ამიტომაც უნდა მომკვდარიყო, განგების ნებით წინასწარ დადგენილი გადატრიალების აღსასრულებლად. კონსტანტინას სიკვდილიდან სამი კვირის შემდეგ ანტიოქიაში ჩავიდნენ იმპერატორის მიერ წარგზავნილი ელჩები ტრიბუნ სკუდილას მეთაურობით, რათა იმპერატორის სახელით პატივი მიეგოთ გალუსისათვის და რომში მიეწვიათ იგი. ცეზარის მგზავრობას ახლა ტრიუმფალურ მსვლელობას ადარებენ. კონსტანტინოპოლის შიპოდრომზე გალუსმა მორბენალთა ასპარეზობა გამართა და ხალხის აღტაცებულ უთინში ამაყად წამოიმართა, რათა იმპერატორის ჩვეულებისამებრ — თუმცა ჯერ კიდევ ცეზარად იწოდება — გვირგვინით შეემკო ასპარეზობაში გამარჯვებული კორაქსი. აი, რა სასწაულებრივად განადიდებს უფალი ღმერთი ხელახლა ჩვენს გვარს, რომელიც კინალამ გადაეგო ცოდვათა სიმძიმისა და შინააშლილობების შედეგად.

ბრიგოლი. საოცარია. ათენში სულ სხვანაირი ხმები დადიოდა.

იულიანე. ჩემი ცნობები უტყუარია. სასწრაფოდ უნდა დავუკვეთოთ სამეფო პორფირი, გრიგოლი! მაშ რას მიბრძანებ, კვლავაც ეკვთის თვალთ უყურო იმას, რაც მაქსიმემ მიწინააღმდეგეობა წარმოუდგინა. როგორც უახლოესი მომავალი? ამაღამ უკანასკნელი ფარდა უნდა ავიხსნას საიდუმლოს, სწორედ აქ, ამ ადგილას გამოცხადდება დაფარული. დარჩით ჩემთან, ძვირფასო მეგობრებო, ნუ მიმატოვებთ: ერთად გავატაროთ ეს მრავლისაღმთქმელი, შიშველი მტანი ჯველი მოლოდინით აღსავსე ღამე. მოვა მაქსიმე და თქვენ მოწმენი გახდებით.

ბასილი. ღმერთმა დაგვიფაროს!

ბრიგოლი. შეუძლებელია. შინ, კაპადოკიაში, მიგვეჩქარება!

იულიანე. კი მაგრამ, ასე ნაუცბათევად რამ აგაკრევინათ გუდა-ნაბადი და აქ გადმოგაბდოთ საბერძნეთიდან?

ბასილი. დედაჩემი დაქვრივდა, იულიანე!

ბრიგოლი. მამაჩემიც დაუძლურდა, დაჩაჩანაკდა; არაფრის თავი აღარა აქვს. მხარში ამომდგომი სჭირდება. x

იულიანე. გათენებამდე მაინც დარჩით, კარგად მოგასვენებთ.

ბრიგოლი. ვერ დავრჩებით. ჩვენი თანამგზავრები დილაუთენია აპირებენ წასვლას.

იულიანე. დილაუთენია? მაგრამ გარწმუნებთ, შეიძლებოდა შუალამემდე გათენებულიყო თქვენთვის ახალი დილა.

ბასილი. იულიანე, ნუ გამაყოლებ შენს დარდს; მითხარი, ვთქვათ და, მაქსიმემ ყველა საიდუმლო ავიხსნა, მაშინ...

იულიანე. თუ გახსოვს, რას წერს სტრაბონი იმ მდინარეზე, ლიბიის მთებში რომ იღებს დახაბამს? გზადაგზა ურიცხვ შენაკადს იერთებს, იზრდება, ივსება, წყალუბვი ხდება და ბოლოს, როცა ვეებერთელა მდინარედ იქცევა, უღაბნოს ქვიშაში იკარგება და, ამრიგად თვითონვე იმარხავს თავს მიწის წიაღში, რომელმაც შვა და თავისი ბარაქიანი ძუძუ აწოვა მას.

ბასილი. სიკვდილი ხომ არ გენატრება, იულიანე?

იულიანე. ის, რასაც თქვენ მონური მორჩილებით ცდილობთ მიაღწიოთ სიკვდილის შემდეგ, სხვა არა არის რა, თუ არა დიადი საიდუმლოს საბოლოო მიზანი, რომელიც ყველა ჩვენი ნათელმოსილი ძმის მიერ მიწიერ სიცოცხლეშივე უნდა იქნეს მიღწეული... მაქსიმე თავისი მოწაფეებითურთ მიელტვის აღორძინებას... დაკარგული მსგავსების აღდგენას ღმერთსა და კაცს შორის. რა გეუბნებთ, ძმებო? რა ვაცბუნებთ, რა ვადრწუნებთ, თითქოს რაღაც წარმოუდგენლად ბუნდოვანისა და გაურკვეველის წინაშე იდგეთ? მე ვიცი ის, რაც ვიცი. კაცთა მოდგმის ერთი მსწრაფლწარმავალი თაობიდან მეორეში გადადის ერთი და იგივე უკვდავი სული, რომლითაც უოველთვის ხელახლა აღდგება და აღორძინდება პირველი კაცი — წმინდა ადამი. ეს სული მძლავრობდა სჭულმდებელ მოსეში; ამ ხულმა დაიმორჩილა მთელი სამყარო, როცა განსხეულდა ალექსანდრე მაკედონელში; მანვე თითქმის სრულქმნილების ზღვარს მიაღწია იესო ნაზარეტელში. მაგრამ იცი რა, ბასილი (ხელში ხელს ჩასჭიდებს). თვითეულ მათგანს აკლდა ის, რაც აღმეთქვა მე. — წმინდა, უბიწო სასძლო!

ბასილი (ხელს გამოსტაცებს). იულიანე!

ბრიგოლი. ღვთისმგმობო, აი, სადამდის მიგიყვანა შენმა ქედმაღლობამ.

ბასილი. გრიგოლ, ხომ ხედავ, ავადაა, ჭკუაზე შესცდა!

იულიანე. რატომ მიუუბრუნებთ ეგეთი ზიზღნარევი ეკვით? ან იქნებ ჩემი გაღიული და გაძვალტყავებული სხეული ჩემსავ წინააღმდეგ მტუხველებს? მა-მა-მა! მე გეუბნებით, რომ ეს ტლანქი და უხეში ხორციელი მოდგმა უნდა გადაეგოს. მომავალი მოდგმა უფრო სულის მიერ ჩაისახება, ვიდრე ხორცის მიერ... პირველი კაცი ადამი აპოლონის ქანდაკებებით მარმონიული იყო. შემდეგ კი ეს მარმონია დაკარგულ იქნა. განა მოსე ენაბრგვნილი არ იყო? განა სხვებს არ ეჭირათ მისი დაუძლურებული ხელები, რათა ისინი უფლის მიმართ ვედრებით მადლა აპურობილნი დარჩენილიყვნენ? განა ალექსანდრე მაკედონელს მაგარი სასმელები და სხვა მისთანანი არ სჭირდებოდა? ანდა იესო ნაზარეტელი განა უძლური არ იყო ხორციით? აკი ქარის მძვინვარებისას ნავში ჩასთვლიმა და ჩაეძინა, მაშინ როდესაც სხვები ფხიზლობდნენ? აკი წელში გასწყვიტა ჯვრის სიმძიმემ, ჯვრისა, რომელიც სვიმონ კვირინელმა ბუმბულივით ასწია და ციმციმ წაიღო? და არც ის ორი ავაზაკი წაუქცევია თავიანთი ჯვრების სიმძიმეს... თქვენ მორწმუნეებად მოგაქვთ თავი, მაგრამ ისე ნაკლებად გწამთ სასწაულებრივის გამოცხადება! ცოტაც, ცოტაც კიდევ მოითმინეთ და დაინახავთ... სულ მალე ვიპოვი სასძლოს... და ჩვენ ხედიხდით ჩაკიდებულნი გავწევთ აღმოსავლეთისაკენ, სადაც იბადება პელიოსი... სი-

მარტოვსკენ გავწევთ. ეფფრატის ნაპირებზე მოვძებნით და ვიპოვით კიდევ წალკობს, ხა-
დაც დავიშალებით, როგორც იმალემა ღვთაება... და იქ, რ, ნეტარებაც... სწორედ იქ, ჩვენ-
გან მიიღებს დასაბამს და მთელ დედამიწას მოეფინება ახალი მოდგმა. მშვენიერებითა და
პარმონიით მოხილი მოდგმა. დიახ, მე გეუბნებით თქვენ, ხალმრთო წერილს უფროსკრილო
მონებო, სწორედ იქ დაეფუძნება სულის სამეფო!

ბასილი. ვაი ჩემს დღეს და მოსწრებას! ეს რა შესშის რა შეუურება? ნუთუ ის იულიანე
ხარ, სამი წლის წინათ კონსტანტინოპოლიდან რომ წამოხვედი?

იულიანე. მაშინ მე ისეთივე ბრმა ვიყავი, როგორც თქვენა ხართ ახლა! მხოლოდ ერთი,
ერთადერთი გზა ვიცოდი, რომელიც მთავრდებოდა სწავლით.

ბრიგოლი. კი მაგრამ, ის თუ იცი, სად მთავრდება ეგ შენი გზა?

იულიანე. იქ, სადაც გზა და მიზანი — ერთია. უკანასკნელად გვედრებით, ძვირფასო
ძმებო, დარჩით ჩემთან. წუხანდელი ჩვენება... და ვინ მოსთვლით, კიდევ რამდენი რამ გვი-
მოწმებს იდუმალ კავშირს ჩვენ შორის. რომ იცოდეთ, რამდენი რამ მაქვს შენთვის სათქმელი,
ჩემო ბასილი! შენ ხომ ძველი გვარის თავკაცი ხარ და, ვინ იცის, იქნებ სწორედ შენი და შე-
ნი სახლეულის წყალობით უნდა აღსრულდეს ის სასწაული, მე რომ აღმეთქვა?

ბასილი. ღმერთმა ნუ ქნას! სანამ პირში სული მიდგას, არავის მივცემ იმის ნებას, რომ
შენს სიშლევგეში, შენს ბორცნულ ბოდვაში ჩაითრიო.

იულიანე. ემ, რა აზრი აქვს შენს ნებართვას? მე ვხედავ ხელს, რომელიც რაღაც საი-
დუმლოს წერს კედელზე და მალე ამ საიდუმლოსაც ამოვიკითხავ.

ბრიგოლი. წავიდეთ, ბასილი!

იულიანე (ხელებს იწვედის მათკენ). ჩემო მეგობრებო, ჩემო ძვირფასო ძმებო!

ბრიგოლი. დღეის იქით, ჩვენ შორის უფსკრულია. (მიდის და ბასილიც თან მიჰყავს,
ორივენი მარჯვნივ გადიან.)

იულიანე (ერთხანს უხმოდ უყურებს მიმავალს). არ გინდათ და ვინ გიქერთ? წადით! რა
იცით თქვენ, ორმა ჭკუის კოლოფმა? რა გამოიტანეთ სიბრძნის ქალაქიდან? შენ, ჩემო უდრე-
კო და ქედუბრელო გრიგოლ... და შენც, ჩემო ბასილი, ქალიშვილს რომ უფრო ჰგავხარ,
ვიდრე მამაკაცს... თქვენ მხოლოდ ორი, ორადორი ქუჩა იცით ათენში: ერთი ხკოლის გზა,
მეორე — ეკლესიისა. მაგრამ შესამე გზა, ელევსინის გზა კი, სხვებზე რომ აღარაფერი
ვთქვათ, სრულიად უცნობია თქვენთვის... ა!..

მარჯვნივ კარზე ჩამოფარებული ფარდა გადაიწევა და აღმოსავლურად გამოწყობილ ორ
მსახურს დაბაზში შემოაქვს რაღაც მაღალი, გულმოდგინედ შეფუთვნილი საგანი, რომელ-
საც კუთხეში, მაგიდის უკან დგამენ. ცოტახნის შემდეგ იმავე კარიდან შემოდის მისტიკოსი
მაქსიმე, გამხდარი, საშუალო ტანის კაცი; შეგვგრემანი სახე და გოროზი გამოხედვა აქვს;
თმა-წვერში ხშირი კალარა გამორევია. მხოლოდ დაფანჩულ წარბებსა და სქელ უღვაშებში
არ ურევია არც ერთი თეთრი, გრძელი, შავი მოსასხამი მოუსხამს და თავზე წვეტიანი ქუდი
ახურავს, თეთრი კვერთხი უჭირავს ხელში. იულიანესკენ არც გაიხედავს, იაე მიდის შეფუთ-
ვნილ საგანთან, მის წინ ჩერდება, მსახურებს ანიშნებს, გაგვეცალეთო, და ისინიც უხმოდ გა-
დიან.

იულიანე (ჩმადობლა). როგორც იქნა!

მაქსიმე საბურავს აცლის მსახურების შემოტანილ საგანს; გამოჩნდება მაღალ სამფეხზე
დადგმული ბრინჯაოს კანდელი; შემდეგ კი ვერცხლის პატარა ქურჭელს იღებს, საიდანაც
ზეთს ასხამს კანდელში, რომელიც დაუყოვნებლივ ინთება ნათელი, მოწითალო ალით.

(დაძაბული მოლოდინით.) უკვე დროა?

მაქსიმე (იულიანეს არ უყურებს). წმინდა ხარ თუ არა სულით და ხორციით?

იულიანე; ვიმარხულე და ზეთი ვიცხე.

მაქსიმე. მაშ, შეიძლება დავიწყოთ ღამის ზეიმი. (ნიშანს აძლევს).

შიდა ეზოში გამოჩნდებიან მონაცემპვავე ძალები და მუსიკოსები. მთელი შემდგომი სცე-
ნა მუსიკისა და ცეკვის თანხლებით მიმდინარეობს.

იულიანე. მაქსიმე... რა არის ეს?

მაქსიმე. ვარდების გვირგვინით შეიმკე შუბლი! ხვი შუშხუნა ღვინო და მშვენიერ ხეუ-
ლთა თამაშის კვრეტით დატკბი!

იულიანე. და შენ გინდა ვნებათა ამ მორევში...

მაქსიმე. ყველაფერი შენზე ჰკიდია. ცოდვა მხოლოდ ისაა, რასაც შენი მშერა აღიქვამს
ცოდვად.

იულიანო. ვარდების გვირგვინი შუშხუნა ღვინო (მაგიდასთან მდგარ ინახზე გაიშობება, სავსე თასს დასცლის, მერე გვერდზე მოისვრის და წამოიძახებს.) რა იყო ღვინოში? მატსნიშვი. პროშეთეს ცეცხლის ნაპერწკალი (მაგიდის მეორე მხარეს მდგარ ინახზე წამოყვება.)

იულიანო. ჩემმა გრძნობებმა თითქოს ადგილი გაუცვალეს ერთმეორეს: შენ მესმის სინათლე და ვხედავ ბგერებს.

მატსნიშვი. ღვინო ვაწის ხულია. განთავისუფლებული მოხალისე ტყვე. ლოგოსი კანში მოციკვავი ძაღვების გუნდი.

ასწი და გადააქარ თასი,
სავსე ბახუსის სისხლით
გახცემდე, — ვერ დახდვან ფასი,
შიიწონიდე — მისხლით!

იულიანო (სევამს). დიახ. დიახ, თრობა ხილაღეა, სიუხვე, თავისუფლება, თუ შეგიძლია განმიმარტო ეს ნეტარება?

მატსნიშვი. თრობა — ესაა შენი ხულის შერწყმა ბუნების ხულთან.

იულიანო. სულზე უტკბესი, მაცთური, გამოგნებელი გამოცანა!.. რა მოხდა? რატომ გაიცინე?

მატსნიშვი. შენ?
იულიანო. მხარმარცხნივ ვილაცი ჩურჩული მესმის. ან იქნებ ეს ბალიშის აბრეშუმის-პირი შრიალებს? (გაფითრებული წამოსახტომად წამოიწევს.) მაქსიმე, ჩვენ მარტო არა ვართ?

მატსნიშვი. (ხვამალლა). ხუთნი ვუსხედვართ სუფრას.

იულიანო. აა! სულზეთან ერთად ვნადიმობთ?

მატსნიშვი. აჩრდილებთან ერთად.

იულიანო. შითხარი, ვინ არიან ჩემი სტუმრები?

მატსნიშვი. შოთმინე, მაგის დროც მოვა!.. გეხმის?

იულიანო. რა არის ეს?.. თითქოს გრიგალი შემოიჭრა და შლეგივით შეაზანზარა სახლი...

მატსნიშვი (ყვირილით). იულიანე! იულიანე! იულიანე!

იულიანო. რა იყო? შითხარი, რა ხდება აქ?

მატსნიშვი. დროა რაღაც უნდა გახარო!

იულიანო (ინახიდან წამოიჭრება და კედელს მიაწყდება). ა!.. მაგიდაზე მდგარი სანთლები ძლივსლა ბეუტავენ, ბრინჯაოს კანდელი კი მოციხფრო ალით აბრიალდება!

მატსნიშვი. ალს, ალს უუურე!

იულიანო. ამახ?

მატსნიშვი. დიახ! დიახ!

მოციკვავი ძაღვების გუნდი (ეზოდან ყრულ მოისმის მათი სიმღერა).
კვარცივით უნდა იწვოდეს
სიკახუკეც და სიურშეც,
სად გვიხმობს, ნეტა ვიცოდე,
ვნების უძირო სხდრშე!

იულიანო (თვალს ვერ აშორებს ცისფერ ალს). მაქსიმე! მაქსიმე!

მატსნიშვი (ჩუმად). ხედავ?

იულიანო. დიახ!

მატსნიშვი. მაინც რას ხედავ?

იულიანო. სხივოსან სახეს სინათლის წრეში.

მატსნიშვი. კაცია თუ ქალი?

იულიანო. არ ვიცი.

მატსნიშვი. დაეღაპარაკე.

იულიანო. ვერ ვხედავ.

მატსნიშვი. ნუ გეშინია!


იულიანო (უახლოვდება). რისთვის მოვედი ამქვეყნად?

ხმა (სანთლის წრიდან). ხულის სამსახურად.

მატსნიშვი. გასუხობს?

იულიანო. დიახ.

მატსნიშვი. სხვაც ჰკითხე.





ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

იულიანო, რა მიწერია ბედად?
 ხმა, სამეფოს დაფუძნება.
 იულიანო, რომელი სამეფოსი?
 ხმა, სამეფოსი.
 იულიანო, რა გზით?
 ხმა, თავისუფლების გზით.
 იულიანო, უფრო ნათლად, თუ შეიძლება! რა არის ეს თავისუფლება?
 ხმა, აუცილებლობის გზა.
 იულიანო, რა ძალით?
 ხმა, ნებისყოფის ძალით.
 იულიანო, რა შემოქმედია ვისურვო?
 ხმა, რაც უნდა გასურდეს.
 იულიანო, ფერი ეცვლება... ქრება... უჩინარდება! (აბლოს მიღის). მითხარი, მითხარი, რა უნდა?..
 ხმა (საწყალობლად). იულიანე!
 სინათლის წრე ქრება, მაგიდაზე მდგარი სანთლები კი კვლავ ძველებურად ჩახჩახებენ, ხანმოკლე პაუზა.
 მატსნიში (თავს წამოსწევს). გაქრა?
 იულიანო, გაქრა.
 მატსნიში, აბლა ხომ გესმის?
 იულიანო, კიდევ უფრო ნაკლებ ვიდრე ოდესმე... პირაშკმული უფსკრულის კიდესთან ვდგავარ სინათლესა და სიბნელეს შუქსა და ჩრდილს შუა. (ხელახლა ეშვება ინახზე). ნეტა რომელი სამეფო იგულისხმება?
 მატსნიში, არსებობს სამი სამეფო.
 იულიანო, სამი?
 მატსნიში, ჯერ ერთი ის, რომელიც ცნობადის ხეზე იყო დაფუძნებული, მეორეც ის, რომელიც ეფუძნებოდა ჯვრის ხეს...
 იულიანო, მესამე?
 მატსნიში, და 'ბოდოს მესამე — ესაა დიადი საიდუმლოს სამეფო, რომელიც ერთდროულად უნდა დაეფუძნოს როგორც ცნობადის, ისე ჯვრის ხესაც, ვინაიდან მას სძულს და იმავდროულად კიდევ უფროს როგორც ერთი ისე მეორეც, ვინაიდან მისი მახულდგმულბედი წყაროს სათავე თანაბრად ძვეს ადამის წაღკოტშიც და გოლგოთის წიაღშიც.
 იულიანო, და ეს სამეფო დაეფუძნება?
 მატსნიში, დაეფუძნება, ჩემი გამოთვლების მიხედვით...
 იულიანო (მკვეთრად აწყვეტილებს). ისევ ვიღაცის ჩურჩული მესმის. ვინ არიან ჩემი სტუმრები?
 მატსნიში, სამი ქვაკუთხედი აუცილებლობის კირთების ქვეშ...
 იულიანო, ვინ, მაინც ვინ?
 მატსნიში, უარყოფის სამი დიდი მეობი.
 იულიანო, დამისახებელი!
 მატსნიში, არ შემოქმედია, მე მათ არ ვიცნობ... მაგრამ, შემოქმედია გიჩვენო ისინი...
 იულიანო, მაშ მიჩვენე, ახლავ, გესმის?
 მატსნიში, ფრთხილად!..
 იულიანო, ახლავ-მეთქი! მე მინდა სამივე ვიხილო და რივრიგობით ველაპარაკო მათ.
 მატსნიში, რაც არის, არის... შენს თავს დააბრალებ! (კვართს იაქნევს და მბრძანებლური ხმით წარმოთქვამს). მიიღე შენი სახე და გამოგვიცხადე, პირველო სამსხვერპლო ტარიგო არჩევინა!
 ლეონტიუსი, მომიტევე! რამდენი გიძახე, ჩემო მეუფავ!
 იულიანო (ნაბიჯით უკან იხევს). ამას ვის ვხედავ?!
 ლეონტიუსი, შენმა მსახურებმა არასდიდებით არ შემომიშვეს... საშური საქმე მქონდა და იძულებული გავხდი...
 იულიანო, რა ქარმა გადმოგაგდო იფესში, ჩემო ძვირფასო ლეონტიუს?
 ლეონტიუსი, არც დღე დამიხვენია და არც ღამე; იმპერატორის დავალებით მართლაც ქარივით მოვისწრაფოდი შენკენ...
 იულიანო (ფერი ეცვლება). იმპერატორის დავალებით? რა ხელი აქვს ჩემთან იმპერა-

ტორს? ღმერთმანი, არაფერი დამიშავებია. ავადა ვარ, ავად, ლეონტიუს, აი, ეს კაცი (მაქსიმეზე ანიშნებს.) ექიმი, ჩემს გასასინჯად მოვიდა.



საბჭოთავი
ბიბლიოქოლა

ლეონტიუსი. მომიტევე, მოწყალეო მეუფევ...
იულიანე. რატომ მივარდებიან შინ? რა ნებავეს იმპერატორს?
ლეონტიუსი. იმპერატორს ნებავეს სასიხარულო. თავბრუდამხვევი, გამაოგნებელი ამბავი გაუწყოს!..

იულიანე. გემუდარები მითხარი. რა ამბავია ჩემს თავს?
ლეონტიუსი (მუხლს მოუყრის). სვებედნიერო მეუფევ ჩემო.. გულწრფელად ვხარობ როგორც შენი, ისე ჩემი საკუთარი ბედნიერებით და მოგესალმები. როგორც ცეზარს!
ლეონტიუსის ამაღლა. დიდება ცეზარ იულიანეს!
მაქსიმე. ცეზარს?
იულიანე (ყვირილით მიაწყდება კედელს). როგორც ცეზარს? ადექი, ლეონტიუსი სრულ კუთაზე ხარ?

ლეონტიუსი. მე მხოლოდ იმპერატორის ნებას გაუწყებ.
იულიანე. მე... მე ცეზარი ვარ?.. მერე გალუსი?
ლეონტიუსი. ო, ნუღარ მკითხავ!
იულიანე. სადაა გალუსი? გაფიცებ მითხარი, რა მოუვიდა?..
ლეონტიუსი (წამოდგება). ცეზარი გალუსი... ღმერთმა სასუფრველი დაუმკვიდროს... თავის უძვირფასეს მეუღლეს შეუერთდა...
იულიანე. მოკვდა, მოკვდა გალუსი მოკვდა! თავისი საზეიმო მსვლელობისას უწია სიკვდილმა... კი მაგრამ, როდის?.. სად?..

ლეონტიუსი. ო, უძვირფასესო მეუფევ, ჩემო, შემობრალე!
ბრიგოლ ნაწიანზელი (კართან დაყენებულ მცველებს უყვირის). საქმე მაქვს გამატარეთი გამატარეთ-მეთქი იულიანე!
იულიანე. გრიგოლ, ძმაო... მაინც დაბრუნდი?
ბრიგოლი. ქალაქში მეხვივით გავარდა ახალი ამბავი... მართალია?
იულიანე. ეგ მეხი თითქოს მე დამეცა. აღარც კი ვიცი, რას ვერწმუნო, ბედნიერებას თუ უბედურებას?

ბრიგოლი. მაცხოვრის ჩვენის, იესო ქრისტეს სახელით, განაძე შენგან მაცთური!
იულიანე. ეს კაცი იმპერატორის მაცნეა, გრიგოლი!
ბრიგოლი. შენი ძმის სისხლიან გვამს გადააბიჭებ?
იულიანე. სისხლიან გვამს?..
ბრიგოლი. არ იცი? ცეზარი გალუსი მოკლეს!
იულიანე (ხელი ხელს შემოჰკრავს). მოკლეს?
ლეონტიუსი. ვინ არის ეს თავხედი?
იულიანე. მოკლეს, მოკლეს! (ლეონტიუსს) მართალია?
ლეონტიუსი. ცეზარმა გალუსმა დაიმსახურა თავისი ხვედრი.
იულიანე. მოკლეს? ვინ მოკლა?

ლეონტიუსი. ის რაც მოხდა, აუცილებელი იყო, ჩემო მეუფევი! ცეზარი გალუსი ბოროტად იყენებდა თავის ძალაუფლებას. აწიოკებდა და მიწახთან გასწორებას უქადდა მთელ აღმოსავლეთს. მისი ქცევა კონსტანტინოპოლშიაც და სხვაგანაც აშკარად ამხელდა მის ზრახვებს.

იულიანე. მე მის დანაშაულს როდი ვკითხულობ, სხვა რამის გაგება მაინტერესებს.
ლეონტიუსი. ნება მიბოძე დავზოგო ძმის სიყვარულით მფრთქავი შენი გული.
იულიანე. ძმის სიყვარულით მფრთქავი ჩემი გული ალბათ გაუძლებს იმას, რასაც გაუძლო მაშის სიყვარულით აღსავსე ჩემმა გულმა. ვინ მოკლა გალუსი?

ლეონტიუსი. ტრიბუნი სკუდილა, რომელიც თან ახლდა ცეზარს, იძულებული შეიქნა ბრძანება გაეცა, რომ სიკვდილით დაესაჯათ იგი.

იულიანე. სად? რომში ხომ არა?
ლეონტიუსი. არა, მეუფეო, რომში კი არა, რომის გზაზე... ილირიის ქალაქ პოლესში.
იულიანე (თავს დაბლა ხრის). იმპერატორი დიდია და სამართლიანი!.. უკანასკნელი თავის გვარში. გრიგოლი დიახ, დიდია იმპერატორი კონსტანციუსი!..
ლეონტიუსი (თავისი ამაღლის ერთ-ერთ წვევრს პორფირს ჩამოართმევს). ჩემო მეუფევი, პატივი დაგვდე და შეიმოსე...
14. „საუნჯე“ № 1

იულიანო. პორფირი... თვალით არ დამანახოს... სწორედ ისაა, რომელიც მას ეცვა კოლეში?

ლეონტიუსი. ეს-ესაა ჩამოიტანეს სიღონიდან.

იულიანო (სწრაფად გადახედავს მაქსიმეს). პორფირი... სიღონიდან ჩამოიტანეს?

მაქსიმე. აკოლინარიოსის ხილვა!

ბრიგოლი. იულიანე! იულიანე!

ლეონტიუსი. შენი მძლეთამძლე ნათესავი გიგზავნის. იმპერატორს და იმედი აქვს, რომ შენ მოუშუშებ ამ უკურნებელ იარას. მოუთმენლად მიგელის რომში. შემდეგ კი, როგორც ცეზარი, მისი უზენაესი ნება-სურვილით გალიას გაეგზავრები. საზღვარზე მცხოვრებმა აღემანებმა რენუსი ვადმოლახეს და ცეცხლითა და მახვილით აოხრებენ ჩვენს მიწა-წყალს. იმპერატორს მტკიცედ სწამს შენი ბედის ვარსკვლავისა და იმედი აქვს, რომ მუსრს გაავლევ ბარბაროსებს; ამას წინათ უცნაური სიზმარი ნახა და მისი უკანასკნელი სიტყვები ჩემი აქ წამოსვლის წინ ის იყო, რომ შენ შეძლებ განამტკიცო სამეფო.

იულიანო. სამეფო?.. ხმა სინათლის წრიდან, მაქსიმე!

მაქსიმე. ერთი ნიშანი მეორის წინააღმდეგ!

ლეონტიუსი. რას ბრძანებ, ჩემო მეუფევ?

იულიანო. რაღაც ამგვარი მეც მეუწყა. მაგრამ ეს...

ბრიგოლი. უარი თქვი, იულიანე! მათ სურთ წარწყმედის ფრთები მიგამაგრონ მხრებზე.

ლეონტიუსი. ვინა ხარ, იმპერატორის ნებას რომ ეურჩები?

ბრიგოლი. გრიგოლი მქვია. ნაზიანზელი ეპისკოპოსის შვილი გახლავართ... რაც ვინდათ, მიქენით.

იულიანო. ეს ჩემი ძმია და მეგობარი. უბატონოდ ხმას ვერვინ გასცემს!

ამასობაში წინა ეზოში უკვე დიდძალ ხალხს მოუყრია თავი.

ბასილი (გაქირვებით იკაფავს გზას ბრბოში). უარყავ პორფირი, იულიანე!

იულიანო. შენც აქა ხარ, ჩემო ერთგულო ბასილ?

ბასილი. უარყავ, ღვთის გულისათვის, უარყავ-მეთქი!

იულიანო. რა გაშინებებს?

ბასილი. თავზარდამცემი მომავალი.

იულიანო. მე დავაფუძნებ სამეფოს.

ბასილი. ქრისტეს სამეფოს?

იულიანო. დიად სამეფოს კეისრისას.

ბასილი. განა კეისრის სამეფო გედგა თვალწინ, როცა ჭერ კიდევ ურმა კაპადოკიელ მოწამეთა საფლავებიდან ქადაგებდი შენს მოძღვრებას? განა კეისრის სამეფოს დასაფუძნებლად დაუტევებ კონსტანტინოპოლი? განა კეისრის სამეფო...

იულიანო. უველაფერი ნისლივით გაქრა, განქარდა. უკან დარჩა მთელი ეს შლიგური ბოდვა.

ბასილი. ვერჩია წისქვილის დოლაბი შეგება უელზე და ზღვის უფსკრულში დანთქმული-უავი. ვიდრე უკან მოგეტოვებინა ეს „ბოდვა“... ნუთუ ვერ ხედავ, რომ ამ საქმეში მაცოთურის ხელი ურევია? სწორედ ის გიწყობს და გილაგებს ფერხითთ ამა ქვეყნის უველა სამეფოს და დიდებას მათსას...

მაქსიმე. ერთი ნიშანი მეორის წინააღმდეგ, იულიანე!

იულიანო. ერთი სიტყვა მაქვს შენთან, ლეონტიუს! (ხელს ჩასკიდებს და ორივენი განზე გადგებიან): სად მიგყავარ?

ლეონტიუსი. რომში. მბრძანებდელი!

იულიანო. არა, მაგას როდი გეკითხები. სად მიგყავარ, რას მიმზადებ — ბედნიერებას და ძალაუფლებას თუ წამებით სიკვდილს?

ლეონტიუსი. ამნაირი უნდობლობა, ჩემო მეუფევ...

იულიანო. გალუსის ცხედარი ჭერ კიდევ არ ვაციებულა.

ლეონტიუსი. მე შემიძლია გაგიფანტო უველა იქვი. (ქალაღდს იღებს.) აი, იმპერატორის წერილი: მაგრამ ვერჩია ცალკე ვადმომეცა...

იულიანო. წერილი?.. რას მწერს, (წერილს ხსნი და კითხულობს). აი.. ელენე!.. ო, ლეონტიუს! ელენეს... ელენეს მრთავენ!

ლეონტიუსი. იმპერატორი უძვირფასეს საუნჯეს გიძღვნის, ჩემო მეუფევ! თავის ხაყვარელ დას გაძღვეს ცოლად, დას, რომლის ხელსაც ამაოდ სთხოვდა ცეზარი გალუსი..

იულიანო. ელენე!.. მიუწვდომელი ჩემს ხელთაა!.. მაგრამ თვითონ ელენე, ლეონტიუს?..



ლემონტიუსი. გამომშვიდობებისას იმპერატორმა ხელი ჩასჭიდა და ჩემთან მოიყვანა. ქალწულურმა კდემამ შეუფაკლა მშვენიერი ღაწვები, თვალები დახარა და მითხრა: „ჩემი სალამი გადაეცე ძვირფას ნათესავს და უთხარი, რომ ყოველთვის მხოლოდ ის იყო ჩემი...“

იულიანე. მერე, ლეონტიუს, მერე?..

ლემონტიუსი. აქ დადუმდა უბიწო და კდემამოსილი ქალწული.

იულიანე. უბიწო ქალწული. ხასწაულია, აბა, რა არის? ყველაფრის ასე ახლენაქვე მშვენიერ (მალლა). მომართვით პორფირის

მაქსიმე. უკვმ აირჩიე?

იულიანე. დიახ მაქსიმე!

მაქსიმე. მიუხედავად ამისა, რომ ერთი ნიშანი მეორეს ეწინააღმდეგება?

იულიანე. მე ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ვხედავ!.. ბრმა ყოფილხარ, ნათელმხილველო!.. პორფირი მომართვით-მეთქი!

კვესტორი ლეონტიუსი პორფირს მოასხამს.

ბასილი. აღსრულდა!

მაქსიმე (ხელაპყრობილი ბუტბუტება). ძღვევა და ნათელი მსურველს!

ლემონტიუსი. ახლა კი მეფისნაცვლის სასახლისაკენ გავსწიოთ! ხალხს სურს მიესალმოს თავის ცეზარს!

იულიანე. ცეზარი თავისი აღწევების უამსაც იმადვე რჩება, რაც იყო, — ღარიბ ფილოსოფოსად, რომელიც ყველაფერს უნდა უმადლოდეს მხოლოდ იმპერატორის გულმოდგინებას... მაშ, ასე, მეფისნაცვლის სასახლეში, ჩემო ძვირფასნო!

ყველანი, გრიგოლის და ბასილია გარდა, ბრბოის ყიფინში გადიან წინა ეზოდან.

ბასილი. რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ მაინც ერთად ვიქნებით, გრიგოლ!

ბრიტოლი. აი, ჩემი ხელი.

მ ე ო თ ხ ე მ ო კ მ ე დ ე ბ ა

გალია. ლუტეციის შემოგარენი. ცეზარის საგარეუბნო სასახლის „თერმების“ ვრცელი დარბაზი. წინ შუა კედელში, დატანებულია შემოსასვლელი კარი. მარჯვნივ მეორე, შედარებით მომცრო კარია, ხელმარცხნივ — ფარდებჩამოფარებული სარკმელი. მდიდრულად მორთულ-მოკაზმული, მარგალიტების დიადემით შუბლშემკული ელენე საგარძელში ზის და სარკმელში იყურება. გვერდით მისი მოახლე მირა უდგას, რომელსაც ფარდა უჭირავს ხელით.

ელენე. მეორედ მოხვალა სწორედ! მთელი ქალაქი მათ შეხახვედრად გამოფენილა!.. სსუ... მირა! ბუკ-ნაღარისა და დაუდაფების ხმა არ გესმის?

მირა. დიახ, ქალბატონო.. მგონი, მესმის...

ელენე. სტყუი! ამ ღრიანცელში რას გაარჩევ? (წამობტება). ო, ეს მტანჯველი მოლოდინი! არც კი იცი, გამარჯვებული ბრუნდება თუ ბრძოლის ველიდან გამოქცეული!

მირა. ნუ ღელავთ, ქალბატონო! როდის დაბრუნებულია დამარცხებული?

ელენე. დიახ, უწინ... ხანმოკლე შეტაკებების შემდეგ, მაგრამ ამჯერად, მირა?! ეს საშინელი, არნახული ბრძოლა! და თანაც ეს ურთიერთგამომრიცხველი ცნობები. ცეზარი რომ გამარჯვებული ბრუნდებოდეს, რაში დასჭირდებოდა წინასწარ შემოეთვალა უზუცესათვის. გიკრძალავთ საწეიმო შეხვედრის მოწყობას ქალაქის კარიბჭესთან?

მირა. ხომ იცი, ქალბატონო, რომ შენი ძღვევამოსილი მეუფე არაფრად აგდებს ამ ზარწეიმს?

ელენე. დავუშვათ, რომ მართლაც აგრეა. მაგრამ, ვთქვათ, და. ბრძოლა წააგო, — რომში ხომ უკვე შეიტყობდნენ ამას, და განა მაშინ იმპერატორი გამოგზავნიდა ელჩებს, რომლებსაც დღეს უნდა ველოდეთ, თუკი ვერწმუნებით მაცნეს, ესოდენ ძვირფასი საჩუქრები რომ მომართვა?.. ა, ევფერიოს! რა ამბავია?

ევფერიოსი (შემოდის). ქალბატონო, ყოველად შეუძლებელია რამეს გაგება...

ელენე. შეუძლებელია?... რაღაცას მატყუებ! ჭარისკაცებმა მაინც ხომ უნდა იცოდნენ?..

ევფერიოსი. ჭერჭერობით მხოლოდ ბარბაროსთა მაშველი ძალები შემოდიან. ბატავები და სხვები... მათ კი არაფერი არ იცრან.

ელენე (ხელებს იმტყრებს). რა შევცოდდე ღმერთს? ხულზე უტკბესო მაცხოვარო ჩვენო! აკი დღედაღამ ვლოცულობდი შენ მიმართ?... (მიაყურადებს და წამოიქვივლებს). აა... იულიანე! მისი ხმაა!.. ჩემი სიცოცხლე!.. იულიანე!



იულიანო (სწრაფად შემოდის მტკვარში ამოგანგლული აბჯრით). ელენე!
ვეფერიოსი. მეუფეო!

იულიანო (გულში იკრავს ელენეს). ელენე!.. უველა კარი ჩარაზეთ, ვეფერიოს!
ელენე. დავიდუბეთ?.. დამარცხდი?

ვეფერიოსი. მეუფეო!

იულიანო. ორმაგი დაცვა დააყენეთ უველა შემოსასვლელთან! არავინ შემოუშვანს.. მო-
იცა! იმპერატორის ელჩები უკვე აქ არიან?

ვეფერიოსი. არა, მეუფეო, მაგრამ წუთი-წუთზე მოველით.

იულიანო. წადი! (მოახლეს) მარტო დაგვტოვე.

ვეფერიოსი და მირა გადიან.

ელენე (სავაიძელში ეშვება). ცხე იგი, ჩვენი აღსახრულის დღე დადგა!

იულიანო (ფირდებს გადასწევს). ვნახოთ, ვინ იცის!.. ოღონდ სიფრთხილვა ხაჭირო...
როგორც ქუხს, ყოველთვის ისე როდი წვიმს...

ელენე. ამნაირი მარცხის შემდეგ?..

იულიანო. მარცხისაო? რას ამბობ, ჩემო ძვირფასო?

ელენე. განა აღუმაწებმა არ დაგამარცხებს?

იულიანო. რომ დავემარცხებინეთ, ცოცხალი თავით ვეღარ მნახავდი...

ელენე (წამოფარდება). კი მაგრამ, ღმერთო დიდებულო, აბა რა მოხდა?

იულიანო (ჩუბად). უფრო უარესი, ელენე — ბრწყინვალე გამარჯვება!..

ელენე. გამარჯვება? შენ ამბობ, ბრწყინვალე გამარჯვებაო?.. გაიმარჯვე და მაინც...

იულიანო. შენ ჩემი მდგომარეობა არ გესმის. შენ მხოლოდ ცეზარის უბადრუკობის გა-
რეგან, ოქროთი მოვარაუებულ მხარეს იცნობ.

ელენე. იულიანე!

იულიანო. იქნებ ისიც მისაუვედურო, რატომ დამიშალეო?.. რა შექნა? ჩემი ღირსება
და მოვალეობა... მაგრამ ამას რას ვხედავ? რა მოგივიდა?

ელენე. მაინც...

იულიანო. ასე რამ შეგცვალა ამ რამდენიმე თვის მანძილზე? მითხარი, ავად იყავი?

ელენე. არა, არა, მაგრამ...

იულიანო. დიახ, უთუოდ ავად იყავი როგორც ჩანს, ახლაც შეუძლოდა ხარ... რა ცი-
ებ-ცხელებიანივით გიფეთქავს ძარღვები საფეთქლებზე?.. როგორ ამოგლამებია თვალები?

ელენე. ეგ არაფერი, ჩემო ძვირფასო... საშიში არაფერი მქირს. ნუ, ნუ მიყურებ, იუ-
ლიანე! მხოლოდ შენმა დარდმა და უძილობამ, მხოლოდ გულმხურვალე ლოცვამ ჩვენი ქვარ-
ცმული მაცხოვრის მიმართ...

იულიანო. თავს გაუფრთხილდი, ჩემო ძვირფასო. კაცმა არ იცის, რა ურია ამ გაუთა-
ვებულ ლოცვა-ვედრებაში...

ელენე. გრცხვენოდესი ღმერთს ნუ სცოდავ, იულიანე!.. მაგრამ შენს საქმეებზე მელა-
პარაყე. გემუდარები, ნურაფერს დამიშალავ.

იულიანო. რა უნდა დაგიშალო? დედოფლის სიკვდილის შემდეგ ჩემს ყოველ ნაბიჯს აქ,
გალიაში, სასახლის კარზე სულ უფრო და უფრო უკუღმართად განმარტავენ. თუ აღუმაწე-
ბის წინააღმდეგ ფრთხილად ვმოქმედებ, იქ უნიათობასა და სიმბდალეს მწამებენ. დასცინიან
ფილოსოფოსს, რომელიც ვერ იქნა და ვერ შეეჩვია აბჯრის ტარებას. თუ ბარბაროსები ვძლიე,
მაშინ ამბობენ, რომ მეტის გაკეთება შემეძლო.

ელენე. კი მაგრამ, მოლაშქრეთა შორის იმდენი მეგობარი გყავს?..

იულიანო. მაინც ვინ გეგულდება მთელ ლაშქარში ჩემს მეგობრად? მე პირადად ვერავის
დავასახელებ, ჩემო ძვირფასო. ერთადერთი ისევე ის პერუზიელი მხედარია — სალუსტიუსი,
რომელსაც მილანში, ჩვენი ქორწილის დროს, ერთი პატარა, სავსებით საშართლიანი თხოვ-
ნაც ვერ შევუსრულე. მან დიდსულოვნად დაივიწყა უველაფერი, ბანაკში გამომეცხადა, გა-
მახსენა, როგორ ვმეგობრობდი ათენში და მთხოვა, ნება მიბოძე შენთან ერთად გავიზიარო
სალაშქრო ცხოვრების უველა გაქირვება და განსაცდელიო. მაგრამ სალუსტიუსს ძალდადაც
არ აგდებენ იმპერატორის სასახლეში. ის ხომ ერთი მათთაგანია, ვისაც იქ წარმართებად
თვლიან. ასე რომ, სალუსტიუსი გინდ ყოფილა და გინდ არა... დანარჩენები? მაინც ვისი იმ-
ედო შეიძლება მქონდეს? იქნებ მხედართმთავარ არბეციუსისა, ბედის ანაბარა რომ მიმატოვა,
როცა სენონების მიერ აღუაშემორტყმული აღმოვჩნდი? ან იქნებ ამ გადადქმელებული სევე-
რუსისა, რომელმაც იცის, რომ არაფრის თავი აღარა აქვს, მაგრამ მაინც ვერასდობებით ვერ
შემაგუებია ჩემ მიერ დანერგილ საომარ წესებს? ხომ არ გგონია, რომ პრეტორიანელთა სარ-

დალს ფლორენციუსს მაინც შემიძლია ვენდო? ამ ხარბსა და გაუმადლარ კაცს თავისი გამორჩენისა და დაწინაურების მეთი სხვა ხაზრუნავი არ გააჩნია.

ელენე, აჰ, იუღიანე!

იულიანე (დარბაზში ბოლოსა სკემს). ნეტა მათი მზაკვრული ხრიკები ^{შამხილებია} ყოველ კვირა მალულად აგზავნიან დამსმენებს რომში, ყველაფერი, რასაც მე აქ ვაქეთებ. დამახინჯებული სახით გადაეცემა სასახლის კარს. შენ წარმოიდგინე, ელენე, ^{თვინს} ^{კერძებს} ^{სიყვარულს} ^{სიყვარულს} ნუსხაც კი, რომელსაც განუბრელად უნდა მისდიოს ჩემმა მზარეულმა, იმპერატორის ^{სიყვარულს} ^{სიყვარულს} გამოგზავნილი და მე ერთი შესწორების შეტანაც არ შემიძლია მასში. ვერც რას მივუმატებ და ვერც გამოვაკლებ.

ელენე, და ყოველივე ამას ჩუმად, უღრტვინველად ითმენდი?

იულიანე. ყველამ ყველაფერი იცის, შენ გარდა. ერთხმად დასცინიან და მასხარად იგდებენ ცეზარის უმწეობასა და უსუსურობას... არა, მეტის ატანა აღარ შემიძლია! უელში ამომივიდა, გესმის?

ელენე. კი მაგრამ, ეს სამკვდრო-სახიცოცხლო ბრძოლა? მითხარი, გადაჭარბებული ხომ არ არის, რასაც ამბობენ?

იულიანე. გადაჭარბებული რა უნდა იყოს?.. სსუ! რა არის ეს? (კარს აყურადებს). არა, არა, რაღაც მომეჩვენა.. თამამად შემიძლია მოგახსენო, რომ ამ რამდენიმე თვის მანძილზე მე შევძელი თითქმის შეუძლებელი. ათასგვარი დაბრკოლების მიუხედავად, რომლებსაც ჩემს საკუთარ ბანაკშივე მიწყობდნენ, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, აღმოსავლეთ საზღვრებს იქით გადავრეკე ბარბაროსები. მეფე კნოდომარმა, რომელსაც ზურგს უფარავდა რენუსი, მთელ თავის ძალებს არგენტორატში მოუყარა თავი. კნოდომარს მიემხრო ხუთი მეფე და ათი მთავარი, მაგრამ სანამ იმის თადარიგს დაიკურდა, რომ საქიროების შემთხვევაში მდინარე გადაეღობა და სამშვიდობოს გასულიყო, მის წინააღმდეგ დავძარი ჩემი ლაშქარი.

ელენე. ჩემო დევეშირო!

იულიანე. ლუპციანუსმა მუბოსნებითა და მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ლაშქრით ჩრდილოეთიდან უყელა მტერს. ვეტერანთა ლეგიონები. სევერუსის სარდლობით, სულ უფრო და უფრო მეტად ავიწროებდნენ და აღმოსავლეთით, რენუსისაკენ ერეკებოდნენ ბარბაროსებს. ბატავეები, ჩვენი ერთგული მოკავშირის ბაინაბაულის წინამძღოლობით, მხარს უმაგრებდნენ ჩვენს ლეგიონებს. საფრთხის მოახლოება რომ იგრძნო, კნოდომარმა სცადა სამხრეთისაკენ გაქრილიყო, რათა კუნძულებზე გადაეყვანა და ამრიგად გადაერჩინა თავისი ლაშქარი. მაგრამ მე დავასწრე და ფლორენციუსის მეთაურობით ვაფრინე პრეტორიანელები და ცხენოსანი რაზმები, რათა მტრისთვის მოეჭრათ გზა. მე მიმძიმს ამის ხმამაღლა თქმა, მაგრამ დაბეჭითებით ვიცი, ელენე: ლალატმა და შურმა ლამის აქაც ხელიდან გამომაცალა გამარჯვების ნაყოფი. რომაელთა ცხენოსანი რაზმები ყოველი ფეხის ნაბიჯზე უკან იხევდნენ ბარბაროსების წინაშე, რომლებიც მიწას ეკვროდნენ და ცხენებსაც და მხედრებსაც სეტყვასავით აყრიდნენ ისრებს. მე უკვე მეგონა, რომ ბრძოლა წავაგე.

ელენე. მაგრამ ხომ დავიფარა არსთა გამრიგებ?

იულიანე. სასომიხდილმა ხელი დავტაცე დროშას, მხნედ შევუძახე ხაიმპერატორო ვვარდიას, სახელდახელოდ წარმოვთქვი სიტყვა, რომელიც, დმერთმანი, უფრო განათლებულ მსმენელთა ღირსი იყო, და როგორც კი ქარისკაცებმა მოწონების ყიჟინა დასცეს, პირდაპირ ხელჩართულ ბრძოლაში ჩავებო.

ელენე. ო, იუღიანე, მე შენ არ გიყვარვარ!

იულიანე. იმ წუთში შენზე საფიქრალად არ მეცალა. სიკვდილს ვნატრობდი. სხვა გამოსავალი არსად ჩანდა. მაგრამ, მადლობა დმერთს, ბოლოს მაინც გაგვიღიმა ბედმა. ჩვენი შუბები თითქოს ელვის ნაპერწკლებს ურიდნენ და თავზარსა სცემდნენ მტერს, დავინახე, როგორ იბრუნა პირი კნოდომარმა და ამ ძალგულოვანმა მეომარმა კურდღელივით მოჰკურცხლა. კნოდომარს უკან მიჰყვნენ მისი ძმა ვესტრალბი, მეფეები მორტარი და სუომარი და სხვაც მრავალი, ვინც ჩვენს ხმალს გადაურჩა.

ელენე. ო, მე ვხედავ, ყველაფერს თვალნათლივ ვხედავ! იდიდე, ჩვენო მაცხოვარო! ეს შენ კვლავ მოავლინე სიკვდილის ანგელოსნი. ოდესღაც მუღვიის ხიდზე მუსრი რომ გაავლეს მტერს.

იულიანე. არასოდეს გამოიგონია ესოდენ სასოწარკვეთილი ყვირილი, არც ისეთი საშინელი იარები მიწახავს. ფეხით რომ ვქედავდიო, როცა დაცემულთა გვამებზე გადავდიოდით. ბოლოს მდინარის ტალღებმა დააგვირგვინა ყველაფერი: შიგ ჩაცვივნულები ერთმანეთს ებღა-

უკლებოდნენ, თავ-პირს ჰკაწრავდნენ, ღმუჯოდნენ, იგინებოდნენ და ბოლოს ერთად იძირებოდნენ. მტრის თავკაცთა უმრავლესობა ტყვედ ვიგდეთ ხელთ, თვით კნოდომარი კი ლაქაშებში შეიშალა თავის გადასარჩენად. ვერც ერთ მის თანამებრძოლს სიტყვა ვერ დავაცდენინეთ. არც ერთმა არ გახცა ბელადი. მაშინ ჩვენებმა სეტყვასავით დაუშინეს ისრები მეფის სამალავს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, როგორც იქნა, თვითონვე დაგვნებდა.

ელენი. და ამნაირი გამარჯვების მიუხედავად მაინცა დედავ?..

იულიანო (ნაწყვეტ-ნაწყვეტ). გამარჯვების შემდეგ, იმავე საღამოს, მთელი ქვეყანა გაუგებ-არი... ისე, სრულიად უმნიშვნელო... კაცმა რომ თქვას, არც კია ყურადღების ღირსი...

ელენი. სრულიად უმნიშვნელო?..

იულიანო. მე მირჩევნია ასე ვიფიქრო... ათენში ხშირად ვმსჯელობდით ნემეზიდაზე... ჩემი გამარჯვება თავბრუდამხვევი იყო, ელენე... თითქოს წონასწორობა დავკარგე... არც კი ვიცი, რა მომივიდა...

ელენი. თქვის ნუ მაშინებ!

იულიანო. გეუბნები, სრულიად უმნიშვნელო რამ მოხდა-მეთქი. მთელი ლაშქრის წინაშე ბრძანება გავცე, დატყვევებული კნოდომარი გამოეყვანათ. ბრძოლის დაწყების წინ შემუქრებოდა, ხელში თუ ჩამივარდი, ცოცხლად გაგადრობ ტყავსო, ახლა კი თვითონვე მოდიოდა ჩემკენ, მაგრამ ვაი ამ მოხვლას. ძლივს მოათრევდა ფეხებს და მთელი სხეული ვერხვის ფოთლივით უცახცახებდა. უბედურებით გასავათებული და ღონემიხდილი, ბარბაროსთა ჩვეულებისამებრ, ჩემ წინაშე განერთხა მიწას, მუხლებზე მომეხვია და მდუღარე ცრემლების ფრქვევით შეწყალების თხოვნა დამიწყო...

ელენი. მთელი თავისი გოლიათური სხეულით თრთოდა? ო, რა თვალნათლივ ვხედავ მენ წინაშე მიწაზე განრთხმულს... ხომ იქვე გააფრთხობინე სული, ჩემო ძვირფასო?!

იულიანო. არა, ხელი არ მომიბრუნდა. შევპირდი, სიცოცხლეს გაჩუქებ და რომში ტყვედ გაგზავნი-მეთქი.

ელენი. არც აწამე?

იულიანო. სიბრძნისთვის უცნოა სიხასტიკე და გულმხეცობა... და სწორედ აქ... არ ვიცი, რა მოხდა... სიხარულით გაგიჟებულ ბარბაროსს საზარელი ყვირილი აღმოხდა მკერდიდან, შეცის მიმართ ალაპურო შებოროკილი ხელები და დამტვრეული ბერძნულით შეშბლავდა: „დიდება იულიანეს, უძლიველ იმპერატორს!“

ელენი. აი..

იულიანო. ჩემმა ამაღამ გადახარხარებაც ვერ მოასწრო, ბარბაროსის ყიჟინმა ელვასავით დაუარა ქარისკაცთა რიგებს და მეწინავეებმა ერთხმად აიტაცეს: „გაუმარჯოს იმპერატორ იულიანეს!“. ამ შეძახილმა ტალღასავით გადაურბინა მთელ ლაშქარს, თვით უკანასკნელ რიგებამდე, თითქოს ციკლონმა მთა მოგლიჯა და ზღვაში ისროლაო... მომიტევე ეს წარმართული შედარება, ჩემო ძვირფასო...

ელენი. იმპერატორი იულიანე! ასე თქვა: იმპერატორი იულიანეო?

იულიანო. რა უნდა სცოდნოდა ამ გაუთლელ იდემანს კონსტანციუსზე, რომელიც თავის დედაში თვალთ არ უნახავს? ამიტომ მე, მისი მძლეველი, ვეგონე იმპერატორი...

ელენი. კი მაგრამ, ქარისკაცები?..

იულიანო. ყველას სახტიკი საყვედური გამოეფიცხადე. მშვენიერად ვხედავდი, რომ ფლორენციუსი, სევერუსი და ზოგიერთი სხვაც ჩუმად იდგნენ, შიშისგან ფერმიხდილნი და სიმწრით იკვნეტდნენ ჩარბებს.

ელენი. დიახ, ისინი, მაგრამ არა ქარისკაცები.

იულიანო. ამის შემდეგ ერთ დამესაც არ გავივლო, რომ ჩემმა იდემაღმა მტრებმა უკვე მოასწრეს ყველაფერი დამახინჯებულად წარმოედგინათ: ვითომც ცეზარს კნოდომარისთვის ებრძანებინოს, იმპერატორად გამოაცხადე და სანაცვლოდ სიცოცხლეს გაჩუქებო... და, აი, ამ სახით მიუვიდა ეს ამბავი სასახლის კარს.

ელენი. დარწმუნებული ხარ? კი მაგრამ, ვინ დაგასმენდა?

იულიანო. ვინ, ვინ? მე თვითონ დავჩემი და ყველაფერი სასწრაფოდ მივწერე იმპერატორს, მაგრამ...

ელენი. მერედა, რა გიკასუხა?

იულიანო. პახუბის ღირსი ვინ გაგხადა?.. ხომ იცი, რას ნიშნავს ეს საბედისწერო დუმილი... ყოველთვის, როცა აპირებს ვინმეს სასიკვდილო დარტყმა მიაცუნოს.

ელენი. მე კი მგონია, რომ სცდები... რა თქმა უნდა, სცდები. აი, ნახავ, ელჩები ხულ მალე გაახლებენ იმის საბუთს, რომ...

იულიანო. შე უკვე ხელთა მაქვს ეს საბუთი, ელენე! ჩემმა ხალხმა საიდუმლო წერილები წართვა იმპერატორის მაცნეებს... აგერ, აქა მაქვს (გაერდზე ანიშნებს).

ელენე. ო, ღმერთო ჩემო! მაჩვენე...

იულიანო. შერე, შერე. (ბოლთას სცემს.) აი, რითი მიხდის ჩემი თავდადებული სამსახურის სანაცვლოს. მე ისეთი მუშტი ამოვცხე აღემანებს, რომ კაი ხანს ველარ გაბედავენ აქ-ეი გამოხედვას, მაშინ როდესაც თვითონ მარცხს მარცხზე განიცდის დუნაის პირანდასაშინა...
სი, როგორც ჩანს, ვერაფერს ვაკლებთ სპარსელებს. იმპერიის ყველა საზღვარიდან ჩვენი სარცხისა და შერცხვების ამბები მოგვდის, გამონაკლისი მხოლოდ ეს ერთი — რენუსის საზღვარი, სადაც ლაშქარს სათავეში ჩაუყენეს ფილოსოფოსი, რომელსაც ძალით შეაჩიჩეს ხმალი. მიუხედავად ამისა, კვლავ ძველებურად დამცინიან სასახლის კარზე. თვით ამ დიადი მარტვეების შემდეგაც კი ჩემზე სახელდახელოდ შეთხზეს სატირა, სადაც ვიქტორინუსის სახელით მამახხრებენ... ამას ბოლო უნდა მოეღოს!

ელენე. დიახ, გეთანხმები!

იულიანო. რაღა ფასი აქვს ყოველივე ამის შემდეგ ცეზარის ღირსებას?

ელენე. მართალი ხარ, იულიანე, ამის ატანა არ შეიძლება.

იულიანო (ჩერდება). ელენე, ყოველთვის ჩემთან იქნები?

ელენე (ჩუმად). ხანამ პირში სული მიდგას...

იულიანო. მაშინ რას ვაკლავთ თავს ამ უმადურ საქმეს? წავიდეთ, გავიცალოთ... რამდენი სანია მართო ყოფნა მენატრება... რა სჯობია სიმშვიდეს და სიმყუდროვეს?

ელენე. რას ამბობ?.. მართო ყოფნა?

იულიანო. შენთან ერთად, ჩემო ძვირფასო, შენთან და ჩემს საყვარელ წიგნებთან, რომლებსთვისაც აქ საერთოდ აღარ მცალია და მხოლოდ ჩემს უძილო ღამეებში თუ ვფურცლავ ხოლმე.

ელენე (ახედ-დახედავს). აა... ახე?

იულიანო. მაშ როგორ?

ელენე. ო, რა თქმა უნდა: მაშ, როგორ!

იულიანო. დიახ, დიახ, მე გეკითხები — მაშ, როგორ-მეთქი?

ელენე. (უახლოვდება). იულიანე... როგორ მოგესალმა ბარბაროსების მეფე?

იულიანო (უნებურად გაიწევს განზე). ელენე!

ელენე (ხელახლა უახლოვდება). რა სიტყვა აიტაცეს ქარისკაცებმა?

იულიანო. ხომ არ გაგიჟდი?.. იქნებ გარეთ ვიდაცა დგას და უური კარზე აქვს მოკრული.

ელენე. შერედა მოყურადებობისა გეშინია? ხომ აშკარაა, რომ ღმერთი გწყალობს?.. განა პედი არ გიღიმოდა ყველა ბრძოლაში?.. მე ვხედავ შენკენ მოწოდების ნიშნად გამოწვდილ მარტვენას მაცხოვრისას, ვხედავ ანგელოსს ცეცხლისმფრქვეველი ხმალი რომ უჭირავს ხელში, რომლითაც გზა გაუყავა მამაჩემს, როცა მან მაკსენციუსს გადაუძახა ტიბერისში!

იულიანო. რასა მთხოვ, ქვეყნის მპყრობელს ავუმბობდე?

ელენე. მხოლოდ იმათ, ვინც თქვენ შორის დგას. ო, გამოდი, რისხვად დაატყდი თავზე შენს მტრებს და ბოლო მოუღე ამ უსიხარულო და უბადრუკ ყოფნას! გალია — უდაბნოა! აქ მე ვტყნები, იულიანე! სახლი მენატრება, მზე, რომი, საბერძნეთი!

იულიანო. სახლი, შენი ძმა...

ელენე (ხმადაბლა). კონსტანციუსს ცალი ფეხი სამარეში უდგას უკვე.

იულიანო. ელენე!

ელენე. შეტის გაძლება აღარ შემიძლია... დრო გადის, ევსებია მოკვდა. მისი დაცარიელებული ტახტი დიდებასა და პატივს მიქადის, მე კი ამ უდაბნოში ვბერდები.

იულიანო. რა დროს შენი სიბერეა! გაწაფხულივით ახალგაზრდა ხარ და ლამაზი!

ელენე. არა, არა! დრო გადის, შეტის მოთმინებისა და ატანის თავი არა მაქვს... სიცოცხლე ხელში მადნება!

იულიანო (ვნებიანად უყურებს). რა მომხიბლავი ხარ, მომწუსხველი, თავბრუდამხვევი!

ელენე (ჩაეკონება). მართლა, იულიანე?

იულიანო (ეხვევა). შენა ხარ ერთადერთი ქალი ამქვეყნად, რომელიც მე მიყვარს; ერთადერთი, რომელსაც მე ვუყვარვარ.

ელენე. მე შენზე უფროსი ვარ. არ მინდა კიდევ უფრო ხნიერი გავხდე. როცა ყველაფერი დამთავრდება, მე...

იულიანო (გაეცლება). სსუ! ამის გაგონებაც არ მინდა!

ელენე (უკან მისდევს). კონსტანციუსი ნელ-ნელა, დღითიდღე კვდება. მისი სიცოცხლე

ბევრზე მეტი... იულიანე, ჩემო ძვირფასო... ჯარისკაცები მხარს გიჭერენ...

იულიანე. ჩუმად, ჩუმადა!

ელენე. ერთი ხმამაღლა რომ შეუძახო, სული გასძვრება. მაშ რაღა საჭირო? რაღა უყურებ? არა, სისხლის ღვრას როდი გთხოვ! ღმერთმა დაგვიფაროს! შეშინებაც საქმარისია. შიშით თავის მძლავრ ხელს მოხვევს, გულში ჩაიკრავს და უმტკივნეულოდ მოუღებს ბოლოს მის ტანჯვას.

იულიანე. შენ გავიწყდება უხილავი მცველი, თავისი ფრთებით... მირონცხე-ბულს!

ელენე. მაცხოვარი გულმოწყალეა! ღვთისმოსავს ბევრ რასზე მიუტევებს, იულიანე... მე შენთან ვარ. ახლაც ბრძანებას გავცემ, შენთვის ილოცონ. კურთხეულ იყოს ყველა წმინდა! კურთხეულ იყვნენ მოწამენი მერწმუნე, დროთა განმავლობაში ყველაფერს გამოვიხსნიდი. მაჩუქე აღმშენებელი მე მათ ქრისტეს სჯულზე მოვაქციე. მღვდელს გავგზავნი მათ სოფლებში და ისინი ქედს მოიხრიან ჯვრის მოწყალების წინაშე!

იულიანე. აღმშენებელი ქედუხრელი ხალხია!

ელენე. მაშინ სიკვდილი მაინც მოახრევინებთ ქედს! საქმეების ტკბილი კვამლივით ავა მალდა, ჩვენი მაცხოვრის კარად, მათი თბილი სისხლის სურნელოვანი ოსშივარი ჩვენ კიდევ უფრო მეტ ბრწყინვალეობას შევმატებთ მის დიდებას; ჩვენი წყალობით ახალი ძალით უფალობებენ ოსანას კაცთა გამოსახსნელად ჯვარცმულსა და სისხლდათხეულს! მე თვითონ შევუერთებ ჩემს ხმას. მაჩუქე აღმშენებელი ქალები! თუ ქედს არ მოიხრიან, მსხვერპლად შევწირავ! და მაშინ, ჩემო სიცოცხლე... კვლავ მიხილავ, ახალგაზრდული მშვენიერებით გასხივოსნებულს! მაჩუქე აღმშენებელი ქალები, ჩემო ძვირფასო... ეს ხომ არ იქნება მკვლელობა, არამედ — საშუალება, სასწაულთმოქმედი საშუალება.. ქალწულთა სისხლის აბაჯანა...

იულიანე. ღმერთს ნუ სცოდავ, ელენე!

ელენე. განა დანაშაულად შეშერაცხება რომ შენი გულისთვის ვცოდო?

იულიანე. ო, ჩემო მშვენიერო, ჩემო ერთადერთო!

ელენე (ხელებს უკოცნის). ო, ჩემო მბრძანებლო ღვთისა და კაცთა წინაშე! ამჟერად მაინც ნუ დაიხვევ უკან! ჩემო გმირო, ჩემო იმპერატორო! ვხედავ, უკვე განიხვენენ კარნი ცათანი. დაე, მღვდელმსახურთა ადიდონ ქრისტე, ჩემი ქალები სალოცავად შეგროვდებიან (ცოცხელ ადაპროსს ხელებს). ო, მძღვეთამძღვეო! უფალო ჩვენო საბაოთ... მადლი და წყალობა მოიღე შენი მარჯვენიო!

იულიანე (კარს შეავლებს თვალს). ელენე!

ელენე. აი..

მეფარიოსი (კარშივე). მეუფეო, იმპერატორის ელჩი...

იულიანე. უკვე მობრძანდა?

მეფარიოსი. დიახ, ჩემო მეუფეო.

იულიანე. ვინ? რომელია?

მეფარიოსი. ტრიბუნის დეცენციუსი.

ელენე. მართლა? კეთილშობილი დეცენციუსი?

იულიანე. ვის ელაპარაკა?

მეფარიოსი. ჭერჭერობით არავის, მეუფეო, ეს-ესაა შემოდგა ფეხი.

იულიანე. ახლაც უხმე... თუმცა მოიცა... მხედართმთავრებიცა და სარდლებიც დაუყოვნებლივ შეახლონ.

მეფარიოსი. კეთილი მბრძანებლო! (იმავე კარიდან გადის).

იულიანე. სულ მალე ყველაფერი გაიკვდება, ჩემო ძვირფასო..

ელენე (ჩუმადა). რაც არ უნდა მოხდეს, ნუ დაივიწყებ, რომ ყოველთვის შეიძლება ჯარისკაცების იმედი გქონდეს.

იულიანე. მმ... იმედი... ნეტა ვიცოდე ხაერთოდ, შემოძლია თუ არა ვისიმე იმედი მქონდეს?

დარბაზში შემოდის ტრიბუნის დეცენციუსი.

ელენე (ეგებება). მოგესალმები, კეთილშობილო დეცენციუსი! რომაული სახე... და რაც მთავარია ეს სახე... ო, რა მშობლიურ, რა ცხოველმყოფელ ნათელსა მფენს იგი ამ პირქუშსა და სტუმართმოძულე მხარეს!

დეცენციუსი. იმპერატორი იზიარებს შენს ჭმუნვას და სასოებას, დედოფლის სწორად იმედი გვაქვს, დიდხანს აღარ მოგიწევს ამ პირქუშ გალიაში ტყვეობა.

ელენე. რახ მიბრძანებ, სიხარულის ძვირფასო მაცნევ? ნუთუ იმპერატორს კვლავინდო-

ბურად ვუყვარვარ? კვლავინდებურად ფიქრობს და ზრუნავს ჩემზე?.. ისე, ჩანს მრთელობას ხომ არ უჩივის?

იულიანო, შენ წადი, მარტო დაგვტოვე, ჩემო ძვირფასო!

დეცენციუსი. იმპერატორის ჩანს მრთელობას არავითარი გაუარესება არ ეტყობა.

ელენე, მადლობა ღმერთს ასეც ვიცოდით აქ კი რას აღარ ამბობდნენ, ესაო, ისაო... კვ-

დეც კარგი, რომ ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდა! გულითადი მადლობა, გადაეცემა ჩემთვის ყველაფერს დასო დეცენციუსს! შენიც დიდი მადლობელი ვარ. რა მდიდრული ძღვენი გვუღწევს! ჩემთვის ნასწარ გუეწყებინა შენი მობრძანება! კემშარიტად მეფური... არა, მეფური კი არა, ძმური საჩუქარია! ორი კუპრივით შავი ნუბიელი... ნეტა გაჩვენა, იულიანე... და მარგალიტის დიადემა! უკვე გავიკეთე... ახლა ხილს აღარ იკითხავ? ჩემი საყვარელი დამასკური ატმები ოქროს სინით... ერთი სული მაქვს, როდის ჩავიტკბარუნებ პირს! აჰ, ხილი, ხილი! ხილის სურვილი მკლავს გალიაში.

იულიანო, საზეიმო სუფრით დავასრულებთ დღევანდელ დღეს; ახლა კი საქმეები გვძლიის. შენ წადი, ჩემო ძვირფასო.

ელენე, მივდივარ, მივდივარ... პირდაპირ ეკლესიაში, რათა ვილოცო ჩემი ძვირფასი ძმისა და ჩვენი სახობისთვის. (მარჯვნივ გადის.)

იულიანო (ხანმოკლე დუმბილის შემდეგ). შენი პირით მითვლის რამეს თუ წერილს მიგზავნის?

დეცენციუსი. წერილს. (გრაგნილს აწვდის.)

იულიანო (კითხვლობს, ძლივს იკავებს ირონიულ ღიმილს და ხელს უწვდის). სხვა?

დეცენციუსი. სულ ეგაა, ჩემო მეუფავ.

იულიანო. მართლა? იმპერატორი ამ სიშორეს მხოლოდ იმითომ აგზავნის თავის მეგობარს, რომ... (ხემაღლა იცინის და ბოლოს ეემას მოპყვება დარბაზში). აღემანების მეფენ კნოდომარმა თუ ჩამოგისწრო რომში?

დეცენციუსი. დიახ, ჩემო მეუფავ.

იულიანო. მერედა, როგორ გადის ფონს უცხო ქვეყანაში თავისი დამტვრეული ბერძნულით? ნამდვილი ხეპრეა, დეცენციუს! კინაღამ სიცილით დახოცა ჩემი ქარისკაცები. შენ წარმოიდგინე, ისეთ საყვედურს სიტყვებსაც ვერ ასხვავებს ერთმანეთისგან, როგორიცაა იმპერატორი და ცეზარი.

დეცენციუსი (მარტო იჩენავს). ბარბაროსს რა მოეკითხება?

იულიანო. მართლაცდა რა მოეკითხება?.. მაგრამ იმპერატორი თუ მაინც სწყალობს?

დეცენციუსი. კნოდომარმა შენი ჭირი წაიღო, ჩემო მეუფავ.

იულიანო (შეღგება). კნოდომარი მოკვდა?

დეცენციუსი. დიახ, დაქირავებულ მოლაშქრეთა ბანაკში, ცელიუმის ბორცვზე.

იულიანო. ჰმ... მოკვდა?.. აღბათ რომის პაერმა აწუინა.

დეცენციუსი. აღემანების მეფე სამშობლოს დარღმა გადაიყოლა. ჩემო მეუფავ... სამშობლოსა და თავისუფლების დარღმა.

იულიანო. ამ დარღზე მძიმე არაფერია, დეცენციუს... დიახ, დიახ, საკუთარი გამოცდილებით ვიცი... არ უნდა გამეგზავნა რომში. ნეტავი აქვე მომეკვლევინებინა.

დეცენციუსი. რა გულმოწყალებ ხარ, ჩემო მეუფავ.

იულიანო. ჰმ... სამშობლოს დარღმა?! მაშ, ასე!.. (სინტელას, რომელიც მარჯვენა კარის დან შემოდის.) აა, ეს შენა ხარ, ბებერო ფანო? ნულარ მაცთუნებ! (დეცენციუსს.) არგენტორატის ბრძოლის შემდეგ საშველს აღარ მაძლევს, სულ ტრიუმფალურ ეტლსა და თეთრ ცხენებზე მეჩიჩინება. (სინტელას.) ეს იქნებოდა ფაეტონის სრბოლა პელიოსის შმაგი ცხენებით... ხომ არ დაგავიწყდა?.. მე მინდოდა მეთქვა შენი წარმართობა ხომ არ დაგავიწყდა-მეთქი?.. მომიტევე დეცენციუს, რომ ამ სიტყვებით, შეურაცხყოფ შენს დვთისმოსავ სმენას.

დეცენციუსი. ცეზარი კი არ შეურაცხყოფს, არამედ უღიტინებს თავის მხახურის სმენას.

იულიანო. დიახ, დიახ. მიუტევე ცეზარს მისი უწყინარი ხუმრობა. ღმერთმანი, არც კი ვიცი, სხვა რა ვიფიქრო... აა, აი, ისინიც!

დარბაზში შემოდის მხედართმთავარი სევერუსი, პრეტორიანელთა მეთაური ფლორენციუსი და სხვა აარდლები, აგრეთვე ცეზარის ტარისტატები.

(შემოსულებს ეგებება.) მოგესალმებით, ძვირფასო ძმებო, თანამებრძოლნო და მეგობრებო! ნუ შემრიხხავთ იმის გამო რომ გზიდანვე გიხმეთ და ისიც კი არ გაცალეთ, ტალახი და კუჭკუ ჩამოგერეცხათ და სული მაინც მოგეთქვათ ამ დამქანცველი მგზავრობის შემდეგ, მაგრამ..

ფლორენციუსი. აღბათ რაღაც საგანგებო მიზნით გვიხმე, ჩემო მეუფავ.

იულიანო დიან, დიან, მართალი ხარ... აბა, თუ მეტყვით, რა აკლდა ცეზარის ბედნიერებას?

ფლორენციუსი. რა უნდა აკლებოდა ცეზარის ბედნიერებას?

იულიანო. როგორც ჩანს, არაფერი. (დეცენციუსს.) ლაშქარი მოითხოვდა, რომ ტრიუმფით შემოვსულიყავი ქალაქში. დიან, უველა ერთხმად მთხოვდა, რომ ჩემი ლეგიონების თანხლებით შემოვგრიადებულიყავი ლუტეციაში და ჩემს ტრიუმფალურ ეტლზე გამობმულნი შემომეთრია ბარბაროსთა ხელბეშეკრული თავკაცნი, ხოლო მათ უკან — ჩვენი დამარჩილებული ტომის ქალებისა და მონების ჯოგი... (ალარ ამთავრებს.) ვინაროდეთ, ჩემო მამაცო თანამებრძოლნო! აი, დღეს, ძვირფასი საჩუქრებით მოსალოცად გვეწვია რომიდან ტრიბუნი დეცენციუსი, იმპერატორის უახლოესი მრჩეველი და მეგობარი.

ფლორენციუსი. აა! ცეზარის ბედნიერებას მართლაც აღარაფერი აკლებია.

სამირუსი (ჩუმად უჩურჩულებს ფლორენციუსს). მოდი ახლა და გაიგე რამე. იმპერატორი უწინდებულად სწყალობს.

ფლორენციუსი. ო, იმპერატორის ეს გაუთავებელი ორქოფობა და ყოყმანი!

იულიანო. რა მოხდა? განცვიფრებისაგან თითქოს უველას ენა მუცელში ჩაგივარდათ? ხედავ, ჩემო ძვირფასო დეცენციუს, ამათ ჰგონიათ, რომ იმპერატორი მეტისმეტ მოწყალებას იჩენს ჩემ მიმართ.

ფლორენციუსი. ეს რამ აფიქრებინა ჩვენს ძვირფას ცეზარს?

სამირუსი. მეტისმეტ მოწყალებას, ჩემო მეუფევ? როგორ გჰკადრება? განა იმპერატორმა არ იცის თავისი წყალობის ზომა?

ფლორენციუსი. მართალია, ეს განსაცვიფრებელი და იშვიათი პატივი...

სამირუსი. ჩემი აზრით, უაღრესად განსაცვიფრებელი და იშვიათი...

ფლორენციუსი. და რაც მთავარია, უოველივე ეს ექვეშევსავლი სიცხადით გვიდასტურებს იმას, რომ ჩვენი ძღვევამოსილი იმპერატორისათვის სრულიად უცხოა უოველგვარი შური...

სამირუსი. ჩემი აზრით, შეუძლებელია ამაზე სრული და ამომწურავი დასტური...

ფლორენციუსი. სამაგიეროდ, ამ რამდენიმე წლის მანძილზე ცეზარმაც ბევრი რამ გააკეთა გალიაში.

იულიანო. რას ბრძანებ, ეს იყო მხოლოდ თვლების, მცონარების, გულისგამაწვრილებელი უმოქმედობის წლები, ძვირფასო მეგობრებო! არაფერი მე არ გამიკეთებია. გულწრფელად ვაღიარებ — არაფერი!

ფლორენციუსი. როგორ? შენი თავმდაბლობა უოველივე ამას არაფრად თვლის? შენ გგონია, აღარ გვახსოვს, რას წარმოადგენდა თუნდაც ლაშქარი, როდესაც შენ ჩაიბარე? თავაშვებულსა და აღვირახსნილ ურდოს...

სამირუსი. რომლისთვისაც უცხო იყო უოველგვარი შინაგანი მთლიანობა, მწყობრი წესრიგი და დისციპლინა...

იულიანო. აკარბებ, სევერუს!

ფლორენციუსი. განა სწორედ ამ აღვირახსნილი ურდოთი არ გაილაშქრე ალემანებზე და სწორედ ამ ბრბოთი არ დაამარცხე ისინი? ბრბოთი, რომელიც შენი მცდელობითა და ძალისხმევით ესოდენ ძღვევამოსილ ლაშქრად აქციე? განა ხელახლა არ წაართვი აგრიაპას კოლონია ბარბაროსებს?

იულიანო. ეჰ, შენ უველაფერს მეგობრის კეთილმოსურნე თვალთ უცქერი, ჩემო ფლორენციუს! ან იქნებ უველაფერი მართლაც ასეა? იქნებ მართლაც განვდევნე ბარბაროსები რენუსის კუნძულებიდან? იქნებ ნახევრად დანგრეული ტრეს-ტაბერნე მართლაც მიუვალ ციხე-ბურჯად ვაქციე, სახელმწიფოს საიმედოდ და საკეთილდღეოდ? იქნებ მართლა ასეა ეს?

ფლორენციუსი. როგორ, მეუფევ? განა შეიძლება ექვის თვალთ უცქერდე შენს ესოდენ დიად საქმესა და დეაწლს?

იულიანო. არა, მართალი ვითხრათ, ხანდახან მეც გგონია, რომ... არგენტორიტის ბრძოლა! განა პირადად არ ვმონაწილეობდი მასში? სულთ ცოდვილო, ისიც კი მეჩვენება, რომ მე თვითონ დავამარცხე კნოდომარი! გამარჯვების შემდეგ კი, სიზმარში ხომ არ მინახავს, ფლორენციუს, ან იქნებ ცხადში აღვადგინე ტრაიანეს სიმაგრე, როცა გერმანელების სამფლობელოში შევიჭერიით?

ფლორენციუსი. ჩემო მეუფევ, რომელი შლეგი შეგეცილება ამ გამარჯვებისა და სიმაგრის აღდგენის პატივს?

სამირუსი (დეცენციუსს). მადლობას ვწირავ ჩემს გამჩენს, რომ სიბერის წლებში ესოდენ ძღვევამოსილი წინამძღოლის ხელქვეითობა მარგუნა წილად.

ფლორენცია (თეოდორე ტრიბუნს მიმართავს). იმის გაფიქრებაზეც კი ტანში მზარავს, თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა შედეგად აღემანების თავდასხმას, კეისრის სიბრძნე და სიამაყე რომ არა.

დანარჩენი კარდლები. (ერთად შეჯგუფდულნი წამოიწვევენ წინ). დიახ, კეისარი ბრძენია და დიადი!

პარისტატები (ტაშისკერით). სწორუპოვარია, უბადლოა ჩვენი ცეზარი.

იულიანე (ხან დეცენციუსს გადახედავს, ხან დანარჩენებს და ბოლოს ხმამაღლა მიმართავს). როგორ აბრმავებს მეგობრობა ხალხს, დეცენციუს! როგორ აბრმავებს (დანარჩენებს მიუბრუნდება და ხელს დაჰკრავს გრაგნილს, რომელიც მეორე ხელში უჭირავს.) აი, აქ კი სულ სხვა რამეა ნათქვამი. უსმინეთ და ცოდნის ცხოველმყოფელი ნამივით შეისრუტეთ ყოველი სიტყვა. ესაა იმპერატორის მიმართვა იმპერატორის ყველა მეფისნაცვლისადმი, — დიდებულმა დეცენციუსმა ასლი გვაახლა, — და აქ ნათქვამია, რომ მე არაფერი გამოკეთებია გალიაში, ყოველივე ეს სიჭმარი ყოფილა თურმე, როგორც ახლახან მოგახსენეთ. აი, საკუთრივ იმპერატორის სიტყვები: „საფრთხე, რომელიც სახელმწიფოს ემუქრებოდა, თავიდან აცილებულ იქნა იმპერატორის შორსმჭვრეტელობისა და წინდახედულების შედეგად!“

ფლორენცია (სახელმწიფოს მთელი კეთილდღეობა მხოლოდ იმპერატორის სიბრძნისა და შორსმჭვრეტელობის შედეგია).

იულიანე. რა თქმა უნდა. აქ ნათქვამია, რომ რენუსზე იბრძოდა და გაიმარჯვა იმპერატორმა: გათელილი, დამცირებული, შეწყალები მთხოვნელი აღემანთა მეფე ფებზე წამოაყენა და სიცოცხლე აჩუქა იმპერატორმა. ჩემი სახელი ერთხელაც არ იხსენიება ამ გრაგნილში... არც შენი, ფლორენციუს, არც შენი, სევერუსს, არგენტორატის ბრძოლის აღწერისას... მოიცა, ხად არის?.. ჰო, აი, ისიც!.. დიახ, არგენტორატის ბრძოლის აღწერისას ნათქვამია, რომ ბრძოლის გეგმა შეადგინა იმპერატორმა; თვით იმპერატორი ისეთი თავგანწირვით იბრძოდა თურმე მეწინავეთა რიგებში, რომ — წარმოგიდგენიათ? ხმალიც კი დაბლაგვებია იმპერატორის ომახიანმა ყიფინამ თავზარი დასცა ბარბაროსებს და უწესრიგოდ უკუაქცია ისინი... წაიკითხეთ, წაიკითხეთ-მეთქი, თქვენ გეუბნებით!

სემპროსი, ჩვენ შენი სიტყვებიც გვეყოფა, ცეზარი!

იულიანე. რაღა აზრი აქვს ყოველივე ამის შემდეგ თქვენს მაცდურ სიტყვებს, მეგობრობო? თქვენ გინდათ ჩემდამი უსაზღვრო სიყვარულის წყალობით ნამდვილ პარაზიტად მაქციოთ; ჩემი დიდებული ნათესავის სუფრიდან დაცვნილი ნამცეცებიტა მკვებოთ!.. რას იტყვი ამაზე, დეცენციუს? ხომ ხედავ, იძულებული ვარ ჩემს საკუთერ ბანაკში თვალი ფხიზლად მეჭიროს ჩემს მომხრეებზე, თორემ მათი ბრმა ერთგულებიდან ერთი ნაბიჯიღაა ამბოხებამდე.

ფლორენცია (სასწრაფოდ მიმართავს ტრიბუნს). რა უკუღმართად უნდა გაეგოთ ჩემი სიტყვები, რომ...

სემპროსი (ასევე). ჩემს სიცოცხლეში აზრადაც არ მომივიდოდა...

იულიანე. ასე, ჩემო ძვირფასო თანამებრძოლნო! დავიცბროთ ზვაობა და ქედმაღლობა! მე გკითხეთ, რა აკლია ცეზარის ბედნიერებას-მეთქი? ახლა თქვენ იცით, სიმართლის შეგნება, — აი, რა აკლდა ჩემს ბედნიერებას. შენს ვერცხლის მუზარადს, ჩემო მამაცო ფლორენციუს, აღარ დაედება ტრიუმფალური მსვლელობისას ადენილი მტვერი. იმპერატორი ჩვენ მაგივრად შევიდა ტრიუმფით რომში და თვლის, რომ ყოველგვარი ზეიმი ზედმეტია აქ, ლუტეციაში. წადი, სინტულა, და განჯარგულება გაეცი, რომ ნავარაუდევო მსვლელობა გაუქმებულ იქნეს. იმპერატორი თვლის, რომ მისი ჯარისკაცებისათვის ბრძოლისა და მგზავრობის შემდეგ დასვენება უფრო სასარგებლოა. მას ნებავს, რომ ლაშქარი ქალაქგარეთ, ბანაკებში დარჩეს.

სინტულა გადის.

მე ხომ ოდესღაც ფილოსოფოსი ვიყავი? ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდნენ ათენსა და ეფესში, მაგრამ როგორ აღუნებს და აჩლუნგებს ფუფუნება აღამიანის სულს! კინაღან ვულაატე სიბრძნესი მადლობა ღმერთს, იმპერატორმა დროზე გამომაფხიზლა. ჩემი გულითადი მადლობა გადაეცი, დეცენციუს! რამე ხომ არა გაქვს კიდევ სათქმელი?

დეცენციუსი. ერთსაც მოგახსენებ. იმ ხმებიდან, რომლებიც იმპერატორის ყურს მიადწია და იქიდანაც, რაც თვითონ შენ არგენტორატის ბრძოლის თაობაზე მისწერე, — შეიძლება დავასკვნათ, რომ გალიის დაშოშმინებისა და დამორჩილების საქმე დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს.

იულიანე. რა თქმა უნდა. იმპერატორმა ნაწილობრივ თავისი სიამაყის, ნაწილობრივ კი დიდსულოვნებისა და თვინიერების წყალობით...

დეცენციუსი. იმპერიის რენუსისკირა საზღვრებზე სრული მშვიდობა სუფევს.

იულიანე. იმპერატორის, მხოლოდ და მხოლოდ იმპერატორის წყალობით!

დეცენციუსი. დუნაის საზღვრებზე კი, პირიქით, შავადაა საქმე; აზიაში უფრო უარესად; მეფე საპორი თანდათანობით გვაფიწროვებს და დაფინებით მოიწვევს წინ.

იულიანე. თავგასული!.. როგორც გავიგეთ, ამ ზაფხულს იმპერატორს ნება არ დაურთავს თავისი მხედართმთავრებისათვის, გაენადგურებინათ იგი.

დეცენციუსი. გამოზაფხულს იმპერატორი თვითონვე აპირებს მისი „გაყვანულებს“. (გრაგნილს ამოიღებს.) აი, მისი ბრძანება, ჩემო მეუფე!

იულიანე. ვნახოთ, ვნახოთ! (კითხულობს.) აი.. (ბელახლა უბრუნდება წაკითხულს; ეტყობა, ძალიან დღლავს, შემდეგ თავს აიღებს და ამბობს.) ამრიგად, იმპერატორი ბრძანებს რომ... კეთილი და პატიოსანი, ჩემო ძვირფასო დეცენციუს, იმპერატორის ნება-სურვილი შესრულებული იქნება.

დეცენციუსი. კი მაგრამ, აუცილებელია, რომ დღესვე შესრულდეს.

იულიანე. რა თქმა უნდა, დღესვე!.. სინტულა! სადა ხარ?.. ჰო, მართლა... დააბრუნეთ!

ერთ-ერთი პარისტაცი ბადის. იულიანე ფანჯრის რაფას ეკრძნობა და ერთხელ კიდევ კითხულობს გრაგნილს.

ფლორენციუსი (ხმადაბლა — ტრიბუნს). გვედრები, ცუდად ნუ ჩამომართმევ ჩემს წოდანდელ სიტყვებს. პატივს რომ მივაგებდი ცეზარს, რა თქმა უნდა, სულაც არ მინდოდა, რომ...

სემპრონი (ასევე ხმადაბლა — ტრიბუნს). არასოდეს შემპარვია ეჭვი იმაში, რომ მხოლოდ იმპერატორის ბრძნული წინამძღოლობით...

პარისტაცი. (მეორე მხრიდან). გვედრები შენს მეუფებას, სიტყვა შემაწიოს ხასხლის კარზე, რომ ამ წყველი თანამდებობიდან გამოთავისუფლონ... რა თქმა უნდა ცეზარი იმპერატორის ახლო ნათესავია, მაგრამ...

მეორე პარისტაცი. რა თქმა უნდა, მე შემეძლო შენთვის მეცნობებინა ბევრი ისეთი რამ, სამწუხაროდ, თანაბრად რომ მოწმობს როგორც ცეზარის უსაზღვრო პატივმოყვარეობას, ისე მის უაღრესად თავხედურ ზრახვებსაც...

იულიანე. დღესვე!.. აი, რას გეტყვი, დეცენციუს! არაფერს ისე არ ვნატრობ, როგორც ესოდენ პასუხსაგები მოვალეობისაგან განთავისუფლებას...

დეცენციუსი. აუცილებლად მოვანხენებ იმპერატორს.

იულიანე. ღმერთია მოწმე, რომ არასოდეს... მაგრამ, აი, სინტულაც! ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია... (ტრიბუნს). როგორ, მიდიხარ?

დეცენციუსი. შენს მხედართმთავრებს უნდა მოველაპარაკო, ჩემო მეუფე!

იულიანე. უჩემოდ?

დეცენციუსი. იმპერატორმა მიბრძანა, ზედმეტად არ შემეწუხებინა მისი ძვირფასი ნათესავი. (დანარჩენების თანხლებით გადის. მხოლოდ სინტულა რჩება კართან.)

იულიანე (ერთხანს უხმოდ უყურებს). სინტულა!

იულიანე. გისმენ, ჩემო მეუფე!

იულიანე. მომიახლოვდი!.. არა, მართლა პატიოსან კაცს ჰგავხარ. მომიტევე, არასოდეს არ მიფიქრია, რომ შენი სახით ასეთი ერთგული ქვეშეურდომი მყავდა.

სინტულა. ახლა ვინლა მოგახსენა ჩემი ერთგულების ამბავი?

იულიანე. (გრაგნილს უჩვენებს). აი, ამ გრაგნილმა. აქ ნათქვამია, რომ შენ უნდა დამტოვო.

სინტულა. მე, მეუფეო?

იულიანე. იმპერატორი გადიის ლაშქრის დათხოვნას აპირებს, სინტულა!

სინტულა. დათხოვნას აპირებს?

იულიანე. მას, რა დავარქვა ამას? იმპერატორს მაშველი ძალები სჭირდება როგორც დუნაისპირეთში, ისე აზიაშიც, სპარსელების წინააღმდეგ. ჩვენი მოკავშირეების — ბატავეებისა და პერულების ლაშქარი დაუყოვნებლივ უნდა დაიძრას, რათა გაზაფხულის დამდევს უკვე აზიაში იყოს.


სინტულა. კი მაგრამ, ეს ხომ შეუძლებელია, ჩემო მეუფე? შენ საზეიმო ფიცი მიეცი ჩვენს მოკავშირეებს, რომ მათ არასდროს არ გაიწვივდნენ საომრად აღაპებს გადაღმა.

იულიანე. საქმეც სწორედ ეგაა, სინტულა, იმპერატორი იწერება, რომ მე წინდაუხედავად და მის დაუკითხავად დავდე ეს ფიცი. მაიძულებენ სიტყვა გავტეხო; უნდათ გამაშავონ

მთელი ლაშქრის თვალში და თავს დამატებონ ბარბაროსების აღვირახსნილი რისხვა... შეიძლება სასიკვდილოდაც კი გაემიეტონ!

სინტულა. ეგ არ მოხდება, ჩემო მეუფე! რომაული ლეგიონები მკერდით აღდგებიან შენს დასაცავად!

იულიანე. რომაული ლეგიონები? ჰმ... რა მიაშინა კაცი უოფილხარ, ჩემო სინტულა. ნაბრძანებია თვითმული ლეგიონიდანაც გამოჰყონ სამ-სამი ასეული, რომლებმაც კი ჩემს მხარეს გზებით უნდა იარონ იმპერატორის ლაშქართან შესაერთებლად.



ბიბლიოთეკა

სინტულა. ა!.. ეს ხომ...

იულიანე. უველაფერი გულდასმით გათვლილია, არა? უნდათ ჩემ წინააღმდეგ აღძრან უველა შენაერთი, რათა მით უფრო სწრაფად განმთავრდონ.

სინტულა. უნდა მოგახსენო, მეუფეო, რომ არც ერთი შენი მხედართმთავარი არ დათანხმდება ამას.

იულიანე. ჩემს მხედართმთავრებს არც მოელოთ ამნაირი ცთუნების საშიშროება. მხოლოდ შენ განდობენ ამას.

სინტულა. შე, მეუფეო?

იულიანე. აქ ასე სწერია. იმპერატორი შენ გავალებს, მოახდინო უველა საჭირო განკარგულება და შემდეგ ლაშქრის რჩეული ნაწილებითურთ დაიძრა რომისაკენ.

სინტულა. შე გავალებს? მაშინ როდესაც აქ არიან ისეთი მხედართმთავრები, როგორცაა ფლორენციუსი, ბებერი სევერუსი და სხვები...

იულიანე. შენი შეცოდებების ნუსხაში არც ერთი გამარჯვება არ მოიძებნება, სინტულა.

სინტულა. რას იზამ, ჩემთვის არასოდეს მოუციათ თავის გამოჩენის ხაშუალება...

იულიანე. შე მართალი არ ვიყავი შენ მიმართ. მაღლობას მოგახსენებ ერთგულებისთვის.

სინტულა. უსაზღვროა იმპერატორის გულმონწყალება. მეუფეო, ნება მიბოძე ჩავხედო...

იულიანე. რას უნდა ჩახედო? განა შენ ამის კაცი ხარ, სინტულა?

სინტულა. ღმერთო, მიშველე! როგორ იქნება იმპერატორის ბრძანებას არ დავემორჩილო?

იულიანე. სინტულა, რა გული მოგცემს, განაიარაღო შენი ცეზარი?

სინტულა. ცეზარი არასოდეს სათანადოდ არ მათახებდა. ცეზარი ვერ იტანდა იმას, რომ იძულებული იყო იმპერატორის მიერ შერჩეული მსახურები ჰყოლოდა გვერდით.

იულიანე. იმპერატორი დიადია და ბრძენი, კაცის ცნობაში არ მოტყუვდება.

სინტულა. მეუფეო, ერთი სული მაქვს, როდის აღვასრულებ ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას... მოწყალება მოიღე და მიჩვენე იმპერატორის ბრძანება.

მირა (შეშფოთებული შემობრბის მარჯვენა კარიდან). ღმერთო, გვიშველე!

იულიანე. რა მოხდა, მირა?

მირა. ცა დაგვემხო და დაგვიტანა!.. ჩემი ძვირფასი ქალბატონი...

იულიანე. შენი ქალბატონი?... რა ნოუვიდა?

მირა. ან ავადა ან შეიშალა... გვიშველეთ, გვიშველეთ!

იულიანე. ელენე ავადა?... ექიმო! ჩქარა! სინტულა, ორიბასიოსს უბოძე!

სინტულა შუა კარიდან გადის. იულიანე ხელმარჯვნივ აპირებს გასვლას, მაგრამ გზაშივე შეეჩხება მოახლავებით გარშემორტყმულ ელენეს, რომელსაც თმა და ტანსაცმელი ასჩეჩია, სახე შეშლილს მიუგავს.

ელენე. ამომადრეთ, სავარცხელი ამომადრეთ-მეთქი! ვის ვეუბნები?... მწვავს, მდაგავს! თმაზე ცეცხლი მიკიდა!.. ვიწვი, ვიწვი!..

იულიანე. ელენე!.. რა დაგემართა?

ელენე. რატომ არავინ მშველის?... ნემსების ჩხვლეტით მივირებთ მოკვლას?

იულიანე. ელენე, ჩემო ძვირფასო!.. რა ამბავია შენს თავს?

ელენე. მირა, მირა! მომავორე ეს გომბიოები, მირა!

ორიბასიოსი (შუა კარიდან შემოდის). ეს რა საშინელება მითხრეს?... მართალია?... ა!..

იულიანე. ელენე, ჩემო სიყვარულო, ჩემო სულისდგმავ!..

ელენე. თავიდან მომწყდის... მაცხოვარო, შენ შემეწიე! (მოახლეების ხელებზე გადაესვენება).

იულიანე. გონება დაკარგა... რა არის ეს, ორიბასიოს? დააკვირდი, რამხელა თვალები აქვს...

ორიბასიოსი (მირას). ჩომ არაფერი მიურთმევია ქალბატონს?... იქნებ რამე შეჭამა ან დალია?



იულიანო. აი... შენი აზრით...

ორიბასნიოსი. მიპასუხეთ, ქალებო, ხომ არაფერი მიგირთმევიათ ქალბატონისთვის?..

მირა. ჩვენ?.. არა... ღმერთმანი, არაფერი... თვითონ...

ორიბასნიოსი. რა თვითონ? აღარ იტყვი?

მირა. თვითონვე შეკამა... მგონი, ორიოდ ატამი... აბა, რა ვიცი?

იულიანო. ატამი? ის ხომ არა, დღეს რომ...

მირა. დიახ... არა... დიახ... არ ვიცი, მეუფეო! იქ ორი ნუბიელი იქ...

იულიანო. გვიშველეთ, ორიბასნიოსი

ორიბასნიოსი. ვშიშობ, რომ...

იულიანო. არა, არა, არა!

ორიბასნიოსი. ჩუმად, მოწყალეო მეუფეო, ჩუმად... მგონი, გონს მოდის!

ელენე (ჩუჩქლით). რატომ ჩავიდა მზე? რა უცნაურია ეს სიბნელე!..

იულიანო. ელენე! მომისმინეთ, ელენე!.. გონება მრიყრიბე!

ორიბასნიოსი. ქალბატონო...

იულიანო. აი, ექვნი, ელენე... (ხელა ჩაატოლებს...) არა, აქ, — ჩემ გვერდით!

ელენე (ხელს გამოსტაცებს). ფუჰ! ისევ ის!

იულიანო. ვერ მხედავს. აქა ვარ, ელენე, შენთან!

ელენე. სულ ჩემთან უნდა იყო?.. მეზიზღები!..

იულიანო. რაო, რას ამბობს?

ორიბასნიოსი. აქეთ გამობრძანდი, მეუფეო!

ელენე. რა სიჩუმეა... მან არც კი იცის... ო, ჩემო ძვირფასო გალუს!

იულიანო. გალუს?..

ორიბასნიოსი. მობრძანდი, მობრძანდი, მეუფეო, არ შეგფერის...

ელენე. რა სქელი თმა გაქვს, ჩუჭუჭა კეფაზე ჩიუტად ჩახვეული... აჰ, შენი მოკლე, მო-
რგვივით სქელი კისერი.

იულიანო. დალაზვროს ღმერთმა!

ორიბასნიოსი. ბოდავს...

იულიანო. მესმის, მესმის, სიმართლე უნდა გავიგოთ, ორიბასნიოს!

ელენე (ჩუჩქლით). ახლა ისევ ჩააცვივდება სიმართლეს, ისევ მოპყვება ჭეშმარიტე-
ბის ჩხრეკას... თითები — მელნით მოთხვრილი, თმა — წიგნების მტვრით სავსე... ჭუჭყიანი,
დაუბანელი... ფუჰ! რა საშინლად უარს!

მირა. მეუფეო, ხომ არ მიბრძანებ, რომ...

იულიანო. მოწყდი აქედან!

ელენე. არა გრცხვენია? ამას როგორ დაამარცხებინე თავი, ჯან-ღონითა და სიცოცხლით
სავსე ბარბაროსო? ქალსაც კი ვერ დაამარცხებს. ო, როგორ მძულს, როგორ მეზიზღება ეს
უნიათო სიქველე!

იულიანო. მოშორდით ყველა! გამოდი, ორიბასნიოს! მე თვითონ მოვუვლი ქალბატონს!

ელენე. რატომ მიბრაზდები, ჩემო ღვთისაღარო? გალუსი ხომ მოკვდა... აღარ არის...
თავი მოპყვეთეს!.. აი, დარტყმაც ეს იყო! ნუ ექვიანობ, ჩემო ერთადერთო, ჩემო პირველო
და უკანასკნელო! გოგონების გეგნაში ჩააგდე გალუსი... მხოლოდ შენ ერთს გალმერთებ,
მხოლოდ შენ ერთს შენ ერთს...

იულიანო. ნუ მოხვალ, ნუ, ორიბასნიოს!

ელენე. მღვდელიც თან მიყვალე! ამის შემდეგ მისი დანახვაც აღარ მინდა. ხომ იცი, რა
ტბილია ჩვენი საიდუმლო? ო, ჩემო დღეების სევდავ, ჩემი ღამეების შმაგო სიხარული ეს
ხომ შენ იყავი, თვითონ შენ... შენივე მსახურის სახით... სამლოცველოში... დიახ, დიახ, ეს
შენ იყავი... ბნელში, მრუმე ჰაერში. საკმევლის მსუბუქ ნისლში... იმ ღამეს, როცა მომავალი
კეისარი ჩემს მკერდქვეშ...

იულიანო (ყვირილით მიაწყდება ედელს). აი...

ელენე (ხელებს უწვდის). ჩემო მეუფეო და მბრძანებელი ჩემო, ჩემო... (უგონოდ ეც-
ემა ძირს).


მოახლეები მისცივდებიან და თავზე დაჰფუფუნებენ.

იულიანო (ერთბანს უძრავად დგას, მერე მუშტს მალლა შემართავს და წამოიძახებს).
გალილეველო!

მოახლეებს ხელმარჯვნივ გააქვთ ელენე. იმავე წამს შუა კარიდან ოთახში სწრაფი
ნაბიჯით შემოდის სალუსტინუსი.

სალუსტიუსი. ქალბატონი უგონოდაა.. როგორც ჩანს, მაინც...

იულიანე (ეჭიშხანს ხელს ჩასჭიდებს და განზე გაჰყავს). სიმართლე მითხარი! თუ იცოდი, დღევანდელ დღემდე, რომ... ხომ გესმის, რას გეკითხები? დიახ, თუ იცოდი, რომ ქალბატონი...



ორიბასიოსი. ისევე, როგორც ყველამ, ჩემო მეუფევ! იულიანე, მერედა, რატომ არ მითხარი, ორიბასიოს?

ორიბასიოსი. როგორ, მეუფეო?

იულიანე. როგორ გაბედე ჩემთვის დაგემალა?..

ორიბასიოსი. მეუფეო, არავინ არ იცოდა მხოლოდ ერთი რამ...

იულიანე. მაინც?..

ორიბასიოსი. რომ ეს ამბავი უცნობი იყო თვით კეისარისთვის. (წასვლის აპირებს.)

იულიანე. საით?

ორიბასიოსი. რაც ჩემს ხელთაა, ყველაფერი უნდა მოვხინჯო....

იულიანე. მე მგონია, შენი ხელოვნება ველარ უშველის.

ორიბასიოსი. კი მაგრამ, ხომ შეიძლება...

იულიანე. ველარაფერს უშველის-მეთქი!

ორიბასიოსი (ნაბიჯით უკან იხევს). მეუფეო, ჩემი მოვალეობა მიკრძალავს, ამჭერად დაგემორჩილო...

იულიანე. მშ... ასე გესმის ჩემი სიტყვები? კეთილი წადი! მოხინჯე ყველაფერი, რასაც შენი ხელოვნება... გადარჩინე იმპერატორის და, თორემ რაღა ეშველება, მისი უნაწეხი სიყვარული რაიმე უბედურების წყარო რომ შეიქმნეს? ხომ იცი, რომ ის ატმები იმპერატორის გოძღვნილია?

ორიბასიოსი. ა!..

იულიანე. წადი, წადი რაღას უყურებ? წადი და მოხინჯე ყველაფერი, რასაც შენი ხელოვნება...

ორიბასიოსი (მოწიწებით იხრება). მე მგონია, ჩემი ხელოვნება უძლურია, ჩემო მეუფევ! (ხელმარჯვნივ გადაის).

იულიანე. აა, შენ აქა ხარ, სალუსტიუს? რას იტყვი? ბედისწერის ტალღები, მგონი, კვლავ შთანთქმას უქადის ჩემს გვარს.

სალუსტიუსი. კი მაგრამ, იქნებ გადარჩენა მაინც შეიძლებოდეს?.. ორიბასიოსს...

იულიანე (მტკიცედ). ის მოკვდება.

სალუსტიუსი. ო, ნეტავი ხმის ამოდება გამაბედვინა! ნეტა შემეძლოს მივაკვლიო იმ დუშალ ძაფებს, რომლებითაც მოქსოვილია ეს საბედისწერო ბადე!

იულიანე. დამშვიდდი, ჩემო ძვირფასო, ადრე თუ გვიან ყველაფერი გამოაშკარავდება, და მაშინ...

დეცენციუსი (შუა კარიდან შემოდის). რა პირით უნდა შევხედო ცეზარს?.. კრემარიტად გონებაში უწვდომელნი არიან გზანი უფლისანი! ნეტავი ამას არ მოვხსნებოდი... რომ იცოდეთ რა ცეცხლი ტრიალებს ახლა ჩემს გულში. უბედურების მაცნე ვყოფილვარ!

იულიანე. დიახ, შენ სრული უფლება გაქვს ორჯერ გაიმეორო ეს, კეთილშობილო დეცენციუსს! ხად ვიპოვო სიტყვა, რომ რაც შეიძლება სათუთად, სათანადო სიფრთხილით მივაწვდინო ეს საშინელი ამბავი იმპერატორის ძმურ სმენას?

დეცენციუსი. ვაი ჩვენს დღეს და მოსწრებას! ბედი არ გინდა? რაღა მაინცდამაინც ჩემი ელჩობისას მოხდა? მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნაო, რომ იტყვიან, ესაა სწორედ!

იულიანე. დიახ, დიახ, ეს სრულიად მოულოდნელად ამოვარდნილი, ბედისწერის მიერ თავს დატეხილი ქარიშხალი, სწორედ იმ დროს, როცა ხომალდი ის-ის იყო უნდა მიხდგომოდა ამდენი ხნის ნანატრ მყუდრო ნავსადგურს. ოპ, ეს... მწუხარება, მეცა და შენც მკვერ-მეტყველების ნიჭს გვიმძაფრებს, დეცენციუს, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, — საქმე! ის ორი ნუბიელი დაუყოვნებლივ უნდა დავაპატიმროთ და დავკითხოთ.

დეცენციუსი. ნუბიელები, ჩემო მეუფევ? ნუთუ გგონია, ჩემს მრისხნებას იმდენის ატანა შეეძლო, რომ ამ ორ უკეთურ მონას თუნდაც ერთი წუთით უფრო მეტხანს...

იულიანე. როგორ?.. ხომ არ?..

დეცენციუსი. გნებავს წინდაუხედავი მიწოდე, გნებავს სულმოკლე, მაგრამ ჩემს თანაგრძნობას იმპერატორისა და მისი დამწუხრებული სახლეულის მიმართ თანაგრძნობა არ ეთქმოდა, ამ უბედურებაში სიმშვიდის შენარჩუნება და გონების კარნახით ქცევა რომ შემეძლებოდა

იულიანო. ესე იგი, ორივე მონა მოაკვლევინე?

დეცენციუსი. ჯანა სამგზის არ იმსახურებდნენ სიკვდილს თავიანთი დაუდევრობისა და უგულვისურობის გამო? თანაც ეს იყო ორი ველური წარმართი, ჩემო მეუფე! სულერთია, მათი მოწმობა მაინც არაფერს მოგვცემდა. ვერც ვერაფერს ვათქმევინებდით, გარდა იმისა, რომ გაუფრთხილებლად მიატოვეს ეს დიდებული ძღვენი გაღერებაში, სადაც მასზე უველას მიუწვდებოდა ხელი...

იულიანო. ამაი აი, თურმე რა უოფილა, დეცენციუს!

დეცენციუსი. მე არავის არა ვდებ ბრალს. მაგრამ გაუფრთხილებ, ჩემო ძვირფასო ცეზარ, არახაიმედო მსახურებითა ხარ გარშემორტყმული. შენი სასახლის კარზე — რა საშწუბარო გაუგებრობაა! — როგორც ჩანს, ივარაუდებს, რომ იმპერატორის ბრძანებებსა თუ განკარგულებებში, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ აუცილებლობითაა გამოწვეული, ერთგვარი უნდობლობა გამოსჭვივის, თუ რა ვიცი, კიდევ რა ვუწოდო ამას, მაშინ როდესაც სინამდვილეში...

სინტულა (უკან ბრუნდება). მეუფეო, შენ ისეთი რამ დამავალე, რომ მისი შესრულება ჩემს ძალ-ღონეს აღემატება.

იულიანო. მე კი არა, იმპერატორმა დაგავალა, ჩემო სინტულა!

სინტულა. გამათავისუფლე ამ მოვალეობისაგან, მეუფეო, მაგისი თავი არა მაქვს.

დეცენციუსი. რა მოხდა?

სინტულა. ბანაკში ამბობებაა. ჩვენი ლეგიონებიცა და მოკავშირეთა მაშველი ძალებიც ერთად იყრიან თავს...

დეცენციუსი. იმპერატორის ნებას ეურჩებიან?

სინტულა. გაჭყვირიან, რაც ცეზარმა აღგვითქვა, უველაფერი ისე უნდა დარჩესო.

იულიანო. გესმით, როგორ ღრიალებენ?

სინტულა. სასახლისაკენ მოიხწრაფიან...

დეცენციუსი. არავინ შემოუშვათ...

სალუსტიუსი (სარკმელთან). გვიანდაა; მთელი მოედანი უკვე ქარისკაცებით აივსო; რა-დაცას გაჭყვირიან, იმუქრებიან...

დეცენციუსი. ცეზარის ძვირფასი სიცოცხლე საფრთხეშია, სადაა ფლორენციუსი?

სინტულა. გაიქცა.

დეცენციუსი. უ, ეგ არამზადა!.. სევერუსი?..

სინტულა. რა ვიცი, ავად ვარო... ბრძანება გასცა, ჩემს მამულში წამიყვანეთო.

იულიანო. მე თვითონ მოველაპარაკები მემამბოხეებს.

დეცენციუსი. ფეხი არ მოიცვალო, მეუფეო!

იულიანო. კიდევ ხომ არაფერს მიბრძანებ?

დეცენციუსი. ეს ჩემი მოვალეობაა, მოწყალეო მეუფე, მე მხოლოდ იმპერატორის ნებას ვასრულებ... მისი ძვირფასი ნათესავის სიცოცხლე... ცეზარი ჩემი ტყვეა!..

სალუსტიუსი. აი...

იულიანო. აი, ხომ ხედავთ, ბოლოს მაინც უველაფერი გამოაშკარავდა.

დეცენციუსი. ხასახლის გვარდიას უხმე, სინტულა!.. ცეზარს უვნებლად ჩაიყვან რომში!

იულიანო. რომში?

სინტულა. რას ამბობ, ძვირფასო დეცენციუს?

დეცენციუსი. რომში-მეთქი!

იულიანო. გალუსივით არა? (ფანჯარას მივარდება და უვირის). მიშველეთ, მიშველეთ!

სალუსტიუსი. გაიქეცი, ცეზარი გაიქეცი!

ფანჯრის იქით ველური ღრიალი ისმის. ფანჯარაში მოძვრებიან რომაული ლეგიონების, ბატალთა მაშველი ძალებისა და სხვა მოკავშირეთა რაზმების ჯარისკაცები. იმავდროულად კიდევ ერთი ბრბო შუა კარიდან შემოიჭრება დარბაზში. მათ წინ მოუძღვით მადრონი მამროსი, ქარისკაცებს უკან მოსდევენ ქალები, ზოგიერთ მათგანს ბავშვი აუტაცებია ხელში. ნაბიჯი ჯარისკაცების ბრბოდან. ცეზარი ცეზარი!

სხმები, რატომ გაგვიდევ, ცეზარ?!

დანარჩენები. სიკვდილი მოლაღატეს!

იულიანო (ხელებგაშლილი მიეჭანება ქარისკაცებისაკენ). ძვირფასო ძმებო და თანამებ-რძოლნო... მიხსენით ჩემი მტრებისგან!

დეცენციუსი. აი.. რა არის ეს?..

ველური ღრიალი: „ძირს ცეზარის სიკვდილი ცეზარს!“

იულიანო. გარს შემომერტყითი.. ხმლები იშიშვლეთ!

მავროსი. შიშველი ხმლები როგორღა უნდა ვიშიშვლოთ?

ქალბი. აჩებეთი თავი გააგდებინეთ!

იულიანო. შადლობელი ვარ, დროულად რომ გამოცხადდით!.. მავროს, ჩემო ძვირფასო!



მავროსი შენი იმედი კი შეიძლება მქონდეს!

ბატაპი. როგორა ბედავ, ქვეყნის დასალიერს რომ გვაგზავნი? განა ეს შეშინებდა?

დანარჩენ მოკავშირეთა ჯარისკაცები. ფეხსაც არ მოვიცვლითი რატომ უნდა?

მთ ალაპებს გადალმა?

იულიანო. არა, არ წავალ რომში მე თვითონ არ წავალ! მათ უნდა მომკლან, ისევე,

როგორც ჩემი ძმა გალუსი მოკლეს!

მავროსი. რას ამბობ, მეუფევ?

იულიანო. ხელი არ ახლოთ კეთილშობილ დეცენციუსს. ის უდანაშაულოა.

ანისთავი ლაიკსონი. სწორია; დამნაშავე ცეზარია!

იულიანო. აა, ეს შენა ხარ, ლაიკსონ? ჩემო მამაცო შეგობარო! ნამდვილი ლომივით იბრძოდი არგენტორატთან.

ლაიკსონი. ცეზარს ეს ახსოვს?

ანისთავი მარონი. თავისი დაპირება კი აღარ ახსოვს!

იულიანო. მგონი, უშიშარი ვარონის ხმა მესმის!.. დიახ, აი, ისიც! ვხედავ, კრილობა შეგხორცებია... შენისთანა კაცზე უველაფერი ალალია, მე კი ნებას არ მაძლევენ, რომ მხედართმთავრობა მოგანიჭო.

მარონი. მართლა?..

იულიანო. იმპერატორის ძვირს ნუ გამაგონებ; რა ვუყოთ, რომ ჩემს თხოვნაზე უარი მითხრა. იმპერატორი არც ერთ თქვენგანს არ იცნობს ისე კარგად, როგორც მე გიცნობთ.

დეცენციუსი. ჭარისკაცებო. მომისმინეთ!

ჯარისკაცები. არც იმპერატორთან და არც მის ელჩთან არაფერი გვესაქმება!

დანარჩენები (მუჭარით მოიწევენ წინ). კეთილინებოს და თვითონ ცეზარმა გვიპასუხოს!

იულიანო. ვინ ჰკითხავს რამეს თქვენს უბედურ ცეზარს, ჩემო შეგობრებო?.. რომში მიპირებენ წაყვანას. იმის ნებასაც არ მაძლევენ, ჩემი საკუთარი საქმეები მოვიგვარო. უადაღას აღებენ ჩემს წილ სამხედრო ნადავლს. მე მინდოდა თვითელი ჭარისკაცი ოქროს ხუთ-ხუთი და ვერცხლის თითო სესტერციით დამესაჩუქრებინა.

ჯარისკაცები. და ამის ნებას არ გაძლევენ?

სხვები. ვინ უბედავს უარის თქმას ჩვენს ძვირფას კეისარს?

მავროსი. ხედავთ. როგორ ექცევიან ცეზარს, ჭარისკაცების მამას?

ლაიკსონი. ცეზარს, რომელიც ჩვენი შეგობარი უფროა, ვიდრე მბრძანებელი! ასე არ არის?

ხმები. ასეა, ასე!

მარონი. განა გამარჯვებულ ცეზარს იმის უფლება არ უნდა მქონდეს, რომ მხედართმთავრებად ვინც უნდა, ის დანიშნოს?

მავროსი. განა სხვებისგან უნდა ითხოვდეს იმის ნებართვას, რომ თავისი წილი ნადავლი ისე მოიხმაროს, როგორც თვითონ ეპირანება?

ხმები. აბა, აბა! შენ ეგა თქვი და!..

იულიანო. კი მაგრამ, რად გინდათ უოველივე ეს?.. დედამიწის მთელი სიკეთეც რომ დაგიხვავოთ, მერედა. თქვენ რა, თუკი ქვეყნის დასალიერს გაგრეკავენ, ხადაც, ვინ იცის, რას გიმზადებთ ბედი?

ჯარისკაცები. არსადაც არ წავალთ!

იულიანო. ნუ მიუყრებთ, — სირცხვილით ვიწვი! მზადა ვარ ცრემლის მდინარეები ვღვარო, როცა დავფიქრებები, რომ სულ რაღაც ორი-სამი თვის შემდეგ ათახგვარი სწეულეების, შიმშილის, სისხლისმსხველი მტრების მსხვერპლი გახდებით...

ჯარისკაცები (გარს ერტყმიან). ცეზარ, ჩვენო მწუალობელო ცეზარ!

იულიანო. თქვენი უმწეო ცოლ-შვილი კი, რომლებიც დვთისანაბარა უნდა დაჰყაროთ!.. ვინ დაიცავს მომავალ ქვრივ-ობლებს შურისმაძიებელი აღემანების თავდასხმისაგან?

ქალბი (ქვითინით). ცეზარ, ცეზარ, ნუ გაგვწირავ, ნუ მიგვატოვებ...

იულიანო (ცრემლებს იწმენდს). რას წარმოადგენს ცეზარი, რა შეუძლია უოფილ ცეზარს?

ლაიკსონი. მისწერე იმპერატორს, აუხსენი...

იულიანო. მმ... იმპერატორს!.. იმპერატორი ავადაა, სულითაც და ხორციითაც, სახელმწი-

ფოს კეთილდღეობაზე წრუნვით გამოსავათებული და გამოფიტული. ასე არაა, დეცენციუს?
დეცენციუსი. რა თქმა უნდა, მაგრამ...

იულიანო. გულმა რეჩხი მიყო, როცა გავიგე, რომ (ხელს არამეცს ახლო მდგომთ.) ილ-
ოცეთ მისი სულისათვის, იესო ქრისტეს მოსავენო! მსხვერპლი შესწირეთ და მისი ჭანმრთე-
ლობისათვის ევედრეთ დმერთებს, მამა-პაპათა სჯულზე მდგარნი.. თქვენ აღბათ იცით, რომ
იმპერატორი ტრიუმფით შევიდა რომში!

უკონუსული
ბიზლირისეა

მავროსი. იმპერატორი?

მარონი. როგორ? დუნაიზე დამარცხების შემდეგ?

იულიანო. დუნაისპირეთიდან დაბრუნებული ჩვენ ნაცვლად შევიდა ტრიუმფით რომ-
ში...

დეცენციუსი (მუქარით). დაფიქრდი, ცეზარი..

იულიანო. დიახ, მართალს ბრძანებს ტრიბუნი, — დაფიქრდით, როგორ უნდა დაებინ-
და და დაებნელებინა სნეულებას იმპერატორის გონება, რომ დამარცხებულს ტრიუმფი მოეწ-
ყო რომში? ო, ჩემი მრავალნაცადი და ნატანჯი ნათესავი რომში, კონსტანტინეს ტრიუმფალური
თაღის ქვეშ რომ გადიოდა, ქედმაღლობით ცნობამიხდილმა ისე დიდ ვინმედ წარმოიდგინა თავი,
რომ წელში მოიხარა და უნაგირის კეხს დაახკდა შუბლით!

მავროსი. რაღა იმპერატორი და რაღა მამლაყინწა ალაყაფქვეში
ჯარისკაცები ხარხარებენ.

ხმები. ესეც შენი იმპერატორი!

მარონი. ვის უნდა დავემორჩილოთ, ვის?

ლაიკსონი. ძირს იმპერატორი!

მავროსი (იულიანეს). მეუფეო, მმართველობის სადავე აიღე ხელში!

დეცენციუსი. ეს ამბობებაა..

ხმები. აიღე, მმართველობის სადავე აიღე ხელში!

იულიანო. უგუნურებო! ეს ეკადრება რომაელებს?! ან იქნებ გინდათ ბარბაროს აღემა-
ნებს მიშპაძოთ? რაო, რა იუვირა კნოდომარმა არგენტორატთან? მიპასუხე, ჩემო ძვირფასო მა-
ვროს.. რა იუვირა?

მავროსი. რა და: გაუმარჯოს იმპერატორ იულიანეს!

იულიანო. უში ჩუმად, ჩუმადი.. რაო, რა თქვი?

მავროსი. რა და: გაუმარჯოს იმპერატორ იულიანეს!

უპან მდგომენი. რა ამბავია? რა ხდება?

მარონი. ცეზარ იულიანეს იმპერატორად აცხადებენ!

ჯარისკაცები (ყვირიან). გაუმარჯოს იმპერატორს! გაუმარჯოს იმპერატორ იულიანეს!
ყვირილი არ ცხრება; პირიქით, სულ უფრო ძლიერდება და სასახლის გარეთაც გადაინა-
ცვლებს. ყველანი ერთხმად ყვირიან და ყაყაბებენ. იულიანე დიდხანს ვეღარ აწყენარებს
ბრბოს.

იულიანო. გევედრებით, გემუდარებით!.. ძმებო, მეგობრებო, თანამებრძოლნი.. შეხე-
დეთ, ჩემს მოცახცახე ხელებს ვიწვდი თქვენკენ... ნუ გეშინია, დეცენციუსი.. ამასაც მოვესწა-
რი.. არა, რა უნდა გისაყვედუროთ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო? მხოლოდ სასოწარკვეთილე-
ბამ შეგიტყუათ ასე შორსი.. რაო, ასე გსურთ? კეთილია რა გაეწყობა?.. სინტულა, ახლავე აქ
გამოცხადდნენ ჩემი სარდლები (დეცენციუსს) შენ კი შეგიძლია მოახხენო კონსტანციუსს, რომ
მე იძულებული ვიყავი... (ვარონს მიუბრუნდება.) წადი, მხედართმთავარო, და ამ მოულოდნე-
ლი გადატრიალების ამბავი აუწყე ბანაკს. მე თვითონ დაუყოვნებლივ ვაცნობებ რომს...

სალუსტიუსი. მეუფეო, ჯარისკაცები შენს ნახვას თხოულობენ!

მავროსი. ოქროს გვირგვინით, იმპერატორო!

იულიანო. ამნაირი სამკაული არასოდეს არა მქონია.

მავროსი. მაშინ ეს გამოგადგება! (ჩაქვს მოიხსნის ყელიდან და გვირგვინით რამდენ-
ჯერმე შემოაველებს თავზე იულიანეს).

ყვირილი მოედნიდან. იმპერატორი!.. დაგვენახოსი.. იმპერატორი!

ჯარისკაცები. ფარზე ავიტაცოთ, ფარზე!

ახლო მდგომნი ფართი აიტაცებენ იულიანეს, რომელსაც აღტაცების ყიყინით ესალმება
ბრბო.

იულიანო. ხმა ღვთისა, ხმა ერისაო!.. მე ქედს ვიხრი გარდუვალის წინაშე და სიტყვას
ვიძლევი, რომ შევასრულებ ჩემს დანაპირებს...

ლეგიონერები. ოქროს ხუთ-ხუთი და ვერცხლის თითო ხესტერცია!

ბატაშვილი. აღაპებს გადაღმა არ გაგვგზავნი!

იულიანე. ჩვენ აქ დავრჩებით და ვიენაში დავბანაკდებით. ესაა უველაზე უკეთესი გამაგრებული ქალაქი მთელ გალიაში და, ეგვიპტე არ იყოს, სურხათ-სანოვაგითაა სავსე. განზრახული მაქვს აქ დაველოდო, ხანამ არ შევიტყობ, მოიწონებს თუ არა ათასგვარი საზრუნავით დათრგუნვილი ჩემი ძვირფასი ნათესავი იმას, რაც სახელმწიფოს საკეთილდღეოდ გადამწეველად სალუსტიუსსი მოწონებისა რა მოგახსენო, მეუფეო!

სალუსტიუსსი

იულიანე (ხელებს ალაპყრობს). დეი, ღვთაებრივმა სიბრძნემ გაანათლოს და ხახიკეთოდ წარმართოს მისი დაბინდული გონება!.. ღმერთმა ხელი მოგვიმართოს!..

მირა და დანარჩენი მხიველები (კარს იქით კვიან). მოკვდა! მოკვდა! მოკვდა!

მ ა ხ უ თ ე მ ო ჟ მ ე დ ე ბ ა

ვიენა. საეკლესიო აკლამა. მარცხნივ ზიგზაგოვანი ასასვლელი ჩანს. უფრო ღრმად კლდეში გამოკვეთილი საფეხურები ეკლესიის დაკეტილ კარამდე უწევს. წინ, ხელმარჯვნივ, მიწისქვეშეთში ჩასასვლელია. აკლამას მკრთალად ანათებს კედელზე დაკიდებული კანდელი.

წვერმოშეხული, ტალახსა და მტვერში ამოგანგლული იულიანე ნახევრად ბნელში დგას და მარჯვენა ჩასასვლელს ჩასცქერის. ეკლესიის ჩაკეტილ კარს მიღმა ყრუდ მოისმის საეკლესიო გალობა.

იულიანე (ვიღაც დაბლა მყოფს ელაპარაკება). არავითარი ნიშანი არ ჩანს?

ხმა (მიწისქვეშეთიდან). არავითარი.

იულიანე. არც სასიკეთო და არც ავისმაუწყებელი? არც კარგი და არც ცუდი?

ხმა. არც კარგი და არც ცუდი.

იულიანე. ესე იგი, არავითარი.

ხმა. ცოტაც მოითმინე.

იულიანე. აგერ უკვე ხუთი დღე-ღამეა ვითმენ და ვიცდი, შენ კი მხოლოდ სამი დღე-ღამე მთხოვე. გეუბნები, აღარ ვაპირებ... (თავს ასასვლელისკენ მიაბრუნებს, მიაყურადებს და ხმადაბლა ჩასძახის ქვემოთ.) ჭერჭერობით ნურაფერს იტყვი!

სალუსტიუსი (მარჯვნიდან ეშვება საფეხურებზე). მეუფეო!

იულიანე. აა, ეს შენა ხარ, სალუსტიუს? აქ რამ მოგიყვანა?

სალუსტიუსი. რა სიბნელეა... ძლივს დაგინახე.

იულიანე. რაზე გარჯილხარ?

სალუსტიუსი. მინდა გემსახურო და თუ შევძელი, ზემოთ, ცოცხლების სამყაროში დავაბრუნო.

იულიანე. რას მეთყვი ახალს?

სალუსტიუსი. ჭარისკაცები დრტვინავენ; როგორც ჩანს, მოთმინების ფიალა აევსოთ.

იულიანე. ახლა იქ, ზემოთ, აღბათ მზე ანათებს.

სალუსტიუსი. დიახ, მეუფეო!

იულიანე. მთელი ცა ცეცხლივით მოედვარე ფერებით ლივლივებს. აღბათ უკვე შუადღეა. ცხელა. კედლების გასწვრივ ჰაერი თითქოს ცახცახებს და ნახევრად დამშრალი მდინარე ძლივს მიიკვლევს გზას ქაოქათა ლოდებს შორის.. საოცარი ცხოვრება, საოცნებო სამყარო!

სალუსტიუსი. მაშ, დაუბრუნდი, მეუფეო, დაუბრუნდი ამ სამყაროს! კატაკომბებში ამდენხარს უოფნას, იცოდე, ცუდად ჩამოგართმევენ.

იულიანე. როგორ თუ ცუდად ჩამომართმევენ.

სალუსტიუსი. გავბედო და მოგახსენო?

იულიანე. უნდა გავბედო და მოვალეცა ხარ მომახსენო. რაო, მაინც რას ამბობენ?

სალუსტიუსი. ბევრს ჰგონია, რომ ამ მიწისქვეშეთში მწუხარებამ კი არა, სინანულმა ჩამოგიყვანა.

იულიანე. ჰგონიათ, რომ მე მოვკალი?

სალუსტიუსი. მათ ერთგვარდ ამართლებს ამ იდუმალეებით მოცული საქმის ზოგიერთი გარემოება...

იულიანე. ელენე არავის არ მოუკლავს, სალუსტიუს. ის მეთისმეტად წმინდა და უმანკო იყო საიშისოდ, რომ ამ ცოდვილ ქვეუნად ეცხოვრა. ამიტომაც უოველდამ ზეცით ევლინებოდა ანგელოსი სამლოცველოში და იდუმალ უხმობდა მას. ხომ მართალია? ან იქნებ არ იცი,

რომ ლუტეციელმა ღვთისმსახურებმა სწორედ ამით ახსნეს მისი სიკვდილი? ღვთისმსახურებმა კი ჩვენზე გაცილებით მეტი იციან. განა მისი დაკრძალვისას სამგლოვიარო პროცესია თავისებურ ტრიუმფალურ მსვლელობად არ გადაიქცა? გახსოვს, როგორ განთრეფინენ ვინელი ქალები ქალაქის გალავანს გარეთ კუბოს შესახვედრად? როგორ განთრეფინენ მწვანე რტოებს, ხალიჩებს უფენდნენ გზაზე და საგალობლებით მიაცილებდნენ ქრისტეს სასძლოს, მიმავალს თავისი ღვთაებრივი სასიძოს ზეციური სავანისაკენ? რას იცნებებენ?

სალუსტიუსი. მე, მეუფეო?

ნიკოლოსი

ნიკოლოსი. მას აქეთ დღედაღამ საქორწინო მიმზები ჩამესმის უფროში, აი, ახლაც... გესმის? გესმის?.. დიდებით ამალდა იგი ზეცად. დიახ, ის იყო კეშმარიტა ქრისტიანი. მტკიცედ იცავდა აღთქმას... განუბრელად მიაგებდა კეისარს კეისრისას, ზოლო მას... მეორეს... თუმცა რა დროს ესაა? შენ ხომ არ ზიარებხარ ქრისტიანული მოძღვრების წმიდათაწმიდა საიდუმლოს, სალუსტიუს... რა არის-მეთქი ახალი, შენ გეკითხები.

სალუსტიუსი. უველაზე მთავარი ისაა, რომ იმპერატორი დაუყოვნებლივ გადაიხვეწა ანტიოქიას, როგორც კი შეიტყო, რა მოხდა ლუტეციაში.

ნიკოლოსი. ეს უკვე ვიცი. კონსტანციუსი, მისი აზრით, ალბათ უკვე ხედავდა, როგორ მივადექით რომის კარიბჭეს.

სალუსტიუსი. თავიანთი აზრით, ამასვე ხედავდნენ შენი მეგობრებიც, რომლებმაც ესოდენ სახიფათო საქმეში უყოყმანოდ დაგვიბირეს მხარი.

ნიკოლოსი. არახელსაყრელი დროა, სალუსტიუს. ან იქნებ არ იცი, რომ ლუტეციიდან წამოსვლის წინ ჩემი ფარი ასპარეზობისას ნამსხვრევებად იქცა და აქეთ-იქით მიმოიფანტა; სამკლაურიდა შემრჩა ხელში. ალბათ არც ის იცი, რომ ცხენზე შექდომისას, მსახურს, რომელმაც ხელი შემომაშველა, ანაზღუდულად დაუსხლტა ფეხი.

სალუსტიუსი. მერე რა, მაინც ხომ მოახტი ცხენს?

ნიკოლოსი. მაგრამ კაცი კი დარცა.

სალუსტიუსი. უკეთესებიც დავცემიან, თუკი ცეზარი უფრო მეტხანს დააყოვნებს.

ნიკოლოსი. იმპერატორი სულს დაფავს.

სალუსტიუსი. ახეა თუ ისე, ჭერჭერობით ცოცხალია, წერილები, რომლებითაც აუწყებდი, რომ თავი იმპერატორად გამოაცხადე.

ნიკოლოსი. უფრო სწორად, მე ვწერდი, რომ ძალით გამომაცხადეს... დიახ, მე მაიძულეს; მეტი გზა აღარა მქონდა.

სალუსტიუსი. იმპერატორისათვის მიუღებელი იქნება ამნაირი თავის მართლება, როგორც კი აღმოსავლეთ პროვინციებში საკმაო ძალებს მოუყრის თავს, გალიაზე გამოილაშქრებს.

ნიკოლოსი. რა იცი?

სალუსტიუსი. შემთხვევით გავიგე, მეუფეო! გვედრები, დამიჭერე...

ნიკოლოსი. კარგი, კარგი; თუ უველაფერი გამართლდა, მე თვითონ შევეგებები კონსტანციუსს, მაგრამ არა ხმლით ხელში..

სალუსტიუსი. არა? ესე იგი, დაუთმობ?

ნიკოლოსი. იმპერატორი სულს დაფავს.

სალუსტიუსი. ო, ეს ფუჭი იმედი! (მუხლს მოიყრის) რულიანეს წინაშე.) მაშ, ახლაც მომკალი, ჩემო მეუფეო!

ნიკოლოსი. რაო?..

სალუსტიუსი. აქვე გამათავე, ცეზარი მირჩევნია შენ მომისწრაფო სიცოცხლე, ვიდრე იმპერატორმა.

ნიკოლოსი. აღექი, ძმაო და მეგობარო!

სალუსტიუსი. არა, არა, ნება მიბოძე, ასე ღაჩოკილი გამოგიტყდე, ცეზარი ჩემო ძვირფასო მეუფეო, იძულებული ვარ უველაფერი დაუფარავად მოგახსენო.. როდესაც შენი ბანაკი მოვძებნე რენუსის პირას... საბერძნეთში ჩვენი მეგობრობა გაგახსენე და ნებართვა გთხოვე, შენთან ერთად გამეზიარებინა ჭარისკაცის ხიფათით ხავსე ცხოვრების მთელი სიმძიმე, — მე მაშინ შენთან მოგწავნილი ვიყავი, ჩემო მეუფეო, იმპერატორის მსტოვარი გახლდი...

ნიკოლოსი. შენ?..

სალუსტიუსი. ცოტა უფრო ადრე, ჩემი სული შენდამი რისხვით იყო ხავსე, — ხომ გახსოვს, რა უბრალო რამეზე დავემდურეთ ერთმანეთს მილანში? ჩემთვის კი ეს მაშინ სრულიადაც არ იყო უბრალო რამე, — იმედი მქონდა, ცეზარის დახმარებით კვლავ შევეძლებდი

ფეხზე დადგომას. სწორედ ამით ისარგებლეს იმხანად რომში. საიმედო კაცად მცნეს და გალიაში გამოგზავნეს, რათა თვალყური მედევნებინა შენი ყოველი ნაბიჯისათვის.

იულიანე. და შენც დათანხმდი?.. კაცის სული ბნელია, ბნელი!

სალუსტიუსი. მე გავკოტრდი, აღარაფერი მებადა ცეზარს და მე მეგონა, რომ საბოლოოდ მაქციე ზურგი. დიახ, დიახ, ჩემო მეუფე, მე გამყიდველი გახდი. მხოლოდ პირველ თვეებში, შემდეგ კი — არა. შენი გულთაღობა, დიდხულოვნება, მოწყალება, რომელიც ღმერთს მართ გამოიჩინე... მე მართლაც იმად ვიქეცე, რადაც თავს ვასაღებდი: შენს ერთგულ თანამებრძოლად, და ჩემი საიდუმლო დახმენებით ვცდილობდი თვალი ამეხვია იმათთვის, ვინც აქ გამოგზავნა.

იულიანე. მაშ, ეს შენი წერილები იყო? ო, სალუსტიუსი..

სალუსტიუსი. მათში არაფერი იყო ისეთი, შენთვის რომ ეგონა, ჩემო მეუფე! არ ვიცო, ჩემ გარდა ვინ რას გადასცემდა სახახლის კარზე; ვიცო მხოლოდ ის, თუ რარიგად მტანჯავდა ჩემი იძულებითი დუმილი, ჩემი უკეთური ქცევა შენ მიმართ. ის წერილი, რომელიც შენს ბანაკში თითქოს ვიღაც უცნობი პირის მიხამართით იყო გამოგზავნილი და რომში იმპერატორის ტრიუმფით შესვლას იუწყებოდა... ერთ დღიან შენი კარვის ქვეშ შემოცურებული ვიპოვე, როცა უკვე ლუტეციაში გამოსამგზავრებლად ემზადებოდი.. ხომ იპოვე, ჩემო მეუფე?

იულიანე. დიახ, დიახ.

სალუსტიუსი. ის ჩემს სახელზე იყო გამოგზავნილი, მაგრამ ბედნიერი შემთხვევის წყალობით, იმდენი მოვახერხე, რომ შენამდე მოედგა. პირში თქმას ვერ ვბედავდი. მინდოდა, მაგრამ არ შემეძლო. დაუსრულებლად ვაჭიანურებდი აღიარებას. მიმძიმდა ჩემი სამარცხვინო საქციელის გამომჟღავნება. დამსაჯე, მეუფეო, შენს ფერხით მუხლმოყრილი გევედრები!

იულიანე. ადექი, შენ ჩემთვის კიდევ უფრო ძვირფასი გახდი, სიკეთის მაღლით მონადირებული, თვით ჩემდა და შენდა უნებურად! ადექი, ჩემო სულიერო მეგობარო, უბატონოდ ხმას ვერვინ გაგცემს!

სალუსტიუსი. უმჯობესია, სიცოცხლე მომიხწრაფო. — სულერთია, მალე მაინც ვეღარ დამიცავ. შენ ამბობ: იმპერატორი ხულის დაფავსო... (დგება.) მეუფეო, მე დუმილის აღქმა მაქვს დადებული მაგრამ ახლა კი გაგიმეღავნებ საიდუმლოს. იმპერატორის მიხრწნილების იმედი არ უნდა გქონდეს. კონსტანციუსი ახალ ცოლს ირთავს.

იულიანე. აი.. რა სიგიჟეა?.. ეგ რამ გაფიქრებინა?

სალუსტიუსი. იმპერატორი ახალ ცოლს ირთავს, მეუფეო! (ქალღმერთს აწვდის.) წაიკითხე, წაიკითხე, ცეზარ, ეს წერილები ყოველგვარ ეჭვს ვაგიფანტავენ!

იულიანე (ხელს დასტაცებს ქალღმერთს და კითხულობს). ჰმ.. მზის შუქსა და ნათელსა ვფიცავა..

სალუსტიუსი. ოჰ, ნეტავი უფრო ადრე გაშებედა ამისი თქმა..

იულიანე (კითხვის განავრძობს). ცოლს ირთავს.. კონსტანციუსი.. ეს კაცის ლანდი.. ფაუსტინას.. რაო? ამ სიცოცხლით ხავსე უმაწვილ ქალს, რომელსაც ჯერ ცხრამეტი არ შესრულებია?.. აა! გასაგებია... პატივმოყვარე და გულწვავი მშობლების ახულსი.. მაშასადამე, გულმხურვალე ქრისტიანს, არა? (ქალღმერთს ვეცავს.) მართალი ხარ, სალუსტიუს, იმპერატორის მიხრწნილების იმედი არ უნდა მქონდეს, მართალია, მიხი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, მაგრამ რა?.. სამაგიეროდ ფაუსტინაა ღვთისმოსავი. ერთ მშვენიერ დღეს მახარებელი ანგელოსი მოევლინება ზეცით, ანდა... ჰა-ჰა-ჰა! ერთის სიტყვით, ასე თუ ისე, გამოჩეკენ პატარა ცეზარს და...

სალუსტიუსი. დაყოვნება დალუპავს ნიშნავს.

იულიანე. მაშასადამე, ყოველივე ეს დიდხანს ფარულად მზადდებოდა, სალუსტიუსი! თუ ახეა, ყველაფერი ნათელი ხდება. ელენე... ესე იგი, ელენე დალუპა არა მისმა გრძელმა ენამ, როგორც აქამდე მეგონა, არამედ...

სალუსტიუსი. არა, არა, ჩემო მეუფე!

იულიანე. ვინ იცის, რამდენს ფიქრობდნენ, რას აღარ ვარაუდობდნენ.. ჩხრეკდნენ, შიშობდნენ... სადაა შენი სამართალი, ღმერთო?.. და აი, საჭიროდ მიიჩნიეს ელენეს თავიდან მოშორება.

სალუსტიუსი. მართალს ბრძანებ, რომის არჩევანი თავდაპირველად ჩემზე შეჩერდა. ო, მეუფეო, იმედია ეჭვს არ შეიტან იმაში, რომ მე შორს დავიჭირე, არ შემძლია, ხელსაყრელი შემთხვევა არ მომეცემა-მეთქი... მერე თვითონვე დამარწმუნეს, რომ ეს საზარელი ჩანაფიქრი უარყოფილ იქნა... მაგრამ ბოლოს მაინც...

იულიანე. ისინი არ შეჩერდებიან, უკან არ დაიხვევენ საფლავში მწოლარე ორი გვამის

წინაშე... კონსტანციუსი ცოლს ირთავს... აი, რატომ დასტირდათ ჩემი განიარაღება ლუტე-
ციაში!

სალუსტიუსი. მხოლოდ ერთ რამეს შეუძლია შენი გადარჩენა, მეუფეო, თვითონვე უნ-
და დაასწრო, ხანამ იმპერატორი ძალას მოიკრეფდეს.

იულიანე. კი მაგრამ, მე რომ უველაფერზე უარი ვთქვა და გავნმარტოვდე, რათა მთელი
არსებით მივეცე სიბრძნის სამსახურს, რიხი საშუალებაც აქ არა მქონდა? შეუძლებელია ახ-
ალი მბრძანებლები ჩემს ამნაირ უოფას? თუ მხოლოდ ის გარემოებაა, რომ კაცობრივად
ვარ, დამოკლეს ხმალივით მოსვენებას არ მისცემს მათ?

სალუსტიუსი. გალუსს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, სწორედ მომავალი დედოფ-
ლის ნათესავები ეხვივნენ გარს.

იულიანე. ტრიბუნი სკუდილა! დამერწმუნე, ჩემო მეგობარო, მე არაფერი დამვიწყნია!
და ამ სისხლისმსმელი იმპერატორის წინაშე უნდა დავინიო უკან? დავინდო ის, ვინც ამდენი
წლის მანძილზე ჩემი მშობლებისა და ახლობლების ცხედრებზე დააბიჯებდა?

სალუსტიუსი. დაინდობ და სამი თვეც არ გაივლის, რომ ახლა უკვე შენი მომხრეების
ცხედრებს გაიგებს ფეხქვეშ სათელად.

იულიანე. დიახ, დიახ, ცამდე მართალი ხარ, თითქოს რაღაც ზეგარდმო ძალა მაძულ-
ებს მის წინააღმდეგ გავილაშქრო. და თუ ბოლოს და ბოლოს გადავწყვეტ, ჩემი გულისთვის რო-
დი ვიქმ ამას. განა ხაქმე ასიათასობით ადამიანის კეთილდღეობას არ ეხებხ? ასიათასობით სიცო-
ცხლეს? და განა ჩემი ნება იყო, ამ უკიდურესობამდე არ მიმეყვანა ხაქმე? ჩვენ ორს შორის
შენ უფრო დამნაშავე ხარ, სალუსტიუს, ვიდრე მე, რად დუმდი ამდენ ხანს?

სალუსტიუსი. რომში საშინელი ფიცის ჩამომართვეს, რომ პირში წყალს ჩავიგუბებდი.

იულიანე. ფიცი? აჰ, აი, თურმე რა?.. კი მაგრამ, შენი წინაპრების ღმერთები დაიფიცე?

სალუსტიუსი. დიახ, მეუფეო, ზევსი და აპოლონი.

იულიანე. და მაინც გატეხე ფიცი?

სალუსტიუსი. მე სიცოცხლე მინდა.

იულიანე. კი მაგრამ, ღმერთები?

სალუსტიუსი. ღმერთები... ღმერთები შორს არიან.

იულიანე. დიახ, თქვენი ღმერთები, შორს არიან; ისინი არავის შეაჩერებენ, არავის ხელ-
ფებს არ შეუკრავენ; მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებენ ადამიანს, რა ბედნიერი ხა-
ლხი იყო ელინები, — არავინ ზღუდავდა მათ თავისუფლებას!.. შენ მეუბნები, შურისმაძიე-
ბელი იმპერატორი შენი მომხრეების სისხლს დაღვრისო! მერედა, ვის ეპარება ექვი ამაში?
განა დაინდეს კნოდომარი? განა ამ საცოდავ ტუვეს სიცოცხლის ფასად არ დაუსვენს ერთი
ენობრივი შეცდომა? მე ხომ ვიცი, სალუსტიუს, რომ ის მოკლეს. სამშობლოს დარღვა გადა-
იყოლაო? წმინდანწყლის სიცრუეა. მაშ, ჩვენ რაღასი იმედი უნდა გვქონდეს? ვინ იცის, რა
უკუღმართად დაუხატა სახახლის კარს, როგორ დაამახინჯა დეცენციუსმა ის, რაც ლუტეციაში
მოხდა?

სალუსტიუსი. ამას უველაზე უკეთ ის მოწმობს, რომ იმპერატორი თავქუდმოგლეჯილი
გაიქვა ანტიოქიაში.

იულიანე. კი მაგრამ, განა მე ქარისკაცების მამა არა ვარ, სალუსტიუს?

სალუსტიუსი. ქარისკაცების მამა, მათი ცოლ-შვილის მწე და მფარველი.

იულიანე. ვინ იცის, რა ბედი ელის სახელმწიფოს, თუკი ახლა შევეყვანდები? მიხრ-
წნილი იმპერატორი, ხოლო შემდეგ არასრულწლოვანი ურმა იმპერიის ტახტზე. შინააშლი-
ლობები და შეთქმულებები, გაუთავებელი ბრძოლები ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად...
ამას წინათ უცნაური სიზმარი ვნახე. მომიახლოვდა ერთი კაცი, თავს სხივოსანი შარავანდედი
ელგა; მკაცრად შემომხედა და მითხრა: „ამოიჩიე!“ შემდეგ ჩემი ჩვენება გაუჩინარდა, დი-
ლის ნიხლივით გაქრა. აქამდე სულ სხვანაირად ვხსნიდი ჩემს სიზმარს, მაგრამ ახლა, როცა
იმპერატორის მომავალი ქორწინების ამბავი გავიგე... დიახ, კეშმარტად უკვე დროა ამოვირ-
ჩიო, სანამ უბედურება თავს არ დასტეხია ქვეყანას! არა, ჩემს თავზე როდი ვფიქრობ, მაგ-
რამ ბოლოს და ბოლოს არჩევანზე უარს ხომ ვერ ვიტყვი, სალუსტიუს? განა თვით ჩემი
შოვალეობა იმპერატორის წინაშე არ მაძულებს თავი დავიცვა? რა უფლება მაქვს გულბელ-
დაკრეფილი დაველოდო მოგზავნილ მკვლელებს, რომლებსაც შიშით დავზარდაცემული კონ-
სტანციუსი აუცილებლად მოისყიდის, რომ ჩემი თავი მოაკვლევინოს? ვინ გამამართლებს,
თუ ბედუკუდმართ იმპერატორს იმის საშუალებას მივცემ, რომ თავისი ისედაც ცოდვებით
დამძიმებული ხული ახალი სისხლიანი ცოდვით დაიმძიმოს? განა მისთვისვე არ აქობებს, რო-
გორც ბრძანებს საღმრთო წერილი, თვითონვე დაითმინოს უხამართლობა, ვიდრე სხვა მოაკვ-

დინოს თავისი უსამართლობით? ამიტომ, თუკი საერთოდ შეიძლება უსამართლობა ვუწოდოთ იმას, რასაც მე ვუპირებ იმპერატორს, ეს უსამართლობა, მე მგონია, ერთგვარად შერბილებული იქნება იმით, რომ ხელს შეუშლის ჩემს ძვირფას ნათესავს, თვითონვე მომეტყვეს უსამართლოდ. ჩემი აზრით, პლატონიცა და მარკუს ავრელიუსიც, სოფიის ეს გვირგვინსავე სასიძო, მხარს დამიჭერდნენ ამ საქმეში. ასეა თუ ისე, ეს ამოცანა ყოველად უღირსი როდია სიბრძნის მოყვარეთათვის, ჩემო ძვირფასო სალუსტიუს... ეჰ, ნეტა ახლა ლიბერტიუსს ვეჭვებ გვერდით..

სიბრძნის მკვლევარი

სალუსტიუსი. მეუფეო, შენ თვითონვე მიაღწიე სიბრძნის მწვერვალს, ასე რომ...

იულიანე. მართალია; მაგრამ მაინც სიამოვნებით მოვისმენდი ზოგიერთის აზრს. არა, იმიტომ კი არა, რომ ვყოყმანობ. ერთი წუთითაც არ გაივლო გულში! არც იმიტომ, თითქოს წარმატებაში ეჭვი მეპარებოდეს. მომავლის მაუწყებელი ნიშნები, რომლებზედაც მე მოგახსენე, სულაც არაა საშიში. ხომ შევინარჩუნე სამკლავური ხელში, მაშინ როდესაც ფარის ნამსხვრევები აქეთ-იქით მიმოიფანტა? ამიტომაც, ჩემი აზრით, სრული საფუძველი მაქვს ვივარაუდო, რომ უთუოდ შევინარჩუნებ იმას, რასაც ამჟამად ვაპირებ ხელი მივყო. მაინც ხომ მოვახტი ცხენს, მიუხედავად იმისა, როგ კაცს, რომელიც ხელს მაშველებდა, ფეხი დაუსხლტა და წაიქცა? ჩემი აზრით, ეს მოასწავებს კონსტანციუსის დამბობას, კონსტანციუსისა, რომელსაც უნდა ვუმაღლოდ ჩემს აღწევებას. ერთი სიტყვით, ჩემო ძვირფასო სალუსტიუს, მე ვაპირებ დავწერო თბზულება, რომელიც მთლიანად გაამართლებს ყველაფერს...

სალუსტიუსი. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ჭარბკაცები რომ ღრტვინავენ, მოწყალეო მეუფევე? მათ სურთ თავიანთი თვალით გიხილონ და შენი პირით მოისმინონ, რა ბედი ელით.

იულიანე. წადი და დაამშვიდე ისინი. უთხარი, ცეზარი მალე გამოვა-თქო.

სალუსტიუსი. მეუფეო, მათ ცეზარის ნახვა კი არა სწყურიათ, არამედ იმპერატორისა.

იულიანე. იმპერატორიც არ დააბანებს.

სალუსტიუსი. დიახ, ის მოვა... მართალია, ხელცარიელი, მაგრამ ათასობით სიცოცხლის და ბედ-იღბლის ხელში მპყრობელი.

იულიანე. ზუსტად ისევე, როგორც საქონლის გაცვლა-გამოცვლისას, სალუსტიუს. ათასობით სიცოცხლე — ათასობით სიკვდილის წილი!

სალუსტიუსი. აქვთ კია შენს მტრებს იმის უფლება, რომ იცოცხლონ?

იულიანე. რა ბედნიერი ხარ შენ, ვისი ღმერთებიც შორს არიან! ო, ნების ეს საბრძოლო მზადყოფნა..

ხმა (მიწისქვეშეთიდან). იულიანე! იულიანე!

სალუსტიუსი. აი.. რა არის ეს?

იულიანე. წადი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ნულარ აყოვნებ!

ხმა. ჩაახშე საეკლესიო გალობა, იულიანე!

სალუსტიუსი. ისევე ვილაცის ხმა ისმის.. ესე იგი, მართალს ამბობენ..

იულიანე. რაო, მაინც რას ამბობენ?

სალუსტიუსი. რომ შენ აქა ხარ ჩაკეტილი იმ უცნაურ კაცთან, მისანსა თუ ჯადოქართან ერთად, რომელიც ღამით გეწვია.

იულიანე. მა-მა-მა! აი, თურმე რას ამბობენ! წადი, წადი!

სალუსტიუსი. გაფიცებ, მეუფეო, მოეშვი ამ საბედისწერო ზმანებებს. წამო, მზის გულზე ავიდეთ!

ხმა (უფრო ახლოდან). ყველაფერი ამაოა.

იულიანე (მარჯვენა ჩასასვლელთან). არავითარი ნიშანი, ძმარ ჩემო?

ხმა. სიჩუმე და სიცარიელე.

იულიანე. ო, მაქსიმე!

სალუსტიუსი. მაქსიმე?

იულიანე. წადი-მეთქი, ვის ვეუბნები? თუ ხრწნილების ამ სავანიდან ამოვალ, იცოდე, იმპერატორად ამოვალ!

სალუსტიუსი. გვედრები, მითხარი, რას ეძებ აქ, ამ სიბნელეში?

იულიანე. სინათლეს. წადი, წადი-მეთქი!

სალუსტიუსი. თუ ცეზარი დიდხანს დააყოვნებს, ვშიშობ, რომ გზა ჩახერგილი დახვდება (ხელმარცხნივ გადის).

ცოტა ხნის შემდეგ მიწისქვეშეთიდან საფეხურებს ამოჰყვება მამსიმე, შუბლი თეთრი სახვევით გაუკრავს, როგორც ქურუმებს — მსხვერპლშეწირვისას ხელში გრძელი, გასისხლიანებული სამსხვერპლო დანა უჭირავს.

იულიანო, რას იტყვი, მაქსიმე?

მაქსიმე, ყველაფერი ამაო-მეთქი, ხომ მოგახსენე, რატომ არ ჩაახშე საეკლესიო გალობა? ყველაფერი წყალში ჩამიყარა. სულელებს ლაპარაკი სურდათ, მაგრამ ვერ შეძლეს.

იულიანო, წყვილი, მღუმარება, უდაბურება... მეტიც მოთმენა აღარ შემიძლია მაინც რას მირჩევ?

მაქსიმე, ხელის ფათურით გაპყვი გზას, იმპერატორო, სინამდვილე შეგეძლოს!

იულიანო, დიახ, დიახ, მეც ასე მგონია. ნეტავი არ დამებარებენ? სულ ცუდად გამოგაყენე ამხივრძე გზას. იცი, რა მითხრეს ახლახან?

მაქსიმე, მე არ მაინტერესებს, რა ვითხრეს ახლახან. შენი ბედი შენს ხელთაა.

იულიანო (შეშფოთებული წრილებს). მართლაცდა ვინ არის ეს კონსტანციუსი?.. ეს მოიბრების კერძი, თავისივე ცოდვების წერა, უოფილი ადამიანის ეს ნანგრევები?!

მაქსიმე, საფლავის ძეგლი დაუდგი, იმპერატორო იულიანე, საფლავის ძეგლი!

იულიანო, როგორ მეპყრობოდა მთელი ამ ხნის მანძილზე, ან რას შგავდა იმისი ქცევა, თუ არა დამსხვრეულ ხომალდს... უსაკოდ და უიალქნებოდ შეთნილს... რომელსაც ხან მარცხნივ მიაქანებდა ექვიანობის შმაგი დინება, ხანაც მარჯვნივ გასტყორცნიდა სინანულის მძვინვარე ქარიშხალი.. ქველივით მიიქლაკნებოდა ტახტიხაკენ, შიშისაგან საკუთარ პორფირში შემალული, საიდანაც წვეთავდა მამაჩემის სისხლი! ან იქნებ დედაჩემისაც! ვინ იცის? მთელი ჩემი საგვარეულო უნდა ამომწყდარიყო, რომ თვითონ მორქმით მჭდარიყო ტახტზე! თუმცა არა! არა მთელი საგვარეულო.. ხომ დაგვიწოდო მე და გალუსი? დიახ, ორიოდ სიცოცხლეზე უნდა დაენდო, რომ ერთგვარად მაინც გამოეხედა თავისი ცოდვები, შემდეგ კი კვლავ აიტაცა ექვიანობის შმაგმა გრიგალმა. სინანულის მტანჯველმა გრძნობამ აღიარებია გალუსი ცეზარად და შიშის არანაკლებ მტანჯველმა გრძნობამ გამოატანინა სასიკვდილო განაჩენი ცეზარისათვის, ახლა ჩემსას აღარ იკითხავ? იქნებ მას უნდა ვუმაღლოდე ამ ძალღუმაღურ სიცოცხლეს, რომელიც დღემდე შემინარჩუნა? არა! მას უნდოდა ერთი ძმისათვის მეორეც მიეყოლებინა უკან. ჭერ გალუსი, მერე კი... უოველ ღამე მეღვიძებოდა, შიშისაგან თავზარდაცემულს, ცხროიანივით ვცახცახებდი და ჭირის ოფლს მასხამდა, ვაითუ ხვალისდელი დღე უკანასკნელად მითენდებოდა-მეთქი.

მაქსიმე, განა მართო კონსტანციუსი და სიკვდილი გაშინებდა ყველაზე მეტად? ახა გაიხსენე?!

იულიანო, მართალი ხარ. მღვდლები!.. მთელი ჩემი სიყრმე და სიჭაბუკე ეს იყო განუწყვეტელი ძრწოლა კეისრისა და ქრისტეს წინაშე. ო, რა საშინელია იდუმალებით მოცული ეს უღმობელი ღმერთკაცი! სადაც უნდა წავსულიყავი, დიადი და მრისხანე ღმერთი გზას მიღობავდა თავისი უპირობო და უწყალო აღთქმითი..

მაქსიმე, მერედა, ამ აღთქმას შენს გულში ბქონდა ფესვი გადგმული?

იულიანო, არა, ის უოველთვის ჩემ გარეთ იყო... ის ხმობდა: შენ მოვალე ხარ! ჩემს სულში ბობოქრობდა შმაგი, მძვინვარე, ყველა სხვა გრძნობის წამლეკი სიძულვილი ჩემი მშობლების ვერაგი მკვლელის მიმართ, მისი აღთქმა კი მიბრძანებდა: „გოუვარდეს მტერი შენი!“. ჩემი სული ხარბად მიელტვოდა მშვენიერებას, სურდა დანთქმულიყო გარდახული ბერძნული უოფის, იავარქმნილი სინამდვილის შორეული ხიბლის წიაღში, ქრისტიანული აღთქმა კი ჩანასახშივე ახშობდა ჩემს სწრაფვას: „ეძიე ერთი, მხოლოდ ის, რაც ხამს!“. ჩემს ხორცს ხახმილივით დაგავდა მხურვალე ვნებების ალი, თვითგანდგომის მთავარი კი თავზარსა მცემდა თავისი მბრძანებლური შეგონებით: „მოაკვდინე შენი ხორცი აქ, რათა იქ აღსდგე საუკუნო სიცოცხლისათვის!“. უოველივე ადამიანური უკანონოდ გამოცხადდა იმ დღიდან, რაც გალილეველმა წინასწარმხედმა თავის ხელში აიღო სამყაროს საჭე. სიცოცხლე მისი წყალობით გამუდმებულ კვდომად იქცა; სიუვარული და სიძულვილი — ცოდვად. კი მაგრამ, თუ შეძლო მან შეეცვალა თვით ადამიანის სისხლი და ხორცი? განა მიწიერი კაცი იმადვე არ დარჩა, რაც უწინ იყო? მთელი ჩვენი ჯანსაღი შინაგანი არსი დრტვიანავს ამ სულისშემხუთველი არტახების წინააღმდეგ და მაინც, ჩვენ ძაღაუნებურად, უნდა გვსურდეს უოველივე ეს იძულებულნი ვართ გვსურდეს! ამას გვიწესებს თურმე ჩვენი ვალი დიახ, ვალი, ვალი, ვალი!

მაქსიმე, ამას იქით კი აღარ წასულხარ? სირცხვილი შენი!

იულიანო, სირცხვილი ჩემი?..

მაქსიმე, დიახ, დიახ, ათენელო და ეფესელო სწავლულო კაცო, სირცხვილი შენი!

იულიანო, ეჰ, გაიხსენე, რა დრო იყო, მაქსიმე!.. რა ადვილი იყო არჩევანი ისე კი, კაცმა რომ თქვას, რას ვაკეთებდით? სიბრძნის ტაძარი აგვუავდა, — არც მეტი და არც ნაკლები.

მაქსიმე, განა თქვენს საღმრთო წერილში არაა ნათქვამი: ვინც ჩვენთან არაა, ჩვენ წინა-
აღმდეგაა?“. წიგნი

იულიანე, კი მაგრამ, განა ლიბანიოსი უოველთვის ერთი და იგივე არ იყო, მიუხედავად იმისა, თუ ვის უჭერდა მხარს ხიტყვიერი პაექრობისას, — მომჩივნს თუ მოპასუხებს? არა, აქ ცოტა არ იყო, უფრო ღრმად ჩახედვა გვმართებს. აქ რაღაც ისეთს უნდა გადავახილოთ, რომ... „მიაგე კეისარს კეისარისა“... ერთხელ ათენში ამ თემაზე მთელი თამაში ავადი, მაგრამ ვფიქრობ ვიმეორებ, აქ უფრო ღრმად ჩახედვა გვმართებს. შენ ვერ გაიგებ ამას, რადგანაც არსებობს დაგიდგამს ქედზე ღმერთკაცის მონობის უღელი. ქრისტეს შემდეგ მარტო მისი მოძღვრება როდი დარჩა ამქვეყნად: თითქოს რაღაც იღუმალი, რაღაც მაგიური ძალა უსიტყვოდ უშონებს და უმორჩილებს სულელებს. ვინც ერთხელ მოიხარა ქედი მისი ძალმოსილების წინაშე, ჩემი აზრით, მთლიანად, მთელი არსებით, ვეღარასოდეს განთავისუფლდება მისგან.

მაქსიმე, იმითომ, რომ მთელი არსებით არა გსურს ეს.

იულიანე, როგორ უნდა მსურდეს შეუძლებელი?

მაქსიმე, აბა შესაძლებელი გინდ გსურდეს და გინდ არა; ჩიტი ბრდღვნად არა ღირს.

იულიანე, ეგ სხვა არა არის რა, თუ არა ფილოსოფიური სკოლების ფუჭსიტყვაობა, მაგით ვეღარ გამაძლებთ და მაინც... არა, არა, მაქსიმე! თქვენ, წარმართები, ვერასოდეს ვერ გაგვიგებთ ქრისტიანებს. ჩვენ თითქოს ვაზები ვართ, ჩვენთვის უცხო ნიადაგზე გადანერვილი... უკანაც რომ ვადმოგვრგოთ, სულერთია, მაინც დავცვენებით, მაგრამ ვაი რომ ვერც ახალ ნიადაგზე ვხარობთ.

მაქსიმე, მაინც ვის გულისხმობ?

იულიანე, ყველას, ვინც განკაცებულის წინაშე შეშითა ძრწის.

მაქსიმე, არდილის შეშით.

იულიანე, რაც გინდა, ის დაარქვი, მაგრამ ნუთუ ვერ ხედავ, რომ ეს დამორგუნველი შეში თითქოს შედედდა და ციხის გაღავანივით გარს შემოერთა იმპერატორს? ო, შე მშვენიერად მესმის, რატომ მიანიჭა დიდმა კონსტანტინემ ამ ნების დამორგუნველ მოძღვრებას მბრძანებლობის უფლება თავის სამეფოში. თავით ფენამდე შეიარაღებული ვერც ერთი მცველი იხე ვერ დაიცავს იმპერატორის ტახტს, როგორც ეს გონებაშიუწვდომელი მოძღვრება, რომელსაც უოველივე კრეშმარიტი ამქვეყნიური არსებობის ფარგლებს გარეთ გააქვს. ოდესმე კარგად თუ დაშკვირვებინარ ამ ქრისტიანებს? უსიცოცხლო თვალები, ფერმკრთალი სახეები, ჩავარდნილი გულმკერდი, — აი ასეთები არიან ყველანი. ბისონელ ქსელის მბეჭავებს ჰგვანან. მზე მათთვის ანათებს, ისინი კი ვერ ხედავენ მის შუქს; დედამიწა უშურველად სთავაზობთ მთელ თავის სიუხვეს, ისინი კი ხელალებით უარყოფენ უოველივე მიწიერს. მათ მხოლოდ ერთი რამ სწყურიათ: თვითგანდგომა, ტანჯვა-ვაება, მოწამეობრივი სიკვდილი!

მაქსიმე, შენც ადექი და მათ გამოსწორებას ნუკი ეცდები, არამედ შენი მიზნებისათვის გამოიყენე ისინი, მაგრამ ნუ დაემგვანები მათ. კეისარი თუ გალილეველი? — აი, არჩევანი. შეშის პურმოკრილ მონად დარჩი, ან მბრძანებლად იქეც მზის, სინათლისა და სიბარულის საუფლოში. არ შეიძლება შენ გსურდეს ის, რაც თავის თავს ეწინააღმდეგება, და მაინც შენ ეს გსურს. შენ გინდა ერთმანეთს შეუთავსო ორი ურთიერთშეუთავსებელი და შეურიგებელი საწყისი. აი, რად ზიხარ აქ და ამ სიბნელეში ნელ-ნელა ლპები.

იულიანე, თუ შეგიძლია, ნათელი მოძფინე ამ სიბნელეს.

მაქსიმე, მართლა ის აქილევსი ხარ, რომელიც, თუ დედაშენის სიზმარს ვერწმუნებით, მას უნდა ეჩუქებინა ქვეყნისათვის? მოწყვლადი ქუსლი სულაც არ არის საკმარისი საიმიხოდ, რომ კაცი აქილევსად იქცეს. ახსდექი სულით, მიუფეო! ძღვევამოსილი ხიმაშაცით ფრთაშესხმულმა, ურა კვიცის მხედნელივით გადალახე დაბრკოლება — თავს გადაეველე გალილეველს, თუ გსურს იმპერატორის ტახტს დაეუფლო.

იულიანე, მაქსიმე!

მაქსიმე, ჩემო ძვირფასო იულიანე, მიმოიხედე შენ გარშემო და დაინახე, რა ხდება ამ ქვეყანაზე სიკვდილის მოსურნე ქრისტიანებს, რომლებიც წელან ახსენე, ხელის თითებზე ჩამოთვლის კაცი. დანარჩენებს ხომ ნუღარ იკითხავ! განა გზააბნეული ცხვრებივით არ შორჯებიან და ერთიმეორის მიყოლებით ეკარგებიან თავიანთ პატრონს და მწყემსს? განა შინააშლილობანი და შინაგანი უთანხმოებანი არ ღრღნიან და ძირს არ უთხრიან ქრისტიანთა საძპოებს და ხაკრებულოებს? ან, თუ გნებავს, ეპისკოპოსები, ეს ვერცხლისმოყვარე ღვთისმსახურნი აიღე, ქრისტეს სამწყსოს ხარკლებად თუ მწემსმთავრებად რომ მოაქვთ თავი განა თავიანთი სიხარბით, პატივმოყვარეობით, პირფერობითა თუ თვალთმაქცობით რამეში ჩამორჩებიან იმპერატორის გაიძვერა კარისკაცებს?

იულიანე. უველა ხომ ერთნაირი არ არის; გაიხსენე თუნდაც ღმერთშემოსილი ათანასე აღექსანდრიელი...

მაქსიმე. სამაგიეროდ ათანასე ერთადერთი იყო. მერედა, სადაა დღეს ათანასე? აქი გაძევებს იმის გამო, რომ იმპერატორს მოასუიდვინა თავი განა ლიბიის უდაბლოში არ ეძებდა თავშესაფარს, სადაც ბოლოს ლომებმა შეაბრამუნეს? ანდა მეორე ათანასეს თუ დამისახებლებ? გაიხსენე ეპისკოპოსი მარიოს ქალკედონელი, არიოზის მწვალებელსა და მამულის რომ შეიცვალა მრწამსი! ანდა ბებერი ეპისკოპოსი მარკოს არეთუხედილი, რომელიც კიდევ ბავშვობაში იცნობდი; განა იმან უოველგვარი კანონისა და სამართლის გარეშე სათემო საკუთრება არ წაართვა თავის თანამემამულეებს და ეკლესიის კუთვნილად არ გამოაცხადა იგი? ან კიდევ ის მიხრწნილი, უმწეო და უნიათო ნაზიანზელი ეპისკოპოსი, სასაცილოდ რომ იქცა თავისივე მრევლის თვალში, რადგანაც ერთსა და იმავე კითხვაზე თანაბრად პასუხობს მოსად და არასაც, რათა არც მწვადი დასწვას და არც შამფური.

იულიანე. მართალს ბრძანებ.

მაქსიმე. აი, რანი არიან შენი თანამებრძოლნი და თანამოაზრენი, ჩემო ძვირფასო იულიანე, უკეთესს ვერც ინატრებს კაცი. ან იქნებ იმ ორი კამადოკიელის იმედი გაქვს, რომლებსაც ქრისტიანობის მომავალ მნათობებად სახავენ? მა-მა-მა! ეპისკოპოსის ღირსეული ვაჟი გრიგოლი მსაჭულია თავის ქალაქში, ხოლო ბასილი ხერო ბრძენკაცთა თბულებებს ჩაპყროკიტებს, თავის მამულში განდევნილით განმარტობული.

იულიანე. ვიცი, ვიცი, უველგან განდგომილება სუფთვს, ეკივოლიუსი, ჩემი უოფლი მასწავლებელი, თავისი გულმოდგინე კირკიტისა და საღმრთო წერილის განმარტების წუალობით მდიდარი კაცი გახდა და მას შემდეგ... ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, შორს აღარაა ის დრო, მაქსიმე, როცა ერთადერთი კუშმარტი მორწმუნე მედა დაურჩები.

მაქსიმე. შენ ისედაც ერთადერთი ხარ, სადღა არიან შენი თანამებრძოლნი? ზოგი გაიქცა. ზოგიც შენ გარშემო ბრძოლის ველზე დაცემული წევს. შეურის ნიშანი მიეცი — ველარავინ გაიგონებს! წინ გასწი — აღარაინ გამოგუვება! ნუ გგონია, თითქოს წინ წასწევ საქმეს, რომელსაც თვითონვე უიმედოდ მიანია თავისი თავი. დამარცხდები, უთუოდ დამარცხდები, ჩემო ძვირფასო! მერე სადღა აპირებ წასვლას? კონსტანციუსის მიერ უარყოფილ ზურგს შეგაქცევს უველა მიწიერი ძალა და, მერწმუნე, არც მიწისქვეშეთის იღუმალი ძალები ჩაგიკრავენ გულში. იქნებ გგონია, გალილეელი შეგივრდომებს? ვინა ხარ მისთვის? აქ თვითონვე აღიარე, რომ დღენიადაგ მისი მრისხანე მეუფების წინაშე ძრწი? განა გულში იმარხავ მის აღთქმას? განა გიუვარს შენი მოსისხლე მტერი კონსტანციუსი, თუმცა კი გადამწვებ დარტყმას არ აუენებ მას? განა ზიზღით უარყოფ ხორციელ ვნებებს და ამქვეყნიურ სიამეთ: მაცთურსა და მომნუსხველ ხიბლს, თუმცადა დახიცული მოცურავსავით თავდაყირა არ ეშვები მათ მორევში? განა ზურგს აქცევ ამ სოფელს, თუმცა იმდენი გამბედაობა არ გყოფნის, რომ დაიბურო და დაიმორჩილო იგი? განა გწამს, რომ თუკი ხორცს მოაკვდინებ ამქვეყნად, საუკუნო სიცოცხლე გელის უფლის სასუფეველში?

იულიანე. (ბოლთასა სტემს). რა მომცა, რითი შემეწია, რა მოიმოქმედა ამ უოვლის მთხოვნელმა ჩემთვის? სამუაროს საქე რომ მართლაც ხელთ ეპურას, ხომ შეეძლო, რომ... საეკლესიო გალობა სულ უფრო ძლიერდება.

გესმის? ამას ისინი ღმრთისმსახურებას უწოდებენ. და ისიც იღებს, მეტიც, ხარბად ისრუტავს, როგორც სამსხვერპლო კვამლის ტკბილ სურნელს. საგალობლებით აღიღებენ მას და... კუბოში მწოლარე მის უმანკო სასძლოს, თუკი მართლაც უოველისმცოდნეა, მაშინ როგორღა ითმენს, რომ...

სახლთუხუცესი ევფერიოსი (სწრაფად ეშვება მარცხენა მბრიდან). მეუფეო! სადა ხარ, სად?

იულიანე. აქა ვარ, ევფერიოს! რა იყო, რა გინდა?

ევფერიოსი. ახლავე უნდა ამობრძანდე ზევით და საკუთარი თვალით იხილო: ქალბატონის კუბოსთან არნახული სასწაული ხდება.

იულიანე. სტუჟი!

ევფერიოსი. არა, ღმერთმანი! მე არ ვიზიარებ ჩვენთვის ამ სრულიად უცხო მოძღვრებას მაგრამ არც იმის უარყოფა შემიძლია, რაც ჩემივე თვალით ვიხილე!

იულიანე. ასეთი მაინც რა იხილე?

ევფერიოსი. მთელი ქალაქი უცნაურ მღელვარებას მოუტავს. ქალბატონის კუბოსთან სნეულნი და დავრდომილნი მიბჟავთ, მღვდლები ნებას აძლევენ კუბოს შეებონ. და ისინი განკურნებულნი ბრუნდებიან უკან.

იულიანო. მართლა შენი თვალით იხილე?

ევფერიოსი. დიახ, მეუფეო, მე თვითონ ვიხილე ავნიანი ქალი, რომელიც სავსებით საღსაღამათი გამოდიოდა ეკლესიიდან და ადიდებდა გალილეველთა ღმერთს.

იულიანო. ო, მაქსიმე, მაქსიმე!

ევფერიოსი. გესმის, როგორ შეიმობენ ქრისტიანები? როგორც ჩანს, ახალი სასწაული მოხდა!

მძინი მორიბასიოსი (მარცხნიდან ჩამოსდახის). ევფერიოსი.. ვერ ნახე?..



იულიანო. აქა ვარ, აქი.. მართალია, ორიბასიოს?

მორიბასიოსი (დაბლა ეშვება). გონებაში უწვდომელი, გამოგნებელი სიმართლე გახლავს. ისინი კუბოს ებებიან, მღვდლები ღოცვებს კითხულობენ და სნეულები იკურნებიან. დროდადრო ისმის ხმა, მაღლით მღაღადებელი: „ნეტარ არს წმიდათა შორის უხრწნელი სასძლო!“.

იულიანო. ხმა?..

მორიბასიოსი. იდუმალი ხმა, ჩემო მეუფევი გრგვინვასავით გაისმის ბაზილიკაში; არავინ იცის, ვისია, საიდან მოდის.

იულიანო (ერთხანს უძრავად დგას, მერე უცერად მიუბრუნდება მაქსიმეს და ყვირის). სიცოცხლე თუ სიცრუე?

მაქსიმე. ამოიჩიე!

მორიბასიოსი. წამოდი, წამოდი, მეუფეო, შენით თავზარდაცემული ქარისკაცები გემუქრებიან.

იულიანო. მაგაზე დამიდგა დარდი.

მორიბასიოსი. ისინი სასწაულთმოქმედი ქალის სიკვდილში გდებენ ბრალს.

იულიანო. ამოვალ და დავაშოშმინებ...

მორიბასიოსი. არსებობს მხოლოდ ერთი, ერთადერთი საშუალება, სხვა რამეზე უნდა გადაუტანო სიტყვა, სხვა რამის მიმართ მიაქციო მათი გონება... შეშისაგან თავგზა დაკარგეს... წინასწარვე დასტირიან თავიანთ ხვედრს; არ იციან, რა ელით, თუკი კვლავ დააბანებ!

მაქსიმე. წადი, ცას მიაშურე, უგუნურო, შენი პატრონისა და მბრძანებლის დღეგრძელობისთვის მოკვდები!

იულიანო (ბელს სტაცებს). კეისრის სამეფო — მე!

მაქსიმე. აქილევს!

იულიანო. რითი გავკვეთო კავშირი?

მაქსიმე (სამსხვერპლო დანას უწვდის). ამით!

იულიანო. რა ჩამორეცხს წყალს?

მაქსიმე. ცხოველის სისხლი. (თავიდან მოიგლეჯს სახვევს და იულიანეს უკეთებს).

მორიბასიოსი (უახლოვდება). რას აპირებ, მეუფეო?

იულიანო. ნუ მტყითხები!

ევფერიოსი. გესმის ყვირილი?.. ზევით, ზევით, ჩემო მეუფევი!

იულიანო. ჭერ ქვევით, შემდეგ კი მაღლა — ზევით! (მაქსიმეს.) სადაა საკურთხეველი, ჩემო ძვირფასო ძმაო?..

მაქსიმე. ძირს, მეორე მიწისქვეშეთში.

მორიბასიოსი. სად მიხვალ, მეუფეო, სად?

მაქსიმე. თავისუფლების კარად!

იულიანო. სიბნელიდან — სინათლისაკენ!.. აი.. (სიღრმეში ეშვება).

ევფერიოსი. გამაგებინე, რა საქროა ეს იდუმალი მისნობა და გრძნეულება?

მორიბასიოსი. თანაც ახლა, როცა უოველი წუთი ძვირფასია...

მაქსიმე (აღშფოთებული ჩურჩულით, ადგილს იცვლის). ო, ეს უბადრუკი ლანდები!.. ფუჰ!.. ქვეწარმავლები!..

მორიბასიოსი (აყურადებს). ხმაური სულ უფრო ძლიერდება, ევფერიოსი ქარისკაცები მოდიან! გესმის, გესმის?

ევფერიოსი. ეს საეკლესიო გალობაა...

მორიბასიოსი. არა, არა, ქარისკაცები!.. აი, ისინიც!

ზემოთ გამოჩნდება სალუსტიუსი, გააფთრებული ჯარისკაცების უწარმაწარი ზრბო-

თი გარშემორტყმული. მათ შორისაა მედროზე მაქსიმე.

სალუსტიუსი. დამშვიდდით! ღვთის გულისათვის!

ჯარისკაცები. ცეზარმა გაგვიოდა, სიკვდილი ცეზარს!



სალუსტიუსი. მერე რაღა გეშველებათ, უგუნურებო?
 მამროსი. რა გეშველება?.. ცეზარის თავის პატიებას ვიყიდით...
 ჯარისკაცები. გამოდი, ცეზარი გამოდი
 სალუსტიუსი. მეუფეო.. ხაღა ხარ, საღ?
 იულიანე (სიღრმიღან). ჰელიოს! ჰელიოს!
 გუნდი (ეკლესიაში). მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა.
 სალუსტიუსი. საღ არის? ევფერიოს, ორიბასიოს... რა ხდება იქ?..
 გუნდი (ეკლესიაში). წმინდა იუაენ საბელი შენი...
 იულიანე (სიღრმიღან ამოდის საფეხურებით; შუბლი მკერდი და ხელები სისხლითა
 აქეს მოთხვრილი). აღსრულდა!
 ჯარისკაცები. ცეზარი
 სალუსტიუსი. სისხლი?!.. რა ჩაიღინე?
 იულიანე. გავკეთე შიშის ღრუბელი!
 მამსიმი. ქმნილება შენს ხელთაა!
 გუნდი (ეკლესიაში). იუაენ ნებაი შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა!
 გალობა გრძელდება მთელი მომღეენო სტენის განმავლობაში.
 იულიანე. ახლა კონსტანციუსს უკვე აღარავინ იცავს!
 მამროსი. რას ამბობ, მეუფეო?
 იულიანე. ო, ჩემო ძვირფასო მეგობრებო! ზევით, მზის სინათლეზე რომიხკენ, საბერ-
 ძნეთისკენ!
 ჯარისკაცები. გაუმარჯოს იმპერატორ იულიანეს!
 იულიანე. უკან ნულარ მოვიხედავთ, ჩვენ წინაშე ხსნილია ყველა გზა ეკლესიის, ეკლე-
 სიის გავლით! ცრუმეტყველნი უნდა დადუმდნენ (სწრაფად ამოდის საფეხურებით.) ჩემი
 ლაშქარი, ჩემი საუნჭე, ჩემი ტახტი!
 გუნდი (ეკლესიაში). და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჰხსნენ ჩუენ ბო-
 როტისაგან...
 იულიანე ხელის კვრით შეაღებს შუა ვარს, საიღანაც ჩანს სანთლებით გაჩახახებული ეკ-
 ლესია. მღვდლები საქურთხეველის წინ დგანან. ელენეს საფლავს მუხლმორყრილ მლოცველთა
 ბრბო ახვევია ვარს.
 იულიანე. თავისუფალი ვარ! თავისუფალი! ჩემია სამეფო!
 სალუსტიუსი (უკან მისძახის). და ძალა და დიდება!
 გუნდი (ეკლესიაში) რამეთუ შენი არს სუფევაი და ძალი და დიდებაი...
 იულიანე (პასუხით გაოგნებული). აი...
 მამსიმი. გამარჯვება!
 გუნდი (ეკლესიაში)... უკუნისამდე, ამინ!

(გაგრძელება იქნება)

რომანოზ მელოდოსი

ღმესებნი



ქველბერძნულიდან
თარგმნა ნინო ბარამიძემ

რომანოზ მელოდოსი ანუ რომანოზ მგალობელი V-VI საუკუნეების დიდი ბიზანტიელი საეკლესიო პოეტია. დაიბადა სირიაში, წარმოშობით იყო ებრაელი. კონსტანტინოპოლში ჩავიდა ანასტასი მეფის დროს და ღვთისმშობლის ტაძარში ეკურთხა მღვდლად.

რომანოზი ერთერთ ფუძემდებელია წმინდა ბიზანტიური — რიტმიული პოეზიისა, რომელია წესი სრულიად განსხვავდება ანტიკური ლექსთწყობის პრინციპებისაგან. რომანოზი არაჩვეულებრივად გრძნობს ბიზანტიური ბერძნული ენის ბუნებას და ლექსის რიტმს უტყვემდებარებს ენის შინაგან, მხოლოდ რჩეული ნიჭის პოეტისთვის ამოსაცნობ თვისებებს. ამიტომ არის მისი პოეზია იშვიათად კეთილხმოვანი, რისთვისაც მას ეწოდა კიდევ ტაბილმგალობელი. საუკუნეებს შემორჩა რომანოზის შესახებ ერთი გადმოცემა: თავდაპირველად, კონსტანტინოპოლის ეკლესიაში მოღვაწე რომანოზი არ გამოირჩეოდა თურმე შესაფერი ხმით, რისთვისაც, თანამოღვაწენი დასცინოდნენ. ერთხელ მას სიზმრად გამოეცხადა ღვთისმშობელი. რომელმაც უბოძა გრავილი და უბრძანა გადაეყლაბა ის. მას შემდეგ რომანოზი აღივსო უდიდესი შთაგონებით და მისმა გალობამ ყველა მოხიბლა. რომანოზს დაუწერია ათასამდე საგალობელი, მათგან ზვენამდე მოუღწევია მხოლოდ 85-ს. ეს საგალობლები სტროფულ სისტემაზე აგებული ატენტიანი და სილაბური ლექსებია, რომლის საწყისი ასოები ქმნიან აკროსტიხს, თვითუფლ სტროფს ერთვის რეფრენი. ღვთისმსახურების დროს ცალკეულ სტროფებს მღეროდა თვითონ პოეტი, მრევლი კი აიტაცებდა რეფრენს. რომანოზი იყო აგრეთვე ავტორი მუსიკალური კომპოზიციისა, რომლის პანგზე იმღერებოდა პოეტური ტექსტი.

ადრე ბიზანტიულ პოეზიას ახასიათებდა ბიბლიური წიგნებისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, რაც მდგომარეობდა ცნობილი სიუჟეტის გაღრმავებასა და ინტერპრეტაციაში. ექუნდა გამჟღავნებულ იყო პოეტის წარმოსახვის მასშტაბები, სულიერი ამბოღება და, რა თქმაუნდა, თეოლოგიური ცოდნა. ბიზანტიურ ტექსტში რაიმე კორექტივის შეტანა გამორიცხვლი იყო, პოეტს უნდა ეგრძნო ეს ტექსტი და თავისი წარმოდგენით გაეღრმავებინა და განეერცო ის. ეს შემოქმედებითი მიზანი კარგად მოერგო პოეტურ ენას — კონტაკიონს, რომელიც სრულყოფილებამდე აიყვანა რომანოზმა. რომანოზის შემდგომ უფრო დიდი ოსტატი კონტაკიონისა არც გამოჩენილა ბიზანტიურ პოეზიაში. კონტაკიონში გამოამჟღავნა რომანოზმა თავისი პოეტური შესაძლებლობები: ფსიქიკურ პროცესებზე დაკვირვებისა და განცდების გადმოცემის უნარი, ხასიათის სულ რამდენიმე, მაგრამ ზუსტი შტრიხებით ჩვენების იშვიათი ნიჭი. ამ თავისებურებით გამოირჩევა რომანოზის პოემა „იუდას გამცემლობა“. პოემა აგებულია ანტითეზური სახეების პოეტუკაზე. პოეტი ქმნის მდამალი პიროვნების კრებით სახეს, რომელიც ამაზრზენად მოსჩანს კრისტეს სიღიადის ფონზე. რომანოზის ტონი ბევრად მძაფრია სახარებასთან შედარებით, კიდევ უფრო მეტად დრამატული. რომანოზი ძირითადად მისდევს იოანეს სახარებას და ყველა დეტალს ანიჭებს ფსიქოლოგიურ დატვირთვას. სახარებით მოწოდებული ცნობები მის მიერ შემოქმედებითად ღრმავდება და ზნეობრივ ინტერპრეტაციას იძენს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პოემის ევფონიური მხარე. პოემა გვხიბლავს ასონანსისა და ალიტერაციის უჩვეულო ამღერებით. კ. კიკინაძე წერს: „პოეტი ლექსის წერის დროს ფიქრობს რითმაზე, მეტრზე, სახეებზე, მაგრამ ალიტერაცია შედგება პოეტის შინაგანი მუსიკალური ბუნებისა“-ო. მართლაც, რომანოზის პოეზიაში საოცრად წარმოჩინდა მისი არაჩვეულებრივი შინაგანი მუსიკალობა, საგანგებოდ აღვნიშნავთ, აგრეთვე, რომ რითმა, რომელიც საერთოდ ბიზანტიურ პოეზიაში არა სისტემური და იშვიათია, ამ პოემაში თითქმის სისტემურ სახეს ღებულობს.

1

ვით არ აღიძრას მსმენელი.
 ვით არ შეძრწუნდეს მხედველი?
 ზაკული ბაგით ამბორყოფილო,
 უფალო იესო ბორკილპყრობილო,
 სული მოშურნე, გულძვირებული,
 სულს აღარისხებს.

ვითარ დაიტოს რისხვა დედამიწამ.
 გულმა წუხილი მოიწუხაო,
 ხმელი ხმელობდეს,
 ზღვაჲ ზღვაობდეს,
 მზეჲ ნათელი სხივმფინარობდეს,
 ამათერ როგორ იტევდეს წუხილს,
 ცათა უფალი განიცემაო?
 ყოვლისმპყრობელო,
 ყოვლისმომცველო,
 გვიწყალენ!

2

მზაკვრობა გულს განიგულა,
 მზე სიკვდილს განგამზადაო,
 გულით ითვისე — გულს არ გიკარა,
 კურთხევა მიჰმადლე — ვერცხლზე
 გაგცვალა,
 სათნო იჩინე — მსაჯულს გადაგცა,
 გულძვირი გექმნა.
 ყოვლადმოწყალემან მოისულგრძელე,
 კაცთმოყვარება გულს ასურვილე,
 წყალი აღავსე,
 ქედი იღრიკე,
 მონას უდარესს მსახური ექმენ,
 და წარმოგიპყრა იუდამ ფერხნი
 განსაბანელად!
 ყოვლისმპყრობელო,
 ყოვლისმომცველო,
 გვიწყალენ!

3

ფერხნი, რომელთაც შენ განუბანდი,
 შენს განსაცემად გარეწარივლტენ,
 ვინც მოწყალეებას შენსას ეგანა,
 ვინც საიდუმლო სერს მიეახლა,

პირი იქცია, გარეგანგიდგა,
 უფალო ჩემო.

თუმც მოწყალემან გლახაკს ახარე,
 უბოვარება განამდიდარე,
 გული უხარე ^{უკრწინე} ~~გულს~~ ^{უკრწინე} ~~გულს~~
 ეშმა უგარე
 დემონთქვეშემყოფს ვნება უქარვე,
 მაგრამ უწყალომ ენა იმწარა,
 მაგრამ უწყალომ გულს არ გიკარა,
 ყოვლისმპყრობელო,
 ყოვლისმომცველო,
 გვიწყალენ!

4

განალა ვინმეს უხილავს,
 განალა ვინმეს სმენია,
 უფალი მონას კირთებრ ფეხს ბანდეს,
 მონა სანაცვლოდ ფეხით თელავდეს,
 აღუწერელი სიყვარულისთვის,
 გაუგონარი უმადურება?!
 უფალო ძალთამძლეველო,
 უფალო მადლთამფენელო,
 გულღრძობ სერობის პური ვერ
 იტკბო,

ქედი უდრიკა ეშმას.
 ფიცხლად ჰბორგვიდა გულღრძო იუდა,
 ეპა, რა ფიცხელ როკდაო,
 კბილთა იღრჭენდა,
 მხეცებრ იზრზენდა,
 სატანა სულში შეიმკვიდრაო.
 ყოვლისმპყრობელო,
 ყოვლისმომცველო,
 გვიწყალენ!

5

რას ფიქრობ ქვეყნის დამქცევო,
 რას ფიქრობ უფლის გამცემო?
 რა ძალამ აგაფრთიანა,
 რა ძალამ მოგცა სავალი?
 ავბელოვნებით ავად-მრებელო,
 ქრისტეს გამცემელო, უფლის
 მღევნელო,

უსიყვარულო, უგულისხმოო
 უფლის მოძაგე.
 რა გამოქმედებდა, რა გაბოროტებდა,
 გული ავგული ვით აგულფიცხე,
 ვითარ რბიოდი,
 ვითარ ცბიოდი,
 ასე ურიდად ვითარ შლილობდი,
 განა უფალმა ძმა არ გიწოდა,
 განა მოყვსობით არ მოგიწოდა?
 (თუმცა განზრახვა შენი იცოდა)
 ყოვლისმპყრობელო,
 ყოვლისმომცველო,
 გვიწყალებ!

6

ერნი ცათანი ზარგანხდილ,
 ერნი ცათანი მთრთოლვარ!
 მხოლოდშობილმა წყალი აღავსო,
 სარტყელი ირტყა წელზე,
 და განემზადა ძალთამპყრობელი
 მონის სამოსში ფერხთ-განსაბანად.
 პეტრემ შეჰყვირა, პეტრე გულწყებულ,
 განკრთომით განიკრთო ზეცა!
 „უფალო მზეო,
 უფალო მძლეო,
 ვითარ განბანო შენ ფერხნი ჩემნი?“
 ანგელოზები თვალდახრით მზირენი
 ცრემლთა მდინარეს ამცვრევენ.
 ყოვლისმპყრობელო,
 ყოვლისმომცველო,
 გვიწყალებ!

7

ძალნი უხილავნი განჰკვირდებიან,
 ძალნი ცეცხლოვანნი შეძრწუნდებიან,
 ეჰა, მოსაჯული ძალთამძლეველი,
 ეჰა, უფალი მიუწვდენელი,
 უწინარესი მთიებისაჲ
 მიწას ჰმსახურობს.
 გაბრიილ, გაბრიილ ცას შეჰტალადებს,
 გაბრიილ, ცის ერს უხმობს:
 „ცათა ანგელოზნო,
 ნათლანგელოზნო,
 თანამოდმენოო, განჰკვირდით,

ძრწოდეთ!
 პეტრე ფებს უწვდენს,
 უფალი განბანს.
 იუდას პეტრეს შემდგომ მოუხმობს“/
 ყოვლისმპყრობელო,
 ყოვლისმომცველო,
 გვიწყალებ!



8

„აჰა, განბანს ზღვაჲ თიხას,
 აჰა, განბანს სიღრმე მიწას,
 მაგრამ სიმყარეჲ მის იარ იშლება,
 მაგრამ უფროჲს შეკავშირდება,
 თავისუფალი ნებელობაჲ
 დაეწმინდება.
 იხილეთ, იხილეთ, ვითარ იღვაწაო,
 იხილეთ, იხილეთ, ვითარ იყვარაო,
 თვისი შექმნულნი დამბადებელმან,
 პოჲ, საქმენი უფლისანიო!
 ფეხზე დგას თავადი — ტაბლას
 უსხედან.
 სჰამენ, პურს აწვდის ცათა მეუფე,
 განიბანებიან — სულთა განუბანს,
 ცეცხლოვან ხელთა ფერხნი უპყრიეს,
 მაგრამ თიხაჲ არ იფერფლება,
 ცეცხლმან თიხაჲ არ დაშრიტაო“.
 ყოვლისმპყრობელო,
 ყოვლისმომცველო
 გვიწყალებ!

9

ანგელოზი ესრეთ ხმობდა,
 ანგელოზი ესრეთ ძრწოდა,
 ვენახს ჰეშმარიტს ოდეს გხედვიდა,
 ოდეს გხედვიდა, მნათო ზენაო.
 რტოთა თვისთა განმფენელო,
 რტოთა თვისთა აღმზეველო,
 გამომზრდელოო, ნაყოფმწყაზარო,
 იესო.
 და ვით გიხილა სარტყელშერტყმული
 ცათა უფალი,
 თვით მოციქულთა უნარჩევესმა,
 პეტრემ შეჰყვირა გულანანთებით:
 „მაცხოვარ, ფერხთა შენ უნდა მბანდე,

საგულისთქმოო?
 არა განბანე, შენ ფერხნი ჩემნი,
 უკუნისამდე!“
 ყოვლისმპყრობელო,
 ყოვლისმომცველო,
 გვიწყალებს!

10

„ძილი სიკვდილად მექცეს და,
 ქვესკნელს ტყვედ შევემწუხარო,
 შენ — უკვდავმა, რომ ჩემს —
 მოკვდავის წინ,
 ქედი იდრიკო მზეო, დაუვალო.
 ო, ვითარ რიგად განიხარებდა
 მოძულე ჩემი.
 მარადუამეულ, ქედი მოკვდავის წინ
 გსურს იდრიკო!
 განა უაღრეს ჩემდა არ არის,
 თვისი გამხადე?
 განა კმა ჩემდა არ არის,
 ღმერთმა მომხადე?
 შენს მოყვასთაგან უნარჩევესი
 მიწოდე, ღმერთო!

თიხას განჰბანდე?!
 ო, ვით შემრაცხენ!“
 ყოვლისმპყრობელო,
 ყოვლისმომცველო,
 გვიწყალებს!

11

ასე უხმობდა მოძღვარს მოციქული,
 მაგრამ მან პრქვა:
 „ნაწილი ჩემთან არა გაქუნდეს,
 უკეთუ არა დაგბანე ფერხნი,
 უკეთუ არა, მტერი გიწოდო,
 გარეგანმდრეკელ ჩემი!“
 პეტრეჲ სულით შეიკრთო,
 პეტრეჲ აღმო გრძნობამან,
 „მოძღუარ,
 მოძღუარ,
 ყოვლით განმბანე,
 ნუ ხოლო ფერხთა ჩემთა, მოძღუარ!
 რომე ნაწილთა შენთა შევერთო,
 სუფევას შენსა შემისართეო“.

ყოვლისმპყრობელო,
 ყოვლისმომცველო,
 გვიწყალებს!



ქართული
 ენის ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ვითარ სიტყვათა ნთებაა,
 ვითარ გრძნობათა ხლებაა!
 მაგრამ უგრძნობი შეუძრავია,
 მაგრამ ულმობი შეუვალია,
 ღვთის მეგობრობა განა არჩია,
 ქვაგული განა დაიცბო?!
 სერობის პურის უღვთოდ მღებელი,
 სერობის ღვინის ვერად მთნებელი,
 უფალს აღუდგა,
 ცხოვარს განუდგა,
 ცად ანგელოზნი გლოვენ!
 მწარე ძუძუთა მიექცა,
 უტკბილეს ძუძუთმღებელი.
 ყოვლისმპყრობელო,
 ყოვლისმომცველო,
 გვიწყალებს!

13

ამაოდ რბიოდა,
 ამაოდ ივლტოდა,
 მძვინვარ იუდაზე ადრე სატანა.
 აწ თვით იუდა გარბის ეშმასთან,
 იქმნა სატანა.

მისით შიშობდნენ?
 პოჲ, ამაო! ის ხომ მოუცავს შურს
 მოუდრეკელს,

შური აღიდვა,
 შური აღიღო,
 თვალით ეშურა თვისსავე შემოქმედს!
 ამაოდ, ამაოდ, ამაოდ ჰკურნებდა
 სიტყვაჲ მის სენთა მრავალთა,
 ო, თვით სნეულ არს, უმსახურებელ!
 ვერცხლმოყვარება სულს დაუფატრავს.
 ო, თავად წყლული გაეხსნა გულში,
 ვერცხლმოყვარებით დაიწყლულაო.
 ყოვლისმპყრობელო,
 ყოვლისმომცველო,
 გვიწყალებს!



საუკუნეთა მფლობელი,
 უცვალელებელი იესო,
 მკვლელებს სურს ხელში უგდოს
 უზავმა,
 ვაჭრობის საგნად უნდა აქციოს.
 „რამ გსურთ მომცეთ?“ —
 შემოელიქნა,
 დაპხარბდა, ფასისმოსაევობს.
 სისხლი სწყურიათ იესოს,
 იესოს სისხლით მთვრალობა,
 ზღვაო შეიქმეც. შეთქმულებაა,
 შეუფასებელს ფასი დაედო,
 ცხოვრების მომცემს სიკვდილი
 დასდევს.
 ქვეყანავ, ძრწოდე,
 შეითქუნესო!
 ყოვლისმპყრობელო,
 ყოვლისმომცველო,
 გვიწყალებნ!

აწ წარმოჩინდა,
 აწ გამოჩინდა,
 გულის სიხარბეა შენი. ეროვნული
 გემოთმოყვარეო, საქართველო
 უბადრუტობა მოურიგებელ,
 სულთ ურცხვინოო, უანგაპრესო,
 ვერცხლისმოყვარე!
 „რამ გსურთ მომცეთ?“ —
 შემოელიქნე,
 იესოს სისხლდანატრულებს.
 ვითარ რა გაკლდა,
 რამ მოგაკლდა,
 რისი შეიქმენ გულნამტკინარე?
 ქვეყანიერის და ზეციერის მადლი
 გეფინა.
 შენვე მას გასცემ?
 ყოვლისმპყრობელო,
 ყოვლისმომცველო,
 გვიწყალებნ!

□



ინგლისურიდან

თარგმნა შაქა მაისურაძე

„ულისე“

ფილიპ თეოდორ ტოინზი (1916—1965) ინგლისელი რომანისტი. მისი ნაწარმოებებია: „ველური დღეები“, „სკოლა საკუთრად“, „ჩაი მისის გუდმენთან“ და სხვ. წინამდებარე ესეი ამოღებულია კრებულიდან Modern British Fiction, 1961.

„ულისეს“ პირველი გვერდები იკითხება როგორც გაგრძელება ჯოისის ადრეული რომანისა „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობაში“. ამბავი კვლავ მთავარი გმირის — სტივენ დელალოსის ცხოვრებას გვაცნობს და თბრობაც, რომელშიც მხოლოდ ხანმოკლე პარიზის პერიოდი არ აისახა, სწორედ იმ მომენტიდანაა განახლებული, სადაც ის ადრეულ რომანში შეწყდა. თბრობის ხასიათი, მეთოდი და განწყობილებაც შედმიწვევით ისეთივეა როგორც „ხელოვანის პორტრეტში“. ფერიც მელანქოლიურ-მონაცრისფრო-ვერცხლისფერია. „ხელოვანის პორტრეტი“ მთავრდება სტივენის სიტყვებით: „მოგესალმები შენ, შოი ცხოვრებავ! კვლავ და კვლავ მზად ვარ, შემოგხედო თვალებში და ჩემი სულის სამჭედლოში გამოვჭედო კაცთა მოდგმის ჭერაც ხელუხლები ცნობიერება“ (11).

სტივენის ასეთი ამაღლებული, მაგრამ არცთუ ისე დამაჭერებელი, მოლოდინით აღსავსე განწყობილება „ულისეში“ დედის სიკვდილით გამოწვეულმა გრძნობამ ჩაახშო. ეს განწყობილება თავიდანვე ჩასახშობად იყო განწირული. ჯოისის მეორე რომანში არ შეცვლილა ლექსიკა, არც სამწერლო მეთოდის გართულება შეიგრძნობა. იმ ხნის განმავლობაში, რაც „ხელოვანის პორტრეტის“ დაწერიდან „ულისეს“ შექმნამდე გავიდა, მთავარი გმირის გონება ახალი ცოდნით გამდიდრდა და სტივენი პროვინციული ირლანდიელი ბიჭიდან განათლებულ ევროპელად გადაიქცა. მაგრამ დრო-

ის ამ მონაკვეთმა დედის სიკვდილის გამო ისე დიდი ცოდვილობის გრძნობა შეა მასში, რომ მდლსაც ვერ შეეძრებოდა ამ გმირის უმაწვილური შეცოდებანი, ჯოისის ადრეულ რომანში რომ აღიბეჭდა. ცოდვილობის ეს გრძნობა სტივენს არა მარტო „ულისეში“ აღწერილ პერიოდში ექნება, არამედ, როგორც ჩანს, მთელი სიცოცხლის მანძილზე აღარ მოასვენებს.

ჭერ კიდევ სულ დასაწყისში, „ულისეს“ მე-8 გვერდზე ვკითხულობთ სინანულის პირველ სტრიქონებს. როდესაც მალიგანი დამცინავად ქირდავს სტივენს იმის გამო, რომ მან დედას უკანასკნელი თბოვნა არ შეუსრულა და მისა სულისათვის არ ილოცა, რომანში პირველად გამოიკვეთება სიკვდილის სახე: „სიკვდილის შემდეგ დედა მდუმარედ გამოეცხადა სიზმარში, უსიცოცხლო სხეული გრძელ უავისფერ სუდარაში იყო გახვეული და საკმევლისა და ვარდის ხის სუნი ასდიოდა, თავს ევლებოდა მისი სუნთქვა. უსიტყვო, საუვედურიოთ აღსავსე, ნესტიანი ნაცრის მკრთალი სუნი“¹.

იგივე წინადადება ხუთი გვერდის შემდეგ

¹ ჯ. ჯოისი, „ულისე“, თარგმანი ნიკო ყიასაშვილისა, „მერანი“, 1983 წ. შემდგომაც ყველა ციტატი დამოწმებულია ამ წიგნიდან; გამონაკლისია ადგილები ჯ. ჯოისის რომანიდან „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობაში“ და „ულისეს“ მეორე ნაწილიდან (ტექსტში აღინიშნება 11-ით), რომელთა თარგმანი ჩვენ გვეკუთვნის (მთარგმნელის შენიშვნა, ქვემოთაც შენიშვნები მთარგმნელისა).

მეორდება ოდნავ შეცვლილი სახით. ჩვიდმეტი გვერდის შემდგომ, როდესაც სტივენი უყურებს ერთ უმსგავსო, ჩამომხმარ, სათვალთან ბიჭს და ფიქრობს, რომ, ალბათ, მასაც მყავდა დედა, რომელსაც ის უყვარდა. მკითხველი კვლავ შეიგრძნობს სიკვდილის სახის შორეულ გამოძახილს: „დედა წავიდა, აღარ არის: ცეცხლში დამწვარი ტოტის მთრთოლვარე ჩონჩხი, ვარდის ხისა და ნესტიანი ნაცრის სუნი“.

წიგნის მესამე ეპიზოდში იმავე მოტივის ექვს ახლა საბოლოოდ ქრება: „მეც, ბნელ, ცოდვილ საშოში ჩამალული, კი არ ჩამსახებს, შემქმნეს. კაცმა ჩუმხმთანმა და ჩუმთვალეებამ და დანაცრულსუნთქვიანმა ქალის მოჩვენებამ“.

ეს სახე რამდენჯერმე იმიტომ კი არ ამოტივტივდა და გაქრა, რომ საბოლოოდ დავიწყებას მისცემოდა. ჭოიხის სულ მცირე დეტალიც დიდ მიზანს ემსახურება. სტივენის ცოდვილობის თემა გადაიქცევა არა მარტო ერთ-ერთ ძირითად ნაკადად, რომელიც მთელი რომანის მანძილზე მიედინება, არამედ სწორედ ამ ნაკადის ერთ-ერთი შენაკადიდან იღებს სათავეს სიკვდილის ყველა ის სახე, ბლუმის პედი დიგნების დასაფლავების გავლენით რომ წარმოუდგება.

„უკეთესია, თუ ყველა ხვრელს დაუცობენ. დიახ, იმასაც. ცვილით. სფინქტერი მოეშლება ხოლმე, ყველაფერი უნდა დაილუქოს“ ბლუმი ცვილის სუნს განსაკუთრებით გამოპყოფს, რადგან ის, რაც სტივენის გონებაში მუდამ განზოგადებული, მკრთალი და პოეტურია, ბლუმის მიწიერ, მახვილ, კარგად მომარჯვებულ აზრს ყოველთვის გამოკვეთილად, ხელშესახებლად წარმოუდგება. და ბოლოს ისიც უნდა აღვნიშნოთ — უფრო დაწვრილებითი და აუჩქარებელი გამოკვლევა, ვიდრე ჩვენ ამჟერად შეგვიძლია შევთავაზოთ მკითხველს, წარმოაჩინს, რომ სიტყვა „ჩუმი“ თუ „უსიტყვო“ სულ პირველად სტივენის გონებაში ჭერ კიდევ სიკვდილის პირველი სახის ამოტივტივებისას გაჩნდა. ასეთი აუჩქარებელი კვლევისას შესაძლებელი გახდება მივდიოთ ოდნავ შესამჩნევ ცვლილებებსაც, რასაც ეს მნიშვნელოვანი სიტყვა რომანის მომდევნო ეპიზოდებში განიცდის.

მე-11 გვერდზე მალიგანი, რომელიც კვლავ სტივენს დასცინის, შეინჯს ეუბნება: ის (სტივენი) „აღგებრის შეშვეობით ამტკიცებს, რომ მამლეტის შვილიშვილი შექსპირის პაპაა და თვითონ საკუთარი მამის აჩრდილია“. იმავე მოტივის გამოძახილი იგრძნობა სცენაშიც, სადაც სტივენი საკლასო ოთახში ამოცანას უხსნის შემოთ უკვე ნახსენებ ჩამორჩენილსა და უსახურ ბიჭს, „სტივენი სარქენტის გვერდით იჭდა და ამოცანას იყვანდა. აღგებრის მეშვე-

ობით ამტკიცებს, რომ შექსპირის აჩრდილი მამლეტის პაპაა“.

ორმოცდაათი გვერდის შემდგომ ბლუმის პირველ მონოლოგში მოხსენიებულია „ქ-ანი ბენდენ პალმერი. კიდევ ერთხელ ვნახავდი ამ როლში. გუშინ საღამოთი მამლეტის მამამაბდა. კაცების როლის შემსრულებლები... მქმნის ქალი იყო. რატომ მოიკლა თავი ოფელიამ? საწყალი მამა!“ ამ ფიქრებმა ბლუმის გონებაში პირველად ამოატივტივა მამის თვითმკვლელობის ამბავი. კიდევ ორმოცდაათი გვერდის შემდგომ ბლუმის გონებაში მოულოდნელად გაიღვებებს შექსპირის სტრიქონები:

„მამლეტ, სული ვარ მამიშენის და სახქელად მძევს, ხანსა რასმე მიწას ვიარო“.

აქედან მოყოლებული მამლეტის თემა გაუმუდამებით გვხვდება მთელი რომანის მანძილზე. ზოგჯერ აშკარა, ზოგჯერ სხვა მოტივებით დაჩრდილული, ზოგან სრულიად ცხადი, ზოგან მინიშნებული. მთლი ბლუმის მონოლოგი რომ არა, შესაძლებელი იქნებოდა მთელ რომანზე ამ თემიდან გამომდინარე გვემსჯელა. მამლეტი არის ამ რომანის მეორადი მითოლოგიური ქარგა, რომელიც ავსებს მას ვაჟიშვილისა და მშობლების რთული ურთიერთდამოკიდებულების მოტივით, რასაც მოითხოვს ბლუმისა და სტივენის სახეები, და რაც არ არის მომეროსის „ოდისეაში“.

ჭოიხის სიძლიერე და ორიგინალობა სწორედ ამ ორ ძირითად ნიშანსვეტში: „ოდისეას“ თემასა და მამლეტის მოტივში უნდა ვეძიოთ. აქედან ერთი სიტყვიერი სახეა, რომელსაც გაცილებით მეტი სიღრმე აქვს, ვიდრე ეს სიტყვისაგანაა მოსალოდნელი, ხოლო მეორე კი არის სხივი, რომელიც შუქს ჭფენს ავტორის მიერ აგებულ მთელ შენობას. ჭოიხი ერთდროულად არქიტექტორიც იყო და მუსიკოსიც. ქალბატონი დედალოსის ცხედრის რომანული სახე თავისთავად ქმნის სიმფონიის პირველი ნაწილის ერთ დაქვემდებარებულ თემას, რომელიც შემდგომში უფრო დაბზულად გაისმის, არახოდეს ქრება, მაგრამ არც მომაბეზრებლად საცნაურია. მამლეტის თემა რომანში, ასე ვთქვათ, უფრო არქიტექტურულია, ვიდრე მუსიკალური, რადგან არა იმდენად შემოქმედებითს, რამდენადაც კონსტრუქციულ მიზნებს ემსახურება. „ულისეს“ შექმნისას ჭოიხი ორი მეტ-ნაკლებად ერთმანეთისაგან განცალკევებული მხატვრული ამოცანის განხორციელებით იყო დაკავებული: ასეა თუ ისე, ჩვეულებრივი, ტრადიციული გრანიტის ფილებისაგან აგებდა შენობას და წრუნავდა იმაზე, რომ ამ შენობის კედლების ამოყვანას შესაფერი ორკესტრული აკომპანიმენტი ხლებოდა.

ამ ესეში ჩვენ მხოლოდ თხზულების პირველ გვერდებზე გვეჩვენება ხაუბარი, შენობის მხოლოდ საძირკველს, მუსიკალურ თემათა მხოლოდ ექსპოზიციას შევხებით, მაგრამ დაბეჭდილებით განვაცხადებთ, რომ თხზულების ზოგიერთი ეპიზოდის ასეთი გამოყოფა მთლიანი ნაწარმოებისგან კრიტიკისათვის ხელგონურად მინიჭებული თვისებაა. როდესაც ამ წიგნის განხილვაზე მიდგება საქმე, კრიტიკოსს რიგი მეთოდის გამოყენება შეუძლია. ერთ შემთხვევაში, მან უნდა შეარჩიოს გარკვეული ელემენტები და ბოლომდე თვალი გაადევნოს მათ, რაც აიძულებს უგულებელყოს თხზულება როგორც ხელოვნების ერთიანი ნაკადი, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უგულებელყოს თვით მდინარე მისი ნაპირების კარტოგრაფიული აღწერის დროს. ან არადა, კრიტიკოსმა მწერა მდინარის ნაპირების გარკვეულ ადგილებზე უნდა შეაჩეროს და ამ შემთხვევაში ის მხოლოდ ხანდახან თუ შეძლებს მიადევნოს თვალს, თუ საით მიემართება მდინარე. პირველი მეთოდი მეტიხმეტად ხშირად აქვთ გამოყენებული კრიტიკოსებს, ამიტომაც მეორე ვარჩიე, უმცა ვიმედოვნებ, რომ სრულად მაქვს გაცნობიერებული ის საგანგაშო ნაკლოვანებანი, რომლებიც ამ მეთოდთანაა დაკავშირებული.

„ულისე“ სამი სრულიად არათანაბარი ნაწილისაგან შედგება, ხოლო თითოეული ნაწილი თავის მხრივ მრავალ ეპიზოდს შეიცავს. წინამდებარე ესეში ჩვენ შევეცდებით ურადღება შევაჩეროთ პირველ ნაწილსა და მეორე ნაწილის პირველ სამ ეპიზოდზე. ვეცდებით მეორე ნაწილის შესამე ეპიზოდი განსაკუთრებული გულისყურით განვიხილოთ.

პირველი ნაწილის სამ ეპიზოდს შეიძლება შემდეგი სათაურები მივცეთ: „სტივენი და მისი თანმხლებნი სანაპიროზე“, „სტივენი სკოლაში“ და „სანაპიროზე განმარტობული სტივენი“.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ დეტალისა და სიმბოლოს საკმაოდ რთულ საკითხებს და არც ჰომეროსის ესეულ ანალოგიებს განვიხილავთ (შეუძლებელია ამ პრობლემებთან დაკავშირებით აღმოაჩინო რაიმე ისეთი, რაც ბატონი სტიუარტ გილბერტის² მახვილ და გამოცდილ თვალს გამოეპარა), აღმოვაჩენთ, რომ პირველი ნაწილის პირველი ეპიზოდი საკმაოდ დაწვრილებით წარმოუდგენს მკითხველს სტივენის რთულ მდგომარეობას. მეორე — უფრო ზერელედ აგვიწერს გმირის არასახარბიელო მატერიალურ უოფასთან დაკავშირებულ ხულიერ განცდებს, ხოლო მესამე

ეპიზოდში — პირველად გვიძლევს საშუალება დროულად ჩავწვდეთ სტივენ დედალოსის პოეტური ცნობიერების მოქმედებას, ამავე შესამე ეპიზოდში ხდება მთელი იმ მასალის მიმოხილვა-გადამუშავება, რომელსაც პირველი და მეორე ეპიზოდები გვაწვდის. მუსიკალური ტერმინები რომ მოვიშველიოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველ ეპიზოდს შენობის ძირითადი თემები, მეორეში ხდება ამ თემათაგან ზოგიერთის განვითარება, ხოლო მესამე ეპიზოდში კი უოველივე რაღაც ახლებურადაა შეჯამებული.

პირდაპირ საოცარია, რა უზარმაზარ ინფორმაციას ვღებულობთ პირველი ეპიზოდიდან, რომელიც სულ ოციოდე გვერდს შეიცავს და თან ისე, რომ ავტორი ერთხელაც არ შემოიპრება, რათა ეს ცნობები თვითონ მოგვაწოდოს. ეს ეპიზოდი იკითხება როგორც დამოუკიდებელი, სრული ერთეული, რომელშიც აღწერილია დუბლიონის სანაპირო ზოლზე აგებულ მართელოს კოშკში მცხოვრები სამი ახალგაზრდის ხალასი ურთიერთდამოკიდებულება. ერთი სიტყვით, ეს ეპიზოდი არის შესავალი ნაწილი, რომელიც ავტორს უდიდესი ხელოვნებით აქვს შესრულებული, ხოლო ახალგაზრდათა „ხალასი“ ურთიერთდამოკიდებულება კი არის ე. წ. *tour de force*³.

ჭოისის ამოცანა, ჩვენი გაგებით, იმ ეტაპზე იყო, რომ თხზულების ამ ეპიზოდისათვის მიენიჭებინა სიმშვიდე, უბრალოება, შთაებერა თავისუფალი სული და ამასთან დაკავშირებული არათანმიმდევრულობაც, მაგრამ ამავე დროს ოც გვერდში უნდა მოექცია არა მხოლოდ ძირითადი ინფორმაცია სტივენის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ, არამედ გამოეკვეთა მისი მომავალი ცხოვრების ყველა ნიშანსვეტიც. ეს ამოცანა ჭოისმა განსაცვიფრებელი ხელოვნებით განახორციელა. პირველ ეპიზოდში არაფერია უადგილო, თბრობა მსუბუქად, გლუვ ზედაპირზე მიედინება, ბოლოს კი გრძნობ, რომ ჩანაფიქრი განხორციელდა, უოველივე ზუსტად, ნატიფად გადმოიცა, თხზულების ძირითადი თემები შთამბეჭდავად განვითარდა.

„ულისეს“ მე-20 გვერდს რომ მივადწევთ, უკვე ვიცით, რომ სტივენი ამხანაგებთან, მაინუსა და მალიგანთან ერთად კოშკში ცხოვრობს, რომ მისი მიზნები ლიტერატურას უკავშირდება, მატერიალურად შეზღუდულია და იძულებულია მასწავლებლობით ირჩინოს თავი. ვიგებთ, რომ მას ცოტა ხნის წინ დედა გარდაეცვალა, რომ თვით ის რომის კათოლიკური

² სტიუარტ გილბერტი — ჭოისის მკვლევარი და ბიოგრაფი.

³ *tour de force* — (ფრანგ.) — გამომგონებლობა, მარჯვე ხერბი.

გელსისაგან მოკვეთილი, განდგომილი შვილია, მაგრამ ასეთ განდგომილებას მისთვის თავისუფლება არ მოუტანია; იმასაც ვიგებთ, რომ მას არც თუ ძალიან განვითარებული, მაგრამ გესლიანი იუმორი ახასიათებს. შევითქვით იმასაც, რომ სტივენს შეპყრობილია ცოდვილობის გრძნობით, რადგან დედას უკანასკნელი თხოვნა არ შეუსრულა და მეგობრები ამის გამო მუდმივად ქირდავენ. (უხეში და ღვთისმგებობი მალიგანი ამას შეგნებულად სჩადის, ხოლო ჩლუნგი, პედანტი ინგლისელი ჰაინზი კი სრულიად ქვეცნობიერად). ისიც ვიცით, რომ მას ქვეცნობიერი გრძნობა კარნახობს, რომ მამა სჭირდება (მამლეტი და საბელიუსის ერეტიკოსობა).

დაბოლოს, ჰაინზის სიტყვებისა და ქცევის თავისებურების წყალობით, ავტორი ძალზე შეფარვით, ნატიფი შტრიხებით გვიხატავს იმდროინდელი ირლანდიის პოლიტიკური მდგომარეობის ამსახველ მრავლისმეტყველ სურათს.

და კიდევ აი რა: „ულისე“ ის თხზულებაა, რომელსაც ნატურალისტთა უველა ძირითადი მოთხოვნის დაკმაყოფილება ძალუძს. რომანი მკაცრად განსაზღვრულ დროსა და მკაფიოდ გამოკვეთილ ადგილას ვითარდება და ძალიან მოტივირებულია სოციალურ-პოლიტიკურად. უოველივე ეს არ ნიშნავს, რომ მასში ასახულია რაღაც ზღუდენემოვლებული ადგილი, რომელშიც მარიონეტი — პერსონაჟები არიან გამოწყვდენულნი. ვერც იმას ვიტყვით, თითქოს ნაწარმოები რაღაც ჩარჩოში იყოს ჩასმული. უფრო იმისი თქმა შეგვიძლია, რომ ერთი გარკვეული თემა ცნობიერების ნაკადისა და მოქმედებების მეშვეობით პერსონაჟთა რიგი ერთი ბოლოდან მეორეს გადაეცემა: ჰაინზიდან რიგით ქარისკაცებზე კარსა და კომპტონზე გადადის, ხოლო მათგან კი იმ ახალგაზრდა ინგლისელ საზღვაო ოფიცერს გადაეცემა, რომელიც თავის ღრმად მოლი ბლუმმა აცდუნა.

ირლანდიის დაქვემდებარებული, დაკაბალეებული მდგომარეობა ისევა ფესვგამჭადარი სტივენის გონებაში (რაც უძლიერებს მას პირადი არასახარბიელო მდგომარეობის შეგრძნებას), როგორც ბლუმის გონებაში ებრაელთა დაკნინებაა ჩაფლული.

„ულისეს“ პირველი ნაწილის მეორე ეპიზოდის ცამეტი გვერდი ავციწერს იმ დამცირებას, რასაც სტივენს ცალკე მოხწავლეთა და ცალკე სკოლის დირექტორისაგან განიცდის ის უსუსური კითხვები, რომლებსაც სტივენს მისწავლეებს პიროსისა და ლისიდასის შესახებ უსვამს, და მათი უაზრო, ურცხვად უხინდისო პასუხები, დაცინვაა არა მარტო სტივენისა, არამედ პოეზიისა და ისტორიისაც — ეს ორი

რამ კი დედალოსისათვის უწმინდესი ღვთაებანია.

ამას მოსდევს ბატონ დიზის მიერ სტივენის ხელშეორედ დამცირება მისი შეზღუდული მატერიალური მდგომარეობის გამო, რასაც ჯერ კიდევ მალიგანი უსვამდა ხაზს; და ბოლოს, უოველივეს ისიც დაერთვის, რომ სტივენს იძულებულია მოთმინებით იხსნოს დირექტორის პროტესტანტულ-იუნიონისტური შეხედულებანი (ჰაინზის შეხედულებათა გამოძახილი), რაც სრულიად აუტანელია მისთვის. გარდა ამისა, ბატონი დიზი უკითხავს მას პრესისათვის განკუთვნილ თავის სულელურ წერილს, რომელიც პირუტყვის დაფადებას — თურქულს ეხება. ბატონი დიზი აიძულებს სტივენს, ნაცნობ გამომცემელს მიმართოს, რათა წერილი პრესაში გამოაქვეყნონ. სწორედ ამ წერილში გამოჩნდება ერთი ნაწილი იმ ნაირფეროვანი პაროდისა, რომელიც შემდგომში, შეიძლება ითქვას, გადაქარბებულად უზარმაზარი ხდება. „ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ეს laissez faire⁴ ის დოქტორინა, რომელიც ასე ხშირია ჩვენს ისტორიაში, საქონლით ვაჭრობა ჩვენში. უველა ჩვენი ძველი მეურნეობისა არ იყოს... ევროპის ხანძარი... მომიტვეთ კლასიკური შედარება... კასანდრა, ქალი, რომელიც იმაზე უკეთესი არ იყო, რაც უნდა ყოფილიყო. ახლა უშუალოდ საკითხის თაობაზე. „ვგონებ საქმაოდ თამამად ვწერ, არა?“ იკითხა ბატონმა დიზიმ. სტივენს კითხვას განაგძობდა“. ბოლოს კი, ბატონი დიზი მისთვის ჩვეულ ანტიხემიტიზმს გამოამყდავენებს, რითაც თითქოსდა აფრთხილებს სტივენს იმ ძებნის წინააღმდეგ, რასაც ეს გმირი მთელი იმ დღის განმავლობაში ახორციელებს, როცა ეძებს ბლუმის რომანულ სახეში განსახიერებულ „მამას“.

„ბატონი დიზი შეჩერდა, მძიმედ სუნთქავდა და სულს იბრუნებდა.

— მინდოდა მეთქვა, თქვა მან, ამბობენ ირლანდიას პატივი აქვს იყოს ერთადერთი ქვეყანა, რომელიც არასოდეს დევნიდა ებრაელებსო. თქვენ ეს იცით? არა. და იცით, რატომ? კაშკაშა მზეში სახე მოელეშა.

— რატომ, სერ? — იკითხა სტივენმა და დიმილი მოერია.

— იმიტომ, რომ ისინი შიგ არასოდეს შემოუშვია, — მოზეიმე ხმით თქვა ბატონმა დიზიმ. უელიდან სიცილის გუნდა ამოსკდა და მორაკრაკე ნახველის ძეწკვი ამოაყოლა. სწრაფად მიბრუნდა, ახველებდა, იცინოდა, ხელებს პაერში იქნევდა.

⁴ laissez faire — (ფრანგ.) წინააღმდეგობის გაუწევლობა, ხელშეწყობა.

— არასოდეს შემოუშვია, კვლავ წამოიძახა სიცილით და თან გეტრებიანი ფეხებით ბრემ- მოყრილ ბილიკს ტკეპნიდა.

მის ბრძენ ბეჭებს ფოთლების ბადიდან მზე აი, რატომ აფრქვევდა მბრწყინავ წინწყლებს, აცეკვებულ მონეტებს“.

პირველი ნაწილის მეორე ეპიზოდის ეს ბო- ლო სტრიქონები მოვიყვანე არა იმდენად იმი- სათვის, რომ სკოლის დირექტორის ანტიესე- მიტიზმი შეჩვენებინა (ეს გაცილებით უფრო ძლიერად ადრევე გამომეღავენდა), არამედ იმი- ტომ, რომ მომეყვანა ერთი მაგალითი ჭოისის სტილისა, რაც მას რომანის ამ საწყის ეტაპზე ახასიათებდა. როგორი ცოცხალი, ნათელი და მრავლისმეტყველია ეს სტილი. უფრო მე- ტიც, როგორი მოქნილია! ჭოისს არც ერთი სხვა ხერხი რომ არ გამოეყენებინა. „ულისე“ მაინც იქნებოდა სამწერლო ტექნიკის ნიმუში.

ამას მოსდევს მესამე ეპიზოდის პირველი სტრიქონები, რომლებიც სრულიად განსხვავდებ- ბიან ჩემს მიერ ახლახან ციტირებული სტრი- ქონებისაგან. სხვაა ტონალობა, სულ სხვაა გან- წყობილება: „ბილვადის გარდუვალი მოდალო- ბა: ეს მაინც, თუ მეტი არა, ჩემი თვალებით გააზრებული. უოველი ხავნის ანაბეჭდი, ამო- კითხვა რომ მიწერია, ზღვის ნიჟარები და წყალმცენარეები, ზღვის მოახლოებული მოქ- ცევა, ის უანგიანი ჩექმა. წვინტლისფერი მწვა- ნე, ვერცხლის ფერი ლურჯი, უანგი: ფერადი ნიშნები. გამქვირვალობის საზღვრები“.

დააკვირდით, რა ოსტატობით აქედრებს ჭო- ისი უბრალო ანგლოსაქსურ სიტყვებს და მათ გვერდით რამდენად უფრო საგანგებოდ გაბ- დენძილად უდერს ლათინური ფრაზები: „მის ბრძენ ბეჭებს ფოთლების ბადიდან მზე აფრქ- ვევდა მბრწყინავ წინწყლებს, აცეკვებულ მო- ნეტებს...“ და: „ბილვადის გარდუვალი მოდა- ლობა“.

სწორედ პირველი ნაწილის მესამე უკანასკ- ნელმა ეპიზოდმა გამოამეღავენა ჭოისის სამ- წერლო მეთოდის თვისებრივი ცვლილება. პირ- ველი ორი ეპიზოდი არის თხრობა, რომელშიც მიმოფანტულია გმირის შინაგანი მონოლოგუ- დან ამოღებული ჩართულები, მესამე ეპიზოდი კი არის ერთიანად შინაგანი მონოლოგი აქა- იქ მიმოფანტული აღწერებით. პირველი აბზაცი მთლიანად სტივენის ფიქრთა ნაკადს გადმოგვ- ცემს, მეორე იწყება სიტყვებით: „სტივენმა თვალები დახუჭა, რომ გამორიყული ბაღაბისა და ნიჟარების ხრაშუნი გაეგონა ფეხქვეშ“... და შემდეგ: „მაინც ხომ როგორღაც მიტოპავ და ვადიხარ. დიახაც, ნაბიჯ-ნაბიჯ, დროის მო- ნაკვეთის მეტად მცირე მანძილზე მანძილის მე- ტად მცირე მონაკვეთს“.

გვერდნაბეჭდარის შემდეგ სტივენის ფიქრები

კვლავ ცოტა ხნით უბრუნდება ზედაპირს. მისი გონება ახლა არიუსის სიკვდილითაა დაკავ- ბული: — „უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული შერესიარქი. ბერძნულ ფეხსაღიაში განუტე- ვა სული. ევთანასია: ნეტარი სიკვდილი. თვალ- მარგალიტით მორთული მეტრიკა და კვერთხით ხელში, ტახტზე შესკვრული დაქვრივებული სამრევლოს ქვრივი, აკაპიტებული ანაფორით, გაბინძურებული საჯდომით.“

ქარმა დაუბერა, სუსხავს, თითქოს იკბინე- ბაო. მოდიან ტალღები. თეთრფაფრიანი ზღვის ცხენები, ლაგამის კვენტით. თეთრქარლაგამო- მოღებულნი, მანანაანის ბეღაურები“.

ჭოისი ჯერ მზად არაა შინაგანი მონოლოგის ერთიან ნაკადს მისცეს თავი, მისი სიტყვები, მართალია, ფრთხილად, უოველგვარი მომაბეზ- რებლობის გარეშე, მაგრამ მაინც ზოგჯერ შე- აღწევენ სტივენის ფიქრთა მსვლელობაში, რაც შუქს ჰფენს გარემოს, რომელიც თავის მხრივ მუდმივად უცვლის მიმართულებას გმირის ფიქრთა ნაკადს.

მაგრამ უკვე აქედან მოყოლებული, ავტორის მიერ სწორბაზოვნად მოწოდებული ინფორმა- ცია არარაობად იქცევა. არ იქნება მართალი განვაცხადოთ, რომ ჭოისი ანგარიშს არ უწევს მკითხველს. ის, რომ მკითხველისათვის ანგარი- შის გაწევა ძალზე ნაკლებადაა შესამჩნევი ჭო- ისის შემოქმედებაში, ჩვენ აღრეულ ესეში აღვნიშნეთ, მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მისი სამწერლო მეთოდი ერთგვარი სიფრთხი- ლით ვითარდება. თავდაპირველად, ავტორი გვაწვდის გარკვეულ ინფორმაციას, შემდგომ- ში კი ხდება ამ ინფორმაციის გამოყენება.

პირველი ნაწილის მესამე ეპიზოდი ისევე გადატვირთული ცნობებით, როგორც პირველი. პარიზი, ირლანდიის მდგომარეობა, ზღვა, ეკ- ლესიის მამანი, დედა და დედალოსების ოჯა- ხის ზნეობრივი დაკნინება, პოეზია, ისტორია და მრავალი სრულიად მიწიერი, ჩვეულებრივი წვრილმანი, რითაც სავსეა ნაწარმოებში ასა- ბული დღე — აი, ამ ეპიზოდის ზოგი თემა, რაც მომზიბველი სინატიფით გადახლართუ- ლა სტივენის გონებაში.

მთხრობელის მიერ ზღვის ნაპირის დინჯი, აუჩქარებელი აღწერა უხეშად კი არ იჭრება სტივენის ფიქრთა მდინარებაში, არამედ ქმნის ერთგვარ ნატიფად შესრულებულ ფონს და ეპიზოდის ბოლოსათვის ჩვენ არა მარტო ვე- უფლებით დიდძალ ცნობებს სტივენის შესა- ხებ, რაც ავხებს პირველი ორი ეპიზოდიდან ამოკრეფილ შედარებით მშრალ ფაქტებს, არა- მედ ამ ეპიზოდში ჩნდება ახალი ტონალობა, სურათს უამრავი ახალი, უფრო კაშკაშა ფერი ემატება.

„ულისეს“ მეორე ნაწილის დასაწყისში,

ბლუმის პირველი გამოჩენისას, ჯოისი იძულებულია სტილისტური „უკანდახევა“ განახორციელოს, ავტორმა, მართალია, რაც შეიძლება მომჭირნედ, მაგრამ მაინც უნდა მოგვაპარაგოს დიდი მოცულობის ინფორმაციით... ეს ინფორმაცია აღემატება კიდევ იმას, რაც მწერალმა თხზულების დასაწყისში გადმოგვცა. რადგან „ულისესხმება, რომ მკითხველი გარკვეულწილად უკვე იცნობს სტივენს რომანიდან „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობაში“, ბლუმში კი მისთვის სრულიად უცნობია. მეორე ნაწილის პირველივე აბზაცი შეიცავს, მართალია, მეორეხარისხოვან, მაგრამ მაინც ხაგულისხმო ცნობას ბლუმის შესახებ: „მუდამ დიდი სიამოვნებით შეექცეოდა საქონლისა და ფრინველის შიგნულს ბატონი ლეოპოლდ ბლუმში. უფარდა კუქმაკის სქელი წვნიანი, თხილით დატენილი ჩიჩახვები, ფარშიანი შემწვარი გული, ორცხობილამოყრილი ღვიძლის ნაჭრები, შემწვარი ვირთევზას ქვირილი. უველაზე მეტად უფარდა ცხვრის მოტაფული თირკმელები, პირში შარდის თავისებურ გემოს რომ უტოვებდა“.

„ულისეს“ მეორე ნაწილის პირველი ეპიზოდის (ბლუმში შინ) თხუთმეტი გვერდისა და მეორე ეპიზოდის (ბლუმში ქუჩებში) თექვსმეტი გვერდის მანძილზე, თირკმელი როგორც სიმბოლო, რამდენჯერმე გამოჩნდება, მაგრამ ბლუმის კვშიარით სახეს სწორედ მთლიანად აღებული შემოთმოყვანილი აბზაცი წარმოგვიდგენს. ლეოპოლდ ბლუმს საკმაოდ მდიდარი წარმოსახვა აქვს, მაგრამ სრულიად მიწიერი ადამიანია და ცხოვრების, ასე ვთქვათ, ჩრდილოვანი, მიჩქმალული მხარეები მას სიამოვნებას ანიჭებს, რასაც რაღაც ეშმაკურად, ნახევრად დარცხვენით ამჟღავნებს.

აღსანიშნავია, რომ თხზულების ამ მომენტში კვლავ გამოჩნდა მთხრობელი და ამ ეპიზოდში მისი როლი გაზრდილია, მაგრამ აქაც მან მხოლოდ უნდა გაგვაცნოს ბლუმში იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი შინ საუფშობს. თითქმის უშალვე იწყება შინაგანი მონოლოგი და ამრიგად ბლუმში თავის თავზე თვითონ გვაწვდის ცნობებს. მაგრამ მისი შინაგანი მონოლოგი ძალზე განსხვავდება სტივენის შინაგანი მონოლოგისაგან. განსხვავდება არა მხოლოდ ხარისხით, არამედ თავისი ხასიათით, მიზნით. ეს დაახლოებით ასე შეიძლება გამოვხატოთ: სტივენი პოეტური სახეებით აზროვნებს, ბლუმში კი — პროზაული; სტივენის შინაგანი მონოლოგი უფრო მეტია, ვიდრე მისი ცნობიერების ნაკადის დაწვრილებითი ასახვა, ბლუმის მონოლოგი კი შედმიწევნით მიწიერია, რეალისტური. სტივენის გონება მოქმედებს სიმბოლოებით, რომელთაც მკაცრად გან-

საზღვრული მნიშვნელობა ენიჭებათ მთლიანად თხზულებისათვის. ბლუმის შინაგანი მონოლოგი ადრეულ ეტაპზე წარმოადგენს ფოტოგრაფიული შთაბეჭდილებების ნაერთს, რომელიც მეტწილად სიმბოლოებით შესრულებულ მხატვრულ ტიპურ ნაწარმად აღიქმება. ეს მონოლოგი არათანმიმდევრულია, ფიქრთა დიდი ნაწილი ეფემერულია, წამიერი, ამდენად, მათ მხოლოდ ერთ განსაკუთრებულ მომენტში ენიჭებათ მნიშვნელობა, მხოლოდ იმ მხრივ არიან ღირსშესანიშნავნი, რომ ფოტოგრაფიული სიზუსტე გააჩნიათ. რასაკვირველია, ბლუმის შინაგანი მონოლოგშიც ვხვდებით სიმბოლურ თემებს: რომანტიული გრძნობა აღმოსავლეთისადმი, ვაჟიშვილის სიკვდილი, მისი მოდგმის დამცირებული მდგომარეობა და მრავალი სხვა, მაგრამ უველა ეს თემა ფოტოგრაფიული სიზუსტის მქონე წვრილმანების ფონზეა განლაგებული. „უესტლენდ როუს გაუყვა სამხრეთით. რეცეპტი კი მეორე შარვალშია. ემ, გასაღებიც დამავიწყდა, ხათაბაღა ეს დაკრძალვები. მაგრამ რა მაგ საცოდავის ბრალია. როდის შევუკვეთე უკანასკნელად? მოიცა, მახსოვს, სოვერინი დავახურდავო. თვის პირველი რიცხვი იყო, ვგონებ, თუ ორი. რეცეპტების დავთარში მონახოს“.

ეს მონაკვეთი ძალზე დამახასიათებელია ბლუმის შინაგანი მონოლოგისათვის, ამიტომ ღირს გავაანალიზოთ. თავდაპირველად, მთხრობელი გვაწვდის ცოტაოდენ საჭირო ინფორმაციას. მეორე წინადადება სრულიად რეალისტურია და მხოლოდ თავის კონტექსტში თუ აქვს რაიმე მნიშვნელობა. მესამე წინადადება სიმბოლურია და ერთის მხრივ ეხმიანება პირველ ნაწილში ნახსენები მართელოს კოშკის კლიტეს და მეორეს მხრივ წინ უსწრებს „კლიტის პალატის“ ხარეკლამო განცხადებას, რაზეც ბლუმში გაზეთის რედაქციაში ფიქრობს. მეოთხე წინადადება ინფორმაციული ხასიათისაა, საიდანაც პირველად ვგებულობთ, რომ ბლუმში იმ დილას დაკრძალვას უნდა დასწრებოდა. მეხუთე წინადადება ასევე ინფორმაციულია და რამდენაღმე გვაცნობს ბლუმის (ხასიათს. მოყვანილი მონაკვეთის დანარჩენი ნაწილი კი არათანმიმდევრულობისა და ფოტოგრაფიული სიზუსტითა, ნიშანდებული და მხოლოდ მიმდებარე კონტექსტში თუ აქვს მნიშვნელობა.

ავტორის ამოცანა აქ საკმაოდ ნათელია: მას უნდა მოეწოდებინა ცნობები; შემოეტანა ახალი თემები, ხოლო ძველი თემებისათვის ახლებური ელერადობა მიენიჭებინა; წარმოეჩინა ბლუმის შინაგანი არსება და მკვეთრად გაემიჯნა ბლუმისა და სტივენის უკან მყოფი რეალობა, ჩვენი აზრით, უველა ამოცანას ჯო-

ისმა ბრწყინვალედ გაართვა თავი, მაგრამ წარმატება საკმაოდ ძვირი დაუჯდა. საქმე ის არის, რომ, მართალია, რეალისტური გარემოს შექმნის აუცილებლობა, ალბათ, ექვს არ იწვევს. მაგრამ თვით ეს რეალისტური გარემო საკმაოდ მომაბეზრებელია. საბედნიეროდ, თხზულების ამ მონაკვეთში, — მეორე ნაწილის საწყის ეპიზოდებში, — ეს სიძნელე მეტიმეტად არ იჩენს თავს, რადგან ეს ეპიზოდები ძალზე მდიდარია აუცილებელი ინფორმაციით, დასამახსოვრებელი თემებით. გარდა ამისა, მკითხველს შევებას აგრძნობინებს სტივენის პოეტური აღმაფრენის შემდეგ კვლავ მიწაზე დაშვება. მაგრამ, მოგვიანებით ვუჩვენებთ, თუ რამდენად საცნაური ხდება ზემოხსენებული სიძნელე თხზულების შემდგომ მონაკვეთებში.

„ულისეში“ ბლუმის ნაწილის პირველივე ეპიზოდები საცნაურყოფენ იმას, რომ უმართებულო იქნებოდა ბლუმზე გვეფიქრა არაპოეტურიყო. მაგრამ მისი პოეტურობა ჭერჭერობით რეალისტური აზროვნების დონეს ვერ სცილდება.

„მკვდარი ზღვა მკვდარ მიწაზე. რუხსა და ბებერზე, ბებერზე ახლა. მან მუცლით ატარა უბუცესი, პირველი მოდგმა. წელში მოხრილი ბებერი კუდიანი გამოვიდა კასიდის დუქნიდან და ქუჩა გადაიარა, თან ბოთლის ყელს ხელს უჭერდა. უძველესი ხალხი. დაწანწალობდნენ შორეულ ქვეყნებში მთელს დედამიწის ზურგზე, ტყვეობიდან ტყვეობაში, მრავლდებოდნენ, იხოცებოდნენ, იბადებოდნენ ყველგან. ახლა აგერ გაწოლილი, ბავშვის გაჩენა აღარ შეუძლია. მკვდარი: სამყაროს რუხი, მოპარუწული საშო. ბებრუხანასი. გაპარტახება“.

სხვა თუ არაფერი, სადავოა, რომ ასეთი ენა როგორც ზემოთმოყვანილ ეპიზოდშია გამოყენებული, სტივენის მეტყველების შესაფერ კონტრასტს და ის, რომ იგი უფრო სხარტად, უფრო ცოცხლად წარმოაჩენდეს ბლუმის არსებას, ვიდრე ამ გმირის მღელვარება, რასაც იგი რეცეპტის გამო ამჟღავნებდა. ასეა თუ ისე, ბლუმის შემდგომი მეტყველება ისევე მდიდარია სიმბოლოებით და ისევე შორსაა მიწიერებისაგან, რეალობისაგან, როგორც სტივენისა. ბლუმი სულაც არაა პროზაული და, ვფიქრობთ, მწერალმა შეცდომა დაუშვა, რომ თხზულების უდიდეს ნაწილში ეს პერსონაჟი პროზაულობის ტყვეობაში მოაქცია. მაგრამ ჩვენ ძალზე წინ გავიკერით, რადგან ბლუმის მონოლოგის პირველი ორი ეპიზოდი სრულიად უზადოა. პროზა და პოეზია უდიდესი ხელოვნებით, ნატიფად ენაცვლება ერთმანეთს და ამრიგად მივალწევთ დაკრძალვის

ეპიზოდის პირველ სტრიქონებს, რომლებიც ალბათ საუკეთესოა მთელს წიგნში: „ნათანის ხმა! მისი ვაჟის ხმა! ნათანის ხმა, მესმის, ვინაც ჩემს ხელში მომაკვდავი, დატანჯული მამა მიატოვა, ვინაც მამამისის სახლი მიატოვა და მამამისის ღმერთი მიატოვა.“

ყოველი სიტყვა ისე ღრმად წარმოგვანია, ლეოპოლდ.

საწყალი მამა! საწყალი კაცი! კიდევ კარგი ოთახში არ შევდი და სახეზე არ დავხედე. რა დღე იყო! ო, ღმერთო! ო, ღმერთო! ებ, ვინ იცის, იქნებ მისთვის უკეთესიც იყო“.

ეს ციტატა ტიპური ნიმუშია ბლუმის აღრეულ ეტაპზე სრულიად უზადო მონოლოგისა. ძველი აღთქმის იგავზე მინიშნება სულ ცოტა სამ მიზანს ემსახურება: შეგვახსენებს ბლუმის წარმომავლობას ორთოდოქსალურ ებრაელთაგან; წარმოაჩენს ცოდვილობის გრძნობას, რასაც მას მამის დაკარგვა და დაკარგული რწმენა განაცდევინებს; ეს კი საგულისხმოდ ეხმიანება სტივენის ცოდვილობის თემას. შემდგომში გამოყენებული საყოველღეო მეტყველება, ძველი აღთქმის აბრაამის სიტყვები, წარმოთქმული ჩვეულებრივი ადამიანის მიერ, რამაც ყოველივეს პირადულობის ელფერი მიანიჭა, კმნის ძალზე შთამბეჭდავ კონტრასტს, მკითხველს გულზე ხვდება და ბიბლიის შესაბამისი ეპიზოდის ღირსია.

„ულისეს“ მეორე ნაწილის (ბლუმის ნაწილის) მეორე ეპიზოდის ბოლოს გმირი — ლეოპოლდ ბლუმი — უკვე ძალზე ცხადად გამოიკვეთა როგორც ადამიანი და როგორც სიმბოლო (ამ ორი მხარის გამიჯვნა ამ პერსონაჟში შესაძლებლად მიგვაჩნია).

ისევე როგორც რომანის პირველ ეპიზოდში, საშუალება გვეძლევა გავეცნოთ გმირს შინ და შევისწავლოთ მისი მონოლოგი.

ელეგიური განწყობილების მქონე მესამე ეპიზოდი წარმოგვიდგენს ამხანაგებთან ერთად მყოფ ბლუმს იმ მომენტში, როცა ის პირისპირ შეეჯახა სიკვდილს.

„მარტინ კანინგამმა პირველმა შეპყო ცილინდრიანი თავი კრიალა ეტლში, მარტვედ შეხტა და დაჭდა. აწოწილი ბატონი პაუერი უკან მიბჟვა და ფრთხილად მოიკაკვა.“

— ამოდით, საიმონ.
— მობრძანდით, მობრძანდით; — თქვა ბატონმა ბლუმმა.

ბატონმა დედალოსმა სასწრაფოდ დაიხურა ცილინდრი და ეტლში ჩაჭდა, თან თქვა:
— დიახ, დიახ.

— ყველანი აქა ვართ? — იკითხა მარტინ კანინგამმა. — ჰა, ამოდით, ბლუმი“.

ეპიზოდის ეს პირველივე სტრიქონები წარმოგვიდგენენ ბლუმს როგორც ერთგვარ „უც-

ხოს“. ის უკანასკნელი ჯდება ეტლში, კანინგამი მას რაღაც ქედმაღლური დამთმენლობით ეპყრობა და საიონ დედალოსისაგან განსხვავებით მას გვართ მიმართავს. ამხანაგების ასეთი დამოკიდებულება მის მიმართ დაკრძალვის მთელს ეპიზოდშია გადმოცემული, დამოკიდებულება, რომელიც ცხადად წარმოაჩენს. მას როგორც ურჩას კეთილშობილთა შორის, ერთი გვერდის შემდგომ ვკითხულობთ: „ბატონმა ბლუმმა თვალი მოჰკრა მოხდენილ ახალგაზრდა კაცს, ძაძებში ჩაცმულს, ფართოფარფლებიან ქუდს.

— თქვენმა მეგობარმა ჩაიარა, დედალოს — თქვა მან.

— რომელმა?

— თქვენმა ვაჟიშვილმა და მექვიდრემ“.

აი აქ პირველად გადაიკეთა ბლუმისა და სტივენის გზები. ამაზე უურადდება აღარსად მახვილდება, გარდა იმისა, რომ ბატონი დედალოსი ბრაზიანად გამოხატავს თავის უკმაყოფილებას სტივენის გამო, ხოლო ბლუმის ფიქრები კი უმალ მიუბრუნდება მის გარდაცვლილ ვაჟს, პატარა რუდის. გონებაში ნელ-ნელა შეეპარება სიკვდილის თემა და ბოლოს მთლად იპყრობს მას. პერსონაჟის გონების თვალს ერთი მეორის მიყოლებით წარმოუდგება სიკვდილის მრავალი, თითქოსდა სრულიად ჩვეულებრივი, მაგრამ სულ უფრო შემთხვევითი სურათი, რასაც რუდის სიკვდილი და ბლუმის მამის თვითმკვლელობა ერთგვარ აკომპანიმენტს უქმნის. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში მუსიკალური ტერმინების გამოყენება უადგილო არ უნდა იყოს.

ბლუმის გონების ზედაპირული შრე ემსგავსება სიკვდილის კვალში ჩამდგარ ტერიერს, რომელიც თითქოს ცდილობს სულ ოდნავ საცნაური გახრწნისა და ლპობის გეშიც კი აიღოს. ამავე უსიხარულო თემებს მისი გონების ღრმა შრეებშიც გაუდგამთ ფესვები. „შვილი ბავშვობაშივე გარდამეცვალა. მამამ თავი მოიკლა“.

ტერიერის აღდგო, უფერული ჩვეულებრივობა, ცნობისმოყვარეობა, ბლუმი — სიმბოლო, უშვილო მამა და უმამო შვილი — აი, ყოველივე ის, რაც თითქოს სრულიად ცხადად ემიჯნება ერთმანეთს ამ გმირის სახეში, მაგრამ იმავდროულად ძალზე ნატიფადაა ერთმანეთში ჩახლართული.

აი, ბლუმი-ტერიერი იწყებს იმით, რომ, თითქოს სუნს იღებსო, გულდაგულ აკვირდება სამგლოვიარო განცხადებების უფერულ ენას. „მაღლი პაწია ყვავილისა. გულდათუთქულნი დავტირით. ენით გამოუთქმელი მწუხარებით. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ჩხ წლის ასაკში“.

სწრაფად მოძრავი კატაფალკი, ზედ მოთავსებული პაწია კუბოთი მას რუდის გახრწნებს. „ქონდრისკაცის სახე სოსანი და დანაკლებული პატარა რუდის სახესავით. ქონდრისკაცის სხეული, ცვილივით ფარფლავით“.

თეთრად გაწყობილ ფიჭვის უფროსი მამისაგან მაგრამ უმალვე, ბატონი პაუერის მიერ თვითმკვლელობის გამო გამოთქმული უტაქტო შენიშვნები და მარტინ კანინგამის ქედმაღლური დამთმენლობა, რომლითაც ის პაუერის სიტყვების შერბილებას ცდილობს, ბლუმის აზრს მამისაკენ წარმართავს: „გამომძიებლის ყურები, დიდი და ბალნიანი. დერეფნის მორიგე ჩვენებას იძლევა. ჯერ იფიქრა სძინავსო. მერე თითქოს ყვითელი ზოლები შეამჩნია პირისახეზე. საწოლის ფეხებთან ჩაცურებულა. დასკვნა: ჭარბი დოზა, სიკვდილი უბედური შემთხვევის შედეგად. წერილი. ჩემს შვილს ლეოპოლდს.

აღარავითარი ტკივილი. ველარასოდეს გაიღვიძებ, ხვედრი ტიალი“.

მაღე ბლუმი-ტერიერს გახრწნილობის სუნი ეცემა, რასაც მოსდევს ადრე უკვე მოუვანილი სტრიქონები: „თანაც შიგნეულობა მაღე იხრწნება. უკეთესია თუ ყველა ხვრელს დაუცობენ, დიახ, იმასაც. სფინქტერი მოეშლება ხოლმე. ყველაფერი უნდა დაილუქოს“. ამის შემდეგ მისი ფიქრი მკვლელობას მიუბრუნდება. „ქალს ტანთ ეცვა... როგორ ეწვია სიკვდილი. კიდევ ერთი დანაშაული. გამოყენებული იარაღი. მკვლელი ჯერ კიდევ თავისუფლად დადის. ნივთიერი სამხილი. ფეხსაცმლის თასმა, გვამი უნდა ამოიხაროს. ჭირმა თავი მალო. მკვლელობა მაინც გამჟღავნდება. ცოტა მოგვიანებით ბლუმს გონებაში გაუელვებს მრავლისმეტყველი და ბრაზიანი სასოწარკვეთილებით აღსავსე აზრი. „უნებათა სისუფეველი. დამსხვრეული გული. ბოლოს და ბოლოს, ტუმბო. ყოველ დღე ათასობით ბალონ სისხლს რომ ტუმბავს. ერთ მშვენიერ დღეს დაეცობა და მოგქამა ჭირი. აქ რამდენიც გინდა ყრია: ფილტვები, გულები, ღვიძლები. ძველი დაუანგული ტუმბოები: გათავდა და მორჩა. ადგომამ და ცხოვრებამ. ერთი რომ მოკვდები, მკვდარი ხარ და მკვდარი“.

მაგრამ ორი გვერდის შემდგომ ვხედავთ, რომ მან სიკვდილის უფრო სასიამოვნო, უფრო მაღისაღმძვრელი სუნი იუნოსა: — „მაინც კარგად ჩაგპროშტნიან, გუნებაზე თუ მოიყვანე. ბოზები თურქების სასაფლაოებზე. უნდაფრის სწავლა შეუძლიათ, ახალგაზრდობიდანვე თუ ასწავლეს. აქ შეიძლება ახალგაზრდა ქვრივიც მოძებნო. მაგრამ ეპიზოდის ბოლოს, სიკვდილის უკანასკნელ სახეს ბლუმის გონებაში კვლავ მამის თემა გამოიხმობს. ეს სახე

... ებრძინება სტივენის ცნობიერებაში აღძრულ მამულეტის თემას და წინ უსწრებს ცნობას „მამულეტიდან“, რომელიც ბლუმის გონებაში ოცდაათი გვერდის შემდეგ უნდა ამოტივტივდეს.

„უკანასკნელად რომ ვიყავი, ქალბატონ სინიკოს ასაფლავებდნენ. საბრალო მამიკოც... სიკვდილის შემდეგ გამოგეცხადები. ჩემს აჩრდილს დაინახავ სიკვდილის შემდეგ, ჩემი აჩრდილი აგედევნება სიკვდილის შემდეგ“.

თუმცა ამ ეპიზოდის ძირითადი თემა საზოგადოდ სიკვდილია, კერძოდ კი ბლუმის ვაჟისა და მამის სიკვდილი, მასში წიგნის სხვა ძირითადი თემებიც მპოვებენ ასახვას. ამ ეპიზოდის, ისევე როგორც „ულისეს“ სხვა რომელიმე ეპიზოდის გამოყოფა მთლიანად ნაწარმოებიდან შეუძლებელია, და თუ მაინც გამოვყოფთ, ეს მხოლოდ კრიტიკისათვის და მახასიათებელი ხელოვნური საჭიროებითაა გამოწვეული.

ჩვენ უკვე ვაჩვენეთ, რომ ბლუმის, როგორც პიროვნებისა და როგორც ებრაელის, ეულობა ამ ეპიზოდის მნიშვნელოვანი ელემენტია. მაგრამ არა ერთადერთი. მთლიანად ეს ეპიზოდი შეიძლება დავახასიათოთ როგორც პანაშვიდი, რადგან, რაც უფრო ვუახლოვდებით კულმინაციას, მით უფრო ძლიერად ეუფლება ბლუმის ცნობიერებას სიკვდილის თემა. სრულიად მართებულია კითხვა: კერძოდ რისი თქმა სურს ჯოისს სიკვდილის შესახებ? სამწუხაროდ, რაც უფრო მკაცრია, რაც უფრო „განწმენდილია“ შემოქმედი, მით უფრო ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ექვსგარეშეა, რომ ის, რისი თქმაც სურდა ჯოისს სიკვდილის შესახებ, ამ ეპიზოდში ითქვა და სხვაგვარად ვერც ითქმებოდა. თუ ნათქვამით მას რაღაც თეორიის გადმოცემა სურდა ან რაიმე წარგზავნილების შეტყობინება უნდოდა ჩვენთვის, უნდა გვეყოს ძალა, რომ ამ ეპიზოდში გადმოცემული სწორად გავიგოთ. ისე კი, ბლუმის არათანმიმდევრულ ფიქრთაგან არც ერთი არაა ისეთი, მწერლის აზრს, მის რწმენას რომ ამჟღავნებდეს. „ერთი რომ მოკვდები, მკვდარი ხარ და მკვდარი“, — განაცხადებს ბლუმი და არა ჯოისი, თანაც ეს განცხადება არც საბოლოოდ შეიძლება ჩაითვალოს და არც ექვსიუტანელად. სულ რამდენიმე გვერდის შემდგომ ხომ იგი ისე მოიყვამა მამაზე ფიქრმა, რომ მისი აჩრდილის გამოცხადებაც კი ჩათვალა შესაძლებლად. თუ მაინცადამაინც ჯოისის დამოკიდებულების გაგება მოვინდომეთ, მხოლოდ იმას შევითვობთ, რომ დაბადება, სქესობრივი ურთერთდამოკიდებულება და სიკვდილი ბლუმის ცნობიერებაში იმდენადაა ერთმანეთში გადახლართუ-

ლი, რომ საბივე ამ მდგომარეობაში რაღაც საერთოს შეგვავსებდნენ.

მაგრამ ეს უოველოვე აღნიშნავნად, ხელშეუვლებადაა გამოხატული: ერთის თქმა შეგვიძლია დაბეჭითებით: ჯოისმა თავისი სათქმელი სწორედ ამ ეპიზოდში თქვა და რადგან ეს ნათქვამი აგრეთვე შეგვიძლია, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჯოისი წმინდა ხელოვანია, რომლის სიწმინდე უარყოფს სისხლნაკლებობის შეგრძნებას, რასაც მისი სიტყვა ზოგან ამჟღავნებს.

დაკრძალვის ეპიზოდით ავტორი თბზულები ექსპოზიციას ამთავრებს. ახლა ჩვენს ხელთაა მთელი წინასწარი ინფორმაცია, რაც საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ თემის განვითარებას, რომელიც მხოლოდ მოლი ბლუმის მონოლოგის დასაწყისში წუდება. აი სწორედ აქ გახდა ძალზე საცნაური ჯოისის სტილისტური პრობლემა.

მსოფლიოში არც ერთ მწერალს არ შეუძლებია შავებია ორი სხვადასხვა, ერთნაირად ბრწყინვალე სტილი. ეს შეუძლებელია. რასაკვირველია, მწერალმა იცის, რომ გარკვეული სიტყვები სხვა სიტყვებს სჯობს, რომ გარკვეული ფრაზები უფრო ცოცხალი, უფრო ხატოვანია, გარკვეული რითმები უფრო სასიამოვნო, უფრო მეტყველია. რა თქმა უნდა, მას შეუძლია შეცვალოს სიტყვები, ფრაზები, რითმები, რათა უფლაფერი ცვალებად სიტუაციას შეუხამოს. ზოგჯერ მისი ფრაზები შემოკლდება, ან უფრო ნაზად აჟღერდება; ენა სალაპარაკო კილოს შეიძენს ან მაღალფარდოვანი გახდება, მაგრამ თბზულების ის მონაკვეთები, რომელთაც კრიტიკოსი საუკეთესოდ მიიჩნევს, მწერლის შემოქმედებითი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე მაინც ერთი ნიშნით იქნება აღბეჭდილი.

ფიქრობთ ტურგენევეზე და წარმოგივლიდება მისი სტილის გამჭვირვალე უბრალოება, პატერზე ფიქრისას გვახსენდება მისი ენის სიმდიდრე, ბენრი ჭეიმსი მუდამ ლოგიკურ სტილს უკავშირდება. ერთი სიტყვით, რომელი პროზაიკოსიც არ უნდა აღგვაფრთოვანებდეს, მუდამ ერთი გარკვეული სტილი წარმოგვიდგება. მწერალმა შეიძლება სხვადასხვა დროს წერის სხვადასხვა ხერხი გამოიყენოს და კარგადაც გამოუვიდეს, მაგრამ საუკეთესო მხოლოდ ერთი სტილი იქნება მისთვის.

გავიხსენოთ თუნდაც ისეთი გონიერი სტილისტი, როგორიც ვირჯინია ვულფი იყო. მის ნაწარმოებებში არის ნაწილები, რომლებიც უკიდურესად მკაცრი, გესლიანი, ირონიული სტილითაა ნიშანდებული, მაგრამ ამ მწერლის ხსენებისას, ეს ნაწილები არ გვახსენდება.

მწერლის ასეთი მეორადი სტილი იმიტომ
კი არ მიგვაჩნია „მეორადად“ რომ იშვიათა-
და გამოყენებული, არამედ იმიტომ, რომ
ნაკლებ წარმატებულია.

„ულისეს“ ადრეულ მონაკვეთებში, დავინა-
ხეთ, რომ ჭოისმა ორი სრულიად დამოუკი-
დებელი სტილი გამოიყენა. ერთის მხრივ სტი-
ვენის ამადღებულის, მდიდარი, მოქნილი, პო-
ეტური მეტყველება, ხოლო მეორეს მხრივ,
ბლუმის მიწერი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სალაპა-
რაკო ენა. და მიუხედავად იმისა, რომ შესაძ-
ლებელია ბლუმის ენა ადგვაფართოვანებდეს, ის
მოგვწონს არა იმდენად თავისთავად, არამედ
უფრო როგორც სტივენის მეტყველების კონ-
ტრასტი. თუ სტილს კონტექსტიდან გამოვ-
ყოფთ, რასაც, რასაკვირველია, ყველა მწერა-
ლი და განსაკუთრებით კი ჭოისი საყვედუ-
რობს კრიტიკოსებს, — მაგრამ რისი გაკეთე-
ბაც მათ ზოგჯერ მაინც უხდებოთ, — აი სწო-
რედ კონტექსტიდან განცალკევებით, სტივენის
ენა უდავოდ უკეთესია. ამით ჩვენ უბრალოდ
იმის თქმა კი არ გვსურს, რომ სტივენის ენა
უფრო მომხიბვლელია, არამედ იმას ვგულის-
ხმობთ, რომ ამ გამირის მეტყველების
სტილი უფრო მეტ შრეებს წარმოგ-
ვიჩენს. სტივენის მეტყველების როგორც
თემაში, ასევე სტილშიც ჭოისი გამოვლინდა
მთელი სისრულით, ამ გამირმა მისი სულის
მთელი ძალმოსილება შთანთქა. მეორეს მხრივ
კი, ბლუმის მონოლოგები აღიქმება როგორც
დიდი ხელოვნებით შესრულებული *tour de*
force. ვერსად გაეჭვივი იმ გრძნობას, რომ
მწერალმა, ასე ვთქვათ, „მდაბალი“ არსების
წარმოჩენისას, ისეთი ხერხი გამოიყენა, რომ-
ლითაც ერთგვარი დამთმენლობაც კი გამო-
ამყლავნა მკითხველისადმი. თუმცა კი ის მთე-
ლი ძალით შეეცადა ასეთი შთაბეჭდილება არ
მოეხდინა და ამაში ისეთი წარმატებაც იქო-
ნია, როგორც არც ერთი დროის არც ერთ
მწერალს არ ჰქონია. მაგრამ ამაზე მეტის გა-
კეთება აღარ შეეძლო. ჭოისმა შეიცნო ეს, რაც
გამოვლინდა ტაქტიკაში, რომელსაც მან „ული-
სეს“ ძირითად ნაწილში მიმართა. ავტორმა
გადაჭრით უარყო მწერლის როლი თხზულებ-
ბაში, რაც მისგან მოითხოვდა თავისი შესაძ-
ლებლობა ბოლომდე ამოეწურა. მან გადაწყ-
ვიტა ცალკეულ გვერდებზე მწერა არ შეერე-
რებინა და ძირითადი უურადლება გადაიტანა
შთაბეჭდილებაზე, რაც მთლიანად თხზულებას
უნდა მოეხდინა მკითხველზე, და ეს უკვე-
ლივე ისე გააკეთა, როგორც მანამდე ერთ
მწერალსაც არ გაუკეთებია. თითოეული გვერ-
დი უნდა ყოფილიყო სრულყოფილი არა თავ-
ისთავად, არამედ უკველ გვერდს უნდა შეე-
ტანა უდიდესი წვლილი მთლიანის შექმნაში.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჭოი-
სი გულგრილად ან ზერელედ ეკიდებოდა ცალ-
კეული გვერდების დამუშავებას. ^{ძირითად}
ასეთი ხერხი ზოგჯერ მწერლისაგან მოითხოვ-
და ჩვეულებრივზე გაცილებით მეტი უურად-
ლება მიექცია დეტალებისათვის.

ჭოისის წინამორბედი რომანისტები ქმნიდ-
ნენ თხზულების, ასე ვთქვათ, უფრო მოქნილ
სქემას, რათა შეძლებოდათ ოდნავ მაინც გადა-
ეხვიათ ნაწარმოების თემიდან. მათ შეეძლოთ
სრულიად მოულოდნელად ჩაერთოთ რომან-
ში რაიმე პატარა, მომხიბვლელი პროზაული
ლექსი, რაც, მათი აზრით, მთელი ნაწარმოე-
ბის ხეროოწულობასთან კონტრასტს შექმნი-
და და თანაც ისე, რომ ასეთი ჩანართი რომა-
ნის სქემას არ დაარღვევდა. „ულისეს“ გვერ-
დები კი ისე უნდა ყოფილიყო ახშული, სა-
ბოლოოდ მძივივით შეკრულიყო. ძალზე ბევრ
შემჩხვევებაში მათი (გვერდების) ღირსშესა-
ნიშნაობა მხოლოდ და მხოლოდ კონტექსტზე
იქნებოდა დამოკიდებული. ჭოისის ასეთი სამ-
წერლო ხერხი შესანიშნავი მიგნება გახლდათ,
რამაც რომანისტებს ახალი სიმაღლეები დაუ-
სახა დასალაშქრავად. მის ხელში „ულისეს“
ისეთი მთლიანობა და ერთგვარი კანონზომიე-
რება მიენიჭა, რომ ეს რომანი პოეზიის ნი-
მუშს დაემსგავსა. ამ მხრივ პოლ ვალერის
ძველი ობუნჯობა მართებული არ აღმოჩნდა.
ჭოისის რომანში რომელიმე ქალბატონი ჩაის
ფინჯანს იმიტომ კი არ იღებს ხელში, რომ
თხზულებაში ცარიელი ადგილი შეავსოს, არა-
მედ ეს მოქმედება რაიმე ძალზე მნიშვნელო-
ვან ინტელექტუალურ მიზანს ემხახურება.
რაკი მიაღწია იმას, რომ თხზულება ერთგ-
ვარი დისტანციიდან დაენახა, ახლა ჭოისის
წინაშე დაახლოებით ისეთივე პრობლემა წა-
მოიჭრა, როგორსაც მხატვრები შეეჩახებთან
ხალმე. მხატვრული ტილოს სხვადასხვა აღ-
გილას მას უნდა გამოეყენებინა მრავალი სხვა-
დასხვა წინასწარ შერჩეული ფერი, რომელთა-
გან არც ერთს განცალკევებით მნიშვნელობა
არ ექნებოდა, მაგრამ ყველა ერთად ფერთა
ერთგვარ გამას შექმნიდა. მხატვრობის მაგა-
ლითი მოვიშველიეთ, რათა ნათლად წარმოგ-
ვეჩინა, თუ რა ურთულესი ამოცანის გადაწყ-
ვეტა უხდებოდა ჭოისს, რომანის უბედურე-
ბა ის არის, რომ მისი კითხვისას დრო გადის,
ასე რომ, ჩვენ ვერ გვექმნება წამიერი, ერთი-
ნი წარმოდგენა მასზე. ვფურცლავთ გვერდებს,
წიგნი შეიძლება ერთი დღით, ან ერთი კვი-
რითაც კი გადავლოთ, ამიტომაც, წიგნის და-
სასრულისათვის ისეთ სანიმუშო მკითხველ-
საც კი, რომელმაც რომანი ერთი დაჯდომით
წაიკითხა, მისი დასაწყისი და შუა ნაწილი
ბუნდოვნად წარმოუდგება. ეს სიძნელე რომ

რამდენადმე მაინც დაეძლიათ, (რადგან მისი შთლიანად გადაჭრა შეუძლებელია), ძველი თაობის რომანისტები ცდილობდნენ თბზულებიის თითოეული მომენტი მკითხველისათვის მისაწვდომი გაეხადათ, ყოველი მცირე მონაკვეთიც კი დამოუკიდებელ ერთეულად გადაეციათ. ამით ისინი იმასაც იმედოვნებდნენ, რომ მკითხველს რომანზე მთლიანი წარმოდგენა შეეძქმნებოდა, მაგრამ, თუ ვინიცობაა ეს მათი იმედი არ ვამართლებოდა, წამკითხველს გონებაში ცალკეული შთაბეჭდილებანი მაინც დარჩებოდა. ჭოისმა ძალზე ამაყად, გადაჭრით უარყო მკითხველის ამოცანის ასეთი გადავილების ხერხი. მაშინ, როდესაც თავის მობეზრებას საჭირო, ის კარგა ხანს დიდის მონდომებით გვაბეზრებს თავს. თუ შეტისმეტად გავბეზრდით და მისი დაწერილის წაკითხვა ვერ შევძელით, მით უარესი ჩვენთვის, რადგან ამით კიდევ უფრო ნაკლებად შეგვეძქმნება საერთო წარმოდგენა თბზულებაზე, ვიდრე, რომ წაგვეკითხა და დაგვეწყუნოდა. ასე თუ ისე ჭოისისაგან ტკბილ აბებს არ უნდა ველოდეთ. მართებული არ იქნებოდა გაგვეცხადებინა, რომ „ულისეს“ შუა და მომდევნო დამოუკიდებელ ეპიზოდებს თავისთავადი ღირსება არ გააჩნიაო. ამით „ულისეს“ გადაიქცეოდა ისეთ სავალალო ნაწარმოებად, რომელიც თითქოსდა შურის გამო, ხელს უშლის თავის ცალკეულ შემადგენელ ნაწილებს დამოუკიდებელი ღირსება გააჩნდეთ. რომანის მრავალი გვიანდელი ეპიზოდი თავისთავად შედეგურია, მაგრამ მაინც მხოლოდ დაქვემდებარებულ შედეგურად თუ ჩაითვლება.

აი როგორ გადაჭრა ჭოისმა რომანის სტილისტური პრობლემა: სხვადასხვა ეპიზოდისათვის მან სხვადასხვა სტილი შეარჩია და შერჩევისას უურადღებას ამახვილებდა არა თავისთავად ამა თუ იმ სტილის აკარგიანობაზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო იგი ეპიზოდისათვის. მისთვის არც ერთი სტილი არ არის უვარგისი, თუ ის შესაფერისია, ხოლო არც ერთი შეუფერებელი სტილი კარგი არ არის. მაგრამ ხომ არ შეიძლება, რომ მწერალმა სტილთა მთელი წყება შეიმუშაოს. ეს ამოცანა თვით ჭოისის გამომგონებლობაც კი აღემატებოდა. არც იყო საჭირო. ინგლისური მწერლობა მას უკვე სთავაზობდა სტილთა ურიცხვ რაოდენობას: მახვილგონივრულს, ამაზრზენსა თუ სასიყვარულოს. ჭოისს მხოლოდ მისთვის საჭირო სტილი უნდა შეერჩია და სწორედ ამ არჩევანმა აქცია ის მსოფლიოში უდიდეს პარადიულ მწერლად.

თუმცა სავადმყოფოს სცენაში წარმოდგენილ პარადიას მაღალ შეფასებას აძლევენ,

საზოგადოდ, მაინც არ არის აღიარებული რომ „ულისეს“ ნახევარი პარადიული ენითა შექმნილი. ფლობერი და ჭეშარი ჭეშისი ცდილობდნენ უარეყოთ მთხრობელი, მისი შეხედულებანი და რაიმესადმი კეთილგანწყობა; ჭოისმა კი უფრო მჭიდროდ გარკვეული მთხრობელის გარკვეულ ქტუდურეც კი განაცხადა უარი. აი, სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ჩემს მიერ ამ ესეისათვის შერჩეული კრიტიკული ხერხი ძალზე ძნელი განსახორციელებელი აღმოჩნდა. განა შევძლებ კი გავანალიზო თუნდაც ერთი ნიმუში ნაირფეროვანი მასალისა ისე, რომ ცალკე გამოყოფამ ამ ნიმუშს მისი მნიშვნელობა სრულად არ დააკარგვიანოს?

თუ იმ იშვიათ მონაკვეთებს შევარჩევდი, რომლებშიც თვით ჭოისის მაღალპოეტური მეტყველება იჩენს თავს, მაშინ, მართალია, შევძლებდი დამოუკიდებლად გამეანალიზებინა ეს მონაკვეთები, მაგრამ გამოვიდოდა, რომ ჭოისის ყველაზე დიდ მიღწევას ვარიდებ თავს.

ჩემი შეხედულება შეიძლება კონსერვატული და ლარულიც კი იყოს, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ „ულისეს“ ავტორის მთელი თეორია მცდარი გახლდათ. ეს შესანიშნავი, გაბედულად განხორციელებული თეორია იყო, მაგრამ ჭოისმა ის სქოლასტიკურ უკიდურესობამდე მიიყვანა, რამაც იგი აუტანელი გახადა.

ძალზე სამწუხაროდ, მაგრამ არც ერთი სხვა საქმიანობა ადამიანისაგან არ მოითხოვს ისეთ მუდმივსა და დამამცირებელ დათმობას, როგორც მწერლობა. არ კმარა წერდღე მხოლოდ იდეალური მკითხველისათვის, რადგან ეს არის ის მატყუარა, მოფარფატე შუქი, რომელთან მიახლოებისთანავე აღმოჩნდება, რომ იგი თვით მწერლის ანარეკლი ყოფილა. რაც უნდა დიდ შეფასებას ვაძლევდეთ მწერლობის სიცხადეს, ეს თვისება მაინც წარმოგვიდგება როგორც ურთიერთობის უვარგისი და უტილიტარული სახეობა. სტილისტები მუდამ აცხადებდნენ, რომ შენი დაწერილი პირველ ყოვლისა შენთვისვე უნდა იყოს ცხადიო. ეს იმდენად მარტივი კეშმარტივბაა, რომ მტკიცებასაც არ საჭიროებს. მაგრამ იყო გასაგები შენთვის, — სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ასევე გასაგები იქნები სხვებისთვისაც. ამიტომაც, წერისას მწერალს ხშირად უხდება მიღწეული სიზუსტის დარღვევა, მხოლოდ იმიტომ, რომ დაწერილი მკითხველისათვისაც ნათელი გახადოს. თავისი სიცხადის წმინდა სიმალლიდან მწერალი იძულებულია დაბლა დაეშვას, სიტყვები და წერის მეთოდი გააუბრალოოს, რათა დაწერილი მკითხველისათვის მისაწვდომი გახ-

დეს. სწორედ ეს არის მწერლობის ერთი უმსგავსო საიდუმლოება.

ამრიგად, როგორც აღვნიშნეთ, ქოისის უარში — რაიმე დაეთმო, გაბედულებაც შეიმჩნევა, მაგრამ ამავე დროს ეს უარი არის შიშის, კუჭყიანმა სამუშაომ ხელი არ გამისვაროსო. რადგან, რაც არ უნდა თქვა, აბი დატკობას საჭიროებს. ცალკეულ ეპიზოდს უნდა გააჩნდეს თავისთავადი ღირსება, რაც არ იქნება დამოკიდებული მხოლოდ კონტექსტზე. უდიდესი მხატვრები მხატვრულ ტილოებშიც კი მიმართავენ იმ ფერებსა და დეტალებს, რომელთაც თავისთავადი ღირსება ჰქონდათ. ჩვენ არ ძალგვიძს დავინახოთ „ულისე“ „შორი ხელიდან“, რომელსაც ავტორი მოითხოვს ჩვენგან, რადგან ქოისის უოვლისმომცველი დეტალი შთანგვთქვს. ცალკეული ნაწილი და მთლიანობა, რეტროსპექტული და უშუალო ხედვა ამ თხზულებაში ერთმანეთს ემიჯნება და მწერალი უძლიერა აღმოჩნდა ჩაეხშო ჩვენში გამიჯნულობის შეგრძნება.

საბედნიეროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი თეორია არ მოითხოვდა, რომ ცალკეულ ეპიზოდებს არ ჰქონოდათ თავისთავადი ღირსება. უბრალოდ, ავტორი ასეთ შემთხვევას დასაშვებად მიიჩნევდა. ახლაც კი, როცა „ულისეს“ რეტროსპექტული თვალსაზრისით ჯანვინილავ, ჩემი არსება გადაქრით უარყოფს ნაწარმოების მონაკვეთებს, რომლებიც მწერალმა მთლად განძარცვა თავისთავადი ღირსებისაგან და მხოლოდ რომანის კომპონენტებად წარმოგვიდგინა. ქოისი შეგუებული იყო იმას, რომ ისინი დიდ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდნენ მკითხველზე, მაგრამ ასეთი მონაკვეთები მთლიანად ნაწარმოებსაც ვერაფერს მატებენ.

სიფრთხილე, დათმობა, ეს ორი სიტყვა არასასიამოვნო ელერადობას იძენს, როცა საქმე ხელოვნების კრიტიკას ეხება. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სიტყვებმა გავლენა იქონია უოველი დიდი მწერლის სამწერლო მეთოდზე, თუმცა ისე, მათი შემოქმედების ძირისძირს არ შეხებია.

მაშინ, როცა ქოისი კეთილგონივრულად უხამებს ერთმანეთს მასალასა და სტილს, მისი მარადიული, უკიდურესად პატივმოყვარე მიზანსწრაფვა ძალზე საინტერესო და შესანიშნავი სიახლის ფორმით გვევლინება.

ნავსიკაას მცირე ეპიზოდი გერთი მაკდოუელისა და ბლუმის თბრობით ორ ნაწილადაა გაყოფილი. ეს ეპიზოდი იწყება გერთისათვის დამახასიათებელი მეტყველებით: „ზაფხულის საღამომ არემარე თავის იდუმალ აღერსში გაშხვია. შორს, დასავლეთით, მზემ ჩასვლა იწყო და სწრაფწარმავალი დღის უკანასკნე-

ლი სხივი სიუვარულით კიდევ ერთხელ შეჩერდა ხმელეთსა და ზღვაზე“ (II ნაწ.). მაგრამ მალე ასეთი იაფფასიანი ხასიყვარული რომანისათვის დამახასიათებელი ამოღებული ტონი იმავე ტიპის რომანისათვის დამახასიათებელი ხაყოველღეო მეტყველებით იქნება: „გიჟმაფი სის თავისებობის მატებით. ხანდახან უყურებ და სიცილს ვერ იკავებ. აი მაგალითად, მაშინ, როცა გეკითხება, კიდევ ხომ არ ინებებთ ჩინურ ჩაისო, და ჭურჭელს შენსკენ მოსწევს. სიცილით მოკვდები, რომ დაინახავ როგორ აქვს ფრჩხილებზე წითელი მელნიო კაცების სახეები დახატული, კიდევ, ჩვენ რომ ვიცით, იქ წასვლა, რომ მოუნდებო და ამბობს მის უაიტთან გადავირბენო... კითხულობ ამას და ერთდროულად გულისრევისა და აღფრთოვანების გრძნობა გეუფლება. ასეთ ძლიერ შთაბეჭდილებას ვერც ერთი სხვა სამწერლო მეთოდი ვერ მოახდენდა.

ხმა სწორედ მაშინ წუდება, როცა გრძნობ რომ უკვე აღივსე. ამ მონაკვეთის ტონი მთელს ეპიზოდზე რომ გავრცელებულიყო ამაზრზენობისა და აღფრთოვანების გრძნობა ჩაიხშობოდა და შთაბეჭდილებაც სრულიად დაკარგავდა ძალას. მაგრამ ამის ნაცვლად, შევებით ამოვისუნთქეთ. რადგან ვუბრუნდებით ბლუმის ნაცნობ, ცოხცალ მეტყველებას. „ფეხსაცმელი უქერს? არა. კოქლია! ომ!“ „ბატონმა ბლუმმა თვალი გააუოდა კოქლ გოგონას საწყალი გოგო. აი რატომაა, რომ ის თაროზე შემორჩენილა. სხვები კი მოკლე დისტანციანზე რბოლაში მონაწილეობენ, რომ შევხედე მაშინვე ვთქვი, აქ რაღაცაშია-მეთქი საქმე. გაცრუებული მშვენიერება. ქალის წუნი ათქერ უარესია მამაკაცისაზე. მაგრამ ისე კი უფრო ზრდილობიანები ხდებიან. კარგია, რომ არაფერი ვიცოდო, როცა წარმოდგენაზე ვნახე. მაინც კარგი ჩიტუნაა. უარს არ ვიტყოდი“... (II ნაწ.).

ეს ნაცნობი ხმა დიდხანს გრძელდება, მაგრამ არა გვდღის. ეპიზოდი მთავრდება იმით, რომ მღვდლის სახლში ხათი რეკავს, რითაც აღვნიშნა ის მომენტი, როცა ბლუმის ცოლი — მოლი — მას ბლემის ბოილანზე გაცვლის. ქოისმა აქ სწორედ ის ხერხი გამოიყენა, რომ მელიც საუკეთესოდ მიგვანიშნებდა რომანის კრონოლოგიურ არქიტექტონიკაზე და ტვით ეს ეპიზოდიც, თხზულების მთელს სქემაში მოულოდნელად შესაფერ აღვიღზე ქდება. შთაბეჭდილება, რაც მან მკითხველზე დატოვა სამწერლო ხელოვნებისა და მრავლისმეტყველების წყალობით ძლიერდება და ახალ განზომილებას იძენს იმითაც, რომ ეს ეპიზოდი

ძალზე ოსტატურად, ცოცხლად ერწყმის მთლიან თხზულებას.

მუდამ იმ აზრისა ვიყავი, რომ სწორედ ნავსიკაას ეპიზოდი არის ჭოისის მიერ „ულისესეში“ მოგვიანებით გამოყენებული სამწერლო მეთოდის საუკეთესო გამართლება. ეს ეპიზოდი ამტკიცებს, რომ მეთოდი გამოხადეგია და თუკი მას შესაფერი კეთილგონიერებით გამოიყენებ, ნებისმიერი ჭოისამდელი რომანისტიც სამწერლო მეთოდს აჯობებს.

მომდევნო (საავადმყოფოს) სცენაში, ჭოისის მეთოდი ხულ სხვა ელფერიტ წარმოუდგება მკითხველს. ეს სცენა იმდენადვე არაბუნებრივია რამდენადაც ნავსიკაას ეპიზოდი საოცრად ბუნებრივი.

საავადმყოფოს ეპიზოდში ავტორმა მთლად უკუაგდო ერთი გარკვეული მთხრობელი და მთხრობელი საერთოდ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მთხრობელად წარმოგვიდგებიან მელორის, ედისონის, კარლაილისა და სხვა გარდაცვლილ პროზაიკოსთა ხორცშესხმული სულები, რომელთა პაროდირებასაც ახდენს ჭოისი. ამ ეპიზოდში ყველაფერი საგანგებოდ ხელოვნურია, საგანგებოდ ლიტერატურული და, მიუხედავად იმისა, რომ თვით ჭოისის ან „ულისესე“ რომელიმე პერსონაჟის ხმა აქ სრულიად დაბნულია, ავტორის პიროვნება წარმოგვიდგება ისე ცხადად, როგორც არც ერთ სხვა ეპიზოდში. ვერ დავიჭერებ, რომ სწორედ ეს იყო ჭოისის მიზანი. პირიქით, ნათელია, რომ მას სურდა სხვათა შეტყვევების გამოყენებით მთლიანად დაეშალა თავი. მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ეს ვერ მოახერხა. მკითხველს არც ერთი წუთით არ ავიწყდება, იგი მელორის ან კარლაილს რომ არ კითხულობს, თუმცა პაროდია შედმიწევნით უზადოა.

განცვიფრებულნი ვართ, რა ხელოვნებით აბორციელებს ყოველივეს მწერალი და აღფრთოვანებას ვერ ვშადავთ იმ ადამიანის გამო, ვინც ესოდენი მოახერხა.

როგორც კი გავიგებთ, რატომ მიმართა ჭოისმა პაროდიას ამ შემთხვევაში (მიზეზი მხოლოდ ბატონ სტიუარტ გილბერტის წიგნის წაკითხვის შემდეგ გახდა ჩემთვის ნათელი), უკვე ნაკლებ გვიკვირს, რატომ ვერ განხორციელდა ის მიზანი, ავტორი ამ ეპიზოდის შექმნისას რომ ისახავდა. ვხვდებით, ეპიზოდის ხიბბოლოდ ჩანასახი რომ უნდა ვიგულისხმობთ და რომ ავტორს სურდა ეჩვენებინა ინგლისური სამწერლო ენის განვითარება ჩანასახობრივი მდგომარეობიდან ხიმწიფის ხანამდე. თითქმის წარმოუდგენლად გვეჩვენება, რომ მწერალმა, რომელმაც ასეთი ბრწყინვალე დამაჯერებლობით დაგვიხატა გერთისა და ბლუმის სახეები, ასე უცებ გამოავლინოს სქოლასტიკური სიბეცე და მი-

მართოს ესოდენ უაღბ ანალოგიებს. ძნელია წარმოიდგინო რაიმე უფრო გონივრული, ვიდრე ეს ეპიზოდი და იმავდროულად რაიმე უფრო მცდარი და შეუფერებელი. ეს ყველაფერი იმას ჰგავს, მხატვარმა, რომელიც სურათებს შექმნაში აქამდე მხოლოდ თავის თვალს ენდობოდა, მოულოდნელად ყველაფერი უარყოს და ფერთა შერჩევისას ფერთა მეცნიერების კარნახს მიხედოს. გვეჩვენება, რომ ჭოისის ლოგიკური, თითქმის სქოლასტიკური აზროვნება მთლად ნებაზეა მიშვებული, ხელოვანის ინტუიციას. მის სიფრთხილეს, რომელიც უკარნახებს მას თავი აარიდოს რომელიმე ელემენტის სიჭარბეს, აქ ძალა დაკარგვია.

„ულისესე“ დარჩენილი სამას ოცდაათი გვერდი სამ გრძელ ეპიზოდს მოიცავს, რომელთაგანაც არც ერთი არ გახლავთ სიჭარბისაგან დაცული. ედმუნდ უილსონმა მკვეთრად გამოიჭნა, ერთის მხრივ, ღამის ქალაქის ეპიზოდი და მთლი ბლუმის მონოლოგი, ხოლო მეორეს მხრივ ყავახანისა და კითხვა-პასუხის ეპიზოდები. პირველი ორი მათგანი, მისი აზრით, „ერთ-ერთი საუკეთესოა მთელს თხზულებაში, ხოლო დანარჩენი ორი მან დაახასიათა, როგორც „ხელოვნების თვალსაზრისით სრულიად გაუმართლებელი“. მოლის მონოლოგის შესახებ უილსონი იმასაც კი წერს, რომ ეს ეპიზოდი, მისი აზრით, არის „კაცობრიობის შემოქმედ ძალთა ერთ-ერთი უდიდესი ლიტერატურული გამოხატულება. მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, ერთადერთი გამოიჭნა, რომელიც კი აქ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, არის ღამის ქალაქის გამოიჭნა სხვა დანარჩენი ეპიზოდებისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მე ალოგიკურად მიმაჩნია მოლი ბლუმის მონოლოგის ესოდენ მაღალი შეფასება და წინარე ორი ეპიზოდის ასე ხელაღებით დაგმობა.

ღამის ქალაქის ეპიზოდის გამო სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ეს ეპიზოდი არის რაღაც უცნაური ბალეტი, კულმინაცია მთელი რომანისა, სადაც ხდება ბლუმისა და სტივენის შეხვედრა, მათი როლების გამოკვეთა მათივე ასე მახლობელ, ნაირფეროვან, ნაქერ ქვეცნობიერ სამყაროში. ჩემი ფიქრით, ეს ნაწილი ურთულესია მთელს თხზულებაში და მწერლის მიერ აქ გამოყენებულ ხილვათაგან მრავალი ჭერ კიდევ ბუნდოვანია ჩემთვის. ცენტრალური მონაკვეთები — ბელას შემწეობით ბლუმის კათარზისი და რიგითი ქარისკაცების — კარისა და კომპტონის შემწეობით სტივენის განწმენდა — სრულიად ნათელი და ამდენად ადვილად შესაფასებელია. ასეთი განწმენდა ორივე გმირმა უნდა განიცადოს, ეს აუცილებელია, რათა თავიანთი როლები შეიცნონ და შეასრულონ. აგრეთვე, სრულიად ნათელია ისიც, რომ ამ ეპი-

ზოდში ქოხი იმეორებს თხზულების ყველა ძირითადსა და ახევე ყველა მეორად თემას, მაგრამ მისი ენა სხვა განზომილებას იძენს. ყოველივე, რაც იმ დღის განმავლობაში ბლუმმა და სტივენმა განიცადეს, ნაწილობრივ დამთხვევას იწუებს. ახე მაგალითად, ბლუმის გონებაში ჰეინზისა და დედა გროგანის ამოტივტივება სრულიად ბუნებრივია, თუმცა ეს სახეები სტივენის წარსულს მიეკუთვნება. ალბათ ეს ჩემი ბრალია, მაგრამ ვერ დამიძლევი გრძნობა, რომ ეს ეპიზოდი მეტისმეტადაა გადატვირთული. გეჩვენება, რომ ქოხმა ზომიერების გრძნობა დაკარგა. თვალნათლივ წარმოგიდგება როგორ ამრავლებს ავტორი თხზულების ყოველი გადაკითხვისას ახალ-ახალ ეპიზოდებსა და ხილვებს. განა შეიძლება ითქვას, რომ სტივენის დედის უკიდურესად მელოდრამატული გამოჩენა რაიმეში გვეხმარება ან შთამბეჭდაობას მატებს თხზულებას? ამ სცენის უახლოესი კონტექსტი წარმოადგენს ერთიმეორეს მიყოლებულ ძალზე მეტყველ ხილვებს და ამიტომაც, სტივენის დედის ეს შემადრწუნებელი გამოჩენა უკვე აღარ გვაღელვებს. თუმცა მათზე აშკარად უფრო დიდი მნიშვნელობის მქონეა, მაგრამ აღარაფრით გამოირჩევა. ეს აღიქმება როგორც კიდევ ერთი საშინელება სხვა საშინელებათა შორის და თანაც მოწოდებული იმ მომენტში, როცა უკვე შევეჩვიეთ საშინელებებს. ერთი სიტყვით, ამ ეპიზოდში რაღაც მეტისმეტად კაშკაშა, აბეზარი შუქია გამოყენებული და ამიტომ ყოველივე მრუდედ, გამახინჯებულად ჩანს. სხვადასხვა მონაკვეთში, სხვადასხვა მოვლენის აღწერისას, ასეთი ფერი თუ ტონალობა არ იცვლება და ეს არის მიზეზი იმისა, რომ ცალკეული ელემენტი არ ახდენს იმ შთაბეჭდილებას, რასაც მოახდენდა, მწერალს ზომიერება რომ გამოეჩინა.

მე ვფიქრობ, ძნელია, უკანასკნელი სამი ეპიზოდის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რადგან თითოეულ მათგანში ქოხი ერთნაირი გაშმაგებით ახორციელებს თავის თეორიას. უდიდესი tour de force ჩემი აზრით, არის უავხანის ეპიზოდის ორმოცდაათი ანტიკლიმატური გვერდი, სადაც მწერალი ძალზე დაბეჭითებით იყენებს პროვინციული გაზეთის „ჭორების ენას“, რაც მშვენივრად წარმოგვიჩენს მის გამომგონებლობასა და გამძლეობას; მაგრამ ეს ხერხი „ულისე“-ს ადრეულ ეპიზოდებში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მიზნით იქნა გამოყენებული. რამდენად წარმატებულია იგი? უავხანის ეპიზოდში გამოყენებული უფერული, მოხაწყენი ენა მხოლოდ იმდენად შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად, რამდენადაც იგი ღამის ქალაქის ეპიზოდთან კმინის კონტრასტს. ეს ეპიზოდი ოსტატურად წარ-

მოგვიჩენს გამოფიტულ გონებასა და სულს. წარმატებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ იგი ერთგვარ შევებას გვაგრძნობინებს ხწორედ ამ მომენტში, როცა ეს შევება ძალზე საჭიროა, რადგან ძებნა უკვე დამთავრდა, ბლუმმა და სტივენი როგორც იქნა შეიყარნენ. მაგრამ რა გაუმართლებლად ძვირი დაუჯდა მწერალს ეს წარმატება! თხზულების ამ მონაკვეთში ქოხისმა, როგორც ჩანს, დროსთან დაკავშირებული ერთი საოცრად უბრალო შეცდომა დაუშვა. მას ხურდა, რომ ამ მონაკვეთის კითხვისას მკითხველს დაეხარჯა იმდენივე დრო, რასაც თვით უავხანის ეპიზოდი მოიცავს. „ულისეს“ ადრეულ ეპიზოდებში ავტორს მკითხველისათვის ასეთი მძიმე ტვირთის დაკისრება არ უცდია და ახლაც ეს სრულიად უადგილო ჩანს. მეეტლის ჭიხურში გატარებული წუთები ქოხის „ულისეს“ პირველი ეპიზოდის მომჭირნეობით რომ აღეწერა, დარწმუნებული ვარ თავისი მიზნის ვანხორციელებას ორმოცდაათი გვერდის ნაცვლად თხუთმეტ გვერდს მოანდომებდა. მართალია, მისი თეორია ერთობ ქაოტურ მრავალსიტყვაობას მოითხოვდა, მაგრამ ცოტაოდენ კეთილგონიერებას თუ გამოიჩინდა, ამ თეორიის ხორცშესხმისათვის მისი დაწერილის მესამედიც კი კმარადა. ლიტერატურული კრიტიკის ერთი უძველესი და ყველაზე ექვემდებარებული აქსიომა გვასწავლის, — თუ მწერალს შეუძლია ერთი და იგივე შთაბეჭდილება უფრო მეტი ან უფრო ნაკლები სიტყვების მოშველიებით მოახდინოს, უკეთესია მომჭირნეობა გამოიჩინოს. თვით „გრძელი სიტყვაც“ არ უნდა იყოს გრძელი და ეს პარადოქსულად მხოლოდ მათ მოეჩვენებათ, ვისთვისაც ხელოვნებისეული გარდაქმნის ბუნება სრულიად უცნობია.

არაფერს მოგახსენებთ ამის მომდევნო სამოცდაათგვერდიან კითხვა-პასუხის ეპიზოდზე, რომელიც არც თუ უმართებულად, კარგა ხანია ნიშანში აქვთ ამოღებული მტრულად განწყობილ კრიტიკოსებს. უფრო ძნელია აღიარო, რომ თავს იკავებ გამოთქვა აღფრთოვანება მთლი ბლუმის მონოლოგის გამო, რომლითაც თავდება რომანი. ეს ეპიზოდი აღნიშნავს კულმინაციას, რომელსაც „ულისეში“ ქოხისს სამწერლო მეთოდმა მიაღწია და ამასთანავე წარმოადგენს წინამძღვარს იმ განვითარებისა, რომელიც ამ მეთოდმა „ფინეგანის ქელებში“ კპოვა.

მთლი ბლუმის მონოლოგი სულ ცოტა სამი მხრივ შეიძლება გავანალიზოთ: ის შეიძლება დავახასიათოთ როგორც უბრალოდ ქოხისიერული სიმფონიის უკანასკნელი ნაწილი, როგორც უკანასკნელი აკორდი, რომელსაც მნიშვნელობა მხოლოდ ადრეულ ნაწილებთან მიმართებაში მიენიჭება; ეს მონოლოგი შეიძლება აღვიქვათ

დამოუკიდებელ ლიტერატურულ ერთეულად, განვიხილოთ იგი როგორც ავტორის ცდა, ფოტოგრაფიული სიზუსტით გადმოვიცა გარკვეული ცნობიერების ნაკადი და ბოლოს, რასაკვირველია, ამ მონოლოგის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ სამივე წემოხსენებული მოსაზრების გათვალისწინებით.

პირველი მოსაზრება ჭერჭერობით უადვილესად მიგვაჩნია. ჭოისის არქმიტიქტურული აღლო ამ მომენტამდე გახლდათ. რა ნაკლიც არ უნდა გამოვძებნოთ რომანის დეტალებში, მთლიანი სქემა მაინც შესანიშნავია. არც ერთ რომანს აქამდე არ მქონია ფორმის, განვითარების, ძალთა თანაფარდობის ისეთი ფანტასტიკური სიზუსტე, როგორც „ულისეს“. ვერ დავიჭერებ, რომ ჭოისს სიზუსტის ამ გრძობამ ბოლოში უმტყუნა. სრულიად ექვევარეშეა, რომ მიხი იდეთა, — დაესრულებინა მამრის მოგზაურობისა და ძებნის ეპოპეა მოლის ქალური ცნობიერების ღრმა ნაკადში, — გენიოსის იდეთა. სტივენისა და ბლუმის კუთხოვანებას, მათ საუბარს, მათ ნაძალადეგ მოქმედებებსა და მსჯელობებს, სულერთია, მიწიერსა თუ არამიწიერს, ეს ეპიზოდურ უქმნის კონტრასტს, რომელიც ადრევე იყო ნაგულისხმევი, მიუხედავად იმისა, ვგრძობდით თუ არა ამას. ჩვენი მსჯელობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, იგულისხმა თუ არა ჭოისმა ქალური გონება, მთავარია, რომ აქ ნაგულისხმევი *anima* — ქალის სახე — ინტუიციური, გრძობისმიერი, ქვეშეცნეული.

სამწერლო ტექნიკის თვალსაზრისით ეს ხერხი უზადოა. მოლის მოგონებებსა და წინათგრძობებში ჩაქსოვილი ერთმანეთში ჩახლართული თხზულების უველა ძაფი გამოთავისუფლდება და „ულისეს“ ბოლო გვერდზე უცებ კი არ წყდება, როგორც ეს თითქმის ყველა რომანშია ხოლმე, არამედ ერთგვარად დინებას განაგრძობს, დინებას, რომელიც არასოდეს მთავრდება.

წამოიკრება კითხვა: ვანა შესაძლებელია, რომ მას შემდეგ, რაც ძალზე მაღალი შეფასება მიეცა მიზანს, გამოთქვა უკმაყოფილება იმ ხერხების გამო, რომლითაც ეს მიზანი იქნა მიღწეული? ამ წიგნის შემთხვევაში, ჩემი აზრით, ეს შესაძლებელია, რადგან „ულისეს“ არის სრულიად თავისთავადი ნაწარმოები. მასში მიზანი და მისი განხორციელების ხერხები მკაცრად

გამიჯნული. მოლი ბლუმის ორმოცგვერდიან ეპიზოდს გრძელს ვერ უწოდებ, პირიქით, ვივირს კიდევ, რომ ასეთი მოკლე, მაგრამ ხვედრის რამე მასში ძალზე მოსაწონებლად შეჩვენება და ამ გრძობას ჩემში სწორედ სიკარბე ხადებს. კრიტიკოსი ედმუნდ უილსონი ამ ეპიზოდს უწოდებს „პტრუტკრუტის შეტყველების უწყვეტ რიტმს, რაც მას აღილვებულ ზღვას ამხგავსებს“. ასეთი განსაზღვრა შესანიშნავად გადმოსცემს იმას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მოლის შეტყველება, მაგრამ არა იმას, როგორცაა ის სინამდვილეში. უპირველეს ყოვლისა, მოლი ბლუმის შეტყველება პროვინციული არ არის, თუ ამ სიტყვით ბატონი უილსონი, როგორც ამას თვით მიგვანიშნებს, გულისხმობს გარკვეულ ლექსიკონსა და ინტონაციას. მოლი მაიორ თუიდის ქალიშვილია და მისი ენა საშუალოზე დაბალი ფენიდან გამოხული ადამიანის უფერული ენაა. რაც შეეხება კრიტიკოსის მიერ ამ პერსონაჟის შეტყველების დახანიათებისას გამოყენებულ შთამბეჭდავ სიტყვას „უწყვეტი“, ეს მონოლოგი უწყვეტია იმდენად, რამდენადაც მასში სასვენი ნიშნები გამოყენებული არ არის, ხოლო არანაკლებ შთამბეჭდავ სიტყვას „რიტმი“ მხოლოდ ძალზე დახვეწილი მნიშვნელობით ხმარობენ ხოლმე.

„ყველა სხვადასხვანაირია ბოილანი ჩემი ფეხის მოყვანილობაზე ლაპარაკობს, რომელიც თურმე ჭერ კიდევ ჩემს გაცნობამდე შეუმჩნევი „დუბლინის პურის კომპანიაში“ ვიყავი უოლდი იცინოდა და ცდილობდა ყური დაეგდო მე კი ფეხს ვათამაშებდი ორივემ ჩაი და კარაქიანი პური შევუკვეთეთ როცა წამოვდექი დავინახე რომ თავის ორ შინაბერა დახთან ერთად მიყურებდა მოსამსახურე გოგოს შევეკითხე სად არის-მეთქი მე რაში მენადვლება ის ვიწრო შავი შარვალი რომ მაყიდინა სანამ ჩავიხდი ყველაფერი მისველდება ყოველ კვირაში ახალ-ახალი ახირება ემართება...“ ეს ციტატა სრულიად დაუფიქრებლად შევარჩიე, რადგან რომელი ადვილიც არ უნდა შეარჩიო მოლის ცნობიერების ნაკადში, ყველგან ერთნაირად მღვრიე წყალს დაინახავ.

ამ ეპიზოდის შექმნისას ჭოისს მართლაც რომ ურთულესი ამოცანის გადაკრა უხდებოდა. ედმუნდ უილსონის მიერ ამ ეპიზოდის დახანიათება მიგვანიშნებს, რომ მისი აზრით, — ავტორს შეეძლო მასში ისეთი მდიდარი პოეტური ენა გამოეყენებინა, როგორითაც მაგალითად ირლანდიელი პოეტი სინჯი წერდა, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, რა ხავაღალო იქნებოდა შედეგი. ვერ დამიძღვეია შეგრძნება, რომ ჭოისმა ზედმეტი პრობლემებით გადატვირთა თავისი ისედაც ძნელი ამოცანა. თხზულების ადრეულ ეტაპზე მწერალმა თითქოს ჩაახშო

6 *anima* — ქალური სული (ლათ.) ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა არის პერი; სიცოცხლის საწყისი; ცოცხალი არსება; *animus* — სული; კ. იუნგმა მოახდინა ამ ორი ტერმინის მნიშვნელობათა შერწყმა, რისგანაც შეიქმნა ახალი მნიშვნელობა — ქალური სული, მღვდრული საწყისი;

თავისი პატივმოყვარე, არაფრისმოშვენი და მიუღწეველი სწრაფვა, მკითხველისათვის დაეხატა გონების მოუხელთებელი რილის ფოტოგრაფიულად ზუსტი სურათი. „ულისეს“ დასასრულისათვის კი იგი განაბლებული ენთუზიაზმით მიუბრუნდა ამ მატყუარა, მოციმციმე იდეის განხორციელებას. ჭოისი ძალიან ჭკვიანი კაცი იყო და ის, რომ მან თავს ასეთი ამოცანის გადაჭრა დაუხაბა მიზნად, უბრალოდ გულუბრყვილოდ გვეჩვენება, რადგან ადამიანის ენაში არ არსებობს სიტყვები, რომელთაც შეეძლოთ გონების ხელშეუღებო მოქმედების გადმოცემა.

კიდევ რომ გამოიძებნოს ასეთი სიტყვები, ამით განა რაიმეს მივალწევთ? ეს იქნება მხოლოდ ნედლი მასალა ფსიქოლოგიისათვის, მაგრამ ხელოვანი კი ამით ვერაფერს ისარგებლებს. პირიქით, ასეთი ფოტოგრაფიულად ზუსტი სურათის შექმნა აბრკოლებს, ხელს უშლის ხელოვანს, რადგან ხელოვნება მუდამ გულისხმობს სტილიზაციას, შერჩევას, კონცენტრირებას.

ცხოვრება მუდამ ერთგვარად ბუნდოვანია, დაქუცმაცებული; ხელოვნება კი — არასოდეს. ჭოისი ეტყობა ისე შიშობდა, რომ მოლის სახე მის ფიქრთა ენის „გამშფენიერებით“ არ დაედაბლებინა, რომ მეორე უკიდურესობას თავი ვერ აარიდა და გადაწყვიტა ამ პერსონაჟის ცნობიერების ნაკადის გადმოცემისას არავითარი გარდაქმნისათვის არ მიემართა. კრიტიკოსისათ-

ვის ეს ალბათ შეუფერხებელი სიტყვებია, მაგრამ ისე კი ღმერთმა უწყის როგორი უნდა ყოფილიყო ეს ყოველივე.

რა გზას უნდა დახდგომოდა ჭოისი, რომ „ულისე“ უკეთესი გამოსვლოდა? ამ კითხვასაც პასუხის გაცემას, ყოველ შემთხვევაში, ვერასოდეს გავბედავ. შესაძლებელია, რომელიღაც ამოცანა, რომელიც ჭოისმა თავს დაუსახა, თავისი ბუნებით გადაუწყვეტელი იყო. უფრო გაბედული და უფრო პატივმოყვარე მიზნის მქონე წიგნი ჭერ არ დაწერილა. და ხწორედ ეს მიზანი, რომელიც ჭოისს არც ერთი წუთით არ დავიწყებია, აქცევს „ულისეს“ უდიდეს რომანად. თბზულების არქიტექტონიკა, მისი მთლიანობა წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. მართალია, კითხვისას ბევრი რამ გაღიზიანებს, გლლის, მაგრამ როცა უკვე წაიკითხავ, უდიდესი კმაყოფილების გრძნობა გეუფლება. ყოველგვარი სიჭარბე ჩრდილში მოექცევა. ხოლო ის მეტყველი, დაუვიწყარი მონაკვეთები, რომლებიც გამუდმებით მეორდება სრულიად მოულოდნელ კონტექსტში, ერთ შესანიშნავ სურათად განლაგდება. ამ რომანის ცალკეული ნაწილები მთლიანობის ტოლფასი რომ ყოფილიყო, „ულისე“ იქნებოდა უდიდესი პროზაული ნაწარმოები, რომელიც კი ოდესმე შეუქმნია მწერალს...



ალექსანდრ ბლოკი

თარგმნა ნანა ახლობაძე

წერილები

იხსენიდან სტრინდბერგისაკენ

კატარა ნორვეგიული ქალაქი. 8000 მცხოვრები, საუბრები კომერციაზე. ყოველი მხრიდან ისმის საანგარიშოების ჩხაკუნი — გარდა იმ ადგილებისა, სადაც საანგარიშო არ გააჩნიათ და სალაპარაკოც შემოღებულია, მაგრამ იქ საჭმელიც შემოკლებილია, მგონი ზოგჯერ უნდა

კითხულობდნენ ბიბლიას. ყველა სხვა საქმიანობა სათაკილოდ მიუჩნევიათ, თუმცა არც იციან, რომ ადამიანებს სხვა საქმეც აქვთ. ქალაქის მოედანზე დგას სახლი. ახლომახლო ერთი ხეც არ არის, იმ სახლში ცხოვრობს ვაჭრის ოჯახი, ფანჯრებიდან მოჩანს ეკლესიის მაღალთაღიანი შესასვლელი, მარჯვ-

ნივ სამარცხვინო ბოძი, მარცხნივ საპურობილედ და სულით დაავადებულთა სახლი. დღედაღამ მოისმის შორეული ჩანჩქერების გრგვინვა და გუგუნი, რომელსაც დღის განმავლობაში ხშირად გაჰკვეთავს ქალის ჩაბღეჩილი, ხანაც გამყინავი თუ კვნესისმაგვარი ყვირილი.

უცნაური ხმები, უცნაური ხედვები, უცნაური ცხოვრება: თუმცა ჩვენთვის არა, და ჩვენ ყველანი შეუწყნარებლად ვიცრუებთ, თუკი ვიტყვით, რომ სიცოცხლეში არასოდეს გვინახავს რაიმე სამარცხვინო, ციხე, საგიჟე. რომ რომელიღაც „მაღალი თალი“ მარადიულ ჩიხად არ გაჩხერილა ჩვენს ფანჯრებში, რომ არასოდეს მოგვისმენია „ჩაბღეჩილი, ხანაც გამყინავი თუ კვნესისმაგვარი ყვირილი“.

ყოველივე ეს არაერთგვის გვინახავს და მოგვისმენია.

ვაქრის ოჯახში იხადება ვაგიშვილი: მენრიკ იბსენი. ზემოთ აღწერილი სურათები ღრმად იქრება მის მუხსიერებაში. ჩაბღეჩილ ხმებს, — გვიამბობს ის შემდგომ, გამოსცემდნენ ჩანჩქერებზე დადგმული ათასობით სახერხები, — და როცა გილიოტინაზე წავიკითხავდი რამეს, ყოველთვის ის სახერხები გამახსენდებოდაო.

ასეთი „მაღლიერი“ მოგონებები არც ჩვენ მოგვასვენებს, თანადროული სისასტიკისა და უაზრობის გარემოცვაში, „სამარცხვინო ბოძთან“, სამხერხაობის კვნესის ბმაში | ბევრ ჩვენგანს გაუშაკარდა ის, რაც სულში სინაზედ უნდა დახადგურებულიყო, გულის ნაწიქსოვილი რკინის ცხავად ექცა და იოლად მოიშორა ყოველგვარი ადამიანური მოვალეობა. ნებისყოფის ცეცხლს წყალი გადაესხა, ადამიანმა გულხელი დაიკრიფა და განაცხადა, რომ ცხოვრება საბედისწერო, მაგრამ მეტად მძიმე გარდუვალობაა. თუმცა — „თუ მგლებში ცხოვრობ, შენც მგელივით უნდა იყმუფლო“.

იბსენს ეს არ დამართნია. მისი მთავალი დაგვანახვებს, შეინარჩუნა თუ არა მან გულის ნაწი, ცოცხალი ქსოვილი. გაიზარდა და დაფუჟაცდა იგი უკიდურეს ადამიანურ თვალსაზრისებში. ნებისყოფა კი იმდენი აღმოაჩნდა, რომ შეძლო გაესრულებინა გზა, რომელიც, თუმცა კი ბუნდოვნად, მაინც გმირის გზას მოგვაგონებს. ყოველივე, რაც თავს გადახდა ზიგფრიდს, გადახდა იბსენსაც, მაგრამ არა უღრანსა და დაბურულ ტყეში, არა ვალგალის ჭექა-ქუხილებსა და ცისარტყელებში, არა ვალკირიის ცეცხლოვან რკალში, არამედ ჩვენს ჩვეულებრივსა და უფერულ წუთისოფელში (გავიხსენოთ თუნდაც შუადღის მოწყენილობა უღრან ტყეში; ზიგფრიდი უღრტვინვლად რანდავს ტოტებს, მღვიმეში ფაფ-

ნერის ბუზიყლაპიებია, რინში მოწყენით და-ცურავენ სულელი თევზები).

იბსენი ხავსებით ვახაგებტ საბედისწერო თანმიმდევრულობით წყვეტს კვშირს მშობლიურ სახლთან, სადაც მან არა ესაქმება რა, მართლაცდა, რა უნდა ესაქმებოდეს გმირს ბებერ კონდრისკაცთან, რომელიც მხოლოდ ოქროებზე ფიქრობს (ფიქრობს კომერციაზე, ფიქრობს ქაშაყებზე) და თავის ვაგიშვილს უხარშავს საწიზღარ საწამლავს — სავაჭრო კარიერას. იბსენი წავიდა, თქვსნეტი წლიხამ დასტოვა მშობლიური ქალაქი და, თითქოს ჭილდოდ თუ რაღაცის მომასწავებლად, პირველად იხილა ჩრდილოეთის ზღვა. ზიგფრიდმაც, იბსენის მსგავსად, პირველად რომ მოისმინა ტყის გუგუნი, თავდაპირველად ხმები ვერც გაარჩია და გაქვავდა მოჯადოებული.

სამშობლოს დაცემით სასოწარკვეთილი იბსენი, რამდენიმე წლის შემდეგ საზოგადოებასთან შეუპოვარი ბრძოლათ დაღლილი, ისეთივე საბედისწერო თანმიმდევრულობით ტოვებს სამშობლოსაც, ტოვებს საზოგადოებასაც. „დაე ილოღონ ნორვეგიელებმა ცხოვრების ველებზე!“ — წამოიძახებს იგი. განა ვინ უნდა იყვნენ ეს ნორვეგიელები, თუ არა „საზოგადოება“ ბოროტი და უშნო ნიბელუნგებისა, დაუსრულებლად ოჯახურ კინკლაობაში რომ ატარებენ დროს. ძლიერი სცემს სუსტს. ფაფნერი — ალბერტის, ალბერტის — მიმეს, მიმე — თავის ჯუჯებს. ვაჭარი ოლაქსენი აშენებს ახანთის ფაბრიკას, ამისათვის კი ანგარებს მეწვრილმანე ტორლაქსენის დუქანს.

იბსენი ნიბელუნგების თავზე აღმართავს სატირის მახვილს. „მე სატირის მახვილი აღმართე სიყვარულის და ქორწინების წინააღმდეგ, ამიტომაც ხავსებით ბუნებრივია, ამდენი გოდება რომ გაიხმა ქორწინებისა და სიყვარულის დასაცავად“ (წერს „სიყვარულის კომედიის“ წინასიტყვაობაში იბსენი). ნიბელუნგები გაგულისდებიან და აქანუდებიან. „გესმის, ზიგფრიდ, შვილო ჩემო, მე ხომ შენ ყოველთვის მძულდი, და ახლა მინდა, თავი მოგაჭრა“, — ეუბნება ხულელი მიმე ზიგფრიდს. პასუხად ზიგფრიდი მახვილს ჩასსცემს.

იბსენი „თავისი გემის კიჩოს ჩრდილოეთისაკენ მიაბრუნებს“. უკან რჩება მშობლიური სახლი, სამშობლო, საზოგადოება, ასე მთავრდება იბსენის მოღვაწეობის ბირმელი ბმრნი. მდნი. ასეთია მისი ცხოვრება მოწიფულობის ასაკამდე. არა შგავს განა იგი ხავის გმირის პირველ ნაბიჯებს?

ახლა რა ხდება?
ახლა იბსენი ბრანდის ავტორია. მისი ნება უკიდურესადაა დაკვიშული. მისი ტვინი გამო-

აწრო მოვალეობის, მოწოდების, პიროვნების მსხვერპლის, ხალხის, ეროვნულობის საკითხებზე ფიქრმა. მისი გული იცნობს ეჭვსა და სიყვარულს, მართობის საშინელებას და ნეტარებას. თუმცა იმაზე უფრო მართო, ახლა რომაა, იგი არასოდეს ყოფილა, — არც მაშინ, მეგობრებით რომ იყო გარშემორტყმული, არც მაშინ, როცა მტრების გარემოცვაში იმყოფებოდა: — იგი სახელგანთქმული მწერალია. ჯერ ორმოცი წელი არ შესრულებია. იგია საქმრო, საცოლის შესახვედრად გამოსული; იგია ნორვეგიის ხულიერი ცხოვრების „სამეფო აჭრის“ მატარებელი, — ამბობს იბსენის ბოგრაფი.

იბსენის შემოქმედებაში ხდება ძირითადი გარდატეხა. დასრულდა სიყმაწვილის სატირული მგზნებარება, დასრულდა ისტორიული და ლეგენდარული ეპიკი. დადგა მოვლენების ეპიკი.

კერძო პასტორი ბრანდი მთებში, ქარბუქის წყვედიადში იღუპება. უარყოფილი მიწიერი საყდრის მაგივრობას გაუწევს ზევეი — „თოვლის საყდარი“. სიკვდილის წინ პასტორს გარდაცვლილი ცოლის მოჩვენება გამოეცხადება.

ერთი ახირებული მაწანწალა პერ გიუნტი ტყეში ქობამდე მიადწევს და, დაღლილ-დაქანცული, სოლვეიგის სიმღერით მარადისობაზე, სულს განუტყვებს.

ასევე ზიგფრიდიც, ჩიტების ენას რომ ჩახწვდება, მიადწევს კლდის წვერს, გაარღვევს ცეცხლის რკალს, გაადვილებს ქაოსის ახულს და მის გვერდით მშოვებს სიყვარულსაც და აღსასრულსაც.

შემზარავია მწვერვალის სიცივე. რა მოსდის იმას, ვინც მწვერვალზე სულ მართო, „მწყალობელი ღმერთის“ პირისპირ აღმოჩნდება?

აქ შე კითხვის ნიშანს ვხვამ: შესაძლოა ამ წუთიდან ვმირისა და კაცის გზები გაიყარნენ: უმაწვილი ზიგფრიდი დაადგება თავის უკანასკნელ — ნათელსა და ჯვარცმულ, თვით დაღატოთაც დაუბინდავ გზას. მოწიფული კაცი იბსენი კი დაადგება გზას, რომელიც დღემდე შეტყუნებელია ჩვენთვის. ჩვენ ვერც მისი გაზომვა მოვახერხებთ. ამ გზას თვით იბსენმა უწოდა „გრძელი-გრძელი ვნების კვირა“, ეს გზაც, ალბათ, ნათელი და ჯვარცმულია. მაგრამ ამ გზამ ბევრი ჩვენგანი აცდუნა. მადლობა ცდუნებისთვის იბსენს, მადლობა და ქება.

მთებში ბრანდს და ტყეში პერ გიუნტს თავს გადახდათ რაღაც, რაც ჩვენთვის ცნობილ განზომილებათა მიღმა დგას. აშკარა და, ასე ვთქვათ, „მატერიალური“ შედეგი ამ რაღაც მოვლენებისა გახლდათ მწვერალ იბსენის დაბრუნება სამშობლოში. მაგრამ იგი ბრუნდება არა

ისეთი, როგორც წავიდა. ბრუნდება თავაზიანი, გულგრილი, ბოროტი იბსენი, კობტა სერთუკიანი და ხელთათმანიანი იბსენი, იგი წარმოთქვამს სიტყვას. ამბობს, რომ „შეუძლებელია წავათრიოთ ხომალდი ნათელი მომავლისაკენ, როცა ტრიუმში გვამი ასვენია.“ (გვამის ტრუმში — რა ავისშომასწავლებელია და... შეუძლებელია) შეუძლებელია, — ამბობს იბსენი, — გამუდმებით ვამტკიცოთ „მესამე სამეფოს“ — არსებობის შესაძლებლობა, როცა თანამედროვე კაცობრიობას და კერძოდ ნორვეგიელ ხალხს არ შესწევს ძალა შეაბიჯოს მარადიული იდეალების ფართო კიშკარში და გვერდი აუქციოს შავი სამუშაოს მძიმე კარებს.

მაშ ასე, იბსენი დაუბრუნდა „მშობლიურ და ახლობელ“ (როგორც იტყვიან) სინამდვილეს. იგი აანალიზებს და მკურნალობს საზოგადოების „წყულულებს“. ხელთ მიკროსკოპი და სკალპელი მოუმარჯვება.

ზნეობა და სარგებლობა? **NEHET!** იბსენი რეფორმატორია! იბსენი აღარ არის „წმინდა მხატვარი“ მას მიაწყდა პუბლიცისტებისა და კრიტიკოსების ბანდები, იგი დაეინებით კარნახობს მათ: „საზოგადოების თავშეყრა“ — ერთი „თოქინების საბლი“ — ორი „დოქტორი სტოკმანი“ — ხამი მშვიერი კრიტიკოსები ნთქავენ და არას დაგიდევინ, იქნებ გემრიელ „კითხვებში“ რომელიმეს ნემსის წვერი ერიოს. ორმოცდაათი ნორი ტყავში ძვრება, რათა ენამოსწრებულად, ტკივილით და ნიჭიერად გამოსახოს წყურული ქალთა საკითხები. ერთ-ერთი იმათგანისათვის თავაზიანი იბსენი სცვლის „ნორას“ დასასრულსაც კი (ხუმრობა საქმეა — პირიქით!).

Herr Ibsen-ი წერს, ხეირნობს, აძლევს მითითებას მსახიობებს, უდროოდ შემომძვრალ აბეზარ სტუმართან Herr Ibsen-ი გამოდის კალმით ხელში. კალმის წვერზე მოწვეთავს მელანი, ერთადერთი ნიშანი წყენის. — სტუმრის სასაყვედუროდ სიტყვაც არ ითქმის. სტუმარი დარცხვენიალია. Fru Ibsen თვალყურს ადევნებს მეუღლის სიმშვიდეს და საქმლის მონელებას. როდესაც ქუჩაში თავს მოიყრის ხალხი, Fru Ibsen ფარდას გადასწევს: უსაქმოდ მოყიალეთა მშერას წინ დაუდგება მუშაობაში ჩაფლული იბსენი.

ამჟერად იბსენის ხელიდან იფრქვევა უძირო, მრავალმნიშვნელოვანი სიტყვები, რომლებიც ყველასათვის როდია გასაგები:

Знакома мне паденья глубина.
Весенних басен книга прочтена.
Мне время есть осмыслить о морали.

რას უნდა ნიშნავდეს „სიღრმე დაცემის“? თუ ამ სიტყვებს შევუპირისპირებთ სიტყვებს „გვა-

მი ტრიუმში“ (ვისი გვამი?), შევძრწუნდებო. გესმით ზვავის გრილი, ქვეშ რომ მოიყოლა ბრანდი? ან სოლვეიგის ხმა, ნანას რომ უმღერის დაქანცულ მგზავრს.

იბსენი სამშობლოდან წავიდა, რათა ეხილა მზე, რომელიც „სახლში არასოდეს დაუნახავს“. აი, ის კვლავ თავის უმზეო სამშობლოშია, მაგრამ ამჟერად ხულ სხვა ჯავშანში ზის.

Он весь закован был в броню
Оруженосец — Смерть...

სახე იცვალეს იბსენის თემებში და ხერხებში. სახე იცვალა თვით გარეგნობამ და ხელწერამ. მან უარი თქვა, უოფილიყო „საქმრო საქორწილო ტანსაცმელში“ და იქცა „დიდებულ შავ მუშად“. იგი გახდა „გასაგები“. რაოდენი მადლობა უნდა უთხრან ბრბომ და მისმა მხახურმა კრიტიკოსებმა მწერალს, რომელიც „გამოფხიზლდა“ და, „როგორც ყველამ“, საქმედ გაიხადა ქალთა და სხვა საკითხებით დაინტერესება?

ტაშის გრილში გაიარა იბსენმა თავისი გზის ეს მეორე ნაწილი. იწყება „მესამე მოქმედება“.

გარეგნულად არაფერი იცვლება. იგივე ქცევა, თავაზიანობა, სიტყვების წარმოთქმა, რომელსაც ხანდახან გაწყვიტავს ხოლმე „მწერლის უცნაურობანი“, თუ „მიუკარებლობა“ („უცნაურობად“ იწოდება თხოვნა, ნუ გააბეჭდებენ თავს სისულელეებით). და უცებ („უცებ“ პუბლიკისათვის, რადგან ფიქრებისა და ეჭვების წლები — პუბლიკისათვის წამია მხოლოდ) იბსენი ისევ გარდაიხანება და ხდება გაუგებარი, სხვანაირად თუ ვიტყვით, მისი ახალი ნაწარმოებები უკვე არ არიან პუბლიკისტებისათვის მასაზრდოებელი წვენი მისწოდებელი. მეტიც — ისინი აღძრავენ ეჭვს, რომ „თოჯინების სახელიც“ არ უოფილა ისე მარტივი. რომ იმ პატარ-პატარა ნაფლეთებში, კრიტიკოსებს რომ გადაუყარეს, ერიო ეკლები. პუბლიკა და კრიტიკა იწყებენ ვიწვიშს. ამჟერად იბსენის დრამებში აშკარად მოისმის რაღაც უცნობი საკეტის ჩხაკუნი. მის წარმომავლობას ხსნიან სხვადასხვანაირად. მაგრამ არც ჩვენ ვიცით აქამდე, თუ რამდენი მომაკვდინებელი და რამდენი მაცოცხლებელი წვენია ამ გასაღებში...

ვინ არის გედდა გაბლერი? უყვარს თუ სძულს იგი ავტორს? შეუყარებულა თუ ეწიზლება? თუ ერთიც და მეორეც ერთად? რას მოასწავებს რუსმერსბოლმის „თეთრი ცხენები“ და დაღუპვა განგებისაგან, დაწყველილი ოჯახისათვის განა მართლა არსებობენ ზღვის ქალები? განა ისინი უსქესო მითიური ნაიადები, მშვენიერი ქალწულის სახიანი ხულელი თევზები არ არიან? რატომ დარბის ელიდა ზღვის ნაპირზე და ჩიტივით აფართქალებს

დაკრილ ფრთებს? და რატომ უცებ, სწორედ ჩიტივით, სასაცილოდ და უშნოდ, ისევ გალიაში შეფრინდება? მართლა ჰკურდნ შეშლილია, თუ მხოლოდ იგონებს მშენებელი სოლნი. სი? რატომ მოითხოვს დაქინებით ერთი სულელი გოგონა, კარტუზი ქუჩაუნებს, გადაადგილოს უცნაური ტოშტის მხარეთან მეფობა მაგიდაზე“ და ამასთანვე იწოდება „სიკაბუკედ“? თუ აღმშენებლის ტვინია აგზნებული და ეს უოველივე მისი ნაბოდეგარია.

ჩვენ ვიწყობოდით „საღლაც იქ და ამირიდან აღარ მივეკუთვნებით შუბლმეგარ აღამიანთა წყებას, რომლებიც უოველივე ამას დღემდე „ნორვეგიისად“ ანდა „საყოველთაოდ“, ანდა ფსიქოლოგიურად, ანდა წნეობრივად, ანდა ქალთა საკითხად... მიიჩნევენ, მაგრამ, იქ რომ ვიყავით, დავბრუნდით უკან. დღეს ჩვენ აძბ ვართ.

და მე ვეკითხები ჩემს თავს, ახლა რომ მოვისურვო სახლის აშენება, ნუთუ ჩემთან მოვა გოგონა, ერთადერთხელ რომ მინახავს ცხოვრებაში, და მაიძულებს ავაგო უცნაური კოშკი... და რომელიღაც ფლუიდების შემწერობით მაიძულებს გავფრინდე თავქვე... სიკაბუკის სადიდებლად, რომელსაც თვითონ განახიერებს, რადგან ლამაზი სახე აქვს და ხელში ჯადოსნური ქოხი უჭირავს?

ჩვენ არ ვვტანჯავს გონების სიჩლუნგე, ჩვენ არ ვუმაღავთ საკუთარ თავს — რომ შეიძლება ისეც იყოს. ზუსტად ისე, როგორც იბსენის დრამაშია აღწერილი. მაგრამ ხომ შეიძლება, ისე არ იყოს? საშინელია, მერტიო იბსენ, ჩვენ ვერ ვიხილეთ შენი სახე ნათლად, ვერ მოვისმინეთ შენი ხმა გარკვევით, საით გვიხმობ და გვეძახი შენ?

იბსენის თანამედროვე კრიტიკოსი შლენტერი მისი უკანასკნელი დრამის („როცა ჩვენ, მკვდრები, ვიღვიძებთ“) შესახებ ამბობს: „თუკი საერთოდ არსებობს ვერაგული მხატვრული ნაწარმოებები, ახეთად უპირატესად უნდა ჩაითვალოს იბსენის ახალი დრამები“. შეიძლება დავამატოთ: იბსენის ახალმა დრამებმა განამტკიცეს ის აზრი, რომ მთელი მისი შემოქმედება მომსკდარი ქარიშხლის ნიაღვარსა ჰგავს, უამრავი ქვა-ღორღი რომ შერევია. „დამიანები ფიქრობენ, რომ დროის სვლასთან ერთად მე შეხედულეებებს ვიცვლიდი. მაგრამ ეს დიდი შეცდომაა. სინამდვილეში ჩემი განვითარება მიმდინარეობდა თანმიმდევრულად“, — ამბობდა იბსენი. მთელი მისი შემოქმედება მრავალმნიშვნელოვანია, უოველივე ლაპარაკობს მომავალზე, გამოუთქმელზე და ამიტომაც გვაცდუნებს. უდიდესი მადლობა და ხოტბა შევახნათ იბსენს საცდურისათვის. თუკი მან ვინმე აცდუნა, აცდუნა მხოლოდ გამვლელი მგზავრები,

რამეთუ მხოლოდ ისინი ემორჩილებიან ცდუნე-
ბას. ადგილზე მდგომნი ხომ მხოლოდ ტყუვდე-
ბიან. იბსენმა ისინი მართლა მოატყუა: ყოვე-
ლის მხრიდან „მორალის“ არტახებში მოქცეულ-
ნი, სულელები სიცარიელეს შეასკდნენ შუბ-
ლით.

ჩერ კიდევ გუშინ რუსეთმა განუყოფელი
წლები გადაიტანა. იმ წლებში ჩვენ იბსენის
კვალდაკვალ მივდიოდით, მივდიოდით სწორედ
მესამე პერიოდის, განსაკუთრებით საშიში პე-
რიოდის კვალდაკვალ. ჩვენს დროებზე ლამა-
ზად იყო ამოქარგული იბსენის სახელი. იგივე
სახელია მათზე ამოქარგული დღესაც. დიდება
იბსენს.

ჩვენ ისევ დავუბრუნდებით მას, დავუბრუნ-
დებით ახლებურად. ჩვენ იბსენთან ერთად გა-
ვასრულეთ დაუფიწყარი, მშვენიერი, მაგრამ
საშინელებებით აღსავსე გზა. იგი იყო მკაც-
რი და სასტიკი: შესაძლებელია იმ საშინელ დღე-
ებს მას უნდა ვუმაღლოდეთ, „სულის ნაწი-
ქსოვილი“ ვერ გაარჩინა მან. დაე, ღმერთი
ფარავდეს იბსენს. სამხერხაოები, სამარცხვინო
ბოძები, საპურობილები, სულით დაავადებულ-
თა სახლები, სიკვდილით დასჯა — თავისას
აკეთებენ. ისინი არც იბსენს ინდობენ, არც
ჩვენ დაგვიანდეს. ცხოვრების მოგონებათა სა-
შინელება იბსენისათვის გარდაისახა ბრანდის
წვავის გუგუნად და ტყეში მარადისობის ხმად.
თვითონ ცოცხალი გადარჩა, კიდევ დიდხანს
ადევნებდა ფხიზელ თვალს ყოველივეს და
მისი ოდნავ შეჭალარავებული თავი შთის
არწივის ბომბორა თავს დაემსგავსა.

არწივი მიფრინავს და მიფრინავს, უკან მოი-
ხედავს და თავისკენ გვიხმობს და გვიწიდავს.
ჩვენც მივსდევთ ერთი კლდიდან მეორისაკენ.
მოჩანს ზღვა. მოახლოვდა საუკუნის დასას-
რული. ჩვენ ძალა გველევა.

არწივი ჩამოჯდება მიუწვდომელ ფრიალო
კლდეზე. ჩვენც შევჩერდებით, კლდეებს შო-
რის მოისმის რაღაც გაუგებარი, თითქმის უაზრო
სიტყვები „ყვავილებსა და ფოთლებზე“. ეს
მოჩვენებები — ირენა და რუბეკი — ლაპა-
რაკობენ. მივიხედ-მოვიხედავ — არავინაა. მარ-
ტო არწივი ზის და გარემოს ათვალიერებს. სა-
უკუნე იწურება.

უცებ მოისმის წვავის გრიალი, ქარიშხლის
სტვენა, დგება წყვდიადი. წყვდიადიდან მოის-
მის მარადისობის ხმა. არწივი ადგილიდან მო-
წყდება და შემწარავი უვირილით ზღვის თავზე
გაუჩინარდება. ჩვენ მარტო ვრჩებით, ფიორდე-
ბით, ღამით გარემოცულნი.

ვეძებთ გზას. მოვწყდებით კლდეს და ისევ
მივუქაჩვებით. ბოლოს, როგორც იქნება, გამო-
ჩნდება ამწვანებული ღარტაფები, დიდი ხნის

მიტოვებული მიწის ნაგლეჯი, თავს წამოყოფს
ბალახი.

და ამა, დაუსრულებელი თოვლის, უსასრუ-
ლო ჰაერისა და ცეცხლის რკალის შემდეგ გა-
მოჩნდება მიწა. ღარტაფებიდან ჩვენს შესაბ-
ვედრად გამოემართება კაცი ქუჩებში უღვა-
შების ქვეშ — ტანჯვის გუბნარევი რუხები,
ნაცრისფერი თვლების ვაჟკაციური გამოხედვა:
არწივის სახის ნაცვლად — კაცის სახე!

ავგუსტ სტრინდბერგი.

აპრილი, 1912 წელი.

ავგუსტ სტრინდბერგის ხსოვნას

ამხანაგმა, რომელიც სტრინდბერგის გარდა-
ცვალების წინა დღეს დაბრუნდა სტოკჰოლმი-
დან, თან ჩამომიტანა მისი დიდი პორტრეტი.

ვუყურებ ამ მუშურ ბეჭებს, უდრეკ, ტან-
ჯულ სახეს და მსურს დიდ შვედს ვუწოდო უბ-
რალოდ: „მონუცი ავგუსტი“. ეს ფართო, ჭი-
უტი შუბლი, შეყრილი წარბები, ეს „უბრა-
ლო“, მუშა კაცის ცხვირი, მკაცრი თვლების
შეუპოვარი გამოხედვა, რომლის წინაშეც,
აღბათ, ხმა უნდა გაკმინდოს ყოველმა წვრილ-
მანმა და უღირსმა, რასაც, არ შეუძლია რა-
მეზე გადაჭრით განაცხადოს „პო“ ანდა „არა“..
ასე ძვირფასი და უხანღვროდ მახლობელია
ჩვენთვის, რუხებისათვის, რუსი მწერლებისათ-
ვის კი უფრო მეტად.

შენედეთ ამ მკვეთრსა და მრავლისმეტყველ
ხაზებს და ნაოჭებს! ბევრია განა ამქვეყნად
ხალხი, რომ ღირდეს მათზე გაისარჯოს დრო —
უღმობელი მხატვარი? აი, სად გვიჩვენა მან
თავისი თავი — ქეშმარიტად დიდი მხატვარი.
მარტივიდან რთულისაკენ; ტლანქი მასხალისა-
გან — უნაზესი სულიერება, საჭირო იყო უდ-
რეკი მარჯვენა და დაჯერებული საჭრეთელი,
რათა პმპპპარად დაეღაგებინა ეს შავი ჩრდი-
ლები ლოყებზე, ეს მკაცრი ნაოჭები ბაგე-
ების გარშემო.

ნამდვილად გვჭირდება ჩვენ ისეთი კაცი,
რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს მხატვარს
და ადამიანს; ისეთი, ვისაც ღიადი და საქვეყ-
ნოდ მქუხარე სახელის გარდა აქვს კიდევ ერ-
თი პატარა, ინტიმური სახელი; ავგუსტ სტრინ-
დბერგში უდიდესი ხარისხით შეირწყა ერთი-
ცა და მეორეც; დიდებული და უბრალო, მხატ-
ვარი და ადამიანი, შემოქმედი და ხელოსანი;
სტრინდბერგი კაცობრიობის იმგვარ ნიმუშთ
მიეკუთვნება, საითკენაც ადრე თუ გვიან და-
იძვრიან სწრაფვით ადამიანები; ექვი არ არის
თანადროულ საერთო-გერმანულ ტიპში დევს
გოეთესეული და შილერისეული ხაზები, თუმ-

ცა ძლიერ განზავებული და სახეცვლილი ბის-
მარკისეულითა და ვილჰელმისეულით. იმედი
უნდა ვიქონიოთ, რომ „სტრინდბერგული ტი-
ში“ თანდათან შექმნის არა მხოლოდ საერთო-
შვედურ ტიპს; აი თუნდაც, რაღაც-რაღაცა გოე-
ტესი არის რუსეთშიც და არა მხოლოდ გერმა-
ნიაში. შეიძლება ვიფიქროთ და სიხარულით
ვირწმუნოთ, რომ იგივე რუსეთი, რომელსაც
დასავლეთიდან ზიზღით და შიშითაც კი უწყ-
რებენ, ხოლო ზოგ-ზოგნი — იმედიც, თა-
ვის სულში ჩაიკრავს სტრინდბერგის უდრეკი.
პირქუში და დღესასწაულებრივი სულის ნაწილს.

აშკარა განახლება განიცდის საკაცობრივ
ცხოვრების გზები; ახალი საუკუნე — ქეშმა-
რიტად ახალი საუკუნეა; კაცობრიობის სული,
რუსული სული იმსხვრევა; დაზვიანდა უამრავი
ძველი ხარახურა, ჩამოტუდა ბევრი ნორჩი ტო-
ტი, ამ „გარდამავალ“ წლებში კულტურამ თა-
ვისი ლაბორატორიიდან გამოუშვა ერთგვარად
დროებითი, ასე ვთქვათ, „სასინჯი“ ტიპი ადა-
მიანისა, რომელშიც სხვადასხვა პროპორციითაა
შეზავებული მამაკაცური და ქალური საწყი-
სები. ამ ტიპს ვხედავთ ჩვენი მოღვაწეობის
ყოველ სფეროში — უველაზე მეტად კი სწო-
რედ ლიტერატურაში. უნდა ითქვას ისიც, რომ
XIX საუკუნის ლიტერატურის ერთიანი გან-
ვითარება დაიწყო ამ ტიპის „უშუალო მონა-
წილეობით“. მის მეტად თუ ნაკლებად წარუ-
მატებელ ასახვაზეა დამოკიდებული ჩვენი
მერყეობაც სიღიადესა და დაცემას შორის.
კულტურამ თითქოს უამრავი „სინჯი“, ათასო-
ბით ნიმუში მოგვიშვავა და ახლა შედეგს ელო-
დება, რათა საშუალოს არჩევანი გააკეთოს,
ანუ შექმნას ახალი ადამიანი, რომელიც ადვი-
ლად შეეწყობა შეცვლილ ცხოვრებას.

ამგვარ პირობებში გასაგები ხდება უო-
ველგვარი სიმახინჯე, რომლებმაც ჩვენი ყმაწ-
ვილი საუკუნის მთელ ლიტერატურას დაახვეს
პათოლოგიის, უმწიფარობის და ახირებულობის
ბეჭედი. შესაძლოა, მარტო „პორნოგრაფია“ კი
არა, ყოველგვარი მერყეობაც, რომელმაც რისხ-
ვის ნაცვლად უღიმღამო სევდა, ხოლო ბრძო-
ლის ნაცვლად საიდუმლო რენეგატობა გააბა-
ტონა, — წარმოსდგება სწორედ იქიდან, რომ
არ ჩამოყალიბდა, არ დადგინდა ახალი ტიპი
და არ შეიქმნა ახალი „საშუალო“ ადამიანი.
ჩერ კიდევ ერთობ ხშირად ჩვენი ვაჟკაცური
ნება — იმის გამო, რომ ამოიწარდა ძველსა და
გადამწვარ ნიადაგზე — კარგავს წინააღმდეგო-
ბის გრძნობას და დიაცური უღიმღამობით იმს-
კვალება, მეტად ხშირად ხდება პირუტყვი: მოქ-
ნილობისა და მომხიბვლელობის ქალური საწყ-
ისები — ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, —
კულტურის ისეთივე შეუცვლელი თანამგზავრები
რომ არიან — უხეშდება ზედაპირული და უმიზნა

რაციონალიზმით, არა ვაჟკაცური, არამედ მხოლოდ
და მხოლოდ „მამაკაცური“ საწყისის გამოი-
სობით.

ავგუსტ სტრინდბერგი, რა თქმა უნდა, ერთ-
ერთი პირველთაგანია, ვინც იმ კულტურულ ქუ-
რაში ჩავარდა, სადაც „სასინჯი ადამიანი“ უნდა
გამოიწროს. საოცარი დაუინტერესო, ჩაცვიბით
ჩაუსაფრდა მას ბედისწერა და საშუალო
ძალის ადამიანისათვის მიუწვდომელი და
აუტანელი გამოცდა მოუწყო. როცა სტრინდ-
ბერგის ცხოვრებაზე ჩაფიქრდები, უნე-
ბურად გებადება აზრი: ბედმა სწორედ ეს
მოდგმა შეიყვარა განსაკუთრებით, აირჩია სწო-
რედ იგი, რადგან მეტისმეტად ეწადა მისი დაბ-
ვეწა, ეწადა სწორედ მისგან შეექმნა უკეთესი,
იდეალთან მიახლოებული „სინჯი“.

როდესაც გაიხსენებ, როგორი გამოცდა გა-
მოიარა სტრინდბერგმა და მხოლოდ ფიზიკუ-
რად გატეხილი, მაგრამ სულით ურყევი წარ-
მოსდგა ჩვენ წინ, თავისთავად გაგონდება ანა-
ლოგიური სურათი ატლეტის აღზრდისა, რომ-
ლის სხეულიც უნდა მიეჩვიოს ნებისმიერი ძა-
ლის დარტყმას; დიახ, უნდა ვაღიაროთ, რომ
მშვენიერი მასალაა სტრინდბერგის სული;
მაგრამ რაოდენ სრულყოფილი შეიძლება იყოს
მასალა, რომელიც ახალი ადამიანის შესაქმნე-
ლადაა გამოიზნული! აქ ხომ საქმე ეხება ახალ
„სქესობრივ შერჩევას“, ვაჟკაცური და ქალუ-
რი საწყისების ბარმონიულ განაწილებას, იმ
საწყისებისა, რომლებიც დღემდე დისბარმონი-
ულ მდგომარეობაში იმყოფებიან და ადამიანის
განთავისუფლებას აბრკოლებენ!

როდესაც ვაჟკაცური გარდაისახება მამაკა-
ცურში, რისხვა იქცევა ბოროტებად; როდესაც
ქალური გადადის დიაცურში, კეთილი გადაგ-
ვარდება მგრძნობიარედ; თანამედროვე საზოგა-
დოებაში ამას ყოველ ნაბიჯზე, ცხადია, „მმარ-
თველი კლასების“ წრეში ვხედავთ.

მეტეც, ჩვენ ვხედავთ ბუნებისა და კულტუ-
რის ნაღვაწს, რომლებიც ესწრაფვიან განაახლონ
ეს ორი გადაგვარებული სახეობა, ცდი-
ლობენ; გააკეთილშობილონ მამაკაცური — ქა-
ლური და დიაცური — ვაჟკაცური; უამ-
რავ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ვღებულობთ
საშუალო, არაფრისმაქნის სახეობას, „არასრულ-
ყოფილი“ ადამიანის ტიპს, ნევრასტენიკებს,
ძლიერი პათოლოგიური იერით აღბეჭდილთ.
უმცირესობა ამგვარი შეხამებისა გვადლევს, პი-
რიქით, იმედს „ახალი ადამიანის“ სახარგებ-
ლოდ. ამ ერთეულთა შორის და იქნებ მათზე
წინაც დგას სტრინდბერგი, როგორც ტიპი მა-
მაკაცისა, „კაცისა“, რომელიც შეეწყობა მო-
მავლის ცხოვრებას, რომელიც წარმოგვიდგება
(უკვე, როგორც ეტყობა, უველას) მომეტებულად
ინტენსიური ბრძოლის შედეგად არა მარტო სა-

ხელმწიფოთა შორის, არამედ განსაკუთრებით ხაზოგადობის და პიროვნების ბრძოლით სახელმწიფოსთან.

სტრინდბერგი დაიბადა ჰეშმარიტ დემოკრატიად, მაგრამ თავისი ძალისხმევითა და მიზნების გამოხატვით იძულებულია „სლუტოკრატებში“, არისტოკრატებში და ა. შ. იტრილოს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ სრულებით ბუნებრივად ყველას, ვისაც მის ახლოს უხდება ყოფნა, ტლანქ, მშრომელ ადამიანად, გარიყულ, სასტიკ და ქალთმომძულე კაცად წარმოუდგება. მას უყვარდა ამ ნიღბით გამოჩენა, ასეთად წარმოგვიდგება იგი ზოგჯერ ჩვენი, მაგრამ სინამდვილეში როგორია? პირველ რიგში, ყველა, ვისაც სწადია მოქმედება, ცხოვრებაზე შემოქმედება და მისი შეცვლა, საკუთარ თავში იპოვის, თუნდაც ჩანასახის სახით, ზემოთ მინიშნებულ თვისებებს. მეორეც, ამ თვისებებით არ ამოიწურება სტრინდბერგის ფსიქოლოგია; ყოველი მათგანი არსებობს მასში, მაგრამ ყოველი მათგანი შეფერვილია ხულსხვა ელფერიით, განსხვავებით დესპოტი და აქედან გამომდინარე, ეგოისტი საშუალო მამაკაცების უმრავლესობისაგან.

სინამდვილეში ჩვეულებრივ „მოღვაწეს“ (ვთქვათ, თანამედროვე სახელმწიფოებრივ პირს) ხშირად ახასიათებს ასეთივე თვისებები, მაგრამ მის უხეშობას და სისასტიკეს ვერაფერი ცვლის უსიკაცლო სენტიმენტალიზმის მეტი, რომელსაც არაერთგზის შევხვედრივართ ცხოვრებაში ანდა წაგვიკითხავს წიგნებში; მაგრამ სტრინდბერგში არ ყოფილა სენტიმენტალობის არდილიც. იგი სასტიკი იყო ყველაზე მეტად თვით საკუთარი თავის მიმართ. მეტიმეტად კარგად გვესმის ბიუროკრატიული განდგომილების ფასი. სტრინდბერგის განდგომილებას საფუძვლად ყოველთვის ედო იდეურ ანდა, მისტიკურ აზრთა სხვადასხვაობა, დაბოლოს, ქალთმომძულეობა, საშუალო მამაკაცის ერთობ ჩვეულებრივი თვისება, თითქმის ყოველთვის უხამსობაა. სტრინდბერგს კი ამ თვისებამ დიდი სახელი მოუტანა. იგი მისთვის წარმოადგენს გოლგოთას. სტრინდბერგის ცხოვრებაში იდგა დრო, როცა ყოველივე ქალური აღმოჩნდა „დიაცურის“. სწორედ მაშინ დიაცურის სიძულვილის სახელით მან შეაჩვენა და დასწყვეტა ყოველივე ქალური, მაგრამ არასოდეს წარმოუთქვამს მკრეხელური, შეურაცხმყოფელი სიტყვა და თავს არ დახმობია ქალურს; მან ზურგი აქცია ქალურს მართოდენ იმიტომ, რათა ეჩვენებინა, რომ არ იყო ჩვეულებრივი (რიგითი) მამაკაცი, რომელსაც ისევე იოლად შეეძლო „შესძულვებოდა ქალი“, როგორც დაქვემდებარებოდა დიაცის ქანცისგამართმევ, დამაუძლურებელ ზეგავლენას. — ვაჟაკური ადამიანი, რო-

მელიც ამჯობინებს განმარტოვდეს თავის სასტიკ ბედთან, როდესაც ამკვეყნად ვერ შეხვდება ჰეშმარიტ ქალს, რომლის მიღებაც ხელმწიფება პატოსანსა და მკაცრ სულს.

ყველა თავისი ვაჟაკური, მკაცრი კულტურული ფენისათვის კი უსუსტად ყველაზე მეტად, სტრინდბერგი ჰგავს გზის მაჩვენებელ შუქურას, რომელიც მიგვითითებს, რა გზას დაადგება კულტურა ადამიანის ახალი ტიპის შექმნისას. ჩვენი დროისათვის — იგი იყო „დიდი ვაჟაკი“. მომავალში ცხოვრება, ალბათ, წაშლის ზოგიერთ, ვაჟაკობის ამ ჭერხნობით საუკეთესო ტიპის მოუქნელობას, იმ თვისებებს, რაც ახლა განსაკუთრებით გვნიბლავს, რადგან ისინი სტრინდბერგს გვიხატავენ ამავე დროს როგორც მხატვარს.

არინ მარადიული სახელები, რომლებიც ყველა საუკუნეს ეკუთვნის. ეს სახელებია: ძმა და მასწავლებელი; სტრინდბერგი ჩვენთვის იყო ერთიც და მეორეც. იგი ყველა მემბობის ძმა იყო, ძმასავით აფხიზლებდა, არ დაშოშმინებულა და იქნებ ახლაც, თუკი ვინმეს ამ ჩვენს მომავდინებელ დროში ღონეშიხდილს ჩასძინებია, უცებ გამსჭვალავს ელვისებური აზრი: „ამიერიდან მე აღარა ვარ სტრინდბერგის ძმა!“ იგი ხელახლა გაიღვიძებს და გაიხსენებს, რომ სამყარო მეტად დიდ ენერგიას მოითხოვს, რათა დაუსჯელად ჩააძინოს ის, ვინც შემოქმედებისთვისაა მოწოდებული.

სტრინდბერგი ბევრის მასწავლებელი იყო და იქნება დიდხანს. განა ადამიანი, ვინც საკუთარ თავში დაატარებდა უზარმაზარ მსოფლმხედველობას, ადამიანი, ვინც უმაღლეს სიყვარულს განიცდის თვით უანგარო და უწმინდესი მეცნიერების — ბუნების მეცნიერების მიმართ, ადამიანი, ვისაც თვით ეკუთვნის აღმოჩენა ამ მეცნიერებაში, შეიძლება არ იყოს ჩვენი მასწავლებელი?

მაგრამ არის კიდევ ერთი სახელი. შეიძლება იგი არ იყოს მარადიული, რადგან არ გვაგონდება მისი არსებობა კაცობრიობის ისტორიის გარიყრაფზე, და შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის დროც, როცა იგი მსოფლიოს აღარ დასჭირდება.

მაგრამ ახლა განსაკუთრებით ახლობელია და საჭირო. ეს სახელია — ანდერძი დემოკრატიაზე. ეს ყველაზე უფრო ადამიანური სახელია დღეს; ძმა და მასწავლებელი მარადიული სახელებია; დღეს კი იქნებ ბევრისთვის უფრო ძვირფასი სახელი იყოს პმხანაბრი; ნათელი და წრფელი გამოხედვა, სიმართლე — თვალებით თქმული. სამართლიანი სამყარო და სამართლიანი ჩხუბი; ფართო და უხეში ხელის ჩამორთმევა. ვიდრე ადამიანები ბავშვებივით, არაგულწრფელი — პირმოთნე და მფრთხალი იქ-

ნების თავიანთი გრძობების გამოხატვისას, —
ბშვენიერი იქნება ადამიანთა ურთიერთობა,
სიტყვა ამხანაგით გამოხატული.

ამიტომ გვინდა მოხუც ავგუსტს ვუწოდოთ სწო-
რედ ამხანაგნი. ის ხომ დემოკრატია, ის ხომ
შთავაგონებს მომავალ მუშაობაში. რაც მთავა-
რია, ის უზარმაზარი მემკვიდრეობა ხომ, მან
რომ დაგვიტოვა, მისაწვდომია უკლებლივ ყვე-
ლა ადამიანისათვის. მას არ შეიძლება ბყავდეს
სხვა მემკვიდრე, გარდა ბატონბრძენისა, მას
არ აშინებს «атласные дырявые карманы»,¹
რადგან მის მემკვიდრეობას არ მიუღია არანაი-
რი, თვით ყველაზე უბრალო ფორმა — ფორმა
ფულადი მემკვიდრეობისა. მასში ყველაფერი
იყო უჩვეულო, თვით ისიც, რომ მას ხელეწი-
ფებოდა ყოფილიყო მხატვარი „უფორმოდ“...

მართალია, ამ უზარმაზარ, წიგნებით, ბელ-
საწყობებით და კოლბებით დაზვიანულ ლაბორა-
ტორიაში გარეგნულად პირქუშ, შინაგანად მზია-
რულსა და მტვრიანი გზით გამსჭვალულ ლაბო-
რატორიაში — ერთ მუხდროს კუთხეში დევს
სვედენბორგის ტომი, რომელიც ყველამ ვერ
უნდა დაინახოს, მაგრამ ისიც მართალია, რომ
საშიში არ არის, თუ რომელიმე უმაწვილი მო-
წაფე ამ ტომში წააწყდება მოხუცი ამხანაგის
უცნაურობებს. სტრინდბერგისათვის არ არის
შემადრწუნებელი ბევრი რამ, რაც შეადრწუნებს
სხვას და იქნებ დიდებსაც, ვიდრე თვითონ ის
მასწავლებლებს, იმითომ რომ... დემოკრატია.
დემოკრატის მემკვიდრეობა — იდეურია, იგი
არ მოემსახურება ანგარებას, სტრინდბერგის
მემკვიდრეობა მისაწვდომია ყველა ქვეყნის ლა-
ლი და მემბოხე უმაწვილობისათვის, ეს არის
ლაბორატორია — სტუდენტებისათვის, დიდი
ოთახი, თავისუფალი გამთენიისას, როცა ტვინი
მუშაობს რიტმულად; და თვითონ სტრინდბერ-
გიც — დილაა, ის საათი, როცა იწყება დიდი
მუშაობა. ყველაზე ნაკლებ სტრინდბერგი არის
ლასასრული, ყველაზე მეტად სტრინდბერგი
არის დასაწყისი. მოკრძალებული შესწავლა მი-
სი — აი, ის შრომა, რომელიც ახალგაზრდა-
ვებს დაქანცულ სულეებს.

მაისი, 1912 წ.

მეტადლინკის „ცინზარი ჩიტის“ გამო

ბელგია დიდი ისტორიის მქონე პატარა ქვე-
ყანაა. მისი ისტორია თვალნათლივ დაგვანახებს,
როგორ აწამებდნენ და ძარცვავდნენ სამხრე-
თით, დასავლეთით და აღმოსავლეთით მშფოთ-
ვარე ჩრდილოეთის ზღვისაგან ისედაც შევიწ-

როებულ პატარა ქვეყანას უძლიერესი სახელ-
მწიფოების განმგებელნი, სიხსლით და ხორ-
ციით უცხო დამპყრობლები ერთგვარად თითქოს
აწრთობდნენ კიდევ ბელგიას უკლებლივ პირ-
ვარამის მარწუხებში.

57 წელს ქრისტეს დაბადებამდე ბელგიაში
შეიქრა რომაელი მხედართმთავარი ცეზარი.
ცეზარს 2000 წელი აშორებს გერმანიის იმ-
პერატორის, ვილბელმ მეორის ბატონობისა.
გან, რომელმაც აგერ ჩვენს თვალწინ ნაცარ-
ტუდად გადააქცია ბელგია. ვისი ბატონობის
უღელი არ დაიდგა ამ 2000 წლის მანძილზე
მან. შუა საუკუნეებში ერთმანეთს ცვლდნენ
ფრანკები და გერმანელები; მოგვიანებით —
XVI საუკუნეში ესპანეთის მონარქს, ფილიპე
II ემორჩილებოდა, ამ დროს მოხდა ცნობილი
„გეზების“¹ რევოლუცია. XVIII საუკუნეში ავ-
სტრია დაეუფლა, ხოლო საფრანგეთის რევო-
ლუციის პერიოდში — ფრანგი რევოლუციონე-
რი გენერალი დიუმურიე. მან თავდაპირველად
შიიტყუა ხალხი, თავისუფლებით თვალეში
აუხვია და მოსობის ახალი უღელი დაადგა
ქვეყანას. ნაპოლეონთან ერთად ბელგიამ ფრან-
გული უღელიც მოიშორა, ამჟერად იგი ახა-
ლი უღლის — ერთიანი ირლანდიური სახელ-
მწიფოს გავლენის ქვეშ მოექცა და მხოლოდ
1830 წელს, საფრანგეთის ივლისის რევოლუციის
შემდეგამ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ კონს-
ტიტუციურ მონარქიად.

თითქოს ადამიანებთან ბრძოლა არ კმარო-
და, ქვეყანა განუწყვეტლივ ებრძოდა ოკეანის
სტიქიას, რომელიც განადგურებით ემუქრებო-
და მას, ამიტომ ოკეანის წინაღმდეგ აღიმარ-
თა კაშხალები და პოლდერები.²

მრავალსაუკუნოვანი და მრავალმხრივი ბრძო-
ლების შედეგად მოგვევლინა დღევანდელი და-
მოუკიდებელი ბელგია; ჩამოყალიბდა ხალხი, რო-
მელიც თავის თავში აერთიანებს ძლიერ მესა-
კუთრულ ინსტინქტებს — მისწრაფებას სიმ-
დიდრის დაგროვებისაკენ, — და თავდადებისა
და თავდავიწყების გრძობებს; ხალხი, — ფლა-
მანდიელთა თვისებების მატარებელი და
გერმანელებისა და ბოლანდიელების მოძმენა,
ერთის მხრივ, ამ თვისებას უნდა ვუმაღლოდეთ
ფლამანდური ფერწერის უძველეს სკოლას —
რუბენსს, ვანდერკს, ტენიერს და სხვებს და
ფრანგების მოძმე ვალონთა³ თვისებებს. მეო-

¹ გეზები — ნიდერლანდების ბურჟუაზიული რევოლუციის (XVI საუკუნეში) მონა.

² პოლდერი — ჯებირებით დაფარული დამ-
შრალი სათესი მიწები, რომელიც ზღვის დონე-
ზე დაბლაა მოთავსებული.

³ ბელგიის მოსახლეობის ერთ-ერთი ეთნი-
კური ჯგუფი.

¹ ა. პუშკინის ტრაგედიიდან „ტუნწი რაინდი“,
[1 სურათი.

რეს მხრივ, ხალხი, ერთის მხრივ, მრეწველ-
ობისა და ვაჭრობისკენ ერთობ ძლიერად მიდ-
რეკალი — ჩვენი დროის პატარა ბელგიას
მრეწველობის განვითარების მხრივ ევროპაში
ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს, — მეო-
რეს მხრივ, — ხალხი, ფაქიზად რომ ინახავს
თავის ძველ კულტურას, — დღევანდელი ბელ-
გია წარმოადგენს უძველესი ხელოვნების ერთ-
ერთ უმდიდრეს მუზეუმს.

ყოველი ხალხის სული მის ენასა და ლიტე-
რატურაში განსახიერდება. დღევანდელ ბელ-
გიას არ გააჩნია საკუთარი ენა. მისი მოსახ-
ლეობა ფლამანდურ და ვალონურ დიალექტებ-
ზე ლაპარაკობს, მაგრამ საერთო ლიტერატუ-
რულ ენად ფრანგული ითვლება, ამ ენაზე
შექმნა ახალმა ბელგიამ თავისი ახლოვანი ლი-
ტერატურა; და ზოგიერთი ბელგიელი მწერა-
ლი დღეს უკვე მთელ მსოფლიოშია სახელ-
განთქმული.

ბელგიური ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემ-
დებელი არის შარლ დე კოსტერი — ავტორი
„ბელგიის ბიბლიად“ წოდებული „ღვინდისა
უღენშიგელზე“. ეს წიგნი ჩვენში რამდენ-
ჯერმე გამოიცა, იგი ეძღვნება ნიდერლანდების
ბრძოლას ფილიპე II წინააღმდეგ, რევოლუ-
ციას, XVI საუკუნის სამოქალაქო ომებს და
ცხადად აჩენს ხალხის გაორებულ ბუნებას —
პროტესტანტს და მეოცნებეს, ტლანქსა და ფა-
ქიზს ერთდროულად.

დე კოსტერის შემდგომ მოდის ლემონიე —
ეროვნული რომანის ფუძემდებელი და ეორჟ
ეკვუტი — უსახლკარო მაწანწალების მფარ-
ველი, რომელიც ადვილად შეიძლება შევად-
როთ ჩვენს მაქსიმ გორკის.

1880 წელს მებრძოლი ხულისკვეთების ეურ-
ნალთან „ახალგაზრდა ბელგიასთან“ ჩამოყა-
ლიბდა ახალი ლიტერატურული მიმდინარეო-
ბა, რომლის უპირველესი წარმომადგენლები
იყვნენ თითქმის თანატოლი: ემილ ვერპარნი,
ეორჟ როდენბახი და შორის მეტერლინკი. ამ
ხამმა სახელმა, განსაკუთრებით კი მესამემ, სულ
უმცროსმა მათგან — განადიდა ბელგიური ლი-
ტერატურა მთელს მსოფლიოში.

ვერპარნი ვანდერვილდის მეგობარია. მას
ჩვენი თანამედროვეობა მიმართავს როგორც
პოეტ-სოციალისტს. მაგრამ თავისი მოღვაწე-
ობის მხოლოდ ამ კუთხით როდია ძლიერი.
იგი იცნობდა რევოლუციას, მაგრამ იცოდა რა
იყო „არარევოლუციო“. ამასთან ერთად, კარ-
გად იყო ჩამწვდარი თავის სამშობლოს ჯან-
სად, ნათელ, მსუყე და ტლანქ სიღამაზესა და
მათ ძველი ფლამანდური სკოლის საღებავებით
გამოხატავდა ლაღად და არ იცოდა რა იყო მის-
ტიკის შიში.

ხალხის ხულის უფრო ფაქიზი მხარე დაბა-

ტეს როდენბახმა და მეტერლინკმა. ამ მწერ-
ლებმა გამოსახეს სულითა და ხაგანთა მარა-
დიული სიცოცხლე. როდენბახმა სახელი გაითქ-
ვა ძველი ქალაქის — ბრუგეს — მწერის მხრე-
ბის, წვეტიანი სახურავებისა და კათალიკო-
რი ზარების აღწერით: ხოლო მეტერლინკმა
სულის ძლივსმოსახელთებულ მსოფლიოში, მიუ-
ვარულის უფაქიზესი გრძნობის, მსოფლიოს
განშორების ჩვენებით იგივე გამოხატა ცხრა-
სიან წლებში დაწერილ ლექსებსა და პატარ-
პატარა ფილოსოფიურ დრამებში.

მეტერლინკმა შექმნა ლიტერატურის თავისე-
ბური, ვიწრო სახეობა და ევროპის ქვეყნებში
გაიჩინა მიზნადველთა ლეგიონები. მან ფარ-
თო ახპარეზე გასვლა განიზრახა, მაგრამ ყო-
ველივე ამას მისი სახელისათვის გარეგნული
სახელგანთქმულობის მეტი არაფერი შეუმა-
ტებია. რამდენიმე ფილოსოფიურ წიგნში მე-
ტერლინკმა საკუთარი თავი გაიშეორა. ხოლო
დრამებში „მონა ვანნა“ და „უთაზელში“ ძველი,
გათელილი თეატრალური გზებით იარა.

სავსებით განსხვავებულია მეტერლინკის
უკანასკნელი პიესა „ციხფერი ჩიტი“, რომელ-
მაც რუსული თეატრები შემოიარა მცდარი
სათაურით: „ლურჯი ფრინველი“. პედანტიზმად
არ უნდა ჩამომერთვას სიტყვა „ლურჯის“ აზი-
რება და ფრანგული სიტყვის — bleu-ს
გადმოცემა სიტყვით „ციხფერი“. ფრანგულად
bleu ნიშნავს ლურჯსაც და ციხფერსაც, ისე-
ვე როგორც გერმანული სიტყვა blau, მაგ-
რამ საგულისხმობა, რომ მეტერლინკის პიესა-
შიერ ხალხური ზღაპრების ლიტერატურული
რული ტრადიცია, რომელიც შომდინარეობს
ერთის მხრივ ფრანგი მეზღაპრის perrault-ის
შიერ ხალხური ზღაპრების ლიტერატურული
გადამუშავებიდან, ხოლო მეორეს მხრივ გერ-
მანული რომანტიზმის ერთიანი დიადი ლერძი-
დან. მეტერლინკი ბევრს მუშაობდა გერმანულ
ნოვალისზე. თარგმნიდა და თითქოს ხელახლა
აღმოუჩინა იგი ფრანგებს, როცა მისი სახელი
შვიდროდ დაუკავშირა სიმბოლიზმს, მასვე უნ-
და ვუმაღლოდეთ მე-19 საუკუნის რომანტი-
კოსებისა და საუკუნის დახასრულის სიმბო-
ლისტებს შორის შვიდრო ლიტერატურული
ურთიერთობის დამყარებას. ნოვალისი — ად-
რეული რომანტიზმის წარმომადგენელია. რო-
მანტიზმის საწყისები მასთან წმინდა სახითაა
მოცემული, მოგვიანებით გართულდა მერმინ-
დელი დანაშრევებით; იგი ჭერაც არ მოწყვე-
ტილა თავდაპირველი გზიდან და მის მთავარ
ნაწარმოებად მიჩნეულია დაუმთავრებელი რო-
მანი „ციხფერ ყვავილზე“ — „Die blaue
Blume“, ჩვენში მყარად დამკვიდრდა ჩვეულე-
ბა — ამ ჯადოსნურ, ზღაპრულ ყვავილს ვუ-
წოდოთ სწორედ ციხფერი და არა ლურჯი.

მეშახადამე, არ არის საჭიროება მეტერლინიკისეულ ჩიტს ვუწოდოთ ლურჯი და არა ცისფერი. ლურჯს რომ ვუწოდებთ, ამით ტრადიციას ვარღვევთ; რადგან უკველი სიტყვა ხომ ტრადიციულია, მრავალმნიშვნელოვანი და სიმბოლური, მას უღრმესი ფესვები გააჩნია; ჩვენი ცნობიერების უკანასკნელი საიდუმლოც ხომ სწორედ ენის ფესვებში დევს; ამიტომ ჩვენ, მხატვრები, მოვალენი ვართ ფრთხილად მოვეკიდოთ სიტყვას; გულიხსმეირი მკითხველის და თეატრალური მყურებლის სმენას ადვილად გადავტვირთავთ, თუ მას იმთავითვე მივაწოდებთ ცრუ ასოციაციებს, მოდით ვიყოთ ერთგულნი „ცისფერისა“ და შევცვალოთ „ლურჯი“ სათაურშიც და პიესის მთელს ტექსტშიც, რადგან სწორედ ცისფერია ყვავილი, ცისფერია ცაც, ცისფერია მთვარის შუქიც და ქადოსნური სამეფოც (ანუ ლაევარდისფერი, როგორც ტურგენევი⁴ ამბობს). თვით კვამლი, რომლითაც შებურულია მეტერლინიკის ზღაპარი მთლიანად და უკველი ზღაპარი საზოგადოდ, მიუწვდომელზე რომ მოგვითხრობენ — ცისფერია და არა ლურჯი.

მაშ ასე — მეტერლინიკის პიესა-ზღაპარი არის სიმბოლური ანუ ნეორომანტიკული ზღაპარი. ამგვარად, ეს პიესაც არ გამოდის იმ თავდაპირველი გეგმიდან, რომლის ხორცშესხმას ორი წლის წინათ ხელი მოჰკიდა დიდმა დრამატულმა თეატრმა⁵ ოღონდ დღემდე საქმე გვექონდა რომანული ტიპის რომანტიზმთან, დღეს კი იგი გერმანულ რომანტიზმს ემეზობლება.

საჭიროდ მიმაჩნია გავანალიზო ის რთული ფილოსოფიური ფუნდამენტი, რომელზეც უმეტესად დგას ეს ნაწარმოები. ამით გაუვალ ტევრთან მივიდოდით და მივგახლებოდით უამრავ საინტერესოს, მაგრამ დავარღვევდით თვითონ ზღაპრის სინედლებს. პიესასთან უნდა მივიდეთ უბრალოდ, ესე როგორც ზღაპართან, და მაშინ მთელი მიხი სიღრმე, აკადემიური გამოკვლევების გარეშეც, თავისთავად გადაიხსნება. მხოლოდ ზღაპარს ძალუძს მსუბუქად წაშალოს ზღვარი ჩვეულებრივსა და უჩვეულოს შორის. აი, ამაშია მთელი მიხი მომნიშვნელობა⁶!

„ცისფერი ჩიტი“ — არის ზღაპარი ბედნიერებაზე. ჩიტი სულ ფრინავს, მას ვერ დაიჭერ, რა ფრინავს კიდევ ჩიტვით? — ბედნიერება. ჩიტი ბედნიერების სიმბოლოა, ხოლო ბედნიერებაზე, როგორც ცნობილია, დიდი ხანია უკ-

ვე აღარ ღაპარაკობენ, მოწოდული ადამიანები საუბრობენ საქმეზე, იმაზე, თუ როგორ მოაწყოთ უკეთ თავიანთი ცხოვრება. მაგრამ ბედნიერებაზე, სასწაულზე და მიწიანებზე არასოდეს ღაპარაკობენ. ბედნიერება ხომ ჩიტვით ფრინავს და მოწოდებისაა⁷ ერთობ უსიამო საქმედ ითვლება⁸ მხატვრებმა. მარადგაფრენილ ჩიტს და ბუმბულზე მარდი დააყარონ. საჩოთიროა ეს საქმე მოწოდითათვის. სულ სხვა საქმეა ბავშვი. ბავშვი ერთობა ამ საქმით, მას არ მოეკითხება სერიოზულობა და ზრდილობის წებების დაცვა. მართალია, ზოგჯერ მოწოდებებიც თითქოსდა გაბავშვდებიან; ისინიც იწყებენ ფიქრს ბედნიერებასა და სასწაულზე, მაგრამ სწრაფადვე გაუუჩდებიან, თვითონ შერცხვებათ თავიანთი ფიქრისა და ცდილობენ დაუმალონ სხვებს ის, რაზეც უოცნებიათ ან სიწმრად უნახავთ. და სიწმრებიც, თუკი ოდესმე რომელიმე მოწოდულ ადამიანს დახიწმრებია, რაღაცნაირად უხერხული და ტლანქი სიწმრებია. ადამიანი თავის თავს აოცებს, საიდან აქვს მას, ხაქმიან და მეოჯახე სულიერს — ასეთი სითამამე და სიმკვირცხლე. ის ჩიტებიც, სიწმრებში რომ დასაქურად გამოსდგომიან მოწოდული ადამიანები, მართლა ჩიტები როდი არიან; ჩვეულებრივ ისინი ამ სახით როდი გვევლინებიან, ასე რომ, უმჯობესია, უბრალოდ გამოფხიზლდე და თავი დაადწიო ამგვარ სიწმარს.

სამაგიეროდ ტყისმჭრელის შეიღებმა, შობის დილას რომ გაიდვიძეს და გადაწყვიტეს ჩუმად ამდგარიყვნენ, — თავისთავად ესეც ხომ საგულისხმო და მრავლისმეტყველია, — გაიგონეს მუხიკის ხმა, სხვის ფანჯრებში თვალი მოჰკრეს ნაძვის ხის სადღესასწაულო ცეცხლს და რაღაც საკვირველ ექვსცხენა კარეტებს, სწრაფად იგრძნეს, რომ ქვეყნად ბევრი საინტერესო და ცნობისმოყვარეობის აღმჭრელი ამბავი ხდება, და არც ის იქნება გასაკვირი, ამაზე უფრო მეტი საოცრება თუ მოხდებაო, — ეს გაიფიქრეს ბავშვებმა და მართლა მოხდა სრულიად დაუჩერებელი რამ. მოხუცი ქალი, რომელიც ძალიან მგავდა მოხუც მეზობელს — ბერდენგოს, მეზობელი კი არა სინამდვილეში ფერია ბერიულინა გამოდგა; ბერიულინამ აჩუქა ბავშვებს უწარმაწარი აღმასისტელიანი მწვანე ქუდი; აღმასს რომ გადააბრუნებ, ადამიანს თავზე კოპი უჩნდება და თვალი ებილება, ასე უთხრა ფერია ამ ბავშვებს, თქმა და აღსრულება ერთი იყო; ძლივს მოასწრო ტილტილმა აღმასის გადაბრუნება და ქადოსნური გარდასახვაც აღსრულდა; ნივთებმა სული ჩაიდგეს, ამოძრავდნენ და ბავშვებთან ერთად ცისფერი ჩიტის ძებნას შეუდგნენ. ცისფერი ჩიტი ჰაერივით ესაჭიროება

⁴ ი. ს. ტურგენევის ლექსი „ლაევარდის სამეფო“.

⁵ ბლოკის სტატიებიდან „დიდი დრამატული თეატრი მომავალ სეზონში“ „სიტყვა წარმოთქმული მსახიობებთან“.

ბერილინას თავისი პატარა ავადმყოფი ქალი-
შვილისათვის.

ჩვენ არ გვჭირდება, გვჭირდება კი არა ხა-
ნიანოც იქნება, ჩავუღრმავდეთ ბაშვის ფიქო-
ლოგიას, რათა ჩავწვდეთ ყოველივეს. ჩვენ სა-
კუთარ თავში უნდა მოვიძიოთ, ანდა გავიხ-
სენოთ სულის მდგომარეობა, რომლისთვისაც
მთელს ამ ამბავში, ისევე როგორც მომდევნო
თავგადასავლებშიც, არაფერი არ არის საკვირ-
ველი. დიან, საკვირველი აქ მხატვრისათვის
მართლა არაფერი არ არის, რადგან მხატვრად
მხოლოდ ის შეიძლება იწოდებოდეს, ვინც
თავის არსებაში მარადიული ბავშვობა შემოი-
ნახა.

თუ ჩვენ პიესაში ჩადრმავებას და ფილოსო-
ფოსობას მოვყვებით, შეხადლოა მისი შესრუ-
ლებისას მცდარ გზას დავადგეთ, რომელიც სა-
ბოლოოდ დაასამარებს მას. ჩვენ დავიწყებთ
ბავშვების მიხედვას, მლიქვნელობას, თვალთმაქ-
ცობას, ენის მოჩუქებით ლაპარაკს, ვეცდებით
გამოვჩინდეთ „პატარები“. ყოველივე ეს პიესას
მოუშორებელ კუჭყიან ლაქად დააჩნდება.

საკვიროს გავიხსენოთ გამოღვიძების პირვე-
ლი წუთები, ჩავწვდეთ მათ. ზოგჯერ, თუ ცნო-
ბიერება ჭერ დაბინდული გვაქვს, გაღვიძებისას
ყოველივე არც ისე ჩვეულებრივად, გუშინდელ-
ზე ნაკლებად მიმსგავსებულ და ამიტომაც
რალაც უჩვეულო გვეჩვენება. არც ისე ჩვეუ-
ლებრივიდან სრულიად უჩვეულომდე კი ერთი
ნახიჯია. მოწრდილის აგზნებული, პრაქტიკული
ცნობიერება ამკრთალებს შუქს, გარშემომყოფი
საგნები რომ გამოახივებენ. თუკი აქამდე არ
მივუშვებთ პრაქტიკულ ცნობიერებას (მხატვ-
რის დანიშნულებაც ხომ ის გახლავთ — შეაკა-
ვოს ცნობიერება ამგვარი, ხშირად გონჯი და
დამანგრეველი კმედებისაგან) — ახალ შუქზე
დავინახავთ, გარემომცველ საგნებს, დავინახავთ
უბრალო, ბავშვური თვლით, საკვიროს მხოლოდ
არ შეგვარცხვეს, არ დავირცხვენოთ ასე მოვიქ-
ცეთ, ვისურვოთ ასე მოვიქცეთ. ვივარჯიშოთ
ამგვარად მოქცევაში — და მაშინ ვიპოვით ჭეშმა-
რიტ ტონს — განსაკუთრებულად დამაჯერებელ
ტონს, რომლითაც წარმოითქმება ყველა მოქმე-
დი პირის ძირითადი, უმთავრესი ფრაზები. მაგა-
ლითად, შექარშა ერთობ უბრალოდ და დამა-
ჯერებლად უნდა გვაცნობოს, რომ, როგორც
ძველ თითებს გადაუმტვრევინ და მოწუწნიან,
მას მაშინვე წამოეწრდება ახალი თითები; აი,
ასევე, ბავშვები, სრულიად სამართლიანად, გაკ-
ვირვებულნი რჩებიან, როდესაც ეტყვიან, რომ
ხებია და ბაბუა დაიხოცნენ; როგორ შეეძლოთ
დახოცილიყვნენ, — ფიქრობენ ბავშვები, — ისინი.
ხომ მათს მოგონებებში ცოცხლობენ;

მართალი თუ გინდა, პირველ სცენაშივეა ნაჩ-
ვენები, რა თანდათან წყვეტენ ბავშვები გაკ-

ვირვებას და ეჩვევიან ყოველგვარ სასწაულს,
რაც მათ თვალწინ ხდება. ამიერიდან განაკვირი
არაფერია, და ტილტილიც, გაბედულად, რო-
გორც შეშფერის ყოველ ცეკოდენას. მთელი
კი შორცხვად, მაგრამ დამჯერედ, ისე როგორც
შეშფერის ყველა წითელქუდას, გუგუნეს, შერეშუ-
რებიან ცისფერი ჩიტის, გაძვინდულად.

ამ ძებნაში მონაწილეობს ყოველი საგანი,
ცხოველი, მცენარე, ყველანი ისეთები არიან,
როგორც მხოლოდ მათ შეეძლოთ იყონ —
„არაფერი განსაკუთრებული“, როგორც ფერია
ამბობს. იქნებ ეს აღეგორია გვგონია, ისეთი,
როგორც XIII ხაუკუნის რომელიმე „რომანი
ვარდზე“. სადაც როლებს ასრულებენ სიმშუ-
ვილი, სიმდაბლა, სიმუნწე, შური, სევებ,
სიბჰარი, და ა. შ. მაშინ იგი ერთობ უინტერე-
სო და უმადურობა იქნებოდა შემსრულებელ-
თათვის. მეტერლინკმა შეძლო ცოცხალ სახეე-
ბად, მშვენიერ როლებად გარდაესახა ეს აღე-
გორიები. იგი გვთავაზობს, წარმოვიდგინოთ, მა-
გალითად, არა განყენებული ერთგულება ძალ-
ლისა, არამედ ყველაზე ერთგული ძალღი —
ძალღები ხომ ყველანი ერთგულები არიან;
შბძრის სიტკბო კი არა — ტკბილი შბძარი, —
შაქარიც ყოველთვის ტკბილია, კატის ვერა-
ბობა კი არა — ვერაბი კატა, — ყველა კა-
ტა ხომ ვერაგია; და მხახიობი ყოველგვარი
ძალდატანების გარეშე, სიამოვნებით ეცდება
გამოსახოს ის მკვეთრი ხაზები, რომლის მრავ-
ალმხრივი განსახიერების უნარიც უნდა შეს-
წევდეს მას.

მომდევნო სიუჟეტია მოხუცები მოგონებებ-
ში ძველებში. ბაბუა ტილი და ბებია ტილი.
ისინიც უნდა განახიერო უბრალოდ, როგორც
ცოცხალი ადამიანები, რადგან სხვაგვარად მათი
თამაში წარმოუდგენელია. ისინი ხომ არ
მომკვდარან, ისინი მეხსიერებაში ცოცხლობენ.
ისინი ტიპიური მოხუცები არიან, ძველისძველი
ფლამანდიური სურათებიდან გადმოსული კე-
თილხახიანი მოხუცები, სულ რომ იღიმიან, ღი-
მილი აცისკროვნებთ. ამ ღიმილს ინაწილებს
ნაოჭების უწყრილესი ბადეც, რომლის გამოხატ-
ვა აგრე უყვარდათ ძველ ფლამანდელ ოსტატებს.
გარდაცვლილი ბაბუა და ბებია მაროვანი კვამ-
ლით, ზღაპრის ცისფერი კვამლით არიან შებუ-
რული, ცოცხალი მოხუცებისაგან ისინი ხწო-
რედ ამ კვამლის საბურველით განსხვავდებიან,
ამიტომაც მათი ხმა და სიარულიც განსხვავე-
ბულია, თითქმის სასაცილო. სასაცილოა, რო-
დესაც გარდაცვლილი ბაბუა ხილას გააწნავს
პატარა ტილტილს, სუბიან თასს რომ გადაა-
პირკვავებს, ეს ისევე უბრალოდ ხდება, როგორც
წინათ, და ძველებურ სიმყუდროვეს ქმნის, რო-
ცა ბაბუა ცოცხალი იყო. ამიტომაც ტილტილი

ამბობს: „ჩემო ბაბუა, რა კარგია, როცა მცემ — მოდო, ამისთვის უნდა გაკოცო“.

რა სიმყუდროვითა და არც ეს უჩვეულო თავდადასავლები გვაოცებენ, მაგრამ ცისფერი ჩიტის პოვნა მაინც არ ხერხდება; არა და არ ხერხდება, რადგან ის ამქვეყნად არ არსებობს, თუმცა შეუძლებელია დაბეჭითებით თქმა, რომ ამქვეყნად იგი ნამდვილად არ ყოფილა. ცისფერი ჩიტი თითქოს მალა, მთვარის შუქზე დაფრინავს, ღამის სასახლის ერთ-ერთი კარის უკან მიმაღულა, ეს კარგად იცის ღამემ და ცდილობს დაფაროს ყველაფერი, რისი დაფარვაც შეიძლება, როგორც ეს, რაღა თქმა უნდა, ღამის შეეფერება. ასეა თუ ისე, ცისფერი ჩიტი კვლავ მოუხეტლებელია; რაც კი ცისფერი ჩიტები იყვნენ, სანამ დაიჭერდნენ, ყველანი წითელ ანდა შავ ჩიტებად იქცნენ და გზაშივე დაიღუპნენ. ყველაზე მთავარი ცისფერი ჩიტი კი, ცისფერადვე რომ დარჩა, ძველებურად დაფრინავს მთვარის ხინათლეზე და კვლავ მოუხეტლებელია.

მაგრამ ბავშვები ცისფერი ჩიტის პოვნის იმედს არ კარგავენ, ანუ არ კარგავენ ბედნიერების პოვნის იმედს, რადგან ცისფერი ჩიტი ბედნიერებაა, რომელიც სულ მიფრინავს. მაგრამ ბედნიერების დევნისას ბევრი სასწაული, საოცარი, საწიმიო და თვალწარმტაცია ამბავი ხდება; და იმ ადამიანებს, ვინაც ძალუძს არ დაირცხვინოს და ბავშვივით ბედნიერება ეძიოს, თვალი ეხილებათ, ისინი ირგვლივ ყველაფერს სხვა თვალთ უცქიერენ. უცქიერენ თვით ხაგანთა სულს და საგნები, ცხოველები და მცენარეები მათ თავიანთ ენაზე ესაუბრებიან. იქნებ ხწორედ ბედნიერების დევნაშია თავად ბედნიერება? თითქოს ბედნიერების ღანდი, ჭადოსნური ცისფერი ჩიტის ღანდი უნათებს გონებას ამ ადამიანებს, ბავშვებივით ბედნიერ ადამიანებს, რადგან ბავშვებივით უცქიერენ ისინი ირგვლივ ყოველივეს, რასაც მოწრდილები ვეღარ არჩევენ.

ამგვარი მოუხეტლებელი და მოუსვენარი აზრებითაა, ყოველგვარი ზღაპრული აზრების მსგავსად, აღსავსე მეტერლინკის ზღაპარი, ბედნიერება სულ მუდამ მიფრინავს ჩიტოვით — გვეუბნება ზღაპარი, და იქვე იგივე ზღაპარი გვეუბნება — ბედნიერება არსებობს, ბედნიერება სულ მუდამ ჩვენთანაა. ოღონდაც არ შევშინდეთ, ოღონდაც ვეძიოთ იგი. და ამ ვაობრებულნი, თვითონ ცისფერი ჩიტოვით მოუხეტლებელი ქეშმარიტების მიღმა ფეთქავს კოეზია,

ფრიალებს მისი საწიმიო ღრმად, ძვერს მისი მარად ქაბუკი გული.

ოღონდ კი შევძლოთ კარი გავუღოთ და ჩვენს სულში დავატყვევოთ ~~ფრიალება~~ ქეშმარიტება. დღეს იგი გუნჯულადვე გვეჭირდება, რადგან სულ მუდამ ფეთქავს ჩვენს ეპოქაში, ჩვენი არსებობის ყოველ მომენტში. ამ ქეშმარიტებას მხოლოდ ის მოიხეტლებს, ვინაც ფანტაზიის უნარი აქვს მომადლებული. ვაი მახ, ვინც ვერ ფლობს ამ უნარს, ვინც ყოველივეს აღიქვამს ცალმხრივად, უსიცოცხლოდ, გარდაუვალად. ცხოვრება ქანქარის გამუდმებული რბევით; დაე ჩვენმა დრომ გააქანოს იგი ძლიერად, დაე ზოგჯერ სასოწარკვეთასაც მივეცეთ, ოღონდ ქანქარა ირხეოდეს, იქნებ მან შეგვაძლებინოს, ხანდახან მაინც დავადწიოთ თავი სასოწარკვეთილების უძირობას და სიხარულის მწვერვალებს მივეახლოთ.

ეს რბევა, ეს რიტმი, რომელსაც სახელად სიცოცხლე ჰქვია, მის შეჩერებას კი სიკვდილი — ეს რიტმი-მეთქი, ვიშეორებ, მოძრაობს ყველა ხალხურ ჯადოსნურ ზღაპარში; ამ რბევით, ამ რიტმითაა გამსჭვალული მეტერლინკის ზღაპარიც. მისი ფეხვებიც ხალხის სულის სიღრმეში იკარგება. ამაშია ხიზართლე ყოველგვარი ზღაპრისა და მათ შორის ზღაპრისაც ცისფერ ჩიტზე. სიზართლეა, რომ ის, ვინც ეძიებს და არ ერცხვინება ძებნა, კოვებს კიდეც მახ, რასაც ეძიებს; სიზართლეა, რომ ყველა ადამიანის სულში აღმოვაჩინოთ ღრმად დაფლული ბავშვური ცნობიერება, რომლისთვისაც წარმოცილია ზღვარი ყოველდღიურსა და ზღაპრულს შორის, და ყოველდღიური იოლად გადაიქცევა ზღაპრულად; ყველაზე მთავარი სიზართლე კი ისაა, რომ ბედნიერება არ არსებობს და ამასთან იგი სულ აქ, ჩვენს გვერდითაა, ჩვენ მხოლოდ ის გვევალება, არ დავიწაროთ და ხედი გავიწვინოთ მისკენ.

მეტისმეტად ამაღლებელი ამბავია, რომ ბელგიაში, ამ მრავალ-ჭირგამოვლილ ხალხში, რომელიც, ალბათ, გადატანილ უბედურებას უნდა გაემკაცრებინა, დიან, ამგვარ პროზაულ ხალხში ცოცხლობს ასეთი ნაწი ოცნება. ნამდვილად ცოცხლობს, უნდა იცოცხლოს, — გვეუბნება მეტერლინკის ზღაპარი, რომელიც მართლ საყოველთაო ცივილიზებული ლიტერატურის ნიშნებს კი არა, ფლამანდიელის უბრალო ხალხური ხულის ნიშნებსაც თან დაატარებს.





თარგმანი იზოლდა ქარსელაძე

როგორ გამოეხმაურებიან ჩვენს სიტუაციას

საუბარი მიჰყავდა ნ. ანასტასიევს

პათივცემული ჩინგიზ ტორეკულის ძვე, გამოქვეყნებულია „საჯალათო კუნძი“ და ადრე ჩაფიქრებულ საუბრის სქემას, ბუნებრივია, კორექტირება მოუწევს.

— აღბათ, ასეა.

— ოდესღაც ათი წლის წინ, თქვენ ამბობდით: „შექერი — ეს... ჩემი ძირითადი კაპიტალია, ხოლო „ბევრი სხვა“ — გარეშე საშუალებები, რომლებიც ჩემს ყურადღებას იქცევენ და, შესაძლოა, დროთა განმავლობაში გაბატონებულ ადგილს დაიჭერენ ჩემს მუშაობაში.“

რა იყო ეს — წინათგრძნობა ახალი რომანისა? ვერ ვიტყვი, რომ შექერი, პირობითად რომ ვთქვათ, მასში არ ჩანდეს, — და მერე როგორ ჩანს, განსაკუთრებით მის დასკვნით ნაწილში. უდავოა, მაგრამ „საჯალათო კუნძის“ ავტორს უკვე აღარ ჰყოფნის ის „საფოსტო მარკის ოდენა მიწის ნაგლეჯი“, — უთვალავ-ჭერ ციტირებული ფოლკნერის სიტყვებია, — რომელიც სავსებით ჰყოფნიდა „თეთრი ხომალდის“ ავტორს. თუ არაფერს ვიტყვით უფრო ადრეულ ნაწარმოებებზე. რომანში „და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე“, მაგალითად, მძლავრი ყარანარი იძლეოდა მოვლენების მხოლოდ აუცილებელ გაშუქებას, რასაც ადგილი ჰქონდა მიყრუებულ სარკინიგზო ასაქცევზე. „საჯალათო კუნძში“ კი ყარანარის წარმოსახვითი ძმები — მგლები, სიმბოლურად აყალიბებენ მთელ თხრობით სივრცეს და ერთშაბად აქცევენ მოქმედებას დროის განუზომელ აილრმეში. შემდეგ აბღია კალისტრატოვი — უცხო კაცი ამ მხარეში — (თუმცა ისეთი „უცხო“, რომლისთვისაც სამშობლო — მთელი სამ-

ყაროა). ბოლოს და სავსებით — სახარებისეული მითი.

რით არის გამოწვეული ეს ძვრა? საიდან მოდის უნივერსალური სიმბოლოების ეს მოთხოვნილება, რომელიც გასაგებია კაცობრიობისათვის აგერ უკვე ორი ათასწლეულის მანძილზე. და მაინც, რამ გაიძულათ ბოლოს და ბოლოს მშობლიურ მხარეში დაბრუნება?

— მე ცოტა მაზნევს ის, რომ ჭერ კიდევ არ დამცხრაღა მტვერი გზაზე და უკვე ლაპარაკია მხედარსა და მის ბედაურზე, გადასასვლელებზე, წინააღმდეგობებზე და სხვა მრავალ სალაშქრო საქმეზე. ე. ი. ლაპარაკია რომანზე „საჯალათო კუნძი“, რომელიც ჭერჭერობით საუურნალო ვარიანტშია.

დავიწყებ შექერით. წლების განმავლობაში ჩემი მისადმი დამოკიდებულება, უფრო ხწორად, გრძნობები, იცვლებოდა. თავდაპირველად იგი, უბრალოდ, იყო დაბადების ადგილი, ბავშვობა, სახლი, მთები, ადამიანები, რომლებიც გარს მეხვივნენ. შემდეგ — რაღაც უფრო დიდი. ფეხვები, სისხლი იჩენდა ჩემში თავს. ფეხით ან საბარგო მატერებელზე შემხტარი მივაღწევდი იქ, ჯამბულიდან, სადაც მაშინ ვსწავლობდი, ორმოცი კილომეტრის დაშორებით. ახლანდელი ახალგაზრდობისათვის ორმოცი კილომეტრიანი გზა ორმოცი წუთის მგზავრობაა ავტობუსით. მაშინ კი... მე ახლაც შემეძლია დაწვრილებით გავიხსენო, როგორ მწყუროდა ჩქარა ჩავსულიყავი ჩემს აილში, რომელიც იმ დროისათვის საკმაოდ დიდი დასახლება იყო. წლების, ხილრმიდან ამოტივტივდებიან მშობლიური სურათები და სახეები, ხმები, კვამლის სუნი და უველაფერი ეს თავს იყრის ხსოვნაში ცხოვრებაზე მთელი თავისი სიკეთით და მწყურებით. შეხედულება წლითი-

წლებით უფრო მკაცრი ხდება. სწი წარსულს და ამ წარსულში საკუთარ თავს უფრო მკაცრად. და იმავე დროს გენანება, რომ წავიდა, მიდის არა მარტო ის, რაც უნდა წავიდეს, არამედ ისიც, რაც დაცვა და შენარჩუნებას იმსახურებს, და რასაც ჩვენი აჩქარებული ცივილიზაცია დაუფიქრებლად ანგარიშს არ უწევს. მოკლედ, რომ არა შექერი, საეჭვოა, შემძლებოდა ლიტერატურაში მეთქვა რაიმე გასაგები და განსხვავებული სხვა მწერლებისაგან. რომლებსაც მკონდათ თავიანთი შექერები, მხოლოდ სხვა სახელწოდებებით.

და მაინც, მაინც... შექერში რომ დავრჩენილიყავი სამუდამოდ, კვლავაც გავაგრძელებდი „ჩამილას“ და „მშვიდობით გულსარის“ ახალი ახალი ვერსიების წერას.

— რას ნიშნავენ ეს წიგნები თქვენთვის — მხოლოდ წარსულს?

— არა, მე მათ ახლაც ვაფასებ როგორც ცდის დასაწყისს და მკითხველებში, მე მგონი, დღესაც პოპულარულნი ისინი გამოძახილს. ამ ცოტა ხნის წინ შევიტყვე, რომ საფრანგეთში გამოვიდა „ჩამილას“ მეშვიდე გამოცემა ლუი არაგონისეული თარგმანით, რომელსაც ისევ ერთვის ოცდახუთი წლის წინანდელი წინახიტყვაობა. მაგრამ მე ჯერ არ დავლილვარ სიარულით. გზაზე კი იმის დაძლევა გიწევს, რაც გიუვარს.

შექერი კი სულ ცოცხლობს ჩემში და, ალბათ, მუდამ იცოცხლებს, მაგრამ დრო მიდის, მოდის ახალი გამოცდილება, რომელიც ზოგჯერ უარყოფს წინას, და შეუძლებელი ხდება უოველთვის ერთსა და იმავე ადგილზე უოფნა. მე ვფიქრობ, ცოცხალი რომ უოფილიყო თუნდაც ფოლკენერი, რომლის დამოწმებაც ასე ძალიან უყვართ დღეს, შეიძლება მასაც ეგრძნო, როგორ ვიწროვდება მისთვისაც მისი მშობლიური იოკნოპატოფა. ხაქმე ის არის, რომ ადამიანების ბედი და საერთოდ ცხოვრება ისე გარდაიქმნება ჩვენს დროში, რომ სულ უფრო მნიშვნელოვანი და მტკიცე ხდება ურთიერთდაშავშირებული გზები. უველა უველაზეა დამოკიდებული, რასაც არ უნდა აკეთებდეს დღეს. ამავე დროს, ჩვენს თავზე ამჟამად, ერთი საერთო საშიშროება ტრიალებს, უველა მას ვწყუველით, ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ და მე მჯერა, რომ ამოდ არ დავშვრებით. მაგრამ ჭერჭერობით ეს საშიშროება ჩვენთან არის, ჩვენს თავზეა და ჩვენ ესეც ვგაერთიანებს. აი, თანამედროვეობის საშინელი პარადოქსი — ადამიანებს აერთიანებთ საერთო უბედურების შიში. ამიტომ მხატვრის ცნობიერებაშიც სულ უფრო სუსტდება მსოფლიოს ვათიშულობის გრძნობა და პირიქით ძლიერდება საყოველთაოს, საზოგადოს ახახვისადმი სწრაფვა. აქედან

გამომდინარეობს, ის, რასაც თქვენ ცხოვრების უნივერსალურ სიმბოლოებს უწოდებთ. მიემშვება, ეს მხოლოდ ამა თუ იმ ავტორის ინდივიდუალური ნების გამოვლინება იყოს და მით უფრო არა, რამდენადაც გამორჩეულობისაკენ საყოველთაო ურთიერთების მიყრობის რაღაც ამაო ლტოლვა.

— რას ბრძანებთ, მე ამას არ ვამტკიცებდი. პირიქით...

— თქვენ არ ამტკიცებდით, ზოგიერთი თქვენი კოლეგა ამტკიცებდა. მეც ხომ მიხდება კრიტიკული წერილების კითხვა და ზოგიერთ მათგანში პირდაპირ ნათქვამია, მწერლები უწინ იოლად გადიოდნენ უოფიერების კონსტანტის გარეშე, და არა უშავს, გამოხდიოდათო, ახლა კი... უცნაური, შეუსაბამო მოხაზრებაა. თუმცა, მოვეშვათ, მე, რა თქმა უნდა, შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ უარყო შეგნებული სამწერლო მცდელობის მნიშვნელობა. და მაინც, მიმაჩნია, რომ განზოგადებისაკენ სწრაფვა აიხსნება ისტორიის შინაგანი მსვლელობით, მის მიერ გადავიძებული ძალების მოქმედებით, ისტორიული მომენტის თავისებურებებით. ადამიანი ზღმონდება ახალ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროში და ამიტომაც წარმოიშვება აუცილებლობა, რომ გაიზრო უველაფერი ის, რაც წინ უსწრებდა დღევანდელ გამოცდილებას. ის კი არა შეიძლება მომავალშიც შეიხედო. სხვანაირად ვერც იმას გაიგებ, რა ხდება დღეს-დღეობით.

აქ მე მაინც მომიწევს შევეხო „ხაქალათო კუნძს“. აბდია კალისტრატოვი, ჩემი წარმოდგენით (მას, რა თქმა უნდა, არავის თავზე არ ვახვევ), სწორედ ისეთი ფიგურაა, რომელიც თავის თავში აერთიანებს დროის ფენებს.

ჩემი თაობის ბევრი ადამიანი, მათ შორის მეც, ახალგაზრდობას საკმაოდ კრიტიკულად უყურებს. ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი, საზოგადოებრივი აზრით, როგორც უოველ შემთხვევაში მე მჩვენება, ცხოვრობს დუნედ, ინერტულად, უმეტესობას ძალიან აქვს განვითარებული ეგოცენტრული გრძნობა, არ იგრძნობა მათში ცხოვრების ძარღვი. რამდენიმე დღის წინ ველაპარაკე ჩემს შუათანა ვაჟს — ასკარს, რომელიც ანკარაში მუშაობს, ჩვენს ხაელჩოში. ვეკითხები: რას აკეთებენ ახლა შენი ინსტიტუტის ამხანაგები, უცხოენელები, როგორც მე ვუწოდებ მათ. ადამიანებს, რომლებიც უცხო ენებს ფლობენ, ვინ რითი გამოიჩინა თავი? არავინ, მეუბნება, განსაკუთრებით არავინ გამოიჩინევა — ზოგი დიპლომატიურ სამსახურშია, ზოგი თარგმნის, ზოგი უურნალისტი ვახდა, ზოგი გიდი. არა, ვავიფიქრე, ვერ გამოგო, მგონია თანამდებობაზე ვეკითხები. მე კი, რა თქმა უნდა, თანამდებობას არ ვგულისხმობ, თავის გამოჩინა

უფრო მეტი შეიძლება. მსურდა შემეტყუო, რომელი მათგანი, ვინც მის გვერდით აღიზარდა, გახდა პიროვნება, თუ ვინმე ვინც ლიდერი. ჩვენ ვხერხდებით, ცხოვრების ტვირთი ახალგაზრდებს აწვებათ მხრებზე, ამიტომ ჩემი შეკითხვები ფუჭი ცნობის მოყვარეობით არ იყო ნაკარნახევი. მე ავუხსენი, მაგრამ პასუხად იგივე მივიღე: არ არის ისეთი ლიდერი, ყოველ შემთხვევაში, მის ნაცნობ-მეგობართა წრეში, ყველანი რაღაცნაირად კმაყოფილდებიან მშვიდი ცხოვრებით. მე ეჭვობა, რომ ეს წრე გამოაკლეს იყოს.

ეს გულსატკეპია. ის, რაც ჩვენ ამჟამად ბედითა გვაქვს, ეს იმათი შრომის ნაყოფია, ვინც ჩვენამდე ცხოვრობდა, და აგრეთვე ჩვენიც. ვერ ვიტყვი, რომ უსაზღვროდ ბევრს მივაღწიეთ, მაგრამ რაღაცას ხომ მაინც მივაღწიეთ. მაგრამ ვინ იქნება ჩვენს შემდეგ?

გაუძლებენ ისინი? და ესმით თუ არა მათ, რა სიმძიმის ტვირთის ტარება მოუწევთ?

ახე რომ, ხწორედ ახლია კალისტრატოვია ჩემი ცდა, გიპასუხოთ ამ კითხვაზე, ნაწილობრივ კი, თუ ვინმე ვინმე, გამოწვევაა იმ ინერტულობისა, რასაც ახალგაზრდობის სულში დაუბუდებია, და სამწუხაროდ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხედავთ.

რა თქმა უნდა, იგი ძალიან განსხვავდება იმ დადებითი გმირისაგან, რომელსაც ადრე ჩვენი ლიტერატურა ასახავდა. ვინ იყო ეს ძველი გმირი? მოქმედების ენერჯით დამუხტული წინამძღოლი, კომისარი, ძლიერი ნებისყოფის პიროვნება, ადამიანი, რომელიც წყვეტს დღევანდელობის გადაუდებელ ამოცანებს. მან მოახდინა რევოლუცია, იბრძოდა ხაშოქალაქო ომის ფრონტებზე, ასრულებდა ხუთწლედის გეგმებს, დიდი ხისხლის ფასად იგერიებდა ფაშიზმის შემოტევას. ის ცხოვრობდა ძველ დროში, სამწუხაროდ, იშვიათად ვლადიმერობით ამაზე საჭირო გულახდილობით. მე უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ საქარობის პრინციპი იმაზეც უნდა გავრცელდეს, რასაც ხოლო ხანებში სტალინის პიროვნების კულტს უწოდებენ. ნეგატიურ მოვლენებზე რომ ვდუმვართ, ვნიღბავთ ავადმყოფობას, ნაცვლად იმისა, გავთავისუფლდეთ წარსულის ტვირთისაგან. მაგრამ დავუბრუნდეთ ლიტერატურულ გმირს. იგი შესანიშნავი საბჭოთა ადამიანია და თუმცა რევოლუციები და ომები — უკვე ისტორიაა, ჩვენ ძველებურად ვხედავთ მასში გმირობისა და უანგარობის უდიდეს მაგალითს. მაგრამ, დავსვათ კითხვა: რა გრძნობა იყო მასში ყველაზე მეტად განვითარებული? კლასობრივი გრძნობა, რაც გამართლებული იყო.

— მაპატიეთ, რომ გაწყვეტინებთ, მაგრამ, გაუგებარია, რატომ ლაპარაკობთ ყოველთვის მესამე პირში. და მერე ერთი რამ — განა ტა-

ნაზი ბაკასოვს არ ჰქონდა განვითარებული კლასობრივი გრძნობა, ან იქნებ უარყოფთ მას ამჟამად?

— რა საჭიროა საკითხის ასე კატეგორიულად დაყენება? მოდით ჯერ ეს გავარკვიოთ. თუ მე ახლა შეერდები მჭიდის ცემით და ვიწვევ — ჩემი კლასობრივი პოზიციების უზრუნველყოფის მიზანს და ვიტყვი, რომ კლასობრიობა ყველაზე უფრო მაღალია, ეს ჯერ კიდევ არ არის კლასობრიობის ნამდვილი არსი. ჩემი ვარაუდით, კლასობრიობის გაგება არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ურყევობა. როგორც ყველაფერმა სამყაროში, კლასობრიობის ცნებამაც შეიძლება განიცადოს განვითარება და სრულყოფა. ტანაზი ბაკასოვი და ედიღეი ეანგელდინიც ხომ — რომ არაფერი ვთქვათ იმ წიგნის გმირებზე, რომელთა მოქმედებაც უფრო მეტად არის დაშორებული ჩვენს დღეებს, — თავიანთი დროის ადამიანები არიან. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. და მე დარწმუნებული ვარ, კლასობრივ გარდნობებზე ხაზგასმით მითითება, როგორც ამას არაიშვიათად აკეთებენ კრიტიკოსები, მივიყვანოთ ყველაფერი კლასობრივ გრძნობამდე, ნებისმიერ საქციელში აუცილებლად მოვძებნოთ კლასობრივი პოზიცია — ეს ანაქრონიზმია, გავუღვარულებია, რაც ხელს უშლის თავისუფალ აზროვნებას. მე მგონია, ამ სიმძალიდან რომ ვიძახოთ — ეს თქვენია, ეს ჩვენი-თქო, თანამედროვე სამყაროს გაგება შეუძლებელი აღმოჩნდება. და აი, როგორც მესმის, ახალ თაობაში ყალიბდებიან — მინდა, რომ ყალიბდებოდნენ — ახლია კალისტრატოვის მსგავსი ადამიანები მამათა გამოცდილებით დაბრძენებულნი და საკუთარი, არც თუ ისე მცირე გამოცდილების მქონენი, გამოიმუშავენ სხვა, უფრო ფართო მსოფლმხედველობრივ პოზიციებს. ეს, რა თქმა უნდა, ჩემი პირადი შეხედულებაა. და ვფიქრობ, ბევრი არ დამეთანხმება, მითუმეტეს, რომ ამაში დაინახავენ კლასობრივი საზღვრების წაშლის ცდას. მე მზადაც კი ვარ ვაღიარო, რომ ეს, თუ ვინმე ვხედავთ ლიტერატურათმცოდნეობის დიქსიკონით, არაკატაბიური გმირია. მაგრამ ვიმედოვნებ, მასთან შეხვედრისას ბევრი ახალგაზრდა თავისიანს დაინახავს. ყოველ შემთხვევაში, მოუხმენს მას, დაეთანხმება, რომ დედამიწაზე და ჩვენს შორის იგი შემთხვევითი ადამიანი არ არის.

ახლია არ კმაყოფილდება მახლობლით. ვერ ეგუება საკუთარ ნაჭუჭს, სურს თავი იგრძნოს მთელი საქაცობრიო კულტურის შემკვიდრებული ამიტომაც მივმართავ ქრისტიანულ სიმბოლიკას, როგორც კაცობრიობის ისეთ სიმდიდრეს, რომელსაც დღესაც არ დაუპარგავს თავისი მნიშვნელობა. რამდენად დამაჭერებელი და ცოცხალი გამოვიდა გმირის ფიგურა, ამაზე, რა თქმა

უნდა, მე არ უნდა ვმსჯელობდე. ალბათ, ბევრი რამ არ გამოვიფიქრა, უოველ შემთხვევაში, ვგრძნობ, რომ იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომელსაც მიზნად ვისახავდი, შესაძლოა მთლიანად ვერ შევძელი. და შესანიშნავია, რომ სრულქმნილებას საზღვარი არა აქვს. მაგრამ, ერთი რამე კი ღრმად მწამს, საჭიროა თავი დავაღწიოთ პოლიტიზაციის ვიწრო გაგებას, რომელმაც უკვე დაიწყო ჩვენი შეზოგვა, საჭიროა გამოვძებნოთ, მთელი ძალებით გავაშიშვლოთ ძაფი, რომელიც ერთ მთლიანობად შეკრავს ადამიანებს.

— როგორც პირველი რეაქცია გვიჩვენებს, აბდიას ფიგურა შეიძლება აღქმულ იქნეს პირდაპირ იმის საწინააღმდეგოდ, რასაც თქვენ ვარაუდობდით. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ი. კრიველიოვის სტატიაში...

— თქვენ რა, კურიოზის სახით მოიხსენიებთ მას?

— სულაც არ ვიზიარებ თქვენს მხიარულებას. არა მგონია, რა თქმა უნდა, „კომსომოლკაია პრავდას“ თორმეტმილიონიანი მკითხველი დაექვედეს, რომ ათმათოვს, ბიკოვს ან ასტაფიევს რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულებისადმი მიღრეკილება გააჩნიათ, მაგრამ ლიტერატურის უცოდინარ ადამიანს ასეთმა სტატიამ შეიძლება, უბრალოდ, გზა-კვალი აუბნოს. თუმცა მოვეშვათ, ამაზე მსჯელობა დიდ დროს მოითხოვს, მითუმეტეს, არც ვაპირებდი ავტორთან პოლემიკას. არც მაქვს რეალური საფუძველი ასეთი პოლემიკისათვის: მე და ი. კრიველიოვი სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ. მაგრამ, ხომ არ გეჩვენებათ, რომ აშკარად მცდარმა კრიტიკულმა მსჯელობამ შეიძლება ბიძგი მისცეს არც თუ ისე უნაყოფო ფიქრს. დაინახო „საჯალათო კუნძუნი“, აგრეთვე ასტაფიევის მოთხრობებში, ვ. ბიკოვის გამონათქვამებში (სხვა კიდევ ვინ არის?) ქრისტიანული მოძღვრების პროპაგანდა — აშკარა შეუსაბამობაა: მაგრამ ისმის კითხვა, იყო თუ არა მხატვრულად აუცილებელი ჰეროდეს სასახლის თაღებიანი ტერასების ეპიზოდები? ხომ არ არის ამაში მეტიმეტი ძალდატანება მკითხველის ცნობიერებაზე, ნაცნობი უნდობლობა ჩვენი ასოციაციური უნარისადმი დავიკიროთ რომანული კავშირები? მანამდეც ხომ, ვიდრე მოქმედება გადაინაცვლებდა ორი ათასი წლის წინ, მე უკვე მივხვდი ვისთან მაქვს საქმე აბდია კალისტრატოვის სახით, როგორც მივხვდი იმას, რომ პონტიუს პილატე, რომელიც ხელის დაბანით შევიდა ისტორიაში, ხშირად და გრიშანის ფიგურაში, რომელიც გულგრილად შესცქერის, თუ როგორ კლავენ მთავარ გმირს.

— დავიწყებ ბოლოდან. მე არც მიფიქრია, რომ შეიძლებოდა ვინმეს წარმოდგენაში ანალოგიის გავლება, გრიშანსა და რომის პროკურა-

ტორს შორის. ვინ არის გრიშანი? სუპერმენი, ცინიკოსი ნაძირალა, რომელიც თავის თავს ზეკაცად თვლის, განსაკუთრებით პონტიუს პილასტესთან შედარებით — თუ შეიძლება შედარება — რომელიც, ჩემი აზრით, დიდი და მნიშვნელოვანი ფიგურაა, პილატე მინაილ ბულგაკოვის აღწერით. ტრაგიკულია კი, ეს არის სწორედ მინაილ ბულგაკოვის ვერსიის მაღალი ღირსება. ახლა მხატვრული აუცილებლობის შესახებ. თქვენ ამბობთ, რომ კავშირები უკვე იგრძნობოდა. მაშ რა არის აქ გახაოცარი, ასეთია მართლაც ევროპული ცნობიერება, რომელიც ზნეობის, მორალის, ხიკეთის, ბოროტების გაგებას რომ ეჯახება, აუცილებლად მიმართავს იხეთ პიროვნებას, რომელიც, გადმოცემით, ორი ათასი წლის წინათ ჰვარზე გააკრეს, იერუსალიმის მახლობლად, თხემის მთაზე. ეს დასაწყისის დასაწყისია. ყველაფერი, რაც უწინ იყო, მთელი მოქმედება და ადამიანები, თუნდაც რეალური, აღიქმება როგორც თქმულება, როგორც მითი. ხოლო სავსებით შესაძლებელია, რომ ლეგენდარული, ზალხის მიერ გამოგონილი ქრისტე, ჩვენს წარმოდგენაში არის ცოცხალი ფიგურა, რომელიც იძლეოდა პირადი ვაჟაკობისა და კეთილშობილების უმაღლეს და დაუვიწყარ გაკვეთილებს. მას შემდეგ ცხოვრების ყველა სფეროში იყვნენ დიდი მოღვაწენიც და იყვნენ წამებულნიც, იყვნენ წმინდანებიც და, პირიქით, ანტიქრისტეებიც. გარკვეული დროის განმავლობაში ქრისტიანული მოძღვრების დამყველებმა დაიპყრეს ზალხის ბკუა და გონება, მაგრამ მათი სახელები დროთა განმავლობაში ისტორიაში დაიღეკა. იესო კი დღესაც ცოცხლობს, რადგანაც ერთნაირად მიმართავს როგორც მეორე, ასევე მეოცე ასწლეულის ადამიანს. ამიტომ, ვიმეორებ, ანალოგია, რომელიც მკითხველს გაუჩნდება, სავსებით ბუნებრივია, სპეციალურად მისი გამოწვევისათვის არ ვისწრაფვოდი, მაგრამ რომ გაჩნდებოდა, რა თქმა უნდა, ვვარაუდობდი.

რაც შეეხება იერუსალიმის ეპიზოდებს, მათ არ მყავთ ავტორი, ისინი თანაბრად ეკუთვნიან ყველას და ყველა დროს. როგორც არ არსებობს მონოპოლია ბუდას ისტორიაზე — მოძებნეთ შეხების წერტილი და ბუდა თანამედროვე ევროპულ თხზულებებში გადაიქცევა საერთო-საყოველთაო თვისებების მატარებელ სახედ.

— ჩინგიზ ტორეველის ძეგ, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, თქვენ ხომ — შეიძლება ითქვას — საყვარელ კითხვებს წინასწარ გრძნობთ. ვერ მოვასწარი — სხვათაშორის თქვენს კვალდაკვალ — ბულგაკოვზე გამოლაპარაკება...

— აგრეთვე დოსტოვესკიზე, ფოლკენრზე, თომას მანზე... ახლა ასეთი მანერაა... უცებ ჩამოთ-

ვადო მთელი რიგი სახელებია, როგორც ბარიერები აპოდროშეა.

— თავისთავად მათზედაც... როგორც არ უნდა იყოს, ეს უკვე კლასიკური ბარიერებია.

— მაშ ასე, მეც იმას ვამბობ, რომ არსებობს საერთო საგანძური, მიუხედავად იმისა, რომ ავერინცევს ლამის თვითონ სურდა მიეთითებინა სნობისტური ქედმაღლობით, თუ ვის ეძლევა ნება და ვის ეკრძალება შეეხოს ამ თემას. სხვა საქმეა, რომ სხვადასხვა თაობის ადამიანები მასში, იმ წარსულში ეძებენ საკუთარს, მიმართავენ მას თავიანთი მიზნებით. მე, ადამიანს, რომელიც ცხოვრობს მეორე ათასწლეულის დასასრულს, ადამიანს, რომელიც აღიზარდა სოციალიზმის პირობებში, მქონდა საკუთარი მოთხოვნები ამ საერთო წყაროს მიმართ. ჩვენ ბევრს შევპირდით მსოფლიოს, შევპირდით ადამიანს, როგორც არასდროს, თავისუფლებას და ბედნიერებას. რაღაც ჩვენ მართლა გავაკეთეთ. ვიხსენით ადამიანი მეორე ადამიანის დამამცირებელი დამოკიდებულებისაგან. გავათავისუფლეთ ისეთი ბოროტებისაგან, რასაც ეწოდება ადამიანის მიერ ადამიანის უშუალო ექსპლუატაცია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამისათვის ვიღწვიეთ, მაგრამ იმ დაპირებებიდან ბევრი, ძალიან ბევრი ვერ შევძელით. ამიტომ, როგორც ვფიქრობ, წარმოიშვება იმის აუცილებლობა, რომ შეადარო ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ — და რაც არ გავაკეთეთ. — შეადარო ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა, ის, თუ რას ვფიქრობთ საკუთარ თავზე და რას ფიქრობენ სხვები ჩვენზე, იმას, თუ რამ მოაღწია ჩვენამდე კაცობრიობის არსებობის განთიადიდან.

— და მაინც, თქვენ არ შეგეძლოთ არ გაგეთვალისწინებოდა რომ „საჯალათო კუნძის“ მკითხველი, გასურთ თუ არა თქვენ, აუცილებლად გაიხსენებს „ოსტატსა და მარგარიტას“. ამ შემთხვევაში ხომ ლაპარაკია არა უბრალოდ სიმდიდრის გამოყენებაზე, რომელიც ნამდვილად საერთო საკაცობრიოა — არის ბიბლიური ტექსტები, — არამედ სიუჟეტის აგების უშუალო გამოძახილზე, რიტმიკაშიც კი. „მეწამულსარჩულიან თეთრ მოსასხამში გახვეული, მხედრის მორყეული ნაბიჯით... ჰეროდე დიდის სასახლის ორ ფრთათა შორის გადახურულ კოლონადაზე გამოვიდა იუდეის პროკურატორი პონტიუს პილატე“. ეს არის პარალელური სიუჟეტის დასაწყისი „ოსტატსა და მარგარიტაში“. „ცხელი იყო ის დილა იერუსალიმში“, რაც იმას მოასწავებდა, რომ კიდევ უფრო ცხელი დღე იქნებოდა. — ეს არის სახარებისეული ეპიზოდის დასაწყისი ითმათოვის რომანში.

— მესმოდა, რა თქმა უნდა, მესმოდა, როგორც ის, თუ რა ხარისხია იარო იმ გზით, რა გზითაც მიდიოდა ოდესღაც ისეთი შესანიშნავი,

ჩემთვის დიდად საყვარელი მწერალი, როგორცაა მიხაილ ბულგაკოვი; და მაინც უარის თქმა იმაზე, რაც მჭირდებოდა მე, სწორედ მე, არ შემეძლო. ამავე დროს მსურდა ტექსტების სხვანაირად განლაგება — გამოვიდა თუ არა, დაი, კვლავ სხვებმა განსაჯეს, ბუნებრივად გაურკვეველია, ვინ უფრო ძლიერად იტყვითლი — იეშუა თუ პონტიუს პილატე.

— როგორ თუ ვინ უფრო ძლიერად? ორივე ძლიერადა დაწერილი.

— მე კი მგონია, რომ პილატე „ოსტატსა და მარგარიტაში“ რამდენადმე ჩრდილში აყენებს იეშუას. პროკურატორის შინაგანად დაძაბული პიროვნების ფონზე იეშუა ნაწილობრივ სწორხაზოვანი გამოვიდა. თუმცა, შესაძლოა, ბულგაკოვს ასეც სურდა ჩემთვის კი საჭირო იყო იესო ცენტრში დამებრუნებინა, გადამექცია იგი ცენტრალურ აზრობრივ ფიგურად.

— ე. ი. ყოფილა რაღაც შეგნებული თუ ფარული პოლემიკის მსგავსი ბულგაკოვთან?

— შეგნებული, ყოველ შემთხვევაში, არ ყოფილა, უბრალოდ მე ვწერდი ისე, როგორც მიკარნახებდა თნობის მხატვრული ლოგიკა.

— კეთილი, ბულგაკოვთან არ ყოფილა, მაგრამ ფოლკნერთან, რაკი თქვენ უფრო მიბიძგეთ ამ დაპირისპირებაზე, იყო?

— კონკრეტულად რას გულისხმობთ?

— „იგავს“, რა თქმა უნდა. იგივე საერთო გეგმა (საუკუნეების შუქით განმტკიცებული თანამედროვეობა, როგორც ამბობდა ფოლკნერი: „ქცევის ინდივიდუალური კოდექსი, რის გამოც ადამიანი უფრო უკეთესი ხდება, ვიდრე ეს მის ბუნებას სურს“. იგივე შესაბამისობის გამჭირვალობა; ფოლკნერისეული კაპრალი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, ყოფილი ჯარისკაცი, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად შეაჩერა ძმათა შორის ხოცვა-ყლეტი, იგივე იესო ქრისტეა, როგორც აბდია კალისტრატოვი. ბოლოს, ძირითადი იდეების ურთიერთმიზიდულობა. „იგავის“ ერთ-ერთი გმირი ამბობს, რომ ადამიანი უფრო მაღლა დგას იმ ზნეობრივად უცოდველ სახეზე, რომელიც მან შექმნა თავის წარმოდგენაში. ე. ი. თანამედროვე ადამიანს არ შეუძლია სხვაზე გადაიტანოს დღევანდელი დღისა და მომავლის მოვალეობის ტვირთი. ზუსტად ეღერუნ აბდიას სიტყვები: „ადამიანი თვითონვეა ჩვენი ყოველი დღის მსაყველი და შემოქმედიც...“

— უველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ხაინტერესოა, მაგრამ, იცით „იგავი“ არ წამიკითხავს. ახლა კი შევეცდები, როგორც კი შემთხვევა მომეცემა, წავიკითხო.

— მართლა? რა გაეწყობა, მით უფრო საინტერესო და საყურადღებო იქნება, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის, როგორც ლიტერატურათ-

მკოდნისათვის, ეს სტიქიურად აწყობილი დიალოგი. თუმცა, შეიძლება იყოს მასში თავისი გარდუვალობა: ლაპარაკია XX საუკუნის მწერლებზე, მაგრამ ენები წმინდა შემოქმედებითი ხასიათის პრობლემებს.

„იგაეი“ ფოლკნერისათვის (როგორც მეჩვენება, ისევე როგორც ბევრ რამეში „საჯალათო კუნძი“ თქვენთვის) — განსაკუთრებული რამ არის. იგი მასში მშობლიური მხარეებიდან წავიდა, ასე რომ, თქვენს მიერ გამოთქმული ვარაუდი ამერიკელი მწერლების შესაძლებელ მოძრაობაზე უსაფუძვლო არ არის. წავიდა და მაშინვე დიდ სიძნელეებს შეეჯახა. როგორღაც შეეკითხნენ მას: „ხომ არ შეზღუდა თქვენმა შემოქმედებითმა წარმოსახვამ რომან „იგაეის“ „სტეციფიკური ჩანაფიქრი“? მწერალმა უბასუხა: „აშკარაა, იქ, სადაც ერთმანეთს შეეჯახნენ წარმოსახვა და ჩანაფიქრი, ჩანაფიქრი თავს იჩენდა... არა ჩანაფიქრი ყოველთვის უთმობდა. როდესაც საჭირო იყო ერთ-ერთის დამორჩილება, უთმობდა და ემორჩილებოდა ჩანაფიქრი და არა წარმოსახვა. შეიძლება ესაა ერთ-ერთი მიზეზთაგანი იმისა რომ მიწევს გადაწერა და კვლავ გადაწერა. საჭირო იყო წარმოსახვისა და ჩანაფიქრის შეგუება“. ხომ არ შეეჯახებიხართ ისეთ წინააღმდეგობას „საჯალათო კუნძზე“ მუშაობისას?

— არც კი ვიცი, ძნელია თქმა. გადაწერით, რა თქმა უნდა, გადავწერე, და არა ერთხელ. ზოგჯერ შეჩვენებოდა კიდევ, არ იყო საჭირო ქანცის გაწვევა ამდენი გადაწერით. მაგრამ დროის გასვლის შემდეგ ყველაფერი გავიწყდება. თუმცა აქ რაღაც სხვა იყო. არა, იდეა არ ყოფილა სახესთან კონფლიქტში, რამდენადაც, რა თქმა უნდა, მე შემიძლია განსჯა. თავდაპირველად შეიქმნა ნოველა პონტიუს პილატესა და ქრისტეზე, შემდეგ ვიგრძენი, რომ მას სჭირდებოდა მატერიალური დასაყრდენი. აი, მაშინ გამოჩნდნენ სამყაროში მოხეტიალე მგლები, რომლებიც აუაღიბებენ მოთხრობის სიუჟეტურ მსვლელობას. შემდეგ მასში შევიდა აბდია. თუმცა, ვუშვებ, რომ ეს ახლა, როცა ყველაფერი უკან დარჩა და რომანიც გამოქვეყნებულია, მუშაობის მსვლელობა უღრუბლოდ წარმოიდგენია. სინამდვილეში კი შეიძლება ბევრად უფრო ძნელი იყო. მაგრამ ვადიარებ, რომ არ მხურს სარესტავრაციო მოღვაწეობას მივყუ ხელი — ყველა მწერალს თავისი პრობლემები, თავისი სიძნელეები აქვს და ყველა თავისებურად წყვეტს მას. არც არავის ენდობა და არც ვინმეს დახმარების იმედი აქვს. სხვა საქმეა — რომ ამის შეცნობაც ასაკთან, გამოცდილებასთან ერთად მოდის — რომ ესა თუ ის კონკრეტული ასახვა შეფარებული უნდა იყოს არა მხოლოდ თავის უშუალო შინაარსთან, სა-

ჭირო საერთო გეგმა, საჭიროა თანაფარდობა მთელ გამოცდილებასთან, თუნდაც ეს არ იყოს ნორცშესხმული პლასტიკაში. მხატვარს შეუძლია ბრწყინვალედ, ხატოვნად წერას/ესა თუ ის სიუჟეტი (არა აქვს მნიშვნელობა, რას დაარქმევს მას — მოთხრობა, წიგნეულას, თუ რომანს). მაგრამ თუ მას ტრავმა აქვს გამოცდილებული, მე ვიტყვდი, მომხდარის უდიდესი, ყოველისმომცველი მასშტაბის შეგრძნების უნარი, ძნელად თუ ექნება მკითხველთა ფართო წრეებთან ურთიერთობის იმედი, დარჩება საკუთარ სახლში.

მე ახლა უცებ შოლოხოვზე გავიფიქრე. ვერ გამოვიცხადებ, როცა სასამი წლის კაცმა, არსებითად ბიჭმა, როგორ აიღო და ამხელა ლოდი გადაატრიალა. მას ხომ არ მქონდა და არც შეიძლებოდა მქონოდა ის ცოდნა და გამოცდილება, ის ცხოვრებისეული სიბრძნე, რომელიც, რომ იტყვიან, საჭიროა ისეთი რამის დასაწერად, როგორცაა „წყნარი დონი“. მე უკვე ახალგაზრდა აღარ ვარ და ვბედავ, იმედი ვიქონიო, ვიცი, რა როგორ ფასობს ლიტერატურაში. ვიცი ლიტერატურული მუშაობის ტექნოლოგია. არავითარ ჩვეულებრივ წარმოდგენაში, არავითარ „როგორც იტყვიანში“ „წყნარი დონი“ არ ეტყვა. მასში იმალება სულიერი ხედვის უდიდესი ხაი-დუმლოება, გამრავლებული შთაგონებაზე. ამ საზღვარს იქით კრიტიკული ანალიზის ჩვეულებრივი ხელსაწყოებით ჯობია არ შეხვიდე.

— კეთილი, დავებრუნდეთ იმას, რაც რაციონალურ ხსენას, ალბათ, მაინც ემორჩილება. ერთ ადგილას „საჯალათო კუნძში“ ნათქვამია: „არ არსებობს იზოლირებული ბედი.“ ეს სიტყვები, ისევე როგორც ადრე ნახსენები ანალოგიები, მებრუნებენ საუბრის თავდაპირველ ჩანაფიქრთან, რაზედაც მე გეუბნებოდით. დავუშვათ, რომ მე თქვენს ინტერვიუს, წერილებს, საჯარო გამოსვლებს, რომლებიც თავმოყრილია თქვენს თხზულებათა მე-3 ტომში, არც თუ ისე უანგაროდ ვკითხულობდი, ვცდილობდრი აღმომეჩინა მათში დასაყრდენი საკუთარი შეხედულებებისათვის XX საუკუნის მხატვრული კულტურის განვითარების შესახებ. ასეა თუ ისე, მომეჩვენა, რომ სხვადასხვა თემაზე მსჯელობისას, თქვენ ყოველთვის გულისხმობდით მსოფლიო ლიტერატურას როგორც პროცესს, რომელშიც ყველაფერი ურთიერთგადაჯაჭვულია, და რომელშიც, სხვადასხვა მიმართულებანი, აგრეთვე სხვადასხვა მწერლის ინდივიდუალური ბედიც შედის, მიუხედავად იმისა, რა ფორმებიც არ უნდა მიიღოს მან ურთიერთმიზიდულობიდან ურთიერთგანზიდულობამდე (მიუღებლობაც ხომ კავშირის ტიპია). ერთი სიტყვით, თუ ვისარგებლებთ თქვენი პირადი გამოთქმით — „მსოფლიო ლიტერატურის ტაძარი“, ხოლო თუ

გამოვიყენებთ აბღია კალისტრატოვის გამოთქმას — მთელი კაცობრიობის ბედის ტაძარი, თუ ჩემი აღქმა არა მხოლოდ სუბიექტურია, თუ მე არ გახვევთ თავზე იმას, რის თქმას თქვენ სულაც არ აპირებდით, მაშინ ვისურვებდი ამ თემაზე საუბრისას გაგრძელებას და მას შემდეგი ფორმით ჩამოვყალიბებდი: თანამედროვე მწერალი მსოფლიო კულტურის კლიმატში. აქ თავს იჩენს მთელი რიგი კითხვებისა, როგორც ინდივიდუალური, ასევე საერთო ხასიათისა.

თქვენთან ადრინდელ საუბარში ვ. ლევჩენკომ გკითხათ: „რომელი კლასიკოსი უფრო ახლოს თქვენთან სტილის, განწყობილების მიხედვით, გმირის სამყაროში წვდომის პრინციპით? ვის დაასახელებდით თქვენს მასწავლებლად? პასუხს არსებითად, უბრალოდ, თავი აარიდეთ, აღნიშნეთ მხოლოდ, რომ თქვენთვის კლასიკოსები — „დიდი ერთიანი გამოცდილება“, „მზე, რომელიც სინათლეს გამოასხივებს — ხოლო რა გზით აღწევენ... ეს სხივები — იმდენად არსებითი არ არის“. ჩემი აზრით, არსებითია მაინც, თუ, რა თქმა უნდა, „მასწავლებლობას“ გაცვეთილ სიტყვად არ გავიგებთ. ვეებერთელა ლიტერატურულ მასივში ხომ არის შრეები, რომლებიც თქვენთან ინტიმურად ახლოს არიან? და მეორეს მხრივ, არის შრეები, რომლებიც იწვევენ ინტერესთა გაუცხოებას? იქნებ დაგვისახელოთ ლიტერატურის ისტორიაში ფიგურა, რომელიც თქვენთვის იგივეა, რაც შოლოხოვისათვის და როლანისათვის ტოლსტოი, თომას მანისათვის — გოეთე, პრუსტისათვის — ბალზაკი და ა. შ.

— რა გაეწყობა, გეტყვით, უპირველესად თვით „ტაძრის“ გაგების შესახებ, არქიტექტურასთან, მუხიკასთან, აგრეთვე ლიტერატურასთან შედარებით, იგი, როგორც მე მესმის, ეტიმოლოგიის მიუხედავად არა მარტო კოლექტიური, არამედ ინდივიდუალური ნაგებობაცაა. ყოველი ხელოვანი შეპყრობილია საკუთარი ტაძრის აგების სურვილით. ტოლსტოისათვის ასეთი ტაძარი გახდა ეპოპეა „ომი და მშვიდობა“. მესმის, რომ გამკლავთათვის შეიძლება მოხერხებული სამიზნე გავხდე, მესმის, რომ კეთილმოსურნე ადამიანებსაც კი შეუძლიათ კადნიერება და მწამონ. მაგრამ ვიტყვი, როგორც ღერე ვამბობდი: თუ მაგიდასთან დაჯდები, წინ ქაღალდის ფურცელს დაიდებ და არ მოიხურვებ პუშკინს ან ტოლსტოის გაუტოლდე, ჯობია წერაზე ხელი აიღო, მწერალი, მიუხედავად ნიჭისა და უნარისა, ყოველთვის უნდა ისწრაფვოდეს დიდისაკენ. თუმცა დავუბრუნდეთ ტაძარს. დიან, ყოველი მათგანი მას აგებს მარტოდმარტო, მაგრამ, თავისთავად იგულისხმება, რომ არა ცარიელ ადგილას — გარშემო უკვე აგებულია სხვა ტაძრები — ის, რასაც თქვენ

მსოფლიო კულტურის კლიმატს უწოდებთ. თუმცა, თვით ეს მეტაფორა ზუსტი არ მერვენება. კულტურაში, ისევე როგორც ბუნებაში, არსებობენ სხვადასხვა კლიმატური სარტყლები და ისინი იცვლებიან დროში, თუმცა არა ისე სწრაფად, როგორც ეს ბუნებაში ხდება. ჩვენს ქვეყანაში ჩვენი, საკუთარი კლიმატის ტემპლიც ამჟამად ხასურველი და ხელსაყრელია შემოქმედებისათვის. არა იმ გაგებით, თითქოს არავითარი პრობლემები არ არსებობდეს, თითქოს ყველაფერი იოლად ხდებოდეს. რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, ახლა ისეთი დროა, როცა შეგიძლია დაწერო, რაც და როგორც მიგაჩნია საჭიროდ, თუნდაც ეს უჩვეულოც კი იყოს. წერე და ბეჭდე. სხვა ადგილას და სხვა დროს კი სოციალ-პოლიტიკური პირობები, პირობით, შეიძლება არა თუ უკეთესი, უარესიც კი იყოს. ახლო და შორეული ისტორია ძალიან ნათლად და მჭევრმეტყველურად მოგვაგონებს ამის შესახებ. იმ დროს, როდესაც გერმანიაში ფაშისტური დიქტატურა დამყარდა, თომას მანი მსოფლიოში უკვე აღიარებული მწერალი იყო, ამავე დროს მის მხარეზე იყო ის, რასაც იგი ლიუბეკის სულს უწოდებდა, ძლიერი, პუმანისტური ტრადიცია, რომელსაც ჩემი აზრით, შეიძლო წინააღმდეგობა გაეწია ნებისმიერი, ყველაზე მრისხანე აგრესიისათვის. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ეს გამოჩენილი ტალანტიც კი ჩაიფრფლდებოდა, თუკი დარჩებოდა დაფლეთილ, ნაწამებ გერმანიაში. და ვერ წავიკითხავდით ჩვენ მის ვერც „იოსებს და ძმანი მისნის“ და ვერც „დოქტორ ფაუსტუსს“, ერთი სიტყვით, კულტურას სჭირდება თავისი მკვებავი, სოციალური გარემო. ზოგჯერ მთელი რეგიონები იყინებიან ესთეტიური განვითარების ერთ წერტილზე. ვთქვათ, ინდონეზია თავისი ხანგრძლივი საზოგადოებრივი არეულობით, რომელიც, როგორც ჩანს, აბრკოლებს ლიტერატურის წრდას, განვითარებას.

— ან იქნებ, უბრალოდ, არ ვიცით?

— რაღაც რომ ყოფილიყო — ხმა მაინც მოგვწვდებოდა. პირდაპირ თუ არა, ინგლისის, პოლანდიის გავლით მაინც, რომელთაც ამ აზიურ ქვეყნებთან ძველი ურთიერთობა აკავშირებთ. თუმცა, უშუალო დამოკიდებულებას, ცხადია, ვერ ვხედავ. ყველაფერი ხდება. ნახევრადფეოდალურ რუსეთში აღიზარდნენ ისეთი გიგანტები, როგორებიც არიან ტოლსტოი და დოსტოევსკი, უკანასკნელი ჩემთვის საერთოდ გამოცანაა. ბედისა და განწყობილების წარმოუდგენელი მონაცვლეობა. სემიონოვსკის მოედნიდან ტაბტის მემკვიდრესთან ურთიერთობამდე, რომელსაც პობედონოსცევის მეოხებით უხსნის „ეშმაკის“ აზრს. მაშ, როგორ ეგუება დოსტოევსკისათვის ესოდენ საყვარელი საკაცობრიო

ამობის იდეა კოლონელებსადმი სიძულვილს, თურქეთის დაპყრობისადმი მოწოდებას? დოსტოევსკი — მხატვარი ჩემთვის — სწორუბოვარი, და მიუწვდომელი მწვერვალია. დოსტოევსკი — მოაზროვნე კი ტკივილი და სასოწარკვეთა. ვშიშობ, რომ ჩვენ ხშირად ჩვენსავე მსჯელობებში ამ ხოცარ სირთულეზე ბევრად უფრო დაბლა აღმოვჩნდებით ხოლმე. ხან აბსოლუტური უარყოფა, ხან პირიქით, ბრმა აღიარება, როდესაც დოსტოევსკის აცხადებენ ლამის რევოლუციის წინასწარმეტყველად. როდესაც ამბობენ, რომ მან გაკვალა XX საუკუნის რომანის გზა, ეს ჩემთვის გასაგები და აბლობელია. ვთქვამთ, „ცნობიერების ნაკადი“ ინერციულად ისევ ითვლება მოდერნიზმის აღმოჩენად. ჩემთვის კი ამ ლიტერატურული ტექნიკის ნიმუშია ივანე კარამაზოვის პოემა დიდ ინკვიზიტორზე. მაგრამ, მე სრულიად არ მსურს გავუგო მათ, ვინაც დოსტოევსკიში სოციალისტური იდეების მქადაგებელს ხედავს.

— ეს უკვე განსაკუთრებული სტატიაა. მოდით, დავუბრუნდეთ ჩვენს თემას — გავლენა, ურთიერთგავლენა, მწერლის თვითშეგრძნება რთულ კულტურულ ატმოსფეროში.

— და განა ასე გადავხვიე მე მან? მე მგონი მხოლოდ ამაზე ვლაპარაკობდით. უბრალოდ აქ ყველაფერი შედგება არეულია. ზოგჯერ შესაძლებელი ხდება სიტუაციის ახსნა, ზოგჯერ სრულიადაც არა. საფრანგეთში ჩემი უკანასკნელი მოგზაურობის დროს მე ვკითხე მეგობრებს: გყავთ თუ არა თქვენ, ამჟამად არაგონის ტოლი ფიგურა? არა, არ ჩანს — ამბობენ.

— სხვათაშორის, თქვენს მეგობრებს ეთანხმება გრემ გრინი, რომელიც როგორც ცნობილია, დიდი ხანია ცხოვრობს საფრანგეთში. ერთ-ერთ ამასწინანდელ შეხვედრაზე მოსკოვში იგი ამბობდა, რომ, მას შემდეგ, რაც წავიდა თაობა, აღარც რომანია საფრანგეთში.

— აი, ხომ ხედავთ და რატომ — ვინ უპასუხებს ამ კითხვაზე? ნუ დავივიწყებთ ტალანტის, ნიჭის თვითმზარდ ძალას. ამავე დროს არის გაუთვალისწინებელი შემთხვევები. შეხადლოა — იქვე საფრანგეთში, ან სხვა ადგილას იზრდება — ჩვენთვის უცნობი გენია, მაგრამ, სამწუხაროდ, ანუშკამ უკვე დაღვარა ზეთი და იგი თუ ტრამვანის არა, ავტომობილის ბორბლებს ქვეშ მაინც მოხვედება. ვინ მოსთვლის, რამდენი გამოჩენილი მწერალი, მეცნიერი ისე შეიწირა ომში, რომ მათი სახელებიც კი ვერ შევიტყვეთ?

— ე. ი. თქვენი ლაპარაკი ასე უნდა გავიგოთ: ისტორია, თუნდაც ლიტერატურული — ეს მხოლოდ ქაოსია, შემთხვევის თამაში?

— არა, რატომ? არსებობს, რა თქმა უნდა,

მსოფლიო კულტურის რაღაც საერთო მდგომარეობა, არსებობს ობიექტური მოძრაობა. ზუსტად ასევე, არსებობს დედამიწის საერთო ატმოსფერული მდგომარეობა. მაგრამ ეს მაინც საკმაოდ აბსტრაქტული გაგებაა, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მიგვრჩენს პროფესიონალ სწავლულებს, რომ ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით, ვსაუბრობთ ფრუნჯეში. მშვენიერი შემოდგომაა, უქარო, მშრალი, ტემპერატურა 25 გრადუსია. მოსკოვში კი, რადიო გადმოსცემს, რომ წვიმს, ცივა. ალბათ არის რაღაც ურთიერთდამოკიდებულება, მაგრამ პირადად თქვენზე მოქმედებს მოსკოვის ამინდი? ჩემზე არა. დავუშვათ, შედარება მოიკოტლებს, და მაინც... აი, ამბობენ ევროპული ლიტერატურა. კაცმა რომ თქვას, რა არის ეს? არსებობს დანიური, შვედური, პოლანდიური ლიტერატურები. მაგრამ მე მათ თითქმის არ ვიცნობ, რაშია საქმე? მთარგმნელების ნაკლებობის თუ წიგნის გამომცემელთა სიზარმაცის ბრალია. თუ, დღეს იქ, უბრალოდ, არაფერი განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი არ ხდება? შეხადლოა ტელევიზიამ მეტისმეტად განდევნა ბეჭდვითი სიტყვა. ან იქნებ მეტნაკლებად მშვიდი ცხოვრება არც თუ ისე უწყობს ხელს ლიტერატურის განვითარებას. ყოველ შემთხვევაში ისეთი ლიტერატურისა, რომელსაც არა მარტო თავის ქვეყანაში ექნებოდა აღიარება. არ ვიცი, სამაგიეროდ ვიცი, რომ სკანდინავიური ლიტერატურები ჩემს ხულიერ და შემოქმედებით გამოცდილებაში არ შედის. ესპანური, ინგლისური, გერმანული კი რაღაცნაირად უფრო შემოდიან. აქ არავისთვის ჩაფერი არ არის საწყენი; უბრალოდ, მოქმედებს აღქმის არჩევითობის კანონი.

— ვთქვამთ, ასეა. მაგრამ თუ გამოვრიცხავთ ყველაფერს, რაზეც თქვენ ილაპარაკეთ, რჩება რაიმე კანონზომიერება, რომელიც რაციონალურ ახსნას ემორჩილება? ან იქნებ ესეც საიდუმლოა? თუ რითაა თქვენთვის აბლობელი ლათინო-ამერიკული რომანი, ჩემთვის, ისევე როგორც თქვენი წიგნის მკითხველისათვის, გასაგებია. მაგრამ ერთ-ერთ აღრინდელ ინტერვიუში თქვენ თქვით, რომ თქვენს არსებაში მთელი გადატრიალება მოახდინა „ტრამალის მგელის“ წაკითხვამ. მაგრამ სტილისტურად რაფინირებული, გეომეტრიულად აგებული ჰერმან ჰესეს პროზა...

— განსაკუთრებით „თამაში ყალბი მარგალიტებით“...

— ...მე მგონი თქვენგან შორს უნდა იყოს. საქმე უბრალოდ სტილში ხომ არ არის?

— შეხადლოა „გადატრიალება“ — ცოტა გახედულად არის ნათქვამი, მაგრამ, ისე, რა თქმა უნდა, გულში ძლიერ მომხვდა, როცა კითხულობ, ხომ არ ფიქრობ, ახლოა იგი შენთან, თუ

არა, ხაქმე გაქვს ტექსტთან. და თუ ის ძლიერად და ოსტატურად არის დაწერილი, თუ არ არის არც ერთი შემთხვევითი ხიტყვა, თუ გამუდმებით გრძნობ თბრობითი მეტყველების დაძაბულობას, თუ დიალოგი ბუნებრივად მიედინება, როგორ შეიძლება ყოველივე ამის შემდეგ ვულგარილი დარჩეთ ჩემი აზრით, ასეთია მერმან მესეს პროზა. ამავე დროს, ისეც ხდება ხოლმე, რომ განსაკუთრებით ის შეგძრავს, რისი უნარიც შენ თვითონ შენი აზროვნებისა და შენი წერის ხასიათის გამო არ შეგწევს. სხვა ამოცანები — სხვა ხერხები. შესაძლოა, ამ შემთხვევაში კონტრასტმა მიიპყრო ჩემი ყურადღება.

— ვთქვით, ჰესემ კონტრასტულობით მიგიზიდათ, ჰემინგუემ — როგორც თქვენ ამბობდით, აღფრთოვანებული ხარო დიალოგების აგების მისეული უნარით. — უნდა ვიფიქროთ, რომ აგრეთვე კონტრასტულობით გარსია მარკესმა კი პირიქით, მსგავსებით.

— თუ ასე ხშირად ამბობენ, რომ მსგავსება არის, მართალია, ის ალბათ მართლაც არის გარეშე თვალისათვის. მაგრამ მე თვითონ ძლიერ ვანხვავებ ვგრძნობ... გარსია მარკესს სავსებით თავისუფლად გადააქვს მითიური მდგომარეობა და მითიური გმირები თანამედროვე პირობებში. მე კი ხომ ვტოვებ მათ ბუნებრივი აღმოცენების გარემოში. ვცდილობ, მივაღწიო ლეგენდის ასახვის მაქსიმალურ ბუნებრიობას.

— ამას მარტო თქვენ არ ამჩნევთ. მახსოვს განსვენებულმა ლაიოშ მეშტერხაზიმ ერთხელ მითხრა, რომ ითმითოვი თავის მითიურ მეტეფებებს (მაშინ ის-ის იყო გამოვიდა „ქრელი ძალი ზღვის პირს ადევნებული“) ისე აღწერს, თითქოს ისინი ნამდვილად არსებობდნენ. მე კი, ჩემს პრომეთეზე ისე ვწერ, თითქოს მას გუშინ შევხვედრივართ ბუდაპეშტის ერთ-ერთი საწარმოს პროფსაბჭოს კრებაზე. მაგრამ, მითოლოგიას, იმედი მაქვს ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით. ახლა კი სხვა რამეზე. ვთქვით, რომ შემოქმედებით ინდივიდუალობებს შორის კავშირები მყარდება გაუთვალისწინებლად. თუნდაც ირაციონალურად. მაგრამ ასე თუ ისე, მყარდება. და სწორედ ეს ზემოქმედება, შესაძლოა იყოს არა მარტო სასიკეთო, არამედ მძიმე ტვირთიც. ამაზე ამბობდა გოეთე, როდესაც იგონებდა, თუ როგორ ბოჭავდა მის გენიას შექსპირი მანამდე, სანამ არ „გაემიჯნა“ მას თავისი „გეც ფონ ბერლიხინგენით“ და „ეგმონტით“. ვანა მსგავსი სახეებით; არ იქმნება დამოკიდებულება ამ თუ იმ ეროვნულ და მსოფლიო ლიტერატურებს შორის? გასაგებია სწრაფვა მოიპოვა და დაიცვა ეროვნული თვითმყოფადობა. მაგრამ ეროვნული თვითმყოფადობის გარდა არის კიდევ ეროვნული ყოყონობა. და არა მარტო ლიტერატურაში, როგორც ცნობილია,

ამაზე ბევრი ითქვა ბარტის XXVII ყრილობაზე. კოთხეა, მაშასადამე, ისე შეიძლება ჩამოყალიბდეს: რამდენად დამოუკიდებელი არის ეროვნული, მათ შორის განვითარებადი ლიტერატურები? როგორ დავაღწიოთ ეროვნული უკუაქტილობის ცდუნებას თავი, თუ როგორ დავიცვათ და არ დავუკარგოთ მას აუცილებელი ეროვნული თვითმყოფადობა?

— უკეთესი იქნებოდა, თუ ამ კითხვას როგორმე სხვანაირად ჩამოვყალიბებდით, რადგან ხაკითხის ასე დაყენება ვერ იძლევა ნათელი პასუხის შესაძლებლობას. ყოველ შემთხვევაში მე არ ვიცი როგორ ვიპასუხოთ. აქ ხომ არ არის აბსოლუტური ცნებები, უველაფერი საკმაოდ მერყევი და მიშდინარეა. აი, ვთქვით, ჩინური ლიტერატურა. მე მას თითქმის არ ვიცნობ. რით აიხსნება ეს? ჩემი სიზარმაცით? თუ ისევ და ისევ მთარგმნელთა და გამოცემელთა უგერგილობის ბრალია, ან იქნებ ეს ლიტერატურა იმდენად თავისებურია, რომ თანამედროვე ადამიანის ცნობიერებას, რომელიც აღზრდილია კულტურის სხვა ნიმუშებზე, უბრალოდ არ შეუძლია მიიღოს მხატვრული ენა იმ ლიტერატურისა, რომელიც მკვეთრად სპეციფიკურია? და იქნებ ჩვენმა შვილიშვილებმა გამოიმუშავეს ეს უნარი. კარ ვიცი.

ახლა თუ ისე, ასეთი მაგალითები არსებობენ, — ჩვენ, მე მგონი, უკვე ვილაპარაკეთ ამდაგვარზე სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურასთან დაკავშირებით. ასე რომ, საერთო მდგომარეობის გამოყვანის ცდა უკიდურესად ხარისკია. მაგრამ სამუშაო ფორმულაში — სამქერ რომ დავთქვათ მისი პირობითობა — შეიძლება ვიფიქროს, როგორც ჩანს, რაღაც ორიენტირები არსებობენ.

მე უკვე არაერთხელ ვთქვი, გავიმეორებ ახლაც, რომ ვერ იცოცხლებს ლიტერატურა გარკვეული ეროვნული სტიქიის გარეშე. რაღაც სახით იგი დაკავშირებულია ენასთან, მის განვითარებასთან, რომელიმე ეთნიკურ გარემოსა და კულტურასთან. ძალიანაც რომ მოინდომო, ნებისყოფის დაძაბვით მისგან „ამოვარდნა“ შეუძლებელია. მაგრამ, მეორეს მხრივ, ნამდვილად არსებობს თვითიზოლაციის საფრთხე. საჭიროა შენი ესმოდეთ არა მარტო შენიანებს, არამედ „სხვებსაც“.

აქ მოქმედებს უამრავი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი. აი, მაგალითად, გარსია მარკესი. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ კოლუმბიის ლიტერატურა, მცირე ქვეყნის ლიტერატურა შევიდა მსოფლიო აზროვნებაში? ვფიქრობ, რომ არა. „მარტოობის ასი წლის“ ავტორი კი — შევიდა. იმიტომ, რომ იგი არაჩვეულებრივად ნიჭიერი მხატვარია, ეს არის

მწერალი, რომელიც დაჯილდოებულია წარ-
მოსახვის გასაოცარი ძალით.

შეიძლება საწინააღმდეგო მაგალითების მოყ-
ვანაც, ქართულ ლიტერატურას, როგორც
ჩანს, ჯერ არ წამოუწევია გარსია მარკეზის ტო-
ლი ფიგურა. მაგრამ ობიექტური პირობები ისე
აეწყო, რომ მისმა იშვიათად მდიდარმა და ორი-
გინაღურმა ხატოვნებამ გამოძახილი პოეზია კო-
ლუმბიაზე არც თუ დიდი რესპუბლიკის ფარგ-
ლებს გარეთ, თუმცა, ისეც ხდება, რომ მსოფ-
ლიო ლიტერატურის წრებრუნვაში შედიან ერ-
ოვნული ტრადიციებიც, რომლებიც არ გამოიჩ-
ნებიან ბრწყინვალე თავისებურებებით. რა-
ტომ: იმიტომ რომ ისინი ეძებენ შეხვედრას.
ეს ისეა, როგორც ტყეში. დგახარ ადგილზე, ვე-
რაფერს ხედავ მხოლოდ შეგიძლია დატყბე სა-
კუთარი გამოხახულების ყურებით მდინარეში,
თუ იგი შენს გვერდით მიედინება. ხოლო მოძ-
რაობისას, თუ მიმართულებას შეიცვლი, თვი-
თონაც იგივე რჩები და სხვა მგზავრებაც შეხ-
ვდები. ერთს უკვალოდ აუვლი გვერდს, მეო-
რესთან კი შეიძლება რაღაცაზე საუბარი. ყო-
ველ შემთხვევაში უმოძრაოდ არ არსებობს გან-
ვითარება, არც აღმოჩენა. ისინი მოიპოვებიან
გზაში და იქცევიან კულტურის საერთო მონა-
პოვრად.

ეს ზეამოცანაა. მაგრამ, ამას გარდა, რა თქმა
უნდა, რჩება შენთვის ახლობელი, უშუალო
ამოცანა, ურთიერთობა საკუთარ ხალხთან, მი-
სი სულიერი აღზრდა და ხალხის ტკივილის, გა-
ჭირვებისა თუ სიხარულის გაზიარება. არ შე-
იძლება ამის უგულვებელყოფა და არც მხოლოდ
ამით შემოზღუდვა.

— როგორც ჩანს, იქაც ყველაფერი გადაჭაჭ-
ვულია. ერთ შემთხვევაში სიტუაცია სტიქიუ-
რად ეწყო, სხვა შემთხვევაში კი გარკვეული
მიზანდასახულების შედეგი ხდება. ზოგს ამა თუ
იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებათა ძა-
ლით, დიალოგი საკუთარ ეროვნულ, საზღვრებს
იქით, უბრალოდ, არ უხერხდება, სურთ, მაგ-
რამ არ შეუძლიათ. მაგრამ შეგნებულ კულ-
ტივირება საკუთარს, მხოლოდ საკუთარი ტრა-
დიციებისა არ არის? აი, თუნდაც აქ, თქვენთან,
შუა ზონაში?

— ეს რთული კითხვაა. მოგეხსენებათ, მთე-
ლი შუა აზია — ეს ვეებერთელა რეგიონია
და მისი კულტურა უხსოვარი დროიდან ორი
კომპონენტისაგან იქმნებოდა: მკვიდრი — ქა-
ლაქური და მომთაბარე — მესაქონლეების
კულტურისაგან. ყოველ მათგანს თავისი ტრა-
დიციები ჰქონდა. მაგრამ დრო უკვე შეიცვალა.
ოდესღაც ჩვენ გვყავდა შესანიშნავი მოღვესე-
ები — აკინები, უკანასკნელი მათ შორის იყო
პოეტი, კომპოზიტორი, მომდერალი-იმპროვიზა-
ტორი ტოქტოგული. ეს იყო გენიალური პოე-

ტი. მაგრამ, მე მგონი, იგი ყველაზე ნაკლებად
ფიქრობდა იმაზე, რომ მისთვის ყირგიზეთის
ფარგლებს იქით მოესმინათ. მას აკმაყოფილებ-
და ისიც, რომ ხარბად უსმენდნენ თანამემამუ-
ლენი. ეს არ იყო მისი სულიერი სიღარიბის,
ადამიანური არასრულფასოვნების ნიშანი. ვიბე-
ორებ, ტოქტოგული გენია იყო. უბრალოდ, მის
თავზე სხვა ვარსკვლავები არათუდნენ. დღეს
კი — ჩვენ უკვე გვქონდა ამაზე საუბარი —
ყველაფერი გადახლართულია და ვინ დაიწყებს
შეგნებულ სწრაფვას იმისათვის, რომ მთელი
სიცოცხლე დარჩეს თავის ქვეყანაში, თავის
ხალხთან? ყველაზე უმნიშვნელო პოეტსაც კი
სურს, რომ მას იცნობდნენ, თარგმნიდნენ სხვა
ენებზე.

— ხომ არ არის ამაში, უბრალოდ, ამათ,
წვრილმანი პატივმოყვარეობა?

— ცხადია, ესეც არის. არიან ისეთებიც, რომ-
ლებიც ამაში ხედავენ ლიტერატურასთან ზია-
რების მთავარ ნიშანს. მაგრამ, პრინციპში, თუ
ყურადღებას არ მივაქცევთ პირად, ხანდახან
გაუმართლებელ ამბიციებს, ასეთი სწრაფვა ნა-
ყოფიერი და აუცილებელიც კია. ბუნებრივია,
იმისათვის, რომ ეს განხორციელდეს, რომ შენი
წიგნი არამარტო ტიპოგრაფიული ნიშნების
ნაკრები იყოს სხვა ენაზე, არამედ მრავალი
ენის მკითხველთა აუდიტორიის სულიერი გა-
მოდინების ნაწილიც, საჭიროა ილაპარაკო
შენზე და შენებურად, საჭიროა მახშტაბური
ფიქრი ცხოვრებით, თუმცა, ამაზეც გვქონდა
უკვე საუბარი.

— აქ, როგორც ჩანს, თავისთავად იბადება
კითხვა ლიტერატურისა და მისი კრიტერიუმების
პროგრესის შესახებ. წინანდელი მსჯელობიდან
შეიძლება დავასკვნათ, რომ თქვენთვის ასეთი
გაგება თუ მთლიანად გამოგონილი არა, ყო-
ველ შემთხვევაში საეჭვოა. მართლაც შორსა
ვართ სრულ გარკვეულობამდე. სიძნელეები ბევ-
რია და მთავარი სიძნელე ჩემი აზრით, ის არის,
რომ ხელოვნება ჯიუტად ეწინააღმდეგება პროგ-
რესის ასეთ აბნებს, რაც სავსებით ეფექტურია
საზოგადოებრივი თუ სამეცნიერო ცხოვრების
მიმართებით. სწორედ ეს ბადებს სკეფსისს, რა-
საც, მე მგონი, თქვენც იზიარებთ, მაგრამ იმ
დაფუშვით, აკადემიკოსი დ. ს. ლიხაჩოვი პროგ-
რესს ლიტერატურაში უკავშირებს პროგრესს მის
აღქმაში. თქვენ როგორ უყურებთ ამ იდეას? და
საჭიროა თუ არა ლიტერატურის ნორმალური
სიცოცხლისათვის როგორც მინიმუმი, ორი —
მწერალი და მკითხველი, — მაშინ გასაგებია ინ-
ტერესიც: გვყავთ თუ არა თქვენ თქვენი წიგ-
ნების მკითხველის რაიმე იდეალურ-გონებაჭე-
რეტითი სახე?

— როცა ვწერ, მკითხველზე სულ არ ვფიქ-
რობ. მთავარია ჩემს საქმეს გავართვა თავი. აი,

მოსაწონი, მაგრამ ანგარიშის გაწევა კი საჭიროა. ავიღოთ თუნდაც ის, რასაც ცხოვრების წესის ამერიკანიზაციას უწოდებენ. ყველა ეს მამბურგერები — ყველას ყველაფერი ერთნაირა და უშოკლეს ვადაში — ხაყოფაცხოვრებო მომსახურების კულტურა და ა. შ. ყველაფერი ეს გავლენას ახდენს ხელოვნების მდგომარეობაზეც. ე. ი. მე ვგულისხმობ იმას, რაც ბადებს რაღაც მოლოდინს, შემოქმედებას ახდენს ხულიერი (ან ვითომდაც ხულიერი) საზრდოს აღქმაზე. ახლა დასავლეთი ევროპა კენესის, ხულს ლაფავს ამერიკული კინემატოგრაფიის უღელქვეშ, თვით კინოხელოვნების მძლავრი ტრადიციების ქვეყნებშიც კი — საფრანგეთი და იტალიაც. ვშიშობ, ამ ტალღამ როგორმე ჩვენამდეც არ მოადწიოს. ვფიქრობ, შევცდებით, ამერიკულ კინოპროდუქციას, თუ რაბებს გავუღებთ, და იძულებული ვიქნებით საკუთარს გადავუკეტოთ. აი, აქ კი მე ბარიერების მტკიცე მომხრე ვარ. სხვანაირად წაგვლივებენ, რადგან ამ საკითხში ჩვენ კიდევ უფრო უმწერონი ვართ, ვიდრე დასავლეთი ევროპა. ჭერ კიდევ ვერ ავწიეთ ჩვენი კინოხელოვნება იდეური, მხატვრული და თუნდაც ტექნიკური თვალსაზრისით ამ დონეზე, რომ საიმედოდ გავუწიოთ წინააღმდეგობა ასეთ მძლავრ დაწოლას. ეს ნაწილობრივ ლიტერატურასაც ეხება. თუ დავიწყებთ ჩვენ სხვადასხვა სახის კომიკსების თარგმნას — რა გამოვა? ვიპოვით ჩვენში საკმარის ძალას წინააღმდეგობის გასაწევად? მიეჭვება. ყოველი მხრიდან ისმის — ჩვენი მკითხველი გაიზარდა. შესაძლოა ეს ასეც არის. მაგრამ მე არ მჭერა, არა, სრულიადაც არ მჭერა, რომ უმრავლესობაში გამოვიშუშავეთ სიყალბის იმუნიტეტი. ძალიან დიდია ინტერესი ყოველგვარი ფართო მოხმარების საგნისადმი და თუ ის შესრულებულია ოსტატურად და საქმის ღრმა ცოდნით — აქ კი ამერიკელები კონკურენციის გარეშე არიან — ეს მხოლოდ ზრდის მის პოპულარობას. აი, ამ დროს კი სერიოზულად ვწუხვარ ნამდვილი ლიტერატურის მომავალზე.

რაც არ უნდა საკვირველი იყოს, იმისათვის, რათა ნამდვილად წინაღუდგე ასეთ გადამდებ სენს და განამტკიცო ჩვენი ტექნიკური ფასეულობანი, საჭიროა ამაღლდეს შრომის ნაყოფიერების დონე, ცხოვრების ყოფის დონე. დასავლეთში ფართო მოხმარების საგნები — უმაღლესი კლასისაა. ჩვენთან კი მსგავსიც კი არაფერი არ არის. ყველაფერი, რაც ამ სფეროში კეთდება, საუკეთესო შემთხვევაში, საშუალო დონისაა.

ამერიკანიზაცია იწყება იქიდან, როცა ადამიანს უხვად ეძლევა ყოველივე, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში სჭირდება. საუკეთესო,

თუნდაც მასობრივი კერვის ტანსაცმელი, სამზარეულოს საუკეთესო მოწყობილობა, საუკეთესო მაგნიტოფონები და ა. შ. ამავე პრინციპით იგება მასობრივი კულტურაც. ბრწყინვალედ შესრულებული, ბრჭყვიალა, ფერადოვანი შესაფუთი, რეკლამა, აფიშები, სხვა ამაღლებელი არ გჭირდება, ხულიერიც [მეინც] ყოველ კადამიანი შედის წყალში, მისი სიმაღლე თანდათან იწევა, მაგრამ ჭერ ვერ ამჩნევს, წყალი კი უკვე უღამდე სწვდება. ჩვენ ჭერ კიდევ არ შეგვწევს უნარი, ყველაფერი ეს გავაკეთოთ. სამაგიეროდ გვაქვს ჩვენი სამამულო მასობრივი კულტურა...

— მოითმინეთ, რაღაც ვერ დავიჭირე თქვენი აზრების მსვლელობა. გამოდის, რომ ჩვენი მასობრივი ბელეტრისტიკა თუ კინემატოგრაფია, ეს რაღაც კომპენსაციის მსგავსი რამ არის იმისა, რომ ვერ ვისწავლეთ კარგი მაგნიტოფონების კეთება?

— მე უბრალოდ ვცდილობ აგისხნათ, რატომ გვიჭირს. იმისათვის, რომ ფასეულობამ მოიპოვოს თავისუფლება და გამობრწყინდეს, როგორც ტექნიკური ფასეულობანი, საჭიროა დავიწყოთ თავიდან: წარმოიდგინეთ, ვიღაც თეატრში წავიდა: გაუმართლდა, დაესწრო ბრწყინვალე სპექტაკლს, ორი-სამი საათის განმავლობაში ჩაფლული იყო უმაღლესი ხულიერების ატმოსფეროში. მაგრამ შეიგრძნობს კი იგი ამას, რაკი ყოველდღიურად უწევს შეჩახება სხვადასხვა წვრილმან უსიამოვნებებთან, რომლებიც შეიძლებოდა არც ყოფილიყვნენ?

— მაინც არ მესმის. დავუშვათ, რომ ცხოვრების, ყოფის კულტურა მიუწვდომელ სიმაღლეზე ავწიეთ. ეს შესანიშნავია. თქვენ — მომხრე ხართ, მე — მომხრე ვარ, ყველანი — მომხრენი ვართ. მაგრამ რა! უშუალოდ ყოველივე ამას მოყვება ხულიერი კულტურის, ხელოვნების და შესაბამისად ხელოვნების აღქმის აღმაფრენა?

— ვხვდები, ყველა ნათქვამი ხაკამათოა. ამავე დროს პირდაპირი დამოკიდებულება აქ, ბუნებრივია, არ არის. და მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ამაო, ფუსფუსისაგან თავისუფალი ადამიანი უკეთესად არის მომზადებული ნამდვილ კულტურასთან შესახვედრად, ვიდრე ყოველდღიური წვრილმანი ცხოვრებით გაწამებული ადამიანი. თუ საგნებს უფრო კარგად და სწრაფად არ გავაკეთებთ — რა, ამით ჩვენი კულტურა მოიგებს? ამაღლდება ხელოვნება? რა თქმა უნდა, არა, არა, თქვენ როგორც გნებავთ, მაგრამ ადამიანი, გამოწყობილი საუკეთესო კოსტუმში, რომელიც მან იოლად შეარჩია მაღაზიაში მრავალ კარგ კოსტუმს შორის, შესაძლოა, სხვანაირად კითხულობს, სხვანაირად უყურებს ფილმს ან სპექტაკლს, ვიდრე ის, ვინც, ცუდად შეკერილ კოსტუმში ჩაცმული, რიგში იდგა,

ფეხსაცმელიც კი შეიძინა, მაგრამ არ ის, რომელიც სურდა, არამედ რაც ხელში მოხვდა, უცხვიშველი რომ არ დარჩენილიყო. და საერთოდ, რაც არ უნდა იქნებო, რომ ჩვენი ფახეულობანი გამსჭვალულია პუმანიზმის ხულით და სწორიც არის, რომ ჩვენ გვაქვს მშვენიერი იდეური ხელოვნება — ეს სიტყვები უბრალოდ არ ესმით ადამიანებს, რომლებსაც, სამწუხაროდ, სულ სხვა რამ აწუხებთ და მე არ მყოფნის გამბედაობა, ქვა ვებროლო მათ, ვისაც ობივატელებს ეძახიან.

არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, რასაც ცხოვრების გარეგნულ მხარეებს ვუწოდებთ. მაგალითად, კლასიკური მუსიკა, ჩანერის ხარისხი, შეფუთვა — ყველაფერი ეს მნიშვნელოვანია.

— დავუშვათ, რომ შეიძლება საუკეთესოდ ჩაიწეროს ყოველგვარი აბლაუბდაც თუნდაც ბრწყინვალედ გაკეთებული რომელიმე „უბები“ — რა ეფექტებია, რა ფერი.

— ამიტომაც ვამბობ, რომ ყოფის კულტურის ამგვარი ნიშნების მიზაძვისაგან თავი შორს უნდა დავიჭიროთ. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ სხვადასხვა ხერხელებით ისინი ჩვენამდეც აღწევენ, განდევნიან რა ცნობიერებაში იმ ნამდვილ კულტურას, რომელიც, რა თქმა უნდა, დასავლეთშიც იქმნება. აი, აქ კი, დაე, იყოს ტალანტებს შორის შეჯიბრი. ხოლო კონკურენცია დასავლეთის მასობრივ კულტურასთან აშკარად წაგებული საქმეა. თუნდაც მხედველობაში მივიღოთ ის გარემოება, რომ მასობრივი კულტურა, საერთო ჯამში, ყველგან ერთნაირია, რაც აქ არის, იგივეა, იქ. როგორც დღიძლი დები, ისე ჰგვანან ერთმანეთს.

— უფრო სწორად, როგორც ბიძაშვილები. მაგრამ განვაგრძოთ. ვლადიმერ სულიერ და მატერიალურ კულტურას შორის არსებული ურთიერთკავშირების რთულ სისტემაზე, მწერლისა და მკითხველის ურთიერთდამოკიდებულებაზე, როგორ ფიქრობთ, ასრულებს კრიტიკა რაიმე როლს ამ პროცესში? და საერთოდ სჭირდება ლიტერატურას კრიტიკა? სხვათაშორის არც თუ ისე რიტორიკული კითხვაა. ყოველ შემთხვევაში ს. მიხალკოვის ამასწინდელი გამოსვლიდან, რომელმაც სხვა მწერლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო „ლიტერატურაშია გაზეტას“ (10 სექტემბერი, 1986 წელი) ფურცლებზე გამართულ მიმდინარე კრიტიკის პრობლემების განხილვაში, ნათელია, რომ საუკეთესო კრიტიკოსები — თვით მწერლები არიან, რადგან კრიტიკოსი — პროფესიონალები ცდილობენ ან მწარედ ატყინონ გული, ანდა ექცვიან დაჯგუფებების მიკერძოებულობის ტყვეობაში. ამიტომ, მათგან ობიექტურ მსჯელობას, უეჭველია, არ უნდა მოვლოდეთ. რას ფიქრობთ

თქვენ ამის თაობაზე? გჭირდებათ თქვენ კრიტიკა?

— ნუთუ აუცილებელია იმის შტკიცება, რომ კრიტიკა დამოუკიდებელი სახის შემოქმედებითი მოღვაწეობაა. იგი მიდის ლიტერატურის, მწერლობის მხარდამხარ და განუზრუნველყოფილ მგზავრები არიან. პირადად მე, თავს ძალიან ცუდად ვიგრძნობდი, თუ, დავუშვათ „საქალათო კუნძი“ არ გამოიწვევდა არავითარ კრიტიკულ გამოხმაურებას. კრიტიკას შეუძლია დამტკიცოს, შეუძლია უარუოს. გასაგებია, როცა გაქებენ. — ხასიაზოვნოა, როცა გლანძღავენ — ხაწყენი. მაგრამ საჭიროა ამასაც ღირსეულად შეხვდე, თუ, რა თქმა უნდა, კრიტიკა, როგორც იტყვიან, თავის სიმაღლეზეა. რადგან მასაც ხომ აქვს თავისი პრობლემები. არის კრიტიკა, რომელიც პროპაგანდას უწევს მასობრივ კულტურას. ეს ერთი. არის კრიტიკა, რომელსაც საქმე აქვს ნამდვილ ლიტერატურასთან. ეს სხვაა. თუმცა ეს უკანასკნელიც მონოლითი არ არის. ერთნი ფიქრობენ საერთო საკაცობრიო ფახეულობებზე, მეორენი კულტურაში, უბიძგვლებს ყოველიხა ეროვნულ ხულს ეძებენ. მაგრამ, ასეა თუ ისე, კრიტიკის არსებობა სრულიად აუცილებელი პირობაა მხატვრული ლიტერატურის არსებობისათვის, მისი განვითარებისათვის.

— ახლა კი, აი, რა მინდა გკითხოთ. ჰემინგუეის გამოსვლაში ნობელის პრემიის მიღების დროს ნათქვამია: „მწერლის ცხოვრება, როდესაც იგი მწვერვალზეა, მარტოობაში მიმდინარეობს... თუ თავს დააღწევს მარტოობას, ამაღლდება, როგორც საზოგადოებრივი ფიგურა და ეს ხშირად მისი შემოქმედების საზიანოდ ხდება“. მეორე ამერიკელმა მწერალმა — თუმცა იგი გასულ საუკუნეში ცხოვრობდა — ჰენრი ტორომ, შევითხვაზე, მოგზაურობს თუ არა ბევრს, უპასუხა: მე ბევრს ვმოგზაურობ კონკორდში და მის გარეუბნებში. არ ვიცი, ყოფილხართ თუ არა თქვენ იქ — ეს პატარა ქალაქია ახალ ინგლისში, აშშ-ის ატლანტიკის სანაპიროზე. შექერში რამდენი ადამიანი ცხოვრობს.

— დაახლოებით სამა ათასი.

— აი რა, XIX საუკუნის კონკორდი — ეს დღევანდელი შექერია, შეიძლება უფრო პატარაც, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ტორო იქიდან წელიწადნახევრით წავიდა და აიგო ქობი უოლდენის პატარა ტბის ნაპირზე — ამ განდევილობის შედეგი გახდა ცნობილი წიგნი, — გამოდის, რომ მისთვის სულ პატარა კონკორდიც კი ხალხმრავალი ყოფილა თქვენ კი სხვა მრავალ თანამედროვე მწერლების მსგავსად მოგზაურობთ მთელს მსოფლიოში, გამოდიხართ სხვადასხვა კონგრესებზე, ხართ დეპუტატი, ხელმძღვანელობთ რესპუბლიკის

მწერალთა კავშირს, ხართ სსრკ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის წევრი, კიდევ სხვა კომიტეტები, საბჭოები და ა. შ. მესმის თქვენი ასეთი საზოგადოებრივი ტემპერამენტი, მაგრამ, როგორც მწერალს გჭირდებათ ყველაფერი ეს? ეს ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელიც ხალხის თვალწინ მიმდინარეობს, აისახება თუ არა რამენაირად თქვენს შემოქმედებაში?

— იცით, რომ შემეძლოს ყოველივე ამისგან თავის დაღწევა, რომ მითხრან: წერე, შენგან მეტი არაფერი არ გვინდაო — მე სულერთია, მაინც განვაგრძობდი მოგზაურობას, ადამიანებთან შეხვედრას, გამოსვლებს. არ მესმის, სხვანაირად როგორ უნდა შევიცნო და დავინახო სამყარო. შეიძლება არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ წერონ წელიწადში სამას სამოცდახუთი დღე. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ, ალბათ, შეიძლება. ყოველ შემთხვევაში მე მათ რიცხვს არ ვეკუთვნი. ერთია — ურთიერთობა გვექონდეს ორ-ხამ ადამიანთან, კარგია თუ იხინი ჭკვიანი ადამიანები არიან. სხვა საქმეა — ათასი, ათასები, რომელთა შორისაც აუცილებლად ვიპოვი ასობით საინტერესო, ახორდინარულ ადამიანებს.

რა თქმა უნდა, ყველას სხვადასხვანაირად აეწყობა ცხოვრება, ყველას თავისი უნდა. აი, თქვენ ამბობთ, რომ ჰემინგუეი...

— ეს უფრო იმიტომ, რომ თქვენი გამოწვევა მსურდა. ისე კი, მის სიტყვაში ბევრი კმაყოფილებაა. სხვათაშორის, ახალგაზრდობაში, მან, როგორც გაზეთის კორესპონდენტმა, მთელი ევროპა შემოიარა. უკვე ცნობილი მწერალი — გამოვიდა კულტურის დაცვის პარიზის კონგრესზე, შემდეგ გაემგზავრა მეზობელ ესპანეთში. და რომ არ ყოფილიყო ყოველივე ეს, რა დარჩებოდა? რამდენიმე თუნდაც შესანიშნავი, ნოველა და „ფრიკის მწვანე ბორცვები“.

— აი, ხედავთ, ომის შემდეგ ჰემინგუეის ტალანტმა თანდათან შესუსტება იწყო. იმიტომ ხომ არა, რომ იგი მართლაც შეეცადა განმარტოებას?

— თქვენ აქ მგონი გადააჭარბეთ, მართალია, ჰემინგუეიმ თავისი საუკეთესო წიგნები — 20—30-იან წლებში დაწერა, მაგრამ ომის შემდეგომაც ხომ გამოვიდა ცნობილი წიგნი „ზღვა და მოხუცი“?

— დიახ, ნოველა, რა თქმა უნდა, შესანიშნავია. მხოლოდ, მაპატიეთ და, თქვენმა კოლეგა — კრიტიკოსებმა ხაკმაოდ იზრუნეს იმისათვის, რომ მისგან მიღებული შობებუდილება წამხდენოდა.

— მართლა? როგორ შევძელით ეს?
— როგორ და „ზღვა და მოხუცი“ ყოველთვის აღარებენ ჩემს „ჭრელ ძაღლს...“ ე. ი. რა

თქმა უნდა, პირიქით. „ჭრელ ძაღლს...“ „მოხუცსა და ზღვას“.

— და რა არის ამაში კული?
— იცით, მე ძალიან მიუვაარ „ჭრელი ძაღლი...“ შეიძლება ეს საერთოდ ყველაზე საყვარელი წიგნია ჩემს მიერ დაწერილ წიგნებს შორის. დღემდე მასზე ვსაუბრობ ჩემს ადგილებში და თავისუფლად ვწერდი. შეიძლება ამიტომ ვეწინააღმდეგები შინაგანად ყოველგვარ შედარებას, თუნდაც იგი ჰემინგუეი იყოს.

— არა მგონია, კრიტიკოსები ვალდებულნი იყვნენ ანგარიში გაუწიონ ავტორის გატაცებას, მაპატიეთ და ჩემს პირად გამოცდილებას დავიმოწმებ.

ახლახან გამოქვეყნობას ჩავაბარე წიგნის ხელნაწერი, რომელშიც გატარებულია, სხვათაშორის ეს მართლაც გავრცელებული შედარება. მე ნამდვილად არ ვიცოდი, რომ თქვენ ეს გულს გატკენდათ, მაგრამ, რომ მცოდნოდა, სულერთია უარს მაინც არ ვიტყოდი მასზე. თუმცა თქვენი ნათქვამი მიბიძგებს ერთ-ერთ შეკითხვაზე, რასაც ყოველთვის გეკითხებიან. ასე რომ, ალბათ, პასუხებიც უკვე მოგებურდათ. თუმცა ეს იმდენად კითხვა არ არის, რამდენადც დაგვირგვინა. „ჭრელი ძაღლი“... — „ზღვა და მოხუცი“ „და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე“ — „მარტოობის ასი წელი“, ანალოგიები, მოგწონთ თუ არ მოგწონთ, ბუნებრივია: აქაც და იქაც მითია, მითოლოგიური ცნობიერების მხატვრული გამოკვლევა. მხოლოდ, მე მგონი, როცა ხაზს უსვამენ ნამდვილად არსებულ მსგავსებას, ყოველთვის არ აქცევენ ყურადღებას მნიშვნელოვან განსხვავებას. ერთ-ერთ მათგანზე თქვენ თვითონვე ილაპარაკეთ დღეს ჩემი აზრით არის სხვა განსხვავებაც. გარსია მარკესთან მითი მთლიანად ახშობს ინდივიდუალურ საწყისს. თქვენს წიგნებში კი მითი, მე მგონი არ უშლის, პირიქით, ხელს უწყობს პიროვნების ზრდას. შემდეგ, კოლუმბიელ მწერალთან (ნაწილობრივ ფოლკნერთან) მითი ხშირად წარმოგვიდგება, როგორც დახასვსებული, ჩამორჩენილი ძალა. გავიხსენოთ თუნდაც „პატრიარქის შემოდგომა“. ასეთი შეხედულება, ჩემი აზრით, არც თქვენთვისაა უცხო, („თეთრი ბომალდი“, ლეგენდა მანქურთებზე რომანიდან „და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე“) და მაინც, იგრძნობა, მთავარი, — მითის გმირული, შემოქმედებითი საფუძველი.

— რა მეთქმის, ეს ალბათ, ლიტერატურათმცოდნის დაკვირვება და, შესაძლოა, შეხედულებაც იყოს. არსებითად კი... მითი შეიძლება იმდენად სჭირდებოდეს ლიტერატურას, რამდენადაც იგი საინტერესო იქნება მკითხველისათვის, რამდენად გაიტაცებს მას, გაამდიდ-

რებს მკითხველის ცოდნას სამყაროზე. თუკი მითი — უბრალო სამყარულია, თუ არ არის მისი აუცილებლობა, მაშინ გვერდი უნდა ავუაროთ. თუ გარსია მარკესს ეხაპიროება მითი, მიმართავს მას და კიდევ იპყრობს მკითხველის ყურადღებას. „მარტოობის ასი წელი“ შესანიშნავი წიგნია, რომელიც შეუწელებლი ინტერესით იკითხება. ეს არის და ეს.

— თუ კითხულობთ რაიმეს მხატვრული ლიტერატურის გარდა?

— უკანასკნელ წლებში სწორედ მხატვრულმა ლიტერატურამ გადაინაცვლა უკანა პლანზე.

— მაშინ რა გამოდის პირველ პლანზე?

— სხვადასხვა ხასიათის წიგნები. ისტორიული, ბიოგრაფიული, ავტობიოგრაფიული, სამეცნიერო თხზულებანი, რომლებიც განსაკუთრებით არიან დაკავშირებული აღორძინების ეპოქასთან. საფუძვლიანად შევისწავლე ა. ფლოსცის ნაშრომი აღორძინების ხანის ესთეტიკის შესახებ. მაგიდაზე მიდევს „მსოფლიოს ხალხთა მითების“ ორტომეული. მხატვრულ ლიტერატურას კი ამჟამად დიდი შერჩევით ვკითხულობ. წიგნს გადავშლი, თუ წავეკითხავ ხუთ-

ეჭვს გვერდს და ინტერესს არ ვიგრძნობ. უბრალოდ, გვერდზე გადავდებ ხოლმე. უწინ სხვა-ნაირად იყო.

— და ბოლოს უკანასკნელი მკითხველი შეკითხვა ბანალურია და, ახლა, როცა ეს-ეს არის გამოვიდა ახალი რომანი, შესაძლებელია კი, წერთ რაიმეს? ან აპირებთ „მარტოობის“ შეიდი წლის წინ ლიტერატურის მკვლევართან ი. გუჩკესთან საუბარში წამოგცდათ, რომ ჩაფიქრებული გქონდათ წიგნი, რომელშიც აღდგენილი იქნებოდა პატრიარქალური ცნობიერების გამოცდილება თავისი სიხარულითა და ჩრდილოვანი მხარეებით. რა მოუვიდა მას?

— იცით, ეს ჭაა, რომელშიც ჯერ ისევ ბევრი წყალია და ფხკერი არ უჩანს. მაგრამ დღეს ამ თემაზე ლაპარაკი არ მსურს. ჯერ ერთი, საჭიროა გავერკვე მიმდინარე საქმეებში. და, რაც მთავარია — წამოიჭრება რაღაც ჩანაფიქრი, ილაპარაკებ მასზე, მერე კი სულ სხვა რამ გამოდის. მხოლოდ ერთი რამ ვიცი მტკიცედ — უნდა ვწერო. და ისევე მომიწევს დაწყება, როგორც ყოველთვის ვიწყებდი — თითქოს უკან არაფერია, თითქოს ყველაფერი პირველად ხდება.



თარგმანი კომენტარით

მატი ჰინტი

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ტალინის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი

ესტონურიდან
თარგმნა აშირან კალაძემ

ორენოვნების პრობლემა ვარდისფერი სათვალის გარეშე

ძირითადი ტერმინების განმარტება:

ორენოვნება, ბილინგვიზმი — ეს არის ამა თუ იმ ინდივიდის უნარი თანაბარი ან დაახლოებით თანაბარი წარმატებით იმეტყველოს ორ ენაზე. მთლიანად ორენოვან ადამიანს შეუძლია თავისუფლად, როგორც იტყვიან, ნახევარსიტყვაზე გადაერთოს ერთი ენიდან მეორეზე.

ორენოვნება ძირითადად ენის შეთვისების ასაკში, (ხუთ-ექვს წლამდე) ოჯახში ან ორენოვან გარემოში მიიღწევა და არა უცხო ენის სწავლების მეთოდებით.

საბჭოთა ორენოვნების პროპაგანდაში შემოთავაზებულ ტერმინს საკმაოდ არათანმიმდევრულად მიმართავენ. არცთუ იშვიათად

ორენოვნებაში ხაკუთარი აზრის ხევა ენაზე გამოთქმის ელემენტარულ უნარს გულისხმობენ. ამასთანავე ეჭვს არ იწვევს, რომ თუნუკის „რუსული ენა მეორე მშობლიური ენა“ ხწორედ სრულ ორენოვნებას გულისხმობს.

ლინგვისტური თვალსაზრისით უცხო ენად ითვლება ნებისმიერი არამშობლიური ენა. ჩვენთან ენები დაყოფილია საზღვარგარეთულ და სხრ კავშირის ხალხთა ენებად. აქვე უნდა დავძინოთ, რომ პოლიტიკური საზღვრების არ არსებობა სრულენითაც არ ადვილებს ენის შესწავლას. ამიტომ, ბუნებრივია, რუსული ენა ასე მილიონი საბჭოთა ადამიანისათვის პრინციპში „საზღვარგარეთულ“ ენას წარმოადგენს.

რუსული ენა საბჭოთა კავშირის ხევადასხვა ეროვნების ადამიანთა ურთიერთობის ენაა. ეთნიკურად შერეულ დისახლებდათა ენაა lingua franca ეწოდება. ამ ფუნქციის მატარებელი ნებისმიერი ენა, ბუნებრივია, ერთგვარ გაუბრალოებას განიცდის და რამდენადმე მახინჯდება კიდევ კულტურული ენის დონეს ეს ენა მხოლოდ და მხოლოდ ერთენოვანი ურთიერთობის პირობებში ინარჩუნებს.

თუ lingua franca ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოიყენება, ამ შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია თავი იჩინონ ისეთმა ვარიანტებმა, რომლებსაც ადგილობრივი ენების გავლენის შედეგად გამარტივებული გრამატიკა და შეზღუდული ლექსიკური შემადგენლობა დაშახსიათებელი. ამგვარ მოვლენას ფიქინი ეწოდება. კოლონიზატორთა ყველა დიდმა ენამ (ლათინური, პორტუგალიური, მალანდაური) კოლონიზებულ ქვეყნებში ფიქინ-ენების წარმოქმნას შეუწყობ ხელი.

თუ ფიქინენოვანი საზოგადოება დამოუკიდებლობას მოიპოვებს, ხოლო მისი ენა ერთადერთ სამეტყველო ენად იქცევა, ასეთ პირობებში იგი სწრაფად ვითარდება და რამდენიმე თაობის შემდეგ სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება. ასეთ ენებს ძრეილი ეწოდება. ბული ენები ეწოდება. ენის კრეოლიზაციას უწოდებენ აგრეთვე სოციალურად და პოლიტიკურად დომინირებული ამა თუ იმ ენის შექმნის გავლენას მოცემულ საზოგადოებაში დაბრუნებულ ენაზე. ასე და ამრიგად, კრეოლიზაცია ნიშნავს პრიმიტიული ფიქინ-ენის სრულყოფილი ენის დონეზე განვითარებას (პოლიტიკური განვითარება) ან დამოუკიდებელი ენის სრულყოფის დაშლას დომინირებული ენის გავლენით (ნეგატიური განვითარება).

ჩვეულებრივად, შემოთადნისნული ტერმინები ლიტერატურაში ხაკმაოდ არათანმიმდევრულად იხმარება. აქვე უნდა დავძინოთ, რომ lingua

franca -ს, ფიქინს, კრეოლიზებულსა და შერეულ ენებს მრავალი საერთო თვისება ახასიათებთ.



1. პრობლემები

სხრ კავშირის შემთხვევაში ეროვნების ხალხთა ორენოვნება მრავალ დოკუმენტში, სადირექტივო პროგრამებშია თუ საზოგადოების განვითარების ხევადასხვა მოდელებში ხელშეუბებელი აქსიომის დონეზეა აყვანილი. ესტონეთის რესპუბლიკაში უკვე მრავალი წელია დღის წესრიგში ხაკმაოდ მძაფრად დგას ესტონურ-რუსული და (ნაკლებ მძაფრად) რუსულ-ესტონური ორენოვნების დანერგვის საკითხი. პრაქტიკულად განხორციელებულ დონისძიებათა რიცხვს განეკუთვნება შერეული საბავშვო ბაღების ორგანიზაცია, საბავშვო ბაღებში რუსული ენის ინტენსიურად სწავლების დანერგვა, რუსული ენის სწავლების დონის ამაღლება სკოლებში, უფროსად „რუსკიაში“ ვ ესტონურ შკოლა“-ს დაარსება, რომელიც ძირითადად რუსული ენის სწავლების საკითხებს ეძღვნება, რუსულ ენაზე არსებულ გამოცემათა ხვედრითი წილისა და რადიო-ტელეგადაცემათა რაოდენობის გაზრდა, რუსული ოპერების მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ენაზე დადგმა. ტალინის პედაგოგიურ ინსტიტუტში ესტონური ენის მასწავლებელთა მომზადება რუსული სკოლებისათვის და სხვ.

სხვა ენის მასობრივად სწავლების პროცესში, რა თქმა უნდა, მიუღებელია იმ კულტურული მოტივაციის უგულებელყოფა, რომელიც ენის შესწავლას ნებაყოფლობის სტიმულს შესძინდა. რაც შეეხება არამშობლიური ენის სწავლას საყოფაცხოვრებო თუ სამუშაო პირობების გავლენით, ეს იქნება საბავშვო ბაღებში, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში თუ საინფორმაციო დაწესებულებებში. ძირითადად პრაქტიკული მოტივაციითაა განპირობებული და არამც და არამც არ გამომდინარეობს ადამიანის შინაგანი მრწამსიდან. როგორც ჩანს, არამშობლიური ენის შესწავლაში გარკვეული წარმატების მიღწევა მართლაც შეიძლება ხევადასხვა სტრატეგიის გამოყენებით, მაგრამ ამ სტრატეგიათა ღირებულება ერთობ განსხვავებულია.

ვფიქრობთ, არამშობლიური ენის შესწავლის კულტურულ მოტივაციას ჩვენში ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ეძლეოდა სათანადო შეფასება, რამაც თავის მხრივ, მიგვიყვანა კიდევ არაკეთილსახურველ შედეგებამდე. იხიც ცნობილია, ხწირ შემთხვევაში, თუ რა გადა-

კარბებულის შეფასება ეძლეოდა ამა თუ იმ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს. სინამდვილეში კი ესტონეთის რესპუბლიკაში ზოგჯერ შესაძლებელი ხდება საკმაოდ მაღალი პოსტი დაიკავოს პირვნებამ რომელსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს ესტონურ კულტურაზე, და უფრო მეტიც, არავითარ ინტერესს არ იჩენს ესტონური ენის შესწავლისადმი მაშინაც კი, როცა ამ პოსტზე ესტონური ენის ცოდნა თითქოს თავისთავად უნდა იგულისხმებოდეს. მართალია, ესტონურ სკოლაში რუსული ენა თერთმეტი წლის მანძილზე ისწავლება, მაგრამ შედეგი, როგორც წესი, არც თუ მთლად დამაკმაყოფილებელია. ამგვარი ვითარების შეცვლა კი ადმინისტრაციული ზომებით შეუძლებელია. ადმინისტრაციულად თავს მოხვეულ ორენოვნებას ხვდა ხაეჭვო ასპექტებიც გააჩნია, რომლებიც დღემდე მიფურჩეული იყო და სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, ეს ის ასპექტებია, რომლებიც უმთავრესად ორენოვნების მეცნიერულ, პირველ რიგში ლინგვისტურ, ფსიქოლოგიურ, ფსიქო-ლინგვისტურ შეუსწავლელობასთანაა დაკავშირებული. აქვე უნდა აღინიშნოს ჩვენს ხელთ არსებული მეცნიერული მონაცემების, პიპეტებისა და თეორიების ცალმხრივად კონსტრუქტურული გააზრება ბილინგვიზმის ხასარგებლოდ. ორენოვნებით გამოწვეული სიმძნელები, ეჭვი და საშიშროებანი ჯერ კიდევ შორსაა საფუძვლიანი გამოკვლევისაგან.

ადმინისტრირებით წარმართული ორენოვნება თავის მხრივ წარმოადგენს კოლოსალურ ექსპერიმენტს მთელ რიგ ხალხებზე, რომელსაც უკიდრგანო მახშტაბების გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მივყავართ. აქ ყველაზე წვრილმანი ხარვეზიც კი ადვილად შესაძლებელია იმოღენა ტრაგედიაში გადაიზარდოს, რომელიც რამდენიმე თაობაში ჰპოვებს თავის გამოძახილს. მეცნიერები კი დუმან. მრავალწლიანი სოციალური გამოცდილება დღესაც არ რჩება ყურადღების გარეშე. მხედველობაში გვაქვს სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებული ნათელი ხსოვნა. ხსოვნა აკადემიკოს ნიკოლოზ ვავილოვისა (1887-1948), გამოჩენილი ენათმეცნიერის ი. პოლივანოვისა (1890-1987) და „ხსოვნა“ „ახალი აგრობიოლოგიის“ დამაარსებლის ტრიფონ ლისენკოს თავბრუდამხვევი წარმატებისა. დღესაც არ რჩება უყურადღებოდ ნ. მარის შრომა „ენის ახლებური სწავლების“ შესახებ. (ესტონურ საბჭოთა ენციკლოპედიაში ვხვდებით სტატიას ნ. მარზე და არა პოლივანოვზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს გარკვეული კავშირი ჰქონდა ესტონეთთან და ესტონური ენის კვლევასთან.) კონსტრუქტურული შესაშურ აქ-

ტიურობას იჩენენ ბილინგვიზმის პროპაგანდაშიც. ვრცელდება ინფორმაცია, რომელშიც ნაირგვარ განმარტებათა დამხვევი დებულებები პოლიტიკურ ლოზუნგთა უმთავრეს საყრდენადაა გამოყენებული. ხშირ შემთხვევაში შესაბამისი ფაქტებითა და არგუმენტებით გაუმაგრებელი დასკვნებიც ხელმძღვანელებენ. „თეორეტიკოსების“ ერთი ნაწილი არც კი მაღავეს, რომ მათი თეორია მოკლე დროში რუსულენოვან კულტურაზე გადასვლას გულისხმობს*. ბილინგვიზმს კი ამ მიზნის მიხედვით აუცილებელ, გარდამავალ საფეხურად თვლიან (როგორც წერს კიდევ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი მ. გუბოგლო თავის თეორიულ სტატიაში „ორერთიანობის საფუძველზე“. გაზეთი „სოვეტსკაია ესტონია“, 1986 წ. 28 იანვარი). ხმამაღალმა ფრაზებმა და კეთილშობილურმა პრინციპებმა ოდნავადაც ვერ შეუშაღეს ხელი რეალურ სოციალიზმს გაეზარდა ადამიანები (თქვენ წარმოიდგინეთ სამეცნიერო ხარისხებითაც კი). რომლებიც მცირერიცხოვანი ხალხების ენებსა და კულტურებს უპატივცემლოდ, ამრეშით და ქედმაღლურად გადმოხედავდნენ. მათთვის და მათ მსგავსთათვის რეალურად მხოლოდ საწარმოო პროცენტები და შრომის ნაყოფიერების უცილობელი ზრდა არსებობს, ხოლო ნაციონალური ენა და ნაციონალური კულტურა, თავის ისტორიულ მიწა-წყალზე ხალხის რიცხოზრივი უმრავლესობა ან უმცირესობა, მათი აზრით, იმდენად უმნიშვნელო რამაა, რომ მათზე სიტყვის ჩამოგდებაც კი შეზღუდულობის, წვრილმანი ყოფაქეცხობისა და ნაციონალური კარჩაკეტილობის გამოვლინებად ითვლება. თითქოს მარტოდენ საწარმოო პროცენტებზე ფიქრი იყოს საჭირო და არა იმაზე, თუ ვისთვის და რისთვის ვახვავებთ ამ პროცენტებს. და მაინც, კაცობრიობას არა მარტო შრომის ნაყოფიერების ამაღლება, არამედ შემოთავნიშნული პრობლემების აქტუალობაც აღელვებს. ხოლო კეთილსინდისიერი მშრომელები იქნებ უფრო მძაფრადაც კი აღიქვამენ ყოველივე ამას.

როგორც ბეჭდვითმა ორგანოებმა შეგვატყობინეს, „ტალგირისის“ კალათურთელთა გუნდის გამარჯვებამ ლიტვის რესპუბლიკაში მეო-

* აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს გასული საუკუნის კოსმოპოლიტი ქართველის, რუსეთის იმპერიის ლაქისა და საიდუმლო მრჩევლის გიორგი მუხრანბატონის ავადსახსენებელ წიგნაკში ჩამოყალიბებული „თეორიები“ ქართული ენის უსუსურობისა და რუსულ ენაში მისი ათქვეფის გარდუვალობის შესახებ. (მთარგმნელი)

რე დღესვე შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდა და მშრომელთა გუნება-განწყობილების ამაღლება გამოიწვია. თუ დედამიწაზე დასახლებული ყველა ხალხი დარწმუნდება იმაში, რომ მისი სიცოცხლე, ეროვნული კულტურა და მამა-პაპათა მიწა-წყალი საიმედოდაა დაცული, უეჭველია ყველა პრობლემა ბევრად უფრო ადვილად გადაწყდება, მათ შორის საწარმოო პრობლემებიც.

ორენოვნების პრობლემას ბევრი ჯერ კიდევ ოპტიმიზმის ვარდისფერი ხათვლიდან ქვრეტს. სწორედ მსგავს ცალმხრივ პოზიციას შეუძლია გამოიწვიოს ცრუ გადაწყვეტილებანი. ხშირ შემთხვევაში გამოუხსნორებელიც კი ამიტომ აუცილებელია საზოგადოებრიობაში და პასუხისმგებელმა პირებმაც რაც შეიძლება მეტი იცოდნენ ბილინგვიზმის ჩრდილოვანი მხარეების შესახებ. როცა ორენოვნების დადებით მხარეებს აღვნიშნავთ (სწრაფ გონებრივ განვითარებას ძლიერი ფსიქიკური წყობის ბავშვებში, ინფორმაციის მიღების ფართო შესაძლებლობებს, ინტენსიურ კულტურულ კონტაქტებს და სხვ.), პირველ რიგში უურადდება უნდა მივაქციოთ იმ ნაკლებადსახიამოვნო მომენტებს, რომლებზედაც დღემდე ან ნართაუღალა წერენ და ლაპარაკობენ, ან არადა პირში წყალს იგუბებენ: 1. ორენოვნების მოსალოდნელი ნეგატიური შედეგები ინდივიდისადმი. 2. ორენოვნების მოსალოდნელი ნეგატიური შედეგები მცირერიცხოვანი ხალხების ენისადმი. 3. ორენოვნების მოსალოდნელი ნეგატიური შედეგები მრავალრიცხოვანი ხალხის ენისადმი (მოცემულ შემთხვევაში რუსული ენისადმი) 4. ფსიქოლოგიური ხასიათის სიძნელეები შრომით კოლექტივებსა და ოჯახებში.

2. ორენოვნების გავლენა პიროვნებაზე

ჩვენთან დაუფარავად ლაპარაკობენ ორენოვნების მხოლოდ იმ მხარეებზე, რომლებიც პოზიტიურ გავლენას ახდენენ პიროვნებაზე: — ურთიერთობათა შესაძლებლობების გაფართოებაზე, მსოფლიო კულტურისა და საინფორმაციო წყაროების ხელსმისაწვდომობაზე, ნაციონალური გადმონაშთების ხავარაუდო შემცირებაზე და სხვ.

მაგრამ საბავშვო ასაკში მეორე ენის დაუფლება წარმოადგენს იმ ფსიქოლინგვისტურ პრობლემას, რომელსაც ყველა მოზარდი ერთნაირი წარმატებით როდი ართმევს თავს.

ენის შესწავლის პროცესში ბავშვი შეიძლება ერთგვარ მანქანასაც კი შევადაროთ. ოღონდ მასში გენეტიკურად დაპროგრამებულია მ რ ტ ი (ნებისმიერი) ენის შეთვისება და არა ორისა ერთდროულად. ზუსტად ისევე, როგორც

ახალშობილთა ოთხმოცდაცხრამეტ პროცენტს გენეტიკურად დაპროგრამებული აქვს მარჯვენა ან მარცხენა ხელის უფრო მარჯვედ ხმარება და არა ორივესი თანაბრად.

როგორ მიმდინარეობს ხაერთოდ ბავშვის ენობრივი განვითარება? მეტყველების ორგანოების ზუსტი კოორდინაციის ჩვეულებრივად ხამი-ოთხი წლის ასაკში დასრულდება ხოლმე. მშობლიური ენის გრამატიკის ძირითდი ნაწილის ათვისება კი ხუთი ექვსი წლის ასაკში ხდება. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება უფრო რთული კონსტრუქციების შესწავლა. სტილისტურ სახესხვაობებში ორიენტირებას ბავშვი ათი წლის ასაკში ახერხებს, ოღონდ ეს კია, რომ ამ სახის ჩვევები შედარებით გვიან ვითარდება. ლექსიკური მარაგის გაფართოება და სიტყვების მნიშვნელობის დაზუსტება გარკვეული გამოცდილების დაგროვებისა და განათლების გაღრმავების მჭიდრო კავშირში ვლინდება. პიროვნების სოციალიზაციის პროცესში ვითარდება ენის მოხმარების სოციალური უნარი: სიტუაციისადმი ენის მიხადაგება, ვისთან როგორ ილაპარაკო, ვის როგორ მისწერო, ვის როგორ უხმინო, რაზე შეიძლება ან არ შეიძლება ლაპარაკი ამა თუ იმ საზოგადოებაში და ა. შ. ენის სტილისტური დონე და მეტყველებითი ქცევის ეთიკა — აი, ყველაზე რთული შრეები ენისა. ბავშვის ხათვის არ არსებობს საუბრის დაყოფა მისაღებ და მიუღებელ თემებად. ხუთი წლის ბავშვს შეუძლია გრამატიკულად სწორად იმეტყველოს, ოღონდ მისთვის არ არსებობს, ვთქვათ, ისეთი პრობლემა, როგორცაა სულელურზე ან ინტიმურზე საუბრის მიზანშეწონილობა. კლასობრივ საზოგადოებაში პრივილეგირებულ ბავშვთა აღზრდაში სამეტყველო ეტიკეტს სოციალურ ეტიკეტთან ერთად გამორჩეული ადგილი ეჭირა. ჩვენს დროში ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, გაცილებით ნაკლებ შეგნებულ საშუალებებს მიმართავენ.

რაც შეეხება ორენოვნებას, აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მეორე ენის სტილისტური თავისებურებანი და სამეტყველო ეთიკეტი იმდენად განსხვავებული ფენომენია, რომ მისი სრულყოფილი ათვისება არა თუ ძნელი, უმრავლეს შემთხვევაში ხაერთოდ მიუღწეველიც კია. ესტონური ენის მატარებლებს არ შეუძლიათ, მაგალითად სახელითა და მამის სახელით მიმართვა* ესტონელისათვის

* იგივე შეგვიძლია ვთქვათ ქართული ენის სამეტყველო ეთიკეტის შესახებაც, რომელშიც ასე ძალდატანებით და არაბუნებრივადაა ჩატვილი მამის სახელით მიმართვის ფორმა (მთარგმნელის შენიშვნა).

დიდ სიძნელეს წარმოადგენს მამის სახელის წამდაუწყებლად ხსენებაც კი, რომ არაფერი ვთქვათ ამგვარი მიმართვის სტილისტურ შეფერილობაზე (თავაზიანობის გამომხატველი იქნება ის, გულითადობის, ფსიქოლოგიის, ნახევრადოფიციალურის თუ უველაფერის ერთად აღებული).

თუკი მეორე ენაზე ურთიერთობა ჰქონდა მშობლიური ენის სტილისტური ნიუანსების ათვისებამდე იწყება, ამ შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია თვით მშობლიური ენა გახდეს სტილისტური გაგებით არასრულყოფილი. სწორედ აქედან იღებს სათავეს სტილისტური ნიუანსებისა და ენობრივი ურთიერთობის დეტალების ნიველირება. ასე და ამრიგად, ადვილი შესაძლებელია ენობრივი კულტურის უმაღლესი წინაშენი ბილინგვთა უმრავლესობამ ვერც კი შეითვისოს (უარეს შემთხვევაში ეს ეხება ორივე ენას).

პრობლემები წარმოიქმნებიან ენის სხვა დონეებზეც. ორი ენის განსხვავებული ფონეტიკური შემადგენლობა ბავშვს დიდი ანალიტიკური დატვირთვის დაღს ასვამს. მან უნდა ისწავლოს ბევრად უფრო მეტი მსგავსი (უმნიშვნელოდ განსხვავებული) ბგერების გარჩევა, ვიდრე იმ ბავშვმა, რომელიც ერთენოვან გარემოში იზრდება. მაგალითისათვის, ესტონურ-რუსულ ორენოვნების შემთხვევაში ბავშვი ვალდებულია სწორად გაიგოს და წარმოთქვას ძლიერი p, t, k (რამდენადმე განსხვავებული ესტონურ და რუსულ ენებში) ყრუ ხ, d, g და მედერი ნ, რ, მ (რომელთაგანაც ერთს ვერ ვხვდებით რუსულში, მეორეს კი ესტონურში.) გარდა ამისა, იგი იძულებულია სწორ პოზიციაში გამოიყენოს ოდნავ შესამჩნევი განსხვავებანიც. (ეს თეორიულად. — სინამდვილეში კი პრობლემები კიდევ უფრო მძაფრდებიან. მათი კვლევა ლინგვისტებისა და ფსიქოლინგვისტების გადაუდებელი ამოცანაა.)

თუკი ბავშვი ამგვარ ან ანალოგიურ ამოცანებს ასე თუ ისე თავს ართმევს, (ადვილად მხოლოდ გამოწაკლისები ახერხებენ), მას გარკვეული წარმატების იმედი უნდა ჰქონდეს. შესაძლებელია ორივე ენის გამოთქმები აბსოლუტურად უაქცენტოადაც კი აითვისოს, მაგრამ თუ ბავშვს ამ ამოცანის დაძლევა არ, ძალუძს ხოლო მის ირგვლივ კვლავ და კვლავ გრძელდება ორი ენის მონაცვლეობით გამოწვეული დაბნეულობა (ასეთი ბავშვებისათვის კი ეს ფრიალ საშიში დაბნეულობაა) ამ შემთხვევაში მას მეტად არასახარბიელო პერსპექტივა — დეფექტური მეტყველება ან ნახევარენოვნება ემუქრება.

ნახევარენოვნება — ესაა ორენოვან გარემოში გაზრდილი ბავშვის უუნარობა,

რომელიც იმაში გამოიხატება, რომ მას არ შეუძლია ნათლად გადმოხცეს თავისი აზრი არც ერთ და არც მეორე ენაზე (რა თქმა უნდა, ამგვარი უუნარობა ანაბიოტიკით ხნიერადამიანებზეც).

რაში ვლინდება ნახევარენოვნება? განუვითარებელ აბსტრაქტულ აზროვნებაში, რომელსაც არ შეუძლია ააგოს რთული ცნებანი. მ. გრამატიკული კავშირების გამოყენებისა და ანალიზის მიმართ უნდობლობაში. მ. საარტიკულაციო ორგანოების კოორდინაციის უკმარისობაში.

ამ მოვლენათა მიზეზები, რასაკვირველია, განმარტებას მოითხოვენ.

ძალიან დიდი განსხვავებაა იმაში, ბავშვი იზრდება ერთი თუ ორი ენის სამეტყველო რიტმის გავლენის ქვეშ. ორი სხვადასხვა რიტმის გავლენით შესაძლებელია საარტიკულაციო ორგანოების კოორდინაციამ ვერ მიაღწიოს საჭირო სიზუსტეს. ასეთ შემთხვევაში, არც თუ იშვიათად, ადვილი აქვს ამ კოორდინაციის დარღვევას, რის ხაფუძველზეც ენაბლუობა ან მეტყველების სხვა დეფექტები ვითარდება. სკოლაში ვლინდება დისბრაზია, ანუ ასოების სწორად წერისა და განლაგების უუნარობა (მშობლიურ ენაზეც კი). უველაფერი ეს კი კოორდინაციულ მოძრაობათა განუვითარებლობაზე მიგვანიშნებს.

ამასწინათ ტალინში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე მოსკოველმა მეცნიერმა ლ. ივანოვმა წარმოადგინა კვლევის შედეგები მეტყველების განვითარებისა და მეტყველებითი პათოლოგიის შესახებ. მისმა მოხსენებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის აზრი, რომ სწორედ ორენოვნებაა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში გამოვლენილი ენაბლუობის ერთ-ერთი მიზეზი. გარდა ამისა, ორენოვან ბავშვებს უფრო უჭირთ აღიქვან აბსტრაქტული ცნებანი. ორენოვანი საზოგადოება არამც და არამც არ უნდა გვესახებოდეს მაღალი ხულიერი კულტურისა და ნათელი იდეების ისეთ ხანიმუშო კერად, როგორც ეს არც თუ იშვიათად წარმოუდგენია მავანსა და მავანს. პირიქით, ფსიქიური დაწოლა, სტრესი და იძულებითი ორენოვნება ხელს უწყობს იმგვარი საზოგადოების წარმოშობას, რომელშიც ენაბლუობა პროცენტი საშუალოზე მაღალი, ხოლო აბსტრაქტული აზროვნების დონე საშუალოზე დაბალი იქნება. ორენოვან გარემოში მყოფი ბავშვი ყოველწამიერ გრამატიკულ პრობლემებს აწყდება ერთი მხრივ ორი ენის გრამატიკის ანალიზის სირთულის, მეორე მხრივ კი ერთი ენის გრამატიკული მოდელის მეორე ენაში მექანიკურად გადატანის გამო.

უველაზე საშიშად უნდა ჩაითვალოს ცენი.

ბი ს კ ა მ ო უ პ ლ ი ბ ე ბ ი ს ბ ა ნ უ მ ი-
 თ ბ რ ბ ე ლ ი უ ნ ბ რ ი. ბავშვის შემეც-
 ნებაში ამ უნარისა და მთლიანად გარე სამ-
 უაროზე წარმოდგენის ფორმირებაში სწორედ
 მშობლიური ენა გვეხმარება. ერთდროულად
 ორ ენას კი შეუძლია გამოიწვიოს დაბნეუ-
 ლობა, რის შედეგადაც აბსტრაქტული ცნე-
 ბები იმდენად გაუფერულდებიან, რომ შესაძ-
 ლებელია ბავშვი მათ მიმართ მერყევად განე-
 წყოს. კონკრეტული ცნებანი, რა თქმა უნდა,
 შორს დგანან ამგვარი საშიშროებისაგან, რა-
 მეთუ მაგიდა არის მაგიდა, თოჯინა კი თოჯინა.
 ასევე გასაგებია ეს ცნებანი ბავშვისათვის
 მეორე ენაზეც. მაგრამ რატომღა, მაგალითად
 „öppimine“ და „tegelemine“ (შდრ. რუსული
 „учиться“ და „заниматься“ ესტონურ და
 რუსულ ენებში სხვადასხვა მოხმარებისა და
 მოცულობის ცნებანი, რატომღა ესტონურს
 „rahu“ ერთ შემთხვევაში „мир“ ხოლო
 მეორეში — „покой“, იმიჯნებიან ერთმანე-
 თისაგან „крайний“ და „последний“, „длин-
 ный“ და „высокий“ — ესტონელითათვის
 ძნელი გასაგებია. მსგავს პრობლემებს აწყდე-
 ბა რუსი ბავშვიც ესტონური ენის შესწავლი-
 სას. მისთვის, მაგალითად, ძნელი გახარჩევია
 ისეთი ცნებები, როგორცაა „kodu“ და „maja“.
 (შდრ. გერმანული „Heim“ და „Haus“ (რუ-
 სულ ენაში ორივე მათგანი გამოითქმის სიტ-
 ყვით „дом“, რაც შეეხება ესტონურ სიტ-
 ყვებს „teadma“ და „tundma“ (შდრ. გერმა-
 ნული „Wissen“ და „kennen“) რუსულში
 ორივე გამოითქმება ერთი სიტყვით — „ЗНАТЬ“.

რაკი ბავშვი ძირითადად კონკრეტულ ლექ-
 სიკას ეყრდნობა, ამიტომ მის განვითარებაში
 ხარვეზები შედარებით გვიან იჩენს თავს. მისი
 გონებრივი შეზღუდულობა მუდავნდება მხო-
 ლოდ სწავლის პერიოდში და მოგვიანებით.

ბუნებრივია, ორენოვან გარემოში გაზრდილ
 ბავშვს ლექსიკური მარაგი მეტი აქვს, ვიდრე
 იმავე ასაკის ერთენოვან ბავშვს. მაგრამ აქ
 არც ის უნდა დაგვაფიწყდეს, რომ იმავე ორ-
 ენოვან ბავშვს გაცილებით მეტი რა და ბუნ-
 დოვნად ჩამოყალიბებული ცნებები აქვს, რომ-
 ლებითაც. როგორც იტყვიან, ორქოფულად
 სარგებლობს. საბოლოოდ შეგვიძლია დავას-
 ცნათ, რომ ფსიქოლინგვისტური განვითარე-
 ბის მხრივ ორენოვანი ბავშვი ხაზრძნობლად
 ჩამორჩება ერთენოვანს.

ორენოვანებასთან დაკავშირებული უარყო-
 ფითი მოვლენები განსაკუთრებით საშიშია ისე-
 ვე როგორც საშუალო და დაბალი დონის ნი-
 კიერების, აგრეთვე ხუხტი ფსიქიკური წყო-
 ბის მოზარდებისათვისაც. ასე რომ, აქ სავსებით
 საფუძვლიანად უღერს მეცნიერთა ერთი ნა-

წილის რიტორიკული შეკითხვა: — ორენოვ-
 ნება თუ ნახევარენოვნება?

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შე-
 რეული ბავშვის ორენოვნების გამოცდი-
 ლება საზღვარგარეთ. არამშობლიურ ენაზე
 სწავლების საბავშვო ბავშვების ფსიქო-
 ლინგვისტურმა ჩამორჩენილობამ სკოლის ასა-
 კისათვის შესაძლებელია ერთიდან ორ წლამ-
 დე მიადწიოს. არამშობლიურ ენაზე სწავლე-
 ბის სკოლაში კი ეს ჩამორჩენილობა კიდევ
 უფრო ხწრაფად დრმავდება.) ზოგიერთი მონა-
 ცემის თანახმად ასეთ არაკეთილსახურველ პი-
 რობებში აღზრდილი თორმეტი წლის მოზარ-
 დი თავისი ენობრივი განვითარებით ხშირ
 შემთხვევაში დაახლოებით რვა-ცხრა წლის
 ბავშვის დონეზეა.

მშობლიურ ენაზე სწავლების სკოლაში ეფექ-
 ტური მეთოდების გამოყენებით შესაძლებე-
 ლია რამდენადმე დაძლიონ კიდევ ამგვარი ჩა-
 მორჩენილობა, მაგრამ ძალზედ საეჭვოა იგივე
 მოახერხონ ჩვენმა სკოლა-გიგანტებმა, კლი-
 სებში მოსწავლეთა ყველაზე დიდი რაოდენო-
 ბით რომ გამოირჩვიან მთელს ევროპაში. აქ
 თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური
 მუშაობა ხომ პრაქტიკულად გამორიცხებულია,
 რის გამოც უმრავლეს შემთხვევაში ბავშვები
 სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

ორი ენის გავლენა ბავშვს ნაკლებ ტრავმას
 იყენებს იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ ენა-
 საც თავის სიტუაციურ როლს ანიჭებენ და
 თვითონ ბავშვსაც ინდივიდუალურად მეტ ყუ-
 რადღებას უთმობენ, ვთქვათ, მშობლებთან
 ურთიერთობისას გამოიყენება ერთი ენა, ბი-
 ნაზე მომუშავე აღმზრდელ- მასწავლებელთან
 კი მეორე (როგორც ოდესღაც თავადაზნაურ-
 თა ოჯახებში და ა. შ.) შენაცვლებით ორი ენის
 გამოყენება ბავშვს ფსიქიურად ძაბავს, რად-
 გან იგი ყოველ წამს მზადყოფნაში უნდა იყოს
 ორმაგი რეაგირებისათვის.

ნახევარენოვნების მსუბუქი ფორმები თავ-
 დაპირველად არც ისე გამოკვეთილად იჩენს
 ხოლმე თავს. მაგალითად, ენის თვალსაზრი-
 სით, ანომალური ბავშვი კითხვის სისწრაფით
 არა თუ ჩამორჩება, ზოგჯერ უსწრებს კიდევ
 ნორმალურ ბავშვს. ჩამორჩენილობა მხოლოდ
 წაკითხულის შემეცნების, შეფასებისა და ასო-
 ციატური წყების აგების მცდელობისას მუდავნ-
 დება.

მაინც რა საშიშროებას მალავს თავის თავში
 ნახევარენოვნება აუცილებელი ორენოვნების
 არაკეთილსახურველ პირობებში? რა დანაკარ-
 გებთანაა იგი დაკავშირებული? ზოგიერთი მო-
 ნაცემის მიხედვით ხომ ყოველ მეთვ ბავშვს
 ემუქრება ნახევარენოვნება. მარშალის არში-
 ნით თუ გავზომავთ, ეს ათი პროცენტი იქნებ

არც ისე შემაშფოთებლად მოგვეჩვენოს, მაგრამ ხურათი ერთობ შემადრწუნებელი გახდება, თუ ამ პროცენტების მიღმა დავინახავთ კონკრეტულ ადამიანებს, სტრესულ მდგომარეობაში მყოფ ათასობით ბავშვს, მოგვიანებით კი მოზრდილებსაც, რომლებსაც არ შეეძლებათ ნათლად გამოთქვან თავიანთი აზრები დაბალი ენობრივი ინტელიგენტურობის გამო, თქმა არ უნდა, ჩვენს ქვეყანაში თითოეული მათგანი იპოვის თავის ადგილს, მაგრამ, ცხადია, არა თანდაყოლილი მონაცემების შესატყვისს. ძნელია გაიანზრო, თუ რამდენ რამეს კარგავს საზოგადოება იმის გამო, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ მკაფიოდ ჩამოაყალიბონ და სიტყვიერად გამოთქვან თავიანთი შეხედულებები და იდეები.

შემოთავაზებულ ამ პროცენტს შეადგენენ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ისინი, რომელთა ენობრივი არასრულფასოვნება ფასდება წინასწარშეთანხმებული ნორმების მიხედვით. მაგრამ აქ ხომ აუცილებლად უნდა დავუმატოთ ათეულობით პროცენტი იმ ადამიანებისა, რომლებსაც განუვითარებელი დარჩათ აბსტრაქტული აზროვნების უნარი. მხოლოდ მცირე რაოდენობის ძლიერი ფსიქიკური წყობის ბავშვები რჩებიან რამდენადმე მოგებული ორენოვან სიტუაციაში. ბავშვები, რომლებიც ენობრივ ინტელიგენტურობაში შესამჩნევი გადახრების გარეშე ეუფლებიან მეორე ენას.

ენობრივი განუვითარებლობა ერთადერთი საშიშროება როდია, რაც ამა თუ იმ ინდივიდს ემუქრება ფორსირებული ორენოვნების პირობებში. ენობრივ არასრულფასოვნებას, როგორც წინასწარ, თან ახლავს კულტურული განუვითარებლობა და პიროვნების განხეთქილება.

მშობლიურენოვნება (ერთენოვანი მშობლიურენოვნება) ბავშვისათვის საკუთარი პიროვნების იდენტიფიკაციის (თავთშეშეცნების) იმ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს, რომელიც დაბადების პირველი დღიდანვე მუდავნდება (მკვლევართა ხევა მონაცემებით კი დედის საშოშივე — ენობრივი რიტმის სახით.) ზრდისა და ფორმირების სტადიაში მყოფი ბავშვისა თუ უმაწილის პიროვნების პოზიტიური თავთშეშეცნებისათვის აუცილებელია იმგვარი ენობრივი და კულტურული შემკვადრეობითობა (კონტინუიტეტი), რომელსაც სისხლბოროცრულად უნდა უკავშირდებოდეს მშობლიური ენისა და კულტურის მაღალი შეფასება. როგორი წარმოსადგენია სრულფასოვანი პიროვნების ფორმირება ისეთ ატმოსფეროში, როცა მშობლიურ ენას არასრულფასოვან ენად მოგინათლავენ. (მაგალითად, ამტკიცებენ, რომ ესტონური ენა არ იძლევა სრულფასოვანი პიროვნების განვითარების საშუალებას, რის-

თვისაც რუსული ენა უბრალოდ აუცილებელია)?

ორენოვნებას შეუძლია გამოიწვიოს გაურკვევლობის კომპლექსი ეროვნულურობაში ბოლოს და ბოლოს, შეიძლება საქმე იქამდეც კი მივიდეს, რომ ადამიანს გაუჩნდეს ურცხვილის გრძნობა თავისი ეროვნების გამო. ეს კომპლექსი უბრალოდ გამოიწვევს აგრესიულობის ზრდას და არა მარტო საერთოდ კულტურის, არამედ საკუთარი ხალხის კულტურის მიმართ ინტერესის დაქვეითებას (ტიპიური მაგალითი — ინდიელთა ბედი ამერიკაში.) უოველივე ამას კი გარდუვალად მივყავართ კონფლიქტებისა და კომპლექსებისაკენ არა მარტო თავთ პიროვნებაში, არამედ მის ირგვლივაც. საკუთარი კულტურის დაბალი შეფასება, ისევე როგორც სხვისი ენისა და კულტურის აბურჩად აგდება, ნაციონალური კონფლიქტების უბილავ წყაროს წარმოადგენს.

კონფლიქტებისაგან თავისუფალ ნაციონალურ ურთიერთობებში თავისთავად იგულისხმება ერთმანეთთან კონტაქტში მყოფ კულტურათა ორმხრივი მაღალპრესტიჟულობის დაწესება და ორივე ენის მატარებელთა ღირსეული ურთიერთპატივისცემა.

ჩვენს რესპუბლიკაში დედაენა და მშობლიური კულტურა თავთ ესტონელთა მიერ საკმაოდ მაღალ დონეზეა შეფასებული. ამდენად არცა გვაქვს მიზეზი ვილაპარაკოთ არასრულფასოვნების ამა თუ იმ გრძნობაზე, მტკიცებანი ესტონური ენის არასრულფასოვნების შესახებ ჩვენში მხოლოდ უკუჩვენებს იწვევს. მაგრამ შემოთგანხილული მოვლენები მეტნაკლებად მთელ საბჭოთა საზოგადოებაში შეიმჩნევა. მათ შელამაზებასა და უგულვებელყოფას კი მხოლოდ საზოგადოების ენობრივი განვითარების პროგნოზის გაუარესება შეუძლია.

სიძნელეთა გადასალაბავად ათასგვარი სტრატეგია არსებობს. ზოგიერთი მათგანის გამოყენებას შეუძლია მოულოდნელ შედეგებამდეც კი მიგვიყვანოს. განსაკუთრებით მაშინ, როცა მაღალი კულტურის ხალხებისათვის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებს იმგვარი ენთუზიაზმით მივუდგებით ხოლმე, რომელიც ხშირ შემთხვევაში საგანეთო მოწინავეს ოპტიმიზმს მოგვაგონებს. რთული და სათუთი პრობლემების გადაწყვეტისას საზოგადოებისათვის პირველ რიგში აუცილებელია ნათლად გაიანზროს და მეცნიერულად გამოიკვლიოს ეს პრობლემები, შემდეგ საჯაროდ და ობიექტურად განმარტოს მათი არსი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს საფუძვლიანად აწონილ-დაწონილი ზომები.

გ. ორენოვნების გავლენა მცირერიცხოვანი ხალხის ენაზე

თანამედროვე მაღალი კულტურის შესაქმნელად ხაზოვანად ცნობილია, რომ ხელსაყრელ საზოგადოებრივ პირობებთან ერთად აუცილებელ პირობას წარმოადგენს საზოგადოების ენობრივი დამოუკიდებლობა და ენის სტაბილურობა. სოწრედ ამ უკანასკნელთა არარსებობა თანმხლები მიზეზი იქნება, რომ ზოგიერთ მრავალრიცხოვან ხალხებს ერთობ მოკრძალებული მხატვრული ლიტერატურა აქვთ...

უურადსაღებია ესტონური კულტურის წარმოშობის ისტორია (თანამედროვე ევროპული კულტურის თვალსაზრისით). ამის გახსენება სასარგებლოც კია იმდენად, რამდენადაც საქმე გვაქვს ერთგვარ ტიპურ შემთხვევასთან. შემთხვევასთან, რომელსაც ასე თუ ისე აღმოსავლეთ ევროპის ხხვა ახალგაზრდა კულტურებთანაც ბევრი რამა აქვს საერთო (ფინეთიდან — ბალკანეთამდე).

ესტონური კულტურის გამოდვიძებას თავის დროზე ორენოვანმა ინტელიგენციამ — გერმანულ-ბალტიისპირულმა ესტოფილებმა (უმრავლეს შემთხვევაში პასტორებმა) და მცირერიცხოვანმა ეროვნულმა ინტელიგენციამ დაუდო ხათავე. მათი ურთიერობისა და აზროვნების ენად ითვლებოდა გერმანული ენა. ამ მოვლენას ადგილი აქონდა გასული საუკუნის შუა პერიოდში, თუმცა ესტონური ინტელიგენციის მომდევნო თაობა მეტბრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და უფრო მოგვიანებითაც გერმანულ ენაზე განაგრძობდა განათლების მიღებას. კულტურის აღორძინებისათვის ეს პროცესი გარდუვალი იყო.

ერთი შეხედვით მსჭელობას მივყავართ იმ დასკვნისაკენ, თითქოს სწორედ ორენოვნება განაპირობებდეს ნაციონალური კულტურის განვითარებას. სინამდვილეში კი საქმე გაცილებით რთულადაა. ჭერ ერთი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორენოვანი გახლდათ ახალგაზრდა ნაციონალური საზოგადოების ელიტა, ანუ ის ხალხი, რომელსაც ესტონური ენის საშუალო მატარებლებთან შედარებით არა მარტო ბევრად უფრო მაღალი საზოგადოებრივი პოზიციები ეკავათ, არამედ თავიანთ ეროვნულ მრწამსშიც ბევრად უფრო თავდაჭერებულნი იყვნენ. მეორეც ის, რომ ესტონური კულტურის შემდგომი განვითარების განბილვისას ხხვა მნიშვნელოვანი გარემოებანიც ხდებოდა ხაჩინო: — ესტონური ენა და ესტონური საზოგადოება ევროპული კულტურის დონეზე დადგა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეგნებული ენობრივი განახლებისა და მოწესრიგების გზით ესტონური ენა თანდათანობით

განთავისუფლდა გერმანული ენის ზედმეტი გავლენისაგან. ანუ მას შემდეგ, რაც ენა კომპარატად დამოუკიდებელი გახდა.

გადამეტებულად თუ არ ჩამოვსვლება, შეიძლება ისიც აღვნიშნოთ, რომ გასული საუკუნის ბრლოს ესტონური კულტურის და სინტაქსმა ძლიერი კრებულებით განვითარდეს. ხატოვნად რომ ვთქვათ, გერმანულ უავარჯენზე დაურდნობილი ჩვენი ენა თვალში საცემად „კოჭლონდა“, იგი, რა თქმა უნდა, შორს იყო სტაბილურობისაგან, რის გამოც ძალა არ შესწევდა აქტიურად დაპირისპირებოდა უცხო ენის გავლენას. მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ მას არც აუცილებელი დამოუკიდებლობა გააჩნდა და არც მკაფიოდ გამოკვეთილ-განვითარებული ენობრივი თვითშემეცნება. გარდატება მხოლოდ მეოცე საუკუნის პირველი თაობის მცდელობისა და მოღვაწეობის შედეგად მოხდა. ამ დროიდან მოყოლებული ესტონურ ენას სრული უნარი შესწევს, რათა წარმატებით ფუნქციონირებდეს სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში, კულტურასა და მეცნიერებაში...

ერთი ჩამოყალიბებაში ენობრივი თვითშემეცნება გადამწყვეტ როლს ასრულებს.

ამის შეუფასებლობა დღესაც დაუშვებელია. არადა ზოგჯერ წინა პლანზე წამოწეული დებულებანი, რომელთა მიხედვითაც ესტონელთა სრული ორენოვნება ნაციონალური კულტურის შემდგომი განვითარების გარდუვალ წინაპირობადაა მიჩნეული, სინამდვილეში აპრიორული პოლიტიკური ლოზუნგია და ხხვა არაფერი. მართლაცადა, ჩვენს დროში, მაშინ, როცა ესტონურმა კულტურამ გრძელვადიანი დროებითი ტრადიცია დაიმკვიდრა, მაშინ, როცა ესტონური სახალხო ინტელიგენცია გაცილებით მრავალრიცხოვანი გახდა, ვიდრე ოდესმე, როცა გამოცემები ესტონურ ენაზე ხელ უფრო და უფრო მრავლდებოდა — ასეთ პირობებში როგორღა მოხდა, რომ ესტონური კულტურის განვითარება მოულოდნელად უაზრო გახდა ტოტალური ორენოვნების გარეშე? თქმა არ უნდა, ხელ ხხვა საქმეა კულტურის სფეროში კონტაქტების გამდიდრების მიზნით მეორე ენის ცოდნა უცხო ენის დონეზე.

ენათმეცნიერებიდან გამომდინარე რა შედეგები შეიძლება გამოიღოს ტოტალურმა ორენოვნებამ მცირერიცხოვანი ხალხის ენის მიმართ? კულტურული განსხვავებულობისა და კულტურული თანასწორუფლებიანობის პირობებში სწრაფი ახიმილაციის შიში არ უნდა გვქონდეს, ენის სტრუქტურის დესტაბილიზაციის მიმართ კი უხათუოდ ხიფრთხილვ გვმართებს. პირველ რიგში ენის ისეთი უმაღლესი დონეები კარგავენ ელვარებას, როგორცაა სტილისტური ნიუანსები, ზიტუაციისა და მეტ-

ყველგნობითი ყოფაქცევის წესები აღქმა, მეტყველებითი ეტიკეტი. შემდგომ ამისა სიტყვათა მნიშვნელობები და მათი შეხამებანი იწყებენ მერყეობას, ბოლოს კი სხვა ენის გავლენით თავს იჩენენ ცვლილებები წინადადებათა მოდელეებში. გრამატიკულ ფორმათა გამოყენების სიხშირეში წარმოიშვებიან ე. წ. წიგნაკები. უცხოენოვანი სიტყვა-პარაზიტების კვალდაკვალ წარმოიქმნებიან ფრაზეოლოგიკითა კალკირებანი. ადვილი შესაძლებელია თავი იჩინოს წარმოთქმისეულმა უზუსტობამაც. მაგალითად, ესტონური ენის მატარებლები რომ ისევ თავისუფლად ლაპარაკობდნენ რუსულ ენზე, როგორც ესტონურად, ადვილი შესაძლებელია ხ. ძ. ფ-სა და მოკლე ვ-ს ისეთი შედრადობა შეეძინათ, რომელიც ჩვეულებრივად უფროს კრის ხოლმე ესტონელს.

სხვა ენის გავლენა მხოლოდ გარკვეულ ზღვარამდე, შეიძლება ჩაითვალოს გამამდიდრებლად. ჩვენთან კი მიღებულია გამამდიდრებლად ჩაითვალოს რუსული ენის ნებისმიერი გავლენა, ისეთიც კი, რომელიც მეორე ენის სტრუქტურის დესტაბილიზაციას ახდენს, დესტაბილიზაცია კი, როგორც ცნობილია, იწყება იქ, სადაც მშობლიური ენის ელემენტებს უცხო ენის ტრადიციები ცვლიან.

ისტორიულად ისე წარიშართა, რომ სხვა ენათაგან განსხვავებით ესტონურ ენაში არ არსებობს მკვეთრი ხაზღვრები სტილთა შორის. ჩვენში ცალ-ცალკე არ იყო დაყოფილი არისტოკრატიის, დიდებულთა და საზოგადოების ქვედა ფენების ფართოდ გავრცელებული ენა. ასეთ დემოკრატიულობასა და ერთიანობას, ერთი მხრივ ენის მდგრადობას რომ განაპირობებდნენ, თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც გააჩნია — როგორც კი სისტემის წონასწორობა დაირღვევა, იგი უშალ ენის ქვესისტემების სასიცოცხლო ინტერესებსაც შეეხება.

არის თუ არა საშიში უცხო ენის გავლენით გამოწვეული დესტაბილიზაცია მშობლიური ენისათვის? ეს, პირველ რიგში, ენობრივი სისტემის გაუწონასწორობლობის ხარისხზე და ენისმიდმიერ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. რასაკვირველია მეტნაკლებად ნებისმიერი ენის სისტემები განიცდიან ცვალებადობას. ამა თუ იმ მონაკვეთზე ენის ქვეტექსტებშიც აქვს ხოლმე ადგილი გარკვეულ ძვრებს, რომლებსაც ჩვეულებრივად, თავდაპირველად ვერც ამჩნევენ. წონასწორობის აღსადგენად ენისათვის აუცილებელია დრო, ენობრივი ფორმაციისათვის კი ძალა. ზოგჯერ იქნებ მდგომარეობა არაკეთილსაზურველიც აღმოჩნდეს და მაშინ წონასწორობის ძიება, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო მეტ დროსა და ენერგიას მოითხოვს,

ვიდრე ეს მოცემულ ენობრივ ფორმაციას შეიძლება გააჩნდეს. ასეთ პირობებში შესაძლებელია ენის სისტემა დაიშალოს კიდევ. კითხვები არ გვეძალდება: — ასეთი გამოქმნა მართებული თუ ისეთი? კონკრეტულ გამოთქმას მხოლოდ ეს მნიშვნელობა შეიძლება სხვადასხვადას? და ა. შ. ასევე დატყუებული უნდა ვიყოფიყავით. და თუ ყველაფერ ამასთან ერთად კულტურულმა ასიმილაციამაც იჩინა თავი, ყველა პირობა შეიქმნება იმისათვის, რათა ერთი ენა შეიცვალოს მეორით. სხვათა შორის, ეს პროცესი დღეისათვის დამახასიათებელია საბჭოთა კავშირის მრავალი უნგრული ენობრივი ერთეულისათვის.

მართალია, ესტონურ ენას ჯერჯერობით ასეთი რამ არ ემუქრება, მაგრამ ჩვენი ენის სტრუქტურისათვის უცხო ყველა თვისება, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, უკვე სახეზეა. ეს ეხება არა მარტო სიტყვათა მნიშვნელობის ცვალებადობას, არამედ უსაფუძვლოდ გავრცელებულ ისეთ რუხულ სიტყვებსაც, რომლებსაც სრულებითაც არ საჭიროებს ჩვენი ყოფითი მეტყველება. (წონტიკი, პროპუსკი და სხვ.) პრესისა და ბიუროკრატიის ენა ხომ სცოდავს და სცოდავს რუსული ენიდან თარგმნილი ინსტრუქციებისა და დირექტივების სიტყვასიტყვითი თარგმანებით. ასე წარმოიქმნება კონსტრუქციები, რომელთა დახმარებითაც რუსულ გრამატიკულ ნიუანსებს ესტონური ენისათვის არაბუნებრივი სახით თარგმნიან. ბავშვებიც ასევე ექცევიან სხვა ენის გავლენის ქვეშ. არა გვგონია მსგავსი მოვლენები ლინგვისტებმა ენის გამამდიდრებლად მიიჩნიონ.

როგორი დამოკიდებულება შეიძლება გვექონდეს ესტონური ენის სისტემაში წონასწორობის შენარჩუნების პროგნოზისადმი ტოტალური და მთლიანი ორენოვნების პირობებში? ამ კითხვის პასუხად ყველაზე უპრიანი იქნება მოვიხმოთ სიტყვა პ რ ი ტ ი ძ ე ლ ი, თანაც საშიშროების მუდმივი განცდის თანხლებით. და არა გვგონია მხოლოდ ენათმეცნიერთა განსახველი იყოს ის ფაქტი, საჭიროა თუ არა საზოგადოების ამ მდგომარეობამდე მიყვანა.

ისტორიულ გამოცდილებასა და დღევანდელ მაგალითებზე დაყრდნობით შეგვიძლია განვსაზღვროთ კრეოლიზებული შერეული ენის სიცოცხლისუნარიანობაც — მსგავსი ენით მძლავრი კულტურის შექმნა შეუძლებელია. ხოლო, როცა კრეოლიზაცია დიდ ტერიტორიებს მოიცავს, გონებრივი ენერგიის უდიდესი ნაწილი, მეტი რომ არა ვთქვათ, უხავნოდ იფლანგება და ვერ კახულობს თავის განვითარებას.

4. ორენოვნების გავლენა მრავალ-რიცხოვანი ხალხის მნაზე

ისტორია სავსეა მრავალრიცხოვანი ხალხების ენათა ფიქინიზაციისა და კრეოლიზაციის გამაფრთხილებელი მაგალითებით.

ნიშანდობლივია, რომ რომის იმპერიის მიერ დაპყრობილ კელტებისა და გერმანულ ტომთა მიწებზე ახალგადაშობილებულ ვეტერან ლეგიონერთა შორის დაბალ ფენებში ლათინური ენაც გავრცელდა. გალიიდან თრაკიამდე (საფრანგეთიდან რუმინეთამდე) გადაჭიმულ თვალუწვდენელ ტერიტორიაზე მცხოვრებნი დამახინჩებულ ლათინურ ენაზე ლაპარაკობდნენ. იმ ენაზე, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისა და რომელი მდაბიოთა ენების აღრევის შედეგად წარმოიშვა. დიდმა მიგრაციამ (IV—IX საუკ.) ევროპელი ხალხების ენებისა და კულტურების კიდევ უფრო მეტ აღრევას შეუწყო ხელი. ახლა, რა თქმა უნდა, საინტერესოც კია იმაზე ჰკობა, თუ როგორ წარმოიშვა მაგალითად დიდი ფრანგული ენა, როგორ ჩამოყალიბდა ფრანგული კულტურა, როგორ გამრავლდა და აღორძინდა ეს თავისუფლებისმოყვარე ხალხი, რომელსაც ღომის წილი უძევს მთლიანად ევროპული კულტურის ისტორიის განვითარებაში. მაგრამ რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც კელტურ, რომანულ და გერმანულ ენათა ნაწავიდან წარმოიშვა ახალი კულტურის შემქმნელი ენა? ჭერ კიდევ IX საუკუნეში დაიწყეს გამოკვეტა ახალ-ახალ ენათა კონტურებმა და მხოლოდ XI საუკუნის ბოლოს, ძირითადად ფრანგული და პროვანსული ენების ბაზაზე შეიქმნა მალაღი დონის კულტურა და ლიტერატურა. აღსანიშნავია, რომ ე. წ. შუაღედურ ხანაში ანუ კულტურული მდუმარების ორი ახეული წლის განმავლობაში მხოლოდ კლასიკური ლათინურის ერთგულნი აგრძელებდნენ განმანათლებლურ მოღვაწეობას.

რა თქმა უნდა, მართალი არ ვიქნებით კულტურული ჩავარდნების ყველა ცოდვას ენობრივ ფაქტორს თუ მივაწერთ. ასეთ შემთხვევაში თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრება სოციალურ პირობებს (ანდა სულაც მათ არარსებობას) და ამავე დროს გახატონებულ დოგმატურ იდეოლოგიასაც. და მაინც, მთელი პასუხისმგებლობით შეიძლება დავუშვათ, რომ ენა ვერავითარ შემთხვევაში ვერ გახდება მაღალი კულტურის შემქმნელი, ხანამ თვით მასში არ დასრულდება სხვადასხვა ხალხის აღრევისა და ცვლილებების ბოპოქარი პროცესები, ხანამ თვითონ არ მიადწევს მყარ სტაბილურობას და ამ ხალხი არ დამკვიდრდება კულტურის შემქმნელთა შეგნებაში.

დღეს მოქმედ ფიქინ-ენათა საფუძველს მონკონგში, სინგაპურში, ახალ გვინეაში და სხვ. ინგლისური ენა წარმოადგენს. მართალია, ფიქინ-ინგლისურის კალკული ვარიანტი უკვე რამდენიმე ასწლეულს ითვლის. მაგრამ ჭერჭობით, როგორც ცნობილია, ვერცერთი მათგანი ვერ გახდა მაღალი კულტურის შემქმნის საფუძველი. მათი ფუნქციონირების სფერო ძირითადად კომერცია, ხაშუშაო ადგილები, იაფფასიანი გახართობი დაწესებულებებია და სოციალურად, რასაკვირველია, საზოგადოების დაბალ ფენებს განეკუთვნებიან. უფრო მაღალ დონეზე კი თვით უოველისშემძლე ინგლისურ ენასაც ძვირად უჭდება მსოფლიოში პირველ ადგილზე უოფნა, რამეთუ მის შერყვნასა და გაუსახურებას თითქმის სისტემატური ხასიათი აქვს. ამის მიზეზად პირველ რიგში შეიძლება ჩაითვალოს ენობრივად გაუმართავი ისეთი სამეცნიერო და საინფორმაციო მასალის მოზღვავება, რომელიც ინგლისურ ენაზე იქმნება იმ ავტორთა მიერ, ვისთვისაც ინგლისური ენა მშობლიურ ენას არ წარმოადგენს.

როგორც ჩანს უძველეს კულტურულ ტრადიციებსაც არ შესწევთ ძალა იხსნან ენა გამარტივება-გალარიბებისაგან იმ შემთხვევაში, როცა ამ ენაზე მოლაპარაკე მასა თავისი ეთნიკური შემადგენლობით ძალზედ ჭრელად გამოიყურება. ასეთ მაგალითად, თავის დროზე, ესტონეთისა და ლატვიის ტერიტორიაზე გავრცელებული გერმანული ენა ისეთი ბალტიისპირულ-გერმანულ დიალექტად იქცა, რომელიც წმინდა ენობრივი თვალსაზრისით სხვა გერმანულ დიალექტებთან შედარებით ბევრად უფრო გალარიბებულად გამოიყურებოდა. მაშასადამე, დათრგუნულმა ესტონურმა ენამ მაინც მოახერხა გავლენის მოზდენა დიდ და კულტურულ გერმანულ ენაზე, თანაც არა თუ გამაღიძრა, პირიქით, მისი დესტაბილიზაციაც კი მოახდინა.

შეიძლება თუ არა იმის დაშვება, რომ მსგავს კანონზომიერებებს ადგილი ექნება სოციალისტურ საზოგადოებაში?

ჩვენთან ხიამაყით აღნიშნავენ, რომ რუსული ენა თავისთავად იქცა ეროვნებათაშორის ურთიერთობის ენად შრომით კოლექტივებში, არმიაში, მეცნიერებაში, უოფაცხოვრებაში და ა. შ. მაგრამ გაისარჯა კი დღემდე ვინმე, რათა საფუძველიანად შეესწვლა და გამოეკვლია, თუ რა ფორმით ფუნქციონირებს დიადი, გამომსახველი და კულტურული რუსული ენა, ვთქვათ იმავე მრავალეროვან სამშენებლო ბრიგადებში, სავაქრო გემების ეკიპაჟებში, ანდა სულაც ხამხედრო შენაერთებში? მსგავს საკითხებს ჩვენში საგულდაგულოდ უვლიან გვერდს. არადა ეს ხომ ერთ-ერთ უმნიშვნე-

ლოვანებს წაბნავს წარმოადგენს ენის რეალურ ცხოვრებაში. მთელ რიგ მრავალეროვან კოლექტივებში რუსული ენის დანაგვიანება ისეთ ჩვეულებრივ ამბად იქცა, რომ მის კულტურულ მდგომარეობაში მოყვანა ურთულეს პრობლემას წარმოადგენს. ინგლისურისა არ იყოს, ასევე ძვირად უჭდება რუსულ ენასაც ეროვნებათათმორის ურთიერთობის ენად ყოფნა.

რუსული ენა, როგორც ეროვნებათათმორის ურთიერთობის ენა, ძირითადად არარუსი მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიებზე ფუნქციონირებს დამახინჯებული სახით. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა, რამეთუ არამშობლიური ენის სტილისტური ნიუანსების ძირისძირამდე შეგრძნება ურთულესი რამაა. ზოგჯერ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ რა გავლენას ახდენს რუსულ ენაზე საბჭოთა რესპუბლიკების ძირითადი მოსახლეობის ენა. იქნებ ამგვარი გადაზრები რამდენადმე ამდიდრებენ კიდევ რუსულ ენას, შეაქვთ მის რეგიონალურ ვარიანტში „ადგილობრივი კოლორიტი“ და ა. შ.? შესაძლებელია, ოღონდ აუცილებლად მისი კულტურული გამოყენების შემთხვევაში. მაგრამ საერთო, მასობრივად ნახევარეროვან ურთიერთობების პირობებში რუსული ენა *lingua franca*-ს სახით ფუნქციონირებს და უმეტეს შემთხვევაში, როგორც წესი — თავის უველაზე ცუდ ვარიანტში.

უიკველია დიდი რუსული ენა მსგავსი გამარტივებებისაგან საბოლოო ჯამში მაინც უვნებელი დარჩება და შემოთაღნიშნულ სიძნელებებს შედარებით აუშლვრეველი დააღწევს თავს. მას ხომ საამისოდ უთვალავი ადამიანური რესურსები და მსხვილი კულტურული ცენტრები მოეპოვება. მაგრამ მისი რეგიონალური ვარიანტები ასე თუ ისე იმყოფებოდნენ და იმყოფებიან ადგილობრივი ენების გავლენის ქვეშ. ამიტომ ცხადია რუსული ენის მატარებლებსა და მომხრეებს დიდი ძალისა და ენერჯის დახარჯვა მოუწევთ მისი შემდგომი სტაბილიზაციისათვის. მითუმეტეს, ადვილი შესაძლებელია, უცხოენოვანი გავლენები პერიფერიების საზღვრებსაც გასცდნენ. ამის სამაგალითოდ თუნდაც მოსკოველები ავიღოთ, რომელთა მეტყველებაშიც უკვე შეინიშნება ერთგვარი გადაზრები არალოგიკური ინტონაციური მოდელების სახით. რა თქმა უნდა, ასე თუ ისე უველა ენა იცვლება, მაგრამ სხვა ენებთან ზეგზირი კონტაქტები გარკვეულწილად აჩქარებენ ამ პროცესებს და ენობრივი სისტემის მეტნაკლებ დეტალიზაციას ახდენენ.

5. მრეწველობის ფსიქოლოგიური პრობლემა



მრეწველობის მომხრეები დამატებითი არგუმენტებით თავის შეუწყობილად და სერიოზულად ამტკიცებენ, თითქოს ინტონაციონალური კოლექტივებს ე. წ. დეგენერაციული კულტურების გამო კულტურის განვითარების ძალა არც შესწევდეთ. ხანიმუშოდ კი მრავალეროვანი კოლექტივების იმ წარმომადგენლებს გვიხაზავენ, რომლებიც ვითომცდა სისტემატურად იმუხტებიან შთამბეჭობელი კულტურული იმპულსებით. მსგავს მტკიცებებში კულტურულ იზოლაციას ერთენოვნებას უკავშირებენ, ხოლო ნორმალურ აქტიურ კულტურულ კონტაქტებს — მრავალეროვნულ კოლექტივებს. ასეთ პირობებში იოტისოდენა წარმატების ილუზიაც კი უშაღ დემაგოგიური მონაჩმაზის ხაფუშვლად იქცევა, რაც, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეესაბამება. კულტურულ იზოლაციაში მყოფი ხალხი ჩამორჩენილია და დეგრადაციის კანდიდატია. აქ გამოიკვლინს არ წარმოადგენს ისეთი დიდი ქვეყანაც კი, როგორც ჩინეთია. მაგრამ არც უკველდური მრავალეროვან ურთიერთობებს შეუძლიათ იოლად საქმის გამოსწორება. ხოლო თუ მაინცა და მაინც შედარებებზე მიდგება საქმე, ბუნებრივია, მრავალეროვანი შრომითი კოლექტივის შრომის ნაყოფიერება უფრო მაღალი აღმოჩნდება, ვიდრე იმ მონაციონალური კოლექტივისა, რომელიც აბსოლუტურად გულგრილადაა განწყობილი თავისი სამუშაოს მიმართ. ბშირ შემთხვევაში ენობრივი გამომსახველობის საშუალებათა შეზღუდულობა და აზრის გასაგებად გადმოცემის უუნარობა შრომით კოლექტივებში, როგორც წესი, დამატებითი ფსიქოლოგიური დაძაბულობის წინაპირობათა წარმოქმნელია.

არ შეიძლება უგულვებელვყოთ ერთი კანონზომიერებაც — რაც უფრო მარტივია სამუშაო (ორშობ თხრა, მაგალითად), მით უფრო ნაკლებ სიზუსტეს მოითხოვს იგი ურთიერთობებში. ხოლო, რაც უფრო რთულ და პანამედროვე სამუშაოსთან გვაქვს საქმე (ურთიერთობა ხელმძღვანელ სისტემაში, იურისპრუდენციაში, მედიცინაში და ა. შ.), მით უფრო მაღალ დონეზე უნდა იდგეს ჩვენი ურთიერთობის სიზუსტეც. აბა წარმოვიდგინოთ ამა თუ იმ სპეციალისტის (ქირურგის, ფსიქოლოგის, ფსიქიატრის) საუბარი პაციენტთან ან ასისტენტთან ისეთ პირობებში, როცა ისინი ცუდად ან საერთოდ ვერ ფლობენ ერთმანეთის ენას. ვინ რას იგებს ასეთ სიტუაციაში? რას წარმოადგენს თავის მხრივ ეს მო-

გება? ან რა ფასი აქვს, ბოლოს და ბოლოს, ასეთ მოგებას?

ფსიქოლოგიური დაძაბულობის მიზეზად შეხადლებელია ურთიერთობაში მყოფ პარტნიორთა განსხვავებული ტემპერამენტი და ეოფაქტუვაც იქცეს. მაგალითად ის, რაც რუსისათვის მზიარულების ხაგანს წარმოადგენს, შესაძლებელია ესტონელს აგრესიულობად მოეჩვენოს. ხოლო ესტონელიხათვის დაძაბახათებელი თავშეკავებულობა — რუსმა კონტაქტში შესვლაზე უარის თქმად აღიქვას. თუ მეორე-მესამე შეხვედრაში რუსს შეუძლია ახალგაენობილ თანამოსაუბრეს პირადი ბიოგრაფიის ფაქტებიც კი გაანდოს, ესტონელის თვალსაზრისით ეს უბრალოდ უხამსობაა. ასე რომ მართლაც დიდ გულუბრყვილობად უნდა ჩაითვალოს იმის დაშვება, თითქოს ერთიანი და სრულფახოვანი ფსიქოლოგიური კლიმატის ფორმირება მრავალეროვნულ კოლექტივში უფრო სწრაფად ხდებოდეს.

მრავალეროვანი და ორენოვანი კოლექტივების ფსიქოლოგიური პრობლემები იმდენად რთულია, რომ ხამომავლოდ მათი სერიოზული თერაპიისა და პროფილაქტიკის მიზნით, ერთობ დაწვრილებით და კომპეტენტურ გაშუქებას მოითხოვს.

უვლაზე ბუნებრივად იქნებ სწორედ იმ ბავშვთა ორენოვნება დაგვეშვა, რომლებიც იმთავითვე შერეულ ოჯახებში დაიბადნენ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში სწორედ ეს ბავშვები არ არიან ორენოვანნი. იმიტომ ხომ არა, რომ ორენოვნება, რაც არ უნდა იყოს ურთულესი ფსიქოლოგიური ამოცანაა?

შერეულ წყვილთა შვილებს ჩვენს ქვეყანაში თავისუფლად შეუძლიათ ხურვილიხამებრ ამოირჩიონ დედიხ ან მამის ეროვნება, ვთქვათ, ჩათვალონ თავი რუსად რუსული ენის გამო, რომელზედაც ლაპარაკობენ ოჯახში იმ შემთხვევაშიც კი, როცა ორივე მშობელი არარუსია. ესაა დემოკრატია არჩევანში. თუმცა ხინამდვილესი ამგვარი არჩევანი არც იხე უბრალო და უპრობლემო გახლავთ. შერეული ოჯახები ჩვენთან ღამის კორწინების უმაღლეს, იდეალურ ტიპად ითვლება. მიაჩნიათ, რომ ასეთი ოჯახები თავისუფალია ეროვნული ცრურწმენებისაგან და ა. შ. მაგრამ, თუ ეს მართლა ასეა, მაშ რატომაა, რომ ჩვენთან განკორწინების პროცენტი მხოფლიოს ხაერთოდონეს უახლოვდება. ხოლო შერეულ ოჯახებში საშუალოზე მაღლაც კი დგას? ოჯახის დანგრევა იწვევს ხანგრძლივ კომპლექსებს როგორც მშობლებში, ასევე ბავშვებში. შერეული ოჯახის დანერგვას, გარდა ფსიქოლოგიური დაძაბულობისა თან სდევს ნაციონალური გადმონაშთების მკვეთრი გამძაფრება და ასევე

მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება კონკრეტული ეროვნებისადმი. იძულებითი არჩევანის პირობებში შესაძლებელია ბავშვს გაუჩნდეს ნაციონალური კომპლექსი, ორმხრივი ღალატის ვრცობა მართალია, შერეულ ოჯახებს მრავლად გვხვებით, განკორწინების სტატისტიკურ ნუქიღს დახ, განსაკუთრებით ძნელსუ ბრუნველყოფის მოწინააღმდეგეა იხეთ ოჯახებში, რომლებიც არც თუ იხე გულუბრყვილო თეორიის შედეგადაა შექმნილი.

ბავშვების ენობრივი განვითარების ხარისხი მათი მშობლების საზოგადოებრივ პოზიციაზეცაა დამოკიდებული: საზოგადოებრივი ელიტა და ინტელიგენცია შედარებით ადვილად ახერხებს ორენოვნებასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევას — ინტელიგენტურ ოჯახებში უფრო მეტ უურადლებას უთმობენ თვით ბავშვის ინდივიდუალურ პრობლემებს, ეძებენ ამ პრობლემების გადაწყვეტის გზებს (ახწავლიან ბავშვებს ოჯახებში, უთმობენ გამორჩეულ უურადლებას, წრდიან უფრო ფაქიზ სულიერ ატმოსფეროში. თვით ბავშვიც ორენოვნებას უფრო მსუბუქად და განსაკუთრებული გართულებების გარეშე ითვისებს, თუ ის ვითარდება, ასე ვთქვათ, თავისთავად, ორგანიზებული იძულების გარეშე, თამაშით — როცა მეორე ენას ეუფლება ზუსტად იმ დოზით, რამდენადაც ეს შესაძლებელია მოცემულ შემთხვევაში. ხოლო იმ საბავშვო ბაღებში, ხადაც ორენოვნების ორგანიზებული ორიენტაცია წესადაა მიღებული, ძალდაუტანებლობის ეფექტი გამორიცხებულია.

ენობრივი ახიმილაციის უმტკივნეულო, იდეალური და უპრობლემო თეორიები ადრეც არაერთხელ შემოუთავაზებიათ. არაერთხელ მპოვეს მათ თავისი გამოხატულება მხატვრულ ლიტერატურაში. და ეს მაშინ, როცა ენისა და კულტურის სწრაფმა შეცვლამ ადვილი შესაძლებელია იხეთ უკულტურობასთან მიგვიყვანოს, რომლის დაძლევასა და აღმოსვრასაც რამდენიმე თაობის ძალიხმშევა დასჭირდება.

6. დასკვნები

დღეისათვის ესტონეთში ორი ენობრივი საზოგადოება არსებობს — ესტონური და რუსულენოვანი.* ასეთ მდგომარეობას დიგლობია ეწოდება. ნიშანდობლივია, რომ ამ საზოგადოებათა შორის დიდი კულტურული სხვაობაც არსებობს — ესტონეთში მცხოვრებ რუს-

* ამ მხრივ საქართველოში გაცილებით უფრო რთულიდ გვაქვს საქმე (მთარგ.)

სებს შორის მრავლადაა ისეთები, რომლებსაც ოდნავაც არ აინტერესებთ ესტონური კულტურა.

იზრდება თაობა, რომლისთვისაც მიწა, სადაც ის ცხოვრობს, მხოლოდ ძნელად წარმოხატვმელ გეოგრაფიულ სახელწოდებათა წყებას, ხოლო კულტურული ცხოვრება შორეულ მოვლენას წარმოადგენს.

ასეთ პირობებში ორენოვების ცალმხრივი პროპაგანდა, რომელიც მხოლოდ ესტონელთა მიერ რუსული ენის შესწავლას ითვალისწინებს, ვერ აღწევს თავის მიზანს. იგი მხოლოდ შრომით კოლექტივებში რუსული ენის დომინირებულ მდგომარეობაზე გადაყვანის საშუალებას იძლევა.

ორენოვების დანერგვის ამგვარი პრაქტიკა, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ გვეჩვენება. ასევე საეჭვოდ გამოიყურება ორი ენობრივი საზოგადოების ოდელიური ინტეგრაციაც, რამეთუ ერთობ დიდი სხვაობაა რუსულენოვანი ნაციონალური ჩგუფისა და ადგილობრივი მოსახლეობის ენასა და კულტურაში. მეცნიერება გვიმტკიცებს, რაც უფრო დიდი სხვაობაა ორი ნაციონალური ჩგუფის ენასა და კულტურაში, მით მეტია ნახევარკულტურულობისა და ნახევარენოვნების წარმოქმნის საფრთხეც. მსგავს მაინტრიგებელ პროცესებს უცილობლად მივყავართ რედუცირებული და არა ერთიანი, გამდიდრებული კულტურის წარმოქმნასთან. რედუცირებული კულტურის ორბიტაში მოხვედრილი ადამიანი არც ერთ და არც მეორე კულტურულ ატმოსფეროში არ გრძნობს თავს თავისუფლად.

მრავალენოვან საზოგადოებათა ინტეგრაციის მეორე, ნაკლებად რადიკალურ გზად ითვლება კულტურული მოტივაცია ანუ კულტურულ ინტერესთა ორმხრივი სტიმულაცია მშობლიურენოვნების შენარჩუნების პირობებში.

თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკასა და პედაგოგიკაში ხაზგასმით აღინიშნება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მშობლიურ ენაზე განათლების მიღება (ეს არაერთხელ შეგვახსენა იუნესკომაც.) არც ისაა შემთხვევითი, რომ საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკების ხოფლის სკოლებში აუცილებელ პირობად ითვლება დაწყებითი განათლების მშობლიურ ენაზე მიღება.

საინტერესოა, რომელი დირექტივების შექმნა იქნება განხილული სწავლების ძირითადი ენის საკითხი უახლოესი მომავლის სკოლაში? ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების ახალი პროექტი, რომელიც თავის მხრივ ბიუ-

როკრატული აზროვნების ნათელ მაგალითს წარმოადგენს, რუსულ ენასა და რესპუბლიკების ენებს შორის თანახმორღვეობის დამყარებაში დიდ იმედებს არ ავითარებს. ეს დოკუმენტი ქალაქდშიც კი არ ითვალისწინებს რუსულენოვან სკოლებში ნაქარნისებრი ენების სერიოზული სწავლებას. რითაც თავისთავად უგულვებელყოფს კიდევ ნაციონალურ კულტურულ ცხოვრებაში რუსულენოვანი მოსახლეობის მონაწილეობის საკითხს.

ასევე ერთმნიშვნელოვანია სულ ახლახან გამოცემული „კანონი ესტონეთის სსრ სახალხო განათლების შესახებ“ (ტალინი, გამომცემლობა „რესტი რაამატი“, 1987). ამ ბროშურის 72-ე გვერდზე და 78-ე პარაგრაფში მხოლოდ ოთხჯერაა ნახსენები საკითხი სწავლების ძირითადი ენის შესახებ: (55 მ. 4, 24, 25) განათლების ორგანიზაციის საერთო დებულებანი უზრუნველყოფენ „სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლების შესაძლებლობას.“ (58) და „სწავლების ენის არჩევის თავისუფლება: სწავლა მშობლიურ ან სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენაზე“ (54). სწავლების ენა საშუალო და პროფტექგანათლების საკითხებთან დაკავშირებით ცალკე განიხილება ოცდამეოთხე პარაგრაფში „სწავლების ენა“. ამ სტატიაში ნათქვამია: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ მშობლიურ ან სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენაზე. მშობლები ან მათი შემცველი პირები უფლებამოსილნი არიან ბავშვებს სურვილისამებრ შეურჩიონ სკოლა სწავლების შესაბამისი ენით. გარდა იმ ენისა, რომელზეც მიმდინარეობს სწავლება, მოსწავლეებს შეუძლიათ სურვილის მიხედვით ისწავლონ სსრ კავშირის სხვა ხალხის ენა.

სასწავლო დაწესებულებებში, სადაც სწავლება მიმდინარეობს ესტონურ ენაზე, მშობლიურ ენასთან ერთად ისწავლება რუსული ენა, რომელიც საბჭოთა ხალხის მიერ მიღებულია ნებაყოფლობით, როგორც ეროვნებათაშორის ურთიერთობის საშუალება...

მსოფლიოს ხალხთა კულტურის უფრო ფართოდ გაცნობისა და აგრეთვე პროფესიული ცოდნის გაღრმავების მიზნით სასწავლო დაწესებულებებში ასევე ისწავლება უცხო ენები.“

ასე და ამრიგად, ესტონური ენა, როგორც სწავლების ენა, ესტონეთის სსრ განათლების კანონით განიხილება როგორც კერძო შემთხვევა. ამასთანავე ესტონური ენის სწავლება განათლების მთელ სისტემაში აუცილებლად არ ითვლება.

კანონის ყველა პუნქტიდან მხოლოდ ერთი — სტატია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავ-

ლები ენის შესახებ — შეიცავს სიტყვათა-
წყობას „ესტონური ენა“. უმაღლესი
სკოლისადმი განკუთვნილ განყოფილებებში
კი საკითხი სწავლების ენის შესახებ საერთოდ
არ განიხილება. ესტონურ ენაზე გამოცემული
„კანონი ესტონეთის სსრ სახალხო განათლების
შესახებ“ სავსეა უმწეო ფორმულირებებით,
ალაგ-ალაგ ვხვდებით უბეშ შეცდომებსაც (გა-
მონაკლისს არ წარმოადგენს პარაგრაფი სწავ-
ლების ენის შესახებ).

პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო დოკუ-
მენტში, დაწუებული ესტონეთის სსრ კონს-
ტიტუციიდან, დამთავრებული კანონით განათ-
ლების შესახებ — რესპუბლიკის საზოგადო-
ებრივ ცხოვრებაში ესტონური ენის როლი
ერთობ ხუნდოვნადაა განსაზღვრული. ყველას
როდი ესმის, რომ ენა ბელწამოსაკრავი წვრილ-
მანი კი არა, ადამიანური უოფიერების უპირ-
ველესი პირობაა. ეს პირობა კი აუცილებელ
აღიარებასა და კანონით დაცვას საჭიროებს.

ენა ურთიერთობისა და შრომის ორგანიზა-
ციის უბრალო საშუალება როდია. არც ადა-
მიანებია გაჩენილი მარტოდენ შრომითი გა-
მარჯვებებისათვის. ცხოვრების არსი აგრეთვე
პიროვნების განვითარებაში, კულტურის შექმ-
ნაში, მის მოხმარებასა და შენარჩუნებაში,
ერთი სიტყვით, მთელ კულტურულ ცხოვრე-
ბაში გამოიხატება. ჩვენთან კი ორენოვნების
უტილიტარიაციამ იქამდე მიგვიყვანა, რომ
მავანისა და მავანის ოფიციალურ გამოსვლებში
ესტონურ სკოლებში ესტონური ენის ხარის-
ხიანად სწავლება აღინიშნება, როგორც მხო-
ლოდ და მხოლოდ რუსული ენის სწავლების
დამხმარე პირობა, როგორც იდეოლოგიური
აღზრდის საშუალება. რაღა უნდა დარჩეს
ასეთი დამოკიდებულების შემდეგ ესტონური
ენისა და კულტურის ღირსებისაგან, ანდა
თუნდაც კვამარიტი ინტერნაციონალიზმის
არსისაგან?

ადამიანს, პირველ რიგში, მისი ენა და კულ-
ტურა აუალიბებს ადამიანად. არც იმის იგნო-
რირება შეიძლება, რომ საბჭოთა კულტურა
მრავალგვარი და განსხვავებული ნაციონალურ-
ი კულტურები შეადგენენ, რომ არ არსებ-
ობს ცნება „საბჭოთა ენა“, რომ საბჭოთა
კავშირის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ფიქ-
რობს არარუსულად. არც თუ იშვიათად, კულ-
ტურული, ნაციონალური და ენობრივი გან-
სხვავებანი წარმოჩენილია, როგორც სათაკი-
ლო რამ. მონაცემებიც კი მათ შესახებ მო-
სახლეობის აღწერის სტატისტიკურ მიმოხილ-
ვებში ხოლო აღვილზეა მოუვანილი. როგორც
ჩანს, სწორედ აქედან იღებს სათავეს მცდარი
მოსაზრება, თითქოს ამგვარ უმნიშვნელო
წვრილმანებს არც უნდა ვითვალისწინებდეთ

შახტების, პორტებისა თუ კოსმოდრომების
მშენებლობისას. ხოლო ისეთი ძირითადი, დად-
ებითი ემოცია და ფსიქოლოგიური წონასწო-
რის წყარო, როგორცაა ერთ-ერთი თვით-
შეგნება და მშობელი მხარე, ასევე, ოფი-
ციალურად დეკლარირებული განვითარება,
როგორც რაღაც ნეგატიური ან არარსებითი.
მაგრამ აღმოჩნდება თუ არა, რომ ნაციონალურ-
ად კრელი დასახლების კულტურული ფენა,
ნუ იტყვიოთ და, გამჭვირვალეობამდე უოფილი
გათბელებული, უმაღ მსუბუქ განმარტებებს
მიეტანებიან და ახლო მომავლის სურათებს
ვარდისფერი საღებავებით ღებავენ. მაგრამ
სინამდვილე დაუნდობლად სასტიკია. არარეა-
ლური და ფსევდოშეცნიერული პროგნოზები,
როგორც წესი, არ მართლდებიან.

ახეთ პირობებში რა აზრი აქვს კულტურუ-
ლი კეთილდღეობის პროპორციულად განაწი-
ლების თეზისს? ესტონეთში ხალხი უკეთესი
საცხოვრებელი პირობების საძებნელად ჩამო-
დის და, რასაკვირველია, მათთვის მატერიალური
კეთილდღეობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე
ხულიერი მოთხოვნილებანი. ამითვე აიხსნება
ის უინტერესობაც, რომელსაც ისინი ადგი-
ლობრივი კულტურული ცხოვრების ენის შეს-
წავლის მიმართ იჩენენ. ადვილი წარმოსადგე-
ნია, რა დღეში ჩავარდებოდა კულტურა, თუ
პროპორციულობის თეზისის თანახმად, ტალი-
ნის კულტურული ცხოვრების ნახევარს მიგ-
რანტების მზრუნველობის ამარა დავტოვებ-
დით? სიტყვამ მოიტანა და, ესტონეთშიც
ქვეყნდებოდა სტატიები, რომლებშიც მიგრა-
ციის ძირითად სტიმულად უოფით პირობებს
ასახელებდნენ, აქვე აღნიშნავდნენ მრავალ-
რიცხოვან გადმოსახლებულთა დაბალ პროფე-
სიონალურ კვალიფიკაციასაც. და მაინც, მიგ-
რაცია, როგორც მოვლენა, ამ სტატიებში და-
დებითადაა შეფასებული. ამასთან აქტიურად
გამოიყენება აპრიორული თეზისიც იმის შე-
სახებ, რომ ყველაფერი, რაც ხელს უწყობს
ორენოვნების განვითარებასა და მრავალეროვნ-
ული კულტურების წარმოქმნას, უკვე თა-
ვისთავად დადებითია. (სამაგალითოდ შეიძლე-
ბა მოვიყვანოთ პ. ტალივისა და ნ. კაროტო-
მის სტატია კრებულში „Труды по истории
коммунистической партии Эстонии“ XI,
ტალინი, 1986 წ.) ნიშანდობლივია, რომ ამ მა-
სალებში კულტურისა და კულტურული ცხოვ-
რების პრობლემები საერთოდ არაა დაუენე-
ბული, ხოლო მუშაობის პროცესში სხვა ენაზე
ურთიერთობის ელემენტარული უნარი უკვე
სხვა ენის ცოდნად იწოდება. ასეთ შემთხვე-
ვაში ეროვნებათა მექანიკური აღრევა ერთგვარ
თვითმიზნად იქცევა, ხოლო შედეგს რომლი-
თაც არავინ არაა ხერხიწულად დაინტერე-

სებულო. არც არავინ შეისწავლის ხოლმე. არადა ხწორედ კულტურული და ფსიქოლოგიური შედეგების გამოკვლევით უნდა დავაწყუროთ, რამეთუ ენა და კულტურა ერთი მთლიანი ფენომენია. მთლიანი ორენოვნება თავისთავად ნიშნავს პიროვნების არსებობას ერთდროულად ორივე კულტურაში. მაგრამ ძალუბთ ეს მთელ რიგ ხალხებს ხანგრძლივოდროის განმავლობაში წარმატებით გაართვან თავი მსგავს ამოცანას? ეს შეტად სერიოზული საკითხია. სრული ორენოვნება ან მთლიანად შლის უველაზე ხარისხ, ნათელ და მნიშვნელოვან თვისებებს პიროვნებაში, ან აორკეცებს მათ. ამ უკანასკნელს ჭერჭერობით მხოლოდ მაღალინტელექტუალური, ღრბად განხწავლული ადამიანები თუ ახერხებენ.

ორენოვნების საპირისპირო კოლუსს ნახევარენოვნება და ნახევარკულტურულობა წარმოადგენს. რომელიც თავის მხრივ უკულტურობას უტოლდება. და ეს დაპირისპირებულობანი ერთმანეთთან უფრო მჭიდრო კავშირში არიან, ვიდრე ჩვენთან ჰგონიათ ხოლმე. უკველ შემთხვევაში, ამ საშიშროების გათვალისწინება აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ვუმართებს მუდმივი მზადყოფნა დაბალინტელიგენტური ახალგაზრდობის მახიურად დასაქმებისათვის.

ქვეყნებში, სადაც უცხოენოვანი ბავშვების პრობლემა არსებობს (შვეიცია, კანადა), გვიჩვენებენ თავდაპირველად ბავშვებში მშობლიური ენა განვითარებით და მხოლოდ ამის შემდეგ შევუდგეთ მეორე ენის ინტენსიურ სწავლებას. თან სხვა ენის სწავლებას მეორე-მესამე კლასიდან გვიჩვენებ, რადგან სწავლების ფორსირება, მათი აზრით, უარყოფით შედეგს იძლევა.

ეს გამოსაჭმული მოსაზრებანი თითქმის მთლიანად უპირისპირდება იმას, რასაც ჩვენი პროპაგანდისტული პრესა გვთავაზობს ორენოვნებისა და მისი გავრცელების აქტივობაზე. ამ პრობლემებს ჩვენში საკმაოდ ზედპაირულად ეხებიან არგუმენტებად ხშირ შემთხვევაში იმგვარი პოლიტიკური დირექტივები მოჰყავთ, რომლებიც არავითარ შედეგებს არ ექვემდებარებიან. იქნებ ვინმე გააოცოს კიდევ იმან, რომ საქმე თურმე არც ისე მარტივად უოფილა, რომ ადამიანი სრულებითაც არ მგავს ქანჩს, რომელსაც საითაც ვინდა იქით დააბრუნებ. შეხამლებელია უკველივე შემოსაჭმულის დაჭერება მართლაც გაგვიკვირდეს — ხომ ვხვდებით შერეული ოქახების დადებით მაგალითებსო. შეგვახსენებს მავანი, კეთილი და პატიოსანი და მაინც: 1. ხანამდვილში უველაფერი გაცილებით რთულადაა. (ასე თუ იხე, ჭერ საქმის არსი

უნდა შევისწავლოთ საფუძვლიანად. ხოლო შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილებანი და არა პირიქით, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ჩვენში). 2. ერთეული დადებითი მაგალითები განზოგადების საფუძვლად არ განსაკუთრდება, რადგან ისინი არც ნატურალურად დაბალია მთლიანად ხანდო. მაშასადამე, რომელიც ორენოვნების სხვადასხვა ფენებში არსებული მდგომარეობის შესახებ სრულ წარმოდგენას არ გვიქმნიან. ხშირ შემთხვევაში დადებით მაგალითებად ხელმძღვანელ ამხანაგთა მატერიალურად უზრუნველყოფილ ოქახებს, ანდა სულაც ინტელიგენტობას გვიხაზულობენ. მაგრამ ჩვენ ხომ ძირითადად საუკველთაო, მახიურ ორენოვნებაზე გვაქვს საუბარი. 3. ხშირად ჩვენი შესაძლებლობების გადაფასებისაკენაც ვიყავით მიდრეკილნი. ვცდილობდით ხელოვნურად გავუმარტივებინა ურთულესი პრობლემები (სხვათაშორის ეს ოვისება დამახასიათებელია მრავალი მშობლისთვისაც, როცა ისინი გადაჭარბებულად აფასებენ ხოლმე თავიანთი შვილების ენობრივ მონაცემებს.)

სხვა და სხვა მიზეზთა გამო ორენოვნების პრობლემებს ჩვენში საკმაოდ არასერიოზულად უდგებოდნენ. ჭერ ერთი, თვით ნაციონალური საკითხის არსებობა ითვლებოდა რატომღაც სათაკილოდ. მეორე და მთავარი ეს მაინც ისაა, რომ საბჭოთა სოციოლოგიას თავისი განვითარების დონით დღემდე ფრიად მოკრძალებული ადგილი ეკავა მსოფლიოში. როგორც ცნობილია, ამ შეცნიერებას ჩვენში დიდი ხნის განმავლობაში თვლიდნენ ბურჟუაზიულ ფხვედომეცნიერებად (თავის დროზე იგივე გადახდა გენეტიკას, კიბერნეტიკას, სემიოტიკას, სტრუქტურალიზმს). ამიტომ, ბუნებრივია არც მოგვეპოვება ხანდო მონაცემები, მაგალითად იმის შესახებ, თუ რა აზრისანი არიან თვით საბჭოთა ხალხები ენობრივ პრობლემებზე. რეალური პრობლემები ხშირ შემთხვევაში ლოზუნგებითა და მოწოდებებით ინიღბებოდა, ამიტომ ხალხისათვის ადვილი გასარკვევი როდი გახლდათ, თუ სად იყო მათი აზრი და სად ლოზუნგები. (ლოზუნგები ანუ ის, რასაც ჩვეულებრივად პასუხობენ ხოლმე მოსახლეობის საუკველთაო აღწერისა და გამოკითხვის დროს).

მართალია, შეცნიერება ეოვლისშემძლე არ არის. მაგრამ მისი დასკვნები, ჩვენი აზრით, უფრო სასარგებლოა, ვიდრე ცარიელი ოპტიმისტური ენთუზიაზმი. დღევანდელი შეცნიერება ზოგჯერ უფრო დიდ სემპტიციზმს ავლენს, ვიდრე ეს სხვადასხვა ჭურის მომავლის მგებმავებს დაებატებოდათ გულზე, იგივე ეხება ორენოვნებასაც. შეცნიერების ვალია, ოპტიმისტური პროგნოზები ეს არ გასცეს სხვადა-

სხვა კომპანიების დასკვნებისათვის, არამედ დროულად გავაფრთხილოს კიდევ.

შეხვედრის „მედიკინის“ რედაქციისათვის:

ვაქვეყნებთ რა მ. შინტის სტატიას, ჩვენს საკითხად ვთვლით დავაზუსტოთ, რომ საქმე ეხება audiatur et altera პრობლემას, რომელიც დღემდე ცალმხრივად განიხილებოდა. გადაწვეტილი გვაქვს უახლოეს ნომრებში გავაგრძელოთ პირუთვნელი და გულახდილი აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოცემული საკითხის ირგვლივ.* ამხვე გვაგალებს ხსრ კავშირის

* ჩვენი დიდი სურვილია ასევე გამოვხმაურონ წინამდებარე სტატიის ქართული მეცნიერებიც. მოუხმეტეს თუ არ ვეღებო, დასმული პრობლემა არც ჩვენთან უნდა იყოს ნაკლებად აქტუალური. (მთარგმნელი)

ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ნ. კოვლევის სტატია:

«Достижения качественного нового состояния советского общества и общественные науки» («Коммунист», 1987, № 8), ხდაც სხვათა შორის ჩვენი:

«Уход от действительности проявляется в изучении национальных отношений. Именно в этой сфере, как, пожалуй, ни в какой другой, накопилось много устаревших, догматических оценок, неадекватных практике».

წინამდებარე სტატია თარგმნილია ესტონური ენრილიდან „ვიკერკარი“, (1987, №6, 7) რომელიც იბეჭდება ესტონურ და რუსულ („რადუგა“) ენებზე. (მთარგმნელი)



მერაბ კალანდიაძე

ბაირონი და ნაკოლეონი

1788 წლის 22 იანვარს დაიბადა ჯორჯ ბაირონი, რომელსაც წილად ხვდა უოფლიყო ევროპული რომანტიზმის მამამთავარი. გამოჩენილი ფრანგი ლიტერატურათმცოდნის, ანდრე მორუას აზრით, XIX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში იყო სამი დიდი მწვერვალი — ბაირონი, ბალზაკი და ტოლსტოი.

ბაირონის პიროვნების და პოლიტიკური მრწამსის პროგრესულობა მკაფიოდ გამოვლინდა მისი ხანმოკლე პოლიტიკური მოღვაწეობის დროს. საგულესხმოა, რომ ბაირონმა თავისი სპარლამენტო გამოსვლების თემად რაიმე უმნიშვნელო საკითხი კი არ აირჩია, არამედ შეეხო ინგლისის ისტორიის ორ მტკივნეულ პრობლემას, ერთი იყო არლანდიის საკითხი, მეორე ნოტიანგემელ ფეიქართა გაფიცვა 1812 წელს. ეს არჩევანი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ბაირონის აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას. ბაირონის კონფლიქტი ოფიციალურ ინგლისთან მისი ფსიქიკური დეფექტებით კი არ აიხსნება, როგორც ამას ხშირად ამტკიცებდ-

ნენ ბურჟუაზიული მეცნიერები, არამედ განპირობებულია მისი პოლიტიკური გამოსვლების და მოთელი მისი შემოქმედების მძაფრი სოციალური პათოხით, რომელმაც შიშის ზარი დასცა კონსერვატიულ ინგლისს. მეტად შორსმჭვრეტელურად გაიხმა პარლამენტში ბაირონის შემდეგი ფრაზები: „სამაგიეროდ დადგება დრო, როდესაც მათი (ე. ი. ჩაგრული კლასების — მ. კ.) ინტერესების უგულვებელყოფა, მშრომელთა დიდი უმრავლესობის გაკირვება, ამ ხალხს გააფთრებამდე მიიყვანს და მაშინ ამ ძალამ შეიძლება წაგლეჯოს“. აი, ამის პატიება კი არ შეეძლო ოფიციალურ ინგლისს და კიდევ არ აპატია. ამიტომ მათ უველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა ლორდთა პალატის წევრის ოჯახური უსიამოვნებების უმნიშვნელო ფაქტი (იგულისხმება უთანხმოება მეუღლესთან, ანახელა მილბენკთან) დიდ აჟალმაჟალად წარმოეჩინათ. ეს იყო უბრალო საბაბი, რომელიც დააიქცა ბაირონის დევნა-შევიწროვებში მიზნად და რომელმაც აიძულა ის ბოლოს და ბოლოს მიეტოვებინა მშობლიური ინგლისი.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ბაირონი ჩამოყალიბებულ ინდივიდუალისტ მემბობედ დარჩა. მან ვერ შეძლო ერთპიროვნული ამბობის იკით წასვლა. ეს ბუნებრივიცაა, ამისათვის ისტორიული წინამძღვრები ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული.

შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ბაირონის პოლიტიკურ მოღვაწეობასა და მის შემოქმედებას შორის რაიმე უფსკრული არსებობდეს. მოვუსმინოთ თვითონ ბაირონი: „ნოტიუნგემელ ფეიქართა დახატვად წარმოქმნილი ხიტყვა „ჩაილდ პაროლდის“ წინახიტყვაობას წარმოადგენს.“ 1828 წლის 1 აპრილს ბაირონი ლი გენტს წერდა: „ქალბატონ შელის (პოეტ შელის მეუღლეს — მ. კ.) გადასაწერად გადავუგზავნე ლექსები — შეიდას ორმოცდაათ სტრიქონამდე. ლექსები განკუთვნილია დედამიწის მრავალმილიონიანი მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, ვინც კითხვა იცის. იგი თავიდან ბოლომდე პოლიტიკაა და ჩვენი დღეების მიმოხილვაა“. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, რომ ბაირონის შემოქმედებასა და მის წინამოყდერ პოლიტიკურ მოღვაწეობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა.¹

ბაირონის ნაწერებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს XIX საუკუნის ცნობილი პოლიტიკოსების: უილიამ პიტის, ლორდ ველინგტონის, ლორდ კესტლერის, ალექსანდრე 1, მეტერნიხის, ნაპოლეონის შეფასებებს. XIX საუკუნის დასაწყისის ინგლისურ ისტორიოგრაფიაში ფართოდ იწერება ანტიფრანგული ტენდენციები. თავს იჩენს XIX საუკუნის დასაწყისის ინგლისის პოლიტიკური მოღვაწეობის უსაზღვრო განდიდება. ამ თვალსაზრისის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ინგლისურ ისტორიოგრაფიაში არის არჩიბალდ ალისონი. პიტა, ველინგტონი, კესტლერი ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა არ დაეშვათ ინგლისში რევოლუციური იდეების გავრცელება და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა ჩაეხშოთ რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა ქვეყნის შიგნით. ამიტომ იყო, რომ XIX-XIX საუკუნეების ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია პირდაპირ აღმერთებდა მათ. ბაირონის ნაწერებისათვის აბსოლუტურად უცხოა ანტიფრანგული სულისკვეთება. ამავე დროს, იგი ცდილობს რეალურად, კრიტიკულად შეაფასოს თანამედროვე ინგლისელი პოლიტიკოსების მო-

ღვაწეობა. ამის საუკეთესო ნიმუშია ბაირონის ლექსები „ეპიტაფია მინისტრ პიტზე“ (1824) და „ბრიტანეთის მინისტრის კესტლერის თვითმკვლელობაზე“ (1822). აი, რომ წერდა ბაირონი ამ ლექსში: „მან თავი მოიკლა სამართლით. მაგრამ მანამდე უელი გამოუქვეყნებულ კრიტიკანთს“. ასე წერდა ბაირონი „ნოტიუნგემელ მათში ნედავდა ყოველგვარი დროშოქმულის, ძველის, კონსერვატიულის თავგამოდებულ დამცველთ და თავისუფლების, სიახლის, პროგრესულობის დაუძინებელ მტრებს. ბაირონი არ ცუთვნოდა თავისი თანამედროვე ინგლისელი პოლიტიკოსების აპოლოგეტთა რიცხვს.

საბჭოთა ისტორიკოსი აკად. ე. ვ. ტარლე წერდა, რომ ნაპოლეონი მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი რთული პიროვნება იყო.² ამიტომ ბაირონის დაინტერესება ნაპოლეონის პიროვნებით სავსებით ბუნებრივი ჩანს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში არ დარჩენილა რამდენადმე გამოჩენილი მწერალი, რომელსაც თავისი აზრი არ გამოეთქვას ნაპოლეონის შესახებ. მათი უმრავლესობა, როგორც წესი, ნაპოლეონის უსაზღვრო თავგანისმცემლები იყვნენ და ზოტბას ასხამდნენ საფრანგეთის იმპერატორს. ნაპოლეონით უსაზღვროდ აღფრთოვანებული ვაიმარელი ბრძენი გოეთე მასში „ნახევრად ღმერთს და ნახევრად ადამიანს ხედავდა“. ნაპოლეონის უდიდესი თავგანისმცემელი იყო ფრედერიკ სტენდალი. ჰაინრიხ ჰაინეც აღმერთებდა ნაპოლეონს. ნაპოლეონისადმი სიმპათიებით იყვნენ გამსჭვალული: ბერანსე, ბალზაკი, პიუგო, მიცკევიჩი, ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ნ. ბარათაშვილი. ამ მხრივ ბაირონი, რა თქმა უნდა, სულაც არ გაზღდათ გამონაკლისი.

ინგლისი საფრანგეთის დაუძინებელი მტერი იყო, ვინაიდან მასში ხედავდა თავის მეტოქეს მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლაში. ამიტომ ნაპოლეონისადმი სიმპათიები ინგლისში მოდაში არ იყო. ამის კარგი მაგალითია ნაპოლეონისადმი მეორე გამოჩენილი ინგლისელი მწერლის ვალტერ სკოტის დამოკიდებულება. მისი ნაშრომი ბონოპარტეს შესახებ ტენდენციურადაა დაწერილი. იგი ნაპოლეონს ინგლისელი ობიექტულის თვალთ უუურებს. შედგენილად მუქ ფერებში ხატავდა ნაპოლეონს ინგლისელი ისტორიკოსი არჩიბალდ ალისონიც. აღნიშნულ საკითხზე ბაირონის მსჯელობები გამოირჩევა თავისი ორიგინალობით და სრულიად განსხვავდება თავისი თანამედროვეების შეხედულებებისაგან. თუ ის ინგ-

¹ უფრო ერკლად ბაირონის შემოქმედებაზე ქართულ ენაზე იხ. ვ. გაჩეჩილაძე, ბაირონი, თბ. 1938; ა. ვინოგრადოვი, ბაირონი, თბ. 1973; ნ. ურუშაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების ლიტერატურის ისტორია, თბ. 1959.

² Э. В. Тарле, Наполеон, М., 1957. Л. 3. Манфред. Наполеон Бонапарт, М., 1973.

ლისელ პოლიტიკოსთა საქმიანობას კრიტიკულ
ლი თვალით განიხილავს, ნაპოლეონს პირიქით,
კუნდრუკს უკმევეს და ხოტბას ახბამს.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ბშირად
მიუთითებენ ბაირონის და ბარათაშვილის სუ-
ლიერი ნათესაობის შესახებ, ისინი ორივენი
რომანტიკოსები არიან და ამიტომ ბუნებრივია,
მათ შემოქმედებას, სულიერ სამყაროს, ინტე-
რესებს შორის ბევრი შეხების წერტილია. ნა-
პოლეონის მოღვაწეობით ბაირონის და ბარათა-
შვილის დაინტერესება ამ სულიერი ნათე-
საობის ერთ-ერთი გამოვლინება გახლავთ.

ნაპოლეონის კულტს საფუძველი რომანტი-
კოსებმა ჩაუყარეს, რომელმაც ფართოდ მოი-
კიდა ფეხი XIX-XX საუკუნეების ბურჟუაზი-
ულ ასტორიოგრაფიაში (ადოლფ ტიერი, ფრანსუა
მინიე, ფრანსუა გიზო, იპოლიტ ტენი, ალბერ სორელი,
ალბერ ვანდალი, არტურ ლევი, ფრედერიკ მასონი,
არტურ შიუპე, ედუარდ დრიო, ემილ კირჰაიშენი,
ჟორჟ ლეფევირი, ლუი მადლენი, ანდრე კასტელო,
ჟაკ გოდშო, ანდრე მორუა). ნაპოლეონის განდიდება
იგრძნობა ფრანგი მარქსისტო ისტორიკოსის
ალბერ სობულის გამოკვლევებშიც.)

აწმყოთი უკმაყოფილო რომანტიკოსები, რომლებიც
წარსულში ეძებდნენ ძლიერ გმირებს, კუნდრუკს
უკმევედნენ ნაპოლეონ ბონაპარტეს. ის იყო
ევროპულ რომანტიკოსთა შთაგონების წყარო,
რომლებიც ნაპოლეონში ხედავდნენ თავიანთი
იდუმების განსახიერებას და ხოტბას ახბამდნენ
კორსიკელის საკვირველ საქმეებს. ნაპოლეონის
ასეთი განდიდება რომანტიკოსების მიერ
ისტორიაში პიროვნების როლის გაზვიადების
ლოგიკურა შედეგი იყო, რომანტიკოსთა შორის
გულგატეხილობამ მხოლოდ მას შემდეგ იჩინა
თავი, როცა ნაპოლეონის ომების დაპურობითი
ბასიითი აშკარა შეიქმნა, უველაფერი ეს, რა
თქმა უნდა, საკმაოდ რელიეფურად აისახა
ნაპოლეონზე ბაირონის მსჯელობაში.

ნაპოლეონისადმი ბაირონის დამოკიდებულებაზე
შეიძლება ვიმსჯელოთ მისი ლექსების, დღიურების
და ცერძო წერილების მიხედვით. ბაირონის
დღიურები და წერილები ნაპოლეონისადმი განუზომელი
სიმპათიებითაა გამსჭვალული. დღიურები ერთ-ერთი
უველაზე უფრო სამედო ისტორიული წყაროა,
ვინაიდან მათი ავტორი ფიქრობს მის
გამოქვეყნებას, ამიტომ არ ცდილობს მოვლენების და
ფაქტების შელაშა-

ზებას, და არ ერიდება თავისი აზრის პირდაპირ
გამოთქმას.

1814 წლის დასაწყისში ნაპოლეონი სამკედრო-
სასიცოცხლოდ შეებრძოლა ფეოდალურ სახელმწიფოებს,
რომლებიც კვირქვეშა ტერიტორიაზე შეიჭრნენ.
კვლავ წყვეტდას ხასიათი. ამიერიდან იგი
საფრანგეთისათვის თავდაცვითი, განმათავისუფლებელი
ომის ხასიათს ატარებდა, რაც თანამედროვეებმა ძალიან
კარგად დაინახეს. 1814 წლის 18 თებერვალს
ბაირონმა დღიურში ჩაიწერა: „ეს კვირა გადაწყვეტს
მის (ე. ი. ნაპოლეონის — მ. კ.) ბედს. ეტყოფა
უველაფერი მისი წინააღმდეგია. მაგრამ მე
მწამს და ვიმედოვნებ, რომ ის გაიმარჯვებს“. შეიძლება
ითქვას, რომ ამ მსჯელობაში ბაირონი გრძნობას
გონებას ვერ უმორჩილებს და ამიტომ სასურველს
შესაძლებელზე მაღლა აუენებს. პოლიციის
მინისტრმა სავარაიმ არ შეასრულა ნაპოლეონის
ბრძანება ტალეირანის დაპატიმრების შესახებ.
ამით ნაპოლეონს სურდა აეცდინა ზურგში
დანის ჩარტყმა, როგორც ა. ზ. მანფრედი აღნიშნავს.
„ეს იყო ნაპოლეონის ერთ-ერთი კვირანური
ნაბიჯი“, მაგრამ ტალეირანმა შეძლო სავარის
მოტულება. „სავარი. — გამოგვცემს ლავალეტა.
— ვერ გაერკვა ტალეირანის პოლიტიკურ
კურსში“, სულტმა ვერ შეინარჩუნა ბორდო.
ოფერომ დაიხია დიონისაკენ. მოკავშირეები
პარიზისაკენ დაიძრნენ. 1814 წლის 31 მარტს
მოკავშირეების არმია პარიზში შევიდა.
პარიზის დაცემამ თანამედროვეებსა და ისტორიკოსებს
შორის დიდი დისკუსია გამოიწვია. მაგრამ
მთავარი და ძირითადი ის იყო, რომ ნაპოლეონის
ომებმა დაკარგეს პროგრესული მნიშვნელობა
და რევოლუციურიდან დაპურობით ომებად
გადაიქცნენ. ნაპოლეონის იმპერიის კატასტროფა
1814 წელს გახლდათ 1812 წლის დამარცხების
ლოგიკური შედეგი. „უშეკველია, რომ სწორედ
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა,
რომელიც დაიწყო 1812 წელს რუსეთში ნაპოლეონის
შემოჭრის დროს და შემდეგ გადაედო დასავლეთ
ევროპის სხვა ქვეყნებს, იყო ძირითადი და უველა-
ზე უფრო მოქმედი ძალა, რომელმაც ბოლო
მოუღო ნაპოლეონის ბატონობას ევროპაში“, —
წერს ა. ზ. მანფრედი, თანამედროვე ფრანგი
ისტორიკოსის ჟაკ ბენვილის სამართლიანი
შენიშვნით, 1814 წლის 4 აპრილი იყო 1798
წლის 18 ბრიუმერი გამოტრიალებული სახით.
ამ დღეს გადაწყდა ნაპოლეონის გადადგომა.
8 აპრილს, შუადღის 2 საათზე ნაპოლეონმა
ხელი მოაწერა გადადგომის აქტს. 1814 წლის
8 აპრილს ბაირონი ირლანდიელ პოეტს
თომას შურს წერდა: „მე, ჩემი საწყალი
პატარა კერპი, ნაპოლეონი, ჩამოგდეს ტახტიდან,
ლაპარაკობენ, რომ ის გადადგა. ამას

1 А. Сибуль, Первая республика, М., 1975. А. Сибуль, Герой. Легенда, История, — Французский Ежегодник, 1969, 14, 1971, 83 235-255.

შეუძლია ცრემლი ადინოს სატანას თვალები-
დან" იმ ასეთი სინანულითა და გულისტი-
ვილით შეხვდა ბაირონი თავისი სათაყვანებე-
ლი კერპის, ნაპოლეონის დაცემას. 1814 წლის
13 აპრილს ბაირონი დღიურში ჩაიწერა: „ბუ-
რონები დაბრუნდნენ, ძირს კეთილგონიერება,
დიდიხანია შევიძულე ჩემი თავი და ადამიანე-
ბი მაგრამ არასოდეს ეს სიძულვილი იმ ზო-
მამდე არ მისულა, როგორც ახლა. მე სახეში
ვაფურთხებ ჩემს თანამომხმეთ დედამიწაზე. იმ,
სულელთა ჩემო თავო, კკუიდან შევიშლები“. აქ
კარგად ჩანს ის უარყოფითი რეაქცია, რომე-
ლიც გამოიწვია ბაირონი ნაპოლეონის დაცე-
მამ და ბურონების რესტავრაციამ. აბსოლუტ-
ურად ნათელია, რომ ბაირონის სიმპათიები
ნაპოლეონის მხარეზეა.

28 აპრილს ნაპოლეონი კუნძულ ელბაზე გა-
ემგზავრა. ფუშემ კარგად შენიშნა: „ნაპოლეო-
ნი ელბაზე იტალიისათვის, საფრანგეთისათვის
და მთელი ევროპისათვის იგივე იქნება, რაც
ვეზუვი ნეაპოლისათვის“. ფუშესათვის აღდოს
არ უღალატია. გადასახლებაში მყოფი ნაპო-
ლეონი გულდასმით ადევნებდა თვალუურს
საფრანგეთის პოლიტიკურ ცნოვრებას. მან კა-
რგად დაინახა საერთო უკმაყოფილება, რომე-
ლიც გამოიწვია საფრანგეთში ბურონების
დაბრუნებამ. ამიტომ ნაპოლეონმა გადაწყვიტა
28 თებერვალს დაეტოვებინა ელბა, ხოლო 1
მარტს შუადღის მ საათზე მშვიდობიანად ჩა-
უშვა ლუზა სამხრეთ საფრანგეთში. 20 მარტს
საღამოს მ საათზე ნაპოლეონი ტრიუმფით შე-
ვიდა პარიზში. ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი
ფაქტორი, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვ-
რა ნაპოლეონის ტრიუმფალური სვლა პარიზისა-
კენ, გახლდათ ბურონთა არაპოპულარობა. საფ-
რანგეთის ყველა სოციალურ ფენას ხასტიკად
სძულდა ბურონები. მეორე მნიშვნელოვანი
ფაქტორი, გლეხობის მხარდაჭერა იყო. გლეხებს
რევოლუციის სოციალური მონაპოვრების დაკა-
რგვისა ეშინოდათ. გლეხობა ნაპოლეონში ხე-
დავდა თავის დამცველს ფეოდალური საფრთ-
ხისაგან და ანიტომ პირველსავე დაძახებზე
ნაპოლეონს მოემხრო. დიდ ქალაქებსა და ლი-
ონში, ნაპოლეონს აქტიურად უჭერდნენ მხარს
მუშეები. ეს იყო თავისებური ფორმა ბურონ-
თა მონარქისადმი შეურიგებელი მტრობის გა-
მოვლინებისა. მარტის დღეებში ნაპოლეონს
მხარი დაუჭირა საფრანგეთის ბურჟუაზიის დი-
დმა ნაწილმა. ამ მოვლენების თანამედროვემ
ა. ტიბოდომ ძალიან კარგად თქვა: „ცხოვრე-
ბამ ისინი დააყენა არჩევანის წინაშე — ნაპო-
ლეონი თუ ბურონები, რაც ნიშნავდა არჩე-
ვანს რევოლუციასა და კონტრრევოლუციას
შორის“. ხალხმა აირჩია ბურჟუაზიული
რევოლუცია, რომლის განსახიერებასაც ნაპო-

ლეონში ხედავდა და ბოლოს, რა თქმა უნდა,
არავინ უარყოფს ნაპოლეონის ნიჭს, ტალანტს,
პოპულარობას არმიასი და ხალხში ნაპოლეო-
ნმა, ფრანგი ხალხის აქტიური მხარდაჭერის შე-
დეგად. 1815 წლის მარტში დაამტკიცა ბურონთა
რეჟიმი. უნდა დავეთანხმებოდეთ იმას, რომ
რომ სოციალური შინააღმდეგობის შედეგად
ბური ბურჟუაზიული რევოლუცია, რომლის
შედეგადაც ხალხმა გადაიგდო ფეოდალური
რეაქციის უღელი, რევოლუციის მატერიალუ-
რი, სოციალური და პოლიტიკურის განადგუ-
რებას რომ ღამობდა. სხვათა შორის, სწორედ
ახე ესმოდათ 1815 წლის მარტის მოვლენები
თანამედროვეებს (ლავალეტა, კონტეკულანი,
ტიბოდო და სხვები).

ნაპოლეონისადმი ბაირონის სიმპათიების კი-
დეც ერთი საბუთია მისი ლექსი „ნაპოლეონის
გაქცევა კუნძულ ელბიდან“. ამ ლექსში ძალი-
ან კარგად ჩანს ის აღფრთოვანება, რომლითაც
შეხვდა ბაირონი ნაპოლეონის ელბიდან გაქ-
ცევას და საფრანგეთში დაბრუნებას. ბურონ-
ების დამბობა და საფრანგეთში ნაპოლეონის
დაბრუნება ბაირონის თვალში იყო ფეოდალუ-
რი კონტრრევოლუციის დამარცხება და ბურ-
ჟუაზიული რევოლუციის გამარჯვება.

ინგლისიდან დევნილმა ბაირონმა 1818 წლის
ზაფხულში ბელგიაში მოინახულა ვატერლოოს
ველი. ეს შემთხვევითი ამბავი არ უოფილა. ამ-
ით ბაირონმა კიდევ ერთხელ მოიხარა ქედი
თავისი სათაყვანებელი კერპის წინაშე. ვატე-
რლოოს ველის დათვალეირების შედეგად მი-
ღებული შთაბეჭდილებები კარგად აისახა „ჩი-
ილდ პაროლდის“ მესამე ქებაში. ბაირონი წე-
რდა: „ვით საფრანგეთის სამარე, მის წინ სი-
სხლით დამბალი ძვეს ვატერლოო“. ბაირონის
სიმპათიები ნაპოლეონისადმი კარგად ჩანს მის
ლექსში „ოდა საფრანგეთზე“.

ბაირონის უარყოფითი დამოკიდებულება სა-
ღვთო კავშირისადმი მეტერნიზის, ალექსანდრე
I და ველენგტონისადმი ნაწილობრივ ნაპოლე-
ონისადმი სიმპათიებითაც იყო განპირობებუ-
ლი. ბაირონი მშვენივრად ხედავდა, რომ 1815
წლის შემდეგ ევროპაში აღარ იყო ისეთი პო-
ლიტიკური მოღვაწე, რომელიც ნაპოლეონს შე-
იძლებოდა გატოლებოდა. მისი პოემიდან „ბრი-
ნჯაოს საუკუნე“ კარგად ჩანს, რომ „საღვთო
კავშირზე“ და მის მთავარ ხულისჩამდგმელე-
ბზე — მეტერნიზზე და ალექსანდრე I-ზე ის
მაღალი აზრის არ უნდა იყოს. შემთხვევით
არაა, რომ პოემა იწყება ეპიგრაფით „მთელი
ჯოგი ერთ აქილეესსაც არ უდრის“. ბაირონი
ხასტიკად ამართახებს საღვთო კავშირის ვერო-
ნის კონგრესის (1822 წლის 18 ოქტომბერი,
22 დეკემბერი) ყველა მთავარ მონაწილეს. სა-
ინტერესოა, ბაირონის მიერ თვით პოემის სა-

თაურის გააზრება. პოემის პოლიტიკური ფი-
ლოსოფია შემდეგს ლაღადებს: ბაირონი ფიქ-
რობს, რომ დედამიწაზე საუკეთესო ეპოქამ
„ოქროს საუკუნემ“ უკვე განვლო. სწორედ აქ-
ედან წარმოდგება ბაირონის პოემის სათაური
„ბრინჯაოს საუკუნე“.

რა თქმა უნდა, ნაპოლეონის პიროვნებით ბა-
ირონის აღფრთოვანება უველაზე უფრო რე-
ლიეფურად გამომდგავნდა ლექსში „ოდა ნა-
პოლეონ ბონაპარტზე“. ეს ლექსი თავიდან
ბოლომდე ნაპოლეონის აპოთეოზია. ბაირონი წე-
რდა: „ნაპოლეონი არ იყო დაბადებული მეფედ,
მაგრამ თელავდა მეფეებს თავისი ეტლით“.

ნაპოლეონის პიროვნებით აღტაცებული ბა-
ირონი, ბუნებრივია, ვერ ხედავდა მისი დიქტა-
ტურის კლასობრივ ბუნებას. რუს ისტორი-
კოს ბოვდანოვიჩს აქვს წიგნი „ნაპოლეონი
ბურჟუაზიის გმირი“. წიუხედავად წიგნის ძა-
ლზე დაბალი მეცნიერული ღირებულებებისა, სა-
თაურში საოცრად ზუსტადაა მითითებული ნა-
პოლეონის იმპერიის კლასობრივი არსი. ნაპო-
ლეონ ბონაპარტე ქვეშაბრტად ბურჟუაზიის

გმირი იყო. ნაპოლეონის სამხედრო დიქტატუ-
რა გამოხატავდა მსხვილი ბურჟუაზიის, მაღალი
სამხედრო წრეების და შიდაპირი გლეხობის ინ-
ტერესებს. ნაპოლეონის ხაშინა და საგარეო
პოლიტიკამ განამტკიცა საფრანგეთის ბურჟუ-
აზიის პოზიცია, ხელს შეუწყობდა საფრანგეთში
კაპიტალიზმის განვითარებას და დაანგრია ფე-
ოდალიზმი ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში.
როგორც ა. ზ. მანფრედი აღნიშნავს, „აღ-
ბათ, სწორი იქნება ვთქვათ, რომ ნაპოლეონ
ბონაპარტე იყო ბურჟუაზიული ეპოქის ერთ-
ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი წარმომად-
გენელი, როდესაც ბურჟუაზია იყო ახალგაზრ-
და, პროგრესული, აღმავალი კლასი, რომ მან
ყველაზე უფრო სრულად შეისისხლბორცა ბუ-
რჟუაზიის ყველა ძლიერი თვისება, და ყველა-
თვით ამ ადრეულ ეტაპზე ნიშანდობლივი, მან-
კიერებანი და ხისუსტეები“.

ყოველივე ზემოთქმულიდან მხოლოდ ერთი
დასკვნის გამოტანა შეიძლება. ბაირონის სახით
საქმე გვაქვს ნაპოლეონ ბონაპარტეს თაყვანის-
მცემელთან.



ზურაბ ქარუმიძე

მარტინ ჰაიდებერი: „პოეზია არის სიმღერა“

წინამდებარე მოსაზრებანი წარ-
მოადგენენ წაკითხვის, გაგებისა
და კომენტირების ცდას. გაგების საგანია ერთი
სტრიქონი მ. ჰაიდებერის წიგნიდან: „ენისაკენ
სავალ გზაზე“. სიტყვა „სტრიქონი“, მოტანილი
ფილოსოფოსთან და არა პოეტთან მიმართება-
ში, ერთის შეხედვით, უჩვეულოა. მაგრამ, ამ-
გვარი უჩვეულობა განპირობებულია თავად
ჰაიდებერის აზროვნების (იგულისხმება მისი
მოდვაწეობის მეორე პერიოდი) სტილის უჩვე-
ულობად ტრადიციული ფილოსოფიის აკადე-
მიზმთან შედარებით, მისი პოეტურობით და,
უფრო მეტიც, მითოპეტურობით.

ამასთან ერთად, შემოთავაზებული კომენტარი
გულისხმობს ამ სტრიქონის წაკითხვას საკუთ-
რივ ჰაიდებერის ფილოსოფიის ფარგლებში,
თვით ამ ფილოსოფიიდან გამომდინარე: ფილო-

სოფიიდან, რომელიც პარადოქსთა, შეკითხვა-
თა და სიმბოლოთა ნაერთს უფრო წარმოად-
გენს, ვიდრე მწყობრ მეცნიერულ საფუძველზე
ნაშენებ მსოფლმხედველობრივ სისტემას. ჰაი-
დებერი თავს არიდებდა მეცნიერულობასა და
რაციონალიზმს; იგი სოკრატემდელი აზროვნე-
ბის წესის „უბრალოების“ აღდგინებას ესწრა-
ფოდა და თავის ფილოსოფიას პოეტური თვა-
ლსაწიერისაკენ უქცია პირი. ადამიანური ყოფი-
ერების როგორც შემოქმედების გაგებამ განსა-
ზღვრა ის, რომ პოეზიამ დაიკავა ერთ-ერთი ცე-
ნტრალური ადგილი ჰაიდებერის შეხედულებე-
ბში. ჩვენს მიერ წასაკითხი სტრიქონიც მას
ეხება: „პოეზია არის სიმღერა“. (უშუალოდ ეს
აზრი ჰაიდებერთან შემდგომი განმარტების მი-
ღმაა დატოვებული. ფილოსოფოსი უბრალოდ
დაუმატებს, რომ სიმღერასა და მსჯელობას შო-

არის ღრმა შინაგანი კავშირია და რომ სიმღერა არის ენა).

სიმღერის არსს მელოსი წარმოადგენს. მეოცე საუკუნის დამდეგის მუსიკათმცოდნეობაში დამკვიდრებული გაგებით მელოსი არის ფსიქიკურ ძალთა ნაკადი, რომლის ბგერითი ზორცშესხმა განაპირობებს მუსიკალური მელოდიის ქმნადობას. (ე. კურთი). მაგრამ, მელოსის შინაარსი სცილდება მუსიკის, როგორც ბელოვების დარგის ფარგლებს და ზოგად-ესთეტიკურ, ზოგად-კულტურულ მასშტაბებს იძენს. მელოსი „მუსიკის სულია“, პირველყოფილი რიტუალური მსოფლგანცდის აღმავსებელი, არქაულ მითოპოეტურ სიმბოლოთა შინაარსის მსჭვალავია. როგორც ცნობიერების სიღრმისეულ შრეთაგან მოქმედი „დიონისური საწყისი“ — მელოსი გულისხმობს ინდივიდუაციის რინციპის გადალახვას, დესტრუქციას, წღვარდებულში უსაზღვროს გადმოღინებას, რისამე სიღრმისეულის სწრაფვას ლიაობისაკენ, მის გამოთავისუფლებას. მელოსის ამგვარი ბუნებიდან გამომდინარე უნდა დაისვას შეკითხვა მელოსისა და პოეზიის საწყისთა შესაძლებელი თანხვედრის, ერთიანობის შესახებ. ამ შეკითხვაზე საპასუხოდ მივმართოთ პოეზიის ჰაიდეგერისეულ გაგებას.

პოეზიის არსს ჰაიდეგერი ენაში ეძიებდა, ხოლო ენა მისთვის, უპირველეს ყოვლისა, ყოფიერების ენაა, რაც იგულისხმება მის ცნობილ გამონათქვამში — „ენა ყოფიერების სახლია“. ენა ქმნის სამყაროს და „ინახავს“ მის ყოფიერებას. თავის გამოხატულებას ენა პოულობს ადამიანში, როგორც სიტყვის უნარის მქონე არსებაში. ყოფიერების ენის უმაღლესი გამოხატულება და უსავესესი სახე პოეზიაა და მეტაფიზიკური აზროვნებაა.

ენის არსი არის **ἰσχυρὸν** (Sagen, сказ). თქმის ეტიმოლოგიის დახადგენად ჰაიდეგერი იშველიებს ძველ სკანდინავურ სიტყვას Saga (საგა, თქმულება), რაც სიტყვასიტყვით „ჩვენებას“, „ჩენას“ ნიშნავს. აქედან გამომდინარე, თქმის არსი მას ესმის როგორც „წარ-მო-ჩენა“. რაიმეს მოვლენა ჩვენი მზერის წინაშე, დაფარულიდან დაუფარავში „გამო-ყვანა“, „გამო-ჩენა“.

თქმის როგორც წარ-მო-ჩენის მამოძრავებელი ძალა არის ბდომილება. ჰაიდეგერს იგი მიაჩნია უმარტივესად უმარტივეს და უპირველესად უპირველეს კანონთა შორის, რადგან კანონი, საერთოდ, არის ის, რაც აიუძლებს ყოველ ყოფიერს, იყოს ის, რაც ეს ყოფიერი

არის, ის, რაც ამ ყოფიერს „უბღება“ და რასაც ეს ყოფიერი „უბღება“. ბდომილება მხოდებულაა მომნიჭებელი თავისუფალი სივრცის (простор) იმისათვის, რომ ყოფიერი შეიძლება გახდეს („ბღებოდეს“) და, საერთოდ, შესაძლებელი გახდეს ის, რაც იგულისხმება მუსიკათმცოდნეობაში — „მუნ არბეიტს-სიხტის-ბდომილება თვით ყოფიერებასაც კი „ესაჭიროება“ იმისათვის, რომ ყოფიერება სახეზე იყოს — მოხდეს.

ბდომილება ადამიანს აიძულებს რომ „მოუბღეს“, გახდეს ბდომილებადი იმისადმი, რაც ადამიანს თავს აცნობებს ყოველი მხრიდან; რაც ადამიანს თქმაში აცნობებს თავს; თქმაში, რომელიც როგორც წარ-მო-ჩენა, ადამიანს მიანიშნებს დაფარულზე. ეს დაფარული არის „იდუმალყოფი საწყისი“, რომელიც ქეშმარიტ თავისუფალ სივრცეს უხსნის ყოფიერს. ჰაიდეგერისათვის ყოფიერის საარსებო თავისუფალი სივრცე, თავისუფლება, არის განმანათლებელი საიდუმლო, რომლის ნათებაში ფრიალებს ყოველი ქეშმარიტების მფარველი საფარველი. აქედან გამომდინარე, თავისუფლება უნდა გავიგოთ, როგორც იდუმალების წინაშე დგომა, როდესაც სამოქმედოდ გადაშლილი ვითარების (სივრცის) საზღვრები დაჩრდილულია. არჩევანის თავისუფლება არ ამოწურავს თავისუფლების არსს. ჰაიდეგერთან თავისუფლება არის მისია, რომელიც ადამიანს საიდუმლოს ამოხსნულად წარგზავნის. ხოლო საიდუმლოს ამოცნობა, ამოხსნა — საიდუმლოს შენახვაა და არა მისი მოხსნა, ნეგაცია. შესაბამისად, თქმა როგორც წარ-მო-ჩენა არის ყოფიერის შე-მო-ყვანა საარსებო თავისუფალ სივრცეში, რაც ამ ყოფიერს იდუმალყოფს დაფარულზე მინიშნებით. პუსერლის ტერმინოლოგიით თუ ვისარგებლებთ, წარმოჩენისას აქტუალურად დანახული ყოფიერი იქნის პოტენციურ პორიზონტს, რომელიც დანთქმულია, თუმცა ამ ყოფიერის უსაკუთრივესი პორიზონტია. იდუმალყოფის ონტოლოგიური პრინციპია ნაგულისხმები ჰაიდეგერის სიტყვებში, რომ ენა არის „დუმილის რეცვა“, „დუმილისაგან მომავალი ხმობა“, რომელსაც დუმილში ისმინს ადამიანი.

ადამიანის ყოფიერება, რომელიც თქმისადმი ბდომილებადია, არის გამორჩეული, ვინაიდან ადამიანი როგორც მეტყველი არსება, როგორც „მთქმელი“, ეპასუხება თქმას. თქმის როგორც დუმილის ხმობის მოსმენით იწყება ადამიანის მეტყველება, რაც არის ყოფიერების მდუმარე ხმის გახმოვანება და განსაქარობა. ეს ზორციელდება (ბღება) ადამიანის უსაკუთრივესი უნარის — სიტყვის აუღერების უნარის ძალით. თქმისადმი ამგვარი მიმართებით ადამიანის ბუ-

1 ამის შესახებ იხ. ვ. Карумიძეს. Мифология и музыкальное формо-творчество, «Литературная Грузия», № 4, 1986.

ნება ეწიარება თავის დანიშნულებას — უოფიერების ენის მდუმარების შიტანას ადამიანური ენის ტლერადობამდე. ასე წარმოუდგება შაიდვეგრს გზა ენისაკენ: გზა წარმომჩენი თქმიდან ადამიანის მეტყველებამდე და პირიქით. ამდაგვარი ანთროპოცენტრიზში ეფუძნება ზოგად-ონტოლოგიურ პრინციპს, რომ უოფიერება თავის თავს ადამიანში, ადამიანის ენაში აცნობიერებს. სწორედ ადამიანისათვის, ადამიანის თვალსაწიერში წარმოაჩენს უოფიერს წარმომჩენი თქმა: ხოლო ადამიანი ხდომილებადია ამ წარმომჩენისა. წარმომჩენილი უოფიერიც სწორედ ადამიანს მიანიშნებს დაფარულზე, იდუმალყოფზე, რომელიც თავისუფლების საწინდარია, რომელიც საარსებო თავისუფალ სივრცეს ანიჭებს უოველ უოფიერს, რომელთანაც ადამიანს ქეშმარიტი მიმართება უჩნდება, როდესაც უოფიერი ხდება ის, რაც ეს უოფიერი უსაკუთრივესად არის. თქმაში წარმომჩენილ უოფიერთან ადამიანის ამგვარი მიმართება არის ადამიანისათვის უოფიერის ბაბხნილობა. იქ, სადაც ადგილი არა აქვს გახსნილობას, სადაც წარმომჩენილი უოფიერი არ შეიცავს საიდუმლოს, როგორც საარსებო თავისუფალი სივრცის საწინდარს; იქ, სადაც უოფიერი არ მიანიშნებს იდუმალზე და არაფერს არ „უმხელს“ ადამიანს, არ არის არც ენა, არამედ მხოლოდ „ლაუბობა“ და არ არის არც უოფიერება, არამედ — ფუჭი „არსებობა“.

წარმომჩენ თქმაში ხდომილებებისას ადამიანისათვის უოფიერის გახსნილობას და თავისუფლების, თავისუფალი სივრცის მოხვეჭას, როგორც იდუმალყოფას, უშუალოდ მივყავართ უოფიერების საკითხთან; უფრო ზუსტად კი უოფიერების საკითხის იმ მხარესთან, რომელიც დაკავშირებულია პრპრას ცნებასთან.

სალი აწრისათვის „არარას“ ცნება არაფრის მთქმელია, შაიდვეგრისათვის კი — ძალიან ბევრის. შაიდვეგრი შუა საუკუნების გერმანული მისტიკის, განსაკუთრებით შაისტერ ექპარტის ტრადიციას ებმინება და „არარას“ ცნებას დადებითი ნიშნით წარმოადგენს, როგორც პოზიტიურ საწყისს. „არარას“ ბუნებისაკენ სავალ გზას იგი პოულობს ექსისტენციალური ძრწოლის განწყობილებასში. „არარას“ გახსნის ძრწოლა, ძრწოლა უნდა განვასხვაოთ შიშისაგან. შიში კონკრეტულია, იგი კონკრეტული საგნიდან, კონკრეტული უოფიერიდან მომავალი მუქარის შედეგია, ძრწოლას კი არ ეგულება ასეთი კონკრეტული „რის-გამო“ და „რის-წინაშე“. ძრწოლისას უოფიერთა სამყარო განიცდება როგორც მთლიანობა, რომელიც ხელიდან გვეცლება. საფუძვლის, საურდენის დაკარგვისა და სამყაროს ხელიდან გამოცლის განცდისას ვლენას იწყებს „არარას“.

„არარას“ ვლინდება ნაწილობრივ: კრობად უოფიერთან ერთად და კრობად უოფიერში. რაიმე არის ის, რაც ის არის და „მეტი არაფერია“. ეს გამოთქმა: „sonst nichts“ (ანუ „არაფერი“) უოველ-ლიურობაში გავონილი ლიტონი ფრაზა როდია. ამ ფრაზაში იგი ღრმა დადებით შინაარსს ზედავს. მარტივად თუ ვიტყვი, ეს „მეტი არაფერი“ ისევე ნამდვილია, ისევე რეალურია როგორც უოფიერთა სამყარო; იგია კრობად სამყაროსთან ერთად და კრობად სამყაროში, როცა ძრწოლისას ჩვენი მზერა სამყაროდან არარაზე გადაინაცვლებს.

უოფიერება, როგორც უოფიერთა უოფიერება, კონკრეტული უოფიერის საპირისპიროა. იგია პირობა, რომლის წყალობითაც ვამბობთ, რომ რაიმე უოფიერი „არის“. უოფიერება თვით ამ კონკრეტული „არისის“ პირობაც არის, მაგრამ არ ჩანს, არ არის არცერთი კონკრეტული „არის“, ე. ი. განიცდება როგორც „არარას“. უოფიერებასა და „არარას“ შორის სრული ურთიერთდამთხვევაა. უფრო მეტიც, „არარას“ თავად უოფიერების უოფიერებაა, იგია ქურქელი, რომელშიც თავსდება უოფიერთა უოფიერება; იგია „სიცარიელე“ (თავისუფალი ადგილი), რომელსაც იკავებს უოფიერი და „არის“. ამგვარად გაგებული არსებობა წარმოადგენს უოფიერებისა და „არარას“ ჯამს — უოფიერი არის ის, რაც ის არის და „სხვა არარას“.

„არარას“, როგორც უოფიერება, შარარავებელია. მისი შარარავებლობა შემდეგში მდგომარეობს: „არარას“ უოფიერს უბიძგებს უოფიერების მთლიანობისაკენ, რითაც ეს უოფიერი ვლინდება, როგორც სხვა რამ, ვიდრე „არარას“; „არარას“ ფონზე უოფიერი არის თავისი უსაკუთრივესი უოფინისუნარის შესაბამისი. „არარას“ ნათელ ღამეში, — დასძენს შაიდვეგრი, — ხდება უპირველესი გახსნა უოფიერისა: როგორც ასეთისა: რომ იგი უოფიერია და არა „არარას“. „არარას“ როგორც უოფიერება პირველად დააყენებს ჩვენს უოფიერებას უოფიერის, როგორც ასეთის, წინაშე. საერთოდ, „არარას“ საწყისისეული გამოხსნილობის გარეშე არ გვეძლევა არანაირი ქეშმარიტი თვითობა და თავისუფლება. „არარას“ ადამიანისათვის უოფიერის, როგორც ასეთის გახსნის პირობაა; უოფიერის გახსნილობა კი არის ამ უოფიერის თვითობა, წარმომჩენილი თავისუფალ სივრცეში და, ამდენად, იდუმალყოფილი. უოფიერის უსაკუთრივესი უოფიერება ხდება „არარასთან“ მიმართებაში, უოფიერის უსაკუთრივეს უოფიერებაში ხდება „არარას“ შარარავებლობა. მთელი სისხვისით უოფიერი უშუალოდ „არარას“ ფონზე ვლინდება. შაი-

დევერი ხაზს უსვამდა, რომ უშუალოდ „არა-რასი“ უახლოვდება უოფიერი თავის თავს, უსაკუთრივესი უოფინისუნარის შესაბამისად, ე. ი. საბოლოო სახით, სა-სრული სახით. საქმე ისაა, რომ უოველდლიურობაში ეხა თუ ახ უოფიერი „არის“ სხვა უოფიერებთან მიმართებაში. უბრალო მაგალითი: მაგიდა, რომელიც საც მე ვუწვივარ, ავეჯის ნაწილია, რომელიც გამოთავა დურგალმა, რომელიც მოჭრა ხე, რომელიც იზრდებოდა ტყეში, რომელიც განფენილიყო მხარეში და ა. შ. მაგრამ, უოფიერის კემარატი საზღვრები უშუალოდ „არარასთან“, როგორც უოფიერებასთან მიმართებაში დაინახება: საზღვრები, შემოსაზღვრულნი არა სხვა უოფიერთა მიერ, მათთან თანუოფინისას, არამედ საზღვრები სა-სრულობისა, „არარას“ მიერ შემოსაზღვრულნი.

„არარას“ უშუალო მიმართება აქვს ადამიანთან, ადამიანს კი — „არარასთან“. „არარას“ ფონზე გახსნილი უოფიერიც ადამიანისთვისაა გახსნილი ადამიანის უოფიერება არის მუნ-უოფიერება. „მუნ“ — ე. ი. ერთდროულად „იქ“ და „აქ“, ე. ი. ერთდროულად რაიმე სამყაროში და სამყაროს გარეთაც. ადამიანი როგორც მუნ-უოფიერება ნიშნავს იმას, რომ იგი გამდგარია „არარაში“. „არარაში“ გადგომა არის ის, რასაც ტრადიციული ფილოსოფია ტრანსენდენციას უწოდებს: სამყაროს სასრულობის შემოფარგვლა და მის მიღმა, უოფიერებაში გასვლა, თავად უოფიერების გაცნობიერება. ამგვარი ტრანსცენდენცია არის მეტაფიზიკა, როგორც ადამიანის, მუნ-უოფიერების ნაწილი: მეტაფიზიკა ხორციელდება ადამიანში, საკუთრივ ადამიანია ნამდვილი მეტაფიზიკა. ადამიანს, მუნ-უოფიერებას მიმართება აქვს უოფიერებასთან, ანუ, ექსისტირებს, ე. ი. სრულყოფილად, უსაკუთრივეს უნართა შესატყვისად არსებობს; გახსნილად ხედავს უოფიერსაც და თავის თავსაც. მხოლოდ იმდენად, რამდენადაც „არარაშია“ გამდგარი. ამით განსხვავდება ადამიანი ხარისაგანაც და იუპიტერისაგანაც, რადგან არც ცხოველებმა და არც ღმერთებმა არ უწყვიან „არარა“.

„არარაში“ ადამიანის გადგომა ფარული ძრწოლის ნიადაგზეა, ძრწოლისა, რომელიც უოველდლიურობაში, სხვებთან თანაარსებობისას მიძინებულია, მაგრამ ნებისმიერი უმცირესი საბაბითაც კი შეიძლება გამოიღვიძოს, შეძრას ადამიანი, საურდენი გამოაცალოს, გამოგლიჯოს უოფიერთა სამყაროს და „არარა“ დაანახოს, განაცდევინოს ადამიანისა და მისი სამყაროს „არარაობა“. ძრწოლის მდგომარეობაში გვეყარება მეტყველების უნარი, მეტყველება როგორც უოველდლიურობის ლაუბობა წყდება. სწორედ ამ ღროს ხდება უშუალოდ

უოფიერების ენის მოსმენა, ენისა, რომელიც დუმს; ადამიანი ძრწოლისას იხმენს და ენახუდება წარმომჩენ თქმას. აქედან გამომდინარე იშვის საკითხი ძრწოლისას განცდილი „არარას“ მარავებლობასა და წარმომჩენ თქმას შორის არსებული მიმართების შესახებ.

წარმომჩენი თქმა მიანიშნებს, ანუ, წარ-მო-ჩენა გულისხმობს იმას, ნაც ხდება წარ-მო-ჩენა, გულისხმობს ქერ წარმოუჩენელს, ე. ი. დაფარულს. წარ-მო-ჩენა გულისხმობს თავისუფალ სივრცეს, ხოლო ეს თავისუფალი სივრცეცა და თავისუფლებაც იდუმალყოფაა, რაც აგრეთვე გულისხმობს დაფარულს. წარ-მო-ჩენისას წარმომჩენილი უოფიერი ხდომილებას მიუავს მის თვითობასთან, ახდენს უოფიერს საბოლოო, სა-სრული სახით, ხოლო სასრულობა აგრეთვე მიანიშნებს თავისი საზღვრების გარეყოფზე, ე. ი. — დაფარულზე. მაშისადამე, თვითობაც, თავისუფლებაც და წარმომჩენი თქმაც — სამივე მიანიშნებს დაფარულზე. ამასთანავე, როგორც გაირკვა, უოფიერის თვითობისა და თავისუფლების, ანუ, მუნ-უოფიერებისათვის უოფიერის როგორც ასეთის გახსნის უბირველესი პირობა „არარას“ ვლენაშია. ამდენად, დაფარული, რომელზედაც მიანიშნებს თვითობაც, თავისუფლებაც და წარმომჩენი თქმაც — „არარას“ გახსნილობაა.

საქმე გვაქვს ორმხრივ ვითარებასთან. (1) „არარას“ გახსნილობა, როგორც პირობა და (2) თავისუფალ სივრცეში წარმოჩენილი უოფიერის თვითობა, სასრულობა, ანუ, გახსნილობა, როგორც ამ პირობიდან მომხდარი ერთის (უოფიერის) გახსნილობა მეორის („არარას“) გახსნილობის პირობითაა და მასზე მიანიშნებს. რას წარმოადგენს, რას გულისხმობს ამ ორი გახსნილობის თანხვედრა? ერთის გახსნილობა სრულიად საპირისპიროა მეორის გახსნილობისა, ვინაიდან ძრწოლაში განცდილი „არარას“ გახსნილობა, წესით, ხელიდან გვაკლის უოფიერს, ხოლო უოფიერის გახსნილობა კი ფარავს „არარას“, რადგან ასეთი უოფიერი უოფიერია და არა არარა. უოფიერი წარმოგვიდგება მისადმი დაპირისპირებულის („არარას“) ფონზე და ამავე ღროს, უოფიერი არის ის, რაც ის არის, ანუ, ხდება, უშუალოდ ამ დაპირისპირებულის წყალობით.

ამგვარი წინააღმდეგობრივი ვითარება დაძაბულობის ენერჯის წყაროა; იქნება ეს ექსისტენციალური ძრწოლის ენერჯია, თუ ექსისტირების სხვა ფორმათა ენერჯია. უშუალოდ ამგვარი ორი გახსნილობის თანხვედრისას და, ამასთანავე, მათი ურთიერთგანზიდულობისას, ამ ურთიერთგანზიდულობის მსჭვალავ დაძაბულობაში ვლინდება მელოსის ონტოლოგიური

საწყისი და მისი ენერჯია; საწყისი, რომელსაც „სიცოცხლის ფილოსოფია“ დიონისიური სიმბოლიკით იაზრებდა. მელოსი არის ამ ორსაბა გახსნილობის ქვრეტა პროცესის სახით, ქმნადი სახით; ქვრეტა, რომელსაც ახორციელებს ცნობიერების წმინდა ნაკადი, დროისცნობიერება, თავისი სამი ფაზის (აწმყო, წარსული, მომავალი) ურთიერთშენაცვლებისას. მელოსი არის ამ ორი გახსნილობის თანხვედრის, ურთიერთშემოქმედების, ურთიერთგანზიდვის დროითობა; პირველადი, წმინდა დროითობა და არა ქრონომეტრებში გადაკარგული, დათვლილი დრო (ამიტომაც იტყვიან, რომ მუხიკა უშუალოდ დროის შესახებ მოგვითხრობს).

მელოსის ონტოლოგიური საწყისი ადამიანის (მუნ-ყოფიერების) ექსისტირების ცალკე რძ სახესხვაობას გულისხმობს. მელოსი, როგორც ექსისტირების ფორმა, „არარასი“ გამდგარი მუნ-ყოფიერების ესთეტიკური ცხოვრების სიღრმისეული პრინციპია, ექსისტენციალური ძარწოლის ესთეტიკური სახესხვაობაა. მელოსი, მისი წარმომავლობა ყოფიერის გამხსნიელი „არარასი“ გახსნილობიდან, პოეტის (ადამიანის) ცნობიერების მეტაფიზიკურ ორიენტაციაში განიცდება როგორც ყოფიერთა ყოფიერების მუდმივი თანხმლები. მელოსის ბუნების უშუალო მიმართება „არარასთან“ მას აქცევს ყოფიერების, როგორც შემოქმედების განუყოფელ ნაწილად, რადგან შემოქმედება, თუკი მიუყვებით ჰაიდეგერს, მიმართულია „არარას“ ვლენაზე — მეტაფიზიკაზე. „პოეტი ყოფიერების იმ ნათლათ განსაზღვრულ გარემოში აზროვნებს, — აღნიშნავდა ჰაიდეგერი, — რომელიც დასრულებადი მეტაფიზიკის სფეროს გამოკვეთს. ბიოლდერლინის მოაზროვნე პოეზია ამ გარემოს პოეტური აზრით გამოკვეთს. მისი პოეზია ამ გარემოში ბინადრობს, მისადმია მინდობილი... გარეწო რომელამდეც ბიოლდერლინი აღწევს — ყოფიერების ღიაობაა, რომელიც თავად ყოფიერების ბეღია და ამ აზრით პოეტისთვისაა დაწესებული“.

ყოფიერების ბეღისა და პოეტური შემოქმედების შერწყმით ონტოლოგია პოეტის სახეს იძენს. წარ-მო-ჩენა, როგორც ყოფიერების ერის არსი, პოეზიის არსსაც მოიცავს. ჰაიდეგერისათვის პოეზიის არსი გამოიხატა ძველბერძნულ სიტყვაში „პოიესის“. პლატონის განმარტებით: „არ-არსებობიდან თან-აობაში რაიმეს გადმოსვლისა და გამოხელის ყოველი საბაბი არის „პოიესის“, ნა-წარ-მო-ები“. („ნადიმი“, 205). „პოიესის“ როგორც ნა-წარ-მოები, უკავშირდება „ტიქნეს“, როგორც წარ-მოებას. იმ ხანაში, როდესაც ეს ცნებები წარმოიშვნენ, პოეზიასა და ტექნიკას საერთო მიზანი

გააჩნდა: ნაწარმოების წარმოება, დაფარულის გამოყვანა დაუფარავში, მუნ-ყოფიერებისათვის ყოფიერის გახსნა, მისი წინაღობა. ანუ წარ (წინდებაში გამოსვლა) — მო (დაფარულიდან) — ე ბ ბ. წარმოებული, წარმოჩენილი ყოფიერის გახსნილობა იგივეა, რაც „ენერჯია“ (არისტოტელესეული ტერმინი „სინამდვილე“ და „ენტელეჟია — „სინამდვილესაკენ“ ვლენა სრული სისხვსით.

არისტოტელესეული „ენტელეჟია“ (სინამდვილე), საგნის ოთხი მთავარი მიზნის (მატერია, ეიდოს-ფორმა, საწყისი, მიზანი) ერთობლიობა, მუნ-ყოფიერებისათვის ყოფიერის გახსნილობის ჰაიდეგერისეულ კონტექსტში წარმოგვიდგება როგორც ე. წ. სამყაროული ოთხსახა. „არარას“ გახსნილობაზე, როგორც დაფარულზე მიმანიშნებელი ყოფიერის გახსნილობა, ამ ყოფიერს სამყაროულ მნიშვნელობას ანიჭებს: ყოფიერში ვლინდება სამყარო, თავისი ოთხი განზომილება-რეგიონით — მიწა, ცა, კაცი და ღმერთი. ყოფიერი იძენს სამყაროულ მნიშვნელობას. სხვაგვარად იგი მუნ-ყოფიერებას არ წარუდგებოდა „არარასთან“ ერთად. „არარას“ ფონზე: იგი „ბელიდან გვეცლება“, როგორც სამყარო.

ამდენად, წარ-მო-ჩენა გულისხმობს სამყაროული ოთხსახას წარმოჩენას გახსნილ ყოფიერში. კემმარტების გაცხადება, საერთოდ, ყოფიერის ნამდვილობა ანუ წარ-მო-ჩენა, არის სამყაროს შექმნა. ადამიანი სამყაროული არსებაა, თითოეული ადამიანი თავად ქმნის თავის სამყაროს. (აქ არ იგულისხმება ბრბოში, ყოველდღიურობაში გათქვეფილი ადამიანი, რომელსაც „სხვათა“ სამყარო აქვს თავს მოხვეული). წარმომჩენი თქმა არის ყოფიერში სამყაროს „განმანათლებლად — დამფარავად — გამომანათავისუფლებელი“ ვლენა, მონიჭება იდუმალყოფი თავისუფალი სივრცისა, რომელშიც სამყაროს ოთხი მხარე — მიწა, ცა, კაცი, ღმერთი — ერთმანეთს თამაშით ეპირისაბება. „პოიესის“, როგორც წარმომჩენი თქმა, ყოფიერს ამორთავს ყოფიერთა სამყაროდან და მას თავად მიანიჭებს სამყაროულობას, სამყაროდ აქცევს იმდენად, რამდენადაც „არარასთან“ მიმართებაში დააყენებს, როგორც „არარას“ ღიაობისადმი ღიას.

ამგვარად, წარმომჩენი თქმა, როგორც ღია-სადმი ღია ბმობა (დუმილში გაგონილი), ყოფიერს გახსნის მისი ჩაყენებით „არარას“ გახსნილობასში, რითაც ამ ყოფიერში სამყაროულ ოთხსახას მოავლენს.

რისი ამოკითხვა შეგვიძლია სამყაროული ოთხსახას ჰაიდეგერისეულ სიმბოლიკაში? მ ი წ ა, ც ა, კ ა ც ი, ღ მ მ რ თ ი და მ ა თ ი თ ბ მ ბ შ ი. ენის როგორც თქმისა და, აქედან

თქმულების(საგა) კონკრეტულ კონტექსტში ეს არის ოთხი სტიქია, რომელშიც საგის გმირია გადასროლილი, ასეთია იმ სამყაროს ოთხი ასპექტი, რომელიც საგის გმირის ზრუნვისა და მიზნების საგანია. ხოლო უფრო ზოგადად, სამყაროული ოთხსახას სიმბოლიკა შემოსაზღვრავს უოფიერების გზებზე მავალი ადამიანის სამოქმედო და მოსააზრებელ სივრცეს, უოველივებს, რასაც ადამიანთან მიმართება გააჩნია. მთელი ხაარსებო სამყარო, რომლის ცენტრსაც ადამიანი წარმოადგენს, ამ სამყაროში შემხვედრი უოველი უოფიერი, უოველი არსებული და უოველი მნიშვნელობა, ამ ოთხსახამდე დაიუვანება.

ადამიანის როგორც მუნ-უოფიერების, როგორც „არარასთან“ წილნაყარი უოფიერის უოფიერება არის „უფსკრულში გადაგდებულობა“, ადამიანი (შემოქმედი, პოეტი) უფსკრულზე თავქვემიმართული. სწორედ უფსკრულზე ამდაგვარი და-მოკიდებულებისას ქმნის ადამიანი სამყაროს, როგორც სამყაროული არსება. უფსკრულში გადაგდებულისათვის სამყაროს საფუძვლის, სამყაროს მყარობის-პირობას წარმოადგენს „ღმერთი“ (ღმერთები). „ღმერთი“ სამყაროს საფუძველს აფუძნებს. „საფუძველი არის ნიადაგი ფეხის მოკიდებისა და ფეხვის გადგმისათვის“, ანუ „მიწა“ — უფსკრულში, ე. ი. „არარაში“ მოპოვებული ნიადაგი, „არარასადში“ უახლოესი და, ამიტომაც, დამფარავი, დამჩრდილავი, იდუმალმყოფი. ამას უპირისპირდება „ცა“, როგორც ნათლის, ნათელყოფის, ღიაობის, გამოხსნის, ზღვართა გადალახვის საწყისი. „ცასა“ და „მიწას“ შორის მოქმედებს „კაცი“ და კავშირს ამყარებს, კავშირს ეძიებს „ღმერთთან“ და ოთხივე ერთმანეთს ეპირსახება თამაშში. ასეთი შეპირისახება შემდეგნაირია: ციური ღმერთი-საგან (ღმერთებისაგან) მონიჭებული მიწა არის იმდენად, რამდენადაც მიწაზე ბინადრობს კაცი და ამ ბინადრობით საშუალებას აძლევს მიწას, რომ მიწა იყოს. საფუძვლის მბოძებელ ღმერთთან ურიერთობისათვის კაცმა მას ადგილი უნდა განუმზადოს. ეს ადგილი ცისა და მიწის თანხვედრაა. ცისადმი მიწის გახსნაა. „ცისა და მიწის დაკავშირებით, — დასძენს ჰაიდეგერი — ნამდვილი პოეტი ღმერთთან, როგორც ისეთთან, რომელიც უცნობი დარჩა და მაინც გამოვლინდა) კავშირს ამყარებს და დედამიწაზე უველა მოქმედებისა და საგნის საზომს იღებს მისგან“. მიწაზე მოქმედი კაცი, დამფარავ მიწას გაუხსნის ცას და ამითი შეკავშირებს ცასა და მიწას. მათი შეკავშირების ადგილას ბინას დაიდებს ღმერთი, რომელსაც უკავშირდება კაცი. ანდაგვარ ადგილს, სამყაროს ოთხივე ნაწილის თავშესაყარს, ჰაიდეგერი

ვაზის, დიონისეს სასუფეველის სიმბოლოთი იაზრებს: „რამეთუ ვაზის ღმერთი, როგორც სამყაროს ღმერთი, ისე თავის თავის ნყოფში, როგორც ადამიანთა და ღვთაებთა შუალეობის ადგილში, ინახავს ცისა და მიწის არსებით ურთიერთმიკუთვნებულობას“.

ეს დიონისური სახე ჰაიდეგერის მოლოდინის პოეტურმა სიტყვამ უკარნახა. დიონისეს „მიწრი უამის“ პოეტთა დამყენებელია „გარდასული ღმერთების“ კვალზე. მაგრამ, გახსნილ უოფიერში სამყაროული ოთხსახას ვლენის კონტექსტში დიონისეს სიმბოლო ამითი არ ამოიწურება. იგი, უპირველეს უოვლისა, მელოსზე მიგვანიშნებს. მელოსი სამყაროს დიონისური საწყისიდან მიემართება და ეს საწყისი გულისხმობს შუბგულს. რილკეს პოეტურ სიტყვაზე დაყრდნობით, ჰაიდეგერი მას „არგაგონილ შუაგულს“ და „წმინდა ძალთა მიზიდულობის ძალას“ უწოდებს. ეს ძალა „შუაგულისაქენ“ მიიწიდავს სამყაროს ოთხ მხარეს და შეაკავშირებს. ეს ძალა თან ახლავს უოფიერების მარადიულ სამყაროულ თამაშს. „უოფიერება თამაშობს“, — ჰერაკლიტეს კვალდაკვალ იმეორებს ჰაიდეგერი, ხოლო თამაშის ერთ-ერთ სიღრმისეულ პრინციპად ჩვენ გვესახება „შუაგულის“ ძიება, მოძრაობა „შუაგულისაქენ“, „შუაგულის“ ირგვლივ უოფიერება თამაშობს, როგორც სამყაროს წარმომჩენი და მის მხარეთა მომხმობი „შუაგულისაქენ“; მათი შემკრები, შემაკავშირებელი; ხოლო დიონისეს საუფლო, როგორც სამყაროს შუაგული და მისგან მომავალი მელოსი, ამ თამაშის მარადიული თანმხლებია.

ამას გვაუწყებს სამყაროული ოთხსახას სიმბოლიკა ზოგად-ონტოლოგიური თვალსაზრისით. მაგრამ, ჩვენ ვეძიებთ მელოსის საწყისს პოეტური ნა-წარ-მოების წარ-მოებაში, როდესაც წარ-მო-ჩენისას იხსნება უოფიერი და მასში ვლინდება სამყარო. რას გვაუწყებს სამყაროული ოთხსახა პოეტიკის თვალსაზრისით? პოეზია მუდამ სამყაროს შესახებ გვიამბობს, ცალკეულ უოფიერში მოვლენილი სამყაროს შესახებ. „მიწა“, „ცა“, „კაცი“ და „ღმერთი“ — ამ ოთხ „არქტიტიპამდე“, დაიყვანება უოველი ნაწარმოების შინაარსობრივი და საგნობრივი შრეები. ამასთანავე, ეს ოთხსახა და მისი შემაკავშირებელი, მასში მოთამაშე მელოსი, ხატოვანი აზროვნების თავისებურ კანონმდებლებად იქცევიან. პოეზია წარმოაჩენს უოფიერს, მელოსი პოეტური წარმოჩენის „შუაგულია“. „მიწა“ — ამ უოფიერისა და მასში, მისი სახით მოვლენილი სამყაროს საერთო საფუძველია; არის ის, რაშიც „ფესვები აქვს გადგმული“ უოფიერს, ე. ი. ამ უოფიერის არხის დაფარულობაა, მისი შეუღწევადობაა (განსწითი თვალ-

საზრისით), მისი თვითობაა, რომელსაც იგი მალავს, რამდენადაც იგი ნაწილობრივ ვლინდება როგორც ზღვარდებული, ნაწილობრივ კი „არარაზე“ მიაწინებს, როგორც საფუძველი „ცა“ — რისამე გახსნის, გაცხადების, ზღვარდებულობის გადალახვის შესაძლებლობაა. „კაცი“ — თვითობის მფარავი ყოფიერის გაცხადების ხერხია. „ღმერთი“ — ამ გაცხადებით მოვლენილი ქვეშაობა. საჭუთრივ ხატოვანი ქსოვილის ქმნადობის პრინციპთა შემთხვევაში: „მიწა“ წარმოადგენს სიტყვათა მნიშვნელობებს, „ცა“ — ამ მნიშვნელობათა ხატოვან პოტენციალს, „კაცი“ — მნიშვნელობათა ხატოვანი პოტენციალის განხორციელებას. „ღმერთი“ — დასრულებულ ხატს. ეს ოთხი თამაში უკავშირდება ერთმანეთს, მათი მიმდევრობა სრულიად თავისუფალია. ამგვარი თავისუფალი თამაში ხატს დინამიურ ქმნადობაში წარმოადგენს. ხდება ხატის „ზედაპირისა“ და „სიღრმის“ უწყვეტი ურთიერთშენაცვლება. აქედან მიიღწევა ხატის, როგორც ყოფიერში მოვლენილი სამყაროს და „არარას“ ერთობლიობის, პოეტური დამაბულობა.

„პოეზია არის სიმღერა“. იგი გვიამბობს ცალკეულ საგანში დანახული სამყაროს შესახებ,

რომელიც „არარას“ ვლენისას წარმოჩნდება. პოეზია გა-მო-თქვამს „არარასადმი“ ღია სამყაროს, სამყაროში დანახულ „არარას“, როგორც ხინამდვილეს (ენერჯია). ზოლო ამისი თანხმლები არის მელოსის ენერჯია. პოეზიაში ხორციელდება (ხდება) მელოსის როგორც დროისცნობიერების, ცნობიერების წმინდა ნაკადის წარმართვა „არარაზე“, მელოსი, როგორც დროის ფაზებში, დროითობაში მოვლენილი „არარა“.

რა თქმა უნდა, პოეზია როგორც სიმღერა არ გამოირიცხავს ლექსის მელოდიურობას რითმისა და რიტმიკის თვალსაზრისით, თუმცა მისთვის ეს სრულიად მეორეხარისხოვანი ვითარებაა. ვერლიბრში (იგულისხმება ნამდვილი ვერლიბრი და არა აბდაუბდა) უფრო მეტი სიმღერის მოსმენა შეიძლება, ვიდრე ზოგიერთ ისეთ ლექსში, რომელიც სიტყვათა ნაფლეთების იდეალურ შეხმატკბილებას წარმოადგენს.*

* სტატიის ავტორმა რამდენიმე ადგილას ისარგებლა ჰაიდეგერის ესეის — „რად არსებობს პოეტი?“ — ე. კაციტაძის მიერ შესრულებული თარგმანით, რის გამოც დიდ მადლობას მოახსენებს მთარგმნელს.



მანანა ჯაოშვილი

რიგარდ ვაგნერი და ფრანგული მწერლობა

XIX საუკუნის დასასრული ევროპულ ხელოვნებაში ვაგნერის ეპოქად შეიძლება მივიჩნიოთ. შემოქმედების მრავალმხრივობამ, ნოვატორობამ გამოიწვია გერმანელი კომპოზიტორის საოცარი პოპულარობა, რომელიც ასცდა ჩვეულებრივ მოდურ აღფრთოვანებას და ძლიერი შემოქმედების წყარო გახდა. მისი პიროვნება ბევრი მწერლისა და ფილოსოფოსის შესწავლის საგნად იქცა. ნიცშემ ის ზეკაცად მიაჩნია, ზოლო ფრანგმა სიმბოლისტებმა თავის წინამორბედად აღიარეს.

ვაგნერიში, რომლის დამკვიდრებაში ევოლუაზე მეტად ფრანგ მწერლებს მიუძღვით წვლილი, საკმაოდ დიდხანს იკვლევდა გზას და ბოლოს სრულ გამარჯვებას მიაღწია. ვაგნერს ბაძავდნენ მუსიკოსები. მის თემებს იყენებდნენ პოეტები, ზოლო მისეული ტოტალური ხელოვნების არსი სიმბოლისტებმა საფუძ-

ვლად დაუდეს თავის შემოქმედებას. ვაგნერიზმის ფენომენი არ შემოფარგლულა ერთი ქვეყნით, ის საერთო მოვლენა იყო. ქან ქართულ პოეზიასაც დააჩნია კვალი. ქართველმა სიმბოლისტებმა, განსაკუთრებით გალაკტიონ ტაბიძემ, ადრეულ შემოქმედებაში ვაგნერიზმს თავისი მიუზღეს. გალაკტიონის ლექსებში: „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ „მზეო თიბათვისა“, „გემი დაღანდი“, „ლილიან ფრთებით“, „ლურჯი ხომალდი“, „მეოცნებე აფრებით“, „დაბრუნება“, „სანთლები“ „ანძები“ გამოჩნდა „ლოენგრინისა“ და „სფრიანვი პოლანდიელის“ თემები.

ვაგნერმა თავის ოპერებში, ჰეგელისა და

1. ეს საკითხი შესწავლილი აქვს რ. ბურჭულაძეს წიგნში „მბოლოდ ინტეგრალები“, თბილისი, „მერანი“, 1980 წ.

შოპენმაუერის ესთეტიკაზე დაერდნობით. სიტუაციური და მუსიკალური საწყისი თანახმობა უფლებიანი გახდა. ამის მისაღწევად საქირი იყო ერთსა და იმავე პიროვნებას შეექმნა ოპერის ლიბრეტო და მუსიკა, რასაც ვაგნერმა უსაზღვრო ნიჭის წყალობით მშვენივრად გაართვა თავი და სრულ მარმონიას მიადწია.

ვაგნერი ანტიკურ დრამას მიიჩნევდა. ბელოვნების უმაღლეს ფორმად, რადგან მასმბელოვნების უველა დარგის ურთიერთობაა. 1848 წელს თავის ერთ-ერთ ხაპროგრამო წერტილში „შომავლის ბელოვნების ნაწარმოები“ ვაგნერი წერდა: „ბელოვნების უმთავრესი ფორმაა დრამა: მას ძალუძს თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიადწიოს იმ შემთხვევაში, თუ ბელოვნების უველა დარგი მასში შესაძლებლობის უკიდურესი სახით იქნება წარმოდგენილი“.1 ეს დებულება საფუძვლად დაუდო თავის მუსიკალურ-დრამატულ ესთეტიკას, რომელიც ასაზრდოებს მის მუსიკალურ დრამებს.

ვაგნერმა თავი მოუყარა კაცობრიობის მუსიკალურ და პოეტურ გამოცდილებას. მის მუსიკალურ წინაპრებად შეიძლება მივიჩნიოთ ბახი, ბეთჰოვენი, გლიუკი, შუბერტი, პოტუაში — გოეთე, შილერი, ლესინგი, ნოვალისი, ჰოფმანი, პოლდერლანი. აგრეთვე ძლიერი ზეგავლენა იქონია ჟან-პოლ რიხტერისა და შუმაინის შემოქმედებითმა მეგობრობამ. თუმცა თვითონ მხოლოდ ბეთჰოვენის გავლენას აღიარებდა. სხვადასხვა პერიოდებში იგრძნობდა ბეგელის, ფოიერბახის და შოპენმაუერის გავლენა.

თეორიულ ნაშრომებში ვაგნერი ბმირად იცვლის შეხედულებებს. ისინი იშვიათად ხდებიან მისი მუსიკალური დრამების საფუძველი. ამ აზრთა სხვადასხვაობაში კირს ერთიანი ესთეტიკური ნორმების გამოყოფა. ვაგნერის თანამედროვეები მოხიბლა მისი ბელოვნების სარტეზრობამ და სიახლემ, ლეგენდისა და მითის აღორძინებამ, რომელსაც შემოქმედა ანსტრაქტულობის გამო ირჩევდა. აგრეთვე რეჩიტატივით და მელოდით უსასრულო მუსიკალური ნაკადის შექმნამ. ლიტმოტივი პერსონაჟთა და საგანთა თავისებურების გახსნამ.

ვაგნერის მიზანი იყო სიტუიერი, პოეტური საწყისის გაძლიერება ოპერაში. 1851 წელს „ოპერასა და დრამაში“ იგი აკრიტიკებდა კომპოზიტორებს, რომელთა ოპერებშიც „გამოხახვის საშუალება (მუსიკა) გახდა მიზანი,

ხოლო გამოსახვის მიზანი (დრამა) საშუალებად იქცა“.2 მაგრამ თვითონვე ვერ შესძლო ამ დაბრკოლების გადალახვა — მისი მუსიკის ძლიერებამ გადაფარა დრამის პოეტური საფუძველი.



ვაგნერი უოველთვის ურანგულ გავლენას თავტოვდა ფრანგული მწერლობის პოპულარობის მიზეზად ის მიიჩნევდა ენის განვითარებას და არა აზრობრივ სიღრმეს. მიუხედავად ამისა, ბევრი რამ აიღო ფრანგული კულტურიდან — გამოიყენა ბრეტონული ციკლის ლეგენდები. მან „ლოენგრინის“ რამდენიმე სცენა გაღმოიღო ვიქტორ ჰიუგოს დრამებიდან „ერნანი“ და „ბიურგრაფი“. ჰიუგოს კი აკრიტიკებდა, რადგან ის მუსიკას დეკორატიულ ბელოვნებად მიიჩნევდა. ბერლიოზის შემოქმედებიდან „უნ-უვეტი მელოდის“ ცნება ისესხა და გაითავისა (უცნაური ბედი ეწია ბერლიოზს, ვაგნერის ზრდილქვეშ ეს თვითმყოფადი მუსიკოსი თავისივე ერმა ნახევარი საუკუნით დაივიწყა და მისი ნოვაციები გერმანელი კომპოზიტორის დამსახურებად მიიჩნია).

ახალგაზრდა ვაგნერი დიდხანს ცხოვრობდა ხაფრანგეთში. მისი პირველი ნაწარმოები ხაზოგადობამ არ მიიღო. თავის ხარჩენად მან რამდენიმე ლიბრეტო გაყიდა და პერიოდულად აქვეყნებდა წერილებს მუსიკისა და ლიტერატურის შესახებ. ამიტომ თავდაპირველად საფრანგეთში სახელი გაითქვა როგორც მწერალი.

ვაგნერის სიცოცხლეში ფრანგულ საოპერო სცენაზე მისი არცერთი მუსიკალური დრამა არ დადგმულა, ამას ორი მიზეზი ჰქონდა. ვაგნერი მოითხოვდა ტექსტის ფრანგულ ენაზე მეტად ზუსტად თარგმნას. მთარგმნელს შედმიწევნით უნდა სცოდნოდა არა მარტო გერმანული და ფრანგული, არამედ კომპოზიცია და ორკესტრირების ძირითადი პრინციპებიც. თარგმნის ერთი-ორი მსურველი ვაგნერმა დაიწუნა და ბოლოს თავისი აზრების გახამართლებლად ფრანგული ენა გამოაცხადა საოპერო ბელოვნებისათვის შეუსაბამოდ (თუმცა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები „ბეთჰოვენთან მიახლოება“ 1849 წელს ფრანგულად დაწერა). მოგვიანებით თვითონ ფრანგებმა აღარ ისურვეს მისი ოპერების დადგმა. 1870 წელი საფრანგეთისათვის მეტად მძიმე იყო. გერმანიამ დაიპყრო და დაიმორჩილა მთელი ქვეყანა. ასეთი მძიმე დრო შეურჩია ვაგნერმა ფრანგ ხალხს სამაგიეროს გადასახდელად. მან გამოაქვეყნა პასკვილი „კაპიტულაცია“, რითაც ნიშანი მოუგო მთელ ერს. მათი დამარცხება და დამონება სავსებით კანონზომიერად მიიჩნია. ბისმარკი, ვისი მეშვეობითაც

1 P. Wagner. Избранные работы. Москва, 1978 г., стр. 237.
2 იგივე, ст. 269.

დაიპყრეს გერმანელებმა ხაფრანგეთი, ვაგნერს არანორმალურ კაცად მიიჩნევდა. ვაგნერმა კი მის ნაშოქმედარს ბოტბა შეასხა.

„კაპიტულაცია“ უოველი ფრანგისათვის შეურაცხყოფელი იყო. მოგვიანებით გერმანელი ხელოვანი ნანობდა კიდევ თავის ხაქციელს, განსაკუთრებით ფრანგი პოეტებისა ერიდებოდა, რომლებმაც ასე მხურვალედ დაუჭირეს მხარი მის ახალ ხელოვნებას, მაგრამ პასკვილი სამუდამო ლაქად დააჩნდა მის ხახელს. ამიტომაც ვაგნერს დადგმა აღარავის მოუნდომებია მის გარდაცვალებაში.

1888 წლის შემდეგ კი საკმაოდ დიდი ხნით დაიპყრო ფრანგული სცენა.

უოველივე ფრანგული ვაგნერისათვის მიუღებელი და საძულველი იყო. ამგვარ დამოკიდებულებას ფრანგი ხალხისადმი უოველთვის უპირისპირდებოდა ამ ერის ინტერესი მისი შემოქმედებისადმი. უფრო მეტიც, ვაგნერიზმი საფრანგეთში აღმოცენდა. თომას მანი წერილში „რიმარდ ვაგნერის დიდება და ვნებანი“ ვაგნერიზმის დამფუძნებლად შარლ ბოდლერს მიიჩნევს.

პირველი გამოხმაურება ვაგნერის შესახებ ფრანგულ ჟურნალებში 1850 წელს გამოჩნდა, როცა ეტარ დე ნერვალმა — ეფფონიური პოეზიის ერთ-ერთმა მამამთავარმა, ლისტის დახმარებით ვაგნერის მუსიკა მოისმინა. ეტარ დე ნერვალის მოიხიბლა „ლოენგრინით“ განსაკუთრებით საინტერესო იყო მისთვის ის, რომ ლექსი და მუსიკა ერთი და იგივე პიროვნების შექმნილი იყო. მან პირველმა გასწია ფრანგ მწერლებს შორის ვაგნერის პროპაგანდა.

რამდენიმე წლის შემდეგ თეოფილ გოტიემ — „პარნახელთა“ მეტრმა ვიესბადენში მოისმინა ვაგნერის „ტანჰოიზერ“, რომელიც გესიალურ ნაწარმოებად მიიჩნია. გოტიეს მოხწონდა გერმანელი ხელოვანის რომანტიზმის ძველ ფორმებთან მიხრუნება, რევოლუციური სულისკვეთება, ფუგისა და კონტრაპუნქტის მეცნიერული გამოყენება, ორკესტრირებისას მოდულაციისა და რითმის განსაკუთრებული შეგრძნება.

თავდაპირველად ცალკეულ გამონათქვამებს ვაგნერის შემოქმედებაზე არ მოჰყოლია საზოგადოების დიდი გამოხმაურება.

1880-1881 წლებში პარიზის საზოგადოების უპირადღება მიიპყრო ვაგნერის ხავეტორო კონცერტებმა, რომლებიც მსმენელებმა ძალიან ცუდად მიიღო. პირველი კონცერტის შემდეგ გამოქვეყნდა ბერლიოზის წერილი „რიმარდ ვაგნერის კონცერტები — მომავლის მუსიკა“. მან მსმენელისათვის აუტანლად მიიჩნია თემის მრავალგზის გამეორება, წესების

სრული უარყოფა, ხოლო დეკლამაციის იმიტირებით საორკესტრო და ვოკალურ მუიკაში ზღვარის წაშლა. საჭიროდ მიიჩნია გერმანე ხელოვნების ზოგიერთი ძირითადი ელემენტის უფრო სწორი შეფასება.

ვაგნერისათვის მოუღიანებელი მწერლიოზის ასეთი მკაცრი რეცენზია, რამდენიმე ადრე ფრანგ კომპოზიტორს დახმარების ხელი გაუწოდა და ძნელ წუთებში მხარი დაუჭირა. მდგომარეობის შემსუბუქება შესძლო შარლ ბოდლერმა. მან თავისი აღფრთოვანება გამოთქვა პირად წერილში, რომელიც ვაგნერს გაუგზავნა.

ერთი წლის შემდეგ შესდგა „ტანჰოიზერის“ პარიზული პრემიერა. ოპერის დადგმა საკონცერტო შესრულებით განხორციელდა. მუსიკოსები ერთხმად აკრიტიკებდნენ გერმანელ კომპოზიტორს. რამდენიმე დღის შემდეგ ჟურნალ „Revue Européenne“-ში გამოქვეყნდა ბოდლერის სტატია „რიმარდ ვაგნერი“ და მისი „ტანჰოიზერ“, სადაც გამოთქმულია ფრანგი პოეტის აღფრთოვანება ვაგნერის ნოვატორული ხელოვნების გამო. ბოდლერი მოხიბლა ოპერის სინთეზურობამ, მუსიკის დესპოტურმა სიძლიერემ, რომელიც ოპიუმით მოქმედებდა მსმენელზე. განსაკუთრებული შესწავლის საგნად ბოდლერმა მიიჩნია გერმანელი შემოქმედის ორმხრივი აზროვნება — მუსიკალური და პოეტური, რითიც მოახდინა რევოლუცია საოპერო ხელოვნებაში. „ტანჰოიზერში“ კარგად გამოჩნდა ვაგნერის შთავონება, კლასტიურობა, დეკლამაციის როლი არაბესკის ბგერითი ხაზის განვითარებაში. ძალთა კონცეტრაციით ის გამოხაზვის მაქსიმუმს აღწევს. გარდა „ტანჰოიზერისა“ ბოდლერმა დაწვრილებით განიხილა ოპერა „ლოენგრინიც“. ამავე სტატიაში ფრანგმა პოეტმა გააშუქა ვაგნერის ლიტერატურული მოღვაწეობა.

არანაკლები შემოქმედება მოახდინა ბოდლერზე ვაგნერის პიროვნებამ. ის წერს: „ვაგნერში ორი ადამიანია — წესრიგისა და ვნებათაღელვის. მას ანახიათებს ძლიერი ნება, უნი, ძალთა მოკრების უნარი, ნერვული სიძლიერე, აფეთქება“.

აღბათ, ბოდლერი ვერც კი წარმოიდგენდა, რა გამოძახილი ექნებოდა მის წერილს, რომ ამით ჩაეყრებოდა საფუძველი ვაგნერიზმს საფრანგეთში. მუსიკოსი და პოეტი ერთნაირად ცდილობდა მიეხატა ვაგნერისათვის. თვითონ ბოდლერმა მიივიწყა უველა თავისი ხავეტარული კომპოზიტორი და სიკვდილის წინ

1 Ch. Baudelaire. L. Art Romantique. Litterature et musique. Paris, 1968, p. 292.

მხოლოდ ვაგნერის ნაწარმოებებს უხმუნდა. ვარ-
და ვაგნერისა პოეტმა „1848 წლის სალონი“
დიდუბასაკენ გზა დაულოცა ეფენ დელაკრუას,
50-იან წლებში კი ედგარ პო თარგმნა და
ამით აღმოუჩინა იგი ფრანგ ხალხს.

70-იანი წლების ბოლოს ორმა ფრანგმა პო-
ეტმა — კათიულ მენდესმა და ვილიე დე
ლილ-ადამმა ბაიროთში იმოგზაურეს. მათ აღ-
ტაცებას ვაგნერის თეატრით და მისი ოპერე-
ბის მოსმენით საზღვარი არ ჰქონდა. ვაგნერის
გარდაცვალებისთანავე კათიულ მენდესმა გა-
მოსცა წიგნი მის შესახებ, სადაც დაწვრილე-
ბით გადმოსცა გერმანელი კომპოზიტორის შე-
მოქმედება და მისი პიროვნება. მენდესი
ხვლიდა, რომ ვაგნერი, როგორც პოეტი ვერ
გაუტოლდებოდა გოეთეს, როგორც მუსიკოსი
— ბეთჰოვენს, სამაგიეროდ ის ღვაწლებრივ
შექსპირს მიახლოებდა.

1856 წელს დიუჟარდენის ინიციატივით პა-
რიზში დაარსდა უფრნალი „La Revue
Wagnérienne“. რითაც ფრანგმა მწერლებმა გა-
მოსატყეს თავისი მოწიწება ვაგნერის მიმართ
პირველ ნომერში თავი მოუყარეს წერილებს
მის შესახებ. მათ შორის განსაკუთრებით გა-
მოირჩა სტეფან მალარმეს — სიმბოლისტთა
მეტრის — სტატია „რიკარდ ვაგნერი. ფრანგი
პოეტის ზმანება“.

უფრნალის მეორე ნომერი 1858 წელს გამო-
ვიდა, ის მთლიანად შედგებოდა ვაგნერისადმი
მიძღვნილი სონეტებისაგან კრებულში მონა-
წილეობა მიიღეს რენე გილმა, სტუარტ მერილ-
მა, შარლ მორისმა, ვაზევამ, დიუჟარდენმა
ვერლენმა და მალარმემ.

ვერლენი — უველაზე უფრო მუსიკალური
ფრანგ პოეტებს შორის, ვაგნერის შემოქმედე-
ბას ნაკლებად იცნობდა. მიუხედავად ამისა
მისი სონეტი „პარსიფალის“ თემაზეა შექმ-
ნილი.

მესამე კრებული უკვე ხანდალური აღმოჩ-
ნდა. პასში მხოლოდ ნაკლებად ცნობილი პოე-
ტების ლექსები გამოქვეყნდა. ამის შემდეგ
უფრნალმა შეწყვიტა არსებობა.

იმხანად ფრანგულ ლიტერატურაში იმძლავრა
ვაგნერისეულმა თემებმა. უხვად გვხვდება პარსი-
ფალის, გრაალის, ტრისტანის თემები პოეზია-
შიც და პროზაშიც. ამ თაობის ფრანგ მწერ-
ლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა 1870
წელს გამოქვეყნებულმა წიგნმა „ბეთჰოვენი“
რომელშიც ვაგნერი იყრდნობა შოპენმაუერის
ესთეტიკის ძირითად დებულებას, რომ მუსი-
კას შეუძლია გადმოგვცეს ნება. ხოლო ხელოვ-
ნების სხვა დარგებს — შექმნან მხოლოდ
წარმოდგენა.

ხერთო აღფრთოვანების ფონზე უცნაურად
გაიხმა ვაგნერის შემოქმედების მალარმესეული

შეფასება. წერილში „რიკარდ ვაგნერი ფრან-
გი პოეტის ზმანება“ მალარმე ბრძანდებოდა იზი-
არებს ხერთო აღტაცებას. დიდი ხან ვაგნე-
რის სტეფან და მუსიკის კონცეფციის და ექ-
ვით უყურებს დრამების კონცეფციას. ლეგენდის აღორძინებას, მუსიკის უფრო დაწ-
რიდევას.

ვაგნერის „ბეთჰოვენი“ ზეგავლენა უკვე
მალარმეს „ინგლისურ სიტყვებში“ იგრძნობა,
რომლის ალიტერაციის მეოთხედი შემდგომში
გადაიტანა თავის დაუსრულებელ და საოცნება
ნაწარმოებში „წიგნი“. ხოლო „მუსიკა და მწერ-
ლობა“ კიდევ ერთხელ ადასტურებს მალარმეს
დიდ ინტერესს ტოტალური ხელოვნებისადმი.
ფრანგი პოეტი სინთეზურობის მიღწევას ერთ-
დარგში — პოეზიაში ცდილობს. მას სურდა თა-
თოეული სიტყვა იმდენად შრავლისმოქმედი
და შთაბეჭედავი გაეხადა, რომ მოეხდინა ერთ-
დროულად პოეტური და მუსიკალური ეფექტი.
მალარმეს სურდა პოეტურ ნაწარმოებში პაუ-
ზების სისტემის დამკვიდრებაც, რაც გრაფი-
კულად თეთრი ფერით აღინიშნებოდა. ძიებებს
ასეთმა ფორმამ წარმოშვა ახალი პოეტური
კონცეფცია „უხიტვეო პოეზია“.

როგორც უკვე ითქვა, მალარმე ვაგნერის ხე-
ლოვნებაში დაინტერესა სინთეზურობამ.
მაგრამ მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ის პო-
ეტური უორმები, რომელიც გერმანელმა შე-
მოქმედმა წარმოხაზა. ისე, რომ მალარმე ერთ-
დროულად ბაძავს ვაგნერს და ობიექტურადაც
აფასებს მას. ამიტომ, ბუნებრივია, მალარმეს
მოწაფეები და მისი „სამშაბათების“ მუდმივი
მონაწილეები უფრო საღი თვალით შეხედავ-
დნენ ფრანგული კულტურის გერმანიზაციას.
დებიუსი, იყრდნობა რა მალარმეს კონცეფცი-
ებს და სრულიად სხვა გზით წარმართავს სიმ-
ბოლისტური მუსიკის ბედს. ხოლო მისი თაუ-
ვანისმცემელი ანდრე ეადი 1888 წელს მის-
წერს პოლ ვალერის. „ვაგნერის მუსიკას შე-
ტად ეუღგარულ ხელოვნებად მივიჩნევ... ეს
ხელოვნური უვავილება“.¹

ვაგნერის კულტი ნელ-ნელა სუსტდებოდა
და შაინც ბევრი პოეტის, მათ შორის ტეოდორ
ბანვილის, შარლ მორისის, რენე გილის თეო-
რიულ გამოკვლევებში დიდი ადგილი ეთმო-
ბოდა მისი ხელოვნების შესწავლას. იმ დროის
მწერლებს შორის ძნელია მოიძებნოს ისეთი
ვისაც თავის რომანებში არ ჰქავდეს ნახსენები
ვაგნერი, ან ვისაც მისთვის არ მიეძღვას ნა-
წარმოები. რომენ როლანი „ჟან-კრისტოფში“
ურცლად იხილავს ვაგნერის ოპერებს. მარსელ
პრუსტი კი, არა მარტო დაპარაკობს ვაგნერზე

¹ A. Gide, P. Valéry. Correspondance 1890-1942, Paris, 1955, p. 358.

არამედ ლაიტმოტივის ცნებასაც შეიტანს თავის რომანში. ეს არის კომპოზიტორ ვენტულის მუსიკალური ფრაზა, რომელიც დიდ ფსიქოლოგიურ როლს ასრულებს გმირთა დამოკიდებულებაში.

ფრანგული სიმბოლისტური პოეზიის წარმოშობის მიზეზად ხშირად მხოლოდ ვაგნერიზმს ასახელებენ. ამის აღიარება ნიშნავს სიმბოლისტური მოძრაობის შეტად ცალმხრივ გაშუქებას. XIX საუკუნის დასასრულის პოეზია ფრანგულ ლიტერატურაში ძალიან დაღმასწავლებოდა.

რომანტიკოსების ევფონიური ლექსი ბოდლერის მუსიკალურ პოეზიანი გადაიზარდა. ფრანგი მწერლები მუსიკის ესთეტიკურ არსს ხწავლობდნენ, სწავლავდნენ მნიშვნელოვანი იყო ედგარ პოსტალინი. იმის ნიშნებიდან მოყოლებული ევფონიური კულტივირება დაემატა. უკვე ევფონიური კულტივირება სიმბოლისტური მოძრაობის განვითარება, რომელიც ღრმა ეროვნულ ხასიათს ატარებს. ასე რომ, ფრანგმა მწერლებმა წარმოშვეს ვაგნერიზმი, რომლისგანაც თვითონ საზრდოობდნენ.



მადლენ ურსი

ფრანგულიდან

თარგმნა ელისაბედ ყვამილაშვილმა

კორო

ფრანგული ფერწერის ისტორიაში ძნელად მოიძებნება კოროზე უფრო შეტად სახელგანთქმული მხატვარი. მას მხოლოდ აღიარება მოუპოვა პოეტურმა პეიზაჟებმა, სადაც მადლი ბეების ჩრდილში, ტბორის პირას, მოცინავავე ნიშნები გარინდებულან. ხელოვანს არაერთი მიმდევარი პუავედა როგორც თამამედროვე, ისე მომდევნო თაობების მხატვართა შორის. კორო მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანია და მისი ნაღვაწი ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შესწავლილი. ამ საოცარი ადამიანის შემოქმედება თვით მისი პიროვნების უკეთ შესწავლის საშუალებას გვაძლევს. საყოველთაოდ ცნობილია მხატვრის იშვიათი დიდებულებოვნება და კეთილშობილება. კოროს ისტორიკოსები ერთგვარად შეცბუნებულნიც კი არიან მისი ცხოვრების წესის უბრალოებითა და ერთგვაროვნებით.

თან ბატისტ კამილ კორო დაიბადა პარიზში 1798 წლის 16 ივლისს, სახლი, სადაც მომავალმა მხატვარმა ბავშვობისა და ურშობის წლები გაატარა, სენის სანაპიროზე, ბაკის ქუჩისა და ვოლტერის სანაპიროს კუთხეში მდებარეობდა. თვით სახლი აღარ არსებობს, რეკონსტრუქციის გამო იგი დაანგრის, მაგრამ თითქმის უცვლელი დარჩა ხედი, რომელსაც კორო თავისი მშობლების ბინიდან ჰვრტდა.

ტიულრის ხეები იმ დროისთვისაც აჩრდილებდა სენის მარჯვენა სანაპიროს, ლუვრსაც დაუბრუნდა, ის შეფერილობა, XIX საუკუნის დასაწყისში, მხატვრის სიყმაწვილეში რომ ბკონდა.

ადვილი საფიქრებელია, რომ ამ საუცხოო სახილველმა კოროს პიროვნებაზე დიდი გავლენა მოახდინა. ტიულრის სასახლემ, ლუვრმა, სენის სანაპიროებმა გარკვეული როლი შეასრულეს მისი მხატვრად ჩამოყალიბების საქმეში, სიყმაწვილეში მიღებული შთაბეჭდილებანი არ აღმოფხვრილა მხატვრის მესსიერებიდან და კოროს, ისევე როგორც ნიკოლა პუსენის, შემოქმედებას ნათელ ზოლად გასდევს ხეებისა და წყლის დეკორი, ფონი მათი სიყმაწვილისა.

აქვე უნდა ვახსენოთ მხატვრის დედა, რომლისგანაც კამილ კოროს სილამაზის აღქმის ნიჭი დაიქუვა. მადამ კორო, ქალიშვილობაში მადმუაზელ ობერსონი, ვერსალში გაიზარდა, სადაც მისი მშობლები მნიშვნელოვან კომერციულ საქმიანობას ეწეოდნენ. ქალიშვილი აშკარად მოაქადოვა იმ საზოგადოების ელფეანტურობამ და დაზვეწილობამ, რომელიც დედოფალ მარი-ანტუანეტს ეხვია გარს, მოგვიანებით ქალბატონმა კორომ პარიზში მოდების ძალზე პოპულარული სალონი გახსნა, სადაც დირექტორიისა და იმპერიის ყველა ცნობილი ქალბატონი დაიარებოდა. მშვენიერი ქალბა-

ტონი“ — მხოლოდ ასე მოიხსენიებდა კორო დელას მეგობრების წრეში.

მცირეწლოვანი კამილი ძიძას მიახარებ, მაგრამ იქ დიდხანს ვერ გახლდა და სულ მალე მშობლიურ უერას დაუბრუნეს. 1806 წლიდან ვოციარის ქუჩაზე მდებარე დაწყებით სკოლაში იარა, 1808 წლიდან კი რუენის კოლეჯის მოსწავლე გახდა, სადაც კლასიკური განათლებაც მიიღო და ისეთი მეგობრებიც შეიძინა, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ აღარ დაშორებია. კოლეჯში სწავლის პერიოდში კახუკ კოროზე შერუნველობა მისი მშობლების მეგობარმა, რუენელმა ბურჟუამ, -ბატონმა სენეგონმა ითავა. იგი XVIII საუკუნის უაღრეს კაცი გახლდათ და ენციკლოპედიური კულტურა მქონდა შეხისხლობრცემული. სენეგონს ბუნება უყვარდა და ამ გრძნობას წარმატებით აწიარა უმაწვილი.

ძლიერმა ხულიერმა კავშირმა, რომელიც ამ ორ ადამიანს შორის ხუფევდა, კოროს ცხოვრების სტილის თავისებური გაგება — რუსოს მსგავსად — ბუნების მიმართ პანთეისტური სიყვარული და ადამიანური ღირსების ანტიური სტოიციზმით ნასაზრდოები მკაფიო კონცეფცია შთაუნერგა. უოველივე ამან უდავოდ შეუწყო ხელი კოროს მომდომარი გარეგნობის ჩამოყალიბებას, რაც რომანტიზმს აგრძობად აშორებდა მას.

1816 წელს ცხრამეტი წლის კორომ სწავლა პუასიში მდებარე პანსიონში დაასრულა და მშობლებს დაუბრუნდა. მამამ იგი მაუდიო მოვაჭრეთ მიახარა, სადაც კამილმა 1822 წლიდან დაჰყო. იგი ჭერ რატიესთან იმყოფებოდა, შემდეგ დელაღენთან. მან ორივე სახლის პატრონის გულის მოგება შესძლო, თუმცა უხერხულ შეგირდი იყო და ხამუშაოსათვის განკუთვნილ დროს ესკიზებსა და ჩანახატებს ანდომებდა. 1817 წლიდან კორო თავისუფალ საღამოებს მთლიანად მხატვრობას უთმობს, დედის შვეიცარიის აკადემიაში, რომელიც ორფიკრთა სანაპიროზე მდებარეობდა და შვეიცარიისა მხოლოდ სახელწოდებაა მქონდა შერჩენილი. კვირადღეებს ხან მშობლების მონახულებას ხან კი ფერწერაში ვარჯიშს ანდომებს, იმავე წელს მამამისი პარიზიდან თხუთმეტობდე კლომეტრით დაშორებულ ვილ-დ'ავრეში დაბურული ტუითა და ტბორებით გარშემორტყმულ სახლს უიღულობს. XVIII საუკუნის ამ მშვენიერი ნაგებობითა და მისი შემოგარენით აღტაცებული კამილ კორო კვლავ ეწიარება ბუნებასთან იდუმალი კავშირის ბედნიერებას.

სადამოობით ხენის ნაპირებზე ხანგრძლივი ხეირნობის შემდეგ შინ დაბრუნებული კორო, შემოქმედებით ეინმორეული მეთასხედ უმეღავნებს მშობლებს მხატვრად გახდომის

დაუძლიველ სურვილს. ხანგრძლივი ძალისხმევის შემდეგ მშობლები დაჰყვებიან შტილის ნებას სახელოსნოს დაქირავებაზე. წელს კორო საკუთარი სახლის მახლობლად სახელოსნოს ქირაობს, სადაც ამაყად უღებულობს მეგობრებს. ხიბერეში მხატვარი მისთვის ჩვეულები ენამაზვილობითა და უნატიფესი იგონებს, თუ რა დიდი სინარული განაცდევინა მამის თანხმობამ. კორო მამის მს წლისა იყო. სახელოსნოს ქირის გარდა მამამ ვაფიშვილს გარკვეული წლიური რენტაც დაუნიშნა. ბედნიერებისაგან თავბრუდაზვეული კორო ხენის ხანაპიროს გაუყვა და რჩევისათვის თავის მეგობარს, მიშალონს მიაშურა. ისეთი ბედნიერი ვიყავი, ფეხზე ძლივს ვიდექიო. — იტვის იგი მოგვიანებით.

ამ მცირეოდენი ფაქტებით ვეცადეთ მხატვრის სიყმაწვილე წარმოგვედგინა. ხელოვნებას თუ არ ჩავთვლით, ცხოვრებაში მხატვარი ზომიერების ფარგლებს არ გასცილებია, არ მქონია ძლიერი გატაცებები თუ ვნებათაღელვანი — XVIII საუკუნის ბურჟუათა ოქახში აღზრდილი კაცი ერთნაირად ბუნების პანთეისტური სიყვარულით იყო გაჭერებული. დედის საგვარეულო შტოხაგან კორომ მემკვიდრეობით მიიღო ფერის შეგრძნებისა და უნატიფესი ტონების ურთიერთშეხამების უნარი, მამისაგან კი რომელიც წარმოშობით ბურგუნდიელი იყო, სიცოცხლისუნარიანობა, ფიზიკური ძალა და დინჯო ბუნება დაჰყვა. რუენის კოლეჯში სწავლამ მას დაბვეწილი კულტურა და ლიტერატურული განათლება შესძინა, უფრო პოეტური და ღრმა, ვიდრე მის თანდაყოლილ ბუნებას ახასიათებდა. მხატვრობით ხანგრძლივმა ფარულმა გატაცებამ, რაიც თავისიანებისათვის ბოლომდე გაუგებარი დარჩა, კოროს კცევას თავშეკავებულობისა და ერთგვარი იმუღებითობის დიდი დააჩნია — ჩვევად იქცა დუმილი და რაიმეს მთელი გატაცებით ჭვრეტა.

ოცდაექვსი წლის ასაკში კორო ოფიციალურად შეუდგა მხატვრობის შესწავლას. ამ დროისათვის იგი ზედმიწევნით იცნობს ლუგრის კოლეჯციასა და პ. ვალენსიენის ნაშრომს „პერსპექტივის ელემენტები და რჩევანი მხატვრობის შესახებ. კერძოდ, პეიზაჟის ეანრში“. ამ ნაშრომს, რომელიც 1800 წელს დაიბეჭდა, იმდენად დიდი გამომხაურება ხვდა წილად, რომ თექვსმეტი წლის შემდეგ აკადემიამ რომის პრემიაც კი დააწესა ისტორიული პეიზაჟისათვის.

1824 წლის მხატვართა გამოფენაზე კორო ინგლისელ პეიზაჟისტთა სრულიად ახლებურ კომპოზიციებს გაეცნო — ფილდინგის, ბონინგტონისა და კონსტებლის ტილოებს.

კონსტებლის სურათმა „თივის ურემმა“, ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, კაროზე დიდი გავლენა იქონია. აქვე იყო გამოყენილი დელაკრუას „ბოცვა-ფლეთა ქიოსზე“. დელაკრუა კაროზე მხოლოდ ორი წლით იყო უმცროსი, მაგრამ ამ ორი ხელოვანის შეხვედრა საქმოდ მოგვიანებით შედგა.

1822 წლიდან კარო მიშალონთან დადის და გულბუხურით ითვისებს მის უოველ რჩევას: „უურადღებით დააკვირდი და სულით ბორცამდე შეივრდენ ბუნება“. მიშალონი რომის აკადემიაში პეიზაჟის განხრით სწავლის შემდეგ პარაზში ახლად დაბრუნებულია და ბერტენის სახელოსნოში განაგრძობს მუშაობას. კაროს თანატოლს, საუბედუროდ, ძალზე ახალგაზრდას, 1828 წელს უწერია გარდაცვალება.

ბერტენი ნეო-კლასიკურ პეიზაჟისტთა წარმომადგენელი და კლოდ ლორენისა და პუსენის ტრადიციათა გამგრძელებელია. ეს ტრადიციები მთელი XVIII საუკუნის მანძილზე იყო ფეხმოკიდებული. XIX საუკუნის დასაწყისის საფრანგეთში კი ოფიციალური აღიარება დაიშინა. მასთან ერთად დამკვიდრდა პეიზაჟის უფრო თავისუფალი აღქმის მქონე მიმდინარეობა, რომელიც ფან-ჟაკ რუსოს თეორიებით იყო ნახაზდობი და სოფლურ სცენებსა და პეიზაჟებს ერთგვარი სუბიექტურობითა თუ გულუბრუნელობით ეკიდებოდა. ამ მიმდინარეობის საუკეთესო წარმომადგენლები შორო-უფროსი და დემარნი იყვნენ.

კარო ბერტენთან იწყებს მუშაობას, თუმც სწავლისაგან თავისუფალ დროს ხაკუთარ თავზე მარტო მუშაობას — ქალაქგარეთ ნატურიდან ფუნჯითა და ფანქრით ბატვას ანდომებს. ამ პერიოდზე წრმოდგენის შესაქმნელად, რომელიც მხატვრის რომში მოგზაურობას უსწრებს წინ, უნდა გავიხსენოთ რამდენიმე პეიზაჟის ესკიზი და მშვენიერა პატარა ფიგურები, რომელთაგან უველაზე მეტად აღსანიშნავია „ქუდიანი ბავშვი“ (ერძო კოლექცია) და „დოქელი ქალები“ (ლიონის მუზეუმი).

ჭაბუკ კაროში ბერტენის ნეო-კლასიკურმა სწავლებამ რომში გამგზავრებისა და ტრადიციული განათლების მიღების ბუნებრივი სურვილი დაბადა. იმ ენთუზიაზმმა, რომლითაც მიშალონი თავის მეგობარს იტალიურ სოფელს აღუწერდა, აგრეთვე ვალანსიენის საუცხოო პეიზაჟურმა ჩანახატებმა დამწყებ მხატვარს იტალიისადმი სიუვარული გაუღვია.

1825 წელს კაროს მშობლები თანხმდებიან მის იტალიაში გამგზავრებაზე, ოღონდ იმ პირობით, რომ მან ვოლტერის ქუჩაზე მშობლიურ სახლში ავტოპორტრეტი უნდა დატოვოს. მალე ავტოპორტრეტი შესრულებულია.

ეს ნახატი მდელვარებით აღსავსე დაკვირვების შედეგადაა შექმნილი. ტილოზე უხვადაა გამოვრებანი, პასტოზურობა, ნარეზვები სქლად არის დადებული. რაც ასე ხშირად გვხვდება XVI—XVII საუკუნეების ფრანგ პორტრეტი-სტთა ნამუშევრებში. მხატვარი 22 წლისაა, იგი პირველი ჩანს ხაკუთარი გამოსახულების წინაშე. რადიოგრაფია ამოწმებს პორტრეტი შექმნილ შობებუდილებას: გამოვრებანი, პასტოზურობა, ხელოვანის უბერხულობა ხაკუთარი გამოსახულების წინაშე, კარო ხენის სანაპიროდან ტიბრის ნაპირებზე გადაინაცვლებს, იგი რომში მიემგზავრება, რითაც აგრძელებს ფრანგ ნეო-კლასიკოსთა: ვალანსიენის, მიშალონის, აგრეთვე, ძველების: პუსენის, კლოდ ლორენის ტრადიციებს.

დიდხანს უცნობი იყო კაროს იტალიური პეიზაჟები, რომლებიც დღეს ასე ხანუკვარი გამხდარა. მაშინ კი მათ გამო მხოლოდ თავშეკავებულად წააქვს მხატვარი. წამქებულ კაროს თანამგზავრი, კარუელ დ'ალინი გახლდათ, რომელიც თვითონ შესანიშნავი პეიზაჟისტი იყო და ამ მოგზაურობის შედეგად იტალიური ქალაქებისა და მონუმენტების მკვეთრი შტრიხებით შესრულებული არაერთი ხედი დაგვიტოვა.

რომში კარო ინტენსიურად ხატავს ნატურიდან, მასალად ტილოს, ხეს და მცირე ზომის მუყაოს ხმარობს. ამ ჩანახატებიდან ზოგიერთი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კარომ ხელახლა დახატა. იტალიაში კარომ სამი წელიწადი დაბყო, რომიდან ნეაპოლამდე მოგზაურობისას სადღა არ უმუშავია პაპინანოს ტუბებში ნერას სანაპიროზე, კლინეუშთან... მხატვარმა ზედმიწევნით შეისწავლა ოპოზიცი, დაბვეწა ფერთა გამა და უველაზე ნატიფი და მოუხელოებელი ვალიორების გადმოცემის ტექნიკა: დაათვალიერა მუზეუმები, თუმც მუზეუმებში მუშაობას მუდამ ღია ცის ქვეშ ვარჯიში ერჩია. სწორედ ამ მოგზაურობის დროს — 1826-28 წლებში — შედგა ინტიმური დიალოგი ადამიანსა და ბუნებას შორის, როგორც მხატვრობის საშუალებით შეიძლება ვადმოიცეს, კარო სიკვდილამდე ბუნებასთან მხოლოდ ამგვარი ურთიერთობის ერთგული დარჩა და სხვა რამის მიმართ არც გატაცება და არც ინტერესი არ გამოუჩენია.

1825 წელს კარო საყვარელ ოჯახსა და სიურმის მეგობრებს: აბელ ოსმონს, ფ. დე ბუიპარლიესა და ალექსანდრ კლერამბოს დაუბრუნდა. დედის, მადამ კაროს ატელიეს მშვენიერ მკერავ ქალთა შორის მან გაიცნო ალექსინა ლედუ თუ ლეგუ, რომლის პორტრეტიც 1829 წელს შეასრულა. ეს პორტრეტი პატარა,

ზუსტი მონასმებით, შუტ-ჩრდილთა საქმოდ მკვეთრი გადახვლებით კლუეს მოგვაგონებს. ადვილი შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ ქალთან მხატვარს დიდი ხიყვარული აკავშირებდა, რაც მართოდ შემოქმედებაში განხორციელდა. ვერც სიყვარულმა და ვერც მშობლიური კერის სითბომ მას ხელი ვერ შეუშალა ხელახალ მოგზაურობაში, ამჯერად კორომ გეზი ფონტენბლის, შარტრის, ნორმანდიისა და ბრეტანისაკენ აიღო. 1830 წელს მხატვარი კვლავ პარიზშია, ივლისის რევოლუციამაც კი ვერ დაურღვია ცხოვრების მკაცრად განსაზღვრული წესი: წამთრობით კვლავ ვოლტერის სანაპიროს სახელოსნოში მუშაობს, წაფხულს კი საფრანგეთის პროვინციებში ატარებს. „შარტრის ტადარი“ ამ პერიოდის ქრესტიანული შედეგის წარმოადგენს. ეს ტილო საშუალებას გვაძლევს ჯეროვნად შევაფასოთ მხატვრის ოსტატობა. ნახატი სრულქმნილია, ავტორი განსაკუთრებით ნათელი ფერებისკენ არის მიდრეკილი, რომლის ყოველ, თვით უმნიშვნელო ნიუნანსაც კი მოქნილი მონასმებით გადმოგვცემს.

1834 წელს კორო მხატვარ გრანუთან ერთად კვლავ იტალიაში მიემგზავრება. ამ პერიოდში შეიქმნა მისი მეორე „ავტოპორტრეტი“, რითაც ავტორმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, თუ რაოდენ სრულყოფილად ფლობდა ადამიანის სხეულის გამოსახვის ხელოვნებას. საკმარისია ეს ტილო, რომელიც ფლორენციის მუზეუმის მშვენიერად წარმოადგენს, 1828 წლის ავტოპორტრეტს შევადაროთ, რომ ნათლად დავინახოთ, როგორი ევოლუცია განიცადა მხატვრის ხელწერამ. შეიცვალა მოდელის პოზა — მან საკუთარი ღირსებისა და არჩეული გზის სისწორეში დარწმუნებულობის იერი შეიძინა. მაგრამ პორტრეტიდან მჭირალი სახე აშკარად გვაგრძობინებს იმ მარტოხელობას, მხატვარი რომ განიცდიდა. იგი ხომ ორმოცდაათ წლამდე მარტოხელა და უცნობი იყო. დიდება მხატვარს მხოლოდ მოხუცებულობაში ეწვია. მაგრამ ვეღარ შეიძლო დავიწყებისათვის მიეცა მარტოხელი ადამიანი, რომელიც ოცდაათი წლის მანძილზე უხმაუროდ და უსახელოდ ტილოებს მხოლოდ იმ იმედით ქმნიდა, რომ დრო დადრო მაინც შესძლებოდა იმ წამიერ კავშირთა აღბეჭდვა, გარემოსა და სინათლის ურთიერთშერწყმით რომ იშვება ხალხმე. იტალიაში მეორედ მოგზაურობის შედეგად მხატვარმა თან ჩამოიტანა ერთ-ერთი შესანიშნავი ნამუშევარი „ფლორენციის ხედი ბოზოლის ბაღებიდან“.

საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ კორო მშობლების ბინაში სახლდება და მუშაობას ვილ დ' ავრეში განაგრძობს. ლუერის სანაპიროების შემდეგ სწორედ ვილ დ' ავრე

გახდა მხატვრისათვის ძვირფასი და ახლობელი. განგებამ ვილ დ' ავრე კოროსათვის შექმნა, კორო კი ვილ დ' ავრეისთვის — უთქვამს მორო-ნელატონს, ვილ დ' ავრის ტუიან და ტბებით უზე შემოგარენში მხატვარი რიურაუზე იწყებს მუშაობას. ვილ დ' ავრის დესაც ტყეში ჩაწოლილი უნდა იქნებოდეს არ გაუფანტავს. ნისლი რომ აიკრიფება, მუშაობას წყვეტს და ხალამოს ხუთი ხათის შემდეგაა განაგრძობს, როდესაც გარემოს მწუხრის ბურუსი ეფინება, დანარჩენ დროს კი დისწვილებთან გართობასა და თამაშში ატარებს. დაღამებულზე, ხანგრძლივი ხეირობის შემდეგ დიდხანს ზის ფანჯარასთან, ტბებს გადაწყურებს და ბუნების ხმაურს აყურადებს.

ძნელია კოროს ხელოვნებაზე ხაუბარი, რადგან მასთან თვალს, ბუნებასა და ნახატს შორის გონითი შუამავალი აბსოლუტურად იგნორირებულია. თუ პუსენსა და დელაკრუას საკუთარი დოქტრინები გააჩნიათ და მის მიხედვით ქმნიან, კოროსთან, პოლ : ვალერის თქმით, „არაფერია მუშაობისა და გვრეტის გარდა“ ეს განსაზღვრება ვილ დ' ავრეში შექმნილ ტილოებს ზედმიწევნით შეეფერება. სახელი, სადაც კორო ცხოვრობდა, საუკუნის მანძილზე თითქმის არ შეცვლილა, ბაღში კვლავ დგას განცალკევებული ფლიგელი, სადაც მხატვარი ხავშეების ხმაურისაგან ისვენებდა.

კოროს მშობლებთან გულთბილი ურთიერთობა აკავშირებდა, განსაკუთრებით ხიყრმის მეგობარი ახელ ოსმონი უყვარდა. ოსმონები სოფელ როსნის მემამულეები იყვნენ, მოგვიანებით მათი ოჯახი სენ-ლოში გადასახლდა. კორო არაერთხელ სწვევია მათ და დილიდანსითა თუ ფეხით მოუვლია იქაურობა. სწორედ იქ მიღებულ შთაბეჭდილებათა შედეგად შეიქმნა მისი ერთ-ერთი შესანიშნავი ტილო.

1838 წელს კორომ გამოფენაზე წარადგინა ტილო — „ფონი ფონტენბლის ტყეში“, რომელმაც მხატვარს პირველი ოფიციალური ჯილდო მოუპოვა. იმ დროისათვის კორო 37 წლისა იყო. წარმატებამ აღაფრთოვანა როგორც ავტორი, ისევე მისი ოჯახიც და მშობლებმა ნება დართეს ვაჟიშვილს კიდევ ერთხელ გამგზავრებულიყო იტალიაში, სადაც მან 1834 წლის მაისიდან ოქტომბრამდე დაბუო. ამ პერიოდს ეკუთვნის „გენუის ხედი“ და ვენეციური ეტიუდები.

მოსკოვის პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში დაცული ტილო „სანტა მარია დე ლა სალუტისა და დიდი არხის ხედი“ კოროს დამოუკიდებლობის შესანიშნავი მაგალითია. მოგზაურობის შთაბეჭდილებებს იგი მისთვის ჩვეული თავისუფლებით გადმოგვცემს. ნახატის კომპოზიციაში აშკარაა ის არ-

ობივატელური დამოკიდებულება ნატურის მიმართ, რაც აგრერიგად ახასიათებს XIX საუკუნის მხატვრობას, ახალია ხედვის სტილი — ტილო მხატვრის მიერ ობიექტურად დანახულ ვენესიის ხედს კი არ წარმოადგენს, არამედ მთლიანად სუბიექტურ განწყობაზე დაფუძნებული ნაწარმოებია, რომლის ავტორი ბუნების საიდუმლოებას არის ნაწიარები.

ვილ დ' ავრეი, როსნი, არასი, მორტეფონტენი, მოგვიანებით მანტი, — ამ ის ძირითადი თემატიკა, რაზეც მუშაობს სიმწიფეში შესული მხატვარი.

1886—1887 წლებში კორო დეკორატიულ მხატვრობას იწყებს, თუმცა შეკვეთები ძალზე ცოტა აქვს

1887 წელს კორო ვილ დ' ავრეის ეკლესიას სთავაზობს ტილოს „წმინდა იერემია“, სამი წლის შემდეგ კი აბელ ოსმონის ბიძაშვილის, მაგისტრ რობერის შეკვეთით ქმნის ტილოს „გაქცევა ეგვიპტეში“, რომელიც როსნის ეკლესიაში იქნება გამოფენილი. მაგრამ უველაზე მნიშვნელოვანი, მაინც ის დეკორატიული ტილოებია, რომლებიც მან რობერის ოჯახის სააბაზანოსათვის დახატა, ეს კატარა ტილოები იტალიაში მოკლავრობის წარმტაცი მოგონებებია. ლუვრში, სადაც ისინი ლუი რობერის შემკვიდრეთა დიდხულოვნების წუალობით მოხვდა, ამ ტილოების მნახველს უთუოდ სინანული შეიპყრობს, რომ კოროს ხშირად არ მისცემია შესაძლებლობა დეკორატიულ ხელოვნებაშიც გამოეფლინა თავისი მრავალფეროვანი ნიჭი. დანაწევრებულ ზედაპირზე მუშაობისას მხატვარს კომპოზიციის ისეთი სინატიფე ახასიათებს, ისეთი თავისუფლება იგრძნობა მასში, რომ აშკარა ხდება, თუ რა მაღალი დონისათვის შეეძლო მიეღწია მხატვარს კედლის მოხატულობაში.

1846 წელს კორო ოფიციალურ შეკვეთასღებულობს, — პარიზის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიისათვის მას „ქრისტეს მონათვლის სცენის“ დახატვა შესთავაზეს. ამ ტილოს მოხატვადებელი ეტიუდები, რომლებიც კერძო კოლექციაში ინახება, თვალსაჩინოს ხდის დელაკრუას გავლენას კომპოზიციის მარჯვენა მხარეს ადამიანთა ჭგუფურ გამოსახვაში.

მოგვიანებით, 1845 წელს კორო ორ დიდ კომპოზიციას ქმნის თავადი დემიდოვის სალონისათვის: „ორფეოსი, რომელიც სინათლეს ესაღმება“ და „ჩაძინებული დიანა“, მონაწილეობასღებულობს კერძო დე ნერვალის ბინის მოხატვაში. მთელი სიცოცხლის მანძილზე კორო სიამოვნებით მუშაობს მეგობრებისათვის. ვილ დ' ავრეის ეკლესიას იგი ოთხ დეკორატიულ პანოს უხატავს, ასრულებს დეკორატიულ პანოებს ვილ დ' ავრეის ბაღის ფლი-

გელისათვის.

1848 წელს კორო უკანასკნელად მიემგზავრება იტალიაში, საიდანაც გამოაქვს „ტივოლის ხედი“. პარიზში დაბრუნებისთანავე მხატვარი ახალ ტილოზე მუშაობას იწყებს, რომელსაც „კომეროსი და მწვერული ბიკები“ მკვია. ეს სურათი 1846 წლის გამოფენაზე იქნა წარმოდგენილი და კრიტიკის დადებითი შეფასება დაიმსახურა, რამაც მხატვარს მომდევნო 1848 წელს საპატოო ლეგიონის ორდენი მოუპოვა. „კომეროსი და მწვერული ბიკები“ კოროს ფუნქით ისტორიულ თემაზე შექმნილ ტილოთა შორის ერთ-ერთი უველაზე ცნობილი ნახატია. ეს სურათი მხატვარს ანდრეი შენიეს ლექსებშია შთააგონა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ ტილოთი მიაგო პატივი მხატვარმა თავისი პირველი მასწავლებლებების, მიშალონისა და ბურტენის ნეოკლასიკურ ტრადიციებს. ანტიური სამყაროს ის იდეალიზებული წარმოდგენა, რომელიც აგრერიგად ახასიათებდა XIX საუკუნის დასაწყისის ხელოვანთ, ამ ნაწარმოებში შეუჩრდილთა მონაცვლეობით ოსტატურად არის მიღწეული. ტილოს სიღრმეში მოთავსებული ორი შემოსილი ფიგურა კომპოზიციას სასურველ სიღრმეს ანიჭებს. ამ ფიგურათა სიდარბაისლე კარგად ეხამება წინა პლანზე მოთავსებული სამი ბავშვის უზრუნველ პოზას. თვით კომეროსი კი დავიდის ოდნავ შემოსილ პერსონაჟს მოგვაგონებს.

კოროს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაშუვა ანტიური კულტურის სიუვარული. მას მოგზაურობისასაც თან დაჰქონდა ვირგილიუსის „ეკლოგები“, ანუ პასტორალური, სამწვემსო სიმღერები. ეს ტილო კოროს ლიტერატურული გემოვნების კიდევ ერთი უტყუარი ფაქტია, რომელშიც მხატვარი ბუნების სიუვარულს ერთგვარი წარმართობითაც კი წარმოაჩენს.

თუმც მხატვარი საპატოო ლეგიონის ორდენის კავალერი ხდება, მისი ტილოები მაინც არ იყიდება, ვერც საზოგადოება და ვერც შინაურთა წრე ჩეროვნად ვერ აფასებს ამ შესანიშნავი ხელოვანის ნიჭს, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო აღრმავებს მხატვრის ნაღველსა და მარტოსულობას.

1847 წელს მხატვრის მამა, ბატონი კორო, ისე გარდაიცვალა, არც კი იცოდა, რომ საკუთარი ვაჟი უდიდესი აღიარების ზღრუბლზე დატოვა.

1852 წლიდან, დედის გარდაცვალების შემდეგ კორო უოველწლიურად მიემგზავრება არასში კონსტან დიუსილიესთან, სწორედ აქ გაეცნო და დაუმეგობრდა მხატვარი დიუსილიეს სიძეს, მოგვიანებით კი მის საკუთარ ისტორიოგრაფსა და სულიერ შემკვიდრეს აღფრედ რომის.

არასწორი უკვე აღწერილია მოგზაურობამ კოროს არა მხოლოდ სულიერად თანამდგომი შეგობრები, არამედ უდიდესი წარმატებაც მოუპოვა. რბილი, ტენიანი ჰავა, ჰაერის სიმწვრივად, რომელიც საფრანგეთის ჩრდილოეთისათვის არის დამახასიათებელი, შესანიშნავი პირობა შეიქმნა მხატვრის ხელწერის განაზღვრისათვის, ხიუფეტისადმი ფსიქოლოგიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის. სიურსის წლებში არჩეული თემები ერთგვარი კლასიციზმითა და პირადი შთაბეჭდილებებით ნასაზრდოები რეალიზმით იქნა დამუშავებული. ამ ხელწერით მხატვარმა ისეთ შემოქმედებით მწვერვალს მიაღწია, როგორცაა: „შარტრის ტაძარი“, „მარიეტა“, „მადამ შარმუა“ „ფლორენციული ავტოპორტრეტი“, აგრეთვე, „ტოვოლის ხედი“ და „ლა როშელის ნავსადგური“. 1851 წლიდან მხატვარი რეალისტურ პეიზაჟებს ნელინელ პოეტური კომპოზიციებით ცვლის, რაც არა მხოლოდ ტექნიკის შეცვლას გულისხმობს, არამედ ფსიქოლოგიური გარდატეხის მანიშნებელიც არის. ამის ნათელი მაგალითია 1851 წლის გამოფენაზე გამოტანილი ნამუშევარი „ნიმფების ცეკვა“. ეს ტილო კოროს შემოქმედებაში პირველია, რომელიც ცეკვითა და მუსიკით შობილ არტისტულ შთაბეჭდილებას ქმნის.

მხატვრის სამუშაო რვეულებში უამრავი დახვეწილი ჩანახატი შეიძლება მოვიძიოთ, რომლებიც მან ნიმფების იმ მცირე ზომის ფიგურების დასახატად გამოიყენა, აგრეთვე რომ აცოცხლებენ ტილოს. კოროს ჩვევად მქონდა უველგან თან ეტარებინა ფანქარი და რვეული. მხატვარი კომედიისა და საოპერო თეატრების ხშირი სტუმარი იყო, კორდე ბალეტის მოცეკვავე ქალები ხელოვანის წარმოსახვაში ნიმფებად ადვილად გარდაიქმნენ. ისიც ცნობილია, რომ 1850 წლის გაზაფხულზე ვილ დ' აგრესის სააგარაკო სახლში კორომ საცეკვაოდ რამდენიმე ბალერინა მიიწვია. „ნიმფების ცეკვაში“ პეიზაჟი იტალიური მოგონებებისა და საფრანგეთის ჩრდილო პროვინციებში მოგზაურობის შთაბეჭდილებათა ერთგვარი სინთეზია. ტენიანი ჰაერის გამო კონტურებს სიმკვეთრე დაუკარგავთ, ვალიორები კი უფრო ნატიფი და მოუხეღვრებელი გამხდარა. უკვე საგრძნობია ის მოვერცხილი პალიტრა, რითაც მხატვარი თავის „მოგონებების“ ტილოებს შექმნის. „ნიმფების ცეკვა“ გარიჟრაჟის შუქ-ჩრდილთა სინთეზური მოდელია, რეალური დეკორი, რომელიც ახალი გრძნობებით — მუსიკითა და მელანქოლიით არის ნასაზრდოები.

მუსიკას კოროს ცხოვრებაში უკვე აღწერილი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ცნობილია, რომ მხატვარი კონცერტს არ აცდენდა და განსა-

კუთრებით გლუკის მუსიკით იყო გატაცებული. 1850 წლიდან კი მუსიკა მელანქოლიასთან ერთად მისი შემოქმედების ლიტმოტივად იქცა. ერთმანეთს მიყოლებულმა გლოვამ მარტობამ, მისი შემოქმედების იგნორირებამ, მომქანცველმა მუშაობამ დაქვემდებარებული სიჭკუის მისმოხვარულნი მტყუარების მელანქოლიის ქია შეუჩინა. მელანქოლიამ ოცნებისკენ ლტოლვა წარმოშვა, რაც სიმწიფის ასაკისა და ხელოვანის ოსტატობის წყალობით მის მხატვარობაში გარდაისახა და მიხთვის დამახასიათებელი სიღრმით აღიბეჭდა ტილოებზე. კომპოზიციის გასაოცარი სიმსუბუქით შესრულებამ აღტაცებაში მოიყვანა გამოფენის დამთვალიერებლები. განსაკუთრებულ ეფექტს ქმნიდა სპეციალური ბიტუმისანი ლაქი, რომელიც კორომ ამ ტილოსათვის გამოიყენა. სამწუხაროდ დღესდღეობით, XIX საუკუნის დასაწყისში ასე პოპულარული ეს შენაერთი ველარ ტოვებს იშვავე შთაბეჭდილებას, რადგან იგი ტემპერატურის ცვალებადობის მიმართ ძალზე არამდგრადი აღმოჩნდა.

კოროს ხელწერის ევოლუცია ასევე საგრძნობია მის გრაფიკულ ნაწარმოებებში, ფანქარით შესრულებულ ეტიუდებში, რომელთაც ნელინელ ნახშირით დაწერილი ესკიზები სცვლის. ეს ევოლუცია, რაც უფრო და უფრო მოქნილი კონტურების დამუშავებაში გამოიხატება, განსაკუთრებით საგრძნობია სურათების ტექნიკური მეთოდით შესწავლის დროს. სიუმაწვილისდროინდელ ნამუშევრებში კონტურები მკვეთრი და დაზუსტებულია, ზოგჯერ მუქი შტრიხებით აქცენტირებული, მოგვიანებით კონტური ხელ უფრო მსუბუქი ხდება, სიბერის ეამს კი ხელოვანი თვალთ უხილავ გადახვლებს აღწევს — თითქოს კონტურები სინათლეში გამლღვალან. ასეთია მისი გვიანდელი ნამუშევრები: „მხატვრის სახელოსნო“, „წმინდა სებასტიანე“ და სხვ. მაკროფოტოგრაფია საშუალებას გვაძლევს უკეთ დავუკვირდეთ მონასმებს, რომლებიც წლითწლობით ფართოდება და ლბილდება, ფერი კი უფრო ბრტყლად ედება ნახატს. 1850 წლის ტილოებზე მხატვარი პატარა, მკვეთრ მონასმებს იყენებს, სიმწიფის ასაკში კი მონასმი უფრო ფართო და ელასტიურია. იხვეწება პალიტრა — იგი ფერთა სიმცირით გამოირჩევა. ამ მხრივ კორო რემბრანდტის მსგავს ევოლუციას განიცდის, რაც განსაკუთრებით იგრძნობა მის პორტრეტულ ნაწარმოებებში.

ის გარდატეხა, რომელიც მხატვარმა 1850 წლის შემდგომ განიცადა, მისი დიდოსტატობისა და ნიჭის მრავალფეროვნების კიდევ ერთი უტყუარი საბუთია.

კორო სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე

საოცარი რუდუნებით, ვნებითა და თავისუფ-
ლებით განაგრძობს მუშაობას არა მხოლოდ ხა-
ხელოსნოში, არამედ ბუნებაშიც. „მანტის ხი-
დი“ (1868 წ.) და „დუეს სათვალთვალო კოშ-
კი“ (1878 წ.) ის ნაწარმოებებია, რომლებიც
ხელოვანის შემოქმედების მწვერვალად უნდა
ჩაითვალოს, როდი ცდებოდა მხატვარი, როცა
თავის „დუეს სათვალთვალო კოშკს“ „გახაო-
ცარსა და შეუდარებელს“ უწოდებდა. თუმცა
კრიტიკა მხატვრის წაქეზებისა და აღიარებას
არ ეშურებოდა.

1847 წელს კოროს კონსტან დიუსილიე, ლი-
თოგრაფი გამომცემელი და განათლებული
მხატვარი ეხტუმრა, რომელიც აღაფრთოვანა
მისმა ნამუშევრებმა და მხატვრის ერთ-ერთი
უპირველესი თაყვანისმცემელი გახდა. ამ აღ-
ფრთოვანებამ გააბა ძალი კოროსა და დელაკ-
რუას შორის, რადგან დიუსილიე დელაკრუას
ახლო მეგობარი იყო — იმავე წელს დელაკრუა
ეწვია მხატვარს. ამ ორი ხელოვანის ნაცნობო-
ბა ნაყოფიერი გამოდგა. კორო კემმარიტი
ხელოვანიაო, — იუწყებოდა დელაკრუას გა-
ზეთი 1847 წლის 14 მარტს. კორო რამდენი-
მე ხაუურადღებო მითითებას აძლევს დელაკ-
რუას „ხეების გამოსახვის დარგში“, თავად კი
უფრო მეტ ყურადღებას უთმობს პოეტურ,
ლიტერატურულ და რომანტიზმთან უფრო აბ-
ლოს მდგომი მხატვრობის კონცეფციას. ამის
ერთ-ერთი მაგალითია 1858 წელს დასრულებუ-
ლი ტილო „დანტე და ვირგილიუსი ქოქონეთ-
ში“ (ნატიფი ხელოვნების მუზეუმი, ბოსტონ-
ში).

1858 წელს იმპერატორმა ნაპოლეონ III
შეიძინა კოროს ტილო „მარკუსის მოგონებანი“.
ოცი წლის მანძილზე მხატვარი ღია ციხ
ქვეშ შექმნილ პეიზაჟებს („მერსელის ტაძარი“,
„მანტის ხიდი“) ხახელოსნოში შექმნილ ტი-
ლოებს უნაცვლებს, რეალისტურ პეიზაჟებს კი
პოეტური აღმაფრენით შთაგონებულ ნახატებს,
რომლებიც გარიჟრაჟზე და მზის ჩასვლისას
იქმნება და ნიშნებითა და მწყემსი ქალებითაა
დასახლებული. მათგან ყველაზე მნიშვნელო-
ვან ტილოს „მორტეფონტენის მოგონება“ წარ-
მოადგენს, რომელიც პარიზის ჩრდილოეთით
20 კილომეტრზე მდებარე ნატურიდან შესრუ-
ლებული ეტიუდების მიხედვითაა შექმნილი პოე-
ტური განწყობა, მდგომი და ტბები, ხშირი ტყე
შუაგულში, მნახველს უნებურად ასოცდაათი
წლის წინანდელ შედევრს — ვატოს „კუნძულ
კითერაზე მოგზაურობას“ გაახხენებს. ამ ნა-
წარმოებსა და კოროს ტილოს შორის ნათესა-
ობა ძალზე აშკარაა. კოროს პოეტური პეიზა-
ჟებით მხატვრობის მოყვარულთა უეცარი და-
ინტერესებაც სწორედ ვატოსდროინდელი
ხელოვნებისადმი იმ ნოსტალგიური გატაცებით

შეიძლება აიხსნას, მეფის კარზე და ქალაქში
ახე რომ იყო გავრცელებული. „მორტეფონტე-
ნის მოგონება“ კოროს აღმავლობით მიმავალ
გზაზე ის ეტაპი იყო რომელზეც მისი წარსულის
კრიტიკალიზაცია მოხდა. ტილო უამრავი ვა-
რიანტია ცნობილი, მათ შორის ნუშქვების ციკ-
ვის“ სერიაშიც. ზოგიერთ შემთხვევაში ციკ-
რი თვალსაზრისით სრულყოფილია, ზოგი
დხუსრულებელი, ზოგიერთში კი თითქოს
პოეტური განწყობილებაა შენელებული.

წარმატებას ფული მოჰყვა, მაგრამ კოროს
ერთბელ დაკანონებული ცხოვრების წესი არ
შეუცვლია. იგი კვლავ მემკვიდრეობით მი-
ღებულ თანხას კმაყოფილდებდა, ახლად გაჩე-
ნილი შემოსავალი კი უანგარიშოდ გაცემისა
და ქველმოქმედების სიხარულს განაცდევინ-
ებდა. „მხატვრობიდან მოღიშარი კეთილი სა-
ბის“ ხახება, რომელიც კოროს ისტორიკოსებმა
შექმნეს, არც თუ შორს არის კემმარიტიებისა-
გან. მხატვრის ფოტოსურათიდან ღირსებითა
და ხიდარბაისლით დამშვენებული მკაცრნაკ-
თებიანი სახე შემოგვცქერის, უოგელდღიურობა
და სიმდაბლე უცხოა ამ სახისათვის. „კორო
თბილი და ბუნებით ხალიასიანი ადამიანია,
მაგრამ მისი მხიარული სახის ნაკვთები მელან-
ქოლიის ჩრდილმა დაფარა, წარმატება ძალზე
გვიან მოვიდა მასთან“, — უთქვამს ანრი რუ-
არს, რომელიც მხატვარს კარგად იცნობდა.

კოროს ხიდარბაისლზე მისი პირადი წერს-
ლების უბრალო და თავაზიან სტილშიც იგრძ-
ნობა. მხატვრის ქველმოქმედების მაგალითად
კი შრავლიდან ერთი ცნობილი მაგალითიც
გამოდგება. მოხუც, დავრდომილ დომიეს იაფ-
ფასიანი ბინა მქონდა დაქირავებული. სახლის
პატრონს თავი არ შეეწუხებინა და მოხუცი
მხატვრისათვის ნესტიანი, ბნელი ოთახი გამო-
ეყო. ამ ამბით აღელვებული კორო დომიეს
წერილსა და თავის დანაწოვს უგზავნის. „ის
ბიჭი (დომიე მთარგ.) ხახლის პატრონისაგან
უნდა ვიხსნათ, სახლი უყიდე, ფულს წერილს
ვურთავ“.

გულაჩუყებულმა დომიემ მადლობის ნიშ-
ნად კოროს თავისი ერთ-ერთი ნახატი უძღვნა,
აღფრთოვანებულმა კორომ კი ნახატი საწო-
ლის თავთან ჩამოიკიდა. მსგავსი მაგალითები
უამრავია, ასევე შრავალრიცხოვანია კოროს
მეგობართა წრეც. 1858 წელს მხატვარი პუ-
ასონიერის ქუჩაზე № 58 სახლში სახელოსნოს
ხხნის, სადაც არ წყდება მოწაფეთა, თაყვა-
ნისმცემელთა და მეგობართა ნაკადი.

1850 წლიდან პეიზაჟებთან ერთად კორო
დიდ ფიგურებზე მუშაობას იწყებს. მხატვ-
რობის პირველივე წლებიდან იგი პორტრეტის
ხელოვნებას ეუფლება. იტალიაში მოგზაურო-
ბის პერიოდს ეკუთვნის ქალებისა და ბავშვე-

ბის პორტრეტთა უამრავი ჩანახატი, 1884 წლიდან კორო განსაკუთრებით ნათესავეებისა და მეგობრების პორტრეტებით არის გატაცებული, რომელთა უმეტესობას მცირე მოცულობის ტილოებზე სახრულეებს.

1846—1855 წლებში მხატვარს ბავშვთა პორტრეტები იწიდავს. ამ პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებს შორის გამოირჩევა კოროს მეგობრის ლუი რობერის ვაჟის მორისის პორტრეტი. ნახატში აშკარად იგრძნობა ის სინაზე და სიყვარული, რომელსაც მხატვარი ბავშვების მიმართ განიცდიდა. ტილოზე ოთხიოდე წლის, აბრეშუებით გაწყობილი ნაცრისფერსამოსიანი ბიჭუნაა აღბეჭდილი. მაკროფოტოგრაფია მონასის სიმსუბეჭეს, გრძნობისა და მატერიის სიცინცხალეს წარმოაჩენს. ვასილკარი ექსპრესიულობითაა წარმოდგენილი ბავშვის სერაიჭული, მოლოდინით აღსავსე გამომეტყველება, სახის კანის სინათლე და კონტურების ხილბილღე. შარდენისა და ლე ნენის მსგავსად კორო დამსახურებულადაა აღიარებული ბავშვთა ერთ-ერთ საუკეთესო ფრანგ პორტრეტისტად. შორის რობერის გარდაცვალების შემდეგ ამ ტილომ მისი სახლიდან ლუვრის მუზეუმში გადაინაცვლა.

1850 წელს უკავშირდება აგრეთვე მხატვრის ერთ-ერთი პირველი და უმშვენიერესი პორტრეტი ქალისა, რომელიც ერთგვარად ქალთა პორტრეტების სერიას ხსნის. პიკასოს 1822—1824 წლების ტილოებამდე მსგავსი სიძლიერის პორტრეტი არ შექმნილა ფრანგულ ფერწერაში. პიკასოს „მჭდომარე ქალი“ (1822 წ.) და „ბერძენი ქალი“ (1824 წ.) კოროს „ქერათმიანი გასკონელი ქალის“ დები არიან: იგივე მსუყრე მონასმები რბილი და მჭრქალი ფერწერული მასალა, იგივე ფერთა გამა. პიკასო თვითონ აღიარებდა, რომ კორომ მის შემოქმედებაზე ძლიერი ზეგავლენა იქონია. კონტურების ხილბილღესა და მსუყრე მასალას იყენებს მხატვარი მოგვიანებითაც. „ქერათმიანი გასკონელი ქალის“ შექმნიდან 15—20 წლის შემდეგ („მუზა“, სიბილა“, ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში). კორო მენატურეებს ხშირად თეატრებიდან გამოთხოვილ კოსტიუმებში ხატავს. მრავალფეროვანია კომპოზიცია, ზოგიერთი, ძალზე ბუნებრივი პოზა მოძრაობის წამიერად აღბეჭდვის გამო ფოტოსურათის შთაბეჭდილებას ტოვებს. („უმაწვილი ქალი საპირფარეშოში მაგიდასთან“). შესაძლოა, ფოტოგრაფიის აღმოჩენამ თავისებური გავლენა მოახდინა კოროსა და XIX საუკუნის სხვა მხატვართა შემოქმედებაზე.

დიდი ზომის ფიგურებს შორის უპირველესად უნდა აღინიშნოს ქვეყნური პორტრეტი „დედა-შვილი სანაპიროზე“ (აშშ, ფილადელფი-

ის ხელოვნების მუზეუმი). ამ ტილოზე ფორმათა ინთივე მონუმენტურ სინავეს გვხვდებით, როგორსაც „ქერათმიანი გასკონელი ქალი“ ქალისა და ბავშვის ფიგურებით შექმნილი მომრგვალებული კომპოზიცია ექსპრესიულად ვადმოგვცემს იმ ფიგურის ქვეშის კომპლექსი ამ ორ პერსონაჟს მტკიცე სიყვარულს. ახალგაზრდა ქალის ზურგითა და ქვედაკაბით შექმნილ ნახევარწრეს ბავშვის მუიფე სხეულისაკენ გაწვდილი ორი თეთრი, ხავსე მკლავი მთლიან წრედ კრავს. კომპოზიციის მოულოდნელობის მხრივ ფრანგულ სახვით ხელოვნებაში ძნელად თუ მოიძებნება მისი ტოლფასი ქმნილება. თითოეული მონახაზი თუ დეტალი ტილოს დედააზრს უფრო სატნაურს ხდის. დედაშვილობის თემაზე მხატვარს რამდენიმე სხვა ტილოც შეუქმნია: „ოჯახი“, რომელზეც დედის პორტრეტი ძალზე ჩამოგვავს ვენეციელ მადონას, „გლეხის ქალი შვილს ძუძუს აწოვებს“, მიუხედავად ტილოს მცირე მოცულობისა, იგი თავისი აზრობრივი დატვირთვით გვაოცებს, რითაც ძალზე უახლოვდება ფილადელფიის ტილოს კომპოზიციას.

მრავალფეროვანია კოროს მიერ გამოყენებული მასალა. მხატვარი სიამოვნებით მუშაობს მცირე ფორმატის ტილოზე, განსაკუთრებით ნატურიდან ხატვისას, ხეზე („ქარტაპები მდინარეზე“), გვხვდება მუყაო, ტილოზე დაკრული მუყაო და ქაღალდი („მარიეტა“). საინტერესოა მხატვრის პალიტრა: სახელოსნოში მუშაობისას იგი მხოლოდ ზოგიერთ კოლორს იყენებს და მათი შერევით უამრავ ნიუანსს ქმნის. 1856 წელს, არასში უოფნისას, კი კორო იყენებდა პალიტრას, რომელზეც 19 ფერი იყო.

„მორტეფონტენის გახსენება“ გამომსახველობითი ხელოვნებითა და პოეტური განწყობილებით ძალზე უახლოვდება მეორე ტილოს „მორტეფონტენელ მენავებს“ (ერძო კოლეჯიცია, ნიუ-იორკი), რომელიც კორომ შეკეთით დახატა 1865—1870 წლებში. კომპოზიცია ორივე ტილოს ერთნაირი აქვს, მხოლოდ პერსონაჟები განსხვავდებიან. „მორტეფონტენელი მენავის“ სიუჟეტი უფრო რეალისტურია და აღარც სინათლესა აქვს წინა ტილოს მოუხელთებელი ბუნება. კოროს ოსტატობა აქ ადამიანთა ხილუიტების შექმნაში გამოვლინდა. მიუხედავად ამ ფიგურათა ესკიზური ხასიათისა, მათში აშკარად იგრძნობა პერსონაჟთა სიუმაწვილის ხიბლი და განწყობილება. საქმით დაკავებული მენავის უურადლება მთლიანად მოშორებით მჭდომი პერსონაჟისაკენაა მიქცეული. ეს თემა კოროს თანამედროვე ბევრმა მხატვარმა დაამუშავა კოროს თანხმობითა თუ მის გარეშე. მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ

შეძლო ორიგინალის დედაწრისა და სულის გადმოცემა.

ვიღ დ' ავრეის პატარა ტბორები, ასეთი მშობლიური რომ გახდა კორონათვის, ლეიტ-მოტივად მხატვრის ოცნე მეტ პეიზაჟს გასდევს. კორო დაფინებით ცდილობს ერთი და იგივე პეიზაჟი დღის სხვადასხვა მონაკვეთსა და წელიწადის სხვადასხვა დროს დაგვიზატოს. სწორედ ეს თვისება უძღვის წინ იმპრესიონისტთა ძიებებს: კლოდ მონეტ ხომ იგივე ხერხს ირჩევს, როცა რუენის ტაძრის ფასადის თვრამეტ ხედს ხატავს გარიფრაჟიდან მზის ჩასვლამდე და ამისათვის კოლორის ყველა ვარიაციას იყენებს.

სიბერე და დიდება ერთერთოულად ეწვია მხატვარს. კაცს, მის ადამიანურ ღირსებათა გამომსახვე რომ უყვართ, მაგრამ მისი ხელოვნებისა ნაკლებად ესმოდათ, სიბერის სიმწარე სწორედ დიდებამ დაუბა. სამოცი წლის მანძილზე უგულვებელყოფილსა და ჩრდილში მდგომს 1866 წლიდან უცრად დაუხვავდა შეყვებითი. შეგობრები, რომელთა წრე ელვის-სისწრაფით გაორმაგდა, თავს აწონებენ მასთან სიახლოვით, მხატვრის სახელოსნოში მისვლამოსვლა თითქმის არ წყდება, პირში ჩიბუხგარჩილი მასპინძელი ყველას ღიმილით ეგებება, იშვიათად თუ მისცემს თავს შენიშვნისა თუ საუკეთესოს თქმის უფლებას, საშაგიეროდ, მისი გული და ქისა მუდამ ღიაა ყველასათვის. პისარო კოროს მოწაფეობას ირემებდა. საკუთარს ძიებებით ძალზე დაკავებული მხატვარი კი არავის მასწავლებელი არ ყოფილა. 1866 წელს პარიზში ჩამოსულ პისაროს მხოლოდ ის ურჩია, ხელოვნებაში გულწრფელი ყოფილიყო, კარგად შეესწავლა ბუნება და ვალიორებზე ბევრი ემუშავა. რჩევასათვის დადიოდა მასთან ბერტ შორიზო, რომლის შემოქმედაბაზე ახე აშკარაა კოროს გავლენა.

მაესტრო კოროს რენუარიც დიდად აუასებდა. მოხუცი მხატვრის „ციხურსამოსიანმა კაღმა“ ხომ რენუარის ნიკი ჩვენთვის ცნობილი მიმართულებით წარმართა.

ფ. ფოსკა კოროს იმპრესიონისტთა სულიერ მამად თვლის და ერთ ამბავს იგონებს: 1897 წელს, იმპრესიონისტთა ჭგუფურ ექსპოზიციაზე, კლოდ მონეტ ერთ-ერთი თაყვანისმცემელისთვის უთქვამს — აქ მხოლოდ ერთი მეტრია,

კორო, მასთან შედარებით ჩვენ არარაობანი ვართ“, შემდეგ კი დაუმატებია: ეს ყველაზე მწუხარე დღეა ჩემს ცხოვრებაშიო. მიუხედავად ამ ნათქვამის ექსტრემისტული ხასიათისა, მაინც აშკარაა ის ფაქტი, რომ ხსენებულ ვერასოდეს კოროს გავლენას ვერ დაეხსნა. მონე, რენუარი, პისარო და მოწაფე-სწავლულთა და აღიარებდნენ მსუფთო-მწაფურ-სუპირატელობას ღია ცის ქვეშ სინათლის გამოსახვაში; დედა, რენუარი და პისარო კი 1874 წელს აშკარად კოროს გავლენით ქმნიდნენ ლიდ ფიგურებს. მარკეტ კოროს მიმდევარი იყო, უტრილო კი სწორედ მანეტროს ვწით სიარულმა მიიყვანა იმ ოსტატობამდე, რისი წყალობითაც იგი ახე განსხვავებულად ხატავდა ორ ნაცრისფერ კედელს.

1874 წელს კორო ვიღ დ' ავრეისი გაემგზავრა სულთმობრძავი დის მადამ სენეგონის სანახავად. განსაკუთრებით საუყარელი დის სიკვდილმა თვითონ უკურნებელი სენით შეპყრობილი მხატვარი საბოლოოდ მოტება. მოგვიანებით იგი პარიზში ბრუნდება და, დიდი მწუხარების მიუხედავად, ახალი გამოფენისათვის მზადებას ცდილობს. იმპრესიონისტთა პირველი გამოფენა ახალი დახურულია და კორომ არა იცის რა თავისი შემოქმედების უზარმაზარ როლზე ამ ახალ მიმდინარეობაში, არ იცის როგორ ვამართლდება კონსტან დიუსილიეს ათი წლით ადრე ნათქვამი სიტყვები: „კორო თანამედროვე პეიზაჟის მამამთავარია. მე არ მინახავს მისი ნახატი, მშვენიერი რომ არ ყოფილიყოს, ხაზი, რაიმეს რომ არ ნიშნავდეს, თანამედროვე მხატვართა შორის კოროს, როგორც კოლორისტს, ყველაზე მეტი შეხების წერტილი აქვს რემბრანდტთან. ერთის ფერთა გამა ოქროსფერია, მეორესი ნაცრისფერი, მაგრამ ორივე სინათლის გამოსახვასა და ერთი ტონის მეორით აელვარებას ემსაბურება“.

1876 წლის მ იენისს კორო ლოგინად ჩავარდა, მისი მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე უთქვამს: „ყველაფერს თავიდან შევქმნიდი, რასაც ახლა ვამჩნევ, არასოდეს შემინიშნავს. მეჩვენება, რომ ცის დახატვა არასოდეს მცოდნია, რასაც ახლა ვხედავ, უფრო ვარდისფერი, ღრმა და გამჭვირვალეა! ოპ, რას არ გავიღებდი, დამენახებებინა თქვენთვის ეს უზარმაზარი პორიზონტები“.

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
 На грузинском языке
 1988 № 1
СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ
ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ



საქართველოს
გეოგრაფიკული
სამსახური

კორმ. ნარნოს ხედი

6 183

19
3
საქართველოს
სამეცნიერო
ბიბლიოთეკა



სამცხე. სამცხის ტაძარი მთებში